საყვარელი

მუჰამმედ შუამავალი

- სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ -



პროფ. დრ. რაძაზახ აივალლი

მარმარას უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტი

ბათუმი

2011

წინასიტყვაობა

ქება-დიდება უზენაეს ალლაჰს, ჩვენთვის ბოძებული უსაზღვრო წყალობისა და სიკეთისათვის... ალლაჰის საყვარელი მუჰამმედ შუამავალი-ადამიანთაგან ყველაზე ღირსეული, სამართლიანი და კეთილია. დიდება მის მიმდევარ ადამიანებს, სასარგებლო სიტყვების მოსმენით ამაღლებულთ და შუამავლის კვალის გამგრძელებელთ.

იყო დრო, როცა არაბეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები ადამიანები კერპებს სცემდნენ თაყვანს, განუწვეტლივ ლოთობდნენ, აზარტულ თამაშებს იყვნენ აყოლილნი, ძლიერი ყოველთვის უსამართლოდ ექცეოდა უძლურს, ქალებს, როგორც ნივთს, ისე ჰყიდდნენ და ყიდულობდნენ, ხოლო ქალიშვილებს ცოცხლად მარხავდნენ. არამარტო არაბეთის ნახევარკუნძული, არამედ მთელი მსოფლიო სიბნელეს მოეცვა. ასეთ ვითარებაში ხალხი მხსნელს მოელოდა და ღმერთის იმედი ჰქონდა.

უფალს ადამიანები ყოველთვის უყვარდა და იცოდებდა. დიდი მოთმინებით იტანდა მათ ყოველგვარ უკეთურებასა და ადამიანების სულის გადასარჩენად, ადრეული საუკუნეებიდან მოყოლებული, სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანებს უამრავი შუამავალი მოუვლინა. უკანასკნელი შუამავალი, რომელიც დედამიწას მოევლინა არის წმინდა მუჰამედი.

უფალმა შეგვიწყალა, მის მიმდევართ უდიდესი ჯილდო გვარგუნა, მუჰამედ შუამავალი მოგვივლინა და მისი გზით სიარული გვიბრძანა, ამით ჩვენი სულის ხსნის გზა დაგვანახა. ჩვენ მადლიერი უნდა ვიყოთ ღმერთის.

თეოლოგი სწავლულები თვლიან, რომ ყოველი შუამავალი საჭირო დროს მოევლინებოდა ქვეყნიერებას რომელიღაც ხალხში და მასებს გაიყოლიებდა. ხალხი მათ ენდობოდა, რადგან ისინი განსაკუთრებით ღირსეულნი იყვნენ, განკუთვნილ ადგილს იჭერდნენ და თანატომელთა შორის ყოველმხრივ საუკეთესონი იყვნენ.

მუჰამმედ შუამავალი კი, სამყაროს დასაბამიდან დასასრულამდე, ყოველ ცოცხალ არსებაზე მაღლა იდგა და იდგება.

ალლაჰმა, სანამ მუჰამმედს მოავლენდა ქვეყანაზე, თავდაპირველად მისი შუქი გააჩინა. წმინდა ყურანში საყვარელ შუამავალს ასე მიმართავს: "შენ კაცობრიობას წყალობად მოგივლინეთ", ხოლო „ქუდსი ხადისში" კი ნაბრძანებია: „შენ რომ არ გამეჩინე, ქვეყნად არაფერს გავაჩენდი".

რწმენის ძირითადი პირობაა: „ალლაჰის მოყვარულები გვიყვარდეს და მის მტრები გვძულდეს". ეს პირობა თუ არ იქნება შესრულებული, არცერთი სიკეთე და მსახურება არ იქნება მიღებული და მის გამკეთებელს სახეში მიახლიან. აქედან გამომდინარე, ვალდებულნი ვართ, შუამავალი გვიყვარდეს, გულში შევინახოთ მისი ბრძნული დარიგებები, და ვიცხოვროთ იმ ღირსებითა და ზნეობით, როგორც შუამავალმა იცხოვრა.

მე-7 საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული უამრავი წიგნი დაიწერა მუჰამმედ შუამავლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. მისი ცხოვრების აღწერას სწავლულები დღესაც აგრძელებენ. შუამავლის სიყვარული და რწმენა ჩვენს გულებში მუდამ რომ იყოს, ამისათვის გადავწყვიტეთ, სუნნეთის მიმდევარ სწავლულთა ნაწარმოებები გაგვეანალიზებინა, შეგვეჯერებინა და სამყაროს ბატონის, წმინდა მუჰამმედის ცხოვრების შესახებ დაგვეწერა.

უფალმა ყველა ჩვენგანის გული მუჰამმედ შუამავლის რწმენითა და სიყვარულით აავსოს და სწორი გზით გვატაროს! ამინ!

პროფესორი, დოქტორი რამაზან აივალლი

შუამავლის მადლმოსილი სხივი

წმინდა მუჰამმედი, ალლაჰის უსაყვარლესი, ადამიანთა და სხვა არსებათა შორის ყოველმხრივ მაღლად მდგომი, ულამაზესი და უძვირფასესი ადამიანია. ალლაჰის მიერ რჩეული, ნაქები, კაცობრიობისათვის მოვლენილი ბოლო, გამორჩეული შუამავალია. ის სამყაროს წყალობად მოვლენილია, რადგან ყველაფერი მისი სიყვარულისთვისაა გააჩენილი. მისი ძვირფასი სახელი ***„მუჰამმედი“*** მრავალჯერ ნაქები და ნადიდებია (სიტყვა „მუჰამმედი“ მრავალჯერ ნაქებს, ნადიდებს ნიშნავს). გარდა „მუჰამმედისა“ მას კიდევ სხვა ძვირფასი სახელებით, ***აჰმედი, მაჰმუდი და მუსტაფა*** მოიხსენიებენ. მამის სახელი აბდულლაჰია. წმინდა მუჰამმედი ჰიჯრეთამდე1 53 წლით ადრე რებიულ ევვლის თვის მეთორმეტე ღამეს, ორშაბათს, გამთენიისას მექაში დაიბადა. ისტორიკოსები შუამავლის დაბადების თარიღად 571 წლის 20 აპრილს ასახელებენ.

წმინდა მუჰამმედის მამა, აბდულლაჰი, მის დაბადებამდე რამდენიმე თვით ადრე გარდაიცვალა, დედა კი ამინე გახლდათ. შუამავალი ექვსი წლისა იყო, როცა მას მეტსახელად ***„დურრ-ი იეთიმ“***-ი (სამყაროს ერთადერთი, უდიდესი და შეუფასებელი მარგალიტი) შეარქვეს. მას რვა წლამდე ბაბუა აბდულმუთალიბი ზრდიდა, ხოლო ბაბუის გარდაცვალების შემდეგ კი ბიძასთან, ებუ ტალიბთან დარჩა. ოცდახუთი წლის იყო, როცა ხატიჯესთან იქორწინა. ამ ქალბატონისგან შეეძინა პირველი შვილი, რომელსაც სახელად ყასიმი დაარქვა. არაბებში პირველი ბიჭის მამის შვილის სახელით მოხსენიება წესად იყო დამკვიდრებული, ამიტომაც შუამავალ მუჰამმედს ***„ებულ ყასიმი“,*** ანუ ყასიმის მამა უწოდეს.

მუჰამმედი ორმოცი წლის იყო, როცა ალლაჰისგან ადამიანებისა და ყოველი სულიერის შუამავლობა ეცნობა. სამი წლის შემდეგ ქადაგება დაიწყო. ორმოცდათორმეტი წლის ასაკში კი - მირაჯი (ცად ამაღლება) განხორციელდა. 622 წელს მუჰამმედმა მექქადან მედინეში ჰიჯრეთი (გადასვლა) გააკეთა. ოცდაშვიდ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. ჰიჯრეთის 11 (632) წელს რებიულ ევველის თვის მეთორმეტე დღეს, ნაშუადღევს, 63 წლის ასაკში ქალაქ მე-

დინაში - მუნევვერეში გარდაიცვალა.

მაშინ, როცა ალლაჰი ყველა შუამავლს სახელით მიმართავდა, მუჰამმედისათვის ***„ჰაბიბი“*** (ჩემო საყვარელო) პატივსცემით მოიხსენიებს. უზენაესი ალლაჰი ყურანი ქერიმშიმას ასე მიმართავს; ***„შენ სამყაროს წყალობად მოგავლინეთ“***[1] ხოლო ქუდსი ხადისში კი ნაბრძანებია: ***„შენ რომ არ გამეჩინე, შენ რომ არ გამეჩინე, ქვეყნად არაფერს გავაჩენდიო“.***

ყოველი შუამავალი, თავის დროს, განკუთვნილ ადგილზე და საკუთარ თანატომელთა შორის ყოველმხვრივ საუკეთესო იყო. მუჰამმედ შუამავალი კი, ყოველთვის და ყველგან ე.ი. სამყაროს დასაბამიდან დასასრულამდე, ყველა ცოცხალ არსებაზე უფრო მაღლა დგას, რადგან უზენასმა ალლაჰმა მისი გაჩენა ასე ინება.

დალოცილი სხივის გაჩენა

უზენაესმა ალლაჰმა უპირველესად, ანუ სანამ რამეს გააჩენდა, საყვარელი შუამავალი მუჰამმედის სხივი გააჩინა. თეფსირისა და ხადისის სწავლულთა უმრავლესობა გვამცნობს, რომ, უზენაესმა ალლაჰმა საკუთარი სხივისგან ნაზი სუბსტანცია გააჩინა და მისგან ერთმანეთის მიყოლებით მთლიანი სამყარო ერთ სხეულად შექმნა. ამ სუბსტანციას "ნური მუჰამმედი", ანუ მუჰამმედის სხივი ეწოდება. ყველა სულისა და სხეულის წარმომშობი ეს სუბსტანციაა.

საჰაბეთაგან ჯაბირ ბინ აბდულლაჰმა, ერთ დღეს, განაცხადა: „ალლაჰის შუამავალო! რა არის ის, რაც პირველად გააჩინა ალლაჰმა?“ - ***„ალლაჰმა უპირველესად შენი შუამავალი ანუ საკუთარი სხივისგან ჩემი სხივი გააჩინა. მაშინ სამოთხე, ჯოჯოხეთი, ანგელოზი, ზეცა, დედამიწა, მზე, მთვარე, ადამიანი, დემონი, ფურცელი და კალამი არ არსებობდა“.***- უპასუხა უკეთილშობილესმა მუჰამმედმა.

როდესაც ალლაჰმა წმინდა ადამის ძვირფასი გული და სხეული გააჩინა, მუჰამმედის სხივი (ნური მუჰამმედი) მის წარბებს შორის მოათავსა. როდესაც ადამს სული შთაებერა, შუბლზე ცისკრის

1. სურა ენბია: 107.

ვარსკვლავივით მბრწყინავი სხივი დაინახა.

როდესაც წმინდა ადამი გაჩნდა, ზეშთაგონებით ალლაჰისგან ასეთი მიმართვა გაიგო: ***„ებუ მუჰამმედ***, ანუ მუჰამმედის მამა.“ მან კი ალლაჰს ასე ჰკითხა: „ჩემო ალლაჰო, მე ზედსახელად ებუ მუჰამმედი რატომ დამარქვი”? – ალლაჰმა უპასუხა: „ადამ! თავი ასწიე ზემოთ!“ როდესაც წმინდა ადამმა ზევით აიხედა ემპირეაში (ცის უმაღლესი საფეხური) სხივით დაწერილი ჩვენი შუამავლის სახელი“ ***აჰმედი*** დაინახა და ალლაჰს ჰკითხა: „ჩემო გამჩენო! ვინ არის ეს”? – „ეს შენი შთამომავლობიდან მომავალი შუამავალია. მისი სახელი ზეცაში ***აჰმედი***, დედამიწაზე კი ***მუჰამმედია***. ის რომ არ გამეჩინა, არც შენ და არც ცასა და დედამიწასაც გავაჩენდი”.– უპასუხა უზენაესმა ალლაჰმა

მუჰამმედის სხივის უმწიკვლო შუბლებში გატარება

როდესაც წმინდა ადამი გაჩნდა, ალლაჰმა მუჰამმედის ძვირფასი სხივი, მას წარბებს შორის მოუთავსა. სხივმა მის შუბლზე ბრწყინვა დაიწყო. როგორც ყურანშია ნათქვამი, წმინდა ადამიდან დაწყებული, ამ სხივმა, უმწიკვლო მამებისა და დედების გავლით, წმინდა შუამავალ მუჰამმედამდე მოაღწია. უზენაესი ალლაჰი წმინდა აიათით ასე გვაცნობებს: ***„შენ, ანუ შენმა სხივმა სრულიად ჭეშმარიტ, ღვთისმოსავ პიროვნებების გამოვლით შენამდე მოაღწია.“***[2]

ერთ-ერთ ჰადისში ნათქვამია: – ***„უზენაესმა ალლაჰმა ადამიანები გააჩინა. მე კი ადამიანების ყველაზე საუკეთესო ნაწილისგან შემქმნა. შემდეგ ამ ნაწილებისგან ყველაზე საუკეთესო ამოარჩია (არაბეთში), და მათგან მე მომავლინა სამყაროს. მაშ ასე, ჩემი სული და სხეული გაჩენილთაგან ყველაზე საუკეთესოა, ხოლო ჩემი მოდგმა და წინაპრები – ყველაზე საუკეთესონი.“***

სხვა ჰადისში ვკითხულობთ: ***„ალლაჰმა ყველაფერი არარაობიდან გააჩინა, მათ შორის ადამიანები, შეიყვარა, აამაღლა ისინი; ადამიანთა შორის რჩეულებს არაბეთში მიუჩინა ადგილი. ამათგან მე გამომარჩია და ყველა დროის ადამიანებს შორის რჩეულებში მამყოფა. მაშ ასე, ვისაც არაბეთში, ჩემი მიმდევარი ჩემი გულისთვის ეყვარე-***

2. სურა შუარა: 219.

ბა ჩემი მეგობარია, ვინც მას შეიძულებს, ის ჩემს მტრად ითვლება“
პირველ ადამიანად გაჩენილი, წმინდა ადამი, რომელიც მუჰამმედ შუამავლის იმ სხივს ატარებდა, რომელიც მუდამ ბრწყინავდა. ყოველთვის, როდესაც ანგელოზები წმინდა ადამს შეხედავდნენ, მის შუბლზე მუჰამმედ შუამავლის სხივს ამჩნევდნენ და მას პატიებას თხოვდნენ.

წმინდა ადამმა სიკვდილის წინ თავისი შვილი შიიტი მოიხმო და უთხრა: „შვილო, ის, რაც შუბლზე გიბრწყინავს, ბოლო შუამავლის – მუჰამმედის სხივია. ეს სხივი მორწმუნე და უმწიკლო ქალებს გადაეცი და შენს შვილსაც ასე უანდერძე”. სხივი უმწიკლო ქალებისა და მამაკაცების შუბლს გამოივლის და ნამდვილ მეპატრონესთან მიაღწევს.

შუამავლის წინაპარს ორი ვაჟი რომ ჰყოლოდა სხივი ადგილს კეთილ და ღირსეულ მხარეს დაიკავებდა. ყოველ ეპოქაში მისი წინაპარი გამოირჩეოდა სახეზე მქონე სხივით. სხივის მატარებელი წინაპარი ყოველთვის დიდგვაროვანი და რჩეული იყო. ყოველ საუკუნეში, ვინც მუჰამმედის სხივს ატარებდა, სახე ზედმიწევნით ლამაზი და გაბრწყინებული ჰქონდა. ამ სხივის საშუალებით ძმები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ და რომელი ძმაც მის სხივს ატარებდა, საგვარეულოს სხვა წევრთაგან განსხვავებით, ის ყოველთვის დიდებული და ღირსეული იყო.

წმინდა მუჰამმედ შუამავალი ერთ-ერთ ხადისში გადმოგვცემს, რომ: ***„არცერთ ჩემს წინაპარს მრუშობა არ ჩაუდენია, უზენაესმა ალლაჰმა საუკეთესო მამებისგან და დედებისგან მომავლინა სამყაროს, წინაპართაგან ერთ-ერთს ორი შვილი რომ ჰყოლოდა, მე, ყველაზე ღირსეული და საუკეთესოთაგანი ვიქნებოდი.“***

წმინდა ადამიდან მოყოლებული, შთამომავლობიდან შთამომავლობას გადაცემული სხივი, ჯერ თარუჰს გადაეცა, შემდეგ მის შვილ, იბრაჰიმს, შემდეგ კი ისმაილს. ისმაილის შუბლზე მზესავით მბრწყინავი სხივი ადნანს ებოძა, შემდეგ კი მეადს, მეადის შვილს – ნიზარს. როდესაც ნიზარი დაიბადა და მამამ შვილის შუბლზე სხივი შენიშნა, ძლიერ გაუხარდა, ამისათვის დიდი წვეულება გამართა და წარმოთქვა: „ასეთი შვილისთვის ეს წვეულება ცოტაა”-

სიტყვა „ნიზარი” ცოტაოდენს ნიშნავს. ნიზარის შემდეგ სხივი თანმიმდევრული გადაცემით ძირითად მეპატრონესთან, საყვარელ მუჰამმედ შუამავალთან გადავიდა.

საყვარელი შუამავლის ღირსეული გენეალოგია, ჰადისის მიხედვით, ადნანამდე ასეთია,:

„მე, აბდულლაჰ, აბდულმუტალიბ, ჰაშიმ (ამრ), აბდუ მენაფ (მუღირე), ქუსაიი (ზეიდ) ქილაბ, მურრე, ქა’აბ, ლუვეიი, გალიბ, ფიჰრ, მალიქ, ნადრ, ქინანე, ჰუზეიმე, მუდრიქე (ამირ), ილიას, მუდარ, ნიზარ, მეად, ადნანის შვილი მუჰამმედი ვარ“.

კიდევ სხვა ჰადისში კი ის ასე გვამცნობს: ***„ალლაჰმა იბრაჰიმის შვილებისგან – ისმაილი, ისმაილის შვილებისგან – ქინანე, ქინანეს შვილებისგან ყურაიშები, ყურაიშებისგან ჰაშიმის შვილები, ჰაშიმის შვილებისგან კი აბდულმუტტალიბი აირჩია, ხოლო აბდულმუტტალიბის შვილებისგან მე გამომარჩია.***

ბაბუა – ძვირფასი აბდულმუტტალიბი

საყვარელი შუამავალი მუჰამმედი ყურაიშის ტომს, ჰაშიმის შვილებს მიეკუთვნება. მისი მამა აბდულლაჰი, ბაბუა კი შეიბე იყო. შუამავლის ბაბაუა შეიბე ქალაქ მედინაში დაიბადა. მამიმისი ჰაშიმი ჯერ კიდევ ბავშობაში გარდაიცვალა. ერთ დღეს, ის ქალაქ მედინაში, ბიძამისის სახლის წინ მეგობრებთან ერთად ისრის სროლას სწავლობდა. უფროსები, რომლებიც მათ უცქერდ-

ნენ, გაკვირებულნი დარჩნენ, როდესაც შეიბეს სახეზე მბრწყინავი სხივი შენიშნეს. ამით მიხვდნენ, რომ ის ღირსეული ვინმე იყო. როდესაც შეიბეს ისრის გასროლის ჯერი დადგა, მშვილდი მოზიდა და ისარი მიზნისკენ აფრინა. ნასროლი ზუსტად მოხვდა მიზანში. შეიბემ აღფრთოვანებით წამოიძახა: „მე ჰაშიმის შვილი ვარ, და რასაკვირველია, ჩემი გატყორცნილი ისარი მიზანს მიაღწევს". ამ სიტყვების მომსმენნი მიხვდნენ, რომ ის მექქელი ჰაშიმის შვილი იყო. ამ დროს ჰაშიმი უკვე გარდაცვლილი იყო. როდესაც აბდულმენაფის საგვარეულოდან ერთ-ერთი მექქაში დაბრუნდა, ჰაშიმის ძმას – მუტტალიბს უთხრა: „ქალაქ მედინაში მყოფი შენი ძმისშვილი ძალიან ჭკვიანი ბავშვია. მის შუბლზე მბრწყინავი სხივით ყველა გაოცებულია. განა სწორია, რომ ასეთი ჭკვიანი ბავშვი გვერდით არ გყავს?" ამის შემდეგ მუტტალიბი დაუყოვნებლივ ქალაქ მედინაში წავიდა და თავისი ძმისშვილი შეიბე მექქაში წამოიყვანა. ვინც მუტტალიბს, მექქას ქუჩებში, ბავშვის ვინაობას ეკითხებოდა, ჩემი მონა არისო პასუხობდა. ამის შემდეგ შეიბეს აბდულმუტტალიბი ანუ "მუტტალიბის მონა" დაერქვა.

აბდულმუტტალიბი, ბიძმისის აბდულლაჰის გარდაცვალებამდე, მასთან დარჩა. მისი დალოცვილი სხეული სასიამოვნო სურნელს აფრქვევდა. შუბლზე უზენაესი ალლაჰის საყვარელი მუჰამმედის სხივი უბრწყინავდა და ირგვლივ სიკეთესა და ბარაქას თესდა. ყოველთვის, როდესაც მექქაში დიდხანს არ გაწვიმდებოდა, მექქელები აბდულმუტტალიბს თხოვდნენ, სებირის მთაზე ასვლასა და ვედრების აღვლენას. ის არავის აწყენინებდა და ალლაჰს გაწვიმებას შეევედრებოდა. უზენაესი ალლაჰიც მის სახეზე მბრწყინავი, საყვარელი შუამავლის სხივის მადლით, ვედრებას შეისმენდა და გააწვიმებდა. აბდულმუტტალიბის ღირსება და ავტორიტეტი დღითიდღე იზრდებოდა. მექქელებმა ის მეთაურად აირჩიეს. მოწინააღმდეგე არავინ ჰყავდა, ხოლო ვინც მას დაემორჩილებოდა თავისუფლებასა და სიმშვიდეს ჰპოვებდა. იმ პერიოდის მმართველებიც კი აბდულმუტტალიბის სათნოებასა და სიდიადეს აღიარებდნენ. მას მხოლოდ ირანის კეისარი (ქისრა) ვერ იტანდა და აშკარად ემტერებოდა.

აბდულმუტტალიბი ჰანიფის რჯულის, ე.ი. მუსლიმი (ღვთის-

მოსავი სამართლიანი) ადამიანი იყო. ეს, მისი წინაპრის წმინდა იბრაჰიმის რჯული იყო. ამის გამო კერპებზე თაყვანი არ უცია და უფრო მეტიც, ახლოსაც კი არ გაკარებია. იგი ქააბეს ირგვლივ ალლაჰის წინაშე ლოცულობდა.

ერთ ღამეს აბდულმუტტალიბს სიზმრად ვიღაც უცნობი გამოეცხადა, უთხრა: „აბდულმუტტალიბ! ადექი, ტაიბი ამოთხარე!" და მაშინვე გაქრა. მეორე დღეს იგივე განმეორდა: „ადექი, ბერრეი ამოთხარე!" ხოლო მესამე დღეს იგივე პიროვნებამ ამჯერად უბრძანა: „ადექი, მედნუნეი ამოთხარე!" სიზმრებს დასასრული არ უჩანდა. მეოთხე დღეს, როცა უცნობმა უბრძანა: „ადექი, ზემზემის ორმო ამოთხარე!" – "ზემზემი რა არის? ორმო სად არისო?" – ჰკითხა აბდულმუტტალიბმა. მან ასეთი პასუხი მიიღო: „ზემზემი ისეთი წყაროა, რომელშიც წყალი არასოდეს იკლებს, ეს წყარო მსოფლიოს ოთხივე კუთხიდან მოსულ ჰაჯეებს (მომლოცველებს) ეყოფათ. ზემზემი იქიდან გამოდის, სადაც ანგელოზმა ჯიბრილმა ფრთა დაჰკრა. ეს წყალი უზენაესმა ალლაჰმა ისმაილის გულისთვის გააჩინა. უწყლოდ დარჩენილებს წყურვილს მოუკლავს, მშივრებს დააპურებს და ავადმყოფებს განკურნავს. მე მიგასწავლი სადაცაა. როდესაც ზვარაკს შესწირავენ, ნარჩენებს ერთ ადგილას დაყრიან, შენს იქ ყოფნაში წითელნისკარტა ყვავი მოფრინდება, სადაც ნისკარტით მიწას მოჩიჩქნის, იქვე ჭიანჭველების ბუდეს დაინახავ, ზუსტად იქ იქნება ზემზემის ადგილი"

დილით ადრე აბდულმუტტალიბმა შვილი ჰარისი წაიყვანა, ქააბესთან მივიდა და წითელნისკარტა ყვავის გამოჩენას დაელოდა. მალე ყვავი მართლაც მოფრინდა, იქვე ორმოსთან დაჯდა და მიწის ჩიჩქნა დაიწყო, იქ კი ჭიანჭველების ბუდე აღმოჩნდა. აბდულმუტტალიბმა და ჰარისმა მაშინვე იმ ადგილის ამოთხრა დაიწყეს. ცოტა ხნის შემდეგ ორმოს თავი გამოუჩნდა. აბდულმუტტალიბმა ეს რომ დაინახა, სიტყვებით: „ალლაჰი უდიდესია, ალლაჰი უდიდესია!" გამჩენი ადიდა.

ყურაიშები, რომლებიც ორმოს ამოთხრას დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს, აბდულმუტალლიბს მიუბრუნდნენ და უთხრეს: „ეს ჩვენი წინაპარი ისმაილის ორმოა და წილი ჩვენც

გვეკუთვნის, ამიტომ ჩვენც უნდა ჩაგვრთო ამ საქმეში“. აბდულ-მუტტალიბმა წინააღმდეგობა გაუწია: „არა! ეს მხოლოდ ჩემზე ბოძებული მოვალეობაა”. ყურეაიშებმა უთხრეს: „შენ მარტო ხარ, ერთი შვილის გარდა არავინ გყავს, ამიტომ ჩვენთვის წინააღმ-დეგობის გაწევას ვერ შეძლებ”. აბდულმუტტალიბმა სისუსტე იგრძნო, რადგან ერთი შვილის ყოლის გამო არცხვენდნენ, მაშინ-ვე ხელები ზეცას აღაპყრო და უფალს ასე შეევედრა: „გამჩენო! – გევედრები – ათი შვილი მომეცი. თუ ჩემს ვედრებას შეისმენ, ერთ-ერთ მათგანს ქააბას შევწირავ”.

აბდულმუტტალიბს არ სურდა მოძმეებთან დაპირისპირება, ამიტომ ორმოს ამოთხრას თავი დაანება, წერაქვი იქვე დააგდო და მოწინააღმდეგეებთან მოლაპარაკებას შეუდგა. გადაწყვიტეს საქმე მედიატორისათვის მიენდოთ. შეთანხმდნენ, რომ ამ საქმე-ში მათ დამასკოელი მისანი დაეხმარებოდა. მოწინავე ყურაიშე-ბის ერთი ჯგუფი დამასკოში გაემგზავრა. ძლიერი სიცხითა და უწყლობით შეწუხებული ქარავანი, გზას ვეღარ აგრძელებდა. მათ ერთი წვეთი წყალიც კი სანატრელი გაუხდათ. უდაბნოში კი წყ-ლის ნახვა შეუძლებელი იყო.

იმ დროს, როდესაც ყველა უიმედობას მიეცა, აბდულმუტტა-ლიბმა მათ შესძახა: „მოდით! მოდით! შეიკრიბეთ! იმდენი წყალი ვიპოვე, რომ თქვენც გეყოფათ და თქვენს აქლემებსაც”. წყლის ძებნის აბდულმუტტალიბის აქლემის ფეხი დიდ ქვაში გაეჩხირა, ფეხის ამოღებისას კი ქვა ადგილიდან დაიძრა, ამ დროს ქვის ქვე-შიდან წყალი გამოვიდა. ყველამ მაშინვე იქ მიირბინა და წყალს დაეწაფნენ.

ყურაიშები აბდულმუტტალიბის ამ სიდიადის წინაშე დარცხვენი-ლი დარჩნენ და უთხრეს: „აბდულმუტტალიბ! შენთვის სათქმელი აღარაფერი დაგვრჩა, ზემზემის ორმოს გასათხრელად ყველაზე ღირსეული შენ ხარ, ამის შესახებ აღარასოდეს გეკამათებით და ახლა აღარც მკითხავთან გვესაქმება რამე. უკან ვბრუნდებით”. შემდეგ ყველანი მექქას გზას გაუდგნენ. აბდულმუტტალიბმა სა-ხეზე მბრწყინავი სხივის მადლით, ზემზემის ორმოს ამოთხრის პა-ტივი მიიღო.

აბდულლაჰის ზვარაკად შეწირვის მოთხოვნა

როდესაც აბდულმუტტალიბმა ზემზემის ორმო ამოთხარა, მისი სახელი შორს გავარდა. ამის შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა. უზენაესმა ალლაჰმა სულითა და გულით აღვლენილი ვედრება ისმინა და აბდულმუტტალიბს გარდა ჰარისისა, ათი ვაჟი და ექვსი ქალიშვილი უწყალობა. ვაჟებს ერქვათ ყუსემ, ებუ ლეჰებ, ჰაჯლ, მუყავვიმი, დირარ, ზუბეირ, ებუ თალიბ, აბდულლაჰ, ჰამზა და აბბასია. ქალიშვილების სახელები იყო; საფიიე, აათიქე, უმმუ ჰაქიმ ბეიდა, ბერრე, უმეიმე და ერვაა. აბდულმუტტალიბს შვილებს შორის აბდულლაჰი განსაკუთრებით უყვარდა, რადგან შუამავალი მუჰამმედის სხივი მის შუბლზე გაბრწყინდა.

ერთხელ აბულმუტტალიბს სიზმარში ხმა მოესმა: „აბდულმუტტალიბ! დანაპირები შეასრულე?" მან, დილაადრიან, ზვარაკად ვერძი შესწირა. ღამით, ძილში იგევე ხმამ უთხრა: „ვერძზე უფრო დიდი რამ შესწირე!" – მეორე დღეს, დილით, მსხვილფეხა პირუტყვი შესწირა, მიუხედავდ ამისა, ღამით სიზმარი ისევ განმეორდა: „უფრო დიდი რამ შესწირე!" – „მსხვილფეხაზე დიდი რა არისო?" – იკითხა მან. მაშინ მას შეახსენეს, ერთ-ერთი შვილის ზვარაკად შეწირვას იყავი შეპირებული და დანაპირები შეასრულეო.

მეორე დღეს აბდულმუტტალიბმა ბავშვები შეკრიბა და წლების წინ აღვლენილი ვედრების შესახებ უამბო. შემდეგ აცნობა, რომ ვალდებული იყო ერთ-ერთი მათგანი ზვარაკად შეეწირა. ვაჟებისგან არცერთი არ შეწინააღმდეგებია, უფრო მეტი – მამას დანაპირების შესრულება თხოვეს და უთხრეს, რომ თავისი ნებასურვილის მიხედვით ემოქმედა. აბდულმუტტალიბმა კენჭისყრით ზვარაკად შესაწირი ვაჟი დაადგინა და ასეთი მისი ყველაზე საყვარელი ვაჟი, წმინდა მუჰამმედ შუამავლის სხივის მატარებელი აბდულლაჰი აღმოჩნდა. აბდულმუტტალიბი უცებ წაბარბაცდა, თვალები ცრემლით აევსო, მაგრამ ალლაჰისათვის მიცემული სიტყვის შესრულების გარდა, სხვა გზა აღარ ჰქონდა დარჩენილი. შემდეგ ერთ ხელში დანა დაიჭირა, მეორე ხელში კი ძვირფასი აბდულლაჰი აიყვანა და გამჩენზე მიცემული სიტყვის სისრულეში მოსაყვანად ქააბაში მივიდა. თვალცრემლიანი მამა აბდულლაჰის

შესაწირად უკვე მზად იყო.

ყურაიშელთა გავლენიანი პირები ამ ამბავს გაკვირვებულნი ადევნებდნენ თვალყურს. მათ შორის მყოფმა აბდულლაჰის ბიძამ ბავშვის მამას ურჩია: „აბდულმუტტალიბ! შეჩერდი! ჩვენ შენი ვაჟის ზვარკად შეწირვით არ ვართ კმაყოფილნი. შენ თუ ასეთ საქმეს გააკეთებ, დღეის შემდეგ ეს ყურაიშთა შორის წესად დამკვიდრდება და ყველა თავისი ვაჟის ზვარკად შეწირვის აღთქმას დადებს. ნუ გახდები ასეთი საქმის წამომწყები! შენი გამჩენის კმაყოფილებისთვის სხვა რამ მოიფიქრე!“ შემდეგ ურჩია, რომ მკითხავთან მისვლა ურჩია.

აბდულმუტტალიბი, ამ სიტყვების შემდეგ, ჰეიბერში ერთ-ერთ მკითხავ, ვინმე ქუთბესთან (სეჯაქ) წავიდა და თავისი მდგომარეობის შესახებ უამბო. მკითხავმა ჰკითხა: „თქვენთან ერთი ადამიანის სისხლის საფასური რამდენია?” „ათი აქლემი“ – უპასუხა აბდულმუტტალიბმა. მკითხავმა ურჩია: „ათ აქლემსა და შვილს შორის კენჭი ჰყარე, კენჭი თუ ბიჭზე ამოვიდა კიდევ ათი აქლემი დაამატეთ და ხელახლა კენჭი ჰყარეთ, სანამ კენჭი აქლემზე ამოვა, ასე გააგრძელე“.

აბდულმუტტალიბი მაშინვე მექქაში დაბრუნდა და ისე მოიქცა, როგორც მკითხავმა დაარიგა. კენჭისყრა რამდენჯერმე გაიმეორა, მაგრამ სულ აბდულლაჰს ხვდებოდა. ბოლოს, როცა აქლემების რიცხვმა ასს მიაღწია, კენჭი უკვე აქლემებზე ამოვიდა. კენჭისყრა ორჯერ კიდევ გაიმეორა, ორივეჯერ აქლემებს ხვდა წილად. ამის შემდეგ აბდულმუტტალიბმა იყვირა: „ალლაჰი უდიდესია, ალლაჰი უდიდესია!” და გამჩენს აქლემები შესწირა მსხვერპლად. არც მას და არც მის შვილებს ხორცი არ აუღიათ, მთლიანად ღარიბებს დაურიგეს.

წმინდა შუამავლის მამა ძვირფასი აბდულლაჰი

როდესაც ორი ქვეყნის ბატონის, საყვარელი მუჰამმედის სხივის მატარებელი აბდულლაჰი დაიბადა, სწავლულებმა ერთმანეთს აცნობეს: „ბოლო დროის შუამავალ, მუჰამმედის მამა მექქაში სამყაროს მოევლინა.“

ისრაელის შვილებთან ინახებოდა მატყლისგან მოქსოვილი ჯუბბე (თექა). ჯუბბე წმინდა იაჰიას ეკუთვნოდა და შეჰიდად (გმირად) დაცემის დროს ეცვა, წმინდა სისხლიც ამ ჯუბბეზე გადასულიყო. წმინდა წიგნებში აღნიშნულია: „როცა ეს სისხლი განახლდება და წვეთას დაიწყებს, ბოლო დროის შუამავალი ქვეყანას მოევლინება". ზუსტად, მაშინ იუდეველმა სწავლულებმა სისხლი დაინახეს და მიხვდნენ, რომ აბდულლაჰი უკვე დაბადებულიყო, ოღონდ შურმა სძლიათ და რამდენჯერმე აბდულლაჰის მოკვლა განიზრახეს, მაგრამ უზენაესმა ალლაჰმა აბდულლაჰი, მის შუბლზე არსებული შუამავალ მუჰამმედის სხივის მადლით, დაიფარა.

აბდულლაჰი, მოწიფულობის ასაკში ყველასგან მომხიბლველობითა და მაღალი ზნეობით გამოირჩეოდა. იგი სასურველ სასიძოდ ითვლებოდა. უამრავი მმართველი მიდიოდა აბდულლაჰთან და თხოვდა, რომ მისი ქალიშვილი შეერთო ცოლად. მაგრამ ის ყველას თავაზიანი უარით ისტუმრებდა.

როცა აბდულლაჰი თვრამეტი წლის გახდა, ყველა მის მოხდენილობაზე ალაპარაკდა. შუბლზე მას მუჰამმედ შუამავლის სხივი მზესავით უბრწყინავდა. მის მნახველ გოგონებს აბდულლაჰის ცოლობის სურვილი უჩნდებოდათ. მისმა სილამაზემ და ღირსებამ ეგვიპტემდეც ჩააღწია. ორასამდე გოგო მექქაში იმის გამო ჩავიდა, რომ მასთან ექორწინა. აბდულმუტტალიბი კი შვილისთვის, წმინდა იბრაჰიმიდან მოყოლებული, ჰანიფის რჯულის მორწმუნე, კეთილშობილ, დიდგვაროვან და ლამაზ გოგოს ეძებდა.

როდესაც ისრაელის შვილები დარწმუნდნენ, რომ წმინდა წიგნებში მოცემული, ბოლო დროის შუამავალი მათი ტომიდან აღარ მოევლინებოდა, გაუტანლობის გამო, აბდულლაჰის მოკვლის ფიცი დადეს. ამისათვის სამოცდაათი შეარაღებული ადამიანი მექქაში გაგზავნეს. ისინი ხელსაყრელ დროს ელოდებოდნენ. ერთ დღეს როცა აბდულლაჰი მინდორში სეირნობდა, მას თავს დაესხნენ. იმ დღეს, ალლაჰის ნებით, აბდულლაჰის ნათესავი ვეჰბ ბინ აბდი მენაფი რამდენიმე მეგობართან ერთად სანადიროდ გასულიყო. მათ დაინახეს თუ როგორ დაესხნენ თავს ისრაელის შვილები აბდულლაჰს და დახმარება გადაწყვიტეს, მიუხედავად იმისა, რომ

თავდამსხმელები ძალიან ბევრი იყვნენ და იცოდნენ შეტაკებისას დამარცხდებოდნენ, Dდასახმარებლად მაინც გაეშურნენ. ადგილზე მისულთ საოცარი სანახაობა გადაეშალათ თვალწინ, ბრძოლაში ხმალაღმართულნი უცნაური ცხენოსნები ჩაებნენ, ისრაელის შვილები აკუწეს და გაუჩინარდნენ. ვეჰბი ამ მოვლენის გამო განცვიფრდა. მან ალლაჰის წინაშე აბდულლაჰის ღირსება დაინახა. როდესაც სახლში დაბრუნდა, მომხდარის შესახებ მეუღლეს მოუყვა. ცოლ-ქმარი შეთანხმდა, რომ აბდულლაჰი ღირსეული სასიძო იყო და მას ქალიშვილ ამინეს მიათხოვებდნენ.

აბდულმუტტალიბს, ბენი ზუჰრეს ტომის სიდიადის, ვეჰბის ქალიშვილის ამინეს სილამაზის, პატიოსნების, ხასიათისა და რჯულზე დამოკიდებულების შესახებ ბევრი სმენოდა. მოდგმითაც ნათესავები იყვნენ და საერთო წინაპრები ჰყავდათ. აბდულმუტტალიბი აბდულლაჰისთვის ამინეს ხელის სათხოვნელად, ვეჰბის სახლში მივიდა. როდესაც ქალიშვილის ხელი სთხოვა, ვეჰბმა უთხრა: „ჩემო ბიძაშვილო! ჩვენ ეს შემოთავაზება თქვენს მოსვლამდე მივიღეთ” და რამდენიმე დღის წინ, ნანახი მოვლენის შესახებ მოუყვა. შემდეგ დაამატა: „ამინეს დედამ სიზმარი ნახა. როგორც მან მოჰყვა, ჩვენ ოჯახში რაღაც სხივი შემოსულა, მის ბრწყინვალებას ცა და დედამიწა გაუნათებია. მეც წუხელ სიზმარში ჩვენი წინაპარი წმინდა იბრაჰიმი ვიხილე. მან მითხრა, რომ აბდულმუტტალიბის შვილის, აბდულლაჰის და ამინეს ნიქახი მე გავაკეთე და შენც დაეთანხმეო. დილიდან ამ სიზმრის შთაბეჭდილების ქვეშ ვიმყოფები. თქვენს მოსვლას ველოდებოდი’’. ამ სიტყვების გაგონებაზე აბდულმუტტალიბმა წარმოთქვა: „ალლაჰი უდიდესია! ალლაჰი უდიდესია!”. აბდულლაჰი ვეჰბის ქალიშვილზე, ამინეზე დააქორწინეს. ამინესა და აბდულლაჰის ქორწინების შესახებ სხვა გადმოცემებიც არსებობს.

ძვირფასი სხივის წმინდა მუჰამმედის დედაზე გადასვლა.

როდესაც სამყაროს ლიდერის (ბელადის), საყვარელი მუჰამმედის დალოცვილი სხივი წმინდა ამინეს შუბლზე გადავიდა, ფრინველებმა და ცხოველებმა ერთმანეთს ახარეს: „სამყაროს ბატონის

ქვეყანაზე მოვლენა მოახლოვდა. ის, დედამიწის იმედი, დროის მზე არის". შუამავალი მუჰამმედის დაბადების ღამეს კი ქააბეს ყველა კერპი ძირს დაემხო. იმ პერიოდში მექქაში ძლიერი გაჭირვება იყო. რამდენიმე წელი იყო გასული, მექქელებს წვიმა არ ენახათ. ხეებს მწვანე ფოთოლი აღარ შერჩენოდა, ნათესები სულ გახმა. ხალხი საგონებელში იყო ჩავარდნილი. წმინდა სხივის ამინეზე გადასვლის შემდეგ, გაწვიმდა და მოსავალიც ბარაქიანი მოვიდა. იმ წელს სიუხვის წელი უწოდეს.

ამინეს ფეხმძიმობისას, მეუღლე აბდულლაჰი დამასკოში, სავაჭროდ იყო წასული. უკან დაბრუნებისას ავად გახდა და ქალაქ მედინაში ბიძასთან (ნეჯჯარიშვილები) მივიდა. იქ თვრამეტი, თუ ოცდახუთი წლის ასაკში გარდაიცვალა. როდესაც აბდულლაჰის გარდაცვალების ამბავი მექქაში გაიგეს, მთელი ქალაქი მწუხარებამ მოიცვა. საჰაბეთაგან აბდულლაჰ ბინ აბბასი (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) გვაცნობებს: „შუამავალ მუჰამმედის მამა აბდულლაჰი შვილის დაბადებამდე რომ გარდაიცვალა, ანგელოზებმა ღმერთს შესჩივლეს: „ჩვენო გამჩენო, შენი რესული (რჩეული)შუამავალი ობლად დარჩა". უზენაესმა ალლაჰმა კი ასე უპასუხა: ***„მისი მფარველი და დამხმარე მე ვარ".***

სპილოს წელი

სპილოს წელი უკეთილშობილესი მუჰამმედის დაბადებამდე, ორი თვით ადრე, შევიდა ისტორიაში. ყოველი მხრიდან ქააბეს მოსანახულებლად მოზღვავებული ხალხის დაბრკოლების მსურველმა, იემენის გუბერნატორმა ებრეჰემ, ბიზანტიის იმპერატორის დახმარებით სანაში დიდი ეკლესია ააშენებინა და ხალხისგან მისი მონახულება მოითხოვა. მაგრამ არაბები ძველთაგანვე ქააბეს მოსანახულებლად დადიოდნენ და ებრეჰეს მიერ აშენებულ ეკლესიას პატივი საერთოდ არ სცეს. მას ზიზღის თვალით უყურებდნენ და უფრო მეტიც, ერთ-ერთმა მათგანმა ეკლესია დააბინძურა კიდეც.

ამის გამო გაბრაზებულმა ებრეჰემ ქააბეს დანგრევა გადაწყვიტა, ამ მიზნით შეკრიბა მრავალრიცხოვანი ჯარი და მექქასაკენ

გაემართა. როდესაც ჯარი მექქას მიუახლოვდა, ყურაიშთა ქონების ძარცვა დაიწყეს, ამასთან ერთად აბდულმუტტალიბის კუთვნილ ორას აქლემსაც დაეპატრონენ. აბდულმუტტალიბი ებრეჰესთან მივიდა და აქლემების დაბრუნება მოთხოვა. ებრეჰემ ასე უპასუხა: „მე თქვენი წმინდა ქააბეს დასანგრევად მოვედი, შენ კი მას არ იცავ და აქლემებს ითხოვ?". აბდულმუტტალიბმა მიმართა: „მე აქლემების მეპატრონე ვარ, ხოლო ქააბეს თავისი პატრონი ჰყავს და უეჭველად ის დაიცავს მას". ებრეჰემ კი დაიტრაბახა: „მე ქააბეს დანგრევაში ვერავინ აღმიდგება წინ!" აბდულმუტალიბს აქლემები უკან დაუბრუნა. შემდეგ კი ჯარის ქააბესკენ წასვლის ბრძანება გასცა. ებრეჰეს ერთი დიდი სპილო ჰყავდა, რომელსაც სახელად მამუდი ერქვა, სპილო ჯარს წინ მიუძღოდა. ებრეჰე დარწმუნებული იყო, რომ გამარჯვებას მოიპოვებდა, მაგრამ, როცა ჯარი ქააბესკენ გაემართა, სპილოს ერთი ნაბიჯიც კი ვერ გადაადგმევინეს წინ. როცა იემენისაკენ მიატრიალეს ცხოველი გაიქცა.

ამგვარად, მექქას მიახლოებულ, მაგრამ თავდასხმისთვის ძალაგამოლეულ ებრეჰეს ჯარს, უზენაესმა ალლაჰმა ზევიდან ებაბილის ჩიტები ანუ მთის მერცხლები გამოუგზავნა. თითოეულ მერცხალს მუხუდოს ან ოსპის ოდენა სამ-სამი კენჭი, ერთი პირით, ორიც კიდევ კლანჭებით მოჰქონდა და ამ კენჭებს ებრეჰეს ჯარს ზემოდან უშენდნენ. კენჭები იმდენად ძლიერად ეცემოდათ ჯარისკაცებს,რომ ისინი მაშინვე კვდებოდნენ. როგორც წმინდა აიეთშია გადმოცემული, ჯარი სეტყვისგან განადგურებულ პურის ყანას დაემსგავსა. ებრეჰემ, ეს რომ შენიშნა, მაშინვე გაქცევა სცადა, მაგრამ კენჭები სხეულზე ეცემოდა და ორგანიზმს უფლეთთდა. ბოლოს მკვდარი დაეცა ძირს. ეს მოვლენა წმინდა ყურანში (სურა ფიილში) ასეა გადმოცემული:

(აქ ფიილის სურეს მნიშვნელობა უნდა დაიწეროს)

სამახარობლო ამბები

საყვარელი მუჰამმედ შუამავლის დედამიწაზე მოვლენის ამბავი წმინდა ადამიდან მოყოლებული, ყველა შუამავალმა და მისმა მიმდევარმა იცოდა. ისიც იყო ცნობილი, რომ, როცა შუამავლის დაბადება მოახლოვდებოდა, გაუთვალისწინებელი მოვლენები მოხდებოდა.

მუსა შუამავალზე გარმოვლენილ, მაგრამ შემდგომ სახეშეცვლილ თევრათში (თორა) ასე ეწერა: „ის უძვირფასესი პიროვნება, უდიდესი მოწყალე და მეტისმეტად ქველმოქმედია, ღარიბების საყვარელი, ხოლო მდიდრების მკურნალია, ულამაზესი და პატიოსანი, საუბრისას ტკბილმოუბარი, გაყოფის დროს სამართლიანი, ყოველი საქციელის დროს მართალი და პირდაპირია. ურწმუნოების მიმართ მკაცრი და მრისხანეა. მოხუცებს პატივს სცემს, პატარებს კი გულისხმიერად და მოწყალედ ეპყრობა. მცირედით მადლიერი და ტყვეების შემცოდებელია. ყოველთვის მომღიმარია. სიცილი ღიმილს უგავს და ხმამაღლა არ გაიცინებს, წერა-კითხვის უცოდინარია, მას ყველაფერი წერა-კითხვის გარეშე ეცნობა, ის უზენაესი ალლაჰის შუამავალია ის, არ არის ცუდი ზნეობისა და ბოროტი გულის, ბაზარში და საზოგადოებაში ხმამაღლა არ იყვირებს. მისი მიმდევარნი მაღალი ზნეობისანი იქნებიან, ყველგან უზენაეს ალლაჰს ახსენებენ. მუეზზინები მეეზნები (ვინც ხალხს სალოცავად უხმობს) მინარეთებიდან ხალხს მოუხმობენ. აბდესით (რიტუალური განწმენდით) ილოცებენ, ლოცვისას მწკრივებს გაასწორებენ და ერთ მწკვრივში დადგებიან. ღამით მათი ალლაჰის ხსენების ხმა ფუტკრის ბზუილის მსგავსად გაისმება. მექქაში დაიბადება, მედინადან დამასკომდე მთელი ტერიტორია მის მმართველობაში იქნება. მისი სახელი მუჰამმედი ანუ ***„ალლაჰის იმედი“***-ა, ძალადაკარგულ რელიგიებს გააუქმებს და სანამ ჭეშმარიტ რელიგიას დააფუძნებს, მანამდე სამყაროდან არ გამოვიყვან. ის ხალხს ჭეშმარიტებისაკენ მოუწოდებს. მისი მადლით ბრმებს თვალები აეხილებათ, სმენადაკარგულებს სმენა დაუბრუნდებათ და უსულგულობა აღარ იქნება“.

დაუდ შუამავალზე მოვლენილ, მაგრამ შემდგომ სახეშეცვლილ

ზებურში კი ასე ეწერა: „ის ხელგაშლილი ვინმე იქნება, არასდროს გაბრაზდება და მეტისმეტად თბილი ხასიათისა იქნება. მომღიმარი, ტკბილმოუბარი და გასხივოსნებული სახის, ადამიანების მკურნალი.. ბევრს იტირებს, ხოლო ცოტას იცინებს, ცოტას იძინებს, ბევრს იფიქრებს. ძალიან მშვენიერი და კეთილი იქნება. მისი სიტყვები გულებს დაიპყრობს, ხოლო სულებს მიიზიდავს. "ჩემო ძვირფასო! შენი მოწყალე ხმლით, მთელი ძალ-ღონით, მამაცურ ასპარეზზე ურწმუნოებზე შური იძიე, ტკბილი ენით, ჩემი ქებადიდება ყველგან გაავრცელე, ყველა ურწმუნო შენი სასწაულმოქმედების წინაშე ქედს მოიხრის".

ისა შუამავალზე მოვლენილ და შემდეგ სახეშეცვლილ ინჯილში (ბიბლიაში) კი შემდეგნაირად ეწერა: „ის ბევრს არ მირთმევს, ძუნწი არ არის, არ მოიტყუებს, მოღალატე არ იქნება, არავის შეურაცხყოფს, არასოდეს იჩქარებს, პირადი ინტერესებისთვის შურს არ იძიებს, ზარმაცი არ იქნება და ცუდად არავის ახსენებს...“

ბიბლიაში ასევე ეწერა, რომ: „გამჩენისგან მოვლენილი მუნჰამენნა, ის, რუჰულ ყუდუსი, რომ ყოფილიყო მოსული, ის მე დამემოწმებოდა, ამასთან ერთად თქვენც დაემოწმებით, რადგან ჩემთან ერთად დიდი ხანია იმყოფებით. მე თქვენ იმიტომ გეუბნებით ამას, რომ შემდეგ ეჭვში არ ჩავარდეთ და მცდარი ნაბიჯი არ გადადგათ". ზევით მოხსენებული სიტყვა მუნჰამენნა სირიაში მცხოვრები ქრისტიანების სალაპარაკო ენაა და მუჰამმედს ნიშნავს.

უმეცრების ხანა

სამყაროს საპატიო შუამავლის დაბადებამდე, მთელი მსოფლიო შემზარავ სულიერ წყვდიადს მოეცვა. ადამიანები უსაზღვროდ გაშმაგებულიყვნენ. უზენაესი ალლაჰის მიერ გარდმოვლენილი რელიგიები მივიწყებულიყო. ალლაჰის კანონების ადგილი ხალხის უმეცარ აზრებსა და ფიქრებს დაეკავა. ადამიანების დესპოტიზმის გამო ყველა არსება შეწუხებულიყო.

ხალხს უზენაესი ალლაჰი დაევიწყებინა. სიმშვიდის, ბედნიერებისა და სიხარულის ერთადერთი წყარო „თევჰიდი“ – ერთი

ღმერთის რწმენა გამქრალიყო. ქვეყანზე ურწმუნოები და კერპთაყვანისმცემლები მომრავლებულიყვენ. მივიწყებულიყო მუსა შუამავლის მიერ ნაქადაგები რჯული, თევრათი სახეშეცვლილიყო. ისრაელისშვილები ერთმანეთს გადამტერებულიყვნენ. ისა შუამავლის მიერ ნაქადაგები ქრისტიანობა სახეშეცვლილიყო, ბიბლიის ორიგინალი დაკარგულიყო, მღვდლებს იგი, როგორც სურდათ, ისე შეეცვალათ. წმინდა წიგნებში ალლაჰის სიტყვებს ადამიანის სიტყვები შერეოდა.

ეგვიპტეში სახეშეცვლილი თევრათის კანონები, ხოლო ბიზანტიაში შეცვლილი ქრისტიანობა გავრცელებულიყო. ირანში ცეცხლს სცემდნენ თაყვანს, მათი ცეცხლი ზუსტად ათასი წელი ჩაუმქრალად ენთო. ჩინეთში კონფუციზმი, ხოლო ინდოეთში ბუდიზმის მსგავსი მონაგონი რელიგიებს მისდევდნენ.

არაბი ხალხი, ყველაზე მეტად თავგზააბნეული და გზასაცდენილი იყო. მათ უზენაესი ალლაჰის უძვირფასეს ქააბეში სამასსამოცამდე კერპი მოათავსეს. დიადი ქააბე კერპების თაყვანისცემის ადგილად იქცა. გამჩენს აღარავინ ახსენებდა. მათ დაავიწყდათ, რომ ის, ვინც ქააბეს უპატივცემულოდ მოექცა, უზენაესმა ალლაჰმა მოკლე ხანში გაანადგურა.

ჯურჰუმის ტომს მრუშობასა და გარყვნილებაში ღრმად შეუტოპავს. ამ ტომის ასეთი უპატივცემულო და მდაბიო ქცევების შემყურე მმართველები, მათ მიმართავდნენ: „ჯურჰუმელებო! უზენაეს ალლაჰის ჰარემი შერიფისა და ჰარემის უსაფრთხოება დაიცავით და ჭკუაზე მოდით! კარგად იცით, თუ რა მოუვიდათ და როგორ განადგურდნენ თქვენამდე მოსული ჰუდ, სალიჰისა და შუაიბის თითოეულ მიმდევარი. ერთმანეთს სიკეთისკენ მოუწოდეთ, ბოროტებას კი უფრთხილდით. წარმავალ ძლიერებას არ ენდოთ და ნუ მოტყუვდებით. მექქაში ჭეშმარიტებას სახეს ნუ შეუცვლით, დესპოტიზმს უფრთხილდით, რადგან ის ხალხის განადგურების საბაბი გახდება. ალლაჰზე ვიფიცებთ და გეუბნებით, რომ ვინც ამ ქალაქში იცხოვრებს, უსამართლოდ მოიქცევა, ჭეშმარიტებისგან სახეს იბრუნებს, უზენაესი ალლაჰის მის მოდგმას გაწყვეტს და მათ ფესვებს ამოგლეჯს. მის ადგილზე სხვა ტომს მოიყვანს.

შმაგობის გამგრძელებელნი და ჭეშმარიტებისგან გზასაცდენილი მექქელები აქ მუდმივად ვერ დარჩებიან. კარგად იცით, რაც მოუვიდათ, თქვენამდე ამ ქალაქში მცხოვრებ, უფრო დიდხანს დარჩენილ, უფრო ძლიერ, თქვენზე უფრო ბევრ და მდიდარ თასმ, ჯედისისა და ამალიკალებს. მათ მიერ ჰარემი შერიფის დაუფასებლობა, ჭეშმარიტებისგან პირის მიბრუნება და უსამართლობაში ჩაძირვა ამ წმინდა ადგილიდან განდევნის მიზეზი გახდა. გინახავთ და კარგად გსმენიათ, რომ ზოგიერთ მათგანს უზენაესი ალლაჰმა პატარა ჭიანჭველებით უდიდესი უბედურება დაატეხა თავს, ბევრი გაჭირვებით, ზოგიც კიდევ ძალით იქნა გაძევებული.

მაგრამ მათ არ მოუსმინეს რჩევა-დარიგებებს და უზენაესი ალლაჰმა ისინიც ზნედაცემულობის გამო იქეთ-აქეთ მიმოფანტა ან გაანადგურა.

მექქაში მაინც უღმერთობას და ურწმუნოებას წაელეკა ყველაფერი. ბეითულლაჰი (ალლაჰის სახლი) ლათ, უზზა და მენაფის მსგავს კერპებით ივსებოდა. დესპოტიზმი უკანასკნელ ზღვარს აღწევდა, ამორალურობა სიამაყედ მიიჩნეოდა. არაბეთი რელიგიური, მორალური, საზოგადოებრივი და პოლიტიკური გადასახედიდან, საყოველთაოდ ცნობილ, აბობოქრებულ, გაშმაგებულ, გაუკუღმართებულ სრულ უმეცრებაში იყო მოქცეული. ამ ***უმეცრების ხანად*** წოდებულ დროში, ხალხი ტომებად დაყოფილნი, ზოგადად მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. ისინი გამუდმებით ექიშპებოდნენ ერთმანეთს. მათი საარსებო წყარო თავდასხმითა და ძარცვით მოპოვებული შემოსავალი იყო არაბულ ტომებს შორის პოლიტიკური კანონები, საზოგადოებრივი წესრიგი არ არსებობდა. გარდა ამისა, ლოთობა, აზარტული თამაშები, მრუშობა, ქურდობა, უსამართლობა, ტყუილი, ამორალურობა უსაზღვროდ გავრცელებულიყო. დესპოტიზმი, ძლიერის სუსტის მიმართ გამოყენებული სასტიკი, თავზარდამცემი საშუალება იყო. ქალი, როგორც უბრალო ნივთი ისე იყიდებოდა. ხალხის ერთი ნაწილი ქალიშვილების შეძენას უბედურებად და ცხოვრების შავ ლაქად თვლიდნენ. ასეთმა, საშინელმა შეხედულებამ იმ დონეს მიაღწია, რომ პატარა ქალიშვილებს სილაში ამოთხრილ ორმოებში ცოცხლად მარხავდნენ. მათ განწირულ კივილს შველის სათხოვნელად ყურადღებას

არავინ აქცევდა, ასეთ ქცევებს გმირობად თვლიდნენ. აქედან გამომდინარე იმდროინდელ ადამიანებს შორის გულისხმიერება, თანაგრძნობა, სიკეთე, სამართალი და მსგავსი ჰუმანური თვისებები თითქმის აღარ არსებობდა.

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ამ ხანაში არაბებს შორის, ერთი საყურადღებო საკითხი წინ იყო წამოწეული. იმ დროს ლიტერატურასა და მჭერმეტყველებას დიდი ყურადღება ექცეოდა და მაღალ დონეზე ოყო ასული. პოეტებსა და პოეზიას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ამას დიდ სიამაყედ თვლიდნენ. ძლიერი პოეტი, როგორც პირადი, ასევე ტომის ავტორიტეტი იყო. გარკვეულ პერიოდში ბაზრობები იმართაბოდა, მხატვრული კითხვისა და ორატორული გამოსვლების შეჯიბრებები ტარდებოდა. გამარჯვებულთა ლექსებსა და სიტყვებს ქააბეს კედელზე გამოკრავდნენ, რომ ხალხს ენახა. ამ კედელს ***„შვიდი საკიდარი“*** ეწოდებოდა.

იმდროინდელ არაბეთში ხალხი სარწმუნობის მიხედვით ნაწილ-ნაწილ იყო დაყოფილი. ნაწილი სრულიად ურწმუნო იყო, ამქვეყნიური ცხოვრების გარდა არაფრისა არ სჯეროდა. ნაწილს კი - ალლაჰუ თეალასა და განკითხვის დღის სწამდა, მაგრამ ადამიანთაგან შუამავალი რომ უნდა მოვლენილიყო, ამას არ იჯერებდა. ნაწილს ალლაჰისა სწამდა, ხოლო განკითხვის დღისა კი არა.

უფრო დიდმა ნაწილმა კი ალლაჰუ თეალას უღალატა და კერპებს დაუწყო თაყვანისცემა. ყოველი ურწმუნო, ოჯახში თითო კერპს ინახავდა.

გარდა ამისა, წმინდა იბრაჰიმის რჯულის მატარებელი ჰენიფებიც იყვნენ. ამ ხალხს უზენაესი ალლაჰის სწამდა და კერპებისგან შორს იდგა. შუამავალი მუჰამმედის მამა აბდულლაჰი, ბაბუა აბდულმუტტალიბი, დედა და სხვები ამ რჯულზე იყვნენ.

გარდა ჰენიფებისა, არაბეთში მცხოვრები ყველა ტომი, უმეცრებაში იმყოფებოდა.

ქვეყანაზე მობრძანება (დაბადება)

სამყარო წყვდიადს მოეცვა. ადამიანებს ყოვლის გამჩენი უზენაესი ალლაჰის რწმენა და მსახურება მიეტოვებინათ. ისინი ბუნებრივ მოვლენებს, უსულო საგნებსა და ადამიანის ხელით გაკეთებულ ქვისა და ხის ნივთებს – კერპებს სცემდნენ თაყვანს.

სამყაროში ცხოვრება უღიმღამოდ მიედინებოდა. ირგვლივ მოწყენილობასა და ნაღველს დაესადგურებინა. ადამიანები სევდიანები იყვნენ უზენაესი ალლაჰის მიერ სხვა ყველა ცოცხალ არსებებზე მაღლად მდგომ ადამიანებს, ჯოჯოხეთისგან გადამრჩენი გმირი სჭირდებოდათ. გმირის დაბადებამდე ძალიან ცოტა დრო რჩებოდა. უეჭველი იყო, რომ ადამიანებისა და ყოველი ცოცხალი არსების მარადიული ბედნიერების გზის გამკვლევი, ღირსეული ადამიანი მობრძანდებოდა, რომელიც... გულისხმიერებისა და მოწყალების წყარო იყო. იგი მაღალი ზნეობით, უსაზღვრო სიკეთით და სამართლიანობით გამოირჩეოდა.

...მაჰმუდის ადგილსამყოფელის (მაყამი მაჰმუდი) პატრონი, ადამიანების მოსარჩლე, სამყაროს მასწავლებელი, ყოველთა სულიერთა პატრონი, ადამიანების მფარველი მობრძანდებოდა! განკითხვის დღეს, დახმარების შეძლების უნარის მქონე, შუამავალთა სულთანი, ალლაჰის უსაყვარლესი ადამიანი, შუამავალი მუჰამმედი მობრძანდებოდა...(სალლალაჰუ ალეიჰი ვესელლემ).

მთელი ქვეყნიერება – ზეცა და ქვესკნელი – მოკრძალებითა და სიხარულით ელოდებოდა სეიიდულ მურსელინ, ჰეთემულ ენბია, ჰაბიბულ ჰუდას. ყველა ცოცხალი არსება ემზადებოდა, რათა თავის ენაზე ეთქვა შუამავალისათვის: ,,კეთილი იყოს შენი მობრძანება". მუჰამმედ (მუსტაფა ს.ა.ს) შუამავალი ჰიჯრეთამდე 53 წლით ადრე (თანამედროვე წელთააღრიცხვით 570 წელს) რებიულ ევველის მეთორმეტე ღამეს, ორშაბათს, განთიადისას, მექქაში ჰაშიმისშვილების უბანში, საფას მთასთან ახლო სახლში დაიბადა. ქვეყნიერება მისი მობრძანებით გამოცოცხლდა, წყვდიადს კი

უცებ ნათელი მოეფინა.

მედარიჯუ'ნ ნუბუვვეს ნაწარმოებში ახსნილია:

უდიდესი ღირსებით ამაღლებული, დედათაგან ყველაზე ბედნიერი, წმინდა ამინე ფეხმძიმობაზე მოგვითხრობს: „იმ, უძვირფასესზე ფეხმძიმობის დღეებში, არანაირი ტკივილი და წუხილი მქონია. ვერც კი ვგრძნობდი ფეხმძიმობას. მაგრამ ექვსი თვის შემდეგ, ერთ დღეს, ძილ-ღვიძილში ვიღაცამ მითხრა: „შენ თუ იცი, ვისზე ხარ ფეხმძიმედ"? „არ ვიცი" – ვუპასუხე. „იცოდე, რომ უკანასკნელ შუამავალზე ხარ ფეხმძიმედ" – მაცნობა მან. როდესაც მშობიარობის დრო მოახლოვდა, ის უცნობი ისევ მოვიდა და მითხრა: „ამინე! ბავშვი რომ დაიბადება, სახელად მუჰამმედი დაარქვი". სხვა გადმოცემის მიხედვით კი ამინეს თხოვეს: „სახელად აჰმედი დაარქვი".

წმინდა ამინე მშობიარობის შესახებ ასე მოგვითხრობს:

„როდესაც მშობიარობის დრო მოვიდა, შთამბეჭდავი ხმა მომესმა. კანკალი დავიწყე, შემდეგ თეთრი ჩიტი დავინახე, მოფრინდა და ფრთებით მომეფერა. შიში და კანკალი გამიქრა. იმ წამს ისე მომწყურდა წყალი, რომ სიცხისგან ვიწვოდი, ჩემს გვერდით ერთი ფინჯანი, რძესავით თეთრი შარბათი დავინახე. შარბათი მომაწოდეს, დავლიე, ცივი და თაფლზე ტკბილი იყო. წყალი აღარ მწყუროდა. შემდეგ დიდი სხივი დავინახე, რომელმაც სახლი ისე გაანათა, რომ სხივის გარდა სხვას ვერაფერს ვხედავდი.

ამ დროს ჩემ გარშემო ტანმაღალი, მზესავით სახეგაბრწყინებული ძალიან ბევრი ქალი დავინახე. ეს ქალები აბდულ მენაფის ქალიშვილებს ჰგავდნენ. გაკვირებული ვიყავი, ისინი ასე უცებ აქ როგორ გაჩდნენ-მეთქი. ერთმა მათგანმა მითხრა: „მე ფირღავნის ცოლი, ასია ვარ!" მეორემ კი – „მერიემ ბინთი იმრანი (იმრანის ქალიშვილი მერიემი) ვარ დანარჩენები კი სამოთხის ანგელოზები არიან".

სახეზე თეთრი, გრძელი აბრეშუმის ქსოვილი ჩამომაფარეს, რომლის სიგრძეც ციდან მიწამდე სწვდებოდა. იმ წამსვე ჩიტების ჯგუფი გამოჩნდა. მათ პირი ზურმუხტისა, ხოლო ფრთები კი

ლალისა ჰქონდათ. შიშისგან ოფლი მდიოდა, ოფლის წვეთები კი სასიამოვნო სურნელს აფრქვევდნენ. ამ დროს თვალებზე ფარდა ამხადეს. მთელი სამყარო დავინახე. ვნახე, გარს ანგელოზები დამტრიალებდნენ“.

როდესაც წმინდა მუჰამმედი დაიბადა, ჯერ კიდევ თოთო ბავშვმა მუხლი მოიყარა, დალოცვილი თავი სეჯდეზე დაადო, საჩვენებელი თითი ასწია და ლოცვა დაიწყო. ამ დროს ცაზე ღრუბელი გაჩნდა, მზეს აეფარა და ბავშვს ჩრდილი დაადგა. ხმა მომესმა: ,,მისი დაბადება აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე ყველამ უნდა გაიგოს, მისი სიდიადე ყველამ უნდა შეიგრძნოს, რომ უზენაესმა ალლაჰმა მისი მოქმედებით პოლითეიზმი მოსპოს.“ ამ სიტყვების შემდეგ ღრუბელიც გაუჩინარდა და მუჰამმედი (ს.ა.ს) თეთრი მატყლის ნაჭერში შეხვეული დავინახე. ამ დროს სახეგანათებული სამი პიროვნება მოვიდა. ერთს ხელში ვერცხლის სურა, მეორეს ზურმუხტის ვარცლი, ხოლო მესამეს ხელში აბრეშუმის ნაჭერი ეჭირა. სურიდან სასიამოვნო სურნელი იფრქვეოდა. ჩემი დალოცვილი შვილი ვარცლში ჩააწვინეს, თავი და ფეხები დაბანეს და აბრეშუმში შეახვიეს. შემდეგ, თავზე სასიამოვნო სურნელი წაუსვეს, თვალეზე მალამო მოუსვეს და გაუჩინარდნენ“.

როდესაც წმინდა მუჰამმედი დაიბადა, წმინდა ამინეს გვერდით აბდურრაჰმან ბინ ავფ’ის დედა, შიფა, ოსმან ბინ ები’ლ ას’ის დედა, ფატიმა, შუამავალის მამიდა საფიე იმყოფებოდნენ. ამ ყველაფრის თვითმხილველნი ისინი იყვნენ. შიფა ხათუნი ასე გვიამბობს: „მე იმ ღამეს ამინეს დასახმარებლად ვიყავი მისული. წმინდა მუჰამმედი დავინახე. დაბადებისთანავე ალლაჰს ემუდარებოდა. ირგვლივ კი ყველაფერი გასხივოსნებული იყო.

როდესაც მას შუამავლობა ეცნობა, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ერთ-ერთი პირველი მორწმუნე მე ვიყავი“.

საფიე ხათუნი კი მოგვითხრობს:

„წმინდა მუჰამმედის დაბადებისას, ირგვლივ ღვთაებრივი შუქი გაბრწყინდა. დაბადებისთანავე ჩვილმა მუხლი მოიყარა (სეჯდე გააკეთა), შემდეგ თავი წამოწია და გასაგები ენით წარმოსთქვა:

„ლა ილაჰე ილლალლაჰ, ინნი რესულულლაჰ“ (არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა და უეჭველია, რომ მე ალლაჰის შუამავალი ვარ). როცა ბავშვის დაბანა გადავწყვიტე, იდუმალი ხმა მომესმა: „ჩვენ ის დაბანილი მოვავლინეთ”. აგრეთვე დავინახე ჭიპი მოჭრილი ჰქონდა და წინადაცვეთილი იყო. ბავშვი ჩუმი ხმით რაღაცას ჩურჩულებდა, როცა მივუახლოვდი გავიგონე, ამ სიტყვებს ამბობდა: ***„უმმეთი, უმმეთი!“*** – „ჩემი მიმდევარი, ჩემი მიმდევარიო“- ევედრებოდა ალლაჰს.

საყვარელი მუჰამმედის დაბადება ბაბუა აბდულმუტტალიბს მაშინ უმახარობლეს, როდესაც ის ქააბესთან უზენაესი ალლაჰს ევედრებოდა.

წმინდა მუჰამმედის დაბადების დღეს, უამრავი გაუთვალისწინებელი მოვლენის მნახველ აბდულმუტტალიბს ეს ამბავი ძლიერ გაუხარდა. „ამ ბავშვის დიდება და ღირსება ბრწყინვალე იქნება” – თქვა გახარებულმა ბაბუამ.

აბდულლაჰმა ასეთი უდიდესი სიხარულის აღსანიშნავად, დაბადების მეშვიდე დღეს მექქას მოსახლეობისთვის სამდღიანი წვეულება გამართა. გარდა ამისა, ქალაქის ყველა უბანში აქლემები დაკლა, ხორცი კი ყველას დაურიგა. წვეულების დროს, როცა ჰკითხეს ბავშვს რა დაარქვიო, მან უპასუხა: „მუჰამმედი“. კითხვაზე შენი რომელიმე წინაპრის სახელი რატომ არ დაარქვიო, აბდულლაჰმა უპასუხა, უზენაესი ალლაჰის და ადამიანების საქებსადიდებელი სახელი მინდა რომ ერქვას და იმიტომო.

სხვა გადმოცემით, ბავშვს მუჰამმედი დედამ, წმინდა ამინემ დაარქვა.

დაბადების ღამეს მომხდარი სასწაულები

ღირსეული შუამავალის დაბადების წინა დღეებში და დაბადებისას, სამყაროში ბევრი გაუთვალისწინებელი მოვლენა მოხდა. შუამავლის დაბადებამდე მის მოსვლას უკვე გრძნობდნენ დედამიწაზე. ბევრი ცნობილი ადამიანი ისეთ სიზმრებს ნახულობდა, სადაც შუამავლის ამქვეყნად მოვლენა იყო ახსნილი.

ძვირფასი შუამავლის ბაბუა აბდულმუტტალიბი მოგვითხრობს: „ერთ დღეს უცებ ჩამეძინა. ძილში კოშმარი მესიზმრა. გაღვიძებულს, ძალიან შემეშინდა და მაშინვე მკითხავთან წავედი სიზმრის ასახსნელად. მკითხავი, როგორც კი შემხედა, მიხვდა, რომ აფორიაქებული ვიყავი. მიზეზი მკითხა. მე დავჯექი და სიზმარი მოვუყევი.

– სიზმრად დიდი ხე ვიხილე, რომლის წვერი ცას სწვდებოდა, ხოლო ტოტები აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე ჰქონდა გაშლილი. ხე ისე იყო გასხივოსნებული, რომ მზის ბრწყინვალებას ჩრდილავდა. სხივი ხან გამოჩნდებოდა, ხან კიდევ მიიმალებოდა. ადამიანების მიახლოებისას შუქი უფრო მატულობდა.

ყურეიშის ტომის ერთი ნაწილი ამ ხეს ეჭიდებოდა, ხოლო მეორე ნაწილი კი ხის მოჭრას ცდილობდა. ერთი ახალგაზრდა ხის მოჭრის მსურველების შეჩერებას ცდილობდა. ჭაბუკი ისეთი ლამაზი იყო, რომ გაოცებული დარჩებოდი. მისი სხეული სურნელოვან არომატს აფრქვევდა. მინდოდა ხის ტოტს ჩავჭიდებოდი, მაგრამ ვერ მივწვდი. როდესაც სიზმრის მოყოლა დავამთავრე, მკითხავს ფერი ეცვალა და შეწუხებულმა მითხრა, იმ ხისგან შენ წილი არ გეკუთვნის, ვინც ტოტს ჩაეჭიდა, ხეც იმისიაო და განაგრძო: „შენი მოდგმიდან შუამავალი მოევლინება ქვეყნიერებას. ის ყველა კუთხის ბატონ-პატრონი გახდება და ადამიანები მის რწმენას მიიღებენ“ – შემდეგ გვერდით მყოფ ჩემს შვილს, ებუ ტალიბს მიუბრუნდა და თქვა: „ეს როგორც ჩანს მისი ბიძა იქნება“. ებუ ტალიბს ამ მოვლენის შესახებ წმინდა მუჰამმედის შუამავლობა რომ ეცნობა, მაშინ მოუყოლია. ნამდვილად, ის ხე მუჰამმედ ებულ ყასიმ ელ ემინია.

საყვარელი მუჰამმედის შობის ღამეს ცაზე ერთი ვარსკვლავი გაჩნდა. როდესაც ეს ებრაელმა სწავლულებმა შენიშნეს, მიხვდნენ, რომ მუჰამმედი უკვე დაბადებულიყო. საჰაბეთაგან ჰასან ბინ საბითი გადმოგვცემს: „რვა წლის ვიყავი, როცა ერთ დილას, ებრაელი დარბოდა და ყვიროდა, წუხელი აჰმედის ვარსკვლავი დაიბადაო. საყვარელი შუამავალის დაბადების ღამეს, ქააბეს ყველა კერპი პირქვე დაემხო“. ურვეთ უბნუ ზუბეირი გადმოგცემს,

რომ ყურეიშის ერთ ტომს საკუთარი კერპი ჰქონდა. წელიწადში ერთხელ ამ კერპს გარს უვლიდნენ. იქვე აქლემებს შესწირავდნენ და ღვინოს დალევდნენ. ერთხელ, როცა კერპთან მივიდნენ, ის პირქვე დამხობილი დახვდათ. გაასწორეს, ისევ დაემხო, ასე სამ-ჯერ განმეორდა. შემდეგ ასეთი ხმა მოესმათ: „ისეთი ვინმე დაიბა-და, რომ ქვეყნად ყველაფერია შეიძრა. სადაც კერპი იყო, ყველა ძირს დაემხო. ხელმწიფეებს შიშის თავზარი დაეცათ“. ეს მოვლენა ზუსტად მუჰამმედის (ს.ა.ს) დაბადების ღამეს მომხდარა.

ქალაქ მედინაში ირანის შაჰის სასახლის თოთხმეტი კოშკი დაემხო. ეს იმ ღამეს მოხდა, როცა მუჰამმედი დაიბადა. ხმაურზე შიშით გამოღვიძებულმა შაჰმა და მისმა ხალხმა როცა ეს ნახა, მიხვდნენ რომ რაღაც მნიშვნელოვანი მოხდა.

იმ ღამეს, ცეცხლთაყვანისმცემელთა ცეცხლი, რომელიც ათასი წელი ჩაუმქრალი ენთო, უცებ ჩაქრა. ცეცხლის ჩაქრობის თარი-ღი და შაჰის სასახლის კოშკების დამხობა ერთსა და იმავე ღამეს ემთხვევა.

იმავე ღამეს, წმინდად ცნობილი სავეს ტბაც უცებ დაწეულა და წყალი დამშრალა.

დამასკოში ათასი წელი უწყლოდ გამომშრალი სემავეს მდინა-რის დაბლობი იმ ღამეს წყლით ავსილა და დინება დაუწყია.

მუჰამმედის (ს.ა) დაბადების ღამის შემდეგ ეშმაკები და ჯინ-ები ყურაიშ მკითხავებს მოვლენების შესახებ აღარ აუწყებდნენ. მკითხაობას ბოლო მოეღო.

საყვარელი შუამავლის დაბადებიდან მოყოლებული, მანამდე უხილავი ასეთი მოვლენების გარდა, სხვა ბევრი მსგავსი მოვლენა მოხდა. ყველა ეს მოვლენა უკანასკნელი შუამავალის-მუჰამმედის დაბადებაზე მიანიშნებდა.

დაბადების ღამე (მევლიდის ღამე)

მევლიდი, საყვარელი შუამავლის-მუჰამმედის დაბადების ღამეა. სიტყვა „მევლიდი” არაბულად დაბადებას ნიშნავს. ყადირის ღამის

(რამაზანის თვის 27-ე ღამე. ამ ღამეს ყურანი ქერიმი ჩამობრძანდა ზეციდან მიწაზე) შემდეგ ძვირფას ღამეთაგან ერთ-ერთია. ვისაც მევლიდის ღამე, ანუ შუამავლის დაბადების ღამე გაუხარდება, მას უზენაესი ალლაჰი ცოდვებს აპატიებს. საყვარელი შუამავალი გვასწავლის: „მას, ვინც ამ ღამით, დაბადების ღამის შესახებ სასწაულებს იკითხავს, მოუსმენს, ან ისწავლის, დიდი მადლი დაეწერებაო“.

ესჰაბი ქირამში ნათქვამია: „შუამავალის დაბადების ღამეს შეიკრიბებოდნენ და გაიხსენებდნენ იმ ღამითᲘᲘ მომხდარ მოვლენებს. მთელი მსოფლიოს მუსლიმანები, ყოველ წელიწადს, ამ დღესასწაულის ღამეს ზეიმობენ. ყველგან ***მევლიდის*** სახოტბო ლექსების კითხვით, სამყაროს მხსნელს იხსენებენ“.

მუჰამმედ შუამავალის ყველა მიმდევარისათვის ეს დღე საზეიმოა.

ძიძაზე მიბარება

ქალბატონმა ამინეს, როდესაც მან გასხივოსნებული შვილი გულში ჩაიკრა, თითქოს, წუთით დაავიწყდა მეუღლის აბდულლაჰის გარდაცვალება. ცხრა დღის შემდეგ, ებუ ლეჰების მხევალმა, სუვეიბემ რამდენიმე დღე გაუწია ძიძობა შუამავალს. ქალბატონ სუვეიბეს მანამდე წმინდა ჰამზასთვის, ხოლო შემდეგ კი ებუ სელემისთვის უწოვებია ძუძუ. ჰაფიზი იბნი ჯეზრი გადმოგვცემს:„სიზმრად ებუ ლეჰები ვიხილე. როცა ვკითხე, როგორ ხარ-მეთქი, მიპასუხა: „საფლავში წამებით ვისჯები. მაგრამ ყოველი წლის რებიულ ეველის მეთორმეტე ღამეს (მევლიდის ღამეს) სასჯელი მიმსუბუქდება. თითებიდან გამონადენ გრილ წყალს ვსვამ და ვხალისობ. იმ ღამეს, როდესაც ალლაჰის შუამავალი დაიბადა, ჩემმა მხევალმა სუვეიბემ მუჰამმედის დაბადება მახარა. მეც ძალიან გამიხარდა, მხევლობისგან გავათავისუფლე და ძიძობა ვუბრძანე. ამიტომ ამ ღამით სასჯელი მიმსუბუქდება...“

იმ პერიოდში, როცა შუამავალი დაიბადა, მექქაში შვილების აღსაზრდელად ძიძაზე მიბარების წესი ჰქონდათ. მექქაში აუტანელი სიცხეები იცოდა. ამიტომ ბავშვებს ახლო-მახლო, სადაც სუფთა

ჰაერი და ანკარა წყალი იყო, ძიძას მიაბარებდნენ და გარკვეული დროის მანძილზე მასთან ტოვებდნენ. ყოველ წელიწადს, ასეთი მიზნით მექქაში უამრავი ქალი მოდიოდა. ისინი თითო ბავშვს აიყვანდნენ და უკან ბრუნდებოდნენ. როდესაც ბავშვებს გაზრდიდნენ და მშობლებს ჩააბარებდნენ, სანაცვლოდ ბევრ ფულსა და საჩუქრებს იღებდნენ.

როდესაც შუამავალი მუჰამმედი დაიბადა, იმ წელსაც იალაღებზე მცხოვრები ბენი სად'ის ტომიდან, ძიძობის მიზნით, უამრავი ქალი მექქაში მოვიდა და ყოველმა მათგანმა თითო ბავშვი აიყვანა. ბენი სად'ის ტომი, მექქას ახლო-მახლო ტომთა შორის, ღირსებით, ხელგაშლილობით, ვაჟკაცობით, თავმდაბლობითა და არაბული ენის გრამატიკული ცოდნით საკმაოდ ცნობილი იყო. ყურაიშის ტომთა მოწინავენი, ბავშვების მისაბარებლად, უფრო ხშირად, ამ ტომს ირჩევდნენ. იმ წელს ბენი სად'ის ტომის მხარეს დიდი გვალვა და გაჭირვება იდგა. ამ ტომის ქალბატონი ჰალიმე მოგვითხრობს: „იმ წელიწადს მინდვრად დავდიოდი, ბალახს ვკრეფდი და ამისათვის გამჩენს მადლობას ვწირავდი. ზოგჯერ სამი დღე ისე გავიდოდა, რომ ვერაფერს ვჭამდი. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ორსულად ვიყავი. შიშილისგან ისეთ მდგომარეობაშიც ვყოფილვარ, რომ დღეს

ღამისგან ვეღარ ვარჩევდი. ერთ ღამეს უდაბნოში ჩამეძინა. მესიზმრა, ვიღაცამ რძეზე უფრო თეთრ მდინარეში თავი ჩამაყოფინა და მითხრა: „ეს წყალი დალიეო“. წყალს დავეწაფე და წყურვილი მოვიკალი. შემდეგ მაიძულა კიდევ დამელია და რაც შემეძლო, დავლიე. წყალი თაფლზე უფრო ტკბილი იყო. „რძე ბევრი გქონოდეს ჰალიმე! მიცანი?“ – მკითხა მან. როცა ვუპასუხე, ვერ გიცანი- მეთქი, მან მითხრა: „მე შენი დარდისა და წუხილის დროს გამოხატული მადლიერება ვარ. ჰალიმე! მექქაში წადი, იქ შენ “სხივს” მეგობრად შეიძენ. ხვავითა და ბარაქით აივსები და დამავალა ეს სიზმარი არავისთვის მომეყოლა, როდესაც გამეღვიძა, ვნახე, მკერდი რძით მქონდა სავსე, ამასთან ერთად დარდსა და შიმშილსაც მივეტოვებინე“.

შუამავლის დაბადების წელს მექქაში, სხვა წლებთან შედარე-

ბით, ძიძობის სურვილით უფრო მეტი ქალი ჩავიდა. ᲫᲧᲝᲕᲔᲚᲘ მათგანი ცდილობდა, რომ მდიდართა ბავშვები აეყვანათ. რაც შეეხება ძვირფასი მუჰამმედის აყვანას, იმის გამო, რომ ობოლი იყო და ოჯახი ბევრ ჯამაგირს ვერ გადაიხდიდა, არავინ ისურვა მისი აყვანა. მექქაში ჩამოსულ ქალებს შორის პატიოსნებით, სათნოებით, სიკეთითა და მაღალი ზნეობით ცნობილი ქალბატონი ჰალიმეც იყო. აქლემის სისუსტის გამო ჰალიმეს და მის მეუღლეს მექქაში მისვლა დააგვიანდათ, მაგრამ ეს დაგვიანება მათთვის უფრო სასიკეთო აღმოჩნდა. მექქაში სიარულის დროს ნახეს, რომ ყველა მდიდარი ბავშვი წაეყვანათ. მათ ხელცარიელი უკან დაბრუნება არ უნდოდათ.

ამ ხეტიალში ისინი მიმზიდველი და ლამაზი სახის მქონე პიროვნებას შეხვდნენ. ეს მექქას მეთაური აბდულმუტალიბი იყო. როდესაც აბდულმუტტალიბმა მათი სურვილი გაიგო, თავისი შვილიშვილის აყვანა შესთავაზა და დაამატა, რომ თუ ისინი ბავშვს აიყვანდნენ, სიმდიდრესა და ბედნიერებას ეწეოდნენ. მისმა ტკბილმა საუბარმა ცოლ-ქმარი ძალიან მოხიბლა და შემოთავაზება მიიღეს. აბდულმუტტალიბმა ჰალიმე ამინეს სახლში წაიყვანა. ჰალიმე მოგვითხრობს: „მწვანე აბრეშუმის საფარში შეხვეულ ბავშვს ტკბილად ეძინა. ირგვლივ სასიამოვნო სურნელი იფრქვევოდა. მისი ნახვით გაოცებული დავრჩი და ბავშვი მაშინვე შემიყვარდა. მისი გაღვიძება არ მინდოდა. როცა ხელი მკერდზე ფრთხილად შევახე, გაეღვიძა და ღიმილით შემომხედა. მე კი ამ ღიმილმა მომაჯადოვა. გავიფიქრე, დედა ასეთ იშვიათ შვილს მე არ მომცემსმეთქი. ხელში ნაზად ავიყვანე. მარჯვენა ძუძუ მივაწოდე და წოვა დაიწყო, შემდეგ მარცხენა ძუძუ მივაწოდე, მაგრამ არ ჭამა. აბდულმუტტალიბი მომიბრუნდა და მითხრა: „გილოცავ ჰალიმე, ქალებს შორის შენ ყველაზე ბედნიერი ქალი ხარ“.

როდესაც ამინემ საყვარელი შვილი მომცა, მითხრა: „ჰალიმე! სამი დღის წინ ხმა მომესმა: „ვინც შენს შვილს ძუძუ უნდა აწოვოს, ის ქალი ბენი სა’დ ტომიდან, ებუ ზუეიბის მოდგმიდან არის“ „მეც, ზუსტად, ბენი სა’დ ტომიდან ვარ. მამაჩემის სახელი ებუ ზუეიბია“. ვუპასუხე მე. ამინემ კიდევ ბევრი რამ მომიყვა და რჩევა-დარიგება მომცა. შემდეგ მექქაში მოსვლამდე ნანახი სიზმარი

მოვუყევი და ისიც ვუთხარი, რომ გზად მარჯვნიდან და მარცხნიდან ასეთი ხმები მესმოდა; „გილოცავ, ჰალიმე! იმ თვალების მომჭრელ და სამყაროს მნათობ სხივზე ძუძუს მოწოვება შენ გხვდა წილად!

ძვირფასი მუჰამმედი ხელში ავიყვანე, სახლიდან გამოვედი და მეუღლესთან დავბრუნდი. ქმარმა მკერდში ჩახუტებულ ბავშვს სახეზე რომ დახედა, განცვიფრებული დარჩა ბავშვის სილამაზით. ხელში აიყვანა თუ არა, მაშინვე შეამჩნია, რომ განსაკუთრებული ბავშვი იყო. მეუღლემ მითხრა: „ჰალიმე! იცოდე, რომ შენ დალოცვილი და უძვირფასესი ბავშვი გყავს აყვანილი“.მე გახარებულმა ვუთხარი: „ალლაჰს ვფიცავა! ზუსტად ასეთ ბავშვს ვნატრობდი, ნატვრა ამისრულდა“.

მექქადან უკან დაბრუნებული ცოლ-ქმარი გზაშივე გახდა მოწმე ძვირფასი მუჰამმედის ფეხბედნიერებისა და ბარაქიანობისა. ისინი გზაში წამოეწივნენ მათზე კარგა ხნით ადრე წასულ მგზავრებს. ძალა გამოლეული არაბული ცხენები ძლივს მიიწევდნენ წინ. დაეწივნენ და გაასწრეს კიდეც. ბენი სა’დის სამშობლოში როცა მივიდნენ, მათ უხვი დოვლათი და ბარაქა ეწვიათ. მეწველი საქონელს, რომელიც მანამდე ძალიან ცოტა რძეს იწველიდა, ახლა უკვე სავსე ცური ჰქონდათ. მეზობლები, თავდაპირველად, ნახულით გაკვირვებული იყვნენ, მაგრამ მერე მიხვდნენ, რომ ხვავისა და ბარაქის საბაბი აყვანილი ბავშვი იყო.

გვალვის გამო ძლიერ გაჭირვებაში ჩავარდნილი ხალხი ალლაჰის მიმართ ვედრების აღსავლენად გამოვიდა და ძვირფასი მუჰამმედი თან გაიყოლა ალლაჰმა, მუჰამმედის მადლით, მათ უხვი წვიმა და ბარაქა არგუნა.

ძვირფასი მუჰამმედი დედობილ ჰალიმეს მარჯვენა ძუძუს წოვდა, ხოლო მარცხენას კი არა. იგი მას თავის ძმობილს უტოვებდა. ორი თვის იყო, ცოცვა დაიწყო, სამი თვისა ფეხზე დადგა, ოთხი თვისამ კი კედლის დახმარებით სიარული დაიწყო, ხოლო ხუთი თვისამ უკვე გაიარა. ექვსი თვის უკვე სწრაფად დადიოდა, შვიდი თვის როცა გახდა, უკვე ყველგან მიმოდიოდა. რვა თვისა გასაგებ ენაზე, ხოლო ცხრა თვისა კი მკაფიოდ ლაპარაკობდა, ათი თვისამ

კი ისრის გასროლა ისწავლა. ჰალიმე მოგვითხრობს: „როდესაც პირველად ლაპარაკი დაიწყო, წარმოთქვა: ***„ლა ილააჰე ილლელლაჰ ვალლაჰუ ექბერ, ველჰამდუ ლილლაჰი რობილ ალემინ“*** (არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა, ალლაჰი უდიდესია, მადლობა სამყაროს გამჩენ ბატონ-პატრონ ალლაჰს). იმ დღის შემდეგ, სანამ ალლაჰის სახელს ახსენებდა, ხელს არაფერს შეახებდა. მარცხენა ხელით არაფერს მიირთმევდა. რაც სიარული ისწავლა, მის შემდეგ ბავშვებთან არ თამაშობდა და მათ ასე ეტყოდა: ***„ჩვენ მაგისთვის არ ვართ გაჩენილიო“***. ყოველ დღეს ის მზის სხივის მსგავსად ანათებდა. მთვარეს ელაპარაკებოდა და როცა ანიშნებდა, მთვარე მოძრაობას იწყებდა.

ჰალიმე ასევე იხსენებს: „როდესაც ძვირფასი მუჰამმედი ორი წლის გახდა, მას ძუძუს ჭამა დავატოვებინე. შემდეგ მეუღლესთან ერთად მექქაში წავედით, რათა ის დედისთვის ჩაგვებარებინა. მაგრამ მისგან დაშორება ძალიან გვიძნელდებოდა. მის შესახებ დედამისს ამინეს მოვუყევი. ქალბატონმა ამინემ მითხრა: „ჩემი ვაჟი ბრწყინვალე და ღირსეულია“. მეც დავეთანხმე, ალლაჰს ვფიცავ, ასეთი დალოცვილი ვინმე არსად მინახია მეთქი. შემდეგ ქალბატონ ამინეს ვთხოვე, რომ კიდევ ცოტა ხანს დაეტოვებინა ჩემთან მუჰამმედი. მან არ გვაწყენინა და ნება მოგვცა ბავშვი კვლავ დარჩენილიყო ჩვენთნ. ბავშვთან ერთად ისევ ტომს დავუბრუნდით. მუჰამმედის მადლით, ჩვენი ოჯახი ხვავითა და ბარაქით აივსო, სახლში სიკეთემ და სიხარულმა დაისადგურა“.

დალოცვილი გულის გაწმენდა

ჰალიმე თხრობას აგრძელებს: „სამყაროს სიამაყემ (სალლალლაჰუ ალეიჰი ვესელლემ) ერთ დღეს იკითხა: ***„დღისით ძმები არსად ჩანან. რა არის ამის მიზეზი?“*** ცხვრების საწყემსავად დადიან, სახლში კი მხოლოდ საღამოს მოდიან-მეთქი, ვუპასუხე. ეს რომ გაიგო მთხოვა: ***„მათთან ერთად მეც გამიშვი, მეც მინდა ცხვრის მწყემსვა“.*** სხვა და სხვა მიზეზის გამო უარი ვუთხარი. მან არ დაიშალა და იძულებული გავხდი, მისი სურვილი დამეკმაყოფილებინა. მეორე დღეს დალოცვილი თმა დავუვარცხნე, ტანსაცმელი ჩავაცვი და

ძმობილებთან ერთად გავგზავნე. iიგი მათ რამდენიმე დღე დაყ-ვებოდა ცხვარში. ერთ დღეს როცა ჩემი გოგონა შეიმა საძოვრი-დან დაბრუნდა, ვკითხე: „ჩემი თვალის სინათლე, მუჰამმედი სად არის?“ „უდაბნოში“ – მიპასუხა მან. ვაიმე, ჩემი გულისთქმა, ამ სიცხეში უდაბნოში როგორ უძლებს-მეთქი რომ ვკითხე, შეიმამ მიპასუხა: „დედიკო! მას არასოდეს არაფერი დაემართება, რადგან მისი მას ღრუბლის ნაჭერი ყოველთვის თან დაჰყვება. ასე, რომ მზის სიცხისგან დაცულია“. შემდეგ, როცა ვკითხე: „რას ამბობ შეიმა, ნუთუ რასაც ამბობ, ეს ყველაფერი მართალია?“ მან დაი-ფიცა, რომ სიმართლეს მეუბნებოდა. მე ცოტათი დავმშვიდდი. ერთ დღეს, შუადღისას, მისი ძმობილი აბდულლაჰი მოვიდა ჩემ-თან და მთხოვა: „დედიკო, სწრაფად წამოდი! ყურაიშ ძმობილთან ერთად ცხვარს ვაძოვებდით, მოულოდნელად მწვანე ტანსაცმელ-ში გამოწყობილი სამი პიროვნება მოვიდა, ძმობილი მთაზე აიყვა-ნეს, ზურგზე დააწვინეს და დანით მუცელი გაუჭრეს. მე შენთან გამოვიქეცი ამბის მოსატანად და არ ვიცი მუჰამმედი ცოცხალი არის, თუ არა. ეს რომ გავიგე, აღვშფოთდი და სასწრაფოდ იქით გავიქეცი. როცა იადგილზე მივედი და ბავშვი საღ-სალამათი ვნ-ახე, გულში ჩავიკარი და ვკითხე: „ჩემო თვალის სინათლევ, სა-მყაროს წყალობავ, რა მოგივიდა? ვინ შეგაწუხა?“ ის კი მომიყვა: „სახლიდან რომ გამოვედი, მწვანე ტანსაცმელში ჩაცმული ორი პიროვნება დავინახე. ერთს ხელში ვერცხლის სურა ეჭირა, ხოლო მეორეს მწვანე ზურმუხტის ვარცლი. ვარცლი თოვლზე უფრო თეთრი რაღაც ნივთიერებით იყო სავსე. მთის წვერზე ამიყვანეს. ერთმა ზურგზე დამაწვინა და მკერდი ჭიპამდე გამიჭრა, არანაი-რი ტკივილი არ მიგრძვნია. ჭრილობაში ხელი ჩაყო და რაც იყო ყველაფერი ამოყარა. შემდეგ იმ თეთრი ნივთიერებით გარეცხეს, გაწმინდეს და უკანვე ჩააწყვეს. შემდეგ მეორემ უთხრა: „ადექი ახლა, რომ მეც ჩემი მოვალეობა შევასრულო“, თვითონაც ჩაყო ხელი ჭრილობაში და გული ამოიღო. ორ ნაწილად გაყო, შიგნი-დან შავი რაღაც ამოიღო და გადააგდო. მომიბრუნდა და მითხრა: „შენს სხეულში ეს ეშმაკის წილი იყო, ამოვიღეთ და გადავაგდეთ. უზენაესი ალლაჰის უსაყვარლესო, შენ ეშმაკის ცდუნებისაგან დაგიცავით“. შემდეგ გული ნატიფი და რბილი მასით ამოავსეს და სხივის ბეჭდით დალუქეს. ახლაც, იმ ბეჭდის სიცივეს მთელი

სხეულით ვგრძნობ. ამის შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა ჭრილობაზე ხელი გადამისვა თუ არა, მაშინვე გამიმრთელდა. შემდეგ ჩემს მიმდევართაგან ათ ადამიანთან ერთად ამწონეს, მე უფრო მძიმე აღმოვჩნდი, ათას ადამიანთან ერთად ამწონეს, მე კვლავ მძიმე აღმოვჩნდი. ბოლოს ერთმა მეორეს უთხრა: „შეეშვი მაგის აწონვას, ალლაჰს ვფიცავ, რომ ეგ თუნდაც ყველა მიმდევართან ერთად აწონო, მაინც მძიმე აღმოჩნდება. ამის მერე ორივემ ხელზე და სახეზე მაკოცეს, აქ დამტოვეს და წავიდნენ“.- დაასრულა თხრობა ბავშვმა. როცა დავაკვირდი, გულმკერდზე ნაიარევი მართლა ეტყობოდა.

საყვარელი შუამავლის ეს თავგადასავალი, რომელიც ყურანის ინშირაჰის სურის პირველ აიეთში არის ნახსენები, ამ მოვლენას „შაყყი სედრ“, ანუ გულმკერდის გარღვევა ჰქვია.

როცა წმინდა მუჰამმედს შუამავლობა ეცნობა, საჰაბეთაგან ზოგიერთმა თხოვა: ***„ალლაჰის შუამავალო! თქვენს შესახებ გვაიმბეთ“. მან ასე უპასუხა: „მე ჩემი ბაბუას ვედრება, ჩემი ძმის, ისას საჩუქარი და ამინეს სიზმარი ვარ, როდესაც ჩემზე ფეხმძიმედ იყო, მისგან გარდმოსული, დამასკოს სასახლის მნათობი სხივი დაინახა. მე სა'დ ბინ ბექირის ბავშვებთან ერთად გავიზარდე“.***

ჰალიმემ მუჰამმედი ოთხი წლის ასაკში, მექქაში, დედასთან დააბრუნა. ბაბუა აბდულმუტტალიბმა ქალბატონი ჰალიმე უხვად დაასაჩუქრა. ქალმა დიდად განიცადა ბავშვთან განშორება – თითქოს სული და გული მასთან დარჩა.

პატივცემული დედის გარდაცვალება

საყვარელი მუჰამმედ შუამავალი ექვს წლამდე დედასთან იზრდებოდა. როცა ის ექვსი წლის გახდა, დედამ მხევალ უმმუ ეიმენთან ერთად, მამისა და ნათესავების საფლავების მოსანახულებლად, მედინაში წაიყვანა. იქ ერთი თვე დარჩნენ. შუამავალი მედინაში, ნეჯჯარიშვილების კუთვნილ აუზში ცურვას სწავლობდა. აქ ერთმა სწავლულმა ებრაელმა მასში შუამავლობის ნიშნები დაინახა. მასთან ახლოს მივიდა და სახელი ჰკითხა. შუამავალმა, მუჰამმედი მქვიაო, უპასუხა. ეს რომ გაიგო, ებრაელმა იყვირა: „ეს

ბავშვი ბოლო დროის შუამავალი გახდება“. გარდა ამისა იქ, სხვა სწავლულებსაც შეუნიშნავთ მისთვის შუამავლობის ნიშნები და ერთმანეთში უსაუბრიათ, რომ ის იქნებოდა ბოლო შუამავალი. ამ სიტყვების გამგონე უმმუ ეიმენმა, ეს წმინდა ამინეს აცნობა. დედას შეეშინდა შვილს არაფერი შეემთხვესო და სასწრაფოდ მექქაში დაბრუნება გადაწყვიტა. როდესაც ებვაში მივიდნენ, წმინდა ამინე ავად გახდა. ავადმყოფობა ძლიერდებოდა, ქალი ხშირად გონებას კარგავდა. როცა ამინე მიხვდა, რომ სიკვდილმა უწია, საყვარელ შვილს, მუჰამმედს შეხედა და უთხრა: „საშინელი სიკვდილისთვის გამეტებული უზენაესი ალლაჰის დახმარებითა და სიკეთით, ასი აქლემის სანაცვლოდ სიკვდილს გადარჩენილი ადამიანის შვილო, გამჩენმა დაგლოცოს! თუ სიზმარი მართალი იქნება, შენ დიადი და მწყალობელი ალლაჰის მხრიდან, ადამიანებს ალალისა და არამის (აკრძალულისა და ნებადართულის) მაცნედ მოევლინები. უზენაესი ალლაჰი ადამიანების მოგონილი კერპებისა და კერპთაყვანისმცემლობისაგან, დაგიფარავს“. ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ამინე გარდაიცვალა. მაშინ ის სულ რაღაც 20 წლის იყო.

დედის გარდაცვალების შემდეგ, უმმუ ეიმენმა ქვეყნიერების ბატონი, წმინდა მუჰამმედი წაიყვანა და რამდენიმე დღის მოგზაურობის შემდეგ, მექქაში, ბაბუა აბდულმუტალიბთან დატოვა.

ბაბუასთან

მუჰამმედ შუამავალი შვიდ წლამდე ბაბუასთან იზრდებოდა. ბაბუა აბდულმუტტალიბი მექქაში სხვადასხვა სასიკეთო საქმეების ხელმძღვანელი, ყველასათვის საყვარელი, წარმოსადეგი, მომთმენი, ზრდილობიანი, ალალმართალი, მამაცი და ხელგაშლილი კაცი იყო. ღარიბებს საჭმლით უმასპინძლდებოდა, უფრო მეტიც, მშიერ ცხოველებსაც კი საკვებს აძლევდა. მას სწამდა უზენაესი ალლაჰის და განკითხვის დღის. ამასთან ერთად ის ცუდი საქმისაგან შორს იდგა და უმეცრების ხანის ყოველგვარი ცუდი ქცევებისგან თავი შორს ეჭირა. მექქაში დესპოტიზმს აბრკოლებდა და მოსულ სტუმრებს უმასპინძლდებოდა. რამაზნის თვეში, სინას მთაზე განმარტოება წესად ექცა. ბავშვების მოყვარული და გულისხმიერი

აბდულმუტტალიბი საყვარელ შვილიშვილს გულში ჩაიკრავდა და დღე-ღამე გვერდიდან არ იშორებდა. მის მიმართ დიდ სიყვარულსა და სინაზეს იჩენდა. ქააბეს ჩრდილში, მინდორზე მასთან ერთად ჯდებოდა. საყვარელი შუამავლის ძიძა, უმმუ ეიმენს დაჟინებით სთხოვდა, რომ მისთვის ყურადღებით მიეხედა. „შვილიშვილს კარგად მიმიხედე. სწავლულები ჩემი შვილიშვილის შესახებ ამბობენ, რომ ამ ხალხის შუამავალი უნდა გახდეს“.-ამბობდა ის. უმმუ ეიმენი მოგვითხრობს: „მას ბავშვობაში არც შიმშილისა და არც წყურვილის პრეტენზია ჰქონია. დილაობით ერთ ყლუპ ზემზემს დალევდა, შემდეგ, როცა საჭმელს შევთავაზებდი, არა მშიაო – მეტყოდა“.

როდესაც აბდულმუტტალიბს ოთახში ეძინა, მუჰამმედის გარდა არავის მისცემდა იქ შესვლის ნებას. მას ყოველთვის გულისხმიერებით გულში ჩაიკრავდა, მოეფერებოდა, ვინაიდან მისი ლაპარაკი და ქცევები ყოველთვის ძალიან მოსწონდა. მის გარეშე არ ჭამდა, მას მუხლზე დაისვამდა და ყველაზე ტკბილ ლუკმას მიაწოდებდა. Aაბდულმუტტალიბი შვილიშვილზე უამრავ სიზმარს ნახულობდა და ცხადში ხშირად ისე იქცეოდა, როგორც სიზმარი კარნახობდა.

ერთხელ, მექქაში გვალვის შედეგად, გაჭირვება დაიწყო. აბდულმუტტალიბმა, სიზმრის კარნახით, ძვირფას მუჰამმედს ხელი მოჰკიდა და ებუ ქუბეისის მთაზე აიყვანა. მთაზე ასული ღმერთს შეევედრა: „ჩემო ალლაჰო, ამ ბავშვის მადლით, ჩვენ უხვი წვიმით გაგვახარე“. ისმინა ალლაჰმა მისი ვედრება და უხვი წვიმა წამოვიდა. ეს მოვლენა იმ დროინდელმა პოეტებმა ლექსებში გამოხატეს.

ნეჯრანელი ბერი

ერთ დღეს, როცა აბდულმუტტალიბი ქააბესთან იჯდა, მასთან ნეჯრანელი ბერი მივიდა და ლაპარაკი დაუწყო. ჩვენ წიგნებში, იუდეველებისგან სულ ბოლოს მოსასვლელი შუამავლის თვისებები წავიკითხეთ. აქაურობა, ანუ მექქა მისი დაბადების ადგილია. ამ დროს საყვარელი მუჰამმედი მათთან მივიდა. ნეჯრანელმა

ბერმა ის ყურადღებით შეათვალიერა. შემდეგ მიუახლოვდა. თვალები, ზურგი და ფეხები შეუმოწმა და აღელვებულმა წამოიყვირა: „აი ესაა! ეს ბავშვი შენი მოდგმიდანაა?“ აბდულმუტტალიბმა რომ უპასუხა, ჩემი შვილიაო, ნეჯრანელმა ბერმა უთხრა: „როგორც წიგნებში წავიკითხეთ, ამ ბავშვის მამა ცოცხალი არ უნდა იყოს!“ მაშინ აბდულმუტტალიბმა უთხრა: „ის ჩემი შვილიშვილია. მამა დაბადებამდე გარდაეცვალა“. „აი ეს არის სიმართლე“ — თქვა გახარებულმა ბერმა. ბერთან საუბრის შემდეგ აბდულმუტტალიბი შვილებს მიუბრუნდა და უთხრა: „რასაც თქვენი ძმისშვილის შესახებ ამბობენ, კარგად მოუსმინეთ, დაიმახსოვრეთ, თვალ-ყური ადევნეთ და გაუფრთხილდითო”.

ბაბუას გარდაცვალება

აბდულმუტტალიბმა გარდაცვალების წინ შვილები მოიხმო და უთხრა: „ჩემი გარდაცვალების დრო მოვიდა. მხოლოდ ამ ობოლზე ვდარდობ. ნეტავ, დიდხანს მეცოცხლა და ჩემი მოვალეობა ღირსეულად შემესრულებინა. მაგრამ არ დამცალდა. გული დარდით მიკვდება. მუჰამმედი რომელიმე თქვენგანს მინდა მივაბარო. მაგრამ რომელი თქვენგანი დაიცავს მას და ღირსეულად და უანგაროდ ემსახურება?” ებუ ლეჰებმა მუხლებზე დაიჩოქა და უთხრა: „არაბთა ბატონო! თქვენ თუ ამ უფლის რჩეულის აღსაზრდელად ღირსეული ვინმე გყავთ ამორჩეული, ძალიან კარგი, თუ არა და ამ სამსახურს მე გავწევ“. აბდულმუტტალიბმა მას ასე მიმართა: „შენ მდიდარი ხარ, მაგრამ ულმობელი გული გაქვს და ნაკლებად ლმობიერი ხარ, ობლის გული კი დამწუხრებული და ნაზია, უცებ ეწყინება“. დანარჩენმა შვილებმაც გამოთქვეს მუჰამმედის აღზრდის სურვილი, მაგრამ აბდულმუტტალიბმა ყველა მათგანს, გარკვეული მიზეზების გამო, უარი უთხრა. ჯერი ებუ ტალიბზე მიდგა: „მე ყველაზე უფრო მეტად მინდა ეს, მაგრამ როცა აქ უფროსები არიან, მათზე წინ წასვლა მოსაწონი არ იქნებოდა. ცოტა ქონება მაქვს, მაგრამ რაც შეეხება ერთგულებას, ძმებს ვჯობივარ“,-ტქვა მან აბდულმუტტალიბიც დაეთანხმა და უთხრა: „მართალს ამბობ. ამ მოვალეობისათვის ყველაზე უფრო ღირსეული შენ ხარ, მაგრამ მე ნებისმიერ საქმეს მას ვკითხავ და როგორც სწორად ჩათვ-

ლის ისე მოვიქცევი. ერთად მოვითათბირებთ და ყველა საკითხში სწორ გადაწყვეტილებას მივიღებთ. მას ვკითხავ და, რომელსაც აგირჩევთ დავეთანხმები“

შემდეგ საყვარელ მუჰამმედს მიუბრუნდა და ჰკითხა: „ჩემო თვალის სინათლევ, შენი დარდი მიმყვება იმქვეყნად. მინდა ჩემ სიცოცხლეში ღირსეულ ადამიანს ჩაგაბარო. შენ რომელს აირჩევ?“ მუჰამმედი იმწამსვე ადგა, ებუ ტალიბს კალთაში ჩაუჯდა და ყელზე შემოეხვია. აბდულმუტტალიბი დამშვიდდა. მადლობა ალლაჰს! მეც ეს მინდოდაო, წარმოთქვა. შემდეგ ებუ ტალიბს მიუბრუნდა და უთხრა: „ებუ ტალიბ, ამ მარგალიტს დედ-მამის სითბო არ უნახავს. შენ უნდა შეძლო, მშობლიური ალერსი აგრძნობინო. შენ სხვა ბიჭებთან შედარებით უფრო მეტად გაფასებ. ამიტომ ამ ბავშვს შენ გიტოვებ. რადგან მისი მამა და შენ დედით და მამით ძმები ხართ. მას თვალის ჩინივით გაუფრთხილდი და დაიცავი!“ ამ სიტყვების შემდეგ აბდულმუტტალიბმა საყვარელი მუჰამმედი გულში ჩაიკრა, თავი და თვალები დაუკოცნა და მისი სასიამოვნო სურნელი იყნოსა. შემდეგ ასე წარმოთქვა: „ყველანი მოწმე იყავით, რომ ამაზე უფრო სასიამოვნო სურნელი არსად მიყნოსია და არც ამაზე უფრო ლამაზი სახე მინახავს“.

ებუ ტალიბის მფარველობაში

ბაბუის გარდაცვალების შემდეგ, ქვეყნიერების ბატონი, რვა წლის ასაკიდან, ბიძია ებუ ტალიბთან იზრდებოდა. იმ დროს ებუ ტალიბი, მამა აბდულმუტტალიბის მსგავსად, მექქაში გავლენიან და სამართლიან პიროვნებად ითვლებოდა. მას ყველა აფასებდა. ებუ ტალიბმა საყვარელი შუამავლის მიმართ დიდი გულისხმიერება და სიყვარული გამოიჩინა. ძმიშვილი საკუთარ შვილებზე უფრო მეტად უყვარდა. მის გარეშე არ იძინებდა. ბავშვი ყველგან თან დაჰყავდა. შენ დიდი ბედნიერების, სიკეთის მომტანი და დალოცვილი ხარო, ეტყოდა. ყოველთვის სურდა ჭამა პირველად მუჰამმედს დაეწყო. ზოგჯერ მისთვის ცალკე სუფრას გააშლევინებდა. დილით როცა გაიღვიძებდა, დაბანდა და დავარცხნიდა. ებუ ტალიბი ძალიან მდიდარი არ იყო და ამასთან ერთად, მრა-

ვალსულიანი ოჯახი ჰყავდა. მას შემდეგ, რაც წმინდა მუჰამმედი მფარველობაში მიიღო, ბარაქასა და სიუხვეს ეწია. როდესაც მექქაში გვალვის შედეგად გაჭირვებამ იჩინა თავი, ებუ ტალიბმა იგი ქააბეში წაიყვანა და ვედრება აღავლინა. მუჰამმედის მადლით უხვი წვიმა წამოვიდა და ხალხი გვალვასა და გაჭირვებისაგან გადაარჩინა.

ბერი ბაჰირა

საყვარელი შუამავალი თორმეტი წლისა იყო, როცა ებუ ტალიბმა სავაჭროდ გამგზავრება გადაწყვიტა. შეწუხებულმა ბავშმა უთხრა: „ამ ქალაქში მე ვისთან მტოვებ და მიდიხარ? აქ არც მამა მყავს და არ შემცოდებელი ვინმე“.... ამ სიტყვებმა ებუ ტალიბი დააფიქრა და გადაწყვიტა, ბავშვი თან წაეყვანა. სავაჭრო ქარავანი ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, ბუსრაში, ქრისტიანებისთვის განკუთვნილ მონასტერთან შეჩერდა. ამ მონასტერში ბერი ბაჰირა რჩებოდა, რომელიც თავდაპირველად ებრაელი სწავლული იყო, შემდეგში კი ქრისტეს მიმდევარი გახდა. სწავლულ ბერთან ძველთაძველი წიგნი ინახებოდა და ვინმე თუ რამეს ჰკითხავდა, წიგნის მეშვეობით პასუხობდა. მიუხედავად იმისა, რომ ყურაიშელთა ქარავანმა აქ ბევრჯერ გაიარა, ბერი არასოდეს დაინტერესებულა მათით. მაგრამ ქარავნის აქ მოსვლის წინა დღეებში ბერი ყოველ დილით მონასტრის სახურავზე ავიდოდა, იმ მხარეს უცქერდა, საიდანაც ყურაიშთა ქარავანი უნდა მოსულიყო და დიდი ინტერესით რაღაცას ელოდებოდა. ერთ დღეს, როგორც იქნა, ყურაიშთა ქარავანი გამოჩნდა. ბერმა შეამჩნია, რომ ქარავანს ზემოდან ღრუბლის ნაჭერი თან მოჰყვებოდა. ეს ღრუბელი შუამავალ მუჰამმედს ჩრდილად დაჰყვებოდა, რათა ის სიცხეს არ შეეწუხებინა. როდესაც ქარავანი გაჩერდა ბაჰირამ იმ ხის ძირში, სადაც შუამავალი მუჰამმედი დაჯდა, დაინახა, თუ როგორ დახარა ხემ ტოტები. მან მაშინვე სუფრა გააშლევინა. შემდეგ ყურაიშთა ქარავნის ყველა მგზავრი საჭმელზე მიიწვია. მექარავნეებმა საყვარელი შუამავალი ქარავანთან დატოვეს და ბერთან წავიდნენ. ბაჰირამ სტუმრები ყურადღებით აათვალიერა და ჰკითხა: „ყურაიშებო, თქვენ შორის გახლავთ ისეთი, ვინც საჭმელზე არ მოსულა?“ კი, ერთი ბიჭიო

– უპასუხეს მან. ბერმა ბაჰირამ დაინახა, რომ ღრუბელი ქარავნის ზემოთ დარჩა. მან დაიჟინა, ბიჭი მოეყვანათ და მოაყვანინა კიდეც. ბაჰირამ ყურადღებით შეათვალიერა ბავშვი და ებუ ტალიბს ჰკითხა:„ეს ბავშვი შენი შთამომავალია?“ „ჩემი ვაჟია“ – უპასუხა ებუ ტალიბმა. ბაჰირამ თქვა: „მე როგორც წიგნებში მაქვს წაკითხული, ამ ბავშვის მამა ცოცხალი არ უნდა იყოს, ის შენი ვაჟი არ არის“. მაშინ ებუ ტალიბმა სიმართლე უთხრა:„ის ჩემი ძმის შვილია“. შემდეგ ბაჰირამ ჰკითხა მამას რა მოუვიდაო. მამა დაბადებამდე გარდაეცვალაო – უპასუხა. „ეხლა კი მართალი თქვი. კი მაგრამ, დედას რა მოუვიდა?“ – დედაც მოუკვდაო – უპასუხა ბიძამ. ებუ ტალიბთან საუბრის შემდეგ, ბერი ბაჰირა შუამავალ მუჰამმედს მიუბრუნდა და კერპებზე დაფიცება მოსთხოვა. მუჰამმედმა უარი უთხრა: ***„კერპებზე არ დამაფიცო, მე ისინი ძალიან მძულს“.***

შემდეგ ბაჰირამ უზენაეს ალლაჰზე დააფიცა და ჰკითხა: „იძინებ?“ პასუხად მიიღო: ***„თვალებით ვიძინებ, მაგრამ გულს არ სძინავს“.*** გარდა ამისა, ბაჰირამ სხვა უამრავი კითხვა დაუსვა და პასუხიც მიიღო. მიღებული პასუხები, ადრე წიგნებში წაკითხულს ზუსტად შეესაბამებოდა. ბაჰირამ ამის შემდეგ საყვარელ შუამავალს თვალებში ჩახედა, ებუ ტალიბს მიუბრუნდა და ჰკითხა: „მის დალოცვილ თვალებში ეს სიწითლე ყოველთვის არის?“ „დიახ, ყოველთვის აქვს“ - უპასუხა ებუ ტალიბმა. ბაჰირამ ამ ნიშნის შესაბამისობაც რომ დაინახა, შემდეგ უფრო მყარი დასკვნის გამოსატანად, შუამავლობის ბეჭდის (მუჰრ’რი ნუბუვვეს) ნახვა ისურვა. ბავშვს ზურგის ჩვენება მოერიდა, მაგრამ ბიძამ თხოვა, რომ ბერის ეს სურვილიც შეესრულებინა. მუჰამმედმა ზურგი აჩვენა. ბაჰირამ მუჰრ’ი ნუბუვვეს სილამაზეს დიდხანს უცქირა. დიდი მღელვარებით აკოცა და თვალცრემლიანმა თქვა: „მოწმე ვარ, რომ შენ ალლაჰის შუამავალი ხარ“. შემდეგ ხმამაღლა გააგრძელა: „აი, სამყაროს ბატონ-პატრონი. უზენაესი ალლაჰის მიერ სამყაროს წყალობად მოვლენილი დიადი შუამავალი“.... იქ მყოფი ყურეიშელები, რომელთაც წარმოდგენა არ ჰქონდათ ბავშვის სიდიადის შესახებ, გაოცებული შესცქეროდნენ ბერს,.

ბაჰირა ებუ ტალიბს მიუბრუნდა და უთხრა: „ეს, ყველაზე ღრ-

სეული ბოლო შუამავალია. მისი რჯული, გარკვეული დროის შემდეგ, მთელ დედამიწას მოედება და ძველ რელიგიებს გააუქმებს. ეს ბავშვი დამასკოში აღარ წაიყვანო, ვინაიდან იუდეველები მას მტრობენ და ხიფათი არ შეემთხვეს. ამის შესახებ უამრავი წინასწარმეტყველება არსებობს. უზენაესმა ალლაჰმა ყველა შუამავალს და მათ შორის უკანასკნელს, ისასაც აცნობა, რომ ბოლო დროის შუამავალი მოევლინებოდა ქვეყნიერებას“.

ებუ ტალიბმა, ბაჰირასთან საუბრის შემდეგ, დამასკოში წასვლა გადაიფიქრა. საქონელი ბუსრაში გაჰყიდა და მექქაში დაბრუნდა. ბაჰირას სიტყვები ებუ ტალიბს მთელი ცხოვრება ყურში ჩაესმოდა. შუამავალი მუჰამმედი უფრო მეტად შეუყვარდა. მას სიკვდილამდე მხარში ედგა და ყველა საქმეში ეხმარებოდა.

მუჰამმედი იზრდებოდა. იგი ყველასგან გამოირჩეოდა თავისი ღირსებით, სიკეთით, პატიოსნებით, სათნოებითა და სილამაზით. მუჰამმედი ჩვიდმეტი წლისა იყო, როცა ბიძია ზუბეირმა იემენში სავაჭროდ წაიყვანა. ზუბეირს სწამდა, რომ მუჰამმედს თუ წაიყვანდა, მგზავრობა და ვაჭრობა კარგად დამთავრდებოდა. მგზავრობის დროს უამრავი გასაოცარი რამ შეემთხვათ, მექქაში დაბრუნების შემდეგ ამის შესახებ ყველა ლაპარაკობდა. ყურაიშები აღიარებდნენ, რომ მუჰამმედი ღმერთის რჩეული იყო

ახალგაზრდობა და ქორწინება

ადამიანებზე ყოველმხრივ უპირატესმა, მუჰამმედ შუამავალმა, თანატოლების გადმოცემით, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მექქელი ხალხის სიყვარული დაიმსახურა. ლამაზი ზნეობით, ადამიანების მიმართ არაჩვეულებრივი მოპყრობით, ლმობიერებითა და სხვა უმაღლესი თვისებებით გამორჩეული, ყველას უყვარდა. ადამიანები მისი თვისებებით აღფრთოვანებულნი იყვნენ. ჯყველაზე მეტად მექქელებს, მისი თვისებებიდან, სიმართლის თქმის გასაოცარი უნარი აკვირვებდათ. ამის გამო, მას ზედმეტსახელად „ელ ემინ“ ანუ სანდო მუჰამმედი დაარქვეს. ახალგაზრდობაში ის ამ სახელით გახდა ცნობილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმ პერიოდში, როცა მუჰამმედ შუამავალი ცხოვრობდა, არაბეთში სრული უმეცრების ხანა იყო. არაბებში ერთი ღმერთის რწმენა არ არსებობდა. iისინი კერპებს სცემდნენ თაყვანს. ძალადობა, უსამართლობა, ლოთობა, მრუშობა და კიდევ უამრავი უხამსი საქციელი მათი ცხოვრების ნორმა იყო. წმინდა მუჰამმედს საშინლად ეჯავრებოდა მათი ამგვარი ცხოვრების წესი და ცდილობდა, თავი შორს დაეჭირა ყოველგვარი უხამსობისგან. მექქელები გაკვირვებულნი იყვნენ მუჰამმედის ამგვარი საქციელით. მას კერპები სასტიკად ეზიზღებოდა და მათ ახლოსაც კი არ გაკარებია. კერპებისთვის შეწირული ზვარაკის ხორცს არასოდეს სჭამდა. ბავშვობაში და ახალგაზრდობაში თავის კუთვნილ ცხვარს, ჯიადის ახლო-მახლოს აძოვებდა. ცხვარი მისი შემოსავლის მთავარი წყარო იყო. ერთხელ საჰაბეთაგან ერთ-ერთმა ჰკითხა: ***„არ არსებობს შუამავალი, რომელსაც ცხვარი არ უწყემსია. ალლაჰის შუამავალო! თქვენც მწყემსეთ ცხვარი? – „დიახ, მეც ვწყემსე ცხვარი“*** – უპასუხა მან.

როდესაც წმინდა მუჰამმედი ოცი წლის გახდა, მექქაში ისევ უსამართლობა ბატონობდა. საზოგადოებრივი წესრიგი მთლიანად იყო მოშლილი. ჯკაცის კვლა, საკუთრების წართმევა, ოჯახის შერცხვენა ჩვეულებრივი მოვლენები იყო. მექქელები სავაჭროდ და ქააბეს მოსანახულებლად მოსულ სტუმრებს უსამრთლოდ

ექცეოდნენ და ჩაგრავდნენ. მათი დაცვა არავის შეეძლო. ერთ-ხელ იემენიდან მოსულ ვაჭარს მექქელმა ას ბინ ვილიმ მთლიანად წაართვა საქონელი. iიემენელი ვაჭარი ქუბეისის მთაზე ავიდა და ყვირილი ატეხა დახმარების სათხოვნელად. ასეთი შემთხვევა უამრავი იყო. Aარსებული ვითარებით შეწუხებული მექქელი ავტორიტეტული პირები - ჰაშიმის, ზუჰრეს შვილები და სხვა ტომის წარმომადგენლები აბდულლაჰ ბინ ჯუდის სახლში შეიკრიბნენ. იქ გადაწყდა, რომ ადგილობრივი იქნება თუ უცხოელი, ყველას სამართლიანად უნდა მოექცნენ. განუკითხაობას ბოლო უნდა მოეღოს. ამ მიზნით ჩამოაყალიბეს მართლმსაჯულთა საზოგადოება. Aამ საზოგადოებაში წმინდა მუჰამმედი ახალგაზრდობაშივე გაერთიანდა. საზოგადოებას „ჰილფულ ფუდული“ ეწოდა. უფრო ადრე ასეთი საზოგადოება ფადლსა და ფუდაილს ჩამოუყალიბებიათ. მათ პატივსაცემად საზოგადოებას ეს სახელი ამიტომ ეწოდა. ამ საზოგადოებამ მექქაში აღკვეთა უსამართლობა და ჩამოაყალიბა მოშლილი საზოგადოებრივი წესრიგი. საზოგადოება დიდხანს ახდენდა გავლენას მექქელებზე. როდესაც წმინდა მუჰამმედს შუამავლობა ეცნობა, საჰაბეებს ასე უხსნიდა: ***„როდესაც აბდულლაჰ ჯუდანის სახლში უსამართლობის წინააღმდეგ ფიცი დაიდო, იქ მეც ვიმყოფებოდი. ჩემთვის ის ფიცი წითელ ბეწვიან აქლემებზე (სიმდიდრე) უფრო მეტად სასიხარულოა. ახლაც, ასეთ კრებაზე რომ მიმიწვიონ, სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას“.***

ვაჭრობაში ჩაბმა

მექქელების საარსებო წყარო, ოდითგანვე, ვაჭრობა იყო. საყვარელი მუჰამმედ შუამავლის ბიძა, ებუ ტალიბიც ვაჭრობით იყო დასაქმებული. როდესაც საყვარელი შუამავალი ოცდახუთი წლის გახდა, მექქაში ცხოვრება საკმაოდ გაჭირდა. მექქელებმა დამასკოში სავაჭროდ წასვლა გადაწყვიტეს. წასასვლელად დიდი ქარავანი მოამზადეს. ებუ ტალიბი ალლაჰის შუამავალ მუჰამმედთან მივიდა და სთხოვა: „პატივცემულო ძმისშვილო! გაჭირვებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. ხელში აღარაფერი დაგვრჩა. სადაცაა, ქარავანი დამასკოსაკენ უნდა დაიძრას. ქალბატონმა ხატიჯემ ამ ქარავნით თავისი საქონელი უნდა გააგზავნოს. ამისათვის აუცი-

ლებლად სანდო პიროვნებას ეძებს. უეჭველია, რომ შენისთანა სანდო, პატიოსანი და ერთგული ადამიანი სჭირდება. წავიდეთ და დაველაპარაკოთ. იქნებ, ამ ქარავნის მეთაურად შენ დაგნიშნოს. დარწმუნებული ვარ, რომ შენ სხვებზე უფრო მეტად გენდობა. თუმცა მე შენი დამასკოში გაგზავნა არ მინდა, რადგან ვშიშობ იუდეველებმა არაფერი დაგიშავონ. მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ". საყვარელმა შუამავალმა მას უთხრა: ***„როგორც შენ გაგიხარდება, ისე მოიქეცი".***

წმინდა ხატიჯე არაბეთში სილამაზით, ჭკუით, ნამუსით, ხასიათითა და ზრდილობით გამორჩეული და ღირსეული ქალბატონი იყო. მისი ცოლად შერთვის სურვილი ბევრს ჰქონდა. მაგრამ თვითონ ყურადღებას არავის აქცევდა და სიზმარში ნახულ რჩეულს ელოდებოდა. სიზმარი კი ასეთი ჰქონდა ნანახი, ვითომ, ციდან მთვარე ჩამოვიდა, უბეში ჩაუძვრა, შემდეგ მთვარის შუქმა იღლიიდან გამოასხივა და მთელი სამყარო გაანათა. დილით ეს სიზმარი თავის ნათესავს, ვარაყა ბინ ნევფელს მოუყვა. ვარაყამ მას უთხრა: „ბოლო დროის შუამავალი დაბადებულა. ის შენთან იქორწინებს და შენი მეუღლეობის დროს მას ვაჰი (ზეშთაგონება) მოუვა. რელიგიის შუქი სამყაროს გაანათებს. ყველაზე პირველად შენ იწამებ. ის შუამავალი ყურაიშ ბენი ჰაშიმთაგან იქნება". ამ სიტყვებმა ხატიჯე ძალიან გაახარა და ბოლო შუამავლის მობრძანების ლოდინი დაიწყო.

წმინდა ხატიჯე ვაჭრობით იყო დასაქმებული. მაგრამ თვითონ არსად მიემგზავრებოდა. სავაჭროდ სხვას აგზავნიდა და მოგების წილს აძლევდა. ებუ ტალიბი ხატიჯესთან მივიდა და თხოვა, სავაჭროდ მუჰამმედი გაეშვა. ხატიჯემ მუჰამმედი თავისთან ოჯახში მიიპატიჟა და დიდი მოწიწებითა და მოკრძალებით გაუმასპინძლდა. ხატიჯე საყვარელი მუჰამმედის სისპეტაკემ, თავაზიანობამ და სანდომიანი სახის ნახვამ აღაფრთოვანა და მას უთხრა: „ვიცი, რომ სიმართლის მთქმელი, საიმედო, უტყუარი და კარგი ზნეობის ადამიანი ხარ. ამ საქმისათვის იმდენს გადაგიხდი, რამდენიც ჯერ არავისთვის გადამიხდია"... ამის შემდეგ ამ სამსახურისთვის საჭირო ტანსაცმელი მისცა და გააცილა.

ხატიჯეს თავისი სწავლული, ქრისტიანი ბიძაშვილი ვარაყა ბინ ნევფელისგან ბოლო შუამავალის ნიშნები გაეგო. მუჰამმედში, მისი სტუმრობის დროს, შუამავლობის დამახასიათებელი თვისებები ამოეცნო. ამიტომაც თავის მონას მეისერს უთხრა: „როდესაც ქარავანი მექქადან გასვლას დააპირებს აქლემის აღვირი მუჰამმედს მიეცი ხელში, რომ მექქელებმა რაიმე მითქმა-მოთქმა არ დაიწყონ. ქალაქს რომ გაშორდებიან, ეს ძვირფასი ტანსაცმელი მას ჩააცვი“. შემდეგ ყველაზე ლამაზი აქლემი, როგორც სულთანს შეეფერებოდა, ისე შეკაზმა და მეისერს უთხრა: „ის ამ აქლემზე დიდი პატივისცემით დასვი, ავშარა ხელში დაიკავე და თავი მის მონად იცანი. მისი ნებართვის გარეშე არაფერი გააკეთო და ხიფათისგან მის დასაცავად სიცოცხლეც კი არ დაიშურო. სადაც მიდიხართ, დიდხანს ნუ გაჩერდებით და მალევე წამოდით. ამრიგად, ჰაშიმისშვილების წინაშე დარცხვენილი არ გამოვიდეთ. თუ ჩემ ნათქვამს გულისყურით შეასრულებ, გაგათავისუფლებ და რამდენიც გინდა, იმდენ ქონებას მოგცემ“.

ქარავანი წასასვლელად მოემზადა. უამრავი მექქელი ახლობლების გამოსამშვიდობებლად შეკრებილიყო. საყვარელი მუჰამმედის ნათესავები, ბიძები, ჰაშიმისშვილების უფროსებიც იქ იმყოფებოდნენ. მუჰამმედის მამიდაც, ალლაჰის შუამავალი მუჰამმედი მსახურის ფორმაში რომ დაინახა, მუხლები მოეკვეთა, წივილ-კივილი ატეხა და თვალებიდან ცრემლები დაღვარა. „ეჰ აბდულმუტტალიბ, ეჰ ზემზემის ორმოს გამთხრელო, დიდებულო ადამიანო, ეჰ აბდულლაჰ. ადექით საფლავებიდან, აქეთ მოიხედეთ და ნახეთ თქვენი დალოცვილი ვაჟი რა დღეშია“. ასე გამოხატა მან თავისი გულისტკივილი. ებუ ტალიბიც იგივეს გრძნობდა და განიცდიდა. ალლაჰის შუამავალმა მუჰამმედმაც თვალებიდან მარგალიტივით ცრემლები ღვარა და წარმოთქვა: „მშვიდად იყავით, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ბევრი მწუხარება და დარდი გადამიტანია“. ამ სიტყვების გამგონე, ყველა ატირდა. ანგელოზებიც კი შეწუხდნენ მუჰამმედის მდგომარეობით, მაგრამ უზენაესმა ალლაჰმა მათ უბრძანა: ***„დიახ, ის ჩემი უსაყვარელესი ადამიანია. მაგრამ თქვენ ამ სიყვარულის საიდუმლოს ვერ გაიგებთ,... სიყვარულსა და საყვარელს შორის იდუმალებას თქვენ ვერ გაიგებთ. ამ სამსახურს***

ვერავინ გაიგებს. ამ ფარულ საქმეში ვერავინ გაერკვევა“.

ქარავანი მექქადან დაიძრა. როცა მექქა უკან მოიტოვეს, მეისერემ ბრძანების თანახმად, ძვირფასი ტანისამოსი საყვარელ შუამავალს ჩააცვა, ნაირ-ნაირი აბრეშუმის ქსოვილებით მორთულ-მოკაზმულ აქლემზე შესვა, აღვირი ხელში დაიკავა და გზა განაგრძეს.

მექარავნეებმა დაინახეს ქვეყნიერების წყალობად მოვლენილ საყვარელი შუამავალს ძირს დაშვებული ღრუბელი ნელ-ნელა როგორ დაჰყვებოდა. გარდა ამისა, მათ ჩიტების სახით ორი ანგელოზი დაინახეს, რომლებიც მოგზაურობის დასრულებამდე თან ახლდათ. გზად დაღლილობისგან ჩამორჩენილმა ორმა აქლემმმა, რომლებიც ნაბიჯსაც კი ვეღარ დგამდნენ წინ, მუჰამმედმა ხელი გადაუსვა თუ არა მაშინვე იწყეს სიარული. მგზავრობისას კიდევ ბევრი ისეთი რამ მოხდა, რამაც მექარავნეებს მუჰამმედი კიდევ უფრო შეაყვარა. ისინი მიხვდნენ, რომ ის გამორჩეული პიროვნება იყო. როდესაც ბუსრაში ჩავიდნენ, კვლავ იმ მონასტერთან ახლოს შეჩერდნენ, სადაც ბერი ბაჰირა მოღვაწეობდა. ბაჰირა, რომელმაც რამდენიმე ნიშანთვისების მიხედვით, ძვირფასი მუჰამმედის ბოლო შუამავლობის შესახებ მოჰყვა, უკვე გარდაცვლილიყო. მისი ადგილი ვინმე ნასტურას დაეკავა. ნასტურამ, რომელიც ყურადღებით უყურებდა მონასტერთან ახლოს გამხმარ ხესთან შეჩერებულ ქარავანს, დაინახა, თუ როგორ აყვავდა უცებ ეს უსიცოცხლო ხე. მან მეისერეს ჰკითხა: „იმ ხის ძირში ვინ ზის?” „ის ჰარემის ტომიდან არის“ - უპასუხა მეისერემ. შემდეგ ნასტურამ განაგრძო: „დღემდე იმ ხის ძირში შუამავლის გარდა სხვა არავის შეუსვენებია, მას თვალებში ცოტა სიწითლე თუ აქვს?“ მეისერმა დასტურით უპასუხა. მაშინ ნასტურამ წარმოთქვა: „უზენაესი ალლაჰის მიერ ისა შუამავალზე გარდმოვლენილ, წმინდა წიგნ ბიბლიას ვფიცავ, რომ ეს პიროვნება ბოლო შუამავალი უნდა იყოს. ნეტავი მეც მოვესწრებოდე იმ დღეს, როდესაც მას ეს მისია დაეკისრება“.

როცა ძვირფასი მუჰამმედი ბუსრას ბაზარზე ქალბატონი ჰატიჯეს საქონელს ჰყიდდა, ერთ-ერთი ებრაელი შეევაჭრა. რაღაცაზე

ვერ შეთანხმდნენ. ებრაელმა უთხრა, ლათსა და ღუზას კერპებზე დაიფიცე და დავიჯერებო. მუჰამმედმა მას მიუგო: ***„მე მაგ კერპებზე არასოდეს დავიფიცებ, მათთან ახლოს თუ მომიხდება გავლა, სახეს მათგან მივატრიალებ“.*** გაოცებულმა ებრაელმა იყვირა: „ვფიცავ, ეს ადამიანი მომავალი შუამავალი იქნება. ჩვენს სწავლულებს ასეთი ნიშან-თვისებების შესახებ წიგნებში წაუკითხავთ“.

მეისერე, რასაც საყვარელი მუჰამმედის შესახებ ისმენდა და ხედავდა, ყველაფერს დეტალურად იმახსოვრებდა და მის მიმართ განცვიფრება უფრო და უფრო ემატებოდა. მეისერეს გულში ქვეყნიერების ბატონის მიმართ სიყვარული წარმოიქმნა. უკვე მას დიდი სიამოვნებითა და პატივისცემით ემსახურებოდა. პატარა მინიშნებითაც კი საქმეს დიდი სიხარულით ასრულებდა.

რაც საქონელი ჰქონდათ წაღებული, ყველა გაიყიდა. ძვირფასი მუჰამმედის მადლით, სხვა დროსგან განსხვავებით, ვაჭრობამ ბევრჯერ უფრო მეტი მოგება დატოვა. ქარავანი უკან დაბრუნდა. როდესაც მერრუზზაჰრანის ტერიტორიას მოაღწიეს, მეისერემ საყვარელ შუამავალს სთხოვა, წავალ და მექქაში სამახარობლო ამბავს შევატყობინებო. შუამავალმა მუჰამმედმა მას ნება მისცა. მეისერე ქარავანს გამოეყო და აჩქარებული ნაბიჯით მექქასაკენ მიმავალ გზას გაუდგა.

ქალბატონი ნეფისე ბინთი მუნეიიე მოგვითხრობს: „როდესაც ქარავნის უკან დაბრუნების დრო მოახლოვდა, ქალბატონი ხატიჯე, მხევლებთან ერთად, სახლის სახურავზე ავიდოდა და იმ გზას გაჰყურებდა, საიდანაც ქარავანი უნდა გამოჩენილიყო. ერთ დღეს, მეც მასთან ვიყავი, უცებ შორს, აქლემზე შემჯდარი, ვიღაც გამოჩნდა. მას თავს ზემოთ ღრუბლის ნაჭერი დაჰყვებოდა. შუამავალი მუჰამმედის შუბლზე სხივი მთვარესავით ანათებდა. ქალბატონი ხატიჯე მაშინვე მიხვდა, ვინც მოდიოდა და გულზე მოეშვა. მაგრამ ისე მოიქცა თითქოს ვერ გაიგო და თქვა: „ნეტავ ამ სიცხეში ვინ უნდა მოდიოდეს“, ჩვენ კი ვუთხარით, ეს მუჰამმედს ჰგავს-თქო, რადგან მისი დანახვით განცვიფრებულნი დავრჩით. ცოტა ხნის შემდეგ მეისერი ქალბატონ ხატიჯეს სახლთან მოვიდა და მუჰამმედის დაბრუნების შესახებ აცნობა. ამ ამბავმა

ხატიჯე ძალიან გაახარა.

ცოტა ხნის შემდეგ ქარავანი მექქაში შევიდა. მეისერემ ქალბატონ ხატიჯეს დაწვრილებით უამბო რაც ნახა და გადახდა. მოუყვა, როგორ დაყვებოდა ღრუბელი და იფარავდა სიცხისგან მუჰამმედს. როგორ ააჩქარა დავრდომილი აქლემები ერთი ხელის გადასმით. როგორ შეხვდნენ ბერ ნასტურას და რა მოუთხრო მან. მეისერემ ისიც უამბო ხატიჯეს, თუ რა ღირსეულად და პატიოსნად იქცეოდა მუჰამმედი. ეს ყველაფერი იცოდა ქალბატონმა ხატიჯემ, მაგრამ ამ სიტყვებმა კიდევ უფრო დაარწმუნა მუჰამმედის სიდიადეში. ქალბატონმა ხატიჯემ მეისერი გააფრთხილა: ,,რაც ნახე, არავის უამბო.''

მეისერის ნაამბობი ქალბატონმა ხატიჯემ თავის ბიძაშვილ, ვარაყა ბინ ნევფელს მოუყვა. ვარაყამ მას დიდი გაოცებით მოუსმინა და უთხრა: „ხატიჯე, რასაც ამბობ ეს ყველაფერი თუ სიმართლეა, მუჰამმედი ამ ხალხის შუამავალი გახდება“.

შუამავალი მუჰამმედი თორმეტი წლის ასაკში ბიძამის ებუ ტალიბთან ერთად, სავაჭროდ ბუსრაში იყო, ჩვიდმეტი წლის ასაკში ბიძა ზუბეირს იემენში გაჰყვა, ოცი წლის ასაკში დამასკოში ეახლა, ხოლო ოცდახუთი წლის ასაკში კი ქალბატონ ხატიჯეს საქონელი დამასკოში წაიღო გასაყიდად. ასე მან, ზუსტად, ოთხჯერ იმოგზაურა. გარდა ამ მოგზაურობებისა, ის სხვაგან არსად წასულა.

ქორწინება წმინდა ხატიჯესთან

როცა ქალბატონმა ხატიჯემ წმინდა მუჰამმედის შესახებ ვარაყა ბინ ნევფელის ნათქვამი მოისმინა, მისით უფრო აღფრთოვანდა და მოისურვა ცოლად გაყოლოდა. ამ საქმის მოგვარება ნეფისე ბინთი მუნიიემ გადაწყვიტა. იგი მუჰამმედთან მივიდა და უთხრა: „მუჰამმედ! თქვენო აღმატებულებავ, რა არის მიზეზი, რომ არ ქორწინდებით?“ შუამავალმა უპასუხა: ***„დასაქორწინებლად საკმარისი ფული არ გამაჩნია“.*** შემდეგ ნეფისემ უთხრა: „თუ ნამუსიან, ღირსეულ, ქონებისა და სილამაზის მქონე ქალბატონთან დაქორწინებას ისურვებთ, თქვენს სამსახურში მიგულეთ“. როდესაც შუამავალმა იკითხა: ***„ვინ არის ეგ ქალბატონი?“*** ნეფისემ

უპასუხა: „ხატიჯე ბინთი ჰუვეილიდია“ შუამავალმა კვლავ იკითხა: ***„ვინ შეძლებს ამ საქმის მოგვარებას?“*** „მე შევძლებ“ – შეჰპირდა ქალი. შემდეგ ხატიჯესთან მივიდა და ახარა, მუჰამმედი თანახმააო. წმინდა ხატიჯემ თავის ნათესავ ამირ ბინ ესედს და ვარაყა ბინ ნევფელის გააგებინა ეს ამბავი. ხატიჯემ და მისმა ნათესავებმა მუჰამმედი სტუმრად მიიწვიეს. დათქმულ დროს ებუ ტალიბი, მისი ძმები და მუჰამმედი ხატიჯეს ეწვივნენ. სტუმრების მოსვლამდე ქალბატონმა ხატიჯემ სახლი საგანგებოდ მოაწესრიგა. კმაყოფილმა და ბედნიერმა მხევლებს სამკაულები აჩუქა და თავისუფლება უბოძა. მუჰამმედი ბიძებთან ერთად ხატიჯეს სახლში მიბრძანდა. ებუ ტალიბმა ბრძანა: „მადლობა უდიდეს გამჩენს, რომ ჩვენ წმინდა იბრაჰიმის შვილებიდან და ისმაილ შუამავლის მოდგმიდან მოგვავლინა. ჩვენ ალლაჰის სახლის (ბეითულლაჰის) დამცველებად გაგვაჩინა (ადამიანების ყიბლე, ქააბეს გარს შემომვლელთა წმინდა შენობა). ჩემი ძმისშვილი მუჰამმედი ისეთი ვინმეა, რომ მისი ყურიშებზე შედარება შეუძლებელია. მართალია, ნაკლებად მდიდარია, მაგრამ სიმდიდრეს პატივს არ სცემს. რადგან სიმდიდრე ჩრდილის მსგავსია, ხელიდან ხელში გადასვლით წავა, დაიკარგება. ჩემი ძმისშვილის ღირსება და უპირატესობა ყველა თქვენგანისთვის ცნობილია. ჩვენ გვინდა ხატიჯე ბინთი ჰუვეილიდი შევრთოთ მას ცოლად. თან გვინდა გავიგოთ, ჩვენი სიმდიდრიდან რა რაოდენობის მიჰრს ისურვებდით?“ ვარაყამ უპასუხა: ,,მუჰამმედის ღირსება ყველა სიმდიდრეზე მაღლა დგას და ესაა მთავარი“. ხატიჯეს ბიძამ, ამირ ბინ ესედმა დაამატა: „მე თანახმა ვარ ხატიჯე მუჰამმედის მეუღლე გახდეს“. გადაწყდა; მუჰამმედი და ხატიჯე შეუღლებულიყვნენ. მიჰრის რაოდენობა -გადმოცემების მიხედვით, 400 ოქროთი ანუ 500 დირჰემით განისაზღვრა, სხვა გადმოცემის თანახმად კი მიჰრის რაოდენობა 20 აქლემი იყო. დაქორწინებისას მუჰამმედ შუამავალი ოცდახუთი წლის იყო, ხოლო ძვირფასი ხატიჯე კი ორმოცი წლისა.

ებუ ტალიბმა საქორწილო სუფრისთვის აქლემი დაკლა და მექორწილეებს არაჩვეულებრივად გაუმასპინძლდა.

ქალბატონმა ხატიჯემ მთელი თავისი სიმდიდრე და ქონება მუჰამმედს აჩუქა და უთხრა: ,,დღეიდან ეს სიმდიდრე შენ გეკუთვ-

ნის. მეც სიცოცხლის ბოლომდე შენი ერთგული ვიქნები. მხარში ამოგიდგები და ყველაფერში დაგეხმარები“.

ქორწინების შემდეგ წმინდა ხატიჯემ მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრება შუამავალ მუჰამმედის გვერდით გაატარა. ისინი ოცდა-ხუთი წელი ცხოვრობდნენ ერთად. ხატიჯე ღირსეული მეუღლე იყო და ყოველთვის მხარში ედგა შუამავალს. აქედან თხუთმეტი წელი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, ათი წლის განმავლობაში კი, როცა მუჰამმედს შუამავლობა ეცნობა. სანამ პიველი ცოლი წმინდა ხატიჯე ცოცხალი იყო, შუამავალ მუჰამმედს სხვა არავისზე უქორწინია. მისგან ორი ვაჟი და ოთხი ქალიშვილი შეეძინა: ყასიმი, ზეინები, რუქიე, უმმუ, გულსუმი, ფატიმა და აბდულლაჰი. შუამავლობის დროს, ძვირფასი ხატიჯეს გარდაცვალების შემდეგ, მარიასთან იქორწინა და მისგან კიდევ ერთი ვაჟი, იბრაჰიმი შეეძინა. სხვა ცოლებისგან შვილი არ ჰყოლია. ზეინები უფროსი, ხოლო ფატიმა ყველაზე უმცროსი იყო. ფატიმა მამის ყველაზე საყვარელი შვილი იყო და ის ჰიჯრეთამდე ცამეტი წლით ადრე დაიბადა. ვაჟები მცირეწლოვანნი გარდაიცვალნენ. ფატიმას გარდა, შუამავალს ყველა შვილი სიცოცხლეშივე გარდაეცვალა. წმინდა ფატიმა კი შუამავლის გარდაცვალებიდან ექვსი თვის შემდეგ მიიცვალა. ის ძვირფას ალიზე იყო გათხოვილი. მუჰამმედის შთამომავლები წმინდა ფატიმას და ალის მემკვიდრეები იყვნენ.

უკეთილშობილესი შუამავალი, წმინდა ხატიჯესთან ქორწინების შემდეგაც, ვაჭრობით იყო დაკავებული. მოგებულ ფულს კი ყოველგვარ სასიკეთო საქმეს ახმარდა.

ზეიდ ბინ ჰარისე

ზეიდ ბინ ჰარისე ბავშობისას, დედასთან-სუდასთან ერთად ნათესავების მოსანახულებლად წავიდა. ამ დროს ერთ-ერთი ტომი მათ თავს დაესხა და ზეიდი ტყვედ ჩავარდა. იგი მექქაში „სუყი უყაზის“ ბაზრობაზე გასაყიდად გამოიყვანეს. აქ ზეიდი წმინდა ხატიჯეს ძმისშვილმა, ჰაქიმ ბინ ჰიზამმა 400 დირჰემად იყიდა და მამიდას აჩუქა. ხატიჯემ ბიჭი მუჰამმედს დაუთმო. შუამავალმა კი ის მაშინვე გაათავისუფლა მონობისგან და თავისთან დაიტოვა.

რადგან გათავისუფლებულ ზეიდს წასასვლელი არსად ჰქონდა და თანაც შუამავალზე უკეთეს პატრონობას ვერავინ გაუწევდა, მასთან სიამოვნებით დარჩა.

ზეიდ ბინ ჰარისემ პატრონის ყველა დადებითი თვისება გადაიღო. ის მუჰამმედს ასე ახასიათებს: „ის სამართლიანი, კაცთმოყვარე, დიდსულოვანი, ხელგაშლილი, მოწყალე, უღალატო, ქველმოქმედი და სანდო ადამიანი იყო. ჩაგრულთა, დავრდომილთა, ღარიბთა დამცველი და ბავშვების მოსიყვარულე, თავაზიანი, თავშეკავებული, მორიდებული, ჭკვიანი მმართველი, გამბედაობისა და ვაჟკაცობის, ხილული თუ უხილავი, ყოველგვარი კარგი ზნეობის განსამტკიცებლად მოვლენილი, გაჩენილთაგან უპირატესი, მან ყველას ნდობა მოიპოვა, რაზედაც ზედსახელად "ელ ემინ" შეარქვეს". ზეიდ ბინ ჰარისემ მუჰამმედი მამასავით შეიყვარა და სულ მასთან ერთად უნდოდა ყოფნა.

ჰარისეს დედ-მამამ შვილის ადგილსამყოფელი არ იცოდა. მამა შვილის დაკარგვას ძალიან განიცდიდა. ის ზეიდს ყველგან ეძებდა. იემენიდან სხვა ქალაქში მიმავალ ნათესავებსა და ნაცნობებს თხოვდა, რომ ზეიდის ამბავი ეკითხათ. ის შვილის დაკარგვით გამოწვეულ სევდას ლექსების წერით იქარვებდა.

ბოლოს, ბენი ქელბის ტომიდან ქააბეს მოსანახულებლად მოსულმა კაცმა ზეიდი დაინახა და იცნო. ზეიდმა მას ასე მიმართა: ,,ვიცი, რომ მშობლები ჩემთვის ბევრს იტირებენ. მათ ეს ლექსი წაუკითხეთ": (აქ ლექსი უნდა ითარგმნოს)

ჰარისემ შვილის ამბავი რომ გაიგო, ძალიან გაუხარდა. ფული იშოვა და ძმასთან ერთად მექქაში გაემგზავრა. მექქაში მისულმა შუამავლის სახლი იკითხა და ოჯახში ეწვია. „ყურაიშ ხალხთა ბატონო! აბდულმუტტალიბის შვილიშვილო! ბენი ჰაშიმის შთამომავალო! – მიმართა ჰარისემ მუჰამმედს – თქვენ ჰარემი შერიფის მეზობლად იმყოფებით. სტუმრებს უმასპინძლდებით, ტყვეებს კეთილად ეპყრობით, მონობისაგან ათავისუფლებთ. თქვენ მონობაში მყოფი, ჩემი შვილის გამოსახსნელად რა თანხასაც დამისახელებთ, იმდენს გადავიხდი, ოღონდ უარს ნუ მეტყვით". მუჰამმედმა უთხრა: ***„დავუძახოთ ზეიდს, ვითარება ავუხსნათ და გავათავისუფლოთ.***

თუ ის თქვეთან წამოსვლას ირჩევს, ყოველგვარი ფულის გარეშე შეგიძლიათ წაიყვანოთ. მაგრამ ,თუკი ჩემთან დარჩენას მოისურვებს, ალლაჰს ვფიცავ, მას არავის დავუთმობ, ჩემთან იქნება“.

ჰარისსა და მის ძმას მუჰამმედ შუამავლის პასუხი ძალიან მოეწონათ და მიმართეს: „შენ ძალიან სამართლიანად და ჰუმანურად გვექცევი”.

შემდეგ შუამავალმა მუჰამმედმა ზეიდი თავისთან დაიბარა და ჰკითხა: ***„იცნობ ამათ?“*** „დიახ, ვიცნობ, მამაჩემი და ბიძაჩემი არიან“ – უპასუხა ზეიდმა. შუამავალმა ზეიდს უთხრა: ***„შენ მე უკვე გამიცანი, შენს მიმართ ჩემი გულისხმიერება, მოწყალება და დამოკიდებულება დაინახე. ესენი შენს წასაყვანად არიან მოსული. გადაწყვიტე, ჩემთან დარჩები, თუ მათ გაყვები“.***

მამას და ბიძიას ეგონათ, რომ ზეიდი მათ გაყვებოდა, მაგრამ მან მუჰამმედთან დარჩენა ამჯობინა.

ისინი გაკვირვებული და გაოგნებული შეჰყურებდნენ ზეიდს. ბოლოს გაბრაზებულმა და განაწყენებულმა მამამ შვილს უთხრა: ,,ნუთუ დედ-მამას, ნათესავებსა და თავისუფლებას მონობაში ყოფნა გირჩევნია?'' ზეიდმა მამას მიუგო: ,,მამა, მე სულაც არ ვგრძნობ თავს მონად. შენ წარმოდგენაც არა გაქვს, როგორი ღირსეული პიროვნებაა ეს კაცი. მე მას ვერასოდეს მივატოვებ“.

შუამავალს ზეიდი ძალიან უყვარდა. ის წმინდა ქააბეში ჰიჯრეზე წაიყვანა და იქ მყოფთ მიმართა: ***„იცოდეთ, რომ ზეიდი ჩემი შვილობილია, ის ჩემი მემკვიდრეა, მე მას ძალიან ვაფასებ“*** როდესაც ზეიდის მამამ და ბიძამ ნახეს, როგორ ექცეოდა მუჰამმედი ბიჭს, სიბრაზემ გადაუარათ და გახარებული და დამშვიდებული დაბრუნდნენ სამშობლოში. საჰაბეები ზეიდს, ზეიდ ბინ მუჰამმედს (მუჰამმედის შვილი ზეიდი) ეძახდნენ. ამის შემდეგ უზენაესმა ალლაჰმა სურა აზჰაბის მეხუთე და მეორმოცე აიათებში ასე ბრძანა: ***„შვილებს მამის სახელით დაუძახეთ, ალლაჰის წინაშე ეს უფრო სწორია. მუჰამმედი კი არცერთი თქვენგანის (ზეიდის მსგავსად) მამა არ გახლავთ“.*** ამ ბრძანებით, შვილად აყვანის აკრძალვის შემდეგ, ზეიდს მამის სახელით (ზეიდ ბინ ჰარისე) მიმართეს.

მსაჯულობა ქააბაში

შუამავალმა მუჰამმედმა ოცდათხუთმეტი წლის ასაკში, ქააბაში მსაჯულობა იკისრა.. მაშინ წვიმებსა და წყალდიდობებს ქააბას კედლები საკმაოდ გამოეფიტა. გარდა ამისა, გაჩენილ ხანძარს ქააბა განადგურების პირას მიეყვანა. საჭირო გახდა შენობის ახლად გაკეთება. ყურაიშებმა ქააბა იბრაჰიმ შუამავლის მიერ ჩაყრილ საძირკველამდე დაანგრიეს და სალოცავის ახლად შენებას შეუდგნენ. მშენებლობის დროს ყველაზე მთავარი რამ შავი ქვის - (ჰაჯერულ ესვედის) თავის ადგილზე მოთასება იყო. ყურაიშები ვერ შეთანხმდნენ, რომელ მათგანს რგებოდა ეს პატივი. Aამის გამო, მათ დიდი უთანხმოება მოუვიდათ. აბდუდდარიშვილებმა დაიფიცეს, რომ თუ ამ საქმეს ჩვენს გარდა ვინმე ხელს მოჰკიდებს, სისხლს დავღვრითო. ეს გაუგებრობა რამდენიმე დღეს გაგრძელდა. საქმე შეტაკებამდე უნდა მისულიყო.

ამასობაში აბულმუტტალიბის ბიძამ და ერთმა მოხუცმა, ვინმე ჰუზეიფე ბინ მუღირემ თქვეს: ,,ყურაიშო ხალხო! საქმე მშვიდობიანად მოვაგვაროთ. ვინც კარებიდან პირველი შემოვა, ის იყოს თქვენი მსაჯული“, და ბენი შეიბეს კარებისკენ მიუთითეს. ყველა დაეთანხმა და დაიწყეს ლოდინი, ვინ იქნებოდა ის, ვინც ამ საქმეს ასეთ კრიტიკულ მომენტში მოაგვარებდა. ბოლოს, როგორც იქნა, კარებში სამართლიანობითა და მაღალი ზნეობით გამორჩეული ელ ემინი ანუ, ყველასათვის სანდო ადამიანი-მუჰამმედი (ალლაჰი იყოს მისი მფარველი.) შემოვიდა. „აი, ყოვლად ღირსეული ადამიანი ყველა მის გადაწყვეტილებას დავეთანხმებით“ – წამოიძახეს ერთხმად.

როდესაც მუჰამმედს ვითარება გააცნეს, მან მოითხოვა ქსოვილის მოტანა მოითხოვა. ქსოვილი მიწაზე გაშალა და ჰაჯერულ ესვედი (შავი ქვა) ქსოვილზე გადაიტანა. ყველა ტომიდან თითო კაცმა მოკიდოს ქსოვილს ხელიო, ბრძანა. შემდეგ, ქვა სადაც უნდა დაედოთ, იქ მიატანინა, აიღო და თვითონ დადო თავის ადგილზე. ამით მოდავეებს სისხლისღვრა თავიდან ააცილა. გადაწყვეტილებით ყველა კმაყოფილი დარჩა და მუშაობა გააგრძელეს.

შუამავლობის მისია და ისლამისკენ მოხმობა

როცა მუჰამმედი ოცდაჩვიდმეტი წლის გახდა, უხილავი ხმები ესმოდა: „ჰეი მუჰამმედ“ ხოლო, როცა ოცდათვრამეტი წლის შესრულდა, სიბნელეში სხივებს ხედავდა. მუჰამმედი ამ ხილვების შესახებ, მხოლოდ, თავის მეუღლეს ხატიჯეს უყვებოდა. მისი (ალლაჰი დალოცავს და მიესალმება მას) მისიისმოახლოებამდე ცოტა დრო რომ დარჩა, იმ დროის ცნობილი მწერალი ქუს ბინ საიდე უქაზი ბაზრობაზე, აქლემზე შემჯდარი, უამრავი ხალხის წინაშე სიტყვით გამოვიდა და იქ მყოფთ შუამავლის მობრძანების სასიხარულო ამბავი აუწყა. საყვარელი მუჰამმედიც მსმენელთა შორის იმყოფებოდა. ქუს ბინ საიდმა თავისი ცნობილი გამოსვლის ერთ ნაწილში ასე წარმოთქვა: „ადამიანებო! მობრძანდით, მოისმინეთ, დაელოდეთ, მაგალითი აიღეთ! ცოცხალი მოკვდება, მკვდარი კი გაიხრწნება, მოსახდენი მოხდება! ყური მიგდეთ, კარგად მისმინეთ, ზეცაში საოცარი ამბავი ხდება. ალლაჰის წინაშე მხოლოდ ერთი რწმენა და მომავალი შუამავალია. მის მოსვლამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა. დალოცვილია ის, ვინც მას მოუსმენს და დაუჯერებს. ვაი, იმ უბედურებს, ვინც მის წინააღმდგე წავა და აუჯანყდება. სირცხვილი მათ, ვინც სიცოცხლე დაუდევრობითა და ურწმუნოებით განვლოს!“...

როცა შუამავალს თავისი მისიის შესრულება უნდა დაეწყო, არაბეთში ხალხი ღვთიურ კანონებს სრულიად აღარ ემორჩილებოდა. ისინი მდიდრებად და ღარიბებად; სუსტებად და ძლიერებად; ბატონებად და მონებად იყვნენ დაყოფილნი. მონებს სასტიკად ექცეოდნენ და ჩაგრავდნენ. სუსტების ქონებას ძალით ითვისებდნენ. უუბრალო ხალხის უფლებებს არავინ იცავდა. რწმენამოკლებული ხალხი ყოველგვარ უღირს საქციელს ჩადიოდა. ადამიანის ღირსება და ნამუსი ფეხქვეშ იყო გათელილი. აზარტული თამაშები, ლოთობა და გართობა არავისთვის უცხო არ იყო. ურთიერთშუღლი, მკვლელობები და ათასნაირი ბოროტება ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა. ადამიანები უმეცრების მო-

რევში იხრჩობოდნენ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ქალები იყვნენ. მათ არანაირი უფლებები გააჩნდათ. მათ, როგორც ნივთს, ისე ჰყიდდნენ. ქალიშვილებს ცოცხლად მარხავდნენ.

წმინდა ადამიდან მოყოლებული, არსად არ ყოფილა ამგვარი ურწმუნობა, ველურობა, თავაშვებულობა, ამორალურობა და უსამართლობა. უმეცრებაში მყოფ ხალხს, სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად, მხსნელი ესაჭიროებოდა. მხსნელი, რომელიც გამჩენის ნებით მოევლინებოდა ქვეყანას. ის ჩვეულებრივი კაცივით იცხოვრებდა. ადამიანებს სწამდათ, რომ როცა მხსნელი დაიბადებოდა, ურწმუნოების ნაცვლად რწმენა, დესპოტიზმის ნაცვლად სამართალი, უმეცრების ნაცვლად ცოდნა დაიკავებდა ადგილს და ადამიანები მარადიულ ბედნიერებას ეწეოდნენ.

მუჰამმედი უკვე სიზმრებსაც ხედავდა. წმინდა ჰადისი, ზეშთაგონების (ვაჰიის) დასაწყისად სიზმრებს ასახელებს. რასაც სიზმრად ნახავდა, ცხადში ზუსტად აუხდებოდა ხოლმე. ასე ექვსი თვე გაგრძელდა. როდესაც ზეშთაგონების მოსვლა მოახლოვდა, ხმები, რომელიც ესმოდა, უფრო გახშირდა. მუჰამმედი ცდილობდა, ხშირად დარჩენილიყო მარტო. ის ჰირას გამოქვაბულში განმარტოვდებოდა და ფიქრს მიეცემოდა. გამოქვაბულიდან მექქაში მივიდოდა, ქააბას გარს შემოვლის რიტუალს გააკეთებდა და სახლში წავიდოდა. სახლში ცოტა ხანს დარჩებოდა, საჭმელს წაიღებდა და ისევ გამოქვაბულში ბრუნდებოდა. იქ დიდხანს ატარებდა დროს ფიქრსა და ლოცვაში. ზოგჯერ გამოქვაბულში რამდენიმე დღეს რჩებოდა. ასეთ დროს წმინდა ხატიჯე ან თვითონ მიუტანდა საჭმელს, ან ვინმეს ხელით გაუგზავნიდა.

პირველი ზეშთაგონება (ვაჰიი)

ორმოცი წლის მუჰამმედი, რამაზანის თვეში, ყოველდღე მიდიოდა ჰირას მთაზე, გამოქვაბულში და ფიქრებს მიეცემოდა. რამაზანის თვის მე-17 ღამეს, ორშაბათს, როცა შუაღამე იყო გადასული, ძილში ხმა ჩაესმა, თითქოს ვიღაც ეძახდა. თავი წამოწია, ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ ვერავინ დაინახა. ძახილი ისევ მოესმა და დაინახა, როგორ გაბრწყინდა ირგვლივ ყველაფერი.

შემდეგ ანგელოზი ჯებრაილი გამოეცხადა და უთხრა: „წაიკითხე!“ შუამავალმა უპასუხა: ***„მე კითხვა არ ვიცი!“*** მაშინ ანგელოზმა ხელები ძლიერად შემოუჭირა სხეულზე და უბრძანა: „წაიკითხე!“ მუჰამმედმა ისევ იუარა. მესამეჯერაც იგივე განმეორდა. ანგელოზმა მუჰამმედს ხელი გაუშვა და უთხრა: ***„მუჰამმედ! წაიკითხე შენი გამჩენი ღმერთის სახელით, მან ადამიანი შედედებული სისხლისგან გააჩინა. წაიკითხე, შენი გამჩენი ყველაზე გულუხვია. მან ასწავლა კალმით, ასწავლა ადამიანს ის, რაც არ იცოდა.“*** მუჰამმედმა წაკითხვა სცადა. მისდა გასაკვირად, კითხვა შეძლო. პირველად ანგელოზმა მას „ღელეყის სურას“ პირველი ხუთი აიეთი ასწავლა. შემდეგ ეს ხუთი აიეთი მუჰამმედ შუამავალმა ჯებრაილ ანგელოზთან ერთად იკითხა. ეს იყო პირველი ზეშთაგონება, რომელიც ალლაჰისაგან მოუვიდა... იმ დღიდან სამყარომ ისლამის მზით განათება დაიწყო.

ალლაჰის შუამავალი მუჰამმედი, აღელვებული და გაოგნებული გამოვიდა ჰირას გამოქვაბულიდან და მთიდან დაეშვა. გზაში ისევ მოესმა ანგელოზის ხმა: - ,,ეი, მუჰამმედ! შენ უზენაესი ალლაჰის შუამავალი ხარ, მე კი ანგელოზი ჯებრაილი ვარ”. შემდეგ ჯებრაილმა მიწას ქუსლი დაჰკრა, იქიდან წყალი ამოვიდა და მან რიტუალური განბანვა (აბდესის აღება) დაიწყო. შუამავალი მუჰამმედი დიდი ყურადღებით აკვირდებოდა ანგელოზს. როცა ის რიტუალურ განწმენდას (აბდესის აღებას) მორჩა, მუჰამმედს მიუბრუნდა და უთხრა, რომ ისიც ასე მოქცეულიყო. როცა შუამავალმაც შეასრულა ეს რიტუალი, ანგელოზმა უწინამძღვრა მუჰამმედს და მათ ილოცეს. ბოლოს ანგელოზმა შუამავალს უთხრა: „მუჰამმედ! ალაჰმა სალამი შემოგითვალა და ბრძანა, რომ შენ მის მიერ გაჩენილი ყველა სულიერისა და ადამიანების შუამავალი ხარ. მაშ ასე, მოუწოდე შენ მათ იწამონ ერთი ღმერთი!'' ასე მოხდა მუჰამმედისა და ანგელოზ ჯებრაილის პირველი შეხვედრა.

ჰირას მთიდან სახლში მიმავალ მუჰამმედს უსულო საგნებიც ასე ესალმებოდნენ: „სალამი შენდა, ალლაჰის შუამავალო!“ („ესსელამუ ალეიქუმ ია რესულულლაჰ“). – როცა სახლში მივიდა, ათრთოლებულმა ხატიჯეს თხოვა, ***რამე მომახურეო***. შეშფოთებულმა მეუღლემ მაშინვე მოუტანა მოსასხამი და შემოახვია. როცა დაის-

ვენა და თრთოლვამ გადაუარა, მუჰამმედი მოუყვა ხატიჯეს, რაც ნახა და გადახდა. ***„ანგელოზი ჯებრაილი ისეთი სანახავი იყო, რომ თავზარი დამეცა. შევშინდი, ასეთ ყოფაში რომ ვინმემ მნახოს, გიჟი არ ვეგონო მეთქი“.*** წმინდა ხატიჯე ამ დღეების დადგომას ელოდა. ის მზად იყო მხარში ამოდგომოდა და დახმარებოდა მუჰამმედს. „უზენაესმა ალლაჰმა დაგიფაროს, მან შენ სიკეთე გიბოძა და არაფერს გისურვებს სხვას, გარდა სიკეთისა. მისი დიდებისათვის, მჯერა, რომ შენ ამ ხალხის შუამავალი გახდები. ვინაიდან შენ გიყვარს სტუმარი. სიმართლის მთქმელი და სანდო ხარ. ღარიბებს ეხმარები, მფარველობ ობლებსა და უთვისტომოებს. კარგი ზნეობისა ხარ და ასეთი ლამაზი თვისებების მქონეს, არ უნდა გეშინოდეს“.

ამ შემთხვევის ასახსნელად მუჰამმედი და ხატიჯე ვარაყა ბინ ნევფელთან წავიდნენ. ვარაყამ, როცა ყველაფერი მოისმინა, შუამავალს აღფრთოვანებულმა მიმართა: ,,გილოცავ მუჰამმედ, ვფიცავ ალლაჰს, რომ შენ ბოლო შუამავალი ხარ, რომლის შესახებაც, ისა შუამავალმა გვამცნო, შენ რომ გამოგეცხადა, ის ჯებრაილია. ის შენამდე მუსა შუამავალს გამოეცხადა. ნეტავი ახალგაზრდა ვიყო და როცა შენ მექქადან გაგდევნიან, შენ დასახმარებლად მოვიდე-შემდეგ დაამატა-ძალიან მოკლე ხანში ადამიანებზე შუამავლობისა და ჯიჰადის ბრძანება გეუწყება“, - და მოწიწებით ემთხვია ხელზე. ამ შეხვედრის შემდეგ ვარაყა მალე გარდაიცვალა.

ბრძანება მოწოდებისკენ

ასეთი იყო შუამავლობის მაუწყებელი პირველი ზეშთაგონება. შემდეგ, სამი წლის განმავლობაში რაიმე მნიშვნელოვანი აღარ მომხდარა. ამ შუალედში მასთან ანგელოზი ისრაფილი (ალლაჰი დალოცავს მას) მივიდა და ზოგიერთი რამ ასწავლა, მაგრამ ეს არ იყო ზეშთაგონება. შუამავალი ამ პერიოდში ძალიან განდეგილი და მიუკარებელი გახდა. როცა შუამავალი დამწუხრდებოდა მას, ანგელოზი ჯებრაილი გამოეცხადებოდა და ეტყოდა: „ეი, ალლაჰის საყვარელო ადამიანო! შენ მისი შუამავალი ხარ“ და ასე ამშვიდებ-

და მას. წმინდა მუჰამმედი მოგვითხრობს: ***„ზეშთაგონების შეწყვეტის პერიოდი იყო, როცა ჰირას მთიდან დაბლობისკენ მოვდიოდი, მოულოდნელად ზეციდან ხმა მომესმა. როცა ზეცას აღვაპყარი თვალი, ანგელოზი ჯებრაილი დავინახე. ის მთლიანად ფარავდა ცას. მე შევშინდი. აკანკალებული მაშინვე სახლში დავბრუნდი და ვითხოვე რამე დამაფარეთ-მეთქი.*** ამ დროს უზენაესმა ალლაჰმა ზეშთაგონება მომივლინა. ეს იყო სურა მუდდესირის პირველი აიათები და ამის შემდეგ ზეშთაგონების მოვლენა აღარ შეწყვეტილა. ეს ის აიათებია, რომლებშიც ალლაჰი ბრძანებს: ***„ეი, საფარავით დაბურულო შუამავალო! ხალხი ალლაჰის სასჯელით შეაშინე, ვინც არ დაგიჯერებს, აცნობე, რომ აუცილებლად დაისჯებიან. ადიდე შენი გამჩენი და სამოსელი სუფთად გქონდეს“.***

ამის შემდეგ ქვეყნიერების საპატიო შუამავალმა დაიწყო თავისი მისიის განხორციელება და ადამიანებს ისლამის რჯულისკენ მოუხმო. ანგელოზი ჯებრაილი შუამავალს ზოგჯერ ხორცშესხმული ადამიანის ფორმით ეცხადებოდა და ისე შთააგონებდა, ზოგჯერ სიზმარში გამოეცხადებოდა, ზოგჯერ გულით აგრძნობინებდა, ან კიდევ — თავზარდამცემი გუგუნით, რომელიც ზეშთაგონების მიღების ყველაზე ძნელი ფორმა იყო. ამ დროს საყვარელ შუამავალს სიმწრის ოფლი ჩამოდიოდა სახეზე. როდესაც ზეშთაგონება მოევლინებოდა, ისეთ სიმძიმეს გრძნობდა, აქლემზეც რომ მჯდარიყო, ისიც ჩაიჩოქებდა. მასთან ახლოს მყოფი მეგობრებიც გრძნობდნენ ზეშთაგონების სიმძიმეს. ანგელოზი ჯებრაილი რამდენჯერმე გამოეცხადა მუჰამმედს ადამიანის სახით.

უზენაესი ალლაჰი შუამავალ მუჰამმედს მირაჯის (შუამავალი მუჰამმედის ცად ამაღლება) ღამეს ანგელოზის გარეშე, ღია ფარდის წინ, უშუალოდ გამოეცხადა და აუწყა ზეგარდმოვლენა.

პირველი ზეგარდმოვლენის შემდეგ დაიწყო ისლამის ვალდებულების შესრულება წმინდა მუჰამმედ შუამავალმა. ამ წმიდა მოვალეობას ის 23 წელი ასრულებდა. აქედან 13 წელი მექქაში, ხოლო 10 წელი კი მედინაში გაატარა.

წმინდა ყურანი ზეგარდმოვლენა 22 წელს, 2 თვესა და 22 დღეს გაგრძელდა.

წმინდა მუჰამმედი უსწვლელი იყო. მისთვის წერა –კითხვა არავის უსწავლებია. ის მექქაში დაიბადა და გაიზარდა, ღირსეული და გამორჩეული ხალხის გვერდით. ამიტომ მას საკმაო წარმოდგენა ჰქონდა თორასა და ბიბლიაზე. ჰიჯრეთის მეექვსე წელს, ისლამის გაცნობის მიზნით, მუჰამმედ შუამავალმა რომის, ირანის, ეთიოპიისა და სხვა არაბული ქვეყნების ხელმწიფეებს წერილობითი შეტყობინებები გაუგზავნა. მასთან სხვადასხვა სახელმწიფოდან სამოცზე მეტი ელჩი ჩავიდა. ამის შესახებ წმინდა ყურანი გვამცნობს: ***„შენ, სანამ ყურანი ქერიმი მოგევლინებოდა, წიგნი არ წაგიკითხია და მარჯვენა ხელით არ დაგიწერია, რადგან შენ რომ წერაკითხვა გცოდნოდა, სხვებისგან ისწავლაო, იტყოდნენ“.***[1]

წმინდა ჰადისში კი ნაბრძანებია: ***„მე წერა კითხვის უცოდინარი შუამავალი ვარ,... ჩემ შემდეგ სხვა შუამავალი აღარ იქნება. იმავე ყურანით ვიგებთ: „ის*** *(მუჰამმედი, ალლაჰი დალოცავს და მიესალმება მას)* ***დამოუკიდებლად არ ლაპარაკობს, მისი სიტყვები ზეშთაგონებით არის ნაკარნახევი“.***[2]

პირველი მუსლიმანები

პირველი, ვინც ვაჰის (ზეშთაგონება) გარდმოვლენის შემდეგ, ისლამი იწამა, შუამავალის მეუღლე წმინდა ხატიჯე იყო. მან უყოყმანოდ მიიღო ისლამის ყველა პირობა. შუამავალმა მუჰამმედმა – როგორც ანგელოზმა ჯებრაილმა ასწავლა – რიტუალური განწმენდა (აბდესის აღება) გააკეთებინა ხატიჯეს და მათ ერთად ორი მუხლი ნამაზი ილოცეს. ძვირფასმა ხატიჯემ საყვარელი შუამავლის ყველა მითითება უნაკლოდ შეასრულა. ამით, უზენაესი ალლაჰის მოწონება დაიმსახურა. ხატიჯე ყოველთვის მხარში ედგა და ამხნევებდა მუჰამმედს. როცა რომელიმე უგუნური უარყოფდა ისლამს, ან დასცინოდა მუჰამმედს, ხატიჯე მას ანუგეშებდა და თხოვდა, ასეთი ხალხისათვის ყურადღება არ მიექცია. ის ეუბნებოდა: „არ იწყინო, ნუ წუხხარ. ბოლოს ჩვენი რჯული გაძლიერდება და მტრები განადგურდებიან. ხალხი შენ დაგიჯერებს“.

1. სურა ანქებუთ: 48.
2. სურა ნეჯმი; 3-4.

წმინდა ხატიჯემ, ასეთი ქმედებით, ალლაჰი მოიმადლიერა. ერთ დღეს მუჰამმედ შუამავალს ანგელოზი ჯებრაილი გამოეცხადა და უთხრა: ***„ალლაჰის შუამავალო, წმინდა ხატიჯეს აცნობე, რომ ალლაჰმა სალამი შეუთვალა“.*** შუამავალმა წმინდა ხატიჯეს ალლაჰის სალამი გადასცა.

წმინდა ხატიჯეს შემდეგ, პირველი მუსლიმანი შუამავლის ყველაზე ახლო მეგობარი ებუ ბექირია. ებუ ბექირმა გამუსლიმანებამდე ოცი წლით ადრე სიზმარი ნახა: „ზეციდან სავსე მთვარე დაეშვა, წმინდა ქააბას დაადგა, შემდეგ ნაწილ – ნაწილ დაიშალა. დაშლილი ნაწილები მთელ მექქას მოედო. შემდეგ ეს ნაწილები ისევ ერთად შეიკრა და ცად ამაღლდა. მხოლოდ ერთი ნაწილი, რომელიც ებუ ბექირის სახლს დაეცა, ცად არ ამაღლებულა“. წმინდა ებუ ბექირმა ეს რომ ნახა, სახლის კარი დახურა, მთვარის ნაწილი აქედან არ წავიდესო.

ებუ ბექირს აღელვებულს გამოუღვიძია. გათენდა თუ არა, მაშინვე იუდეველ სწავლულთან გაქცეულა და სიზმარი მოუყოლია. სწავლულს უთქვამს, აბდა – უბდა სიზმარია, ახსნა არა აქვსო. მაგრამ ებუ ბექირი არ დაკმაყოფილდა იუდეველის სიტყვებით. ერთხელ, როცა სავაჭროდ იყო წასული, მგზავრობისას ბერი ბაჰირას სახლთან მოუხდა გავლა. თავისი სიზმარი ბაჰირას მოუყვა. ბაჰირამ ვინაობა ჰკითხა. როდესაც ებუ ბექირმა მიუგო ყურაიში ვარო, ბაჰირამ განუმარტა: „იქ, საიდანაც შენ ხარ, შუამავალი მოევლინება სამყაროს, ჭეშმარიტების სხივი მთელ მექქას გაანათებს. შენ, მის სიცოცხლეში შუამავლის ვეზირი, ხოლო გარდაცვალების შემდეგ კი, ხალიფა გახდები“. ებუ ბექირი ბაჰირას მიერ სიზმრის ახსნამ ძალიან გააოცა. მას ეს სიზმარი არავისთვის მოუყოლია.

როცა წმინდა მუჰამედმა თავისი მისიის შესახებ გამოაცხადა, ებუ ბექირი მაშინვე მასთან გაიქცა და ჰკითხა: „ყველა შუამავალს თავისი მისიის დამადასტურებელი მტკიცებულება ჰქონდა, შენ რა მტკიცებულება გაგაჩნია?“ წმინდა შუამავალმა ასე უპასუხა: ***„ჩემი შუამავალობის მტკიცებულება ის სიზმარია, რომლის ახსნაც ერთი იუდეველი სწავლულისგან ითხოვე“.*** მან კი გიპასუხა: ***„არეუ-***

ლი სიზმარია, ახსნა არა აქვსო, ბერმა ბაჰირამ კი სწორად აგიხნა. ახლა მე ალლაჰისა და მისიშუამავლისკენ გიხმობ.“

ებუ ბექირმა შუამავალს ასე მიმართა: „მოწმე ვარ, რომ შენ ალლაჰის შუამავალი ხარ, შენი შუამავლობა ჭეშმარიტი და ქვეყნიერების ნათელი სხივია, მე მზად ვარ გავხდე მუსლიმანი და ვემსახურო ალლაჰს“.

არსებობს კიდევ ერთი ასეთი გადმოცემა. ზეშთაგონებამდე მუჰამმედი და ებუ ბექირი სავაჭროდ იემენში წასულან. ამ დროს იემენში მცხოვრებ, იეზიდის ტომიდან, ერთ-ერთ სწავლულ მოხუცს შეხვედრიან. მოხუცს ძვირფას ებუ ბექირისთვის უთქვამს:„როგორც ვხედავ, შენ მექქელი უნდა იყოო“. ებუ ბექირმა დაუდასტურა. მათ საუბარი გააგრძელეს:

– შენ ყურეიშიდან ხარ?

– დიახ!

– ბენი თემმიმის ხალხიდან ხარ?

– დიახ!

– ერთი ნიშანი კიდევ დარჩა.

– რა არის ეგ ნიშანი?

– მუცელი მაჩვენე, ნახვა მინდა.

– მითხარით რა გაინტერესებთ?

– წიგნებში წავიკითხე, რომ მექქაში შუამავალი მოევლინება სამყაროს, მას ორი პიროვნება დაეხმარება – ერთი მოხუცი, ხოლო მეორე ახალგაზრდა. ახალგაზრდა უამრავი დაბრკოლების გადალახვაში დაეხმარება და გასაჭირში ყოველთვის მის გვერდით იქნება. მოხუცს თეთრი სახის კანი, წმინდა წელი და მუცელზე შავი ხალი ექნება. ვგონებ, ეს პიროვნება შენ უნდა იყო. მუცელი მაჩვენე, ხალი მინდა ვნახო.“.

როცა ებუ ბექირმა მუცელი აჩვენა, მოხუცმა შესძახა: „ალლაჰს ვფიცავარ, ის პიროვნება შენ ხარ”. შემდეგ ებუ ბექირს ბევრი

დარიგება მისცა.

როცა სავაჭროდ წასული ებუ ბექირი მექქაში დაბრუნდა მას უქბე ბინ ები მუაითი, შეიბე, ებუ ჯეჰილი, ებულ ბუჰთერი და სხვა ყურეიშის ავტორიტეტული პიროვნებები ეწვივნენ. ებუ ბექირს გაუკვირდა ასეთი ხალხის სტუმრობა და მიზეზი იკითხა. სტუმრებმა უთხრეს: ***„ებუ ტალიბის შვილი ამბობს, რომ ის შუამავალია. გვეუბნება – თქვენ, თქვენი დედ-მამა და წინაპრები ცრუ რწმენის გზაზე ხართო. შენი რიდით, მას არაფერი ვუთხარით, თორემ ცოცხალს არ დავტოვებდით. რადგან ის შენი მეგობარია, შენ მიხედე“.***

ძვირფასმა ებუ ბექირმა ისინი დაამშვიდა და გააცილა. შემდეგ გაიგო, რომ წმინდა შუამავალი ძვირფასი ხატიჯეს სახლში იმყოფებოდა. ებუ ბექირი მივიდა ხატიჯეს სახლთან და კარებზე დააკაკუნა. კარი შუამავალმა გააღო. ებუ ბექირმა პირდაპირ ჰკითხა მუჰამმედს: „მუჰამმედ, რა ხდება, შენ შესახებ რას ლაპარაკობს ხალხი?“ შუამავალმა მიუგო: ***„მე უზენაესი ალლაჰის შუამავალი ვარ, შენთვის და სრულიად ადამის მოდგმისთვის ვარ მოვლენილი, იწამე შენც, რათა ალლაჰი მოიმადლიერო და სული ჯოჯოხეთისგან გადაირჩინო“.*** ძვირფასმა ებუ ბექირმა ჰკითხა: „რითი დაამტკიცებ ამას?“ „მტკიცებულება ის არის, რასაც იემენელი მოხუცი მოგიყვა.“ – უპასუხა შუამავალმა.

ძვირფასმა ებუ ბექირმა უთხრა: „მე იემენში ძალიან ბევრი მოხუცი და ახალგაზრდა ვნახე“. შუამავალმა უპასუხა: „იმ მოხუცს ვგულსხმობ, რომელმაც ჩემთან თორმეტი ორტაეპაინი ლექსი გამოგატანა“ და ლექსი თავიდან ბოლომდე ზეპირად უთხრა. გაოცებულმა ებუ ბექირმა ჰკითხა: „ეგ შენ ვინ გითხრა?“ – ***„ანგელოზმა მაცნობა, რომელიც ჩემამდე სხვა ყველა შუამავალს ეცხადებოდა“.*** ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ, ებუ ბექირმა დაიჩოქა, მუჰამმედის ხელს მოწიწებით ემთხვია და შთაგონებით წარმოთქვა: ***„ეშჰედუ ენ ლა ილაჰე ილლალლაჰ, ვე ეშჰედუ ენნე მუჰამმედენ აბდუჰუ ვე რესულულლაჰ“*** (არ არსებობს სხვა ღმერთი, გარდა ალლაჰისა და მუჰამმედი არის მისი მოციქული). და მაშინვე იწამა ალაჰი.

ებუ ბექირი ასე გახარებული თავის სიცოცხლეში არ ყოფილა. იგი კმაყოფილი დაბრუნდა სახლში. ამ ფაქტის შესახებ, წმინდა ჰადისში, მუჰამმედი ასე მოგვითხრობს: „ვისაც ალლაჰის რწმენისკენ მოვუწოდებდი, ყველა სახეს მოღუშავდა და ეჭვით შემომხედავდა. ებუ ბექირმა კი ისლამი ყოყმანისა და მერყეობის გარეშე, დიდი სიხარულით მიიღო.“

ერთ დღეს, როცა წმინდა მუჰამმედ შუამავალი მეუღლესთან ერთად ნამაზს ლოცულობდა, წმინდა ალიმ დაინახა და როდესაც ლოცვას მორჩნენ, მათ ჰკითხა: „რას აკეთებთ, ეს რა არის?“ საყვარელმა შუამავალმა მიუგო: „ეს ალლაჰის რწმენაა. ალლაჰის გარდა სხვა ღმერთი არ არსებობს, და შენც, ალლაჰის რწმენისკენ მოგიწოდებ“. წმინდა ალი მაშინ თორმეტი წლის იყო. ბავშვს გადაწყვეტილების მიღება დამოუკიდებლად არ შეეძლო და მშობლებს ვკითხავო, უთხრა შუამავალს. შუამავალმა თხოვა: „თუ ალლაჰს არ იწამებ, მაშინ ამ საიდუმლოების შესახებ არავის უთხრა”. მეორე დღეს, დილით, ალი მივიდა შუამავალთან და თხოვა ესწავლებინა წესები. ამის შემდეგ მან ისლამი მიიღო. წმინდა ალი რიგით მესამე იყო, ვინც მუსლიმანობა მიიღო. ამის შემდეგ, წმინდა ალი, ალლაჰის შუამავლის ერთგული პიროვნება გახდა და ყოველთვის მხარში ედგა მუჰამმედს.

ზეიდ ბინ ჰარისე მეოთხე ადამიანი იყო, ვინც მუსლიმანობა მიიღო. მასთან ერთად მისმა მეუღლემაც იწამა ისლამი.

გამუსლიმანების შემდეგ, წმინდა ებუ ბექირი თავის ყველაზე ახლო და საყვარელ მეგობრებს მოუწოდებდა ისლამი მიეღოთ. მან შეძლო ბევრი მათგანის დარწმუნება. ესენი ესჰაბი ქირამის ტომის წარჩინებულებულთაგან ყველაზე გამორჩეული და ავტორიტეტული პირები იყვნენ: ოსმან ბინ აფფან, ტალჰა ბინ უბეიდულლაჰ, ზუბეირ ბინ ავვამ, აბდურრაჰმან ბინ ავფ, სად ბინ ები ვაყყასი. წმინდა ხატიჯეს გამუსლიმანების შემდეგ, ზემოთ ჩამოთვლილი რვა პიროვნება იყვნენ პირველები, რომლებიც გამუსლიმანდნენ. მათ „საბიყუნი ისლამ“ ანუ პირველი მუსლიმანები ეწოდათ.

წმინდა ოსმანი თავისი გამუსლიმანების შესახებ ასე გვიამბობს: „მკითხავი ბიცოლა მყავდა. ერთ დღეს მის სანახავად წა-

ვედი. მან ასე მითხრა: „შენ ისეთ ქალს შეირთავ ცოლად, რომ უკეთესს ვერც კი ინატრებ. ის ძალიან ლამაზი და ღვთისმოსავი ქალი და დიადი შუამავლის შვილია“. ბიცოლას ასეთი საუბრით გაკვირვებული დავრჩი. მან გააგრძელა:„უკანასკნელი შუამავალი მოევლინა სამყაროს. მან ზეშთაგონება მიიღო“. ასეთი რამ ჯერ ქალაქში არ მსმენია და უფრო გასაგებად ამიხსენი ყველაფერი – მეთქი, ვთხოვე ბიცოლას. მან მითხრა: „მუჰამმედ ბინ აბდულლაჰს შუამავლობა ეუწყა. ის უკვე მოუწოდებს ხალხს ჭეშმარიტი რწმენისკენ. სულ მალე მისი რჯულით სამყარო განათდება. ვინც წინააღმდეგობას გაუწევს, მას ცუდი დღე დაადგება“. ბიცოლას ამ სიტყვებმა ძალიან იმოქმედა ჩემზე. საგონებელში ჩავვარდი. მე და წმინდა ებუ ბექირი ძალიან კარგი მეგობრები ვიყავით. გადავწყვიტე, ამ საკითხზე სალაპარაკოდ მასთან მივსულიყავი. ებუ ბექირს მოვუყევი, რაც ბიცოლაჩემმა მითხრა. მან ყურადღებით მომისმინა და მითხრა: „ოსმან! შენ ჭკვიანი კაცი ხარ და უნდა მიხვდე, რომ არ შეიძლება უსულო და ხილულ საგნებს ღვთაება უწოდო“. „შენ მართალი ხარ ებუ ბექირ“, – ვუთხარი მე.

ებუ ბექირმა ოსმანს ისლამის წესები აუხსნა და ის ყველა სულიერისა და ადამიანების შუამავალ წმინდა მუჰამმედთან წაიყვანა. საყვარელმა შუამავალმა ოსმანს ასე მიმართა: ***„ოსმან! უზენაესი ალლაჰი შენ სამოთხეში გიწვევს, შენც მიიღე მიპატიჟება! მე, ყველა ადამიანს სწორი გზის მაჩვენებლად მოგევლინეთ.“***

წმინდა ოსმანი დიდად მოიხიბლა ალლაჰის შუამავლის ტკბილი საუბრითა და კეთილი ქცევით. მან მაშინვე შთაგონებით წარმოთქვა: ,,ეშჰედუ ენ ლა ილაჰე ილლალლაჰ, ვე ეშჰედუ ენნე მუჰამმედენ აბდუჰუ ვე რეჰულულლაჰ” და ისლამი მიიღო.

წმინდა მუჰამმედი, პირველი სამი წლის განმავლობაში, ადამიანებს ისლამისკენ ფარულად მოუწოდებდა. ადამიანები თავდაპირველა, უნდობლად უყურებდნენ ამ ყველაფერს. ამ ხნის განმავლობაში მუსლიმანთა რიცხვმა ოცდაათს ძლივს მიაღწია. ისინი სახლში ფარულად ლოცულობდენენ და ყურანის აიათებს ჩუმად იზეპირებდნენ.

ახლო ნათესავების მოხმობა

ალლაჰის შუამავალმა, წმინდა მუჰამმედმა, მუდდესირის სურას პირველი აიათების გარდმოვლენი შემდეგ, ისლამის რჯულის აღიარებისაკენ ფარული მოწოდება დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ კი შუარა სურას 214-ე აიათი ებოძა, სადაც ალლაჰი ბრძანებს: ***„ახლო ნათესავები ალლაჰის სასჯელით შეაშინე და მათ ჭეშმარიტ რწმენისაკენ მოუწოდე“.*** ამის შემდეგ მუჰამმედმა წმინდა ალის დაავალა, ყველა ახლო ნათესავი ებუ ტალიბის სახლში მოეწვია. შეკრებილი სტუმრები სუფრასთან დასხდნენ. სუფრაზე ერთი თეფში საჭმელი და ერთი თასი რძე იყო. მუჰამმედი სუფრას მიუჯდა, ალლაჰის სახელი ახსენა, ერთი ლუკმა შეჭამა და შემდეგ მოწვეულ ნათესავებს თხოვა, რომ მათაც ეჭამათ. სტუმრების გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ნახეს, რომ ერთი კაცის სამყოფი საჭმლით ორმოცი კაცი დანაყრდა. სადილის შემდეგ მუჰამმედს სურდა თავისი ნათესავებისთვის ისლამის რჯული აღიარებისკენ მოეწოდებინა. ის იყო საუბარი უნდა დაეწყო, რომ რომ ბიძამისმა ებუ ლეჰებმა ღვარძლიანად და დაცინვით თქვა: ,,ჩვენ, დღემდე, ასეთი გრძნეულობა არსად გვინახავს. ჩვენმა ნათესავმა მოგაჯადოვათ. ჩემო ძმისშვილო! შენ უბედურებასა და გაჭირვებას მოგვიტან“.

განაწყენებულმა შუამავალმა ებუ ლეჰებს ასე მიმართა: ***„შენ, ისეთი მკრეხელობა ჩაიდინე, რაც არცერთ ყურაიშს და არცერთ არაბი ტომის წარმომადგენელს არ გაუკეთებია“.*** სტუმრები ისე დაიშალნენ, რომ ისლამის მიღების სურვილი არცერთს გასჩენია. ამ შემთხვევიდან ცოტა ხნის შემდეგ, მუჰამმედმა ისევ გადაწყვიტა ახლო ნათესავების მოწვევა. მათი დაპატიჟება ისევ ალის თხოვა. სტუმრებს ისევ ისე მიართვა საჭმელი. ჭამის შემდეგ, შუამავალი ფეხზე წამოდგა და წარმოსთქვა: ***„ქება-დიდება მხოლოდ ალლაჰისთვის არის განკუთვნილი. დახმარებას მხოლოდ მას ვთხოვ, მისი მწამს და მისი მფარველობის იმედი მაქვს. ჭეშმარიტად ვიცი და თქვენც გეუბნებით, რომ ალლაჰის გარდა სხვა ღვთაება არ არსებობს. ის ერთადერთია, მას შემცვლელი და მსგავსი არ ჰყავს. არავითარ შემთხვევაში ტყუილს არ გეუბნებით, სიმართლეს გაცნობებთ, თქვენ ერთადერთ უზენაესი ალლაჰის რწმენისკენ გიხმობთ, მე***

მის მიერ მთელი კაცობრიობისათვის მოვლენილი შუამავალი ვარ. ვფიცავ, რომ როგორც ძილს მიეცემით, ისევე მოკვდებით, და ისე გაცოცხლდებით, როგორც იღვიძებთ ხოლმე, შემდეგ კი ყველა თქვენი ნამოქმედარის გამო პასუხი მოგეთხოვებათ. სიკეთის სანაცვლოდ ჯილდოს, ხოლო ბოროტების სანაცვლოდ კი სასჯელს მიიღებთ. ეს კი მარადიული სამოთხე, ან კიდევ მარადიული ჯოკოხეთი იქნება. ადამიანთაგან პირველები ხართ, ვისაც საიქიოს სასჯელის შესახებ ველაპარაკები".

ებუ ტალიბმა, ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ წარმოთქვა: „ჩემო ძვირფასო ძმისშვილო! ვერ წარმომიდგენია შენს დახმარებაზე ძვირფასი რამ თუ არსებობს. შენი დარიგება გავითავისეთ და დავიჯერეთ. შენს სიტყვებს კი გულით ვემოწმებით. ახლა აქ შეკრებილნი, ყველანი ბაბუაშენ, აბდულმუტტალიბის შვილიშვილები არიან. უეჭველია, რომ მეც ერთ-ერთი მათთაგანი ვარ. შენ რასაც ისურვებ, ამათგან უპირველესად მე გავაკეთებ. სიტყვას გაძლევ, რომ შენ დასაცავად ერთ წამითაც კი უკან არ დავიხევ. შენ გააგრძელე იმის კეთება, რაც გებრძანა, მაგრამ ძველი რწმენის შეცვლის შესახებ არ ვიცი, სული რატომღაც არ მემორჩილება".

გარდა ებუ ლეჰებისა იქ მყოფმა ყველა ნათესავმა ტკბილად ილაპარაკა, მაგრამ ებუ ლეჰებმა შეკრებილთ მუქარით მიმართა: „აბდულმუტტალიბის შვილებო! სანამ მას სხვა შეუშლის ხელს, თქვენ აღუდექით წინ. თუ დღეს მის ნათქვამს დაეთანხმებით, შერცხვენილი დარჩებით და თავი მოგეჭრებათ. თუ მის დაცვას განიზრახავთ, ყველანი დაიღუპებით". ებუ ლეჰებს შუამავლის ბიცოლამ შემდეგნაირად გასცა პასუხი: „ჩემო ძმაო! ძმისშვილის ან მისი რჯულის დახმარების გარეშე დატოვება შეგშვენის? გეფიცებით, რომ დრევანდელი სწავლულები აბდულმუტტალიბის მოდგმიდან შუამავლის მოვლენის შესახებ გვაცნობებენ".

ებუ ლეჰებმა ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ უხამსი ლაპარაკი გააგრძელა. ებუ ტალიბი ებუ ლეჰებს გაბრაზებული მიუბრუნდა და უთხრა: „მშიშარავ! ვფიცავ, სანამ ჩვენ ცოცხალი ვართ, მისი დამხმარე ვიქნებით და დავიცავთ კიდეც". შემდეგ კი მუჰამმედ

შუამავალს მიუბრუნდა: „ჩემო ძმისშვილო! როცა ხალხს გამჩენის რწმენისკენ მოუწოდებ, გვაცოდინე, იარაღს ავისხამთ და მაშინვე შენთან ერთად წამოვალთ“. ბოლოს ქვეყნიერების ბატონმა წმინდა მუჰამმედმა აიღო სიტყვა: ***„აბდულმუტტალიბის შვილებო! ვფიცავ, არაბთა შორის, ის, რაც თქვენ ამ ქვეყნისა და საიქიოს სიკეთისათვის მოგიტანეთ, მასზე უკეთესი არცერთ ადამიანს თავის ხალხისთვის არ მოუტანია. მე თქვენ ადვილად წარმოსათქმელ, მაგრამ სასწორზე მძიმედ დამწოლ, ორი სიტყვის თქმისკენ მოგიწოდებთ. ეს სიტყვები კი იმაში მდგომარეობს, რომ ალლაჰის გარდა, სხვა ღვთაება არ არსებობს და მე მისი მონა-მსახური და შუამავალი ვარ. მაშ ასე, რომელი თქვენგანი დაეთანხმება ჩემს მოწოდებას და ამ გზაზე დახმარებას გამიწევს?“*** – დასვა კითხვა შუამავალმა. ყველა გაჩუმდა და მის წინ თავები დახარეს. შუამავალმა ეს სიტყვები სამჯერ გაიმეორა, სამივეჯერ წმინდა ალი ფეხზე დგებოდა, ბოლოს წარმოთქვა: ***„ალლაჰის შუამავალო! ამათთან შედარებით რამდენადაც ასაკით პატარა უნდა ვიყო, შენ მე დაგეხმარები“.*** ამ სიტყვების გაგონებაზე შუამავალმა ალის ხელი მოჰკიდა, სხვები კი გაოგნებულები დაიშალნენ.

უზენაესი ალლაჰის საყვარელი შუამავალი ნათესავების ასეთმა დამოკიდებულებამ ძალიან გაანაწყენა, მაგრამ მათი ჯოჯოხეთისგან გადასარჩენად ქადაგება უშიშრად გააგრძელა.

მისიის დაწყებიდან მეოთხე წელს ალლაჰმა ჰიჯრ სურას 94 აიეთი გარდმოავლინა. აიეთში ასეა ნაბრძანები: „(საყვარელო შუამავალო!) ***შენ რაც გებრძანა*** (ბრძანებები და აკრძალულები) ***ის აცნობე. სიმართლე სიცრუისგან განაცალკევე, მტრებს განერიდე*** (მათ სიტყვებს ყურადღება არ მიაქციო)“. როცა ღვთიური ბრძანება ეუწყა, საყვარელმა შუამავალმა მექქელების ისლამისკენ მოხმობა უკვე აშკარად დაიწყო. ერთ დღეს საფას მთაზე ავიდა და იქედან მოუწოდა ხალხს: ***„ყურაიშებო, აქ შეიკრიბეთ და მომისმინეთ!“.*** როცა ტომები შეიკრიბნენ, მათ ასე მიმართა: ***„ხალხო, საერთოდ ჩემგან ტყუილი გსმენიათ?“*** ყველამ ერთხმად უპასუხა: „არა, არ გვსმენია“ შემდეგ მან განაგრძო: ***„უზენაესმა ალლაჰმა მე შუამავლობა მიწყალობა და თქვენთვის მომავლინა“.*** ამის შემდეგ კი არაფ სურას 158-ე აიეთი წაუკითხა: ***„საყვარელო შუამავალო, მათ აცნო-***

ბე: „ადამიანებო! მე ყველა თქვენთაგანისთვის მოვლენილი შუამავალი ვარ. ის, უზენაესი ალლაჰი ცისა და დედამიწის ბატონ-პატრონი და მმართველია, მის გარდა სხვა სათაყვანებელი არ არსებობს. ყოველი ცოცხალი არსების სულის ამრთმევი და გამაცოცხლებელი ის არის“. მსმენელთაგან ებუ ლეჰები გაბრაზდა, ჩემი ძმისშვილი გადარეულაო, ვინც ჩვენს კერპებს არ სცემს თაყვანს და ჩვენი რჯულის მოღალატეა მის სიტყვას არ მოუსმინოთო, ასეთი ლანძღვით იყვირა. იქ მყოფნი დაიშალნენ ისე, რომ არავინ დარჩა შუამავლის ერთგული და დამჯერი. მიუხედავად იმისა, რომ შუამავალს, სიმართლის მთქმელად და მაღალი ზნეობის მქონედ იცნობდნენ, მაინც ყველამ პირი იბრუნა და გადაემტერნენ კიდეც მას.

ერთ დღეს გამჩენის მიერ შემდეგი ნაბრძანების შესასრულებლად ***„რაც გებრძანა, ის შეატყობინე!“*** საფას მთაზე ხელმეორედ ავიდა და ხმამაღალი ხმით წარმოთქვა: ***„ხალხო! მოდით აქ, შეიკრიბეთ, თქვენთვის მნიშვნელოვანი ამბავი მაქვს“.*** ამ ხმის გაგონებაზე არაბი ტომები სწრაფად შეიკრიბნენ და დიდი ინტერესით დაიწყეს ლოდინი. ვინც ვერ მოახერხა მოსვლა, მათ თავიანთი კაცები გამოაგზავნეს, რათა გაეგოთ თუ რაში იყო საქმე. მოსულებმა შუამავალს მიმართეს: „მუდამ სიმართლის მთქმელო, მუჰამმედ! რატომ შეგვკრიბე, რა უნდა გვაცნობო?“ შუამავალმა ყურაიშებს ასე მიმათა: ***„ყურეიშელო ხალხო! ჩემი და თქვენი მდგომარეობა ასეთია: მტერი რომ დავინახოთ, მტერმა სახლში ჩვენზე ადრე არ მივიდეს და ოჯახს ზიანი არ მიაყენოსო, ხალხო ყვირილით სახლში გავიქცევით (ალყაში ვართ, უკვე გათენდა შეტაკებისთვის მოემზადეთ). ეი, ყურეიშელებო! ახლა თქვენ ამ მთის უკან მტრის ჯარი დგას და სადაცაა თავს უნდა დაგესხათო რომ გითხრათ, დამიჯერებთ?“*** ხალხმა ერთხმად იყვირა: - დიახ, დაგიჯერებთ! რადგან შენგან დღემდე სიამრთლის თქმის გარდა სხვა არაფრის მომსწრენი არ ვართო. - უპასუხეს შეგროვილებმა.

ამის შემდეგ თითოეული არაბი ტომის სახელები წარმოსთქვა: ***„ჰაშიმის შვილებო, აბდ მენაფის შვილებო, აბდულმუტტალიბის შვილებო! მე თქვენი მომავალი, უეჭველი სასჯელის მაცნე ვარ. უზენაესმა ალლაჰმა ჩემი ახლო ნათესავების ჯოჯოხეთის სასჯელით შეშინება მიბრძანა. მოგიწოდებთ, რათა „ლა ილაჰე ილლელლაჰ***

ვეჰდეჰუ ლა შერიქელე“ - „ალლაჰი ერთადერთია, ალლაჰის გარდა სხვა ღვთაება არ არსებობს“ – წარმოთქვათ და მიიღოთ ისლამი. მე კი მისი მონა და შუამავალი ვარ. თუ დამიჯერებთ, სამოთხეში წახვალთ. თქვენ სანამ აღიარებთ, რომ ალლაჰის გარდა სხვა ღვთაება არ არსებობს, მე თქვენ ვერც ამ ქვეყნად და ვერც საიქიოს ვერანაირად დაგეხმარებით“. მსმენელთაგან ებუ ლეჰები გაბრაზდა და ჰკითხა: „ჩვენ ამისათვის შეგვკრიბე?“ შემდეგ ქვა აიღო და საყვარელ შუამავალს ესროლა. სხვებისგან ასეთ წინააღმდეგობას არ ჰქონია ადგილი, ბოლოს შეკრებილები ლაპარაკ-ლაპარაკით დაიშალნენ.

მარჯვენა ხელში მზე რომ მომცენ

საყვარელი შუამავალი ამ ამბის შემდეგ, სადაც კი ხალხს ნახავდა, ისლამისკენ მოუწოდებდა. სულიერი მოთხოვნილებებისგან უეჭველი გადარჩენა, დესპოტიზმისგან და სხვა ყოველგვარი ცუდისგან შორს დგომა მხოლოდ უზენაესი ალლაჰის რწმენით იქნებოდა შესაძლებელი. სულიერ მოთხოვნილებებსა და სიამოვნებას აყოლილები, სუსტების მჩაგვრელები და შმაგები ამ მოწოდებას სასტიკად შეეწინააღმდეგნენ. როდესაც თქვეს, რომ ყველაფერ ამას ბოლო უნდა მოეღოსო, შუამავალი მუჰამმედის მოწოდებები უარჰყვეს და ვინც მისი იწამა, მათაც გადაემტერნენ

პოლითეისტები თავდაპირველად დასცინოდნენ შუამავალს, შემდეგ გადაწყვიტეს, რომ ზეწოლითა და წამებით შეეცვალათ ვითარება. მათ მორწმუნეების რწმენის ჩახშობა და ისლამის გავრცელების პროცესის ჩაქრობა უნდოდათ. ყველაფერ ამას სათავეში ედგნენ: ებუ ჯეჰილი, უთბე, შეიბე, ებუ ლეჰები, უქბე ბინ ები მუაითი, ას ბინ ვაილი, ესვედ ბინ მუტტალიბი, ესვედ ბინ აბდი იაგვესი და ველიდ ბინ მუღირე.

ერთ დღეს უთბე, შეიბე და ებუ ჯეჰილი, ებუ ტალიბთან მივიდნენ და უთხრეს:„ შენ ჩვენზე უფროსი ხარ, შენ ყოველთვის პატივს გცემთ და გაფასებთ. როგორც ვხედავთ, შენმა ძმისშვილმა ახალი რწმენა ჩამოაყალიბა, ჩვენს კერპებს შეურაცხოფას აყენებს და ურწმუნოებაში გვდებს ბრალს. დაარიგე, რათა ამ საქმისგან ხელი

აიღოს და თუ არ აიღებს ხელს, შემდეგში ჩვენ ვიცით, რა ბედიც ეწვევა“. ებუ ტალიბმა ისინი დააწყნარა, გააცილა და ამ ამბავმა შუამავალ მუჰამმედს არ აწყენინოსო, არ გააგებინა. წარმართები რამდენიმე ხნის შემდეგ ხელმეორედ შეიკრიბნენ და ებუ ტალიბთან მივიდნენ: „ამასწინათ შენთან მოვედით და მდგომარეობა გაცნობეთ, შენ კი ჩვენი სიტყვა არაფრად ჩააგდე. ის ისევ ჩვენი კერპების დამცირებასა და ლანძღვას აგრძელებს. უკვე აღარ შეგვიძლია. ორივე თქვენთაგანს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე გებრძოლებით! მექქაში ან ის, ან ჩვენ დავრჩებით“. ებუ ტალიბმა კიდევ სცადა მათი დაწყნარება, მაგრამ ამაოდ.

მას არც ალლაჰის შუამავლის წყენინება უნდოდა და არც ხალხს შორის მტრობის ჩამოვარდნა. შუამავალთან მივიდა და უთხრა: „მუჰამმედ! მთელი ხალხი შენ წინააღმდეგ გაერთიანდა და ჩემთან საჩივლელად მოვიდნენ. ნათესაობაში მტრობა კარგი არ არის. არ მოსწონთ, რომ მათ ურწმუნოს უწოდებ და შეურაცხყოფას აყენებ“. ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ, საყვარელმა შუამავალმა ებუ ტალიბს ასე უთხრა: ***„ბიძაჩემო! ეს იცოდე, მარჯვენა ხელში მზე, ხოლო მარცხენა ხელში მთვარე რომ მომცენ*** (რა სიმდიდრესაც უნდა შემპირდნენ)***, მე ამ მისიას და რწმენისკენ ხალხის მოხმობას უკან არ შევწყვეტ. ან ალლაჰის რჯულს მთელ ქვეყანაზე გავავრცელებ, ან ამ გზაზე თავს გავწირავ“.*** შემდეგ თვალცრემლიანი მუჰამმედი ფეხზე წამოდგა, როცა ებუ ტალიბმა დაინახა, რომ ალლაჰის შუამავალს ეწყინა, ინანა, რაც უთხრა, მივიდა, კისერზე შემოეხვია და მიმართა: „ჩემო ძმისშვილო! შენი გზა გააგრძელე, რაც გინდა აკეთე, ხოლო მე, სანამ ცოცხალი ვიქნები, შენს მფარველად მიგულე!“

როდესაც წარმართთაგან ათმა ავტორიტეტულმა პიროვნებამ გაიგო, რომ ებუ ტალიბი წმინდა მუჰამმედს მფარველობდა, უმარე ბინ ველიდის თანხლებით მასთან წავიდნენ და უთხრეს: „ებუ ტალიბ! როგორც იცი უმარე მექქას ახალგაზრდათა შორის ყველაზე უფრო მოხდენილი, ძლიერი და კარგი ზნეობის ახალგაზრდაა. ამასთან ერთად პოეტია. უმარეს მოგცემთ და შენს საქმეებში გამოიყენე, სანაცვლოდ კი მუჰამმედი მოგვეცი, უნდა მოვკლათ.

აჰა, შენ ადამიანის სანაცვლოდ ადამიანი, მეტი რაღა გინდა?“ ეს ხომ რაღაც აბსურდული შეთავაზებას წარმოადგენდა, რომელზეც თანხმობა წარმოუდგენელი იყო. ებუ ტალიბი ამ სიტყვებმა საშინლად გააბრაზა და მათ უთხრა: „თავდაპირველად თქვენი შვილები მომიყვანეთ, მათ მოვკლავ, ჩემს ძმისშვილზე მერე ვილაპარაკოთ“. წარმართები მიხვდნენ, რომ საქმე გართულდა. ებუ ტალიბმა განაცხადა: „ვფიცავ, რომ ჩემი ძმისშვილი ყველა თქვენს შვილზე უკეთესია. ე.ი. თქვენ, თქვენი შვილი უნდა მომცეთ და გამომაკვებინოთ, სანაცვლოდ კი ჩემი უძვირფასესი შვილი წაიყვანოთ და მოკლათ არა?.. დედა აქლემსაც კი თავის შვილის გარდა, სხვა არ ენატრება და არ იცავს. თქვენი საქმე კი ყოველგვარი აზროვნებისა და ლოგიკისგან ძალიან შორს დგას. საქმე კალაპოტიდან ამოვარდა უკვე, აწი, ვინც ჩემი ძვირფასი ძმისშვილის მტერი იქნება, მეც მისი მტერი ვიქნები. ეს ასე დაიმახსოვრეთ და თქვენ, რაც გამოგივათ, ის გააკეთეთ“. წარმართები გაშმაგებული წამოვარდნენ და იქაურობას გაეცალნენ. ებუ ტალიბმა კი მაშინვე აბდულმუტტალიბის შვილები შეკრიბა, ვითარება გააცნო და საყვარელ შუამავლის დასახმარებლად დაითანხმა. გარდა ებუ ლეჰებისა, ყველანი წარმართების წინააღმდეგ გაერთიანდნენ და შეჰფიცეს, რომ ვინც ალლაჰის შუამავლის მოსაკლავად ხელს აღმართავდა, მას მკვლავები დაემტვრეოდა. ებუ ტალიბმა მათ განუცხადა: „მამაცნო, ხვალ ყველა თქვენთაგანმა წელზე ხმლები აისხით და მე გამომყევით!“ მეორე დღეს ებუ ტალიბი შუამავალ მუჰამმედთან მივიდა, შემდეგ ყველა ერთად ჰარემი შერიფისაკენ წავიდნენ, ჰაშიმისშველები მათ უკან მიჰყვებოდნენ, ქააბეში მივიდნენ და წარმართთა წინაშე წარსდგნენ. ებუ ტალიბმა მათ განუცხადა: „ჰეი, ყურაიშებო, როგორც გავიგე, ჩემი ძმისშვილის მოკვლა გადაგიწყვეტიათ, იცით თუ არა, რომ ეს ხმლებშესხმული ახალგაზრდები ჩემს მინიშნებას მოუთმენლად ელოდებიან? გეფიცებით, რომ თუ მუჰამმედს მოკლავთ, არცერთ თქვენგანს ცოცხალს არ დაგტოვებთ!“ ამის შემდეგ, საყვარელი შუამავალის შესახებ სახოტბო ლექსების კითხვა დაიწყეს. ებუ ლეჰების მეთაურობით იქ მყოფნი ყველანი დაიშალნენ.

ჩაგვრა, წამება და დესპოტიზმი

ყურაიშთა ავტორიტეტული წარმომადგენლები, შუამავალ მუჰამმედს სადაც მარტოდ ნახავდნენ, უკვე თავს ესხმოდნენ, შეურაცყოფას აყენებდნენ, უფრო მეტი, დარტყმასაც კი ცდილობდნენ. არც მის მეგობრებს აკლებდნენ წამებას. ერთ დღეს წარმართები ქააბესთან ისხდნენ. მათ შუამავალი მუჰამმედის შესახებ ასე დაიწყეს საუბარი: „ჩვენ რომ მის მიმართ მოთმინება გამოვიჩინეთ, ისე არავის მიმართ არ მოგვითმენია. სულელს გვინოდებს, ჩვენს ღმერთებს არაფრად აგდებს და ცუდად მოიხსენიებს. რჯულს გვირცხვენს, მრევლი გაგვიყო, მაგრამ მაინც ვითმენთ და არაფერს ვამბობთ“. ამ დროს ალლაჰის საყვარელი შუამავალი ქააბას მოსანახულებლად მოსულიყო, მან “ჰაჯერულ ესვედს” (შავი ქვა) აკოცა და ქააბას გარშემოვლის რიტუალი დაიწყო. როცა მათ გვერდით გაიარა, წარმართებმა შეურაცმყოფელი სიტყვები დააყარეს, ალლაჰის შუამავალი ამან ძალიან გაანაწყენა მაგრამ არაფერი უთქვამს და ქააბას გარს შემოვლის რიტუალი გააგრძელა. როდესაც მათ მესამეჯერ გაუსწორდა, სიტყვით მიმართა: ***„ყურაიშებო, მომისმინეთ! ჩემი სულის მბრძანებელ ალლაჰს ვფიცავ, რომ თქვენს შესახებ მაუწყა მიმოიბნევიანო“.*** წარმართებმა ველარ გაიგეს რა გაეკეთებინათ, გაოგნებულნი გაშეშდნენ, ერთი სიტყვაც კი ვერ წარმოთქვეს. მხოლოდ შემდეგში ებუ ჯეჰილი შუამავალთან მივიდა და თხოვა: „(ებულ ყასიმ) ყასიმის მამავ! უცხო არა ხარ, ჩვენს უხეშ ქცევებს ნუ მიაქცევ ყურადღებას, შენ ღვთისმსახურება გააგრძელე, იმდენად უცოდინარი არა ხარ, რომ ჩვენ დაგვიჯერო“. ამის მოსმენის შემდეგ წმინდა მუჰამმედ შუამავალი იქიდან წავიდა.

მეორე დღეს წარმართნი იგივე ადგილას შეკრებილიყვნენ და წმინდა შუამავლის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობდნენ. ამ დროს ისიცმიბრძანდა. წარმართებმა შუამავალი რომ დაინახეს, მაშინვე თავს დაესხნენ. მათ შორის ყველაზე საშინელმა უქბე ბინ მუაითმა საყვარელ შუამავალს ხელი საყელოზე ჩასჭიდა და იმდენად მოუჭირა ყელში, რომ შუამავალმა სული ველარ მოითქვა. ამ დროს ებუ ბექირმა მიუსწრო და დაიძახა: „ჩემი გამჩენი ალლაჰის შუამავალი უნდა მოკლათ? მან თქვენ, სამყაროს გამჩენ და ბატონ-

პატრონისგან აიათები მოგიტანათ“. და შუამავლის დასაცავდ ჩხუბში სწრაფად შეიჭრა. კერპთაყვანისმცემლები საყვარელ შუამავალს შეეშვნენ, ებუ ბექირს დაესხნენ თავს და დალოცვილ თავზე მუშტებსა და ფეხებს ურტყამდნენ. უბედურმა უთბე ბინ რებიამ წმინდა ებუ ბექირს ფეხები ურტყა და სისხლით ისე შეუღება სახე, რომ კაცი ველარ იცნობოდა თეიმისშვილებს რომ არ მიესწროთ და არ გაეშველებინათ, სიკვდილამდე ურტყამდნენ, ალბათ. ქანცგაწყვეტილი ებუ ბექირი მისი ტომის ხალხმა ზეწარში შეახვია და სახლში წაიყვანეს. შემდეგ სასწრაფოდ ქააბაში დაბრუნდნენ და წარმართთ განუცხადეს: „ებუ ბექირი, რომ მოკვდეს, გეფიცებით, რომ უთბეს ჩავაძაღლებთ!“ - შემდეგ ისევ ებუ ბექირთან დაბრუნდნენ.

ებუ ბექირი დიდხანს გონს ვერ მოეგო. მამამ და თეიმელისშვილებმა მის მოსაბრუნებლად ბევრი იზრუნეს, მაგრამ იგი საღამოს ძლივს მოეგო გონს. თვალები გაახილა თუ არა, დაუძლურებული ხმით შემდეგის თქმა ძლივს შეძლო: „ალლაჰის შუამავალი როგორ არის? რას აკეთებს? მას ენა წაუგრძელეს, შეურაცხყოფა მიაყენეს“. ებუ ბექირს არაფრის თავი არ ჰქონდა, არც არაფრის ჭამა და სმა უნდოდა. ხალხი როცა წავიდა და სახლი დაცარიელდა, დედამ ჰკითხა: „რას შეჭამ, რას დალევ?“ მან თვალები გაახილა და ისევ იკითხა, ალლაჰის შუამავალი როგორ არის, რას აკეთებსო? დედამ უპასუხა, ვფიცავ, შენი მეგობრის შესახებ არაფერი არ ვიციო. ებუ ბექირმა უთხრა: „წადი და ალლაჰის შუამავლის შესახებ ჰატტაბის ქალიშვილს, უმმუ ჯემილეს ჰკითხე“.

უმმუ ჯემილე ომარის მუსლიმანი და იყო. ებუ ბექირის დედა უმმულ ჰაირა ადგა, უმმუ ჯემილესთან წავიდა და უთხრა: „ჩემს შვილ, ებუ ბექირს ალლაჰის შუამავალის მდგომარეობა აინტერესებს, ნეტავი როგორ არის?“ უმმუ ჯემილემ უპასუხა: „მე არც წმინდა მუჰამმედის და არც ებუ ბექირის შესახებ არაფერი ვიცი, თუ ისურვებ ერთად წავიდეთ“. უმმულ ჰაირაც დათანხმდა და ორივენი და ებუ ბექირთან წავიდნენ. უმმუ ჯემილემ, როცა მართალისმთქმელი ებუ ბექირი დაჭრილ-დალურჯებული დაინახა, თავი ველარ შეიკავა და იკივლა: „ვინც ასე მოგექცა, ის ხალხი ნამდვილად შმაგი და თავხედია. ალლაჰს ვთხოვ, მათ საპასუხო

მიუზღოს“. ებუ ბექირმა უმმუ ჯემილეს ჰკითხა, შუამავალი მუ-ჰამმედი როგორ არის, რას აკეთებსო? უმმუ ჯემილემ თქვა: „დე-დაშენი აქ არის, ესმის ყველაფერი რასაც ვიტყვი“. ებუ ბექირ-მა მიუგო:„ მისგან არანაირი ზიანი არ მოგელის, საიდუმლოებას არ გასცემს“. მაშინ უმმუ ჯემილემ უპასუხა: „შუამავალი კარგად არის, ერქამის სახლშია“. წმინდა ებუ ბექირმა თქვა: „სანამ მას ჩემი თვალით არ ვნახავ, არც ვჭამ და არც არაფერს დავლევ!“ ის დედისა და უმმუ ჯემილეს დახმარებით ალლაჰის შუამავალთან მივიდა, მოეხვია, აკოცა და მუსლიმან ძმებს გადაეხვია. შუამა-ვალმა მუჰამმედმა წმინდა ებუ ბექირი ასეთ მდგომარეობაში რომ ნახა, ძალიან ეწყინა.

წმინდა მუჰამმედის სახლი, მისი დაუძინებელი მტრების ებუ ლეჰებისა და ებუ ჯეჰილის სახლებს შორის იდგა.. ესენი ყოველ ხელსაყრელ მომენტს უცდიდნენ, შუამავალი რომ ეწვალებინათ, უფრო მეტიც, ღამ-ღამობით საქონლის განავალს შუამავლის კა-რის წინ ჰყრიდნენ. ბიძა ებუ ლეჰები ამითაც არ დაკმაყოფილდა და მეზობელ ადიეს სახლიდან ქვას ესროდა. მას არც მეუღლე, უმმუ ჯემილეც ჩამორჩებოდა და მოკრეფილ ეკლებს იმ გზაზე ყრიდა, სადაც შუამავალს უნდა გაევლო. ერთ დღეს ებუ ლეჰებს შეგროვილი განავალი შუამავლის კარის წინ უნდა დაეყარა, რო-დესაც იგი ჰამზამ შენიშნა. მაშინვე გაიქცა, ძმასთან მივიდა და მოტანილი განავალი თავზე დააყარა.

ებუ ლეჰებისა და მეუღლის ასეთი საქციელის შემდეგ, თებბე-თის სურა იქნა მოვლენილი, რომლის შესავალი ასე იწყება: ***„ებუ ლეჰებს ხელები გაუხმეს“,*** და გაუხმა კიდეც.

როცა ებუ ლეჰების მეუღლე, უმმუ ჯემილემ გაიგო, რომ მათ შესახებ სურა გარდმოევლინა, წმინდა მუჰამმედის ძებნა დაიწყო. როცა გაიგო, რომ ქააბეში იყო, ხელში ქვა აიღო და მასთან წა-ვიდა. ძვირფასი ებუ ბექირი იმ დროს შუამავ ლის საუბარს უს-მენდა. როცა შენიშნა, რომ უმმუ ჯემილე ქვით ხელში მოდიოდა, წამოიძახა: „ალლაჰის შუამავალო! უმმუ ჯემილე მოდის, ძალიან ბოროტი ქალია, ვშიშობ ზიანი მოგაყენოს. ადგილი ხომ არ გამოგ-ვეცვალა?“ ალლაჰის შუამავალმა ასე უთხრა: ***„ნუ შიშობ, ის მე ვერ***

დამინახავს“. უმმუ ჯემილე წმინდა ებუ ბექირთან გაჩერდა. „ებუ ბექირ! ახლავე მითხარი, სად არის შენი მეგობარი? მე და ჩემი მეუღლე დაგვძრახა, გაგვამასხარავა. ის თუ პოეტია, მეც პოეტი ვარ და ჩემი მეუღლეც. აი, მე კი მას ვამასხარავებ, არ ვართ ჩვენ მისგან კმაყოფილი, უარვყოფთ მის შუამავლობას და არც მისი რჯული მოგვწონს. გეფიცები, ის რომ მენახა, ახლა ეს ქვა თავში უნდა ჩამერტყა“. – ასეთი შეურაცხმყოფელი სიტყვებით ილაპარაკა უმმუ ჯემილემ. წმინდა ებუ ბექირმა უთხრა: „ჩემი მეგობარი პოეტი არ არის და არც შენ გაუმასხარავებიხარ“. ამის შემდეგ უმმუ ჯემილე გაეცალა იქაურობას. შემდეგ წმინდა ებუ ბექირი შუამავალს მიუბრუნდა და ჰკითხა: ***„მან შენ ვერ დაგინახა?“ შუამავალმა მიუგო: „დიახ, ვერ დამინახა, რადგან ალლაჰმა მის თვალებს ჩემი დანახვის უნარი წაართვა“.***

წმინდა შუამავლის ქალიშვილთაგან უმმუ გულსუმი, ებუ ლეჰების ვაჟ უთბეზე, ხოლო რუქიე უთეიბეზე იყვნენ დანიშნულნი.. როდესაც თებბეთის სურა გარმოევლინა ჯოჯოხეთისეულმა ებუ ლეჰებმა, მისმა მეუღლემ და ყურაიშთა წინამძღოლებმა უთბესა და უთეიბეს შესთავაზეს: მის ქალიშვილებთან დაქორწინებით მას ტვირთს შეუმსუბუქებთ, განქორწინდით, რათა გაჭირვებაში ჩავარდეს. თქვენ კი ყურაიშთა თქვენთვის სასურველ ლამაზ ქალიშვილებზე დაგაქორწინებთ. ისინიც დათანხმდნენ, კარგი გავქორწინდებითო. მდაბიო უთბემ კი უფრო შორს შეტოპა, წმინდა მუჰამმედ შუამავლის წინაშე წარსდგა და უთხრა: „ მუჰამმედ! მე შენ და შენს რჯულს არ ვცნობ, შენს ქალიშვილსაც გავეყარე, ამის შემდეგ არც შენ გიყვარდე, არც მე მეყვარები, ნურც შენ მოხვალ ჩემთან და არც მე მოვალ შენთან“... შემდეგ საყვარელ შუამავალს საყელოზე ჩაეჭიდა და პერანგი დაუხია. ამის გამო შუამავალმა ასე დასწყევლა: ***„გამჩენო ალლაჰო! ამ მხეცთაგან რომელიმეს უბედურება დაატეხე თავს“.*** უბედური უთბე, როცა მამასთან მივიდა მომხდარის შესახებ, ყველაფერი მოუყვა. ებუ ლეჰებმა თქვა: „მეშინია იმის, რაც მუჰამმედმა ჩემი შვილისთვის შეავედრა“.

რამდენიმე დღის შემდეგ, ებუ ლეჰებმა თავისი შვილი, უთბე დამასკოში სავაჭროდ გააგზავნა. ქარავანი ზერქად წოდებულ ადგილას დასასვენებლად გაჩერდა. იქვე ახლო-მახლოს ერთმა ლომმა

დაიწყო ხეტიალი. უთბემ ეს მდგომარეობა შენიშნა თუ არა მაშინვე თქვა: „ეჰ, ღმერთო ჩემო! ვფიცავ, მუჰამმედის ვედრება ისმინა ღმერთმა. ეს ლომი შემჭამს, თვითონ თუნდაც მექქაში იყოს, მაინც ჩემი მკვლელია". ლომი ცოტა ხნის შემდეგ აღარ გამოჩენილა. უთბე კი მომაღლო ადგილას დააწვინეს დასაძინებლად. ღამით ლომი ისევ მოვიდა, მექარავნეები სათითაოდ დაყნოსა. ბოლოს უთბესთან რომ მივიდა, მაშინვე მუცელი გაუპო, თავში ჩაავლო კბილები, საშინლად დაკბინა და საქმე მოათავა. უთბემ სულის ამოსვლისას, საშინელი კივილით წარმოთქვა: „გეუბნებოდით თუ არა, რომ მუჰამმედი ყველაზე უფრო მართლის მთქმელია?" და სული განუტევა. შემდეგ, როცა ებუ ლეჰებმა შვილზე თავსდამტყდარი უბედურების შესახებ გაიგო, ატირდა: „გეუბნებოდით თუ არა, რომ მუჰამმედის მიერ ჩემი შვილის მიმართ გაკეთებული ვედრებისა მეშინია მეთქი".

საყვარელი მუჰამმედ შუამავალი ადამიანებს მარადიული ბედნიერებისკენ მოუხმობდა, მათ ალლაჰის არსებობისა და ერთობისაკენ მოუწოდებდა, ირჯებოდა, რათა ადამიანები ჯოჯოხეთის ცეცხლში დაწვისგან გადაერჩინა. წარმართნი კი ამბობდნენ, ჩვენი წინაპრების რჯული ეს არისო და კერპთაყვანისმცემლობას აგრძელებდნენ. შუამავალი კი მათ გადარჩენისა და ადამიანური, ღირსეული და პატიოსანი ცხოვრებისაკენ მოუწოდებდა. ისინი ჯიუტობას არ იშლიდნენ. ებუ ლეჰები კი შეურაცხმყოფელთ სათავეში ედგა. ალლაჰის შუამავალს სულ დაჰყვებოდა და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ადამიანებს მისი არ მოესმინათ და მის შუამავლობაში ეჭვი შეეტანათ. შეკრებებზე ან ბაზრობებზე, როცა ალლაჰის შუამავალი იტყოდა: ***„ადამიანებო! თქვით, რომ ალლაჰის გარდა სხვა ღვთაება არ არსებობს და გადარჩით!"*** მაშინვე ებუ ლეჰები მიუსწრებდა და იყვირებდა: „ამას ვინც ამბობს, ჩემი ძმისშვილია, ფრთხილად იყავით და მისი სიტყვა არ დაიჯეროთ, მისგან თავი შორს დაიჭირეთ!"

ერთ დღეს შუამავალი მუჰამმედი წმინდა ქააბეში ლოცულობდა. ყურაიშ მოწინავეთაგან შვიდკაციანი ჯგუფი: ებუ ჯეჰილის, შეიბე ბინ რებიას, უთბე ბინ რებიასა და უქბე ბინ ები მუაითის მეთაურობით იქ მივიდნენ და ალლაჰის შუამავალთან ახლოს დასხდნენ.

იქვე ახლოს ერთი დღის წინ დაკლული აქლემის შიგანი ეყარა. მდაბიო ებუ ლეჰები თანმხლებთ მიუბრუნდა და ასეთი საზიზღარი რამ შესთავაზა: „რომელი თქვენთაგანი ადგება და სეჯდეს შესრულებისას ამ შიგანს მხრებზე დაადებს?" იქ მყოფთაგან ყველაზე უფრო დესპოტმა, სასტიკმა, შეუბრალებელმა და უბედურმა უქბე ბინ მუაითმა ითავა ეს საქმე, მე გავაკეთებო თქვა და ფეხზე წამოდგა. იქვე მყოფთა თვალწინ აიღო შიგანი და შუამავალს სეჯდეს გაკეთების დროს მხრებზე დაადო. ამის მნახველი წარმართებმა სიცილი დაიწყეს. შუამავალი ლოცვას აგრძელებდა, თავს არ იღებდა. ეს ვითარება აბდულლაჰ ბინ მესუდმა შენიშნა. ის ამ შემთხვევის შესახებ ასე მოგვითხრობს: „როცა ალლაჰის შუამავალი ასეთ მდგომარეობაში დავინახე სისხლი ტვინში ამივარდა. მაგრამ მარტო ვიყავი და წარმართთაგან დამცველი არავინ მყავდა. მაშინ ლაპარაკის ძალაც კი არ შემწევდა. გავჩერდი და დიდი წუხილით ალლაჰის შუამავალს ვუცქეროდი. რა იქნებოდა, რომ მაშინ წარმართთაგან ქომაგი გამომჩენოდა და შუამავლის მხრებიდან შიგანი გადამეგდო". ამ დროს ვითარება ალლაჰის შუამავლის ქალიშვილს, ფატიმას აცნობეს. ის მაშინ პატარა იყო, სირბილით მოვარდა, მამის მხრებიდან შიგანი გადააგდო და მისი გამკეთებელი უღირსი სიტყვებით შეამკო და დასწყევლა. ალლაჰის შუამავალმა, თითქოს არაფერი მომხდარიყო, ლოცვა დაამთავრა და სამჯერ ალლაჰს ასე შეევედრა: ***„ჩემო ალლაჰო, ეს ხალხი შენზედ მომინდვია! შენზე მომინდია ებუ ჯეჰილ ამრ ბინ ჰიშამი! ჩემო ალლაჰო! უქბე ბინ რაბია შენზე მომინდვია! ჩემო ალლაჰო უქბე ბინ მუაითი შენზედ მომინდვია! ჩემო ალლაჰო, უმეიიე ბინ ჰალეფი შენზედ მომინდვია! ჩემო ალლაჰო, ველიდ ბინ უთბე და უმარე ბინ ველიდი შენზედ მომინდვია!"*** წარმართებმა ეს წყევლა რომ მოისმინეს, სიცილი შეწყვიტეს და შეშინდნენ, რადგან სჯეროდათ, რომ ალლაჰის სახლში აღვლენილ ვედრებას ღმერთი, აუცილებლად, ისმენდა. შემდეგ ალლაჰის შუამავალი ებუ ჯეჰილს მიუბრუნდა და უთხრა: ***„ვფიცავ, ან ასეთ ქმედებებს შეეშვები, ან უზენაესი ალლაჰი უბედურებას დაგატეხს თავზე. გეფიცებით, რომ ვისი სახელებიც ჩამოვთვალე, თითოეული ბედირის ბრძოლაში მოკლულები, ძირს გაშხლართულები, სიცხისგან ამყრალებული მძორები ორმოში ჩაყრილები იქნებით."***

ერთ დღეს ებუ ჯეჰილი ალლაჰის სახლში (ბეითულლაჰ) წარმართთ მიმართავდა: „ყურაიშებო, ხომ ხედავთ, რომ მუჰამმედი ჩვენ რჯულს შეურაცხყოფას აყენებს, კერპებსა და კერპთაყვანისმცმელ წინაპრებს არაფრად აგდებს და ჩვენ სულელებად გვთვლის. ამისათვის ერთ ნაბიჯითაც კი უკან არ იხევს. თქვენ წინაშე ვიფიცებ და ვამბობ, რომ ხვალ დიდ ქვას მოვიტან და როცა ის სეჯდეზე დაემხობა, თავში ძლიერად ჩავარტყამ, ამის შემდეგ თქვენ აბდულმუტტალიბის შვილებისგან გინდ დამიცავით გინდ არა. მე რომ მას მოვკლავ, ნათესავებმა მერე რაც უნდათ, ის მიყონ.“. იქვე მყოფმა წარმართები შეჰპირდნენ და დაიფიცეს: „ჩვენ დაგიფარავთ და არც არავის ჩაგაბარებთ, ოღონდ ის მოკალი!“

დილაადრიან ებუ ლეჰები, ხელში საკმაოდ დიდი ქვით, ქააბაში მივიდა. წარმართებთან ერთად დაჯდა და ლოდინი დაიწყო. როგორც ყოველთვის, საყვარელი შუამავალი ქააბეში მოვიდა და ლოცვას შეუდგა. ებუ ჯეჰილი ფეხზე წამოდგა და ქვის შუამავალზე დასარტყმელად გაქანდა. ყველა წარმართი ამ მოვლენას დიდი კმაყოფილებით თვალყურს ადევნებდა. როცა ებუ ჯეჰილი, საყვარელ შუამავალს მიუახლოვდა, უცებ კანკალი აუვარდა და ქვა ხელიდან გაუვარდა. სახეზე ფერი ეცვალა და თავზარდაცემულმა უკან დაიხია. წარმართები გაკვირვებული მივარდნენ ებუ ჯეჰილს და ჰკითხეს: „ ამირ ბინ ჰიშამ! რა მოგივიდა, გვითხარი რა მოხდა?“ ებუ ჯეჰილმა უპასუხა: „ ზუსტად იმ დროს, როცა მის მოსაკლავად ქვა ავიღე და უნდა დამერტყა, თვალწინ ფიცხი აქლემი წარმომიდგა. გეფიცებით სიცოცხლეში იმისთანა მაღალფეხებიანი აქლემი არ მინახავს და არც მსმენია. ცოტას თუ მივუახლოვებოდი, უეჭველად მომკლავდა“.

ერთ დღეს, ებუ ჯეჰილმა წარმართნი შეკრიბა და იკითხა: „როგორ ფიქრობთ, აბდულლაჰის ობოლი აქ ნამაზის სალოცავად მოვა და სახეს მიწას შეახებს?“ – „დიახ“ უპასუხეს. ებუ ჯეჰილიც სწორედაც ამ პასუხს ელოდა, მან განაცხადა: „თუ მას სახით მიწაზე შეხებულს ვიხილავ, ფეხებით გავუსრისავ თავს!“ ერთ დღეს ალლაჰის შუამავალი სალოცავად დამდგარიყო, ებუ ჯეჰილიც მეგობრებთან ერთად იქვე ახლოს იჯდა. შემდეგ წამოდგა და ალლაჰის შუამავლისკენ წავიდა, როცა მიუახლოვდა, უცებ სახის

წმენდით გაქცევა დაიწყო. წარმართნი მივარდნენ და კითხეს: „რა მოგივიდა, ებუ ჯეჰილ რა დღეში ხარ?“ ებუ ჯეჰილმა უპასუხა: „ჩვენს შორის უცებ ცეცხლის ორმო გაჩნდა, როცა ვნახე, რომ ვიღაცები თავს მესხმოდნენ, უკან გამოვიქეცი“.

ველიდ ბინ მუღირე, ებუ ჯეჰილ (ამრ ბინ ჰიშამ) ესვედ ბინ მუტტალიბ, უმეიიე ბინ ჰალეფ, ესვედ ბინ აბდიიაგვეს, ას ბინ ვაილ, ჰარის ბინ ქაის მსგავსი წარმართთა მოწინავენი, ალლაჰის შუამავალს როცა დაინახავდნენ, ასეთი სიტყვებით დასცინოდნენ: „ამასაც თავი შუამავალი ჰგონია, თითქოს ჯებრაილ ანგელოზი მართლა ეცხადებოდეს.” ამის გამო, ალლაჰის შუამავალს ძალიან სწყინდა მათი დაცინვა. ერთხელაც, ჯებრალ ანგელოზი გამოეცხადა შუამავალს და ახალი აიათები გარდმოუვლინა. ***„შუამავალო! ვფიცავ, რომ შენამდე მოვლენილ შუამავალებსაც დასცინოდნენ, ვინც შუამავლებს დასცინოდნენ და ამასხარავებდნენ, სანაცვლოდ ისინი ტანჯვა-წვალებამ და უბედურებამ იმსხვერპლა“.***[3]

„ეჭვგარეშეა, რომ ვინც შენ დაგცინის, ჩვენ მათ გავუსწორდებით. ისინი ალლაჰუ თეალასთან განსხვავებით სხვა ღმერთებს სცნობენ. ისინი მალე გაიგებენ *(რაც მიეზღვებათ ბოლოს)*. ***უეჭველია, რომ შენ მათი დამცინავი სიტყვების გამო*** *(წარმართობის, ყურანი ქერიმზე ენის წაგრძელებისა და შენი მასხრად აგდებისათვის)* ***სუთქვა გეკვრის, და წუხხარ“.***[4]

ქვეყნიერების ბატონს, ერთ დღეს, მთავარანგელოზი ჯებრაილი გამოეცხადა და ამცნო: ***„მე მათთვის*** *(დამცინავების)* ***ანგარიშის გასწორების ბრძანება მივიღე“*** ცოტა ხნის შემდეგ ველიდ ბინ მუღირემ მათ წინ ჩაიარა, ჯებრაილ ანგელოზმა ჰკითხა შუამავალს: „ეს ვინ არის, როგორი პიროვნებაა?” ალლაჰის შუამავალმა უპასუხა: „ის უზენაესი ალლაჰისთვის ყველაზე უარესი ადამიანია“ ჯებრაილ ანგელოზმა ველიდის ფეხზე მიანიშნა, ამის ანგარიში გასწორებულიაო, ასე მიყოლებით ჯერ ას ბინ ვაილის მუცელზე მიანიშნა, შემდეგ კი ესვედ ბინ მუტტალიბის თვალზე, შემდეგ ალლაჰის შუამავალ მუჰამმედს მიუბრუნდა და უთხრა: „ამათი უბე-

3. ენ’ამის სურე: 10.

4. ჰიჯრის სურე: 95—97.

დურებისგან გადარჩი უკვე. ახლო მომავალში თითოეული მათგანი სხვადასხვა უბედურებას გადაეყრება".

პირველ რიგში ას ბინ ვაილს ფეხზე ეკალი შეერჭო, რა წამლის გამოყენებაც სცადეს, ტკივილს ვერ დააღწია თავი. ბოლოს ფეხი აქლემის კისერივით გაუსივდა და კივილით ამოხდა სული. მე მუჰამმედის ალლაჰმა მომკლაო, ამბობდა. ესვედ ბინ მუტტალიბი დაბრმავდა, ესვედ ბინ აბდიაგვეს ბად-ი სემუმში ყოფნის დროს, სახე და ტანი სულ გაუშავდა. სახლში როცა დაბრუნდა, ველარ იცნეს და გარეთ გააგდეს. უბედურებისგან სახლის კარზე თავის რტყმევაში სული განუტევა. ჰარის ბინ ჰარისმა კი ძალიან მარილიანი თევზი ჭამა, ამის გამო ტემპერატურამ აუწია, რის გამოც წყალს რამდენსაც სვამდა, მაინც ვერ იკლავდა წყურვილს. ბოლოს გადაჭარბებულმა წყალმა იმსხვერპლა. ველის ბინ მუღირეს წვივში რკინის ნატეხი ჩაესო, ნაიარევი აღარ მოუშუშდა, ბევრი სისხლი დაკარგა და კივილითა და გოდებით დალია სული. ამგვარად, ყველა მათგანს მუჰამმედის წინააღმდეგ ნამოქმედარის სანაცვლო მიეზღო. გარდა ამისა, წმინდა აიათი გვამცნობს, რომ წარმართები სამუდამოდ დარჩებიან ჯოჯოხეთში.

საყვარელი შუამავალი ერთ დღეს ებულ ასს წააწყდა. როცა მას გაშორდა ჰაქემმა მას ზურგსუკან დაცინვა დაუწყო, რის გამოც პირი, სახე და სხეული აუკანკალდა. ეს წმინდა მუჰამმედმა შუამავლობის სხივით დაინახა და ალლაჰს შეევედრა, რომ მთელი ცხოვრება ჰაქემი ისე დარჩენილიყო. ისმინა ალლაჰმა ვედრება და ამ წარმართმა, მართლაც, მთელი ცხოვრება კანკალში გაატარა.

შუამავლის კეთილშობილი მეგობრების წამება

წარმართები არა მარტო შუამავალს, არამედ მის ღირსეულ მეგობრებსაც კი აწამებდნენ. განსაკუთრებით, ღარიბებს, უპატრონოებს ირჩევდნენ. წარმართები წარმოუდგენელ ზეწოლასა და დესპოტურ ქმედებებს სრულიად მოურიდებლად ჩადიოდნენ. ღარიბთა და უპატრონოთა შორის ერთ-ერთი ბილალი ჰაბეში იყო. ბილალი ჰაბეში ერთ-ერთი წარმართის, უმეიე ბინ ჰალეფის მონა გახლდათ. მას ებუ ბექირის დახმარებით ისლამი მიეღო. უმეიიეს

თორმეტი მონა ჰყავდა, მათ შორის ბილალი ძალიან უყვარდა. ის კერპის დარაჯად ჰყავდა დაყენებული. როდესაც ბილალმა ისლამი მიიღო, საკერპეში ყველა კერპი ძირს დაამხო. როცა ეს უმეიიემ გაიგო, თავზარი დაეცა. მაშინვე დაიბარა ბილალი და უთხრა: „შენ ისლამი მიგიღია, თურმე მუჰამმედის ღმერთს სცემ თაყვანს“. ბილალმა უპასუხა: „დიახ, მართალია, უდიდეს და უზენაეს ალლაჰს ვცემ თაყვანს“. უმეიიემ ასეთი პასუხი რომ მიიღო, ბილალი მაშინვე საწამებლად დააბმევინა. შუადღისას, როცა მზე ზენიტში იყო, იგი გააშიშვლა და შიშველ სხეულზე სიცხით გახურებული ქვები დააწყო და უთხრა:„ „ისლამისგან პირი იბრუნე, კერპების იწამე!“ ბილალი კი იმეორებდა: „ალლაჰი ერთადერთია! ალლაჰი ეთადერთია“.

უმეიიე ბინ ჰალეფი ბილალის ასეთ მოთმინება რომ ხედავდა, გიჟს ემსგავსებოდა. მას ეკლებზე ათრევდა, სხეულს უკაწრავდა და სტანჯავდა. ბილალის სხეულიდან სისხლი ღვარივით სდიოდა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა და ამბობდა: „ჩემო ალლაჰო, რაც შენგან მხვდება წილად, კმაყოფილი ვარ იმის“. აი, რწმენის ასეთ სიმტკიცეს იჩენდა ეს მონა.

ძვირფასი ბილალი ამ ამბავს ასე მოგვითხრობს: „ის ვერაგი უმეიიე დღისით სიცხეში დამაბამდა და ღამითაც კი მაწამებდა. ცხელი დღე იყო. როგორც ყოველთვის, ისლამზე რომ უარი მეთქვა, ისევ საწვალებლად დამაბა და მეუბნებოდა: „კერპებს ეცი თაყვანი, მუჰამმედის ალლაჰი უარჰყავი, უარჰყავი, უარჰყავი!“ მე კი მაინც გავიძახოდი: „ალლაჰი ერთადერთია, ალლაჰი ერთადერთია!“ შურისძიებით დაბოღმილმა ერთ დღეს დიდი ქვა მოატანინა და მკერდზე დამადო. მაშინ გონება დამეკარგა, აზრზე რომ მოვედი, მკერდზე ქვა აღარ მქონდა და მზეც ღრუბლებს ამოფარებოდა. ალლაჰს მადლობა გადავუხადე და ჩემთვის ვთქვი: „გამჩენის ხვედრი ყველაფერი ლამაზი და სასიამოვნოა-მეთქი“

უმეიიე ბინ ჰალეფს, ერთ დღეს, ბილალი საწამებლად გარეთ გამოეყვანა. ტანსაცმელი გაეძრო და მხოლოდ ერთი ქვედა საცვალის ამარა, მცხუნვარე მზეზე, გაცხელებულ ქვიშაზე დაეწვინა და მუცელზე ქვები დაეყარა. იქვე წარმართებიც შეკრებილიყვნენ და

ეუბნებოდნენ: „ჩვენს რწმენაზე თუ არ დაბრუნდები, მოგკლავთ!“ ბილალი ჰაბეში ამ გაუსაძლისი წამების მიუხედავად, მაინც გაიძახოდა: „ალლაჰი ერთადერთია, ალლაჰი ერთადერთია!“ ამ დროს საყვარელმა ალლაჰის შუამავალმა გაიარა, როცა ბილალი ასეთ მდგომარეობაში ნახა, ძალიან ეწყინა და თქვა: ***„ალლაჰის სახელის ხსნება შენ გადაგარჩენს“.***

როცა ალლაჰის შუამავალი სახლში დაბრუნდა, ცოტა ხნის შემდეგ, მასთან წმინდა ებუ ბექირი მივიდა. ალლაჰის შუამავალმა მას ბილალი ჰაბეშის წამების შესახებ უამბო და ისიც უთხრა, რომ ძალიან განაწყენებული იყო. ეს რომ ებუ ბექირმა გაიგო, მაშინვე იქით გაიქცა და წარმართთ შესთავაზა: „ამის წამებით თქვენ რა მოგება გექნებათ? ეს მონა მე მომყიდეთ!.“ „ქვეყნის ოდენა ოქროც რომ მოგვცე, ამას არ გავყიდითო, მაგრამ შენს მონა ამირში გაგიცვლით“ -მიუგეს წარმართებმა. წმინდა ებუ ბექირის მონა ამირი სავაჭრო საქმეებით საკმაოდ ბევრ ფულსაც იგებდა. მას საკუთარი ქონების გარდა, ათი ათასი ოქრო ჰქონდა. ამირი წმინდა ებუ ბექირის დამხმარე იყო და ყველა საქმეს უკეთებდა, მაგრამ ურწმუნო იყო, წარმართობას არ იშლიდა. ებუ ბექირმა ამირი მთელი თავისი ფულითა და ქონებით ბილალში გაცვალა. უმეიიე ბინ ჰალეფსა და სხვა წარმართთ ძალაინ გაუხარდათ და თქვეს, ებუ ბექირი მოვატყუეთო.

ებუ ბექირმა ბილალის მუცელზე დაწყობილი მძიმე ქვები ჩამოყარა და ფეხზე წამოაყენა. ბილალი ჰაბეშს აუტანელი წვალების გამო ძალღონე გამოლეული ჰქონდა. ხელი მოჰკიდა და პირდაპირ საყვარელ ალლაჰის შუამავალთან მიიყვანა და უთხრა: „ალლაჰის შუამავალო! ბილალი დღეს ალლაჰის გულისათვის ვიხსენი მონობისგან“. წმინდა მუჰამმედს ძალიან გაუხარდა და ებუ ბექირი დალოცა. ამ დროს ჯებრაილ ანგელოზმა ლეილის სურეს მე-17 და მე-18 აიათები ზეშთააგონა. სადაც ალლაჰი ბრძანებს: „ებუ ბექირი ჯოჯოხეთისგან შორს არის“. აიათის მნიშვნელობა ასეთია: (წმინდა ებუ ბექირის მსაგვსი) ***უდიდესი ღვთისმოშიში*** (წარმათობასა და ცოდვასაგან შორს მდგომი), ***ქონების ალლაჰისთვი გამხარჯავი, სიკეთის გზაზე მდგომი, ჯოჯოხეთისგან შორს არის.***

ჰაბბაბ ბინ ერეთიც, რჯულის შეცვლის გამო, წამებულთა შორის იყო. იგი წარმართი ქალის უმმუ ენმარეს უთვისტომო მონა გახლდათ. არც მას გააჩნდა ისეთი ვინმე, ვინც მას დაიცავდა. ამის გამო წარმართნი შეიკრიბებოდნენ, ჰაბბაბს გააშიშვლებდნენ და სხეულს ეკლებით უკაწრავდნენ. ზოგჯერ რკინის პერანგს ჩააცმევდნენ და მზეზე დააწვენდნენ, ხან ცეცხლზე გახურებულ ქვებს შიშველ სხეულზე ადებდნენ. ეს ყველაფერი ჰაბბაბის კერპთაყვანისმცემლობაზე დაბრუნებას, ლათსა და უზზაზე თაყვანისცემას ისახავდა მიზნად. მიუხედავდ ყველაფრისა ჰაბბაბი რწმენის სიმტკიცეს იჩენდა, ამბობდა: (ლა ილაჰე ილლალლაჰ მუჰამმედუნ რესულულლაჰ - არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა და მუჰამმედი მისი მსახური და შუამავალია) და მათ წინააღმდეგობას უწევდა.

ერთ დღეს მოედანზე წარმართები შეიკრიბნენ და ცეცხლი დაანთეს. შემდეგ ჰაბბაბი გათოკეს და ცეცხლთან მიიყვანეს. გადაეწყვიტათ ან ისლამისუარყოფა აეძულებინათ ან ცეცხლზე უნდა დაეწვინათ. როცა ჰაბბაბი ცეცხლზე ზურგით დააწვინეს, იგი ალლაჰს ასე შეავედრა: „ჩემო ალლაჰო! ჩემ მდგომარეობას ხედავ და იცი. გევედრები, გულში რწმენა მტკიცედ მიმყოფე, უდიდესი მოთმინების ძალა მომეცი“. ერთ-ერთმა წარმართი ჰაბბაბს ფეხით მკერდზე დააწვა, თუმცა მათ რა იცოდნენ, რომ ალლაჰი მორწმუნეებს მფარველობდა.

როცა ჰაბბაბს წარმართნი გარეთ ასე აწამებდნენ, პატრონმა ძველ სარწმუნეობაზე მის დასაბრუნებლად რკინა გააცხელა, თავზე მიაჭირა და დადაღა. მან მაინც არ შეასრულა მათი ულტიმატუმი და ყველა ტკივილს ვაჟჟაცურად გაუძლო.

წლების შემდეგ, როცა ჰაბბაბს ამ შემთხვევას შესახებ ჰკითხეს, მან ზურგზე დამწვრობის კვალი აჩვენა და თქვა: „წარმართმან ჩემთვის ცეცხლი დაანთეს, შემდეგ შიგ ჩამათრიეს. ის ცეცხლი მხოლოდ ჩემმა სხეულმა ჩააქრო“.

ერთხელ ჰაბბაბი საყვარელ შუამავლის წინაშე წარსდგა და თხოვა: „ალლაჰის შუამავალო! წარმართნი, როცა გარეთ გამოსულს დამინახავენ, ცეცხლს ანთებენ, სახლში კი ჩემი პატრონი უმმუ

ემარე გახურებული რკინით თავს მიდაღავს. გთხოვ, ალლაჰს შეევედრო ჩემთვის“. შემდეგ ზურგზე და თავზე დამწვარ-დადაღული ადგილები აჩვენა. შუამავალმა ეს რომ ნახა, ძალიან შეეცოდა. ვეღარ გაუძლო რჯულისათვის მიყენებულ ამდენ სისაძაგლეს და გამჩენს შეევედრა: ***„ჩემო გამჩენო, ბატონ-პატრონო! დაეხმარე, შეიწყალე ჰაბბაბი“.*** უზენაესმა ალლაჰმა ისმინა საყვარელი შუამავლის ვედრება და უმმუ ემარეს საშინელი თავის ტკივილი აუტეხა. მან გაუსაძლისი თავის ტკივილის გამო დილამდე იკვნესა. ტკივილის გასაყუჩებლად გახურებული რკინით თავის დადაღვა ურჩიეს. მან ჰაბბაბი დაიბარა და უბრძანა, რკინა გაეხურებინა და მისთვის თავი დაედაღა. ჰაბბაბმაც ბრძანება შეასრულა.

პირველ ხანებში, წარმართნი ჰაბბაბ ერეთის მოქმედებას დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ. მაგრამ ხედავდნენ, რომ დღითიდღე მუსლიმანების რიცხვი მატულობდა. ბოლოს იძულებულნი შეიქმნენ, რომ მუსლიმანთა რიცხვის ზრდისათვის ყურადღება მიექციათ. ამიტომაც ჰაბბაბის წვალებას უმატეს, ურტყამდნენ, სცემდნენ, უამრავ ტკივილს აყენებდნენ, ნაიარევ და დაჭრილ ადგილზე ისევ ტკივილსა და იარას უახლებდნენ...

მიუხედავად ამისა, ჰაბბაბ ბინ ერეთმა უკან არ დაიხია, მუსლიმანობაზე უარი არ თქვა. თუმცა ტანჯვა-წვალებისგან ძალღონე გამოლეოდა. მომხდარის შესახებ საყვარელ შუამავალს მოახსენა: „ალლაჰის შუამავალო! შეევედრე ალლაჰს, რათა მიხსნას ამ ტანჯვისგან“. ალლაჰის შუამავალმა მას აუხსნა: ***„თქვენ წინანდელ მიმდევრებს შორის ისეთები იყვნენ, რომელთაც რკინის სავარცხლით კანსა და ხორცს ათლიდნენ და აძრობდნენ. მაგრამ ასეთი წამება მათ რწმენას ვერ აცვლევინებდა. იყო შემთხვევა, რომ ხერხით თავიდან ბოლომდე ორად გაჰყვეს, გახერხეს ადამიანი, მაგრამ ვერც ასეთმა წამებამ შეაცვლევინა მათ რწმენა. უეჭველია, რომ ალლაჰი ამ რწმენას*** *(ისლამს)* ***სრულჰქმნის. სხვა ყველა რწმენაზე უფრო უპირატესს გახდის. ასე, რომ სანადან ჰარდამუთამდე წამსვლელ, აქლემზე შემჯდარ ვინმეს, ალლაჰის გარდა, არავის შიში ექნება. ცხვრებსაც კი მგლის თავდასხმის გარდა, სხვა დარდი აღარ შეაწუხებს. მაგრამ თქვენ კი ჩქარობთ!“*** შემდეგ ზურგზე ხელი გადაუსვა და დალოცა. ალლაჰის შუამავლის სულის მკურნალმა ნაზმა სიტყვებმა, ჰაბ-

ბაბს ტკივილები გაუყუჩა.

ჰაბბაბს, შმაგ და წარმართ, ას ბინ ვაილისგან, ფული ჰქონდა ასაღები და მასთან მივიდა. ას ბინ ვაილმა ჰაბბაბს უთხრა: „სანამ მუჰამმედს არ უარჰყოფ, მანამდე ვალს არ დაგიბრუნებ!“ ჰაბბაბმა უპასუხა: „ვფიცავ, შუამავალს არც სიცოცხლეში და არც სიკვდილის შემდეგ, როცა გავცოცხლდებით, არ ვუარვყოფ. ყველაფრზე უარს ვიტყვი, მაგრამ ალლაჰს ვერ ვერ ვუღალატებ“. ამის შემდეგ ას ბინ ვაილმა უთხრა: „თუ ასეთი რამე არსებობს, მაშინ სიმდიდრეც მექნება, შვილებიც მეყოლება და ვალსაც მაშინ დაგიბრუნებ“.

ას ბინ ვაილის ამ სიტყვებთან დაკავშირებით, უზენაესმა ალლაჰმა წმინდა ყურანის მერიემი სურას 77—79-ე აიათებში ასე ბრძანებს: „(მუჰამმედ!) ***ჩვენი აიათების უარმყოფი ადამიანი*** (ას ბინ ვაილი) ***დაინახე? ის რომელიც ფიქრობს, რომ მე უეჭველად*** (განკითხვის დღეს) ***სიმდიდრე და შვილები მომეცემა, მან მომავალი იცოდა, თუ ალლაჰისგან შთაგონება მიიღო? არა არავითარ შემთხვევაში ასე არ არის, ჩვენ მის ნათქვამს დავწერთ და ტანჯვაზე ტანჯვას დავუმატებთ*** (განკითხვის დღეს ამის გამო პასუხს მოვთხოვთ)***“.***

წამება გონების დაკარგვამდე

წარმართები განურჩევლად ქალსაც და კაცსაც აწამებდნენ. პირველ მუსლიმანთაგან ქალბატონი ზინნირე უთვისტომო, მხევალი ქალი იყო. წარმართებმა როცა გაიგეს, რომ ზმას ისლამი მიეღო, არც მისი წამების მორიდებიათ. ზინნირეს ლათსა და უზზაზე თაყვანისცემას აიძულებდნენ, ყელში უჭერდნენ, სულის ამოთქმის საშუალებას არ აძლევდნენ და გულის წასვლამდე აწამებდნენ. მიუხედავად ყველაფრისა, ის მაინც მტკიცედ ინარჩუნებდა რწმენას და წარმართთა სურვილებს არ ასრულებდა. ქალბატონ ზინნირეს ებუ ჯეჰილი, განსაკუთრებით, ბევრს აწამებდა. ამოტომაც ზინნირემ მხედველობა დაკარგა. ერთხელაც ებუ ჯეჰილმა მას უთხრა: „ნახე, როგორ წაგართვა მხედველობა ლათმა და უზზამ?“ ზინნირემ რწმენის ერთგულების შეგნებით უთხრა: „ებუ

ჯეჰილ! გეფიცები, ისე არ არის, როგორც შენ ფიქრობ. ლათსა და უზზას არაფერი შეუძლიათ, მათ ისიც კი არ იციან, ვინ სცემს მათ თაყვანს და ვინ არა. ეჭვსგარეშეა, რომ ჩემს გამჩენსა და ბატონ-პატრონს თვალის სინათლის დაბრუნების ძალა შესწევს“.

ებუ ჯეჰილი ზინნირეს ურყევი რწმენის გამომჟღავნების გამო განცვიფრებული დარჩა. ალლაჰმა ზინნირეს ვედრება ისმინა და ადრინდელზე უკეთესი მხედველობა დაუბრუნა. ებუ ჯეჰილმა და ყურაიშმა წარმართებმა მომხდარი ფაქტის მიუხედავად ეს არ დაიჯერეს. უფრო მეტიც, თქვეს: „ეს შუამავლის ჯადოქრობაა! მუჰამმედის გზით მავალი უგუნურების არ გიკვირთ? მისი გზა ხეირიანი რომ ყოფილიყო, პირველ რიგში ჩვენ მივყვებოდით. რა, უბრალო მონამ სწორი გზა ჩვენზე ადრე იპოვა?.

ამასთან დაკავშირებით უზენაესმა ალლაჰმა, აჰყაფის სურას მე-11 აიათი გარდმოავლინა: ***„ურწმუნონი მორწმუნეთა შესახებ ასე იტყვიან: „მუჰამმედის მოტანილი რწმენა ჭეშმარიტი რომ ყოფილიყო, ჩვენ მათზე უფრო ადრე ვირწმუნებდით, საწადელს რომ ვერ მიაღწიეს „ეს ძველი მონაგონიაო.“***

ერქამის სახლი

საყვარელი ალლაჰის შუამავალი წარმართების მიერ თავისი მეგობრების მიმართ გამოჩენილი დესპოტურობის გამო, ძალიან განაწყენებული იყო. ისლამის გავრცელებისა და სწავლებისათვის უსაფრთხო ადგილი იყო საჭირო. შუამავალმა ამ ძვირფასი ადგილისათვის ერქამის სახლი აირჩია. ის საფას გორაკის აღმოსავლეთით, ვიწრო ქუჩაზე, მომაღლო ადგილას იდგა. იქიდან წმინდა ქააბე ძალიან ლამაზად მოსჩანდა. გარდა ამისა ერქამი ავტორიტეტული და მაღალი ღირსების პიროვნება იყო. ალლაჰის საყვარელი შუამავალი ამ სახლში თავის მეგობრებს ისლამს ასწავლიდა. ვინც ისლამის მიღებას ისურვებდა, ამ სახლში მოდიოდა და ისლამით გაცისკროვნდებოდა, მისი ტკბილად მოუბარი, მკურნალი სიტყვების მოსმენით ჯილდოვდებოდნენ. თითოეულ სიტყვას ლამის ყლაპავდნენ, ისე იზეპირებდნენ. ძვირფასი შუამავალი დღეებს ერქამის სახლში ატარებდა და დილიდან საღამომდე მეგობრების

აღზრდით იყო დაკავებული. ეს იყო მუსლიმანების პირველი თავშეყრის ადგილი – „დარ-ულ ისლამი“. პირველი მუსლიმანები აქ იკრიბებოდნენ, რითაც წარმართების ყოველგვარი ბოროტებისგან დაცულნი იყვნენ.

ამმარ ბინ იასერი მოვითხრობს: „ერქამის სახლში წასვლა, ალლაჰის შუამავალის ნახვა და ისლამის მიღება მინდოდა. კარებში, შემთხვევით, სუჰეიბეს შევხვდი. როცა ვკითხე, აქ რას აკეთებ მეთქი, მეც იგივე კითხვა დამისვა. მეც ალლაჰის შუამავალის საუბრის მოსმენა და მის წინაშე ისლამის მიღება მინდა მეთქი – ვუპასუხე. სუჰეიბემაც მითხრა, მეც მაგისთვის ვარ მოსულიო. შემდეგ ორივე, ერთად წმინდა შუამავლის წინაშე წარვსდექით. მან ისლამის შესახებ გვიამბო, ჩვენ კი დიდი სიხარულით მივიღეთ ეს რწმენა.

ამის შემდეგ ამმარს არ დაუმალავს, რომ ისლამი მიიღო. ამასთან ერთად აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მან ყველაზე მეტ წვალებასა და ტანჯვას გაუძლო იმისათვის, რომ ისლამის რწმენა შეენარჩუნებინა. წარმართნი, როცა მას მარტოდ ნახავდნენ, ძალიან ბევრ ტანჯვას აყენებდნენ. მას ქვიან ადგილას წაიყვანდნენ, ტანსაცმელს გახდიდნენ, რკინის პერანგს ჩააცმევდნენ, მხურვალე მზეზე დატოვებდნენ, ზოგჯერ ზურგს ცეცხლით უდაღავდნენ ხოლმე. მიზეზი ყოველთვის ერთი და იგივე იყო, უარის უნდა ეთქვა ისლამზე და ლათსა და უზზასათვის ეცა თაყვანი. ამმარი კი ამ აუტანელ წამებას დიდი მოთმინებით იტანდა და მუდამ ასე ამბობდა: „ჩემი გამჩენი ალლაჰია, ხოლო შუამავალი – მუჰამმედი“. წარმართებს ეს უფრო აღიზიანებდათ და მზეზე გახურებულ ქვებს მკერდზე აწყობდნენ, ზოგჯერ წყლით სავსე ჭაში დასახრჩობად აგდებდნენ. ერთ დღეს, როცა ამმარი ალლაჰის შუამავლის წინაშე წარსდგა, უთხრა: „ალლაჰის შუამავალო! წარმართების მიერ მოყენებული ტანჯვა-წამება ყოველგვარ ზღვარს გასცდა.“ წმინდა შუამავალს ძალიან შეეცოდა ამმარი და უთხრა: „მოითმინე, იაჰზარის მამავ!“ შემდეგ კი ალლაჰს შეევედრა: ***„ჩემო გამჩენო, ბატონ-პატრონო! ამმარის ოჯახის წევრთაგან არცერთს ჯოჯოხეთის ტანჯვა არ ანახო“.***

პირველი წამებული (შეჰიდი)

ძვირფასი ამმარის მამამ იასერმა, დედამ სუმეიიესმა და ძმამ ანუ ოჯახის ყველა წევრმა ისლამი მიიღო. წარმართები ამმარის დედას, მამასა და ძმას უფრო მეტად აწამებდნენ, ვიდრე ამმარს. დასჯის დროს აიძულებდნენ, რათა ალლაჰის უარმყოფი სიტყვები დაეცდინათ. ისინი კი ამბობდნენ: „ტყვავი რომ გაგვაძროთ და ხორცი ნაჭერ-ნაჭერ დაგვაჭრათ, თქვენს მოთხოვნას მაინც არ შევასრულებთ“ და „ლა ილაჰე ილლალლაჰ მუჰამმედუნ რესულულლაჰს“ წარმოსთქვამდნენ. ერთხელ ბეთჰად წოდებულ ადგილას, იასერის ოჯახის ყველა წევრს ერთად აწამებდნენ, ამ დროს იქ ალლაჰის შუამავალმა გაიარა და როცა ნახა, თუ როგორ აწამებდნენ მის საყვარელ მეგობრებს, ძალიან ეწყინა. იასერმა ჰკითხა: „ალლაჰის შუამავალო! სიცოცხლე სულ ასე წამებაში უნდა გავვლიოთ?“ ალლაჰის შუამავალმა ის დაამშვიდა: ***„მოითმინეთ, იასერის ოჯახობავ! ამმარის ოჯახობავ! გიხაროდეთ! ეჭვგარეშეა, რომ სამოთხით დაჯილდოვდებით“.***

ერთ დღეს, წარმართები ამმარს ცეცხლით რომ აწამებდნენ, ალლაჰის შუამავალი იქ მივიდა და როცა თანამოაზრის ტანჯვა ნახა, ცეცხლს ასე მიმართა: ***„ცეცხლო, როგორც წმინდა იბრაჰიმ შუამავალისთვის იყავი გრილი და მშვიდი, ისეთივე იყავი ამმარისთვისაც!“*** შემდეგ ამმარმა ზურგი გამოაჩიან, მას ცეცხლის კვალი ეტყობოდა, რომელიც მანამდეც ჰქონდა, სანამ შუამავალი შეავედრებდა.

ერთხელ იასერის ოჯახი საწამებლად კიდევ ერთხელ წაიყვანეს, იმ დღეს იასერი და მისი შვილი, აბდულლაჰი ისრით განგმირეს. ებუ ჯეჰილმა წმინდა სუმეიიეს ფეხებზე თოკი მიაბა, ეს თოკი აქლემებს გამოაბა და ცხოველები სხვადასხვა მიმართულებით გარეკა და ასეთი ტანჯვით მოკლა ეს გმირი ქალი. როცა ალლაჰის შუამავალმა და მისმა კეთილმა მეგობრებმა გაიგეს, რომ იასერის ოჯახი უმოწყალო, დესპოტ ებუ ჯეჰილსა და სხვა წარმართებს სასიკვდილოდ ეწამებინათ, ძალიან განაწყენდნენ. ეს შემთხვევა მეგობრების ურთიერთშეკავშირებისა და გაძლიერების საბაბი გახდა.

ესჰაბი ქირამის წევრები ერთხელ განმარტოებულ ადგილას წავიდნენ და იქ ფარულად დაიწყეს ლოცვა. ამ დროს კიდევ ები ვაყყასი, საიდ ბინ ზეიდი, აბდულლაჰ ბინ მესუდი, ამმარ ბინ იასერი, ჰაბბიბ ბინ ერეთი მექქას ერთ-ერთ დაბლობ, ებუ დუბბად წოდებულ ადგილას ლოცულობდნენ. ამავე დროს მათთან წარმართები მივიდნენ, რომლებმაც დაცინვა და შეურაცყოფის მიყენება დაიწყეს. საად ბინ ები ვაყყასმა და მისმა მეგობრებმა ვერ აიტანეს დაცინვა და წარმართთ თავს დაესხნენ. საადს ხელთ აქლემის ძვალი მოჰყვა, აიღო, წარმათს თავში ჩაარტყა და ორად გაუპო. ეს რომ ნახეს, წარმართები შეშინდნენ და იქიდან გაიქცნენ. ასე დაღვარეს მუსლიმანებმა პირველად წარმართის სისხლი.

ებუ ზერრ-ილ-ღიფარის გამუსლიმანება

ხალხისგან თითო-ოროლა ჭეშმარიტი სარწმუნეობის გზას დაადგა. ისლამის სხივი მექქას საზღვრებს გასცდა და მისი გავრცელებით სამყაროს განათება დაიწყო.

წარმართები ისლამის აღმავლობისა და გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლას ახალი ძალით შეუდგნენ. როგორც იქნა, ამ ამბავმა ბენი ღიფარის ტომამდე მიაღწია. ებუ ზერრ-ილ-ღიფარმა ეს ამბავი რომ გაიგო, თავისი ძმა, უნეისი, მაშინვე ვითარების გასარკვევად, მექქაში გააგზავნა. უნეისი მექქაში მივიდა და ალლაჰის შუამავლის მეჯლისს დაესწრო. იგი გაოცებული დაბრუნდა სამშობლოში. ებუ ზერმის კითხვაზე, რა ამბავი მოიტანეო, უნეისმა უპასუხა: „გეფიცები, შუამავალი ღირსეული ადამინია, ხალხს სულ სიკეთისკენ და ბოროტებისგან შორს დგომისაკენ მოუწოდებს“. ებუ ზერრ-ილ-ღიფარმა კვლავ ჰკითხა: „კარგი, მაგრამ ხალხი მის შესახებ რას ამბობს?“ ძმამ უპასუხა: „მისი სიტყვები მკითხავების ან გრძნეულების სიტყვებს არა ჰგავს. გარდა ამისა, მისი გამონათქვამები პოეტების ყველანაირ ლექსებს შევადარე, მაგრამ პოეტების სიტყვებსაც არ ჰგავს. მისი შეუდარებელი სიტყვები არავისას შეედრება. ვფიცავ, ის პიროვნება სიმართლეს ლაპარაკობს და ჭეშმარიტებას აცნობს ხალხს. ვინც მას არ დაუჯერებს, შემცდარი და გზას აცდენილია“.

ებუ ზერრ-ილ-ღიფარმა ამ ამბავის მოსმენის შემდეგ გადაწყვიტა, მექქაში წასულიყო, წმინდა მუჰამმედი მოენახულებინა და ისლამი მიიღო. ხელჯოხი აიღო და მექქას გზას გაუდგა. იქ რომ ჩავიდა, სურვილი ვერავის გაუმხილა. ვინაიდან წარმართები საყვარელ შუამავალს და მუსლიმანებს სასტიკად ემტერებოდნენ. ამასთან ერთად მუსლიმანთა ტანჯვასაც დღითი-დღე აძლიერებდნენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსაკუთრებით მარტოხელა და უთვისტომო მუსლიმანებს აწამებდნენ. ებუ ზერი უთვისტომო გახლდათ, ამიტომაც მექქაში ვერავის იცნობდა და არც არვისზე არაფერი უკითხავს. ქააბესთან შუამავალთან შეხვედრის ხელსაყრელ დროს ელოდებოდა, იმ ნიშანს ეძებდა, რომელიც შუამავლის იქ ყოფნას მიანიშნებდა.

საღამოს, ერთი ქუჩის კუთხეში, ებუ ზერი განმარტოებული იჯდა. წმინდა ალიმ შენიშნა ებუ ზერი, მიხვდა, რომ ის უთვისტომო კაცი იყო და სახლში წაიყვანა. იმ ღამეს წმინდა ალის მისთვის არაფერი უკითხავს და ვერც ებუ ზერმა აუხსნა ვერაფერი. მეორე დღეს ისევ ქააბეში მივიდა, იმავე ადგილას ჩამოჯდა და შუამავლის მიბრძანებას ელოდებოდა, მაგრამ ამაოდ. მეორე ღამეს წმინდა ალიმ ისევ მიიპატიჟა სახლში. არც მეორე ღამეს უკითხავს მისთვის ალის არაფერი. ბოლოს, მესამე ღამესაც რომ იგივე განმეორდა, ალიმ ჰკითხა, თუ საიდან იყო მოსული და რა საქმე ჰქონდა. ებუ ზერმა უთხრა: თუ მტკიცედ დამპირდები, რომ არავის ეტყვი, აგიხსნიო. წმინდა ალი დაპირდა არავის ვეტყვიო. ამის შემდეგ ებუ ზერმა უამბო მოსვლის მიზეზი და დაამატა: „გავიგე აქ შუამავალი გამოჩენილა, მასთან შესახვედრად ვარ მოსული“, ალიმ შეაქო, შენ ჭკვიანურად მოიქცეულხარ, სწორედ იმ ადგილას ხარ მოსულიო შემდეგ დაარიგა: „ახლა მე მასთან მივდივარ, გამომყევი და სადაც წავალ, იქ წამოდი შენც. გზად, თუ შევამჩნევ, რომ ვინმემ ზიანი უნდა მოგაყენოს, ისე მოვიქცევი, თითქოს ფეხსაცმელს ვისწორებ და შენ, ამ დროს, მე აღარ დამელოდო და გამასწარი!“

ებუ ზერრ-ილ-ღიფარმა ალის გაჰყვა და ბოლოს, როგორც იქნა, ალლაჰის შუამავლის ლამაზი სახის ნახვის პატივი ხვდა წილად. „ესსელამუ ალეიქუმ“ – ეს ისლამში პირველი სელამი იყო და ებუ ზერი კი პირველი მიმსალმებელი პიროვნება გახდა. ალ-

ლაჰის შუამავალმა სელამი მიიღო და უთხრა: ***„უზენაესი ალლაჰის გწყალობდეს!“*** შემდეგ, როცა შუამავალმა ვინაობა ჰკითხა, მან უპასუხა: ***„მე ღიფარის ტომიდან ვარ“ „რამდენი ხანია, რაც აქ ხარ?“*** – შეეკითხა შუამავალი. „სამი დღე და ღამეა აქ ვარ“ – უპასუხა სტუმარმა. ***„ვინ დაგაპურა ამ დღეებში?“*** – ***„ზემზემის გარდა სხვა საჭმელი და სასმელი ვერ ვიპოვე, ზემზემს რომ დავლევდი, არც შიმშილი და არც წყურვილი არ მაწუხებდა“.*** შუამავალმა ბრძანა: „დიახ, ზემზემი დალოცვილია, მშივრებს დააპურებს“. ბოლოს ებუ ზერმა ალლაჰის შუამავალს თხოვა, რომ მისთვის ისლამი ესწავლებინა. შუამავალმა მას რწმენის აღიარების ფორმულა (ქელიმეი შეაჰდეთი) წაუკითხა, სტუმარმა გაიმეორა შუამავლის ნათქვამი, ისლამით გასხივოსნდა და პირველ მუსლიმანთა რიგებში დაიკავა ადგილი.

როდესაც ებუ ზერრ-ილ-ღიფარმა ისლამი მიიღო, ალლაჰის შუამავალს უთხრა: „ალლაჰის შუამავალო! უზენაეს ალლაჰს ვფიცავ, რომ მე ეს წარმართთა შორის აშკარად უნდა ვაღიარო“ შემდეგ ქააბესთან მივიდა და ხმამაღალი ხმით წარმოსთქვა: „ეშჰედუ ენ ლაილაჰე ილლალლაჰ ვე ეშჰედუ ენნე მუჰამმედუნ აბდუჰუ ვე რესულუჰუ“ (მოწმე ვარ რომ არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა და კიდევ მოწმე ვარ, რომ მუჰამმედი მისი მსახური და შუამავალია)“. წარმართებმა, გაიგონეს თუ არა ეს, მაშინვე ქვით, ჯოხით, ძვლების ნატეხებით თავს დაესხენ და სულ დაასისხლიანეს. ეს მდგომარეობა აბბასმა რომ ნახა, წარმართებს უთხრა: „რას აკეთებთ, ამ კაცის მოკვლა გინდათ? ეს კაცი, სადაც თქვენ ყოველთვის ქარავნებით გაივლით, იმ გზის პირას მცხოვრები ტომიდანაა. ამის მერე იქით ვეღარ გაივლით“. აბბასმა ამჯერად სტუმარი წარმართების ხელიდან გადაარჩინა, მაგრამ ებუ ზერი ისლამის მიღებით იმდენად აღფრთოვანებული იყო, რომ ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა. მეორე დღეს ისევ წავიდა ქააბაში და რწმენის აღიარების ფორმულა (ქელიმეი შეაჰდეთი) ხმამაღალი ხმით იყვირა. წარმართებმა ამჯერადაც ისე სასტიკად სცემეს, რომ ის ძირს დაეცა და ვეღარ დგებოდა. აქაც აბბასმა მიუსწრო და გადაარჩინა.

ებუ ზერრ-ილ-ღიფარს საყვარელმა ალლაჰის შუამავალმა მის

ტომთან დაბრუნება და ისლამის გავრცელება დაავალა. ებუ ზერი, შუამავლის დავალების შესასრულებლად, თავის ტომს დაუბრუნდა. მათ უზენაესი ალლაჰის ერთადერთობისა და მუჰამმედის შუამავლობის შესახებ აუწყა. გარდა ამისა, ხალხს აუხსნა, რომ რაც იცოდა, ყველაფერი სიმართლე იყო და კერპები, რომლებსაც თაყვანს სცემდნენ, მხოლოდ უსარგებლო და უმნიშვნელო საგნები იყო.. ხალხმრავალ მსმენელთაგან ერთმა ნაწილმა პროტესტის ნიშნად შელაპარაკება გადაწყვიტა, მაგრამ იქვე ტომის ლიდერმა, ჰაფფაფმა გააჩუმა ისინი და თქვა:„ გაჩერდით, მოვუსმინოთ, ვნახოთ, ზერმა რას უნდა მოგვიყვეს“. ამის შემდეგ ებუ ზერმა საუბარი გააგრძელა:

„სანამ ისლამს მივიღებდი, ერთ დღეს, ნუჰემის კერპთან მივედი და წინ რძე დავუგი. შემდეგ დავინახე, თუ როგორ მიუახლოვდა კერპს ძაღლი, რძე შეუსვა და დააბინძურა. მაშინ დავრწმუნდი, რომ კერპს იმის ძალაც კი არ შესწევდა, რომ ძაღლის მოქმედება შეეფერხებინა. ვერ გამიგია, კერპს, რომელსაც ძაღლიც კი შეურაცხჰყოფს, როგორ ვემსახუროთ? როგორ მოგწონთ მასზე თაყვანის ცემა? ეს არ არის სისულელე? და თქვენ ამას სცემთ თაყვანს“. ყველა თავდახრილი უსმენდა. შემდეგ ერთ-ერთმა ჰკითხა: „კი მაგრამ, შენ რომ შუამავალზე ლაპარაკობ, ის რას გვაცნობებს? როგორ გაიგე, რომ ის სიმართლეს ლაპარაკობს?“ ებუ ზერმა ხმამაღალი ხმით ისლამი ვრცლად გააცნო მისულთ და უპასუხა: „ის გვაცნობებს, რომ ალლაჰის ერთადერთია, მის გარდა სხვა ღვთაება არ არსებობს, ყველაფრის გამჩენი და ბატონ-პატრონ ის არის... ადამიანებს მასზე დაჯერებისაკენ, სიკეთისაკენ, კარგი ზნეობისაკენ, ურთიერთდახმარებისაკენ მოუწოდებს. ქალიშვილების ცოცხლად დამარხვის, ყველა ბოროტების, უსამართლობის, შმაგობის საზიზღრობისაგან შორს დგომასა და სიფრთხილისკენ მოგვიწოდებს. ტომებში არსებული მცდარი რელიგიური შეხედულებები სათითაოდ ჩამოთვალა“. შემდეგ ზერმა ისაუბრა იმის შესახებ, თუ რა ზიანი მოჰქონდა ყველაფერს ამას მათთვის საუბრის დასრულების შემდეგ, ტომის ლიდერის, ჰაფფაფის მეთაურობით უამრავმა ადამიანმა მიიღო ისლამი.

ქააბეში სახალხოდ ყურანის კითხვა

ესჰაბი ქირამის ხალხი ერთ დღეს განმარტოებულად შეკრებილიყო და ერთმანეთში ლაპარაკობდნენ: „ვფიცავ, ალლაჰის შუამავლის გარდა, ყურეიშელ წარმართთა გასაგონად ყურანის კითხვა ვერავინ ვერ გაბედა. ნეტავი არის ისეთი ვინმე, რომ წარმართთა გასაგონად აშკარად ყურანი ქერიმი იკითხოს?“ იქვე აბდულლაჰ ბინ მეს'უდიც იმყოფებოდა. მან თქვა: „მე ვიკითხავ ყურანს მათ გასაგონად“ მეგობართაგან ზოგიერთმა მას მიმართა: „აბდულლაჰ! ვშიშობთ, რომ წარმართნი ზიანს მოგაყენებენ, ჩვენ ისეთი ვინმე გვინდა, რომ საჭიროების დროს წარმართთა შორის დამცველი, დამხმარე ხალხი გყავდეს“. აბდულლაჰ ბინ მეს'უდმა დაჟინებით მოითხოვა: „ნება მომეცით, წავალ, დიადი ალლაჰი მე დამიცავს“.

მეორე დღეს, შუადღისას მაყამი იბრაჰიმთან მივიდა. წარმართები იქ იყვნენ შეკრებილნი. აბდულლაჰ იბნი მეს'უდმა ალლაჰის სახელი ახსენა და რაჰმანის სურას კითხვა დაიწყო. წარმართებმა ერთი მეორეს შეხედეს და თქვეს: „რას ამბობს უმმუ აბდის შვილი? ეტყობა მუჰამმედის მოტანილ რაღაცეებს კითხულობს“. შემდეგ კი თავს დაესხნენ და მუშტის, წიხლის, ხელის დარტყმებმა მას სახე და თვალები ისე დაულურჯა, რომ ვერავინ ვეღარ იცნობდა. მიუხედავდ წიხლებისა და მუშტების თავში ცემისა, ის კითხვას მაინც განაგრძობდა. როცა მეგობრებთან დაბრუნდა და მათ ასეთ მდგომარეობაში ნახეს, ძალიან ეწყინათ და თქვეს: „ჩვენც ზუსტად ამისი გვეშინოდა, რაცმოგვიდა“.

მომხდარის გამო აბდულლაჰ ბინ მეს'უდი სრულიად არ იყო დანაღვლიანებული. მან თქვა: „ალლაჰის მტრები ასე სუსტად ჯერ არ მინახავს, თუ ისურვებთ, ხვალ მათ გასაგონად კვლავ ვიკითხავ“. მეგობრებმა უარი უთხრეს: „არა, შენთვის ეს საკმარისია, შენ ხომ ის მოასმენინე წარმართებს, რისი გაგონებაც არ მოსწონთ“.

ტუფეილ ბინ ამრის გამუსლიმანება

საყვარელი ალლაჰის შუამავალი მექქაში, ისლამის აშკარად გავრცელების წლებში, დღედაღამე ხალხს რჩევა-დარიგებებს აძლევდა და მათ ისლამისკენ მოუწოდებდა. მექქელი წარმართები

ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა ალლაჰის შუამავლის გარჯას ამაოდ ჩაევლო და მიზანს ვერ მიეღწია. ვინც მის ნათქვამს დაიჯერებდა და იწამებდა, ყოველგვარ ტყუილს, ცილისწამებას აბრალებდნენ და აწამებდნენ. როცა დაინახავდნენ, რომ ვინმე შუამავალთან მივიდოდა და შეხვდებოდა, მაშინვე მასთან გარბოდნენ და ეუბნებოდნენ, რომ მმისთვის არ მოესმინათ, არ დაეჯერებინათ. ამისათვის ყოველგვარ ტყუილსა და ღალატს მიმართავდნენ. სხვა ქალაქიდან მოსულების მიმართაც ყველაფერს აკეთებდნენ, რომ შუამავალს არ შეხვედროდნენ.

მაშინ, როცა მუსლიმანები ურწმუნოთაგან ტანჯვა-წვალებაში იმყოფებოდნენ, ტუფეილ ედ-დევსი მექქაში ჩამოვიდა. როცა ეს წარმართებმა დაინახეს, მასთან მეთაური გაგზავნეს და გააფრთხილებინეს: „ტუფეილ! ჩვენს სახელმწიფოში ჩამოხვედი. აქ, ჩვენთან, აბდულმუტტალიბის ობოლს, გასაოცარი თვისები ახასიათებს. მისი ნათქვამი სიტყვები ჯადოსნურია, შვილს – მამას, ძმას – ძმას და ქმარს – ცოლს აშორებს. მოგონილი აზრებით ქვეყანა არია. მისი სიტყვების მომსმენი შვილი მამას აღარ აფასებს და მხოლოდ მას ემორჩილება, სხვას არავის უსმენს და მუსლიმანი ხდება. ვშიშობთ, რომ ჩვენს თავს დამტყდარი უბედურება, შენ და შენს ხალხსაც არ დაგატყდეთ თავს. ჩვენგან დარიგებად მიიღე, ფრთხილად იყავი, მას არ შეხვდე, არ ელაპარაკო. არც მას რამე უთხრა და არც მისი სიტყვა მოისმინო. რასაც ჰყვება ყუარდღება არ მიაქციო. ძალიან ყურადღებით იყავი, დიდხანს ნუღარ დარჩები, ახლავე ადექი და წადი!“ ამ ამბის შესახებ ტუფეილ ბინ ამრი ასე მოგვითხრობს:

„გეფიცებით და გეუბნებით, ეს სიტყვები იმდენჯერ გამიმეორეს, რომ გადავწყვიტე არასოდეს შევხვედროდი შუამავალს და მისთვის საერთოდ არ მომესმინა. უარესიც, როცა ქააბაში შევდიოდი, მეშინოდა მისი სიტყვები უცებ არ მომესმას-მეთქი და ყურებში ბამბას ვიკეთებდი. ერთ დღეს ქააბაში წავედი, ალლაჰის შუამავალი დავინახე, იქ იყო და ლოცულობდა, მასთან ახლოს გავჩერდი, უზენაესი ალლაჰის ნებით, რასაც კითხულობდა, ცოტაოდენი მომესმა. ვერ წარმოიდგენთ, რაოდენ ლამაზი იყო ის სიტყვები, მერე ჩემთვის ჩავილაპარაკე: „ისეთი ადამიანი არა ვარ,

რომ კარგსა და ცუდს ვერ ვამჩნევდე-მეთქი. პოეტი ვარ. რატომ არ უნდა მოვისმინო მისი სიტყვები? თუ მომეწონება, გავითავისებ, თუ არ მომეწონება, უკუვაგდებ. შემდეგ, ცოტა ხნით, იქვე დავიმალე და მანამდე ვუთვალთვალებდი ალლაჰის შუამავალს, სანამ ლოცვას მორჩა და სახლში წავიდა. შემდეგ უკან გავყევი, სახლში რომ შევიდა, მეც შევყევი და ვუთხარი: „ძვირფასო მუჰამმედ! მე როცა ამ ქალაქში მოვედი, შენმა ხალხმა მე სულ სხვა რამ მითხრა შენზე. მირჩიეს, რომ შენგან თავი შორს დამეჭირა, შენი სიტყვები რომ არ გამეგონა, ყურებში ბამბა გავიკეთე, მაგრამ უზენაესმა ალლაჰმა შენი სიტყვებისგან მცირე ნაწილის მოსმენით დამაჯილდოვა. მე ის სიტყვები ძალიან მომეწონა. ამის შემდეგ, რასაც მიბრძანებ, მზად ვარ ყველაფერი დავიჯერო და შევასრულო“. ალლაჰის შუამავალმა ისლამი ამიხსნა, შემდეგ ყურანიც წამიკითხა. გეფიცებით, სიცოცხლეში მასზე უფრო ლამაზი სიტყვა არ მსმენია. მაშინვე ქელიმეი შეჰადეთი წარმოვსთქვი და გავმუსლიმანდი.

მაშინ ვუთხარი: „ალლაჰის შუამავალო! მე ჩემს ხალხში დაფასებული კაცი ვარ, ხალხი ჩემს ნათქვამს არ გადაუხვევს. წავიდე და მათაც მოვუწოდო ისლამისკენ? შეავედრეთ ალლაჰს, რომ ჩემთვის რაღაც სასწაული მოახდინოს, რომ ხალხის ისლამისკენ მოხმობა გამიადვილდეს“. ამ თხოვნის შემდეგ შუამავალი შეევედრა: ***„ჩემო ალლაჰო! მისთვის სასწაული მოავლინე!“***

ამის შემდეგ სამშობლოში დავბრუნდი. ბნელი ღამე იყო, როცა ჩემს ხალხს მივუახლოვდი. ისინი იმ დროს წყაროსთან ისხდნენ. უცებ, ჩემი შუბლიდან, ლამპარის მსგავსი სხივი გამოჩნდა და ნათება დაიწყო. მაშინ შეევედრე: „ჩემო ალლაჰო! ეს სხივი სხვა ადგილას გადაადგილე! დევსის ტომის უმეცრებმაც დაინახონ და ჩემზე არ იფიქრონ, რომ რჯულის შეცვლის გამო, ღმერთმა, სასჯელის სახით, შუბლიდან სხივი წაართვაო!“ მაშინვე ის სხივი ჩემს მათრახს მოედო და ლამპარივით დაეკიდა. როცა ტომს უფრო დავუახლოვდი და ზევიდან დაღმა სვლა დავიწყე, იქ მყოფნი ერთი მეორეს მნათობ ლამპარს აჩვენებდნენ. ასეთ მდგომარეობაში დაბლა ჩავედი და სახლში მივედი. იმ წამსვე მამა მოვიდა ჩემთან და

ასეთ მდგომარეობაში რომ მნახა, კისერზე შემომეხვია. მამაჩემი ძალიან მოხუცებულიყო, მას ვუთხარი: „ჩემო მამიკო! როგორც ადრე იყავი, ისე თუ დარჩები, მე შენგან არ ვიქნები უკმაყოფილო, შენ კი ჩემგან არ დარჩები ნაწყენი!“ მამამ მკითხა: „რა ხდება, შვილო, რა არის ასეთი საუბრის მიზეზი?“ ვუპასუხე: „მე უკვე წმინდა მუჰამმედის რჯული მივიღე, გავმუსლიმანდი“. მან მითხრა: „თუ ეგრეა, შვილო, მეც გავმუსლიმანდები და შენი რჯული ჩემიც იყოს“. მამამ ქელიმეი შეჰადეთი წარმოსთქვა და მუსლიმანთა რიგებში შევიდა. რაც ვიცოდი, მას ვასწავლე. შემდეგ დაიბანა და სუფთა ტანსაცმელი ჩაიცვა. ამის შემდეგ მეუღლეს მოვუყევი ყველაფერი. ისიც დამეთანხმა და მუსლიმანი გახდა.

როცა გათენდა, დევსის საზოგადოებაში გავედი. მთელ დევისის ტომს ისლამი გავაცანი და მისკენ მოვუხმე. მაგრამ ჯერი რომ ისლამის მიღებაზე მიდგა, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. უფრო მეტი, დიდხანს წინააღმდეგნი იყვნენ. ბოროტ და ცოდვილ საქქმეებისგან ხელი ვერ აიღეს. დიდხანს დამცინოდნენ. პროცენტითა და აზარტული თამაშებით დაბეჩავებულებს, ჩემი ნათქვამი ვერ შევასმინე. ისლამს გაექცნენ და ალლაჰის შუამავალი არ სცნეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ მექქაში წავედი და ჩემს ხალხს ალლაჰის შუამავალთან ვუჩივლე: „ალლაჰის შუამავალო! დევსის ტომი ალლაჰს არ დაემორჩილა, ჩემი მოწოდება არ დაიჯერეს, ისლამი არ მიიღეს. გთხოვ, მათთვის შეევედრო ალლაჰს!“ ყველას მიმართ წყალობითა და გულისხმიერებით გამსჭვალულმა საყვარელმა შუამავალმა ხელები ყიბლისკენ აღაპყრო და შეევედრა: „ჩემო გამჩენო, ბატონ-პატრონო! დევსის ხალხს სწორი გზა აჩვენე, ისინი ისლამით გააცისკროვნე“. შემდეგ მე მომიბრუნდა და მითხრა: ***„ახლა ისევ შენს ხალხთან დაბრუნდი, მათი ისლამისკენ მოწოდება ტკბილი ენითა და მომღიმარი სახით გააგრძელე, მათ კარგად მოექეცი“.*** შემდეგ სამშობლოში დავბრუნდი და გავაგრძელე ჩემი ტომის ისლამისკენ მოწოდება. ამჯერად ჩემი გარჯა დაფასდა“.

მოწოდება ბაზრობებზე

ყოველ წელს, სხვადასხვა ადგილებიდან ადამიანები, წმინდა ქააბას მოსანახულებლად, მექქაში მოდიოდნენ. ალლაჰის საყვარელი შუამავალი მათ ხვდებოდა და ისლამს აცნობდა, აუწყებდა ალლაჰის ერთადერთობას, და იმას, რომ გადარჩენის, ერთადერთი გზა ისლამი იყო.

ერთხელ ველიდ ბინ მუღირემ წარმართები შეკრიბა და უთხრა: „ყურეიშელო საზოგადოებავ! ისევ დადგა ქააბას მონახულების ტარდიციული დრო. მუჰამმედის ხმა მთელმა ქვეყანამ გაიგო! უეჭველია, არაბი ტომები მასთან მოვლენ, მოუსმენენ, მისი ტკბილი სიტყვები მათ აღაფრთოვანებს და ისლამის რჯულს მიიღებენ. ამისათვის გარკვეული ზომების მიღება გვმართებს. ყველა გავერთიანდეთ და მის შესახებ ისეთი რამ მოვიგონოთ, რომ ხალხის წინაშე ჩვენ მატყუარები არ გამოვიდეთ“. ყურეიშელებმა ასე უპასუხეს: „ბდიშშემსის მამავ! ჩვენს შორის, ყველაზე მოწინავე შეხედულების მქონე შენ ხარ. შენ რასაც იტყვი, ჩვენც იმაზე დავთანხმდებით“. გადაწყვიტეს ალლაჰის შუამავლისთვის მკითხავი ეწოდებინათ, მაგრამ ველიდი არ დაეთახმა და თქვა: „არა, გეფიცებით, ის მკითხავი არა არის, ჩვენ უამრავი მკითხავი გვინახავს, ისინი სიმართლეს თუ ტყუილს მოურიდებლად ამბობენ. რასაც მუჰამმედი კითხულობს, მკითხავების შეთხზულს სრულებით არა ჰგავს. ვიცით, რომ დღემდე მუჰამმედის ტყუილი არ გვსმენია, ასეთ რამეს თუ ვიტყვით არავინ დაგვიჯერებს“. დანარჩენებმა ტქვეს, მაშინ გიჟი ან გადარეული ვუწოდოთო. ველიდი მათ ისევ შეეწინააღმდეგა: „არა, გეფიცებით, რომ ის არც გიჟია და არც გადარეული. ჩვენ გიჟები და გადარეულები გვინახავს, მათ იგი სრულებით არ ჰგავს. ასე რომ ვთქვათ, მატყუარებს გვიწოდებენ“. მაშინ ყურეიშელებმა შესთავაზეს, პოეტი ვუწოდოთო. ველიდი არც ამ აზრს დაეთანხმა. ჩვენ, ყოველგვარი პოეზიის კარგად გაგვეგება, რასაც ის კითხულობს, ლექსებთან რაიმე საერთო არა აქვს. ველიდმა შუამვლისთვის არც ჯადოქრობის დაბრალების იდეა მოიწონა და თქვა: „ჩვენ უამრავი გრძნეული და გაკეთებული ჯადოებიც გვინახავს. მის სიტყვებში არანაირი ჯადო არ იგულისხმება. მუჰამმედის სიტყვები მთელ ქვეყანაზე წარმატე-

ბულია და მას კარგად იცნობენ. ხალხს განსხვავებულ აზრს ვერ ავუკრძალავთ. ადამიანები ყველაფერს თავიანთი შეხედულებების შესაბამისად იტყვიან. გარდა ამისა, მჭერმეტყველებაში, ენაწყლიანობასა და გამოთქმით ლაპარაკში, ყველა თანატოლს სჯობს. ერთი სიტყვით, რაც უნდა ვუწოდოთ, ხალხი გაიგებს რომ ვტყუივართ“. ბოლოს, როცა ყურეიშელებმა სხვა ვერაფერი მოიგონეს, ველიდს უთხრეს: „ჩვენს შორის, ყველაზე უფროსი და გამოცდილი, შენ ხარ. შენ რასაც იტყვი, თანახმა ვიქნებით“.

ველიდმა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ, თქვა: „ყველაფერს ჯობია, ისევ გრძნეული, ჯადოქარი ვუწოდოთ. ვფიქრობ, ეს ყველაზე უფრო შეეფერება მას, რადგან თავისი სიტყვებით და ქმედებით ხალხს ერთმანეთისგან, ნათესავებისაგან აშორებს. ძმებსა და მეგობრებს შორის სიცივეს აგდებს“. ამ სიტყვებით მან ყველა წააქეზა. ყურეიშელები მაშინვე დაიშალნენ და მექქაში ყველას გააგებინეს, მუჰამმედი გრძნეულიაო. ქააბას მოსანახულებლად მოსულ ხალხს წინ გადაეღობებოდნენ და აფრთხილებდნენ, რომ ალლაჰის შუამავალს არ შეხვედროდნენ.

მიუხედავად წარმართების ასეთი ქმედებებისა, ისლამის შესახებ ყველამ გაიგო, და ადამიანთა გონებაში, კერპების მიმართ, კითხვის ნიშანი დაისვა.

წარმართთაგან წმინდა ყურანის მოსმენა

წარმართთაგან ავტორიტეტული პიროვნებები სხვადასხვა თაღლითობითა და დესპოტიზმით ადამიანებს ჭეშმარიტი რწმენის მიღების გზას უღობავდნენ. მექქელ ხალხს, როცა წმინდა მუჰამმედი ყურანს კითხულობდა, მოსმენის საშუალებას არ აძლევდნენ. ისინი ალლაჰის შუამავლის სახლთან მივიდოდნენ, კუთხეში მიიმალებოდნენ და ფარულად უსმენდნენ. როდესაც გათენდებოდა და გარემოს შუქი მოეფინებოდა, თითოეული ფარულად მისული ერთმანეთს არცხვენდა. მერე იტყოდნენ, ასე მეორეჯერ აღარ გავიმეოროთო, მაგრამ მეორე ღამესაც იგივე მეორდებოდა. ერთმანეთის ფარულად მიდიოდნენ და ყურანს უსმენდნენ. დილით ერთმანეთს რომ ხედავდნენ, შეცბუნებულები იყურებოდ-

ნენ. ერთხელ კიდევ შეჰფიცებდნენ ერთმანეთს, რომ ასე აღარ გავაკეთოთო, მაგრამ მაინც მიდიოდნენ და ყურანს უსმენდნენ. მიუხედავად ამისა, მაინც არ აღიარებდნენ ისლამს, რადგან სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე იყვნენ აყოლილები, საკუთარ თავს სხვებზე მაღლა აყენებდნენ, ეშინოდათ იმისა, რომ სხვა წარმართები მათ შეარცხვენდნენ. ამის გამო სხვებსაც ხელს უშლიდნენ და უარესსაც აკეთებდნენ, ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ და ყვიროდნენ, მუჰამმედი გრძნეულია.

ერთ საღამოს წარმართები ქააბასთან შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს, მუჰამმედს შევხვდეთ და სანამ სხვები გაიგებენ და გაგვკიცხავენ, ამ საკითხზე ველაპარაკოთო. შეთანხმდენენ და ალლაჰის შუამავალს კაცი გაუგზავნეს. დაპატიჟებისთანავე საყვარელი შუამავალი ქააბაში მივიდა და წარმართთა წინ დაჯდა. მათ უთხრეს: „მუჰამმედ! ჩვენ შენთან შეთანხმება დავისახეთ მიზნად. გეფიცებით, რომ არაბთა შორის, ხალხის შარში გამხვევი, შენისთანა ადამიანი ჯერ არ გამოჩენილა! შენ, ჩვენი რჯული შეურაცხჰყავი! ღმერთებს ენა წაუგრძელე! ჩვენი ჭკუა არ მოიწონე! ერთმანეთისაგან გაგვყე და ერთმანეთს გადაგვკიდე! ისეთი ცუდი საქმეები გაგვიკეთე, მეტი რომ არ შეიძლება! შენ, თუ ასეთი ქმედებებით და საუბრებით გამდიდრება გინდა, რასაც ისურვებ, იმაზე მეტ ქონებას შეგიგროვებთ. თუ ამით გინდა, რომ სახელი მოიხვეჭო და რეპუტაცია აიმაღლო, ჩვენს ბატონად გცნობთ, თუ კი მეფობა გინდა მეფედ გამოგაცხადებთ და შენს ირგვლივ შევიკრიბებით. შემთხვევით, რაიმეს ზეგავლენის ქვეშ თუ ხარ მოქცეული, მისგანაც გადაგარჩენთ. ჯინებისგან შეპარებული ავადმყოფობა თუ დაგემართა, შენს გამოსაჯანმრთელებლად ყოველგვარ სიმდიდრეს გავიღებთ! ოღონდ ქადაგებასა და ხალხის ახალი რელიგიისაკენ მოწოდებას შეეშვი“ ასეთი იყო წარმართთა დაჟინებული მოთხოვნა.

ქვეყნიერების ბატონმა მათ დიდი მოთმინებით მოუსმინა, დაბოლოს, შესანიშნავი პასუხი გასცა: ***„ყურეიშელო ხალხო! რაც თქვენ თქვით, ჩემში მსგავსიც არაფერი არის. მე, თქვენ მოგიტანეთ, მის სანაცვლოდ, არც თქვენი ფული, არც სახელის მოხვეჭა და არც მეფობა ღირს. უზენაესმა ალლაჰმა მხოლოდდამხოლოდ თქვენს***

შუამავლად მომავლინა, წმინდა წიგნი მიბოძა და მიბრძანა: თქვენი (მორწმუნეთა) ***მახარობელი, ხოლო მათ*** (ურწმუნოთა) ***მიმართ ჯოჯოხეთით დამშინებელი ვყოფილიყავი. მეც, ალლაჰის ეს ბრძანება, თქვენ გადმოგეცით, დაგარიგეთ. თუ იწამებთ მას, რაც მოგიტანეთ, ის თქვენთვის ამ ქვეყნისა და საიქიოს ხვედრითი წილი და საგზალი იქნება. თუ კი არ იწამებთ და ურჰყოფთ მას, გამჩენის ნებით, სანამ თქვენს შორის ვიქნები, ჩემზე დავალებულის სისრულეში მოყვანას შევეცდები“.***

ებუ ჯეჰილმა, უმეიიე ბინ ხალეფმა და სხვა წარმართებმა უთხრეს: „კარგად იცი, რომ ცხოვრების მხრივ, ჩვენზე უფრო რთულ პირობებში არავინ ცხოვრობს. რადგან ალლაჰის შუამავალი ხარ, ითხოვე გამჩენისგან და ეს მთები, რომლებიც ცხოვრების პირობებს გვირთულებს, მოაშოროს, სამშობლო გაგვიფართოვოს, დამასკოსა და ერაყის მსგავსად მდინარეები მოგვცეს. გარდა ამისა, ქუსაი ბინ ქილაბთან ერთად, ზოგიერთი ჩვენი წინაპარი გააცოხლოს, ვინაიდან ქუსაი ბინ ქილაბი დიდი სიმართლის მთქმელი იყო, შენ მართალს ამბობ, თუ ტყუილს, ყველაფერი მას ვკითხოთ! იმ პირობით, თუ ის შენ დაგემოწმება და ჩვენ მოთხოვნებსაც შეასრულებ, ჩვენც გამოგყვებით შენ გზაზე. ამასთან ერთად ღვთის წინაშე შენ მოვალეობასა და დამსახურებას გავიგებთ. თუ ჩვენთვის ამას არ გააკეთებ, მაშინ შენთვის თხოვე რამე, მაგალითად ანგელოზის გამოგზავნა, რომელიც ჩვენგან დაგიცავს და შენი ქადაგების სისწორეში დაგვარწმუნებს! ამასათან ერთად შენს გამჩენს სთხოვე, ბაღები, სასახლეები და ხაზინები მოგცეს რათა გაჭირვებისაგან იხსნა თავი. რადგან შენც, ჩვენსავით, ბაზარში დადიხარ და ლუკმა პურისთვის ზრუნავ“.

ალლაჰის საყვარელმა შუამავალმა მათ ასეთი პასუხი გასცა: ***„მე თქვენთან იმსათვის არ მოვლენილვარ, როგორც თქვენ გაქვთ წარმოდგენილი. ის რისთვისაც უზენაესმა ალლაჰმა თქვენთან მომავლინა, სულ სხვა მიზანს ისახავს. უზენაესისგან მხოლოდ ის მოგიტანეთ და გაცნობეთ, რაც სრული ჭეშმარიტებაა. მე გამჩენისთვის რაიმეს*** (ქონებისა და სიმდიდრის) ***მთხოვნელი ადამიანი არ ვარ. მისგან ნაბრძანები მაქვს: თქვენი*** (მორწმუნეთა) ***მახარობელი, ხოლო მათი*** (ურწმუნოთა) ***ჯოჯოხეთით დამშინებელი ვიყო. მეც, ალლაჰის***

ეს ბრძანება, თქვენ გადმოგეცით, დაგარიგეთ. თუ იწამებთ მას, რაც მოგიტანეთ, ის თქვენთვის, ამ ქვეყნაშიც და საიქიოშიც, საგ ზალი იქ-ნება. თუ არ იწამებთ და უარჰყოფთ მას, მაშინ სამუდამოდ დაისჯე-ბით, მე კი გამჩენის ნებით, სანამ თქვენს შორის ვიქნები, შევეცდები რომ ჩემი მოვალეობა პირნათლად შევასრულო“.

წარმართებმა ამჯერად უთხრეს: „რადგან შენი გამჩენი, რასაც ისურვებს, უეჭველად შეასრულებს, თხოვე ეს მთა დაშალოს და თავზე დაგვაყაროს. ამას თუ არ გააკეთებ, ჩვენ შენ არასოდეს და-გიჯერებთ“. შუამავალმა მიუგო: ***„ეს, რაც თქვენ მთხოვეთ, ალლა-ჰის საქმეა, ის, თუ ისურვებს, ეჭვგარეშეა, გააკეთებს“.*** წარმართებმა ამით არ დაკმაყოფილდნენ, უფრო შორს შეტოპეს და უთხრეს: „მუჰამმედ! ჩვენ შენთან ერთად რომ უნდა გვესაუბრა, კითხვები რომ უნდა დაგვესვა და რაღაცეები რომ უნდა მოგვეთხოვა შენგან, იცოდა შენმა გამჩენმა? რატომ არ გაცნობა ადრე? როცა ჩვენ ისლამს აგვიხსნიდი, ჩვენი დაუჯერებლობის შემთხვევაში, ჩვენს მიმართ როგორ უნდა მოქცეულიყავი, რატომ არ გაცნობა? შენი სიტყვების სიმართლეში დასარწმუნებლად, სანამ მოწმეებად ანგე-ლოზებს მოიყვან, არ დაგიჯერებთ! უკვე, შენს მიმართ, არანაირი პასუხისმგებლობა აღარ დაგვრჩენია... გეფიცებით, რომ ამის შემ-დეგ, საყელოდან ხელს აღარ გაგიშვებთ. ჩვენ შენ მოგსპობთ, ან შენ ჩვენ“... მაშინ, როცა ისინი შუამავალს უნდა მიახლოებოდნენ, პირიქით მოხდა, ყველა ერთად გაშორდა იქაურობას. ამის შემდეგ შუამავალმა იქაურობა მალე დატოვა.

როცა მექქელმა წარმართებმა სამყაროს შუამავალი უარჰყვეს, მაშინ უზენაესმა ალლაჰმა ანგელოზ ჯებრაილის მეშვეობით ზე-შთაგონება გარდმოავლინა. წარმართებს აიათებით პასუხი გასცა. მათ მომავალი მწარე სასჯელის შესახებ აცნობა. ენ’ამის სურეს 4-5 აიათები გამოუცხადა, სადაც უზენაესი ალლაჰი ასე ბრძა-ნებს:

„და არ ყოფილა გარდმოვლენილი მათზე ერტი სასწაულიც კი მათი უფლის სასწაულთაგან რომ ისინი ამ სასწაულის წინააღმდე-გნი არ ყოფილიყვნენ.

ცრუდ შერაცხეს ჭეშმარიტება, რაც მიეპოძათ და მალე მუვათ ამ-

ბები იმისა რასაც მასხრად იგდებდნენ.“

გარდა ამისა ამავე სურას 10-11 აიათებში ბრძანებს:

„მასხრად იგდებდნენ შუამავლებს შენზე უწინაც და თავს გადახდებათ მათ ვინც ამასხრებდა, ის, რასაც ამასხრებდნენ.

უთხარი მოვლეთ დედამიწა და იხილეთ როგორი იყო ბოლო (ჭეს-მარიტების) სიცრუეთ შემრაცხავთა.“

წარმართებმა, მათ შესახებ მოვლენილი აიათების გამო, მტროობას უმატეს. განსაკუთრებით, უბეი ბინ ჰალეფი და მისი ძმა უმ-ეიიე ალლაჰის შუამავალს ძალიან დიდ ტკივილს აყენებდნენ. ერთხელ, ბედკრული უბეი, დამპალი ძვლით ხელში, შუამავლის წინაშე წარსდგა და უთხრა: „მუჰამმედ! თურმე ეს ძვალი როცა შენი გამჩენი გააცოცხლებს მას, ანუ შენ გგონია, რომ გახრწნის შემდეგ, გამჩენი გააცოცხლებს ადამიანს?“ შემდეგ ძვალი დაფშვნა და მისი მტვერი შებერვით საყვარელი შუამავლისკენ გაფანტა. კვლავ ჰკითხა: „მუჰამმედ! ეს ასე რომ გაიხრწნება, ვის შეუძლია მისი გაცოცხლება?“ ალლაჰის საყვარელმა შუამავალმა ბრძანა: ***„დიახ, უზენაესი ალლაჰი შენც წაგართმევს სულს და მასაც... შემდეგ შენ გაგაცოცხლებს და ჯოჯოხეთში გიკრავს თავს“.*** ამ მოვლენასთან დაკავშირებით უზენაესმა ალლაჰმა ის წმინდა აიათი მოავლინა, რომლის მნიშვნელობა შემდეგია: ***„იმ*** *(უარმყოფ)* ***ადამიანმა არ იცის, რომ ის სისხლის ნეკერტისგან გავაჩინე“.***

ჰალიდ ბინ სა'იდ'ის რწმენა

ჰალიდ ბინ სა'იდ'ს, ისლამზე მოწოდების პირველ წლებში, შემდეგი სიზმარი ნახა. ჯოჯოხეთის პირას იდგა. ამ დროს მამისმა მისთვის ხელის კვრა და გადაგდება სცადა, ზუსტად მაშინ, ალლაჰის მუამავალს, წელზე ხელი შემოუხვევია და ჯოჯოხეთში ჩავარდნისგან გადაურჩენია. ჰალიდს კივილით გამოეღვიძა და თავისთვის ჩაილაპარაკა: „ვფიცავ, ეს სიზმარი მართალია!“ სახლიდან გარეთ გამოვიდა, ებუ ბექირს შეხვდა და სიზმარი მოუყვა. მან უთხრა: „სიზმრად რაც იხილე, მართალია! ეგ კაცი ალლაჰის შუამავალია. ახლავე წადი და მისი მიმდევარი გახდი. მის მიერ

მოტანილი რჯულისა იწამე და მასთან ერთად დარჩი. ის, როგორც სიზმარში, ჯოჯოხეთში ჩავარდნისაგან დაგიფარავს“....

ჰალიდ ბინ სა’იდ’ი სიზმრის ზეგავლენის ქვეშ იყო მოქცეული. მაშინვე ეჯდად წოდებულ ადგილას, ალლაჰის შუამავლის წინაშე წარსდგა და ჰკითხა: „მუჰამმედ! შენ ადამიანებს რისკენ მოუწოდებ?“ ალლაჰის შუამავალმა მიუგო: ***„მე ადამიანებს ტოლისა და სწორის არმყოლე, ერთადერთი ალლაჰისა და მის მსახურ, შუამავალ მუჰამმედის რწმენისკენ ვუხმობ. გარდა ამისა, სმენისა და მხედველობის არმქონე, არანაირი ზიანისა და სარგებლობის მომტან, მასზე თაყვანისცემცემლის თუ მისი უარმყოფის შესახებ არაფრის მცოდნე, მთელი რიგი ქვების ნამტვრევებზე თაყვანისცემისგან შორს დგომისაკენ მოვუწოდებ“.*** ჰალიდ ბინ სა’იდ’მა მაშინვე მიუგო: „მეც მოწმე ვარ, რომ არ არსებობს სათაყვანო ღვთაება გარდა უზენაესი ალლაჰისა და მოწმე ვარ, რომ შენ მისი შუამავალი ხარ!“. ასე მან, ქელიმეი შეჰადეთი წარმოთქვა და მუსლიმანთა რიგებში შევიდა. მის მიერ ისლამის მიღებამ ალლაჰის შუამავალი ძალიან გაახარა. ჰალიდ ბინ სა’იდ’ის შემდეგ მისი მეუღლე უმეიიეც ისლამით გაცისკროვნდა.

ჰალიდ ბინ სა’იდ’ს უნდოდა, რომ მის ძმებსაც მიეღოთ ისლამი და ამისათვის ბევრს ზრუნავდა. მათგან ომერ ბინ სა’იდ’მა აღიარა ისლამი. მუსლიმანების სასტიკმა მტერმა, მათმა მამამ, ებუ უჰაიამ, როცა ჰალიდისა და ომერის გამუსლიმანებისა და მექქას განმარტოებულ ადგილას ლოცვის შესახებ შეიტყო, მათტან მაშინვე არამუსლიმანი შვილები გაგზავნა და მოაყვანინა. მათ გაუწყრა და სცემა კიდეც, შემდეგ ახლადმიღებული რწმენის უარყოფა მოთხოვა. ამის შემდეგ ჰალიდ ბინ სა’იდ’ს ჰკითხა: „შენ მუჰამმედის მიმდევარი გახდი? მაშინ, როცა ხედავ, რომ ის შენი ხალხის საწინააღმდეგოდ მოქმედებს, თავისი მოტანილი რჯულით ჩვენს კერპებსა და წინაპრებს შეურაცხყოფს“. ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ ჰალიდ ბინ სა’იდმა მამას უთხრა: „გეფიცები, რომ მუჰამმედი სიმართლეს ამბობს, მე უკვე მისი მიმდევარი გავხდი, ამის შემდეგ კი, თავს გავწირავ და რჯულს აღარ შევიცვლი“. ამ სიტყვებმა მამა უფრო გააბრაზა და შვილს ჯოხი გატეხვამდე ურტყა, შემდეგ კი უთხრა: „უვარგისო, გაუგონარო შვილო! სადაც გინდა

იქ წადი, გეფიცები, შენ პურს აღარ მოგცემ“. ჰალიდმა უპასუხა: „თუ შენ პურს აღარ მომცემ, უზენაესი ალლაჰი საარსებო სარჩოთი დამაჯილდოვებს“. შემდეგ მამა დანარჩენ შვილებს მიუბრუნდა და დაემუქრა: „თუ რომელიმე თქვენგანი მას დაელაპარაკება, უარესი დაგატყდებათ თავს“. შემდეგ მას ჰალიდი სახლის საცავში სამ დღე-ღამის განმავლობაში მშიერ-მწყურვალი ჰყავდა გამომწყვდეული.

ჰალიდ ბინ სა’იდმა, რაღაცნაირი ხერხით, მამისგან იხსნა თავი. მამა საშინელმა ავადმყოფობამ შეიპყრო, ებუ უჰაია, მიუხედავდ იმისა, რომ ლოგინად ჩავარდნილი ავადმყოფი იყო, ისლამის მიმართ მტრობას მაინც განაგრძობდა და ამბობდა: „თუ მოვრჩი და ფეხზე დავდექი, ყველა მექქელი კერპთაყვანისმცემლობას დაუბრუნდება, ვერცერთი ადამიანი, კერპების გარდა, სხვა რამეზე ვერ ილოცებს“. ძვირფასი ჰალიდი კი ალლაჰს მამის მხრიდან ჭეშმარიტი ისლამის მიმართ მტრობის დასრულებასა და ძმების უსაფრთხოებას ევედრებოდა: „სამყაროს გამჩენო, ალლაჰო! მამაჩემს ნუ გადაარჩენ ამ საშინელი ავადმყოფობისგან“! უზენაესმა ალლაჰმა ისმინა მისი ვედრება და ებუ უჰაია ისე მოკვდა, რომ აღარ გამოჯანმრთელებულა.

მუს’აბ ბინ უმეირის მიერ ისლამის მიღება

მუს’აბი ყურაიშელთა მდიდარ, არისტოკრატ ოჯახს მიეკუთვნებოდა, როდესაც ალლაჰის შუამავლის დალოცვილი სიტყვები მოისმინა, გულში უდიდესი სიყვარული ჩაესახა. მასთან შეხვედრის სურვილით იწვოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ერქამის სახლში წავიდა და ისლამი მიიღო. ეს რომ მშობლებმა გაიგეს, ძველ რწმენაზე მისი დაბრუნების მიზნით, მისი წამება დაიწყეს. სახლის საცავში გამოამწყვდიეს და რამდენიმე დღე მშიერ-მწყურვალი დატოვეს. არაბეთის ძნელ და აუტანელ სიცხეში დაუნდობლად აწამებდნენ. მაგრამ მუს’აბ ბინ უმეირმა, მიუხედავდ სასტიკი და შეუბრალებელი წამებისა, უდიდესი მოთმინება გამოიჩინა და ისლამისგან პირი არ იბრუნა.

წმინდა მუს’აბი, სანამ ისლამს მიიღებდა, მანამდე მდიდარ

ოჯახში იზრდებოდა. ყველას მისი შურდა. მაგრამ როცა გამუსლიმანდა, ოჯახმა მას ყველაფერი წაართვა და წამება დაუწყეს. მუს'აბმა ყოველგვარ გაჭირვებას გაუძლო. ერთ დღეს იგი ალლაჰის შუამავლთან მივიდა. ამ ამბავს წმინდა ალი ასე მოგვითხრობს: „ალლაჰის შუამავალთან ერთად ვიჯექით, მუს'აბ ბინ უმეირი მოვიდა, ტანზე დაძონძილი ტანსაცმელი ეცვა და საცოდავ დღეში იყო. როცა ალლაჰის შუამავალმა მისი ეს მდგომარეობა შენიშნა, თვალები ცრემლით აევსო. მიუხედავდ უამრავი წამებისა და გაჭირვებისა, მუს'აბის პიროვნებაში რწმენის შენარჩუნების სიმტკიცე რომ დაინახა, წარმოსთქვა: ***„ალლაჰის შუქით გასხივოსნებული ამ ადამიანის გულს შეხედეთ! ვნახე, თუ როგორ კარგად უვლიდნენ მას თავისი მშობლები, მაგრამ ალლაჰისა და მისი შუამავალის სიყვარულმა ის ასეთ მდგომარეობაში ჩააგდო“.***

ემიგრაცია ეთიოპიაში

შუამავლობის მეხუთე წელი იდგა. მიუხედავად წარმართთა წინააღმდეგობისა, მუსლიმანთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა, მაგრამ, ამავდროულად წარმართებიც ტანჯვა-წვალებას ამკაცრებდნენ და ამისათვის, რაც შეეძლოთ ყველაფერს აკეთებდნენ. ალლაჰის შუამავალს გულს სტკენდა, როცა ესჰაბს აწამებდნენ, ფეხებზე თოკს მიაბამდნენ და აქლემებს ათრევინებდნენ. ასეთი წამება დღითიდღე მატულობდა. მისი კეთილი და მოწყალე გული კი, ამ ყველაფერს ვერ ითმენდა. ერთხელ ესჰაბი ქირამი შეკრიბა და განუცხადა: ***„ჩემო ესჰაბო! ახლა ქვეყანაზე გაიფანტეთ. უზენაესი ალლაჰი სულ მალე ისევ ერთად შეგყრით“.*** საჰაბეებმა ჰკითხეს: „სად წავიდეთ ალლაჰის შუამავალო?“ წმინდა შუამავალმა დალოცვილი ხელი ეთიოპიისკენ გაიშვირა და უთხრა: ***„აი იქ! ეთიოპიის მიწაზე წადით! ვინაიდან იქ, სამართლიანი ხელმწიფეა. ამავდროულად ერთ-ერთი სამართლიანი ქვეყანაა. მანამდე დარჩით იქ, სანამ უზენაესი ალლაჰი ამ გასაჭირისგან გადარჩენის კარს გახსნის“.*** ამგვარად, ქვეყნიერების მეთაურმა წმინდა მუჰამმედ მუსტაფამ (ალლაჰი დალოცავს და მიესალმება მას) მიიღო გადაწყვეტილება მექქაში წარმართების წინააღმდეგ მარტოდ ებრძოლა, საჰაბეები კი აუტანელი ტანჯვა-წვალებისგან გადაერჩინა. იგი თანამიმდევართა გადასარჩენად საკუთარ თავს სწირავდა. საჰაბეები ტოვებდნენ მშობლიურ მიწა-წყალს და ემიგრაციაში მიდიოდნენ, მაგრამ მათ ყველაზე მეტად ალლაჰის საყვარელი შუამავლისგან განშორების დარდი აწუხებდათ.

ამ, პირველ ემიგრირებულთა შორის იყვნენ: წმინდა ოსმანი და მისი მეუღლე, ალლაჰის შუამავლის ქალიშვილი წმინდა რუქიე, ებუ ჰუზეიფე და მისი მეუღლე, სეჰლე ბინთი სუჰეილი, ზუბეირ ბინ ავვამი, მუს'აბ ბინ უმეირი, აბდურრაჰმან ბინ ავფი, ებუ სელემე ბინ აბდულ ესედი და მისი მეუღლე უმმუ სელემე, ჰათიბ ბინ ამირი, ამირ ბინ რებია და მისი მეუღლე ლეილა ბინთი ები ჰასმე, ოსმან ბინ მაზ'უნი,ებუ სებრე ბინ ები რუჰმი, მეუღლე უმმუ გულსუმ ბინთი სუჰეილი, სუჰეილ ბინთი ბეიდა და აბდულლაჰ ბინ

მეს'უდი.

ალლაჰის შუამავალმა წმინდა ოსმანის შესახებ ბრძანა: ***„უეჭველია, რომ ოსმანი პირველია, ვინც, შუამავალ ლუტის შემდეგ, მეუღლესთან ერთად, ემიგრაციაში წავიდა“.*** საჰაბეტა ნაწილი ცხენაქლემით, ნაწილი კი ფეხით ფარულად მექქადან ეთიოპიისკენ გაემგზავრა. მოვაჭრეებს ფული გადაუხადეს და გემებით, წითელი ზღვის გავლით, ეთიოპიის სანაპიროებს მიადგნენ. როცა ეს ამბავი წარმართებმა შეიტყვეს, მაშინვე გამოედევნენ, მაგრამ იმედდაკარგულნი უკან დაბრუნდნენ. ეთიოპიის მეფე ნეჯაშმა მუსლიმანები კარგად მიიღო და სახელმწიფოში დააბინავა. საჰაბეები ეთიოპიის შესახებ ასე მოგვითხრობენ: „იქ კეთილმეზობლობა და მფარველობა ვიგრძენით, რწმენის საკითხში არ შეგვხებიან, გული არ გვტკენია, ჩვენთვის არც მოუწონარი სიტყვა უკადრებიათ. მშვიდად ვემსახურებოდით უზენაეს ალლაჰს.

წმინდა ჰამზას გამუსლიმანება

ისლამის ხმა დღითიდღე მთელ არაბეთში ვრცელდებოდა ასეთი ვითარება კი ყურეიშელ წარმართებს მოსვენებას არ აძლევდა. მიუხედავად ყოველგვარი გარჯისა და ზრუნვისა, ისლამის გავრცელებას ვერანაირად აბრკოლებდნენ.

დელაილ'უნ ნუბუვვესა და მე'არიჯ'უნ ნუბუვვეს წყაროებში ასეა აღწერილი: „წარმართებს ერთ-ერთი კერპი ჰქონდათ, რომელსაც სახელად ველიდს ეძახდნენ. საფას გორაკზე შეიკრიბებოდნენ და ამ კერპზე ლოცულობდნენ. ერთხელ, როცა ალლაჰის შუამავალი საფას გორაკზე წარმართებთან მივიდა და რწმენისკენ მოუწოდებდა, ურწმუნო ჯინი ამ კერპში შეძვრა და შუამავალს უხამსი სიტყვები აკადრა. სამყაროს საპატიო შუამავალს ეს ძალიან ეწყინა. ამის შემდეგ ცოტა დრო გავიდა, საყვარელ შუამავალს გაურკვეველი პიროვნების ხმა მოესმა: „ალლაჰის შუამავალო! ურწმუნო ჯინს შენთვის უხამსი სიტყვები უკადრებია, მე ის ვიპოვე და მოვკალი. თქვენის ნებართვით, შეგიძლიათ ხვალ საფას გორაკზე ამობრძანდეთ. თქვენ ისევ წარმართებს ისლამისკენ მოუწოდებთ მე კი იმ კერპში შევძვრები და შენს საქებ-სადიდებ სიტყვებს ვი-

ტყვი. საყვარელი შუამავალი აბდულლაჰის სახელის მქონე ჯინის შემოთავაზებას დათანხმდა“.

მეორე დღეს საყვარელი შუამავალი ისევ იქ წავიდა და წარმართთ რწმენისკენ მოუწოდა. ებუ ჯეჰილიც იქ იმყოფებოდა. მორწმუნე ჯინი ამ კერპში შეძვრა და ისლამის შესახებ ლამაზი სიტყვები და ლექსები წაიკითხა. წარმართებმა ეს რომ გაიგონეს, კერპი გაანადგურეს და ალლაჰის შუამავალს დაესხნენ თავს. დალოცვილი თმები აუწეწეს და სახე სისხლით შეუღებეს. შუამავალი ითმენდა მათგან მიყენებულ ჩაგვრა-წამებას და ეუბნებოდა: ***„ყურეიშელებო! მე მირტყამთ, მაგრამ იცოდეთ თქვენი შუამავალი ვარ“.*** შემდეგ იქიდან სახლში დაბრუნდა. ამ მოვლენას, მსახურმა გოგომ თავიდან ბოლომდე უთვალთვალა.

ამ დროს წმინდა ჰამზა მთაში ნადირობდა. ის იყო ჯეირანს ისარი დაუმიზნა, რომ ჯეირანმა ენა ამოიდგა და უთხრა: „ ჰამზა! მაგ ისრის ჩემზე სტყორცნას აჯობებდა, შენი ძმისშვილის მოკვლის მსურველებზე გეტყორცნა“. წმინდა ჰამზა, ამ სიტყვებით გაოცებული, უმალ სახლისკენ გაექანა. ტრადიციიის მიხედვით, როდესაც კაცი ნადირობიდან ბრუნდებოდა, ქააბას გარს შემოვლის რიტუალს (ტავაფს) ასრულებდა და სახლში ისე მიდიოდა. იმ დღეს ამ რიტუალის (ტავაფის) შესრულების დროს, მსახური გოგო მასთან მივიდა და ებუ ჯეჰილის მიერ შუამავალზე თავდასხმის შესახებ აცნობა. როცა ძვირფასმა ჰამზამ გაიგო, საყვარელი შუამავლისთვის შეურაცყოფა მიუყენებიათო, ნერვიულობისგან ძარღვები დაებერა, ხელში იარაღი აიღო და იქ მივიდა, სადაც წარმართები იმყოფებოდნენ. „შენა ხარ ის, ვინც ჩემს ძმისშვილს ცუდი სიტყვა აკადრე და გული ატკინე? იცოდეთ, ჩემი რჯული მისი რჯულია, თუ ძალა შეგწევს მსგავსი რამ ჩემ მიმართაც გაბედე, აბა!“- უთხრა მან ებუ ჯეჰილს და შემდეგ მშვილდით თავი გაუტეხა. იქვე მყოფ ურწმუნოთ ჰამზაზე თავდასხმა უნდოდათ, მაგრამ ებუ ჯეჰილმა უთხრა:„ჰამზას არ შეეხოთ, ის მართალია, მის ძმისშვილს ცუდი სიტყვები ვაკადრე“. როცა ჰამზა იქიდან წავიდა, ებუ ჯეჰილმა ირგვლივ მყოფთ მიმართა: „ღვთის გულისთვის ჰამზას არ შეეხოთ! გაგვიბრაზდება და ისლამს მიიღებს, ჰამზას გამუსლიმანებით კი მუჰამმედი გაძლიერდება“ ებუ ჯეჰილმა

ურწმუნოებს ჰამზას ფასი და ძალა აცნობა.

შემდეგ ჰამზა საყვარელ შუამავალთან მივიდა და აცნობა: „მუ-ჰამმედ! ებუ ჯეჰილზე შური ვიძიე, ის სისხლში შევღებე. არ იწყ-ინო, გაიხარე!“ საყვარელმა შუამავალმა უთხრა: ***„ასეთი რამეები არ მახარებს“.*** მაში. ჰამზამ მიმართა: „შენ გასახარებლად და წუ-ხილისგან გადასარჩენად, რასაც ისურვებ, იმას გავაკეთებ!“ საყ-ვარელმა შუამავალმა მიუგო: ***„მე მხოლოდ შენ მიერ ისლამის მი-რება და ამით შენი ძვირფასი სხეულის ჯოჯოხეთისგან გადარჩენა გამახარებს“.*** შუამავლის ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ, ჰამზა მაშინვე გამუსლიმანდა. მასზე აიათი იქნა ზეგარდმოვლენილი სა-დაც გადმოცემულია: „წმინდა აბდულლაჰ ბინ აბბასის მიხედვით: წმინდა ყურანის ენ’ამის სურას 122. აიათში გაცოცხლების შემდეგ შუქით შემოსილი პიროვნება წმინდა ჰამზაა, ხოლო იგივე აიათში – ბნელეთში მხოხავი კი ებუ ჯეჰილია.

ჰამზა წარმართებთან მივიდა და აცნობა, რომ ისლამი უკვე მი-იღო და ამის შემდეგ ალლაჰის საყვარელ შუამავალ მუჰამმედს დაიცავდა, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასადაც რომ დაჯდომოდა. შემდეგ სახოტბო ლექსი წაიკითხა: „მადლობა სამყაროს უდიდეს გამჩენს, ბატონ-პატრონ ალლაჰს, რადგან მან შეაყვარა ჩემ გულს ისლამი. ეს რჯული, რომელიც ყველას მიმართ კეთილგანწყობი-ლია, ყოვლისშემძლე და ძლიერია. სამყაროს ბატონ-პატრონის ალლაჰის მხრიდან მოვლენილია, როცა შუამავალი წმინდა ყურანს კითხულობს, გულის, ჭკუისა და გონების მქონენი თვალებიდან ცრემლებს ღვრიან, წმინდა ყურანი დახვეწილი ენით, განმარტე-ბული აიათების სახით წმინდა მუჰამმედს (ალლაჰი დალოცავს და მიესალმება მას) ზეგარდმოევლო. ის, მუჰამმედ-მუსტაფა, ჩვენს შორის ისეთი ძვირფასი ვინმეა, რომლის სიტყვა დაიჯერება და მი წინაშე თავის დახრა შეიძლება. წარმართნო! გონებას ნუ კარგავთ, თვალები ნუ გიბნელდებათ, მას უხამს და უხეშ სიტყვებს ნუ ჰკ-ადრებთ. თუ ასეთ აზრებს მიეცემით, იცოდეთ, სანამ მუსლიმანე-ბის გვამებს ფეხით გათელავთ, მანამდე მას ვერავინ შეეხება“.

ალლაჰის საყვარელი შუამავალი წმინდა ჰამზას გამუსლიმა-ნებამ ძალიან გაახარა. მუსლიმანთა რიგებში მისმა შესვლამ ის-

ლამი საკმაოდ გააძლიერა.

წმინდა ჰამზას გამუსლიმანებამ ვითარება საგრძნობლად შეცვალა, რადგან მექქელი წარმართები მას გულად, შეუპოვარ, მამაც და ვაჟკაც კაცად იცნობდნენ. ამის გამო ყურეიშელი წარმართები მუსლიმანებს უსამართლოდ და ბოროტად უკვე ვეღარ ეპყრობოდნენ. განსაკუთრებით ჰამზას მრისხანე ხმალს ერიდებოდნენ.

წმინდა ომარის მიერ ისლამის მიღება

ისლამის რჯული დღითიდღე ფართოვდებოდა და იზრდებოდა. წმინდა ყურანის სხივი ადამიანთა სულებს აცისკროვნებდა. ცოდვილი ადამიანები უზენაესი ალლაჰის წყალობით ჭეშმარიტ რწმენას პოულობდნენ. საჰაბეთა ღირსებით ამაღლებულნი ეს, ძვირფასი ადამიანები ხელიხელ ჩაკიდებულნი, მთელი გულით ერთმანეთზე შეყვარებულები, ალლაჰის წმინდა შუამავლის ირგვლივ ფარვანასავით ტრიალებდნენ. მის პატარა სურვილს, ან მინიშნებას, ბრძანებად ცნობდნენ, მის შესასრულებლად ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, უფრო მეტიც, ამ გზაზე თავის განწირვისგანაც კი არ იხევდნენ უკან. წარმართების დარდი და შფოთვა კი კრიტიკულ ზღვარს იყო მიღწეული. ვინაიდან, თითით საჩვენებელ ვაჟკაცთაგან ჰამზაც კი მუსლიმანი გამხდარიყო და მას ალლაჰის შუამავლის თანამიმდევართა რიგებში დაეკავა ადგილი. ამ მოულოდნელმა მოვლენამ წარმართებს ყოველგვარი მოთმინება დააკარგვინა. ამის გამო ჰატტაბის შვილი, ომარი ერთ დღეს (სანამ ისლამს მიიღებდა), სახლიდან იმ განზრახვით გამოვიდა, რომ სადაც ალლაჰის შუამავალს ნახავდა, იქვე უნდა მოეკლა. ალლაჰის საყვარელი შუამავალი მან მესჯიდი ჰარემში ლოცვის დროს დაინახა, რომელიც ყურანს ხმამაღლა კითხულობდა.

ომარმა გულდასმით მოუსმინა და თქვა: „როცა ალლაჰის შუამავალი ელ ჰაყყას სურას კითხვას მორჩა, გულში ისლამის მიმართ სიყვარული აღმეძვრა“.

წმინდა ჰამზას გამუსლიმანებიდან სამი დღის შემდეგ, ებუ ჯეჰილმა წარმართები შეკრიბა და განუცხადა: „ყურაიშელებო! მუჰამმედმა კერპები შეგვილახა, ჩვენი წინაპრების ჯოჯოხეთში

წამებისა და ჩვენთვის საიქიოში მოსალოდნელი წამების შესახებ ლაპარაკობს. მისი მოკვლის გარდა, სხვა გზა აღარ დაგვრჩენია. ვინც მას მოჰკლავს, ასი წითელი აქლემითა და უთვალავი ოქროთი დავაჯილდოვებ“... ჰატტაბის შვილ,ომარის გულში იმწამსვე ისლამის მიმართ სიყვარული დაიკარგა, წამოხტა და წარმოსთქვა: „ამ საქმეს ჰატტაბის შვილის გარდა სხვა ვერავინ შეასრულებს!“. იქვე მყოფმა წარმართებმა ერთხმად უთხრეს: „აბა, ჰე ჰატტაბის შვილო! გვაჩვენე შენი ვაჟკაცობა“ და ტაში დაუკრეს.

ომარმა წელზე ხმალი შემოირტყა და გზას გაუდგა. გზად ნუაიმ ბინ აბდულლაჰს გადაეყარა. ნუაიმმა ჰკითხა:„ომარ! საით გაგიწევია ასე განრისხებულს?“ ომარმა მიუგო: „ხალხს შორის უთანხმოების ჩამომგდებ, ძმის ძმაზე გადამკიდე, მუჰამმედის მოსაკლავად მივდივარ“. ნუაიმმა უთხრა: „ომარ! ეს ძალიან ძნელი საქმეა. მას რომ არაფერი მოუვიდეს, ამისათვის საჰაბეები ირგვლივ ფარვანასავით დასტრიალებენ. მასთან მიახლოება ძალიან ძნელია. თუნდაც მოკლა, აბდულმუტტალიბის შვილებს მაინც ვერ გადაურჩები“

ამ სიტყვებმა წმინდა ომარი ძალიან გააბრაზა:„ნუთუ შენც მათი მომხრე ხარ. მაშ, პირველი შენ გაგათავებ!“ – უთხრა და ხმალი იშიშვლა. „ომარ! მე დამანებე თავი! შენს დასთან ფატიმასთან და სიძესთან სა’იდ ბინ ზეიდისთან წადი, მათაც ისლამი მიიღეს“. წმინდა ომარმა ეს სიტყვები არ დაიჯერა. მაშინ ნუაიმმა ურჩია: „თუ არ გჯერა, წადი და ჰკითხე!“

ომარმა რომ ეს საქმე წარმატებით შეესრულებინა, რელიგიური დაპირისპიერება მოისპობა, მაგრამ არაბების ადათი, სისხლის შურისძიება იჩენდა თავს, ყურეიშელები ორად გაიყოფებოდნენ და დაუსრულებელი ურთიერთშეტაკებები დაიწყებოდა. ამგვარად, არა მხოლოდ ომარ ბინ ჰატტაბი, არამედ ყველა ჰატტაბის შვილი დაიხოცებოდა. მაგრამ იმის გამო, რომ ომარი ძალიან ძლიერი, გამბედავი და განრისხებული იყო, ამაზე აღარც კი უფიქრია. საკუთარი დის მდგომარეობით დაინტერესდა და მაშინვე მასთან სახლში წავიდა. იმ პერიოდში ტაჰას სურა ახლად იყო დარდმოვლენილი. სა’იდსა და ფატიმას (ალლაჰი იყოს მათგან კმაყოფილი) ჩაეწერათ, ჰაბბაბ ბინ ერეთი თავისტან სახლში მიეყვანათ და

კითხულობდნენ. ომარს კარებთან მისულს მათი კითხვის ხმა მოესმა და კარებზე ძლიერად დააბრახუნა. როცა ის, წელზე ხმალშემორტყმული, გაბრაზებული დაინახეს, ნაწერი ფურცელი შეინახეს, ჰაბბაბი დამალეს და კარი შემდეგ გაუხსნეს. როცა სახლში შევიდა ომარმა იკითხა: „რას კითხულობდით?“ – არაფერსო, მიუგეს მას. ომარი უფრო გაბრაზდა და უთხრა: „რაც გავიგე, მართალი ყოფილა, თქვენც მის ჯადოს მოუტყუებიხართ“ შემდეგ სიძეს, ძვირფას სა'იდს საყელოში ჩაავლო ხელი და ძირს დაახეთქა. მისმა დამ, მეუღლის გადასარჩენად გაიწია, მაგრამ გაბრაზებულმა ომარმა მასაც სახეში სილა გააწნა. როცა დაინახა, რომ დას სახიდან სისხლი წამოუვიდა, შეეცოდა. გამწარებული ფატიმა სისხლში იყო შეღებილი, მაგრამ ძლიერი რწმენის ძალამ მისცა გამბედაობის უნარი და ომარს მიაძახა: „ომარ! ნუთუ არ გრცხვენია, ალლაჰისა და მისი სასწაულებით გამოგზავნილი შუამავლისა არ გჯერა? ნახე, მე და ჩემი მეუღლე ისლამის ღირსებით ავმაღლდით, თავიც რომ მოგვკვეთო, რჯულს აღარ შევიცვლით! შემდეგ ქელიმეი შეჰადეთი იკითხა.

ომარი თავისი დის ასეთი მტკიცე რწმენის წინაშე, უცებ მოლბა და დაჯდა. შემდეგ იკითხა: „მაჩვენეთ აბა, რას კითხულობდით!“ ფატიმამ უთხრა: „სანამ არ გასუფთავდები, მანამდე ხელში არ მოგცემ!“ ომარმა ტანი დაიბანა, გასუფთავდა, რის შემდეგ ფატიმამ წმინდა ყურანის ფურცლები მიუტანა. წმინდა ომარს ძალიან ლამაზად კითხვა შეეძლო. როცა ტაჰა სურას კითხვა დაიწყო, წმინდა ყურანის მჭერმეტყველურმა მნიშვნელობამ და ზებუნებრიობამ, მისი გული უფრო და უფრო მოალბო.

„მას ეკუთვნის ყველაფერი, რაც არსებობს ცასა და მიწასა ზედა. და მისია რაცაა მიწის ქვეშა და მათ შორის არსებული“.[1] კეთილშობილ ომარი, როცა მან ამ მნიშვნელობის აიათი წაიკითხა, ღრმა ფიქრებს მიეცა. შემდეგ თავის დას ფატიმას ჰკითხა: „ეი, ფატიმა! ეს უამრავი არსება, ყველა იმ ალლაჰისაა, რომელსაც თქვენ სცემთ თაყვანს?“ ფატიმამ მიუგო: „დიახ, ომარ, ეჭვი გეპარება?“ – „ფატიმა! ჩვენ ხუთიათასამდე ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და

1. სურა ტაჰა: 6.

ქვისგან გამოკვეთილი მორთული ქანდაკებები გვაქვს, მაგრამ არ-ცერთს დედამიწაზე არაფერი არ გააჩნია.“ – წარმოსთქვა ომარმა და მასში გაოცებამ იმატა. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ წაიკითხა:

„არ არსებობს სხვა, სათაყვანო ჭეშმარიტი ღვთაება გარდა, უზენაესი ალლაჰისა და მას ეკუთვნის ყველაზე ლამაზი სახელები.“[2]

ამ წმინდა აიათის მნიშვნელობამაც დააფიქრა ომარი და თქვა: „მართლაც, რაოდენ მართალია!“ ჰაბბაბმა ომარის ეს სიტყვა რომ გაიგონა, ადგილიდან წამოვარდა, და ხმამაღალი ხმით ალლაჰი ადიდა. შემდეგ ომარს მიმართა: „ომარ გაიხარე! წმინდა შუამავლის ვედრება, სიკეთე და ბედნიერება შენ გხვდა წილად. იგი ასე ევედრებოდა: ***„გამჩენო! ბატონ-პატრონო! ეს რჯული ებუ ჯეჰილით, ან ომარით გააძლიერეო.“***

ამ წმინდა აიათმა და ვედრებამ ომარის გულიდან მტრობა სრულიად ამოშალა და გაასუფთავა. მან იკითხა: „სად არის ალლაჰის შუამავალი?“ მის გულს, ალლაჰის შუამავლი უკვე შეყვარებოდა. იმ დღეს ალლაჰის საყვარელი შუამავალი ერქამის სახლში საჰაბეებს რჩევა-დარიგებებს აძლევდა. მათ მისი გასხივოსნებული სახის ხილვით, ტკბილი და შთამბეჭდავი სიტყვების მოსმენით, თვალები უბრწყინავდათ. უსაზღვრო კმაყოფილება და სიამოვნება მათ სულებს ხალისს მატებდა.

საჰაბეებმა ერქამის სახლიდან შენიშნეს, წელზე ხმალშემორტყმული, ომარის მისვლა. ომარი შიშის აღმძვრელი და ფიზიკურად ძლიერი კაცი იყო,ამიტომ ისინი შუამავალს გარს შემოეხვივნენ, რათა ომარს, მისთვის ზიანი არ მიეყენებინა. ჰამზამ თქვა: „რა გვაქვს ომარისგან მოსარიდებელი? თუ სიკეთით მოვიდა, კეთილი იყოს მისი მოსვლა, თუ არა და სანამ ის ხმალს იშიშვლებდეს, მანამდე წავაცლი თავს“. ამ დროს ალლაჰის შუამავალმა ბრძანა: ***„გზა გაუხსენით ომარს, შიგნით შემოვიდეს!“***

მის მოსვლამდე ანგელოზმა ჯებრაილმა შუამავალს აცნობა, რომ ის გზაში იყო და ისლამის მისაღებად მოდიოდა. ალლაჰის შუამავალი ომარს ღიმილით შეეგება და საჰაბეებს უთხრა: ***„გზა***

2. სურა ტაჰა: 8.

მიეცით, გამოატარეთ!“ ომარმა ალლაჰის შუამავალთან მივიდა და მუხლი მოიყარა. შუამავლმა კი ომარს ხელი მოკიდა, წამოაყენა და უთხრა: ***„ირწმუნე, ომარ!“*** ომარმა, სუფთა გულით, ქელიმეი შეჰადეთი წარმოსთქვა და ისლამი მიიღო. მაშინ, საჰაბეების სიხარულისა და ალლაჰის დიდების ხმა ცამდე მისწვდა.

ომარი, თავისი გამუსლიმანების შემდგომ პერიოდზე, ასე მოგვითხრობს: „როცა ისლამი მივიღე, მაშინ საჰაბეები წარმართთაგან ფარულად ლოცულობდნენ ძალიან მეწყინა ასეთი მდგომარეობა. შუამავალს ვკითხე: „ალლაჰის შუამავალო! ჩვენი რჯული ჭეშმარიტი ხომ არის?“ შუამავალმა მიპასუხა: ***„დიახ. ჩემი არსებობის ბატონ-პატრონს, ყოვლის შემძლე უზენაეს ალლაჰს ვფიცავ, მკვდარი იქნებით თუ ცოცხალი, ეჭვგარეშეა, რომ ჭეშმარიტ რჯულზე ხართ!“*** შემდეგ ვუთხარი: „ალლაჰის შუამავალო! რადგან ჩვენ ჭეშმარიტ გზას ვადგავართ, ხოლო წარმართები კი მცდარს, მაშ რატომ გვეშინია და ვფარავთ ჩვენს რწმენას? ვფიცავ, რომ ჩვენ, ისლამის რჯულის, ღვთის მგმობთა წინაშე გამოაშკარავებისთვის ყველაზე ღირსეულნი ვართ. უეჭველია, რომ ალლაჰის რჯული მექქაში ყველაზე უფრო მაღლა დადგება. ხალხი, თუ ჩვენს წინაშე ადამიანურად მოიქცევა ამას რა სჯობს, თუ თავს ვერ შეიკავებენ და წინააღმდეგობას გაგვიწევენ, მაშინ შევებრძოლებით“. ალლაჰის შუამავლმა მიუგო: ***„ჩვენ რაოდენობით ცოტანი ვართ“.***

„ალლაჰის შუამავალო! შენს შუამავლად წარმომგზავნ უზენაეს ალლაჰს ვფიცავ, რომ ყოველგვარი მორიდებისა და შიშის გარეშე, დავჯდები და ყველას ავუხსნი ისლამს, ისე, რომ უცოდინარი ერთი წარმართიც კი არ დარჩება. დროა გავიდეთ საზოგადოებაში!“ როცა შუამავალი დამეთანხმა, გარეთ გამოვედით და ჰარემი შერიფისკენ წავედით. ერთ მწკრივს წინ ჰამზა, მეორეს კი მე მივუძღვოდი. მტკიცე ნაბიჯებით მესჯიდი ჰარემში შევედით. ყურეიშელი წარმართები ხან მე, ხან ჰამზას შეხედავდნენ. ისეთი მწუხარება და უბედურება დაატყდათ თავს, რომ იქნებ სიცოცხლეში ასეთი უბედურება არასოდეს მოსწრებიათ. ებუ ჯეჰილმა წმინდა ომარის ასეთი შემოსვლა რომ დაინახა, წინ გამოვიდა და მიმართა: „ომარ! შენ რაღა დაგემართა?“ ომარმა ეს არ შეიმჩნია, ქელიმეი შეჰადეთი წარმოსთქვა: „ეშჰედუ ენ ლაილაჰე ილლალლაჰ

ვე ეშჰედუ ენნე მუჰამმედენ აბდუჰუ ვე რესულუჰუ“. ებუ ჯეჰილი ადგილზე გაიყინა, ველარ მიხვდა, რა ეთქვა. შემდეგ ომარი წარმართთა საზოგადოებას მიუბრუნდა და უთხრა: „მე ვინც მიცნობს, იცის! ვინც არ მიცნობს, გამიცნოს, რომ მე ჰატტაბის შვილი ომარი ვარ,... ვისაც არ უნდა, რომ ცოლი, ქვრივად, ხოლო შვილები კი ობლად დაურჩეს, გაინძრეს ადგილიდან! ვინც გაინძრევა, ხმლით ავკუწავ და გავანადგურებ!.“.. ომარის ასეთი მიმართვა რომ მოისმინეს, ყველა ყურეიშელი წარმართი მაშინვე იქაურობას გაშორდა. ალლაჰის შუამავლმა და საჰაბეებმა მწკვრივი გააკეთეს და ალლაჰი ადიდეს. მექქას ზეცაში ნუსლიმების ალლაჰუ ექბერ! (ალლაჰი უდიდესია)... ალლაჰუ ექბერ! (ალლაჰი უდიდესია)... შეძახილები აჟღერდა. ეს იყო მუსლიმანების პირველი აშკარა ლოცვა ჰარემი შერიფში.

როცა ომარმა ისლამი მიიღო ენფალის სურას 64. აიათი იქნა გარდმოვლენილი. აიათის მნიშვნელობა ასეთია: ***„შუამავალო! შენთვის დამხმარედ უზენაესი ალლაჰი და ის მორწმუნენი გეყოფა, რომელნიც შენ მოგყვებიან“.*** მათ, ვინც ყოყმანობდნენ და ველარ ხვდებოდა რა გაეკეთებინათ, ომარის გამუსლიმანების შემდეგ ისლამი მიიღეს. მუსლიმანთა რიცხვი დღითიდღე ზვავივით იზრდებოდა და მრავლდებოდა.

მეორე ემიგრაცია ეთიოპიაში

ეთიოპიაში მყოფმა, ემიგრირებულმა მუსლიმანებმა არასწორი ინფორმაცია მიიღეს, თითქოსდა მექქაში წარმართები მუსლიმანებს შერიგებოდნენ. ამის გამო მათ იფიქრეს, ჩვენი ემიგრაციის, სამშობლოსა და მიწა-წყლის მიტოვების ძირითადი მიზეზი ჩვენ მიმართ წარმართების მტრული დამოკიდებულება იყო, როგორც ჩანს, ეს მტრობა მოყვრობაში გადაიზარდა. სამშობლოში დავბრუნდეთ და ალლაჰის საყვარელი შუამავლის სამსახურში ჩავდგეთო. მათ ეთიოპიის ხელმწიფისგან ნებართვა ითხოვეს და მექქაში დაბრუნდნენ. მაგრამ, როცა დარწმუნდნენ, რომ მიღებული ინფორმაცია მცდარი აღმოჩნდა, ალლაჰის შუამავლის წინაშე წარსდგნენ და იქაური პირობების შესახებ უამბეს: „ეთიოპიის კლიმატმა

და წყალმა ძალა შეგვმატა, იქ უკვე ოთხი სამლოცველო გვაქვს, სამლოცველოში ყოველდღიურად აქლემები და ცხვრები იკვლება, ხორცი კი ღარიბებისა და მარტოხელა ხალხის დაპურებას ხმარდება. ხშირად ხელმწიფე მოდის ჩვენ მოსანახულებლად რჩევებს გვაძლევს და ბევრს გვიყვება გაჭირვებისა და შევიწროებების შესახებ". ასე, რომ ეთიოპიის ემიგრანტები ხელმწიფისა და იქაური ცხოვრებით ძალიან კმაყოფილები იყვნენ.

საჰაბეებს (ალლაჰი იყოს მათგან კმაყოფილი) მექქაში დაბრუნებისთანავე, წარმართებმა ტანჯვა-წვალება ისევ დაუწყეს. წარმართები მათ დაუნდობლად აწამებდნენ. ერთ დღეს წმინდა ოსმანმა ალლაჰის საყვარელ შუამავალს შესთავაზა: „ალლაჰის შუამავალო! ეთიოპია ძალიან კარგი სავაჭრო ადგილია. ერთი თვით სავაჭროდ წასვლა, საკმაოდ მომგებიანი იქნება. სანამ ალლაჰი ემიგრაციისათვის რომელიმე ადგილს მიგვითითებდეს, მანამდე მუსლიმანებისთვის უკეთესი ადგილი არ მოიძებნება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წარმართების წამებისგან გადავრჩებით. ნეჯაშს, ჩვენს მიმართ, ძალიან ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული". ამის შემდეგ საყვარელმა შუამავალმა ბრძანა: ***„ისევ ეთიოპიაში დაბრუნდით, რათა უზენაესი ალლაჰის სახელით დაცული იყო".***

წმინდა ოსმანმა შუამავალს თხოვა: „ალლაჰის შუამავალო! ჩვენთან ერთად თქვენც თუ წამობრძანდებით, იქნებ ისლამი მათაც მიიღონ. მათ სწამთ ღვთიური წმინდა წიგნების, ამიტომაც ისლამს ადვილად შეურიგდებიან და ამასთან ერთად დახმარებასაც არ დაიშურებენ". საყვარელმა შუამავალმა უპასუხა: ***„მე სიამესა და სიმშვიდისათვის არა ვარ მოვლენილი. რაც შეეხება ემიგრაციას, უზენაესი ალლაჰისგან ბრძანებას ველოდები. ისე მოვიქცევი როგორც მებრძანება."***

ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად ას კაციანი ქარავანი ეთიოპიის გზას გაუდგა. ქარავანს ჯაფერ ბინ ებუ ტალიბი მეთაურობდა. მუსლიმები საღ-სალამათად ნეჯაშის სახელმწიფოში ჩავიდნენ. ეთიოპიაში განვითარებული მოვლენების შესახებ, საყვარელი შუამავლის მეუღლე უმმუ სელემე (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) ასე მოგვითხრობს:

„როდესაც ეთიოპიაში ჩავედით, იქ ძალიან კარგ ადამიანს შევხვდით. ის კაცი ხელმწიფე ნეჯაში იყო. ის ყველა სურვილს გვისრულებდა. რჯულის ბრძანებებს თავისუფლად ვასრულებდით. უზენაეს ალლაჰს დაუბრკოლებლად ვემსახურებოდით. არანაირი ტანჯვა-წამება არ დაგვტყომია თავს და არც ცუდი სიტვები გვსმენია“.

მექქელმა წარმართებმა, როცა ეს ამბავი გაიგეს, მაშინვე გადაწყვიტეს ეთიოპიის ხელმწიფესთან ორი ელჩი გაეგზავნათ. ნეჯაშისთვის ძალიან ძვირფასი საჩუქრები და მისი საყვარელი, ბევრი გათრიმლული, გამოყვანილი ტყავი გაამზადეს. აგრეთვე კულტის მსახურთ და სახელმწიფოს მაღალჩინოსნებს უძვირფასესი საჩუქრები შეურჩიეს. ამ საქმის ელჩებად, აბდულლაჰ ბინ ებუ რებია და ამირ ბინ ასი წარგზავნეს. დაარიგეს თუ რა უნდა ეთქვათ ნეჯაშის წინაშე. წასვლამდე ისინი ასე დაარიგეს: „სანამ ხელმწიფეს დაელაპარაკებოდეთ, სასულიერო და სახელმწიფო მაღალჩინოსნებს, სათითაოდ საჩუქრები დაურიგეთ, შემდეგ კი ნეჯაშს გადაეცით ძღვენი. ამ საქმეებს რომ მოათავებთ, იქაური მუსლიმანები მოთხოვეთ. ნეჯაშს მუსლიმანებთან შეხვედრისა და ლაპარაკის საშუალება არ მისცეთ“.

როცა ელჩები ეთიოპიაში ჩავიდნენ, სახელმწიფოს მაღალჩინოსნებს შეხვდნენ. საჩუქრების გადაცემის შემდეგ, თითოეულს მოახსენეს: „ჩვენს შორის სხვადასხვა ტიპისა და ზნეობის ადამიანები გავრცელდნენ, ამათ ჩვენთვის და თქვენთვისაც საზიანო, ხალხის გამაბრიყვებელი ახალი რჯული მოიგონეს. ჩვენ, თქვენთან მოსული ემიგრანტების უკან სამშობლოში წაყვანა გვინდა. როდესაც ხელმწიფეს მათ შესახებ დაელაპარაკებით, იზრუნეთ, რომ მათთან გასაუბრების გარეშე, ისინი ჩაგვაბაროს. ამ, ხალხით, ყველაზე მეტად, თავიანთი საკუთარი დედ-მამა არიან დაინტერესებულნი. მათ ეს ყველაფერი ძალიან კარგად იციან“. სასულიერო პირები დაეთანხმენ ამ შემოთავაზებას. მექქელმა ელჩებმა შემდეგ ნეჯაშს გადასცეს საჩუქრები. ხელმწიფე ნეჯაშმა საჩუქრები აიღო, ელჩები მიიწვია და ცოტა ხნით გაესაუბრა.

ელჩებმა ნეჯაშს მოახსენეს: „ხელმწიფევ! ჩვენს ხალხთაგან რამ-

დენიმე ადამიანი თქვენს სახელმწიფოს აფარებს თავს. ამ ადამიანებმა საკუთარი ხალხის რჯული მიატოვეს და ,როგორც ჩანს, არც თქვენი რჯული მიუღიათ. თვითნებურად შეთხზულ რჯულს მისდევენ. ამ რჯულს არც ჩვენ ვიცნობთ და არც თქვენ. ჩვენ, ამ ხალხის მფარველი სახელმწიფოს დიდგვაროვანმა საზოგადოებამ გამოგვაგზავნა თქვენთან. ეს დიდგვაროვანი საზოგადოება, თქვენს სახელმწოფოში თავშეფარებული ადამიანების მშობლები და მკვიდრი ნათესავები გახლავთ. მათი მოთხოვნა აქ მოსული პირების უკან დაბრუნებაა. რადგან მათ ამ პირების მდგომარეობის შესახებ უკეთ იციან. მათ იციან, რომ ამათ საკუთარ რჯულს უღალატეს და დაგმეს“... ამირ ბინ ასის და აბდულლაჰ ბინ ები რებიას სურდათ, რომ ნეჯაშს მათი სიტყვები მოესმინა და როგორც მათ საქმეს აწყობდა, ისე მოქცეულიყო. როცა ელჩები ლაპარაკს მორჩენ, ნეჯაშის პატიარქებმა ითხოვეს სიტყვა:

„ესენი სიმართლეს ამბობენ. ამათ მიმართ მათი ხალხი უფრო მეტ ყურადღებას გამოიჩენს. ისინი უკეთ შეიცნობენ, მათთვის რა არის მოსაწონი და რა არა. ამისათვის გთხოვთ, თქვენ ეს ხალხი ჩააბაროთ, რათა თავიანთ სამშობლოში წაიყვანონ“.

ნეჯაში ამ სიტყვებმა ძალიან გააბრაზა და თქვა: „გეფიცებით! არა! მე ამ ხალხს არავის გადავცემ. ადამიანებს, რომლებმაც ჩემს ქვეყანას შეაფარეს თავი, არასოდეს ვუღალატებ. ამ ხალხმა სხვასთან შედარებით, მე უპირატესად ჩამთვალა და ჩემს ქვეყანაში მოვიდნენ. ემიგრანტებს სასახლეში დავუძახებ, ვკითხავ, ამ ელჩების ნათქვამის შესახებ. რას იტყვიან, პასუხებს მოვისმენ, თუ ემიგრანტები, როგორც ესენი ამბობენ, ისეთები აღმოჩნდებიან, მათ ელჩებს გადავსცემ, რათა თავიანთ სამშობლოში წაიყვანონ. მაგრამ თუ ასე არ აღმოჩნდება, მათ შევიფარებ, სანამ ჩემს ქვეყანაში დარჩებიან, სიკეთით მოვეპყრობი“. ნეჯაშს ზეციური წიგნები შესწავლილი ჰქონდა, ამიტომაც, წმინდა მუჰამმედის მოვლენის დროის მოახლოების, მის შესახებ ხალხის მიერ ტყუილების მოგონების, დაუჯერებლობისა და მექქადან მისი განდევნის შესახებ იცოდა.

ნეჯაშმა მექქელ ელჩებს ჰკითხა: „მათ ვისი სწამთ?“ “მუჰამ-

მედის“ – უპასუხეს. ნეჯაშმა ეს სახელი რომ გაიგონა, მიხვდა, რომ იგი შუამავალი იყო, მაგრამ არ შეიმჩნია. ნეჯაშმა კვლავ ჰკითხა: „ისინი რომელ რჯულსა და რელიგიურ აღმსარებლობას მიეკუთვნებიან და ხალხს რისკენ მოუწოდებენ?“ – „მათ რელიგიური აღმსარებლობა არ გააჩნიათ“. – „ის ხალხი, რომლის რელიგიური აღმსარებლობა და რჯული არ ვიცი, როგორ შემიძლია თქვენ დაგიბრუნოთ. მეჯლისი მოვიწვიოთ, ისინიც აქ მოვიყვანოთ, ერთმანეთს დაგაპირისპირებთ და ყველაფერი გაირკვევა. გავიგოთ, ისინი რა რჯულისანი არიან“. ამის შემდეგ მუსლიმანები სასახლეში დაიბარეს.

მუსლიმანებმა თავდაპირველად ურთიერთშორის მოითათბირეს, თუ რა უნდა ეთქვათ ეთიოპიის ხელმწიფის წინაშე ისეთი, რაც მას მოეწონებოდა. ჯაფერმა წარმოსთქვა: „გეფიცებით, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით ვიცით, ყველა ჩვენი შუამავლის სწავლებით შემოისაზღვრება. კმაყოფილი ვიქნებით იმით, რაც გადაწყდება“. ყველა დაეთანხმა და შეთანხმდნენ, რომ მხოლოდ ჯაფერი გამოვიდოდა სიტყვით ნეჯაშის წინაშე. ნეჯაშმაც სწავლულები შეკრიბა და უმაღლესი სათათბირო საბჭო გამართა. საბჭოზე ემიგრანტები მოიწვიეს. მუსლიმანები როცა მოვიდნენ საბჭოზე, სალამი მისცეს ნეჯაშს, მაგრამ მისთვის ქედი არ მოუხრიათ. როცა ნეჯამშა ჰკითხა, ქედი რატომ არ მოიხარეთო, უპასუხეს: „ჩვენ, უზეანესი ალლაჰის გარდა, ქედს არავის მოვუხრით. ჩვენმა შუამავალმა, ***ალლაჰის გარდა სხვაზე სეჯდეს შესრულება აგვიკრძალა“.***

ნეჯაშმა ემიგრანტებს მიმართა: „მობრძანებულო საზოგადოებავ! მითხარით, ჩემს ქვეყანაში რატომ მოხვედით? რა ხდება? არც ვაჭრები ხართ და არც არაფერს ითხოვთ. თქვენი ახალი შუამავლის მდგომარეობა როგორია? თქვენ სახელმწიფოდან მოსული ხალხის მსგავსად, რატომ არ გვესალმებით?“ ჯაფერმა (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) უპასუხა:

„ხელმწიფევ! პირველ რიგში, სამ რამეს ვიტყოდი. თუკი სიმართლეს ვიტყვი დამეთანხმეთ, თუ არა და ბათილად სცანით ისინი. მაგრამ უპირველესად ბრძანება გაეცით, რომ ამათგან მხოლოდ ერთმა ილაპარაკოს, მეორე კი გაჩუმდეს!“ ამირ ბინ ას’მა თქვა, მე

ვილაპარაკებო. ნეჯაშმა უთხრა ჯაფერს, ჯერ შენ ილაპარაკეო. ჯაფერმა დაიწყო: „მე სამ კითხვას დავსვამ და პასუხი მათ გამცენ. ჩვენ დასაჭერი და ბატონზე მისაგვრელი მონები ვართ?“ ნეჯაში ამირს მიუბრუნდა და ჰკითხა: „ესენი მონები არიან?“ ამირმა მიუგო: „არა, ესენი მონები არ არიან, თავისუფალი ხალხია“. ჯაფერმა მეორე კითხვა დაუსვა: „ჩვენ უსამართლოდ ვინმეს სისხლი დავღვარეთ და მოსისხლეებს უნდა მიგვგვარონ?“ ნეჯაშმა ამირს ჰკითხა: „ამათ უსამართლოდ მოკლეს ვინმე?“ ამირმა უპასუხა: „არა, მათ ერთი წვეთი სისხლიც კი არ დაუღვრიათ“. ჯაფერმა მესამე კითხვა დაუსვა: „უსამართლოდ მითვისებული ვინმეს ქონება ან ფული გვაკისრია და მისი გადახდით ვართ დავალდებულები?“ ნეჯაშმა ამირს უთხრა: „ამირ ამათ თუ რამე ოქრო ან ფული აქვთ გადასახადი, მითხარით და მათ ვალს მე გადავიხდი“. ამირმა უპასუხა: „არა, ერთი კარატიც (ფულის ერთეული) კი არ მართებთ სხვისი“. მაშინ ნეჯაშმა ჰკითხა: „მაშ რა გინდათ ამათგან?“ ამირი მოჰყვა: „ისინი და ჩვენ, ყველა ერთ რჯულზე ვიყავით და ერთ გზას ვადექით. ამათ კი ჩვენს რჯულსა და გზასა უღალატეს და მუჰამმედის რჯულს აჰყვენ“. ნეჯაშმა ჯაფერს ჰკითხა: „თქვენ რჯულს რატომ უღალატეთ და სხვა რჯულზე გადახვედით? როგორც ვხედავ, თქვენი ხალხის რწმენას გამოყოფილხართ და არც ჩემს რჯულზე მოქცეულხართ. როგორია ის რჯული, რომლისაც თქვენ გწამთ? გვიამბობთ მის შესახებ?“

ჯაფერმა დაიწყო ისლამის ახსნა: „ხელმწიფევ! ჩვენ სრულიად გაუნათლებელი ხალხი ვიყავით. კერპებს ვცემდით თაყვანს, მკვდარი საქონლის მძორს ვჭამდით, ყოველგვარ ბოროტებას ჩავდიოდით. ნათესავებს შორის ურთიერთობას ვწყვეტდით, მეზობლებს ცუდად ვექცეოდით. ძლიერნი სუსტს ვჩაგრავდით, შეცოდება რა იყო, არ ვიცოდით. ასეთ მდგომარეობაში ვიყავით მანამ, სანამ უზენაესი ალლაჰი ჩვენი ხალხისგან სანდო, მართალ, პატოსან, უმწიკვლო და წესიერ შუამავალს მოგვივლენდა. ის ჩვენ ალლაჰის არსებობის, ერთობის, დაჯერებასა და მსახურებისკენ, ხოლო ჩვენი წინაპრების სათაყვანო ქვებისა და კერპების მიტოვებისკენ მოგვიწოდებს. სიმართლის თქმას, მიბარებული ამანათის გაფრთხილებას, ნათესაური უფლებების დაცვას, კეთილ-

მეზობლურ ურთიერთობას გვიბრძანებს. გვაფრთხილებს, რომ ცოდვებისა და სისხლისღვირსგან თავი შორს დავიჭიროთ. ყოველგვარი ამორალური საქციელისგან, ტყუილის ლაპარაკისგან, ობლების ქონების მითვისებისგან, ნამუსიანი ქალების ცილისწამებისგან შორს დგომისაკენ მოგვიწოდებს. ჩვენ, ტოლისა და სწორის არმყოლე უზენაეს ალლაჰზე მსხურება გვიბრძანა. ამიტომაც დავეთანხმეთ და დავიჯერეთ იმისა, რაც მან ალლაჰისგან გვამცნო, ჩვენ მისი ნათქვამი შევასრულეთ. უზენაეს ალლაჰს ვემსახურეთ, მის მიერ აკრძალული - ჰარამად, ხოლო ნებადართული - ალალად ვცანით. ასე მოვიქეცით, მაგრამ რატომღაც ჩვენი ხალხი გადაგვემტერა და უსამართლოდ მოგვექცა. მათ უნდათ, რომ რჯული შეგვაცლევინონ და ისევ კერპებს ვცეთ თაყვანი, ხელი შეგვიშალონ ალლაჰის მიმართ სამსახურში. ამისათვის ყოველგვარი ტანჯვა და უბედურება დაგვატეხეს თავს. ჩვენ დესპოტურად მოგვექცნენ, რაც შეეძლოთ შეგვავიწროვეს, რჯულში ჩაგვერიენ და მისგან ჩვენი ჩამოშორება ისურვეს. ამიტომაც საკუთარი სამშობლო და მიწა-წყალი მივატოვეთ და თავი თქვენს სახელმწიფოს შევაფარეთ. თქვენ, სხვაზე უფრო მეტი უპირატესობა მოგანიჭეთ, შენი მფარველობა და მეზობლობა მოგვეწონა. ვიმედოვნებთ, რომ თქვენ არ გვაწვალებთ და უსამართლოდ არ მოგვექცევით- ჯაფერმა საუბარი განაგრძო-

რაც შეეხება მისალმებას, ჩვენ, ალლაჰის შუამავლის სალამით მოგესალმეთ. ჩვენ ერთმანეთსაც ასე ვესალმებით. შუამავალმა გვაცნობა, რომ სამოთხისეულნი ერთმანეთს ასე მიესალმებიან. ამისათვის თქვენს უდიდეს აღმატებულებას ასე მივესალმეთ. ალლაჰის შუამავლმა გვიბრძანა, რომ ალლაჰის გარდა სხვა არსებისათვის ქედი არ მოგვეხარა, ამიტომაც ამისგან თავს ვიკავებთ.

ნეჯაშმა ჰკითხა: „ალლაჰის ბრძანებებათაგან ზოგიერთი იცი? ჯაფერმა ვიციო, რომ უპასუხა, ნეჯაშმა უთხრა, წამიკითხეო. ჯაფერმა მერიემის სურას პირველი აიათების კითხვა დაიწყო (ანქებუთისა და რუმის სურეებიც იკითხა). ნეჯაში ატირდა, თვალებიდან დაღვრილმა ცრემლებმა წვერი დაუსველა. ბერებიც ატირდნენ. შემდეგ ნეჯაშმა და ბერებმაც სთხოვეს, რომ ამ ლამაზი და ტკბილი სიტვებით ცოტა კიდევ ეკითხა. ჯაფერმა შემდეგ ქეჰფის

სურას საწყისი აიათები წაუკითხა.

ნეჯაშმა თავი ვეღარ შეიკავა და წარმოსთქვა: „გეფიცები, ეს იგივეა, რაც ლამპარისგან გადმოფრქვეული სხივი, ასეთი სხივით იქნენ მოვლენილნი წმინდა მუსა და ისა (ალლაჰი დალოცავს და მიესალმება მათ)“. შემდეგ ყურეიშის ელჩებს მიუბრუნდა და უთხრა: „წადით, ვფიცავ, რომ ამათ არც თქვენ გაგატანთ და არც მათ შესახებ ცუდ რამეს ვიფიქრებ“. ამის შემდეგ აბდულლაჰ ბინ რებიამ და ამირ ბინ ასმა იქაურობა მიატოვეს.

ამირმა აბდულლაჰს უთხრა: „გეფიცები, მათ ამ დანაშაულს ნეჯაშს წარვუდგენ და ძირფესვიანად გავანადგურებ, აი ნახე აბა, შენ!“. მეგობარმა ამირს თხოვა: „შეიძლება ისინი ჩვენს წინააღმდეგ გამოდიან, მაგრამ კარგია ეს თუ ცუდი, ნათესავები ვართ და ნუ გააკეთებ ამას“. ამირმა მიუგო: „არა, გეფიცები, ნეჯაშს უნდა გავაგებინო რომ ისინი წმინდა ისას ალლაჰის მსახურად ცნობენ“

მეორე დღეს, ნეჯაშთან დაბრუნდნენ და უთხრეს: „ხელმწიფევ! ისინი მარიამის შვილს ისას ძალიან ცუდად მოიხსენებენ. გაუგზავნე ვინმე და ჰკითხე, თუ რას ამბობენ წმინდა ისას შესახებ“. ნეჯაშმა მუსლიმანები კვლავ დაიბარა იმის გასარკვევად, თუ რა შეხედულების იყვნენ წმინდა ისაზე. მუსლიმანებმა მანამდე ერთმანეთში მოილაპარაკეს, ისას შესახებ რომ გვკითხოს რამე, რა უნდა ვუპასუხოთო? ჯაფერმა თქვა: „წმინდა ისას შესახებ რასაც უზენაესი ალლაჰი გვიბრძანებს და რაც შუამავალმა მუჰამმედმა გვამცნო, იმას ვიტყვით“.

როდესაც ნეჯაშის წინაშე წარსდგენენ, ხელმწიფემ მათ ჰკითხა: „რას ფიქრობთ მარიამის შვილის ისას შესახებ?“ ჯაფერმა მიუგო: „ჩვენ წმინდა ისას შესახებ იმას ვფიქრობთ, რაც შუამავალმა ალლაჰისგან გვაცნობა. ის უზენაესი ალლაჰის მოციქული და მსახური, ალლაჰის შთაგონებული პიროვნებაა და იმ უმწიკვლო, წმინდა მერიემის შვილია, რომელმაც ამ ქვეყნისაგან და მამაკაცთაგან თავი შორს დაიკავა, ხოლო სიცოცხლე ალლაჰის მსახურებას მიუძღვნა. ასეთია წმინდა ისას ღირსება. როგორც ყოვლისშემძლე ალლაჰმა წმინდა ადამი მიწისგან შექმნა, მას იმის ძალაც შესწევდა, რომ წმინდა ისა უმამოდ მოევლინა სამყაროს“. ეს სიტყ-

ვები ნეჯაშმა რომ მოისმინა, ხელით ჩალის ღერი აიღო და თქვა: „ვფიცავ, რომ მერიემის შვილი ისა იმაზე მეტი არ არის, რასაც თქვენ ამბობთ მის შესახებ. ჩვენ შორის ამ ჩალის ღერის ოდენა გასხვავებაც კი არ არის“.

ნეჯაში ამ სიტყვებს რომ ამბობდა, ირგვლივ ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა და ხელმძღვანელობამ ერთმანეთს შორის ჩურჩული და ბუზღუნი დაიწყეს. ნეჯაშმა რომ ეს შენიშნა, მათ უთხრა: „თქვენ ამათ შესახებ, რაც არ უნდა თქვათ, ვფიცავ, რომ მე მათ შესახებ კარგს ვფიქრობ“. შემდეგ მუსლიმან ემიგრანტებს მიუბრუნდა და უთხრა: „გილოცავთ თქვენ და მას, ვისგანაც მოხვედით. მე მჯერა, რომ ის ალლაჰის შუამავალია. ჩვენ იმის შესახებ ბიბლიაში ისედაც გვქონდა წაკითხული. ამის შესახებ მერიემის შვილმა ისამ გვაცნობა. ვფიცავ, ის რომ აქ ყოფილიყო, მას ფეხსაცმელს მივუტანდი და ფეხებს დავბანდი. წადით ჩემი ქვეყნის ხელშეუხებელ კუთხეში, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე უსაფრთხოდ და მშვიდად იცხოვრეთ. ვინც თქვენ ბოროტად მოგექცევა, გავანადგურებ. მთისოდენა ოქროც რომ მომცენ, არცერთ თქვენგანს არ გაწყენინებ“.

ამის შემდეგ ნეჯაშმა ყურეიშელ ელჩებს მოტანილი საჩუქრები უკან დაუბრუნა და უთხრა: „მე ეს საჩუქარები არ მჭირდება. სიმდიდრე, რომელიც ვიღაც ვიღაცებმა წამართვეს, ალლაჰმა უკან დამიბრუნა და ხალხს ჩემს წინაშე ქედი მოახრევინა, ამისათვის მას ჩემგან ქრთამი არ აუღია“. ყურეიშელი ელჩები ნეჯაშის რეზიდენციიდან ხელცარიელი წავიდნენ. ბედნიერმა ნეჯაშმა კი ისლამი მიიღო, რამაც საჰაბეები ძალიან გაახარა.

მწუხარე წლები. ბლოკადა

წარმართები, ადამიანების გულებში ისლამის შეღწევისა და გავრცელების თავიდან ასაცილებლად, შეუჩერებლივ, მთელი ძალ-ღონით იბრძოდნენ. მიუხედავად ამისა, მუსლიმანების რაოდენობა დღითიდღე, ნელ-ნელა იზრდებოდა. მუსლიმანების მიმართ განხორციელებულმა წამების აურაცხელმა მეთოდებმა და დესპოტურობამ, მათ გზა ვერ შეაცვლევინა, პირიქით, მათში კარ-

გი ურთიერთდამოკიდებულება და სიმტკიცე გამოიწვია. რჯულს უკვე არავინ იცვლიდა და ალლაჰის შუამავლის გზაზე თავისგანწირვისგანაც კი არ იხევდნენ უკან. ამის შესახებ მექქას გარეთ მცხოვრები ტომები რომ ისმენდნენ, მათში ისლამისადმი ინტერესი მატულობდა და რწმენის სხივი უფრო შორს მიიწევდა. წარმართებმა, როცა გაიგეს, რომ ეთიოპიაში გაგზავნილი ელჩები ხელცარიელნი დაბრუნდნენ, მათი სურვილები ვერ განახორციელეს, უფრო მეტიც, ნეჯაში ესჰამეს მიერ ისლამის მიღებისა და მუსლიმანების მფარველობის შესახებ ინფორმაციები რომ მიიღეს, ჭკუაზე შეიშალნენ. ამ ტკივილის მწარედ გადასახდელად და ისლამის ფესვების გასახმობად ისინი შეიკრიბნენ და ასეთი შემაძრწუნებელი გადაწყვეტილება მიიღეს: „მუჰამმედი, სადაც უნდა იყოს, როდესაც უნდა გამოჩნდეს, იქვე უნდა მოიკლას! ურწმუნოებმა ამ გადაწყვეტილებაზე მტკიცე ფიცი დადეს.

როდესაც, წარმართების ეს გადაწყვეტილება, ებუ ტალიბმა გაიგო, აღშფოთდა. ძვირფასი, საყვარელი ძმისშვილის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. მთელი ტომი დაიბარა და მათ კაცობრიობის სიამაყის წარმართებისაგან, დაცვის ბრძანება მისცა. ჰაშიმისშვილები, მთელი ნათესაური მონდომებით, ამ ბრძანების შესასრულებლად გაერთიანდნენ. შუამავალი მუჰამმედი და მისი მიმდევარი საჰაბეები მექქას ჩრდილოეთით მდებარე (ბეითულლაჰ) ალლაჰის სახლამდე 3 კილომეტრის მოშორებით გორაკზე (ში'ბ'ი), ებუ ტალიბის დასახლებაში დაპატიჟეს. ალლაჰის საყვარელი შუამავალი თავის საჰაბეებთან ერთად ში'ბ'ში საცხოვრებლად გადავიდა. ჰაშიმისშვილებთაგან, მხოლოდ ებუ ჯეჰილი გამოვიდა, შუამავლის დაცვის გადაწყვეტილების წინააღმდეგი და ში'ბ'ში არ წავიდა. ებუ ჯეჰილთან ერთად წარმართები გაერთიანდნენ და შუამავლის მოკვლისათვის ხელსაყრელ დროს ელოდებოდნენ.

„როცა წარმართებმა მუსლიმანები ებუ ტალიბის უბანში, ერთად თავმოყრილი დაინახეს, ისევ შეიკრიბნენ და შემდეგი გადაწყვეტილება მიიღეს:

სანამ მუჰამმედ შუამავალს მოსაკლავად ყურეიშელებს არ ჩაბარებდნენ, მათ და ჰაშიმისშვილებს შორის არ იქნებოდა ქორ-

წინება! აღარ მოხდებოდა მათ შორის ყიდვა-გაყიდვა, შეხვედრა, საუბარი, სახლებში ან უბანში მისვლა-მოსვლა! მათგან შემოთავაზებული შეთანხმება არავითარ შემთხვევაში არ მიიღებოდა და მათ არავითარ შემთხვევში შეიცოდებდენ! წარმართებმა ეს გადაწყვეტილება მანსურ ბინ იქრიმეს ფურცელზე დააწერინეს და ყველას დასანახად წმინდა ქააბეს კედელზე ჩამოჰკიდეს.

ამ ამბავმა ალლაჰის შუამავალთან რომ მოაღწია, მას ძალიან ეწყინა და შეევედრა. ალლაჰმა მაშინვე ისმინა მისი ვედრება და უბედურ მანსურს ხელები გაუხმო. წარმართები გაოგნებული დარჩნენ. შეხედეთ, ჰაშიმისშვილების მიმართ ჩადენილი უსამართლობის საპასუხოდ, მანსურს ხელები გაუხმაო. ისინი ჭკუაზე მოსვლის ნაცვლად, უფრო გაშმაგდნენ. ში'ბ'ში მიმავალ გზაზე მცველები დააყენეს და იქ საჭმლისა და ჩასაცმელის შეტანა აღკვეთეს. მექქაში მოსულ ვაჭრებს ში'ბ'ში წასვლის და ვაჭრობის ნებას არ აძლევდნენ, თუ საჭირო გახდებოდა, უფრო ძვირს გადაიხდიდნენ და თვითონ დაიტოვებდნენ. ისე ეგონათ, რომ ში'ბ'ში წასული ჰაშიმისშვილები, შიმშილით დაიხოცებოდნენ, ან იძულებული გახდებოდნენ და წმინდა მუჰამმედს მოსაკლავად გაიმეტებდნენ. ასეთი ვითარება ყოველ წელს, ქააბას ტრადიციული მონახულების პერიოდამდე გრძელდებოდა.

ტრადიციების მიხედვით, ამ პეროდში სისხლისღვრა არ შეიძლებოდა. ამიტომაც ჰაშიმისშვილები თავისუფლად მიდიოდნენ მექქაში და ერთი წლის საკმარის, ყველაფერს ყიდულობდნენ. მუსლიმანები რომელიმე ვაჭართან რაიმის საყიდლად რომ მივიდოდნენ, წარმართთა გავლენიანი პირები ებუ ლეჰებისა და ებუ ჯეჰილის სახით, მიუსწრებდნენ და ვაჭრებს ეტყოდნენ: „ვაჭრებო! მუჰამმედის საჰაბეებისთვის ფასებს იმდენად მოუმატეთ, რომ სიძვირის გამო, ვერავინ ვერაფრის ყიდვა შეძლოს. თუ საქონელს ვერ გაყიდით, მზად ვართ, ყველა ჩვენ ვიყიდოთ". ამიტომ ვაჭრები საჰაბეებს ძალიან ძვირს უფასებდნენ, რის გამოც მუსლიმანები უკან ხელცარიელნი ბრუნდებოდნენ.

ამ გზაზე, საყვარელმა შუამავალმა, წმინდა ჰატიჯემ და წმინდა ებუ ბექირმა მთელი ქონება დახარჯეს, რათა შიშილისგან მტირა-

ლი ბავშვები დაეპურებინათ. მაშინ როცა, რაც ხელთ ებადათ გამოელიათ, ბალახებისა და ხის ფოთლების ჭამა დაიწყეს. ბოლოს, ბავშვებს შიმშილის გამო რომ არ ეტირათ, ამისათვის გამხმარი საქონლის ტყავს დაასველებდნენ, ცეცხლზე მოხარშავდნენ და აჭმევდნენ. უპირველესად, საყვარელმა შუამავალმა, შემდეგ კი საჰაბეებმა შიმშილისგან მუცელზე ქვა მიიბეს. ატირებული ბავშვების გაჩუმებისათვის ზრუნვაში, დედები უაღრესად დასუსტდნენ. მუსლიმთაგან ვინმე რომელიმე წარმართს რომ შეცოდებოდა და რამე შეჭამადი მიეტანა, მას სცემდნენ და შეურაცხყოფდნენ. ერთი სიტყვით მისვლა-მოსვლა აკრძალული და ვითარება კი ძალიან დაძაბული იყო.

წარმართები ასეთი საზარელი და დესპოტური ქმედებებით, ჰაშიმისშვილების ჭკუაზე მოსვლას და ებუ ტალიბის მიერ წმინდა მუჰამმედის გადაცემას ელოდებოდნენ. ებუ ტალიბის უბანში მცხოვრები მუსლიმანები კი მათი მიზნების საპირისპიროდ, საყვარელ შუამავალს იცავდნენ და მისთვის რომ ზიანი არავის მიეყენებინა, ყოველგვარ ზომებს იღებდნენ. ებუ ტალიბი, მოსალოდნელი ბოროტი განზრახვის თავიდან აცილების მიზნით, ალლაჰის შუამავალს ზოგჯერ თავის სახლში აძინებდა. შუამავალი მუჰამმედი კი სრულიად შეუჩერებლივ, ალლაჰის ბრძანების შესრულებას აგრძელებდა და ისლამის გავრცელებისთვის ერთ წამსაც კი არ კარგავდა. ამ წმინდა გზაზე რჩევა-დარიგებებს დიდი მოთმინებით არიგებდა. ყურეიშელებისთვის, რომლებმაც მისი შუამავლობა არ ირწმუნეს და სიცრუეში დასდეს ბრალი, ასე შეევედრა: ***„ჩემო ალლაჰო! წმინდა იუსუფ შუამავლის დროს, შვიდი შიმშილობის წლის მსგავსად, ამათ შვიდი ტანჯვის წელი არგუნე და დამეხმარე.“***

ამის შემდეგ, დიდხანს ზეციდან წვეთი წვიმა აღარ ჩამოვარდნილა. მიწა უწყლობისგან გამოხმა. ნიადაგზე მწვანე მცენარე აღარსად ჩანდა. წარმართები გაოგნებულიყვნენ, ველარ ხვდებოდნენ, რა დაატყდათ თავზე. შიმშილით გაწყვეტილი საქონლის მძორებისა და ამყრალებული ძაღლის ტყავების ჭამით სიცოცხლეს ებღაუჭებოდნენ. მათმა შვილებმაც შიმშილით გოდება და კვნესა დაიწყეს. უმრავლესობა შიმშილით მოკვდა კიდეც. როცა ზეცის-

კენ აიხედავდნენ, შიმშილის გამო გარემოს კვამლით დაფარულს ხედავდნენ. ბოლოს თითქოსდა მიხვდნენ, რომ ეს ყველაფერი, ნამოქმედარი დესპოტური საქციელის გამო არგუნა ღმერთმა. ამის გამო წარმათებმა ებუ სუფეანი საყვარელ შუამავლთან წარგზავნეს. ებუ სუფეანი შუამავალთან მივიდა და უთხრა: „ მუჰამმედ! შენ ამტკიცებ, რომ ქვეყნიერების წყალობად ხარ მოვლენილი, ალლაჰის რწმენასა და ნათესაური უფლებების ყურადღებას გვიბრძანებ. თუმცა შენი ხალხი გვალვისა და შიმშილისგან წყდება. შეევედრე შენს ბატონ-პატრონს (ალლაჰს), გადაგვარჩინოს ამ უბედურებისგან. უზენაესი ალლაჰი უსათუოდ ისმენს შენს ვედრებას. იმ პირობით, თუ ჩვენთვის ალლაჰს ასე შეავედრებ, გეფიცებით, ყველა ჩვენთაგანი ვიწამებთ შენს რჯულს“.

ამრიგად, შუამავალსა და საჰაბეებზე მიყენებული ტანჯვა-წამება დაივიწყეს და გაჭირვებისგან სხვა გამოსავალი რომ ვეღარ იპოვეს, ალლაჰის შუამავლს ვედრება დაუწყეს. საყვარელ შუამავალს მათი ნამოქმედარი პირში არ მიუხლია, ხელები აღაპყრო და უზენაეს ალლაჰს შეევედრა. ალლაჰმა თავისი საყვარელი მსახურის ვედრება ისმინა და მექქას უხვი წვიმა უბოძა. წყალს მოწყურებული მიწა წყლით გაიჟღინთა და მცენარეებმა აყვავება დაიწყო. წარმართებმა მიუხედავდ იმისა, რომ გვალვასა და გაჭირვბას გადარჩნენ, მიცემული სიტყვა დავიწყებას მისცეს და ისევ ღვთის გმობა დაიწყეს.

წარმართებმა ვიწამებთო თქვეს, მაგრამ დაპირებული სიტყვა გატეხეს და ისევ დესპოტობას მიჰყვეს ხელი. უზენაესმა ალლაჰმა ერთ დღეს საყვარელ შუამავალს ზეშთაგონებით აცნობა, რომ წმინდა ქააბას კედელზე ჩამოკიდებულ ფურცელს ხის მატლი შეასია, და მათ თავისი სახელის გარდა, ყველა სხვა წარწერა გაანადგურებინა. ალლაჰის შუამავალმა ებუ ტალიბს უთხრა: ***„ბიძაჩემო! ჩემმა ბატონ-პატრონმა, უზენაესმა ალლაჰმა, ყურეიშელების ნაწერ ფურცლებს ხის მატლი შეუსია, გარდა თავისი სახელისა, მასზე აღწერილი დესპოტიზმი, ნათესაური კავშირის გაწყვეტისა და ცილისწამების მსგავსი საკითხები არცერთი დაატოვებინა“.***

ებუ ტალიბმა ჰკითხა:„ ეს შენმა ბატონ-პატრონმა (ალლაჰმა) გაცნობა?“ ალლაჰის შუამავალმა მიუგო: ***„დიახ, მან მაცნობა“.*** მაშინ ებუ ტალიბმა უთხრა: „დაგერწმუნები, რომ შენ რასაც ამბობ, სიმართლეა“. მაშინვე ჩაიცვა და ქააბაში წავიდა. ყურეიშის გავლენიანმა წარმართებმა დაინახეს, რომ ებუ ტალიბი ქააბეში მივიდა, იფიქრეს, ეტყობა ებუ ტალიბმა მუჰამმედი უნდა გადმოგვცესო. ებუ ტალიბი მათ მიუახლოვდა და განუცხადა: „ყურეიშელებო! ყოველთვის სანდო და მართალის მთქმელმა ძმისშვილმა, მაცნობა, რომ თქვენს მიერ დაწერილ ფურცელზე ალლაჰის სახელის გარდა სხვა ყველა სიტყვა სათითაოდ მატლებს შეუჭამიათ. მიდით, მოიტანეთ ჩვენს საწინააღმდეგოდ დაწერილი ფურცელი და ვნახოთ, აბა! თუ ეს ამბავი მართალია, ვფიცავ, ყველა ჩვენთაგანი სიკვდილამდე მას მფარველობას არ მოვაკლებთ. თქვენც იკმარეთ ამდენი დესპოტობა და ბოროტი ქცევები“.

წარმართებმა, დიდი მღელვარებით, ქააბეს კედლიდან ფურცელი ჩამოიღეს და მოიტანეს. ებუ ტალიბმა უთხრა: „წაიკითხეთ!“ შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა, როცა ფურცელი წასაკითხად გახსნა, „ბისმიქე ალლაჰუმმე“-ს გარდა ყველა ნაწერი წაშლილიყო. წარმართებმა გაოგნებისგან ვეღარ მიხვდნენ რა ეთქვათ და რა გაეკეთებინათ. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანის მოთხოვნით სამწლიანი, დაუვიწყარი ტკივილის კვალის დამტოვებელი, საშინელი ბლოკადა გააუქმეს. მაგრამ მტრობისგან ხელი ვერ აიღეს, პირიქით, მუსლიმანთა წამება გაამკაცრეს. ისლამის გავრცელების აღსაკვეთად ყოველ ხერხს მიმართეს. მიუხედავად მათი ამდენი გარჯისა, ისლამი მაინც სწრაფად ვრცელდებოდა. ალლაჰის საყვარელი შუამავალი უმეცრების ხანის სიბნელეში მყოფი ადამიანების გადასარჩენად ზრუნავდა და ჭეშმარიტი ბედნიერებისკენ მოუწოდებდა. ბედნიერებას მიღწეული ხალხი ალლაჰს უდიდეს მადლობას სწირავდა. მათ ვერანაირი ტანჯვა-წამება აშინებდათ. წმინდა მუჰამმედის სასწაულებისა და მუსლიმანების მიერ რჯულის მიმართ გამოჩენილი ერთგულების წყალობით უამრავი ადამიანი ისლამის შუქით გასხივოსნდა.

მთვარის ორად გაყოფა

უკეთილშობილესი მუჰამმედ შუამავალის უამრავ სასწაულთაგან, ერთ-ერთი და მეტად მნიშვნელოვანი მთვარის ორად გაყოფაა. ერთხელ წარმართთა ერთი ჯგუფი ებუ ჯეჰილისა და ველიდ ბინ მუღირეს მონაწილეობით, ალლაჰის საყვარელ შუამავალთან მივიდნენ და უთხრეს: „თუ შენ ნამდვილად შუამავალი ხარ, მთვარე ორად გაჰყავ, ერთი ნახევარი ქუაიქიანის მთაზე, ხოლო მეორე ნახევარი ებუ ქუბეისის მთაზე დაგვანახე“.მაშინ ალლაჰის შუამავალმა ჰკითხა: ***„თქვენი მოთხოვნა რომ შევასრულო, დაიჯერებთ ჩემს შუამავლობას?“*** წარმართები შეპირდნენ, დავიჯერებთო. ამის შემდეგ საყვარელმა შუამავალმა ალლაჰს მთვარის ორად გაყოფა შეევედრა. საყვარელ შუამავალს მაშინვე ჯებრაილ ანგელოზი გამოეცხადა და აცნობა: „მუჰამმედ! აცნობე მექქელებს, ამაღამ სასწაულს იხილავენ“. საყვარელმა შუამავალმა, მექქელებს აცნობა, რომ ვისაც სასწაულის ნახვა უნდა, მთვარის გაყოფას უყუროსო. იმ ღამეს, როცა საყვარელმა შუამავალმა მთვარისკენ თითი გაიშვირა, მთვარე ორად გაიყო და ერთი ნახევარი ქუაიქიანის მთაზე, ხოლო მეორე ებუ ქუბეისის მთაზე გამოჩნდა. ცოტა ხნის შემდეგ ხელმეორედ შეერთდა.

საყვარელმა ალლაჰის შუამავალმა საჰაბეებს უთხრა: ***„ებუ სელემე ბინ აბდულესედ, ერქამ ბინ ებილ ერქამ! მოწმე იყავით“,*** შემდეგ მიუბრუნდა და ყველა იქ მყოფს მიმართა, მოწმე იყავითო. წარმართებმა საკუთარი თვალით კიდევ ერთი სასწაული დაინახეს, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ეხლაც სიტყვა გატეხეს, არ ირწმუნეს, ამასთან ერთად, სხვებსაც რომ არ დაეჯერათ, ამისათვის მოიგონეს, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ მუჰამმედის ჯადოქრობის შედეგია, აბა, სხვა ქვეყნებიდან მოსულ ხალხს ვკითხოთ, მათაც თუ დაინახეს იგივე მოვლენაო. თუ ჩამოსულ ხალხს აქვს ნანახი ეს ფაქტი, მაშინ მუჰამმედის შუამავლობა ნამდვილია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჯადოაო. სხვა ქვეყნებიდან მოსულებს ჰკითხეს, ყველამ უპასუხა: „დიახ, იმ ღამეს ჩვენც ვნახეთ, რომ მთვარე ორად გაიყო“. ყველას პასუხი ერთი იყო, მაგრამ ისლამის მოწინააღმდეგებმა მაინც უარჰყვეს ეს მოვლენა. უარმყოფელთა სათავეში ებუ ჯეჰილი იდგა. ხალხს

რომ არ დაეჯერა, იგი გაიძახოდა: „ებუ ტალიბის ობლის ჯადო ზეცაზეც კი ზეგავლენას ახდენსო“. ასეთი ქცევებით ადამიანთა გულებში ეჭვებს თესავდნენ.

ალლაჰმა თქვენც ჭეშმარიტება გარგუნოთ წილად

წარმართების მიერ მუსლიმანების წინააღმდეგ მოწყობილი ბლოკადის გაუქმების შემდეგ, ნეჯარანის ტომიდან ერთი ჯგუფი ალლაჰის შუამავალთან მოვიდა. ეს ჯგუფი ოცი კაცისგან შესდგებოდა, მათ ეთიოპიაში ემიგრირებულ საჰაბეებისგან, ისლამის შესახებ რაღაც-რაღაცაები გაეგოთ, ამიტომ შუამავალთან შესახვედრად და ისლამის შესასწავლად მექქაში მოვიდნენ. ისინი ალლაჰის შუამავალს წმინდა ქააბასთან შეხვდნენ და უამრავი კითხვა დაუსვეს, რაზედაც შესანიშნავი და ლამაზი პასუხები მიიღეს. ყურეიშელი წარმართები მათ გარშემო იდგნენ და სიტუაციას აკვირდებოდნენ. ქვეყნიერებას წყალობად მოვლენილი შუამავალი მათ ყურანი ქერიმიდან აიათებს უკითხავდა, რამაც სტუმრები ძალიან დიდი ზეგავლენის ქვეშ მოაქცია. მათ ცრემლები ვეღარ შეიკავეს და ატირდნენ. შემდეგ შუამავალმა მათ ისლამის მიღება შეთავაზა, რაზედაც დიდი კმაყოფილებით და მთელი სიხარულით ქელიმეი შეჰადეთი წარმოსთქვეს მუსლიმანები გახდნენ. როდესაც მოსულებმა თავიანთ ქვეყნებში დაბრუნების ნება ითხოვეს, მათთან ებუ ჯეჰილი მივიდა და შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა: „თქვენისთანა ბრიყვი ხალხი არსად გვინახავს. მასთან ერთი შეხვედრით საკუთარ რჯულს უღალატეთ და რაც გითხრათ ყველაფერზე დაეთანხმეთ“. წარმართებს ახალმა საჰაბეებმა ასე მიუგეს: „ალლაჰს ვევედრებით, რათა ჭეშმარიტება თქვენც გარგუნოთ წილად, ჩვენს წინაშე უმეცრება გამოიჩინეთ და შეურაცხყოფა მოგვაყენეთ, მაგ ჩვენ თქვენ წინაშე ასე არ მოვიქცევით. მართალია, ჩვენ თქვენი უფლება არ შეგვილახავს, მაგრამ ისიც კარგად იცოდეთ, რომ რამდენიმე უმეცარის სიტყვის გამო, ამ უდიდესი წყალობის დაკარგვას არავითარ შემთხვევაში ვისურვებთ. ამიტომაც იცოდეთ, რომ ამ ჭეშმარიტ რწმენას აღარ შევიცლით. ჯონუ ილე ილგილი სონ კსიმ ეკსიკ.

მწუხარების წელი

ალლაჰის საყვარელი შუამავლის უფროსი ვაჟი, ყასიმი ჩვიდმეტი თვისა გარდაიცვალა. ამ სამწუხარო მოვლენიდან, წლების შემდეგ, მეორე ვაჟი აბდულლაჰიც გარდაიცვალა. ალლაჰის შუამავალი თვალცრემლიანი მთისკენ მიბრუნდა და თავისი მწუხარება ასე გამოხატა: ***„მთავ! რაც მე თავს გადამხდა, ანალოგიური რამ შენ რომ მოგსვლოდა, ვერ გაუძლებდი და წაიქცეოდი“.*** შემდეგ როცა წმინდა ჰატიჯემ ჰკითხა: „ალლაჰის შუამავალო, ისინი სად არიან ახლა?“ შუამავალმა მიუგო: ***„ისინი ახლა სამოთხეში არიან“.***

წარმართებს ძლიერ გაუხარდათ, როცა კაცობრიობის სიამაყეს მეორე ვაჟიც გარდაეცვალა. ამ ვითარებით ებუ ჯეჰილის მსგავსმა ურწმუნოებმა ისარგებლეს და ყვირილი ატეხეს: „უკვე მუჰამმედი ებთერია, შთამომავლობის გამაგრძელებელი ვაჟი აღარ დარჩა, თვითონაც რომ გარდაიცვლება, მისი სახელი სრულიად დავიწყებას მიეცემა“ ამის შემდგომ უზენაესმა ალლაჰმა ქევსერის სურა ზეგარდმოავლინა და შუამავალი დაამშვიდა. აიათის მნიშვნელობა შემდეგია: ***„საყვარელო შუამავალო! უეჭველია რომ ჩვენ შენ ქევსერი გიბოძეთ*** *(ქევსერის აუზი: უამრავი წყალობა მოგეცით, გარდა ამისა ქევსერი სამოთხეში შუამავალზე ბოძებული აუზია, საიდანაც მისმა მიმდევარმა წყალი უნდა დალიოს)**. მაშ ასე, ილოცე შენი გამჩენისათვის და შეწირე ზვარაკი.“*** უსათუოდ, მას არ დარჩება შთამომავალი და სახელის მხსენებელი, ვინც შენ ავად გახსენა (ვინც შენ ებთერი გიწოდა, თვითონ არის შთამომავლობა გაწყვეტილი, ნაძრახი და უღირსი. შენი და შენი სპეტაკი შთამომავალის ღირსება წარღვნამდე გაგრძელდება. საიქიოში კი შენ წარმოუდგენელი, უამრავი ღირსება მოგეკუთვნება)“.

ალლაჰის საყვარელი შუამავლის მეორე ვაჟის გარდაცვალების შემდეგ დღეებში, ბიძა ებუ ტალიბი გახდა ავად. მას ავადმყოფობა დღითიდღე ურთულდებოდა. ამ ვითარებიდან გამომდინარე, წარმართებმა მოილაპარაკეს; ებუ ტალიბმა თავის სიცოცხლეში ბევრი იზრუნა მუჰამმედის მფარველობისთვის, უკვე მისი საიქიოში გადასახლების დროც მოახლოვდა, მივიდეთ და მოვინახულოთ უკანასკნელ დღეებშიო. ვინაიდან ჰამზასა და ომარისთანა

უბადლო, წარმოსადეგი და უშიშარი ვაჟკაცები მუსლიმანი გახდნენ. ყოველ დღეს არაბი ტომები ჯგუფ-ჯგუფად მოდიან და მისი მიმდევარი ხდებიან. ამგვარად, მუსლიმანთა რიცხვი დღითიდღე მატულობს და მათი ხმა ზეცას სწვდება, ამიტომ, ასეთ მდგომარეობაში ან უნდა დავემორჩილოთ, ან ხოცვა-ჟლეტისათვის საომრად უნდა მოვემზადოთ. მივიდეთ ებუ ტალიბთან, ვითარება გავაცნოთ და შეგვარიგოს. არც ჩვენ დავესხმით მათ რჯულს და ნურც ისინი შეურაცხყოფენ ჩვენ რწმენას. წარმართები ამ მიზნით ებუ ტალიბთან მივიდნენ.

უქბეს, შეიბეს, ებუ ჯეჰილისა და უმეიიე ბინ ჰალეფის მსგავსი ცნობილი პირები ებუ ტალიბის დასხდნენ დასხდნენ და მოახსნეს: „ჩვენ გვჯერა შენი სიდიდისა და უპირატესობისა. შენ, ამის გამო, არასოდეს შეგწინააღმდგებივართ. ვშიშობთ, რომ შენი გარდაცვალების შემდეგ, მუჰამმედი არ მოგვეშვება, ამიტომ, ჩვენს შორის მტრობა და შუღლი ისევ გაგრძელდება. შეგვარიგე და ერთმანეთს შორის რელიგიური დაპირისპირება ნუღარ გევქნება“.

ებუ ტალიბმა საყვარელ შუამავალს დაუძახა და უთხრა: „ყურეიშის ავტორიტეტული პირები გთხოვენ, რომ მათ რჯულში აღარ ჩაერიო. თუ ამ თხოვნას დათანხმდები, მაშინ შენ ბრძანებას დაემორჩილებიან და ყველაფერში დაგეხმარებიან. ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ, წმინდა შუამავალმა ბრძანა: ***„ბიძაჩემო! მე მინდა, რომ მათ მხოლოდ ერთ სიტყვისკენ მოვუწოდო, სიტყვას, რომლის წინაშე ყველა არაბი ქედს მოიდრეკს, არაარაბები კი ჯიზიას (1) გადაიხდიან“.*** *(1)(სულადობრივი გადასახადი, რომელიც იკრიბებოდა არა მუსლიმანებისგან)* შემდეგ ყურეიშ დიდგვაროვნებს მიმართა: ***„დიახ, თუ თქვენ, ერთ სიტყვას მეტყვით, ამით ყველა არაბზე უფრო მაღლა დადგებით, არა არაბები კი თქვენ წინაშე ქედს მოიდრეკენ“.*** – „შეიძლება, ამას ათმაგად ვიტყვით. რა არის ეგ სიტყვა?“ - ჰკითხეს მისულებმა. ალლაჰის შუამავალმა უპასუხა: „იტყვით: ***„ლა ილლაჰე ილლალლაჰ“*** (არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა) ***და ალლაჰის გარდა სხვა სათაყვანო კერპებს კი მოსპობთ, გადაყრით“.*** წარმართებმა ეს რომ გაიგონეს, შუამავალს უთხრეს: „ჩვენგან, ამის გარდა, სხვა რამე მოითხოვე!“... შუამავალმა უთხრა: ***„თუნდაც მზე მომიტანოთ და ხელებში ჩამიდოთ,***

თქვენგან ამის გარდა სხვას არაფერს მოვითხოვ“.

წარმართებმა მიუგეს: „ყასიმის მამავ! ძალიან უცნაურ რამეს გვთავაზობ. ჩვენ შენი ხათრით გვინდოდა, მოგყოლოდით, მაგრამ შენ ჩვენი ხათრი სრულებით არა გაქვს“. შემდეგ ადგნენ და წავიდნენ. ებუ ტალიბი წმინდა შუამავალს მიუბრუნდა და უთხრა: „საკმაოდ კარგად უთხარი, ლამაზად გამოხატე, რასაც მოითხოვდი ყურეიშელებისგან“. ბიძას ამ სიტყვამ წმინდა მუჰამმედი დააიმედა და მიხვდა, რომ ებუ ტალიბი რწმენისკენ მოდიოდა. ***„ეი, ბიძა! ერთხელ მაინც წარმოსთქვი*** „ლა ილაჰე ილლალლაჰ, ***რათა განკითხვის დღეს დაგეხმარო“.*** ებუ ტალიბმა უპასუხა: „შემდეგ შენი ხალხი რას იტყვის, ვშიშობ, არ შემარცხვინონ, სიკვდილის შეეშინდა და იმიტომ გამუსლიმანდაო, თორემ შენ ყოველთვის პატივს გცემდი“. ამის შემდეგ ებუ ტალიბი მალე გარდაიცვალა.

წმინდა ჰატიჯეს გარდაცვალება

ალლაჰის საყვარელი შუამავლის დარდის მოზიარე, ცხოვრების მეგობარი, ჰატიჯეც სამ წლიანი ბლოკადის დარდითა და წუხილით, ჰიჯრეთამდე სამი წლით ადრე, რამაზანის თვის დასაწყისში, 65 წლის ასაკში გარდაიცვალა. სამყაროს პატივცემულმა შუამავალმა წმინდა ჰატიჯე თავისი დალოცვილი ხელებით მიაბარა მიწას. ერთი წლის განმავლობაში, საყვარელი მეუღლისა და მფარველი ბიძას გარდაცვალებამ ის ძალიან დაამწუხრა. აქედან გამომდინარე, ამ წელს ***სენეთ-ულ-ჰუზნ,*** ანუ მწუხარების წელი ეწოდა.

ჰატიჯეს გარდაცვალებამ საყვარელი შუამავალი მეტისმეტად დააღონა და დაამწუხრა. რადგან ის იყო პირველი, რომელმაც იწამა და დაემოწმა შუამავალს. გარდა ამისა, ის იყო მისი ყველაზე დიდი მხარდამჭერი და მანუგეშებელი. მაშინ, როცა ყველა მას ემტერებოდა, ხატიჯემ გული გადაუშალა და შუამავლის სიყვარულით გაავსო. მან მთელი თავისი ქონება, სიმდიდრე – რაც ებადა, ყველაფერი ისლამის გზაზე დახარჯა, საყვარელი შუამავლის სამსახურში დაუღალავად შრომობდა. არასოდეს უწყენინებია და ხათრი არ გაუტეხია მისთვის. საყვარელი შუამავალი ამის შესახებ დროდადრო იხსენებდა და დალოცვილ მეუღლეებს ეუბნებოდა.

ხელი კისერთან გაუშეშდა

ქვეყნიერების საყვარელი შუამავალი, ადამიანთაგან ყველაზე უბედნიერეს საჰაბეებს შეუდარებელი საუბრებით გულებს უნათებდა. ზეგარდმოვლენილ წმინდა აიათებს ისე უმარტავდა, რომ აუხსნელ და გაუგებარს არაფერს ტოვებდა. გარდა ამისა, წარმართების თავშეყრის ადგილებში მიდიოდა, შეუდრეკელად და დაუზარებლად მათ რწმენისკენ მოუწოდებდა. ამიტომ, ებუ ჯეჰილი და ველიდ ბინ მუღირე ძალიან ბრაზდებოდნენ და ამბობდნენ: „თუ ასე გააგრძელა, მუჰამმედი ყველას თავის რჯულზე გადაიყოლებს და კერპების თაყვანიმცემელს აღარ დატოვებს“. ბოლოს დაასკვნეს, რომ ამ საქმის დასრულების ერთადერთი გზა ქვეყნიერების ბატონის, საყვარელი მუჰამმედის მოკვლა იყო. ებუ ჯეჰილი, ველიდ ბინ მუღირე მაზუნისშვილებისგან რამდენიმე ახალგაზრდასთან ერთად ბეითულლაჰთან (ალლაჰის სახლი) მივიდნენ. იმ დროს საყვარელი შუამავალი ლოცულობდა. ებუ ჯეჰილმა ხელში ქვა აიღო, პირდაპირ მისკენ გაექანა, და ის იყო ქვა პატივცემულ შუამავლისთვის უნდა დაერტყა, რომ აწეული ხელები უმოქმედოდ გაუჩერდა. ვერაფერი რომ ვერ გააკეთა, გაოგნებული დარჩა. ისეთ მდგმარეობაში წარმართებთან დაბრუნდა. შემდეგ მისი ხელი ძველ მდგომარეობას დაუბრუნდა, ქვაც ძირს დუვარდა.

იმავე ქვას მაზუნისშვილებთაგან ერთ-ერთმა დაავლო ხელი და თქვა: „აი, ნახავთ ახლა, მას მე მოვკლავ!“ და შუამავლისკენ გაექანა. როცა მიუახლოვდა თვალები დაუბრმავდა და ვერაფერი დაინახა. ამის შემდეგ მაზუნისშვილები, ყველა ერთად, შუამავლისკენ დაიძრენ. როცა შუამავალს საკმაოდ მიუახლოვდნენ, ის ველარ დაინახეს, მაგრამ მისი ხმა ესმოდათ. საიდანაც ხმა ესმოდათ, იმ კუთხისკენ მიბრუნდნენ, მაგრამ ამ დროს ხმა ისევ ადრინდელი ადგილიდან ისმოდა. ურწმუნონი რამდენჯერმე გახდნენ მსგავსი მოვლენის მომსწრენი. ამის შესახებ უზენაესმა ალლაჰმა წმინდა აიათი გარდმოავლინა. მისი მნიშვნელობა შემდეგია:

„მათ წინ და უკან კედელი აღვმართეთ. თვალებზე ფარდა ჩამოვაფარეთ, აწი ისინი ველარ დაინახავენ.“[3]

3. იასინის სურა: 36/ 9.

ტაიფელების მოხმობა ისლამისკენ

მიუხედავად იმისა, რომ წარმართები საყვარელი შუამავლის ძალიან ბევრი სასწაულის მომწრენი გახდნენ, მაინც არ იწამეს ისლამი. ამასთან ერთად, გამუსლიმანებულების ბავშვების, დაძმების, ნათესავებისა და მეგობრების წამებისგანაც კი არ დაიხიეს უკან. წარმართების გაძლიერებული დესპოტობის გამო, საყვარელი შუამავალი ძალიან შეწუხებული იყო. შუამავალმა გადაწყვიტა მექქას ახლოს, ტაიფში წასულიყო და იქაური ხალხი ისლამისკენ მოეხმო. ზეიდ ბინ ჰარისეს თანხლებით ტაიფში მივიდა. იქაურ გავლენიან პირებს, ამირის შვილებს: აბდ'ი იალილს, ჰაბიბსა და მესუდს შეხვდნენ, ისლამი აუხსნა და ალლაჰის რწმენის მიღება შეთავაზა. მათ ისლამი არ იწამეს და ამასთან ერთად საყვარელ შუამავალს შეურაცხყოფაც კი მიაყენს. ის ასეთი უხამსი სიტყვებით გაისტუმრეს: „უზენაესმა ალლაჰმა შენს გარდა სხვა ვერავინ მოგვივლინა შუამავლად? განა არ შესწევდა იმის ძალა, რომ სხვა მოევლინა? ჩვენი სამშობლოდან გადი და სადაც გინდა, იქ წადი!... შენმა ხალხმა არ დაიჯერა შენი მოწოდებისა და ამიტომ მოხვედი ჩვენთან, არა? გეფიცებით, რომ ჩვენც შენგან შორს დავიჭერთ თავს და არცერთი ჩვენთაგანი არ დავიჯერებთ შენს მოწოდებას".

ალლაჰის საყვარელი შუამავალი მათგან, განაწყენებული წამოვიდა. შემდეგ საქიფის ტომს მოუწოდა ისლამისკენ. მაგრამ არც მათ იწამეს და ამასთან ერთად კიდეც დასცინეს, აწვალეს და გაამასხარავეს. ბავშვები და ახალგაზრდები იმ გზის პირას დააყენეს, სადაც მას უნდა გაევლო, ქვები დაუშინეს და თავს დაესხნენ. ტაიფში ახალგაზრდებმა შუამავალს ქვები რომ დაუშინეს, ზეიდ ბინ ჰარისე სხეულით გადაეფარა და ასე ცდილობდა მისთვის ზიანი თავიდან აეცილებინა, შუამავლის გარშემო აქეთ-იქით ტრიალებდა, რათა ნასროლი ქვები არ მოხვედროდა. ხოლო თავისკენ წამოსულ ქვებს ყურადღებასაც კი არ აქცევდა. მაშ ასე, სამყაროს ბატონს ქვებს უშენენ, აწამებენ, აწვალებენ და ცდილობენ, რომ სამშობლოდან გააძევონ....

ზეიდ ბინ ჰარისე, შუამავლის დასაცავად, იქეთ-აქეთ დარბოდა,

ქვები კი თავზე, ტანზე, ფეხებზე, ერთმანეთის მიყოლებით, ხვდებოდა. ამის გამო ზეიდ ბინ ჰარისეს მთელი სხეული დასისხლიანებული ჰქონდა, მაგრამ საყვარელი შუამავლის დასაცავად მთელ ძალ-ღონეს არ იშურებდა და ქვების დამშენ დესპოტებს მთელი ხმით უყვიროდა: ნუ იზამთ, ნუ ესვრით ქვებს!... ის სამყაროს ბატონია, ალლაჰის შუამავალია ის... ჩემი სხეული თუნდაც ნაკუწ-ნაკუწად აქციეთ, ოღონდ მას ზიანს ნუ მიაყენებთ. ქვები, რომელსაც ზეიდი ვერ გადაეფარა, შუამავალს მოხვდა და ფეხები დაუსისხლიანა.

საყვარელი შუამავალი ძალიან ნაწყენი, დაღლილი და დაჭრილი ორი ძმის – უქბესა და შეიბეს ბაღს მიუახლოვდა. იქ, მორწმუნეებისთვის თავგანწირულმა ალლაჰის შუამავალმა ფეხებზე სისხლი გაიწმინდა, აბდესი აიღო, ორი მუხლი ლოცვა შეასრულა, შემდეგ დალოცვილი ხელები აღაპყრო და ვედრება აღავლინა.

ამ მდგომარეობას ბაღის მეპატრონეები ხედავდნენ. დაინახეს, რაც გადახდა თავს ალლაჰის შუამავალს, წყალობის გაკეთების სურვილმა სძლიათ და მსახურ ადდასის ხელით ყურძენი გაუგზავნეს. საყვარელმა შუამავალმა ბისმილლაჰ (ალლაჰის სახელი ახსენა) წარმოსთქვა და ყურძნის ჭამა დაიწყო. ყურძნის მომტანმა მსახურმა ეს სიტყვა (ბისმილლაჰ) რომ გაიგონა, გაოცდა და ჰკითხა: „რამდენიმე წელია აქ ვარ, მაგრამ ასეთი სიტყვა არავისგან გამიგონია, რას ნიშნავს, როგორი სიტყვაა ეს?“

ალლაჰის შუამავალმა ჰკითხა, თუ სადაური იყო იგი. ადდასმა მიუგო: „ნინევიდან ვარო“. – „შენ შუამავალი იუნუსის სამშობლოდან ყოფილხარ“ – უთხრა შუამავალმა. ადდასმა უპასუხა: ***„შენ იუნუსს საიდან იცნობ? მას ხომ აქ ვერავინ იცნობს“*** ალლაჰის შუამავალმა მოსამსახურეს უთხრა: ***„ის ჩემი ძმა არის, ისიც ისეთი შუამავალი იყო, როგორიც მე ვარ.“***

აღტაცებულმა ადდასმა თქვა: „ასეთი, ლამაზი სახის მქონე და ტკბილად მოუბარი ადამიანი შეუძლებელია ცრუ იყოს“. შემდეგ უთხრა: „მე დავიჯერე, რომ შენ უეჭველად ალლაჰის შუამავალი ხარ“ და ისლამი მიიღო. ამის შემდეგ ალლაჰის შუამავალს მოუყვა: „რამდენიმე წელია ამ დესპოტებსა და მატყუარებს ვემსახურები.

ისინი ყველას ატყუებენ და სხვის წილხვედრს მიირთმევენ. ესენი ყოველმხრივ ცუდი ადამიანები არიან. ამქვეყნიური სიამოვნებისათვის და ქონების მოპოვებისათვის ყოველგვარ სისაძაგლეს ჩადიან. მეზიზღება ისინი, თქვენთან ერთად მინდა წამოვიდე, მინდა თქვენს სამსახურში ვიყო, უმეცრებისა და ბრიყვების მიერ თქვენს მიმართ ჩადენილი თავხედური ქცევების წინააღმდეგ ვიბრძოლო და თქვენი დალოცვილი სხულის დასაცავდ თავი გავწირო".

ალლაჰის შუამავალს გაეღიმა და უთხრა: ***„ახლა ბატონთან დარჩი, ცოტა ხნის შემდეგ, ჩემს სახელს ყველგან გაიგებ და მაშინ მოდი ჩემთან".*** ამის შემდეგ ალლაჰის შუამავალმა ცოტა დაისვენა და მექქასკენ გაუდგა გზას. ქალაქამდე ცოტაღა მანძილი რომ დარჩა, შენიშნა, რომ მას ღრუბელი ჩრდილად დაჰყვებოდა, კარგად რომ დააკვირდა, მიხვდა, რომ ანგელოზი ჯებრაილი იყო. ამ მოვლენის შესახებ, საყვარელმა შუამავალმა, წმინდა აიშეს უამბო.

საჰიჰ ბურასა და აჰმედ ბინ ჰანბელის მუსნედში გადმოცემის მიხედვით, ერთ დღეს აიშემ ალლაჰის შუამავალს ჰკითხა: „ალლაჰის შუამავალო, როგორც უჰუდის დღეს იწვალე, მსგავსი სხვა ტკივილიანი დღე გქონია?" საყვარელმა შუამავალმა ასეთი პასუხი გასცა: ***„ალლაჰს ვფიცავ, რომ რაც შენმა ხალხმა მაწვალა, იმდენი უჰუდის წმინდა ბრძოლაში ურწმუნოებისგან არ გადამხდენია თავს...***

როდესაც იბნ'ი აბდ'ი და იალილი ბინ აბდ'ი ქულალეს, ჩემი შუამავლობის შესახებ ვაუწყე და რწმენისკენ მოვუწოდე არ დაიჯერეს. მათგან იმდენად ნატანჯი წამოვედი, რომ სანამ ყარნ'ი სეალიბამდე მოვიდოდი, გონს ვერ მოვედი. იქ თვალები ზეცისკენ მივაპყარი და დავინახე, რომ ზემოთ ღრუბელი ქანაობდა. დავაკვირდი და ღრუბელში ანგელოზი ჯებრაილი დავინახე. მან მითხრა: „მუჰამმედ! უზენაესმა ალლაჰმა გაიგო ხალხის სიავის შესახებ, გაიგო შენი სიტყვები და იცის, რომ ხალხს არ უნდა შენი დაცვა. შენ, ეს, მთების მსხური ანგელოზი მოგივლინა და რაც დაგჭირდება, მას დაავალებ". ***შემდეგ იმ ანგელოზმა დამიძახა, მომესალმა და მითხრა:*** „მუჰამმედ! როგორც ჯებრაილმა გაცნობა, ჭეშმარიტმა ალლაჰმა

მე, მთების მსახური ანგელოზი, შენთან მომავლინა, რათა რასაც მოისურვებ, მე მიბრძანო, მზად ვარ შენი ბრძანება შევასრულო. აი იმ ორი ციცაბო მთის (ქუაიქიანის მთისა და ებუ ქუბეისის მთის) მექქელების თავზე დამხობა თუ გსურს (წარმართების სრულიად გაწყვეტა), მიბრძანე და შევასრულებ". ***მე არ დავთანხმდი და ვუთხრი, რომ მე სამყაროს წყალობად ვარ მოვლენილი და უზენაეს ალლაჰს, ამ წარმართთა მოდგმიდან, მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰის ჭეშმარიტი თაყვანისმცემელი, მისი ჭეშმარიტი მიმდევარი შთამომავლობის გამოყვანისთვის ვევედრები!"***

საყვარელმა შუამავალმა ტაიფიდან მექქაში უკან დაბრუნებისას ნეჰლადწოდებულ ადგილას ცოტათი დაისვენა. ამ დროს, როცა სალოცავად დადგა, ნუსაიბის ჯინებმა, მასთან ახლოს გავლისას, ყურანის კითხვის ხმა გაიგონეს, შეჩერდნენ და ყურადღებით მოუსმინეს, შემდეგ შუამავალს ესაუბრენ და მუსლიმანები გახდნენ. ***შუამავალმა მათ თხოვა, როცა თქვენს ტომთან მიხვალთ, მათაც აცნობეთ ჩემი მოწოდება და ისინიც რწმენისკენ მოიხმეთო.*** როცა ჯინები თავიანთ ხალხთან მივიდნენ და აცნობეს მომხდარის შესახებ, ყველა მათგანმა იწამა ისლამი. ამ საკითხთან დაკავშირებით წმინდა ყურანში, ჯინის სურაში და წმინდა ჰადისის ბუჰარისა და მუსლიმის წყაროებში არის მოხსენებული.

წარმოსთქვით: "ლა ილაჰე ილლალლაჰ" და გადარჩით

ალლაჰის საყვარელი, წმინდა მუჰამმედ შუამავალი, მუთ'იმ ბინ აბდის დახმარებით მექქაში დაბრუნდა და ხალხის ჭეშმარიტ გზაზე დადგომის მოწოდება განაგრძო. ამ მოქმედების გამო წარმართები კიდევ უფრო გაშმაგდნენ და ტანჯვა-წამება, ადრინდელზე შედარებით, უარესად გაამკაცრეს. მაშინ უზენაესმა ალლაჰმა საყვარელ მუჰამმედ შუმავალს ქააბას მოსანახულებლად მოსული, არაბი ტომების ისლამისკენ მოხმობა დაავალა.

საყვარელი შუამავალი ალლაჰის ამ ბრძანების შესასრულებლად, მექქას ახლო-მახლო გაშლილ ზულმეჯაზის, უქაზისა და მეჯენნეს ბაზრობებზე წავიდა, ტომებს ალლაჰის ერთობაზე, მასზე თაყვანისცემისკენ და საკუთარი თავის ალლაჰის შუამავლად

დაჯერებისკენ მოუწოდებდა. ვინც იწამებდა, აუწყებდა, რომ ალლაჰი მათ სამოთხით დააჯილდოვებდა. მიუხედავად იმისა, რომ ალლაჰის შუამავალი ევედრებოდა, რათა მათ ეწამათ ერთადერთი ალლაჰისა, სამწუხაროდ, ყურადღებას არავინ აქცევდა, ზოგიერთები უხეშად ექცეოდნენ, შეუაცხყოფდნენ, სახეს მოღუშავდნენ და ცუდ სიტყვებს ჰკადრებდნენ. ყურეიშელი წარმართები შუამავალს უკან დაჰყვებოდნენ და რომელ ტომთანაც მივიდოდა, იმ ტომს შუამავლის წინააღმდეგ აქეზებდნენ.

იმამი აჰმედ ბეიჰაქი, თაბერანი და იბნი ისჰაქის გადმოცემის მიხედვით, რებია ბინ აბბადი მოგვითხრობს: „ახალგაზრდა ვიყავი მაშინ, როცა მამასთან ერთად მინაში წავედი, ალლაჰის შუამავალი არაბი ტომების საცხოვრებელ ადგილას მიდიოდა და ასე მოუწოდებდა: ***„მავანნო! მე იმ უზენაეს ალლაჰის შუამავალი ვარ, რომელიც თქვენ გიბრძანებს, რომ გადაყაროთ კერპები, რომლებსაც თაყვანს სცემთ, ემსახურეთ ტოლისა და სწორის არმყოლე უზენაეს ალლაჰს. გთხოვთ დამერწმუნოთ, დამეთანხმოთ და დამიცვათ მანამ, სანამ ჩემზე დაკისრებულ მოვალეობას აგიხსნით სრულად“.***

შუამავალმა სიტყვა რომ დაამთავრა, ერთმა ელამმა, ნაწნავებიანმა კაცმა იქ მყოფთ მიმართა: „მავანნო! ამ ადამიანს უნდა ჩვენს კერპებზე – ლათსა და უზზაზე თაყვანისცემა აგვიკრძალოს და თავის მოგონილ რჯულზე გვეპატიჟება! ფრთხილად იყავით... ყურადღება არ მიაქციოთ და არ მიჰყვეთ მას!“ მე მამაჩემს ვკითხე: „ვინ არის ის პიროვნება, ვინც მას უკან დაჰყვება-მეთქი“, მან მიპასუხა, მისი ბიძა ებუ ჯეჰილიო..

თაბერანი, ტარიყ ბინ აბდულლაჰი ასე გადმოგვცემს: „ალლაჰის შუამავალი ზულმეჯაზის ბაზრობაზე დავინახე, ადამიანების გასაგონად ხმამაღლა იძახდა: ***„ადამიანებო! წარმოთქვით: „ლა ილაჰე ილლალლაჰ“*** *(არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა)* ***და გადარჩით“.*** მას ვიღაც უკან დაჰყვებოდა, ქვებს ფეხებში ესროდა და ყვიროდა: „საზოგადოებავ, მას არ დაუჯეროთ!... ფრთხილად იყავით მისგან!... ვინაიდან ის ცრუობს!“... შუამავალს მოხვედრილი ქვებისგან ფეხები დასისხლიანებული ჰქონდა, მიუხედავათ ასეთი მდგომარეობისა, ის შეუდრეკელად, დაუღალავად აგრძელებდა

მოწოდებას. შემდეგ, ერთმა იკითხა: „ვინ არის ეს ახალგაზრდა?“ აბდულმუტტალიბის შვილებიდან ერთ-ერთი ახალგაზრდაა, უპასუხეს მას. შემდეგ როცა იკითხეს, კი მაგრამ ქვებს რომ ესვრის, ის ვინღააო, ის კი მისი ბიძა ებუ ლეჰებიაო, თქვეს.

იმამ ბუჰარმა ***„თარიჰულ ქებირ“***-ის, ხოლო თაბერანი ***მუ'ჯემ'ულ ქებირ“***-ის წყაროში იხსენებს: „მუდრიქ ბინ მუნიბმა მამისგან, ხოლო მისმა მამამ კი ბაბუასგან მოისმინა და გადმოგვცემს: „მამასთან ერთად მინაში ვიყავი. იქ ხალხს შევხვდით, რომელთაც ერთი ვინმე ასე მიმართავდა: ***„ადამიანებო! წარმოსთქვით: „ლა ილაჰე ილლალლაჰ“*** *(არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა)* ***და გადარჩით“.*** გარშემო მყოფთაგან ზოგნი მას ლამაზ სახეში აფურთხებდნენ, ზოგი სახეში მიწას აყრიდა, ზოგიც ლანძღავდა და სხვადასხვა შეურაცხყოფას აყენებდა. ასეთი მდგომარეობა შუადღემდე გაგრძელდა. ამ დროს მასთან, ხელში წყლის ჭურჭლით, პატარა გოგო მოვიდა. ის რომ იმ მდგომარეობაში ნახა, ატირდა. ამ კაცმა წყალი რომ დალია, გოგონას მიუბრუნდა და უთხრა: ***„ჩემო გოგონა, ნუ შეგეშინდება იმის, რომ მამაშენი მახეში გაებმება, სირცხვილს ჭამს ან მოკვდება“.*** შემდეგ მოვიკითხეთ თუ ვინ იყვნენ ეს ახლაგაზრდა და პატარა გოგო. გვითხრეს, რომ „აბდულმუტტალიბის შვილებთაგან მუჰამმედი და მისი ქალიშვილი ზეინებიაო“.

მოგვითხრობენ, რომ საყვარელი მუჰამმედ შუამავალი, ერთ დღეს, უქაზის ბაზრობაზე წავიდა. ბენი ამირის ტომის წინაშე წარსდგა და მათ ჰკითხა: ***„ბენი ამირ! თქვენთან, თავშეფარებულ ადამიანს როგორ იცავთ?“*** მათ ასე მიუგეს: „მას ზედმეტს ვერავინ ჰკადრებს, აქ ჩვენი ნებართვის გარეშე ჩვენი ცეცხლითაც კი ვერ გათბებიან!“ წმინდა შუამავალმა კვლავ ჰკითხა: ***„მე, ალლაჰის შუამავალი ვარ, თქვენთან რომ მოვიდე, დამიცავთ მანამდე, სანამ ალლაჰის მიერ ჩემზე ბოძებულ შუამავლობის მისიას ადამიანებს ავუხსნიდე?“*** მათ ჰკითხეს: „შენ რომელი ხალხიდან? წმინდა შუამავლმა აუხსნა: ***„აბდულმუტტალიბის შვილებიდან ვარ“*** – „რადგან ასეა, აბდულმუტტალიბის შვილებთაგან რატომ არავინ გმფარველობს?“ წმინდა შუამავალმა მიუგო: ***„მე, სიცრუეში, პირველებმა, მათ დამდეს ბრალი“*** ამის შემდეგ ბენი ამირის ხალხმა მას უთხრა:

„მუჰამმედ! ჩვენ შენს შუამავლობას არ ვუარვყოფთ, მაგრამ არც შენს მოტანილს დავიჯერებთ. მაგრამ შენ მანამდე დაგიცავთ, სანამ ადამიანების წინაშე შუამავლობის მოვალეობას შეასრულებ.“

ამის შემდეგ წმინდა შუამავალი მათთან დაჯდა. ამ დროს ბენი ამირის გავლენიან პირთაგან ბეიჰარა ბინ ფარისს, ბაზრობაზე ვაჭრობა დაემთავრებინა და მათთან მოვიდა. იქ მყოფთ შუამავლისკენ მიუთითა და ჰკითხა: „ეს ვინ არის?“ მათ უპასუხეს: „ეს მუჰამმედ ბინ აბდულლაჰია“ ბეიჰარამ იკითხა: „ამას აქ რა ესაქმება, თქვენთან ახლოს რომ დამჯდარა?“. იქ მყოფთ უპასუხეს: „შეგვეფარა, ამბობს, ალლაჰის შუამავალი ვარო, შუამავლობის მოვალეობის შესრულებამდე, შეფარება გვთხოვა“. ბეიჰარამ ეს რომ გაიგო წმინდა შუამავალს მიუბრუნდა და უთხრა: „შენი შეფარება ყველა არაბის ისრის სამიზნედ მკერდით დადგომის ტოლია“. შემდეგ ისევ თავის ხალხს მიუბრუნდა და ასე მიმართა: „ქვეყანაზე თქვენზე უფრო ცუდის მქნელი ტომი არ არსებობს, თქვენ ყველა არაბს უნდა ებრძოლოთ და მათი ისრის სამიზნე გახდეთ, არა? მის ხალხს, მისგან რაიმე ხეირი რომ ენახა, აუცილებლად შეიფარებდა. თქვენ იმ კაცის შეფარება გაგიზრახავთ, რომელიც თავისმა ხალხმა ცრუდ სცნო და მოიშორა. ძალიან ცდებით!.“..

შემდეგ ისევ საყვარელ შუამავალს მიუბრუნდა და უთხრა: „ახლავე გაგვშორდი და შენს ხალხთან დაბრუნდი!... გეფიცები, ჩემს ხალხში რომ არ ყოფილიყავი, აქამდე კისერს მოგკვეთდი“. ამ სიტყვების შემდეგ დამწუხრებული ქვეყნიერების ბატონი აქლემზე შეჯდა, მაგრამ იმ თავხედმა ბეიჰარამ ის აქლემიდან ჩამოაგდო. ეს შემთხვევა საჰაბეთაგან დაბაა ბინთი ამირმა რომ დაინახა, ყვირილი ატეხა: „ალლაჰის საყვარელ შუამავალს, ამას რას ჰკადრებთ?“ შემდეგ ნათესავებს დაუძახა: „გთხოვთ, ჩემი გულისთვის, ისეთი ვინმე არ არის, ვინც ალლაჰის შუამავალს ამათგან გადაარჩენს?“ მისმა სამმა ბიძაშვილმა ბიძაშვილმა ბეიჰარას სასტიკად სცემა. ხოლო ამ წარმართის დასახმარებლად მოსულ კიდევ ორ თავხედს, ცხვირ-პირი დაუნაყეს და პირიდან სისხლი აფურთხებინეს. ამ ვითარების მხილველი შუამავალი იმ სამი ახალგაზრდისათვის ასე შეევედრა: ***„ჩემო ბატონ-პატრონო! ამ ახალგაზრდებს შენი მადლი***

უწყალობე, ხოლო ვინც ბეიჰარას დაეხმარა, ესენი შენი წყალობისგან განარიდე!“

ვისთვისაც შუამავალი სიკეთე შეევედრა, ისინი ისლამით გაცისკროვდნენ, ხოლო წარმართებმა სული განუტევეს. როცა ბენი ამირის ტომი სამშობლოში დაბრუნდა, ზეციური წიგნების მცოდნე, მოხუცს მექქაში თავს გადამხდარის შესახებ უამბეს. მოხუცმა შუამავლის სახელი რომ გაიგონა, ისინი ასე გალანძღა: „ბენი ამირ! ეს რა ჩაიდინეთ? ისმაილის შვილებისგან, დღემდე, არავის სიცრუით შუამავლობა არ მოუგონია. უეჭველია, რომ რასაც ის ამბობს, მართალია. ასე ხელიდან გაშვებული ბედნიერების, უკან დაბრუნება ძალიან ძნელია“.

მირაჯი (ცად ამაღლება)

საყვარელმა მუჰამმედ შუამავალმა, ასეთი წინააღმდეგობის მიუხედავად, ყველა ტომს ისლამი აუხსნა. რამდენიმე ტომს მფარველობა და მხარდაჭერა სთხოვა, მაგრამ, სამწუხაროდ, არც მისი რჯული მიიღეს და არც მხარდაჭერა ითავა ვინმემ. გარდა ამისა, შეურაცხჰყვეს, დაჩაგრეს, აწვალეს, დასცინეს და უარჰყვეს იგი. ქვეყნიერების ბატონი გადაღლილი, მშიერ-მწყურვალი, მოწყენილი და ძალიან დამწუხრებული იყო. მექქას წარმართები, ყოველთვის, უკან დაჰყვებოდნენ. ქააბას მოსანახულებლად მოსულებს ისლამის მიღებაში ხელს უშლიდნენ, ასევე არც საყვარელ შუამავლს აკლებდნენ წამებას. ალლაჰის შუამავალს უკვე აღარ ჰქონდა წასასვლელი ადგილი, სადაც მტერი არ ეყოლებოდა. ერთ ღამეს, ბიძა ებუ ტალიბის ქლიშვილ, უმმი ჰანთან მივიდა.

მაშინ, უმმი ჰანს ისლამი არ ჰქონდა მიღებული, კარებზე რომ დააკაკუნა, შიგნიდან ხმა მოესმა: ***„ვინ ხარ?" „შენი ბიძაშვილი მუჰამმედი ვარ, სტუმრად მიმიღებ?"*** – უპასუხა შუამავალმა.

უმმი ჰანმა უთხრა: „სიცოცხლეს ვანაცვალებ შენისთანა სიმართლის მთქმელ, სანდო და ღირსეულ სტუმარს, მაგრამ მობრძანების შესახებ ადრე რომ გეცნობებინა, რაიმე საჭმელს მოვამზადებდი. ახლა საჭმელად არაფერი მაქვს" – დანანებით მიუგო უმმი ჰანმა.

ალლაჰის წმინდა შუამავალმა მიუგო: ***„ჭამა-სმა არ მინდა, მხოლოდ ღმერთზე რომ ვილოცო და შეევედრო ჩემთვისისიც საკმარისი იქნება საკმარისია.***

უმმი ჰანმა საყვარელი შუამავალი სახლში მიიპატიჟა, სალოცავი ჭილოფი, ვარცლი და ჩაიდანი მისცა. არაბებისთვის სტუმრის მტრისგან შეფარება და გამასპინძლება, ყველაზე ღირსეული ვალდებულება იყო. სახლში მიღებულ სტუმარს რომ ზიანი მოსვლოდა, ეს ოჯახს დიდ ლაქად დაემჩნეოდა. უმმი ჰანმა იფიქრა: „ამას, მექქაში ბევრი მტერი ჰყავს, უფრო მეტიც, მოკვლა უნდათ მისი. ღირსების დასაცავად მას დილამდე ვუდარაჯებ. მამის ხანჯალი აიღო და სახლის გარშემო სიარული დაიწყო".

ალლაჰის შუამავალი იმ დღეს ძალიან განაწყენებული იყო. აბდესის აღების შემდეგ, ღმერთს პატიება სთხოვა, ხალხის რწმენისთვის და ბედნიერებისთვის შეევედრა. ძალიან დაღლილი და მშიერი იყო, ამიტომ ჭილოფზე წამოწვა და ჩაეძინა.

ამ დროს უზენაესმა ალლაჰმა ჯებრაილ ანგელოზს უბრძანა: ***„საყვარელ შუამავლს ძალიან ვაწყენინე, ძვირფასი სხეული და სათუთი გული ვატკინე, ასეთ მდგომარეობაში მაინც მე მევედრება, ჩემს გარდა არაფერზე ფიქრობს, წადი და ჩემი საყვარელი მსახური აქ მომიყვანე! მე ვანუგეშებ, სათუთი გულის იარებს მე მოვუშუშებ. სამოთხე და ჯოჯოხეთი აჩვენე, დაინახოს მისთვის და იმ ადამიანებისთვის გამზადებული წყალობები, რომლებსაც ის ძალიან უყვართ. ამასთან ერთად, მათთვის, რომლებმაც მას სიტყვიერად, წერილობით, ქცევებით აწყენინეს და მისი არ დაიჯერეს, გამზადებული სატანჯველი აჩვენე.***

როცა ჯებრაილ ანგელოზი ალლაჰის შუამავლთან გამოცხადდა, შუამავალს მაშინ ისე ტკბილად ეძინა, რომ გასაღვიძებლად შეეცოდა. ჯებრაილ ანგელოზი მა ადამიანის ფორმაში გამოეცხადა. ფეხზე აკოცა, ცივმა ტუჩებმა წმინდა მუჰამმედი უცებ გამოაღვიძა, ჯებრაილი იცნო და მაშინვე ჰკითხა: ***„ჯებრაილ, ძმაო! ასე უდროოდ რატომ მოხვედი, რამე შეცდომა ხომ არ დავუშვი? ბატონ-პატრონი*** *(ალლაჰი)* ***გავანაწყენე? რაიმე მწარე ამბავი მომიტანე?“*** ეს კითხვები იმიტომ დაუსვა, რომ მას ალლაჰის განაწყენების ძლიერ ეშინოდა.

ანგელოზმა ჯებრაილმა წმინდა შუამავალს ასე მიმართა: „გაჩენილთაგან ყველაზე აღმატებულო! გამჩენის საყვარელო! სრულიად ყველა შუამავალთა ბატონო! სიკეთის ნაკადულო, უპირატესობათა წყაროვ, უდიდესო და ღირსეულო შუამავალო! ალლაჰი მოგიკითხავს და თავისთან გიბარებს. ადექი, წავიდეთ!“

ამის შემდეგ, საყვარელმა შუამავალმა აბდესი აიღო, ანგელოზმა ჯებრაილმა კი ალლაჰის შუამავალს თავზე სხივისგან გაკეთებული ჩალმა დააფარა, სხივის ტანსაცმელი ჩააცვა, წელზე ლალისგან დამზადებული ქამარი გაუკეთა, ხელში ოთხასი მარგალიტით მორთული არგანი მისცა, რომლის ყველა ნაწილი ცისკრის ვარ-

სკვლავივით ბრწყინავდა, ფეხზე მწვანე ზურმუხტის ფეხსაცმელი ჩააცვა და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ქააბაში მივიდნენ. აქ ანგელოზმა ჯებრაილმა მკერდი გაუჭრა, გული ამოუღო, ზემზემის წყლით გარეცხა, შემდეგ სიბრძნითა და რწმენით სავსე თასი მოიტანა, შიგნით ჩადო და მკერდი დაუხურა.

როცა ეს ყველაფერი მოათავა, ანგელოზმა ჯებრაილმა სამოთხიდან მოყვანილ თეთრ ცხენზე, სახელად ბურაქიზე მიუთითა და უთხრა: „ალლაჰის შუამავალო, ამაზედ შეჯექი!“ ყველა ანგელოზი შენს გზას ელოდება. ამ დროს, უცებ, წმინდა შუამავალის გულს დარდი შემოაწვა და ფიქრებს მიეცა. მაშინ უზენაესმა ალლაჰმა ანგელოზ ჯებრაილს უთხრა: „ჰკითხე ჩემ საყვარელ ადამიანს, რატომაა ასე მოწყენილი?“ როცა ანგელოზმა ჯებრაილმა მოწყენილობის მიზეზი ჰკითხა, წმინდა შაუამავალმა ასე უპასუხა: ***„მე ამდენი წყალობა და პატივი მომეცა. უცებ გამახსენდა, განკითხვის დღეს, ჩემი უძლური მიმდევრები მდგომარეობა როგორი იქნება? ორმოცდაათი ათასი წლის სავალ არასათის მოედანზე, ფეხით ამოდენა ცოდვები როგორ უნდა მიიტანონ და ოცდაათი ათასი წლის სავალი გზა - ბეწვის ხიდი როგორ უნდა გაიარონ?“***

ალლაჰმა აცნობა: „შენ არ მოიწყინო, დამშვიდდი, შენს მიმდევარს ორმოცდაათი ათას წელს ერთ წამად ვუქცევ“.

შემდეგ წმინდა შუამავალი ბურაქზე შეჯდა. ბურაქი იმდენად სწრაფად მიდიოდა, რომ ერთი ნაბიჯის გადადგმით, იმაზე უფრო შორს აღწევდა, ვიდრე თვალით მოსჩანდა. მოგზაურობის დროს, ორივემ ერთად, რამდენიმე ადგილას შეისვენეს და ლოცვა შეასრულეს. ქვეყნიერების ბატონი სულ სამჯერ შეჩერდა და ლოცვა შეასრულა. შემდეგ ანგელოზმა ჯებრაილმა ჰკითხა, იცოდა და თუ არა ის ადგილები, სადაც ლოცვა შეასრულეს. კითხვას ისევ ანგელოზმა ჯებრაილმა გასცა პასუხი: „მედინა იყო ადგილი, სადაც პირველად შევჩერდით“, და აცნობა, რომ ამ ქალაქში ემიგრაციაში წავიდოდა. მეორე ადგილი კი სინას მთა იყო, სადაც მუსა შუამავალი გაურკვევლი მიმართულებით და უცნობ ფორმაში უზენაეს ალლაჰს ესაუბრა. ხოლო ბოლოს, სადაც ლოცვა შეასრულეს, ეს იყო ისა შუამავლის დაბადების ადგილი, ბეითი ლაჰმი. ამის შემ-

დეგ კი ყუდუსში, მესჯიდი აქსაში მივიდნენ.

მესჯიდი აქსაში ჯებრაილ ანგელოზმა კლდე თითით გახვრიტა და ბურაქი დააბა. იქ, ზოგიერთი შუამავლის სულები ადამიანის ფორმაში შეკრებილიყვნენ, რათა ლოცვა ერთად შეესრულებინათ. წმინდა ადემს, ნუჰსა და იბრაჰიმს მორიგეობით ნამაზის იმამობა შეთავაზებული ჰქონდათ, მაგრამ არცერთი არ დათანხმდა იმამობაზე, თითოეულმა ბოდიში მოიხადა. მაშინ ჯებრაილ ანგელოზმა ალლაჰის შუამავალს უთხრა: „როცა შენ აქ ხარ, იმამი სხვა ვერ იქნება“ და იგი წინ დააყენა.

წმინდა მუჰამმედი შუამავლების წინ გავიდა და ორი მუხლი ნამაზი ალოცვა. ამის შემდეგ ამ ამბავს კაცობრიობის სიამაყე ასე გადმოგვცემს: „ჯებრაილ ანგელოზმა ერთი ჭურჭლით სამოთხის სასმელი, მეორე ჭურჭლით კი რძე მომიტანა. მე რძე ავიღე, მან მითხრა: „ბუნება აირჩიე შენ (ორი ქვეყნის ბედნიერება აირჩიე)“. შემდეგ ორი ჭიქა მომაწოდეს, ერთში წყალი, ხოლო მეორეში თაფლი იყო, ორივე დავლიე. ჯებრაილმა მითხრა: „თაფლი, შენი მიმდევრების წარღვნამდე არსებობას მიანიშნებს, ხოლო წყალი კი ცოდვებისგან გასუფთავების ნიშანია“. შემდეგ ერთად ცად ავმაღლდით. ჯებრაილ ანგელოზმა კარზე დააკაკუნა.შენ ვინა ხარო, – ჰკითხეს. „მე ჯებრაილი ვარ“ – უპასუხა მან. „კი მაგრამ გვერდით ვინ გახლავს?“ – „მუჰამმედია“ – „მას, ცაში ასვლისთვის, ან მირაჯში ამაღლებისთვის შეტყობინება მიუვიდა?“ – „დიახ, მიუვიდა“ „სალამი მობრძანებულ პიროვნებას!“ – მიესალმენ შუამავალს. „რა ლამაზია მოსული სტუმარი“ – თქვეს, შემდეგ კარი გაიხსნა და ადემ შუამავალი ვიხილე. მომესალმა და ჩემთვის შეევედრა.

იქ ბევრი ანგელოზი დავინახე. ყველა მორჩილებითა და მოკრძალებით ფეხზე იდგა. ჯებრაილს ვკითხე: „ეს არის ანგელოზების ალლაჰისთვის სამსახური?“

„დიახ, ეს ანგელოზები წარღვნამდე ასე იდგებიან ფეხზე და ალლაჰს ახსენებენ. ალლაჰის თხოვე, რომ ასეთი ღვთისმსახურება შენს მიმდევრებს ერგოთ წილად“. მეც ვთხოვე ალლაჰს და ისმინა, კიდეც, ჩემი ვედრება. ლოცვისას ფეხზე დგომა სწორედ აქედან არის შემორჩენილი.

იქიდან წავედით და ერთ სასწაულს გადავეყარეთ. ანგელოზები ადამიანებს თავებს უნაყავდნენ, ისინი კი ისევ ადრინდელ მდგომარეობას უბრუნდებოდნენ, რამდენსაც ურტყამდნენ, იგივე მეორდებოდა. ვიკითხე, ესენი ვინ არიან-მეთქი, ესენი, ჯუმისა და ერთობლივი ლოცვის მიმტოვებელნი და რუქუსა და სეჯდეს არასრულად გამკეთებელნი არიანო – მიპასუხეს.

ამის შემდეგ მშივრები და შიშვლები დავინახე. მტანჯველი ანგელოზები მათ საბალახოდ მირეკავდნენ. ვიკითხე, ესენი ვინ არიან-მეთქი – ეს ის ხალხია, ვინც გაჭირვებულს არ წყალობდა და ზექათს არ გასცემდაო, მიპასუხეს.

კიდევ ერთი ხალხის მდგომარეობას გავეცანით. მათ წინ გემრიელი საჭმელები ედგათ, ხოლო გვერდით კი მძორი ეგდო. მათ გემრიელი საჭმელები მიეტოვებინათ და მძორს ჭამდნენ. ვიკითხე მათი ვინაობა. ესენი ის ქალები და კაცები არიან, რომლებიც ალალს ერიდებოდენ და ჰარამს მიირთმევდნენ. მიუხედავდ იმისა, რომ ალალი ლუკმა ჰქონდათ და მაინც ჰარამით იყვნენ დაინტერესებულნი.

ზურგზე ტვირთით, სიმძიმისგან ძალაგამოლეული ადამიანები დავინახე. ასეთ მდგომარეობაში ხალხს ეძახოდნენ და ეუბნებოდნენ, რომ მათთვის კიდევ უფრო დაემატებინათ ტვირთი. ვიკითხე, ესენი ვინ არიან-მეთქი, ესენი ამანათის მოღალატე ხალხია, ადამიანებისგან რაც მათ ეკუთვნოდათ იღებდნენ და კიდევ შმაგობდნენო.

ერთ წყება ხალხს გავუარეთ, რომლებიც თავიანთ ხელებს იჭრიდნენ და იჭამდნენ. ესენი ვინ არიან-მეთქი – ვიკითხე. ესენი ჭორიკანა და სიტყვის მიმტან-მომტანნი არიანო-მიპასუხეს.

ადამიანთა ჯგუფს გავუარეთ, რომლებსაც სახეები შავი, თვალები ცისფერი ჰქონდათ, ზედა ტუჩები შუბლამდე სწვდებოდათ, ხოლო ქვედა ტუჩები კი ფეხებამდე ეთრეოდათ, პირიდან კი სისხლი და შხამი მოდიოდათ. ესენი რა ადამიანები არიან – მეთქი, ვიკითხე. ესენი ალკოჰოლის მომხმარებლები არიანო, მიპასუხეს.

ხალხის დიდ ნაწილს წავაწყდით, ადამიანებს ენები თავებზე გა-

დაკიდებული ჰქონდათ, ფორმა კი შეცვლილი, ღორებ დამსგავსებოდნენ და იტანჯებოდნენ. „ესენი ვინ არიან?“ – ვიკითხე. „ესენი ის ხალხია, ვინც ტყუილზე ემოწმებოდნენ“. – მიპასუხეს

კიდევ სხვა ხალხი დავინახე. ამათ გასიებული მუცლები ძირს დაჰკიდებოდათ, გალურჯებულები, ხელ-ფეხ გაკოჭილები ადგილიდან ვერ დგებოდნენ. ვკითხე ჯებრაილს მათი ვინაობა. ესენი პროცენტის მჭამელები, მევახშეები არიანო, ასეთი პასუხი გამცა მან.

ქალების ერთი ჯგუფი დავინახეთ, სახეზე გაშავებულები, თვალები ცისფერი ჰქონდათ, ანგელოზები მათ ცეცხლის კეტებს ურტყამდნენ, ისინი კი ძაღლებივითა და ღორებივით ღრიალებდნენ. ჯებრაილს ვკითხე:„ესენი ვინ არიან?“ ესენი მრუშობის ჩამდენი და ქმრების მოღალატენი არიანო, მომიგო მან.

ჯოჯოხეთის დაბლობში დამწყვდეული ხალხი დავინახე. ცეცხლი მათ წვავდა, ადრინდელი მდგომარეობა უბრუნდებოდათ და ისევ იწვოდნენ. ესენი ვინ არიან-მეთქი რომ ვიკითხე, ჯებრაილმა მიპასუხა, ესენი მამებს არ ემორჩილებოდნენო.

ერთი ჯგუფის ხალხს ჩავუარეთ, ისინი პურს თესავდნენ, რომელიც მაშინვე იკეთებდა თავთავს. ჯებრაილს მათი ვინაობა გამოვკითხე. მან მითხრა, ესენი უზენაეს ალლაჰს ვინც ემსახურებოდა, ის ხალხიაო.

ერთ ოკეანესთან მივაღწიეთ. ამ ოკეანის აღწერა შეუძლებელია. რძეზე უფრო თეთრი და მთებისხელა ტალღები ჰქონდა. როცა ვკითხე ჯებრაილს, რას წარმოადგენს ოკეანე-მეთქი, მითხრა, რომ ამ ოკეანის სახელი სიცოცხლის ზღვაა. როცა უზენაესი ალლაჰი მკვდრების გაცოცხლების დროს, ამ ოკეანეში გააწვიმებს, დამპალი, მიმობნეული სხეულები ბალახსავით საფლავებიდან აღმოცენდებიან.

ამის შემდეგ ზეცის მეორე სართულზე ავედით. ჯებრაილ ანგელოზმა ისევ კარებზე მიუკაკუნა. ხმა გაისმა: „ვინა ხარო?“ – „ჯებრაილი ვარ“. – მაგრამ გვერდით ვინ გახლავს?“ – „მუჰამმედი“ – „მას, ცაში ასვლისთვის, ან მირაჯში ამაღლებისთვის შეტყობინე-

ბა მიუვიდა?“ – „დიახ, მიუვიდა“ – მიუგო ჯებრაილ ანგელოზმა. სალამი მობრძანებულ პიროვნებას! ლამაზი მგზავრიაო, თქვეს. შემდეგ კარი გაიხსნა და უცებ ბიცოლას შვილების, ისასა და იაჰია ბინ ზექერიას გვერდით აღმოვჩნდით. ისინი მომესალმენ და ჩემთვის შეევედრნენ.

შემდეგ ანგელოზების ჯგუფი დავინახეთ. ისინი ერთ მწკრივად ქედმოხრილნი იდგნენ, მუდმივად წელმოხრილები, ვერასოდეს გასწორდებიან, ზევით ვერ აიხედავენ. მათთვის განკუთვნილი თესბიჰი ჰქოდათ და იმითი იყვნენ დაკავებულნი. ჯებრაილ ანგელოზმა მითხრა ამ ანგელოზების ღვთისმსახურება ასეთია, შეავედრე და შენს მიმდევარსაც იგივე ერგოს წილადო. შევავედრე, ალლაჰმა ისმინა ვედრება, და ლოცვის დროს წელში მოხრა გვიბრძანა.

ამის შემდეგ ცის მესამე სართულზე ავედით. ანალოგიური კითხვა-პასუხის შემდეგ, კარი გაიხსნა და წმინდა იუსუფის გვერდით აღმოვჩნდი. ის ძალიან გალამაზებულიყო. მომესალმა და ჩემთვის ვედრება აღავლინა.

უამრავი ანგელოზი დავინახე, სეჯდეზე იყვნენ ერთმწკვრივად განლაგებულნი, ისინი გაჩენის დღიდან მოყოლებული, ასეთ მდგომარეობაში მათთვის განკუთვნილი თესბიჰით ალლაჰს ქებადიდებით ახსენებენ. ჯებრაილ ანგელოზმა მითხრა, ამ ანგელოზების ღვთისმსახურება ასეთია, შეავედრე და შენს მიმდევრებს შეუმსუბუქდებათ ეს მსახურებაო. შეევედრე, ალლაჰმა ისმინა და ლოცვისას სეჯდე გვხვდა წილად.

შემდეგ კი ზეცის მეოთხე სართულამდე მივაღწიეთ. კარი სუფთა ვერცხლისგან ჰქონდა გაკეთებული, სხივისებური საკეტით იყო ჩაკეტილი, საკეტზე ასეთი წარწერა ჰქონდა: „ლა ილაჰე ილლალლაჰ მუჰამმედუნ რესულულლაჰ” (არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა, ხოლო მუჰამმედი მისი მსახური და შუამავალია). როგორც ადრე, ახლაც მსგავსი კითხვა-პასუხის შემდეგ კარი გაიხსნა და წმინდა იდრისის გვერდით აღმოვჩნდი. იგი მომესალმა და ჩემთვის შეევედრა. უზენაესი ალლაჰი, მის შესახებ, წმინდა ყურანში, ასე ბრძანებს: ***„და ავამაღლეთ იგი, უმაღლეს ადგილზე.“***[1]

1. სურა მერიემი: 57.

ერთი ანგელოზი დავინახე, რომელიც მაღალ ადგილზე მოწყენილი და დარდიანი იჯდა. მის ირგვლივ იმდენი ანგელოზი იყო, რომ მათი რიცხვი მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰმა იცის. მარჯვნივ გასხივოსნებული ანგელოზები ისხდნენ, მწვანეებში ჩაცმულები, სასიამოვნო სურნელებას აფრქვევდნენ და თვალწარმტაცი სილამაზისანი იყვნენ, ხოლო მარცხნივ მყოფი ანგელოზები პირიდან ცეცხლს აფრქვევდნენ, წინ ცეცხლის მათრახი და შუბი ჰქონდათ, ისეთი თვალებით იყურებოდნენ, რომ შეხედვასაც კი ვერ გაბედავდი. ტახტზე მჯდომ ანგელოზს კი დიდრონი თვალები ჰქონდა და გამუდმებით მის წინ წიგნაკში უყურებდა, ერთ წამსაც კი არ აშორებდა თვალს. მის წინ ერთი ხე იდგა, ხის თითოეულ ფოთოლზე, სახელები ეწერა. წინ ვარცლის მსგავსი, რაღაც ედგა. ზოგჯერ მარჯვენა ხელით ვარცლიდა რაღაცას ამოიღებდა და მარჯვენა კუთხეს გასხივოსნებულ ანგელოზებს გაუწოდებდა, ზოგჯერ კი მარცხენა ხელით ვარცლიდან რაღაცას ამოიღებდა და მარცხენა კუთხეში შავბნელ ანგელოზებს გაუწოდებდა. ამ ანგელოზს რომ შევხედე, შიშმა შემიპყრო. შემდეგ ჯებრაილ ანგელოზს ვკითხე, ეს ანგელოზი ვინ არის-მეთქი, მან მითხრა: „ეს აზრაილ ანგელოზია, მასზე შეხედვას ვერავინ ბედავს“. შემდეგ ჯებრაილი მასთან ახლოს მივიდა და უთხრა: „ეს ბოლო დროის შუამავალი, წმინდა მუჰამმედია. იგი უზენაესი ალლაჰის საყვარელი შუამავალია“. შემდეგ აზრაილ ანგელოზმა თავი ასწია, გამიღიმა, წამოდგა, მომესალმა და განმადიდა: „ჭეშმარიტად, ალლაჰს, შენზე უფრო ღირსეული, არავინ გაუჩენია, ხოლო შენი მიმდევრები, სხვა ყველა მიმდევარზე, უპირატესნი არიან.“ მას ვთხოვე, ჩემი თანამიმდევრები უძლურები, სუსტები არიან, მათ კეთილად მოექეცი, სულები ადვილად ჩაიბარე-მეთქი. „შენ ბოლო შუამავლად გამგზავნი უზენაესი ალლაჰი, რომელიც თავის საყვარელ შუამავლად გცნობს. დღე და ღამ, სამოცდაათჯერ მავალებს მუჰამმედის მიმდევრების სული ადვილად ჩაიბარეო. მათი საქმეები სიკეთით განიხილეო. ამიტომ შენ მიმდევრებს, მათ მშობლებზე უფრო მოწყალედ ვეპყრობი“.

შემდეგ ზეცის მეხუთე სართულზე ავედით, იქ წმინდა ჰარუნს შევხვდი, ისიც მომესალმა და ჩემთვის ვედრება აღავლინა.

მეხუთე სართულზე ანგელოზების ღვთისმსახურება ვნახე, ყველანი ფეხზე იდგნენ, თვალებით მხოლოდ ფეხებს შესცქეროდნენ, სხვაგან ვერსად გაიხედავდნენ და მათთვის განკუთვნილ თესბიჰს ხმამაღლა წარმოსთქვამდნენ. ჯებრაილ ანგელოზმა მითხრა, ამ ანგელოზების ღვთისმსახურება ასეთია, შეევედრე და შენ თანამიმდევრებსაც ერგებათ წილადო. შეევევედრე და უზენაესმა ალლაჰმა ისმინა.

შემდეგ ცის მეექვსე სართულზე ავედით, იქ წმინდა მუსა შუამავალს შევხვდით. მომესალმა და ჩემთვის სიკეთით სავსე ვედრება აღავლინა. ამის შემდეგ მეშვიდე სართულამდე ავმაღლდით. იგივე კითხვა-პასუხის შემდეგ, კარი გაიხსნა და დავინახეთ წმინდა იბრაჰიმი ბეითილ მე'მურთან იჯდა. ბეითილ მე'მური ის ადგილია, სადაც ერთ დღეში სამოცდაათი ათასი ანგელოზი ადის. იგივე ანგელოზებს ხელმეორედ იქ ასვლის რიგი აღარ უწევთ. მივესალმე წმინდა იბრაჰიმს, მან სალმითვე მიპასუხა და თავისთან მიმიწვია, შემდეგ მითხრა: „ღვთისმოშიშის შვილო, ღვთისმოსავო შუამავალო! მუჰამმედ! სამოთხე სასიამოვნო ადგილია და მიწა უბიწო. შენს მიმდევრებს უთხარი, რომ იქ ბევრი ხე დარგონ". ვკითხე: „იქ ხე როგორ უნდა დაირგოს?" მან მიპასუხა: „ლა ჰევლე ველა ყუვვეთე ილლა ბილლაჰ (სხვა გადმოცემით კი – სუბჰანელლაჰი ველჰამდულილლაჰი ველა ილაჰე ილლელლაჰუ ველლაჰუ ექბერ). ხშირად წარმოთქმით, ალლაჰის ქება-დიდებით შესაძლებელია იქ ხის დარგვა" – მიპასუხა ანგელოზმა. ამის შემდეგ ჯებრაილ ანგელოზმა სიდრეთულ მუნთეჰასთან (მეშვიდე ცაზე ცოდნის ხე) მიმიყვანა. მისი ფოთლები სპილოს ყურების, ხოლო ნაყოფი კი კოშკის მსგავსი იყო.. როცა ის უზენაესი ალლაჰისგან ბრძანებას მიიღებდა, იმდენად ლამაზდებოდა და იცვლებოდა, რომ ალლაჰის გაჩენილ არსებათაგან ვერავინ შეძლებს მისი სილამაზის აღწერას.

ჯებრაილ ანგელოზმა სიდრეთულ მუნთეჰას იქეთ გამაცილა და დამემშვიდობა. როცა ვუთხარი, ჯებრაილ! მე მარტოდ მტოვებ აქ -მეთქი, ის შეწუხდა უზენაესი ალლაჰის შიშით კანკალი დაიწყო და მითხრა: „მუჰამმედ! ამის იქით ერთი ნაბიჯიც რომ გადავდგა, უზენაესი ალლაჰის ბრწყინვალებისგან გავნადგურდები. მთელი

სხეული დამეწვება, მოვისპობი. ქვეყნიერების ბატონი აქამდე ჯებრაილ ანგელოზთან ერთად მოსულიყო. შემდეგ კი ჯებრაილ ანგელოზმა თავისი ქმნილებითი ფორმით დაენახვა შუამავალს. მას ექვსასი ფრთა გაეშალა, თითოეული ფრთა მარგალიტსა და ლალს აფრქვევდა. შემდეგ მზეზე უფრო მბრწყინავი სამოთხის ხალიჩა მოვიდა, რომელსაც სახელად რეფრეფი ერქვა. გამუდმებით ალლაჰს ახსნებდა და ადიდებდა. სამყაროში, სადაც ის იმყოფებოდა, სულ ალლაჰის დიდების ხმა გაისმოდა.

წმინდა შუამავალს მიესალმა. შემდეგ ამ ხალიჩაზე შეჯდა და უმალვე მაღლა ზევით ამაღლდნენ. ჰიჯაბად წოდებულ სამოცდაათი ფარდიდან გაიარეს, თითოეულ ფარდას შორის ძალაინ დიდი მანძილი იყო, თითეულ ფარდასთან მოსამსახურე ანგელოზები იდგნენ. ხალიჩამ (რეფრეფმა) ყოველ ფარდიდან გაატარა ქურსი, არში (ემპირეა) და სულების სამყარო გაიარეს.

ალლაჰის საყვარლ, ძვირფას მუჰამმედ შუამავალს ყოველ ფარდასთან მიახლოების დროს ასეთი ბრძანების ხმები ესმოდა: მიუახლოვდი, მიუახლოვდი, მუჰამმედ! ბოლოს იმდენად მიუახლოვდა ***ქაბე-ყავსეინთან,*** უცნობ, გაურკვეველ და აუხსნელ ფორმაში, უზენაესი ალლაჰის სასურველ ადგილამდე მიაღწია. ადგილის, დროის, მხარისა და თვისების განუსაზღვრელად, უზენაესი ალლაჰი დაინახა. თვალის, ყურის, გარემოს უშუალოდ ალლაჰს ესაუბრა. იგი იქ გაჩენილ არსებათაგან წარმოუდგენელ წყალობას ეწვია.

ძვირფასი იმამი – რაბბანი თავის ნაწარმოებში ***მექთუბათში*** მოგვითხრობს, რომ სამყაროს ბელადს მირაჯის (ცად ამაღლება) ღამემდე სამყაროს ბატონ პატრონი ამქვეყნად არ უნახავს, იმქვეყნად დაინახა. ვინაიდან იმ ღამეს, ალლაჰის შუამავალმა დროსა და გარემოს გასცდა. უსასრულობა და მარადისობა წამიერად ნახა. დასაწყისი და დასარული ერთ წერტილად დაინახა. ათასი წლის შემდეგ სამოთხეში წამსვლელები, სამოთხეში წასვლის სურათი და მათი იქაური ყოფა იმ ღამეს დაინახა. მაგრამ ასეთი თანამიმდევრობით ნახვა, ამქვენად ნახვას არა ჰგავს, მან იქ, იმქვეყნიური თვალით ნახა.

როდესაც ალლაჰის შუამავალს სამყაროს ბატონ-პატრონის ქება-დიდება ებრძანა, მან ასე წარმოსთქვა: ***„ეთთეჰიიათუ ლილ-ლაჰი ვესსელევათუ ვეტტეიიბათუ“*** (ანუ ყველა ენაზე აღვლენილი ქება-დიდება, სხეულით გამოხატული მსახურება, მორჩილება, ქონებით გამოხატული სიკეთე და წყალობანი, ყველა ალლაჰს ეკუთვნის. უპირველესად უზენაესმა ალლაჰმა თავის საყვარელს (ჰაბიბს) ადილის, დროის, მხარისა და თვისების განუსაზღვრელად ასე მიესალმა: ესსელამუ ალეიქე ეიიუჰენნებიუ ვე რაჰმეთულ-ლაჰი ვე ბერექათუჰუ (ეი, ჩემო შუამავალო! მშვიდობა, ბარაქა და წყალობა შენ). წმინდა შუამავლმა კი ასეთნაირად უპასუხა სალამს: ***„ესსელამუ ალეინა ვე ალაა იბადილლაჰისსალიჰინ.“*** (ეი, სამყაროს ბატონ-პატრონო! მშვიდობა ჩვენ და სრულიად ღვთისმოსავ მსახურებს. ამის გამგონე ანგელოზებმა ყველამ ერთხმად წარმოსთქვეს: ეშჰედუ ენ ლა ილაჰე ილლალლაჰ, ვე ეშჰედუ ენნე მუჰამმედუნ აბდუჰუ ვე რესულუჰუ (მოწმე ვარ, მწამს, რომ არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, მუჰამმედი მისი მსახური და შუამავალია).

როცა წმინდა მუჰამმედ შუამავალმა ***ესსალამუ ალეინა*** წარმოსთქვა, უზენაესმა ალლაჰმა ჰკითხა: ეი, ჩემო საყვარელო შუამავალო! აქ ჩვენს გარდა არავინ არ არის. რატომ ალეინა (ჩვენზე) თქვი? წმინდა მუჰამმედ შუამავალმა ასე უპასუხა: ***ო ღმერთო! მართალია, ჩემს მიმდევართა სხეულები აქ არ არის, მაგრამ მათი სულები თან მახლავს... მე მომესალმე, მე ყოველგვარ სიავესა და ბოროტებისგან განმაშორე, ბოლო დროის შფოთვასა და ინტრიგას გამოვლილი, საწყალი და მწუხარე მიმდევარი ამ უდიდესი პატივისა და წყალობისგან როგორ განვარიდო. ასეთი უდიდესი სიკეთე მათ როგორ არ ვარგუნო წილად.***

უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა: ეი, ჩემო საყვარელო შუამავალო! ამეღამ ჩემი სტუმარი ხარ, ითხოვე ჩემგან რაც გსურს? ალლაჰის საყვარელმა შუამავლმა მიუგო: მე მხოლოდ ***მიმდევარს გთხოვ,*** სამყაროს ბატონ პატრონო!

გადმოცემის მიხედვით, ასეთი სახით, უზენაესმა ალლაჰმა ერთი და იგივე კითხვა შვიდასჯერ გაუმეორა. წმინდა შუამავალ-

მა კი ყველა კითხვაზე ***მიმდევარი ითხოვა***. უზენაესმა ალლაჰმა, როცა ჰკითხა "სულ მიმდევარს ითხოვო", მან მიუგო: ***ჩემო ბატონ-პატრონო! მე გთხოვე, მომცემი შენ ხარ, გთხოვ ყველა მიმდევარი მაჩუქო.*** ჭეშმარიტმა ალლაჰმა უპასუხა: ამეღამ შენ, ყველა მიმდევარი რომ გაჩუქო, ჩემი წყალობა და შენი ღირსება აღარ გამოჩნდება. ნაწილს ამეღამ გაჩუქებ, მეორე ნაწილი კი სხვა დროისთვის გადავდე, რათა განკითხვის დღეს, მათთვის შენ ისურვო, მე კი ვაპატიო, ვინაიდან ჩემი მოწყალება და შენი ღირსება აშკარა იყოს.

საყვარელი შუამავლი ერთ-ერთ წმინდა ჰადისში ბრძანებს, რომ: ***იმ ღამეს*** *(მირაჯის ღამეს)* ***უზენაესი ალლაჰისგან ვითხოვე, რომ სრულიად ჩემს მიმდევართა ვალდებულები ეჩუქებინა. მაგრამ ჭეშმარიტმა ალლაჰმა მიპასუხა:*** ეი, მუჰამმედ! ამის მიზანი ის არის. რომ არავინ, არავის მიმდევრის დანაშაულით ინფორმილებული არ იყოს. მე მსურს, რომ როგორც სხვა მიმდევრების, ასევე შენი მიმდევრების დანაშაულები და ბინძური საქმეები დაფარული იყოს. ეი, მუჰამმედ! შენ, მათი სწორი გზის მაჩვენებილი, მე კი მათი ბატონ-პატრონი ვარ. შენ ისინი ახლა დაინახე, მე კი მათ დასაწყისიდან ვხედავ და მარადიულად ვმეთვალყურეობ. ეი, მუჰამმედ! მე, შენს მიმდევართან ურთიერთსაუბარი რომ არ მყვარებოდა, განკითხვის დღეს მათ ანგარიშს არ მოვთხოვდი, არც დიდ და არც პატარა ცოდვებს არ მოვკითხავდი.

უზენესმა ალლაჰმა ბრძანა, რომ: ეი, მუჰამმედ! თვალები აახილე და ფეხის ქვეშ დაიხედე. ***დავიხედე და ერთი მუჭა მიწა დავინახე. ჭეშმარიტმა ალლაჰმა ბრძანა:*** რაც რამ არსებულია, ყველა შენი ფეხის მტვერია. მეგობრის წინაშე მხოლოდ ერთი მუჭა მიწით წარსდექი? ჩემთვის მეგობარის კალთაზე მიცხობილი მტვერის განწმენდაზე უფრო ადვილი, შენი მიმდევრების პატიებაა.

საყვარელი შუამავლი წმინდა ხადისში გადმოგცვემს: ***ჭეშმარიტ ალლაჰს უამრავი შეკითხვა დავუსვი. პასუხი მოვისმინე. ვინანე, ნეტავ არ მეკითხა, ვთქვი. ამათგან ესენია: ეი, ბატონ-პატრონო! ჯეზრაილს ექვსასი ფრთა უბოძე. ამის სანაცვლოდ ჩემს მიმართ, წყალობა რა არის? ჭეშმარიტმა ალლაჰმა ბრძანა, რომ:*** „შენი ერთი ბალანი, ჩემთვის ჯეზრაილის ექვსას ფრთაზე უფრო საყვარელია.

განკითხვის დღეს შენი ერთი ბალანის გულისთვის, ათასობით ურჩ ცოდვილს გავათავისუფლებ. ეი, მუჰამმედ! ჯებრაილმა ფრთები რომ გაშალოს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს დაფარავს. შენ თუ დაეხმარები, აღმოსავლეთ-დასავლეთ შორის ურჩი ცოდვილები რომ იყოს სავსე, ყველას შენ გაჩუქებ“. მამის, წმინდა ადემის წინაშე ანგელოზებს სეჯდე გააკეთებინე. ***ამის სანაცვლოდ ჩემს მიმართ სხვა პატივი რა არის? ჭეშმარიტმა ალლაჰმა ბრძანა, რომ:*** ანგელოზების მიერ წმინდა ადემის წინაშე სეჯდეს გაკეთების მიზეზი, მის შუბლზე მბრწყინავი შენი სხივი იყო. ეი, მუჰამმედ! შენ მასზე უფრო ძვირფასი რამ გიბოძე. შენი სახელი ჩემს სახელთან ახლოს დავაყენე და ემპირეაში ცის უმაღლეს ადგილას დავწერე. მაშინ ადემი გაჩენილი არ იყო. მისი სახელი და ნიშანიც კი არ არსებობდა. ცის კარის ფარდებზე, სამოთხის კარებზე, სასახლეებსა და ხეებზე, სამოთხის ყველა კუთხეში დავწერე. სამოთხეში არ არსებობს ადგილი, სადაც “ლა ილაჰე ილლალლაჰ მუჰამმედუნ რესულულლაჰ” არ ეწეროს. ეს წოდება, წმინდა ადემზე ბოძებულ წოდებაზე, უფრო მაღლა დგას.

„ეი, ბატონ-პატრონო! წმინდა ნუჰს გემი უბოძე. ამის სანაცვლოდ მე რა სიკეთე მარგუნე?“ მან ბრძანა, რომ: შენ ისეთი ბურაქი (ცხენი) გარგუნე, რომელმაც ერთ ღამეში დედამიწიდან ცის უმაღლეს ადგილამდე მოგიყვანა. სამოთხე და ჯოჯოხეთი დაინახე. შენს მიმდევრებს მეჩეთები ვუბოძე, განკითხვის დღეს იმ მეჩეთებში დაჯდებიან, ბეწვის ხიდს თვალის დახამხამებაში გაივლიან და ჯოჯოხეთისგან გადარჩებიან.

„ეი, ბატონ-პატრონო! ისრაელის შვილებს მანანა *(ტკბილი და ნოყიერი საჭმელი, რომელიც ისრაელებს ზეციდან უცვიოდათ მათი უდაბნოში მოგზაურობისას)* ***და მტრედის მსგავსი ჩიტის ხორცი უბოძე. ჩვენ რითი დაგვეხმარები?“ ჭეშმარიტ ალლაჰმა ბრძანა:*** შენ და შენს მიმდევრებს ამქვეყნიური და საიქიო სიკეთე ვუბოძე. ისრაელისშვილებს ადამიანის სახეები დათვის, მაიმუნისა და ღორის სახეებით შევუცვალე. შენს მიმდევართაგან არცერთზე მსგავსი არ გამიკეთებია. შენმა მიმდევრებმა მათი ნამოქმედარის მსგავსად რომ მოიქცნენ, ასეთ უბედურებას მათ შესაფერისად არ მივიჩნევ. ეი, მუჰამმედ! შენ ისეთი სურე გიბოძე, რომლის მსგავსი

სურე თორასა და ბიბლიაში არ არის. ეს ფათიჰას სურეა. ვინც ამ სურეს იკითხავს, მისი სხეული ჯოჯოხეთისთვის ჰარამი იქნება, მის მშობლებს სასჯელს შევუმსუბუქებ. ეი, მუჰამმედ! მე შენზე უფრო უპირატესი და ღირსეული არსება არ გამიჩენია. შენ და შენს მიმდევრებს დღე-ღამეში ორმოცდათორმეტი დროის ლოცვა დავავალე. ვინც ჩემს ერთობას დაიჯერებს სამოთხე მათი იქნება. ასეთი მიმდევარისათვის ჯოჯოხეთი ჰარამია. შენი მიმდევრის მიმართ წყალობამ სიმკაცრეს გასცდა.

ეი, მუჰამმედ! ჩემთვის ყველა ადამიანზე უფრო კეთილშობილი და ღირსეული ხარ. განკითხვის დღეს შენ იმდენ სიკეთეს გიბოძებ, რომ მთელ სამყაროს გააოცებს. ეი, ჩემო საყვარელო შუამავალო! სანამ სამოთხეში, შენ არ შეხვალ, მანამდე ყველა შუამავალისა და მისი მიმდევარის შესვლა აკრძალულია. სანამ შენი მიმდევარი არ შევა, მანამდე სხვები ვერ შევლენ. ეი, მუჰამმედ! გინდა ნახო რა მაქვს გამზადებულ შენი და შენი მიმდევრისთვის? – უთხრა ალლაჰმა მუჰამმედს. მინდა ვნახო, ჩემო ბატონ-პატრონო! – მიუგო შუამავალმა. ისრაფილს მიმართა: – ეი, ისრაფილ! ჯებრაილს უთხარი, ჩემი საყვარელი მსახური, სამოთხეში წაიყვანოს, აჩვენოს, რაც მისთვის და მისი მიმდევრისთვის არის გამზადებული, რათა ძვირფასი შუამავალი მოუსვენრობისგან განთავისუფლდეს.

ქვეყნიერების ბატონი საყვარელი შუამავალი, ისრაფილ ანგელოზთან ერთად, ჯებრაილ ანგელოზთან მივიდა. ისრაფილ ანგელოზმა, უზენაესი ალლაჰის ბრძანების შესასრულებლად, საყვარელი შუამავალი სამოთხეში წაიყვანა. მათ სხივით სავსე თეფშებით ანგელოზები ელოდებოდნენ. ჯებრაილ ანგელოზმა შუამავალს უთხრა: ო, ალლაჰის შუამავალო! ესენი წმინდა ადემამდე ოთხმოცი ათასი წლის წინ იქნენ გაჩენილი. მოუთმენლად ელოდებიან იმ დღეს, როცა ამ თეფშზე არსებულს შენ და შენს მიმდევრებს მიასხურებენ. განკითხვის დღეს შენი სიწმინდე და მიმდევრები, როცა სამოთხის კარის ზღურბლს ფეხს შემოდგამენ, ეს ანგელოზები თეფშით სავსე ამ თვალმარგალიტებს თქვენს თავზედ გადაგაყრიან. იქ მათ სამოთხის ანგელოზი რიდვანი შეეგება. საყვარელ შუამავალს სასიხარულო ამბები აუწყა და უთხრა. ჭეშმარიტმა ალლაჰმა სამოთხე სამ ნაწილად გაყო, მათგან ორი შენს მიმდევრებს,

ხოლო ერთი ნაწილი კი სხვა დანარჩენ შუამავალთა მიმდევრებს გამოუყო. ამის შემდეგ სამოთხის ყველა კუთხე შემოატარა.

საყვარელი შუამავალი ბრძანებს: ***სამოთხის შუაგულში მდინრე დავინახე, რომელიც ცის უმაღლესი ადგილიდან იღებს სათავეს. ერთ ადგილას წყალი, რძე, სასიამოვნო დასალევი და თაფლი მოედინებოდა. ისინი არავითარ შემთხვევაში ერთმანეთში არ ირეოდა. მდინარის ნაპირები ქრიზოლოთისგან შედგებოდა, შიგნით კი თვალმარგალიტის ქვები, კეთილსურნელი თიხისა და ზაფრანის ბალახები იყო სავსე. გარშემო ვერცხლის ჭიქები დაეწყოთ, მისი რიცხვი ზეცაში არსებულ ვარსკვლავზე უფო მეტი იყო. ირგვლივ ჩიტები დაფინავდნენ, რომლთა კისრები აქლემის კისრებს ჰგავდა. ვინც იმ ჩიტების ხორცს მიირთმევს და მდინარიდან დალევს, ჭეშმარიტი ალლაჰის კმაყოფილებას დაიმსახურებს. ჯებრაილს ვკითხე:*** ეს რომელი მდინერეა მეთქი? ***მან ასე მიპასუხა:*** ეს ქევსერია, რომელიც ჭეშმარიტმა ალლაჰმა შენ გიბოძაო. რვა სამოთხის ბაღში ყველგან ეს მიდნარე მიედინება. ***იმ მდინარის ნაპირას კარვები დავინახე, სულ ყველა მარგალიტითა და ლალით იყო მორთული. ჯებრაილს ვკითხე კარვების შესახებ.*** – ეს შენი მეუღლეების სახლებიაო, მიპასუხა. ***შემდეგ კარავებში სამოთხის ქალწულები დავინახე. სახეები მზესავით უბრწყინავდათ და ყველანი დაბალ და ლამაზ ხმაზე ხოტბებს კითხულობდნენ, ასე ამბობდნენ:*** ჩვენ ბედნიერი და მხიარულები ვართ, ჩვენ არასდროს დავმწუხრდებით, ჩვენ მორთულ-მოკაზმული ვართ და არასდროს ვიქნებით შიშვლები. ჩვენ ახალგაზრდები ვართ და არასოდეს დავბერდებით. ჩვენ კარგი ხასიათისანი ვართ და არასოდეს გავბრაზდებით. ჩვენ სულ ასე ვიქნებით, არასოდეს მოვკვდებით. ***მათი ლამაზი ხოტბების ხმა ბედნიერების კოშკებს და ხეებს სწვდებოდა. იმდენად ლამაზი და ტკბილი ხმა ისმოდა, რომ ის ხოტბები ამქვეყნად რომ მოსულიყო, სიკვდილი და მწუხარება არ იქნებოდა. ჯებრაილმა მკითხა:*** – გინდა ამათი სახეები ნახო? ***მინდა მეთქი, ვუპასუხე. შემდეგ, როცა ერთ-ერთი კარავის კარი გააღო და შევიხედე, იმდენად ლამაზი სახეები დავინახე, მინდა, რომ მთელი სიცოცხლე მათი სილამაზის შესახებ ვილაპარაკო. სახეები რძეზე უფრო თეთრი, ლოყები ლალზე უფრო წითელი და ვერცხლზე უფრო მბრწყინავი ჰქონდათ. კანი აბრეშუმზე უფრი რბილი და მთვარეს-***

ავით მნათობი, სურნელება მუშკზე უფრო სასიამოვნო. თმები საკმაოდ შავი, ზოგს დაწნული, ზოგს შეკრული, ზოგს კიდე გაშლილი ჰქონდა. დაჯდომისას ირგვლივ კარავივით აქვთ, ფეხზე რომ ადგებიან, ფეხებამდე სწვდებათ. თითოეულს წინ მსახური ჰყავდა. ესენი ყველა შენი მიმდევარისთვის არიან გაჩენილიო, მითხრა ჯებრაილმა.

საყვარელი მუჰამმედ შუამავალი ბრძანებს: ***რვა სამოთხის ბალვენახი და ყოველგვარი წყალობანი დავინახე. შემდეგ ჯოჯოხეთის სახეობების ნახვა გამახსენდა. ჯებრაილმა ხელი მომკიდა, ჯოჯოხეთის ანგელოზ მალიქთან მიმიყვანა და უთხრა:*** ეი, მალიქ! ალლაჰის წმინდა შუამავალს ჯოჯოხეთში თავისი მტრების სამყოფელი ადგილების ნახვა ნებავს (მას ჯოჯოხეთი აჩვენე). ***მალიქმა ჯოჯოხეთის შვიდი სართული გახსნა და შვიდივე დავინახე. მეშვიდე ფენას ჰავიე ჰქვია. იქ ტანჯვა-წამება, სხვა ფენებისგან განსხვავებით, ძალიან ძლიერი იყო. მალიქს ვკითხე: ამ ფენაში რომელი ადამიანის ჯგუფი დაისჯება მეთქი. აქ ფარაონი, ქარუნი და შენს მიმდევართაგან ფარისევლები დაისჯებიანო, გადმომცა. მეექვსე ფენა ლაზიეა. იქ წარმართები*** (*ურწმუნოები*) ***დაისჯებიან. მეხუთე ფენა კი ხუთამეა, იქ ცეცხლთაყვანისმცემლები, ხარზე თაყვანისმცემლები და ბუდისტები დაისჯებიან. მეოთხე ფენა - ჯაჰიმია, იქ კი, მზეზე და ვარკვლავებზე თაყვანისმცემლები დაისჯებიან. მესამე სართული სექერია, იქ ქრისტიანები დაისჯებიან. მეორე ფენას საირე ჰქვია, იქ ებრაელები დაისჯებიან. პირველი ფენა კი ჯოჯოხეთია, იქაური ტანჯვა, სხვებისგან განსხვავებით მსუბუქია. იქ ცეხლის სამოცდაათი ათასი ოკეანე დავინახე. თითოეული ოკეანე იმდენად დიდი იყო, რომ ცა და დედამიწა ერთად რომ ჩააგდო შიგნით, შემდეგ კი ანგელოზს მისი ნახვა უბრძანო, ათასი წელი რომ ეძებოს, ვერ შეძლებს ნახვას. ზებანები*** (*ჯოჯოხეთის მსახური ანგელოზები*) ***იმდენად დიდები იყვნენ, რომ ცა და დედამიწა პირის ერთ კუთხეს რომ დადო, არცკი დაემჩნეოდათ. ოკეანის ტალღები საშინელ ხმას გამოსცემდა. მისი ხმისგან ამქვეყნად სულ უმცირესიც რომ გაეგონათ, ყველა ცოცხალი არსება განადგურდებოდა. ვიკითხე ეს ფენა რომელი ჯგუფის ხალხს ეკუთვნის მეთქი, მალიქმა არ მიპასუხა, ხელმეორედ ვკითხე, ისევ გაჩუმდა...***

ჯებრაილმა მალიქს უთხრა: - შუამავალი შენგან პასუხს ელოდებაო. მან ბოდიში მოიხადა და პატიება ითხოვა. მე ვუთხარი: მიპასუხე, რაც არუნდა იყოს მეთქი. მალიქმა მოკრძალებით მიპასუხა: ეი, ალლაჰის შუამავალო! შენს ურჩ მიმდევრისთვის არის გნკუთვნილიო. მათ რჩევა-დარიგება მიეცი, რათა ამ საშინელი ადგილისგან თავი იხსნან. სხეულები, ასეთი სასჯელისაგან, მოარიდონ. განკითხვის დღეს მე ურჩებს არ შევიწყალებ, არც თეთრწვერა მოხუცების და ახალგაზრდების მიმართ გამოვიჩენ გულისხმიერებს.

ქვეყნიერების ბატონმა ტირილი დაიწყო. დალოცვილი თავიდან ჩალმა მოიხსნა, დახმარებისთვის უზენაეს ალლაჰს ხვეწნა-მუდარა დაუწყო. ევედრებოდა: ჩემი მიმდევარი უძლურები, სუსტები არიან, ასეთ ტანჯვა-წვალებას ვერ გაუძლებენო. იმდენი ეხვეწა და ემუდარა, რომ ჯებრაილ ანგელოზი და იქ მყოფი ყველა ანგელოზი ერთად ატირდა. შემდეგ უზენაესი ალლაჰისგან ასეთი პირობა მიიღო: ***ეი, ჩემო საყვარელო შუამავალო! შენი პატივის ფასი, ჩემს წინაშე, ძალაინ დიდია. ვისმინე შენი ვედრება. მიღებულია შენი სურვილი. შენ არ იდარდო, თავისუფლად იყავი! შენ ისეთ სამსახურს მოგცემ, რომ უამრავ ურჩს, სანამ საკმარისიაო არ იტყვი, შენი სურვილით ვაპატიებ. ეი, ჩემო საყვარელო შუამავალო! ვინც ჩემს ბრძანებას შეასრულებს, დასჯისა და ტანჯვისაგან გადარჩება, ჩემს წყალობას დაიმსახურებს, სამოთხისა და ჩემი ნახვის ღირსებით ამაღლდება. შენთვის და შენი მიმდევრისათვის დღე-ღამეში ორმოცდაათი დროის ლოცვა მიბრძანებია.***

საყვარელი შუამავალი განაგრძობს: ***იქიდან ცის უმაღლეს ადგილას, ემპირეას მივაღწიე. ცის ფენები გავიარე და მუსა შუამავალთან მივედი. მან მკითხა: ჭეშმარიტმა ალლაჰმა შენ და შენს უმმეთს რისი გაკეთება გიბრძანათ?*** – ყოველ დღე-ღამეში ორმოცდაათი ნამაზის ლოცვა გვიბრძანა მეთქი, ვუპასუხე. – უკან დაბრუნდი და ალლაჰს შემსუბუქება თხოვე. ვინაიდან ამდენ ნამაზს შენი უმმეთი ვერ შეასრულებს. მე იუდეველები გამოვცადე და შევამოწმე – მითხრა მუსა შუამავალმა. ამის შემდეგ დავბრუნდი ცისა და მიწის ბატონ-პატრონთან, მივედი, ვუთხარი: ***ღმერთო ჩემო, ეს ბრძანება შეუმსუბუქე ჩემს უმმეთს მეთქი.*** ამის გამო მან მხოლოდ

ხუთი დროით შეამსუბუქა. შემდეგ მუსა შუამავალთან დავბრუნდი, მოვახსენე, რომ ხუთი დროით შეამცირა მეთქი. წმინდა მუსა მოციქულმა მითხრა: დაბრუნდი და თხოვე ისევ შეგიმსუბუქოს, რადგან ამდენ ნამაზს შენი უმმეთი ვერ შეასრულებს. ***ამგვარად, წმინდა მუსასა და უზენაეს ალლაჰს შორის რამდენიმეჯერ მივედი და მოვედი.*** ბოლოს კი უზენაესმა ალლაჰმა ასე ბრძანა: "ორმოცდათი დროის ნამაზი ხუთამდე შევამცირე. თითოეული ნამაზი ათი მადლით შევაფასე. ხუთი დროის ნამაზი ორმოცდაათი დროის ნამაზის ტოლფასია. თუ ვინმე სიკეთის გაკეთებას განიზრახავს და ვერ შეძლებს მის შესრულებას, ამისათვის მას ერთი მადლი დაეწერება, ხოლო თუ შეასრულებს, მაშინ ერთის სანაცვლოდ, ათი მადლი დაეწერება. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ თუ ვინმე ბოროტებას განიზრახავს და გარკვეული მიზეზების გამო ვერ ჩაიდენს, ცოდვა არ დაეწერება, მაგრამ ჩადენის შემთხვევაში კი, ერთ ცოდვად დაუფიქსირდება". ***შემდეგ დავბრუნდი და მუსა შუამავალს მდგომარეობა ავუხსენი.*** მაშინ მუსა შუამავალმა კვლავ მითხრა: – დაბრუნდი და ალლაჰს თხოვე რომ კიდევ უფრო შეგიმციროს სალოცავიო, მაგრამ მე ვუთხარი: ***„ალლაჰს ბევრი რამ ვთხოვე, ამიტომ მრცხვენია მასთან კიდევ მისვლა".***

ამგვარად, უზენაესმა ალლაჰმა ჩვენს საყვარელ შუამავალს დარდით და წუხილით ნატკენი მადლითმოსილი გული ნუგეშით გაუმრთელა, არსებათა არნახული და წარმოუდგენელი სიკეთე უწყალობა.

ამის შემდეგ სამყაროს თვალისჩინი ძალიან მოკლე ხანში ყუდუსში, შემდეგ კი ძვირფას მექქაში, უმმი ჰანის სახლში დაბრუნდა. ის ადგილი, სადაც მას ეძინა, ჯერ კიდევ თბილი იყო და წყალი, რომლითაც წასვლის წინ აბდესი აიღო, ვარცლში ისევ ესხა. უმმი ჰანს კი, სახლის გარშემო სიარულში დაღლილს, ჩაძინებოდა და მომხდარის შესახებ ვერაფერი გაეგო. როცა წმინდა შუამავალი ყუდუსიდან მექქაში ბრუნდებოდა, გზად ყურეიშელი მექარავნეები დაინახა. მუჰამმედმა შენიშნა, რომ მექარავნეების ერთი აქლემი ძირს დავარდა.

როდესაც გათენდა, წმინდა მუჰამმედ შუამავალი ქააბაში მივი-

და და მირაჯის შესახებ ილაპარაკა. ურწმუნოებმა დასცინეს და ალაპარაკდნენ, რომ მუჰამმედი ჭკუაზე შეშლილა და გზას აცდენილაო. ვისაც გადაწყვეტილი ჰქონდა ისლამის მიღება, ისინიც დაეჭვდნენ. ზოგიერთ წარმართს გაუხარდა, მუჰამმედის ასეთი მდგომარეობა. გახარებულები ებუ ბექირის სახლში მივიდნენ, რადგან კარგად იცოდნენ, რომ ის ჭკვიანი, გამოცდილი და წინდახედული კაცი იყო. როცა ებუ ბექირი გარეთ გამოვიდა, მას ჰკითხეს: „ებუ ბექირ! შენ რამდენიმეჯერ ყუდუსში წასულხარ, მოსულხარ და კარგად იცი მექქადან ყუდუსამდე მისვლა-მოსვლას რამდენი დრო სჭირდება“. „დიახ, კარგად ვიცი, ერთ თვეზე მეტი სჭირდება“ – უპასუხა ებუ ბექირმა.

ამ სიტყვებით გახარებულმა ურწმუნოებმა, ერთხმად დაიყვირეს: „აი, ხომ ხედავთ? ჭკვიანი და გამოცდილი კაცის სიტყვა ასეთია“. დაიმედდენ, რომ წმინდა ებუ ბექირიც მათ მსგავსად ფიქრობდა და პატივისცემით მიენდნენ და მოახსენეს: „შენი ბატონი ამბობს, რომ ყუდუსში ერთი ღამის განმავლობაში მივედი და მოვედიო. იგი ჭკუიდან შეიშალა“.

კეთილშობილმა ებუ ბექირმა წმინდა მუჰამმედის მადლმოსილი სახელი რომ გაიგონა, მაშინვე თქვა: „ამას თუ ის ამბობს, მართალი იქნება. მჯერა, რომ ამ გზას ასე სწრაფად გაივლიდა“ და სახლში შევიდა. ურწმუნოები გაოგნებულები გაშეშდნენ., ამას უყურეთ! მუჰამმედი როგორი საოცარი ჯადოქარი ყოფილა, ებუ ბექირი მოუჯადოებიაო, ჩაილაპარაკეს და უკან გაბრუნდნენ.

ამის შემდეგ კეთილშობილი ებუ ბექირი ალლაჰის შუამავლთან მივიდა და უამრავ ხალხში ხმამაღალი ხმით დაიძახა: „ალლაჰის შუამავალო, მირაჯს გილოცავ! ჩვენ კი უამრავ მადლობას ვწირავთ უზენაეს ალლაჰს, რადგან შენისთანა ძვირფასი შუამაალის ღირსეულ სამსახურში ჩაგვაყენა. შენი მადლმოსილი სახის ნახვით, გულების დამპყრობი და სულის მიმზიდველი, ტკბილი სიტყვების მოსმენით, უდიდესი წყალობა გვიბოძა. ოჰ, ალლაჰის შუამავალო! ჩემი სიცოცხლე გენაცვალოს, შენი ყოველი სიტყვა, უეჭველად, მართალია და მჯერა“. კეთილშობილი ებუ ბექირის ამ სიტყვებმა ურწმუნოები გააოცა, სათქმელი ვერაფერი იპოვეს და დაიშალნენ.

ეჭვებში მყოფ, სუსტ მორწმუნეებს კი რწმენა გაუძლიერდათ. ალლაჰის შუამავალმა, იმ დღეს, ებუ ბექირს "სიდდიყი" უწოდა და ამ სახელით მისი ღირსება უფრო მეტად გაიზარდა.

გაბრაზებულმა ურწმუნოებმა, მუსლიმების მტკიცე რწმენას, უკეთილშობილესი მუჰამმედის ყოველი სიტყვის მაშინვე დაჯერებას, მის გარშემო ფარვანასავით მბრუნავი მორწმუნეების ქცევას, ველარ გაუძლეს და განიზრახეს, შუამავლის შერცხვენა-დამარცხების მიზნით, მისთვის მრავალი გამოცდა ჩაეტარებინათ.

„მუჰამმედ! შენ ამბობ, რომ ყუდუსში მივედიო. გვითხარი აბა, ყუდუსის მეჩეთს რამდენი კარი და რამდენი ფანჯარა აქვს?" ალლაჰის შუამავალმა ყველა შეკითხვას სწორად უპასუხა. ებუ ბექირი კი ყოველ პასუხს ეთანხმებოდა და დიახ, მართალიაო, ამბობდა. წმინდა შუამავალი მოგვიანებით ჰყვებოდა: ***„როცა მესჯიდი აქსაში ვიყავი, ირგვლივ არ მიმომიხედავს, წარმართების კიტხვაზე პასუხი არ მქონდა, მაგრამ იმ დროს ჯებრაილ ანგელოზმა მესჯიდი აქსა თვალწინ წარმომისახა, მეც დავითვალე კარები, ფანჯრები და მათ დასმულ შეკითხვებს პასუხი გავეცი".***

ჰიჯრეთამდე ერთი წლით ადრე, რეჯების მთვარის 27-ე ღამეს მომხდარ ამ სასწაულს ***მირაჯი*** ეწოდა. ალლაჰის შუამავალი მირაჯში სულითა და სხეულით, ფაქიზად ავიდა. მირაჯის ღამეს მან უამრავი ღვთიური ჭეშმარიტება იხილა, ხუთი დროის ნამაზი სწორედ ამ ღამეს იქნა ნაბრძანები. გარდა ამისა, „ბაყარას" სურას ბოლო ორი აიათი იქნა ნაბოძები. მირაჯის შესახებ წმინდა ყურანის სურა „ნეჯიმ", „ისრასა" და წმინდა ჰადისებში არის გადმოცემული.

თავის ესჰაბს, როცა ჩვენმა საყვარელმა შუამავალმა, როდესაც საჰაბეებს სამოთხის შესახებ უყვებოდა, ბრძანა: ***„ებუ ბექირ! სამოთხეში შენთვის გამზადებული წყალობები დავინახე, შენი სასახლე ვნახე, რომელიც წითელი ოქროსგან იყო აგებული"*** კეთილშობილმა ებუ ბექირმა ალლაჰის შუამავალს ასე მიუგო: „იმ სასახლის მეპატრონის სიცოცხლე გენაცვალოს შენ". შემდეგ უკეთილშობილესი მუჰამმედი ომარს მიუბრუნდა და უთხრა: ***„ომარ! იქ შენი სასახლე ვნახე, ლალისგან იყო აგებული. სასახლეში უამრავი სამოთხის***

ქალწული იყო. შიგნით არ შევსულვარ, რადგან შენი გულმოდგინეობა გამახსენდა“. კეთილშობილმა ომარმა მიუგო: „ჩემი თავი გენაცვალოს,, ალლაჰის შუამავალო! როგორ შემეძლო ამაზე ეჭვი გამჩენოდა“. ამის შემდეგ წმინდა ოსმანს მიუბრუნდა და უთხრა: ***„ოსმან! ყველა ცაზე შენ დაგინახე, სამოთხეში შენი სასახლეც დავინახე“.*** ბოლოს წმინდა ალის მიუბრუნდა და უთხრა: ***„ალი! შენი სახე მეოთხე ცაზე დავინახე. ჯებრაილს ვკითხე და ასე მიპასუხა:*** „ანგელოზებს წმინდა ალის ნახვა ძალიან უყვართ. ჭეშმარიტმა ალლაჰმა მისი სახის მსგავსი ანგელოზი გააჩინა, ის მეოთხე ცაზე დგას, მის სანახავად ანგელოზები მიდიან და მისი ნახვის მადლით ხარობენ. ***შემდეგ შენს სასახლეში შევედი, ერთი ხის ნაყოფს ვუყნოსე. მაშინ სამოთხის ქალწული მოვიდა, მას ვკითხე, შენ ვინა ხარ და ვისი ხარ – მეთქი. ასე მიპასუხა: “მე შენს ბიძაშვილ ალისთვის ვარ გაჩენილი ალლაჰის შუამავალო“.***

მირაჯის პირველ გარიჟრაჟს, წმინდა მუჰამმედს ჯებრაილ ანგელოზი გამოეცხადა და ხუთი დროის ნამაზი თავის დროზე ალოცა. შუამავალი წმინდა ხადისში ბრძანებს: ***„ჯებრაილ ანგელოზმა ქააბას კარების გვერდით, ორი დღე ნამაზი მალოცა. პირველ დღეს, ორივემ ერთად, გამთენიისას დილის ნამაზი, მზე ზენიტს რომ გასცდა, შუადღის ნამაზი, ყველაფრის ჩრდილი თავისი სიმაღლის რომ გახდა, ნაშუადღევის ნამაზი, მზის ჩასვლისას საღამოს ნამაზი, ხოლო ცისკრის დაბინდებისას მწუხრის ნამაზი ვილოცეთ. ხოლო მეორე დღეს კი დილის ნამაზი, როცა ცისკარი განათდა, შუადღის ნამაზი, როცა ყველაფრის ჩრდილი თავის ჩრდილზე ორჯერ მეტი სიდიდის იყო, ნაშუადღევის ნამაზი მის შემდეგ ცოტა ხანში, საღამოს ნამაზი მარხვის ხსნილის დროს, ხოლო მწუხრის ნამაზი კი ღამის ერთი მესამდი რომ გახდა, მაშინ ვილოცეთ. შემდეგ ჯებრაილ ანგელოზმა მითხრა: „მუჰამმედ! აი, შენი და შენამდელი შუამავლების ნამაზის დროები ესენია. შენმა უმმეთმა, ხუთი დროის თითოეული ნამაზი როგორც ჩვენ ვილოცეთ, ისე უნდა შეასრულონ.“***

ლოცვის დროების შესწავლის შემდეგ, ეთიოპიაში მყოფ ემიგრანტებს, ნამაზის შესრულების აუცილებლობისა და ნამაზის შესახებ ბრძანების შემდეგ, მათ მიერ შეუსრულებელი ნამაზების გავლილის გამო მათი შესრულება აცნობა.

ჰიჯრეთი

საყვარელი შუამავალი, ყოველწლიურად, ქააბას მოსანახულებლად მოსულ ტომებს ისლამის რჯულისკენ მოუწოდებდა. ზრუნავდა, რათა ისინი ჯოჯოხეთის ცეცხლისგან გადარჩენილიყვნენ და მარადიულ ბედნიერებას წვეოდნენ. ამის გამო, ყოველგვარ შეურცხყოფას არაფრად აგდებდა და შუამავლობის მისიას პირნათლად ასრულებდა. ხშირად ის სტუმართა ბანაკებს მიაშურებდა და მოსულ სტუმართ მიმართავდა: ***„ვინ არის ისეთი, ვინც მე უზენაესი ალლაჰის გულისთვის, შუამავლობის მისიის შესრულებამდე, შემიფარებს და დახმარებას გამიწევს?“*** მაგრამ, სამწუხაროდ, არც შემფარავი და არც დამხმარე გამოჩენილა.

უკვე შუამავლობის მეთერთმეტე წელი იდგა. უკეთილშობილესი მუჰამმედი ბაზრობაზე, ქააბას მოსანახულებლად, მოსულ მედინელებს შეხვდა. როცა მათ ჰკითხა, ვინ ხართო, მიუგეს, ჩვენ მედინელი ჰაზრეჯის ტომიდან გახლავართო. წმიდა შუამავლის ბაბუა, აბდულმუტტალიბის დედა, სელმა ჰაზრეჯის ტომის ნეჯჯარისშვილთა განშტოებას მიეკუთვნებოდა. შუამავალი ჰაზრეჯელ ექვს პიროვნებასთან ცოტა ხნით ჩამოჯდა. მათ სურა „იბრაჰიმის“ 35-52 აიეთები წაუკითხა და ისლამი აუხსნა. შემდეგ მათ ისლამის რჯულის მიღება შესთავაზა. ამ ადამიანებს ტომის უფროსებისგან და მედინელი იუდეველებისგან შუამავლის მოვლენის შესახებ სმენოდათ. ამიტომ, როცა წმინდა მუჰამმედ შუამავალმა მათ ისლამისკენ მოუწოდა, ერთმანეთს შეხედეს და შემდეგ ასე წარმოსთქვეს: „აი, ზუსტად ეს არის ის შუმავალი, რომელსაც იუდეველები გვიწინასწარმეტყველებდნენ.“

მედინაში ევსისა და ჰაზრეჯის ტომები და იუდეველები ერთმანეთს ემტერებოდნენ. როცა დროს იხელთებდნენ, ერთმანეთს თავს ესხმოდნენ. არაბებს სჯეროდათ, თუ იუდეველებზე ადრე ისლამით გაცისკროვდებოდნენ, მათ დაამარცხებდნენ და მედინადან გააძევებდნენ. ამიტომაც, ალლაჰის შუამავლის წინაშე მაშინვე ქელიმეი შეჰადეთი წარმოსთქვეს და მუსლიმანები გახდნენ. შემდეგ შუამავალს მიმართეს: „ალლაჰის შუამავალო! როცა მედი-

ნადან წამოვედით, ჩვენს ტომსა და იუდაველებს შორის ვითარება დაძაბული იყო. ვიმედოვნებთ, რომ უზენაესი ალლაჰი მათ, თქვენი აღმატებულობის წყალობით, ისლამით გააცისკროვნებს. ჩვენ, მედინაში დავბრუნდებით თუ არა, თანატომელებს მაშინვე შენი შუამავლობის დაჯერებისკენ მოვუწოდებთ და ავუხსნით ყველაფერს, რაც ამ რჯულში ვნახეთ და ვირწმუნეთ. თუ უზენაესი ალლაჰი მათ ამ რჯულში გააერთიანებს, შენზე უფრო ძვირფასი და ღირსეული არავინ იქნება".

ამ ექვსმა პიროვნებამ ნამდვილად გულით ირწმუნა უზენაესი ალლაჰისა და წმინდა შუამავლის მოწოდებები. მათ ისლამი გაითავისეს და რწმენა განიმტკიცეს. შემდეგ, თავიანთ სამაშობლოში დაბრუნებისათვის შუამავლისგან ნება ითხოვეს და წავიდნენ. ახალგამუსლიმანებული ექვსი პიროვნება გახლდათ: უქბე ბინ ამირი, ეს'ად ბინ ზურარე, ავფ ბინ ჰარისი, რაფი ბინ მალიქი, ქუთბე ბინ ამირი და ჯაბირ ბინ აბდულლაჰი (ალლაჰი იყოს მათგან კმაყოფილი).

აქაბეს პირველი ზავი და მედინაში ამოსული მზე

ახლადგამუსლიმანებულმა ექვსმა პიროვნებამ, მედინაში დაბრუნებისთანავე, ხალხის ისლამის რჯულის მიღებისკენ მოწოდება დაიწყეს. ამ საკითხთან დაკავშირებით მათ იმდენად წინ წაიწიეს, რომ მედინაში არ დაუტოვებიათ ოჯახი, სადაც ისლამისა და შუამავალის შესახებ საუბარი არ ყოფილიყო. შედეგად ისლამი, არამარტო ჰაზრეჯის ტომის წევრთა შორის გავრცელდა, არამედ ევსის ტომიდანაც რამდენიმე პიროვნება გამუსლიმანდა.

აქაბესთან პირველი შეხვედრის შემდეგ, მეორე წელს ეს'ად ბინ ზურარეს ჰაჯობის დროს, ისლამით გაცისკროვნებულ თორმეტ მეგობართან ერთად მექაში მივიდა. იმ წელიწადს წარმართები მუსლიმანებს, სხვა წლებისგან განსხვავებით, უფრო მეტად აწამებდნენ და ავიწროებდნენ. ალლაჰის შუამავალს გამუდმებით თან დაჰყვებოდნენ და სჯიდნენ ყველას, ვინც მას გაესაუბრებოდა. მედინელებმა ამის შესახებ რომ გაიგეს, შუამავლისგან ღამით აქაბეში შეხვედრა ითხოვეს. როცა დაღამდა და მას შეხვდნენ, მოახ-

სენეს მის მიმართ გულითადი დამოკიდებულების შესახებ. დადეს შეთანხმება, რომ მის ყოველ მოთხოვნასა და სურვილს სრულიად დაემორჩილებოდნენ. პირობა დადეს, არ გაიჩენდნენ უზენაესი ალლაჰის ტოლსა და სწორს, არ ჩაიდენდნენ მრუშობას, არ მოიპარავდნენ, ცილისწამებას განერიდებოდნენ და სირცხვილისა და სარჩოს შიშით შვილებს არ მოკლავდნენ. თორმეტ მეგობართაგან ორი ევსის ტომს, დანარჩენი ათი მეგობარი ჰაზრეჯის ტომს მიეკუთვნებოდა, მათი მეთაური კი – ეს'ად ბინ ზარურე იყო.

საყვარელმა შუამავალმა ეს თორმეტი პიროვნება, ტომის წარმომადგენლებად დანიშნა. მათ ტომებისთვის ისლამი უნდა აეხსნათ და ალლაჰის შუამავლის წინაშე თავმდები უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო ეს'ად ბინ ზურარე საერთო ხელმძღვანელად დანიშნა. ამ შეთანხმების შემდეგ მედინაში დაბრუნებული ეს'ადი და მისი მეგობრები თავიანთ ტომებს დღე-ღამე ისლამის შესახებ უყვებოდნენ და მათ რჯულისკენ მოუწოდებდნენ. ამ მოწოდებამ მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო და მედინაში დაიწყო ისლამის სწრაფად გავრცელება. ამან იმდენად კარგი შედეგი გამოიღო, რომ მაშინ, როცა ევსისა და ჰაზრეჯის ტომებს ერთმანეთთან გაუწყვეტლივი მტრობა ჰქონდათ, ისინიც კი შერიგდნენ, ერთად შეიკრიბნენ და ისლამის უკეთ შესწავლისთვის ალლაჰის შუამავლისგან მასწავლებელი ითხოვეს. წმინდა შუამავალმა კი მედინელებისთვის წმიდა ყურანისა და ისლამის მასწავლებლად მექქელი, ასაჰაბთაგან ძვირფასი, მუს'აბ ბინ უმეირი გააგზავნა.

ძვირფასი მუს'აბი ეს'ადის სახლში რჩებოდა. მასთან ერთად კარდაკარ დადიოდა და მოსახლეობას ისლამს უხსნიდა.. ხალხს ალლაჰის შუამავლის სიყვარულსა და მტრებისგან მის დასაცავად ზრუნვას თხოვდნენ. ისინი ალლაჰის შუამავალთან შეთანხმების დასადებად მოამზადეს.

ძვირფასი ეს'ად ბინ ზურარეს ტომის მეთაური სა'დ ბინ მუაზი იყო, რომელსაც ნათესაური ურთიერთობა ჰქონდა ეს'ად ბინ ზურარესთან. რადგან იმ დროს, არაბთა შორის ნათესავების მიმართ შეურაცხყოფისგან განრიდება ადათ-წესად იყო მიჩნეული, სა'დ ბინ მუ'აზი, მიუხედავად იმისა, რომ მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა

ისლამი მიღებული, ეს'ადის სახლში არ მისულა და ამ საქმის დაბრკოლება არ უცდია. მან ტომის გავლენიან პირთაგან უსეიდ ბინ ჰუდაირს უთხრა: „უბანში გადი, ნახე ვინ არის მოსული და ისე მოიქეცი, როგორც შენ გსურს. ეს'ადი ჩემი დეიდაშვილი რომ არ იყოს ამ საქმეს შენ არ დაგავალებდი".

ამის შემდეგ უსეიდ ბინ ჰუდაირმა შუბი აიღო და იმ სახლისკენ წავიდა, სადაც მუს'აბ ბინ უმეირი იმყოფებოდა. როცა მივიდა, ბრაზნარევი საუბარი დაიწუო: „ჩვენთან რატომ მოხვედით და ხალხს რატომ აცდუნებთ? თუ სიცოცხლე გინდათ, ახლავე გაშორდით აქაურობას!" მუს'აბმა მასში რომ სიბრაზე დაინახა, საკმაოდ რბილად და ნაზად უპასუხა: „აბა, ერთი დაჯექი, ცოტა მოგვისმინე! გაიგე ჩვენი მიზანი და თუ მოგეწონება გაითავისე, თუ არა და ხელი შეგვიშალე". უსეიდი დაწყნარდა და უთხრა: „მართალს ამბობ", შემდეგ შუბი ძირს დაარჭო და დაჯდა.

უსეიდ ბინ ჰურაირმა ძვირფასი მუს'აბის ტკბილი საუბარი და სასიამოვნო ხმით ნაკითხი ყურანის აიათები მოისმინა, რომელიც ადამიანის გულს ათბობდა. ბინ ჰურაირმა წარმოსთქვა: „რა ლამაზია ეს სიტყვები, ამ რჯულის მიღებისთვის რა უნდა გავაკეთო?" როცა ყველაფერი აუხსნეს, უსეიდ ბინ ჰურაირმა ქელიმეი შეჰადეთი წარმოსთქვა და გამუსლიმანდა. უსეიდი სიხარულისგან ადგილზე ველარ ჩერდებოდა. მან თქვა: „ახლა წავალ და ისეთ ადამიანს გამოგიგზავნით, რომლის გამუსლიმანების შემთხვევაში, მედინაში, მის ტომთაგან ყველა ისლამს მიიღებს". ის წავიდა და პირდაპირ სა'დ ბინ მუაზთან მივიდა. სა'დ ბინ მუაზმა რომ უსეიდი დაინახა, თქვა: „ვფიცავ, უსეიდი, როგორი სახითაც წავიდა, იგივეთი არ მოდის"

ძვირფას უსეიდ ბინ ჰუდაირს ძალიან უნდოდა, რომ სა'დ ბინ მუაზი მუსლიმანი გამხდარიყო. ამიტომ უთხრა: „იმ პიროვნებას (მუს'აბ ბინ უმეირს) ველაპარაკე, მათში ცუდი არაფერი მინახავს. მხოლოდ გავიგეთ, რომ ბენი ჰარისის შვილების დეიდაშვილი ეს'ადი თავის სახლში ისეთ ვინმეს მფარველობს, რომელიც საშიში არ არის ჩვენი ტომისთვის".

სა'დ ბინ მუ'აზი უსეიდ ბინ ჰუდაირისგან ამ სტყვების მოსმე-

ნის შემდეგ, ადგა და ძვირფას ეს'ად ბინ ზურარესთან წავიდა. იქ რომ მივიდა, ნახა, ს'ად ბინ ზურარე და მუს'აბ ბინ უმეირი ერთად ისხდნენ და მშვიდ გარემოში წყნარად საუბრობდნენ. მათ მიუახლოვდა თუ არა, უთხრა: „ეს'ად! ჩვენს შორის ნათესაური ურთიერთობა რომ არ ყოფილიყო, შენ ყველაფერ ამას ვერ გააკეთებდი".

სა'დ ბინ მუაზს მუს'აბ ბინ უმეირმა გასცა პასუხი: „სა'დ! გთხოვ, დაჯექი და ცოტა მოგვისმინე. თუ ჩვენი საუბარი მოგეწონება, ძალიან კარგი, თუკი არ მოგეწონება, ისლამის მიღებას არ შემოგთავაზებ". სა'დ ბინ მუაზი ამ თავაზიანმა და ტკბილმა სიტყვებმა დააწყნარა, კუთხეში დაჯდა და მათი საუბრის მოსმენა დაიწყო.

მუს'აბ ბინ უმეირმა სა'დ ბინ მუაზს ჯერ ისლამი აუხსნა, ისლამის ძირითადი საფუძვლები გააცნო, შემდეგ კი ტკბილი და ლამაზი ხმით წმიდა ყურანიდან აიათები წაუკითხა. ამ დროს სა'დ ბინ მუაზს სახეზე ფერი ეცვლებოდა და გონებას კარგავდა. ყურანის უბადლო მჭერმეტყველების წინაშე გული მოულბა და მისი ზეგავლენის ქვეშ მოექცა. თავი ვეღარ შეიკავა და იკითხა: „რა არის საჭირო ამ რჯულის მიღებისათვისო?"

მუს'აბ ბინ უმეირმა მაშინვე ქელიმეი შეჰადეთი ასწავლა, სა'დ ბინ მუაზმაც წარმოთქვა: ***„ეშჰედუ ენ ლა ილააჰე ილლალლაჰ ვე ეშჰედუ ენნე მუჰამმედენ აბდუჰუ ვე რესულუჰ"*** და გამუსლიმანდა. სა'დ ბინ მუაზი გამუსლიმანებით მიღებული სიხარულითა და ბედნიერებით, ადგილზე ვერ ჩერდებოდა. მაშინვე სახლისკენ გაემართა. რიტუალური განბანვით, აბდესი აიღო და მთელი ტომის შეკრება მოითხოვა და უსეიდ ბინ ჰუდაირთან ერთად ხალხთან მივიდა. მან აბდულჰეშელის შვილებს ასე მიმართა: „აბდულჰეშელის შვილებო! თქვენ მე როგორ მიცნობთ?" ყველამ ერთხმად მიუგო: „შენ ჩვენი მეთაური და უფროსი ხარ, ჩვენ კი შენზე ვართ დამოკიდებულნი". სა'დ ბინ მუაზმა, ამ სიტყვების შემდეგ, მათ განუცხადა: „მაშ ასე, ყველას გაცნობებთ, რომ მე ისლამით გავცისკროვნდი. მინდა, რომ თქვენც უზენაესი ალლაჰი და მისი შუამავალი, წმიდა მუჰამმედი იწამოთ. თუკი არ იწამებთ, არცერთ

თქვენგანს არც შეგხვდებით და არც დაგელაპარაკებით!“

აბდულჰეშელის შვილებმა გაიგეს თუ არა, რომ სა’ბ ბინ მუაზი მუსლიმანი გამხდარიყო და მათაც აქეთკენ მოუწოდებდა, მაშინვე, ყველამ ისლამი იწამეს. იმ დღეს საღამომდე მედინას ზეცა ქელიმეი შეჰადეთისა და ალლაჰის დიდების ხმით გაცისკროვნდა.

ამ მოვლენიდან ცოტა ხნის შემდეგ, ევსისა და ჰაზრეჯის ტომებმა ისლამი იწამეს. ყოველი ოჯახი ისლამის სხივმა გააბრწყინა. სა’დ ბინ მუ’აზმა და უსეიდ ბინ ჰუდაირმა ტომების კუთვნილი ყველა კერპი დაამტვრიეს. როცა ეს ამბავი საყვარელმა ალლაჰის შუამავალმა გაიგო, ძალიან კმაყოფილი დარჩა. ეს ამბავი მექქელ მუსლიმანებსაც დიდად გაუხარდათ. ამის გამო ამ წელიწადს (ჰიჯრი 621) ***„სენეთ უს სურურ“*** (სიხარულის წელი) ეწოდა.

აქაბეს მეორე შეთანხმება

რაც წმინდა მუჰამმედის შუამავლობის მისიის დაწყებიდან ცამეტი წელი იყო გასული. მექქელი წარმართების მიერ მუსლიმების წამებასა და შევიწროებას უკვე ყოველგვარი ზღვარი გადაელახა. მედინაში კი ეს’ად ბინ ზურარესა და მუს’აბ ბინ უმეირის მიერ გაწეული ღვაწლის წყალობით, ევსისა და ჰაზრეჯის ტომები გაშლილი ხელებით, მუსლიმანების გულში ჩასაკრავად და მათი გულისთვის თავგაწირვისათვის დიდი სიხარულითა და ხალისით ემზადებოდნენ.

ისინი სულითა და გულით ალლაჰის შუამავლის მედინაში ჩაბრძანებას ნატრობდნენ. სიტყვას აძლევდნენ, რომ მისთვის სოცოცხლესა და ქონებას არ დაიშურებდნენ. ჰაჯობის დრო იყო იდგა., მუს’აბ ბინ უმეირთან ერთად, მედინელ მუსლიმანთაგან 73 კაცი და 2 ქალი მექქაში ჩავიდნენ და ჰაჯობის დამთავრების შემდეგ, საყვარელ შუამავალს ისევ აქაბესთან შეხვდნენ. ეს’ად ბინ ზურარემ 12 თანმხლებ პირთან ერთად ყველა ტომის სახელით წმინდა შუამავალს მედინაში ჰიჯრეთის (ემიგრირება) გაკეთება შეთავაზეს და თხოვეს. მან მედინელებს წმიდა ყურანიდან რამოდენიმე აიათი წაუკითხა და სიტყვა ჩამოართვა, რომ მასაც ისე დაიცავდნენ და შეფარებდნენ, როგორც ამას თავიანთ სიცოცხ-

ლესტან და ცოლ-შვილტან მიმართებაში აკეთებდნენ.

იქვე იმყოფებოდა, საყვარელი შუამავლის ბიძა, აბბასი, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა ისლამი მიღებული. მან შეთანხმების დასადებად მოსულთ ასე მიმართა:

„მედინელებო! ეს ჩემი ძმისშვილია. ეს არის ის, ვინც ადამიანთა შორის ყველაზე მეტად მიყვარს. თუ მას დაემოწმებით, მის მიერ ალლაჰისგან მოტანილსაც იწამებთ. თუ თქვენთან გინდათ წაიყვანოთ, მტკიცე სიტყვა უნდა მომცეთ, რომ მას დაიცავთ. როგორც ხედავთ, წმინდა მუჰამმედი ჩვენიანია. ჩვენ ის ურწმუნოთაგან დავიცავით, ის ჩვენს შორის პატიოსნებითა და ღირსებით გამოირჩევა. მიუხედავად ყველაფრისა, მან ყველას ზურგი გვაქცია და თქვენთან წამოსვლა გადაწყვიტა. შეგწევთ თუ არა იმის ძალა, რომ გაერთიანებული არაბი ტომების თავდასხმას დახვდეთ და ეს საპასუხისმგებლო საქმე თქვენ თავზე აიღოთ? ამის შესახებ ერთმანეთში მოილაპარაკეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. შეძლებთ მოცემული სიტყვის შესრულებასა და მის დაცვას? რა იქნება იმაზე უკეთესი, თუ ამ ყველაფერს ღირსეულად შეასრულებთ. თუ მექქადან გასვლის შემდეგ მას მიატოვებთ, მაშინ ახლავე შეცვალეთ გადაწყვეტილება, რათა მან თავის სამშობლოში ღირსეულად და დაცულად იცხოვროს.

ძვირფასი აბბასის ასეთმა საუბარმა მედინელი მუსლიმანები გაანაწყენა. მათ ვერ წარმოედგინათ, რომ, როდესაც ალლაჰის საყვარელ შუამავალს თავიანთ სამშობლოში წაიყვანდნენ, მას წარმართებისგან ვერ დაიცავდნენ და გაჭირვებისას მიატოვებდნენ. მედინელ საჰაბეთაგან ეს'ად ბინ ზურარე წმიდა შუამავალს მიუბრუნდა და უთხრა; „ალლაჰის შუამავალო! თუ ნებას მიბოძებთ, რამდენიმე სიტყვა მაქვს სათქმელი," როდესაც საუბრის ნება დართეს მან თქვა: „ჩემი მშობლები გენაცვალოს, ალლაჰის შუამავალო! ყოველგვარ მოწოდებას თავისებური მიდგომა გააჩნია. ახლა თქვენ ისეთი რამისკენ მოგვიწოდებთ, რომლის გათავისება ადამიანებისთვის საკმაოდ ძნელია. ვინაიდან მათ ერთბაშად, არ ძალუძთ, სათაყვანო კერპების მიტოვება და ისლამის დაჯერება. მიუხედავად ამისა, ჩვენ ისლამი მთელი გულით ვიწამეთ. გარდა

ამისა გვიბრძანეთ, რომ წარმართ ნათესავებთან კავშირი გაგვეწყვიტა, წრფელი გულით ამაზეც დაგთანხმდით. კარგად იცით, რომ ამის გაკეტება ჩვენთვის ძნელი იყო. თქვენ თქვენი ბიძებიც კი გმტრობდნენ და არ გიცავდნენ, ჩვენ კი ამ საპატიო სამსახურის შესასრულებლად თავი მოვალედ ვცანით. მზად ვარტ ტქვენთვის მოცემული ყველა პირობა შევასრულოთ. რასაც ენით წარმოვსთქვამთ, იმას გულითაც ვადასტურებთ. ვფიცავთ რომ როგორც საკუთარ ცოლ-შვილს ვიცავთ თქვენს დალოცვილ სხეულსაც, სიცოცხლის უკანასკნელ წვეთამდე, ისე დავიცავთ. თუ დადებულ ფიცს გავტეხთ და უზენაეს ალლაჰზე მიცემულ სიტყვას ვუღალატებთ, დაე ყაჩაღ-მძარცველთა ბრბოდ ვიქცეთ. ალლაჰის შუამავალო, ჩვენ მოცემული სიტყვის ერთგულნი ვართ, უზენაესმა ალლაჰმა მოგვიმართოს ხელი!“ შემდეგ გააგრძელა:

„ალლაჰის შუამავალო! შეგიძლია, თქვენთვის სასურველი პირობები წამოგვიყენოთ“. საყვარელმა შუამავალმა ისინი ისლამისკენ წაახალისა, წმინდა ყურანი წაუკითხა, შემდგე კი უთხრა; ***„თქვენგან მხოლოდ უზენაესი ალლაჰის მიმართ მონა-მსახურებასა და მისთვის მოზიარის არდაწესებას, ჩემი და საჰაბეების შეფარებასა და დაცვას მოვითხოვ. რისგანაც საკუთარ თავს იცავთ, იმისგან ჩვენც უნდა დაგვიფაროთ“.***

ბერა ბინ მარურმა თქვა; „ვფიცავ შენ შუამავლად მომვლენელ უზენაეს ალლაჰს, ისე დაგიცავთ, როგორც საკუთარ ცოლ-შვილს ვიცავთ. ალლაჰის შუამავალო, გააფორმეთ ჩვენთან ხელშეკრულება!“

მედინელ მუსლიმანთაგან აბბად ბინ უბადემ შუამავლთან დადებული შეთანხმების განსამტკიცებლად მეგობრებს ჰკითხა; „ჰაზრეჯელებო! იცით თუ არა, რატომ მივიღეთ მუჰამმედი (სალლალლაჰუ ალეიჰი ვესელლემ)?“ როდესაც მედინელებმა ამ კითხვას დასტურით უპასუხეს აბბადმა გააგრძელა:„თქვენ მას როგორც მშვიდობიანობის, ასევე საბრძოლო ვითარების დროსაც დაეთანხმებით და დაემორჩილებით. თუ თქვენი ქონების დაზიანების ან ნათესავთა განადგურების შიშით, შუამავლის დახმარების გარეშე დატოვება შეგიძლიათ, მაშინ მისი მფარველობას ნუ იკისრებთ.

ვფიცავ ალლაჰს, რომ თუ ასეთ რამეს ჩაიდენთ ამ ქვეყანაშიც განადგურდებით და საიქიოშიც. თუკი ამის გამო თქვენი ქონება დაიხარჯება, ნათესავები დაიღუპებიან და მის მიმართ ერთგულების გამოჩენას მაინც შეძლებთ, მაშინ დადექით მტკიცედ. ვფიცავ ალლაჰს, რომ ეს თქვენთვის როგორც მიწიერ, ასევე საიქიო ცხოვრებაში საუკეთესო გამოსავალი იქნება“. ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ მეგობრებმა ერთხმად წარმოთქვეს: „შუამავლის გამო ჩვენ ქონებას რომ ზიანი მიადგეს და ნათესავები დაგვეღუპოს მას მაინც არ ვუღალატებთ. სიკვდილი არსებობს, უკან დახევა კი არა“!

შემდეგ წმიდა შუამავლს მიუბრუნდნენ და ჰკითხეს:

„ალლაჰის შუამავალო! თუ ჩვენ დადებულ ფიცს პირნათლად შევასრულებთ რას მივიღებთ სანაცვლოდ?“ საყვარელმა შუამავალმა მიუგო; ***„სანაცვლოდ, უზენაესი ალლაჰის კმაყოფილება და სამოთხე გერგებათ!“***

მათგან თითოეულმა ტომის წარმომადგენლისა და უფლებამოსილი პირის რანგში სიტყვა წარმოთქვა. თავდაპირველად, შუამავალ ეს'ად ბინ ზურარე მიმართა: ***„ვდებ პირობას, რომ უზენაესი ალლაჰზე და მის საყვარელ შუამავალზე მიცემულ სიტყვას პირნათლად შევასრულებ, ამ პირობას თუ დამჭირდა, ჩემი სიცოცხლითა და ქონებითაც კი დავიცავ!“*** და ამ სიტყვების შემდეგ მას ხელი ჩამოართვა.

შემდეგ ერტხმად წარმოთქვეს: ***„უზენაესი ალლაჰისა და მისი შუამავლის მოწოდებას ვეტანხმებით და ვემორჩილებით!“*** ამრიგად, მედინელებმა მზადყოფნა გამოტქვეს რომ წმინდა შუამავლის გულისთვის არც საკუთარ ქონებას და არც სიცოცხლეს დაიშურებდნენ. ქალებმა შეთანხმება მხოლოდ სიტყვიერად დაადასტურეს.

გარდა ამისა, საყვარელმა შუამავალმა მათ პირობა ჩამოართვა, უზენაეს ალლაჰს მოზიარეს არ გაუჩენდნენ, არ იქურდებდნენ და იმრუშებდნენ, ცილს არავის დასწამებდნენ, შვილებს არ მოკლავდნენ, ტყუილს არ იტყოდნენ და კეთილი საქმეების კეთებას

არ შეეწინააღმდეგებოდნენ.

როდესაც მედინელები საყვარელი შუამავალთან შეთანხმებას დებდნენ, აქაბეს მთიდან ყვირილი შემოესმათ. უცნობი ხმა მოუწოდებდა: „ჰეი მინაში მცხოვრებნო, შუამავალმა და მედინელმა მუსლიმანებმა თქვენ წინააღმდეგ საომრი შეთანხმება დადეს". შუამავლმა თქვა, ეს აქაბეს ეშმაკის ხმააო, იმ მხარეს მიტრიალდა, საიდანაც ყვირილის ხმა მოესმა და შეეპასუხა: „ჰეი, უზენაესი ალლაჰის მტერო! შენც გაგისწორდები და ჭკუას გასწავლი," შემდეგ მედინელებს მიუბრუნდა და მოუწოდა, რომ თავიანთ ადგილებს დაბრუნებოდნენ. აბბას ბინ უბადემ შუამავალს უთხრა: ***„ალლაჰის შუამავალო, თუ თქვენი თანხმობა იქნება, ხვალ, დილით მინაში მცხოვრებ ურწმუნოებს გადავუვლით და ყველას მუსრს გავავლებთ."*** შუამავალი მათმა ნათქვამმა კმაყოფილი დატოვა, მაგრამ განაცხადა და რომ ამის ბრძანება უზენაესიდან ჯერ კიდევ არ იყო მიღებული და ამიტომ მედინელებს სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდა.

იმამი ნესაისა და აბდულლაჰ ბინ აბბასის გადმოცემის თანახმად, აქაბეს შეთანხმების დროს შუამავალთან მყოფი ანსარებიც მუჰაჯირებად ითვლებიან.

ჰიჯრეთი

აქაბეს მეორე შეთანხმების დადებასთან ერთად, მედინა, მუსლიმანებისთვის მშვიდი თავშესაფარი ადგილი გახდა. ამ შეთანხმების დადებამ მექქელები განარისხა და მათ მუსლიმანების მიმართ უმკაცრესი ზომებს მიმართეს. ისლამის მიმდევართა მექქაში დარჩენა შეუძლებელი გახდა. მუსლიმანები წმინდა მუჰამმედ შუამავლის წინაშე წარსდგნენ და ჰიჯრეთისათვის ნება ითხოვეს. ერთ დღესაც საყვარელი შუამავალი თანამიმდევრებთან გახარებული დაბრუნდა და უმახარობლა. ***„მეცნობა ის ქალაქი სადაც თქვენ ჰიჯრეთი უნდა გააკეთოთ. ეს ქალაქ იესრიბია*** *(მედინა)* ***წადით იქ და იქაურ მუსლიმან ძმებს შეუერთდით. უზენაესმა ალლაჰმა ისინი თქვენს ძმებად სცნო ხოლო იესრიბი*** *(მედინა)* ***კი თქვენთვის უსაფრთხო სამშობლოდ აქცია."*** ალლლაჰის შუამავლის ნებართ-

ვისა და რჩევა-დარიგებების შემდეგ, მუსლიმანებმა ერთმანეთის მიყოლებით, ჯგუფ- ჯგუფად მედინაში გადასახლება დაიწყეს.

წმინდა შუამავალმა მედინაში წამსვლელებს წინდახედულებისა და სიფრთხილის შესახებ ბევრი რამ უამბო. წარმართების ყურადღება რომ არ მიეპყროთ, მუსლიმანები, პატარ-პატარა ჯგუფებად და ფარულად გადიოდნენ მექქადან.

ებუ სელემემ, რომელმაც პირველმა გააკეთა ჰიჯრეთი მედინაში, მექქელი წარმართებისგან ბევრი წამება გამოსცადა. წარმართებმა როცა გაიგეს რომ მუსლიმანები მედინაში აპირებდნენ გადასახლებას, მათ აედევნენ და ვისაც დაეწივნენ უკან დააბრუნეს, ცოლები ქმრებს ჩამოაშორეს. ბევრი დაატუსაღეს და აუტანელი წამება მიაყენეს. ძველი რწმენაზე მათ დასაბრუნებლად ყოველგვარ ღონეს მიმართეს, მაგრამ იმის გამო, რომ შინაგანი დაპირისპირების ეშინოდათ, მათი სიკვდილით დასჯა ვერ გაბედეს. მიუხედავად ყველაფრისა, მუსლიმები ყველანაირ ხერხს მიმართავდნენ იმისათვის, რომ მედინაში წასულიყვნენ.

კეთილშობილმა ომარმაც, ერთ, მშვენიერ დღეს, წელზე ხანჯალი შემოირტყა ხელში ისრები და შუბი აიღო და ყველას თვალწინ ქააბეს შვიდჯერ შემოუარა. იქ მყოფ წარმართებს, მაღალი ხმით ასე მიმართა: აი, მეც, რჯულის დასაცავად უზენაესი ალლაჰის გულისთვის გადასახლებაში მივდივარ. თუ ვინმეს უნდა რომ თავისი ცოლი დააქვრივოს, შვილი ობლად დატოვოს და დედა აატიროს იმ დაბლობში წინ გადამელობოს!“

ამგვარად, ძვირფასი ომარი ოცამდე მუსლიმანთან ერთად, დღისით – მზისით მოურიდებლად მედინას გზას დაადგა. მისი შიშით, მასთან ერთად წასულ ქარავანს წინ ვერავინ აღუდგა. მედინაში წამსვლელთა რაოდენობა უკვე აღარ იკლებდა. საჰაბეები, ჯგუფ-ჯგუფად, მედინაში მიდიოდნენ.

ამ დროს ძვირფასმა ებუ ბექრმა შუამავლისგან გადასახლების ნება ითხოვა. ალლაჰის შუამავალმა მას ასე მიმართა; ***„მოითმინე, ვიმედოვნებ რომ უზენაესი ალლაჰი მეც მომცემს ნებას და ერთად წავალთ მედინაში“.*** ძვირფასმა ებუ ბექრმა ჰკითხა; „დედ-მამა გე-

ნაცვალოს ალლაჰის შუამავალო, ნუთუ მართლა არის ამის შესაძლებლობა?“ როდესაც ალლაჰის წმინდა შუამავალმა თანხმობით უპასუხა, ებუ ბექრმა ძალიან გაიხარა.

კთილშობილმა ებუ ბექრმა რვაასი დირჰემი გადაიხადა, ორი აქლემი იყიდა და ლოდინი დაიწყო. მექქაში მხოლოდ საყვარელი შუამავალი, კეთილშობილი ებუ ბექრი, ძვირფასი ალი, ღარიბები, ავადმყოფები და წარმართების მიერ დატუსაღებული მორწმუნეები იყვნენ დარჩენილნი.

მედინელებმა (ენსარებმა) მექქელები (მუჰაჯირები) ძალიან თბილად მიიღეს და მათ შორის მშვენიერი ურთიერთობა დამყარდა.

მექქელი წარმართები ძალიან იყვნენ შეწუხებული იმის ფიქრით, რომ წმინდა მუჰამმედი გადასახლებაში წავიდოდა და მუსლიმანების მეთაური გახდებოდა. ასეთი მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად დარ-უნ ნედვში შეიკრიბნენ და იმის შესახებ დაიწყეს მოლაპარაკება, თუ რა უნდა გაეკეთებინათ. ეშმაკმა მოხუცი ნეჯდის სახე მიიღო, წარმართებთან მივიდა და მათი საუბარი მოისმინა. წარმართებმა უამრავი წინადადება წამოაყენეს, მაგრამ არცერთი არ იქნა მოწონებული. შემდეგ საუბარშიი ეშმაკი ჩაერია და მათ უთხრა: „ასეთი აზრებით ვერანაირ გამოსავალს იპოვით. მისი მომღიმარი სახე და ტკბილი ენა ყოველგვარ სამზადისს ჩაგიშლით. სხვა გამოსავალი მოიფიქრეთ“.

ყურეიშთა მეთაურმა ებუ ჯეჰლმა ასეთი წინადადება წამოაყენა: „ყველა ტომიდან თითო ძლიერი პიროვნება ავირჩიოთ, მუჰამმედს თავს დაესხან, ხანჯალი ჩასცენ და სისხლი დაღვარონ. ოღონდ ისე, რომ მკვლელთა ვინაობა საიდუმლოდ დარჩეს. ამგვარად იძულებულნი გახდებიან, სისხლის საფასურზე დაგვთანხმდნენ. ჩვენც გადავუხდით სისხლის საფასურს და ამდენ წვალებას გადავრჩებით“. ეს აზრი ეშმაკსაც მოეწონა და წარმართები ასეთი მოქმედებისკენ წაახალისა.

წარმართები ამ გეგმის შესრულების სამზადისში იყვნენ, როცა უზენაესმა ალლაჰმა წმინდა შუამავალს გადასახლების ნება მისცა. მას ანგელოზი ჯიბრილი გამოეცხადა, წარმართების გადაწყ-

ვეტილება ამცნო და უთხრა, რომ იმ ღამეს საწოლში არ დაეძინა. საყვარელმა შუამავალმა ძვირფას ალის თხოვა, რომ ის იმ ღამეს მის საწოლში დაწოლილიყო, შემდეგ კი მასზე მიბარებული ამანათები მათი მფლობელებისთვის დაებრუნებინა. ***„ამაღამ ჩემს საწოლში დაიძინე, ჩემი, ეს მოსასხამი დაიფარე! არ შეგეშინდეს, არაფერი მოგივა“.***

ძვირფასი ალი ისე დაწვა, როგორც საყვარელმა შუამავალმა უბრძანა. ის მზად იყო, ნებისმიერ დროს ალლაჰის საყვარელი შუამავლისთვის თავისი სიცოცხლე გაეწირა.

ჰიჯრეთის ღამეს, ურწმუნოებმა ალლაჰის შუამავლის სახლს ალყა შემოარტყეს. ამ დროს წმინდა შუამავალი სახლიდან „იასინის“ სურას პირველი ათი აიათის კითხვით გამოვიდა, ხელში ერთი მუჭა მიწა აიღო და ურწმუნოთ თავზე გადააყარათ. ამის წყალობით, მათ შორის უვნებლად გაიარა და ებუ ბექრის სახლთან მივიდა. წარმართებმიდან ის ვერცერთმა ვერ შენიშნა. გადმოცემის თანახმად, ისინი, რომელთაც თავზე მიწა დაეყარათ, ბედირის ბრძოლაში იქნენ მოკლულნი.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ერთმა კაცი მივიდა და შუამავლის მოსაკლავად მისულთ ჰკითხათ: „აქ რას ელოდებით?” მათ უპასუხეს, მუჰამმედის სახლიდან გამოსვლას ველოდებითო. იმკაცმა მათ უთხრა: „გეფიცებით, მუჰამმედმა თქვენ შორის გაიარა, თავზე მიწაც კი გადაგაყარათ და უვნებელი წავიდა”. წარმართებმა თავებზე ხელები მოისვეს და ნახეს, რომ იქ, მართლაც, მიწა ჰქონდათ. მაშინვე კარს ეცნენ და სახლში შევარდნენ. როცა ნახეს რომ წმინდა შუამავლის საწოლში ძვირფას ალის ეძინა, მას ჰკითხეს, მუჰამმედი სად წავიდაო. კეთილშობილმა ალიმ უპასუხა, მე საიდან უნდა ვიცოდე, მის დარაჯად ხომ არ დაგიყენებივართო. წარმართებმა კეთილშობილი ალი ცოტათი შეანჯღრიეს, შემდეგ ქააბესთან ახლოს ცოტა ხნით დაატუსაღეს და გაუშვეს. ამის შემდეგ ურწმუნოებმა ალლაჰის შუამავლის ძებნა დაიწყეს.

თავდაპირველად კეთილშობილი ებუ ბაქრის სახლში მივიდნენ. მამის ადგილსამყოფელის შესახებ, მის აბუ ბაქრის შვილს, ესმას ჰკითხეს, პასუხი რომ ვერ მიირეს, იგი სცემეს. სადაც შესაძლე-

ბელი იყო, ყველგან ეძებდნენ, მაგრამ რომ ვერ იპოვეს, კინაღამ ჭკუაზე შეიშალნენ. მათ შორის ყველაზე გააფთრებულმა ებუ ჯეჰილმა მექქას ყველა კუთხეში მაცნეები აფრინა. ისინი ყველას გასაგონად გაჰყვიროდნენ:„ვინც მუჰამმედსა და ებუ ბაქრს იპოვის, მოიყვანს ან ადგილსამყოფელს გვაცნობებს 100 აქლემს გადავცემთ". ასეთი დაპირების გამგონმა, ზოგიერთმა ხარბმა მექქელმა იარაღი აისხა ცხენზე შეჯდა და ძებნას შეუდგა.

ამავე დროს, როდესაც მის მოსაკლავად მოსულ წარმართებს თავი დააღწია, ალლაჰის შუამავალი კეთილშობილი ებუ ბექრის სახლში მიბრძანდა და მეგობარს ახარა: ***„ჰიჯრეთის ნება უკვე მომეცა"***. აღელვებულმა ებუ ბექრმა უთხრა: „ნება მომეცი შენს დალოცვილ ფეხის მტვერს შევეხო ალლაჰის შუამავალო! მეც თან მოგყვებით?" ***„დიახ"*** – უპასუხა წმიდა შუამავალმა. სიმართლის მთქმელი, კეთილშობილი ებუ ბექრი სიხარულისგან ატირდა. თვალ ცრემლიანმა მას უთხრა; „ჩემი სიცოცხლე და მშობლები გენაცვალოს ალლაჰის შუამავალო. აქლემები მზად არის, რომელსაც ისურვებთ, ის აირჩიეთ". მაგრამ კაცობრიობის სიმაყემ მას გამოუცხდა: ***„რაც ჩემი არ არის მასზე არ დავჯდები, მხოლოდ ფულით ვიყიდი!"*** ასეთი სიტყვების გაგონების შემდეგ, ებუ ბაქრი იძულებული გახდა, აქლემების ფასი ეთქვა.

კეთილშობილმა ებუ ბექრმა ცნობილი გიდი აბუდლლაჰ ბინ ურეიქს დაუძახა, გარკვეული საფასური შესთავაზა და გამცილებლად აიყვანა. გარდა ამისა, მას უბრძანა, რომ სამი დღის შემდეგ, აქლემები სევრის გამოქვაბულთან მიეყვანა. სეფერის თვის 27 დღის ხუთშაბათი იდგა. წმიდა შუამავალმა და ებუ ბაქრმა მცირეოდენი საგზალი აიღეს და გზას გაუდგნენ. კეთილშობილი ებუ ბაქრი მგზავრობის დროს, შუამავალის ირგვლივ, ხან წინ, ხან უკან, ხან მარჯვნივ და ხანაც მარცხნივ დადიოდა. როცა წმიდა შუამავალმა ჰკითხა, ასე რატომ აკეთებო. აბუ ბექრმა უპასუხა, მოსალოდნელი ხიფათისგან რომ დაგიცვათო. კაცობრიობის სიამაყემ ჰკითხა: ***„ისურვებდი, ჩემ თავს მოსალოდნელი უბედურება, შენ რომ დაგატყდეს თავს?"*** ძვირფასმა ებუ ბაქრმა მიუგო; „ვფიცავ, ჭეშმარიტ რწმენით შენ მომვლინებელ უზენაეს ალლაჰს, რომ მირჩევნია, შენ თავს მოსალოდნელი უბედურება, მე დამემართოს."

საყვარელ შუამავალს, სივიწროვის გამო, გზაში ფეხსაცმელმი დაეხა და ფეხები დაუზიანდა. უკვე სიარულის ძალ-ღონეც აღარ დარჩენოდა. წვალებით მთაზე, გამოქვაბულთან ავიდნენ. როცა გამოქვაბულის კარებთან მიაღწიეს, კეთილშობილმა ებუ ბექრმა შუამავალს თხოვა; „წმიდა შუამავალო, ალლაჰის გულისთვის, შიგნით არ შეხვიდეთ! ჯერ მე შევალ და იქურობას დავათვალიერებს, თუ რამე მოსახდენია, დაე, მე მომივიდეს!“ შემდეგ შიგნით შევიდა იქურობა გაწმინდა, გაასუფთავა, თავისი მოსასხამი ნაწილებად დახია და იქ არსებული, დიდი თუ პატარა, ყველა ხვრელი ამოქოლა. როდესაც ერთი ნახვრეტი მაინც ღია დარჩა, ისიც ფეხსაცმლით დაფარა და ალლაჰის შუამავალს მხოლოდ ამის შემდეგ დაუძახა, შიგმით შემობრძანდითო.

წმიდა შუამავალი შიგნით შევიდა. უსაზღვროდ დაღლილმა ებუ ბაქრის კალთაში თავი დადო და დაიძინა. ამ დროს კეთილშობილ ებუ ბაქრს ფეხზე გველმა უკბინა, მაგრამ მან ფეხი არ გაანძრია, არ უნდოდა რომ წმინდა შუამავალი გაეღვიძებინა. მაგრამ, როდესაც აბუ ბაქრის ცრემლი ალლაჰის შუამავალს სახეზე დაეწვეთა, მან გაიღვიძა და მეგობარს ჰკითხა: ***„რა დაგემართა, ებუ ბექრ?“***

კეთილშობილმა ებუ ბექრმა უპასუხა; „იმ ნახვრეტიდან, რომელიც ფეხსაცმთლი მქონდა დაფარული, გველი შემოძვრა და მიკბინა“. მაშინ წმინდა შუამავალმა მას ჭრილობაზე ნერწყვი წაუსვა და აბუ ბაქრსაც ტკივილმა მაშინვე გაუარა.

როცა საყვარელი შუამავალი და კეთილშობილი ებუ ბექრი გამოქვაბულში იმყოფებოდნენ, ურწმუნოებმა მათ კვალს მიაგნეს და როცა გამოქვაბულთან მივიდნენ მის შესასვლელში გადაჭიმული ობობას ქსელი დაინახეს. მდევართაგან ერთ-ერთმა ქურზ ბინ ალქამემ თქვა: „აი, აქ კვალს ვკარგავთ.“ ურწმუნოებმა აღნიშნეს, მუჰამმედი და აბუ ბაქრი აქ რომ შესულიყვნენ, ობობას ქსელს უეჭველად გაწყვეტდნენო.

ზოგიერთმა მათგანმა თქვა, ბარემ მოსულები ვართ და ერთი ჩვენგანი გამოქვაბულში შევიდეს და იქაურობა დაათვალიეროსო. ამ აზრს უმეიიე ბინ ჰალეფი შეეწინააღმდეგა. „თქვენ, საერთოდ ჭკუა მოგეკითხებათ? რა გესაქმებათ იმ გამოქვაბულში, რომლის

შესასვლელზე ობობას რამდენიმეფენიანი ქსელი აქვს მოქსოვილი, გეფიცებით, ამ ობობას ქსელი მუჰამმედის დაბადებამდე აქვს გაკეთებული.“-თქვა მან. როცა ურწმუნოები გამოქვაბულის შესასვლელთან კამათობდნენ, შიგნით ებუ ბაქრს შიში დაეუფლა და საყვარელ შუამავალს უთხრა: „ალლაჰს ვფიცავ, საკუთარ თავზე არ ვზრუნავ, მხოლოდ იმის მეშინია, შენ არაფერი მოგივიდეს. მე რომ მომკლან, ამით არაფერი შეიცვლება, მაგრამ შენ რომ რამე მოგივიდეს, მთელი უმმეთი დაიღუპება“. კაცობრიობის სიამაყემ ებუ ბექრს მიუგო: ***„არ მოიწყინო! უეჭველია, რომ ალლაჰი ჩვენთან არის“.***

მაგრამ ამით ებუ ბექრს მრელვარებამ არ გაუარა, მან თქვა:„ ალლაჰის შუამავალო, ერთმა მათგანმა თავი რომ დახაროს და შემოიხედოს, დაგვინახავენ“. შუამავალმა მას გაუმეორა: ***„ებუ ბექრ! არ მოიწყინო! ჩვენ თუ ორნი ვართ, მესამე ჩვენთან ალლაჰია.“*** რამდენიმე ხნის შემდეგ ურწმუნოები ისე წავიდნენ, რომ გამოქვაბულის შიგნით არც კი შეუხედავთ.

საყვარელი შუამავალი და ძვირფასი ებუ ბექრი გამოქვაბულში, სულ სამი დღე-ღამე დარჩნენ. კეთილშობილი ებუ ბექრის ვაჟი აბდულლაჰი, რასაც დღისით მათ შესახებ მექქაში გაიგებდა, ღამით გამოქვაბულში მიდიოდა და ამცნობდა, ხოლო ებუ ბაქრის მიერ განთავისუფლებული მონა ამირ ბინ ფუჰეირე კი ღამღამობით მათ რძეს უზიდავდა და უკან დაბრუნებისას კვალს შლიდა.

საყვარელი შუამავალი სევრის გამოქვაბულიდან მეოთხე დღეს გამოვიდა და აქლემზე შეჯდა.

იგი ყველაზე უძვირფასეს და დიდებულ ქალაქს, თავის სამშობლოს, წმინდა მექქას შორდებოდა. აქლემი ჰარემი შერიფისკენ მიატრიალა და, დამწუხრებულმა, ეს სიტყვები წარმოსთქვა: ***„ვფიცავ ალლაჰს! შენ უზენაესი ალლაჰის მიერ გაჩენილ ქალაქთაგან ყველაზე კარგი და მისთვის ყველაზე საყვარელი ხარ. შენგან რომ არ განვედევნეთ, არსად წავიდოდი. ჩემთვის შენზე ლამაზი და საყვარელი სამშობლო არ არსებობს. იძულებული რომ არ ვიყო, შენს გარდა სამშობლოდ, თავშესაფრად სხვა ადგილს არ ავირჩევდი“.***

ამ დროს მას ჯიბრილ ანგელოზი გამოეცხადა და ჰკითხა: „ალლაჰის შუამავალო, სამშობლო ძალიან გიყვარს? უკვე მოგენატრა?“ წმინდა შუამავალმა უპასუხა: ***„დიახ, მიყვარს“.*** შემდეგ ჯიბრილ ანგელოზმა სასიხარულო ამბავი აცნობა და წაუკითხა სურა „ყასასის“ 85-ე აიათი, რომლითაც გარკვეული დროის შემდეგ, ისევ მექქაში დაბრუნებას აუწყებდა. ასე დაამშვიდა ჯიბრილმა საყვარელი შუამავალი.

მოგზაურობა მშვიდობიანად გრძელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ წარმართები მას ყველგან ეძებდნენ, მის კვალს მაინც ვერ მიაგნეს, ვინაიდან ჭეშმარიტი ალლაჰი მათ ბოროტებისგან იცავდა. როცა ალლაჰის შუამავალმა ქუდეიდს მიაღწია, ხელგაშლილობით ცნობილი, ჭკვიანი, ნამუსიანი და პატიოსანი ქალბატონის, უმმუ მა’ბედის კარავის წინ შეჩერდნენ. ფინიკის ხურმისა და ხორცის ყიდვა უნდოდათ. თავად უმმუ მა’ბედი მოგვითხრობს: „ესენი რომ მქონოდა, კი არ მივყიდდი, არამედ გავუმასპინძლდებოდი. მაგრამ სიღარიბისა და საარსებო საშუალების უქონლობის გამო არაფერი მებადა. როცა მკითხეს, ***რძე თუ გაქვსო,*** ვუპასუხე, არა არ მაქვს აქლემები არ იწველება-მეთქი. შემდეგ კაცობრიობის სიამაყემ კარვის გვერდით მდგარი, გამხდარი ცხვრისკენ მიმანიშნა და მკითხა: ***„უმმუ მა’ბედ! ეს ცხვარი რატომ გყავს აქ დაბმული?“*** „ეგ ავდმყოფობის, სისუსტისა და უძლურების გამო ცხვრის ფარას ჩამორჩა.“ – ვუპასუხე. მან მკითხა: ***„ეს ცხვარი იწველება? ნებას დამრთავთ რომ მოვწველო?“*** მე მას ვუთხარი, რომ ცხვარს რძე არ ჰქონდა, თორემ მისი მოწველა, რა თმქა უნდა შიძლებოდა...“ ალლაჰის შუამავალი ცხვართან მივიდა, უზენაესი ალლაჰის სახელი ახსენა და შეევედრა. შემდეგ დალოცვილი ხელი ცხვარს ჯიქანზე მოუსვა, ჯიქანი მაშინვე რძით გაივსო და დენა დაიწყო. მაშინვე ჭურჭელი მოიტანეს და გაავსეს. ალლაჰის შუამავალმა ჭურჭელი, პირველ რიგში, უმმუ მა’ბედს გაუწოდა, მის შემდეგ რძე ებუ ბაქრმა და დანარჩენმა იქ მყოფებმაც გაძღომამდე დალიეს, ხოლო ბოლოს თვითონაც მიირთვა. შემდეგ ცხვრის ჯიქანს კიდევ ერთხელ მოუსვა ხელი, კარვიდან ყველაზე დიდი ჭურჭლის გამოტანა ითხოვა ისიც რძით გაავსო და უმმუ მა’ბედს ჩააბარა.

როდესაც სახლში უმმუ მა’ბედის მეუღლე დაბრუნდა და რძე

ნახა, ძალიან გაუხარდა. მან იკითხა: „ეს რძე საიდან გაჩნდა?" უმმუ მა'ბედმა მიუგო: „ვიღაც პიროვნება მოვიდა და ჩვენს ოჯახს პატივი დასდო, რასაც ხედავ ყველაფერი მის მიერ მოტანილი წყალობა და ბარაქაა". ასეთი პასუხით შეფიქრიანებულმა ქმარმა ცოლს ჰკითხა: „შეგიძლია, ის პიროვნება გარეგნულად აღწერო?"

უმმუ მა'ბედმა უპასუხა: „დიახ, შემიძლია. იმ დალოცვილ ადამიანს, რომლმაც ჩვენს ოჯახს პატივი დასდო, ლამაზი, მომღიმარი სახე ჰქონდა და თავაზიანად მოსაუბრე იყო. მის თვალებში ცოტაოდენი სიწითლე იგრძნობოდა, გრძელი წამწამები, შავი თვალები, შავი თმები და ხშირი წვერი ჰქონდა. როცა გაჩუმდებოდა, მასში დარბაისლობა და თავდაჭერილობა ისადგურებდა. ხოლო როცა ლაპარაკს იწყებდა იღიმებოდა, სიტყვები მარგალიტებივით სცვიოდა პირიდან. შორიდან მისი დანახვა ცოტა შიში მომგვრელი იყო, მაგრამ, როცა ახლოს მოვიდა, ძალიან ტკბილი სანდომიანი და თვალწარმტაცი ადამიანის შტაბეჭდილება დატოვა. მისი თანმხლებნი მისი თითოეული მოთხოვნის შესასრულებლად მთელი სულითა და გულით ისწრაფვოდნენ", გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა უმმუ მა'ბედმა ალლაჰის შუამავლის კიდევ ბევრი თვისება ჩამოთვალა. მეუღლემ, რომელიც მას დიდი გაკვირებით უსმენდა, თქვა; „ვფიცავ, ეს ის პიროვნებაა, რომელსაც ყურაიშები ეძებენ. მე, რომ ის მენახა, სიამოვნებით მოვემსახურებოდი და გვერდიდან არ მოვშორდებოდი". გადმოცემის მიხედვით ზემოთ ნახსენებმა ცხვარმა თვრამეტი წელი იცოცხლა. კაცობრიობის სიამაყის მიერ მოტანილი ბარაქით ეს ოჯახი კიდევ დიდხანს საზრდოობდა. უმმუ მა'ბედის მეუღლე ალლაჰის შუამავლის სანახავად წავიდა, მას რიმის ველზე შეხვდა და ისლამი მიიღო. უმმუ მა'ბედიც ასევე მუსლიმანი გახდა.

სურაქა ბინ მალიქ

წარმართები მედინადან წასულ წმიდა მუჰამმედსა და ებუ ბაქრს გამუდმებით ეძებდნენ. თუ ვერ იპოვიდნენ, მათ დიდი ხიფათი ემუქრებოდათ. რადგან ვარაუდობდნენ, რომ მუსლიმანები, სულ მოკლე ხანში, სახელმწიფოს ჩამოაყალიბებდნენ და მათ გა-

ნადგურებას შესძლებდნენ. ამის გამო წარმართებმა რაც ებადათ, ყველაფერი გამოიტანეს მას, ვინც შუამავალსა და ებუ ბექრს ან მოკლავდა ანაც ტყვედ აიყვანდა, 100 აქლემს, უამრავი ქონებასა და ფულს შეჰპირდნენ. ამ ამბავმა სურაქა ბინ მალიქისა და მუდლიჯისშვილების ყურამდეც მიაღწია. სურაქა ბინ მალიქს კვალის პოვნის სპეციალისტი იყო, ამიტომ ამ წინადადებით ძლიერ დაინტერესდა.

მუდლიჯისშვილები ერთ, სამშაბათ დღეს, სურაქა ბინ მალიქის უბანში, ქუდეიდში შეკრებილიყვნენ. შეკრებას თავად სურაქა ბინ მალიქიც ესწრებოდა. ამ დროს იქ ერთ-ერთი ყურაიშელი მივიდა და სურაქას უთხრა„ „სურაქა! გეფიცები, ცოტა ხნის წინ ნაპირისკენ მიმავალ, სამი ადამიანს მოვკარი თვალი. ისინი როგორც ჩანს, მუჰამმედი და მისი საჰაბეები უნდა იყვნენ“. სურაქა საქმის ვითარებას მაშინვე მიხვდა, მაგრამ იმის გამო, ჯილდო მხოლოდ თავისთვის უნდოდა, საქმის გაკეტებაც მარტომ ისურვა. ამიტომ არ უნდოდა ალლაჰის წმინდა შუამავლის ადგილსამყოფლის ადგილი ვინმეს ცოდნოდა. ამიტომ ყურაიშელის ნათქვამს, თითქოსდა, ყურადღებაც არ მიაქცია.

სურაქა ბინ მალიქი ცოტა ხნის შემდეგ მალულად სახლში დაბრუნდა, მსახურს ცხენისა და ხმლის მომზადება, ველის უკანა მხარეს გასვლა და დალოდება უბრძანა. თვითონ კი შუბი აიღო, მასზე არეკლილ მზის სხივებს ვინმეს ყურადღება რომ არ მიეპყრო, მიწისკენ დახარა და ცხენი გააჭენა. ბოლოსდაბოლოს შუამავლისა და აბუ ბაქრის კვალს მიაგნო და მათ ისე მიუახლოვდა, რომ უკვე ერთმანეთის დანახვაც შეეძლოთ. უფრო მეტიც, სურაქას შუამავლის მიერ წმიდა ყურანის კითხვაც ესმოდა, მაგრამ ალლაჰის კეთილშობილი შუამავალი უკან არ იხედებოდა. როცა ძვირფასმა ებუ ბექრმა უკან მიიხედა და სურაქა დაინახა, შეშფოთდა. საყვარელ შუამავალმა მას იგივე უთხრა, რაც გამოქვაბულში: ***„ნუ სწუხხარ, უზენაესი ალლაჰი ჩვენთან არს“.***

ბუჰარის გადმოცემის მიხედვით, როცა ებუ ბექრმა შუამავალს ცხენოსნის მოახლოების შესახებ ამცნო, კაცობრიობის სიამაყე უზენაეს ალლაჰს ასე შეავედრა: ***„უდიდესო, გამჩენო, ჩამოაგდე ის***

ძირს!“ სხვა გადმოცემის მიხედვით, როცა სურაქა მათ მიუახლოვდა, ებუ ბაქრს ტირილი დაუწყია. შუამავალის კითხვაზე, რატომ ტირიხარო მეგობარს უპასუხია: „გეფიცები ჩემთვის კი არა, შენთვის ვტირი, მეშინია, რაიმე ზიანი არ მოგაყენოს“.

სურაქა იმდენად მიაუხლოვდა შუამავალს, რომ თავდასხმა უკვე შეეძლო. მან შუამავალს შესძახა; ***„დღეს ვინ დაგიფარავს ჩემგან?“ „უზენაესი ალლაჰი დამიცავს“*** – უპასუხა უკეთილშობილესმა მუჰამმედმა. ამ დროს სუაქას ცხენი წინა ფეხებით, მუხლებამდე, მიწაში ჩაეფლო. სუაქამ ცხენის გადასარჩენად ბევრი იზრუნა, მაგრამ ამაოდ. მას მეტის არაფრის გაკეთება შეეძლო. უსაშველოდ დარჩენილმა სურაქამ ხვეწნა-მუდარა დაუწყო წყალობითა და გულისხმიერებით სავსე წმინდა შუამავალს. სურაქამ მას ასე მიმართა: „შეეევედრე, მუჰამმედ! გავიგე რომ უზენაესის ძალით ნამდვილად დაცული ხარ. შეევედრე ალლაჰს და გადამარჩინე. ამის შემდეგ ზიანს არასოდეს მოგაყენებ, ვინც გეძებს, შენს შესახებ იმათაც არაფერს ვეტყვი“. კაცობრიობის სიამაყე ალლაჰს შეავედრა; ***„უდიდესო გამჩენო, თუ ის ამ სიტყვებს წრფელი გულით ამბობს, გადაარჩინე მისი ცხენი“*** ისმინა უზენაესმა ალლაჰმა წმინდა შუამავლის ვედრება და ცხოველი უეჭველი სიკვდილისგან იხსნა.

იქიდან, სადაც ცხენს ფეხები ჰქონდა ჩაფლული, ზეცისკენ ამაღლებული კვამლი ავიდა, რომელსაც სურაქა გაოგნებული შესცქეროდა. ამით იგი მიხვდა, რომ დალოცვილი მუჰამმედ შუამავალი უზენაესი ალლაჰისგან იყო დაცული. გარდა ამისა, კიდევ ბევრი რამის მომსწრე გახდა სურაქა. ბოლოს შუამავალს ასეთი სიტყვა მისცა: „მუჰამმედ! მე სურაქა ბინ მალიქი ვარ, ჩემში არასდროს დაეჭვდე, სიტყვას გაძლევ, რომ ამის შემდეგ შენ მოუწონარ საქმეს აღარ გავაკეთებ. შენი ხალხი შენ და შენი მეგობრების დამჭერს ძალიან დიდი ჯილდოს შეჰპირდნენ“. გარდა ამისა ყურაიშების გეგმების შესახებ ყველაფერი დაწვრილებით მოუყვა. ამასთან ერთად, სურაქამ წმიდა შუამავალს შეჭამანდი და აქლემი შესთავაზა, მაგრამ საყვარელი შუამავალი მას არ დაეთანხმა და უთხრა: ***„სურაქა! სანამ ისლამს არ იწამებ, მანამდე შენი არც აქლემი მინდა და არც ცხენი. ახლა ჩემთვის ისიც საკმარისია, რომ ჩემი ნახვის ამბავი არ გაახმაურო“.***

იბნი სა'დი გადმოგვცემს: „როცა სურაქამ შუამავალს უთხრა, მიბრძანე რაც გნებავსო, შუამავალმა უთხრა: ***„ქალაქში დაბრუნდი და არავის მისცე იმის საშუალება, რომ ჩვენ დაგვეწიოს“.***

რასაც უზენაესი ალლაჰი ისურვებს, ის აუცილებლად მოხდება. ამიტომაც წმინდა შუამავალის მოკვლის, საამისოდ დიდი ჯილდოს მოპოვების, უსაზღვროდ ძლიერი სურვილით შეპყრობილი, და გზას დამდგარი სურაქა მომხდარის შემდეგ უკვე გულღია, სასიამოვნო, დამყოლ და მორჩილ ბავშვს ჰგავდა. იმისათვის რომ წმინდა შუამავალს ცუდი არაფერი მოსვლოდა, უზენაესმა ალლაჰმა,რომელსაც ყველაფრის ზალა შესწევს, სურაქას ბოროტი გული, სიკეთით აღსავსედ აქცია. რაღა თქმა უნდა, უზენაესი ალლაჰი თავის საყვარელ შუამავალს დახმარების გარეშე, მარტოდ არ დატოვებდა. ვინაიდან ის, კაცობრიობის წყალობად, ადამიანებისთვის ამქვეყნიური და საიქიო ბედნიერების მოსაპოვებლად მოვლენილი შუამავალი იყო.

ამის შემდეგ სურაქა უკან დაბრუნდა და რაც თავს გადახდა საიდუმლოდ შეინახა.

გიხაროდეთ! გიხაროდეთ! ქვეყნიერების სულთანი მოდის!...

წმინდა შუამავალი, კეთილშობილი ებუ ბექრი, ამრ ბინ ფუჰეირე და მათი გიდი, აბდულლაჰ ბინ ურეიქითი, (ჰიჯრეთის პირველ წელს, ორშაბათ, 8 რებიულ ევველს (ჩვენი წელთაღრიცხვის მიხედვით 622 წლის 20 სექტემბერს) ნაშუადღევს სოფელს "ქუბაში" მივიდნენ. დღეს ეს თარიღი მულიმანური წელთაღრიცხვის ახალ წლად აღინიშნება. ისინი ქულსუმ ბინ ჰიდმის სალში დაბინავდნენ. აქ ქუბას ველზე, პირველი მეჩეთი ააგეს, პირველი ჯუმა ილოცეს და პირველი ხუთბე (ქადაგება) წაიკითხეს. ქუბას მეჩეთის შესახებ წმინდა ყურანში, სურას თევბეს 108-ე აიათში ასეა ნატქვამი: ***„ღვთისმოსაობით საძირკველჩაყრილი მეჩეთი.“***

მექქაში დარჩენილი ძვირფასი ალი, ქააბაში, ალლაჰის შუამავლის საყვარელ ადგილზე იჯდა და აცხადებდა, ვისაც ამანათი შუამავალზე გქონდათ მიბარებული მოდით და წაიღეთო. ყველა მოდიოდა, თავიანთი ამანათის სახეობასა და რაოდენობას ამბობდ-

ნენ და მიჰქონდათ. ამგვარად კეთილშობილმა ალიმ ამანათები მეპატრონეებს უსრულად გადასცა.

საჰაბეები, რომლებიც მედინაში ვერ წავიდნენ, კეთილშობილ ალის მიეკედლნენ. სანამ ალლაჰის შუამავალი მედინაში კარგად მოეწყობოდა, მანამდე კეთილშობილი ალი მექქაში დარჩა.

ალლაჰის ლომი, კეთილშობილი ალი, ერთ დღეს, მივიდა იქ სადაც ყურაიში ურწმუნოები იყვნენ შეკრებილნი და მათ განუცხადა; „უზენაესი ალლაჰის ნებით, ხვალ მედინაში მივდივარ. თუ რაიმე პრეტენზია გაქვთ, თქვით, სანამ აქ ვარ?“ ყველამ თავები დახარა და ვერაფერი თქვა. როცა გათენდა კეთილშობილმა ალიმ საყვარელი შუამავლის პირადი ნივთები აიღო და ეჰლი ბეითთან (შუამავალის მუჰამმედის ოჯახის წევრები) და საკუთარ ნათესავებთან ერთად მედინას გზას გაუდგა. დღისით იმალებოდნენ, ხოლო ღამით კი გზას აგრძელებდნენ. ბოლოს იმდენად გაუჭირდათ სიარული, რომ შეშფოთდნენ, ვაი, თუ შუამავალთან ვეღარ მივაღწიოთო. როცა ამის შესახებ წმინდა შუამავალმა გაიგო, მათ თვითონ შეეგება. როცა კეთილშობილი ალი ასეთ დღეში ნახა, ძალიან შეეცოდა. საყვარელ, ერთგულ და უანგარო ბიძაშვილს მოეხვია. დალოცვილი ხელებით, წმინდა გზაზე ათასნაირ სირთულეებს გამოვლილ, ნატიფ, ნაზ ფეხებზე მოეფერა და მათთვის ვედრება აღავლინა. უფრო მეტიც, კეთილშობილი ალის ამ უდიდესი ერთგულების შესახებ სურა ბაყარას 207-ე აიათი ზეგარდმოევლინა. აიათის მნიშვნელობა ასეთია: ***„არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც უზენაესი ალლაჰის გულისთვის თავს გასწირავენ“.***

უფრო ადრე მედინაში ემიგრირებულმა ესჰაბი ქირამმა და მედინელმა მუსლიმანებმა ქვეყნიერების სულთნის მექქადან წამოსვლის შესახებ რომ გაიგეს, უდიდესი სიხარულითა და მღელვარებით მის მობრძანებას ელოდნენ. მათ წმინდა მედინას შემოგარენში მეთვალყურეები დააყენეს, რადგან, როცა ალლაჰის შუამავალი ქალაქს მოუახლოვდებოდა, მას შეჰგებებოდნენ. ერთი სული ჰქონდათ, როდის ეწვეოდა მედინას საყვარელი შუამავალი. მისი სიყვარულით იწვოდნენ, გახურებულ უდაბნოში წყლის ნატვრის მსგავსად თვალები ზეცის კაბადონს ჰქონდათ მიპყრობილი. ბოლოსდაბო-

ლოს ხმა მოესმათ: „მობრძანდებიან!... მობრძანდებიან!...“ ყველა ცხელ უდაბნოს გასცქეროდა. დაინახეს როგორ მოიწევდნენ ისინი გახურებულ უდაბნოში, მიუხედავად მზის მწველი სიცხისა. მომლოდინე ხალხი უსაზღვრო სიხარულით ერთმანეთს შესძახოდნენ; „გიხაროდეთ!... გიხაროდეთ!... ჩვენი შუამავალი მობრძანდება!.. გაიხარეთ მედინელებო, იმხიარულეთ “ჰაბიბულლაჰი” ალლაჰის საყვარელი შუამავალი მობრძანდება!... ჩვენი გვირგვინი მობრძანდება!..“. ეს ამბავი სულ მალე მედინას ქუჩებში გაჟღერდა. ყველა დიდი თუ პატარა, ჯანმრთელი თუ სნეული ამ შეუდარებელ ამბავს სიხარულით ელოდა. მედინელებმა ყველაზე ლამაზი ტანსაცმელი ჩაიცვეს და, საჩქაროდ, ქვეყნიერების ბატონის შესაგებებლად გაიქცნენ. ალლაჰის სადიდებელი ხმები ზეცას აჟღერებდა, სიხარულისგან ცრემლები ნიაღვარივით მოსდიოდათ. მედინა ისტორიულად ყველაზე ბედნიერ დღეს ზეიმობდა. ერთ კუთხეს ყველას მხრივ სანდოდ ცნობილი, უზენაესი ალლაჰის საყვარელი შუამავლის მოსაკლავად ჯილდოს შეპირებულნი, ხოლო მეორე კუთხეს კი შუამავლისა და თავისი მეგობრების დამცველნი, გულში ჩასაკრავად და მათი გულისთვის სიცოცხლის დაუზოგავნი იყვნენ.

მედინელებს ერთი სული ჰქონდათ, როდის ნახავდნენ საყვარელი შუამავლის გაბრწყინებულ სახეს. მედინას თავის არსებობის მანძილზე ასეთი ბედნიერებითა და სიხარულით აღსავსე დღე არასოდეს ჰქონია. ამ შეუდარებელ ზეიმს მედინელი ბავშვები და ქალები ხოტბებში გამოხატავდნენ.

ნათელმა მთვარემ ამოანათა,
გაბრწყინდა ვედას დაბლობი.
მადლობა შენდა ღმერთო მაღალო,
რომ გვიწყალობე მნათობი.

შენ ხარ მზე ჩვენი და შენ ხარ მთვარე,
ბრწყინვალე მანათობელი.
სხივი ხარ ჩვენთა სულთა გამთბობი,
უფლისა მახარობელი.

„კეთილი იყოს შენი მობრძანება ალლაჰის შუამავალო!“ ეუბნებოდნენ ისინი და თითოეული იმის სურვილით იწვოდა, რომ კაცობრიობის სიამაყე მის ოჯახში მისულიყო. ზოგიერთი მედინელი გავლენიანი პირი აქლემის ავშარაზე ექაჩებოდნენ და შუამავალო, ჩემთან მობრძანდიო, ევედრებოდნენ. შუამავალმა მათ ასე მიმართა: ***„გაუშვით ავშარას ხელი. ვისი სახლის წინაც აქლემი ჩაიჩოქება, მისი სტუმარი ვიქნებიო“.*** უცებ ყველა რაღაცნაირმა, დიდმა ენთუზიაზმმა და ინტერესმა შეიპყრო. მედინელები ფიქრობდნენ: „ნეტავი აქლემი სად დაიჩოქებს“. თითოეულ სახლთან გავლისას ოჯახის უფროსი ეხვეწებოდა, ჩემთან მობრძანდიო. საყვარელი შუამავალი მათ უღიმოდა და ეუბნებოდა, ***აქლემს გზა გაუხსენით, მას ნაბრძანები აქვს, სად უნდა ჩაიჩოქოსო.*** აქლემმა სახელად ქუსვამ, როგორც იქნა დღევანდელი მესჯიდი შერიფის კარის ადგილზე ჩაიჩოქა. (მაშინ იქ, ჯერ მეჩეთი არ იყო აშენებული). წმინდა შუამავალი აქლემიდან არ ჩამოვიდა, რადგან ცხოველი მაშინვე ფეხზე წამოდგა და გზა განაგრძო. ბოლოს ისევ იქ მივიდა, სადაც პირველად ჩაიჩოქა, ისევ ჩაიმუხლა და აღარ ამდგარა. ამის შემდეგ საყვარელი შუამავალი აქლემიდან ჩამოვიდა და თქვა: „ღვთის ნება სურვილით ეს არის ჩვენი სახლი“ – შემდეგ იკითხა, ეს ადგილი ვისიაო, იქ მყოფთ მიუგეს: ***„ალლაჰის შუამავალო ეგ ამირის შვილების, სუჰეილისა და სეჰლის არის“.*** ეს ბავშვები ობლები იყვნენ. შემდეგ შუამავალმა იკითხა; ***„ჩვენ ნათესავთაგან ვისი სახლია ყველაზე უფრო ახლოს?“*** ვინაიდან შუამავლის ბაბუა აბდულ მუტტალიბის დედა ნეჯჯარის შვილეთაგანი იყო, ჰადილ ბინ ზეიდ ებუ ეიუბელ ენსარმა უდიდესი სიხარულითა და აღფრთოვანებით თქვა, ჩემი სახლი ყველაზე უფრო ახლოს არისო. ამის შემდეგ აქლემს ტვირთი ჩამოხსნა და საყვარელი შუამავალი მიიპატიჟა.

მედინელი მუსლიმანები და ემიგრანტები (მუჰაჯირები) საყვარელი შუამავლის მედინაში გადმოსახლების გამო ძალიან გახარებულნიიყვნენ.

შუქმოფენილი მედინას ხანა

საყვარელი შუამავალის მისიის მეცამეტე წელს, ჰიჯრის კალენდრის მიხედვით 12 რებიულევველს (ჩვენ წელთაღრიცხვით 622 წელს) მედინაში ემიგრაციით, დაიწყო ალლაჰის წმინდა შუამავლის სხივმოფენილ მედინაში ცხოვრების ათწლიანი პერიოდი.

როდესაც საყვარელი შუამავალი ჰალიდ ბინ ზეიდ ებუ ეიუბელ ენსარის სახლში მიბრძანდა, ქვედა სართულზე დაბინავება ირჩია. ამგვარად, ეს პიროვნება დალოცვილი შუამავლის სტუმრობითა იქნა ამაღლებული.

ძვირფასი ჰალიდი მოგვითხრობს; „როცა ალლაჰის შუამავალმა თავისი სტუმრობით ოჯახს უდიდესი პატივი დასდო, ქვედა სართულზე დაბინავება ირჩია. ჩვენ კი ზედა სართულზე ვცხოვრობდით და ამის გამო ძალაინ შეწუხებული ვიყავით. ერთ დღესაც ვთხოვე; „დედ-მამა გენაცვალოს ალლაჰის შუამავალო! არა ვარ კმაყოფილი როცა მე ზედა სართულზე, ხოლო შენ ქვედა სართულზე ცხოვრობ. არ მომწონს და ძალიან ვწუხვარ ამის გამო. რა მოხდება, თქვენო აღმატებულებავ, ნება დამრთოთ, რომ ქვემოთ ჩამოვიდე, ტქვენ კი ზედა სართულზე იცხოვროთ?“ შუამავალმა მიპასუხა: ***„ებაა ეიუბელ ენსარ, სახლის ქვედა სართულზე ცხოვრება ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია“*** ის ფიქრობდა რომ მოსულ სტუმრებს ასე უფრო თავისუფლად მიიღებდა და გაესაუბრებოდა. ამიტომაც ჩვენ სახლის ზედა სართულზე დავრჩით.

ერთ დღეს წყლის ჭურჭელი გაგვიტყდა. დაღვრილი წყალი საყვარელ შუამავალს რომ არ დაწვეთებოდა და არ შეწუხებულიყო, ამისათვის,მე და ჩემმა მეუღლემ ხავერდის საბანი, რომლის მეტი არ გვებადა, ავიღეთ და ძირს დაღვრილ წყალს დავაფარეთ“.

ებაა ეიუბელ ენსარი ისევ ძალიან წუხდა, რომ ის ზედა სართულზე ცხოვრობდა, ბოლოსდაბოლოს, როგორც იქნა, დაითანხმა შუამავალი და ისიც მეორე სართულზე გადავიდა საცხოვრებლად, ხოლო ერთგული ანსარი პირველ სართულზე ჩავიდა. ებაა ეიუბელ ენსარი გადმოგვცემს: „ყოველ საღამოს ალლაჰის შუამავალს საჭ-

მელს ვუმზადებდით და ვუგზავნიდით. მონარჩენს უკან გვიგზავნიდა. მე და ჩემი მეუღლე უკან გამოგზავნილ კერძში შუამავლის მიერ შეხებულ ადგილებს ვეძებდით, სიამოვნებით მივირთმევდით და მისი სიუხვით ვტკბებოდით. ერთ საღამოსაც, როცა ხახვიანი და ნივრიანი კერძი მოვამზადეთ და გავუგზავნეთ, საყვარელმა ალლაჰის შუამავალმა უკან გამოგვიგზავნა. მასში მისი თითების კვალი რომ ვერ ვიპოვე, ვიყვირე, მასთან გავიქეცი და ვკითხე: „ალლაჰის შუამავალო! ჩემი მშობლები გენაცვალოს! თქვენ წუხელ შეჭამადი უკან მოგვიბრუნეთ, მაგრამ მასში შენი მადლმოსილი ხელის კვალი ვერ დავინახეთ. მანამდე მე და ჩემი მეუღლე შენ მიერ უკან გამოგზავნილ საჭმელში შენი მადლმოსლი ხელის კვალს ვპოულობდით და სიამოვნებით მივირთმევდით“. საყვარელმა შუამავალმა მიპასუხა: ***„საჭმელში ხახვისა და ნივრის სუნი ვიგრძენი და რადგანაც ანგელოზს ვესუბრებოდი, ამის გამო არ მივირთვი“.*** ვკითხე: „ასე შეკმაზული საჭმლის ჭამა აკრძალულია?“ მან მიპასუხა: ***არა თქვენ ის მიირთვით, მე მისი სუნი არ მომეწონა და ამიტომ არ მივირთვიო.*** „მაშ თუ ეგრეა, რაც თქვენ არ მოგწონთ, ის არც ჩვენ მოგვწონს“ – ვუთხარი მას. ამის შემდეგ ოჯახში ნივრისა და ხახვისგან კერძი არასდროს მოგვიმზადებია.

ერთხელ, ალლაჰის შუამავლისა და ძვირფასი ებუ ბექირისთვის საკმარისი კერძი მოვამზადეთ და მივუტანეთ. ალლაჰის შუამავალმა მითხრა; ***„ება ეიუბ! ენსართაგან ოცდაათი კაცი დაპატიჟე ვახშამზე!“*** ვიფიქრე ასე ცოტა საჭმელი შუამავალს ბევრად ხომ არ მოეჩვენა-მეთქი, ამგვარ ფიქრებში გართულს სამყაროს სიამაყემ შემახსენა: ***„ენსართაგან ოცდაათი კაცი დაპატიჟე ვახსამზე!“*** მეც ასე მოვიქეცი, როდესაც მოვიდნენ და ყველა დანაყრდა მერე მივხვდი, რომ აქ სასწაულს ჰქონდა ადგილი. ამიტომაც მოსულ სტუმრებს რწმენა განუმტკიცდათ შუამავალს კიდევ ერთხელ მისცეს ერთგულების პირობა და წავიდნენ.

შემდეგ, სამოცი კაცი დაპატიჟეო, მიბრძანა. მე უკვე მივხვდი, რომ ეს ყველაფერი სასწაული იყო და სამოცი კაცი დიდი სიხარულით მოვიწვიე ვახშამზე. მოვიდნენ, მიირთვეს და ყველა დანაყრებული წავიდა სახლში.

თითოეული მათგანი ამტკიცებდა, რომ ალლაჰის შუამავალს სასწაულების მოხდენის უნარი ჰქონდა. ამის შემდეგ ოთხმოცდაათი კაცის დაპატიჟება დამავალა. დავალება შევასრულე. შუმავლის განკარგულებით სუფრასთან ათ-ათი კაცი დაჯდა. მათ ვახშამი მიირთვეს და ყველა მათგანი ამ სასწაულის მხილველი გახდა. საჭმელი კი რამდენიც მივიტანე, ისევ იმდენი იყო, თითქოსდა ხელიც არავის ეხლო.

ენსართა და მუჰაჯირთა ძმობა

საყვარელ შუამავალმა შუქმოფენილ მედინაში უფრო მჭიდრო ურთიერთობის ჩამოყალიბებისათვის ემიგრირებული მუჰაჯირები და თავშესაფრის უზრუნველმყოფი, მედინელი ენსარები ძმებად გამოაცხადა. ძვირფასი ალი ყველაზე ბოლოს დარჩა, ეგონა, მე დამივიწყაო და ჰკითხა: „ალლაჰის შუამავალო მე დაგავიწყდით?“ კაცობრიობის სიამაყემ მიუგო: ***„შენ ჩემი ძმა ხარ როგორც ამ ქვეყნად, ასევე საიქიოშიც“.*** ეს ერთობა მატერიალური და სულიერი ძმობის საფუძველს ეყრდნობოდა. ამგვარად, მუჰაჯირებში სამშობლოს, კერისა და ნათესავებისგან განშორების მწუხარება ნაწილობრივად მაინც იქნებოდა დაძლეული. მედინელმა მუსლიმანებმა უზენაესი ალლაჰის რჯულით ცხოვრებისათვისა და ისლამის გავრცელებისათვის სამშობლოდან გადმოხვეწილი მუჰაჯირი ძმები წრფელი გულით, ოჯახებში მიიპატიჟეს, მათი ყოველმხრივი დახმარებისათვის მთელი სულითა და გულით ზრუნავდნენ. ამ ძმობის ჩამოყალიბებით, ერთმანეტს უფრო მტკიცედ, მთელი სულითა და გულით ჩაჰკიდეს ხელები. ალლაჰის საყვარელ შუამავალმა ყოველი მუჰაჯირი მისი ხასიათის შესაფერის ენსარს დაუძმობილა. ეს ძმობა იმდენად მტკიცე იყო, რომ მუჰაჯირებზე მემკვიდრეობით დარჩენილი ქონების გადაცემასაც ითვალისწინებდა.

ყოველი მედინელი, ყველაფერი რაც გააჩნდა, მიწის ნაკვეთებს, ბაღ-ვენახებს, ოჯახსა და ქონებას... ორად ჰყოფდნენ. ამგვარად ყველაფერს თავიანთ მუჰაჯირ ძმებს უნაწილებდნენ. მუჰაჯირთაგან აბდურრაჰმან ბინ ავფი მოგითხრობს: „როდესაც შუქმოფენილ მედინაში გადავედით, ალლლაჰის შუამავალმა მე და სა’დ ბინ

რები ძმებად გამოგვაცხადა. ამის შემდეგ სა'დმა მითხრა: „ჩემო ძმაო, აბდურრაჰმან! მე სხვა მედინელებთან შედარებით უფრო მდიდარი ვარ, ამიტომ ქონება ორად გავანაწილე და ნახევარი შენ მოგაკუთვნე". მე ვუპასუხე: „უზენაესმა ალლაჰმა შენი ქონება მშვიდობაში მოგახმაროს, მე ქონება არ მჭირდება, ბაზრის გზა მაჩვენე და ჩემთვის ეს საკმარისი იქნება.

ასეთი ერთგულება მხოლოდ მუსლიმანთა სულიერი ძმობით იქნებოდა შესაძლებელი. წმიდა ადამიდან მოყოლებული დღემდე უამრავ ემიგრაციას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ასეთი მნიშვნელობის მქონე და დიდსულოვანი ემიგრაცია (ჰიჯრეთი), გადმოსახლებულთა და ადგილობრივ მაცხოვრებელთა შორის ასეთი ლამაზი, მოსიყვარულე დამოკიდებულება არასოდეს ყოფილა. უზენაესი ალლაჰი წმინდა ყურანის სურა „ჰუჯურათის" მე-10 აიათში ბრძანებს: ***„მორწმუნეები მხოლოდ ერთმანეთის ძმები არიან".*** ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ნამდვილი სიყვარული და ერთგულება არა მატერიალური ინტერესით, არამედ გულწრფელი რწმენით არის შესაძლებელი. საკმარისი იყო ალლაჰის შუამავალს მხოლოდ ერთხელ ესაუბრა, რომ საჰაბეებს ერთმანეთის მიმართ მაშინვე ასეთი კეთილი გაწყობისა უჩნდებოდათ. საყვარელი შუამავლის მადლმოსილი გულიდან გადმოსული,მოჩუხჩუხე ნაკადულის მსგავსი წყალობა და გულუხვობა პირდაპირ თანამიმდევართა გულებში მიედინებოდა. ამის შედეგად კი მათ არნახული თავგანწირვით უყვარდებოდათ ერთმანეთი და სულიერი ძმები საკუთარ თავს ერჩივნათ.

ენსარებმა და მუჰაჯირებმა ისლამის ახალ ცენტრში, მთელი სულითა და გულით, ხელიხელჩაკიდებულებმა ისლამის გასაძლიერებლად, თავგანწირვისა და შეჰიდად დაცემის პატივის მისაღწევად პირობა დადეს. ამგვარად წმინდა შუამავლის გარშემო შემოიკრიბნენ და ისლამის საფუძვლებზე დაყრდნობით, ახალ წყობილებასა და ცხოვრებას აგებდნენ. უკვე ამ დღიდან ისლამმა ***„სახელმწიფოებრობისკენ"*** პირველი ნაბიჯი გადადგა. შუქმოფენილი მედინა კი ისლამის რელიგიის აკვნად და ცენტრად ყალიბდებოდა.

მედინაში გარდა მუსლიმებისა, კერპთაყვანისმცემელი წარმარ-

თები, ქრისტიანები და იუდეველები ცხოვრობდნენ. იუდეველები, ბენი ქაინუქას, ბენი ქურეიზას, და ბენი ნადრის სახით სამ ტომს შეადგენდნენ. ესენი ისლამისა და, განსაკუთრებით, საყვარელი შუამავლის სასტიკი მტრები იყვნენ.

მექქელი წარმართები მედინაში ერთმანეთის მიმართ მუსლიმანთა ძმურ დამოკიდებულებაში დიდ საფრთხეს ხედავდნენ. მათ იცოდნენ, რომ თუ მოკლე დროში ამ საქმეს ბოლოს ვერ მოუღებდნენ, მუსლიმანები გაძლიერდებოდნენ და მექქას თავს დაესხმებოდნენ, მიტოვებულ მიწა-წყლებს, ოჯახებს, სამშობლოს დაიბრუნებდნენ. ასეთი ფიქრებით შეწუხებული მექქელი წარმართებისგან, მედინელ მუსლიმანებს მუქარის წერილები მოსდიოდათ. ამ წერილთაგან ერთ-ერთში ეწერა: „ეჭვგარეშეა, რომ ისეთი მტრული დამოკიდებულება, როგორიც თქვენ მიმართ გვაქვს, არცერთი არაბი ტომის მიმართ არ გვქონია. ვინაიდან ჩვენი კუთხის ადამიანს, რომელიც ჩვენთვის უნდა გადმოგეცათ, გული გადაუშალეთ, ყოველგვარი დახმარება გაუწიეთ და შეიფარეთ. ეს თქვენი დიდი დანაშაულია. გთხოვთ, ჩვენ საქმეში ნუ ჩაერევით და ის ადამიანი ჩვენვე დაგვიბრუნეთ. თუ მას კარგი მომავალი ექნება, ყველაზე მეტად ჩვენ გაგვიხარდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი გამოსწორებაც ჩვენი ვალია”

ამ წერილს ძვირფასმა ქა’ბ ბინ მალიქმა ლამაზი პასუხი გასცა.

მექქელმა ურწმუნოებმა მედინელ წარმართებსაც ანალოგიური მუქარის წერილი გაუგზავნეს. მათაც შეუთვალეს: “თუ ჩვენ კუთხის პიროვნებას ქალაქიდან არ განდევნით, ან არ მოკლავთ ყველას გადაგივლით და გაგწყვიტავთ. ქალებს კი მხევლებად წამოვიყვანთ”.

ამ წერილის შემდეგ, მედინელი წარმართები აბდულლაჰ ბინ უბეის გარშემო შეიკრიბნენ და გადაწყვეტეს, რომ ხელსაყრელ მომენტში ალლაჰის შუამავლის ლიკვიდაცია მოეხდინათ.

როცა ამის შესახებ მუსლიმანებმა შეიტყვეს, საყვარელი შუამავლის დასაცავად ყოვლგვარ ძალისხმევა მიმართეს და მის გარშემო შემოიკრიბნენ. ღამით ქუჩაში ვერ გადიოდნენ და საკუთარ

ოჯახებში ვერ იძინებდნენ. საჰაბეები იარაღასხმულნი ალლაჰის შუამავალს დილამდე დარაჯობდნენ. უბეი ბინ ქა'ბი მოგვითხრობს: „როცა ალლაჰის შუამავალი და საჰაბეები მედინაში ჩავიდნენ, მუსლიმანები წარმართი არაბი ტომების მტრობის სამიზნე გახდნენ".

საჰაბეები ერთ სხეულად ჩამოყალიბდნენ, რაიმე საფრთხის დროს მთელი ძალებით ერთმანეთის დასახმარებლად გარბოდნენ, მათთვის ყველაზე წინა პლანზე წმინდა შუამავალი იდგა. ალლაჰის საყვარელი შუამავალი, დანარჩენ თვისებებთან ერთად გამბედაობაშიც საჰაბეებს შორის ყველაზე წინ იდგა. თუ ღამით ვინმეს ყვირილის ხმას გაიგონებდა, სხვებზე ადრე ცხენით ელვის სისწრაფით იქ გაჩნდებოდა. ვითარებას გაარკვევდა და ესჰაბს აცნობებდა, რომ სახიფათო არაფერი იყო.

მესჯიდი ნებევი

წმინდა შუამავლის მედინაში ჩაბრძანების დღიდან პირველი საქმე, ეჰსაბის აღზრდა და ერთობლივი ძალებით (ჯამაათით) ნამაზის სალოცავი მეჩეთის აგება იყო. ამჯერადაც ნას ანგელოზი ჯიბრილი გამოეცხადა და ამცნო: „ალლაჰის შუამავალო! უზენაესი ალლაჰი თავისთვის ქვისა და აგურისაგან სახლის (მეჩეთის) აშენებას გიბრძანებს" ალლაჰის საყვარელმა შუამავალმა მეჩეთის ასაშენებლად, მაშინვე იმ ადგილის ყიდვა გადაწყვიტა, სადაც მედინაში შემოსვლისას მისმა აქლემმა პირველად ჩაიჩოქა. ამ ადგილის მეპატრონეებს ძალიან უნდოდათ, რომ მისთვის ეს მიწა ეჩუქებინათ. მათ კაცობრიობის სიამაყეს თხოვეს: ***„ალლაჰის შუამავალო! ჩვენ მის საფასურს მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰისგან ავიღებთ. ხოლო თქვენ იმ მიწას ალლაჰის გულისთვის გაჩუქებთ".*** წმინდა შუამავალმა მათ არ დაეთანხმა და მიწის საფასური გადაუხადა.

ერთის მხრივ მიწის მოსწორებაზე მიმდინარეობდა მუშაობა, მეორე მხრივ კი ქვასა და აგურს ამზადებდნენ. საძირკველის პირველი ქვა ალლაჰის საყვარელმა შუამავალმა თავისი მადლმოსილი ხელებით დადო. შემდეგ კი ბრძანა, რომ თანმიმდევრობით ებუ ბექრს, ომარს, ოსმანსა და ალის ქვები მის მიერ დადებული ქვის

გვერდით დაეწყოთ. როდესაც ეს დავალება შესრულებული იქნა, შემდეგ ესჰაბი ქირამს უბრძანა, საძირკველში ქვები თქვენც ჩადეთო.

მეჩეთის მშენებლობაზე, თავად შუამავლის ჩათვლით, ყველა საჰაბე შეუჩერებლად და გულმოდგინედ მუშაობდა.. საყვარელი შუამავალი მადლმოსილი ზურგით ქვებსა და აგურებს ეზიდებოდა. ქვებით საძირკველი მეტრნახევრით აამაღლეს და ზემოდან აგურით შეკრეს. ერთხელაც, ალლაჰის საყვარელი შუამავალი ზურგით აგურს ეზიდებოდა, ესჰაბთაგან ერთ-ერთი მასთან მივიდა და დიდი მოკრძალებით თხოვა: „ალლაჰის შუამავალო, ნება მომეცით აგური მე ვზიდო“. საყვარელმა მუჰამმედ შუამავალმა უფრო მეტი თავაზიანობით მიუგო: „მე უფრო მეტი მადლის მოგება მჭირდება,“ და აგური არ მისცა.

მესჯიდი ნებევის (შუამავალის მეჩეთის) აშენებაში ყველაზე მეტი წვლილი თავად შუამავალმა შეიტანა. ის, ყველაზე მძიმე ქვებს აიღებდა და ოსტატებთან მიჰქონდა. ამ ქვებისა და აგურების ზიდვის სანაცვლოდ ღვთიური წყალობის მოლოდინი ესჰაბს შრომის ხალისს მატებდა.

საყვარელი შუამავლის მხრიდან გამოჩენილი ამ დიდი ძალისხმევის შემყურე მუსლიმანები, უდიდესი სიყვარულითა და მონდომებით შრომობდნენ. უფრო მეტიც, მაშინ როცა ყველა თითო აგურს ეზიდებოდა, ამმარ ბი იასერი ერთს შუამავლის ნაცვლად, მეორეს კი საკუთარი თავისთვის, სულ, ორ აგურს ეზიდებოდა. ეს რომ წმინდა შუამავალმა შენიშნა ამმართან მივიდა ზურგზე ხელი გადაუსვა და უთხრა: ***„სუმეიიეს შვილო ამმარ! შენ ორი, ხოლო სხვა დანარჩენებს თითო მადლი ეწერებათ“.*** მეჩეთის კედლების ამოყვანა მოკლე ხანში დასრულდა. მეჩეთს შუმავლისთვის აგურისგან აშენებული ორი ოთახი მიუერთეს. შემდეგ ორივე ფინიკის ხურმის ხეებითა და ტოტებით გადახურეს. (ეს ორი ოთახი შემდგომში 9 ოთახამდე გაიზარდა) მეჩეთის მშენებლობის დასრულების შემდეგ საყვარელი შუამავალი ძვირფასი ჰალიდ ბინ ზეიდის სახლიდან თავის ოთახებში გადაბარგდა.

ხურმის ხის კვნესა

საყვარელი შუამავალი ყოველ ჯუმა დღეს მეჩეთში, ჰანნანეს სახელით წოდებულ, ხურმის ხეს მიეყრდნობოდა და ჰუთბეს (ქადაგებდა) კითხულობდა. შემდგომში სამ საფეხურიანი მინბერი გააკეთებინა. ალლაჰის საყვარელი შუამავალი და ესჰაბი ერთ ჯუმა დღეს მეჩეთში შეკრებილიყვნენ. როდესაც შუამავალი, ქადაგების წასაკითხად ახლადგაკეთებულ მინბერზე უნდა ასულიყო ამ დროს, ხმელი ხურმის ხის კუნძმა, რომელსაც შუამავალი მინბერის გაკეთებამდე ეყრდნობოდა, ყველას გასაგონად, ტირილი და კვნესა დაიწყო. ყველა საჰაბე ქირამმა ამ ხმას გაოცებული უსმენდა. ხმა არ წყდებოდა. ამის გამო კაცობრიობის სიამაყე მინბერიდან ჩამობრძანდა კუნძთან მივიდა და როგორც კი მოეფერა, ტირილისა და კვენესის ხმა მაშინვე შეწყდა. ხმელი კუნძის მიერ წმინდა შუამავალის მიმართ გამოხატული სიყვარულის მნახველმა საჰაბეებმა ცრემლები ვერ შეიკავეს.

ამ მოვლენის შესახებ ძვირფასი ენეს ბინ მალიქი გადმოგვცემს: „მის ხმაზე მეჩეთიც კი შეირყა“.

საყვარელი შუამავალი გადმოგვცემს: ***„ყოვლისშემძლე უზენაეს ალლაჰს ვფიცავ, მას რომ არ მოვფერებოდა, ჩემი ნატვრისა და ჩემთან განშორების გამო წარღვნამდე იტირებდა“.*** შემდეგ, ალლაჰის შუამავალის ბრძანებით, კუნძი დამარხეს.

სხვა გადმოცემის თანახმად, ალლაჰის შუამავალი ხურმის ხისკენ მიბრუნებულა და უთქვამს: ***„თუ ისურვებ, სადაც ადრე ყვაოდი იმ ბაღში დაგაბრუნებ, ხელახლა ტოტებსა და ფოთოლს შეისხამ. თუ გინდა სამოთხეში დაგრგავ და უზენაესი ალლაჰის მეგობრები შენ ნაყოფს შეჭამენ“.*** ხურმის ხის კუნძმა შემდეგი სიტყვები წარმოთქვა; „სამოთხეში დამრგე, იქ სადაც არასოდეს არ დავლპები და არასოდეს დავბერდები, ალლაჰის მეგობრებმა ჩემი ნაყოფი მირთვან“. კუნძის ეს სიტყვები ყველა შუამავლის გვერდით მყოფმა გაიგონა. შუამავალმა კუნძა უთხრა: ***„ისე მოვიქცევი, როგორც შენ გსურს“*** შემდეგ ესჰაბს მოუბრუნდა და მიმართა: ***„მან*** *(კუნძმა)* ***ამ ქვეყანას მარადიული საიქიო არჩია.“***

წმინდა აიშეზე დაქორწინება

როდესაც, საყვარელი მუჰამმედ შუამავალი და ძვირფასი ებუ ბექრი მედინაში, ემიგრაციაში წავიდნენ, შვილები მექქაში დატოვეს. იმამი ბუჰარის მიერ გადმოცემულ წმინდა ჰადისში ძვირფასი აიშე ასე მოგვითხრობს: „ალლაჰის შუამავალმა მითხრა: ***„აიშე, ორჯერ სიზმრად განახე, მწვანე აბრეშუმის ქსოვილის ნაჭერზე შენი სურათი როცა დავინახე, მითხრეს, ეს შენი მომავალი მეუღლეაო“.*** ამ ამბის შემდეგ საყვარელი შუამავალი და აიშეზე დაინიშნა. მაგრამ ქორწინება მაშინვე არ შემდგარა. ამის შესახებ ძვირფასი აიშე ასე მოგითხრობს:

„როცა ალლაჰის შუამავალი მედინაში, ემიგრაციაში წავიდა, ჩვენ და თავისი ქალიშვილები მექქაში დაგვტოვა. მან მედინაში ჩაბრძანების შემდეგ, მონობისგან გათავისუფლებული ზეიდ ბინ ჰარისე და ებუ რაფი'ი აუცილებელი ნივთების საყიდელი 500 დირჰემითა და ორი აქლემით გამოგვიგზავნა. მამამ, ებუ ბექრმა კი აბდულლაჰ ბინ ურეიქითი ორი ან სამი აქლემით მათ გამოაყოლა, რათა დედაჩემი, მე და ჩემი და აქლემებზე შევესვით და მედინაში წავეყვანეთ. მე, დედაჩემი, უმმუ რუუმანი და საყვარელი შუამავლის ქალიშვილი ძვირფასი ზეინები, ყველა ერთად, წამოვედით. როდესაც ქუბეიდში მივედით, ზეიდმა 500 დირჰემით სამი აქლემი კიდევ იყიდა. ჩვენს ქარავანს თალჰა ბინ უბეიდულლაჰიც შემოურთდა.როდესაც მინას მივაღწიეთ ჩემი აქლემი გაიქცა, მე მასზე ვიჯექი დედაჩემიც ჩემს გვერდით იყო. იგი შეშფოთებული ყვიროდა: „ვაიმე ჩემო შვილო, ვაიმე დედოფალო!“. ბოლოს უზენაესი ალლაჰის ნებით აქლემი გაჩერდა და გადავრჩით. როგორც იქნა მედინაში მივედით. მე მამაჩემის ოჯახის წევრებთან ერთად აქლემიდან ჩამოვედი, ხოლო შუამავლის ოჯახის წევრები კი თავიანთ სახლთან ჩამოქვეითდნენ“. ძვირფასმა აიშემ რამდენიმე ხანი მამამისის სახლში იცხოვრა. ერთ დღეს კეთილშობილმა ებუ ბექრმა ალლაჰის წმინდა შუამავალს ჰკითხა: „დანიშნულზე დაქორწინებაში ხელს რა გიშლის?“ შუამავალმა უპასუხა, მიჰრიო. როდესაც კეთილშობილმა ებუ ბექრმა ეს გაიგო, შუამავალს მეჰირის ფული ასესხა.

ამის შემდეგ ალლაჰის შუამავლისა და აიშეს ქორწინება შესდგა. მაშინ საყვარელი შუამავალი 55 წლის იყო. მუსლიმთა დედად წოდებული აიშე ძალიან ნიჭიერი, გონებამახვილი ადამიანი იყო, მას შეეძლო წმინდა ჰადისები მხატვრულად წაეკითხა. ის, რასაც ისწავლიდა, არავითარ შემთხვევაში დაავიწყდებოდა. იგი ძალიან ჭკვიანი, ნიჭიერი სწავლული, თავაზიანი და უმწიკვლო იყო. ვინაიდან ძალიან კარგი მეხსიერება ჰქონდა, ამიტომ ესჰაბი ქირამი ბევრ რამეს მას ეკითხებოდნენ და მისგან სწავლობდნენ. მუსლიმთა დედა ძვირფასი აიშე წმინდა აიათებშია შექებული და განდიდებული.

ეზანი

როდესაც მესჯიდი ნებევის (შუამავლის მეჩეთის) მშნებლობა დასრულდა, არ არსებობდა რაიმე მეთოდი, რომლის მეშვეობითაც ნამაზის დროის დადგომასთან ერთად მუსლიმანების მეჩეთში მოხმობა იქნებოდა შესაძლებელი. ამ დროს მხოლოდ ***„ესსელათუ ჯამი'ა"*** ითქმებოდა.

ერთ დღეს, როცა ალლაჰის საყვარელი შუამავალი ესჰაბთან ერთად მორწმუნეების მეჩეთში, ნამაზზე მოხმობის საკითხს განიხილავდა, ყველას ჰკითხა, თუ როგორ შეიძლებოდა ამ საკითხის მოგვარება. ზოგმა ნამაზზე მოხმობის მეთოდად, ქრისტიანების მსგავსად, ზარების რეკვა დაასახელა. ნაწილმა იუდეველების მსგავსად საყვირის გამოყენება, ხოლო ნაწილმა ნამაზის დროის გასაგებად, ცეცხლის დანთება ამჯობინა. ალლაჰის საყვარელმა შუამავალმა არცერთი წინადადება არ მოიწონა.

აბდულლაჰ ბინ ზეიდ ბინ სა'ლებემ და კეთილშობილმა ომარმა სიზმრად ეზანის კითხვა იხილეს. ამის შემდგე აბდულლაჰ ბინ ზეიდი წმინდა შუამავალთან მივიდა და სიზმარი მოუყვა.

„სიზმრად ვიღაც კაცი ვიხილე, მწვანე მოსასხამი ეცვა და წინსაფარი ჰქონდა მოხვეული, ხელთ კი ზარი ეკავა. ვუთხარი: „შეგიძლია ეგ ზარი მომყიდო?" რად გინდაო, მკითხა. როცა ვუპასუხე, ნამაზის დროს დავრეკავ ზარებს და მორწმუნეებს ნამაზის ლოცვისკენ მოვუწოდებ-მეთქი, მითხრა: მე შენ უკეთეს რამეს გასწავლიო, შემდეგ ყიბლისკენ მიტრიალდა და ხმამაღალი ხმით შემდეგი

სიტყვები წარმოთქვა: „ალლაჰუ ექბერ, ალლაჰუ ექბერ..., ალლაჰი უდიდესია ალლაჰი უდიდესია... დ.ა.შ.“ როცა კითხვა დაასრულა, ნამაზის ლოცვის წინ „ყედ ყაამეთი სსელათუ” წინადადების დამატება მიბრძანა.

სიზმრის მოყოლა რომ დავამთავრე, ალლაჰის შუამავალმა მითხრა: ***„სიზმარში თქვენ მიერ ნანახი ჭეშმარიტებაა, ეს სიტყვები ბილალს ასწავლეთ, მან იკითხოს!“***

ძვირფასი ბილალი წმინდა მეჩეთის ახლოს, სახლის სახურავზე ავიდა და პირველი ეზანი იკითხა.

როდესაც კეთილშობილმა ომარმა ეზნის ხმა გაიგონა, მაშინვე ალლაჰის შუამავალთან სირბილით მივიდა და აცნობა, რომ ძვირფასი ბილალის მიერ წაკითხული სიტყვები თვითონაც იხილა სიზმრად. იმ ღამეს ესჰაბი ქირამთაგან რამდენიმემ ანალოგიური სიზმარი იხილა. ამასთან ერთად წმინდა შუამავლს, სურა „ჯუმას“ ს მე-9 აიათი ზეშთაეგონა და ეზნის შესახებ ეცნობა.

ერთ დღეს, ბილალი ჰაბეშმა დილის ლოცვის დროს საყვარელი შუამავლის კარის წინ სიტყვები, ***„ეს’სელათუ ხაირუნ მინენნევმ“*** („ნამაზი ძილზე უფრო ხეირიანია“) ორჯერ გაიმეორა. წმინდა შუამავალს ეს მოეწონა და ბილალს უთხრა; ***„ბილალ, ეს რა ლამაზი სიტყვებია, როცა დილის ეზანს იკითხავ, ეს სიტყვებიც გაიმეორე.“*** ამგვარად, დილის ეზანს კითხვისას ეს სიტყვებიც დაემატა.

შუამავლის გარდაცვალებამდე ეზანს ყოველთვის ბილალი ჰაბეში კითხულობდა. ბილალს ბოხი, ლამაზი და შთამბეჭდავი ხმა ჰქონდა. როცა ის ეზნის კითხვას დაიწყებდა, ყველა დიდი სიყვარულით უსმენდა. მისი წაკითხული ეზანი ყველას ატირებდა. ნამაზის დროს, ესჰაბი ქირამის მიერ ერთმანეთის მეჩეთში მოხმობა, მედინელ წარმართებსა და იუდეველებს ძალიან უცნაურად მოჩვენებიათ. როცა ეზნის ხმას გაიგებდნენ მათ დასცინოდნენ და ამით ერთობოდნენ. მათი ასეთი გამასხარავების შესახებ უზენაესმა ალლაჰი წმინდა ყურანში ბრძანებს; ***„როცა მათ, ნამაზზე ეზანით მოუწოდებთ, ამით გაერთობიან და სასაცილოდ არ ეყოფათ. ეს კი, მათი უგუნურობისა და ჭკუასუსტობისგან გამომდინარეობს“.***[1]

1. სურა მაიდე, აიათი 58.

ესჰაბი ქირამის სწავლა-განათლება

წმინდა შუამავალი, ესჰაბის სრულყოფილი სწავლა-განათლებისათვის მესჯიდი ნებიში არაჩვეულებრივ საუბრებს მართავდა. იგი უზენაეს ალლაჰისგან, მისთვის ბოძებულ მადლის წყალობით, ესჰაბის გულებს ღვთისნიერებით მოსავდა. ალლაჰის საყვარელი შუამავლის საუბრებზე დასწრების პატივით ამაღლებულნი, პირველივე ასეთ საუბრის მოსმენით საკუთარ გულებში დიდ ცვლილებას გრძნობდნენ და დიადი ღვთიური შემეცნებით ჯილდოვდებოდნენ. ამ ულამაზესი, შეუდარებელი საუბრების მადლით ესჰაბი ქირამმა, პირველ რიგში, საყვარელი შუამავალი, შემდეგ კი ერთმანეთი საკუთარ თავზე უფრო მეტად შეიყვარეს. ისინი საყვარელ შუამავალს ისეთი მოკრძალებითა და თავაზიანად უსმენდნენ, რომ თითქოს, თავზე ჩიტი ეჯდათ და თუკი გაინძრეოდნენ იგი გაფრინდებოდა. ამრიგად ესჰაბი ქირამმა შუამავლებისა და მთავარანგელოზის შემდეგ გაჩენილთაგან ყველაზე დიდი უპირატესობა დაიმსახურეს.

საყვარელი შუამავალი წმინდა ჰადისში ესჰაბი ქირამის დიდსულოვნებასა და ღირსებას შემდეგნაირად გვაცნობს; ***„ჩემს, ესჰაბთაგან არცერთი ავად არ მოიხსენიოთ, არ თქვათ ისეთი რამ, რაც მათ ბრწყინვალებას არ შეშვენის, ყოვლისშემძლე უზენაეს ალლაჰს ვფიცავ, რომელიმე თქვენთაგანმა უჰუდის მთის ოდენა წყალობაც რომ გასცეს, ესჰაბთაგან ერთის მოგებული მადლის ნამცეცსაც კი ვერ შეედრება. ჩემი ესჰაბი ცის ვარსკვლავთ გავს, რომელთაც თუ მიჰყვებით, გადარჩებით“.***

ესჰაბი სუფფე

საყვარელ შუამავალმა, მესჯიდი ნებიის ჩრდილოეთით, კედელზე ხურმის ტოტებით საჩრდილობელი გააკეთებინა. შემდეგ განაცხადა, რომ იქ მექქადან ემიგრირებულ, ქონების არმქონე და დაუქორწინებელ ახალგაზრდებს უნდა ეცხოვრათ. საჰაბეები რომელთა რიცხვი 100-400 შორის მერყეობდა, ალლაჰის შუამავალს გვერდიდან არ შორდებოდნენ და მის ტკბილმოუბარ საუბარებს ყოველთვის გულმოდგინედ უსმენდნენ. დღედაღამე მუდამ წმინდა

ყურანს კითხულობდნენ და სწავლა-განათლებას იღებდნენ. წმინდა ჰადისებს იზეპირებდნენ, უმეტეს დღეებს მარხულობდნენ და ღვთისმოსაობითა და ღვთისმასახურებით იყვნენ დაკავებული.

აქ მიღებული ცოდნის შემდეგ, ახლად გამუსლიმანებულ ტომებთან მიდიოდნენ, მათ წმინდა ყურანის კითხვასა და სუნნეთს, ანუ ისლამის რწმენას ასწავლიდნენ. სათნოების მქონე მადლმოსილი საჰაბეები უდიდესი ცოდნის ზღვას შეადგენდნენ. შუამავალს ისინი ძალიან უყვარდა. მათთან დაჯდებოდა, ესაუბრებოდა და მათთან ერთად საჭმელს მიირთმევდა. მათ, რომლებიც იქ ჩადრში ცხოვრობდნენ, ეწოდათ ***„ესჰაბი სუფფე“*** ეწოდათ.

ერთ დღეს ალლაჰის შუამავალმა ესჰაბი სუფფეს შეხედა და დაინახა, რომ ისინი ძალიან ღარიბულად ცხოვრობდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მშვიდი და ბრწყინვალე გულით ალლაჰის სამსახურში იყვნენ. ალლაჰის შუამავალს ისინი შეეცოდა და შემდეგი სასიხარულო ამბავი ამცნო: ***„სუფფეს ესჰაბო, გაიხარეთ! ჩემი უმმეთისგან ისინი, რომლებიც მსგავსი ძნელი პირობების მიუხედავად, თავისი მდგომარეობის გამო მაინც კმაყოფილებას გამოხატავენ, უეჭველად ჩემი მეგობრები არიან“.***

ალლაჰის საყვარელი წმინდა მუჰამმედ შუამავალი, პირველ რიგში, ამ რჩეულ ესჰაბთა აუცილებელ მოთხოვნილებებს უზრუნველჰყოფდა, ხოლო შემდეგ კი ეჰლი ბეითის (საკუთარი ოჯახის წევრების) საწიროებებს აკმაყოფილებდა. ებუ ჰურეირე მოგვითხრობს: „უზენაეს ალლაჰს ვფიცავ, რომ, ბევრჯერ შიმშილისგან მუცელი მტკიოდა, ზოგჯერ ქვასაც ვიმაგრებდი, ერთ დღესაც ასეთ მდგომარეობაში გზის პირას ვიჯექი, სადაც ალლაჰის შუამავალს უნდა გაევლო. ამ დროს სამყაროს წყალობად მოვლენილი ორი ქვეყნის სხივი საყვარელი მუჰამმედ შუამავალი ჩემთან მოვიდა. მიხვდა, თუ რა მდგომარეობაშიც ვიყავი, გამიღიმა და მითხრა: ***„ება ჰურეირე!“*** „ბრძანეთ ალლაჰის შუამავალო!“– მივუგე მე. მან მითხრა, ჩემთან ერთად წამოდიო და მაშინვე უკან გავყევი, სახლში შევიდა, ერთი ჭიქა რძე გამოიტანა და მითხრა: ***„აბა, წადი და ეჰლი სუფფეს უთხარი, ჩემთან მოვიდნენ!“*** მათ დასაძახებლად რომ მივდიოდი, ჩემთვის ვფიქრობდი, სუფფეს მთელ ხალხს

ერთი ჭიქა რძე როგორ ეყოფოდა. მე, ალბათ, ერთი ყულუპიც კი არ შემხვდებოდა“. მათ დავუძახე, შუამავლის სახლთან მივედით, ნება ვითხოვეთ, სახლში შევედით და შესაბამის ადგილებზე დავსხედით. ალლაჰის შუამავლმა მითხრა; ***„ება ჰურეირე! აიღე რძით სავსე ჭიქა და დაალევინე ყველას!“*** მეც ავიღე რძის ჭიქა და ყველას რიგრიგობით ვაძლევდი., ჭიქას მარტმევდნენ, ბოლომდე სვამდნენ და უკან მაძლევდნენ, მაგრამ ჭიქა ყოველთვის რძით სავსე მიბრუნდებოდა. ამრიგად რძე ყველა მობრძანებულ მეგობარს დავალევინე. შემდეგ ალლაჰის შუამავალმა ჭიქა გამომართვა, გამიღიმა და მითხრა: ***„ებუ ჰურეირე! რძე მხოლოდ მე და შენ არ დაგვილევია, მიდი დაჯექი და შენც დალიე!“*** მეც დავჯექი და დავლიე. კიდევ დალიეო, მითხრა, კიდევ დავლიე. რამოდენიმეჯერ გამიმეორა, მეც ყოველ ჯერზე დავლიე. ბოლოს უკვე სმა აღარ შემეძლო. „ჩემი სიცოცხლე გენაცვალოს ალლაჰის შუამავალო, აღარ მინდა, ვერ დავლევ, ალლაჰს ვფიცავ, დავნაყრდი“. ***„მაშინ ჭიქა ახლა მე მომაწოდე!“*** – მითხრა. მივაწოდე, უზენაესი ალლაჰის ქება-დიდების შემდეგე ღმერთის სახელი ახსენა და რძე დალია”.

სწავლას მოწყურებული მედინელ საჰაბეებს ალლაჰის შუამავლის ერთ საუბარიც კი არ გამოუტოვებიათ, ამიტომაც წმინდა მუჰამმედი მათ მიმართ დიდ სიყვარულს გრძნობდა. ერთ საღამოს, შიმშილისგან ძალაგამოლეული საჰაბე საყვარელ შუამავლთან მივიდა და თავისი მდგომარეობა გააცნო. წმინდა შუამავალმა თავისი ოჯახის წევრებს ჰკითხა, ჰქონდათ თუ არა სახლში შეჭამანდი. მათგან უარყოფითი პასუხი მიიღო, სახლში წყლის გარდა არაფერი გააჩნდათ. ალლაჰის შუამავალმა იქ მყოფ საჰაბეებს ჰკითხა: ***„ვის შეუძლია, ამაღამ ეს მშიერი ადამიანი დაანყროს?“*** საჰაბეთაგან ერთ-ერთმა ყველას დაასწრო და თქვა; „დედ-მამა გენაცვალოს ალლაჰის შუამავალო! მე წავიყვან და მე დავანაყერებ“.

საჰაბე სტუმართან ერთად სახლში მივიდა და მეუღლეს, სთხოვა, რომ მას ალლაჰის შუამავლის სტუმრის დასაპურებლად რამე მოემზადებინა. მეუღლემ უპასუხა: „ამჟამად, სახლში, ბავშვების საჭმლის გარდა, არაფერი გვაბადია“ მასპინძელმა საჰაბემ მეუღლეს უთხრა, ჯერ ბავშვები დააძინე, შემდეგ კი ეგ შეჭამანდი შემოიტანეო. საჭმელი, რომელიც მხოლოდ ერთ კაცს დააპურებდა,

აიღო, სტუმრის ოთახში შეიტანა, სუფრა გაშალა და სტუმარი საჭმელზე დაპატიჟა. ჭამა ერთად დაიწყეს, მაგრამ შემდეგ მასპინძელმა საჰაბემ, ვითომ ლამპას ვასწორებო ადგა და ის ჩააქრო. შემდეგ სიბნელეში ხელმეორედ სუფრას მიუჯდა და ისე იქცეოდა, თითქოს, თვითონაც მიირთმევდა. ბოლოს როცა სტუმარი დანაყრდა, სუფრა აღეს. ის ღამე მასპინძლებმა ბავშვებთან ერთად მშივრებმა გაათენეს. დილით, როცა ალლაჰის შუამავლის წინაშე წარსდგნენ შუამავალმა მასპინძელ საჰაბეს უთხრა; ***„უზენაეს ალლაჰი, ნუხანდელი თქვენი ქცევით კმაყოფილი გახდა“.*** ამ საკითხთან დაკავშირებით უზენაესმა ალლაჰმა სურა „ჰაშირის“ მე-9 აიათი გარდმოავლინა; **„*ისინი*** *(ენსარები)* ***თავად სილარიბესა და გაჭირვებაშიც რომ იყვნენ,*** *(მუჰაჯირებს)* ***საკუთარი თავზე წინ დააყენებენ.“***

ჯიბრილის ჰადისი

ალლაჰის შუამავალი, ესჰაბს ისლამის ბრძანებებსა და აკრძალვებს, მათ შორის რწმენისა და ისლამის პირობებს, ნამაზის, მარხვის, ჰაჯობისა და ზექათის კანონებს, წმინდა აიათების განმარტებებს (თეფსირს) ალალ და ჰარამ (ნებადართულ და აკრძალულ) საჭმელებს, ჩასაცმელებს, ფიცისა და ზვარაკის გამოსასყიდს, ყიდვა-გაყიდვის, ჭამა-სმის, ჩაცმულობის, მოლაპარაკების, საუბრისა და მისალმების წესებს, მეზობლობლურ, ნათესაურ და მეგობრულ ურთიერთობებს, ქორწინების, ალიმენტისა და მემკვიდრეობის კანონებს. საჩივრის, სასჯელის, შეთანხმებისა და პარტნიორობის შესახებ, ჰიგიენას, მტრის წინააღმდეგ შეტაკებისა და ბრძოლის კანონების მსგავს ყველა საკითხსდაწვრილებით უხსნიდა და ასწავლიდა. ისლამის რჯულს, ყველას გასაგებ ენაზე განმარტავდა.. ძნელად გასაგებ საკითხებს სამჯერ იმეორებდა. ქალებისთვის განკუთვნილ თემებს კი მადლმოსილი მეუღლეების საშუალებით ასწავლიდა.

მუსლიმების მამაცი იმამი, ყოველთვის სიმართლის მთქმელად ცნობილი და საყვარელი, ომერ ბინ ჰატტაბი მოგვითხრობს;

„ერთ დღეს საჰაბეთაგან რამდენიმე ალლაჰის საყვარელი შუა-

მავლის სამსახურში ვიყავით. ის დღე და ის პერიოდი ძალიან დიდებული და ძვირფასი იყო. იმ დღეს ალლაჰის შუამავლის საუბრის მოსმენის, მასთან ერთად ყოფნის, სიამოვნებისა და სიხარულის მომგვრელი მისი ლამაზი სახის ნახვა მერგო წილად. განა შესაძლებელია, ისეთი ბედნიერი და ძვირფასი დღის ნახვა? როცა ანგელოზი ჯიბრილი ადამიანის ფორმაში დავინახე, მისი ხმა გავიგონე, ადამიანებისთვის აუცილებელი ცოდნის შესახებ განმარტებები, საკმაოდ ლამაზად და მკაფიოდ, ალლაჰის საყვარელი შუამავლის პირიდან მოვისმინე.

იმ დღეს მთვარის შუქივით ლამაზი ვინმე მოვიდა ჩვენთან. მას ტანსაცმელი ქათქათა თეთრი, თმები კი შავი ჰქონდა. ამ ადამიანს ნამგზავრის არანაირი ნიშანი ეტყობოდა.ის საჰაბეთაგან ვერცერთმა ვიცანით ანუ არცერთ ჩვენთაგანს გვყავდა ნანახი. იდი საყვარელი შუამავლის წინ დაჯდა და მუხლები ერთმანეთს მიადო (ეს პიროვნება ანგელოზი ჯიბრილი იყო, რომელიც ადამიანის ფორმაში გვეახლა. მისი ასე დაჯდომა მნიშვნელოვან რამეს მიგვანიშნებდა ვინაიდან, რელიგიური ცოდნის მისაღებად, ვინმეს შერცხვენა მიზანშეწონილი არ არის, გარდა ამისა მიგვანიშნებს იმაზე, რომ სწავლულს არ შეშვენის სიამაყე და ქედმაღლობა. ყველამ მორიდების გარეშე თავისუფლად უნდა შეისწავლოს ის, რაც რელიგიის შემეცნებისთვის არის საჭირო ანგელოზ ჯებრაილის ადამიანის ფორმაში გამოცხადება სწორედაც ამაზე მიგვითითებს. ვინაიდან რელიგიის შესწავლაში სირცხვილი, უზენაესი ალლაჰის წინაშე მოვალეობების შესრულების, სწავლასა და სწავლებაში მორიდება არა სწორია).

ამ ძვირფასმა პიროვნებამ თავის ხელები უკეთილშობილეს შუამავალს მადლმოსილ მუხლებზე დაადო და თხოვა: „ალლაჰის შუამავალო, ამიხსენი ისლამი!“

უკეთილშობილესმა შუამავალმა ბრძანა: ***„ისლამის პირობათაგან უპირველესი ქელიმეი შეჰადეთის წარმოთქმაა“,*** ე.ი. (ეშჰედუ ენ ლა ილაჰე ილლალლაჰ ვე ეშჰედუ ენნე მუჰამმედენ აბდუჰუ ვე რესულუჰ) ანუ, ჭკვიანმა სრულწლოვანმა და ლაპარაკის უნარის მქონე ადამიანმა ენით უნდა წარმოთქვას და გულით მტ-

კიცედ დაიჯეროს, რომ არავინ და არაფერი არსებობს ცასა და დედამიწაზე თაყვანისცემის ღირსი, გარდა უზენაესი ალლაჰისა. ის ვაჯიბულ ვუჯუდია (აუცილებელი არსება-ღმერთის ეპითეტი) ყოველგვარი უპირატესობა მას ეკუთვნის, არანაირი ნაკლი არ გააჩნია, მისი სახელი ალლაჰია. გარდა ამისა უნდა წარმოთქვას და დაიჯეროს, რომ არაბეთში, მექქაში მოვლენილი ჰაშიმის მოდგმის აბდულლაჰის შვილი, სახელად მუჰამმედი, ალლაჰის მსახური და შუამავლია.

„ისლამის ასევე ნამაზის ლოცვა, ზექათის გაცემა, რამაზანის თვის ყოველი დღის მარხვაში გატარება, ვისაც ძალა შესწევს სიცოცხლეში ერთხელ ჰაჯობის შესრულებაა“. ეს პასუხები რომ მოისმინა, სტუმარმა ალლაჰის შუამავალს უთხრა: "მართალს ბრძანებ ალლაჰის შუამავალო!" მსმენელები კი გაოცებულნი დავრჩით. რადგან ის თან კითხვას უვამდა და თან ემოწმებოდა.

გარდა ამისა იმ პიროვნებამ ალლაჰის შუამავალს ჰკითხა: „ამიხსენი, რა არის რწმენა (იმანი)!“ (ამ წმინდა ჰადისში სიტყვა „რწმენის“ ლექსიკური მნიშვნელობა არ იგულისხმება. ვინაიდან უმეცრების ხანაში არაბ ხალხს შორის ამ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის არმცოდნე არ არსებობდა. ყველამ იცოდა რომ რწმენა ანუ იმანი დამოწმებას და დაჯერებას ნიშნავდა. ამ შემთხვევაში გამორიცხულია ის, რომ საჰაბეებს სიტყვა "იმანის" ანუ რწმენის მნიშვნელობა არ ცოდნოდათ. აქ ანგელოზ ჯიბრილს უნდოდა, რომ მუსლიმანებისთვის ესწავლებინა, თუ რაში მდგომარეობდა რწმენა. ანუ ისლამში რწმენაზე რა მიუთითებდა. ალლაჰის საყვარელმა შუამავალმა რწმენის ექვსი პირობა შემდეგნაირად განმარტა;

„ეს არის დაჯერება უზენაესი ალლაჰის, ანგელოზების, წმინდა წიგნების, ყველა შუამავლის, განკითხვის დღის, ბედისწერის, სიკეთისა და სიცუდის ალლაჰისგან მომდინარეობის“. სტუმარმა ალლაჰის შუამავალს უთხრა, მართალს ბრძანებო და დაემოწმა, შემდეგ ჰკითხა: „ამიხსენი რას ნიშნავს წყალობა, მადლი?“ ალლაჰის შუამავალმა უპასუხა: ***„ეს უზენაეს ალლაჰზე ისეთი მსახურებაა, როცა თითქოს მას ხედავ. რადგან რამდენადაც შენ მას ვერ ხედავ, იმდენად ის შენ ყოველთვის გხედავს“.*** სტუმრის შემდეგი კითხვა წარღვნას

შეეხებოდა. შუამავალმა მას მიუგო: ***„ამ საკითხის შესახებ მკითხველმა პასუხის მიმცემზე უფრო მეტი იცის“.*** ამის შემდეგ ის პიროვნება ადგა და წავიდა.

შემდეგ ალლაჰის შუამავალი მომიბრუნდა და მკითხა: ***„ომარ! იცი, ვინ იყო ის პიროვნება კითხვებს რომ მისვამდა?“*** – „უზენაესმა ალლაჰმა და მისმა შუამავალმა უკეთ იციან“ – ვუპასუხე მე. მაშინ შუამავალმა მითხრა; ***„ის ანგელოზი*** *(ჯიბრილი)* ***ჯიბრილი იყო. თქვენთვის რწმენის სასწავლებლად მოვიდა“.***

ალლაჰის შუამავალი ყველა ესჰაბს მის გასაგებ ენაზე უხსნიდა. ესჰაბი ქირამთაგან კეთილშობილმა ომარმა, ერთ დღეს, როდესაც შუამავალსა და ებუ ბექირის გვერდით ჩაუარა, მათ საუბარს მოჰკრა ყური. მათთან ახლოს მივიდა და მოუსმინა. ისინი სხვებმაც დაინახეს, მაგრამ ახლოს მისვლისა და მოსმენის მოერიდათ. მეორე დღეს, როცა კეთილშობილი ომარი ნახეს, ჰკითხეს; „ომარ, დავინახეთ, გუშინ ალლაჰის შუამავალი რაღაცას გიხსნიდათ. მოგვიყევი, ჩვენც რამეს ვისწავლით. ვინაიდან ალლაჰის შუამავალი ყოველთვის ბრანებს, რომ ***ჩემგან რასაც მოისმენთ სულიერ ძმებსაც გაუზიარეთ, ერთმანეთს აუხსენითო,*** ძვირფასმა ომარმა უპასუხა: „გუშინ კეთილშობილმა ებუ ბექირმა საყვარელ შუამავალს მისთვის გაუგებარი, წმინდა ყურანის ერთ-ერთი აიათის მნიშვნელობა ჰკითხა და ისიც სწორედ ამ აიათს უნმარტავდა. ერთი საათი ვუსმენდი,მაგრამ ვერაფერი გავიგე, ვინაიდან კეთილშობილ ებუ ბექრს მაღალ დონეზე უხსნიდა“. ძვირფასი ომარის შესახებ შუამავალი ამბობს: ***„მე ყველაზე ბოლო შუამავალი ვარ. ჩემ შემდეგ შუამავალი აღარ მოევლინება. ჩემს შემდეგ რომ შუამავალი მოსულიყო, ის უთუოდ ომარი იქნებოდა“.*** ამდენად მაღალი დონის, არაბული ენის კარგად მცოდნემაც კი, როცა შუამავალი ებუ ბექრს წმინდა ყურანის თეფსირს (აიეთების განმარტება კომენტირება) უხსნიდა ვერ გაიგო. ებუ ბექირს წმინდა ყურანის გაგების დონე ომარზე უფრო მაღალი ჰქონდა. უფრო მეტიც, ანგელოზი ჯიბრაილი წმინდა ყურანის მნიშვნელობას, განმარტებასა და საიდუმლოებას საყვარელ შუამავალს ეკითხებოდა. ალლაჰის შუამავალმა ყურანის სრული განმარტება-თეფსირი საჰაბეებს აუხსნა. საყვარელი შუამავალი ესჰაბებს ისლამს უხსნიდა, საჩივრებს განიხილადა,

მოწმეების უსმენდა, ყველაზე ძნელად გასაგები საჩივრების განაჩენიც კი გამოჰქონდა.

სელმანი ფარისის მიერ ისლამის მიღება

რაც უფრო დრო გადიოდა, ისლამის სხივი მით უფრო ვრცელდებოდა, საყვარელი ალლაჰის შუამავლის სახელმა ადამიანთა გულებში ადგილის დაკავება დაიწყო. სწავლულები, რომლებიც მის მობრძანებას ნატრობდნენ, როცა მისი მედინაში მოსვლის შესახებ გაიგეს, მოდიოდნენ და ისლამის რწმენის მიღებით ბედნიერებას ჰპოვებდნენ. ამათგან ერთ-ერთი ძვირფასი სელმანი ფარისია. იგი თავისი გამუსლიმანების შესახებ ასე მოგვითხრობს:

„მე სპარსეთის ქალაქ ისფაჰანის სოფელ ჯეიშიდან ვარ. მამაჩემი სოფელში ყველაზე მდიდარი იყო. ძალიან ბევრი მიწა-წყალი და ქონება ჰქონდა. მამის ერთადერთი და საყვარელი შვილი ვიყავი. ამიტომაც მე გოგოსავით მზრდიდა და სახლიდან გარეთ გასვლის ნებას არ მაძლევდა. მამაჩემი ცეცხლთაყვანისმცემელი იყო, ამიტომაც ეს რელიგია უნაკლოდ შემასწავლა. ჩვენს ოჯახში გამუდმებით ცეცხლი ენთო, ჩვენ კი მას თაყვანისცემით ქედს ვუხრიდით. ერთ დღესაც მამამ გარეთ წამიყვანა და სიმდიდრე და ქონება მაჩვენა. მან მითხრა: „შვილო, როცა მე მოვკვდები, ამ სიმდიდრის მეპატრონე შენ გახდები. ამიტომაც წადი და დაათვალიერე ჩვენი მიწა-წყალი და სიმდიდრეები“. მეც წავედი და ბაღვენახები დათვალიერე.

ერთ დღესაც როცა ყანების მოსავლელად წავედი, ეკლესია დავინახე. ქრისტიანების ლოცვის ხმა მომესმა. როდესაც მივუახლოვდი, დავინახე,რომ ღვთისმსახურებით იყვნენ დაკავებულნი. მე მანამდე მსგავი რამ არ მქონდა ნანახი. გავვოცდი, ვინაიდან ჩვენი ღვთისმსახურება მხოლოდ და მხოლოდ ცეცხლის დანთება და მასზე ქედის მოხრა იყო. ისინი კი უხილავ ღვთაებაზე ლოცულობდნენ. ჩემთვის ჩავილაპარაკე, ვფიცავ, ამათი რწმენა ჭეშმარიტია, ჩვენი კი მცდარია. საღამომდე მათ დიდი ინტერესით ვუყურებდი. უკვე ღამდებოდა, როცა მათ ვკითხე. „ეს რწმენა საიდან მომდინარეობს?” მიპასუხეს, დამასკოდან მომდინარეობსო. ვკით-

ხე დამსკოში რომ წავიდე მიმიღებენ-მეთქი. მიპასუხეს, დიახ, რა თქმა უნდა, მიგიღებენო. ვიკითხე, ახლო მომავალში თქვენ შორის დამასკოში წამსვლელი არის ვინმე-მეთქი. მითხრეს, იქ რამდენიმე ხანში ქარავანი უნდა წავიდესო. ვისაც ვესაუბრებოდი ისინი ჩვენ სოფელში მოსული დამასკოელები იყვნენ.

მათთან საუბარში სახლში მისვლა დამაგვიანდა. მამამ, როცა დაინახა, რომ სახლში არ მივდიოდი, ჩემი ძებნა დაიწყო და კაცი გამოაგზავნა. ბევრი მეძებეს, მაგრამ ვერსად მიპოვეს. სახლში როცა დავბრუნდი, ისინი შეშფოთებული იყვნენ და ჩემ გამო ნერვიულობდნენ. მამამ მაშინვე მკითხა: „შვილო სად იყავი ამდენ ხანს? ყველგან გეძებეთ და ვერ გიპოვეთ.“ მე ვუპასუხე; „მამიკო, დღეს ყანების მოსავლელად ვიყავი გასული, გზად ქრისტიანული ეკლესია დავინახე, შევედი შიგნით და დავინახე, რომ უხილავ და ყოვლისშემძლე ღმერთს ემსახურებოდნენ. განცვიფრებული დავრჩი მათი ღვთისმსახურებით. საღამომდე მათ ვუყურებდი, მათი რწმენის ჭეშმარიტებაში დავრწმუნდი“. მამაჩემმა ეს რომ გაიგო მითხრა: „შვილო,ცდები, შენი მამებისა და წინაპრების რჯული ჭეშმარიტია მათი კი- მცდარი. ფრთხილად იყავი, არ შეცდე და ამ რელიგიის არ ირწმუნო!“ მე ვუთხარი: „არა მამიკო, მათი რჯული ჩვენსაზე უფრო კარგი და ჭეშმარიტია“, მამაჩემი ჩემმა სიტყვებმა ძალიან გააბრაზა, ხელ-ფეხი შემიკრა და სახლში ჩამკეტა.

ასეთ მდგომარეობაში მყოფი დამასკოში წამსვლელ ქარავანს მოუთმენლად ველოდებოდი. ბოლოს, როგორც იქნა, გავიგე რომ ქრისტიანი ბერების ქარავანი დამასკოში წასასვლელად ემზადებოდა. მოვახერხე თოკების გახსნა და იმ ეკლესიისკენ გავიქეცი, საიდანაც ქარავანი უნდა გასულიყო. ავუხსენი, რომ აღარ შემეძლო იქ გაჩერება და მათგავყევი. დამასკოში ქრისტიანობის ყველაზე კარგი მცოდნემოვიკითხე. ერთ-ერთი პიროვნება მიმასწავლეს. მასთან მივედი და ჩემი მდგომარეობა მოვუყევი. ვთხოვე, რომ მასთან დავრჩენილიყავი, მოვმსახურებოდი, შემესწავლა ქრისტიანული რწმენა და მეცნო უზენაესი ღმერთი. უარი არ მითხრა და თავისტან დამტოვა. იმ დღიდან მის სამსახურში ჩავდექი და ეკლესიის საქმეებს ვაკეთებდი. ის კი სანაცვლოდ ქრისტიანობას მასწავლიდა.

მაგრამ ბოლოს გავიგე, რომ ის ცუდი ვინმე იყო, რადგან ქრისტიანების მიერ ღარიბებისთვის მოტანილ მოწყალებებს, ოქრო-ვერცხლს მალავდა და გაჭირვებულებს არ ურიგებდა. ასეთუ არა-პატიოსანი გზით ზუსტად შვიდი ქილა ოქრო-ვერცხლი შეაგროვა. ამის შესახებ, ჩემ გარდა არავინ იცოდა. როცა გარდაიცვალა და ქრისტიანები მის გასასვენებლად მოვიდნენ, მათ ვუთხარი:„ამას ამდენ პატივს რატომ სცემთ? ის პატივისცემის ღირსი ადამიანი არ არის!". არ დამიჯერეს და მითხრეს, შენ ყველაფერს იგონებო. მაშინ მათ გარდაცვლილის მიერ მოგროვებული, ოქრო-ვეცხლის ადგილი ვაჩვენე. როცა შვიდი ქილა ოქრო ვერცხლი იპოვეს მა-თაც თქვეს ეს გასვენების ღირსი არ არისო, წაიყვანეს ერთ ხრამ-ში ჩააგდეს და ზევიდან ქვები დააყარეს. შემდეგ მის ადგილას სხვა მოვიდა.

ეს ახლად მოსული პიროვნება მართლაც ცოდნის პატრონი იყო და ამ ქვეყანას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. მუდამ საი-ქიოსთვის ზრუნავდა, დღე და ღამე ღვთისმსახურებით იყო და-კავებული. ის ძალიან შემიყვარდა და დიდი ხნის განმავლობაში მასთან დავრჩი. სიამოვნებით ვემსახურებოდი და ერთად ვლო-ცულობდით.

ერთ დღეს ვკითხე: „ბატონო ჩემო! დიდი ხანია თქვენთან ერთ-ად ვარ და ძალიან შემიყვარდით. რადგან ღმერთის ბრძანებებს ემორჩილებით, ხოლო აკრძალულს კი განერიდებით. როცა გარ-დაიცვლებით, რა გავაკეთო, რას მირჩევდით?" მან მიპასუხა; შვილო დამასკოში არავინ დარჩა ისეთი, ვინც ხალხს გამოასწო-რებს, ვისთანაც უნდა მიხვიდე წაგახდენს. მაგრამ მუსულში ერთი ადამიანია, გირჩევ მასთან წახვიდე.

როცა გარდაიცვალა მუსულში გადავედი. ვნახე ის პიროვნება, ვინც მირჩია. მოვუყევი ჩემი თავგადასავალი და მიმიღო თავის სამსახურში. ის ძალიან ძვირფასი ვინმე იყო, სულ ლოცულობდა, რამოდენიმე ხანი მასთან დავრჩი. გარდაცვალების წინ მასაც ანა-ლოგიური კითხვა დავუსვი. მან ქალაქ რომში მცხოვრები ამურიე მიმასწავლა. მისი გარდაცვალების შემდეგ წავედი და ის პიროვნე-ბა ვნახე, მანაც მიმიღო თავის სამსახურში, იქაც რამდენიმე წელი

დავრჩი.

ისიც მოხუცდა, სიკვდილის ჟამს, როცა ვთხოვე, რომ ვინმესთან გავეგზავნე, ასე მიპასუხა: „ვფიცავ, არ ვიცი ისეთი ვინმე მაგრამ ბოლო შუამავლის მოვლენის დრო მოახლოვდა. ის არაბი ხალხიდან იქნება, თავის სამშობლოდან ემიგრაციაში წავა და ხურმით სავსე და ქვაღორღიან ქალაქში ბინას დაიდებს. საჩუქერებს მიიღებს მაგრამ წყალობას არ მიიღებს. მხრებს შორის შუამავლობის ბეჭედი ექნება“. როცა ეს პიროვნება გარდაიცვალა, გავითვალისწინე მისი რჩევა და გადავწყვიტე არაბეთის სახელმწიფოში წავსულიყავი.

ამურიეში ცოტა ვიმუშავე, რამდენიმე ხარისა და ცხვრის პატრონი გავხდი. როცა გავიგე, რომბენი ქელბის ტომიდან ქარავანი არაბეთში მიდიოდა, მივედი ვთხოვე, ოღონდ თქვენთან ერთად არაბეთში წამიყვანეთ, სანაცვლოდ, ეს ხარები და ცხვრები თქვენი იყოს-მეთქი. დაეთანხმნენ ჩემს შეთავაზებას და მათთან ერთად გავემგზავრე. „ვადიულ ყურას“ რომ მივაღწიეთ, მიღალატეს და იუდეველს მონად მიმყიდეს. იქ, სადაც იუდეველს ბაღი ჰქონდა, ხურმის ხეები დავინახე, ვიფიქრე ბოლო შუამავლის ემიგრაციის ქალაქი, როგორც ჩანს, ეს უნდა იყოს-მეთქი, მაგრამ ქალაქს ვერანაირად შევეჩვიე. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემმა ბატონმა თავის ბიძაშვილს მიმყიდა. მან მედინაში წამიყვანა, ამ ქალაქში თავს ისე ვგრძნობდი,თითქოს, აქ ადრეც მეცხოვრა, ადვილად შევეჩვიე. იუდეველის ბაღში ვმუშაობდი და მას ვემსახურებოდი. მაგრამ ჩემს ძირითადი მიზნისკენ სწრაფვაში მოთმინება არ მყოფნიდა.

ერთ დღესაც ხურმის ხეზე ასული ხილს ვკრეფდი. ბატონი ხის ძირში ვიღაცას ელაპარაკებოდა. საუბარში ყური მოვკარი: „მოისპოს ევსისა და ჰაზრეჯის ტომები! მექქადან ვიღაც ქუბაში მოვიდა და ამბობს ღმერთის შუამავალი ვარო. ამ ტომებმაც დაიჯერეს და მის იღებენ“. ეს სიტყვები რომ მოვისმინე თითქოს თავბრუ დამეხვა, მაშინვე ხიდან ძირს ჩამოვედი და იმ კაცს ვკითხე: „რას ამბობ, რა ხდება?“ ბატონმა მითხრა: „შენ ვინ გეკითხება, რატომ კითხულობ? შენს საქმეს მიხედე!“ და სილა გამაწნა. როცა დაღამდა ცოტაოდენი ფინიკის ხურმა ავიღე და ქუბაში მივედი. ალლაჰის

საყვარელ შუჰამმედ შუამავლის წინაშე წარვსდექი და ვუთხარი: „შენ ღვთისმოსავი ხარ, გვერდით ბევრი ღარიბი გყავს, ამიტომაც ეს ხურმა წყალობად მოგიტანე.

ალლაჰის შუამავალი იქვე მყოფ საჰაბეებს მიუბრუნდა და უთხრა: ***„მოდით ხურმა მიირთვით!“*** მათ ხურმა მიირთვეს, მაგრამ თავად შუამავალმა ერთი ცალიც კი არ შეჭამა. ჩემთვის გავიფიქრე: „აი, ეს ერთ-ერთი ნიშან-თვისებათაგანია. წყალობას არ იღებს“ ამის შემდეგ ცოტაოდენი ხურმა ავიღე და ისევ შუამავალთან მივედი. ვუთხარი: ***„ეს ხურმა საჩუქრად მოგიტანეთ“*** ამჯერად მან ხურმა საჰაბეებთან ერთად მიირთვა. უკვე მეორე ნიშან-თვისებაც გამომჟღავნდა. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ მივედი შუამავალთან. ისინი მიცვალებულს ასვენებდნენ, მინდოდა მის მხრებს შორის შუამავალობის ბეჭედი მენახა. ამიტომ რაც შემეძლო, მივახლოვდი. ვფიქრობ, ალლაჰმა ისმინა ჩემი სურვილი, პერანგი აეწია და შუამავალობის ბეჭედი დავინახე. მაშინვე მივედი, ვაკოცე და ავტირდი. ქელიმეი შეჰადეთი წარმოვთქვი და ისლამი მივიღე“.

სელმან ფარისი გამუსლიმანების შემდეგ, კიდევ რამდენიმე ხანს, მონობაში დარჩა. როდესაც საყვარელ შუამავალმა უთხრა: ***„მონობისგან გაითავისუფლე თავი, სელმან!“*** სელმანი ბატონთან მივიდა და განთავისუფლება თხოვა. ამ თხოვნის დაკმაყოფილება იუდეველს ძალიან გაუჭირდა. „იმ პირობით გაგათავისუფლებ თუ სამას ძირ ხურმის ნერგს დარგავ, მოუვლი, გაზრდი და როცა ნაყოფს გამოიღებს იმის შემდეგ კიდევ სამოც ოქროს გადამიხდი“. – უთხრა იუდეველმა თავის მონას.

სელმან ფარისმა ამის შესახებ საყვარელ ალლაჰის შუამავალს აცნობა. კაცობრიობის სიამაყემ კი საჰაბეებს მოუწოდა: ***„ჩვენს ძმას დაეხმარეთ!“*** მათაც მისთვის სამასი ძირი ხურმის ფიდანი შეაგროვეს. შუამავალმა მათ უთხრა: ***„როცა ხურმის ნერგებს დასარგავად მოამზადებთ, გამაგებინეთ“.*** საჰაბეები ასეც მოიქცნენ. როდესაც ორივე სამყაროს მზე ნერგების დასარგავ ადგილზე მივიდა, გარდა ერთი ძირისა, ყველა თავისი მადლმოსილი ხელებით დარგო. ის ერთი ძირი კი კეთილშობილმა ომარმა ჩაუშვა მიწაში. ომარის დარგულის გარდა, უზენაესი ალლაჰის ნებით ყველა

ნერგმა იმ წელიწადს ნაყოფი გამოიღო. ალლაჰის შუამავალმა ის ერთი ძირიც ამოიღო და თვითონ დარგო, ნერგმა მაშინვე იხარა და ნაყოფი გამოიღო.

სელმანი ფარისი მოგვითხრობს: „ერთ დღეს ვიღაც მეძებდა და მეძახდა: „სად არის სელმანი ფარის მუქათთები ფაქირი“ (მონობისგან გასათავისუფლებლად ბატონთან გარკვეული ანგარიშის სანაცლოდ შემათანხმებელი). როდესაც მიპოვა, კვერცხისოდენა ოქრო გადმომცა. გამოვართვი და საყვარელ შუამავალთან მივედი.

ალლაჰის შუამავალმა ოქრო უკან დამიბრუნა და მითხრა: ***„აიღე ეს ოქრო და ვალი გადაიხადე!“*** – წმინდა შუამავალო ეს ოქრო იუდეველის სასურველი რაოდენობის არ არის“ – ვუთხარი მე. მან ოქრო მადლმოსილი ხელით აიღო, შემდეგ ისევ გამომიწოდა და მითხრა: ***„გამომართვი ოქრო! ალლაჰის ნებით, ეს შენს ვალს გადაიხდის“.*** შემდეგ ოქრო ისევ ავწონე და იმდენი აღმოჩნდა, რამდენიც ჩემ ბატონს სურდა. მივუტანე და მივეცი. ასე გავთავისუფლდი მონობისგან“. სელმანი ფარისი იმ დღის შემდეგ ესჰაბი სუფფეს შეუერთდა.

ანგელოზები მოსასმენად მოდიოდნენ

ალლაჰის საყვარელი შუამავალი წმინდა ყურანს ისე ლამაზად, ტკბილად და შთამბეჭდავად კითხულობდა, რომ არამუსლიმანი მსმენელებიც კი გაოცებული რჩებოდნენ. ბევრია მისი მოსმენით ბევრი ადამიანი გამუსლიმანდა. ძვირფასი ბერა ბინ აზიბი მოგვითხრობს: „ძილისწინა ნამაზის ლოცვის დროს ალლაჰის შუამავალი „თინის“ სურას, იმდენად ლამაზად კითხულობდა, რომ მასზე უკეთესი და შესანიშნავი ხმით წამკითხველი არავინ მინახავს“.

საჰაბეთაგან ბევრი წმინდა ყურანს ისეთი ლამაზი ხმით კითხულობდა, რომ მსმენელს ატირებდნენ. მათგან ერთ-ერთი უსეიდ ბინ ჰუდაირი იყო. ერთ ღამეს ცხენითავისთან ახლოს დააბა და „ბაყარას“ სურას კითხვა დაიწყო. კითხვისას ცხენი უეცრად შეკრთა. როდესაც უსეიდი გაჩუმდა, ცხენიც დაწყნარდა. იგივე განმეორდა რამდენჯერმე. უსეიდის შვილი, იაჰია ცხენთან ახლოს იწვა. უს-

ეიდი შეეშინდა, ცხენს ბავშვისთვის რაიმე ზიანი არ მიეყენებინა და კითხვას თავი დაანება. ცისკენ რომ აიხედა, თეთრი ღრუბლის ჩრდილის მსგავს ნისლში ლამპარივით მბრწყინავი რაღაც შეამჩნია. როცა გათენდა ალლაჰის შუამავალთან მივიდა და ღამით მომხდარის შესახებ უამბო. შუამავალმა ჰკითხა: ***„იცი ეს რა იყო?“*** უსეიდმა მიუგო: „არა, არ ვიცი წმინდა შუამავალო“. შუამავალმა უთხრა: ***„ისინი ანგელოზები იყვნენ. შენი ხმის მოსასმენად იყნენ მოსულნი. კითხვა რომ გაგეგრძელებინა, დილამდე მოგისმენდნენ და მათ ადამიანებიც დაინახავდნენ. ისინი ხალხის თვალს არ მიეფარებოდნენ.“***

წმიდა ყურანის ნაზი ხმით მკითხავთაგან ერთ-ერთი ებუ ბექრ სიდდიყიც იყო. ნამაზის შესრულებისას კითხვას რომ იწყებდა, თავს ვეღარ იკავებდა და თვალებიდან ცრემლები სდიოდა. ვინც მას ამ მდგომარეობაში ხედავდა, ყველა გაოცებული რჩებოდა. ერთ დღესაც წარმართები შეკრებილიყვნენ და ამბობდნენ: „ეს კაცი შუამავლის მოტანილს ძალიან ლამაზი ხმით კითხულობს და ტირის. ვშიშობთ, ჩვენი ქალები და ბავშვები ამით მოიხიბლებიან და გამუსლიმანდებიან“.

საყვარელი შუამავლის ლამაზი სახის ნახვით, მისი ტკბილმოუბარი საუბრითა, და მის მიერ წმინდა ყურანის კითხვით მოხიბლულ და შემდეგ გამუსლიმანებულ ადამიანთაგან ერთ-ერთი, ძვირფასი აბდულლაჰ ბინ სელამი იყო.

თორასა და სახარების კარგად მცოდნე, აბდულლაჰ ბინ სელამი, სანამ ისლამს მიიღებდა, იუდეველი სწავლული იყო. თავისი გამუსლიმანების შესახებ ასე მოგვითხრობს: „მე თორა და მისი განმარტებები მამაჩემისგან ვისწავლე. ერთ დღეს, მან ბოლო შუამავლის ნიშან-თვისებებისა და მის მიერ გასაკეთებელი საქმეების შესახებ მიამბო და მითხრა: „თუ ის ჰარუნის შვილთაგანი იქნება მისი მიმდევარი გავხდები, თუ არა და არ გავყვები“. მამაჩემმი ალლაჰის შუამავლის მედინაში მოსვლამდე გადაიცვალა.

როდესაც გავიგე, რომ ალლაჰის შუამავალმა მექქაში თავისი შუამავლობა გამოაცხადა, მაშინ მისი ნიშან-თვისებების, სახელისა და შუამავლობის მისიის შესახებ მე უკვე ვიცოდი, ამიტომაც მის

მოლოდინში ვიყავი. ეს ამბავი იუდეველებისგან მანამდე დავფარე, სანამ არ გავიგე, რომ ალლაჰის შუამავალი მედინასთან ახლოს, ქუბაში ამირ ბინ ავფთან სტუმრად მივიდოდა.

ერთხელაც, როდესაც ბაღში ხურმის ხიდან ჯერ კიდევ დაუმწიფებელ ხილს ვკრეფდი, ნადირის შვილთაგან ერთ-ერთმამა იყვირა: „დღეს არაბების კაცი მოვიდა“. უცებ კანკალმა ამიტანა და მაშინვე ვიყვირე: „ალლაჰი უდიდესია“ ამ დროს ჩემი მამიდა ჰალიდე ბინთი ჰარისი, ხის ძირში იჯდა, ის უკვე ძალიან მოხუცი ქალი იყო. ჩემგან ალლაჰის დიდების ხმა რომ გაიგონა, მისაყვედურა: „ღმერთმა უსაქმურად დაგტოვოს და საწადელს არ გაღირსოს. ვფიცავ, მუსა ბინ იმრანის მოსვლის შესხებ რომ გაგეგო, ამაზე უფრო მეტად არ გაგეხარდებოდა“. – „მამიდა, ვფიცავ, ის მუსა ბინ იმრანის ძმა და მისი მსგავსი შუამავალია. მის გზაზე დგას და თევჰიდით (ერთი ღმერთის რწმენით) არის მოვლენილი“.

ამის შემდეგ მამიდამ მკითხა; „ჩემო ძმისშვილო, ის შუამავალი ხომ არ არის, მის მოვლენას წარღვნის მოახლოებისას რომ ველოდებით?“ კითხვაზე ტანხმობით ვუპასუხე. თუ ეგრეა მართალი ხარო, მითხრა მამიდამ.

როდესაც ალლაჰის შუამავალი მედინაში გადმოვიდა, მაშინვე მის სანახავად წავედი. მისი მადლმოსილი სახე დავინახე თუ არა მაშინვე ვთქვი: არა, შეუძლებელია ეს მატყურა იყოს!“ ის შეკრებილ ხალხს ისლამს უხსნიდა და რჩევა დარიგებებს აძლევდა. მისგან მოსმენილი პირველი წმინდა ჰადისი ასეთია:

„ერთმანეთის მიმართ მისალმება გაახშირეთ, მშივრები დააპურეთ, ახლო ნათესავები მოინახულეთ და როცა სხვებს ძინავთ, თქვენ ნამაზი შეასრულეთ. ამგვარად, სამოთხეს დაიმსახურებთ“.

ქვეყნიერების სულთანმა, საყვარელმა შუამავალმა მიცნო და მკითხა: ***„შენ მედინელი სწავლული იბნ სელამი ხარ?“*** დიახ – მეთქი, ვუპასუხე. მან შემდეგი კითხვა დამისვა: ***„აბდულლაჰ, ალლაჰის გულისთვის მითხარი, თორაში ჩემი ნიშან-თვისებების შესახებ რა წაგიკითხავს?“*** მე კითხვა დავუბრუნე: „რომელია უზენაესი ალლაჰის (სიფათი) ნიშან-თვისება, როგორრია მისი ფიზიონომია?“

ალლაჰის შუამავალი ცოტა ხნით დაფიქრდა, ამ დროს ანგელოზმა ჯიბრილმა იჰლასის სურა ზეშთააგონა. როდესაც შუამავლის მიერ წაკითხული „იჰლასის“ სურე მოვისმინე, მაშინვე ვუთხარი: „დიახ, მართალს ამბობ ალლაჰის შუამავალო, ვემოწმები, რომ ალლაჰის გარდა სხვა ღვთაება არ არსებობს, შენ კი მისი მონა-მსახური და შუამავალი ხარ“. ასე წარმოვთქვი ქელიმეი შეჰადეთი და მუსლიმანი გავხდი.

შემდეგ ვუთხარი: „ალლაჰის შუამავალო! იუდეველები ისეთ ტყუილის იტყვიან, რომ ადამიანს გააკვირებენ, ცილისმწამებელი და უსამართლო ხალხია. თუ გაიგებენ, რომ ისლამი მივიღე, ეჭვგარეშეა, თქვენ წინაშე წარმოუდგენელ ბრალდებებს წამომიყენებენ, ცილს დამწამებენ. ამიტომ ჩემ შესახებ მანამ კითხეთ, სანამ ჩემი გამუსლიმანების ამბავს გაიგებენ“ და სახლის ერთ კუთხეში დავიმალე. მალე იუდეველ ავტორიტეტულ პირთა ერთი ჯგუფი შუამავალის წინაშე წარსგდა. ალლაჰის შუამავალმა ჰკითხა: ***„თქვენი თანატომელი აბდულლაჰ ბინ სელამი როგორი ადამიანია?“*** იუდეველებმა მიუგეს: „ის ჩვენ შორის ყველაზე მცოდნე და ამავე დროს დიდი სწავლულის შვილია. ის ჩვენ შორის ყველაზე უკეთესია“. ამის შემდეგ ალლაჰის შუამავალმა ჰკითხა: ***„დავუშვათ, გაიგეთ რომ ის გამუსლიმანდა, მაშინ რა იტყოდით?“*** „ღმერთმა დაიფაროს ის ასეთი საქციელისგან“ მიუგეს იუდეველებმა.

ამ დროს სამალავიდან გამოვედი და იუდეველებს მივმართე: „იუდეველებო! გეშინოდეთ უზენაესი ალლაჰის! იწამეთ თქვენზე ბოძებული. ვფიცავ უზენაეს ალლაჰს, თქვენც კარგად ნახეთ და იცით, რომ თორაში მოხსენებულია მისი სახელი და ნიშან-თვისებები. ეს არის უზენაესი ალლაჰის შუამავალი“. შემდეგ ქელიმეი შეჰადეთი წარმოვთქვი: „ვემოწმები, რომ არ არსებობს ღვთაება გარდა უზენაესი ალლაჰისა და რომ მუჰამმედი მისი მონა-მსახური და შუამავალია“. როდესაც იუდეველებმა ეს გაიგონეს, თქვეს: „ეს კაცი ჩვენს შორის ყველაზე ცუდია. ის უვარგისი ადამიანის შვილია“. რაც შეეძლოთ, ყველა ბოროტება დამაბრალეს და უამრავი ცილი დამწამეს. შემდეგ ალლაჰის შუამავალს მივმართე: „სწორედაც ამის მეშინოდა. მე ხომ უკვე გითხარით, რომ ისინი უსამართლო, მატყუარა, ბოროტებით შეპყრობილი და ცილისმ-

წამებელი ხალხია. აი, უკვე ყველაფერი უკვე სააშკარაოზე გამოვიდა!" ამის შემდეგ წმიდა შუამავალი იუდეველებს მიუბრუნდა და უთხრა: ***„ჩვენთვის პირველი დასტური, დამოწმება საკმარისია, მეორე საჭირო აღარ არის".*** ამის შემდეგ სახლში დავბრუნდი, ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები ისლამისკენ მოვიხმე მამიდაჩემის ჩათვლით ყველა გამუსლიმანდა.

ჩემმა გამუსლიმებამ იუდეველები ძალიან განარისხა, ამიტომაც ჩემი შევიწროება დაიწყეს. უფრო მეტიც, ზოგი იუდეველი სწავლული იმასაც მეუბნებოდა, რომ შეუძლებელია შუამავალი არაბი ყოფილიყო და რომ მუჰამმედი მხოლოდ მმართველია. ასე ცდილობდნენ, რომ მიღებული რჯულზე უარი მეთქვა, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს.

აბდულლაჰ ბინ სელამთან ერთად, სა'ლებე ბინ სა'იემ, უსეიდ ბინ სა'იემ, ესედ ბინ უბეიდემ და კიდევ რამდენიმე იუდეველმა ისლამი იწამა. თუმცა ზოგი იუდეველი სწავლული ამტკიცებდა, რომ მხოლოდდამხოლოდ ბოროტი ებრაელები გამუსლიმანდნენ, ისინი რომ კარგები ყოფილიყვნენ, წინაპრების რჯულს არ უღალატებდნენ.

ჰიჯრეთის პირველ წელს მომხდარი სხვა მოვლენები.

ემიგრაციის პირველ წელს, ენსართაგან ეს'ად ბინ ზურარე, ბერა ბინ მარური, ქულსუმ ბინ ჰიდმი, ხოლო მუჰაჯირთაგან ოსმან ბინ მაზუნი გარდაიცვალნენ. მუსლიმებს მიეცათ ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლის ნება მიეცათ. გარდა ამისა ებუ ბექირი და ბილალი ჰაბეშუ მედინას კლიმატს ვერ შეეჩვივნენ და მალარიის დავადება შეეყარათ. ამის გამო საყვარელმა შუამავალმა უზენაეს ალლაჰის მიმართ შემდეგი ვედრება აღავლინა: ***„ჩემო გამჩენო, როგორც მედინაც ისევე შეგვაყვარე, როგორც მექქა გვიყვარს. ბარაქა და სიუხვე გვიწყალობე".*** უზენაესმა ალლაჰმა მისი ვედრება ისმინა და მუჰაჯირებს მედინა შეაყვარა.

ამ წელს თავად წმინდა მუჰამმედ შუამავლის მონაწილეობით, ებვასა და ვედდანის ბრძოლები მოხდა, ხოლო მეორე წლის დასაწყისში, ბუვათის, სეფევანისა და ზულუშეირის ბრძოლები. მა-

გრამ ამ ბრძოლებში შეტაკებას ადგილი არ ჰქონია.

პირველი წერილობითი კონვეციის (ხელშეკრულების) **დადება.**

მექქელები არ ისვენებდნენ, წმინდა შუამავალს რაც მექქაში ვერ დააკლეს, იმის ანაზღაურება მედინაში ცდილობდნენ. მუქარის შემცველ წერილებს არც მედინელ წარმართებს და არც იუდეველებს აკლებდნენ. მათმა ასეთმა მუქარამ ის შედეგი გამოიღო, რომ იუდეველები ალლაჰის შუამავალს დაუახლოვდნენ.

ერთხელაც, იუდეველები ალლაჰის შუამავლის წინაშე წარსდგნენ და უთხრეს: „თქვენთან სამშვიდობო მოლაპარაკებისთვის მოვედით, შევთანხმდეთ და ერთმანეთს ზიანს ნუ მივაყენებთ“. ალლაჰის შუამავალი მათ შეთავაზებას დათანხმდა და ორმოცდათხუთმეტმუხლიანი ხელშეკრულება გააფორმეს. ქვემოთ მოვიყვანთ ხელშეკრულების ზოგიერთ მუხლს:

1 – ეს ხელშეკრულება დაიდო მუჰამმედისა და მექქელ და მედინელ მუსლიმანების მიერ მათთან მებრძოლ მოწინააღმდეგესთან. მათზე მიმყოლის ან შემდეგში მიერთებულთ და მათთან ერთად მებრძოლთა შორის წერილობითი პირველი ხელშეკრულებაა.

2 – ეჭვგარეშეა, რომ ესენი სხვა ხალხის ჯამაათია.

3 – ყოველი ტომი ტყვედ ჩავარდნილის გამოსასყიდს ერთობლივად იხდი

4 – მუსლიმები შფოთისა და არეულობის გამომწვევის წინააღმდეგ იმ შემთხვევაშიც კი იომებენ, თუ ის მათი შვილთაგანია.

5 – იმ იუდეველს, რომელიც მუსლიმებს დაემორჩილებოდა, დევნას არ დაუწყებდნენ დასაჭიროების შემთხვევაში დახმარებას აღმოუჩენდნენ.

6 – იუდეველები და მუსლიმანები შექმნიან გაერთიანებას, მაგრამ ყველა თავის რელიგის მიჰყვება.

7 – არცერთი იუდეველს წმინდა მუჰამედის ნებართვის გარეშე სამხედრო ლაშქრობაში წასვლა არ შეუძლია.

8 – შეთანხმებაზე ხელმომწერ არცერთ მხარეს აქვს უფლება, მეორე მხარის რომელიმე წარმომადგენელს დევნა დაუწყოს.

9 – მედინას დაბლობი, ამ ხელშეკრულების მხარეთათვის აკრძალული ზონაა.

10 – მექქელ წარმართებს და მათ დამხარეთ, მფარველობა არავითარ შემთხვევაში გაეწევათ.

11 – მედინაზე თავდასხმის შემთხვევაში მუსლიმანები და იუდეველები ერთმანეთს უნდა დაეხმარნონ.

ამ ხელშეკრულების მიხედვით, იუდეველები ვალდებულნი იყვნენ მუსლიმებისთვის არ ემტროთ.

ჩემო საყვარელო შუამავალო! არ დამწუხრდე!...

სანამ ალლაჰის საყვარელი შუამავალი მედინაში ემიგრაციაში წავიდოდა, ამ ქალაქში მცხოვრები ჰაზერჯის ტომის მეთაური, აბდულლაჰ ბინ უბეი მმართველობისკენ ისწრაფვოდა. ჯერ აქაბეს ზავის, შემდეგ კი ემიგრაციასთან ერთად ევსისა და ჰაზრეჯის ტომების უმრავლესობის გამუსლიმანების გამო აბდულლაჰ ბინ უბეის ზრახვები ვეღარ განხორციელდა. ამის გამო იგი, პირველ რიგში, საყვარელი შუამავლის, შემდეგ კი ემიგრანტი საჰაბეებისა და მედინელი მუსლიმების მიმართ მტრულად განეწყო და თავის ბოროტი ზრახვების გამოსავლენად ხელსაყრელ მომენტს ელოდა, მანამდე კი რაიმეს ჩადენას ვერ ბედავდა. მან თავისნაირი ადამიანებისგან ფარისეველთა ჯგუფი ჩამოაყალიბა... ესენი საჰაბეებთან მუსლიმანობას აღიარებდნენ, მაგრამ ზურგს უკან მათ დასცინოდნენ. ჩუმ-ჩუმად განხეთქილების თესვა და ინტრიგისათვის ნიადაგის მომზადება დაიწყეს. ასეთი ქმედებში იმდენად შორს შეტოპეს, რომ ალლაჰის წმინდა შუამავლის ლიდერის სიტყვების შეცვლილი სახით გადმოცემაც იკადრეს.

იუდეველები მუსლიმების მიმართ მტრულ განწყობას საკუთარ გულებში ინახავდნენ და ხელშეკრულებაზე ხელი სწორედ ამ ფარული მტრობით განმსჭვალულებმა მოაწერეს. საყვარელ შუამავალთან ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ და, თავიანთი აზრით,

ძალიან ძნელ კითხვებს უსვამდნენ. მიღებული პასუხებიდან გამომდინარე ისინი ხვდებოდნენ, რომ მუჰამმედი ჭეშმარიტი შუამავალი იყო, მაგრამ სიჯიუტისა და გაუტანლობის გამო მაინც არ იწამეს. ამის შესახებ საყვარელი შუამავალი ბრძანებს: „იუდეველ სწავლულთაგან ჩემი ათ მათგანს მაინც რომ ეწამა, შემდეგ ყველა იუდეველი გამუსლიმდებოდა“.

მექქელი წარმართები, მედინელი კერპთაყვანისმცემლების, ფარისევლების, იუდეველებისა და მედინას გარშემო მცხოვრებ ტომთა მუქარასა და წაქეზებას შეუჩერებლად განაგრძობდნენ. ცდილობდნენ, ისლამის სხივი რაც შეიძლებოდა მალე ჩაექროთ. ისინი საყვარელი შუამავლის ლიკვიდაციის გზებს ეძებდნენ.

მიუხედავად ფარისევლებისა და წარმართების ასეთი ქმედებებისა, ალლაჰის შუამავალი ყოველთვის მშვიდობიან გზას მიმართავდა. საჰაბეებიდან ზოგიერთი დარწმუნებული იყო, რომ უკვე საჭირო ხდებოდა მტრის წინააღმდეგ გალაშქრება და ამიტომ უზენაეს ალლაჰს შემდეგი სიტყვებით შეევედრნენ: „დიადო გამოჩენო, შენს გზაზე წარმართების წინააღმდეგ ომზე უკეთესი ჩვენთვის არაფერი იქნება. ყურეიშელმა წარმართებმა შენი საყვარელი შუამავალი უარჰყვეს და იძულებული გახადეს, მექქა მიეტოვებინა. დიადო ალლაჰ! იმედი გვაქვს რომ მათ წინააღმდეგ ბრძოლის ნებას მოგვცემ!...“

ალლაჰის საყვარელი შუამავალი უზენაესი ალლაჰის ბრძანებას ელოდა, რადგანაც სწორედ ამ ბრძანებების მიხედვით იქცეოდა. უკვე დრო დამდგარიყო, ანგელოზი ჯებრაილის მოტანილ ზეშთაგონაში ნაბრძანები იყო რომ; ***„ღვთის გზაზე ეომეთ მათ, ვინც ომი აგიტეხონ. ხოლო ზღვარს არ გადალახოთ.*** *(არ შეეხოთ მათ ვინც თქვენ არ გებრძვით. გარდა ამისა ბრძოლის დროს არ მოკლათ, არ აწამოთ, ქალები, ბავშვები, და მოხუცები).* ***რადგან ალლაჰს არ უყვარს ზღვრის დამრღვევნი. მოკალით ისინი სადაც ჰპოვოთ და განდევნეთ როგორც თქვენ*** *(მექქადან)* ***გაგნდევნეს. წარმართობის განსაცდელი უარესია ვიდრე ომის დროს კაცთა ჰკვლა. მათ ომი არ გაუმართოთ მესჯიდი ჰარამთან*** *(წმიდა მეჩეთთან)* ***ვიდრე თავს არ დაგესხმიან. ხოლო ისინი თუ თქვენ თავს დაგესხმიან ებრძოლეთ და***

მოჰკალით თქვენც. ასეთია ურწმუნოთა სასყიდელი. თუ ისინი უზენაესი ალლაჰის უარჰყოფისა და ომის თავს დაანებებენ, *(თქვენს დაანებეთ თავი)* ***ვინაიდან, უეჭველია, რომ ალლაჰი მპატიებელი და მწყალობელია.***[2]

ამის შემდეგ ზეშთაგონებულ აიათში კი ასეა ნაბრძანები: ***„წარმართებს ეომეთ, სანამ ურწმუნოების კვალი არ მოისპობა და რჯულში ღვთისმსახურება მხოლოდ და მხოლოდ უზენაესი ალლაჰისთვის არ იქნება. თუკი ასეთი ქმედებას*** *(წარმართობას)* ***თავს დანებებენ*** *(მათთვის სასჯელი არ იქნება)*. ***მტრობა*** *(სასჯელი)* ***მხოლოდ უსამართლოთა წინააღმდეგ არის.“***

პირველი ლაშქრობანი

საყვარელ შუამავალმა, მედინაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების კონტროლისათვის სამხედრო შენაერთები შექმნა. მათში ხუთიდან ოთხას ჯარისკაცთა რიცხვი ოთხასს ხუთთას შორის მერყეობდა. მან მტრის მოულოდნელი თავდასხმების თავიდან ასაცილებლად მედინაში გუშაგობის დაწესებით საჭირო ზომები მიიღო.

ასევე აუცილებელი იყო წარმართების ეკონომიური კუთხით დასუსტება. ამისათვის საჭირო იყო მათთვის სირიისკენ მიმავალი სავაჭრო გზების გადაკეტვა. როგორც კი ხმა გავარდა, რომ წარმართთა ერთ-ერთი ქარავანი მედინას შემოგარენში გადაადგილდებოდა, საყვარელმა შუამავალმა საწრაფოდ სალაშქროდ მზადყოფნის განკარგულება გასცა. ოცდაათი ცხენოსანი მოამზადა და მეთაურად ძვირფასი ჰამზა დაუნიშნა. შემდეგ ის დაარიგა: „გეშინოდეს უზენაესი ალლაჰისა და შენ განკარგულებაში მყოფთა მიმართ სირბილე გამოიჩინე“. ამის შემდგომ განაცხადა: ***„უზენაესი ალლაჰის გზაზე, ახსენეთ მისი დიადი სახელი და გაილაშქრეთ. ებრძოლეთ მათ ვინც არ ცნობს უზენაეს ალლაჰს“*** ძვირფას ჰამზას ხელში თეთრი დროშა მისცა და გზა დაულოცა.

ძვირფასი ჰამზა თავის განკარგულებაში მყოფ ცხენოსნებთან ერთად გაემართა წარმართების ქარავნისაკენ, რომელსაც სამასი

2. სურა ბაყარა; 190—192.

ცხენოსანი იცავდა. ქარავანი მექქადან დამასკოსკენ მიემართებოდა, როდესაც ***სიფრ-ულ-ბაჰრთან*** მივიდნენ, მუჰაჯირებს შემოეყარნენ. დიდებულმა საჰაბეებმა მაშინვე საბრძოლო პოზიცია დაიკავეს და შეტაკებისთვის მოემზადნენ, მაგრამ ამ დროს საქმეში მეჯდი ბინ ამირ ელ-ჯუჰენმა ჩაერია. ის ორივე მხარის მოკავშირე იყო. როცა დაინახა მუსლიმანების რიცხვი წარმართებზე მცირე იყო, იფიქრა, რომ შესაძლებელი იყო მუსლიმანები დამარცხებულიყვნენ, ისლამის სახელმწიფოს მარადიული არსებობის იმედით, მომრიგებლობა გაწია და ორივე მხარეს ომი გადაათქმევინა. ამის შემდეგ ძვირფასი ჰამზა მეგობრებთან ერთად მედინაში დაბრუნდა. როცა მეჯდის საქციელის შესახებ საყვარელ შუამავალს უამბეს, მას გაეხარდა და თქვა: „ რა კარგად მოქცეულა, მადლმოსილი”

ამ დღიდან ლაშქრობები არ წყდებოდა. უბეიდ ბინ ჰარისის მეთაურობით ოთხმოცამდე ცხენოსანი მუჯაჰიდი რებიეში გააგზავნეს. იქ, წარმართებს მუსლიმანების შეეშინდნენ და გაქცევით უშველეს თავს.

ერთხელაც, საყვარელ შუამავალს ყურეიშელი წარმართების გასაკონტროლებლად ნაჰლეში სამხედროს ნაწილის განლაგება უნდოდა. გასაგზავნი რაზმის მეთაურად კი ებუ უბეიდე ბინ ჯერრაჰი უნდა დაენიშნათ. როდესაც მან ეს ბრძანება მიიღო შუამავალთან მოსალოდნელი განშორების გამო, ტირილი დაიწყო. ალლაჰის შუამავალმა მის ნაცვლად აბდულლაჰ ბინ ჯაში დანიშნა.

აბდულლაჰ ბინ ჯაში ისლამზე წრეფელი გულით იყო შეყვარებული. მიუხედავად იმისა, რომ გამუსლიმანების შემდეგ ურწმუნოებმა მას წარმოუდგენელი ტანჯვა-წვალება მიაყენეს, მან ყველა გაჭირვებასა და ტანჯვა-წამება მედგრად გადაიტანა. აქედან გამომდინარე ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „მან შიმშილობასა და გაჭირვებას ყველაზე ღირსეულად გაუძლო“. აბდულლაჰ მას შემდეგ, რაც ბინ ჯაშმა შუამავლის მიერ შეჰიდებისთვის სასიხარულო ამბის შეტყობინების შესახებ გაიგო, მასაც შეჰიდობის სურვილი კლავდა. შეტაკების დროს ყოველთვის წინა ხაზზე იბრძოდა.

იგი მოგვითხრობს: „იმ დღეს შუამავალმა ძილისწინა ნამაზის

შესრულების შემდეგ დამიძახა და მითხრა: ***„დილით ადრე ჩემთან მოდი, იარაღი თან წამოიღე, სადღაც უნდა გაგაგზავნო.“***

როცა გათენდა მეჩეთში წავედი. ფარ-ხმალი, მშვილდ-ისარი და ჩანთა თან მქონდა. ალლაჰის შუამავალმა დილის ნამაზი ალოცვა და სახლში დაბრუნდა. მე მასზე ადრე მივედი და კარებთან ველოდებოდი. მან მუჰაჯირთაგან ჩემთან ერთად წასასვლელად რამდენიმე კაცი ნახა. როდესაც დამინახა, მითხრა, შენ ამათ მეთაურად უნდა დაგნიშნოო და რაღაც წერილი გადმომცა, შემდეგ კი გააგრძელა: ***„წადი, ორი დღის სიარულის შემდეგ ეს წერილი გახსენი და როგორც იქ არის ნაბრძანები, იმის მიხედვით მოიქეცი.“*** ვკითხე, ალლაჰის შუამავალო საითკენ წავიდე-მეთქი, მან მიპასუხა, ნეჯდესაკენ გაემართე, შემდეგ რექიეს ორმოსკენ მიბრუნდიო.

როდესაც აბდულლაჰ ბინ ჯაშს ნაჰლეს ლაშქრობის მეთაურობა დაევალა, ამით მან პირველმა მიიღო მორწმუნეთა ამირის ტიტული. ასე, რომ ის ისლამში პირველი ამირი გახდა, რომელიც ამ ტიტულით მოიხსენიება. 12 კაციანი რაზმით ორი დღის მოგზაურობის შემდეგ მელელში რომ მივიდნენ, მან წერილი გახსნა და კითხვა დაიწყო. გზავნილში ეწერა:

„ბისმილლლაჰირრაჰმანირრაჰიმ. როდესაც ამ წერილს გახსნი და წაიკითხავ მექქასა და ტაიფს შორის მდებარე ნაჰლეს ველამდე ალლაჰის სახელი ხსნებით იარე. არცერთ თანმხლებ მეგობარს შენთან ერთად წასვლა არ აიძულო. ნეჰლეს ველზე ყურეიშელები და მათი ქარავნები გააკონტროლე. მათ შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდე“.

როდესაც მორწმუნეთა ამირამ, აბდულლაჰ ბინ ჯაშმა წერილი წაიკითხა, წარმოსთქვა: „ყველა ჩვენგანი უზენაესი ალლაჰის მსახურა და ყველა მას უნდა დავუბრუნდეთ. გავიგე და ვემორჩილები. უზენაესი ალლაჰისა და საყვარელი შუამავალის ბრძანებას შევასრულებ“. წერილს აკოცა და თავზე დაიდო, შემდეგ მეგობართ მიუბრუნდა და მიმართა: „ვისაც სულითა და გულით უნდა შეჰიდად გახდომა,, ჩემთან ერთად წამოვიდეს, ვისაც არ უნდა, შეუძლია, უკან დაბრუნდეს. არავის არ გაიძულებთ. თუ არცერთი წამოხვალთ მე მარტოდ წავალ და ალლაჰის შუამავლის ბრძანებას აუცილებლად შევასრულებ”. თანმხლებთაგან ყველამ

ერთხმად უპასუხეს: „ჩვენ მოვისმინეთ ალლაჰის საყვარელი შუამავლის ბრძანება, მორჩილნი ვართ, უზენაეს ალლაჰის, საყვარელი შუამავალისა და შენი. უზენაესი ალლაჰის მადლით, იქ წადი, სადაც შენ ისურვებ"

სა'დ ბინ ები ვაყყასის თანხლებით მცირერიცოვანმა რაზმმა ჰიჯაზისკენ გეზი აიღო და ნეჰლეს მიაღწია. ერთ ადგილს ამოეფარნენ და გამვლელ გამომვლელ ყურაიშებს თვალთვალი დაუწყეს. ამ დროს დატვირთულმა წარმართთა ქარავანმა გაიარა, მუჯაჰიდებმა ქარავანს მიუახლოვდნენ და ისინი ისლამის რჯულისკენ მოიხმეს. უარის მიღებისთანავე შეტევაზე გადავიდნენ. მათგან ერთი მოკლეს, ორი კი ტყვედ აიყვანეს. ერთმა ცხენოსანმა თავს გაქცევით უშველა. ურწმუნოთა მთელი ქონება მუჯაჰიდებს დარჩათ. აბდულლაჰ ბინ ჯაშმა ქონების ერთი მეხუთედი ალლაჰის შუამავალს გაუყო. ეს მუსლიმანთა მიერ მოპოვებული პირველი სამხედრო ნადავლი.

მესჯიდი ყიბლეთეინი

შუქმოფენილ მედინაში საყვარელი შუამავლის ემიგარციაში გადასვლიდან უკვე ჩვიდმეტი თვე იყო გასული. ამ დრომდე ნამაზს მესჯიდი მაყდისის (წმინდა მეჩეთის) მიმართულებით ასრულებდნენ. ერთხელაც იუდეველებმა თქვეს: „რა საოცარია არა? რჯული ჩვენგან გასხვავებულია, ხოლო ყიბლე კი ერთი და იგივე" ამ სიტყვებმა საყვარელ შუამავლამდე მოაღწია და მას ძალიან ატკინა გული. როდესაც ანგელოზი ჯიბრილი გამოეცხადა, მას უთხრა: ***„ჯიბრაილ! უზენაეს ალლაჰს ვთხოვ, რომ ლოცვის დროს სახე იუდეველების ყიბლედან ქააბასკენ ვიბრუნო"*** მთავარანგელოზამ უპასუხა: „მე მხოლოდ მისი მსახურთაგანი ვარ, ეს გარდმოვლინდა, რომელშიც ნაბრძანებია: „ჩემო საყვარელო შუამავალო!" უეჭველია ცის ყოველი კუთხით სახე შექცეული გიხილეთ; ამიერიდან მიიქეცი იმ კუთხით რომელიც მოგეწონოს, მაშ, წმინდა მეჩეთის (მესჯიდი ჰარამ, ქააბას) ***მიმართულებით მიიქეც. მორწმუნეებო თქვენც! სადაც უნდა იყოთ ნამაზის შესრულებისას პირი იბრუნეთ იმ მიმართულებით*** *(ქააბესკენ)*. ***უეჭველია, რომ ვისაც წმინდა წერი-***

ლი მიიღო, იციან რომ ეს ჭეშმარიტება *(ყიბლეს მიმართულების შეცვლა)* ***ყოვლის გამჩენი, ბატონ პატრონისგან მომდინარეობს. უზენაესი ალლაჰი მათი ქმედებების უყურადღებო არ არის.***

ამ წმინდა აიათის ზეგარდმოვლენის დროს ალლაჰის შუამავალი საჰაბეებს შუადღის ნამაზს ალოცვებდა, ნამაზის ნახევარი უკვე შესრულებული ჰქონდა, როცაზეშთაგონების მიღებისთანავე პირი ქააბასკენ იბრუნა. თანამიმდევრებმაც იგივე მოძრაობა გაიმეორეს. ამიტომაც ამ მეჩეთს ***„მესჯიდი ყიბლეთეინი“*** ანუ ***ორ ყიბლეანი მეჩეთი*** ეწოდა. ამის შემდეგ ალლაჰის შუამავალი ქუბაში წავიდა და პირველად აშენებული მეჩეთის მიჰრაბი მადლმოსილი ხელებით ახლად გააკეთა, მეჩეთის კედელი გამოცვალა.

ბედირის ბრძოლა

მუსლიმთა წარმატებულმა ლაშქრობებმა, ურწმუნოებს შიში ჩაუნერგა. სავაჭროდ მიმავალი, მათი ქარავნები უკვე ჯგუფურად და სამხედროების დაცვის ქვეშ გადაადგილდებოდნენ. ემიგრაციის მეორე წელს, მექქელმა წარმართებმა ყველა ოჯახიდან ავლადიდება შეაგროვეს, ათას აქლემზე დატვირთეს და ქარავანი დამასკოში გააგზავნეს. ქარავანს სათავეში მექქას დიდებულთაგან ერთ-ერთი, ებუ სუფიანი ედგა. გარდა ამისა ქარავანს დასაცავად ორმოცამდე მცველი მიამაგრეს. საქონლის გაყიდვის შემდეგ აღებული მთელი ფულით იარაღის შეძენა და მუსლიმანების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოყენება უნდოდათ.

როდესაც ალლაჰის საყვარელმა შუამავალმა გაიგო, რომ წარმართები ქარავანს სავაჭროდ დამასკოში აგზავნიდნენ, მაშინვე მუჰაჯირთაგან რამდენიმე კაცი მტრის დასაზვერავად გააგზავნა. ზულ'აშერეს რომ მიაღწიენ, წარმართთა ქარავანი დაინახეს, მაშინვე მედინაში დაბრუნდნენ და ალლაჰის შუამავალს ვითარება აცნობეს. თუკი ღვთისმგმობთ, მათ ხელთ არსებული ქონება და იარაღი წაერთმევათ მუსლიმანებს ზიანი აღარ მიადგებათ და წიააღმდეგობა დაძლეული იქნება-ასე ფიქრობდნენ მუსლიმანები. ალლაჰის შუამავალმა იმის გასაგებად, თუ როდის დაბრუნდებოდა ქარავანი უკან, ტალჰა ბინ აბდულლაჰი და სა'დ ბინ ზეიდი გააგზავნა.

ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა.. საყვარელმა შუამავალმა მედინაში დარჩენილ მუსლიმანების წინამძღოლად აბდულლაჰ იბნი მექთუმი დატოვა, გარდა ამისა მეუღლის ავადმყოფობის გამო კეთილშობილ ოსმანსა და რამდენიმე საჰაბეს მედინაში დარჩენა უბრძანა. თვითონ კი სამას საჰაბესთან ერთად, რომელთა შორისაც ანსარებიც იყვნენ და მუჰაჯირებიც, რამაზანის თვის მეთორმეტე დღეს ბედრის ველისკენ გაემართა. სულ მუსლიმანთა რაოდენობა მედინაში დარჩენილთა ჩათვლით 313-ს შეადგენდა. ბედირის ველი კი მედინასა და სირიისკენ მიმავალი გზების შემაერთებელ ნაწილში მდებარეობდა.

საყვარელ შუამავალს ღვთისმგმობთა წინააღმდეგ ბრძოლაში წაყვანას ბავშვები და ქალებიც ევედრებოდნენ. შუამავლთან მისულმა უმმუ ვარაყამ თხოვა: „ალლაჰის შუამავალო, გთხოვ ნება მომცე, თქვენთან ერთად წამოვიდე, დაჭრილებს ჭრილობებს შევუხვევ, ავადმყოფებს მოვემსახურები და იქნებ უზენაესმა ალლაჰმა შეჰიდობაც მარგუნოს წილად“. წმინდა შუამავალმა უპასუხა: ***„სახლში დაჯექი, წმინდა ყურანი იკითხე, უეჭველია, რომ უზენაესი ალლაჰი შეჰიდობას გარგუნებს“.***

სა'დ ბინ ები ვაყყასი მოგვითხრობს: „როდესაც ალლაჰის შუამავალმა ბრძოლაში მონაწილეობის მსურველი ბავშვების უკან დაბრუნება ისურვა, დავინახე ჩემი ძმა უმეირი ერთ კუთხეში იმალებოდა. როცა იგი შევნიშნე, ვკითხე: „რა დაგემართა? რატომ იმალები?“ „ვშიშობ, რომ საყვარელი შუამავალი დამინახავს და სხვა ბავშვებთან ერთად მეც უკან დაბრუნება მომთხოვს. მე კი ბრძოლაში მონაწილეობის მიღება და უზენაესი ალლაჰის გზაზე შეჰიდად დაცემა მინდა“. მიპასუხა ჩემმა ძმამ. მაშინ ის მხოლოდ თექვსმეტი წლის იყო. ამ დროს, ვიღაცამ ალლაჰის შუამავალს ჩემი ძმის შესახებ აცნობა. შუამავალი მასთან მივიდა და უთხრა: ***„უმეირ! უკან დაბრუნდი!“*** ჩემმა ძმამ ტირილი დაიწყო. წყალობათა ნაკადულმა, უკეთილშობილესმა შუამავალმა მის ცრემლებს ველარ გაუძლო და ბრძოლაში მონაწილეობის ნება დართო. თუმცაღა ჩემმა ძმამ წელზე ხმალი თვითონ ვერ გაიკეთა და მე დავეხმარე.

საყვარელი მუჰამმედ შუამავლის დროშა მუს'აბ ბინ უმეირს, სა'დ ბინ მუ'აზს და ძვირფასი ალის ეჭირათ ხელში. მუსლიმებს მხოლოდ სამი ცხენი და სამოცდაათი აქლემი ჰყავდათ, ამიტომ მათზე მორიგეობით სხდებოდნენ. ალლაჰის წმინდა შუამავალი, კეთილშობილი ალი, ძვირფასი ებუ ლუბაბე და მერსედ ბინ მერსედი მორიგეობით სხდებოდნენ ერთ აქლემზე. მაგრამ ყოველი მათგანი ეხვეწებოდა წმინდა შუამავალს, რომ ის აქლემიდან არ ჩამოსულიყო და ფეხით არ ევლო: ***„ჩვენი სიცოცხლე გენაცვალოს, ალლაჰის შუამავალო! გთხოვთ, აქლემიდან ძირს ნუ ჩამოხვალთ, შენს მაგივრად ჩვენ ვივლით ფეხით“.*** მაგრამ ქვეყნიერების ბატონი საკუთარ თავს მათგან არ ანსხვავებდა და ეუბნებოდა: „ისე როგორც ფეხით სიარულში თქვენ ჩემზე ძლიერები არა ხართ, ასევე რაც შეეხება

მადლისა და ჯილდოს, მე თქვენზე უფრო მეტი მომეთხოვება" ალლაჰის საყვარელი შუამავალი და დიდებული საჰაბეები პაპანაქება სიცხეში, მარხულები მიიწევდნენ წინ. მუსლიმები, მიუხედავად უამრავი სირთულისა, ისლამის გავრცელებისათვის საყვარელ შუამავალს უკან სიყვარულითა და ბედნიერებით აღსავსენი მიჰყვებოდნენ. ვინაიდან, ამ ყველაფერს, საბოლოო ჯამში უზენაესი ალლაჰისა და წმინდა შუამავლის კმაყოფილება მოჰყვებოდა და რაც ყველაზე მეტად სურდათ ეს, შეჰიდობის ღირსებისა და სამოთხის მოპოვება იყო.... საყვარელი შუამავალი, როდესაც საჰაბეებს ამ მდგომარეობაში უყურებდა, ალლაჰს ევედრებოდა: ***„ჩემო ალლაჰო! ისინი ფეხით დადიან, მათ სამგზავრო საშუალება მიეცი! ჩემო ალლაჰო! ისინი შიშვლები არიან, მათ ჩააცვი! ისინი მშივრები არიან, დააპურე ისინი! ისინი გაჭირვებულები არიან, უზადო წყალობით გაამდიდრე ისინი!"***

წმინდა შუამავლის მადლმოსილი ჯარი მხურვალე სიცხეში ბედირისკენ მიიწევდა, ამავე დროს დამასკოდან მომავალი, წარმართების ქარავანი ბედირის ველს უახლოვდებოდნენ. შუამავლის მიერ ამბის მოსატანად გაგზავნილი ორი საჰაბემ უკან სწრაფად დაბრუნდა. მატ ალლაჰის შუამავალს აცნობეს, რომ ერთ ან ორ დღეში წარმართები ბედირს მოაღწევდნენ. როცა მექარავნეები იმ სოფელში მივიდნენ, რომელშიც მზვერავებმა მათ შესახებ ამბავი გაიგეს, იქაურ სოფლის მკვიდრთ ჰკითხეს: „მუსლიმანების მზვერავების შესახებ იცით რამე?" ადგილობრივებმა უპასუხეს: „არ ვიცით, მაგრამ ორი კაცი იყო მოსული. აი, იქ ისხდნენ, ცოტა ხანს, შემდეგ ადგნენ და წავიდნენ".

როდესაც ებუ სუფიანი სოფლის მკვიდრთა მიერ მითითებულ ადგილზე მივიდა და იქაურობა შეამოწმა აქლემის განავალი დაინახა, როცა ის გასრისა, საკვების კურკები დაინახა და თქვა: „ასე მგონია, ის ორი კაცი მუჰამმედის მზვერავები იყვნენ". იფიქრა, სავარაუდოდ მუსლიმანები ძალიან ახლოს არიანო და შიშმა შეიპყრო. ქარავნის ბედმა მოსვენება დააკარგვინა, გადაწყვიტა დღე და ღამე შეუსვენებლად ევლო და დროის მაქსიმალურად გამოყენებით, წითელი ზღვის სანაპიროს გავლით, სასწრაფოდ, მექქაში გადასულიყო. გარდა ამისა დამდამ ბინ ამირ ღიფარი მექქაში

მაცნედ გააგზავნა.

როდესაც ეს კაცი მექქაში მივიდა პერანგი წინიდან და უკნიდან დახია, აქლემის კურტანი უკუღმა შეაბრუნა და რაღაცნაირი უცნაური ხმით წივილ-კივილი დაიწყო: „მიშველეეეთ! მიშველეთ! ყურეიშელებო! მიშველეეეთ! თქვენ ქარავანს, ებუ სუფიანთან არსებულ ქონებას მუჰამმედი და მისი საჰაბეები დაესხნენ თავს. თუკი იჩქარებთ და მიუსწრებთ, შეიძლება ქარავანი გადაარჩინოთ“.

ეს რომ მექქელებმა გაიგეს, სასწრაფოდ შეიკრიბნენ და საომრად მოემზადნენ. შვიდასი აქლემი, სამასი ცხენოსნის და ასორმოცდაათი ქვეითისგან შემდგარი ჯარი შეკრიბეს, მაგრამ, როცა ებუ ლეჰებს უთხრეს, აბა შენც გამოგვყევიო, ის შეშინდა და ავადმყოფობა მოიმიზეზა, თავის ნაცვლად ას ბინ ჰიშამი გააგზავნა. წარმართი, სახელად უმეიიე ბინ ჰალეფი, საომარი სამზადისის დროს საკმაოდ უხალისოდ იქცეოდა. ვინაიდან შუამავლის მიერ ნათქვამი ახსოვდა, უმეიიეს ჩემი საჰაბე მოკლავსო. რადგან შუამავალი ყოველთვის სიმართლეს ამბობდა ამიტომაც უმეიიეს ძალიან ეშინოდა. ამის გამო ებუ ჯეჰილის დაჟინებას სიმსუქნისა და მოხუცებულობის მომიზეზებით უპასუხა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს მის საყვედურებს ვეღარ გაუძლო და იძულებული გახდა თანამოძმეებს ბრძოლაში გაყოლოდა

წარმართ მეომართა უმრავლესობას ჯავშანი ეცვათ. თან ლამაზი ხმით მომღერალი ქალები ახლდათ. არც საკრავი ინსტრუმენტები და ალკოჰოლი დავიწყებოდათ. ფიქრობდნენ, ამდენად ძლიერი ჯარით არა სამას, არამედ ათას კაციან ჯარსაც კი თავისუფლად დაამარცხებდნენ. სანამ გზას გაუდგებოდნენ, ზოგიერთები უკვე იმასაც ანგარიშობდნენ, ვინ ვის მოკლავდა ან ვინ რამდენ ნადავლს აიღებდა. მაგრამ ამ ყველაფერთან ერთად, მათი მთავარი მიზანი, ისლამის მოსპობა იყო. ამ გააფთრებულ წარმართთა ჯოგი, ქალების მიერ ნამღერი მელოდიების თანხლებით გზას გაუდგა.

ამასობაში ებუ სუფიანს მედინადან საკმაო გზა გაევლო და გეზი მექქსაკენ აიღო. როცა დარწმუნდა, რომ ხიფათი თავიდან

იყო აცილებული, ერთი კაცი, სახელად ქაის ბინ იმრულ ქაისი ყურეიშელებთან გააგზავნა და დააბარა:„ ყურეიშელნო, ქარავნის, თქვენი ხალხისა და ქონების დასაცავად მექქადან წამოსულხართ, მაგრამ ჩვენ ხიფათი თავიდან ავიცილეთ, შეგიძლიათ უკან დაბრუნდეთ!“. გარდა ამისა მათ შეუთვალა, ფრთხილად იყავით და მუსლიმანებთან საომრად მედინაში არ წახვიდეთო. როდესაც ქაისმა წარმართთა ჯარს ამბავი მიუტანა, ებუ ჯეჰილმა თქვა: „ბედირში მივიდეთ, სამი დღე-ღამე ვიმხიარულოთ, აქლემები დავკლათ, ვიქეიფოთ. ახლო-მახლო ტომებმა გვიყურონ, შეშურდეთ ჩვენი და დაინახონ რომ არავისი გვეშინია. ამის შემდეგ შიშით ჩვენზე თავდასხმას ველარავინ გაბედავს. დაუმარცხებელო ყურაიშის ჯარო, მიდი გზა განაგრძე!”

ქაისი მიხვდა, რომ ებუ ჯეჰილი უკვე არავის სიტყვას მოისმენდა, ამიტომ უკან დაბრუნდა და ვითარება ებუ სუფიანს აცნობა. უფრო პროგრესულმა და წინდახედულმა ებუ სუფიანმა თავი ველარ შეიკავა და თქვა: „ოჰ, საწყალი ყურაიშები! ეს ამირ ბინ ჰიშამის დაგეგმილია, ეს ყველაფერი ხალხის მმართველად ყოფნის სიყვარულით გააკეთა. თუმცა ასეთი სიშმაგე ყოველთვის უბედურების საბაბი ხდება. თუკი მუსლიმანები ყურეიშელებს შეხვდებიან, ვაი, ამ უკანასკნელთა თავს! შავი დღე დაადგებათ“. ამის შემდეგ ქარავანი სასწრაფოდ მექქაში მიიყვანა და ჯარს წამოეწია.

ამასობაში საყვარელი მუჰამმედ შუამავალი ბედირის ველს უახლოვდებოდა. ამ დროს, მოულოდნელად, მუსლიმანთა შორის მედინელ წარმართთაგან ორს, ჰუბეიბ ბინ იესაფს და ქაის ბინ მუჰარრისს მოჰკრა თვალი.

ჰუბეიბი თავზე რკინის ჩაფხუტით იცნო და ძვირფას სა’დ ბინ მუ’აზს ჰკითხა: ***„ეს ხომ ჰუბეიბია?“*** „დიახ, ალლაჰის შუამავალო“- უპასუხა მუაზმა. ჰუბეიბი მამაცი ფალავანი გახლდათ, რომელმაც ძალიან კარგად იცოდა ბრძოლის წესები. ის და ქაისი ალლაჰის შუამავლის წინაშე წარსდგნენ. შუამავალმა მათ ჰკითხა; ***„რატომ მოდიხართ ჩვენთან ერთად?“*** „შენ ჩვენი დისშვილი და მეზობელი ხარ. ჩვენც ჩვენ ხალხთან ერთად ნადავლის ასაკრეფად მოვდივართ“. უპასუხეს მათ. შუამავალმა ჰკითხა: ***„თქვენ იწამეთ უზენაე-***

სი ალლაჰისა და მისი შუამავლის?“ – არაო უპასუხეს მათ. ***„მაშ თუ ეგრეა, დაბრუნდით უკან! ვინც ჩვენი რჯულისა არ არის ის, ჩვენთან ერთად ვერ იქნება“*** – თქვა ალლაჰის შუამავალმა.

ჰუბეიბე მაინც არ შედრკა და თავის ქება დაიწყო: „ყველამ კარგად იცის, რა მამაცი, შეუპოვარი და მტრის ჯარის გამნადგურებელი მეომარი ვარ. ნადავლისათვის მტრის წინააღმდეგ შენთან ერთად ვიბრძოლებ“. მიუხედავათ ყველაფრისა, შუამავალმა მისი დახმარება არ ისურვა.

ცოტა ხნის შემდეგ ჰუბეიბმა თავისი სურვილი ისევ გაიმეორა. მაგრამ შუამავალმა აცნობა, რომ სანამ ის ისლამს არ მიიღებდა, მანამდე სურვილს რეალობად ვერ აქცევდა. როდესაც რევაჰთან მივიდნენ, ჰუბეიბი ალლაჰის საყვარელი შუამავლის წინაშე წარსდგა და უთხრა: „ალლაჰის შუამავალო! ვირწმუნე სამყაროს გამჩენის, უზენაესი ალლაჰის, ასევე ვემოწმები, რომ შენ მისი შუამავალი ხარ“. ჰუბეიბის მიერ ამ სიტყვების წარმოთქმა საყვარელ შუამავალს ძალაინ გაუხარდა. ხოლო ქაისი მედინაში დაბრუნების შემდეგ გაცისკროვნდა ისლამით.

როდესაც ისლამის ჯარმა საფრას ველს მიაღწია, გაიგეს, რომ მექქელებს ჯარი შეუკრებიათ და ქარავნების გადასარჩენად ბედირისკენ მიიწევდნენ. წმინდა შუამავალმა მაშინვე საჰაბეები შეკრიბა და შექმნილი ვითარების შესახებ ითათბირეს. ვინაიდან, როდესაც მედინელი მუსლიმანები შუამავალს აქაბეს შეთანხმების დადებისას შეპირდნენ, რომ თუ მათ ქალაქში საცხოვრებლად წავიდოდა, მისთვის თავსაც კი გაწირავდნენ, ისინი ტავისი პირობის ერთგულნი რჩებოდნენ და ყველაფრისთვის მზად იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგე მტრის ჯარი რაოდენობით, შეარაღებითა და სიმდიდრით მათთან შედარებით ძალიან ძლიერი იყვნენ. როდესაც ალლაჰის შუამავალმა თანამიმდევრებს აზრი ჰკითხა, მუჰაჯირთაგან ებუ ბექრ სიდდიყი, და ომერ ბინ ფარუყი ფეხზე წამოდგნენ და განაცხადეს, რომ აუცილებელი იყო მტრის ჯარის წინააღმდეგ თავგანწირვით ბრძოლა. ამის შემდეგ, მუჰაჯირთაგან მიქდად ბინ ესვედი წამოდგა და შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „ალლაჰის შუამავალო, გააკეთე ის, რასაც

უზენაესი ალლაჰი გიბრძანებს. ჩვენ ისრაელის შვილებივით, რომელთაც წმინდა მუსას უთხრეს: ***„ო მუსა, სანამ იმ სახელმწიფოში მჩაგვრელი, ტირანი ხალხი იქნება, ჩვენ არა ვართ იქ შემსვლელები. შენ და შენი გამჩენი ერთად შედით და თქვენ ორმანებრძოლეთ მათ, ჩვენ აქ უნდა დავრჩეთ“.***[1] არ გეტყვით. მზად ვართ, უზენაესი ალლაჰის გულისთვის სიცოცხლე გავწიროთ. შენ ჭეშმარიტ შუამავლად მომვლენელ უზენაეს ალლაჰს ვფიცავ, რომ ზღვის გაღმით, ეთიოპიაშიც რომ გვიბრძანო წასვლა, ამასაც გავაკეთებთ, არავითარ შემთხვევაში უმცირეს წინააღმდეგობასაც კი არ გაგიწევთ. მზად ვართ შენი ყოველი მოთხოვნა შევასრულოთ. დედ-მამა და ჩემი თავი გენაცვალოს ალლაჰის შუამავალო“. მიქდადის ასეთმა სიტყვებმა საყვარელი შუამავალი ძალზედ გაახარა და მან ერთგული საჰაბე დალოცა.

აქ, კიდევ უფრო, მნიშვნელოვანი მედინელი მუსლიმანების შეხედულებები იყო. მტრები რაოდენობით მეტნი იყვნენ და ამავე დროს ალლაჰის შუამავალზე სიტყვა ჰქონდათ მიცემული,რომ მას დაიცავდნენ, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დაჯდომოდათ. მაგრამ ისინი არ იყვნენ დაპირებულნი, რომ მას მედინას გარეთაც დაიცავდნენ. როცა მათ ფიქრებში ამ აზრებმა გაიელვა ენსართაგან სა’დ ბინ მუ’აზი ფეხზე წამოდგა და წამოსთქვა:„ ალლაჰის შუამავალო! ნებას თუ დამრთავთ, ენსართა სახელით მინდა ვილაპარაკო. ჩვენ ვიწამეთ შენი შუამავლობის. ჭეშმარიტება და სიმართლეა ის, რაც შენ მოიტანე. ამ საკითხთან დაკავშირებით მტკიცე სიტყვა მოგეცით, რომ მოგისმენდით და შენი მორჩილნი ვიქნებოდით. ჩვენ მოცემულ სიტყვას არავითარ შემთხვევაში ვუღალატებთ, სადაც წახვალთ, ყველგან შენ ბრძანებებს დავემორჩილებით და თავს გავწირავთ შენს წმინდა გზაზე. ვფიცავ, ჭეშმარიტ შუამავლად შენ მომვლენელ უზენაეს ალლაჰს, რომ თუნდაც ზღვაში შეიჭრა უკან მოგყვებით, არცერთი ჩვენთაგანი ერთი ნაბიჯითაც კი უკან არ დავიხევთ. გვიბრძანე, შევასრულებთ რას გსურთ. სიცოცხლესაც და სიმდიდრესაც გავწირავთ. ბრძოლაში მომთმენნი ვართ, მტერი ვერასდროს გვძლევს. ჩვენი ერთადერთი იმედი შენი სიხარულისა და კმაყოფილების მოპოვებაა”.

1. სურა მაიდე 24-ე აიათი.

საჰაბეებმა, ეს სიტყვები რომ მოისმინეს, აღტაცებაში მოვიდნენ. მას ყველა ერთად სულითა და გულით დაეთანხმა. ამ სიტყვებმა მეტისმეტად გაახარა ალლაჰის შუამავალი და მან ძვირფასი სა'დი და საჰაბეები დალოცა.

საყოყმანო აღარაფერი იყო. რამდენადაც ძლიერი უნდა ყოფილიყო მტრის ჯარი, დიდებული საჰაბეები შეჰიდობის პატივის მოსაპოვებლად თვალსაც კი არ დაახამხამებდნენ. კაცობრიობის სიამაყეზე მიყოლით, მათ მისი და უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების მოპოვება უნდოდათ. ალლაჰის შუამავალთან ერთად ყველგან წავიდოდნენ. სამყაროს უკეთილშობილესმა შუამავალმა საჰაბეების მხრიდან მისდამი ასეთი დამოკიდებულება რომ დაინახა, მათ უთხრა: ***„აბა წამოდით! გაიხარეთ უზენაესი ალლაჰის ნებით. ვფიცავ ალლაჰს, ახლა, თითქოს, ყურაიშებს ბრძოლის ველზე დაცემულთ ვხედავ.“***

ანგელოზების დახმარება

ჯუმა (პარასკევი) ღამე იყო, როდესაც ბედირში მივიდნენ. საყვარელი შუამავალი საჰაბეებს მიუბრუნდა და უთხრა: ***„იმედი მაქვს, იმ პატარა გორასთან, ჭის გვერდით, გაკვეული ცნობებს მოვიპოვებთ“.*** შემდეგ ალლაჰის ლომად წოდებული კეთილშობილი ალი, სა'დ ბინ ები ვაყყასი, ზუბეირე ბინ ავვამი და კიდევ რამდენიმე თანამიმდევარი იქით გაგზავნა.

კეთილშობილი ალი მეგობრებთან ერთად მაშინვე ჭისკენ წავიდა. როცა იქ მივიდნენ, ყურაიშელი აქლემების გამრეკნი და წყლის მზიდავები დაინახეს. ამათმა მუსლიმანების რომ მოკრეს თვალი, წარმართები უკანმოუხედავად გაიქცნენ. მაგრამ ორმა მათგანმა გაქცევა ვერ მოასწრო და ისინი შეიპყრეს. დაკავებულთაგან ერთი ჰაჯჯაჯისშვილის მონა ეშლემი, ხოლო მეორე კი ას ბინ საიდისშვილების მონა არიზ ებუ იასერი იყო. როცა ისინი ალლაჰის შუამავლის წინაშე წარადგინეს, კაცობრიობის სიამაყემ მათ ჰკითხა; ***„სად არიან ყურაიშები?“*** – „აი იმ ქვიშის გორის უკან არიან განლაგებულნი“. – უპასუხეს მათ. ***„რამდენნი არიან?*** – „არ ვიცით“ – „დღეში რამდენ აქლემს კლავენ“ – „ზოგჯერ ცხრას ზო-

გჯერ კიდევ ათს“ „ე.ი. ათასზე ნაკლები და ცხრაასზე მეტნი არიანო ბრძანა”. შემდეგ შუამავალმა ისევ იკითხა: ***„ვინ არიან ყურაიშ დიდგვაროვანთაგან?“.*** – „უთბე, შეიბე, ჰარის ბინ ამირი, ებულ ბუჰთერი, ჰაქიმ ბინ ჰუზამი, ებუ ჯეჰლი და უმეიიე ბინ ჰალეფი...“ – უპასუხეს დატყვევებულებმა. როდესაც წმინდა შუამავალმა ეს სახელები გაიგონა, საჰაბეებს მიუბრუნდა და უთხრა; „მექქელებმა ყველაზე ძვირფასი, საყვარელი ხალხი შემოგწირეს“. შუამავალმა ტყვეებს ჰკითხა: ***„აქ მოსვლის შემდეგ, ყურაიშელთაგან უკან დაბრუნდა ვინმე?“ – „დიახ ბენი ზუჰრეს ტომიდან აჰნეს ბინ ები შერიქი უკან დაბრუნდა“.*** შუამავალმა თქვა: ***„მიუხედავად იმისა, რომ ის არასწორ გზაზე იდგა, არ იცოდა საიქიო, უზენაესი ალლაჰი და წმინდა წიგნი, მას ბენი ზურეს ტომისთვის სწორი გზა უჩვენებია. კიდევ არის ისეთი ვინც უკან დაბრუნდა?“*** – „დიახ, ადი ბინ ქა’ბის შვილები დაბრუნდნენ უკან“.

წმინდა მუჰამმედ შუამავალმა ყურაიშების კიდევ ერთხელ გასაფრთხილებლად და მათთან ზავის დასადებად კეთილშობილი ომარი გაგზავნა. ამ უკანასკნელმა მათ შემდეგი სიტყვებით მიმართა: ***„ჯიუტო ხალხო, ალლაჰის შუამავალი ბრძანებს, რომ ყველამ ამ საქმიდან უკან დაიხიოთ და მშვიდობით თქვენ სამშობლოში დაბრუნდეთ, რადგან მას თქვენთან ომს სხვასთან დაპირისპირება ურჩევნია“.***

ამ შემოთავაზების საპასუხოდ წარმართთაგან ერთ-ერთი ჰაქიმ ბინ ჰუზამემ წინ გამოვიდა და თქვა: „ყურეიშელნო, მუჰამმედი ამჯერად ძალიან სამართლიანად მოგექცათ, შემოთავაზებას ახლავე თუ არ დაეთანხმებით, ვფიცავ, ამის შემდეგ აღარასოდეს შეგიცოდებთ!“ ებუ ჯეჰილი ჰაქიმის ამ სიტყვებზე ძალიან გაბრაზდა და აყვირდა: „ამ შემოთავაზებას არავითარ შემთხვევაში მივიღებთ და სანამ მუსლიმანებზე შურს ვიძიებთ, მანამდე უკან არ დავიხევთ და ამის შემდეგ ჩვენს ქარავანზე თავდასხმას ვეღარავინ გაბედავს“. ამ სიტყვებით მან ყველა სამშვიდობო გზა ჩაკეტა, ხოლო კეთილშობილი ომარი თავისიანებთან დაბრუნდა.

იმ ღამეს, საყვარელი ალლაჰის შუამავალი და დიდებული საჰაბეები ბედირის ველზე წარმართებზე ადრე მივიდნენ და ჭების

ახლო-მახლოს განლაგდნენ. ალლაჰის შუამავალმა საჰაბეებთან მოითათბირა, თუ სად უნდა განლაგებულიყვნენ ბრძოლის დროს. მაშინ, ჯერ კიდევ, ოცდაათი წლის ჰაბბაბ ბინ მუნზირი ფეხზე წამოდგა და ლაპარაკის ნებართვა ითხოვა. როცა შუამავალმა ნება დართო, მან შემდეგი კითხვა დასვა: „ალლაჰის შუამავალო, ეს ადგილი უზენაესი ალლაჰის მიერ თქვენთვის ნაბრძანები ბრძოლის ველია და ასეთად უნდა დარჩეს თუ აქ ბრძოლა თქვენი, პიროვნული გადაწყვეტილებაა?“ შუამავალმა მიუგო; ***„ეს ადგილი ჩემ მიერ, ტაქტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, იქნა შერჩეული.“***

ძვირფასმა ჰაბბაბმა ამასთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება გამოთქვა: „ჩემი თავი გენაცვალოს ალლაჰის შუამავალო! ჩვენ მეომარი ხალხი ვართ. აქაურობა ძალიან კარგად ვიცით. აი, იქ, სადაც ყურაიშები უნდა განლაგდნენ, ჭებში ბევრი გემრიელი წყალია. თუ ნებას დაგვრთავთ, იქ გავნლაგდებით. ახლო – მახლო ყველა ჭა დავხუროთ, ჩვენთვის კი აუზი გავაკეთოთ და წყლით გავავსოთ. როცა მტრის წინააღმდეგ ბრძოლისას წყალი მოგვწყურდება, იქედან დავლიოთ, მტერი კი წყალს ვერ იპოვის და თავგზა აებნევა“.

სწორედ ამ დროს უზენაესმა ალლაჰმა ჯიბრაილ ანგელოზის მეშვეობით ამ მოსაზრების სისწორის შესახებ უკეთილშობილეს მუჰამმედს ზეშთაგონება უბოძა. შემდეგ წმინდა შუამავალი ფეხზე წამოდგა და ბრძანა: ***„ჰაბბაბ, შენი მოსაზრება სწორია“.*** ყველა ერთად მითითებულ ჭასთან მივიდნენ, გემრიელი წყლის ჭის გარდა სხვა ყველა ჭა დახურეს. შემდეგ დიდი აუზი გააკეთეს წყლით გაავსეს და დასალევად იქვე ჭურჭელი დადეს.

ამ დროს ძვირფასი სა’დ ბინ მუ’აზი საყვარელი შუამავლის წინაშე წარსდგა და შესთავაზა; ***„ალლაჰის შუამავალო, დასაჯდომად, ხურმის ტოტებით საჩრდილობელი გაგიკეთოთ?“*** შუამავალი სა’დის ამ იდეის მიმართ კმაყოფილი დარჩა და საჰაბე დალოცა. მისთვის მაშინვე საჩრდილობელი გააკეთეს.

შუამავალთა სულთანმა საჰაბეებტან ერთად ბრძოლის ველი დაათვალიერა. ის დრო და დრო შეჩერდებოდა და ამბობდა: ***„ალლაჰის ნებით, ხვალ დილით მავანნი აქ მოკვდებიან, მავანნიი აქ დაე-***

ცემიან და ა.შ. მადლმოსილი ხელით იმ ადგილებს უჩვენებდა, სადაც ყურაიშებუ უნდა დაცემულიყვნენ.“

მოგვიანებით კეთილშობილი ომარის გადმოცემის მიხედვით, ყოველი მათგანი ზუსტად ალლაჰის შუამავლის მადლმოსილი ხელით მითითებულ ადგილას იქნენ მოკლულნი.

საყვარელმა შუამავალმა საჰაბეები სამ ნაწილად დაჰყო. მუჰაჯირების დროშა მუს'აბ ბინ უმეირს, ევსის ტომთა დროშა სა'დ ბინ მუ'აზს, ხოლო ჰაზრეჯის ტომისა კი ჰაბბაბ ბინ მუნზირს ჩააბარა. ყველა თავისი დროშის ქვეშ შეიკრიბა. ამის შემდეგ წმინდა შუამავალმა ჯარი მწკრივში დააყენა და საომრად მოამზადა.

როდესაც შუამავალი ჯარს აწერიგებდა, მწკრივიდან წინ გამოსულ სევად ბინ გაზიიეს მკერდზე ხელჯოხი შეახო და უთხრა: ***„მწკრივს გაუსწორდი სევად!“*** – სევადმა მიუგო: „ალლაჰის შუამავალო! ხელჯოხი რომ შემახე, მეტკინა. შენი ჭეშმარიტი რჯულით, წმინდა წიგნით და სამართლით, შუამავლად მომვლენელ უზენაესი ალლაჰის გულისთვის, მეც მინდა ხელჯოხი შეგახოთ“. ამ სიტყვების გაგონებაზე ყველა საჰაბე გაკვირვებული დარჩა. განა შეიძლებოდა ალლაჰის შუამავალზე სამაგიეროს გადახდა. განა შეიძლებოდა ამის გაკეთება? ალლაჰის საყვარელმა შუამავალმა მაშინვე პერანგი აიწია და უთხრა: ***„მიდი აბა, გადამიხადე სამაგიერო“.***

ძვირფასმა სევადმა საყვარელ შუამავალს მადლმოსილ მკერდზე უდიდესი სიხარულით აკოცა. ყველა სამაგიეროს ელოდა, მაგრამ როცა დაინახეს, თუ როგორ მოიქცა სევადი, გაკვირებულნი დარჩნენ და მისი შეშურდათ. შემდეგ საყვარელმა შუამავალმა სევადს ჰკითხა: ***„სევად! რატომ მოიქეცი ასე?“*** – „ჩემი სიცოცხლე გენაცვალოს, ალლაჰის შუამავალო! დღეს უზენაესი ალლაჰის ბრძანებით, სიკვდილის მოახლოებას ვგრძნობ, თქვენგან განშორების მეშინია, ამის გამო, სიცოცხლის ბოლო ჟამს თქვენს მადლმოსილ სხეულზე შეხება ვისურვე. ამით განკითხვის დღეს დახმარებას გამიწევ და მინდოდა ეს სასჯელისგან გადარჩენის მიზეზი ყოფილიყო“. სევადის მხრიდან გამოჩენილმა ასეთმა სიყვარულმა, შუამავალს გული აუჩუყა და მან ერთგული საჰაბე დალოცა.

დალოცვილი ისლამის ჯარის მარჯვენა ფრთას მამაცი მუჯა-ჰიდი ზუბეირ ბინ ავვამი ხოლო მარცხენას მიქდად ბინ ესვედი სარდლობდა.

იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დაეწყოთ ბრძოლა, ალლაჰის შუამავალმა მოთათბირება ისურვა. მან იკითხა: ***„როგორ დავიწყებთ პირველ შეტაკებას?“*** აასიმ ბინ საბითი მშვილდ-ისრით ხელში წამოდგა და თავისი მოსაზრება გამოთქვა; „ალლაჰის შუამავალო! როდესაც ყურაიშები ასი მეტრით მოგვიახლოვდებიან, მათ ისრები დავუშინოთ, შემდეგ როდესაც ქვის სასროლ მანძილზე მოგვიახლოვდებიან, ქვები დავუშინოთ, ხოლო, როცა იმდენად ახლოს მოვლენ, რომ შუბები მივწვდებათ, შუბების დამტვრევამდე ვებრძოლოთ. შემდეგ კი ხმლები ვიშიშვლოთ და ხელჩართულ შეტაკებაზე გადავიდეთ“. შუამავალს ეს საბრძოლო ტაქტიკა მოეწონა და საჰაბეებს მითითება მისცა:

„არ იმოძრაოთ აქეთ-იქით, მწკრივები არ მიატოვოთ და თქვენთქვენ ადგილებზე მტკიცედ დადექით. სანამ ბრძანებას არ გავცემ, ბრძოლა არ დაიწყოთ. ისრები მტერის მოახლოებამდე არ გამოიყენოთ, ტყუილად არ გახარჯოთ. მტერი ფარს რომ გახსნის ისრები სტყორცნეთ და ერთმანეთში რომ შემჭიდროვდება ქვები დაუშინეთ, როცა მოგიახლოვდებათ, შუბები გამოიყენეთ, ხოლო, როცა მტერი თქვენს პირისპირ წარსდგება ხმლებით შეებრძოლეთ“.

ამის შემდეგ გუშაგები დააყენა და საჰაბეებს დასვენების ნება მისცა. ისინი, უზენაესი ალლაჰის ნებით, ღრმა ძილს მიეცნენ, რომ თვალის ქუთუთოებსაც კი არ ახამხამებდნენ. საყვარელი შუამავალიკი მისთვის ხურმის ტოტებით გაკეთებულ საჩრდილობელში შევიდა. ჯერ კეთილშობილმა ებუ ბექრმა, შემდეგ სა’დ ბინ მუ’აზმა ხმლები იშიშვლეს და საჩრდილობლის კარის წინ მორიგეობა დაიწყეს. ალლაჰის საყვარელ შუამავალმა კი მადლმოსილი ხელები აღაპყრო და შეევედრა; ***„ჩემო გამჩენო, თუ შენ ამ ერთ მუჭა ხალხს გაანადგურებ, დედამიწაზე აღარავინ მოგემსახურება.“***

ის ადგილი, სადაც მადლმოსილი ისლამის ჯარი განლაგდა, ქვიშიანი იყო. ამის გამო სიარული უძნელდებოდათ და ფეხები ქვიშაში ეფლობოდათ. უზენაესი ალლაჰის წყალობითა და საყვარელი

შუამავლის ვედრების შემდეგ იმ ღამეს ძლიერი წვიმა დაიწყო. მდინარეები ღვარად მიედინებოდა. წყლის ჭურჭლები გაივსო და მიწის ფსკერი იმდენად გამაგრდა, რომ უკვე ფეხები ქვიშაში აღარ ეფლობოდათ.

წარმართები კი ტალახსა და ნიაღვარში დარჩნენ. ცისკრის დადგომის შემდეგ ალლაჰის შუამავალმა საჰაბეებს დილის ნამაზი ალოცვა. შემდეგ, მტრის წინააღმდეგ ბრძოლის, ჯიჰადისა და შეჰიდობის სათნოება აუხსნა და საომრად შემდეგი სიტყვებით წაახალისა: ***„ეჭვგარეშეა, რომ უზენაესი ალლაჰი, ჭეშმარიტებასა და სიმართლეს ბრძანებს, მისი ხათრის გარეშე არავის გაკეთებულ სიკეთეს მიიღებს, ეცადეთ, მისი ბრძანებები შეასრულოთ და გამოცდა წარმატებით ჩააბაროთ. ვინაიდან ჭეშმარიტია მისი დაპირება და სიტყვა, ხოლო სასჯელი-აუტანელი. მე და თქვენ, ყველანი მარად ცოცხალ უზენაეს ალლაჰზე ვართ დამიკიდებულნი, მას მივეკედლეთ, მას შევეფარეთ. მას მივეყრდენით და ბოლოს მას უნდა დავუბრუნდეთ. უზენაესმა ალლაჰმა მოგვიტევოს მე და ყველა მუსლიმანს!“***

ძვირფასი რამაზანის თვის მეჩვიდმეტე დილა გათენდა. მზემ ამოანათა, ცოტა ხნის შემდეგ ისტორიაში ყველაზე სასტიკი, უთანასწორო, უმნიშვნელოვანესი, და უდიდესი ბრძოლა უნდა დაწყებულიყო. ერთი მხარეს, ქვეყნიერების საპატიო შუამავალი და თავგანწირული, დიდებული ერთი მუჭა საჰაბეები იყვნენ, ხოლო მეორე მხარეს კი ისლამის ერთი კოვზ წყალში ჩახრჩობის მსურველი, უზენაესი ალლაჰის საყვარელი შუამავლის მოსასპობად შეკრებილი უსამართლო, ტირანი ურწმუნოთა ჯარი იდგა. ძალიან სამწუხარო იყო, რომ მათ შორის საყვარელი შუამავლის ნათესავებიც იმყოფებოდნენ. ისინი ძმისშვილის წინააღმდეგ საბრძოლველად მოსულიყვნენ.

წმინდა შუამავალმა ჯარის განლაგებას კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი და მითითებები გაიმეორა. ამ დროს ყურეიშელმა წარმართებმა, რომელთა უმრავლესობას ჯაჭვის პერანგები ეცვათ, დისლოკაციის ადგილიდან ბედირის ველისკენ ამაყად და ქედმაღლურად დინება დაიწყეს. ისინი იერიშზე გადავიდნენ. ალლაჰის

შუამავალი კეთილშობილ ებუ ბექრთან ერთად კარავში შევიდა, მადლმოსილი ხელები აღაპყრო და ჭეშმარიტ ალლაჰს შეავედრა: ***„ჩემო გამჩენო აი, ამაყად და ქედმაღლურად მოემართებიან ყურეიშელი წარმართები, შენს შუამავალს უარყოფენ და ორთაბრძოლაში გვიწვევენ. ჩემო ალლაჰო! გთხოვ, რომ დანაპირები დახმარება და გამარჯვება გვარგუნო. შენ თუ, ამ ერთი მუჭა ხალხის განადგურებას ინებებ , დედამიწაზე შენი მსახური აღარ დარჩება!“***

აბუ ბექირმა ის შემდეგი სიტყვებით ანუგეშა: „ჩემი თავი გენაცვალოს ალლაჰის შუამავალო, საკმარისია ამდენი ვედრება, უკვე ძალიან ბევრი ევედრეთ გამჩენს, უეჭველია რომ უზენაესი ალლაჰი დაპირებულ გამარჯვებას სულ მალე მოგაპოვებინებს“. მაშინ კაცობრიობის სიამაყეს შემდეგი აიათი გარდმოევლინა:

„(ბედრში) უეჭველია, ეს ხალხი სულ მალე, დაიშლება, მარცხს განიცდის, ისინი მიბრუნდებიან და უკან გაიქცევიან. უფრი სწორად მათი მთავარი დასჯის დრო განკითხვის დღესაა. განკითხვის დღის ტანჯვა უფრო შემზარავი და აუტანელია.“[2]

საყვარელი შუამავალი დიდებული ჯართან მივიდა და მათ შემდეგი წმიდა აიათი წაუკითხა; ***„ო მორწმუნეებო! ნუ შედრკებით, როდესაც მტრის მასას შეხვდებით. უზენაესი ალლაჰი ახსენეთ ბევრჯერ, რათა გადარჩეთ. მათ მიმართ, მოთმენა და უდრეკელობა გამოიჩინეთ. ვინაიდან უზენაესი ალლაჰი მომთმენებთან ერთად არის.“***[3] სწორედაც ეს იქნებოდა პირველი ერთობლივი ბრძოლა მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ. სადაცაა ბრძოლა უნდა დაწყებულიყო, მღელვარებას ყოველგვარი ზღვარი გადაელახა. საჰაბეები, ყველა ერთხმად, შუამავლის მიერ წაკითხული წმინდა აიათს ***„ბევრჯერ ახსნეთ უზენაესი ალლაჰი“*** იმეორებდა, შემდეგ ალლაჰის სადიდებელი ხმები ზეცამდე ამაღლდა.. ისინი უზენაეს ალლაჰს გამაჯვებას ავედრებდნენ და მხოლოდ საყვარელი შუმავლის ნიშანს ელოდნენ.

იმდროინდელი საომარი წესების მიხედვით, სანამ შეტაკება დაიწყებოდა, ორივე მხრიდან რამდენიმე მამაცი უნდა გამოსულიყო

2. სურა ყამერი 45-46.

3. სურა ენფალი 45-46.

და ორთაბრძოლა გაემართათ. ამ ორთაბრძოლის ნაადაგზე ორივემხარის საბრძოლო ჟინი და შემართება მატულობდა, მაგრამ წარმართთაგან ამირ ბინ ჰადრამმა ეს წესი დაარღია და ისლამის ჯარს ისარი სტყორცნა. ისარი მუჰაჯირთაგან მიჰჯას მოხვდა და იგი შეჰიდად აქცია.. მისი დალოცვილი სული სამოთხეს ეწვია. საყვარელ შუამავალმა თანამიმდევრებს პირველი შეჰიდის, მიჰჯას შესახებ უმახარობლა და თქვა; ***„მიჰჯა შეჰიდთა ბატონია.“*** საჰაბეები ადგილზე ველარ ჩერდებოდა. მაგრამ წმინდა შუამავლისგან ბრძანების მიღებამდე ადგილიდან არ იძვროდნენ. ყველა მათგანის სულებმა ვულკანივით დაიწყეს დუღილი.

ამასობაში წარმართთა ჯარიდან სამი პიროვნება წინ გამოვიდნენ.. ესენი იყვნენ; რებიაშვილებთაგან ისლამის დაუძინებელი მტერი უთბე, შეიბე და მისი შვილი ველიდი. ისინი მუჰაჯირებისკენ მიბრუნდნენ და იყვირეს: „თქვენს შორის არის ისეთი, ვინც ჩვენთან ორთაბრძოლას გაბედავს?“ საჰაბეთაგან პირველ ხაზზე მდგომმა ებუ ჰუსეიფემ, მამის, უთბეს წინააღმდეგ საბრძოლველად წინ წაიწია. წინ წამოიწია. ალლაჰის შუამავალმა მას უბრძანა: „შენ, შეჩერდი!” ამის შემდეგ მედინელ მუჰაჯირთაგან აფრა ხათუნის შვილები: მუ’აზი, მაუავვაზი და აბდულლაჰ ბინ რევაჰა გამოვიდნენ წინ და უთბეს, შეიბესა და ველიდის პირისპირ გაჩერდნენ. ისინი ხმალშემართულნი, ბრძანებას ელოდნენ.

წარმართებმა მათ ჰკითხეს: „ვინა ხართ თქვენ?“ „ჩვენ მედინელი მუსლინები ვართ“ მიუგეს საჰაბეებმა..წარმართებმა უთხრეს: „ჩვენ თქვენთან არაფერი საქმე გვაქვს! ჩვენ აბდულმუტტალიბის შვილები გვჭირდება, მათთან გვინდა ბრძოლა“. შემდეგ ისლამის ჯარს მიუბრუნდნენ და შესძახეს: „მუჰამმედ, არ მოიძებნება შენს ხალხში ისეთი ვინმე, ვინც წინააღმდეგობას გაგვიწევს?

ალლაჰის საყვარელმა შუამავალმა ბრძოლის ველზე გამოსული ეს სამი მამაცი დალოცა და თხოვა, ადგილებზე დაბრუნებულიყვნენ. შემდეგ საჰაბეებს გადაავლო თვალი და ბრძანა: ***„ჰაშიმისშვილებო! ადექით! უზენაესი ალლაჰის სხივის, ჭეშმარიტი რჯულით ჩასაქრობად მოსულთა წინააღმდეგ ალლაჰის გზაზე იბრძოლეთ, რადგან სწორედაც ამისათვის მოგევლინათ წშინდა შუამავალი.***

ადექი უბეიდე! ადექი ჰამზა! ადექი ალი!“

მაშინვე ალლაჰის ლომებმა ძვირფასმა ჰამზამ, კეთილშობილმა ალიმ და უბეიდემ ჩაფხუტები დაიხურეს და ბრძოლის ველზე გავიდნენ. პირისპირ რომ წარსდგნენ წარმართბმა ჰკითხეს: თქვენ ვინ ხართ? თუ ჩვენი თანასწორნი ხართ თქვენთან ვიბრძოლებთ“. როდესაც გაიგეს, რომ მატ წინააღმდეგ, ჰამზა, ალი და უბეიდე იბრძოდნენ, ურწმუნოებმა აღნიშნეს: „თქვენც ჩვესავით ღირსეულნი ხართ, მზად ვართ თქვენთან საბრძოლველად“. მამაცმა მუსლიმანმა მუჯაჰიდებმა პირველ რიგში, კიდევ ერთხელ მოიხმეს წარმართების ისლამისკენ, მაგრამ ურწმუნოებმა ეს შეთავაზება არ მიიღეს. მაშინ საჰაბეებმა ხმლები იშიშვლეს და წარმართებს თავს დაესხნენ. ძვირფასმა ჰამზამ და კეთილშობილმა ალიმ ურწმუნო უთბესა და ველიდს ერთი დარტყმით სული გააფრთხობინეს, ხოლო . უბეიდემ და შეიბემ ერთმანეთი დაჭრეს. ძვირფასი ჰამზა და კეთილშობილი ალი უბეიდეს დასახმარებლად მივარდნენ და შეიბეს სული გააფრთხობინეს. თანამოძმე ხელში აიყვანეს და წმინდა შუამავლთან მიიყვანეს.

უბეიდე ბინ ჰარისს კოჭიდან სისხლი სდიოდა. ის თითქოს არაფრად აგდებდა ამ მდგომარეობაში ყოფნას და შუამავალს ეკითხებოდა: „ჩემი სიცოცხლე გენაცვალოს ალლაჰის შუამავალო! ასეთ მდგომარეობაში რომ მოვკვდე, შეჰიდი გავხდები? - შუამავალმა მას უთხრა: ***„დიახ, შენ შეჰიდი გახდები“*** და თან სამოთხე უმახარობლა. (ძვირფასი უბეიდე ბრძოლიდან უკან დაბრუნებისას, საფრაში გადაიცვალა)

ამ პირველ შეტაკებისას სამი მამაცი მებრძოლის დაკარგამ წარმართები საგონებელში ჩააგდო. მიუხედავად ამისა, ებუ ჯეჰლმა, ჯარისთვის განწყობის ასამაღლებლად, ისინი შემდეგი სიტყვებით ანუგეშა: „თქვენ, უთბეს, შეიბესა და ველიდის სიკვდილს ნუ მიაქცევთ ყურადღებას, მათ ბრძოლის დროს იჩქარეს და უაზროდ შეაკლეს თავები. ვფიცავ, რომ სანამ მუსლიმანებს არ შევიპყრობთ და თოკებით არ შევკოჭავთ, აქედან ფეხს არ მოვიცვლით!

დიდებული საჰაბეებს კი გული უძგერდათ სული მისდიოდათ, თუ როდის აკუწავდნენ უმეცარ წარმართებს ხმლებით. საყვა-

რელი შუამავალი კი განუწყვეტლივ იმეორებდა შემდეგ ვედრებას: ***„ჩემო ალლაჰო! გთხოვ დანაპირები დახმარება და გამარჯვება გვარგუნო. შენ თუ, ამ ერთი მუჭა ხალხის გაანადგურებას ინებებ, დედამიწაზე შენი მსახური აღარ დარჩება!“***

ამასობაში წარმართთა რიგებიდან ყველაზე გამბედავი, ისრის საუკეთესო მსროლელთაგანი, ჯერ კიდევ არამუსლიმანი ებუ ბექრის, ვაჟი გამოვიდა და მეტოქედ გულადი და გამბედავი საჰაბე მოითხოვა. მუჯაჰიდთა რიგებიდან ერთმა ვინმემ იშიშვლა ხმალი და მოედანზე გამოვარდა. ეს ადამიანი, მუსლიმანთაგან ყველაზე პირველად ისლამით გაცისკროვნებული, „სიდდიყი” ანუ სიმართლისმთქმელად წოდებული, შუამავლის შემდეგ ყველაზე უპირატესი ადამიანი, ებუ ბექრი იყო. იგი საკუთარი შვილის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოსულიყო. მაგრამ ალლაჰის წმინდა შუამავალი მას წინ აღუდგა და უთხრა; ***„ებუ ბექრ! დაგავიწყდა, შენ ჩემი თვილის სინათლე და სმენა რომ ხარ?“*** ებუ ბექრმა თავი ვეღარ შეიკავა და შვილს შემდეგი სიტყვები მიმართა;: „ვერაგო, სად გაქრა შენი ჩემდამი კარგი დამოკიდებულება?“

ამის შემდეგ საყვარელი შუამავალი ძირს დაიხარა, მუჭით ქვიშა აიღო, მტერს შეაყარა და თქვა: ***„შეურცხვეთ სახეები!... ჩემო ალლაჰო! გულებში შიში ჩაუგდე, ფეხები აუკანკალე!“*** შემდეგ საჰაბეებს მიუბრუნდა და ბრძანება გასცა: „ადექით! ბრძოლა დაწყებულია, შეუტიეთ!“ მუსლიმები წორედ ამ ბრძანებას ელოდნენ და მაშინვე წმინდა შუამავლის დარიგებების მიხედვით დაიწყეს მოქმედება. ალლაჰის სადიდებელი ხმები ზეცას სწვდებოდა. ისრები ზუზუნებდა, ქვები მიზანს არ სცდებოდა, ხოლო შუბები კი ჯაჭვის პერანგებს აპობდა. უზენაეს ალლაჰის ლომს ძვირფას ჰამზას, ორივე ხელში ხმლები ეკავა და ისე იბრძოდა, ხოლო კეთილშობილი ალი, ომარი, ძვირფასი ზუბეირ ბინ ავვამი, სა’დ ბინ ები ვაყყასი ებუ დუჯანე, და აბდულლაჰ ბინ ჯაში ურწმუნოთ მუსრს ავლებდნენ. წარმართები გაოგნებული იყვნენ, რადგან თითოეული მუსლიმანი აუღებელ ციხესიმაგრეს ჰგავდა. მათი ალლაჰის სადიდებელი ხმები სამყაროს აყრუებდა და ურწმუნოთა თავებს უროსავით ეცემოდა. შუამავალი გამარჯვებისათვის ალლაჰს ევედრებოდა. კეთილშობილი ალი გადმოგვცემს: „ბედირის ბრძოლაში

ყველაზე გამბედავი და მამაცი ალლაჰის შუამავალი იყო, რადგან მტრის მწკრივთან ყველაზე ახლოს ის იდგა. როცა ძალიანგაგვიჭირდებოდა, მას ვაფარებდით თავს“.

წარმართთა მეთაური ებუ ჯეჰლი შუაში მოიმწყვდიეს, ერთ ერთი მათგანიც ებუ ჯეჰლს დაამსგავსეს. ამ უიღბლოს სახელად აბდულლაჰ ბინ მუნზირი გახლდათ. კეთილშობილი ალი აბდულლაჰს დაესხა თავს და ებუ ჰეჯლის თვალწინ თავი წააცალა. ერთ მათგანსაც ებუ ქაისის ფორმა ჩააცვეს და იგი ძვირფასმა ჰამზამ მოკლა.

როდესაც კეთილშობილი ალი ერთ წარმართს ებრძოდა, ამ დროს ურწმუნომ მას ხმალი მოუქნია, ხმალი ფარში ჩაერჭო და შიგვე ჩარჩა. კეთილშობილმა ალიმ თავისი ხმალი ზუფიყარი (სახელი ხმლისა რომელსაც კეთილშობილი ალი ატარებდა) წარმართს მოუქნია და ჯაჭვის პერანგთან ერთად, მხრებიდან მკერდამდე გააპო. ამ დროს ურწმონოს თავთან ხმალმა იელვა, ალიმ შეჰყვირა: „აჰა მიიღე! ესეც ჰამზა ბინ მუტტალიბდან!“ და ურჭმუნოს თავი ჩაფხუტთან ერთად ძირს დაეცა. როცა კეთილშობილმა ალიმ უკან მიიხედა დაინახა, რომ ბიძამისი ძვირფასი ჰამზა ორი ხმლით იბრძოდა. საყყვარელი შუამავალი, როცა ხედავდა, თუ როგორ მამაცურად იბრძოდნენ საჰაბეები, თავის აღფრთოვანებას შემდეგი სიტყვებით გამოხატავდა: ***„ისინი, დედამიწაზე უზენაესი ალლაჰის ლომები არიან.“***

ერთხელაც, ალლაჰის შუამავლის ახლოს მებრძოლ ძვირფას უქქაშეს ხმალი გაუტყდა. ეს რომ საყვარელმა შუამავალმა შენიშნა, მიწიდან კეტი აიღო გაუწოდა და უბრძანა: ***„უქქაშე! ამით იბრძოლე!“*** უქაშემ კეტი გამოართვა თუ არა, ის შუამავლის სასწაულებრივი ძალით მაშინვე მოელვარე და მჭრელ ხმლად იქცა. უქაშემ ბრძოლის დასრულებამდე, ამ ხმლით რამდენიმე წარმართი გამოასალმა სიცოცხლეს.

ალლაჰის საყვარელი შუამავალი თან იბრძოდა და თანაც, საჰაბეების მღელვარების გაძლიერების გამო, ამ წმინდა ჰადისს კითხულობდა: ***„ყოვლის შემძლე უზენაეს ალლაჰს ვფიცავ, რომ დღეს, ვინც ჭეშმარიტი ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების იმედით, მედ-***

გრად და მოთმინებით იბრძვის და დაიღუპება, უზენაესი ალლაჰი მას სამოთხით დააჯილდოებს.“ ამ ძვირფასი სიტყვების გამგონი, უმეირ ბინ ჰუმამი ამბობდა: „რა ლამაზია! რა კარგია! სამოთხეში შესვლისათვის შეჰიდად დაცემის გარდა, არაფერი ყოფილა საჭირო“ და მტერს მეტი თავგამოდებით ებრძოდა, თანაც ალლაჰის შუამავლის სიტყვებს იმეორებდა: „უზენაესი ალლაჰთან არა მატერიალური საგზლით, არამედ, მხოლოდ მისი შიშით, კეთილი საქმის კეთებით, ჯიჰადში მოთმინებითა და შეუდრეკელი ბრძოლით, მივალთ”. ასე იბრძოდა უმეირი მანამ, სანამ შეჰიდად დაეცა.

ბრძოლა საკმაოდ გამწვავებულიყო!... ერთ საჰაბეს, სულ მცირე, სამი წარმართი ესხმოდა თავს. თითოეულ მათგანზე ცალკ-ცალკე ხმლის მისწრებისთვის მზრუნავ ესჰაბი ქირამს არაფერი აშინებდა. მუსლიმები „ალლაჰუ ექბე ალლაჰი ექბერ“ იძახდნენ და ხელახლა იკრებდნენ ძალებს. არ ბეზრდებოდათ ბრძოლა და შეტევა. ამ დროს წარმართების იერიშები სასტიკი გახდა და მუსლიმები მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ.

ამასობაში ალლაჰის საყვარელი შუამავალი კეთილშობილ ებუ ბექრთან ერთად ხურმის ტოტებით გაკეთებულ კარავში შევიდა და ისევ უზენაეს ალლაჰს შეევედრა: ***„ყოვლის გამჩენო და ბატონ-პატრონო! გთხოვ, გვიწყალობო დანაპირები დახმარება!“*** ამ დროს მას ზეშთაგონება გარდმოევლინა: ***„იმ დროს, თქვენ ყოვლის შემძლე ალლაჰს დახმარებას და გამარჯვებას ავედრებდით. მან ისმინა თქვენი ვედრება. უეჭველად მე ერთი ერთმანეთის მიყოლებით ათასი ანგელოზით გეხმარებით“.***[4] ზეთშაგონების მიღების შემდეგ საყვარელი შუამავალი მაშინვე ფეხზე წამოდგა და ებუ ბექრს ახარა: ***„ებუ ბექრ, გაიხარეთ! მოგვისწრო უზენაესი ალლაჰის დამარებამ! აი ეს ჯიბრილია, ქვიშის გორაკებზე დგას, იარაღასხმული, ცხენი აღვირით უჭირავს ხელში და ბრძანებას ელოდება“.***

ჭეშმარიტმა ალლაჰმა სურა „ენფალში“ ანგელოზებს უბრძანა: ***„გახსოვთ გამჩენმა ანგელოზებს*** *(მუსლიმანების დახმარებისა და გამარჯვების შესახებ)* ***მეც თქვენთან ერთად ვარო, შთააგონა. წადით მორწმუნეებთან და*** *(გამარჯვება უმახარობლეთ)* ***სიმტკიცე***

4. სურა ენფალი, აიათი 9.

შთააგონეთ. მე კი ურწმუნოთა გულებს შიშის ზარს დავცემ, თქვენ კი სცემეთ კისერსა და თითოეულ თითის წვერში. *(ყველა სახსარში)* ***ვინაიდან მათ უზენაესი ალლაჰი და თავისი შუამავალი უარჰყვეს. ვინც ალლაჰისა და თავის შუამავალის წინააღმდეგ გამოვიდეს და უარჰყოს,*** *(დაისჯება)* ***უზენაესი ალლაჰის სასჯელი უმძიმესია".***[5]

ამ ბრძანების შემდეგ ჯებრაილ მიქაილ და ისრაფილ მთავარანგელოზებმა ათას-ათასი ანგელოზთან ერთად საყვარელი შუამავლის მარჯვნივ და მარცხნივ დაიკავეს ადგილები. ჯიბრილ ანგელოზს ყვითელი, ხოლო დანარჩენ ანგელოზებს თავზე თეთრი ჩალმები ჰქონდათ შემოხვეული. ჩალმის ბოლოები უკან ჰქონდათ გადაგდებული. ისინი თეთრ ცხენებზე იყვნენ ამხედრებულნი. ქვეყნიერების ბატონმასაჰაბეებს მიმართა: ***„ანგელოზებს ნიშანი აქვთ. თქვენც რაიმე ნიშანი გაიკეთეთ".*** ზუბეირ ბინ ავვამმა ჩალმის სახით თავზე ყვითელი, ებუ დუჯანემ კი წითელი ნაჭერი მოიხვიეს. კეთილშობილმა ალიმ თეთრი ჯიღა (თმაში გასაბნევი ფრთა, ქოჩორი), ხოლო ძვირფასმა ჰამზამ კი მკერდზე სირაქლემის ფრთა გაიკეთა.

ბრძოლაში ანგელოზების მონაწილეობამ ვითარება ერბაშად შეცვალა. სანამ მუსლიმები ურწმუნოთ ხმალს მოუქნევდნენ, მანამდე ამ უკანასკნელთა თავები სხეულებს წყდებოდა და ძირს ეცემოდა. ჩანდა თუ როგორ იბრძოდნენ უცნობები წარმართების წინააღმდეგ, ალლაჰის შუამავლის მარჯვნივ, მარცხნივ, წინ და უკან.

ძვირფასი სელჰი მოგითხრობს: „ბედირის ბრძოლაში სანამ თითოეული ჩვენგანის ხმალი მიზანს მიაღწევდა, ურწმუნოთა თავები მანამდე ეცემოდა მიწაზე.

ებუ ჯეჰლის სიკვდილი

წარმართთა მედროშე ებუ აზიზი ტყვედ ჩავარდა. ჯარის სარდალი ებუ ჯეჰლი კი ყურაიშების გასამხნევებლად ლექსებს კითხულობდა და მებრძოლთა განწყობის ასამაღლებლად ზრუნავდა.

5. სურა ენფალი 12-13.

ამბობდა, დედამ ამ დღეებისთვის მშობაო, ტრაბახობდა და ახალგაზრდებს აქეზებდა.

წარმართთაგან უბეიდე ბინ სა'იდს თავიდან ბოლომდე ჯაჭვის პერანგი ეცვა და მხოლოდ თვალები მოუჩანდა. ცხენზე ამხედრებული ხან იქეთ ხან აქეთ ტრიალებდა და ყველას ორთაბრძოლაში იწვევდა. მამაცი მუჯაჰიდი, ძვირფასი ზუბეირ ბინ ავვამმი მას მიუახლოვდა, შუბი ზუსტად თვალში დაუმიზნა, „ალლაჰუ ექბერ" წარმოთქვა და სტყორცნა. მიზანში მოხვედრილმა შუბმა ურწმუნო ცხენიდან ჩამოაგდო. ძვირფამა ზუბეირმა მაშინვე მასთან მირბინა, მაგრამ უბეიდე უკვე მკვდარი იყო. ფეხი ლოყაზე დაადო, მთელი ძალით მოქაჩა, მაგრამ შუბის ამოძრობა გაუძნელდა.

ზუბეირმა ბედირის ბრძოლაში უდიდესი სიმამაცე გამოიჩინა. მთელი მისი სხეული ჭრილობებით იყო დაფარული. ამის შესახებ მისი ვაჟი მოგვითხრობს: „მამაჩემმა ხმლით სამი ძლიერი დარტყმა მიიღო. ერთი ჭრილობა კისერში ჰქონდა, ის იმდენად ღრმა იყო, რომ შიგ თითის ჩაყოფა შეიძლებოდა".

აბდურრაჰმან ბინ ავფს ბრძოლის დროს მიღებული ჭრილობებიდან სისხლი სდიოდა, მაგრამ ის ამას ვერ ამჩნევდა და ყველა შემხვედრ წარმართს ძირს ანარცხებდა. ძვირფასი აბდურრაჰმანი თავისი თვალით დანახულ, ერთ-ერთ საბრძოლო ეპიზოდზე ასე მოგვითხრობს:

„ერტხელაც, ჩემს წინ აღარავინ იყო დარჩენილი. ირგვლივ მიმოვიხედე მიმოვიხედე და ორ ენსარ მოვჰკარი თვალი. მინდოდა იმ მამაცებთან ერთად ვყოფილიყავი. ერთ-ერთი მათგანისკენ თვალი გამექცა, ის მომიბრუნდა და მკითხა: „ბიძაჩემო, ებუ ჯეჰილს იცნობ"? – დიახ ვიცნობ-მეთქი, ვუპასუხე და ვკითხე: „ჩემო ძმისშვილო, ებუ ჯეჰლი რად გინდა?" მან მიპასუხა: „როგორც გავიგე, ის ალლაჰის შუამავალს აგინებს. ვფიცავ ალლაჰს, თუ ვნახე, სანამ არ მოვკლავ, ან არ შევაკვდები მანამდე არ მოვშორდები". ძალიან გამახარა ამ ახალგაზრდი ასეთმა მტკიცე გადაწყვეტილებამ.

ამის შემდეგ, მეორე ახალგაზრდამ შემომხედა და იგივე კითხვა დამისვა, რაც პირველმა. ამ დროს ებუ ჯეჰლი დავინახე! ის

ყურეიშელთა შორის აქეტ-იქით დარბოდა. ამ ახალგაზრდებს მასზე ვანიშნე თუ არა, მაშინვე ხმლები იშიშვლეს, ებუ ჯეჰლთან მივიდნენ და ბრძოლა გამართეს. ეს ახალგაზრდები აფრა ხათუნის შვილები, ძმები მუ'აზი და მუ'ავვეზი იყვნენ.

ამასობაში საჰაბეთაგან მამაცმა მუ'აზ ბინ ამირმა ებუ ჯეჰლთან მისასვლელად დრო იხელთა. გრძელკუდა ცხენზე ამხედრებულ ებუ ჯეჰლს დაესხა თავს და მთელი ძალ-ღონით ფეხზე დასცა ხმალი და კიდური მოაჭრა. ამ დროს მამას დასახმარებლად მიუსწრო იქრიმემ, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მუსლიმანი და მუ'აზს შეებრძოლა.

მაშინ ძმებმა, მუ'აზმა და მუ'ავვეზმა წინ წაიწიეს, ყველა შემხვედრი ურწმუნო ძირს დაანარცხეს და ბოლოს ებუ ჯეჰლთან მიაღწიეს. იმდენ ხანს ურტყამდნენ ხმლებს, სანამ მის სიკვდილში არ დარწმუნდნენ

იქრიმესთან მებრძოლი მუაზ ბინ ამირი კი მკლავში დაიჭრა, ხოლო ხელი მაჯაში ისე ჰქონდა მოკვეთილი, რომ ხელის მტევანი მხოლოდ კანზე იყო ჩამოკიდებული. ორთაბრძოლაში ჩაბმულ მუ'აზ ბინ ამირს ხელის შეხვევის დრო არ ჰქონდა. ასეთ მდგომარეობაშიც კი ის მამაცურად იბრძოდა. „ალლაჰი უდიდესია" ეს რაოდენ ძლიერი რწმენაა! ეს რა სანახაობა იყო! ძვირფასმა მუ'აზმა რამდენიმე ხანს ასე იბრძოლა, მაგრამ ბოლოს შეამჩნია, რომ მოხერხებულად ვერ მოქმედებდა, ამის მიზეზი კი კანზე ჩამოკიდებული, მოკვეთილი ხელი იყო. მან ხელის მტევანს მაშინვე ფეხი დააბიჯა, სხეულიდან მოიწყვიტა და გადააგდო.

ისლამის უმოწყალო და სასტიკი მტერი ნევფელ ბინ ჰუვეილიდი ყურაიშების ყველაზე ძლიერი ფალავანი იყო. გაუჩერებლად ყვიროდა და ზრუნავდა იმაზე, რომ წარმართთა ჯოგი ბრძოლისკენ უფრო მეტად წაექეზებინა. საყვარელი შუამავალი, მისი ასეთი საქციელი რომ შენიშნა, ალლაჰს შეევედრა: ***„ჩემო ალლაჰო! დამეხმარე ნევფელ ბინ ჰუვეილიდის წინააღმდეგ. მას შენ გადაუხადე სამაგიერო".*** უზენაესი ალლაჰის ლომმა, კეთილშობილმა ალიმ წარმართი ნევფელი რომ დაინახა მაშინვე თავს დაესხა და ხმალი ჩასცა. დარტყმა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, ჯავშნით დაფარუ-

ლი ორივე ფეხი ერთად მოჰკვეთა. შემდეგ ხმალი კისერზე შემოჰ-კრა და თავი სხეულს მოაგლიჯა.

უმეიე ბინ ჰალეფი, რომელმაც ბილალი ჰაბეში გახურებულ ქვიშაზე დააწვინა და მკერდზე დიდი ქვები დააწყო, წარმართთაგან ყველაზე სასტიკი დადაუნდობელი იყო. ეს ისლამის დიდი მტერი რომელმაც ალლაჰის საყვარელი შუამავლის წვალებისთვის ხელსაყრელი მომენტი გამოიყენა, ბედირის ველზე ისლამის სხივის ჩასაქრობად იბრძოდა. როდესაც ის ბილალმა შენიშნა, გაშიშვლებული ხლით მის წინ აღიმართა და უთხა: „ურწმუნოთა თავო, უმეიიე ბინ ჰალეფ! თუ ამ ბრძოლაში გადარჩები, მაშინ მე სიცოცხლე არ მინდა!“. როგორც კი ეს სიტყვები წარმოთქვა მაშინვე თავს დაესხა და თან დაიძახა: „ძმებო მოდით, ურწმუნოთა წინამძღოლი აქ არის!” მუსლიმებმა უმეიიეს მაშინვე ალყა შემოარტყეს და სულ გააფრთხობინეს.

წარმართთა ჯარს უკვე სარდალი აღარ დარჩენოდა. არავინ იცოდა რა ეკეთებინათ და საითკენაც მოახერხებდნენ, კუდამოძუებულნი იქითკენ გარბოდნენ. საჰაბეები მათ გამოედევნენ და ბევრი მათგანი ტყვედ ჩაიგდეს. ტყვეტა შორის საყვარელი შუამავლის ბიძა, აბასიც აღმოჩნდა.

გამარჯვება მორწმუნეებისაა

საყვარელმა წმინდა მუჰამმედ შუამავალმა იკითხა: ***„ნევფელ ბინ ჰუვეილიდის შესახებ იცით ვინმემ რამე?“*** კეთილშობილი ალი წინ გამოვიდა და თქვა: „ალლაჰის შუამავალო ის მე მოვკალი!“ ამ ამბავმა წმინდა შუამავალი ძალიან გაახარა, ალლაჰი ადიდა და აღნიშნა: ***„უზენაესმა ალლაჰმა მის მიმართ გაკეთებული ვედრება ისმინა.“***

უმეიიე ბინ ჰალეფი მოკვლის ამბავი ყველას გაუხარა და ერთხმად წარმოთქვეს: ***„მადლობა ყოვლისშემძლე სამყაროს გამჩენსა და მის ბატონ-პატრონ ალლაჰს! მან დაამტკიცა თავისი დიდებულება, რჯული კი უპირატესად ცნო“.***

უკეთილშობილეს შუამავალმა იკითხა: ***„ვინ წავა და გაიგებს რა***

ბედი ეწია ებუ ჯეჰლს?“ მან მკვდრებს შორის მისი მოძებნა ბრძანა. ეძებეს მაგრამ ვერ იპოვეს. შუამავალმა ისევ ბრძანა: ***„მოძებნეთ, მის შესახებ რაღაც მინდა ვთქვა. თუ ის ვერ იცანით, მუხლზე ჭრილობის კვალს დააკვირდით. ერთ დღეს მე და ის აბდულლაჰ ბინ ჯუდანის მოსანახულებლად წავედით. ორივე ახალგაზრდები ვიყავით. ის ჩემზე ოდნავ უმცროსი იყო. როცა შემაწუხა, ხელი ვკარი. მუხლებზე დაეცა და ერთ მუხლი დაუზიანდა და მისი კვალი დღემდე დარჩა“.***

აბდულლაჰ იბნი მეს'უდი ალლაჰის შუამავლის დავალების შესასრულებლად წავიდა, ის დაჭრილი იპოვა და იცნო: „შენ, ხარ ებუ ჯეჰლი”? შემდეგ კისერზე ფეხი დაადო, წვერზე ხელი მოჰკიდა და უთხრა; „უზენაესი ალლაჰის მტერო, ბოლოსდაბოლოს არარაობად, მდაბიოდ ხომ გაქცია ალლაჰმა“. ებუ ჯეჰლმა უთხრა: „ მე რატომ უნდა დამამდაბლოს და არარაობად მაქციოს, ცხვრის მწყემსო? მითხარი დღეს ვინ გაიმარჯვა?“ ძვირფასმა იბნი მესუდმა მიუგო: „დღეს გამარჯვება ალლაჰსა და მის საყვარელ შუამვალს დარჩათ“ შემდეგ ებუ ჯეჰლს ფარი თავიდან მოაშორა და უთხრა: „ებუ ჯეჰლ, უნდა მოგკლა!“ აბუ ჯეჰილმა უპასუხა:„შენ არ ხარ ის, ვინც ტომისა და ჯარის სარდალს მოკლავს მაგრამ რაც უნდა იყოს კისერი მკერდთან ახლოს მომკვეთე რომ ჩემი თავი დიდი და წარმოსადეგი გამოჩნდეს“. ასე გამოხატა სიკვდილის წინ თავისი უსაზღვრო ამპარტავნობა ურწმუნოთა წინამძღოლმა.

იბნი მე'უდმა ებუ ჯეჰლს კისერი თავისი ხმლით რომ ვერ მოკვეთა, მისი აიღო და ისლამის მტერს შავი გააგდებინა. შემდეგ იარაღი, ჯაჭვის პერანგი, ფარი და თავი მიიტანა, საყვარელი შუამავალის წინ დადო და უთხრა: „ალლაჰის შუამავალო, ეს ებუ ჯეჰლის თავია“. შუამავალმა რომ დაინახა თქვა: ***„ალლაჰის გარდა სხვა ღვთაება არ არსებობს“*** შემდეგ წამოდგა და საჰაბეებთან ერთად ებუ ჯეჰლის ცხედართან მივიდა. იქ ალლაჰს მადლობა გადაუხადა დანაპირები გამო და წარმოსთქვა: ***„მადლობა უზენაეს ალლაჰს, რომ შენ დაგამცირა და შეგარცხვინა. ალლაჰის მტერო, შენ ამ ხალხის ფარაონი იყავი“.***

ალლაჰის საყვარელმა შუამავალმა დაჭრილ საჰაბეებს ჭრილო-

ბები შეუხვია. შეჰიდად დაცემულთა რიცხვი დადგინდა. მუჰაჯირთაგან ექვსი ხოლო ენსართაგან კი რვა აღესრულა შეჰიდად. ყველა მათგანის სულები სამოთხით დაჯილდოვდა. ხოლო ისლამის სხივის ჩაქრობის მსურველ წარმართთაგან სამოცდაათი იყო მოკლული და კიდევ ერთი ამდენი ტყვედ იქნა აყვანილი.

მედინელებისთვის გამარჯვება რომ ეხარებინა, ამისათვის ალლაჰის საყვარელმა შუამავალმა აბდულლაჰ ბინ რევაჰა გააგზავნა.

წმინდა შუამავალმა შეჰიდად დაცემულთათვის ნამაზი ალოცვა და შემდეგ ისინი საფლავებს მიაბარეს. ხოლო წარმართთა ცხედართაგან 24 ბრმა ორმოში, ხოლო დანარჩენი, ყველა ერთად ორმოში ჩააგდეს და მიწა დააყარეს.

ამის შემდეგ კაცობრიობის სიამაყე დიდებულ საჰაბეებთან ერთად ორმოსთან მივიდა და ბრძანა: ***„ო ორმოში ჩაყრილნო!“*** შემდეგ მოკლულთა სახელები და მამის სახელბთან ერთად ჩამოთვალა: ***„უთბე ბინ რებია! უმეიიე ბინ ჰალეფ! ებუ ჯეჰლ ბინ ჰიშამ! რა ბოროტნი იყავით, თქვენ შუამავლის წინაშე. თქვენ მე უარმყავით ხოლო სხვებმა კი მაღიარეს და მირწმუნეს. თქვენ საკუთარი სამშობლოდან, ქალაქიდან გამნდევნეთ, სხვებმა კი კარები გამირეს და შემიფარეს, თქვენ ჩემს წინააღმდეგ იბრძოდით, სხვები კი მეხმარებოდნენ. ხომ ეწვიეთ იმას, რასაც გამჩენი გპირდებოდათ? მე კი გამჩენის დაპირებული გამარჯვება მოვიპოვე!“***

კეთილშობილმა ომარმა მას ჰკითხა: „ალლაჰის შუამავალო! ამ სიტყვებს ამძორებულებს ეუბნები?“ წმინდა შუამავალმა მიუგო: ***„მე მათ, ჩემი ჭეშმარიტ შუამავლად მომვლენელი გამჩენის გულისთვის ვეუბნები. ვინაიდან თქვენ ჩემი მათზე უკეთ არ გესმით, მაგრამ ვერ მპასუხობენ“.***

წარმართები ბრძოლის ველიდან სულის გადასარჩენად თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ, ამიტომაც უკან რაც ჰქონდათ, უკან ვერაფერი წაიღეს. მატ ქონებას მუსლიმანები დაეპატრონენ. საყვარელმა შუამავალმა ბედრის ბრძოლიდან წამოღებული ნადავლი საჰაბეებსა და ბრძოლაში მონაწილეებს დაურიგა.

ამასობაში სამახარობლო ამბის მისატად გაგზავნილები, აბ-დულლაჰ ბინ რევაჰა და ზეიდ ბინ ჰარისე, კვირა დილით, მედინას მიუახლოვდნენ. ქალაქთან ახლოს, აქიქში გაიყო მათი გზები. ერთ მხრიდან აბდულლაჰ ბინ რავაჰი, ხოლო მეორე მხრიდან ზეიდ ბინ ჰარისე შევიდნენ ქალაქში. ისინი კარდაკარ დადიოდნენ და გამარჯვების ამბავს ყველას ატყობინებდნენ.აცნობებდნენ. Ֆირ ვარ ბურადა,,,

ძვირფასმა აასიმ ბინ ადიემ იკითხა: იბნი რევაჰა! სიმართლეა, რასაც ამბობ?“ „დიახ ალლაჰს ვფიცავ, რომ ეს სიმართლეა. ხვალ, ალლაჰის შუამავალი ხელებშეკრულ ტყვეებთან ერთად მოვა“. – უპასუხა რევაჰამ.

იმ დღეს ალლაჰის შუამავლის ქალიშვილი, რუქიე გარდაცვლილიყო. კეთილშობილმა ოსმანმა მიცვალებულის ნამაზი ალოცა. ეს მწუხარება გამარჯვების ამბის შეტყობით გამოწვეულმა სიხარულმა ოდნავ გააქარწყლა.

ალლაჰის საყვარელმა შუამავალმა საჰაბეებთან ერთად ბედირის ბრძოლაში, გამარჯვების მწყალობელ, უზენაეს ალლაჰს უამრავი მადლობა გადაუხადა, სეჯდე გააკეთა და შემდეგ ყველა ერთად შუქმოფენილ მედინასაკენ გაუდგნენ გზას.

უფრო ადრე, მედინაში გამარჯვების მახარობლებმა, აბდულ-ლაჰ ბინ რევაჰამ და ზეიდ ბინ ჰარისემ იქ მყოფთ, აუწყეს, თუ ვინ მონაწილეობდა ბედირის ბრძოლაში და მათგან ვინ დაეცა შეჰიდად. მედინაში სხვადასხვა მოვალეობის შესასრულებლად დარჩენილთ, ქალებსა და ბავშვებს წარმართთა მარცხი ძალიან გაუხარდათ და საყვარელი შუამავლის დასახვედრად წავიდნენ. შეჰიდად დაცემულთა რიგებში ჰარისე ბინ სურაქაც იყო. როცა ძვირფასი ჰარისეს დედას რების, აცნობეს რომ, შენი ვაჟი მტრის ისრით, აუზიდან წყლის დალევის დროს შეჰოდად დაეცაო, მან თქვა: „სანამ ალლაჰის შუამავალი, შვილს არ დავიტირებ. რო-დესაც ის მედინაში მობრძანდება, მას ვკითხავ. თუ ჩემი შვილი სამოთხითაა დაჯილდოებული მაშინ ცრემლსაც არ დავღვრი, მა-გრამ თუკი ჯოჯოხეშია მაშინ იმდენს ვიტირებ, რომ თვალებიდან ცრემლების ნაცვლად, სისხლს დავღვრი“.

როცა საყვარელი შუამავალი დიდებულ საჰაბეებთან ერთად მედინაში დაბრუნდა, ძვირფასი ჰარისეს დედა, რები მის წინაშე წარსდგა და უთხრა: „ალლაჰის შუამავალო, კარგად იცით, თუ როგორ მიყვარდა ჩემი შვილი ჰარისე. ნეტავ, შეჰიდად დაცემის მერე სამოთხით დაჯილდოვდა? თუ ასეა, მითხარი და ამას ავიტან, ხოლო თუ ასე არ არის, მაშინ თვალებიდან ცრემლის ნაცვლად სისხლი უნდა დავღვარო“. უკეთილშობილეს შუამავალმა შვილმკვდარ დედას უმახარობლა: ***„უმმუ ჰარისე, შენი შვილი არა ერთ არამედ ბევრ სამოთხეშია. მისი სამყოფელი ფირდევსია“.*** შემდეგკაცობრიობის სიამყემ ჭურჭლით წყალი მოატანიანა, შიგ თავისი მადლმოსილი ხელი ჩადო, შემდეგ ეს წყალი ძვირფასი ჰარისეს დედასა და დას დაალევინა, გარდა ამისა, ეს წყალი მათ სახეზე და თავზე აპკურა. იმ დღის შემდეგ რების და მის ქალიშვილს სახე სხივივით უბრწყინავდათ.

ალლაჰის უკეთილშობილესმა შუამავალმა მედინაში მოყვანილი სამოცდაათი ტყვე, საჰაბეთა შორის გაანაწილა და მათ მიმართ კარგად მოპყრობა ბრძანა. თუ როგორი იქნებოდა ტყვეების მომავალი, ამის შესახებ უზენაესი ალლაჰის ბრძანება ჯერ არ იყო გარდმოვლენილი. ამ საკითხზე ალლაჰის წმინდა შუამავალმა საჰაბეებთან მოითათბირა და გადაწყდა, რომ ტყვეებს გამოსასყიდი სანაცვლოდ გაათავისუფლებდნენ... ყოველი მათგანს მათი ქონების შესაბამისად გამოსასყიდი დაუდგინეს. მათ, რომელთაც ამის შესაძლებლობა არ ჰქონდათ, უსწავლელი მუსლიმებისთვის წერაკითხვა უნდა ესწავლებინათ და სამშობლოში დაბრუნების ნებას მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებდნენ. ტყვეთა შორის მყოფ ბიძა, აბბასს შუამავალმა ასე მიმართა: ***„აბბას! შენთვის, შენმა ძმიშვილმა უყაილ*** *(აქილ)* ***ბინ ები ტალიბმა და ნევფელ ბინ ჰარისმა გამოსასყიდი თანხა უნდა გადაიხადონ, რადგან შენ მდიდარი ხარ. აბასსმა მიუგო: „მე მუსლიმანი ვარ, ყურაიშებმა ბედირის ბრძოლაში მონაწილეობის მიღება მაიძულეს“.*** ძმიშვილმა მას უთხრა: ***„შენი მუსლიმანობა მხოლოდ გამჩენმა ღმერთმა იცის, თუ სიმართლეს ამბობ, უზენაესი ალლაჰი სანაცვლო მადლს მოგცემს, მაგრამ რაც აშკარად არის ის, რომ ჩვენ წინააღმდეგ იბრძვი, ამიტომაც გამოსაყიდი თანხა უნდა გადაიხადო“.*** „ალლაჰის შუამავალო! თქვენ მიერ ნადავლის სახით

აღებულ 800 დირჰემზე მეტი ფული არ მაქვს“. – ***„აბბას! მაგის გარდა, სხვა ოქროც რომ გაქვს, რატომ მალავ?“*** – „რომელ ოქროს გულისხმობ?“ – ***„გაიხსენე მექქადან საომრად წამოსვლის დღე, დანარჩენი ოქრო, მეუღლე, უმმუ ეფდალს რომ დაუტოვე და დაუბარე: „ამ ბრძოლაში არ ვიცი რა ბედი მეწვევა, თუკი რაიმე შემემთხვა და უკან ველარ დავბრუნდი, ოქრო შენს, აბდულლაჰს, უბეიდულლაჰს, ქუსემს შორის გაანაწილე“.***

აბბასი ძმიშვილს განცვიფრებული უსმენდა, შემდეგკი უთხრა: „ვფიცავ როცა ეს ოქრო მეუღლეს დავუტოვე მაშინ ჩვენთან არავინ არ იყო. შენ საიდან გაიგე?“ - ***„უზენაესმა ალლაჰმა მაცნობა“***– უპასუხა ალლაჰის წმინდა შუამავალმა. აბბასამ სასწაულით გაოგნებულმა აბბასმა ქელიმეი შეჰადეთი წარმოსთქვა და ისლამით გაცისკროვნდა. გამულიმანების შემდეგ მექქაში წასვლა, იქაური მუსლიმანების დაცვა და ისლამის მტრების შესახებ ამბების მოტანა დაევალა.

ბედირის ბრძოლის შემდეგ, დამარცხებულ ყურაიშებს ამცნეს, რომ გამოსასყიდი თანხის სანაცვლოდ, მათ თავიანთი ტყვეები წაყვანა შეეძლოთ. მუსლიმებმა, ნადრ ბინ ჰარისს, რომელიც ჰიჯრეთამდე საყვარელ შუამავალს ძალიან აწვალებდა, თავი მოჰკვეთეს. გარდა ამის მოკლული იქნა მდაბიო, უქბე ბინ ებუ მუაითი, რომელმაც წმინდა შუამავალს ქაბეში ნამაზის შესრულების დროს აქლემის შიგანი მადლმოსილ ზურგზე დაადო. როცა, ისლამის დაუძინებელი მტრების თავები სხეულს მოაცილეს საყვარელმა შუამავალმა უზენაეს ალლაჰს მადლობა შესწირა და მათ ცხედრებს მიმართა: ***„ვფიცავ ალლაჰს, რომ უზენაესი ალლაჰის, მისი შუამავლისა და წმინდა ყურანის უარმყოფი, შუამავლის ყველაზე დიდი მწამებელი, შენს გარდა, არავინ მინახავს“.***

გამოსასყიდის გადახდამდე ტყვეები დიდებულ საჰაბეებთან დარჩნენ. თითოეული საჰაბე ტყვეებს ძალიან კარგად ექცეოდა და უფრო მეტიც, საჭმელს მათთან ერთად ჭამდა... მუსაბ ბინ უმეირის ძმა, ებუ აზიზი ტყვეებს შორის იყო. ის მოგვითხრობს: „მეც, ერთ-ერთი მედინელის სახლში ტყვედ ვიყავი, ძალიან კარგად მექცეოდნენ, დილით და საღამოს შეჭამანდსა და პურს მაძლევდ-

ნენ. თვითონ კი ზოგჯერ იძულებულნი იყვნენ, მხოლოდ ხურმა ეჭამათ. როგორც კი პურის ნაჭერს იშოვიდნენ, მაშინვე მე მომიტანდნენ. მრცხვენოდა და მომტანს უკან ვუბრუნებდი, მაგრამ არ მართმევდა.

კიდევ ერთი ტყვე, ყურაიში იეზიდი მოგვითხრობს: „მუსლიმანებმა ბედირიდან მედინაში უკან დაბრუნებისას ჩვენ აქლემებზე და ცხენებზე შეგვსვეს, თვითონ კი ფეხით წამოვიდნენ“.

ბედირის ბრძოლაში წარმართების დამარცხებამ და ბრძოლის ველიდან სამარცხვინო გაქცევამ, მექქაში დიდი დაბნეულობა გამოიწვია. ეს ხომ მათთვის წარმოუდგენელი და მოულოდნელი ამბავი იყო. პირველი მაცნეს სიტყვები ებუ ლეჰებმა და სხვა წარმართებმა არ დაიჯერეს. როცა ბრძოლის ველიდან გამოქცეული ებუ სუფეანი მექქაში მივიდა, ებუ ლეჰებმა მაშინვე დაიბარა და ჰკითხა: „ჩემო ძმისშვილო, მოყევი, აბა, რა ხდება?“ ებუ სუფეანი იქვე ერთ კუთხეში დაჯდა, სხვა დანარჩენები კი ფეხზე იდგნენ და უსმენდნენ. ებუ სუფეანმა თქვა:

„ნუ მკითხავ, როცა მუსლიმანების წინააღმდეგ ბრძოლა დავიწყეთ, თითქოს ხელ-ფეხი შეკრული გვქონდა. როგორც მათ უნდოდათ, ისე მოქმედებდნენ. რამდენიმე მებრძოლი მოგვიკლეს, ხოლო ნაწილი კი ტყვეს ჩაიგდეს. ვფიცავ, ჩვენ მებრძოლებს არ ვარცხვენ, რადგან იმ დროს ცასა და დედამიწას შორის ცხენებზე ამხედრებულ თეთრ სამოსელში ჩაცმული უცნობებს ვებრძოდით. მათ ვერც ვერაფერი აკავებდათ და ვერც ვერავინ ებრძოდა“.

იქვე იმყოფებოდა და საუბარს წყნარად უსმენდა, აბბასის მონა, ებუ რააფი, რომელიც, მიუხედვად იმისა, რომ უკვე დიდი ხნის გამუსლიმანებული იყო, ამას წარმართებისგან მოსალოდნელი რისხვის გამო, აშკარად ვერ ამხელდა. ტანამოძმეტა წარმატების ამბავი რომ გაიგო, სიხარულისგან ყველაფერი დაავიწყდა და წამოიძახა: ***„ვფიცავ ალლაჰს, ისინი ანგელოზები იქნებოდნენ“.*** ებუ ლეჰებმა მას სილა გააწნა, ძირს დაანარცხა და უმოწყალოდ სცემა. ამას, იქვე მყოფმა, აბბასის მეუღლე, უმმუ ფადლმა ვერ გაუძლო, რადგან ისიც ფარულად გამუსლიმანებულიყო. მაშინვე სვეტი აიღო და სიტყვებით „რადგან უთვისტომოა, იმიტომ სცემ, არა?”, მთელი

ძალით, დაუნდობლად ებუ ლეჰებს თავში უთავაზა. წარმართთა ერთ-ერთმა თავკაცმა თავში დიდი ჭრილობა მიიღო, დასისხლიანებული, დამცირებული, აბუჩად აგდებული მიბრუნდა და სახლში წავიდა. შვიდი დღის შემდეგ, ღვთის ნებით, შავი ჭირი შეეყარა და მოკვდა. მისმა ვაჟებმა ორი თუ სამი დღე არ დაასაფლავეს, რის გამოც მისმა გვამმა გახრწნა დაიწყო. ყველა გაურბოდა და ზიზღის თვალით უყურებდა ებუ ლეჰების დაავადებას. ერთ-ერთმა ყურაიშმა ებუ ლეჰების ვაჟები შეარცხვინა და უთხრა: „სირცხვილი თქვენ, როგორ არ გრცხვენიათ? სანამ მამათქვენი ამყრალდებოდა, მანამდე სახლში დატოვეთ. სულ რომ არაფერი გააკეთოთ, სადმე მაინც ჩამარხეთ“. ებუ ლეჰების შვილებმა უპასუხეს: „ჩვენ გვეშინია, რომ მისი დაავადება გადაგვედება!“ ამ კაცმა გვამის დამარხვაში მათ დახმარება შეთავაზა. სამივემ ცხედარი წაიღეს, მოშორებულ ადგილას დატოვეს და ზემოდან იმდენი ქვა დააყარეს, რომ გვამი აღარ გამოჩენილიყო. ებუ ლეჰებმა ამგვარად მარადიული ტანჯვისა და ცეცხლის ჯოჯოხეთის ორმოში გადასახლდა.

ტყვედ ჩავარდნილ ყურაიშთა შორის ველიდ ბინ ველდიც იყო. ის აბდულლაჰ ბინ ჯაშს აეყვანა ტყვედ. ველდის ძმები ჰიშამი და ჯერ კიდევ არამუსლიმანი ჰალიდ ბინ ველიდი მედინაში მოვიდნენ. აბდულლაჰმა გამოსასყიდის გადახდის გარეშე გათავისუფლება არ ისურვა. ჰალიდ ბინ ველიდი მზად იყო გამოსასყიდი გადაეხადა, მაგრამ ამაზე ველიდის ნახევარძმა ჰიშამი არ თანხმდებოდა. მაშინ ალლაჰის შუამავალმა, გამოსასყიდის სახით მათი წინაპრებისაგან დარჩენილი იარაღის დატოვება სეთავაზა. . ამ შემოთავაზებას ჰიშამი დაეთანხმა, მაგრამ ამ ჯერად ჰალიდ ბინ ველიდი იყო უარზე, მაგრამ ბოლოს ისიც დათანხმადა და აბდულაჰ ბინ ჯაშს მამისგან დარჩენილი 100 დინარად შეფასებული ხმალი, ჯაჭვის პერანგი და ფარი გადასცეს. ველიდი ტყვეობიდან გათავისუფლდა და მექქას გზას დაადგა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მედინადან გამოსულ რამდენიმეკაციან ჯგუფს გამოეყო, შუამავალთან დაბრუნდა ისლამი მიიღო და საჰაბეთა რიგებს შეუერთდა. გამუსლიმანებიდან რამოდენიმე თვის შემდეგ მექქაში, ძმასთან, ჰალიდ ბინ ველიდთან ჩავიდა. ძმამ ჰკითხა: „თუ მაინც

უნდა გამუსლიმანებულიყავი სანამ გამოსასყიდს გადავიხდიდით ეს მანამდე გაგეკეთებინა, მამაჩვენისგან სახსოვარი ხელიდან წაგგვლიჯე. ეს რატომ გააკეთე”? ველიდმა მიუგო: „არ მინდოდა ყურაიშებს არ ეთქვათ, ტყვეობას ვერ გაუძლო და მუჰამმედს იმიტომ დაემორჩილაო”

ამ პასუხმა ველიდის ძმები ძალიან გააბრაზა და იგი მანზუმის შვილებთან, იაშ ბინ ები რებიასა, სელემე ბინ ჰიშამთან და კიდევ რამდენიმე მუსლიმანტან ერთად დაატუსაღეს. ველიდ ბინ ველიდმა ისლამის რწმენის გამო რამდენიმე წელი სატუსაღოში გაატარა. იგი ისლამის დაუძინებელ მტრებმა, წარმართმა ნეთესავებმა ბევრი აწვალეს. ალლაჰის საყვარელმა შუამავალმა იაშ ბინ რებიას, სელემე ბინ ჰიშამისა და ველიდ ბინ ველიდისთვის შემდეგი ვედრება აღავლინა: ***„ჩემო ალლაჰო! იაშ ბინ რებია, სელემე ბინ ჰიშამი, ველიდ ბინ ველიდი და სხვა მორწმუნეები გადაარჩინე. ყურაიშებს უფრო ცუდი დღე დაატეხე თავს!“*** ველიდმა წმინდა შუამავლის ვედრების წაყალობით ხელსაყრელი მომენტი იპოვა და გაქცევა მოახერხა. იგი შუქმოფენილ მედინაში მივიდა და წმინდა შუამავალის წინაშე წარსდგა. შუამავალმა მას იაშესა და სელემეს შესახებ ჰკითხა. ველიდმა უპასუხა: „ისინი ფეხებით არიან ერთმანეთზე გადაბმულნი და ურწმუნოები მათ ძალიან აწამებენ“.

ქვეყნიერების სულთანი თანამიმდევრების ასეთ მდგომარეობაში ყოფნამ ძალიან დაამწუხრა და მათი დახსნის გზების ძებნა დაიწყო. როცა იკითხა, ვინ შეძლებს მათ გადარჩენასო, მრავალი წლის განმავლობაში ურწმუნოთაგან ტანჯვა-წამებას გამოვლილმა ველიდმა, დიდი გამბედაობითა და სიმამაცით უპასუხა: „ალლაჰის შუამავალო! მათ, მე გადავარჩენ და აქ მოგიყვან”. ის მექქაში დაბრუნდა, ვითარება გაარკვია და გაიგო, რომ ტყვეებს ერთი ქალი საჭმელს უზიდავდა. ორივენი იმ შენობაში იყვნენ დატუსარებულნი, რომელსაც სახურავი არ ჰქონდა. ღამით, ველიდი დიდი რისკის ფასად, კედლიდან ჩაძვრა და მეგობრებთან მივიდა. მათ, გარდა იმისა, რომ ისლამი წამდათ, სხვა დანაშაული არ გააჩნდათ. მაგრამ დაუნდობელ და უმოწყალო წარმართთა მიერ ქვაზე მიბმულნი არაბეთის მხურვალე მზის ქვეშ საშინლად იტანჯებოდნენ. ველიდმა ძვირფასი მეგობრები შენობიდან გამოიყვანა, აქლემებ-

ზე შესვა და თავად ფეხშიშველი, მედინასაკენ მათ წინ წაუძღვა. ველიდს არ აწუხებდა უდაბნოს საშინელი სიცხე, მას მხოლოდ ალლაჰის საყვარელი შუამავლის სიყვარული სწვავდა.

მშიერი-მწყურვალი, ფეხშიშველი სამ დღეში მივიდა მედინაში. თითები ქვებით ჰქონდა დაჩეხილი. ალლაჰის წმინდა შუამავალთან ასეთი დასისხლიანებული მივიდა.

როდესაც, ეთიოპიის ხელმწიფემ ნეჯაშმა ალლაჰის შუამავლის გამარჯვების შესახებ გაიგო, მაშინვე თავის სახელმწიფოში მყოფ საჰაბეებთან მივიდა და უმახარობლა: „მადლობა უზენაეს ალლაჰს, შუამავალს ბედირში გამარჯვება უწყალობა.“

კეთილშობილი ალისა და ძვირფასი ფატიმას ქორწინება

ემიგრაციის მეორე წელი იდგა. ქვეყნიერების უკეთილშობილესი შუამავლის ქალიშვილი ფატიმა თხუთმეტი წლის შესრულდა.

ერთ მშვენიერ დღეს ძვირფასი ფატიმა რაღაც საქმისთვის წმინდა შუამავლის წინაშე წარსდგა. მამამ დაინახა, რომ მისი ძვირფასი ქალიშვილი უკვე ქორწინების ასაკს იყო მიღწეული. ამის შემდეგ ძვირფას ფატიმაზე დაქორწინების სურვილი ბევრმა გამოთქვა. ალლაჰის შუამავალი მათ არანაირ ყურადღებას აქცევდა და აცხადებდა: ***„მისი ქორწინების საკითხი ალლაჰის ბრძანებაზეა დამოკიდებული“.***

ერთ დღესაც ებუ ბექრი, ომარი და სა’დ ბინ მუ’აზი მეჩეთში ისხდნენ და საუბრობდნენ. ძვირფასი ფატიმას ხელი, კეთილშობილ ალის გარდა, ყველამ თხოვა მაგრამ მათ უარი მიიღეს. კეთილშობილმა ებუ ბექრ სიდდიყმა (სიმართლის მთქმელმა)თქვა: „როგორც ვფიქრობ, ამ საქმეში ალის გაუმართლებს. მოდით ის მოვინახულოთ და ეს საკითხი გადავწყვიტოთ. თუ ალი სიღარიბის გამო ფატიმასტან ქორწინებაზე უარს განაცხადებს, დავეხმაროთ მას“. სა’დმა ებუ ბექრს უთხრა: „შენ სყოველთვის სიკეთეს აკეთებ. ადექი, წავიდეთ, ჩვენც გამოგყვებით“. სამივე ერთად მეჩეთიდან გამოვიდნენ და პირდაპირ კეთილშობილი ალის სახლში წავიდნენ. მას კი ამ დროს აქლემი წაეყვანა და ერთ ერთი ენსარის

ხურმის ბაღს რწყავდა. სტუმრები რომ შენიშნა, მაშინვე მათტან მივიდა, და მოსვლის მიზეზი ჰკითხა. კეთილშობილმა ებუ ბექრმა უთხრა: "ალი, ყოველ კეთილ საქმეს წინ შენ უძღვები და უკეთილშობილესი შუამავლის წინაშეც სხვებზე გასნაკუთრებული ადგილი გიჭირავს. ძვირფას ფატიმას თითქმის ყველამ ვთხოვეთ ხელი, მაგრამ მან არავის მოგვაქცია ყურადღება. ვფიქრობთ, რომ შენ ამ საქმეში გაგიმართლებს. ბედს რატომ არ ცდიდი?"

კეთილშობილმა ალის ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ თვალები ცრემლით აევსო და თქვა: „ებუ ბექრ, ძალიან დამწვი შენი სიტყვებით. მისი ცოლად მოყვანა ჩემზე მეტად არავის სურს, მაგრამ გაჭირვება ამის თქმის გამბედაობას არ მაძლევს". კეთილშობილმა ებუ ბექრმა მიუგო: „ასე ანუ იტყვი! როცა უზენაესი ალლაჰი და მისი საყვარელი შუამავალი შენს გვერდში არიან, ამქვეყანაზე არაფერში გაგიჭირდება. ამ საქმეს სიღარიბე ვერ შეაფერხებს. მიდი და თხოვე ხელი!"

კეთილშობილი ალი მოგვითხრობს: „ალლაჰის შუამავალთან მორიდებულად და მოკრძალებით შევედი. ის ძალიან დინჯად და დარბაისლურად გამოიყურებოდა. მასთან დავჯექი, მაგრამ ლაპარაკი ვერ შევძელი. შუამავალმა მკითხა: ***„რატომ მოხვედი, რამე გჭირდება?"*** – გავჩუმდი. მან გააგრძელა: ***„როგორც ჩანს, ფატიმას ხელის სათხოვნელად მოხვედი"*** „დიახ"- ძლივს შევძელი პასუხის გაცემა. (როცა საყვარელ შუამავალს ძვირფასი ფატიმას ხელის სათხოვნელად მოსვლის შესახებ ამცნო, ისიც გაჩუმდა. შუამავალმა მკითხა: ***„ფატიმასთვის მიჰრის*** *(ურვადი, მუსლიმანი მამაკაცის თანხმობით ნიქახის (კონონიერი, ოფიციალური ქორწინება) დროს საცოლეზე მისაცემი ფული ან ქონება)* ***სახით რას მისცემ?"*** „მისთვის მისაცემი არაფერი გამაჩნია, ალლაჰის შუამავალო" – ***მე რომ "ჰუთამი" ჯაჭვის პერანგი მოგეცი, სად წაიღე?*** – „აქ მაქვს" – ***„ეგ გაყიდე და ფული მომიტანე, მიჰრის სახით საკმარისი იქნება."***

ერთ-ერთი სხვა გადმოცემის მიხედვით როცა საყვარელმა შუამავალმა ჰკითხა, რა გაგაჩნიაო, ალიმ მიუგო, ცხენი და ჯაჭვის პერანგი მაქვსო. შუამავალმა უთხრა: ***„ცხენი გჭირდება, ჯაჭვის პერანგი კი გაყიდე."***

კეთილშობილი ალი, სანამ დაქორწინდებოდა, საყვარელ შაუ-ამავალთან ცხოვრობდა. მაგრამ დაქორწინების შემდეგ მესჯიდი ნებევთან (შუამავლის მეჩეთი) ახლოს, ძვირფასი აიშეს ოთახის პირდაპირ ჰარის ბინ ნუმანის სახლი იქირავა, ჯაჭვის პერანგი კი კეთილშობილ ოსმანს 480 დირჰემად მიჰყიდა, თუმცა ოსმანმა იგი ცოტა ხნის შემდეგ საჩუქრის სახით კეთილშობილ ალის უკან დაუბრუნა.

შემდეგ, როცა კეთილშობილი ალი ჯაჭვის პერანგითა და დირჰემებით შუამავალთან მივიდა, კეთილშობილი ოსმანის საქ-ციელი კაცობრიობის სიამაყეს ძალიან გაუხარდა, უზენაეს ალ-ლაჰს მისთვის სიკეთე შეავედრა და თქვა: ***„ოსმანი იმ ქვეყნად ჩემი მეგობარია!“***. შემდეგ ბილალი ჰაბეშს დაუძახა, ფულის ნახევარი, მისცა და უთხრა: ***„ეს ფული გამომართვი და ბაზარში წადი! ცოტა ვარდის წყალი, ხოლო რაც დაგრჩება თაფლი იყიდე და მეჩეთთთან ახლოს, კუთხეში, სუფთა ჭურჭელში გახსენით, თაფლის შარბათი გააკეთეთ და ნიქახის შემდეგ დავლიოთ. შემდეგ ენსარები და მუჰა-ჯირები მეჩეთში დაპატიჟე, ალისა და ფატიმას ქორწინების შესახებ ხალხს აცნობე“.***

ბილალი ჰაბეში გარეთ გამოვიდა და კეთილშობილი ალისა და ძვირფასი ფატიმას ქორწინების შესახებ ხალხს გააგებინა. ყველა საჰაბე მივიდა, მეჩეთი ხალხით გაივსო. საყვარელი შუამავალი ფეხზე წამოდგა და შემდეგი ჰუთბე (ქადაგება) წაიკითხა:

„ყოველგვარი ქება-დიდება მხოლოდ ყოვლისშემძლე გამჩენს, უზენაეს ალლაჰს ეკუთვნის. მის წინაშე ანგარიშსწორება და მისი სასჯელი აუტანელია. მისი ბრძანებები და კანონები ცასა და დე-დამიწაზე ბატონობს. ყველა გაჩენილი არსება თავისი უსასრულო ძლიერებით მექმნა და სამართლიანი კანონით ერთმანეთისაგან გა-ნასხვავა. ის არის, ადამიანების ისლამითა და შუამავალი მუჰამმე-დის გზით გამაცისკროვნებელი.

უზენაესმა ალლაჰმა ჩემი ქალიშვილ, ფატიმას კეთილშობილ ალი-ზე მითხოვება მიბრძანა. ახლა თქვენ ხართ იმის მოწმენი, რომ *(უზე-ნაესი ალლაჰის ბრძანებით)* ***მიჰრის სახით 400 მისხალ ვერცხლად, ფატიმა კეთილშობილ ალის მივათხოვე. უზენაესმა ალლაჰმა ისინი***

ერთად შეჰყაროს და დალოცვილი ამყოფოს. მათი შთამომავალნი უმწიკვლო წყალობის გასაღები, სიბრძნის წყარო ყოფილიყვნენ. ეს იყო ის, რისი თქმაც მინდოდა. გამჩენს ჩემ და თქვენ პატიებას ვთხოვ“.

შემდეგ კეთილშობილი ალი წამოდგა ფეხზე და შემდეგი მოკლე ჰუთბე, (ქადაგება) წაიკითხა: „სალაათი და სელამი საყვარელ მუჰამმედ შუამავალს. რადგან თავისი მადლმოსილი ასული ფატიმა, 400 მისხალ ვერცხლად, მომათხოვა. სულიერნო ძმანო, ეჭვგარეშეა, რომ საყვარელი შუამავლის საუბარს ესწრებოდით და მოისმინეთ. მეც ვესწრებოდი, ყველაფერზე თანახმა ვარ და სიტყვა-სიტყვით ვეთანხმები. უზენაესი ალლაჰი ყველა თვენგანის მოწმე და თავმდებია.

ნიქახის შესრულების შემდეგ საყვარელმა შუამავალმა ფინიკის ხურმა მოატანინა და თქვა: ***„აბა აიღეთ და მიირთვით ეს ხურმა“.*** ყველამ აიღო მიირთა, შემდეგ ბილალი ჰაბეშმა შარბათის წყალი ჩამოარიგა, ისიც დალიეს და ახალდაქორწინებულები ყველამ ერთხამდ დალოცა: „ბარექელლაჰუ ფი ქუმა, ვე ალეიქუმა ვე ჯემეღა შემლექუნა”

ძვირფასი ფატიმა ნიქახის გაკეთების შემდეგ ტიროდა. საყვარელი შუამავალი მასთან მივიდა და უთხრა: ***„ფატიმა, რა მოგივიდა რატომ ტირი? უზენაეს ალლაჰს ვფიცავ, რომ შენზე დაქორწინების მსურველთაგან, ყველაზე სწავლულ, სულგრძელ, ჭკვიან და უპირველეს მუსლიმანს მიგათხოვე“.*** ძვირფასმა ფატიმამ მიუგო: „ჩემო მამიკო, ყველა დაქორწინებული ქალიშვილის მიჰრი ოქროთი და ვერცხლით განისაზღვრება. ჩემი მიჰრიც რომ ასე განისაზღვროს, შენსა და სხვებს შორის რა განსხვავება იქნება? თუ, შენ, განკითხვის დღეს უამრავ ვინმეს გაუწევ დახმარებას, მეც მინდა, რომ მათ მეუღლეებს დავეხმარო. ეს არის ჩემი სურვილი“.

როდესაც უზენაესმა ალლაჰმა, საყვარელ შუამავალს აცნობა, რომ მან ძვირფასი ფატიმას ეს სურვილი ისმინა, მამამ ქალიშვილს უთხრა: ***„ფატიმა, შენ დაამტკიცე, რომ შუამავლის ქალიშვილი ხარ“.***

კეთილშობილი ალი მოგვითხრობს: „ამ ამბის შემდეგ ზუსტად ერთი თვე გავიდა. ამ საკითხთან დაკავშირებით მეჯლისში სიტყვა არ დაძრულა. მეც მრცხვენოდა და ვერაფერი ვთქვი. მაგრამ, როცა ალლაჰის შუამავალი მარტოს მნახავდა, მეტყოდა: ***„შენი საცოლე რა კარგი ქალბატონია! გიხაროდეს, რომ ის ამქვეყანაზე ქალბატონთა ქალბატონია!“.*** ერთი თვის შემდეგ კეთილშობილ ალის, მისმა ძმამ, უქაილმა უთხრა: „ამ ქორწინებამ ძალიან გაგვახარა, მაგრამ მსურს, შენ და შენი მეუღლე ერთმანეთთან ახლოს იყოთ. - კეთილშობილმა ალიმ მიუგო: „ჩემი დიდი სურვილიც ეგ არის, მაგრამ მრცხვენია“. უქაილმა კეთილშობილ ალის ხელი მოჰკიდა და საყვარელი შუამავლის სახლში წაიყვანა. როდესაც იქ მივიდნენ, ალლაჰის შუამავლის მოახლეს უმმუ ეიმენს შეხვდნენ, როდესაც მას საქმის ვითარება გააცნეს, უმმუ ეიმენმა თქვა: „ამ საკითხთან დაკავშირებით თქვენი მოსვლა არ იყო საჭირო, მე, უმწიკვლო ქალბატონებს (ეზვაჯი ტაჰირა) შევუთანხმდები და გაცნობებთ. ვინაიდან ასეთ დროს ალლაჰის შუამავლის მეუღლეების აზრია მთავარი“. უმმუ ეიმენმა ვითარება ალლაჰის შუამავალის მეუღლეებს გააცნო. ისინი ძვირფასი აიშეს სახლში შეიკრიბნენ, წმინდა ხატიჯე გაიხსენეს და თქვეს: „ის, რომ ცოცხალი ყოფილიყო ჩვენ ასე შეშფოთებული არ ვიქნებოდით“. ალლაჰის შუამავალმა დაამატა: ***„სად არის ხატიჯესთანა ქალბატონი? როდესაც ხალხი ჩემს შუამავლობას უარყოფდა, მან ჩემი ირწმუნა და მთელი თავისი სიმდიდრე ალლაჰის გზაზე დახარჯა. რელიგიისთვის ძალიან ბევრი გააკეტა. ალლაჰმა ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში მიბრძანა, რომ ხატიჯესთვის სამოთხს ზურმუხტის კოშკი მემახარობლებინა.“***

ალლაჰის შუამავალს მეუღლეებმა კეთილშობილი ალის სურვილი წარუდგინეს. ამ საკითხთან დაკავშირებით კაცობრიობის სიამაყემ უმმუ ეიმენს დაავალა, რომ მას კეთილშობილი ალი სახლში დაეპატიჟებინა. როცა ალი მოვიდა ქალები ადგნენ და მეჯლისიდან წავიდნენ. მოსულმა თავი დახარა და შუამავლის წინაშე დაჯდა. შუამავალმა ჰკითხა: ***„ალი! გინდა წაიყვანო შენი საცოლე?“***

ალიმ მიუგო: „დიახ, ალლაჰის შუამავალო“. მაშინ უკეთილშობილესმა შუამავალმა ესმა ბინთი უმეიეს უთხრა: ***„წადი და ფატიმას სახლი მოუმზადე!“*** ესმა ფატიმასა და ალის სახლში მივიდა, ერთი

ვიწრო ლეიბი ახლადგათრიმლული ტყავისგან, მეორე საკერებლიანი ტყავისგან, ხოლო მესამე ჭილოფისგან გააკეთა და შიგნით ხურმის ბოჭკოები ჩააწყო. ალლაჰის შუამავალი ძილისწინა ნამაზის შესრულების შემდეგ, ფატიმას სახლში მივიდა და იქაურობა დაათვალიერა.

მან კეთილშობილ ალის მოტანილი ფულის სამი მეორედით შეჭამანდის, სამკაულებისა და სუნამოების, ერთი მესამედით კი ტანსაცმლისა და ოჯახში საჭირო ნივთების შეძენა დაავალა. ძვირფასი ფატიმას მზითვში იყო: ესმა ბინთი უმეიესის მიერ მომზადებული სამი ვიწრო ლეიბი, ერთი ფოჩიანი ხალიჩა, ერთი ხურმის ბოჭკოებით გავსებული ბალიში, ორი ცალი ხელის წისქვილი, ერთი წყლის ჭურჭელი, თიხისგან გაკეთებული წყლის დოქი, გათრიმლული ტყავისგან გაკეთებული წყლის ჭიქა, ერთი პირსახოცი, ერთი წელქვედა კაბა, ვერძის ტყავი, მოძველებული, ბეწვგაცვენილი იემენური ხალიჩა, ხურმის ფოთლით მოქსოვილი დივანი, იემენური, ნაქსოვი ორი ჭრელი ტანსაცმელი და ერთი ხავერდის საბანი. გარდა ამისა ალლაჰის შუამავალმა კეთილშობილ ალის ცოტაოდენი ფული მისცა და უთხრა, რომ ცოტა ფინიკის ხურმა და ზეთი ეყიდა. კეთილშობილი ალი მოგვითხრობს:

„ერთი დირჰემით ფინიკის ხურმა, ორი დირჰემით ზეთი ვიყიდე და ალლაჰის შუამავალთან მივიტანე. ტყავის სუფრა მოითხოვა, ფინიკის ხურმა, ფქვილი, ზეთი და მაწონი თავისი მადლმოსილი ხელით ერთმანეთში აურია და რაღაც კერძი მოამზადა და მითხრა: ***„ალი, დაუძახე, ვისაც ნახავ და მოიყვანე“.*** გარეთ გამოვედი და ვინც ვნახე, ყველა დავპატიჟე. შემდეგ ალლაჰის შუამავლთან შევედი და ვაცნობე, რომ სტუმრად ძალიან ბევრი ხალხი იყო მოსული.

უკეთილშობილესმა შუამავალმა მითხრა: ***„ისინი ათ-ათ კაციან ჯგუფებად მოიყვანე და უთხარი, რომ დანაყრებამდე მიირთვან“.*** ასეც მოვიქეცი. ბოლოს დავითვალეთ და აღმოჩნდა, რომ ქალიანკაციანად საჭმელი შვიდასმა ადამიანმა მიირთვა.

როგორც უმმუ ეიმენი გადმოგვცემს, კეთილშობილი ალისა და ძვირფასი ფატიმას საქორწინო ზეიმის დასრულების შემდეგ,

საყვარელმა შუამავალმა კეთილშობილ ალის უთხრა: ***„ალი, ჩემი ასული ფატიმა თქვენ სახლში უკვე წავიდა. მეც საღამოს ნამაზის შემდეგ მოვალ და დაგლოცავთ, დამელოდეთ!“*** როდესაც კეთილშობილი ალი სახლში მივიდა ერთ კუთხეში დაჯდა, ხოლო ძვირფასი ფატიმა მეორეში.. შემდეგ ალლაჰის შუამავალიც მოვიდა და კარზე დაკაკუნა. უმმუ ეიმენმა კარი გაუხსნა. შუამავალმა ჰკითხა: ***„ჩემი ძმა აქ არის?“*** უმმუ ეიმენმა ჰკითხა: „ალლაჰის შუამავალო, ვინ არის შენი ძმა?“ – ***„ის, ალი ბინ ებუ ტალიბია“*** ეს რომ უმმუ ეიმენმა გაიგონა, განცვიფრებულმა ჰკითხა: „ ნუთუ თქვენი ასული თქვენს ძმას მიათხოვეთ?“ - შუამავალმა, დიახო, უპასუხა. უმმუ ეიმენს ეგონა ალლაჰის შუამავლის კითხვაზე ***„ჩემი ძმა აქ არის?“*** ეგონა რომ ასეთ შემთხვევაში ნიქახი არ შეიძლებოდა. ალლაჰის შუამავლის პასუხმა „დიახ“ მიუთითა, რომ ქორწინების დაუშვებლობისათვის ერთ დედისგან დაბადებაა საჭირო.

შემდეგ ალლაჰის შუამავალმა უმმუ ეიმენს ჰკითხა: ***„ესმა ბინთი უმეიესი აქ არის?“*** მან უპასუხა, დიახო. ***„ე. ი. ალლაჰის შუამავლის ასულს უნდა ემსახუროს, ალლაჰმა სიკეთე არგუნოს მას“.*** – თქვა ალლაჰის შუამავალმა და დალოცა.

ამის შემდეგ პატარა ჭურჭლით წყალი მოატანინა, მადლმოსილი ხელები დაიბანა, წყალში ცოტაოდენი მუშკი გაურია და ძვირფას ფატიმას დაუძახა. ძვირფასი ფატიმა სიცხვილისგან ტანსაცმელზე იყურებოდა. ალლაჰის შუამავალმა ცოტა წყალი აიღო, ფატიმას მკერდზე, თავზე, ზურგზე შეასხურა და დალოცა: ***„ალლაჰუმმე ინნი ელიზუჰა ბიქე ვე ზურრიეთიჰა მინ-ეშ-შეიტან-ირ რაჯიმ“*** (ყოვლის შემძლე, უზენაესო გამჩენო: მისგან და მისი ჩაქოლილი შთამომავლობის ბოროტებისგან დასაცავად შენ მოგკედლები) შუამავალი, კეთილშობილი ალის მიმართაც ანალოგიურად მოიქცა და ის ასე დალოცა: ***„ალლაჰუმმე ბარიქ, ფიჰიმა ვე ბარიქ, ალეიჰიმა ვე ბარიქ ლეჰუმა ფიი ნესლიჰიმა“*** შემდეგ იჰლასისა და მუავიზეთეინის (ფელეყისა და ნასის) სურეები იკითხა და მას უთხრა: ***„უზენაესი ალლაჰის სახელითა და მადლით, შენს მეუღლესთან წადი! ამ ყველაფრის შემდეგ მადლმოსილი ხელებით კარები გაიხურა და იქედან წავიდა“.***

კეთილშობილი ალი მოგვითხრობს: „ქორწინებიდან ოთხი დღის შემდეგ ალლაჰის საყვარელი შუამავალი ჩვენ ოჯახში მობრძანდა. გულების დამპყრობი, სიბრძნით აღსავსე სიტყვებით რჩევა დარიგებები მოგვცა. მითხრა: ***„ალი, წყალი მოიტანე!“*** ავდექი წყალი მივუტანე. წმინდა აიათი იკითხა და მითხრა: ***„ეს წყალი ცოტა დალიე, ცოტა კი დატოვე“.*** ასეც მოვიქეცი. მან, დარჩენილი წყალი მკერდზე და თავზე შემასხურა, შემდეგ ისევ მთხოვა, წყალი მომიტანეო და როცა მისი თხოვნა შევასრულე, ანალოგიური პროცედურა ფატიმას მიმართაც გააკეთა, შემდეგ კი მე გარეთ გამიშვა“.

როცა კეთილშობილი ალი გარეთ გავიდა, ალლაჰის წმინდა შუამავალი თავის ქალიშვილს მიუბრუნდა და ალის შესახებ ჰკითხა. ძვირფასმა ფატიმამ უპასუხა: „მამიკო, სრულიად უნაკლო, ჩამოყალიბებული ადამიანია. მაგრამ, ზოგიერთი ყურაიში ქალი მეუბნება, შენი ქმარი ძალიან ღარიბიაო“. მამამ შვილს უპასუხა: ***„ჩემო გოგო, მამაშენი და შენი ქმარი ღარიბები არ არიან. ცისა და დედამიწის ხაზინები შემომთავაზეს, მაგრამ არ დავთანხმდი. იმას დავთანხმდი რაც უზენაესი ალლაჰისთვის იყო მისაღები. ჩემო გოგონა, რაც მე ვიცი, შენც რომ იგივე გცოდნოდა, ეს ქვეყანა შენთვის არარაობა იქნებოდა. უზენაესი ალლაჰის ძალით შენი ქმარი უპირველესი საჰაბეთაგანია. ისლამისთვის უმნიშვნელოვანესი ადამიანია და ცოდნის მხრივ ბრძენია. ჩემო გოგო, უზენაესმა ალლაჰმა „ეჰლი ბეითთაგან“*** *(შუამავალის ოჯახის წევრთაგან)* ***ორი ვინმე დააბერა. ერთი მათგანი შენი მამა, მეორე კი შენი ქმარია. გაუფთხილდი, არავითარ შემთხვევაში მას არ უღალატო და მის ბრძანებას არ შეეწინააღმდეგო!“***

ალლაჰის საყვარელ შუამავალმა ქალიშვილისთვის რჩევა-დარიგებების მიცემის შემდეგ კეთილშობილ ალის დაუძახა ფატიმა ჩააბარა და დაარიგა: ***„ალი, ფატიმას გულს გაუფრთხილდი, პატივი ეცი, ის ჩემი სხეულის ნაწილია. მას კეთილად მოექეცი, მისი წყენინება, ჩემი უპატივცემულობის ტოლფასია“.*** შემდეგ ორივე უზენაეს ალლაჰს ჩააბარა, როდესაც წასვლა დააპირა, ფატიმამ მას უთხრა: „ალლაჰის შუამავალო, სახლის შიგნით ყველაფერს მე გავაკეთებ, გარეთ კი ყველაფერზე ალიმ იზრუნოს, თუ ერთ მხევალს მიწყალობებ, ზოგიერთ საქმეში დამეხმარება და შენგან კმაყოფილი დავრჩები“. ალლაჰის შუამავალმა ჰკითხა: ***„ფატიმა, გინდა მხევალ-***

ზე უკეთესი რამ გიწყალობო?“

როდესაც შვილმა ამ შეთავაზებაზე თანხმობით უპასუხა, მაშინ ალლაჰის შუამავალმა ასწავლა: ***„ყოველ დღეს დაწოლის წინ შემდეგი სიტყვები წარმოსთქვი: ოცდაცამეტჯერ სუბჰანალლაჰ, ოცდაცამეტჯერ ელჰამდულილლაჰ და ოცდაცამეტჯერ კი ალლაჰუ ექბერ, ხოლო ერთხელ კი ლა ილაჰე ილლელლაჰუ ვეჰდეჰუ ლა შერიქელეჰ, ლეჰულ მულქუ ვე ლეჰულ ჰამდუ ვე ჰუვე ალა ქულლი შეი ინ ყადირ. სულ ასი სიტყვაა მაგრამ განკითხვის დღეს ათას სიკეთეს მიიღებ. სასწორზე სიკეთე დაძლევს“.*** ამის შემდეგ ალლაჰის საყვარელი შუამავალი ქალიშვილის ოჯახიდან გამოვიდა და თავის სახლში წავიდა.

კეთილშობილი ალისა და ძვირფასი ფატიმას ნიქახი ემიგრაციიდან ხუთი თვის შემდეგ, ხოლო ქორწინება ბედირის ბრძოლის შემდეგ შედგა.

ქა’ბ ბინ ეშრეფის სიკვდილი

ბედირის ბრძოლაში მუსლიმანების გამარჯვებამ მედინაში მცხოვრებ იუდეველებსა და წარმართებს შიშის გრძნობა გაუღვიძათ. ზოგი იუდეველი გონს მოეგო და თქვა: „ეს, ის პიროვნებაა, რომლის თვისებების შესახებ წმინდა წიგნებში ვკითხულობდით. შეუძლებელია მის წინააღმდეგ ბრძოლა, ვინაიდან ის ყოველთვის გაიმარჯვებს.“ ამიტომაც მათ ისლამი მიიღეს. ზოგიერთებმა კი თქვეს: „მუჰამმედი ბრძოლის წესების უცოდინარ ყურაიშებს ეომა და ამიტომ გაიმარჯვა. ჩვენთანაც რომ იგივე გაებედა, ვაჩვენებდით, თუ როგორ უნდა ბრძოლა და გამარჯვება.“

როდესაც, იუდეველმა ქა’ბ ბინ ეშრეფმა ბედრის ბრძოლაში ისლამის ჯარის გამარჯვების შესახებ გაიგო, მუსლიმანების მიმართ სიძულვილის გამო მექქაში წავიდა. იქაური წარმართები შეკრიბა და მედინაზე თავდასასხმელად წამაქეზებელი ლექსები წაიკითხა. შუამავლის წინააღმდეგ მორიგ ბრძოლაზე შეთანხმდენენ. უფრო მეტიც, საყვარელ შუამავალს ტერაქტიც მოუწყვეს. ამის შესახებ უზენაესმა ალლაჰმა შუამავალს ამცნო: ***„ისინი წყეულნი*** *(წყალო-*

ბისგან გარიყულნი) ***არიან უზენაესი ალლაჰის მიერ“.***[6]

ამისა შემდეგ ალლაჰის შუამავალმა განაცხადა: ***„რადგან, უზენაეს ალლაჰს უარჰყოფს, ვის შეუძლია ქა’ბ ბინ ეშრეფის მოკვლა?“*** მუჰამმედ ბინ მესლემემ მას ჰკითხა: „ალლაჰის შუამავალო! ისურვებ, რომ ის მე მოვკლა? ***„დიახ ვისურვებ“*** – უპასუხა შუამავალმა. მუჰამმედ ბინ მესლემემ რამდენიმე დღეს ამ საქმეზე იფიქრა, შემდეგ თავის მეგობრებთან, ებუ ნაილე, აბბას ბინ ბიშრ, ჰარის ბინ ევსსა და ებუ აბს იბნი ჯეჰრთან მივიდა და გააცნო თავისი გეგმა, რომელიც ყველამ მოიწონა და ერთხმად თქვეს: „წავიდეთ და ეს ნაძირალა მოვკლათო!“ შემდეგ ყველა ერთად შუამავლთან მივიდნენ და უთხრეს: „ალლაჰის შუამავალო! ნებას თუ მოგვცემთ, როდესაც ქა’ბს გავესაუბრებით თქვენს შესახებ, მისთვის მოსაწონი რამ? საყვარელმა შუამავალმა მათ ნება დართო და უთხრა: „უთხარით, რაც გსურდეთ”.

ამის შემდეგ მუჰამმედ ბინ მესლემე მეგობრებთან ერთად ქა’ბ ბინ ეშრეფთან მივიდა და უთხრა: „მუჰამმედმა, ჩვენ წყალობის გაცემა და ბევრი გადასახადები დაგვაკისრა, ამიტომ შენგან ცოტა სესხის ასაღებად მოვედით“. ქა’ბს გაუხარდა, მას ეგონა რომ მუჰამედ ბინ მესლემე მასსავით ფიქრობდა და უთხრა: „ჯერ სად ხართ, ის უფრო მეტად მოგაწყენთ თავს“. „რა ვქნათ? ერთხელ მივყვევით მას და უნდა ბოლომდე უნდა დავემორჩილოთ, ვნახოთ, სადამდე გაგრძელდება ასე და რა შედეგი მოჰყვება ამას. ახლა, შენ, ცოტა ხურმა გვასესხე!“ – „კარგი, მოგცემთ მაგრამ გირაოდ (მძევლად) უნდა დამიტოვოთ რამე“. – „კი მაგრამ რა დაგიტოვოთ მძევლად, რას ისურვებდით?“ – „თქვენს ცოლებს ვისურვებდი მძევლად!“ – ამაზე, რომ არ დაეთანხმნენ, მაშინ შვილები დამიტოვეთ მძევლადო, შეთავაზა. მუსლიმებმა მიუგეს: „არა, ვერც შვილებს ვერ დაგიტოვეთ. რადგან ორი აქლემი ხურმისთვის ამას გავაკეთებთ, ეს დიდ ლაქად დაგვემჩნევა. თუ ისურვებთ იარაღსა და ჯაჭვის პერანგს დაგიტოვებთ“. ქა’ბი ამ შეთავაზებას დათანხმდა და აცნობა, თუ როდის უნდა დაებრუნებინათ სესხი.

ერთ საღამოს მუჰამმედ ბინ მესლემე ებუ ნაილთან ერთად

6. სურა: ნისა-52.

ქა'ბთან მივიდა. ქა'ბმა ისინი სასახლეში დაიბარა თავად კი მათთან შესახვედრად ჩავიდა. ქა'ბს მეუღლემ ჰკითხა: „ასე გვიან სად მიდიხარ?" – „მუჰამმედ ბინ მესლემე და ჩემი ძმა ნაილე არიან მოსულები". – „რატომღაც ეს ხმა არ მომეწონა, თითქოს, რაღაც უბედურებას ვგრძნობ". – „არა, ისინი კარგი ბიჭები არიან, ებუ მესლემეს ღამით საომრად რომ დაუძახო, უყოყმანოდ მოვა". სხვადასხვა გადმოცემის მიხედვით, ქა'ბმა მუჰამმედ ბინ მესლემესთან ერთად ორი თუ სამი კაცი სასახლეში მიიღო. ესენი, ებუ აბს ბინ ჯებრი, ჰარის ბინ ევსი და აბბად ბინ ბიშრი იყვნენ. მუჰამმედ ბინ მესლემემ ამხანაგები დაარიგა: „როცა ქა'ბი მოვა, ვეტყვი რომ მისი თმის სურნელება მინდა ვიყნოსო დათავზე მოვკიდებ ხელებს, როცა დაინახავთ რომ ქა'ბის თავზე ხელს კარგად ჩავავლებ, მაშინვე ხმალი დაჰკარით და კისერი წააცალეთ!". ქა'ბ ბინ ეშერეფი ლამაზად ჩაცმული, სასიამოვნო სუნამოწასმული მათთან ჩავიდა. იბნი მესლემემ მას თავაზიანად უთხრა: „დღემდე ასეთი სასიამოვნო სუნი არ მიყნოსია" და მასთან ახლოს მივიდა. „აბა როგორ, არაბების ყველაზე ლამაზი ქალები მე მყავს",-წაიტრაბახა ქა'ბმა. „თქვენი ნებართვით, მინდა თქვენ თმას ვუყნოსო"-თხოვა მესლემემ და როდესაც ამის ნებართვა მიიღო, იუდეველს თავზე ხელი წაავლო და მეგობრებს ანიშნა, უკვე დროა. ხმლის პირველ დარტყმაზე ქა'ბმა იღრიალა, მაგრამ არ მოკვდა. იგი მესლემემ გამოასალმა ხანჯლით სიცოცხლეს. მუჯაჰიდები, ქა'ბის მოკვლის შემდეგ, მედინაში დაბრუნდნენ და ალლაჰის შუამავალს ეს სასიხარულო ამბავი აცნობეს. მას ძალიან გაეხარდა, მუჯაჰიდები დალოცა და უზენაეს ალლაჰს მადლობა შესწირა.

ურწმუნო ქა'ბ ბინ ეშრეფის მოკვლამ მედინელ იუდეველებს შიშის ზარი დასცა. რადგან ქა'აბისთანა ლიდერის მოკვლის შემდეგ, მათი განადგურებაც სულ უბრალო საქმე იყო. ისინი დილაადრიან შეიკრიბნენ, წმინდა შუამავლის წინაშე წარსდგნენ და ღამით მომხდარის გამო იჩივლეს. ალლაჰის შუამავალმა მიუგო: ***„ის ჩვენ მუდამ გვაწუხებდა და ჩვენ საწინააღმდეგო ლექსებს თხზავდა. თუ რომელიმე თქვენგანი ანალოგიურად მოიქცევა, იცოდეთ, რომ მისი სასჯელიც ხმალია".*** ამ მუქარის შემდეგ იუდეველებმა შუამავალთან მორიგი შეთანხმება დადეს...

ბენი ქაინუქას ტომის იუდეველები

ერთ დღეს, ბენი ქაინუქას ტომის იუდეველმა მუსლიმანი ქალი აბუჩად აიგდო. ეს რომ ერთ-ერთმა საჰაბემ დაინახა, მაშინვე ხმალი იშიშვლა და იუდეველს სული გააფრთხობინა. იუდეველები შეიკრიბნენ და ეს ძვირფასი საჰაბე შეჰიდად აქციეს. ამ შემთხვევის შესახებ ალლაჰის შუამავალს აცნობეს. მან ებრაელტა ეს ტომი ბაზრობაზე შეკრიბა და ასე მიმართა: ***„იუდეველო ხალხო, გეშინოდეთ ისეთი სასჯელისა, რომელიც ყურაიშებს ხვდათ წილად და მიიღეთ ისლამი. კარგად იცით რომ მე უზენაესი ალლაჰის მხრიდან მოვლენილი შუამავალი ვარ. ამის შესახებ, უზენაესი ალლაჰის მიერ თქვენთვის ნაბოძებ წმინდა წიგნებში გაქვთ წაკითხული“.***

მიუხედავად ასეთი დიდი მოწყალებისა, იუდეველებმა შეთანხმება დაარღვიეს და ქვეყნიერების სულთანს მიმართეს: „მუჰამმედ, ბრძოლის უცოდინარი ხალხის დამარცხებამ შეცდომაში არ შეგიყვანოთ! ვფიცავთ, რომ ჩვენ მამაცი მეომრები ვართ! შენ ჩვენს გმირობას მხოლოდ მაშინ მიხვდები, როცა ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლას დაიწყებ“. ამგვარად იუდეველებმა ალლაჰის წმინდა შუამავალი ბრძოლაში გამოიწვიეს.

ამასთან დაკავშირებით შემდეგი ზეშთაგონება გარდმოვლინდა: ***„****(საყვარელო შუამავალო)* ***თუ*** *(შენს წინაშე)* ***რომელიმე ტომს შეთანხმების ღალატი*** *(შეთანხმების საწინააღმდეგო ქცევა)* ***შეატყო,*** *(სანამ ბრძოლაში შეებმებოდეთ)* ***ჭეშმარიტად და სამართლიანად აცნობე, რომ მათთან დადებული შეთანხმება გაუქმებულია. რადგან უზენაეს ალლაჰს არ უყვარს მოღალატეები.“***[7]

სხვა წმინდა აიათში ნაბრძანებია: ***„ჩემო შუამავალო! აუწყე იმ ურწმუნოებს:*** *(იუდეველებს)* ***რომ თქვენ აუცილებლად დამარცხდებით და ჯოჯოხეთში შეიკრიბებით. რა ცუდი ეს სამყოფელი!“.***[8]

უკეთილშობილესმა შუამავალმა მაშინვე ჯარი შეკრიბა, მედინაში მოვალეობის შემსრულებლად ებუ ლუბაბე დატოვა, თეთრი დროშა ძვირფას ჰამზას მისცა ხელში და ბენი ქაინუქას იუდე-

7. სურა ენფალი- 58-ე აიათი.

8. ალი იმრანის სურა: 12-ე აიათი

ველების საცხოვრებელი ციხე- სიმაგრისკენ გაემართა.. მადლმოსილმა ჯარმა ბენი ქაინუქას ციხეს ალყა შემოარტყა. იუდეველებმა, რომლებიც ამბობდნენ, მაგარი მეომრები ვართო, ერთი ისრის სტყორცნაც კი ვერ გაბედეს. ალლაჰის შუამავალმა ციხის შესასვლელზე და გასასვლელზე კონტროლი დააწესა. გარეთ ვერავინ გამოვიდა. ასეთი ვითარება თხუთმეტი დღე გაგრძელდა. იუდეველები შეშინდნენ და დანებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანი სიკვდილს იმსახურებდა, სამყაროს წყალობად მოვლენილმა ალლაჰის შუამავალმა მათ დამასკოში წასვლის უფლება მისცა. ამ-რიგად, ბენი ქაინუქას ტომის იუდეველებისგან მედინას მიწები გაიწმინდა.

მედინაში ალლაჰის საყვარელი შუამავალი როგორც იუდეველებს, ასევე წარმართებსა და აბდულლაჰ ბინ უბეის მსგავს ფარისევლებს ებრძოდა. გარდა ამისა მედინას გარეთ მცხოვრებ წარმართ ტომებს ისლამისკენ მოუწოდებდა და მათი ისლამით გაცისკროვნებისთვის ირჯებოდა. სავიქის, გათაფანის, ქარდესა და ბაჰრანის ლაშქრობები ბედირის ომის შემდეგ განხორციელდა.

ამ პერიოდში ნაბრძანები იქნა ზექათისა და ფითრის წყალობის გაცემა, ბაირამის ნამაზის შესრულება და მსხვერპლთშეწირვა (ყურბანი). ალლაჰის შუამავალმა თავისი ასული უმმუ გულსუმი კეთილშობილ ოსმანზე დააქორწინა, ხოლო თავად ზეინებ ბინთი ჯაშსა დაკეთილშობილი ომერის ასულ ჰაფსაზე იქორწინა. კეთილშობილი ალის ვაჟიშვილი ჰასანიც ამ წელს მოევლინა სამყაროს.

უჰუდის ბრძოლა

მექქელი წარმართები ვერა და ვერ ივიწყებდნენ ბედირის ბრძოლაში მარცხით გამოწვეულ დიდ ტკივილის. მათ თავიანთი ტომის ყველაზე გავლენიანი ხალხი ამ ბრძოლაში დაჰკარგეს. გარდა ამისა, დამასკომდე მიმავალი სავაჭრო გზაც მუსლიმანების კონტროლს ექვემდებარებოდა. ეს კი ყურაიშ წარმართებს მოთმინებას აკარგვინებდა. ებუ სუფეანის მეთაურობით წასული ქარავანი მექქაში ასპროცენტიანი მოგებით დაბრუნებულიყო. დაბანდებული კაპიტალის უმრავლესობა, ბედრის ბრძოლაში დაღუპულთა მიერ მონაგებს დარუნ ნედვე'დ (სადაც წარმართები გადაწყვეტილების მისაღებად იკრიბებოდნენ) წოდებულ, სახლში ინახებოდა.

საფფან ბინ უმეიიეს, იქრიმე ბინ ებუ ჯეჰლის, აბდულლაჰ ბინ რებიასთანა მამები, ძმები, ქმრები და შვილები ბედირში დაჰკარგეს. წარმართებმა ებუ სუფეანს მიმართეს: „მუსლიმანებმა წინამძღოლები მოგვიკლეს და გაგვანადგურეს. მათზე შურის ძიების დრო დადგა. დამასკოდან დაბრუნებული ქარავნის ამონაგებით ჯარი მოვამზადოთ, მედინას დავესხათ თავს და შური ვიძიოთ".

ებუ ჯეჰლის, შეიბესა და უთბესთანა გარეწარი ურწმუნოები ბედირში დაიღუპნენ, ამიტომაც წარმართთა ჯარს სათავეში ჯერ კიდევ არამუსლიმანი ებუ სუფეანი ჩაუდგა. დამასკოში განხორციელებული ვაჭრობის წყალობით მათ ასი ათასი ოქრო დარჩათ. აქედან ერთი ნახევარი ვაჭრობაში ჩადებული კაპიტალი იყო, ხოლო მეორე ნახევარი-მოგება. კაპიტალი მაშინვე მეპატრონეებს დაურიგდათ, მოგებული თანხა კი ორად გაიყო, ერთი ნაწილით იარაღი შეიძინეს, ხოლო დანარჩენით ჯარი მოამზადეს. გარდა ამისა თანხის ნაწილი მელექსეებსა და ორატორებსაც მისცეს, რათა მათ, ბრძოლის დროს, მეომრები გაემხნევებინათ. ქალები პატარა დოლებზე უკარვდნენ და მებრძოლებს ახალისებდნენ. საყვარელი შუამავლის ლიკვიდაციისა და ისლამის მოსპობის მსურველი წარმართები ახლო-მახლო ტომებში შორის დადიოდნენ და ჯარისკაცებს აგროვებდნენ.

ბოლოსდაბოლოს მექქაში 3000-იანი კაციანი ჯარი მოამზადეს. მათგან 700-ს ჯაჭვის პერანგი ჰქონდა, 200-ს ცხენი ჰყავდა, ხოლო 3000-ს-აქლემი. დამკვრელებისა და ქალების მონაწილეობით საკმაოდ მრავალრიცხოვან ჯარს, რომელშიც ქალებიც და დამკვრელებიც ირიცხებოდნენ, ებუ სუფეანი მეთაურობდა. მისი მეუღლე ჰინდიც ქალებს მეთაურობდა და წარმართებს ბრძოლისკენ აქეზებდა. მას ბედირის ბრძოლაში მამა და ორი ძმა მოუკლეს. ჰინდი ამ ტკივილს ვერ ივიწყებდა და ქალებს, რომლებიც ბრძოლაში მონაწილეობაზე უარს ამბობდნენ, ეუბნებოდა: „გაიხსენეთ ბედირის ბრძოლა, ცოლებსა და შვილებს რომ დაბრუნებოდნენ, ამის გამო ბედირის ველიდან გამოიქცნენ!... ამის შემდეგ ვინც გაქცევას დააპირებს ჩვენთან ექნება საქმე!“

წარმართთაგან ჯუბეირ ბინ მუთ’იმს მონა ჰყავდა შუბის ტყორცნის ძლიერი ოსტატი, სახელად ვაჰში. მისი გატყორცნილი შუბი მიზანს არ სცდებოდა. ჯუბეირი ჰინდის მამის, უთბეს, ჯუბეირისა და ბიძის თუაიმის, ბედირის ბრძოლაში დაღუპვის გამო, ძვირფასი ჰამზას მიმართ დაუნდობელი შურით იწვოდა. მან თავისი მონა ვაჰში მოიხმო და უთხრა: „თუკი ჰამზას მოკლავ, გაგანთავისუფლებ!“ ებუ სუფეანის მეუღლე ჰინდი კი მას შეჰპირდა:„ თუ ჰამზას მოკლავ, უამრავ ოქროსა და ძვირფასეულობას მოგცემ“.

როდესაც ყურეიშთა ჯარმა საომარი სამზადისი დაასრულა, ერთი დროშა ტალჰა ბინ ები ტალჰას, მეორე ეჰაბიშთაგან ერთერთს, ხოლო მესამე უვეიფის შვილ, სუფეანს მისცეს.

მექქაში სამზადისი დასრულებულიყო. ძვირფასმა აბბასმა მაშინვე წერილი შეადგინა და სანდო პირის ხელით მედინაში გაგზავნა. მასში ეწერა: „მექქელებმა 3000-იანი კაციანი ჯარი მოამზადეს. მათგან 700 ჯაჭვის პერანგიანია, 200 ცხენოსანი, ხოლო 300 აქლემი ჰყავს.. გარდა ამისა კარგად შეიარაღებულნი არიან და მედინასკემ მოემართებიან. ფრთხილად იყავით და დასახვედრად მოემზადეთ.“

წერილის მიღების შემდეგ, საყვარელმა შუამავალმა სიტუაციის გამოსაკვლევად რამდენიმე საჰაბეს დავალება მისცა, რომ ისინი მექქას მიმართულებით წასულიყვნენ და წარმართთა ჯარის მოახ-

ლოების შესახებ ზუსტი ინფორმაცია მოეპოვებინათ. საჰაბეებმა მოკლე დროში დავალება შეასრულეს და ემთხვეოდა.

ქვეყნიერების ბატონმა საომარი სამზადისი მალევე დაიწყო. გარდა ამისა, მოულოდნელი თავდასხმის თავიდან აცილების მიზნით, მედინას გარშემო გუშაგები დააყენა. საჰაბეები სულ მოკლე ხანში შეიკრიბნენ და საომრად მოემზადნენ. ისინი, რომლებიც სახლებში რჩებოდნენ, ალლაჰის წმინდა შუამავლის გარშემო შეიკრიბნენ და დიდი სიყვარულით გამოემშვიდობნენ.

ჯუმა (პარასკევი) დღე იყო. საყვარელმა შუამავალმა საჰაბეებს ჯუმა ნამაზი ალოცვა. ჰუთბის წაკითხვისას უზენაესი ალლაჰის რჯულის, ალლაჰის გულისთვის ჯიჰადის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება, მათ უმახარობლა, რომ ვინც ამ გზაზე შეჰიდად დაეცემოდა, სამოთხით დაჯილდოვდებოდა. ბოლოს კი თქვა: „ის, ვინც მტრის წინაშე არ შედრკება, სიძნელეებს არ შეუშინდება, უზენაესი ალლაჰის დახმარების ღირსი გახდება“.

ალლაჰის უკეთილშობილესმა შუამავალმა იმის შესახებ, თუ სად უნდა ყოფილიყო ბრძოლის ველი, საჰაბეებთან თათბირის დროს, თავისი სიზმარი მოჰყვა: ***„სიზმრად, საკუთარი თავი საიმედო ჯაჭვის პერანგში ვიხილე. გარდა ამისა, ჩემი ხმლის, ზულფიყარის უპირატესობა, ყელ-გამოჭრილი მსხვილფეხა საქონელი და ვერძის მოყვანა ვიხილე“.*** საჰაბეებმა ჰკითხეს: „ალლაჰის შუამავალო, როგორ ახსნიდით ამ სიზმარს, რას უნდა ნიშნავდეს?“...

საიმედო ჯაჭვის პერანგის ჩაცმა მედინაში დარჩენაზე მიანიშნებს... ხმლის პირის უპირატესობის ხილვა იმას ნიშნავს, რომ ზიანი დაგვატყდება თავს. ყელ გამოჭრილი მსხვილფეხა საქონლის ხილვა, საჰაბეტაგან ზოგიერთის შეჰიდად დაცემას წინასწარმეტყველებს, ხოლო ვერძის მოყვანა იმ სამხედო შენაერთის ნიშანია, რომელიც ალლაჰის ნებით მათ გაანადგურებს.

სხვა გადმოცემის მიხედვით ალლაჰის შუამავალმა თქვა: ***„სიზმრად ხმალი ძირს დავკარი და წვერი დაემსხვრა. ეს უჰუდის ბრძოლაში ზოგიერთი საჰაბის შეჰიდად დაცემაზე მიანიშნებს. ხმალი ხელმეორედ, ძირს დავკარი და ის პირვანდელ მდგომარეობას დაუ-***

ბრუნდა. ეს კი უზენაესი ალლაჰისგან მომავალი გამარჯვებასა და მორწმუნეების ერთად შეკრებაზე მიანიშნებს“.

როდესაც ალლაჰის წმინდა შუამავალს რაიმე საკითხთან დაკავშირებით ზეშთაგონება გარდმოევლინებოდა, იგი საჰაბეებს შეკრებდა, მოითათბირებდა და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. იმის შესახებ, თუ სად უნდა დახვედროდნენ მტერს, თანამიმდევრებმა თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს. მათ თქვეს, მედინაში დავრჩეთ და თავდაცვითი ბრძოლა წარვმართოთო. ეს წინადადება საყვარელ შუამავალს მოეწონა. კეთილშობილი ებუ ბექრი, ომარი და საად ბინ მუ'აზი ამ მოსაზრებას დაეთანხმენენ.

როდესაც ალლაჰის საყვარელმა შუამავალმა, ბედირის ბრძოლაში მონაწილე მებრძოლთა მადლისა და სიდიადის შესახებ ისაუბრა, ახალგაზრდა, მამაც მეომრებს გული დაწყდათ, რომ ამ ბრძოლაში მონაწილეობა ვერ მიიღეს. ამიტომაც უნდოდათ, რომ მტერს მედინასთან პირისპირ შეტაკებოდნენ. ძვირფასმა ჰაისემემ საუბრის ნება ითხოვა და თქვა: „ალლაჰის შუამავალო, ყურაიშებმა სხვადასხვა ტომიდან ჯარისკაცები შეკრიბეს, აქლემებსა და ცხენებზე შესხდნენ და ჩვენს მიწაზე შემოიჭრნენ. ისინი, ჩვენ სახლებსა და ციხეებს ალყას შემოარტყამენ, შემდეგ მიბრუნდებიან და წავლენ. უკან კიდევ ათასნაირ სიტყვას მოგვაძახებენ. ასეთი ვითარება კი მათ გამბედაობას შეჰმატებთ და მორიგ შეტევაზე გადმოვლენ. ახლა, თუ მათ წინააღმდეგ არ გავილაშქრებთ, სხვა არაბი ტომებიც მათ მიბაძავენ. ვიმედოვნებ, რომ უზენაესი ალლაჰი ჩვენს გამარჯვებას ინებებს.

და თუ დავმაცხდებით, შეჰიდად დაცემის პატივი მოგვეგება. ბედირში შეჰიდობა არ მხვდა წილად, თუმცა მე ის მენატრებოდა. როცა ჩემმა ვაჟიშვილმა გაიგო, რომ ბედირის ბრძოლაში უნდა მიმეღო მონაწილეობა, ჩვენს შორის კენჭი ჰყარა. ის ჩემზე უფრო ბედნიერი აღმოჩნდა, რადგან შეჰიდად დაეცა.

ალლაჰის შუამავალო, ძალიან მინდა, შეჰიდად დავეცე. წუხელ სიზმრად ჩემი ვაჟი, ძალიან ლამაზი ვიხილე. სამოთხის ბაღებსა და ნაკადულებს შორის სეირნობდა და მეუბნებოდა: „სამოთხის

ღირს საჰაბეებს შეუერთდი! მე უზენაესი ალლაჰის დანაპირებ სამოთხეს ვეწვიე“.

ალლაჰის შუამავალო, ვფიცავ, დილაადრიან დავიწყე ნატვრა იმაზე, რომ სამოთხეში ჩემი ვაჟიშვილის მეგობარი ვიყო. უკვე საკმაო ასაკსაც მივაღწიე. არაფერი მსურს, ყოვლისშემძლე გამჩენთან წასვლის გარდა.

ჩემი სიცოცხლე გენაცვალოს ალლაჰის შუამავალო! შეავედრე უზენაეს ალლაჰს, რომ შეჰიდად დავეცე და ჩემ შვილთან ერთად სამოთხის ღირსებით ავმაღლდე“

საყვარელმა შუამავალმა შეამჩნია რომ ყველა ერთ აზრს იზიარებდა და გადაწყვიტა მტერს მედინას გარეთ დახვედროდა. შემდეგ საჰაბეებს მიუბრუნდა და მიმართა: ***„(ჩემო საჰაბეებო!) თუ ამჯერადაც მოთმინებასა და უდრეკელობას გამოიჩენთ, ჭეშმარიტი ალლაჰი დახმარებას გიწყალობებთ. ამისათვის ძალისხმევა და მონდომება გვჭირდება“.***

ქვეყნიერების ბატონმა საჰაბეებს სამხრობის (ნაშუადღევის) ნამაზი ალოცვა და მადლმოსილ, ბედნიერებით აღსავსე სახლში წავიდა. ძვირფასმა ებუ ბექრმა და ომარმა ნება ითხოვეს და მას უკან გაჰყვნენ. ალლაჰის საყვარელ შუამავალს ჩალმის მოხვევაში და ჯაჭვის პრეანგის ჩაცმაში დაეხმარნენ. შუამავალმა ხმალი შემოირტყა და ფარი წელზე დაიმაგრა.

ამასობაში გარეთ შეკრებილი საჰაბეები ალლაჰის შუამავალის გამოსვლას ელოდნენ. მედინაში თავდაცვითი ბრძოლის მსურველებმა დანარჩენებს მიმართეს: „ალლაჰის შუამავალს მედინას გარეთ გასვლა არ უნდოდა, მაგრამ თავისი გადაწყვეტილება თქვენი საუბრიდან გამომდინარე შეცვალა. თუმცა წმინდა შუამავალი ბრძანებას უზენაესი ალლაჰისგან ღებულობს. თქვენ ეს საქმე მას მიანდეთ. რასაც ის ბრძანებს, ისე მოიქეცით“. ამ სიტყვების შემდეგ, სინანული გამოხატეს და თქვეს, რომ ასეთი ქცევით ისე არ გამოგვივიდეს, თითქოს, შუამავალს წინააღმდეგობა გავუწიეთო და პირვანდელ მოსაზრებებზე უარი თქვეს. როცა ალლაჰის შუამავალი ბედნიერი სახლიდან გამოვიდა, მის წინაშე წარსდგენენ და

მოუბოდიშეს: „ჩვენი სიცოცხლე გენაცვალოთ, ალლაჰის შუამავალო! როგორც თქვენ გენებოთ, ისე მოიქეცით, მედინაში დარჩენა თუ გნებავთ დავრჩეთ, რადგან შენ მიმართ წინააღმდეგობის გაწევისგან ალლაჰმა დაგვიფაროს“. ალლაჰის შუამავალმა მიუგო: ***„არცერთი შუამავალი ჩაცმულ ჯაჭვის პერანგს უბრძოლველად არ გაიხდის მანამ, სანამ დიადი ალლაჰი მასსა და მტერს შორის განაჩენს გამოიტანს. გირჩევთ, თუ ისე მოიქცევით, როგორც გიბრძანებთ, უზენაესი ალლაჰის სახელით, უდრეკელობასა და მოთმინებას გამოიჩენთ, ის აუცილებლად დაგეხმარებათ.“***

ამ დროს ძვირფასი ამირ ბინ ჯემაჰი სახლში, თავის ოთხ ვაჟიშვილს ეუბნებოდა, რა მოხდება, მეც წამიყვანეთ ბრძოლაშიო. ისინი ეუბნებოდნენ: „მამიკო! იმის გამო რომ ფეხი გაქვს დაზიანებული, უზენაესმა ალლაჰმა საპატიო მიზეზის მქონედ მიგიჩნია. ალლაჰის შუამავალმა შენ არ დაგრთო საბრძოლველად წასვლის ნება. შენ, არ ხარ ვალდებული, ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. შენ მაგივრად ჩვენ მივდივართ“. მათ უნდოდათ რომ მამა შინ დარჩენაზე დაეთანხმებინათ. მაგრამ ამრმა მათ შემდეგი სიტყვებით მიმართა: „სირცხვილი თქვენისთანა შვილებს! ანალოგიური რამ ბედირის ბრძოლის წინაც გააკეთეთ და სამოთხის დამსახურებაში ხელი შემიშალეთ. ამჯერადაც ასე უნდა გამიკეთოთ?“ შემდეგ საყვარელი შუამავლის წინაშე წარსდგა და უთხრა: „ჩემი სიცოცხლე შემოგევლოს ალლაჰის შუამავალო! ჩემს შვილებს უნდათ, რომ გარკვეული საპატიო მიზეზების გამო ომში წასვლში ხელი შემიშალონ. ვფიცავ, მე მინდა რომ შენთან ერთად წამოვიდე ბრძოლაში და სამოთხეში შესვლის ღირსებით ავმაღლდე. ალლაჰის შუამავალო! შენ არ გინდა, რომ ალლაჰის გზაზე ვიბრძოლო და შეჰიდად დაცემის შემდეგ, კოჭლი ფეხებით სამოთხეში ვისეირნო?“ ქვეყნიერების უკეთილშობილესმა შუამავალმა უპასუხა: ***„დიახ, მინდა,“*** რამაც ამრი ძალიან გაახარა. იგი მაშინვე წწავიდა, ომში წასასვლელად მოემზადა და ჯარს შეუერთდა.

მედინაში. ნამაზის შესრულების დროს, იმამად აბდულლაჰ ბინ უმმი მექთუმი დატოვა. ალლაჰის შუამავალმა სამი დროშა აღმართა, მათგან ერთი, ჰაბბაბ ბინ მუნზირს, მეორე უსეიდ ბინ ჰუდაირს, ხოლო მესამე მუ’საბ ბინ უმეირს მისცა. ათასი მებრძო-

ლისგან შემდგარ ჯარში, მხოლოდ, ორი ცხენოსანი და ასი ჯაჭვის პერანგიანი ჰყავდა.

პარასკევს (ჯუმა) დღეს ნაშუადღევს საყვარელმა შუამავალმა, ჯაჭვის პერანგჩაცმული სა'დ ბინ უბადი და სა'დ ბინ მუაზი წინ დააყენა, მარჯვნივ მუჰაჯირები, მარცხნივ კი ენსარები განალაგა და მუსლიმთა ჯარი ალლაჰის სადიდებელი შეძახილებით უჰუდისკენ გაემართნენ.

გზად, იუდეველთა ექვსას კაციან სამხედრო შენაერთს შეხვდნენ. ესენი შფოთისთავ აბდულლაჰ ბინ უბეი ბინ სელულის მოკავშირეები იყვნენ და უნდოდათ ისლამის ჯარს შეერთებოდნენ. შუამავალმა იკითხა: ***„მათ იწამეს ისლამი?“*** თანამიმდევრებმა უპასუხეს: „არა, არ უწამიათ, ალლაჰის შუამავალო!“ მაშინ საყვარელმა შუამავალმა ბრძანა: „***მიდით და უთხარით, რომ უკან დაბრუნდნენ. რადგან წარმართთა წინააღმდეგ ბრძოლაში ურწმუნოები არ გვჭირდება“.***

უზენაესი ალლაჰის საყვარელი შუამავალი, ისლამის ჯართან ერთად მედინასა და უჰუდს შორის მდებარე შეიჰანს მივიდა და ღამის გასათევად დაბანაკდა. ჯერ მზე ჩასული არ იყო. ამ ლაშქრობაში მტრის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლისა და შეჰიდად დაცემის უდიდესი სურვილით შეპყრობილი, მცირეწლოვანი საჰაბეებიც იღებდნენ მონაწილეობას. როცა საყვარელმა შუამავალმა ჯარი გადაამოწმა ჩვიდმეტამდე მცირეწლოვანი დაინახა. მათ შორის ერთ-ერთი, რაფი ბინ ჰადიჯი ფეხის ცერებზე შედგა, რათა მაღალი გამოჩენილიყო. ძვირფასმა ზუჰეირმა შუამავალს უთხრა, რომ რაფი ისარს კარგად ისროდა, რის გამოც ის ჯარში დატოვეს. ეს რომ სემურე ბინ ჯუნდუბმა ნახა, თქვა, მე შემიძლია, რაფი ჭიდაობაში დავამაცხო, ამიტომ მეც მინდა ბრძოლაში მონაწილეობის მიღებაო. საყვარელმა შუამავალმა მათ გაუღიმა და ჭიდაობაში შეაჯიბრა ერთმანეთს. სემურემ რაფი დაამარცხა და ისიც მუჯაჰიდთა რიგებში მიიღეს. დანარჩენი ბავშვები მედინას დასაცავად უკან დააბრუნეს.

საღამოსა და ძილისწინა ნამაზის ეზანი ბილალმა თავისი ტკბილი ხმით იკითხა. ნამაზის შესრულების შემდეგ, საყვარელმა შუა-

მავალმა მუჰამმედ ბინ მესლემე ორმოცდაათ აციან შენაერთის მეთაურად დანიშნა და დილამდე გუსაგობა დაავალა, ხოლო საჰაბეებს ძილის ნება მისცა. იმ ღამეს საყვარელი შუამავლის დაცვაძვირფას ზევქანს ხვდა წილად.

ამ დროს მტრის ჯარმა გაიგო, რომ ისლამის ჯარი შეიჰანში ისვენებდა. იქრიმეს მეთაურობით მხედართა შენაერთი დასაზვერად გააგზავნეს. ჯერ კიდევ არამუსლიმანმა იქრიმემ შენაერთთან ერთად ჰერრემდე ისლამის ჯარს უთვალთვალა, მაგრამ მუჯაჰიდთა გუსაგების შეეშინდა და უკან დაბრუნდა.

ცისკრის დადგომის შემდეგ სამყაროს ბატონმა, საჰაბეები გააღვიძა და მათთან ერთად უჰუდის მთაზე ავიდა. აქედან ორივე ჯარი ერთმანეთს კარგად ხედავდა. ბილალი ჰაბეშმა სულების ფრთების შემსხმელი, გულების დამადნობელი, საამო ხმით დილის ეზანი იკითხა. შეარაღებულმა მუჯაჰიდებმა საყვარელ შუამავალთან ერთად დილის ნამაზი შეასრულეს და ვედრება აღავლინეს. კაცობრიობის სიამაყემ მეორე ჯაჭვის პერანგი ჩაიცვა და მადლმოსილ თავზე ჩაფხუტი დაიხურა.

ამ დროს ფარისეველთა მეთაურმა აბდულლაჰ ბინ უბეიმ იყვირა: „განა, ჩვენ აქ იმისათვის მოვედით, რომ თავი მოვაკვლევინოთ? ეს თავის დროზე რატომ ვერ გავიგეთ“ შემდეგ სამასამდე ფარისეველთან ერთად ისლამის ჯარს გამოეყო და მედინაში დაბრუნდა.

მორწმუნე, ერთგული, სიცოცხლის წმინდა გზაზე თვალის დაუხამხამებლად თავგანწირვისა და შეჰიდად დაცემის ბედნიერების მოპოვების მსურველთა რიცხვი შვიდასამდე შემცირდა. ყველა მათგანმა, საყვარელ შუამავალს სიტყვა მისცა, რომ მას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცავდნენ.

ორივე სამყაროს მზემ მუჯაჰიდები საომრად ისე განალაგა, რომ რომ უჰუდის მთა მათ ზურგს უკან დარჩა, ხოლო მადლმოსილი მედინა მათ წინ იყო გადაშლილი. ჯარის მარჯვენა ფრთის მეთაურად უქაშე ბინ მიჰსან, მარცხენა ფრთის წინამძღოლად ებუ სელემე ბინ აბდულ ესედი დანიშნა. სა’დ ბინ ები ვაყყასმა და

ებუ უბეიდე ბინ ჯერრაჰმა მშვილდოსანთა წინამძღოლების ადგილი დაიკავეს. ჯავშოსნებს ზუბეირ ბინ ავვამი, ხოლო მეწინავე უჯავშნო ძალებს ძვირფასი ჰამზა ჩაუდგნენ სათავეში.. მიქდად ბინ ამრს ზურგის მეთაურობა დაავალეს.

ისლამის ჯარის მარცხენა მხარეს აღმართული იყო აინეინის მთა, რომელსაც ძალიან ვიწრო გასავლელი ჰქონდა. ალლაჰის საყვარელმა შუამავალმა მთის ამ ვიწრო გასავლელში, აბდულლაჰ ბინ ჯუბეირის მეთაურობით, ორმოცდაათი მშვილდოსანი ჩააყენა, მათთან მივიდა და ასეთი კატეგორიული ბრძანება მისცა: ***„თქვენ, ზურგიდან დაგვიცავთ. თქვენ-თქვენ ადგილებზე გამაგრდით და სანამ ბრძანებას მიიღებთ, თუნდაც დაინახოთ რომ მტერი უკვე დავამარცხეთ, მანამდე არავითარ შემთხვევაში გაინძრეთ. თუნდაც ნახოთ, რომ მტერი გვანადგურებს, დასახმარებლად არ მოხვიდეთ. მათგან ჩვენს დაცვაზე ნუ იზრუნებთ. მტრის მხედრები თქვენკენ თუ გამოემართებიან, ისრები დაუშინეთ, რადგან ცხენოსნები ისარს წინ ვერ აღუდგებიან. ჩემო ალლაჰო! მოწმე იყავი, რომ მათ ეს რჩევა-დარიგებები მივეცი!“***

ამის შემდეგ საყვარელი შუამავალი ჯართან დაბრუნდა. ისლამის დროშა მუს'აბ ბინ უმეირს მისცეს და მან საყვარელი შუამავლის წინ დაიკავა ადგილი.

ამ დროს ახლადდაქორწინებული ძვირფასი ჰანზალა, მედინადან მთელი სისწრაფით მოვიდა და მუჯაჰიდთა რიგებში დაიკავა ადგილი.

უჰუდში, სამი დღის წინ მოსულ, წარმართთა ჯარს ებუ სუფეანი მეთაურობდა. ისინი ისე განლაგდნენ, რომ მედინა ზურგს უკან დაიტოვეს. ცხენოსანთა მარჯვენა ფრთას ჰალიდ ბინ ველიდი, ხოლო მარცხენას იქრიმე სარდლობდა. საფფან ბინ უმეიიე ცხენოსანთა შენაერთის საერთო მეთაურობას სწევდა, ხოლო წარმართთა დროშა ტალჰა ბინ ები ტალჰას ეჭირა.

მოწინააღმდეგეთა შორის ძალთა თანაფარდობა ძალიან განსხვავებული იყო. ყურაიშთა ჯარი მეომართა რაოდენობის, შეაარაღებისა და აღჭურვილობის მხრივ, მუსლიმთა ლაშქარს ოთხჯერ

აღემატებოდა.

ყურეიშის ჯარიდან დიდი აურზაური და ხმაური ისმოდა, შურის ძიების უსაზღვრო ჟინით შეპყრობილი ქალები თვალების ბრიალით, პატარა დოლებზე უკრავდნენ, მღეროდნენ, ჯარსისკაცებს ახალისებდნენ და სათაყვანო კერპებისგან დახმარებას ითხოვდნენ.

მუჯაჰიდების მხარეს დიადი ალლაჰის მიმართ ვედრებისა და „ალლაჰუ ექბერ“-ის ხმები ისმოდა. ისლამის რელიგიის დაცვისა და გავრცელებისათვის დახმარებას უზენაეს ალლაჰს ევედრებოდნენ. საყვარელი შუამავალი მამაც საჰაბეებს, ჯიჰადის წმინდა გზაზე ბრძოლისკენ მოუწოდებდა და ამ გზით მადლის მოპოვების შესახებ უყვებოდა: ***„ჩემო მცრერიცხოვანნო საჰაბეებო, ძნელი იქნება მტრის წინააღმდეგ ბრძოლა, თუკი თქვენ სიმტკიცესა და მოთმინებას გამოიჩენთ უზენაესი ალლაჰი გაგახარებსთ. ვინაიდან უზენაესი ალლაჰი მორჩილებთან არის.... უზენაესი ალლაჰისგან დანაპირები ჯილდო მოითხოვეთ“.***

შეჰიდად დაცემის სურვილით შეპყრობილი საჰაბეები, რწმენით სავსე გულებით, თვალებიდან სიმამაცის ნაპერწკლებს აფრქვევდნენ და ადგილზე ვერ ჩერდებოდნენ. ისინი მოუთმენლად ელოდნენ მტრის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების ბრძანებას. ისე როგორც ბედირის ბრძოლაში, ახლაც ძვირფასმა ალიმ თეთრი, ზუბეირ ბინ ავვამმ ყვითელი, ხოლო ებუ დუჯჯადემ წითელი ჩალმა შეამოიხვიეს თავებზე. ძვირფასმა ჰამზამ კი სირაქლემას ფრთისგან მომზადებული ბუმბული გაიკეთა.

მოწინააღმდეგენი საკმაოდ მიუახლოვდნენ ერთმანეთს. მღელვარებამ პიკს მიაღწია. მალე, ერთის მხრივ, უზენაესი ალლაჰის რჯულის გავრცელებისათვის მებრძოლი მუჯაჰიდებს, ხოლო მეორე მხრივ ცრუ მორწმუნეებისგან შემდგარ ისლამის მტრებს შორის ბრძოლა დაიწყებოდა.

როდესაც ერთმანეთს ისრის სასროლ მანძილზე მიუახლოვდნენ, მტრის რიგებიდან, აქლემზე შეჯდარმა, ჯაჭვის პერანგიანმა წარმართმა, მუჯაჰიდთაგან გულადი მეომარი გამოიხმო.. ეგონა

ყველას შეაშინებდა და ამიტომ მოთხოვნა სამჯერ გაიმეორა. მოთხოვნისამებრ, ისლამის ჯარს ტანმაღალი, ყვითელ ჩალმიანი გულადი მუჯაჰიდი გამოეყო. ეს საყვარელი შუამავლის მამიდაშვილი ზუბეირ ბინ ავვამი იყო.. ისლამის ჯარში ალლაჰის სადიდებელი (ალლაჰუ ექბერ) ხმა გაისმა. მუსლიმები უზენაესს ძვირფასი ზუბეირის გამარჯვებას ავედრებდნენ. იგი, წარმართს მიუახლოვდა თუ არა, მაშინვე აქლემს შეახტა. აქლემზე საოცარი ორთაბრძოლა გაიმართა. ამ დროს საყვარელი შუამავლის ხმა გაისმა: ***„ჩამოაგდე ძირს!“*** ძვირფასმა ზუბეირმა ამ ბრძანების გაგონებისთანავე მეტოქე ძირს დაანარცხა. შემდეგ აქლემიდან ჩამოხტა, მტერს ხმალი კისერზე დაჰკრა და წარმართის ჩაფხუტიანი თავი სხეულს მოაშორა. საყვარელმა შუამავალმა ძვირფასი ზუბეირი დალოცა.

შემდეგ ბრძოლის ავანსცენაზე წარმართთა მედროშე, ტალჰა ბინ ები ტალჰა გამოვარდა და იყვირა: „თქვენს შორის არის ისეთი ვინმე, ვინც ჩემთან შებრძოლებას გაბედავს?“ მის წინააღმდეგ უზენაესი ალლაჰის ლომი კეთილშობილი ალი წარსდგა. ერთი დარტყმით, თავიდან ფეხებამდე ჯაჭვის პერანგით შემოსილ წარმართთა მედროშეს თავი ყბამდე გაუპო. ეს რომ საყვარელმა შუამავალმა დაინახა, გასძახა: ***„დიდება ალლაჰს. ალლაჰი უდიდესია!“*** მას საჰაბეებიც მიჰყვნენ და ალლაჰის სადიდებელმა ხმებმა ცა და დედამიწა შეძრა.

როცა შენიშნა, რომ წარმართთა დროშა ძირს დაეცა, ტალჰას ძმა ოსმან ბინ ტალჰა ელვის სისწრაფით მოედანზე გამოვარდა, დროშა აღმართა და ორთაბრძოლა მოითხოვა. მის წინააღმდეგ ძვირფასი ჰამზა გავიდა. „ჩემო ალლაჰო!“- შესძახა და ოსმანს ისე ძლიერად ჩასცა მხარში ხმალი, რომ ის ხელი მოჰკვეთა, რომლითაც მას დროშა ეჭირა. წარმართი მიწაზე დაეცა და სული განუტევა.

წარმართთაგან შემდეგი მებრძოლი ებუ სა’დ ბინ ები ტალჰა საბრძოლო არენაზე ქვეითად გავიდა. მასაც თავიდან ფეხებამდე ჯაჭვის პერანგი ეცვა. ურწმუნოთა დროშა ისევ აღმართა, ისლამის ჯარს მიუბრუნდა და იყვირა: „მე ქუსამის მამა ვარ. ვინ

გაბედავს ჩემს წინაშე გამოსვლას?“ საყვარელმა შუამავალმა მის წინაარმდეგ გასვლა კეთილშობილ ალის უბრძანა. ისიც მაშინვე მოწინააღმდეგეს მივარდა და ხმლით სული გააფრთხობინა. წარმართთა დროშა ისევ ძირს დაეცა, ხოლო კეთილშობილი ალი ისევ მუჯაჰიდთა რიგებს შეუერთდა.

ამის შემდეგ რამდენიმე წარმართი რიგრიგობით გამოდიოდა მოედანზე ძირს დავარდნილ დროშა იღებდა და ისლამის ჯარიდან მებრძოლს ითხოვდნენ, მაგრამ უზენასი ალლაჰის ნებით, ყველა ორთაბრძოლაში მამაცმა საჰაბეებმა გაიმარჯვეს. თითოეული წარმართი მედროშის მარცხის დროს, ისლამის ჯარში ალლაჰის სადიდებელი ხმები (ალლაჰუ ექბერ) ზეცას წვდებოდა. მტრის ჯარში კი დიდი მწუხარება და შეშფოთება სუფევდა. უფრო მეტიც, ქალები, რომელთა ხმაურისა და აურზაურის ხმა გარემოს აყრუებდა, საკუთარი ჯარის მებრძოლებს არცხვენდნენ და ეუბნებოდნენ, სირცხვილი თქვენ, აბა, მიდით, რაღას ელოდებითო.

როდესაც სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა და ორივე მხარეს ერთმანეთის განადგურების სურვილი მაქსიმალურად მოეძალათ, ამ დროს საყვარელი შუამავლის ხმა გაისმა: ***„შიში სირცხვილია, ხოლო წინსვლა ავტორიტეტი და ღირსებაა, ადამიანი შიშით ბედისწერას ვერ გადაურჩება“.*** სწორედ ეს სიტყვები ეწერა მის ხმალზე. მან მებრძოლებს მიმართა: „ამ ხმალს ვინ გამომართმევს?“ ამ სიტყვების გაგონებაზე, ერთდროულად, რამდენიმე საჰაბემ ხმლის გამოსართმევად ხელი გაიწოდა. საყვარელმა შუამავალმა კიდევ გაიმეორა: ***„ვინ გამომართმევს ამ ხმალს ისე, რომ მას კუთვნილი მიუზღოს?“*** ზუბეირ ბინ ავვამმა მას უთხრა: “მე ავიღებ ხმალს, ალლაჰის შუამავალო”! მაგრამ კაცობრიობის სიამაყემ ხმალი არც მას, ებუ ბექირს, არც ალის და არც ომარს მისცა.

ებუ დუჯჯანემ ჰკითხა: ალლაჰის შუამავალო! როგორ უნდა მივუზღოთ ხმალს კუთვნილი?“ საყვარელმა შუამავალმა უპასუხა: ***„ის იმსახურებს იმას, რომ მოღუნვამდე, დაგრეხამდე მტერს ზურგზე ურტყათ, ის მუსლიმანს არ უნდა მოხვდეს, ურწმუნოს არ უნდა გაექცეს, და ამ ხმლით სანამ უზენაესი ალლაჰი, მტერზე გამარჯვებას ან კიდევ შეჰიდად დაცემას არ გარგუნებს წილად მანამდე უნდა***

იბრძოლო!“ ებუ დუჯჯანემ უთხრა: „ალლაჰის შუამავალო, მე ვიღებ ამ ხმალს და გავაკეთებ იმას, რაც მისი ვალია!”. ამის შემდეგ საყვარელმა შუამავალმა ხმალი ებუ დუჯჯანეს ჩააბარა. იმის გამო, რომ ეს საჰაბე ბრძოლის ველზე ზედმიწევნით მამაცურად და მოხერხებულად იქცეოდა, ამ წმინდა ჰადისსაც უნაკლოდ ემსახურებოდა. ***„ბრძოლა ხერხია“*** ებუ დუჯჯანემ საყვარელ შუამავალს ხმალი გამოართვა თუ არა, ბრძოლის ველისკენ, ქედმაღლურად, დარბაისლურად და ლექსების კითხვით გაემართა. ტანზე პერანგისა და თავზე წითელი ჩალმის გარდა არაფერი ეცვა.

საჰაბეებს ძვირფასი ებუ დუჯჯანეს ასეთი სიარული არ მოეწონათ. ამის შესახებ საყვარელმა შუამავალმა ბრძანა: ***„ეს ისეთი სიარულია, რომელიც ასეთი ადგილების*** *(ბრძოლის ველის)* ***გარდა, სხვაგან უზენაესის მხრიდან სასჯელის საბაბი გახდება“.*** აცნობა მათ, რომ მხოლოდ მტრის წინაშეა ქედმაღლური სიარული მიზანშეწონილი.

წარმართთა ჯარმა მეტის მოთმენა ველარ შეძლო და ჰალიდ ბინ ველიდის დაქვემდებარებაში მყოფი შეარაღებული ძალები თავდასხმისათვის სრულ მზადყოფნაში გადავიდნენ.. ვერც საჰაბეები ჩერდებოდა ადგილზე. ამასობაში საყვარელმა შუამავალმა თავდასხმის ბრძანება გასცა. უცებ ალლაჰის სადიდებელმა ხმებმა (ალლაჰუ ექბერ) მთელი ბრძოლის ველი მოიცვა. მოწინავე რიგებში მყოფი ძვირფასი ჰამზა, რომელიც უჯავშნო ძალებს მეთაურობდა, ხმალაღმართული ურწმუნოებს დაერია და უსაზღვრო ბრძოლის ჟინით შეპყრობილმა ჰალიდ ბინ ველიდის შეარაღებული ძალები სწრაფადვე მოიგერია. ჰალიდ ბინ ველიდმა მუსლიმებისთვის ზურგში დარტყმის მიზნით, აინეინის მთისთვის შემოვლა დააპირა, მაგრამ აქ განლაგებულმა აბდულლაჰის მშვილდოსნებმა წარმართებს შავი დღე აყარეს.

გაცხარებული ბრძოლა გაჩაღდა. ორივე მხარე მთელი ძალღონით იბრძოდა. ყოველ საჰაბეს, სულ მცირე, ოთხ წარმართთან უხდებოდა ბრძოლა. ასე მიიწევდა ისლამის ჯარი წინ. ძვირფასი ჰამზა თან ალლაჰს უთვლიდა ქება დიდებას, ტანაც მტერს ანადგურებდა და წინ ასე მიიწევდა. წარმართი საფვან ბინ უმეი-

იე, მოსალოდნელი ჯილდოს გულისთვის ჰამზას ბრძოლის ველზე დაეძებდა და ირგვლივ მყოფთ ეკითხებოდა, ჰამზა სად არის, მაჩვენეთო. ერთხელაც მან ერთი პიროვნება შენიშნა, რომელიც ორი ხმლით იბრძოდა და იკითხა, ეს ვინ არისო, მას უპასუხეს, ეს ის ჰამზაა, რომელსაც შენ დაეძებო. საფფანმა თქვა: ასეთი ძლიერი და ჟინიანი მეომარი დღემდე არსად მინახავსო.

ბრძოლა კულმინაციურ წერტილს აღწევდა. ამასობაში მუჯაჰიდთაგან ზუბეირ ბინ ავვამი, იმის გამო, რომ შუამავალმა თავისი ხმალი მას არ მისცა, მოწყენილი იყო. მან თავისთვის ჩაილაპარაკა: „ალლაჰის შუამავალს ხმალი ვთხოვე, მაგრამ მან ებუ დუჯჯანეს მისცა. თუმცა მე მისი მამიდაშვილი და ამავე დროს ყყურაიში ვარ. გარდა ამისა, პირველმა მე ვთხოვე ხმალი, აბა, ერთი წავალ და ვნახავ ებუ დუჯჯანე ჩემზე მეტს, რას აკეთებს?“ მან ებუ დუჯჯანეს დაუწყო თვალყურის დევნება. ებუ დუჯჯანე ალლაჰის სადიდებელი (ალლაჰუ ექბერ) შეძახილებით, წარმართებს მუსრს ავლებდა. წარმართთაგან ერთ-ერთ ყველაზე ძლიერს, სასტიკსა და ზორბა ტანის პატრონს, რომელსაც ჯაჭვის პერანგიდან მხოლოდ თვალები მოუჩანდა, სწორედ ებუ დუჯჯანეს შეეტაკა. პირველად წარმართმა მოუქნია ხმალი ებუ დუჯჯანეს, მაგრამ საჰაბემ მას თავისი ფარი შეაგება და წარმართის ხმალი მის ფარში შეერჭო. წარმართმა იარაღის ამოძრობა სცადა, მაგრამ ამაოდ. ამასობაში ებუ დუჯაანემ ალლაჰის შუამავლის ნაჩუქარი ხმალი მტერს გადაარტყა და სული გააფრთხობინა.

ამის შემდეგ ებუ დუჯჯანემ კიდევ ერთ ურწმუნოს მოუსპო სიცოცხლე და ებუ სუფეანის ცოლს, ჰინდის პირისპირ შეეჩეხა. მან მის მოსაკლავად ხმალი მოიმარჯვა, მაგრამ უცებ გადაიფიქრა. როდესაც ზუბეირ ბინ ავვამმა ნახა,თუ როგორ იბრძოდა ებუ დუჯჯანე, თავისთვის ჩაილაპარაკა: „ალლაჰის შუამავალმა ჩემზე უკეთ იცის, თუ ვის უნდა მისცეს ხმალი. ვფიცავ ალლაჰს, მე მასზე ძლიერი მებრძოლი არსად მინახავს“

მიქდად ბინ ესვედი, ზუბეირ ბინ ავვამი, კეთილშობილი ალი, ომარი, ტალჰა ბინ უბეიდულლაჰი და მუსაბ ბინ უმეირი ბრძოლაში აუღებელი ციხესიმაგრენი იყვნენ. . დიდებული საჰაბეებს,

იმის დანახვაზე, თუ როგორ ახლოს იყო ალლაჰის შუამავალი მტერთან, საბრძოლო ჟინი ემატებოდათ. გამომდინარე იქიდან, რომ კაცობრიობის სიამაყეზე ურწმუნოთა თავდასხმები გახშირდა, ისინი შიშობდნენ, მას რაიმე ზიანი არ მიდგომოდა. ამიტომ შუამავლის ირგვლივ იკრიბებოდნენ და ჯაჭვის პერანგში შემოსილ მტერს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ. ამ დროს აბდულლაჰ ბინ ამრი ბრძოლის ველზე შეჰიდად დაეცა. ეს უჰუდის ბრძოლის პირველი შეჰიდი იყო. როცა საჰაბეებმა შენიშნეს, რომ აბდულლაჰ ბინ ამრი მოკლეს, უზენაესი ალლაჰის გულისთვის მტრის ჯარში ლომებივით შევარდნენ.

გაცხარებული ბრძოლის დროს ერთმანეთს სიმამაცის სიმბოლო, ძვირფასი აბდულლაჰ ბინ ჯაში და მშვილდოსანთა მეთაური სა'დ ბინ ები ვაყყასი შეხვდნენ. ორივე დაჭრილი იყო. ძვირფასი სა'დ ბინ ები ვაყყასი მოგვითხრობს: „უჰუდის ომში უმოწყალო ბრძოლა მიმდინარეობდა, ამ დროს მოულოდნელად აბდულლაჰ ბინ ჯაში მომვარდა ხელი მომკიდა, კლდის ძირში მიმიყვანა და მითხრა: „აბა ახლა შენ შეავედრე მე „აამიინს“ ვიტყვი, შემდეგ კი მე შევავედრებ და „აამიინ“ შენ თქვი!” დავთანხმდი და უზენაეს ალლაჰს ასე შევავედრე: „ჩემო ალლაჰო! ძლიერი მებრძოლებს შემახვედრე, რათა მათ შევებრძოლო, გავანადგურო და უკან მშვიდობით დავბრუნდე. აბდულლაჰი ჩემ მიერ აღვლენილ ვედრებას გულის სიღრმიდან ამოსული „აამინით“ პასუხობდა.

შემდეგ მან თვითონ დაიწყო ვედრება: „ჩემო ალლაჰო! მე ძლიერი მტერი შემახვედრე, რათა მას დაუნდობლად ვებრძოლო. ჯიჰადის საკადრისი მივუზღო, ყველა გავანადგურო და ბოლოს მეც შეჰიდად დავეცე. შემდეგ მან, ვინც მე მომკლავს, ყურები, ტუჩები და ცხვირი მომკვეთოს. და როცა შენს წინაშე წარვსდგები და მკითხავ: „აბდულლაჰ! ყურებს, ტუჩებს და ცხვირს რა უყავი?“ გიპასუხებ: „ჩემო ალლაჰო! მე იმითი ბევრი ცოდვა ჩავიდინე, ვერ გამოვიყენე ისინი იმისტვის, რისთვისაც მიბოძე, შემრცხვა მითი შენს წინაშე მოსვლის“. გულს არ სურდა ასეთი ვედრებაზე „აამინის“ თქმა მაგრამ მას ასე უნდოდა და თანაც სიტყვა მქონდა მიცემული, ამიტომაც იძულებული ვიყავი „აამინ“ მეთქვა.

ამის შემდეგ ისევ ვიშიშვლეთ ხმლები და ბრძოლა გავაგრძელეთ. ვინც ჩვენ შეგვებრძოლებოდა, სიცოცხლეს ვასალმებდით. აბდულლაჰი მტერს მხნედ და შეუპოვრად თავს ესხმოდა და მტრის რიგებს აქეთ-იქეთ ფანტავდა. შეჰიდად დაცემის სურვილით შეპყრობილი წამსაც კი არ კარგავდა უქმად. ბრძოლის დროს სულ ალლაჰს ადიდებდა (ალლაჰუ ექბერ). როდესაც ხმალი გაუტყდა, საყვარელმა შუამავალმა ხურმის ტოტი გაუწოდა და უბრძანა ბრძოლა გაეგრძელებინა. ეს ხურმის ტოტი სასწაულებრივად ხმლად იქცა და მან მტრის კაფვა განაგრძო. რამდენიმე მოწინააღმდეგე გამოასალმა სიცოცხლეს, ხოლო ბრძოლის მიწურულს ებულ ჰაქემის გატყორცნილი ისრის სამიზნე გახდა და ნანატრ შეჰიდობას მიარწია. შეჰიდად დაცემისთანავე მას ურწმუნოები დაესივნენ ცხვირი, ტუჩები, ყურები მოჰკვეთეს და მისი სხეული სისხლის გუბეში დატოვეს.

მუჯაჰიდთაგან ქუზმანმა ქარქაში დაამტვრია, წარმოთქვა, გაქცევას ბრძოლის ველზე სიკვდილი ჯობიაო, წარმართთა რიგებში შიშველი ხმლით შევარდა და უდიდესი გმირობა გამოიჩინა. მან მარტომ შვიდ თუ რვა ურწმონოს დაუბნელა მზე, შემდეგკი დაიჭრა და ძირს დაეცა. საჰაბეები მისი ასეთი გმირობით გაოცებულულნი დარჩნენ და ყველაფერი საყვარელ შუამავალს აცნობეს. შუამავალმა კი ასე ბრძანა: ***„ის ჯოჯოხეთისეულია“.*** ყათადე ბინ ნუმანი ქუზმანთან მივიდა და შეჰიდად დაცემა მიულოცა. ქუზმანმა მიუგო:„ მე სარწმუნოების გამო კი არა, არამედ იმისთვის ვიბრძოდი, რათა ყურაიშები მედინაში არ მოსულიყვნენ და ჩემი ხურმის ბაღები არ გაენადგურებინათ“. ამ სიტყვების შემდეგ ისარი ვენებში შეირჭო და თავი მოიკლა. აქედან ნათელი გახდა, თუ რატომ თქვა მასზე საყვარელმა შუამავალმა: ***„ის ჯოჯოხეთისეულიაო.“***

ამ ბრძოლაში საყვარელი შუამავლის მეთაურობით ყველა საჰაბემ უდიდესი გმირობა გამოიჩინა. თავგანწირული შეტევებით წარმართთა ჯარს მუსრს ავლებდნენ. ხისა და ქვისგან გაკეთებულ ლათის, უზზასა, და ჰუბელის კერპებისგან დახმარების მთხოვნელი, მუჯაჰიდების თავგანწირული გმირობით დაშინებული წარმართებმა დაიშალნენ და გაქცევით უშველეს თავს, ხოლო მათ გასამხიარულებლად და წასაქეზებლად წამოსულმა ქალებმა წი-

ვილ-კივილი ატეხეს და გაქცეულ მებრძოლებს დაედევნენ.

წარმართებმა ის ქონებაც ბრძოლის ველზე დაყარეს, რომელიც თან ჰქონდათ მოტანილი, ხოლო ისლამის ჯარმა უზენაეს ალლაჰს დაპირებული გამარჯვების ბოძებისათვის უდიდესი მადლობა აღუვლინა.

მიუხედავად იმისა, რომ წარმართები მუსულმანებტან შედარებით მრავალრიცხოვანნი იყვნენ მათ სრული ფიასკო განიცადეს. ბრძოლის ველიდან წარმართები ისე გარბოდნენ, რომ ერთმანეთს ფეხვეშ თელავდნენ, ხოლო ღირსეული საჰაბეები მათ კვალში მისდევდნენ და ვისაც დაეწეოდნენ, სიცოცხლეს ასალმებდნენ. ამ არეულობაში ახლადდაქორწინებული ჰანზალა ბინ ებუ ამრმა ცხენით გაქცეულ ებუ სუფიანს დაეწია. ცხენს ფეხებზე ხმალი შემოჰკრა და დააჩოქა, ამ დროს ძირს დავარდნილმა ებუ სუფიანმა ყვირილი მორთო: "ყურეაიშელებო! მოდით, დამეხმარეთ! მე ებუ სუფიანი ვარ, ჰანზალას ჩემი ხმლით აკუწვა უნდა", მაგრამ ყურაიშებს თავისი უჭირდათ, უკანმოუხედავად გარბოდნენ და თავიანთი ჯარის სარდალი არავის ახსენდებოდა.

თუმცა ამ დროს ჰანზალას უკან მყოფმა წარმართმა შედდად ბინ ესვედმა მას შუბი უკნიდან ჩასცა. ძვირფას ჰანზალას სურდა წარმართისთვის სამაგიერო მიეზღო, მაგრამ ძალაგამოლეულმა ეს ვეღარ შეძლო, შეჰიდად დაეცა და მისი სული სამოთხეში გაფრინდა. ალლაჰის საყვარელმა შუამავალმა ბრძანა: ***„დავინახე, რომ ანგელოზები ცასა და დედამიწის შორის ჰანზალას ვერცხლისფერ ლანგარში წვიმის წყლით ბანდნენ“.*** ებუ უსეიდი მოგვითხრობს: „როცა ალლაჰის შუამავალმა ასე თქვა, ჰანზალასთან მივედი და დავინახე, რომ მას თავიდან წვიმის წვეთები ჩამოსდიოდა. დავბრუნდი და ეს ამბავი ალლაჰის შუამავალს ვუამბე. მან: ***„ღასილულ მელაიქე“*** (ანგელოზებმა განბანეს) მიპასუხა.

აინეინის მთის გასავლელში მდგომმა მშვილდოსნებმა, როცა შენიშნეს რომ წარმართები გარბოდნენ, იფიქრეს, უკვე ბრძოლა დამთავრდაო და თავიანთი ადგილები მიატოვეს. მხოლოდ მათ მეთაურს აბდულლაჰ ბინ ჯუბეირსა და თორმეტ მშვილდოსანს არ მოუცვლიათ ფეხი ადგილიდან.

კეთილშობილი ალის გმირობა

ამ დროს, ყოველი ხელსაყრელი მომენტის გამოსაყენებლად სრულ მზადყოფნაში მყოფმა, ყურაიშ მშვილდოსანთა შენაერთის სარდალმა ჰალიდ ბინ ველიდმა, როცა მთის გასასვლელში მუჯაჰიდების სიმცირე შენიშნა, მაშინვე თავის განკარგულებაში მყოფ, ცხენოსნებს ბრძანება მისცა და იქრიმე ბინ ები ჯეჰლთან ერთად აინეინის გასასვლელთან მივიდა. აბდულლაჰ ბინ ჯუბეირმა თავის თავგანწირულ, ერთგულ მეგობრებთან ერთად ხაზი შეკრა და ბრძოლაში ჩაება. მანამდე იბრძოლეს მტრის წინააღმდეგ, სანამ ისრები გაუთავდათ, შემდეგ კი წარმართებს შუბებით დაერივნენ და უდიდესი გმირობა გამოიჩინეს. მორწმუნეებსა და ურწმუნოთა შორის უთანასწორო ბრძოლაში, დიდებულმა საჰაბეებმა ალლაჰის შუამავლის ბრძანების შესასრულებლად სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლეს. ყველა მათგანმა გმირული სახელი დატოვა და ისინი შეჰიდებად აღესრულენ.

დაბოღმილმა წარმართებმა ძვირფასი აბდულლაჰის ცხედარი შუბებით აკუწეს, შემდეგ კი მუცელზე გაჭრეს და შიგნეული გარეთ გამოყარეს.

მას შემდეგ, რაც ჰალიდ ბინ ველიდმა და იქრიმემ მთის გასასვლელში მდგომი მუჯაჰიდები შეჰიდებად აქციეს, მათ, მთელი სისწრაფით, ისლამის ჯარს ზურგიდან შეუტიეს. ამ მოულოდნელმა თავდასხმამ საჰაბეები დააბნია და მათ გადაწყობა ვეღარ მოახერხეს. ზოგიერთ მათგანს იარაღიც კი დაეყარა მიწაზე. ყველაფერი უცებ შეიცვალა. როდესაც წარმართთა ძირითადმა ძალამ, რომელსაც ბრძოლის ველი მიტოვებული ჰქონდა, ჰალიდ ბინ ველიდის საჯარისო ნაწილის გააფთრებული შეტევა დაინახა, უკან მობრუნდა, რის გამოც მუჯაჰიდებმა ორ ცეცხლს შუა მოექცნენ. მტერმა მათ ყველა მხრიდან შეუტია, მუსლიმებმა ერთმანეთთან კავშირის დამყარებაც ვეღარ მოახერხეს და დაიფანტნენ..

კეთილშობილი ალი მოგვითხრობს:

„წარმართთა ერთ-ერთ ქვედაყოფში შევიჭერი, სადაც იქრიმე ბინ ები ჯეჰლიც იმყოფებოდა. ალყა შემომარტყეს, მაგრამ მათგან

უამრავი ხმლით ავკუწე. შემდეგ კიდევ სხვა შენაერთს შევუტიე და იქაც უამრავი მწყობრიდან გამოვიყვანე, რადგანაც სიკვდილი არ მეწერა, გადავრჩი. ირგვლივ მიმოვიხედე და ალლაჰის შუამავალი რომ ვერ დავინახე, ჩემთვის ჩავილაპარაკე: „ვფიცავ ის, ისეთი პიროვნება არ არის, რომ ბრძოლის ველი მიატოვოს და გაიქცეს. როგორც ჩანს უზენაესმა ალლაჰმა, ჩვენი შეუფერებელი საქციელის გამო, იგი ჩვენგან წაიყვანა“. უკვე ბრძოლაში სიკვდილის გარდა, სხვა გზა აღარ დამრჩენოდა. შემდეგ ქარქაში დავამტვრიე და წარმართთა წინააღმდეგ ისევ შეტევაზე გადავედი, ამ მტრებს შორის ალლაჰის საყვარელი შუამავალი დავინახე. მაშინ მივხვდი, რომ უზენაესი ალლაჰი საყვარელ შუამავალს ანგელოზებით იცავდა“.

მტრის ჯარი უკეთილშობილესი ალლაჰის შუამავალს მიუახლოვდა. მდგომარეობა ძალიან სახიფათო იყო. საყვარელი შუამავალი ერთი, მთლიანი სამხედრო შენაერთის მსგავსად მედგრად იდგა და ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. ერთი მხრივ, მტერს ებრძოდა, ხოლო მეორე მხრივ კი მიმოფანტულ საჰაბეებს შეკრებისა და ერთად დგომისკენ მოუწოდებდა: ***„მოდით! ჩემთან მოდით! მე ალლაჰის შუამავალი ვარ! ვინც ჩემთან დაბრუნდება და იომებს, მას სამოთხე ელის“.*** კეთილშობილმა ებუ ბექირმა, აბდურრაჰმან ბინ ავფმა, ტალჰა ბინ უბეიდულლაჰმა, ალი ბინ ები ტალიბმა, ზუბეირ ბინ ავვამმა, ებუ დუჯანემ, ებუ უბეიდე ბინ ჯერრაჰმა, სა’დ ბინ მუაზმა, სა’დ ბინ ები ვაყყამ, ჰაბბაბ ბინ მუნზირმა, უსეიდ ბინ ჰუდაირმა, სელჰ ბინ ჰანიფმა, აასიმ ბინ საბითმა და ჰარის ბინ სიმმემ საყვარელი შუამავლის ირგვლივ წრე შეკრეს და მის დასაცავად ცოცხალ კედლად აღიმართნენ.

ამ დროს ძვირფასმა აბბას ბინ უბადემ საჰაბეებს, მათი ერთად შეკრების მიზნით, ასე მიმართა: „ჩემო ძმებო! ის უბედურება, რაც თავს დაგავატყდა, საყვარელი შუამავლის ბრძანებების შეუსრულებლობის შედეგია. ნუ დაიფანტებით! შუამავლის ირგვლივ შეიკრიბეთ! ჩვენ თუ მას არ დავიცავთ და მისთვის ზიანის მიყენების მიზეზი გავხდებით, მაშინ დიადი გამჩენის წინაშე სიტყვის თქმის უფლება აღარ გვექნება.“ ამის შემდეგ, ძვირფასმა აბბას ბინ უბადე, ჰარიჯე ბინ ზეიდისა და ევს ბინ ექრემის თანხლებით

ალლაჰის სადიდებელი შეძახილებით (ალლაჰუ ექბერ) და შიშველი ხმლებით ბრძოლაში გადაეშვნენ. ალლაჰის შუამავლის გულისთვის და მის დასაცავად გმირულად და თავგანწირვით იბრძოლეს. ჰარიჯე ბინ ზეიდმა ცხრამეტი ჭრილობა მიიღო, არც დანარჩენებს ჰქონდათ მასზე ნაკლები ჭრილობები, ბოლოს კი სამივე მათგანმა ნანატრ შეჰიდობას მიაღწია.

ამ მეტად კრიტიკულ მომენტში საჰაბეები ნელ-ნელა საყვარელი შუამავლის ირგვლივ შეიკრიბნენ. წარმართები, რომლებმაც საყვარელი შუამავალი და მუსლიმანები ალყაში მოაქციეს, ყველა მხრიდან ჯგუფ-ჯგუფად წინ მიიწევდნენ და ალყას უფრო და უფრო ავიწროებდნენ. როცა საყვარელმა შუამავალმა, მისკენ მომავალი მოიერიშე წარმართთა შჯგუფი შენიშნა, ირგვლივ მყოფ, თავგანწირვით მებრძოლ საჰაბეებს მიმართა: ***„ამ შენაერთს ვინ დახვდება?“*** ძვირფასმა ვეჰბ ბინ ქაბუსმა მაშინვე იყვირა: “ჩემი თავი გენაცვალოს ალლაჰის შუამავალო მე დავხდები მაგათ“ და ელვის სისწრაფით გაიჭრა წინ. გმირი მებრძოლი, რომელიც გამუდმებით ალლაჰის სახელს ახსენებდა, შიშველი ხმლით წარმართებს დაერია საყვარელმა შუამავალმა ბრძანა: ***„ვეჰბ ბინ ქაბუს, სამოთხეს გიმახარობლებ!“*** როდესაც მან ვეჰბის მიერ გამოჩენილი სიმტკიცე და სიმამაცე დაინახა, ალლაჰს შეევედრა: ***„ჩემო ალლაჰო! შეიწყალე, შეიცოდე ის!“***

როცა სა’დ ბინ ვაყყასმა დაინახა, რომ წარმართებმა ძვირფასი ვეჰბი ალყაში მოამწყვდიეს, დასახმარებლად მტრის ჯგუფში შეიჭრა და არნახული გმირობა გამოიჩინა. უთანასწორო ბრძოლაში ვეჰბი შეჰიდად დაიღუპა, ხოლო უამრავ ურწმუნოს დაუბნელა მზე, დანარჩენებს კი უკან დაახევინა.როცა ის საყვარელ შუამავალთან მივიდა, მისგან შექება მიიღო: ***„მე შენგან კმაყოფილი ვარ, უზენაესი ალლაჰიც იყოს კმაყოფილი.“***

როცა უკეთილშობილესმა შუამავალმა შენიშნა, რომ მტრის ჯარი, რომელსაც მუჯაჰიდთა წრე გაერღვია, მისკენ მოიწევდა, კეთილშობილ ალის უბრძანა: ***„მათ შეუტიე!“*** კეთილშობილმა ალიმ ეს ბრძანება მაშინვე აიტაცა ამრ ბინ აბდულლაჰს სიცოცხლე მოუსპო, ხოლო დანარჩენებმა თავს მხოლოდ გაქცევით უშველეს.

როცა ძვირფას ალის ხმალი გაუტყდა, საყვარელ შუამავალმა თავისი ხმალი (ზუფიყარი) მისცა, ხოლო როდესაც ურწმუნოთა კიდევ ერთმა ჯგუფმა დააპირა ალლაჰის წმინდა შუამავალზე იერიში მიტანა, მან ისევ ალის უბრძანა: ***„ალი! ამაცილე თავიდან ამათი ბოროტება!“*** თავგანწირულად მებრძოლი ალლაჰის ლომი, მაშინვე შეტევაზე გადავიდა შეიბე ბინ მალიქი სიცოხლეს გამოასალმა ხოლო დანარჩენები კი მოიგერია. ამ დროს საყვარელ შუამავალს ანგელოზი ჯიბრილი გამოეცხადა და აცნობა: ***„ეს ყველაფერი ალის მიერ გამოჩენილი უდიდესი მამაცობაა“***. საყვარელმა შუამავალმა წარმოსთქვა: ***„ის ჩემიანია, ხოლო მე მისიანი ვარ“,*** ხოლო ჯებრაილ ანგელოზმა კი აღნიშნა: “მე კი ორივე თქვენთაგანი ვარო“ ბრძანა. ამ დროს ხმა გაისმა: ***„ალისთანა მამაცი და ზულფიქარის მსგავსი ხმალი არ მოიძებნება“.***

როდესაც წარმართები მიხვდნენ, რომ საყვარელ შუამავალთან ახლოს მისვლა შეუძლებელი იყო, ისრების სროლა დაიწყეს. ისრები საყვარელ შუამავალს, ხან თავზე გადუვლიდა, ხან მის წინ, ხან მარჯვნივ და ხანაც მარცხნივ ეცემოდა. , როდესაც თავგანწირულმა საჰაბებმა ეს შენიშნეს, მაშინვე ქვეყნიერების ბატონის ირგვლივ შეიკრიბნენ და გატყორცნილი ისრებისგან მის მადლმოსილი სხეულს ფარივით აეფარნენ. მაშინ საყვარელმა შუამავალმა საჰაბეებს უბრძანა, რომ ამ შეტევისთვის ისრებითვე ეპასუხათ. შუამავალმა საა’დ ბინ ებუ ვაყყასი თავისტან დააყენა, რადგან ის ზედმიწევნით მარჯვე მეისრე იყო. საა’დ ბინ ვაყყასი ჩანთიდან ყოველი ისრის ამოღების დროს უზენაეს ალლაჰს ასე ევედრებოდა: ***„ჩემო გამჩენო, ეს ისარი შენია, ამითვე გაანადგურე შენი მტერი!“*** თავის მხრივ ალლაჰის წმინდა შუამავალიც საა’დს ამხნევებდა და ეუბნებოდა: ***„საა’დ, მიდი, გააგრძელე! ჩემი თავი გენაცვალოს!“***

როცა საა’დს ისრები გაუთავდა, საყვარელ შუამავალმა თავისი ისრები მისცა. საა’დის გატყორცნილი, ყოველი ისარი ან მტერს ხვდებოდა ან კიდევ იმ ცხოველს, რომელზეც მტერი იჯდა.

როდესაც წარმართები ისრებს ისროდნენ, ძვირფასი ებუ ტალჰა საყვარელ შუამავალს ფარივით ეფარებოდა, ტანაც ისეთი თავზარდამცემი ხმით ყვიროდა, რომ წარმართებს თავგზა ებნეო-

დათ. ამის შესახებ საყვარელი შუამავალი ბრძანებს: ***„მებრძოლთა შორის ებუ ტალჰას ხმა ას კაცზე უფრო ძლიერია!“*** ებუ ტალჰა, როცა დროს იხელთებდა, არც ისრის სტყორცნაში იხევდა უკან. ამ საქმეს მტკიცედ და მიზანდასახულად აკეთებდა და ისარს მიზანს არ აცდენდა. საყვარელ შუამავალს აინტერესებდა მიაღწევდა თუ არა ებუ ტალჰას გასტყორცნილი ისარი მიზანს, ამიტომაც ხშირად თავს წამოწევდა და საყვარელ საჰაბეს თვალს ადევნებდა. მაგრამ ებუ ტალჰა შიშობდა, რომ მტრის მიერ გასროლილი ისარი უკეთილშობილეს შუამავალს მოხვდებოდა და მას ხშირ-ხშირად მიმართავდა: „ჩემი სიცოცხლე გენაცვალოთ ალლაჰის შუამავალო, თავი დახარეთ, მტრის ისარი არ მოგხვდეთ! ჩემი სხეული შენს მადლმოსილ სხეულს ენაცვალოს. სანამ მე გამომჭრიან ყელს, მანამდე შენამდე ვერ მოაღწევენ, სანამ მე ცოცხალი ვარ, თქვენ ისარი ვერ შეგეხებათ“.

უჰუდის ველის ყოველ მხარეს სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლა მძვინვარებდა. ზოგი ცხენზე ამხედრებული, ზოგიც ქვეითად თავგანწირვით იბრძოდა. საჰაბეები მტრის მოულოდნელი კონტრშეტევის შემდეგ გონს მოსული ბოლომდე არ იყვნენ, ამიტომ ალლაჰის საყვარელი შუამავლის ირგვლივ სულ რაღას ოცდაათ საჰაბეს მოეყარა ტავი და საყვარელი შუამავლის სიცოცხლე ტავიანთი სხეულებით იცავდნენ. მათი ერთადერთი სურვილი მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მისი ბრძანების უნაკლოდ შესრულება იყო. მამაცთა მხედარმთავარი, ძვირფასი ჰამზა ამ უმოწყალო ბრძოლაში საყვარელი შუამავლისგან შორს დარჩენილიყო და მოძალებულ მტერს ორი ხმლით გმირულად იბრძოდა. ალლაჰი უდიდესია (ალლაჰუ ექბერ) გაიძახოდა იგი და წარმართებს შიშის ზარს სცემდა. მან ბრძოლის დროს ოცდაათამდე ურწმუნოს მოუსპო სიცოცხლე და უამრავ მათგანს ან ხელი ანაც ფეხი მოჰკვეთა.. მაშინ, როცა ძვირფასი ჰამზა ირგვლივ შემოჯარულ ურწმუნოებს იგერიებდა, სიბაა ბინ უმმუ ენმარმა შესძახა: „არსებობს ისეთი მამაცი, ვინც მე შემებრძოლება?“ ძვირფასმა ჰამზამ მიუგო: „მომიახლოვდი, შე ნაძირალა ე.ი შენ ალლაჰისა და მისი შუამავლის წინააღმდეგ გამოდიხარ არა?“ უთხრა თუ არა ეს, ფეხებზე მოკიდა ხელი და თვალის დახამხამებაში ცხენიდან

ჩამოათრია. შემდეგ ფეხი სხეულზე დაადგა და თავი მოჰკვეთა. ამ დროს შორიახლოს კლდესთან მდგომი ვაჰში შენიშნა, რომელიც მას შუბს უმიზნებდა. მაშინვე მისკენ გაიქცა, მაგრამ ნიაღვრისგან გაჩენილ ორმოსთან რომ მიაღწია, ფეხი დაუსხლტა და წაიქცა. სწორედ მაშინ, მუცელზე ჯაჭვის პერანგი გაეხსნა, რითაც ვაჰშმა ისარგებლა და შუბი სტყორცნა. შუბი ძვირფასი ჰამზას მადლმოსილ მკერდში მოხვდა. გმირმა მეომარმა, ჩემო ალლაჰოო, შესძახა და ჩაიჩოქა. სწორედ ასე ხვდა წილად ნანატრი შეჰიდობა ძვირფას ჰამზას. მან სიცოცხლე, უზენაესი ალლაჰისა და საყვარელი შუამავალის გულისთვის გასწირა.

ამ დროს მტრის რიგებიდან, გაისმა ხმა, რომელიც წარმართებს კაცობრიობის სიამაყის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუხმობდა: „ყურაიშნო, ნათესაური უფლებების შემლახავი, ხალხის გამთიშველი მუჰამმედის წინააღმდეგ ბრძოლაში უკან არ დაიხიოთ! მუჰამმედი თუ გადარჩება, მე ნუ ვიცოცხლებ!“ ეს, აასიმ ბინ ავფის ხმა იყო. ებუ დუჯანემ მისი ხმა გაიგონა, მტერი იპოვა და მაშინვე სიცოცხლე მოუსპო. მაგრამ მის უკან მყოფმა წარმართმა მა’ბედმა ებუ დუჯანეს მთელი ძალით მოუქნია ხმალი, თუმცა უზენაესი ალლაჰის წყალობით, ებუ დუჯანემ სწრაფად ჩაიჩოქა და მომაკვდინებელ დარტყმას გადაურჩა. მაშინვე მაბედს მივარდა და სიცოცხლე მოუსწრაფა.

ყურაიში წარმართების მთავარი სამიზნე ალლაჰის წმინდა შუამავალი იყო. მასთან მიახლობისთვის არანაირ ძალას იშურებდნენ, მაგრამ იმ საჰაბეების წინაღმდეგობა, რომლებიც საყვარელი შუამავლის ირგვლივ ფარვანასავით ტრიალებდნენ და მისთვის სულსაც კი არ იშურებდნენ, ვერა და ვერ გადალახეს. გმრულად მებრძოლმა ოცდაათმა მამაცმა საყვარელ შუამავალს სიტყვა მისცა: „ალლაჰის შუამავალო! შენ გვერდიდან არ მოგშორდებით, ჩვენი სახეები შენი სახის ფარია, ხოლო ჩვენ სხეულს შენი მადლმოსილი სხეულის დასაცავად გავწირავთ. ოღონდ შენ იყო უსაფრთხოდ”. წარმართები ალლაჰის წმინდა შუამავალს ჯგუფ-ჯგუფად თავს ესხმოდნენ. სამყაროს უკეთილშობილესმა შუამავალმა საჰაბეებს წარმართთა ერთი ჯგუფისკენ მიუთითა და იკითხა: ***„უზენაესი ალლაჰის გზაზე, ჩვენთვის ვინ გასწირავს სიცოცხლეს?“.*** ამ დროს

ხუთი მედინელი საჰაბე წინ გამოვიდა, თავგანწირვით იბრძოლეს და ბოლოს ოთხი მათგანი შეჰიდად დაეცა, ხოლო მეხუთე თოთხმეტი ჭრილობის მიღების შემდეგ ძირს დაეცა. ეს რომ საყვარელმა შუამავალმა შენიშნა ბრძანა: ***„ის ჩემთან ახლოს მოიყვანეთ!“.*** მას მთელი სხეულიდან სისხლი სდიოდა. საყვარელი შუამავალი დაჯდა და მისი თავი მუხლებზე დაიდო, ამგვარად ბედნიერმა საჰაბემ, ძვირფასმა უმარე ბინ იეზიდმა საყვარელი შუამავლის მუხლებზე შეჰიდად განუტევა სული.

ტალჰა ბინ უბეიდულლაჰის გმირობა

როცა წარმართები საყვარელ შუამავალს კიდევ უფრო მიუახლოვდნენ, მან დიდებულ საჰაბეებს ჰკითხა: ***„ესჰაბნო! ვინ შეეწინააღმდეგება და ვინ შეაჩერებს მათ?“*** ძვირფასმა ტალჰა ბინ უბეიდულლაჰმა თქვა: „ალლაჰის შუამავალო! მე შევაჩერებ მათ”. შუამავალმა, ***ვინ არის კიდევ შენნაირიო, იკითხა?*** ამ დროს მედინელ საჰაბეთაგან ერთ-ერთმა შუამავლისგან ნება ითხოვა, შემდეგ წინ გავიდა და წარმართებს თავს დაესხა. მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში არნახული გმირობა გამოიჩინა, რამდენიმე ურწმუნოს მოუსპო სიცოცხლე და ბოლოს ისიც შეჰიდად დაეცა.

ამგვარად შუამავლის ირგვლივ მყოფი საჰაბეები ბრძოლის ველზე შეჰიდად დაეცნენ. მის გვერდით აღარავინ დარჩა გარდა ტალჰა ბინ უბეიდულლაჰისა. ძვირფასი ტალჰა შეშფოთებული იყო, შიშობდა, საყვარელ შუამავალს არაფერი მოუვიდესო და მტრის წინააღმდეგ თავგანწირვით იბრძოდა. ის არფრად აგდებდა მტრის მიერ შუბით, ხმლით მიყენებულ დარტყმებს. მისი უდიდესი სურვილი, სამყაროს ბატონის დაცვა და მის გულისთვის საკუთარი თავის გაწირვა იყო. ტანზე დაუზიანებელი ადგილი აღარ დარჩენოდა. მთელი სხეული დასისხლიანებული ჰქონდა. მაგრამ მიუხედავად იგი შუამავალს თავზე ფარვანასავით დასტრიალებდა. ამ დროს კეთილშობილი ებუ ბექირი და საა’დ ბინ ები ვაყყასი უკეთილშობილეს შუამავალთან მივიდნენ.

ამასობაში გმირთაგმირ ძვირფას ტალჰას საკმაოდ ბევრი სისხლი დაეკარგა და გონებადაკარგული ძირს დაცემულიყო. მთელი

სხეული შუბითა, ხმლით ჰქონდა დაჩეხილი. სამოცდაექვსი დიდი და ძალიან ბევრი პატარა ჭრილობა მიეღო. საყვარელმა შუამავალმა, კეთილშობილ ებუ ბექრს უბრძანა, სასწრაფოდ ძვირფას ტალჰა ბინ უბეიდულლაჰს მიშველებოდა. სიმართლისმოყვარე ებუ ბექირმა ტალჰას გონს მოსაყვანად, მას სახეზე ცივი წყალი შეასხურა. ტალჰა ბინ უბეიდულლაჰი გონს მოეგო თუ არა ებუ ბექირისადმი უდიდესი პატივისცემა გამოხატა და ჰკითხა: „ალლაჰის შუამავალი როგორ არის?" როცა ება ბექირმა უპასუხა, რომ ალლაჰის შუამავალი კარგად არის შენთან სწორედ მან გამომგზავნაო, ტალჰა ბინ უბეიდულლაჰმა მშვიდად ამოისუნთქა ალლაჰს მადლობა გადაუხადა და თქვა: „ის თუ ცოცხალია, დანარჩენი უბედურება არაფერია". ამასობაში იქ კიდევ რამდენიმე საჰაბე მოსულიყო.

შემდეგ ძვირფას ტალჰასთან უკეთილშობილესი მუჰამმედი მიბრძანდა. როდესაც დაჭრილმა მუჯაჰიდმა ალლაჰის შუამავალი საღსალამათი დაინახა,სიხარულისგან ატირდა. საყვარელმა შუამავალმა მუჯაჰიდ ტალჰას სხეულზე ხელი გადაუსვა, შემდეგ ხელები აღაპყრო და უზენაეს ალლაჰს ასე შეევედრა: ***„ჩემო ალლაჰო! იგი გამოაჯანმრთელე და ძალა მიეცი!".*** ალლაჰის შუამავლის ვედრება ალლაჰმა ისმინა, ტალჰა ბინ უბეიდულლაჰი საღსალამათი წამოდგა ფეხზე და მტრის წინააღმდეგ ბრძოლა განაგრძო. საყვარელი შუამავალი ძვირფას ტალჰას შესახებ ასე გადმოგცემს: ***„უჰუდის ბრძოლის დღეს, მარჯვნივ ჯიბრილ ანგელოზის, ხოლო მარცხნივ ტალჰა ბინ უბეიდულლაჰს გარდა, გვერდით არავინ მედგა. ვისაც დედამიწაზე სამოთხის ღირსი ადამიანის ნახვა უნდა, ტალჰა ბინ უბეიდულლას შეხედოს".***

ბრძოლა წარმოუგენელი სისასტიკით გრძელდებოდა. საყვარელი შუამავლის დასაცავად, ებუ დუჯანეს, მედროშე მუსაბ ბინ უმეირის, ტალჰა ბინ უბეიდულლაჰის გარდა უკანა ხაზიდან ნესიბე ჰათუნი რამდენიმე საჰაბესთან ერთად მოსულიყო. ისინი ალლაჰის შუამავალთან ერთად წარმართთა წინააღმდეგ თავგანწირვით იბრძოდნენ. თავიდან ფეხებამდე ჯაჭვის პერანგით შემოსილმა, ჩაფხუტიანმა და უმოწყალო აბდულლაჰ ბინ ჰუნეიდმა, საყვარელი შუამავალი რომ დაინახა, ცხენს დეზი ჰკრა და იყვირა: „მე

ზუჰეირის შვილი ვარ, მაჩვენეთ სად არის მუჰამმედი, რომ ან ის მოვკლა, ან მეც მასთან ერთად უნდა მოვკვდე". როდესაც მან ცხენი საყვარელი შუამავლისკენ გააჭენა, ძვირფასი ებუ დუჯანე წინ გადაუდგა და უთხრა: "მოდი აბა! მე ის პიროვნება ვარ ვინც საკუთარი სხეულით უკეთილშობილეს შუამავალს იცავს, სანამ მე გადამივლი, მანამდე მასთან ვერ მიაღწევ!" შემდეგ ცხენს ფეხებზე ხმალი შემოჰკრა, აბდულლაჰ ბინ ჰუნეიდი ძირს ჩამოაგდო, ხმალი აღმართა ჰუნეიდს გაუყარა და თან უთხრა: „მიიღე ჰარეშის შვილისგან!" ამ მოვლენის მხილველი, სამყაროს ბატონი უზენაეს ალლაჰს ასე შეევედრა: ***„ჩემო ალლაჰო! როგორც მე გავხვდი კმაყოფილი ჰარეშის შვილისგან*** *(ებუ დუჯანესგან)* ***შენც ისე გახდი მისით კმაყოფილი".***

წარმართაგან ერთ-ერთი ყველაზე სეუპოვარი მებრძოლი, მალიქ ბინ ზუჰეირი, რომლის არცერთი ნატყორცნი ისარი მიზანს არ ცდებოდა, ყველგან უკეთილშობილეს შუამავლს დაეძებდა, რათა შესაფერისი დრო ეპოვა და მისთვის სიცოცხლე მოესწრაფა. მალიქი ალლაჰის შუამავლს მიუახლოვდა, მშვილდი მოჭიმა, საყვარელ შუამავლის თავი მიზანში ამოიღო და ისარი ესროლა.წამის მეასედიც და ისარი მიზანში მოხვდებოდა, მაგრამ ამ დროს ძვირფასმა ტალჰამ მტრის ნასროლს საკუთარი ხელი შეაგება. ისარი მას ხელის გულში მოხვდა, თითების ყველა ნერვი გაუწყვიტა და ხელის ძვლები დაუმტვრია. მომხდარი კაცობრიობის სიამაყემ საკუთარი თვალით იხილა. მან ძვირფას ტალჰას ასე მიმართა: ***„როცა ჩემ დასაცავად ხელი გაიწვდინე, ალლაჰის სახელი რომ გეხსენებინა, ადამიანები დაინახავდნენ, თუ როგორ აგამაღლებდნენ ანგელოზები ზეცამდე".***

მექქელ წარმართთაგან ოთხმა აბდულლაჰ ბინ ყამიამ, უბეი ბინ ჰალეფიმ, უთბე ბინ ები ვაყყასიმ და აბდულლაჰ ბინ შიჰაბმა ფიცი დადეს, რომ უკეთილშობილესი ალლაჰის შუამავლის ლიკვიდაციას მოახდენდნენ. ასეთ კრიტიკულ ვითარებაში ალლაჰის საყვარელი შუამავალი რამდენიმე საჰაბესთან ერთად მტრის წინააღმდეგ პირისპირ იბრძოდა. მის წინ მედროშე, ძვირფასი მუს'აბ ბინ უმეირი იდგა, რომელიც ჯაჭვის პერანგჩაცმული ძალიან ჰგავდა საყვარელ შუამავალს. ისიც ისლამის დროშით ხელში, მოსისხლე

მტრის წინააღმდეგ საოცარი თავდადებით იბრძოდა. ამ დროს მას, ცხენზე ამხედრებული, ჯაჭვის პერანგით შემოსილი იბნი ყამია მიუახლოვდა, რომელმაც მთელი ხმით იყვირა: „მაჩვენეთ სად არის მუჰამმედი, ან მას მოვკლავ ან თავს არ ვიცოცხლებ“, შემდეგ ცხენს დეზი ჰკრა და საყვარელი შუამავლისკენ გაექანა. ამ დროს ძვირფასი მუს'აბი და ქალბატონი ნესიბე ჰათუნი მას წინ აღუდგნენ და საყვარელი შუამავლის დასაცავად თავდადებულ ბრძოლაში ჩაებნენ. ბრძოლის დროს რამდენჯერაც ამ ურწმუნოს ხმალი დაჰკრეს, იმდენჯერ მისმა ჯაჭვის პერანგმა აისხლიტა. იბნ ყამიამ ნესიბე ჰათუნს ხმლის ერთი დარტყმით მხარი მოაგლიჯა. შემდეგ მუს'აბს მიუვარდა და მარჯვენა ხელი, რომლითაც საჰაბე ისლამის დროშას აფრიალებდა, მოჰკვეთა. მუსაბმა ის დროშა, რომელსაც საკუთარ სიცოცხლეზე მაღლა აყენებდა, მაშინვე მარცხენა ხელში გადაიტანა. მაშინ მუსაჰბმა, სურა „იმრანის“ 144-ე აიათი იკითხა რომლის მნიშვნელობაც ასეთია: ***„უკეთილშობლესი მუჰამმედი შუამავალია, მის მოვლენამდეც მოსულან სხვა შუამავლები“*** ამ დროს მას იბნ ყამიამ ხმალი მარცხენა ხელზე დაჰკრა და ისიც მოჰკვეთა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ის დიდებული საჰაბე ისლამის დროშას მიწაზე მაინც არ აგდებდა, იდაყვებით მკერდში ჩაიხუტა და ისე ეჭირა. გააფთრებულმა ურწმუნომ ამჯერად ხმალი მკერდში ჩასცა, რის შედეგადაც მუს'აბი თავის მეგობრების მსგავსად შეჰიდად იქცა.

როდესაც განგმირული მუს'აბი მიწაზე დაეცა, ისლამის დროშა ძირს მაინც არ დავარდნილა. მას მაშინვე მუს'აბის ფორმაში შესულ ანგელოზმა დაავლო ხელი, ხოლო შემდეგ კაცობრიობის სიამაყემ დროშა ალის გადასცა.

იბნი ყამიას მოკლული მუს'აბი საყვარელი შუამავალი ეგონა, ამიტომ მაშინვე წარმართებთან მიირბინა და მუჰამმედი მოვკალიო, ყვირილი დაიწყო. ამ სიტყვების გამგონე და წარმატების სიხარულით შეპყრობილი წარმართები უფრო სასტიკნი გახდნენ. საჰაბეებს, რომლებმაც არ იცოდნენ, სინამდვილეში რა ხდებოდა, თავგზა აებნათ. ირგვლივ სამგლოვიარო ქარი ქროდა. კეთილშობილ ომარსაც კი ხელებიდან ძალ-ღონე გამოეცალა და მეგობრებთან ერთად მიწაზე უძრავად იჯდა. როდესაც ენეს ბინ ნადრმა

ისინი ასეთ მდგომარეობაში იხილა ჰკითხა, რატომ ზიხართო.

მათ უპასუხეს: „ალლაჰის შუამავალი შეჰიდად დაეცა!“ ძვირფასმა ენესმა მიუგო: „ის თუ შეჰიდად დაეცა, მისი გამჩენი (უზენაესი ალლაჰი) მარად ცოცხალია. თუ ალლაჰის შუამავლის შემდეგ ცოცხლები დავრჩებით, რა უნდა ვაკეთოთ? ადექით, ვიბრძოლოთ! რისთვისაც შუამავალმა თავისი მადლმოსილი სიცოცხლე გასწირა, ჩვენც იმისთვის დავეცეთ ბრძოლის ველზე“. ამ სიტყვების შემდეგ ძვირფასმა ენესმა ქარქაში დაამტვრია ალლაჰი ადიდა (ალლაჰუ ექბერ) და შიშველი ხმლით მტრის ჯარში შევარდა. უამრავი ურწმუნო გაწყვიტა და ბოლოს თვითონაც შეჰიდად დაეცა. ძვირფას ენესს, მხოლოდ სახეზე, სამოცდაათამდე ჭრილობა ჰქონდა, ხოლო სხეულზე კიდევ მეტი. ამიტომ მისი ცნობა საკუთარი დის გარდა ვერავინ შეძლო.

საჰაბეთა ერთი ნაწილი გაფანტული იყო, მეორე ნაწილი კი შეჰიდად დაცემულიყო. წარმართებმაასეთი მდგომარეობით იხელტეს და უკეთილშობილეს შუამავალს გარს შემოეჯარნენ. ქვებითა და ხმლებითც შეიარაღებულნი, ორივე სამყაროს მზის მოსაკლავად ყველაფერს აკეთებდნენ. საყვარელ შუამავალს ტანთ ორი წყვილი ჯაჭვის პერანგი ეცვა, ამიტომ დარტყმები ბევრს ვერაფერს ვნებდა. უთბე ბინ ვაყყასის მიერ გასროლილი ქვები საყვარელ შუამავალს მადლმოსილ ტუჩზე მოხვდა და გაუჭრა. ქვედა ყბის მარჯვენა მჭრელ კბილზეც მოხვდა და მოტეხა. ამ დროს მასთან წარმართი იბნი ყამია მივარდა და ქვეყნიერების ბატონს ხმალი მადლმოსილ თავზე დასცა. საყვარელ შუამავალს ჩაფხუტი დაემტვრა და მისი ორი ნატეხი საფეთქელში ჩაერჭო. იგივე იბნ ყამიას დარტყმით მხარში დაიჭრა და ებუ ამრის მიერ, მუსლიმანების მახედ გამზადებულ ორმოში ჩავარდა. საყვარელმა შუამავალმა ვერაგი იბნ ყაიმას დასასჯელად უზენაეს ალლაჰს ასე შეევედრა: ***„უზენაესმა ალლაჰმა არარაობად გაქციოს!“*** იბნი ყამია თავისმა ასეთმა საქციელმა მეტისმეტად გაახარა და „მუჰამმედი მოვკალი! მუჰამმედი მოვკალი!“-ს... ყვირილით ებუ სუფეანთან მივიდა. წარმართები ფიქრობდნენ, რომ მიზანს მიაღწიეს და შუამავლის მოსაკლავად აღარ იბრძოდნენ. იმ ორმოს, რომელშიც საყვარელი შუამავალი ჩააგდეს განშორდნენ და საჰაბეებს შეუტიეს.

ორმოში ჩავარდილ უკეთილშობილეს შუამავალს მადლმოსილი ლოყებიდან სისხლი სდიოდა. როცა ხელები სახეზე მოისვა, ნახა რომ ძვირფასი წვერი და ხელები სისხლით იყო შეღებილი. მისი სისხლის წვეთი ძირს რომ არ დაცემულიყო, ჯებრაილ ანგელოზმა მას ხელი შეუშვირა და თქვა: „ალლაჰის საყვარელო შუამავალო! უზენაესი ალლაჰის გულისთვის, შენი სისხლის ერთი წვეთიც რომ დაეცეს მიწას, ქვეყნად მცენარე აღარ აღმოცენდება!“ კაცობრიობის სიამაყე უზენაეს ალლაჰს ასე შეევედრა: ***„ჩემი ერთი წვეთი სისხლიც კი ძირს რომ დაეცეს, ზეციდან ტანჯვა გარდმოვლინდება. ჩემო გამჩენო, შეიწყალე ჩემი ხალხი! რადგან მათ არ იციან რას სჩადიან!“*** ამით მან უზენაეს ალლაჰის დახმარებით, იმ ადამიანისთვის ისურვა ჭეშმარიტი გზის პოვნა, ვინც მისი მოკვლა განიზრახა, მადლმოსილ სხეულზე ხმალი დასცა და სახე სისხლით შეუღება.

ამ დროს ძვირფას ქააბ ბინ მალიქის ხმამაღალი ყვირილის ხმა გაისმა: „მუსლიმანებო! სამახარობლო ამბავი თქვენ! აი აქაა, ალლაჰის შუამავალი!“ ამ სიტყვების გამგონე დიდებული საჰაბეები, თითქოსდა, ხელახლა დაიბადნენო, უდიდესი სიხარულით მაშინვე იქ გაიქცნენ, საიდანაც ხმა მოესმათ. კეთილშობილმა ალი და ტალჰა ბინ უბეიდულლაჰი მაშინვე იქ გაჩერდნენ და საყვარელი შუამავალი ორმოდან ამოიყვანეს. ძვირფასმა ებუ უბეიდე ბინ ჯერრაჰმა საყვარელ შუამავალს საფეთქელში ჩარჭობილი ჩაფხუტის ნამტვრევები კბილებით ამოუღო. მან რკინის ნამტვრევების ამოღებისას წინა ორი კბილი მოიტეხა. ძვირფასმა მალიქ ბინ სინანმა საყვარელი შუამავლის მადლმოსილი სახიდან ჩამონადენი სისხლი მოწმინდა. ამის შესახებ საყვარელი შუამავალი ასე გვამცნობებს: ***„ჩემი სისხლი ვის სისხლსაც შეერია, მას ჯოჯოხეთის ცეცხლი არ შეეხება“.***

წარმართებმა თავდასხმა განაახლეს, მაგრამ საყვარელი შუამავლის ცოცხლად ნახვით გახარებულმა საჰაბეები მაშინვე მის ირგვლივ ჯაჭვად შეიკრნენ და არცერთი წარმართი ცოცხალი აღარ დატოვეს. როდესაც ურწმუნონი მიხვდნენ, რომ საყვარელ შუამავლზე თავდასხმა შეუძლებელი ხდებოდა, მთისკენ სვლა დაიწყეს. ორივე სამყაროს მზემ მასთან ახლოს მყოფ ძვირფას საა’დ ბინ

ები ვაყყასს უბრძანა: ***„მტერი უკან დააბრუნე!“*** ძვირფასმა საა'დმა გაიკვირვა, ეს როგორ გავაკეთო, როცა მხოლოდ ერთი ისარი შემომრჩაო. ამ დროს საყვარელმა შუამავალმა მას იგივე ბრძანება გაუმეორა. მაშინ მამაცმა მეისრემ ხელი ჩანთისკენ წაიღო, ისარი ამოიღო და სტყორცნა. ისარმა მიზანს მიაღწია და კიდევ ერთი წარმართს მოუსპო სიცოცხლე. როდესაც ხელი ისევ ჩანთისკენ წაიღო, ნახა რომ კიდევ ერთი ისარი ჰქონდა. როდესაც დააკვირდა, მიხვდა, რომ წეღანდელ ისარი იყო. მორიგ გასროლას კიდევ ერთი წარმართი შეეწირა. იგივე რამდენჯერმე განმეორდა.. საყვარელი შუამავლის ამ სასწაულის წყალობით საჰაბე ყოველთვის ერთი და იგივე ისარს იღებდა ჩანთიდან. როდესაც ყურაიშებმა ნახეს, რომ ჯარისკაცები ერთმანეთის მიყოლებით ეხოცებოდათ, მთისკენ სვლა შეწყვიტეს და უკან დაბრუნდნენ.

მათგან ერთ-ერთმა, უბეიდ ბინ ჰალეფმა, ცხენი საყვარელი შუამავლისკენ გააჭენა და იღრიალა: „სად არის ის კაცი რომელიც თავის შუამავლობას ამტკიცებს? აბა ჩემს წინაშე წარდგეს და შემებრძოლოს!“ მის წინააღმდეგ გასვლა საჰაბეებმა ისურვეს, მაგრამ საყვარელმა შუამავალმა ამის ნება არ დართო. ძვირფასმა ჰარის ბინ სიმმემ შუბი აიღო და წინ გავიდა. მდაბიო უბეიმ ცხენს დეზი ჰკრა, შუამავალს მიუახლოვდა და შესძახა: „მუჰამმედ! მე არ ვიცოცხლო, თუ შენ ცოცხალი დაგტოვო!” უბეიი თავიდან ფეხებამდე ჯაჭვის პერანგით იყო შემოსილი. ქვეყნიერების ბატონმა შუბი უბეიის კისერში სტყორცნა, წარმართმა ხარივით იღრიალა, ცხენიდან ჩამოვარდა და ხერხემლის ძვლები დაემტვრა. როდესაც სიკვდილის პირას მყოფი წარმართებს მიჰყავდათ იგი ბუტბუტებდა, მე მუჰამმედმა მომკლაო.

უკეთილშობილესი ალლაჰის შუამავალი საჰაბეებთან ერთად უჰუდის მთისკენ გაეშურა. როცა მთის ძირში მივიდნენ ზევით ასვლა უნდოდათ, მაგრამ მეტისმეტად დაღლილობამ, ორი წყვილი ჯაჭვის პერანგის სიმძიმემ და გარდა ამისა, სამოცდაათზე მეტმა, წარმართებისგან მიყენებულმა დარტყმამ ალლაჰის წმინდა შუამავალს მთაზე ასვლის ძალა აღარ დაუტოვა. ამის გამო ტალჰამ იგი მხრებზე შეისვა და მთაზე ისე აიყვანა. ამის შესახებ საყვარელ შუამავალმა ბრაძანა: ***„ალლაჰის შუამავალზე დახმარების***

გამო ტალჰასთვის სამოთხე აუცილებელი გახდა!“. ძალღონე გამოლეულმა საყვარელმა შუამავალმა შუადღის ლოცვა დამჯდარმა შეასრულა.

მთის კალთაზე დარჩენილი თითოეული, დიდებული საჰაბე წარმართებს, თავს ლომებივით ესხმოდა. ვინც საყვარელი შუამავალი ხმლის დასარტყმელად გაიმეტა, მას დედამიწა ციხედ უქციეს. ამ დროს ჰათიბ ბინ ბელთეა საყვარელ შუამავალთან მივიდა და ჰკითხა: „ჩემი სიცოცხლე გენაცვალოს ალლაჰის შუამავალო! ასე ვინ გაგიმეტა? შუამავალმა მიუგო: ***„უთბე ბინ ები ვაყყასმა, ქვა მესროლა, სახეზე მომარტყა და კბილი მომტეხა“.*** შემდეგ ჰათიბმა ისევ ჰკითხა: „საით წავიდა ის ნაძირალა?“ საყვარელ შუამავალმა თითით მიანიშნა, საითაც იყო წასული უთბე ბინ ები ვაყყასი. ჰადიბი მტერს მაშინვე დაედევნა, ბევრი ეძება და ბოლოს იპოვა კიდეც. წარმართი ცხენიდან ჩამოაგდო და ხმლის ერთი დარტყმით სული გააფრთხობინა. შემდეგ მისი მოჭრილი თავი ალლაჰის შუამავალთან მიიტანა. საყვარელმა შუამავალმაც იგი შემდეგნაირად დალოცა: ***„უზენაესი ალლაჰი იყოს შენგან კმაყოფილი, ალლაჰი იყოს შენგან კმაყოფილი!“***

წარმართებმა ძალ-ღონე მოკრებილ და კონტრშეტევაზე გადასულ საჰაბეებს ველარაფერი დაუპირისპირეს, ბრძოლის ველზე სამოცდაათი მოკლული თავისიანი დატოვეს და მექქასაკენ გაუდგნენ გზას. საყვარელი შუამავლის შეჰიდად დაცემის ხმამ მედინაში მიეღწია. ძვირფასი ფატიმა, აიშე, უმმუ სულეიმ, უმმუ ეიმენ, ჰამნე ბინთი ჯაჰში და ქუაიბი უჰუდის ველისკენ გაიქცნენ. ძვირფასმა ფატიმამ მამამისი, საყვარელი შუამავალი დაჭრილი რომ ნახა, ატირდა. იგი თავად ალლაჰის შუამავალმა ანუგეშა. შემდეგ კეთილშობილმა ალიმ ფარით წყალი მოიტანა, ხოლო ძვირფასმა ფატიმამ საყვარელ შუამავლს გასისხლიანებული მადლმოსილი სახე მოუწმინდა. მაგრამ მას სახიდან სისხლდენა არ უჩერდებოდა, ბოლოს ძვირფასმა ფატიმამ ჭილოფის ღერი დაწვა, ფერფლი ჭრილობაზე დაადო და სისხლი ასე შეუჩერა.

ამის შემდეგ ბრძოლის ველზე ჩავიდნენ. პირველ რიგში დაჭრილები მოძებნეს და ჭრილობები შეუხვიეს. უმოწყალო წარმართებს

ზოგიერთი შეჰიდი ისეთ მდგომარეობაში ჩაეგდოთ, რომ მათი ამოცნობაც კი შეუძლებელი იყო. ზოგიერთი შეჰიდისთვის ყური, ცხვირი, სხვა და სხვა სხეულის ნაწილები მოეკვეთათ, ზოგისთვის მუცელიც კი გამოეფატრათ. ასეთნაირად დასახიჩრებულ შეჰიდებში ერთ-ერთი აბდულლაჰ ბინ ჯაჰში იყო. მისი ამ მდგომარეობაში დანახავა საყვარელ შუამავალსა და საჰაბეებს ძალიან ეწყინათ. საუკეთესო თანამიმდევრებს შეჰიდობის შარბათი დაელიათ, უჰუდის მიწები სისხლით შეეღებათ და სამოთხეში დაემკვიდრებინათ ადგილები. მაგრამ შეჰიდების მიმართ ასეთი არაადამიანური და სასტიკი მოქცევა, ნამდვილად, მოთმენელი რამ იყო. საყვარელ შუამავალთან ერთად ცოცხლად დარჩენილ საჰაბეთას გულები მწუხარებისგან ტიროდა. ამ მეტად მძიმე სურათის შემყურე ქვეყნიერების ბატონმა, ტირილითა და ცრემლიანი თვალებით შემდეგი სიტყვები წარმოსთქვა. ***„განკითხვის დღეს, მე ვიქნები მოწმე იმისა, რომ ამ შეჰიდებმა უზენაესი ალლაჰის წმინდა გზაზე სიცოცხლე გასწირეს. ისინი სისხლიანნი დაასაფლავეთ. ვფიცავ ალლაჰს, რომ განკითხვის მოედანზე ისინი სისხლიანი მოვლენ. მათი სისხლის სურნელი მუშკივით სასიამოვნო იქნება“.***

შემდეგ საყვარელ შუამავალმა ჰამზა მოიკითხა: ***„ჰამზას ვერ ვხედავ, ის როგორ არის, ნეტავ?“*** კეთილშობილმა ალიმ ძვირფასი ჰამზას ცხედარი იპოვა და როცა საყვარელი შუამავალიც იქ მივიდა, წარმოუდგენელი და საშინელი სურათი დაინახა. წარმართებს ძვირფასი ჰამზასთვის, ყურები ცხვირი და სხეულის სხვა ნაწილები ამოეკვეთათ, მუცელზე გაეფატრათ და ღვიძლი ამოეღოთ. თვალ ცრემლიან საყვარელმა შუამავალმა ძვირფასი ჰამზას ცხედარს ასე მიმართა: ***„ჰამზა! არავის, არასოდეს ასეთი უბედურება არ გადაუტანია და ვერც გადაიტანს. ალლაჰის შუამავლის ბიძავ! უზენაესი ალლაჰისა და შუამავლის ლომო ჰამზა! სიკეთის მთესავო, ჰამზა! ალლაჰის შუამავლის მფარველო, ჰამზა! უზენაესი ალლაჰი გწყალობდეს შენ!“***

ამ დროს შორს ერთი ქალი გამოჩნდა, რომელიც აღელვებული და შეშფოთებული მორბოდა. ეს მუსლიმთა დედა, საყვარელი შუამავლის მამიდა ძვირფასი საფიიე იყო. სხვა ქალბატონების მსგავსად მანაც შუამავლის შეჰიდად დაცემის შესახებ გაიგო

თუ არა, ყველაფერი მიატოვა და სირბილით უჰუდის ველისკენ გამიქცა. შეჰიდების მდგომარეობით მეტად დამწუხრებულმა უკეთილშობილესმა შუამავალმა მამიდა რომ დაინახა, მამიდაშვილ ზუბეირ ბინ ავვამს უთხრა: ***„დედაშენი უკან გააბრუნე, ძმის ცხედარი არ დაინახოს.“*** მანაც დედასთან მიირბინა. მადლმოსილმა ქალბატონმა აღელვებული ხმით ჰკითხა: „შვილო, მაცნობე, ალლაჰის შუამავლის შესახებ რამე? ამ დროს მათთან კეთილშობილი ალიც მივიდა და დასმულ კითხვას მან გასცა პასუხი: „მადლობა უზენაეს ალლაჰს, შუამავალი კარგად არის!”. ამ სიტყვების გაგონებამ ქალს წუხილი შეუმსუბუქა, მაგრამ ამას არ დაჯერდა და ძმიშვილის ნახვა მოითხოვა: მაშინ კეთილშობილმა ალიმ თითი საყვარელი შუამავლისკენ გაიშვირა. მუსლიმთა დედამ ძვირფასმა საფიემ, ორი ქვეყნის მზე ცოცხალი რომ დაინახა, ძალიან გაუხარდა და უზენაეს ალლაჰს მადლობა შესწირა. შემდეგ თავისი ძმის ძვირფასი ჰამზას სანახავად ნაბიჯი წინ გადადგა, მაგრამ შვილმა, ზუბეირმა თხოვა: „დედა! ალლაჰის შუამავალი შენ უკან დაბრუნებას ბრძანებს!“ მაშინ ძვირფასმა საფიემ მიუგო: “თუ იმისთვის უნდა დავბრუნდე უკან, რომ არ დავინახო, თუ როგორ მოექცა ჰამზას მტერი, გეტყვით, რომ უკვე ვიცი, როგორ დაჭრეს და დაანაწევრეს იგი. მან საკუთარი თავი ასეთ დღეში, უზენაესი ალლაჰის წმინდა გზაზე ბრძოლის დროს ჩაიგდო. ჩვენ ამ გზაზე უარესებსაც გავუძლებთ. ჯილდოს უზენაესი ალლაჰისგან დავეელოდებით. მისი ნებით მოვითმენთ და ყველაფერს ავიტანთ“. ზუბეირ ბინ ავვამმა დედის სიტყვები საყვარელ შუამავალს გადასცა. მაშინ კაცობრიობის სიამაყემ, სუფიეს ძმის ცხედრის ნახვის ნება დართო. ძვირფას საფიემ, შეჰიდად დაცემულ ძმის ცხედართან დაჯდა და ჩუმად ატირდა.

ძვირფას საფიეს ორი მოსასხამი წამოეღო. ისინი ამოიღო და თქვა: „ესენი ჩემი ძმის, ჰამზასთვის წამოვიღე, ის ამაში შეახვიეთ!“ საჰაბეები ასეც მოიქცნენ და გმირთაგმირი, შეჰიდად აღსრულებული ჰამზა ამ მოსასხამში შეახვიეს.

ალლაჰის საყვარელი შუამავალი მედროშე მუს’აბ ბინ უმეირის ცხედართან მივიდა. მუს’აბს ხელები მოკვეთილი ჰქონდა და უამრავი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. ირგვლივ სისხლის ტბა იდგა.

საყვარელი შუამავალი ამ საჰაბეს სიკვდილმაც ძალიან დაამწუხრა. მან სურა „აჰზაბის“ 23 აიათი წაიკითხა, რომლის მნიშვნელობა შემდეგია: ***„მორწმუნეები ისეთი მამაცნი იყვნენ, რომ უზენაეს ალლაჰზე მიცემული სიტყვისადმი უსაზღვრო ერთგულება გამოიჩინეს. მათგან, ზოგმა შეჰიდად დაცემამდე ბრძოლის სიტყვა შეასრულეს (შეჰიდად დაეცა). ზოგნი კი შეჰიდად დაცემას ელოდებიან. მათ, მიცემული სიტყვა არავითარ შემთხვევაში არ შეცვალეს. ამის შემდეგ ალლაჰის შუამავალმა ბრძანა: „მოწმეა უზენაესი ალლაჰის შუამავალიც, რომ თქვენ განკითხვის დღეს უზენაესი ალლაჰის წინაშე შეჰიდებად წარსდგებით“.***

შემდეგ იქვე მყოფთ მიუბრუნდა და მიმართა: ***„ესენი მოინახულეთ და მიესალმეთ. ვფიცავ, უზენაეს ალლაჰს, რომ ვინც ამათ ამქვეყნად მიესალმება, განკითხვის დღეს ეს წმინდა შეჰიდები მათ სალამს დაუბრუნებენ.“***

ძვირფასი მუს'აბ ბინ უმეირის გასახვევად ვერაფერი იპოვეს. მას საკუთარი მოსასხამი ხალათი სხეულს მთლიანად არ უფარავდა. თავზე დაახურებდნენ ფეხები ღიად რჩებოდა, ფეხებზე დაახურებდნენ თავი რჩებოდა დაუფარავი. ბოლოს ალლაჰის საყვარელმ შუამავალმა ბრძანა, თავი მოსასხამით, ფეხები კი ბალახით დაუფარეთო. ბედნიერი საჰაბე, რომელმაც სიცოცხლე ისლამის სამსახურში გაატარა და წმინდა გზაზე შეჰიდობას მიაღწია, ამ ქვეყანას ნახევარი სუდარით გამოემშვიდობა.

შეჰიდად გარდაცვლილთა ლოცვა შესრულებული იქნა. ისინი სისხლიანი ტანსაცმლით ორ-ორად და სამ-სამად დაასაფლავეს. ამრიგად უჰუდის ბრძოლაში სამოცდაათი მუსლიმანი შეჰიდად დაეცა. მათგან სამოცდაოთხი ენსარი, ხოლო ექვსი კი მუჰაჯირი იყო.

ესჰაბი ქირამის ნათესავთა უმრავლესობა შეჰიდად დაეცა. ამიტომაც მათი გულები დანაღვლიანებული იყო. ცოცხლად დარჩენილთა სანუგეშებლად ალლაჰის საყვარელმა შუამავალმა შემდეგი სიტყვა წარმოთქვა: ***„ვფიცავ ალლაჰს! მეც ვისურვებდი საჰაბეებთან ერთად შეჰიდად დაცემასა და უჰუდის მთის კალთაზე ღამის გათევას. როდესაც თქვენი ძმები შეჰიდად დაეცნენ, უზენაესმა ალლაჰმა***

მათი სულები მწვანე ჩიტების ჩიჩახვში ჩადო. ისინი სამოთხის ნაკადულებთან მივლენ, წყალს დალევენ, ხილს მიირთმევენ, სამოთხის ოთხივე კუთხის ყურებით დატკბებიან, ვარდებით სავსე ბაღებში იფრენენ, შემდეგ ცის უმაღლესი ნაწილის** (ემპირეას) **ქვეშ დაკიდებულ ოქროს ლამპრებში შევლენ და ღამეს იქ გაატარებენ. როცა ისინი ასეთ საჭმელს, სასმელსა და სილამაზეს ნახავენ იტყვიან: „ნეტავ, ჩვენმა ძმებმაც იცოდნენ, თუ რა გვიწყალობა უზენაესმა ალლაჰმა და მათაც ჯიჰადს თავი არ აარიდონ, ბრძოლას არ შეუშინდნენ და ბრძოლაში უკან არ დაიხიონ. უზენაესი ალლაჰი მათ მიმართავს. "მე მათ ვაუწყებ თქვენი მდგომარეობის შესახებ."

„ღმერთის მონა-მსახურნო, ისურვეთ ის, რასაც სული გთხოვთ. მე თქვენ, მოსალოდნელზე უფრო მეტს გიბოძებთ. ისინი კი ასე მიუგებენ: „უდიდესო გამჩენო, ჩვენო ბატონ-პატრონო! არ გვეგულება მასზე უკეთესი რამ, რა წყალობაც გვარგუნე ჩვენ? სამოთხეში იმას მივირთმევთ და იმითი ვიკვებებით რაც გვინდა. თუკი რამეს ვისურვებდით შენგან ეს, ხელმეორედ ქვეყანაზე დაბრუნება და შენს წმინდა გზაზე თავდადებული ბრძოლით შეჰიდად დაცემა იქნება".

იქ აღარაფერი იყო გასაკეთებლად დარჩენილი. უზენაესი ალლაჰის რწმენის გავრცელებისთვის უჰუდის ველზე მოსულმა საჰაბეებმა, ისლამის ისტორიაში არაჩვეულებრივი გმირობის კვალი დატოვეს. უჰუდის ველი მუსლიმანთა მხრიდან წარმოუდგენელი და ყოველგვარი წარმოდგენის ზღვარს გადაცილებული, უამრავი გმირობის მოწმე გახდა. ამით ურწმუნოთ კიდევ ერთი გაკვეთილი მიიღეს.

ქვეყნიერების ბატონი საყვარელი მუჰამმედ შუამავალი დიდებულ საჰაბეებთან ერთად შუქმოფენილი მედინასკენ გაუდგა გზას. როდესაც ჰარეში მივიდნენ, თანამიმდევრები მწკრივში დააყენა, ხელებიზეცისკენ აღაპყრო და უზენაეს ალლაჰს ასე შეავედრა: ***„ჩემო ალლაჰო! უამრავი ქება და დიდება მხოლოდ შენ გეკუთვნის. ჩემო ალლაჰო! ვისაც შენ ჭეშმარიტებას არგუნებ, მას ვერავინ ააცდენს გზას, ხოლო ვისაც გზას ააცდენ, მას ვერავინ არგუნებს ჭეშმარიტებას. ჩემო ალლაჰო! რწმენა შეგვაყვარე, გულები რწმენით გაგვილამაზე, მრისხანება და სიშმაგე შეგვაძულე, რწმენისა და ქვეყნის***

საზიანო რამეებისგან გაგვათავისუფლე! ჩემო ალლაჰო! ჩვენ მუსლიმანად გვაცოცხლე და მუსლიმანად ჩაიბარე ჩვენი სულები. ჩვენ ღვთისმოსავ და კეთილ ადამიანთა კატეგორიას მიგვაკუთვნე. ვინაიდან მათ არც ღირსება და არც პატივისცემა არ დაუკარგვათ. და არც რწმენისთვის უღალატნიათ. ჩემო ალლაჰო! სასჯელი მიუზღე ურწმონოებს, რომლებმაც შენი შუამავალი უარჰყვეს, შენს გზას თავი აარიდეს და შენი შუამავლების წინააღმდეგ გაილაშქრეს. ისინი ნამდვილი და ჭეშმარიტი სასჯელით დასაჯე! აამინ!" საჰაბეები ამ ვედრებას ამინითვე გამოეხმაურნენ.

საყვარელი შუამავალი საჰაბეებთან ერთად შუქმოფენილ მედინას მიაუხლოვდა. ქალაქში დარჩენილი ქალები და ბავშვები გზაზე გამოფენილიყვნენ. მათ, უსაზღვრო ინტერესითა და მწუხარებით გზად მიმავალ ჯარში ქვეყნიერების ბატონის დანახვა უნდოდათ. და როცა მის განათებულ სახე მოკრეს თვალი, გახარებულებმა უზენაეს ალლაჰს მადლობა შესწირეს. შემდეგ თვალები მომავალ ჯარის მიაპყრეს. ისინი მამებს, ბიძებსა და შვილებს ეძებდნენ, ვინც ნატესავები ვერ დაინახა, ისინი ცრემლებს ვერ იკავებდნენ. მუსლიმანთა ასეთი მწუხარების მხილველი წყალობათა ზღვა, უკეთილშობილესი შუამავალიც მადლმოსილ თვალებიდან ცრემლებს ღვრიდა.

ამ დროს ძვირფასი საა'დ ბინ მუ'აზის დედა, ქებშე შუამავალს მიუახლოვდა. უჰუდის ბრძოლაში მისი შვილი, ამრი შეჰიდად დაცემულიყო. როცა კაცობრიობის სიამაყის წინაშე წარსდგა, შვილმკვდარმა დედამ წარმოთქვა: „ჩემი სიცოცხლე გენაცვალოს ალლაჰის შუამავალო! მადლობა უზენაეს ალლაჰს, შენ რომ საღსალამათი გნახე. როცა შენ, ცოცხალი ხარ, სხვა ყველა უბედურებას არაფრად ჩავთვლი". საყვარელი, ძვირფასი შვილის ამბავი არ იკითხა. შემდეგ საყვარელმა შუამავალმა ამრის შეჰიდად დაცემის გამო მწუხარება გაიზიარა, და ქებშეს ასე მიმართა: ***„საა'დის დედავ, გიმახარობლებთ შენ და მისი ოჯახის წევრებს, რომ შეჰიდად დაცემულნი სამოთხეში შეიკრიბნენ და ერთმანეთის მეგობრები გახდნენ. ისინი იმ ქვეყნად, ოჯახის წევრებსაც გაუწევენ დახმარებას."*** ქებშემ მიუგო: „ალლაჰის შუამავალო, კმაყოფილი ვართ ყველაფრის, რაც უზენაესი ალლაჰისგან გვხვდება წილად.

ამ სასიხარულო ამბების შემდეგ მათთვის ვინღა იტირებს! თქვენ ცოცხლად დარჩენილები დაგვილოცეთ!“ ქვეყნიერების ბატონმაც შემდეგი ვედრება აღავლინა: ***„ჩემო ალლაჰო! მათი გულებიდან წუხილი გააქარწყლე! ცოცხლად დარჩენილებს კეთილთა რიგებში მიაკუთვნე ადგილი.“***

ბოლოს საყვარელმა შუამავალმა საჰაბეებს მიმართა: „ჩემო ესჰაბო! პატარა ჯიჰადიდან დავბრუნდით, ახლა კი დიდი ჯიჰადი უნდა დავიწყოთ.“ შუამავალი აქ ვნებების წინააღმდეგ ბრძოლას (ჯიჰადს) გულისხმობდა. შემდეგ ყველას სახლებში დაბრუნება, დასვენება, ჭრილობების შეხვევა და მოშუშება ურჩია. თავადაც დაჭრილი იყო და ამიტომაც პირდაპირ თავის ბედნიერ კერასმიაშურა.

ჰამრა’ულ ესედის ლაშქრობა

როდესაც ალლაჰის საყვარელი შუამავალი მედინაში დაბრუნდა. წარმართების მხრიდან მედინაზე მოსალოდნელი თავდასხმის გამო საგანგებო ზომები მიიღო. მეორე დღეს საყვარელმა შუამავალმა იმისათვის, რომ დაუძინებელ მტრისთვის ეგრძნობინებინა, გუშინდელ ბრძოლაში მუსლიმანები არ დასუსტებულანო და მათი ხელმეორედ მედინაში მოსვლა თავიდან აეცილებინა, ბილალი ჰაბეშს დაუძახა და უბრძანა ჩემსთანამიმდევრებს შემდეგი რამ ამცნეო: ***„ალლაჰის შუამავალი მტერზე თვალყურის დევნებას გიბრძანებთ. ოღონდ, ლასქრობაში ვერ წამოვა ის, ვინც გუშინ უჰუდის ბრძოლაში ჩვენთან ერთად არ იბრძოდა, მხოლოდ ისინი წამოვლენ, ვინც უჰუდში იბრძოდა.“*** როდესაც ბილალი ჰაბეშმა ალლაჰის შუამავლის ეს ბრძანება მუსლიმანებს აცნობა, მიუხედავად იმისა, რომ მათი უმრავლესობა დაჭრილი იყო, ისინი მყისვე მოემზადნენ. უფრო მეტიც, როდესაც მძიმედ დაჭრილმა აბდულლაჰმა და მისმა ძმამ რააფმა ეს ამბავი გაიგეს, ტკივილების მიუხედავად, ასე წარმოსთქვეს: „განა გავუშვებთ ხელიდან ალლაჰის შუამავალთან ერთად ლაშქრობაში მონაწილეობის შანსს“ და მუჯაჰიდების რიგებში დაიკავეს ადგილები.

საყვარელ შუამავალმა დიდებულ საჰაბეებთან ერთად წარმარ-

თების თვალყურის დევნება დაიწყო, რის შედეგადაც გაიგო, რომ რევჰად წოდებულ ადგილას წარმართები შეკრებილიყვნენ და გადაწყვეტილება მიეღოთ, რომ მედინას თავს დასხმოდნენ და მუსლიმანები გაენადგურებინათ. ალლაჰის შუამავლის ასეთმა შორსმჭვრეტელობამ კიდევ ერთხელ ცხადჰყო, რომ მას სასწაულის მოხდენა შეეძლო.

როდესაც წარმართებმა გაიგეს, რომ შუამავალი მუჰამმედი მათკენ მიემართებოდა, შეშინებულები იქაურობას გაეცალნენ და მექქაში დაბრუნდნენ.

საყვარელ შუამავალი მათ, ჰამრა'ულ ესედად წოდებულ ადგილამდე მიჰყვა. მათგან ორი წარმართი დააკავეს. იქ სამი დღის გაჩერდნენ და შემდეგ მედინაში დაბრუნდენ.

იბნი ყამია, რომელმაც უჰუდის ბრძოლაში დაიფიცა, ალლაჰის წმინდა შუამავალი უნდა მოვკლაო, მექქაში დაბრუნების შემდეგ ცხვრების სანახავად მთაში წასულიყო. მთის წვერზე ცხვრები იპოვა. ცხვრებს შორის ერთ-ერთმა ვერძი მთელი სისწრაფით გაექანა და მას რქენა დაუწყო. ყოჩმა იმდენი ქნა, რომ იბნ ყამიას სული გააფთხობინა.

აბდულლაჰ შიჰაბ'ი ზუჰრი კი მექქაში წასვლისას თეთრწინწკლებიანი გველის ნაკბენმა მოკლა. მათ, რომლებმაც უჰუდის ბრძოლაში საყვარელი შუამავლის სიცოცხლის ხელყოფა განიზრახეს, ერთი წლის განმავლობაში საკადრისი სასჯელი მიეზღოთ და განადგურდნენ.

რეჯ'ის ვაყა (მოვლენა)

უჰუდის ბრძოლაში მეისრე, ძვირფასმა აასიმ ბინ საბითმა, წარმართთაგან მუსაფი ბინ ტალჰასა და მის ძმას ჰარისს მოუსპო სიცოცხლე. ძმების დედამ, შურისძიებით ცნობილმა, სულაფე ბინთი საა'დმა, პირობა დასდო, ვინც აასიმ ბინ საბითის თავს მომიტანს, ას აქლემს მივცემო.ამასთან დაიფიცა, რომ ძვირფასი აასიმ ბინ საბითის თავის ქალით ღვინოს დალევდა. გარდა ამისა, ალლაჰის შუამავლის მიერ გაგზავნილმა აბდულლაჰ ბინ უნეისმა ერთ-ერთ

ლაშქრობის დროს, ლიჰიანისშვილებთაგან ჰალიდ ბინ სუფიანი მოკვლა. ამის გამო ლიჰიანისშვილები ადელისა და ქარეს ტომებთან შეთანხმდნენ.

მედინას შემოგარენში მცხოვრებმა ამ ორმა ტომმა გეგმა შეადგინეს და ელჩები მოამზადეს. მათ ასე დაავალეს, მუჰამმედთან მიდით და უთხარით, რომ ჩვენ ისლამი მივიღეთ და ზექათსაც გადავიხდით, ხოლო ზექათის ასკრეფად და პარალელურად ისლამის შესასწავლად მასწავლებლები გვჭირდებაო. მოსულთა ნაწილს მოვკლავთ და შურს ვიძიებთ, ხოლო ნაწილს კი მექქაში წავიყვანთ და ყურაიშებს მივყიდითო.

ჰიჯრეთის მეოთხე თვეს (სეფერი) აღნიშნულ ორ ტომთაგან ექვსი თუ შვიდი პიროვნებისგან შემდგარი ჯგუფი საყვარელ შუამავალთან მივიდა და უთხრა: „ჩვენ გავმუსლიმანდით, ამიტომ გთხოვთ, რომ წმინდა ყურანისა და რწმენის შესასწავლად მასწავლებელი გამოგვიგზავნოთ.“ ამ დროს საყვარელმა შუამავალმა მექქელი წარმართების ზრახვების შესატყობად ათი კაცისგან შემდგარი ჯგუფი მოამზადა. ადელისა და ქარეს ტომთაგან ასეთი ჯგუფის მოსვლისა და მასწავლებლის მოთხოვნასთან ერთად, ვითარების გამოსაკვლევად თორმეტ კაციანი ჯგუფი მოსულ ჯგუფთან ერთად გააგზავნა. ესჰაბი ქირამთაგან შემდგარ ჯგუფში მონაწილეობას შემდეგი პირები ღებულობდნენ: მერსედ ბინ ები მერსედი, ჰალიდ ბინ ები ბუქეირი, აასიმ ბინ საბითი, ჰუბეიბ ბინ ადიი, ზეიდ ბინ დესინნე, აბდულლაჰ ბინ თარიქი, მუათთიბ (მულირე) ბინ უბეიდე და კიდევ სამი საჰაბე რომელთა სეხელები უცნობია.

მზვერავთა ჯგუფი ღამით წინ მიიწევდა, ხოლო დღისით კი იმალებოდა. ასეთი სიარულით ბოლოს რეჯის წყაროსთან მიაღწიეს. იქ ერთ ხანს დაისვენეს და ყველაზე კარგი ჯიშის მედინას ჰურმა მიირთვეს. შემდეგ იქაურობას გაშორდნენ, ერთ-ერთ მთაზე ავიდნენ და დაიმალნენ. ამ დროს ჰუზეის ტომიდან ერთი, მწყემსი ქალი რეჯის წყაროსთან მისულიყო, ხურმის კურკები ენახა თუ არა მიმხვდარიყო, რომ ეს მედინას ხურმა იყო. იგი ყვირილით გაიქცა და ტომს აცნობა: „ვაიმე, აქ მედინელები ყოფილანო.“ ამ

დროს საჰაბეთა თორმეტ კაციან ჯგუფს გაურკვეველი მიზეზით მათან ერთად მყოფი ადელისა და ქრეს ტომის ერთ-ერთი წარმომადგენელი გამოეყო, მაშინვე ლიჰიანისშვილებთან მივიდა და ვითარება აუწყა.

ლიჰიანისშვილები ამ ამბის გაგებისთანავე ამოქმედდნენ. ასი მეისრის ჩათვლით, სულ ორასკაციანი შეარაღებული რაზმმა იმ მთას, რომელზეც ძვირფასი აასიმ ბინ საბითი თავის მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა ალყა შემოარტყა. საჰაბეები მიხვდნენ, რომ ღალატს ჰქონდა ადგილი, ხმლები იშიშვლეს და ბრძოლის გადაწყვეტილება მიიღეს. წარმართებმა მათი მოტყუება სცადეს და ამ მიზნით ასე მიმართეს: „თუ ჩვენთან დაბლა ჩამოხვალთ, ვაჟკაცურ სიტყვას გაძლევთ, რომ არცერთ თქვენგანს არ მოვკლავთ. ვფიცავთ ალლაჰს, ჩვენ თქვენი მოკვლა არ გვინდა, თქვენ სანაცვლოდ მექქელებისგან მხოლოდ გამოსასყიდის წართმევა გვაქვს განზრახულიო".

აასიმ ბინ საბითმა, მერსედ ბინ მერსედმა და ჰალიდ ბინ ები ბუქეირმა, მათი ყველანაირი უარყვეს და მიუგეს: "წარმართების სიტყვასა და დაპირებას არასოდეს არ დავიჯერებთო". ძვირფასმა აასიმ ბინ საბითმა თქვა: „ვფიცავ ალლაჰს, დავიფიცე, რომ წარმართების მფარველობას არ დავეთანხმები. ვფიცავ ალლაჰს, რომ მათ მფარველობასა და სიტვებს არ დავიჯერებ, ქვევით არ ჩამოვალ და არავითარ შემთხვევაში არ ჩაგბარდებით. შემდეგ ხელები აღაპყრო და შეევედრა: „ჩემო ალლაჰო! აუწყე ჩვენი მდგომარეობა შუამავალს!". აასიმ ბინ საბითის ვედრება უზენაესმა ალლაჰმა ისმინა და მათი მდგომარეობის შესახებ შუამავალს აუწყა.

ძვირფასმა აასიმ ბინ საბითმა წარმართებს მიმართა: „ჩვენ არ გვეშინია სიკვდილის, ვინაიდან რჯულში წინდახედულები ვართ". (თუ მოვკვდეთ სამოთხეში წავალთო) როცა წარმართთა მეთაურმა უთხრა, აასიმ, ნუ დაღუპავ მეგობრებს ჩეგვბარდიო, მას აასიმ ბინ საბითმა ისრის სროლით უპასუხა.

აასიმს საისრეში სულ შვიდი ისარი ჰქონდა. თითოეული გატყორცნილი ისრით თითო ურწმუნოს მოუსპო სიცოცხლე. ისრების გათავების შემდეგ რამდენიმე ურწმუნო შუბით გაანადგურა. მა-

გრამ ბოლოს შუბიც რომ გაუტყდა, ხმალი იშიშვლა და ქარქაში დაამტვრია. (ქარქაშის დამტვრევა, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლის ნიშანი იყო) შემდეგ უზენაეს ალლაჰს ასე შეავედრა: „ჩემო ალლაჰო! დღემდე შენი რჯული დავიცავი, დღეის შემდეგ შენ გავედრებ, ჩემი სხეულის დაცვასა და მფარველობას“. აასიმ ბინ საბითისა და მასთან ერთად მყოფი მეგობრების მიერ წარმოთქმული ალლაჰის სადიდებელი ხმები მთებს აზანზარებდა. თორმეტი მუჯაჰიდი ორასი ურწმუნოს წინააღმდეგ იბრძოდა. ვინც, მათ უახლოვდებოდა საკუთარ სიკვდილს აჩქარებდა. ბოლოს აასიმ ბინ საბითი ორივე ფეხში მძიმედ დაიჭრა და ძირს დაეცა. ვინაიდან ურწმუნოებს მისი ძალიან ეშინოდათ, ამიტომ ვერ მიუახლოვდნენ და შორიდან ისრების სროლით განგმირეს (შეჰიდად დასცეს). იმ დღეს იქ მყოფი ათი საჰაბედან შვიდი შეჰიდად დაეცა, ხოლო სამი კი ტყვედ ჩავარდა.

ლიჰიანისშვილებს ასიმ ბინ საბითის ცხედრისთვის თავის მოკვეთა და სულაფე ბინთი სა’დზე მიყიდვა უნდოდათ. მაგრამ არ გამოუვიდათ, რადგან უზენაესმა ალლაჰმა აასმ ბინ საბითის ვედრება ისმინა, მის ცხედარს ფუტკრის ოჯახი ზეგარდმოუვლინა და ამ მწერებით მთელი მისი სხეული დაფარა.. წარმართები მას ვერაფრით მიახლოვდნენ, ამიტომ თქვეს: „შევეშვათ, როცა დაღამდება ფუტკრები გაიფანტებიან და თავსაც მაშინ მოვკვეთთ და წავიღებთ“.

როცა მოსაღამოვდა უზენაესმა ალლაჰმა ზეციდან ძლიერი წვიმა დაუშვა, მდინარეები აადიდა, წვიმამ აასიმ ბინ საბითის ცხედარი გაურკვეველი მიმართულებით წაიღო. ურწმუნოებმა ძალიან ბევრი ეძებეს, მაგრამ მის სამყოფელს ვერა და ვერ მიაგნეს. ამის შემდეგ, როდესაც ფუტკრების მიერ, ძვირფასი აასიმ ბინ საბითის ცხედრის დაცვის შესახებ საუბარი ჩამოვარდებოდა, კეთილშობილი ომარი იტყოდა: „უეჭველია, რომ უზენაესი ალლაჰი მორწმუნე მსახურს დაიცავს. ალლაჰმა, როგორც სიცოცხლეში დაიფარა ასიმ ბინ საბითი ურწმუნოთაგან, ასევე მისი სხეული შეჰიდად დაცემის შემდეგაც დაიცვა და ურწმუნოებს მასზე შეხების საშუალება არ მისცა“. აქედან გამომდინარე აასიმ ბინ საბითს ყოველთვის ასეთი სიტყვით მოიხსენიებდნენ: ***„ფუტკრების მიერ დაცული ადამიანი.“***

იმ დღეს ლიჰიანისშვილებმა შვიდი საჰაბე შეჰიდად დასცეს, ხოლო სამი მათგანი ჰუბეიბ ბინ ადიი, ზეიდ ბინ დესინნე და აბდულლაჰ ბინ ტარიყი ტყვედ აიყვანეს. ლიჰიანისშვილებმა სამივე მათგანი მშვილდის ხერხებზე მიაბეს. ტყვედ ჩავარდილთა შორის აბდულლაჰ ბინ ტარიყი მექქაში წაყოლაზე წარმართებს არ დათანხმდა და წინააღმდეგობა გაუწია. იგი გაიძახოდა: „ჩვენი, შეჰიდად დაცემული მეგობრები სამოთხით დაჯილდოვდნენ!“ გაკოჭილი ხელები გაიხსნა, მაგრამ ლიჰიანისშვილებმა მას ქვები დაუშინეს და შეჰიდად აქციეს. ჰუბეიბ ბინ ადმა და ზეიდ ბინ დესინნემ კი იმ იმედით მოითმინეს და გაჰყვნენ, რომ იქნებ, შესაფერისი დრო ვიხელთოთ და ალლაჰის შუამავლის მიერ დავალებულ მტრის დაზვერვის საქმე შევასრულოთო.

ლიჰიანისშვილებმა ორივე მათგანი მექქაში მიიყვანეს. ბედირისა და უჰუდის ბრძოლაში ახლობლებდაკარგულნი, შურისძიების უსაზღვრო სურვილით შეპყრობილნი ხელსაყრელ მომენტს ეძებდნენ. ჰუბეიბი, წარმართთაგან ჰუჯეირ ბინ ები იჰაბი თემიმმა, ბედირის ბრძოლაში დაღუპულ ძმისთვის, ხოლო ზეიდ ბინ დესინნე, საფვან ბინ უმეიიემ, ბედირის ბრძოლაში დაღუპულ მამის უმეიიე ბინ ჰალეფისთვის შურის საძიებლად იყიდეს. ურწმუნოთა გაზრახვა ორივე მათგანის მოკვლა იყო, მაგრამ მათი ყიდვა ისეთ თვეებს დაემთხვა, როდესაც სისხლის დაღვრა (ბრძოლა) აკრძალული იყო. ამიტომ ისინი სხვადსხვა საპატიმროში ჩასვეს და შესაფერისი დროის დადგომას დაელოდნენ. ორივე საჰაბემ ამ გაუსაძლის ტყვეობაში დიდი მოთმინება და ამტანობა გამოიჩინა.

იმ სახლში მცხოვრები მოახლე მავიე (ეს ქალმა შემდეგში ისლამი მიიღო), სადაც ჰუბეიბ ბინ ადიი იყო დატუსაღებული ასე მოგითხრობს:

„ჰუბეიბი, სადაც მე ვცხოვრობდი, სწორედ იმ სახლში ჰყავდათ დატუსაღებული. მე მასზე უფრო კეთილი ტყვე არ მინახავს. ერთ დღეს დავინახე, რომ ხელში ყურძნის მტევანი ეჭირა და მიირთმევდა. წელიწადის იმ დროს მექქაში ყურძნის პოვნა შეუძლებელი იყო. მას უზენაესი ალლაჰი წყალობდა. საკანში სულ ნამაზს ლოცულობდა და წმინდა ყურანს კითხულობდა. ქალებს, რომ-

ლებსაც ყურანის კითხვის დროს მისი ხმა ესმოდათ, იგი ძალიან ეცოდებოდათ და ტიროდნენ. ზოგჯერ როცა ვკითხავდი, გინდა რამე- მეთქი, ჰუბეიბი მპასუხობდა: „ტკბილი წყალი მომიტანე, კერპებისთვის შეწირული საქონლის ხორცი არ მომიტანო და სიკვდილის დასჯის დრო წინასწარ მაცნობე, მეტი არაფერი მინდა“. როდესაც მისი სიკვდილით დასჯის დრო დადგინდა, წავედი და მას ვაცნობე. ეს რომ გაიგო, მის სახეზე ოდნავი მწუხარება და წუხილი არ შემინიშნავს. სიკვდილით დასჯის დღე რომ მოახლოვდა, სხეულის გასუფთავებისთვის სამართებელი მთხოვა. მეც შვილის ხელით სამართებელი გავუგზავნე. მაგრამ უცებ ვიფიქრე, ვაი ეს რა ვქენი! ეს კაცი ბავშვს სამართებლით დამიჭრის-მეთქი და გავიქეცი მის სანახავად. როცა მივედი ასეთი სურათი ვიხილე, ჰუბეიბს ბავშვისთვის სამართებელი გამოერთმია იქვე დაეჯინა და ეფერებოდა. ჰუბეიბმა რომ დამინახა მკითხა: „შენ იფიქრე, რომ ამ ბავშვს მოვკლავდი? არა, ამას არ ჩავიდენდი, ვინაიდან ჩვენს რჯულში ასეთი რამ არ არსებობს. უსამართლოდ ვინმეს მოკვლის უფლება არ გვაქვს“.

დიახ, დადგა ჰუბეიბ ბინ ადიისა და ზეიდ ბინ დესინნეს სიკვდილით დასჯის დღეც. იმ დღეს დილით ჯაჭვები გაუხსნეს და მექქას გარეუბან, თემიმში წაიყვანეს. მექქას მკვიდრნი და წარჩინებული წარმართები მათი სიკვდილის დასჯის საყურებლად შეგროვილიყვნენ.

წარმართებმა ტყვეების სიკვდილით დასასჯელად ორი სახრჩობელა აღმართეს. როცა ჰუბეიბი სახრჩობელასკენ წაიყვანეს, ერთი სურვილი შემისრულეთო, ითხოვა. „გამიშვით, საშუალება მომეცით, ორი მუხლი ნამაზი ვილოცო.“ როდესაც ამის უფლება მისცეს, ჰუბეიბი დადგა, მორჩილებით აღსავსემ, ორი მუხლი ნამაზი ილოცა. მის ირგვლივ შეკრებილი ქალები, ბავშვები და წარმართები მას განცვიფრებით შესცქეროდნენ. როდესაც ლოცვას მორჩა თქვა: „ვფიცავ ალლაჰს! მცოდნოდა, რომ არ იფიქრებდით: სიკვდილის შეეშინდა და ლოცვა დიდხანს გააგრძელაო, უფრო დიდხანს ვილოცებდი“ სიკვდილით დასჯის წინ, ორი მუხლი ნამაზის წესად და სუნნეთად დატოვების მიზეზი სწორედაც ჰუბეიბ ბინ ადიია. როდესაც საყვარელ შუამავალმა, მის მიერ სიკვდილით

დასჯის წინნალოცი ნამაზის შესახებ გაიგო, ეს მიზანშეწონილ საქციელად მიიჩნია.

შემდეგ ჰუბეიბი სახრჩობელაზე აიყვანეს და დააბეს. სახე ყიბლის კუთხიდან მედინასკენ შეატრიალებინეს და შეთავაზეს, რჯულს თუ შეიცვლი გაგათავისუფლებთო. ჰუბეიბმა მიუგო: „ვფიცავ ალლაჰს! თუნდაც მთელი ქვეყანა რომ მომცეთ, არ შევიცვლი“, ამ სიტყვების გამგონე წარმართებმა შემდეგი რამ შეთავაზეს: „ისურვებდი, რომ ახლა შენ ადგილზე მუჰამმედი იყოს და ის დავსაჯოთ? თუ იტყვი „დიახ“-ს, გადარჩები, სახლში წახვალ და მშვიდად იქნები“. ჰუბეიბმა მიუგო: „მე, წმინდა მუჰამმედის ფეხში ეკალის შერჭობასაც კი არ დავეთანხმებოდი“. ამ პასუხზე წარმართებმა მას სიცილი დააყარეს და კიდევ ერთხელ შესთავაზეს: „ჰუბეიბ! უარყავი ისლამი! თუ არ უარყოფ, უეჭველად ჩამოგახრჩობთ“. ჰუბეიბმა უპასუხა: „სანამ უზენაესი ალლაჰის გზაზე ვარ, ჩემთვის სიკვდილს არანაირი არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია“.

ამის შემდეგ ჰუბეიბმა „ესსელამუ ალეიქუმ იაა რესულალლაჰ” თქვა და ასე შეევედრა: „ჩემო ალლაჰო, აქ მტრის გარდა ვერავის ვხედავ. გევედრები შენ შუამავალს ჩემი სალამი გადაეცი, აუწყე ჩვენი მდგომარეობის შესახებ“. როდესაც ჰუბეიბი უზენაეს ალლაჰს ასე ევედრებოდა, შუამავალი დიდებულ საჰაბეებთან ერთად იჯდა. ამის შესახებ ზეიდ ბინ ჰარისე გადმოგვცემს: „ერთ დღეს საყვარელი შუამავალი საჰაბეებთან ერთად იჯდა, უცებ მან ***„ვე ალეიჰისსელამ“*** წარმოთქვა. მუსლიმებმა ჰკითხეს: „ალლაჰის შუამავალო! ასე ვის მიესალმე?“ ***„ჩვენს ძმას, ჰუბეიბს, ჯიბრილ ანგელოზმა ჰუბეიბის სალამი მაუწყა.“*** – უპასუხა ალლაჰის წმინდა შუამავალმა.

ამასობაში წარმართები ჰუბეიბის ირგვლივ შეკრებილთ მიუბრუნდნენ და ასე მიმართეს: „აი, ეს კაცია თქვენი მამების მკვლელი!“ ამ სიტყვებით იქ მყოფი ახალგაზრდები შუბების სტყორცნისაკენ წააქეზეს. ამ დროს ჰუბეიბმა სახე ქააბასკენ იბრუნა, წარმართებმა კი სახე ისევ მედინასკენ მიატრიალებინეს. ჰუბეიბი უზენაეს ალლაჰს ასე შეევედრა: „ჩემო ალლაჰო, თუ შენს წინაშე

მიღებული მონა ვარ, სახე ქააბასკენ მიმაბრუნებინე". ამის შემდეგ ვერავინ ვეღარ შეძლო ჰუბეიბის სახის ქააბას გარდა სხვა მიმართულებით მიტრიალება. ამ დროს ჰუბეიბმა უმოწყალო მტრის ხელში, სახრჩობელაზე შემდეგი სიტყვები წაიღიღინა: ვფიცავ ალლაჰს: „მე თუ უზენაესი ალლაჰის გზაზე მოვკვდები, აღარ ვიდარდებ, სიკვდილის შემდეგ რომელ მხარეზეც უნდა დავეცე. ყველა ეს უზენაესი ალლაჰის წმინდა გზაა".

ამის შემდეგ ჰუბეიბი უზენაეს ალლაჰს ასე შეევედრა: „ჩემო ალლაჰო! გაანადგურე და არ დატოვო ცოცხალი ყურაიში წარმართების დასი!" ამ სიტყვების გამგონე წარმართებს შეეშინდათ და გაქცევა დაიწყეს. იქ დარჩენილებმა კი ჰუბეიბს შუბი მორიგეობით აძგერეს. ამ დროს სახრჩობელაზე დაბმული ჰუბეიბის მკერდიდან სისხლმა იჩქეფა. ჰუბეიბმა წარმოთქვა: „ეშჰედუ ენ ლა ილაჰე ილლალლაჰ, ვე ეშეჰდუ ენნე მუჰამმედენ აბდუჰუ ვე რესულუჰ" და უკანასკნელად ამოისუნთქა.

ჰუბეიბ ბინ ადიის ცხედარი ორმოცი დღის განმავლობაში სახრჩობელაზე დაკიდებული დარჩა. მაგრამ სხეულს არც ლპობა დაუწყია და არც აუტანელი სუნი გაუშვია. ცხედრიდან გამუდმებით სისხლი სდიოდა. საყვარელ შუამავალმა მისი ცხედრის ჩამოსატანად საჰაბეთაგან ზუბეირ ბინ ავვამი და მიქდად ბინ ესვედი გააგზავნა. ღამით ისინი მექქაში ფარულად შევიდნენ, ჰუბეიბის ცხედარი სახრჩობელადან ჩამოხსნეს და აქლემით მედინასკენ წაიღეს. ეს რომ წარმართებმა გაიგეს, მაშინვე დაედევნენ. ორივე საჰაბემ თავდაცვის მიზნით ცხედარი მიწაზე ჩამოიღეს, იქვე დამარხეს და მედინასკენ გაემგზავრნენ.

წარმართებმა ზეიდ ბინ დესინნეც სახრჩობელაზე დააბეს. ისიც აიძულეს რჯული შეეცვალა, მაგრამ ამაოდ. ასეთმა მდგომარეობამ ზეიდის რწმენა უფრო გააძლიერა. ამის შემდეგ მას ისრები დაუშინეს. ბოლოს იგი, საფფან ბინ უმეიეს მიერ განთავისუფლებულმა მონა, ნისთასმა შეჰიდად დასცა.

ბი'რ-ი მაუნის შემთხვევა (ვაყა)

იმავე წლის სეფერის თვეში, არაბეთის, ნეჯდის ოლქში მოსახ-

ლე, ამირისშვილების მეთაური, ებუ ბერრა ამირ ბინ მალიქი მედინაში მივიდა და ალლაჰის საყვარელი, უეკთილშობილესი შუამავალი მოინახულა. წმინდა შუამავალმაც მას ისლამი აუხსნა და ურჩია მუსლიმანი გამხდარიყო. ებუ ბერრამ თავის რჯული არ შეიცვალა, მაგრამ გაიგო ის, რომ ისლამი დიადი და ბრწყინვალე რჯული იყო. გარდა ამისა ნეჯდში ისლამის გასავრცელებლად რამდენიმე საჰაბეს წარგზავნა ითხოვა. საყვარელ შუამავალმა მას უთხრა: „არა ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ნეჯდის მოსახლეობა ჩემ მიერ წარგზავნილთ ზიანს არ მიაყენებენ.“ ამრმა მიუგო: ***„მათი მფარველი მე ვიქნები, ამიტომ შენ ხალხს ზიანს ვერავინ მიაყენებს.“***

ალლაჰის წმინდა შუამავალი სტუმრის მიერ მიცემულმა სიტყვამ დააკმაყოფილა, საჰაბეთაგან სამოცდაათ კაცისგან შემდგარი ჯგუფი მოამზადა და ძვირფასი მუნზირ ბინ ამრის მეთაურობით ნეჯდში გააგზავნა.

საკუთარი ტომის ისლამით გაცისკროვნების მსურველი ებუ ბერრა, თავის ტომთან საჰაბეებზე ადრე მივიდა და აუწყა: „საჰაბეების ერთ-ერთი ჯგუფი ჩემი მფარველობის ქვეშ ავიყვანე, გაფრთხილებთ არც ერთმა თქვენგანმა მათ ზიანი არ მიაყენოთო.“ ძმიშვილის, ამირ ბინ ტუფეილის გარდა მას ყველამ თანხმობა მისცა. ამირ ბინ ტუფეილმა კი სამი ტომიდან შეიარაღებული ხალხი შეკრიბა, სათავეში თვითონ ჩაუდგა და ბი’რ-ი მაუნთან მოსული საჰაბეები ალყაში მოამწყვდია. ალყაში მოქცეულებმა ხმლები იშიშვლეს და თავგანწირული ბრძოლის შემდეგ, ერთი მათგანის გარდა, ყველანი შეჰიდებად იქცნენ.

ამ დიდებული ესჰაბის ბოლო სიტყვები ასეთი იყო: „ჩვენო დიადო გამჩენო, ბატონ პატრონო! ახლა შენს გარდა არავინ გვყავს, ვინც ჩვენს მდგომარეობას შენ შუამავალს აუწყებს. მას ჩვენი სალამი გადაეცით!“ უზენაესი ალლაჰის დავალებით საყვარელ შუამავალს ჯიბრილ ანგელოზი გამოეცხადა და ძალზედ დამწუხრებულმა, საჰაბეების სალამი აუწყა: ***„ისინი უზენაესი ალლაჰის წინაშე წარსდგნენ, ალლაჰი მათგან კმაყოფილი დარჩა და ისინიც კმაყოფილნი არიან მისით“*** საყვარელ შუამავალმა სალამი მიიღო,

შემდეგ იქვე მყოფთ მიუბრუნდა და აცნობა: ***„თქვენ ძმებს წარმართები დაესხნენ თავს. ისინი შუბებით დაჭრეს და აკუწესო.“***

შეტაკებისას ურწმუნო ჯებბარმა ამირ ბინ ფუჰეირეს ზურგში შუბი ჩაასო. ამ დროს ამირ ბინ ფუჰეირმა იყვირა: „ვფიცავ ალლაჰს, სამოთხეს ვხედავ, სამოთხე მოვიგე“ ამ მოვლენის მხილველნი გაოცებული დარჩნენ, მაგრამ საინტერესო ის იყო, რომ ურწმუნოთა შორის ისლამი სწორედ ამ საჰაბეს მკვლელმა,ჯებბარმა მიიღო.

საყვარელი შუამავალი ამ მეტად გულსატკენმა შემთხვევამ ძალიან დაამწუხრა, რის გამოც, შუამავალი ერთი თვის განმავლობაში ყოველი ლოცვის შესრულებისას ვედრებას აღავლენდა. ისმინა უზენაესმა ალლაჰმა საყვარელი შუამავლის ვედრება და იმ ტომს საშინელი გვალვა და გაჭირვება დაატეხა თავს, ხოლო შემდეგ გადამდები დაავადებით ამ ტომიდან შვიდასამდე ადამიანი მოკვდა.

ბენი ნაადირის იუდეველები

უჰუდის ბრძოლის შემდეგ, ჰიჯრეთის მეოთხე წელს, ნაადირისშვილებად წოდებულმა იუდეველთა ერთ-ერთმა ტომმა საყვარელი შუამავალის ლიკვიდაციის გეგმა შეადგინა. ამის შესახებ ჯიბრილ ანგელოზმა საყვარელ შუამავალს შტააგონა, რის გამოც ეს გეგმა ჩაიფუშა. საყვარელ შუამავალმა შეთანხმების დამრღვევ იუდეველების ტომთან მუჰამმედ ბინ მესლემე გაგზავნა და დააბარა: „ნაადირისშვილ იუდეველებთან წადი და უთხარი: ***„ალლაჰის შუამავალმა თქვენთან გამომაგზავნა რათა გადმოგცეთ მისი შემდეგი სიტყვები: „ვინაიდან თქვენ ჩემი ლიკვიდაციის გეგმა შეადგინეთ, ამიტომ ჩემი სამშობლოდან წასვლას გიბრძანებთ! აქ ჩემთან ერთად აღარ იცხოვროთ! ამისათვის ათი დღეს ვადას გაძლევთ. ამ ვადის გასვლის შემდეგ, თუ რომელიმე თქვენგანი კიდევ აქ იქნება, თავებს წავაცლით.“***

როდესაც მუჰამმედ ბინ მესლემემ იუდეველებს საყვარელი შუამავლის ეს ბრძანება აცნობა, შეშინებულები მაშინვე წასვლის სამზადისს შეუდგნენ. მაგრამ ფარისეველთა მეთაურმა აბდულ-

ლაჰ ბინ უბეიიემ განაცხადა: „ფრთხილად იყავით! არცერთმა თქვენგანმა ციხე-სიმაგრებიდან ფეხი არ მოიცვალოს. არ მიატოვოთ სამშობლო და ქონება. ორი ათასი კაცით მოვდივართ თქვენ დასახმარებლად". ასეთი ვითარებიდან გამომდინარე, კაცობრიობის სიამაყე საჰაბეებთან ერთად მედინადან ოთხი კილომეტრის მოშორებით განლაგებულ ბენი ნადირის ციხესიმაგრესკენ გაემართა. ისლამის დროშა კეთილშობილ ალის ეჭირა. როცა ადგილზე მივიდნენ, ციხე-სიმაგრე მაშინვე ბლოკადაში მოაქციეს. მუსლიმანების საბრძოლოდ გამომწვევი იუდეველები ახლა გარეთ გამოსვლას ვეღარ ბედავდნენ, მათ დასახმარებლად არც ფარისევლები მივიდნენ. საჰაბეები ციხის შემოგარენს ისე აკონტროლებდნენ, რომ ჩიტსაც კი არ აფრენდნენ ირგვლივ. ოცდაოთხდღიანი ალყის შემდეგ იუდეველებმა დანებების ნიშნად დროშა აღმართეს. მთელი თავიანთი შეიარაღება, ოქრო და ვერცხლი მუსლიმანებს დაუტოვეს, მათი ნაწილი დამასკოში, ხოლო ნაწილი ჰაიბერში გადაიხვეწა. ამ- რიგად მედინაში მხოლოდ ქურეიზისშვილი იუდეველები დარჩნენ.

ესედის ქალიშვილ, ფატიმას გარდაცვალება

ჰიჯრეთის მეოთხე წელს ზეგარდმოევლნა აიათი, რომლითაც ალკოჰოლის მიღება აკრძალულად გამცხადდა. უჰუდის ბრძოლაში დაჭრილ და შემდეგ გარდაცვლილ ძვირფას უმმუ სელემეს ქმარს რამდენიმე შვილი ობლად დარჩა. მუსლიმთა მოხუცი დედა, უმმუ სელემე გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა. საყვარელ შუამავალს ის ძლიერ შეეცოდა და ამიტომაც ოფიციალური ნიქაჰით მასზე იქორწინა.

ამავე წელს შესდგა ზათურრიყას ლაშქრობა, რის შედეგადაც მუსლიმებმა ირგვლივ მცხოვრები წარმართთა ტომები დაიმორჩილეს.

ამავე წელს გადაიცვალა კეთილშობილი ოსმანისა საყვარელი შუამავლის ქალიშვილის ექვსი წლის ვაჟი, სახელად აბდულლაჰი. წმინდა შუამავალმა მიცვალებული შვილიშვილის ლოცვა შეასრულა და საფლავში თვითონვე ჩაასვენა. იგი ძალიან დამწუხრებული

იყო, მისი მადლმოსილი ცრემლები საფლავში ჩაეწვეთა. საფლავის ქვა საკუთარი ხელით დადო და წარმოთქვა: ***„უზენაესი ალლაჰი შეიწყალებს, მოწყალე და გულისხმიერ მონათ.“***

კეთილშობილი ალის დედა, ესედის ქალიშვილი, ფატიმაც ამ წელს გარდაიცვალა. ამან საყვარელი შუამავალი ძალიან დაამწუხრა და თქვა: ***„დღეს დედაჩემი გარდაიცვალა.“*** იგი ბაბუას აბდულმუტტალიბის გარდაცვალების შემდეგ ამ ქალტან იზრდებოდა. როცა წმინდა მუჰამმედს შუამავლობის მისია დაეკისრა, ფატიმა მაშინვე ისლამით გაცისკროვნდა. ამიტომაც საყვარელი შუამავალი მას დედასავით აფასებდა და დიდ პატივს სცემდა. მის მიმართ ასეთი სიყვარულიდან გამომდინარე. საკუთარი პერანგი გაიხადა და მისი სუდარად გამოყენება ბრძანა. მიცვალებულის ლოცვის შესრულების შემდეგ, იქვე მყოფთ აცნობა, ნამაზის ლოცვას სამოცდაათია ათასი ანგელოზი ესწრებოდაო.

როდესაც საფლავიდან ამოვიდა, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. კეთილშობილმა ომარმა მის მწუხარება ვეღარ აიტანა და უთხრა: „ჩემი სიცოცხლე გენაცვალოს ალლაჰის შუამავალო! არავის მიმართ გაგიკეთებია იმდენი, რამდენიც ამ ქალბატონისთვის გააკეთე“. კაცობრიობის სიამაყემ მიუგო: ***„ებუ ტალიბის შემდეგ არავის გაუკეთებია იმდენი სიკეთე ჩემთვის, რამდენიც ამ ქალბატონმა. ის ჩემი დედა იყო, როცა მისი შვილები მშივრები იყვნენ, პირველ რიგში ჩემს დაპურებაზე ზრუნავდა. როცა მისი შვილების ტანსაცმელი მტვრიანი იყო, ის პირველ რიგში მე დამვარცხნიდა თმას და ვარდის სუნამოს მაპკურებდა. ის ჩემი დედა იყო!***

მას, რომ საიქიში სამოთხის ტანსაცმელი ჩააცვან, ამისათვის ჩემი პერანგი სუდარად ჩავაცვი. საფლავის ცხოვრება მისთვის ნაზი და ადვილი რომ ყოფილიყო, ამისათვის მისი კედლები გავაფართოვეთ. უზენაესი ალლაჰის დავალებით ანგელოზმა ჯიბრილმა მაცნობა, ეს ქალბატონი სამოთხის ღირსიაო“. ამის შემდეგ მუსლიმთა დედის, ფატიმა ბინთი ესედისთვის ასე შეევედრა: ***„ჩემო დედა! უზენაესმა ალლაჰმა მოგიტევოს ცოდვები, შეგიწყალოს და უსაზღვრო წყალობით დაგაჯილდოვოს. შენ მშიერი იყავი, მაგრამ მე მაპურებდი, შენ არ ჩაიცმევდი, მაგრამ მე მმოსავდი. უზენაესი ალლაჰის სულის***

ჩამდგმელიცა და ამრთმევიც. ის მარად ცოცხალია, ის უკვდავია. ჩემო ალლაჰო, ჩემ დედა, ფატიმა ბინთი ესედს მიუტევე.. საფლავი გაუაფართოვე. უდიდესო მწყალობელო, ჩემო ალლაჰო! ჩემი და სხვა ყველა შუამავლების გულისთვის ისმინე ჩემი ვედრება.“

ამის შემდეგ უკეთილშობილესი შუამავლის მადლმოსილ მეუღლეთაგან, ზეინაბ ბინთი ჰუზეიმე ოცდაათი წლის ასაკში გარდაიცვალა. ამავე წელს კეთილშობილ ალისა და ფატიმას მეორე ვაჟი, ჰუსეინი შეეძინათ.

ამავე წელს, ებუ სუფეანის მეთაურობით წარმართთა ორიათასკაციანი ჯარი ისლამის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ბედირისკენ დაიძრა. ქვეყნიერების ბატონი ათასხუთას მამაც საჰაბესთან ერთად მათზე ადრე ბედირს მივიდა. როდესაც წარმართებმა გაიგეს, რომ მუჯაჰიდები ბედიში მათთვის მიესწროთ, გულებში შიში ჩაუვარდათ. რადგან ისლამის ჯართან ბრძოლა ვერ გაბედეს, მხოლოდ მერრაზზაჰრამდე შეძლეს მისვლა, ხოლო შემდეგ უკან მექქაში დაბრუნებით უშველეს თავს. უკეთილშობილესი შუამავალი თანამიმდევრებთან ერთად მათ რვა დღე ბედირში ელოდებოდა.

ბენი მუსთაქილის ლაშქრობა

ჰიჯრეთის მეხუთე წელს, მუსთაქილისშვილების მეთაურმა, ჰარის ბინ დირარმა საყვარელ შუამავალის წინააღმდეგ საბრძოლველად უამრავი ხალხი შეკრიბა. მათი გეგმა მედინაზე თავდასხმა იყო. გაიგო თუ არა ამის შესახებ, საყვარელ შუამავალმა მაშინვე შვიდას კაციანი შენაერთი მოამზადა და მუსტაქილისშვილების წიანაღმდეგ გაილაშქრა. ისლამის ჯარი, მურეისის ორმოსთან ახლოს განლაგდნენ, ჯერ ისინი ისლამისკენ მოიხმეს და როცა ამ შეტავაზებაზე უარი მიიღეს, ისრები სტყორცნეს და მათ წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს. ალლაჰის შუამავალმა შეტაკებამდე შემდეგი ბრძანება გასცა: ***„ყველამ, ერთდროულად შეუტიეთ!“*** დიდებულ საჰაბეებმა ბრძანება შეასრულეს და ათ მოწინააღმდეგეს მოუსპეს სიცოცხლე. ტომის მეთაურმა თავს გაქცევით უშველა. მაგრამ მეთაურის ქალიშვილი ბერრე და 600 კაცი ტყვედ ჩავარდ-

ნენ. საომარი ნადავლი გაინაწილეს. ბერრე საყვარელი შუამავლის წინაშე წარდგა და უთხრა: „მას, ვისი ტყვეც ვარ, შევუთახმდი და ცხრა ოქროს სანაცვლოდ მათავისუფლებს. გთხოვ დამეხმარე!" საყვარელმა შუამავალმა იგი შეიწყალა, სურვილი აუსრულა, გამოსასყიდი ოქრო გადაუხადა და იყიდა. შემდეგ კი მონობისგან გაათავისუფლა და ისლამი აუხსნა. ბერრემ დიდი სიამოვნებით მიიღო ისლამი, რამაც საყვარელი შუამავალი ძალიან გაახარა. გამუსლიმანებისათვის ჯილდოს სახით ბერრეს ნიქაჰით განმტკიცებული, ალლაჰის შუამავლის ცოლობა ერგო. ამ ამბის მხილველმა საჰაბეებმა ერთხმად თქვეს, დიდ სირცხვილად მივიჩნევთ, ალლაჰის შუამავლის მეუღლის ნათესავების მონობასო და ყველა ტყვე გაათავისუფლეს. ეს ქორწინებამ ასობით ტყვის გათავისუფლების მიზეზი გახდა. საყვარელმა შუამავალმა მადლმოსილ მეუღლეს სახელი ბერრე ჯუვეირიიედ შეუცვალა. ძვირფასი ჯუვეირიიეს შესახებ მუსლიმთა დედა, ქალბატონი აიშე ასე ამბობდა: ჯუვეირიიესთანა სიკეთის მომტანი და მადლიანი ქალი არ მინახიავსო.

ამის შემდეგ ისლამის ჯარი შუქმოფენილ მედინასკენ დაიძრა. ირგვლივ მყოფ წარმართთა თვალებიდა დიდი შიში გამოსჭვიოდა. ისინი უკვე მიმხვდარიყვნენ, თუ რაოდენ ძნელი და სახიფათო ყოფილა მუსლიმანების წინააღმდეგ ბრძოლა.

ჰენდექის ბრძოლა

ჰიჯრეთის მეხუთე წელი იდგა, ყოველგვარი ამბოხისა და ინტრიგის წამომწყები, იუდეველი ნადირისშვილები, შუქმოფენილ მედინადან გაძევების შემდეგ ჯგუფ ჯგუფად დაიყვნენ. შემდეგ კი ნაწილი დამასკოში, ხოლო ნაწილი ჰეიბერში გადაიხვეწა, მაგრამ მათ გულები, ისლამისა და საყვარელი შუამავლის მიმართ სიძულვილსა და შურისძიების გრძნობას შეეპყრო... იუდეველთა მეთაური, ჰუიეიმ ტომის ოც გავლენიან პირთან ერთად მექქაში ჩავიდა. იქ ებუ სუფიანს შეხვდა და უკეთილშობილესი შუამავლის ლიკვიდაციის თაობაზე მოლაპარაკება გამართა. ჰუიეიმ პირობა დადო, სანამ ამ საქმეს პირნათლად არ შევასრულებთ მანამდე თქვენს გვერდით ვიქნებითო, ებუ სუფიანმა მიუგო: „ვინც ჩვენს მტერს მტრობს, მისი წინადადება ჩვენთვის მისაღებია, მაგრამ იმისათვის რომ ჩვენი ნდობა დაიმსახუროთ, საჭიროა, ჩვენს კერპებს სცეთ თაყვანი. მხოლოდ ამის შემდეგ გავხდებით ერთმანეთის მიმართ გულწრფელნი და ურთიერთნდობა გაგვიღრმავდება.“ მიზნის მისაღწევად, საკუთარი რჯულის მოღალატე იუდეველებმა, კერპების წინაშე მაშინვე ქედი მოიხარეს. წიგნიერი ურწმუნონი, უწიგნურ ურწმუნოებად იქცნენ და წარმართებთან ერთად საყვარელი შუამავლის ლიკვიდაციისა და ისლამის რჯულის აღსაკვეთად ფიცი დადეს.

ამ შეთანხმების შემდეგ, მაშინვე საბრძოლო სამზადისს შეუდგნენ. მეზობელ წარმართ ტომებსაც ხალხი გაუგზავნეს. იუდეველები, სხვადასხვა ტომების დასაყოლიებლად, მათ ფულად დახმარებასა და ხურმის ბაღებს შეპირდნენ. წარმართებმა მექქას შემოგარენში ოთხიათასკაციანი ძლიერი სამხედრო შენაერთი შეკრიბეს. ებუ სუფეანმა დარ'უნ' ნედვეში დროშა აღმართა და ოსმან ბინ ები ტალჰას გადასცა. ჯარს, სამასი ცხენი, ათასხუთასი აქლემი და უამრავი იარაღი ჰქონდა.

წარმათთა ჯარი მერრაზზაჰრანთან მივიდა. აქ კიდევ რამდენიმე წარმართთა ტომი დაემატათ, მათ შორის იყვნენ: სულეიმანიშვილები, ფეზარესშვილები, გათაფანები, მურრესშვილები და

ესედისშვილებს. ამგვარად წარმართთა ჯარი ათი ათასამდე კაცამდე გაიზარდა. ეს კი იმ პერიოდში მრავალრიცხოვან არმიად ითვლებოდა.

საყვარელ შუამავალს მასთან დაახლოებულმა და მეგობარმა ჰუზზას ტომმა, დაუყონებლივ, შეტყობინება გაუგზავნა. ათი დღის სავალი გზა, მათმა ცხენოსანმა მარბიელმა ოთხ დღეზში დაფრა და შექმნილი ვიტარების შესახებ ალლაჰის წმინდა შუამავალს დაწვრილებითი ცნობები მიაწოდა.

მან მაშინვე დიდებული საჰაბეები მოიხმო და მოსალოდნელი საბრძოლო სიტუაციის შესახებ მოლაპარაკება გამართა. თითოეულმა საჰაბემ წამოაყენა წინადადება, თუ სად და როგორ უნდა გამართულიყო ბრძოლა. თათბირში მონაწილე ძვირფას სელმანი ფარისმა თქვა: „ალლაჰის შუამავალო, ჩვენ გვქონდა ბრძოლის ასეთი ტაქტიკა; როდესაც მტრისგან თავდასხმას ველოდებოდით, გარშემო სანგარს გავთხრიდით და თავს ასე ვიცავდით“. ეს მეთოდი საყვარელ შუამავალს და ნუსლიმანებს მოეწონათ და გადაწყვიტეს მტრის წინააღმდეგ ეს ტაქტიკა გამოეყენებინათ.

საყვარელმა შუამავალმა საჰაბეებტან ერთად ის ადგილები შეარჩია, სადაც სანგრები უნდა გათხრილიყო. მედინა სამხრეთიდან ბაღნარითა და ხეებით იყო დაფარული. აქ წარმართების თავდასხმის ალბათობა ნაკლები იყო, ამიტომ ამ ტერიტორიის დაცვა მცირე ჯარითაც შეიძლებოდა. აღმოსავლეთით კი იუდეველი ბენი ქურეიზას ტომი ცხოვრობდა. ამის გამო მტრის თავდასხმა უფრო მეტად დასავლეთითა და ჩრდილოეთით, გაშლილი ტერიტორიიდან იყო შესაძლებელი. ამ ადგილებში თითოეულ საჰაბეს სამი მეტრის სიგრძის მიწის ამოთხრა ევალებოდა, ამასტან სანგრის სიმაღლე დაახლოებით ორი კაცის სიმაღლის ტოლი(3,5 მეტრი) უნდა ყოფილიყო. ხოლო სანგრის სიგანე იმდენი უნდა ყოფილიყო, რომ მთელი სისწრაფით გამოქცეული ცხენი მასზე ვერ გადამხტარიყო. დრო ცოტა იყო დარჩენილი. მექქადან დაძრული მტერი მედინასკენ მიიწევდა. სანგრების გათხრა უმოკლეს დროში უნდა დამთავრებულიყო.

საყვარელ შუამავალმა თანხლებ საჰაბეებტან ერთად ***„ბისმილ-***

ლაჰი რრაჰმანირრაჰიმ“ თქვა და მიწას პირველი თოხი დასცა. ყველა ერთად, უდიდესი მონდომებით ამ სამუსაოს მოკლე ხანში დასრულებისთვის ზრუნავდა. მუშაობაში ბავშვებიც კი მონაწილეობდნენ. შემდეგ ზუბაბის გორაკზე ალლაჰის შუამავლისთვის კარავი მოამზადეს. სანგრებიდან ამოღებული მიწა საზიდრებით მიჰქონდათ და ამ გორაკის ირგვლივ ყრიდნენ, ხოლო უკან დაბრუნებისას სელის მთიდან მტრის მიმართულებით სასროლად ქვები მოჰქონდათ. ისინი, რომელთაც საზიდრები არ ჰქონდათ, მიწას კალთებით ეზიდებოდნენ. მათთან ერთად საყვარელი შუამავალიც დიდი შემართებით მუშაობდა.

იმ დღეებში ძალიან ციოდა. გარდა ამისა ხანგრძლივი გვალვებიდან გამომდინარე, მატერიალურად ყველას უჭირდა. საჭმლის პოვნაც კი საკმაოდ ძნელი იყო. ქვეყნიერების ბატონის ჩათვლით, ყველა საჰაბეს საშინელი შიმშილი აწუხებდა... შიმშილი რომ არ ეგრძნოთ, მუცელზე ქვებს იბამდნენ, ამ გზით კუჭებს ავიწროებდნენ და შიმშილს ივიწყებდნენ.

ქვეყნიერების ბატონი საკუთარ შიმშილზე არ ფიქრობდა, მას ის უფრო აწუხებდა, რომ მუსლიმანები საშინელ სიცივეში მშიერ-მწყურვალი მუშაობდნენ. ისინი ეცოდებოდა და მათთვის უზენაეს ალლაჰს ევედრებოდა: „ჩემო ალლაჰო! იმ ქვეყნიური ცხოვრების გარდა სხვა მარადიული ცხოვრება არ არის. გთხოვ შეიწყალე ენსარები და მუჰაჯირები!“ საჰაბეებს ალლაჰის შუამავალი საკუთარ თავზე მეტად უყვარდათ და ამბობდნენ: ***„უზენაესი ალლაჰისა და ჭეშმარიტი ისლამის რჯულის გასავრცელებლად, ალლაჰის შუამავალს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მორჩილება გამოვუცხადეთ!“***

სანგრების გათხრა დილაადრიან იწყებოდა და საღამომდე გრძელდებოდა. ერთ დღეს, მუშაობის დროს, ძვირფასი ალი ბინ ჰაქემმა ფეხი დაისახიჩრა. იგი მაშინვე ალლაჰის წმინდა შუამავალთან მიიყვანეს. შუამავალმა ***„ბისმილლაჰი რრაჰმანირრაჰიმ“*** თქვა და ხელი გადაუსვა. რის შემდეგაც საჰაბეს ფეხზე სისხლდენა შეუჩერდა და ტკივილი გაუქრა.

სანგრების გათხრა გრძელდებოდა. ერთხელაც საჰაბეებს ძა-

ლიან ქვიანი ადგილი შეხვდათ. მიწის ამოთხრა შეუძლებელი ხდებოდა. ამის შესახებ საყვარელ შუამავალს აცნობეს, ის თვითონაც მიბრძანდა და სანგარში ჩავიდა. ჭურჭლით წყალი მოითხოვა, ცოტა დალია და დანარჩენი ჭურჭელშივე ჩააბრუნა. შემდეგ ეს წყალი იმ ადგილს მიასხურა. შემდეგ ურო აიღო და ის გამაგრებული ადგილი ერთი დარტყმით დაშალა. ურoს დარტყმისას საყვარელ შუამავალს მუცელი გამოუჩნდა. იქ მყოფთ შეამჩნიეს რომ მას მუცელზე ქვა ჰქონდა მიბმული. ალლაჰის შუამავლის ასეთი მდგომარეობა რომ შენიშნეს, მასთან ძვირფასი ჯაბირ ბინ აბდულლაჰი მივიდა და თხოვა: „ალლაჰის შუამავალო! თუ ნებას დამრთავთ, სახლაში წავალ და მალე დავბრუნდები.“ დანარჩენს თავად ჯაბირ ბინ აბდულლაჰი მოგვითხრობს:

„როდესაც წასვლის ნება დამრთო, სახლშიმივედი და მეუღლეს ვკითხე: „ვერც კი წარმოიდგენ, ალლაჰის შუამავალი ისეთ მშიერ მდგომარეობაში ვნახე. სახლში გვაქვს რაიმე შეჭამანდი?“ მეუღლემ მიპასუხა: „აი, ამ თიკნისა და ცოტაოდენი ქერის გარდა, არაფერი გვაბადია.“ მე ის თიკანი მაშინვე დავკალი, მეუღლემ კი ქერი ხელის წისქვილში დაფქვა და ცომი მოზილა. ხორცი ქოთანში ჩაყარა და შესაწვავად თონეში შედო. ამის შემდეგ ალლაჰის შუამავალთან მივედი და ვუთხარი: „ალლაჰის შუამავალო სახლში ძალიან ცოტა შეჭამანდი მაქვს, ერთი ან ორი მეგობარი წამოიყვანე და ჩემტან წამობრძანდი.

ალლაჰის შუამავალმა მკითხა: ***„საჭმელი რამდენი გაქვს?“*** ვუპასუხე რამდენიც მქონდა. შემდეგ მან მითხრა: ***„თან ბევრი და თანაც გემრიელი საჭმელი გქონია, შენ მეუღლეს გადაეცი, ჩემს მოსვლამდე არც ხორცი გამოიღოს თონედან და არც პური!“*** შემდეგ მუჯაჰიდებს მიუბრუნდა და უთხრა: ***„სანგრის ხალხო, ადექით! ჯაბირთან სადილზე უნდა წავიდეთო.“*** ბრძანებისამერ, საჰაბეები შეიკრიბნენ და საყვარელ შუამავალს უკან გაჰყვნენ. მე მაშინვე სახლში გავიქეცი და შექმნილი ვითარების შესახებ მეუღლეს ვცნობე. დარდიანებულმა, მეუღლეს ვკითხე: „ახლა რა უნდა ვქნათ?” მეუღლემ კითხვა შემიბრუნა: „ალლაჰის შუამავალმა არ გკითხა რამდენი საჭმელი გაქვსო?“ – „მკითხა და ვუთხარი რამდენიც გვქონდა.“ – „საჰაბეები შენ დაპატიჟე თუ შუამავალმა?“ ვუპასუხე, ალლაჰის

შუამავალმა-მეთქი, ამის შემდეგ მეუღლემ მანუგეშა, შუამავალმა უკეთ იცისო.

ცოტა ხნის შემდეგ ალლაჰის შუამავალი თავისი გასხივოსნებული სახით კარებს მოადგა. საჰაბეებს უთხრა: ***„სახლში ისე შედით რომ ერთმანეთი არ შეამჭიდროვოთ!“*** ისინიც შემოვიდნენ და ათკაციან ჯგუფებად დასხდნენ. უკეთილშობილეს შუამავალმა პურის ბარაქისათვის ვედრება აღავლინა. ამის შემდეგ ქოთანის თონედან გამოუღებლად კერძი ციცხვით პურზე დაადო და ესჰაბს გაუწოდა. ასე გაადრძელა სანამ ყველა ესჰაბი არ დანაყრდა. ვფიცავ, რომ კერძი ათას კაცზე მეტმა მიირთვა, მაგრამ ხორცი და პური ისევ უკლებლივ იყო. შემდეგ ჩვენც მივირთვით და რაც დარჩა მეზობლებს დავურიგეთ“.

სელმანი ფარისი სანგრების გათხრაში საკმაოდ მოხერხებული და გამოცდილი იყო. მარტო თვითონ ათი კაცის საქმეს აკეთებდა. იგი მეგობრების მსგავსად მისთვის განკუთვნილ ადგილს თხრიდა. ამ დროს მასაც ძალიან, მაგარი, თეთრი სალის ქვა შეხვდა. ბევრი იზრუნა მის დასამტრევად მაგრამ ამაოდ. ურო, თოხი და ნიჩაბიც კი დაამტვრია. ვერაფერს რომ ვერ გახდა, ბოლოს საყვარელ შუამავალთან მივიდა და მდგომარეობის შესახებ ამცნო: „ალლაჰის შუამავალო, სანგარის ამოთხრის დროს სალი ქვა შემხვდა, მიუხედავად იმისა რომ ყველ რკინის ხელსაწყო დამემტვრა, ქვა ადგილიდანაც კი ვერ დავძარი“. უკეთილშობილესი შუამავალი ქვასთან მივიდა და ურო მოითხოვა. იქ მყოფი საჰაბეები დიდი ინტერესით უყურებდნენ, თუ რა მოხდებოდა.

საყვარელი შუამავალი სანგარში ჩავიდა, ***„ბისმილლაჰი რრაჰმანირრაჰიმ“*** წარმოსთქვ,ა ურო აიღო და ისეთი ძალით დასცა ქვას, რომ დარტყმის შედეგად, უცებ, ელვისებურმა სხივმა მთელი მედინა გაანათა. ქვას ერთი ნაწილი მოტყდა. შემდეგ ალლაჰის შუამავალმა უზენაესი ალლაჰის ადიდა (ალლაჰუ ექბერ/ალლაჰი უდიდესია) და იგივე სამჯერ გაიმეორა. მესამე დარტყმაზე სალი ქვა ნაწილებად დაიშალა.

ძვირფას სელმანმა საყვარელ შუამავალს ხელი გაუწოდა ამოიყვანა და ჰკითხა: „ალლაჰის შუამავალო, ახლა სასწაული ვიხილე.

ამაში რასაიდუმლოებაა?“ საყვარელი შუამავალოსაჰაბეებს მიუბრუნდა და ჰკითხა: ***„თქვენც იგივე იხილეთ, რაც სელმანმა?“*** მათ მიუგეს: „დიახ, ალლაჰის შაუამავალო, როდესაც ქვას ურო დაარტყი, დავინახეთ, თუ როგორ საოცრად გაიელვა. როცა ალლაჰი ადიდეთ, ჩვენც იგივე გავიმეორეთ“. ალლაჰის შუამავალმა მათ აუწყა: „პირველი დარტყმის შუქზე, (მედიანის) კეისარის სასახლეები თვალწინ წარმომესახა. ჯბრილ ანგელოზმა გამომეცხადა და მითხრა: ***„შენი მიმდევარი იმ ქალაქებს დაეპატრონებიანო, მეორე დარტყმაზე, დამასკოს წითელი სასახლეები წარმომესახა თვალწინ, ჯიბრილ ანგელოზმა მაცნობა, მუსლიმები ამ ქალაქებსაც დაეპატრონებაო. მესამე დარტყმაზე კი სანას სასახლეები წარმომიგდა თვალწინ, ჯიბრილ ანგელოზმა, ამ ქალაქების დაპატრონებაც გვიწინასწარმეტყველა“.***

როცა ალლაჰის შუამავალმა მედიანის სასახლის შესახებ მოყოლა დაიწყო, ამ ქალაქის მკვიდრი სელმანი გაკვირებით უსმენდა და შემდეგ უთხრა: „ალლაჰის შუამავალო, შენს ჭეშმარიტ შუამავლად მომვლენელ უზენაეს ალლაჰს ვფიცავ, რომ მედიანის სასახლე სწორედ ისეთია, როგორც თქვენ დაახასიათეთ. ვემოწმები, რომ შენ ალლაჰის შუამავალი ხარ“. უკეთილშობილეს შუამავალმა თქვა: ***„სელმან, დამასკო აუცილებლად იქნება აღებული, ჰერაკლიუსი სამშობლოდან გაიქცევა, თქვენ კი დამასკოს ხელში ჩაიგდებთ, რაშიც წინ ვერავინ აღგიდგებათ. ასევე იემენსაც ხელში ჩაიგდებთ და ქისრა მოიკვლება. უზენაესი ალლაჰის ნებით, სხვა ქვეყნებს ჩემს შემდეგ თქვენ დაიმორჩილებთ“.***

ძვირფასი სელმანი მოგვითხრობს: „ალლაჰის შუამავლის მიერ ნაწინასწარმეტყველები ამბებიდან ყველა საკუთარი თვალით ვიხილე.

მტრის ჯარიმედინას უახლოვდებოდა, სანგრების გათხრა მთელი სისიწრაფით მიმდინარეობდა. მუჯაჰიდები მთელი შემართებით, შეუსვენებლად მუშაობდნენ, საჭიროების შემთხვევაში შუამავლისგან ნებას ითხოვდნენ და მიდიოდნენ, ხოლო როდესაც თავიანთ საქმეებს მოაგვარებდნენ, ისევ უკან ბრუნდებოდნენ. ფარისეველები საკმაოდ უხალისოდ მუშაობდნენ და როცა უნდო-

დათ სამუშაოს მაშინ ტოვებდნენ. ასეთი საქციელს არ კმარობდნენ და გულითადად მომუშავე მუჯაჰიდებს დასცინოდნენ. უფრო სამწუხარო ფაქტი ის იყო, რომ შუამავლის მიერ ზემოთნატქვამის შესახებ ამბობდნენ: „ჩვენ შიშისგან სანგრებს ვაფარებთ თავს ის კი იემენის, სპარსეთისა და ბიზანტიის სასახლეებს გვპირდება. ნამდვილად გვაკვირებს თქვენი ასეთი გულუბრყვილობა.“

სანგრების გათხრების დაწყებიდან უკვე ექვსი დღე იყო გასული. თავისი საქმე ყველამ ღირსეულად შეასრულა. მაგრამ, დროის უკმარისობის გამო, ერთ-ერთი მონაკვეთის ფართოდ და ღრმად გათხრა ვერ მოხერხდა. ამასთან დაკავშირებით საყვარელმა შუამავალმა წუხილი, შემდეგი სიტყვებით გამოხატა: ***„ამ მონაკვეთის გარდა წარმართები ვერსაიდან შემოვლენ.“*** აქ მათ გუშაგები დააყენეს.

მაშინ როდესაც წარმართთა ჯარი შუქმოფენილ მედინას მიუახლოვდა, იუდეველი ნადირის შვილების მეთაურმა ჰუიეიმ მათი ჯარების სარდალს აცნობა, რომ მედინას მკვიდრ იუდეველ ქურეიზელებს მუსლიმებთან ზავი ჰქონდათ დადებული, მაგრამ მათი მეთაურს ქა’ბ ბინ ესედის მოტყუებას შეძლებდნენ და თავიანთ მწკრივებში გადაიყვანდნენ. ყურაიშელტა სარდალმა ჰუიეის უთხრა: „ახლავე ქა’ბ ბინ ესედთან წადი და უთხარი: „მუსლიმებთან დადებული ზავი გაუქმოს და ჩვენ დაგვეხმარნონ!“ ზემოთხსენებული ზავის პირობათაგან ერთ-ერთი იმაში მდგომარეობდა, რომ თუ მტერი მედინას თავს დაესხმებოდა, ქურაიზელებს მუსლიმების გვერდით უნდა ებრძოლათ.

ღამით იუდეველი ჰუიეი წარმართთა ჯარს გამოეყო, ბენი ქურაიზას ტომის მეთაურ ქა’ბის სახლში მივიდა, საკუთარი თავი წარუდგინა და უთხრა: „ქა’ბ, ყურაიშის ჯარი სრული შემადგენლობით, ქინანეს, გათაფანისა და კიდევ რამდენიმე ტომისგან შემდგარი შენაერთებით, სულ ათი ათასი მეომარი აქაა. უკვე ვეღარ გადაგვირჩება, ვერც მუჰამმედი და ვერც მისი საჰაბეები. შევფიცეთ, სანამ მათ ძირფესვიანად გავჟლეტთ, მანამდე ფეხს არ მოვიცლით!“... ქა’ბმა მიუგო: „ვშიშობ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მუჰამმედსა და მუსლიმებს ვერ გავჟლეტთ, ხოლო ყურაიშები და

გათაფანის შვილები გვიღალატებენ, აქ მარტოდ დავრჩებით და ყველას ფეხქვეშ გაგვთელავენ“. მაგრამ ჰუეიმ იმედის მომცემი წინადადება შეთავაზა: „შიშის დასაძლევად ყურაიშისა და გათაფანის ტომიდან სამოცდაათი მძევალი მოითხოვე, სანამ ეს მძევლები შენთან იქნებიან, ისინი ვერ გიღალატებენ. იმ შემთხვევაში თუკი დამარცხდებიან და გაიქცევიან, მე თქვენ გვერდიდან არ მოგშორდებით და უბედურება დაე, მე მეწვიოს“. მან ამ ხერხით ჯერ ქა’ბი, შემდეგ კი სხვა იუდეველებიც შეაცდინა. სწორედ ასე დაარღვევინა ქა’ბს მუსლიმებთან დადებული შეთანხმება.

ამის შემდეგ ჰუიე წარმართთა ჯარში დაბრუნდა და მოახსენა, რომ ქურეიზას ტომი მუსლიმანებს ზურგიდან თავს დაესხმებოდნენ თავს.

მეშვიდე დღეს წარმათთა ათიათასიანი ჯარი მედინას დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან მიუახლოვდა და იქვე დაბანაკდა. ეს ბანაკი მუსლიმების მიერ გათხრილი სანგრების მიმდებარე ტერიტორიაზე იყო. წარმართების მიზანი, მრავალრიცხოვანი ჯარით შუქმოფენილი მედინას გაცამტვერება, შუამავლისა და მუსლიმების სრული ლიკვიდაცია და ისლამის ჩახშობა იყო. ასეთი მრავალრიცხოვანი ჯარისთვის წინააღმდეგობის გაწევა დიდ სიძნელეებტან იყო დაკავშირებული.

წარმართები სანგრების დანახვამ ძალიან გააკვირვა, მათ ასეთი რამ აზრადაც კი არ მოუვიდოდათ. გეგმები ჩაეშალათ, ვინაიდან სანგარი იმდენად ფართო იყო, რომ არაბული ცხენი მთელი სისწრაფითაც რომ გაეჭენებინათ, სანგარს ვერ გადალახავდნენ. თუ სანგარში ვინმე ჩავარდებოდა, იქიდან თავს ადვილად ვერ დააღწევდა. განსაკუთრებით ჯაჭვის პერანგიანი ჯარისკაცს გაუჭირდებოდა იქიდან ამოძვრომა.

როდესაც საყვარელმა შუამავალმა წარმართების მოსვლის შესახებ ინფორმაცია მიიღო, მაშინვე ექვსდღიანი მუშაობით გადაღლილი საჰაბეები შეკრიბა და სანგრის ახლოს სელის მთის კალთებზე განალაგა. უკან სელის მთა და ქალაქი მედინა, ხოლო წინ კი სანგარი და მის იქეთა მხარეს მტრის ჯარი იყო განთავსებული. მედინაში შუამავლის რწმუნებულად ისევ იბნი უმმი მექთუმ დატო-

ვეს, ხოლო ქალები და ბავშვები კი ციხესიმაგრეებში უსაფრთხოდ დააბინავეს. სამიათას კაციან ისლამის ჯარს 36 (ოცდათექვსმეტი) მხედარი ახლდა. ისლამის დროშას ზეიდ ბინ ჰარისე და სა'დ ბინ უბადე აფრიალებდნენ. ალლაჰის შუამავლს კარავი სელის მთის კალთაზე გაუშალეს.

მუსლიმებმა მტრის ჯარზე თვალყურის დევნება მთელი ყურადღებით დაიწყეს. ამ დროს, კეთილშობილი ომარი საყვარელი შუამავალის წინაშე წარსდგა და თქვა: „ალლაჰის შუამავალო, როგორც გავიგე, იუდეველი ქურეიზას ტომს დადებული შეთანხმება დაურღვევია და ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადება". ეს მოულოდნელი ამბავი რომ გაიგო, შუამავალმა შემდეგი სიტყვები წარმოსთქვა: ***„ჰაბუნალლაჰუ ვე ნიიმელ ვექილ", „უზენაესი ალლაჰი კმარა ჩვენთვის, ის რა მშვენიერი მოსარჩლე – ვექილია".*** ისლამის ჯარი ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა. წინ წარმართები იიყვნენ, ხოლო უკან მოღალატე იუდეველები.

ალლაჰის საყვარელმა შუამავალმა ძვირფასი ზუბეირ ბინ ავვამი ქურეიზას ტომის ციხესიმაგრეში გაგზავნა. ზუბეირი წავიდა მდგომარეობა შეისწავლა და ალლაჰის შუამავალს მოახსენა: „როცა ისინი ვნახე, ციხეებს რესტავრაციას უტარებდნენ, ხოლო ჯარი კი საბრძოლო წვრთნებს გადიოდა. გარდა ამისა, ცხოველების აღრიცხვას აკეთებდნენ და მოსახლეობიდან საქონელს აგროვებდნენ". ამის შემდეგ ქვეყნიერების უკეთილშობილესმა შუამავალმა სა'დ ბინ მუ'აზი, სა'დ ბინ უბადე, ჰავათ ბინ ჯუბეირი, ამრ ბინ ავფი, აბდულლაჰ ბინ რევაჰი ქურეიზას ტომთან მოსალაპარაკებლად გააგზავნა და იუდეველებს შეთანხმების გაგრძელება შესთავაზა.

ზემოთაღნიშნული ხუთი საჰაბე იუდეველი ქურეიზას ტომის ციხე-სიმაგრეში მივიდნენ და მოლაპარაკება გამართეს. სამწუხაროდ მოლაპარაკებამ უშედეგოდ ჩაიარა. მათ შეურაცხყოფაც კი მიაყენეს, ბოლოს დაამატეს: „ჩვენი ძმების ნადირისშვილების სამშობლოდან გაძევებით ხელფეხი შეგვიკარით. ვინ ყოფილა მუჰამედდი! ჩვენს შორის არანაირი სიტყვა და ზავი არ არსებობს. ფიცი გვაქვს მიცემული, თქვენ შუამავალს ერთხმად უნდა დაეს-

ხათ თავს და მას ბოლო უნდა მოვუღოთ. უდაოა რომ ჩვენს ძმებს გვერდით ამოვუდგებით და დავეხმარებით.”

სა’დ ბინ მუაზი მეგობრებთან ერთად ალლაჰის შუამავლის წინაშე წარსდგნენ და მდგომარეობა აუხსნეს. საყვარელ შუამავალმა განაცხადა: ***„ინფორმაცია საიდუმლოდ შეინახეთ, მხოლოდ მცოდნეთ განუმარტეთ, ვინაიდან ბრძოლა სიფრთხილისა და ცდომილებაში შეყვანისგან შესდგება.“***

საჰაბეები სანგრის პირას საყვარელ შუამავალს ელოდებოდნენ და აინტერესებდათ, თუ როგორ მოიქცეოდა ის... ცოტა ხნის შემდეგ კაცობრიობის სიამაყე საჰაბეებთან მიბრძანდა და ალლაჰი ადიდა. (ალლაჰუ ექბერ, ალლაჰუ ექბერ-ალლაჰი უდიდესი ალლაჰი უდიდესია) ამ ხმის გამგონე დიდებულმა თანამიმდევრებმაც ადიდეს ალლაჰი და სანარის მოპირისპირე მხარეს მყოფ ურწმუნოთა ჯარს გულები შიშით აღუვსეს. რადგან წარმართებმა ალლაჰის დიდების ხმა რომ გაიგეს, იფიქრეს, ეტყობა მუჰამმედმა და მუსლიმებს სასიხარულო ამბავი ამცნოო.

საყვარელმა შუამავალმა მუსლიმებს მიმართა: ***„მუსლიმო ხალხო, გაიხარეთ, უზენაესი ალლაჰის დახმარებითა და გამარჯვებით!“*** ამ სიტყვებით მან მათ მომავალი გამარჯვება უმახარობლა. დიდებულ საჰაბეებს იმ დღემდე უამრავ ლაშქრობაში ჰქონდათ მონაწილეობა მიღებული, ბედირისა და უჰუდის ომში იბრძოლეს, ძლიერი და მრავალრიცხოვანი წარმართთა ჯარი უზენაესი ალლაჰის ნებითა და წმინდა შუამავალის ვედრების წყალობით დაამარცხეს. ამიტომ მათ მტრის მიმართ არანაირი შიში ჰქონდათ და დარწმუნებული იყვნენ, ალლაჰის ნებიტა და მისი შუამავლის დახმარებით, მტერს ამჯერადაც დაამარცხებდნენ.

ყურაიშთა მოწინავე სარდლები და მათთან ერთად მოსული, ტომების მეთაურები, სანამ ერთობლივი იერიშზე გადავიდოდნენ, სანგრების გასწვრივ ისეთ ადგილებს ეძებდნენ, სადაც მოპირდაპირე მხარეზე გადასვლას შეძლებდნენ. სანგარი თავიდან ბოლომდე შემოიარეს და ბოლოს იმ ადგილზე მივიდნენ, სადაც მუსლიმებს სიჩქარის გამო, მიწის გათხრა ვერ მოესწროთ. ურწმუნოებმა გადაწყვიტეს, მედინასთვის სწორედ ამ ადგილიდან შეეტიათ. წარ-

მართი მებრძოლებიც მეთაურებს უკან მიჰყვებოდნენ, ჯერ სანგრებს შემდეგ კი დიდებულ საჰაბეებს გასცქეროდნენ და გაკვირვებას ვერ მალავდნენ. წარმართი მებრძოლები შემდეგ სიტყვებს იმეორებდნენ: „არა! ვფიცათ, რომ ეს არაბების ბრძოლის მეთოდი არ არის. ეჭვგარეშეა, რომ ამას მათ ის სპარსელი ასწავლიდათ“.

ყურაიშმა სარდლებმა მეომრებს ის ვიწრო ადგილი აჩვენეს, საიდანაც სანგრის მეორე მხარეს გადასვლა შეიძლებოდა და ჰკითხეს: „აბა, ვინ შეძლებს სანგრის საპირისპირო მხარეს გადასვლას?“ ჯარს მაშინვე ხუთი ცხენოსანი გამოეყო. ისინი სანგრის მეორე მხარეს უნდა გადასულიყვნენ და მუსლიმებტან დუელში უნდა ებრძოლათ. ცხენოსნებმა სისწრაფის ასაკრებად უკან დაიხიეს, ცხენებს თავები სანგრისკენ მიაბრუნებინეს და გადასახტომად მოემზადნენ. მთელი სისწრაფით გაჭენებული ცხენები ყველაზე ვიწრო ადგილიდან სანგრის მეორე მხარეს წარმატებით გადავიდნენ. მათთან ერთად უამრავმა ცხენოსანმა ისურვა გადასვლა, მაგრამ ამაოდ... ამ ხუთ ცხენოსანში ყველაზე ძლიერი ძლიერი იყო ამრ ბინ აბდი, რომელიც თავიდან ფეხებამდე ჯაჭვის პერანგში იყო ჩამჯდარი. ახოვანი ტანის ეს წარმართი მხილველებს შიშისზარს სცემდა. ამრ ბინ აბდი მუჯაჰიდებს მიუბრუნდა და ყვირილით მიმართა: „აბა გამოვიდეს მოედანზე ის ვინც ჩემთან შებრძოლებას გაბედავს.“

ამ დროს კეთილშობილი ალი გამოჩნდა, საყვარელი შუამავლის წინაშე წარსდგა და თხოვა: „ალლაჰის შუამავალო, ნება მომეცი, მას მე შევებრძოლო“. მას ჯაჭვის პერანგიც კი არა ეცვა. საჰაბეები მას კეთილი შურით უყურებდნენ. საყვარელმა შუამავალმა ნება დართო, თავისი ჯაჭვის პერანგი გაიხადა, კეთილშობილ ალის ჩააცვა, წელზე ხმალი შემოარტყა, თავზე ჩალმა შემოახვია და მისთვის ასეთი ვედრება აღავლინა: ***„ჩემო ალლაჰო! ბედირის ბრძოლაში ჩემი ბიძაშვილი უბეიდე, უჰუდის ბრძოლაში კი ბიძაჩემი ჰამზა შეჰიდად დაეცნენ. გვერდით მხოლოდ ბიძაშვილი, ალი შემომრჩა. შენ დაიფარე, დაეხმარე მას და ნუ დამტოვებ მარტოდ!“***

ვედრებისა და ალლაჰის დიდების ხმები ზეცას აყრუებდა, ამ დროს კი ალლაჰის ლომი ქვეითად წინ მიიწევდა. როდესაც ად-

გილზე მივიდა ცხენზე ამხედრებული ზორბა პიროვნების ამრ ბინ აბდის წინ გაჩერდა. ამრ ბინ აბდს თვალების გარდა ყველა ადგილი ჯაჭვის პერანგით ჰქონდა დაფარული, მან ეს მამაცი მეომარი ვერ იცნო და ვინაობა გამოჰკითხა. ალიმ უპასუხა: „მე ებუ თალიბის შვილი, ალი ვარ," ასეთი პასუხის შემდეგ ამრმა იგი, თითქოსდა, შეიცოდა და უთხრა: „ჩემო ძმიშვილო, მამაშენი ჩემი მეგობარი იყო, ამიტომაც შენი სისხლის დაღვრას არ ვისურვებდი. ისეთი მამაცი ბიძა რომელიც გაბედავდა ჩემთან შებრძოლებას იგი, არა გყავს?" კეთილშობილმა ალიმ ამრი შემდეგი სიტყვებით წააქეზა: „ამრ! ვფიცავ ალლაჰს, მე ვისურვებდი შენი სისხლის დაღვრას, მაგრამ როგორ ფიქრობ, თანასწორნი ხომ არ უნდა ვიყოთ? მამაცს ასე არ შეშვენის? მე ქვეითად ვარ, შენ კი ცხენზე ხარ ამხედრებული."

ამ სიტყვების გამგონე ამრს პატივმოყვარეობის ძარღვები დაეჭიმა და მაშინვე ძირს ჩამოხტა, ცხენს ფეხები მიაჭრა, შემდეგ კი, ბრაზმორეული, კეთილშობილი ალის წინაშე წარსდგა. სადაცაა თავს უნდა დასხმოდა რომ ალლაჰის ლომმა ჰკითხა: „ამრ, გავიგე ფიცი მიგიცია, რომ თუ ბრძოლაში რომელიმე ყურაიშს შეხვდებოდი, ორი სურვილიდან ერთს აუსრულებდი, ეს მართალია?" ამრმა მიუგო: „დიახ, მართალია". – „მაშ, ჩემი პირველი სურვილი ასეთია, მინდა, უზენაესი ალლაჰისა და მისი შუამავლის, მუჰამმედის ირწმუნო და მუსლიმი გახდე" ალის ამ სიტყვებმა ამრი ძალიან გააბრაზა და მან იყვირა: „ეს არ მჭირდება!". ალიმ უთხრა: „კარგი, ჩემი მეორე სურვილია, ბრძოლას თავი დაანებო და მექქაში დაბრუნდე. ვინაიდან თუ ალლაჰის შუამავალი მტერს დაამარცხებს, ასეთი მოქმედება მასზე დახმარებად ჩაგეთვლება!" ამრმა ისევ ცივი უარი უთხრა: „არც ეს მაინტერესებს! სანამ შურს ვიძიებ, აქედან ფეხს არ მოვიცვლი, სხვა სურვილი თუ გაქვს, თქვი!"კეთილშობილი ალი ამ სიტყვებმა გააბრაზა და უთხრა: „ალლაჰის მტერო, შენთან ბრძოლის გარდა სხვა გზა აღარ დამრჩენია". ამრს გაეცინა და თქვა: „საოცარი სიმართლეა, რადგან ვერასოდეს წარმოვიდგენდი რომ არაბეთის მხარეში ისეთი გულადი იქნებოდა, რომელიც ჩემს წინაშე ასე გაბედულად წარსდგებოდა. ძმიშვილო, გეფიცები, არ მინდა შენი მოკვლა, რადგან მა-

მაშენი ჩემი მეგობარი იყო. ყურაიშელტა მოდგმიდან ებუ ბექრისა ან ომარის მსგავსთან ვისურვებდი ბრძოლას.“ როდესაც კეთილშობილმა ალიმ მიუგო, თუნდაც ასე იყოს, მე აქ შენს მოსაკლავად მოვედიო, ამრს სისხლმა ტვინში აასხა. მან ხმალი მოიმარჯვა და მეტოქეს შეუტია. სწორედ ასეთი მანევრის მოლოდინში იყო ძვირფასი ალი. იგი არ დაბნეულა, მარდად გადახტა გვერდზე და მოქნეულ ხმალს ფარი შეაგება, მაგრამ ამრს უამრავი ასეთი ფარი ჰქონდა დამსხვრეული... მის ძლიერ დარტყმას ვერაფერი უძლებდა. ამჯერადაც ასე მოხდა და ალის ფარიც დაიმსხვრა, ამასთან ერთად ხმალს წვერი მოტყდა. ახლა უკვე დარტყმის ჯერი კეთილშობილ ალიზე მიდგა. მან ალლაჰის ახსენა და ზულფიყარი ამრის თავზე დაუშვა. დარტყმისთანავე ისლამის ჯარის მიერ გამოცემული ალლაჰის სადიდებელი ხმები არემარეში აჟღერდა. ურწმუნოთა ჯარის კივილის ხმები კი ზეცას აყრუებდა. დიახ, უზენაესმა ალლაჰმა შუამავალთა წინამძღოლის ვედრება ისმინა. გოლიათი კაცი მიწაზე გაშხლართულიყო, სხეულიდან ნიაღვარივით სისხლი სდიოდა თავი კი მუზარადთან ერთად გაფრენილიყო. როდესაც წარმართებმა თავიანთი მოკლული ფალავანი დაინახეს, მაშინვე ალის დაესხნენ თავს. საჰაბეებიც იქიტკენ გაიქცნენ, ზუბეირ ბინ ავვამი და ნევფელ ბინ აბდულლაჰი დაჭრეს და ცხენებტან ერთად სანგარში ჩააგდეს. კეთილშობილი ალი მათ სანგარში ჩაჰყვა და ნევფელი შუაზე გადაჭრა. დანარჩენმა წარმართებმა სანგარი ძლივს გადალახეს და თავს გაქცევით უშველეს. წარმართთა ჯარის მთავარსარდალი კი ჯერ კიდევ ბრძოლის დებიუტში უიმედობას მიეცა.

ესეც იყო ბრძოლის ფორმა დანიშნულიყო. მხოლოდ სანგარი აბრკოლებდა ხელჩართული ბრძოლის დაწყებას. ისრების სსროლით უნდოდათ ერთმანეთისთვის ზიანის მიყენება მიყენება, მაგრამ ასეთი ბრძოლას დროის გაწელვის გარდა არანაირი შედეგი მოჰქონდა... წარმართები მიხვდნენ, რომ ასე ვერაფერს მიაღწევდნენ და ამიტომ სანგრის მთელ პერიმეტრზე შეტევა გადაწყვიტეს. ათიათასკაციანიანი მტრის ჯარი სანგარს მიაწყდა და მეორე მხარეს გადასასვლელად ძალ-ღონეს არ იშურებდა. სამიათასკაციანი დიდებული ისლამის ჯარი კი ისრებისა და ქვების სრო-

ლით მტერს წინ ეღობებოდა სანგრის გადალახვის საშუალებას არ აძლევდა. სასტიკი ბრძოლა, რომელმაც საღამომდე გასტანა, უკვე დაწყებულიყო

უკეთილშობილესმა შუამავალმა ღამით სანგრის სხვადასხვა მონაკვეთებზე გუშაგები დააყენა. მედინაში კი ხუთას კაციანი რაზმი წარგზავნა და დაავალა მედინას ქუჩებში ხმამღლა ალლაჰის დიდების ხმები ეჟღერებინათ. ასე იუდეველებისა და ყურეიშელი წარმართებისგან მოსალოდნელი საფრთხეს თავიდან აიცილებდნენ და ქალები და ბავშვებიც დაცული იქნებოდნენ. ბრძანების გაცემის შემდეგ თავად სანგრის ვიწრო ადგილას მივიდა და გუშაგობას შეუდგა.

ქურეიზას ტომის იუდეველებმა კი ჰუიეი ბინ აჰთაბი წარმართებთან გაუშვეს და ღამით მუსლიმებზე იერიშის მისატანდ ორიათასიანკაციანი შენაერთის გაგზავნა ითხოვეს. იუდეველებს ღამით დაუცველ ქალებსა და ბავშვებზე ტავდასხმა და მათი აწიოკება ჰქონდათ განზრახული. მაგრამ დილამდე ქალაქში მუჯაჰიდების პატრულირებამ და ალლაჰის სადიდებელმა შეძახილებმა (ალლაჰუ ექბერ) მათ გულებში შიში ჩანერგა. ისინი ციხესიმაგრეში დაბრუნდნენ და ხელსაყრელი მომენტს დაელოდნენ.

ერთ ღამეს, ქურეიზას ტომის მოწინავეთაგან, გაზზალმა ათკაციანი ამალით, საყვარელი შუამავლის მამიდას, საფიეს საცხოვრებელ კოშკამდე მიღწევა შეძლო. სახლში ქალები და ბავშვები იყვნენ, რომლებსაც თავის დასაცავად არანაირი იარაღი გააჩნდათ. იუდეველებმა ჯერ სახლს ისრები დაუშინეს, შემდეგ კი შიგნით შესვლა სცადეს. ერთ-ერთმა მათგანმა ეზოში შესვლა მოახერხა და სახლში შესასვლელად სხვადასხვა გზები ეძება, ამ დროს საყვარელი შუამავლის გულადმა მამიდამ ოჯახის წევრები დაარიგა, რომ ხმა არ ამოეღოთ. შემდეგ ქვევით კართან ჩავიდა, ლეჩაქი მაგრად მოიხვია თავზე, ისე რომ მამაკაცს დამსგავსებოდა, ხელში ლატანი აიღო და წელზე დანა დაიმაგრა. ფრთხილად კარი გააღო, იმ იუდეველს უკნიდან მიეპარა და ლატანი მთელი ძალით თავში ჩაარტყა, შემდეგ წამიც კი არ დაუკარგავს და ძირს დავარდნილ იუდეველს სული გააფრთხობინა. ბოლოს მოკლული

იუდეველის თავი გარეთ მყოფ იუდეველებს გადაუგდო. როდესაც იუდეველებმა მეგობრის მოჭრილი თავი თავიანთ ფეხებთან ნახეს შიშის ზარი დაეცათ და გაქცევით უშველეს თავს, თან გაიძახოდნენ: „მუსლიმებმა გვითხრეს, არცერთი ჩვენგანის სახლში კაცი არ დაგვიტოვებიაო.“

დილით ბრძოლა ანალოგიური სისასტიკით განახლდა, ისრები ჰაერში დაფრინავდა... ალლაჰის შუამავალმა დიდებულ ესჰაბს მოთმინებისაკენ მოუწოდა და შემდეგი სიტყვებით მიმართა: ***„ყოვლისშემძლე უზენაეს ალლაჰს ვფიცავ, რომ იმ სიძნელეებს რომლების თავს დაგვატყდა, უეჭველად გადავლახავთ და თქვენ აუცილებლად სიხარული გეწვევათ.“*** ამ სიტყვებით წმინდა შუამავალმა მორწმუნეებს მომავალი გამარჯვება უმახარობლა. საჰაბეებმა ასეთი სასიხარულო ინფორმაციის მიღების შემდეგ შიმშილი, სიძნელეები და გაჭირვება დაივიწყეს და მთელი სულითა და გულით გამარჯვებისკენ გაემართნენ. არცერთ ურწმუნოს არ მისცეს იმის უფლება რომ სანგარი გადმოელახათ, მუსლიმთა მოწინავეთაგან ძვირფას სა'დ ბინ მუ'აზი უდიდესი მამაცობით იბრძოდა, მაგრამ ბრძოლის დროს წარმართ ჰაბბან ბინ ქაის ბინ არაქას მიერ გასროლილმა ისარმა მხარში დაჭრა, ისარმა მსხვილი სისხლძარღვი დაუზიანა და ბევრი სისხლიც დააკარგვინა. ძვირფასმა სა'ადი, როცა ნახა, რომ ირგვლივ მყოფი მეგობრები თავს დასტრიალებდნენ და ყველა ცდილობდა სისხლდენის შეჩერებას, მიხვდა რომ მდგომარეობა საკმაოდ სერიოზული იყო და ყოვლისშემძლე ალლაჰს შეავედრა: „ჩემო გამჩენო, თუ ყურაიშებთან ბრძოლა ისევ უნდა გაგრძელდეს, გთხოვ, სიცოცხლე მაჩუქე. რადგან არაფერი მსიამოვნებს ისე, როგორც შენი შუამავლის მწვალებელი და უარმყოფელი წარმართების წინააღმდეგ ბრძოლა და თუ ჩვენს შორის ბრძოლა დასასრულს მიუახლოვდა, შეჰიდად დაცემა მაღირსე. სანამ არ დავინახავ, თუ რა ბედი ეწვევათ ყურაიშებს, მანამდე მაინც მაცოცხლე“ ალლაჰმა მისი ვედრება ისმინა და სისხლდენაც შეწყდა

ფარისევლები, რომლებიც, თითქოსდა, საჰაბეებთან ერთად იბრძოდნენ, საკმაოდ უღიმღამოდ მოქმედებდნენ და არც წინა ხაზს უახლოვდებოდნენ. გარდა ამისა, ყველაფერს აკეთებდნენ

იმისათვის, რომ მუჯაჰიდებისთვის მხნეობით აღსავსე საბრძოლო განწყობა როგორმე მოეშალათ. ისინი გაიძახოდნენ: „მუჰამმედი კეისრისა და ქისრას ხაზინებს გვპირდება, თუმცა ჩვენ სანგარში ვართ მომწყვდეულები და შიშისგან საპირფარეშოშიც კი ვერ გავ-დივართ. ალლაჰის შუამავალი თავისი დაპირებებით გარდა ჩვენი ცდუნებისა არაფერს აკეთებს“. ოდნავადაც რომ გაუჭირდებოდათ, ოჯახების დაცვის მომიზეზებით, ბრძოლის ველს ტოვებდნენ და სახლებში მიდიოდნენ. ისლამის ჯარისთვის ფარისეველთა ასეთი ქმედებები დიდი ზიანის მომტანი იყო.

წარმართთა ჯარი სასურველის მისაღწევად მთელი მონდომე-ბით იბრძოდა, მაგრამ საჰაბეების მამაცური წინააღმდეგობის დაძლევას ვერაფრით ახერხებდნენ. ყველაზე გააფტრებული ბრძოლები იმ ვიწრო გასასვლელტან მიმდინარეობდა, სადაც სიჩ-ქარის გამო მუსლიმებმა სანგრის გათხრა ვერ შეძლეს. საყვარელი შუამავალიც ამ ვიწრო მონაკვეთს არ შორდებოდა და საჰაბეებს მხნეობისკენ მოუწოდებდა. მუსლიმებიც, რომლებიც შუამავლ-თან ერთად ბრძოლას, ღირსებად აფასებდნენ, ბრძოლის ველზე არაჩვეულებრივ გმირობით გამოირჩეოდნენ.

წარმართთა ერთადერთი მიზანი ისალმის ძირფესვიანად ჩახ-შობა იყო და ამისთვის დიდი მონდომებით იბრძოდნენ კიდეც, მა-გრამ როცა მიხვდნენ, რომ დღისით განხორციელებული იერიშები არანაირ შედეგს იღებდა. შეტევაზე გადასვლა ღამით გადაწყ-ვიტეს. ეს გეგმა სისრულეში მოიყვანეს და იუდეველი ქურეიზას ტომთან ერთად ღამით შეტევაზე გადავიდნენ. წარმართებმა ჯარი ჯგუფებად დაჰყვეს და იერიშებს რიგ-რიგობით ახორციელებდნენ. ასე გაგრძელდა რამოდენიმე დღე, საყვარელი შუამავლის მეთაუ-რობით უძინარი, მშიერ-მწყურვალი საჰაბეები თავდაცვთ ბრძო-ლებს აგრძელებდნენ. არცერთ მოწინააღმდეგე მეომარს სანგარზე გადმოსვლის საშუალება არ მისცეს. ეს ომი, რომელშიც ისლამის ჯარი მთელ თავის ძალისხმევას არ იშურებდა, წინანდელ ყველა ლაშქრობასთან შედარებით უფრო, საშინელი, მძვინვარე და ძნე-ლი იყო.

ბრძოლის დაწყებიდან რამდენიმე დღე იყო გასული. ამ ხნის

განმავლობაში წარმართებს საკვების ნაკლებობა არ განუცდიათ, მაგრამ ბოლოს პროდუქტები მათაც გამოელიათ და შესაბამისად შიმშილმა ისინიც შეაწუხა. შიმშილისგან ცხენები და აქლემებიც იხოცებოდნენ. ამის გამო, წარმართთა ჯარის სარდალმა ქურეიზას იუდეველებთან, სურსათის მარაგის შესავსებად, დირარ ბინ ჰატ-ტაბის მეთაურობით შენაერთი გაგზავნა. იუდეველები, რომლებიც ურწმუნოებს რაც ებადათ ყველაფერს აძლევდნენ, ამჯერადაც ასე მოიქცნენ და მაშინვე ოცი აქლემი ხორბლით, ქერით, ხურ-მითა და პირუტყვისთვის საჭირო ხმელი ბალახით დატვირთეს და წარმართებს გადასცეს. დირარი მეომრებთან ერთად გახარებუ-ლი გაუდგა გზას, მაგრამ კუბასთან ახლოს მათ საჰაბეთა ჯგუფი დახვდათ. ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა. საჰაბეებმა წარ-მართები გაიტაცეს, ხოლო სურსათით დატვირთული აქლემები საყვარელ შუამავალს მოუყვანეს.

წმინდა შუამავალს, დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში, თავგანწირვით მებრძოლი თანამიმდევრები ძალიან ეცოდებოდა და მათ მიმართ დიდ გულისხმიერებას იჩენდა. მათი ასეთი ზეა-დამიანური შემართების შემყურე, კაცობრიობის სიამაყე, ბოლო დღეებში, ხშირად, უზენაეს ალლაჰს ასე ევედრებდა: ***„გაჭირვე-ბულთა დამხმრევ, ხელმოკლებთა და სასოწარკვეთილთა ვედრების მსმენელო ალლაჰ! უეჭველია იცი და ხედავ თუ რა მდგომარეობაშია ჩემი ესჰაბი. შენ დაამარცხე ურწმუნონი, მათში განხეთქილება ჩააგ-დე და მათ წინააღმდეგ გამარჯვება და სიხარული მოგვეცი!...“***

შიმშილობით შეწუხებული წარმართები, ისლამის გასანადგუ-რებლად მთელი შემართებით იბრძოდნენ. ერთ საღამოს წარ-მართთა ჯარიდან საყვარელ შუამავლთან ერთი პიროვნება მივი-და, რომელსაც გულში ისლამის მიმართ დიდი სიყვარული ჰქონდა. იგი გათაფეს ტომიდან იყო და სახელად ნუაიმ ბინ მესუდი ერქვა. იგი შუამავლის წინაშე წარსდგა და თქვა: ალლაჰის შუამავალო! შენ წინაშე მოვედი რათა ვაღიარო, რომ არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა და შენ კი მისი შუამავალი ხარ, მადლობა ყოვ-ლისშემძლე ალლაჰს ისლამით რომ გავცისკროვნდი. დღემდე თქვენს წინაღმდეგ ვიბრძოდი, ამიერიდან კი თქვენ საკეთილდ-ღეოდ გავირჯები. მზად ვარ ნებისმიერი თქვენი ბრძანება პირნ-

ათლად შევასრულო! ***ალლაჰის შუამავალო, მინდა გამცნოთ რომ ჩემმა ტომმაც ჩემი გამუსლიმების შესახებ არაფერი იცის“.*** საყვარელ შუამავალმა მას ასეთი დავალება მისცა: „შეგიძლია, ურწმუნოთა შორის განხეთქილების ჩამოაგდო და მათ ერთამენთისგან გასაყოფად იმუშაო? – ***„წმინდა შუამავალო, ყოვლისშემძლე ალლაჰის ნებით, შევძლებ დავალების შესრულებას“*** – მიუგო ახლადგამუსლიმებულმა ნუაიმმა.

ამის შემდეგ იგი, თავდაპირველად, ქურეიზელ იუდეველებთან მივიდა და უთხრა: „ძალიან მიყვარხართ და მინდა მნიშვნელოვანი რამ გითხრათ. ოღონდ, დავიფიცოთ, რომ ახლა რაზეც მოვილაპარაკებთ, ჩვენს გარდა არავინ უნდა გაიგოს.“ მან შემდეგი წინადადება წამოაყენა: „ყველა იცით, რომ ამ კაცის (წმინდა შუამავლის) საქმე ჭირივით გვაქვს აკიდებული, კარგად იცით, თუ რა დღე დააყარა ნადრისა და ქაინუქას ტომს, ყველა თქვენთაგანმა ნახეთ, რომ ისინი სამშობლოდან, მათი კერებიდან გააძევა. დღეს ყურაიშები და გათაფანები აქ იბრძვიან, თქვენ კი მათ ეხმარებით. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დღეა, რაც ვომობთ, შედეგი არსად ჩანს. თუკი ასე გაგრძელდება, როგორც ჩანს, ბლოკადა დიდხანს არ მოიხსნება. ყურაიშებსა და გათაფანებს ადგილ-მამული, სამშობლო, შვილები თქვენსავით აქ, ახლოს არ ჰყავთ. თუ ამ ომში გაიმარჯვებენ, დროს იხელთებენ, ნადავლს აკრეფენ და წავლენ, თუ დამარცხდებიან მაშინაც თავიანტ სამშობლოში დაბრუნდებიან და თქვენ მარტოდმარტო დაგტოვებენ. თქვენ კი მხოლოდ საკუთარი ძალებით მუსლიმების წინააღმდეგ ბრძოლისათვის ძალა არ შეგწევთ. ამჟამინდელი ვითარება კი, როგორც ვხედავ, მათ მოსალოდნელ გამარჯვებაზე მიგვანიშნებს. თუ მართლა ასე მოხდება მუსლიმები აგკუწავენ და არცერთ თქვენფანს ცოცხალს არ დატოვებენ. ამიტომ სასწრაფო ზომების მიღება გჭირდებათ.“

იუდეველები ნუაიმს უდიდესი მღელვარებითა და გულისყურით უსმენდნენ, ბოლოს მას ყველაფრისთვის დიდი მადლობა გადაუხადეს და უთხრეს: „შენი ჩვენდამი მეგობრობა ღირსეულად წარმოაჩინე, ბარემ ისიც გვითხარი რა სახის ზომები უნდა მივიღოთ?“ სწორედ ამას ელოდა ნუაიმიც, მან თქვა: „რაც მთავარია, ყურაიშ და გათაფანელ დიდგვაროვანთაგან მძევლების აყვანის გარეშე,

მუსლიმების წინააღმდეგ ბრძოლაზე არავითარ შემთხვევაში დათანხმდეთ. სანამ მძევლები თქვენთან იქნებიან ისინი ბრძოლის ველს ვერ მიატოვებენ და ვერ გაიქცევიან“. იუდეველებს ძალიან მოეწონათ ნუაიმის შეთავაზება, მას კარგად გაუმასპინძლდნენ და დიდი მადლობა გადაუხადეს.

ამის შემდეგ ნუაიმი პირდაპირ ყურეიშელების ადგილსამყოფელისკენ გაემართა. მივიდა და ჯარის სარდლებს მიმართა: „კარგად იცით, მუჰამმედის მიმართ ჩემი მტრული დამოკიდებულების შესახებ და ისიც, რომ თქვენდამი დიდი სიყვარული მამოძრავებს. თქვენდამი მეგობრული სიყვარულიდან გამომდინარე ვალდებულად ვთვლი თავს რაც გავიგე, თქვენც გადმოგცეთ. მაგრამ პირობა უნდა დადოთ, დაიფიცოთ, რომ რასაც გეტყვით, საიდუმლოდ შეინახავთ!“ როცა ყურაიშებმა დაიფიცეს, რომ ამ მოლაპარეკების შესახებ არავის არაფერს ეტყოდნენ, ნუაიმმა მათ უთხრა „იცოდეთ, რომ ქურეიზელი იუდეველები თქვენტან დადებულ შეთანხმებას ნანობენ და მუჰამმედისთვის უცნობებიათ, ყურაიშთა და გათაფანელთა დიდებულთაგან რამდენიმე მძევალს მოგცემტ და თავები მოჰკვეთეთ, შემდეგ გავერთიანდეთ და წარმართებს მათ სრულ განადგურებამდე ვებრძოლოთო. ოღონდ ჩვენი ძმები ნადირისშვილები გაათავისუფლე და სამშობლოში ცხოვრების უფლება მიეციო. მუჰამმედიც იუდეველების ამ შემოთავაზებას დათანხმებია. დაიმახსოვრეთ, თუ იუდეველები მძევლებს მოგთხოვენ, ფრთხილად იყავით არ მისცეთ, თორემ ყველას მოკლავენ. ყურაიშებმა ამ მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციისთვის მას მადლობა გადაუხადეს.

ნუაიმი ამის შემდეგ გათაფანებთან მივიდა და მათაც იგივე დეზინფორმაცია მიაწოდა.

მეორე დღეს ყურაიშთა სარდალმა ქურეიზელებს აცნობა: „ჩვენი აქ გაჩერება უკვე შეუძლებელია, ვინაიდან ცივი ამინდია და პირუტყვიც შიშმილისგან გვეხოცება. ამაღამ კარგად მოვემზადოთ და ხვალ ერთობლივი შეტევა გავნახორციელოთ“. იუდეველებმა მიუგეს: „ჯერ ერთი, ჩვენ შაბათ დღეს არ ვომობთ და მეორეც, თქვენთან ერთად რომ ვიბრძოლოთ, ამისათვის წარჩინებულთაგან

რამდენიმე კაცი მძევლად უნდა გადმოგვცეთ. რადგან ბლოკადა დიდხანს რომ გაგრძელდეს და დავმარცხდეთ, თქვენ სამშობლოში გაქცევით უშველით თავს, მაგრამ ჩვენ მუჰამმედთან მარტონი დავრჩებით. თუ მძევლებს დაგვიტოვებთ, იმათ ვეღარ მიატოვებთ და არ გაიქცევით.“ ყურაიშთა სარდალმა, ეს ამბავი რომ მიუვიდა, თქვა, ნუაიმს მართალი უთქვამს ჩვენთვისო და შემდეგ იუდეველებს აცნობა: „მძევლად ერთ კაცსაც არ მოგცემთ, თუ ხვალ მოხვალთ და ჩვენთან ერთად იბრძოლებთ ამას რა აჯობებს, ხოლო თუ ასე არ იზამთ, მაშინ სამშობლოში დავბრუნდებით თქვენ კი მუჰამმედი ბოლოს მოგიღებ.“ ქურაიზელმა იუდეველებმა ეს რომ გაიგეს, იფიქრეს, ნუაიმს მართალი უთქვამსო და წარმართებს შეუთვალეს, თუ ასეა, არც თქვენთან ერთად დავდგებით და არც მუსლიმების წინააღმდეგ ვიბრძოლებთო. ამგვარად წარმართებშიც და იუდეველებშიც ერთმანეთის მიმართ უნდობლობამ დაისადგურა.

იმ დღეს წმინდა შუამავალს ჯებრაილ ანგელოზი გამოეცხადა და ამცნო: ***„უზენაესი ალლაჰი წარმართებს ძლიერი გრიგალით გაანადგურებს.“*** ამ ზეშთაგონების მიღებამ შუამავალი ძალიან გაახარა, მუხლებზე დაიჩოქა. ხელები აღმართა და უზენაეს ალლაჰს უდიდესი დახმარებისთვის მადლობა შესწირა. შემდეგ კი ეს სასიხარულო ამბავი გმირულად მებრძოლ საჰაბეებს უმახარობლა.

შაბათის ღამე იყო, ირგვლივ სამარისებური სიბნელე მეფობდა. ჯერ საშინლად აცივდა შემდეგ კი ძლიერი გრიგალი ამოვარდა. ამ ღამის შესახებ ჰუზეიფეთ უბნუ იემეანი ასე მოგითხრობს:

„იმ ღამეს ისეთი უკუნეთი იყო, რომ ასეთი სიბნელე არასდროს მინახავს. ჯერ ჭექა-ქუხილი დაიწყო, შემდეგ კი ძლიერი გრიგალი ამოვარდა. შუამავალმა გვამცნო რომ წარმართების ჯარს შიშის ზარი დაეცა და მატსა და იუდეველებს შორის განხეთქილება ჩამოვარდა. ჩვენ კი სიცივისა და შიმშილისგან ფეხზე ვერ ვდგებოდით. რაღაც რაღაცეები დავიხურეთ და ლოდინი დავიწყეთ.

ამგვარად, მორწმუნეები მთელი ძალებით იბრძოდნენ. მხოლოდ ნუამმა, რომელიც გათაფანის ტომის წინამ-ძღოლთაგანი იყო და

შუამავლის ისტრუქციით – „ომი ხრიკიაო“[1], – ხელმძღვანელობდა: კერპთაყვანისმცემ-ლებსა და ბენი ქურაიზას გათიშვა მოახერხა. მედინაზე გარშემორტყმული ტომები გაიყვნენ და უთანხმოება ჩამოუვარდათ. ყველას ერთმანეთის ეშინოდა. საბოლოოდ ებრაელები ნუამის ხრიკებზე წამოეგნენ და ციხეებში ჩაიკეტნენ. მორწმუნეები კვლავაც საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იყვნენ. წმინდა შუამავალსა და მის თანამიმდევრებს, რომლებიც წარმართების ალყაში იყვნენ მოქცეულნი და მძიმე გამოცდის წინაშე იდგნენ, შემდეგი აიათი მოევლინათ:

„თუ... გეგონათ, რომ შეხვიდოდით სამოთხეში ისე, რომ არ დაგემართებოდათ თქვენამდე ნამყოფთა მსგავსი? გაჭირვება და განსაცდელი, რომ დაატყდათ

თავს, ისე შეძრწუნდნენ, რომ შუამავალი და მასთან ერთად მორწმუნეებიც ამბობდნენ: როდისღა იქნება შველა ალლაჰისაგან? – უწყოდეთ, უეჭველად, ალლაჰის შველა ახლოსაა!“[2]

ალლაჰის შუამავალმა ხელები მაღლა აღაპყრო და ღმერთს შეევედრა:

„ღმერთო ჩემო! დიდებული ყურანის მომვლენო ალლაჰო! ღმერთო, მტრების სწრაფად მოანგარიშევ! შენ მედინას წინ შეკრებილი ეს არაბული ტომები დაშალე! ჩემო ალლაჰო! მათი ნებისყოფა გატეხე და ადგილებზე ნულარ გააჩერებ!“[3]

ალლაჰის შუამავალს ეს ვედრება დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ღმერთის დახმარება მართლაც მოვიდა. მტრის რიგების მიმართულებით საშინელი ქარიშხალი ატყდა. რომელიც ყველაფერს ფანტავდა, მედინას დაბლობებში არსებულ მტვერსა და მიწას კერპთაყვანისმცემლებს პირდაპირ სახეში აყრიდა. კარვებს არღვევდა და ჰაერში აფრიალებდა, საჭმლის ქვაბებს აბრუნებდა, ცეცხლს აქრობდა, სატვირთო აქლემებსა და ჯარისკაცთა ცხენებს ერთმანეთს ახეთქებდა.[4]

1. ბუჰარი, ჯიჰადი, 157, მუსლიმი, ჯიჰადი, 17.
2. სურა ბაყარა, აიათი 214.
3. ბუჰარი, მეღაზი, 297.
4. იხ. იბნ სადი, II, 71.

წარმართები რომელთაც ეს ზეციური კატასტროფა და ღვთიური რისხვა დაატყდათ თავს, საცოდავ მდგომარეობაში ჩავარდნენ, აირივ-დაირივნენ. აბუ სუფიანიც კი, რომელიც ომში ვერაგულად იბრძოდა, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა და ჯარისკაცებს უთხრა:

„მე უკან ვბრუნდები. თქვენც თავს უშველეთ!“ – აქლემზე შეჯდა და მექასაკენ მოკურცხლა.[5]

უდიდესმა ღმერთმა მორწმუნეებს დახმარება გამოუგზავნა, აიათში ასეა ნაბრძანები:

„მორწმუნენო, გაიხსენეთ ალლაჰის მოწყალება თქვენ-დამი: როცა თქვენ ჯარები გესხმოდა თავს, ჩვენ გავუგზავნეთ მათ საწინააღმდეგოდ ქარიშხალი და მხედრობა, რომელსაც თქვენ ვერ ხედავთ, ალლაჰი კი ხედავდა, რასაც თქვენ აკეთებდით.“[6]

„ალლაჰი განრისხდა და უკუჰყარა ურწმუნონი; ისინი ვერ მიაღწევენ ვერავითარ სიკეთეს. ბრძოლაში ალლაჰის *(დახმარება)* ***საკმარისი იყო მორწმუნეთათვის. ალლაჰი ყოვლის შემძლე და უძლიერესია.“***[7]

არეულ-დარეული მტრის ჯარი გაიქცა. მათ ბრძოლის ველზე აქლემები, საომარი იარაღები, სურსათ-სანოვაგე და სხვა ბევრი ალაფი დატოვეს. ამის გამო მედინაში გაჭირვება აღარ იყო. ალლაჰის შუამავალმა ამ ღვთიური წყალობისა და დიდი გამარჯვების შემდეგ თანამიმდევრებს უთხრა:

„ახლა თქვენი ჯერია! ამის შემდეგ ყურაიშები თქვენზე აღარ გამოილაშქრებენ!“[8]

ამგვარად, მან აღნიშნა, რომ ამის შემდეგ შეეძლოთ მარტო თავდაცვითი კი არა, თავდასხმითი ომიც ეწარ-მოებინათ. ახლა არა მარტო კერპთაყვანისმცელების სიამაყე, არამედ მათი შემტევი ძალებიც განადგურებული იყო. ყველა მორწმუნე ალლაჰის

5. იხ. იბნ ჰიშამი, III, 251.
6. სურა აჰზაბი, აიათი 9.
7. სურა აჰზაბი, აიათი 25.
8. ბუჰარი, მეღაზი, 29.

შუამავლის წარმოთქმულ ამ ჭეშმარიტებას ეთანხმებოდა და ხმამაღლა ამბობდა:

„ამის შემდეგ, მათზე ჩვენ გავილაშქრებთო!“

ბენი ქურაიზას ომი

(23 ზილქადე, 5/15 აპრილი, 627 წ.)

„სანგარის ომი“ მოიგეს. მტერი აზარალეს და მედინაში დაბრუნდნენ. ალლაჰის შუამავალი სახლში მივიდა ჩვეულებისამებრ, აბჯარი გაიხადა და ბანაობა დაიწყო. ამ დროს ჯებრაილი მოვიდა და უთხრა:

„იარაღი უკვე მიატოვე? ჩვენ ჯერ არ მიგვიტოვებია!“

ალლაჰის შუამავალმა ჰკითხა:

„ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა გავილაშქროთ? სად?“

ჯებრაილმა ბენი ქურაიზას ტომის სამშობლოზე მიუთითა. მათ ომის დროს შუამავალს უღალატეს. როგორც ებრაელებმა, ბენი ქურაიზამაც ალლაჰის შუამავალთან დადებული შეთანხმება დაარღვია და ყველაზე მძიმე მომენტში უღალატა. მათ შორის დადებული შეთანხმების თანახმად, როცა მედინას კერპთაყვანისმცემლები დაესხმოდნენ თავს, ისინი ქალაქის დასაცავად უნდა გამოსულიყვნენ. მაგრამ ისინი პირიქით იქცეოდნენ. ყოველი ხელსაყრელი შემთხვევისას ათასგვარ ვერაგობასა და სისაძაგლეს ჩადიოდნენ. ამგვარად თავიანთი სამარე საკუთარი ხელით გაითხარეს.

როგორც კი ღმერთისაგან ბრძანება მიიღო, წმინდა შუამავალმა მაშინვე მორწმუნეები შეკრიბა და ბენი ქურაიზაზე გაილაშქრა.

„ვინც მისმენს და მემორჩილება, ნაშუადღევის ნამაზი არ უნდა ილოცოს მანამ, სანამ ბენი ქურაიზას სამშობლოში არ მივაღწევთ!“ – ბრძანა და გზას დაადგა. ასე რომ, ებრაელები ბრძოლისთვის მომზადებას ვეღარ მოასწრებდნენ.[9]

9. ბუჰარი, მეღაზი, 30.

როგორც კი ებრაელებმა დაინახეს წმინდა ალის მეთაურობით მომავალი მოწინავე ძალა, იმის ნაცვლად რომ მოენანიებინათ ყველაფერი ის, რაც ჩაიდინეს, განრისხდნენ და ალლაჰის შუამავლის მისამართით ათასგვარი სისაძაგლე ილაყბეს. ხმა ჩაიწყვიტეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა ალლაჰის შუამავლის მეთაურობით მომავალი სამიათას კაციანი ისლამური არმია დაინახეს. ებრაელებმა მის შიშით, თავიანთი ნათქვამი მაშინვე უარყვეს.

უსეიდ იბნ ჰუდაირმა მათ უთხრა:

„ალლაჰის მტრებო! თქვენს ციხეზე მანამ გვექნება ალყა შემორტყმული, სანამ შიმშილით არ დაიხოცებით!“

ბენი ქურაიზას ებრაელებმა შიშით შეახსენეს, რომ ჩვენ ჰაზრეჯელები არა ვართ, (თქვენი) მოკავშირეები ვართო.

„ახლა უკვე თქვენსა და ჩვენს შორის არც შეთანხმებაა და არც მოლაპარაკება,“ – შეახსენა უსეიდმა.

ალლაჰის შუამავალი ბრძოლის დაწყებამდე ციხე-სიმაგრესთან ახლოს მივიდა და მათ ისლამი უქადაგა, მაგრამ მათ არ ისმინეს.

ალყა დიდხანს რომ გაგრძელდა, ებრაელები ძალიან დანაღვლიანდნენ. ლიდერებისაგან ქაბ იბნ ესედმა მიმარ-თა თავის ხალხს:

„ებრაელების ჯამაათნო! ხომ ხედავთ, რა უბედურება დაგვატყდა თავს. მე თქვენ სამ წინადადებას გთავაზობთ, მათგან ერთ-ერთი აირჩიეთ.“

„ბრძანეო“, – უთხრეს.

ქაბმა დაიწყო:

„პირველი, ამ კაცს დავემორჩილოთ, მისი შუამავლობა ვაღიაროთ! ღმერთმანი, აშკარაა, რომ ის თქვენთვის მოვლენილი შუამავალია, ეს ის კაცია, რომელიც თქვენს წიგნებშია მოხსენებული. თუკი მას ირწმუნებთ, თქვენ სისხლს, ქონებას, ბავშვებსა და ქალებს დაიცავთ!“

„ჩვენ არასდროს ვიტყვით უარს თევრათის (თორა) კანონებზე, მას სხვა წიგნით არასდროს შევცვლით,“ – იყო პასუხი.

ამის შემდეგ ქაბმა ებრაელებს შაბათ ღამეს, მუსლიმანთა იერიშის დაწყებამდე, მათზე თავდასსხა შესთავაზა. არავინ დაეთანხმა, რადგანაც ალლაჰმა მათ გულში შიში დათესა.

სამმა ახალგაზრდამ: საალებემ, უსეიდმა და ესედმა ებრაელი მეცნიერების ბოლო შუამავალზე მონათხრობი თავისებურებები მუჰამედში დაინახეს და გამუსლიმანდნენ. ღამე ციხიდან გამოიპარნენ და შუამავალთან მივიდნენ![10]

ებრაელები იმ დღეს იძულებული გახდნენ, უპირობოდ ჩაბარებოდნენ. იმის გამო, რომ ბენი ქურაიზას ებრაელები ევსის ტომის დაცვის ქვეშ იმყოფებოდნენ, ალლაჰის შუამავალმა არბიტრად ტომის წინამძღოლი, ძვირფასი სადი, იხმო. მიუხედავად იმისა, რომ სადი დაჭრილი იყო, წმინდა შუამავალს დაემორჩილა და ეახლა. როცა ის დაიჭრა, უდიდეს ღმერთს ასე შეეხვეწა:

„ღმერთო! სული არ წამართვა მანამ, სანამ ქურაიზებზე შურს არ ვიძიებთ!“ ძვირფასმა სადმა, ებრაელების სურვილით, სამართალი მუსას კანონების მიხედვით გაარჩია. მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას წმინდა შუამავალიც დაემოწმა და თქვა:

„სად! ვფიცავ, რომ შენ ალლაჰის შვიდფენა ზეცაში დაწესებული კანონების შესაბამისი მმართველი ხარ!“

ძვირფასი სადის გულიდან წარმოთქმული ვედრება დაკმაყოფილდა. ომში მორწმუნეებისათვის ზურგში ლახვარის ჩამცემი ებრაელების საქმე როგორც კი გაარჩია, მას ჭრილობა გაეხსნა, ცოტა ხნის შემდეგ კი შუამავალზე შეყვარებულ თანამიმდევარს, შეჰიდად გარდაცვალების ბედნიერება უწყალობა ღმერთმა.

ალლაჰის შუამავალმა ბრძანა:

„სად იბნ მუაზის გარდაცვალებამ შეაზანზარა მთელი სამყარო.“[11]

მიუხედავად იმისა, რომ სადი საკმაოდ მძლავრი აღნაგობისა იყო, ადამიანებს როცა მისი გვამი გადაჰქონდათ, ის მსუბუქი

10. იბნ ჰიშამი, III 256.

11. ბუჰარი, მენაქიბულ-ანსარი, 12, მუსლიმი, ფედაილულ რაჰამე 125.

ეჩვენათ. ალლაჰის შუამავალმა ამ საოცრების შესახებ ბრძანა:

„ის სხვებს მიჰყავთ! ვფიცავ ალლაჰს, რომელსაც ჩემი ძალა ეკუთვნის, ანგელოზებმა სადის სულით გაიხარეს!“

წმინდა მუჰამმედ შუამავალმა სადის განსასვენებელი ნამაზი ილოცა, ის საფლავში ჩაასვენა და მიწა მიაყარა, შემდეგ კი დიდხანს ალლაჰს ევედრებოდა. თანამიმდევრებიც ალლაჰის შუამავალს მიჰყვნენ და ლოცულობდნენ. შემდეგ წმინდა შუამავალმა თექბირი აიღო, თანამიმდევრებიც ასე მოიქცნენ. მათ ჰკითხეს:

„ალლაჰის შუამავალო! რატომ ლოცულობდი ამდენხანს ან თექბირი რატომ აიღე!“

ალლაჰის შუამავალმა ბრძანა:

„მანამ, სანამ ალლაჰი გააფართოებდა, საფლავი ვიწრო იყო და ამ ღვთისმოსავ მონა-მსახურს უჭერდა“ შემდეგ განაგრძო: „თუ კი შეიძლებოდა ვინმე საფლავის გამოცდას გადარჩენოდა, უპირველესად სადი დააღწევდა თავს. მაგრამ საფლავმა იგი ჯერ შებოჭა შემდეგ კი უზენაესმა ალლაჰმა საფლავი გაუფართოვა.“

ენესი გადმოგვცემს:

„ალლაჰის შუამავალს ოქროს სირმებით მოქარგული ჯუბა აჩუქეს. ეს ჩასაცმელი ხალხს ძალიან მოსწონდა. მისი სილამაზისა და სირბილისაგან გაოცებული იყვნენ. ალლაჰის შუამავალმა თქვა:

„ვფიცავ ალლაჰს, რომელსაც მუჰამმედის სული ეკუთვნის, რომ სად იბნ მუაზის ხელსახოცები, რომლებიც სამოთხეში აქვს, მაგაზე უფრო ლამაზი და გასაოცარიო.“[12]

* * *

„სანგრის ბრძოლაში“ ღმერთის წყალობა და წარმატება ყურანში ასეა გაცხადებული:

„მან ის გააკეთა, რომ წიგნის მქონეთაგან ვინც ეხმა-რებოდა მათ, გამოაძევა თავიანთი ციხესიმაგრეებიდან; მან ჩათესა მათ გულებში შიში; მათი ნაწილი თქვენ დახოცეთ, ხოლო ნაწილი ტყვედ აიყვანეთ.

12. ბუჰარი, ბედულ-ჰადეს 8; მუსლიმი, ფედაილი, 126.

ალლაჰმა გიბოძათ თქვენ მათი სამემკვიდრო მიწა, მათი სახლები და ქონება; მიწები, რომლებზეც ჯერ ფეხიც არ დაგედგათ. ალლაჰი ყოვლისშემძლეა.“[13]

13. სურა აჰზაბი, აიათები 26, 27.

ჰუდეიბიეს შეთანხმება

ალლაჰის შუამავალმა ნანახი სიზმარიდან გამომდინარე, მუსლიმანებს მასთან ერთად ქააბას მონახულება და მისი გარსშემოვლა შესთავაზა.[1] ამ მიწვევას 400 თანამიმდევარი დაეთანხმა. ყველა ერთად ჰიჯრის მეექვსე წელს, ზილქადეს თვის პირველ ორშაბათს, მექისკენ დაიძრა. ისინი საომრად არ მიდიოდნენ, ამიტომაც თან მხოლოდ სამგზავრო საჭურველი წაიღეს და სამოცდაათამდე ყურბნად შესაწირა აქლემი წაიყვანეს.[2]

კეთილშობილ ომარმა შუამავალს ჰკითხა:

„ალლაჰის შუამავალო! არ ნერვიულობთ, რომ აბუ სუფიანი და მისი ხალხი შეიძლება თავს დაგვესხან? არ შეიძლება, ყოველი შემთხვევისთვის, იარაღი წავიღოთ?“

ალლაჰის შუამავალმა ბრძანა:

„არ ვიცი! როცა მიზნად უმრა დავისახე, არ მინდა იარაღი თან წავიღო.“[3]

დათქმულ დროს როცა, „ზულჰულეიფეს“ უბანში მივიდნენ, წმინდა შუამავალმა იჰრამი ჩაიცვა და უმრას ნიეთი დაისახა. თანამიმდევრებიც ასე მოიქცნენ, ხმამაღლა თელბიე (ლებბეიქ ალლაჰუმე ლებბიექ) წარმოთქვეს. მათი გულები შეპყრობილი იყო ქააბას ნახვის დაუოკებელი სურვილით. სულიერი აღელვებითა და ღმერთის სიყვარულით შეპყრობილები იქაურობას ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდნენ.

როგორც კი გაიგეს, მუსლიმანები მექას გზას დაად-გნენო, ყურაიშები აღელვებამ შეიპყრო. შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს მორწმუნენი მექაში არ შეეშვათ. ჰალიდ იბნ ველიდის და იქრიმეს მეთაურობით მომზადებული, ორას კაციანი ჯგუფი გზას გაუდგა.

1. იბნ სადი, II, 35.
2. ვაქიდი, II, 573.
3. ვაქიდი, II, 573.

ალლაჰის შუამავალი სენიეს უბანში მივიდა. იქიდან შესაძლებელი იყო იმ ადგილამდე ჩასულიყვნენ, სადაც ყურაიშები იმყოფებოდნენ. მაგრამ შუამავლის აქლემმა, ქასვამ, იქ ჩაიმუხლა.

„ადექი, ადექი, წადი, წადი!“ – უძახეს, მაგრამ აქლემი არ ადგა.

ამაზედ ალლაჰის შუამავალმა ბრძანა:

„არა, ქასვას არ ჩაუმუხლია და არ დარჩენილა. ამას ამგვარი ხასიათი არ აქვს. მისი გაჩერება მაშინ, როცა მექაში მიდის, მხოლოდ ღმერთს შეუძლიაო!“

შემდეგ წმინდა შუამავალმა გააგრძელა:

„ვფიცავ ალლაჰს, რომელსაც ჩემი სული ეკუთ-ვნის, ყურაიშმა კერპთაყვანისმცემლებმა ჰარემში, სადაც ორთაბრძოლა, სისხლის დაღვრა და ნათესავების უფლებათა შელახვის მსგავსი საქმეების ჩადენა აკრძალულია, ალლაჰის თაყვანისცემის საფასურად, რაც უნდა მთხოვონ, აუცილებლად შევუთანხმდები!“

შემდეგ აქლემის წამოყენება ისურვა, ისიც შეკრთა და წამოხტა. ალლაჰის შუამავალი იმ მხარისკენ მიტრიალდა, სადაც ყურაიშები იყვნენ და ჭასთან, რომელშიც ცოტა წყალი მოიპოვებოდა, აქლემიდან ჩამოქვეითდა. ეს ჰუდეიბიეს მხარის ყველაზე შორი ადგილი იყო. ჭაში წყალი ცოტა იყო, ბევრი დრო არ გასულა და ესეც დაშრა. უწყლობით შეწუხებულებმა ალლაჰის შუამავალს შესჩივლეს. მანაც ერთი ისარი ამოიღო და უთხრა, ის ჭის ფსკერ-ზე ჩაეგდოთ. დიდი ხანი არა გასულა, წყალმა ამოხეთქა და სანამ იქაურობას არ მოსცილდნენ, არ შეწყვეტილა.

როცა ისინი ამ მდგომარეობაში იყვნენ, ჰუზას ტომის ბელადი, ბუდეილი ტომის ერთ ჯგუფთან ერთად მოვიდა და აუწყა რომ მექქელები ომისთვის ემზადებოდნენ. მათი ამ ფორიაქის საპასუხოდ ალლაჰის შუამავალმა ბუდეილს ჰუდეიბიეში მოსვლის მიზეზი აუხსნა:

„არავისთან საბრძოლველად არ მოვსულვართ. ჩვენი მიზანი ქაბას მონახულებაა, უმრაა. ომმა ყურაიშებს ძალა გამოაცალა და

მათ დიდი ზარალი მიაყენა. თუ გინდათ (ჩვენს შორის ორთაბრძოლის შეწყვეტისთვის), მათთან გარკვეული დროით ხელშეკრულებას დავდებთ. ამ მდგომარეობაში ისინი ჩემსა და ხალხს შორის არ უნდა ჩადგნენ. თუ სურთ, ისლამი, ყურაიშებსაც შეუძლიათ, მიიღონ და მშვიდად იყვნენ. თუკი ყურაიშები ამ შეთავაზებას არ დაეთანხმებიან, ღმერთმანი, მე ამ რწმენის სასიკეთოდ მანამ ვიბრძოლებ, სანამ თავი მხრებზე მედგმება. ალლაჰის შენაპირები აუცილებლად აღსრულდება.“

ბუდეილი მექაში დაბრუნდა და ყურაიშებს ალლაჰის შუამავლის ეს სიტყვები გადასცა. იბნ მესუდი წამოდგა და თქვა:

„ეს კაცი თქვენ სწორ და კეთილ გზას გაჩვენებთ. მას დაეთანხმეთ და მოსალაპარაკებლად მასთან მე გამგზავნეთ!“

ყურაიშელები დათანხმდნენ და მესუდს ნება დართეს შუამავალთან წასულიყო:

ურვე ალლაჰის შუამავალთან მივიდა. წმინდა შუამავალმა მასაც იგივე უთხრა, რაც ბუდეილს. ურვე ამ დროს ცალი თვალით მისი თანამიმდევრების ქცევას აკვირდებოდა. როცა დაბრუნდა, ნანახი ყურაიშებს გადასცა:

„ჩემო მოდგმავ, მომისმინეთ! ღმერთმანი, მე, როგორც ელჩი, ბევრი მეფის წინაშე წარვმსდგარვარ: ქისრასთან, ქაისერთან, ნეჯაშთან ვყოფილვარ, მაგრამ ის, რაც მუჰამმედ-თან დაკავშირებით ვნახე, სხვაგან არსად მინახავს. ის თუ რამეს უბრძანებს, ყველა ერთად გარბის, თუკი აბდესს აიღებს, გამოყენებული წყლის გადასაღვრელად ერთმანეთს ეცილებიან. თუკი რამეს საუბრობს, სულგანაბული უსმენენ. მის მიმართ ისეთ პატივისცემას გრძნობენ, რომ სახეში ვერ უყურებენ, და თავი მის წინ აქვთ დახრილი. თავიდან ერთი ბეწვი თმა რომ ჩამოუვარდეს, მაშინვე აიღებენ და ინახავენ. ეს კაცი თქვენ რაციონალურ წინადადებას გთავაზობთ, დაეთანხმეთ.“[4]

4. დასავლელი მწერალი თომას ჯარლილე იძულებული გახდა, ეს ასე გამოეხატა: „არც ერთ იმპერატორს, რომელსაც თავზე გვირგვინი ედგა და სკიპტრა ეჭირა, იმდენი პატივი არ ღირსებია. რამდენიც მუჰამმედსო.“

ურვეს ამ განმარტებებზე ქინანეს ტომის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა თქვა.

„თუ ნებას მომცემთ, მასთან ერთხელ მეც წავალ.“ როგორც კი ალლაჰის შუამავალსა და მის თანამიმდევრებს მიუახლოვდა, წმინდა შუამავალმა თქვა:

„აი, სხვაც! ის იმ ტომს განეკუთვნება, ვინც ჰაჯობისა და უმრასთვის გამოყოფილ საყურბნე აქლემებს სცემს პატივს. საყურბნე საქონელი წინ გამორეკეთ და ნახოს!“ – თანამიმდევრები იმ კაცს თელბიეთი (ლებბეიქ ალლაჰუმმე ლებბეიქ) შეხვდნენ. მოსულმა ეს რომ დაინახა, გაოცებით თქვა:

„ამ ადამიანებისათვის ქააბას გზების გადაკეტვა ღირსეული საქციელი არ არის.“[5]

კერპთაყვანისმცემლებმა ელჩებს არ მოუსმინეს, სამხედრო შენაერთი შექმნეს და თავდასასხმელად გააგზავნეს. ეს ჯგუფი მუსლიმანებმა ტყვედ აიყვანეს, აუხსნეს, რომ ალლაჰის შუამავალი არა საომრად არამედ უმრას შესასრულებლად იყო მოსული და გაანთავისუფლეს.

წმინდა შუამავალმა კარავი ჰუდეიბიეში, მექას ჰარემის გარეთ, გაშალა. იქ ყოფნის პერიოდში იგი მიდიოდა და ყველა ნამაზს მექას ჰარემში ასრულებდა.[6] ამბობდა, რომ მესჯიდი ჰარემში შესრულებული ერთი ლოცვა, სხვა ადგილზე შესრულებულ ასიათას ნამაზზე უფრო მადლიანია.[7]

ზავი, რომელსაც ალლაჰის შუამავალი დათანხმდა

(ბეიათულ რიდვანი)

ამ დროს წარმართთაგან, კიდევ რამდენიმე ელჩი მოვიდა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შეძლო ზავზე თავისიანების დარწმუნება. საბოლოო მშვიდობის დასამყარებლად, კერპთაყვანისმცემლების

5. ბუჰარი, შეჰადეთი, 15; აჰმედი, IV, 323-324.
6. ვაქიდი, II, 614, აჰმედი, IV, 326.
7. იხ. იბნ მაჯე, აქაბე, 195.

სანახავად და ამბის გასაგებად წმინდა შუამავალმა მექაში კეთილშობილი ოსმანი გაგზავნა და დააბარა:

„ყურაიშებთან წადი! მათ აცნობე, რომ აქ ჩვენ არავისთან საბრძოლველად არ მოვსულვართ! ჩვენ აქ მხოლოდ იმი-სათვის მოვედით, რომ ქააბა მოვინახულოთ, მას პატივი მივაგოთ და ვილოცოთ, ყურბანი დავკლათ და უკან გავბრუნდეთ! ამას რომ აუხსნი, მათ ისლამი უქადაგე!“ ამასთან ერთად დაავალა, იქაურ მორწმუნეებს შეხვედროდა და მათთვის ეხარებინა, რომ მექაზე გამარჯვება ახლოს იყო, რომ უდიდესი ალლაჰის რწმენა მათ დაეხმარებოდა. ახლო იყო ის დღე, როცა მექაში რწმენა აშკარად გაცხადდებოდა.[8]

კეთილშობილი ოსმანი ალლაჰის შუამავლის ბრძანების შესასრულებლად მაშინვე მექაში წავიდა. კერპთაყვანისმცემლებს ამცნო, რომ მათი მიზანი უმრასს შესრულება იყო. მიუხედავად ამისა, წარმართებმა ნებართვა მაინც არ მისცეს. ისე, რომ ოსმანისთვის თვალი არ მოუცილებიათ, უთხრეს:

„შენ თუ გინდა, ქააბას შემოუარე!“ – მაგრამ წმინდა ოსმანმა, რომელმაც თავისი თავი ალლაჰსა და შუამავალს მიუძღვნა, უთხრა:

„თუკი წმინდა შუამავალი ქააბას გარს ვერ შემოუვლის, მეც არ შემოვუვლი! მე მას მხოლოდ მის შემდეგ მოვინახულებ.“ – ამით მან ალლაჰის შუამავლისადმი უსაზღვრო ერთგულება გამოხატა.[9]

ოსმანმა უკან დაბრუნება დააგვიანა, ატყდა მითქმა-მოთქმა, რომ ის მოკლეს. მუსლიმანებსა და კერპთაყვანის-მცემლებს შორის სიტუაცია დაიძაბა. ალლაჰის შუამავალმა, კეთილშობილი ოსმანის სიკვდილის ალბათობის გამო, თანამიმდევრები შეკრიბა და უთხრა:

„როგორც ჩანს აქედან წარმართებთან შეტაკების გარეშე ვერ უნდა წავიდეთ.“[10]

8. იბნ სადი, II, 97; იბნ ქაიმი, III, 290.
9. აჰმედი, IV, 324.
10. იბნ ჰიშამი, III, 364.

მას ყველა იმ თანამიმდევარმა აუბა მხარი, ვინც მზად იყო ალლაჰის გზაზე თავი გაეწირა. ქალმა და კაცმა, დიდმა და პატარამ – ყველამ ერთხმად აღიარა:

„ალლაჰის შუამავალს გულში რა სურვილიც აქვს, ყველას ვეთანხმებით“ და მისი ეს სურვილი სიხარულით აღასრულეს.[11]

მორწმუნეებმა სიტყვა მისცეს, რომ ალლაჰის გზაზე სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ. წმინდა შუამავლის მადლმოსილი ხელი დაიჭირეს და შეჰფიცეს. ფიცის დროს მან თავისი ერთი ხელით მეორე დაიჭირა და დაამატა:

„ესეც ოსმანის თანხმობაა!“ ოსმანისადმი ნდობა და სიყვარული ამგვარად გამოხატა.[12]

ხის ქვეშ დადებულ ამ ზავს (ფიცს) „ბეიათურ-რიდვანი“ „ჰუდეიბეიეს ბეიათი“ ეწოდა. იმ დღეს, ერთი ფარისევლის გარდა, ყველა თანამიმდევარი შეთანხმდა. ეს ფიცი თანამიმდევრების მიერ უდიდესი ღმერთის კმაყოფილების მოპოვების საშვალებად იქცა.

„ალლაჰი დარჩა კმაყოფილი მართლმორწმუნეებით, რომლებმაც შემოგფიცეს შენ რწმენის ერთგულებაზე ხის ქვეშ; მან იცოდა, რაც იყო მათ გულებში; მან გარდმოუვლინა მათ სიმშვიდე და დააჯილდოვა ახლო გამარჯვებით.“[13]

ალლაჰის შუამავალმა ერთ დღეს, როცა ძვირფასი ჰაფსას გვერდით იმყოფებოდა, ბრძანა:

„ღვთის ნებით, იმ ადამიანთაგან, ვინც შეთანხმების დროს ხის ქვეშ იყო, ჯოჯოხეთში არავინ მოხვდება.“

ამ სიტყვების მოსმენისას ჰაფსას თავში კითხვა დაებადა:

„კი მაგრამ ალლაჰის შუამავალო, უდიდესი ღმერთი რომ ბრძანებს:

„თქვენგან უკლებლივ ყველა უთუოდ ჯოჯოხეთში შევა.ეს განაჩე-

11. ვაქიდი, II, 607.
12. ბუჰარი, ასჰაბუნ-ნები, 71.
13. სურა ფეთიჰი, აიათი 18.

ნია, შენი უფლის მიერ გამოტანილი.“[14]

„ეს როგორ იქნება?“

წმინდა შუამავალმა უპასუხა:

„უდიდესმა ალლაჰმა ასეც ბრძანა“ – შემდეგი კი აიათი წაიკითხა:

„შემდეგ ჩვენ გადავარჩენთ მათ, ვისაც ეშინიათ ალლაჰის, ხოლო ცოდვილებს მუხლზე დამხობილი დავტოვებთ.“[15]

ალლაჰის შუამავალმა იქვე ახსნა, რომ გამოთქმა „ჯოჯოხეთში მოხვედრა“, უშუალოდ იქ შესვლას არ ნიშნავს, რომ ის გამოხატავს მის თავზე არსებულ ძნელად გასასვლელ ხიდზე გადაადგილებას.[16]

* * *

წმინდა ჯაბირი გადმოგვცემს:

„ჰუდეიბიეში ხალხს მოსწყურდა და წმინდა შუამავალთან მივიდა. მის წინ ტყავისაგან დამზადებული წყლის ჭურჭელი იდო. როცა მან აბდესი აიღო, მისულებმა მოახსენეს:

„აბდესის ასაღებად და დასალევად იმის მეტი წყალი აღარ დარჩა, თქვენს წინ რომ დევს.“

წმინდა შუამავალმა ხელები ჭურჭელს დაადო. მისი თითებიდან წყალი ისე წამოვიდა, თითქო წყარო ყოფილიყო. ყველამ იქედან დავლიეთ და აბდესი ავიღეთ. წმინდა ჯაბირს ჰკითხეს:

„იმ დღეს რამდენი ადამიანი იყავით?“

„ასი ათასი ადამიანი რომ ყოფილიყო, წყალი ეყოფოდა, მაგრამ ჩვენ 1500 კაცი ვიყავით,“ – უპასუხა.[17]

ჰუდეიბიეს მოლაპარაკება: ქადაგების ახალი ეტაპი

14. სურა მარიამი, აიათი 71.
15. სურა მარიამი, აიათი 72.
16. მუსლიმი, ფედაილუ, საჰაბე, 6.
17. ბუჰარი, მენაქიბი, 25.

კერპთაყვანისმცემლები, როგორც კი გაიგეს „რიდვანის ფიცის“ პირობები, აღელვებამ მოიცვა. საქმეს სერიოზული ხასიათი მიეცა, მათ გულებში საშინელი შიში ჩაუსახლდათ. მაშინვე მშვიდობის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღეს და სუჰეილ იბნ ამრი წმინდა შუამავალთან აფრინეს. წმინდა შუამავალმა, როგორც კი სუჰეილი დაინახა, რომლის სახელიც „ადვილს“ ნიშნავს, თქვა:

„თქვენი საქმე გაადვილდა, სუჰეილი მოვიდა.“

წმინდა შუამავალი უზენაესი ალლაჰის ბრძანებისამებ მოიქცა:

„და თუ მშვიდობისაკენ იხრებიან, დაე, შენც მისკენ მიიქეც და ალლაჰს მიენდე, უეჭველად, იგი(ა), სწორედ იგია ყოვლის გამგონი, *(და) მცოდნე.“*[18]

კერპთაყვანისმცემლების პირველი სურვილი იყო, მუსლიმანებს იმ წელს უმრა არ შეესრულებინათ. ამასთანავე სხვა აშკარად მძიმე სურვილებიც ჰქონდათ. გრძელი და ცხარე საუბრის შემდეგ, მშვიდობის პირობაზე შეთანხმდნენ.

წმინდა შუამავალმა ხელშეკრულების პირობების ჩამოწერა წმინდა ალის დაავალა. მისი ბრძანებით, კეთილშობილ ალის „ბესმელეთი“ უნდა დაეწყო, სუჰეილი მას შეეწინააღმდეგა. ბესმელეს ნაცვლად დაიწერა „ბისმიქ ალლაჰუმ.“

შემდეგ სუჰეილი იმის წინააღმდეგაც გამოვიდა, რომ ხელშეკრულებაში წმინდა მუჰამმედი „ალლაჰის შუამავლად“ მოიხსენიებდნენ.

„თუკი იმას დავეთანხმები, რომ შენ ალლაჰის შუამავალი ხარ, განა შენთან ვიომებდი, ან ქააბას მონახულებაში ხელს შეგიშლიდი?“

სამშვიდობო მოლაპარაკების პირობებით ისედაც შევიწროებული შუამავლის თანამიმდევრები ამაზე უფრო აღელდნენ, კეთილშობილ ალიმ კალამი ძირს დააგდო და თქვა:

„ალლაჰს ვფიცავ, რომ ჩემს მიერ დაწერილ „ალლაჰის შუამავალს“ არ წავშლი, “

18. სურა ენფალი, აიათი 61.

წმინდა შუამავალმა სუჰეილეს უთხრა:

„თქვენ რაც უნდა უარყოთ, მე ალლაჰის შუამავალი ვარ“ და მოითხოვა, ალის მიერ დაწერილი წინადადება ეჩვენებინათ. ის თავისი ხელით გადაშალა და მის ნაცვლად მუჰამმედ იბნ აბდულაჰი დააწერინა.

ალლაჰის შუამავალმა ხელშეკრულებას იმ დღეს მოაწერა ხელი. მისი ზოგიერთი მუხლი შემდეგია:

1. ხელშეკრულების ვადა ათი წელია.

2. მუსლიმანები ქააბას ამ წელს ვერ მოინახულებენ. ეს ერთი წლის შემდეგ მოხდება. მომავალ წელს ქააბას მოსანახულებლად მოსულები ქალაქში სამ დღეს დარჩებიან. იმ დროის განმავლობაში კერპთაყვანისმცემლები მექას დატოვებენ, მუსლიმანებს არ დაუკავშირდებიან.

3. ვერცერთი ყურაიში თუნდაც მუსლიმანი იყოს მედინას თავს ვერ შეაფარებს. ის უკან უნდა იქნეს გადაცემული, მაგრამ პირიქით თუ მოხდება და ვინმე მედინადან მექაში გადმოვა თავშესაფარებლად, ის უკან არ იქნება გადაცემული.

4. სხვა არაბი ტომები იმოქმედებენ თავიანთი სურვილის მიხედვით, უნდათ მუსლიმანების ყურაიშების მხარეს დაიკავებენ.

ხელშეკრულების მუხლების ჩამოყალიბების შემდეგ, ყუ-რაიშების წარმომადგენელის სუჰეილ იბნ ამრის შვილი, აბუ ჯენდელი ფეხზე დადებული ბორკილების თრევით წმინდა შუამავალთან მიფოფხდა. ის კერპთაყვანისმცემლებმა იმის გამო აწამეს, რომ მუსლიმანი იყო. სუჰეილმა თქვა, რომ როგორც კი ხელშეკრულება დაიდებოდა, პირველი, ვისაც ის შეეხებოდა, მისი შვილი იქნებოდა. ამის შემდეგ აბუ ჯენდელს სახეზე მათრახი გადაჰკრა. წმინდა შუამავალმა მისი ამბავი დანაღვლიანებულმა მოისმინა და სუჰეილეს თხოვა, შვილისთვის ეპატიებინა, მასზე ხელშეკრულება არ გავრცელებულიყო. მაგრამ გულქვა კერპთაყვანისმცემელი არ დაეთანხმა. აბუ ჯენდელი თავისიანებს გადასცეს. ის ხმამაღლა ყვიროდა და დახმარებას ითხოვდა. გულდაფლეთილი ამბობდა:

„მე ისევ იმავე ტანჯვის ცეცხლში მაგდებთ?“ მუსლიმებმა მისი მდგომარეობა ვეღარ აიტანეს და ატირდნენ. მაშინ ალლაჰის შუამავალმა აბუ ჯენდელს უთხრა:

„აბუ ჯენდელ! ცოტა კიდევ მოითმინე, გაუძელი! უდიდესი ალლაჰისგან ამისათვის ჯილდოს ელოდე! უეჭველია, რომ ის შენ და შენს მსგავსად გაჭირვებაში ჩავარდნილ მუსლიმანებს ფართო გზას გაგიხსნით. ჩვენ ამ ტომთან ხელშეკრულება დავდეთ, სიტყვა მივეცით, მათაც სიტყვა მოგვცეს. ჩვენ სიტყვას ვერ გავტეხთ. მიცემული სიტყვა რომ არ შევასრულოთ, არ დაგვმშვენდებაო.“[19]

ალლაჰის შუამავალმა სუჰეილს კიდევ ერთხელ თხოვა:

„რა იქნება, შენ ის მე, რომ მაჩუქო?“ - მაგრამ სუჰეილი არანაირ შეთავაზებაზე არ ეთანხმებოდა.

„მაშინ ის, ჩემს გამო, მფარველობაში აიყვანე!“ - კიდევ ერთხელ თხოვა შუამავალმა.

სუჰეილი არც ამაზე დაეთანხმა. მისი ამ სიჯიუტის შემხედვარე ჰუვეითიბმა და მიქრეზმა, რომლებიც ასევე ყურაიშების წარმომადგენლები იყვნენ, თქვეს:

„მუჰამმედ, შენი ხათრით, ჯენდელს მფარველობაში ჩვენ ავიყვანთ, არ ვაწვალებთ!“[20]

ალლაჰის შუამავალი უკან ამ მიღწევით ცოტათი დამშვიდებული დაბრუნდა.

კეთილშობილ ომარმა კერპთაყვანისმცემლების ასეთი თვითკმაყოფილი ქცევა და სიჯიუტე ვეღარ აიტანა, გულში არსებული რწმენით აღგზნებულმა ძლივს შეძლო დამშვიდებულიყო. აბუ ბაქრის გარდა, შუამავლის სხვა თანამიმდევრების მდგომარეობაც კეთილშობილ ომარის მდგომარეობისგან არაფრით განსხვავდებოდა. ერთი შეხედვით, ეს ხელშეკრულება დამარცხებას ჰგავდა, მაგრამ წმინდა შუამავალმა თქვა:

„მე ალლაჰის შუამავალი ვარ, მას არ ავუჯანყდები. ჩემი დამხ-

19. აჰმედი, IV, 325; იბნ ჰიშამი, III, 367.
20. ვაქიდი, II, 608, ბელაზური, 1, 220.

მარე ის არისო.“ ეს იყო იმის მინიშნება, რომ ის ღმერთის ნებასურვილით მოქმედებდა და ასე იმიტომ მოიქცა.[21]

* * *

ხელშეკრულების დადების შემდეგ სუჰეილმა შვილი წაიყვანა და გახარებული მექაში დაბრუნდა. ალლაჰის შუამავალმა თავის რჩეულ თანამიმდევრებს უბრძანა:

„ახლა უკვე ყურბანი დაკალით და თავი გადაიპარ-სეთ!“

მაგრამ მისი ბრძანების შესასრულებლად ადგილიდან არავინ დაძრულა. ისინი ამოუხსნელ, საიდუმლო ბურუსში გახვეულნი, დამწუხრებულნი ისხდნენ. შუამავალმა ბრძანება სამჯერ გაიმეორა, ადგილიდან მაინც არავინ განძრეულა. ეს ამბოხება კი არ იყო, არამედ - ქააბას მონახულების დაუოკებელი წყურვილის გამო დამწვარ გულებში იმედის ჩაკვლის შედეგი. ჯერ კიდევ ერთი დღის წინ თითოეული იმათგანი ამბობდა:

„ალლაჰის შუამავალს გულში რა სურვილიც აქვს, იმას ვეთანხმები.“ ყველა შუამავლის წინაშე მორჩილად ფიცს დებდა: ახლა კი თანამიმდევრების ასეთი უმოძრაობის შემხედვარე ალლაჰის შუამავალი ძალიან დამწუხრდა. დანაღვლიანებული ცოლის, უმმუ სელემეს, კარავში მივიდა. და მდგომარეობა აუხსნა. მან ის შემდეგნაირად დაამშვიდა:

„ალლაჰის შუამავალო! თქვენ, უთქმელად ყურბანი დაკალით, თავი გადაიპარსეთ! მიუხედავად იმისა, რომ ისინი ასე დამწუხრებული არიან, უთუოდ მოგბაძავენ. მათ აპატიეთ!“

ალლაჰის შუამავალი ზუსტად ისე მოიქცა, როგორც უმმუ სელემემ ურჩია. მისმა თანამიმდევრებმა ის რომ დაინახეს, იგივე გააკეთეს. ყურბანი დაკლეს და თმები გადაიპარსეს.“[22]

ამის შემდეგ უზენაესმა ალლაჰმა მათ ქარიშხალი მოუვლინა ქარმა თმები ჰაერში ააფრიალა და ჰარემის შიგნით შეიტანა. ეს

21. ბუჰარი, მეღაზი, 35; მუსლიმი, ჯიჰადი, 90-97.
22. ბუჰარი, მურუთი 15, აჰმედი, IV, 326, 331, ვაქიდი, II, 613.

უმრას, ჩათვლის ნიშნად აღიქვეს და მედინასკენ დაიძრნენ.[23]

მუსლიმანები, იმის გამო, რომ მათ ამ ხელ-შეკრულების სიბრძნე უმალ ვერ გაითავისეს, უკმაყოფილოდ გამოიყურებოდნენ ამიტომაც ისინი დიდმა შიშმა მოიცვა. დაიწყეს ფიქრი იმაზედ, რომ მათ შესახებ ზეშთაგონება ჩამოვიდოდა და ისინი განადგურდებოდნენ. აი სწორედ ამ დროს სურა „ფეთიჰი“ გარდმოევლინა, სადაც ნაბრძანებია:

„ჩვენ მოგაპოვებინეთ შენ აშკარა გამარჯვება იმისათვის, რომ ალლაჰმა გაპატიოს შენ ცოდვები წარსულსა და მომავალში, დაასრულოს მოწყალება თავისი შენზე და მიგავლინოს შენ ჭეშმარიტების გზაზე. რომ შეძლოს მან გამოგიგზავნოს თავისი ძლევამოსილი დახმარება.“[24]

სურა „ფეთიჰის“ გარდმოვლინებისას შუამავლის თანამიმდევრებმა შიში განიცადეს. მუჯემმი იბნ ჯაჰიე გადმოგვცემს:

„ადამიანები შიშით აქლემების გვერდით მიმოიფანტნენ. ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

„ამ ხალხს რა მოსდის?“

„ალლაჰის შუამავალს ზეშთაგონება მოევლინა! ჩვენც შეშინებულნი სხვებთან ერთად, ალლაჰის შუამავალთან მივედით. როგორც კი თანამიმდევრნი შეიკრიბნენ, წმინდა შუამავალმა სურა „ფეთიჰი“ წაიკითხა.[25]

კეთილშობილი ომარი ამბობდა:

„იმ დღეს, ალლაჰის შუამავლის წინაშე, ისეთი შიში ვიგრძენი, რომ სიტყვებით ვერ გამოვხატავ. ამ შიშის დასაძლევად განუწყვეტლივ ვმარხულობდი, მოწყალებას გავცემდი, ნაფილე (ნებაყოფილებითი) ნამაზს ვლოცულობდი და ძალიან ბევრ მონას ვათავისუფლებდი.“[26]

23. იბნ სადი, II, 104; ჰალები, II, 713.
24. სურა ფეთიჰი, აიათები 1-3.
25. იბნ სადი, II, 105.
26. იბნ სეიდი, ნასი, II, 167.

სურა „ფეთიჰი“ აცნობებდა, რომ ჰუდეიბიესთან ერთად გამარ-ჯვების კარები გაიღებოდა. საბოლოოდ დიდი ხანი არ გასულა, წინასწარ ნამახარობლევი ასრულდა. იმ მხარის ტომებმა, ალლა-ჰის შუამავლის მიერ ქააბას მოსანახულებლად განხორციელებულ მგზავრობას „მგზავრობა, რომლიდანაც უკან არ ბრუნდებიან“ უწოდეს, მაგრამ მათ იმედი გაუცრუვდათ. როგორც კი დაინახეს, რომ ალლაჰის შუამავალი უკან საღ-სალამათი ბრუნდებოდა და მცირე ზიანიც კი არ ჰქონდა მიყენებული, აღელვებული მასთან მივიდნენ და პატიება სთხოვეს. უდიდესმა ალლაჰმა მათი ეს მდ-გომარეობა აიათში ასე გამოხატა:

„არა, თქვენ გეგონათ რომ შუამავალი და მათლმორწმუნენი არას-დროს დაუბრუნდებოდნენ თავიანთ ოჯახებს; ეს აზრი სიამოვნებ-დათ თქვენს გულებს. თქვენი ფიქრები იყო დანაშაულებრივი. თქვენ ვერაგი ხალხი ხართ. ჩვენ ავაგიზგიზეთ ცეცხლი ურწმუნოთათვის, ვინც არ ირწმუნა ალლაჰისა და მისი შუამავლის.“[27]

* * *

იმ დღეს ჰუდეიბუსზე დადებული ხელ-შეკრულება თითქოს მუსლიმანების საწინააღმდეგოდ ჩანდა, მაგრამ სურა „ფეთიჰის“ გარდმოვლენამ მათ ამ საქმეში არსებული საოცრებები და სასი-ხარულო ამბები ამცნო. შემდეგში ნათე-ლი გახდა, რომ, ერთი შეხედვით, დამარცხებად ანუ სამწუხარო ამბად აღქმული ეს შემ-თხვევა და უკან დაბრუნება, აშკარა გამარჯვება იყო, როგორც აიათშია ნაბრძანები:

„თქვენ დაგევალდებულათ ბრძოლა და იგი თითქოს თქვენთვის უსიამოვნოა. იქნებ, გგონიათ უსიამოვნოა თქვენთვის რამე, თუმცა იგი კარგია, ხოლო გიყვართ რაიმე, მაგრამ იგი ავია თქვენთვის. ალ-ლაჰმა იცის, თქვენ არ იცით.“[28]

წმინდა შუამავალმა ეს შემთხვევა, რომელსაც დასაწყისში ვერ-აფერი გაუგო, მხოლოდ ორი წლის შემდეგ ამოხსნა. სწორედაც ამ ხელშეკრულების შედეგად დამყარებული მშვიდობის წყალობით.

27. სურა ფეთიჰი, აიათები 12-13.
28. სურა ბაყარა, აიათი 216.

ორი წლის განმავლობაში იმდენი ადამიანი გამუსლიმანდა, რომ მათმა რიცხვმა მანამდე არსებულ მორწმუნეთა საერთო რაოდენობას გადააჭარბა.

მართალია, მუსლიმანებმა იმ წელს უმრა ვერ შეასრულეს და ზოგიც მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, ბევრი რამის მოთმენა მოუხდათ, მაგრამ ამას შემდეგ ისეთი დიდი მოგება მოჰყვა, რომ ის, რაც ადრე გადახდათ, არაფრად ჩასაგდები იყო. ამ ხელშეკრულებით ისლამი ოფიციალურად იქნა აღიარებული. ერთი წლის შემდეგ კი ქააბას მოინახულებდნენ. არაბი ტომებისგან იმათ, ვისაც სურვილი ექნებოდათ, შეეძლოთ მუსლიმანების მფარველობის ქვეშ შესვლა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ყურაიშების ძალა სუსტდებოდა და ისლამის ქადაგება თავისუფლად შეიძლებოდა.

ალლაჰის შუამავლის მიერ მშვიდობის არჩევის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მექაში ცხოვრობდნენ გამუსლიმანებული ადამიანები, რომლებიც ამას ვერ ამჟღავნებდნენ. ხოლო თუ ომი წარმართებთან ატყდებოდა, მათ უეჭველად სიკვდილი დაემუქრებოდათ.

შედეგად „წყალობის შუამავლად“ მოვლენილი წმინდა მუჰამმედი მექაში და სხვა არაბულ ტომებშიც ისლამის მისაღებად მომზადებულ ადამიანებს, თავისი ქცევით, იდუმალ მინიშნებებს უგზავნიდა და მათ ისლამში აერთიანებდა.

ნაფიცი გამარჯვება: თანდათანობით გაზრდილი ჭეშმარიტების ბარაქა

წარმართები რომლებიც ჰუდეიბიეს ხელ-შეკრულების ზედაპირულ მხარეს ხედავდნენ, გახარებულნი იყვნენ. მათ, თავისდაუნებურად, მორწმუნეებს დაბრკოლებები გზიდან ისე ჩამოაშორეს, ისინი თავიანთ თავზე მაღლა ისე დააყენეს, რომ ამას ვერც კი მიხვდნენ. ალლაჰის შუამავლის გარდა, მისი ყველა თანამიმდევარი თვლიდა, რომ ეს ხელშეკრულება მათ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა და ამის გამო უკმაყოფილონი იყვნენ. ამის შემხედვარე კერპთაყვანისმცემლებმა, წარმატებით აღტაცებულებმა, ხელშეკრულებას ხელი ისე მოაწერეს, რომ მის პირობებს კარგად არც კი

დაკვირვებიან. ხელშეკრულების ნამდვილი მნიშვნელობა მხოლოდ მას შემდეგ გახდა აშკარა, როცა მისი შესრულება დაიწყო.

ალლაჰის შუამავალი, რომელმაც თავიდანვე იცოდა ამ სამშვიდობო ხელშეკრულების შედეგი, მას დიდ პატივს სცემდა. მართლაც, ზოგიერთი მექქელი ქალი, ვინც მედინაში გადავიდა, კერპთაყვანისმცემლებს აღარ გადასცეს. იმიტომ, რომ ხელშეკრულება მხოლოდ მამაკაცებს შეეხებოდა. უდიდესი ღმერთიც ქალების წარმართებზე გადაუცემლობას ბრძანებდა:

***„მორწმუნენო! როცა თქვენთან მოვლენ მართლმორ-წმუნე გამოდევნილი ცოლები, გამოსცადეთ ისინი. ალლაჰმა კარგად იცის მათი რწმენა; თუ თქვენც ცნობთ მათ მართლმორწმუნეებად, ნულარ დაუბრუნებთ მათ ურწმუნოთ (ქმრებს). ასეთი კავშირები არ არის ნებადართული ალლაჰის მიერ. მაგრამ მიეცით მათ (ქმრებს) მათ მიერ დახარჯული (მიჰრი). თქვენ არ ჩაგეთვლებათ ცოდვად შეირთოთ ასეთი ქალი ცოლად, მისცეთ მათ საკადრისი მიჰრი. არ შეირთოთ ურწმუნო ქალები, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ მოთხოვოთ მათ ის, რაც მიეცით მათ პირობის მიხედვით. ეს ალლაჰის დადგენილებაა თქვენთვის. ალლაჰი ყოვლისმცოდნე და ბრძენთა ბრძენია.“*[29]**

ამ პერიოდში ერთმა გამუსლიმანებულმა მექქელმა, სახელად აბუ ბასირმა, მედინას შეაფარა თავი. მაგრამ ალლაჰის შუამავალი, ხელშეკრულების თანახმად, იძულებული იყო ის კერპთაყვანისმცემლებისთვის გადაეცა. აბუ ბასირი თავდაპირველად შუამავლის ამ მოქმედებას შეეწინააღმდეგა.

„გინდათ ისევ კერპებს ვსცე თაყვანი?“ – თქვა და პროტესტი გამოხატა. ალლაჰის შუამავალმა ის დაამშვიდა:

„აბუ ბასირ! ჩვენ შეთანხმებას ვერ დავარღვევთ, ცოტა მოითმინე. ალლაჰი შენ და შენს მსგავსებს ხსნის გზას გიჩვენებთ.“

ამ სიტყვების შემდეგ აბუ ბასირი შუამავალს ხმისამოუღებლად დაემორჩილა. ის, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, კერპთაყვანისმცემლებს გადასცეს. მან კარგად იცოდა, რომ არა მექაში არამედ, სასიკვდილოდ მიჰყავდათ და ამიტომაც მეთვალყურეებს

29. სურა მუმთეჰინე, აიათი 10.

გზაში შეეწინააღმდეგა. იმ ორთაგან ჰუნეისი მოკლა, მეორე კი გაექცა. აბუ ბესირმა ჰუნეისის ტანსაცმელი, ნივთები და ხმალი აიღო, ალლაჰის შუამავალს მიუტანა და უთხრა:

„ალლაჰის შუამავალო! ამათგან ერთი მეხუთედი შენთვის აიღე!“

წმინდა შუამავალმა მიუგო:

„მე ამათგან ერთ მეხუთედს თუ ავიღებ, მათთან დადებულ ხელშეკრულებას დავარღვევ, შენს მიერ დაჭერილი და მოკლული კაცის ნივთები შენ დაიტოვე!“[30]

გადარჩენილი კერპთაყვანისმცემელი ალლაჰის შუამავალთან მივიდა და ბესერის წაყვანა ისევ ითხოვა. ამჯერად აბუ ბესირმა თავი ასე დაიცვა:

„ალლაჰის შუამავალო! თქვენ ამათ რომ გადამეცით, ხელშეკრულებას იცავდით, მაგრამ მე ჩემი თავი თვითონ ვიხსენი.“

იგი მიხვდა ალლაჰის შუამავლის საოცარ გამჭრიახობას და უკან გაბრუნდა. ზღვის სანაპიროზე, მედინასა და მექას შორის ცნობილ ადგილზე დასახლდა. ცოტა ხნის შემდეგ იქაურობა ნეიტრალური თავშესაფრის ადგილად იქცა. აბუ ჯენდელმაც თავი იქაურობას შეაფარა. იქ თავშეფარებული მუსლიმანების რიცხვმა სამასს მიაღწია. მექასა და შამის სავაჭრო გზას საფრთხე დაემუქრა. ამის გამო გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი მექქელი კერპთაყვანისმცემლები იძულებულნი გახდნენ, ალლაჰის შუამავლისთვის ხელშეკრულებიდან ამ საკითხის ამოღება ეთხოვათ. ესე იგი, ვინც მუსლიმანობის გამო მექადან მედინაში გაიქცეოდა, მათ უკან დაბრუნებას აღარ მოითხოვდნენ. მუსლიმანების საწინააღმდეგო ეს მუხლი სულ მოკლე დროში მორწმუნეების სასიკეთოდ შემობრუნდა.[31]

ალლაჰის შუამავალმა აბუ ბასირის ჯამაათს წერილი გაუგზავნა, ამ დროს იგი სიკვდილის სარეცელზე იწვა. წერილი წაიკითხა თუ არა, სული განუტევა. აბუ ჯენ-დელმა ის იქვე დაასაფლავა,

30. იხ. ვაქიდი, II, 626-627.

31. იხ. ბუჰარი, სურუთი, 15, იბნ-ჰიშამი, III, 372.

სადაც გარდაიცვალა და მის სასაფლაოზე მეჩეთი ააშენა. შემდეგ სხვა მუსლიმანებთან ერთად მედინაში მივიდა და ალლაჰის შუამავალთან ერთად ბევრ ომში მიიღო მონაწილეობა.[32]

* * *

ჰუდეიბიეში მიღწეული სამშვიდობო შეთანხმება ისლამის ქადაგების ახალი ეტაპის საწყის წერტილად იქცა. მას უდიდესმა ალლაჰმა „აშკარა გამარჯვება“[33] უწოდა.

როცა ალლაჰის შუამავალმა თავის თანამიმდევრებს ამცნო ჰუდეიბიეში დიდი გამარჯვება მოვიპოვეთო, იმათგან ერთმა თავისთვის თქვა:

„ქააბაზე გარსშემოვლის ნება არ მოგვცეს, ჰარემში ყურბნის დაკვლაში ხელი შეგვიშალეს, ორი მუსლიმანი პიროვნება, რომელიც ჩვენთან თავშესაფარებლად მოვიდა, შუამავალმა უკან დააბრუნა, ეს როგორი გამარჯვებაა?“

როცა ეს სიტყვები ალლაჰის შუამავლამდე მივიდა, მან ეს გამარჯვება შემდეგნაირად ახსნა:

„დიახ, ეს სამშვიდობო შეთანხმება უდიდესი გამარჯვებაა. კერპთაყვანისმცემლების თანხმობით, თქვენ მათ მხარეში ისე წახვალთ და მოხვალთ, საქმეებს ისე გააკეთებთ, რომ საფრთხე არ დაგემუქრებათ. ისინი კი ამ დროს თქვენგან დაინახავენ და ისლამს ისწავლიან, რომელიც დღემდე არ მოსწონდათ და არ უნდოდათ მისი მიღება. ალლაჰი თქვენ წარმატებას მოგანიჭებთ, იმ ადგილებიდან საღ-სალამათი და მოგებით დაბრუნდებით, ეს კი ყველაზე დიდი გამარჯვებაა.“[34]

წმინდა აბუ ბაქრმა კი ჰუდეიბიეში მიღწეულ სამშვიდობო შეთანხმებაზე თავისი შეხედულება ასე გამოხატა:

„ისლამს იმაზე დიდი გამარჯვება, რაც ჰუდეიბიეში მოიპოვა, სხვაგან არ მოუპოვებია, მოკლე თვალთახედვის მქონე ხალხი

32. იხ. ვაქიდი, II, 629.
33. იხ. სურა ფეთიჰი, აიათი 1.
34. ჰალები, I, 715.

ამ ხელშეკრულებას ეწინააღმდეგებოდნენ. ადამიანები იმ საქმეებზე, რომელიც ალლაჰსა და შუამავალს შორის გარკვეულია, მოუთმენელნი არიან. ალლაჰის შუამავალი მათსავით ვერ აჩქარდება და იმას, რისი გაკეთებაც სურს, ვერ გააკეთებს, სანამ ხელსაყრელი მომენტი არ დადგება.“[35]

ჰუდეიბიეს მოლაპარაკების პირველი დადებითი შედეგი ისლამის სწრაფად გავრცელება იყო. მშვიდობის პერიოდში კი ისლამის ქადაგებას ახალი შესაძლებლობები მიეცა, მისი გავრცელებისათვის ახალი გზები გამოჩნდა. ამ პერიოდში მუსლიმანებმა კერპთაყვანისმცემლებთან ერთად სიარული, მათთან ყურანის კითხვა და ისლამზე ხმამაღლა საუბარი დაიწყეს, ვინც ადრე მუსლიმანობას მალავდა, ახლა უკვე მისი აღიარება უშიშრად შეეძლო.[36]

თუმცა აქამდე ვერც ერთი მხარე ასე მშვიდად ვერ ცხოვრობდა და ვერ ხვდებოდა ერთმანეთს. სამშვიდობო მოლაპარაკების შემდეგ კერპთაყვანისმცემლები მედინაში თავისუფლად მიდიოდნენ, მექქელ მუსლიმანებსაც იქ დასახლებულ ოჯახებთან, მეგობრებთან და სხვა ადამიანებთან შეხვედრისა და საუბრის საშუალება ჰქონდათ. ახლა უკვე უსმენდნენ მუსლიმანების მონათხრობს წმინდა შუამავლის მდგომარეობასა და მოქმედებაზე, სასწაულებზე, მორალსა და მისი გზის სილამაზეზე, კერპთაყვანისმცემელთა მრისხანება ნაწილობრივ შერბილდა და მათ ისლამის პატივისცემაც კი დაიწყეს. ბედუინი არაბებიც მხოლოდ და მხოლოდ ყურაიშების გამუსლიმანებას ელოდებოდნენ. ამ პერიოდში კერპთაყვანისმცემელი ამრ ლიდერები იბნ ასი, ჰალიდ იბნ ველიდი და ოსმან იბნ თალჰაც კი გამუსლიმანდნენ.[37]

მუსლიმანები სხვადასხვა მხარეში უსაფრთხოდ დადიოდნენ და ადამიანებს ისლამზე მოუთხრობდნენ ხოლმე. ასეთნაირად, მათი რიცხვი თანდათან იზრდებოდა.

იმამი ზუჰრი, სამშვიდობო მოლაპარაკების შედეგებს, ჰადისების მიხედვით გადმოგვცემს:

35. ვაქიდი, I, 610, ჰალები, I, 721.
36. იხ. იბნ ქათიბი, III, 303-310.
37. იხ. ვაქიდი, II, 624.

„ადრე მუსლიმანები და კერპთაყვანისმცემლები ყველგან, სადაც კი შეხვდებოდნენ ერთმანეთს, ებრძოდნენ. სამშვიდობო მოლაპარაკების შემდეგ ბრძოლები შეწყდა. ორ მხარეს შორის ნდობა დამყარდა. მათ ერთმანეთთან შეხვედრისა და დაახლოების საშუალება მიეცათ. ზოგჯერ ერთმანეთს ეხმარებოდნენ კიდეც. ამ პერიოდში ვინც ისლამის შესახებ რამეს ისმენდა, მუსლიმანდებოდა. ასე რომ, მექაზე გამარჯვებამდე ორი წლის განმავლობაში გამუსლიმანებულთა რიცხვი უფრო მეტი იყო, ვიდრე ცხრამეტწლიანი ქადაგების შედეგად გამუსლიმანებულთა რიცხვი.“

იბნ ჰიშამი გვამცნობს:

„როცა ალლაჰის შუამავალი, ჰუდეიბიეში მიდიოდა თან ოთხასი კაცი ახლდა, ორი წლის შემდეგ, მექაზე გამარჯვების დროს კი, მას ათი ათასი კაცი ახლდა. სხვა გადმოცემის მიხედვით, მათ გზაში კიდევ ორი ათასი მუსლიმანი შეუერთდათ. არმია თორმეტ ათასამდე გაიზარდა. ეს რიცხვები ზუჰრეს შეხედულებების მიზანშეწონილობას ნათლად გვიჩვენებს.“[38]

38. ჰისემი, VI, 170, იბნ ჰიშამი, III, 372.

ქადაგების წერილები

მმართველებისთვის ისლამის ქადაგება

წმინდა მუჰამმედ შუამავალმა რომელიც მთელი კაცობ-რიობისთვის იქნა მოვლენილი, ჰუდეიბიეს ხელშეკრულების შემდეგ დედამიწის ყველა მხარეში, სადამდეც მიღწევა შეიძლებოდა, ისლამის ქადაგება დაიწყო. ღმერთის ბრძანებაც ხომ ასეთი იყო:

„უთხარი** (მუჰამმედ!)**: ხალხნო! უეჭველად, მე ვარ ალლაჰის შუამავალი ყოველ თქვენგანისთვის...“[1]

„შუამავალო! უქადაგე** (ყველა ადამიანს)**, რაც შენ შენი ღმერთისგან გარდმოგევლინა. და თუ არ იზამ** (ამას)**, მაშინ ვერ შეასრულებ შუამავლობის მისიას. ალლაჰი დაგიცავს შენ ადამიანთაგან...“[2]

„ჩვენ წარგგზავნეთ შენ ხალხთან, რათა გემახარობლებინა მათთვის და ამასთანავე დამუქრებოდი მათ; ალლაჰის სატანჯველით მაგრამ ხალხის უმეტესმა ნაწილმა არ იცის ეს.“[3]

ალლაჰის შუამავალმა სხვადასხვა მხარეში ისლამის ქადაგების შემცვლელი წერილები გაგზავნა. ამ წერილთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ექვსი თუ რვა იყო. ამათგან თითოეული თავის რჩეულ თანამიმდევრებს გაატანა. როცა შუამავალმა სხვადასხვა ქვეყნის მმართველებისთვის წერილების მიწერა განიზრახა, თანამიმდევრებმა მას უთხრეს:

„ალლაჰის შუამავალო! ისინი ამ წერილებს ისე არ წაიკითხავენ, ბეჭედი ჯთუ არ ექნება დასმული!“ – შუამავალმა ვერცხლის ბეჭედი დაამზადებინა. ზედ სამ მწკრივად ამოატვიფრინა სიტყვები: „ალლაჰის შუამავალი მუჰამმედი!“ და ბეჭედი წერილებზე დაასვა.[4]

---

1. სურა აარაფი, აიათი 158.
2. სურა მაიდე, აიათი 67.
3. სურა საბა, აიათი 28.
4. იხ. ბუჰარი, ილიმი, 7, მუსლიმი, ლიბასი, 57, 58, იბნ სადი, I, 258.

ბეჭედზე „ალლაჰის შუამავალი მუჰამმედი“ ამ თანამიმდევრობით იყო ამოტვიფრული. ალლაჰისადმი დიდი პატივისცემის ნიშნად თანამიმდევრობა დაცული იყო.

* * *

მისი თანამიმდევართაგან დიჰეთულ-ქელბმა მისი წერილი ბიზანტიის იმპერატორს ჰერაკლიუს წაუღო. როცა წერილი მასთან მივიდა, ის სირიაში იმყოფებოდა, სპარსები დაემარცხებინა და უკან ბრუნდებოდა. წერილმა იმპერატორი კი არ გააბრაზა, არამედ დააინტერესა. ის განსაკუთრებით ქადაგების ხასიათით დაინტერესდა, ამის გამო მან შუამავლის თანამოქალაქეთაგან ვინმეს მოყვანა ბრძანა, რათა მისთვის ამ თემასთან დაკავშირებით კითხვები დაესვა.

ბიზანტიაში მიმავალ მექქელი ვაჭრების ქარავანს, წმინდა შუამავლის დაუძინებელ მტერი აბუ სუფიანი ედგა სათავეში. ჰერაკლიუსის კაცები სწორედ მათ შეხვდნენ და ისინი იმპერატორთან წაიყვანეს. ის და მისი ხალხი „ბეითულ მაქდისში“ იყვნენ. იმპერატორმა ისინი მიიღო და თარჯიმნის მოყვანა ბრძანა. ჰერაკლიუსის ბრძანებით თარჯიმანმა მათ ჰკითხა:

„იმ კაცის, ყველაზე ახლო ნათესავი, რომელიც ამბობს შუამავალი ვარო, ყველაზე ახლო ნათესავი თქვენგან რომელია?

აბუ სუფიანმა თქვა:

„ყველაზე ახლობელი მე ვარ!“

„ის და მისი ამხანაგები ჩემთან მოიყვანეთ! მე მხოლოდ მას გავესაუბრები, ამხანაგები უბრალოდ მის გვერდით იყვნენ და როცა ამ ადამიანს იმ კაცის შესახებ რაიმეს ვკითხავ, თუკი ტყუილს მეტყვის, თქვან – ტყუისო!“

აბუ სუფიანი ამბობდა:

„ღმერთმანი, ჩემი ამხანაგები რომ იქ არ ყოფილიყვნენ, არ შემრცხვებოდა და მის შესახებ ტყუილს ვიტყოდი.“

ჰერაკლიუსმა პირველად ასეთი კითხვა დამისვა:

– მისი მოდგმა მრავალრიცხოვანია?

– დიახ, მისი მოდგმა მრავალრიცხოვანია.

– თქვენგან შუამავლობის პრეტენზია ვინმეს მანამდე გამოუთქვამს?

– არა.

– ისინი, ვინც მას ემორჩილებიან, დიდგვაროვნები არიან თუ დაბალი ფენისა?

– დაბალი ფენისა.

– მის მიმდევართა რიცხვი იზრდება თუ მცირდება?

– იზრდება.

– ვინმე თუა ისეთი, ვინც ეს რწმენა მიიღო, არ მოეწონა და ისევ უარყო?

– არა, არ არის.

– სანამ ამ პრეტენზიას წამოაყენებდა, ის როდესმე ტყუილში დაგიდანაშაულებიათ?

– არა! მიცემულ სიტყვას ყოველთვის ასრულებდა. ახლა ჩვენ მასთან ხელშეკრულება გავაფორმეთ. ამ დროის განმავლობაში რას გააკეთებს არ ვიცით. – მისი საძრახისი სიტყვა სხვა ვერსად ვერაფერი ჩავაკვეხე.

შემდეგ ჰერაკლემ მკითხა:

– მას როდესმე ეომეთ?

– დიახ.

– ბრძოლები როგორ სრულდებოდა?

– ხან ის იმარჯვებდა და ხან ჩვენ.

– კარგი, თქვენ რას გიბრძანებთ?

– ჩვენ გვეუბნება, მხოლოდ ალლაჰს ემსახურეთ, მას მოზიარეს ნურავის გაუხდით, უარყავით კერპები, რომ-ლებსაც თქვენი წინა-

პრები სცემდნენ თაყვანსო! ნამაზის შესრულებას, სიმართლის, პატიოსნების, ნამუსიანობის დაცვას და ნათესავების მონახულებას გვიბრძანებს.

ჰერაკლიუსმა თარჯიმანს მიუბრუნდა:

– მას მისი გვარი ვკითხე და მიპასუხა, რომ მისი მოდგმა დიდგვაროვანია. შუამავლებიც ასე არიან, ცნობილ, დიდგვაროვანთა მოდგმიდან იგზავნებიან.

ვკითხე, თქვენს შორის მანამდე ვინმეს თუუგამოუთქვამს ამგვარი პრეტენზია-მეთქი, არაო, მიპასუხა. მანამდე ვინმეს ამის მსგავსი პრეტენზია რომ გამოეთქვა, ვიტყოდი, მას ბაძავს-მეთქი.

დედის ან მამის ხაზით ვინმე მეფე თუ ჰყავდა-მეთქი, ვკითხე, არაო, მითხრა. წინაპრებში ვინმე მეფე რომ ჰყოლოდა, ვიტყოდი, მამის სამფლობელოს დაბრუნება უნდა-მეთქი.

ამ პრეტენზიის გამოთქმამდე მას როდესმე ტყუილი უთქვამს-მეთქი, არაო, მითხრა. მე ვიცი, რომ კაცი, რომელიც ადამიანების წინაშე არ ამბობს ტყუილს, ალლაჰის შესახებ ტყუილს არ იტყვის!

ვინც მას ემორჩილება, მმართველი კლასიდან არის თუ დაბალი ფენიდან-მეთქი, დაბალი ფენიდანო, მიპასუხა. დასაწყისში შუამავლებს სწორედ ასეთი ადამიანები ემორჩილებიან.

მისი მიმდევრების რიცხვი იზრდება თუუმცირდება-მეთქი, იზრდებაო! ეს თავისებურებაც ჭეშმარიტ რწმენას ახასიათებს.

ისეთი ვინმე თუ არის თქვენს შორის, ვინც მისი რწმენა მიიღო, არ მოეწონა და შემდეგ უარყო-მეთქი, ვკითხე, არაო, მიპასუხა. ასე ხდება, რწმენა ადამიანს გულში თუ ჩაუსახლდა, იქ ფესვებს იდგამს.

სიტყვა როდესმე გატეხა-მეთქი, არაო, მითხრა. შუამავლები ასე არიან, სიტყვას არასოდეს გადავლენ. შემდეგ აბუ სუფიანს მიუბრუნდა:

– მასთან ოდესმე იომეთ-მეთქი, გკითხე და მიპასუხე, ვიომეთ

და ხან ის იმარჯვებდა, ხან ჩვენო. შუამავლებიც ასე არიან, მაგრამ მათი დამარცხება დროებითია, საბოლოოდ გამარჯვება მათია.

თქვენ რას გიბრძანებს-მეთქი, გკითხე, მხოლოდ ალლაჰზე სამსახურს, მის მოზიარედ არავის ცნობას, კერპების უარყოფას, ნამაზის შესრულებას, სამართლიანობას პატიოსნებას და ნამუსის შენახვას გვიბრძანებსო, მითხარი.

თუკი ეს ყველაფერი მართალია, მაშინ ის კაცი მალე ამ ადგილების, სადაც ახლა მე ვდგავარ, მმართველი გახდება. მე ამ შუამავლის მოვლენის შესახებ ვიცოდი, მაგრამ აზრზე არ ვიყავი თუ ერთ-ერთი თქვენგანი იქნებოდა. რომ ვიცოდე, მასთან მივაღწევ, ყოველგვარ სიძნელეს შევეჭიდებოდი, რათა მის გვერდით ვყოფილიყავი და მისთვის ფეხები დამებანა.

ამის შემდეგ ჰერაკლეიუსმა დიჰიეს საშუალებით, ბუსრის ემირთან გაგზავნილი, მისთვის განკუთვნილი წმინდა შუამავლის წერილი მოითხოვა. დიჰიემ წერილი ჰერაკლიუსს გადასცა. წერილში ეწერა:

„ალლაჰის მონა-მსახურის და შუამავლის მუჰამმედისაგან, რომაელების მმართველ ჰერაკლეიუსს!

სალამი მათ, ვინც ჭეშმარიტების გზაზე დგას! მე შენ ისლამს გიქადაგებ. ისლამი მიიღე, სიკეთეს მოიპოვებ და ალლაჰიც შენ ორმაგად დაგაჯილდოებს! თუკი თანახმა არ იქნები, მაქაური მკვიდრების ცოდვა შენს კისერზე იქნება.“

„(მუჰამმედ) უთხარი. ღვთიური წიგნის მიმდევარნო! მოდით (დავდგეთ) ერთ(ნაირ) სიტყვაზე, ჩვენთვისაც და თქვენთვისაც! თაყვანი ვცეთ მხოლოდ ალლაჰს, არ დავუწესოდთ მას მოზიარე, არ გავიხადოთ ერთი-მეორე ღმერთებად. და თუ (ისინი) მაინც ზურგს შეიქცევენ, მაშინ უთხარით: მოწმე იყავით, ჩვენ მუსლიმანები ვართ.“[5]

აბუ სუფიანი ამბობდა:

„ჰერაკლიუსმა რაც სათქმელი ჰქონდა, გვითხრა, წერილი წაიკითხა. შემდეგ ფეხზე ადგა და სიარული დაიწყო, ხმა აიმაღლა.

5. სურა ალი იმრანი, აიათი 64.

ჩვენ გარეთ გამოგვიყვანეს, ამხანაგებს ვუთხარი:

„მუჰამმედის საქმე საკმაოდ გასერიოზულდა, ერთი ნახეთ ჰერაკლიუსს (ბენი ასფარ მელიქს)აც მისი ეშინია“ მეთქი!აი, ამ დროიდან მოყოლებული არასდროს დამიკარგავს რწმენა იმისა, რომ მის გვერდით წარმატებას მივაღწევდი. ბოლოს ალლაჰმა ისლამის მიღების ბედნიერებაც მარგუნა.

ჰერაკლიუსმა საზოგადოების წინამძღოლები თავისთან მიიწვია, თავის ერთ-ერთ სასახლეში შეკრიბა და მათ ასე მიმართა:

„რომაელებო! მარადიული ხსნასა და ამ სასულთნოს ურყეობაზე რას იტყვით?“ (ისლამის მიღება შესთავაზა). ამაზედ ყველა იქ მყოფი წამოხტა და კარისკენ გაიქცა, თითქოს ველური ვირები იყვნენ და რაღაცამ დააფრთხოო, მაგრამ კარი ჩარაზული დახვდათ. ჰერაკლეიუსმა, როგორც კი მიხვდა, რომ მის გარშემო მყოფი სახელმწიფოს გავლენიანი პირები მას არ დაეთანხმებოდნენ, ისლამს არ მიიღებდნენ, თავისი ნათქვამი სიტყვები უკან წაიღო და მათ უთხრა:

„თქვენი გამოცდა მინდოდა. მსურდა მენახა, ქრისტი-ანობაში რამდენად ურყევი და შეუვალი იყავით. თქვენი ეს მდგომარეობა მომეწონა!“ ამ სიტყვებით კმაყოფილმა დიდგვაროვნებმა მის წინაშე მუხლი მოიყარეს.[6]

როცა ბიზანტიის იმპერატორმა, ჰერაკლიუსმა, მასთან მიღწეული ისლამი თავისი მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანა, ჭეშმარიტებას ჩასწვდა, მაგრამ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ეს ხელსაყრელი შემთხვევა უკუაგდო და სახელმწიფოს მარადიულ ბედნიერებას ზიანი მიაყენა.

* * *

ირანის ქისრასადმი მიწერილი წერილი აბდულლაჰ იბნ ჰეზაფემ წაიღო, მაგრამ ქისრა ჰერაკლიუსის მსგავსად არ მოქცეულა. როგორც კი დაინახა, რომ წმინდა შუამავლის წერილი მის სახლამდე

6. ბუჰარი, ბედულ-ვაჰი, 1, 5-6, იბნ 37, შეჰაიეთი 28; ჯიჰადი 102; მუსლიმი, ჯიჰადი 74, აჰმედი, 1, 262.

მივიდა, გაბრაზდა და წერილი ნაკუწებად აქცია. ელჩი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა.

აბდულლაჰმა ქისრასა და მის ხალხს მიმართა:

„სპარსელებო! თქვენ სიზმრის მსგავსი სიცოცხლით ცხოვრობთ. არც შუამავალი გყავთ, არც წმინდა წიგნი გაქვთ და დედამიწის მხოლოდ ერთ მცირე ნაწილს განაგებთ! თუმცა დედამიწის ის ნაწილი, რომელსაც თქვენ არ მართავთ, უფრო დიდია.

ქისრა! შენამდე სააქაოსა და საიქიოს მსურველი ბევრი ხელმწიფე მოსულა. იმათგან მას, ვისაც საიქიო სურდა, სააქაოც ერგო, ხოლო იმათ, ვისაც მხოლოდ ეს ქვეყანა სურდათ, საიქიო სამუდამოდ დაჰკარგეს. შენთვის შემოთავაზებულ ამ რწმენას ამცირებ, მაგრამ, ღმერთმანი, სადაც უნდა იყო, როგორც კი ის მოვა, რაც შენ დაამცირე, შიშისგან საკუთარ თავსაც კი ვერ დაიცავ!“

ქისრამ პასუხად უთხრა, რომ ეს სამფლობელო მას ეკუთვნოდა და არც იმის ეშინოდა, რომ დამარცხდებოდა ან ვინმე მოზიარედ გაუხდებოდა.[7] ამის შემდეგ მსახურებს აბდულლაჰ იბნ ჰუზაფეს გარეთ გაყვანა უბრძანა.

აბდულლაჰი ქისრასგან გამოვიდა თუ არა, მაშინვე აქლემზე შეჯდა და მედინას გზას დაადგა. თავისთვის ამბობდა:

„ღმერთმანი, მე ორი გზისგან (სიკვდილი და თავისუფ-ლება) რომელიც უნდა მერგოს, არ ვიდარდებ. ალლაჰის შუამავლის დავალება შევასრულე და წერილი დანიშნულების ადგილზე მივიტანე.“[8]

არსებობს ერთი უცნაური გადმოცემა, რომელიც აბდულლაჰ იბნ ჰუზაფეს ღვთისმოსაობასა და გამბედაობას ასახავს.

კეთილშობილმა ომარმა თავისი ხალიფობის პერიოდში ბიზანტიაში, კაისერის მხრიდან, რომაელებზე გაილაშქრა. აბდულლაჰ იბნ უზაფეც ამ ლაშქარში მონაწილეობდა. რომაელებმა ის ტყვედ ჩაიგდეს, მეფესთან მიიყვანეს და უთხრეს, ეს კაცი მუჰამმედის

7. სუჰეიდი, VI, 589-590.

8. აჰმედი, 1, 305; იბნ სადი, 1, 260, IV, 189, იბნ ქესირი, ელ-ბიდაე, IV, 263, ჰამიდულლაჰ, ელ-ფესაიქ, გვ. 140.

თანამიმდევართაგანიაო.

მეფემ ძვირფასი აბდულლაჰი ერთ სახლში დაამწყვდევინა. მისთვის რამდენიმე დღის განმავლობაში საჭმელ-სასმელი არ მიუციათ. შემდეგ კი მცირე ღვინო და ღორის ხორცი მიუტანეს. სამ დღეს აკვირდებოდნენ. აბდულლაჰს არც ღვინისთვის და არც ღორის ხორცისთვის ხელი არ უხლია. მეფეს უთხრეს:

„მას კისერი კარგად მოვუგრიხეთ, იქიდან თუ არ გამოვიყვანთ, აუცილებლად მოკვდებაო!“

მეფემ ის მოაყვანინა და ჰკითხა:

„აბა მითხარი! საჭმელსა და სასმელს პირს რატომ არ აკარებ?“

აბდულლაჰმა უპასუხა:

„მართალია, აუცილებლობის შემთხვევაში მათი ჭამა და სმა ჩემთვის ნებადართულია, მაგრამ არ მინდოდა, თქვენ ჩემზე და ისლამზე გაგეცინათ!“

მეფემ ამ ღირსეული ქცევის საპასუხოდ ჰკითხა:

„შენ რომ ჩემი სამფლობელოს ნახევარი მოგცე, ჩემი ქონებისა და სასულთნოს პარტნიორად გაღიარო, ჩემს ქალიშვილზე რომ დაგაქორწინო, ქრისტიანობას იწამებდი?“

აბდულლაჰმა უპასუხა;

„შენ მე მთელი შენი სამფლობელო და მთელი არაბეთის მხარეებიც რომ მომცე, მუჰამმედის რწმენიდან იმდენ ხანსაც კი ვერ გადამახვევინებ, თვალის დახამხამებას რომ სჭირდება“.

მეფემ უთხრა:

„თუ ასეა, მოგკლავ!“

წმინდა აბდულლაჰმა უპასუხა:

„ეგ შენი საქმეა!“

აბდულლაჰი ჯვარზე გააკრეს, ისრები ისე ესროლეს, რომ არ დაუმიზნებიათ. შემდეგ ისევ გაქრისტიანება შესთავაზეს. ეს მად-

ლმოსილი ადამიანი სულ მცირედიდაც კი არ შეყოყმანებულა და არაფერი უნანია.

მეფე დაემუქრა:

„ან გაქრისტიანდები ან არადა ქვაბში მოგხარშავ!“ ისევ რომ არ დაეთანხმა, სპილენძის ქვაბი მოატანინა, შიგ ზეითუნის ზეთი თუ წყალი ჩაასხეს და აადუღეს. მეფემ ერთი მუსლიმანი ტყვე მოაყვანინა და გაქრისტიანება შესთავაზა. ტყვემ ეს წინადადება როგორც კი უარყო, მისი ქვაბში ჩაგდება ბრძანა. მუსლიმანი ტყვე ქვაბში ჩააგდეს. ხორცი ძვალს ერთ წამში მოსცილდა. აბდულლაჰი ყოველივე ამას თავისი თვალით უცქერდა!

მეფემ აბდულლაჰს კვლავაც გაქრისტიანება შესთავაზა. რომ არ დაეთანხმა, მისი ქვაბში ჩაგდება ბრძანა. როცა ქვაბში აგდებდნენ, წმინდა აბდულლაჰი ატირდა. მეფემ იფიქრა, რომ აზრი შეიცვალაო და თავისთან მიაყვანინა. კვლავ გაქრისტიანება შესთავაზა. როცა მტკიცე უარი მიიღო, გაოცებულმა ჰკითხა:

„აბა, რატომ ტიროდი?“

ძვირფას აბდულლაჰ იბნ უზაფემ მშვენიერი პასუხი გასცა:

„არ იფიქრო, იმიტომ ვტიროდი, რომ, ადუღებულ ქვაბში ჩადებისა შემეშინდა! იმიტომ ვტიროდი, რომ ალლაჰის გზაზე მხოლოდ ერთი სულის მიცემა შემიძლია. ჩემთვის ვთქვი: მე მხოლოდ ერთ სულს ვატარებ. ახლა ამ ქვაბში ჩამაგდებენ, ალლაჰის გზაზე მოვკვდები და წავალ. როგორ მინდოდა რომ იმდენი სული მქონოდა, რამდენიც სხეულზე თმა მაქვს და ამათგან ყველა ალლაჰის გზაზე ტანჯვით გამეცა.“

ძვირფასი აბდულლაჰის რწმენით მინიჭებული და დიდგვაროვნების წყალობით გამოხატული ეს საოცარი ქცევა მეფეს ძალიან მოეწონა და მისი განთავისუფლება მოუნდა. უთხრა:

„თავზე მაკოცე და გაგათავისუფლებ!“

აბდულლაჰმა ჰკითხა:

– ჩემთან ერთად დანარჩენ მუსლიმან ტყვეებსაც გაანთავისუფ-

ლებ?

– დიახ, გავათავისუფლებ!

– მაშინ ამას ახლავე გავაკეთებ!

ძვირფასი აბდულლაჰი გადმოგვცემს: „ჩემთვის გავიფიქრე: თან საკუთარი თავის და თან სხვა მუსლიმანი ტყვეების გასათავისუფლებლად ალლაჰის მტერს თავზე რომ ვაკოცო, რა დაშავდებამეთქი?“

იმ დღეს ოთხმოცი მუსლიმანი გაათავისუფლეს. კეთილშობილ ომართან რომ მოვიდნენ და მდგომარეობა აუხსნეს, მან თქვა:

„აბდულლაჰ იბნ ჰუზაფეს თავზე კოცნა ყველა მუსლიმანის მოვალეობაა! ამის შესრულებას პირველი მე ვიწყებ“ ადგა მასთან მივიდა და თავზე აკოცა.

აი, ამ მადლმოსილ თანამიმდევარს ალლაჰის შუამავლის წერილის ქისრასთან წაღების ბედნიერება ხვდა წილად. ჯალათების წინაშე, რომლებიც თავიანთი მმართველის ნიშანს ელოდებოდნენ, დიდი გამბედაობა გამოიჩინა და ქისრასა და მის ხალხს ისლამი უქადაგა.

ალლაჰის შუამავალმა, როცა გაიგო ქისრას უტაქტო ქცევის შესახებ, რომელიც წერილის დახევით გამოიხატა, თქვა:

„ჩემო ალლაჰო! შენც მისი სამფლობელო ამგვარადვე ნაწილ-ნაწილ დაშალე.“[9]

ალლაჰის შუამავლის ეს სასწაული „ოთხი დიდი ხალიფის“ პერიოდში განხორციელდა და ქისრას მიწები მთლიანად მუსლიმანების ხელში გადავიდა.

ქისრამ იემენის გუბერნატორს ბაზანს წერილი გაუგზავნა და წმინდა შუამავლის მასთან მიყვანა სთხოვა. ბაზანის ელჩები ალლაჰის შუამავალთან მივიდნენ, მდგომარეობა აუხსნეს და წერილი გადასცეს. წმინდა შუამავალმა, როგორც კი წერილი წაიკითხა, გაიღიმა, ელჩებს ისლამი უქადაგა. ბაზანის ელჩებმა მას თხოვეს:

9. ბუჰარი, ილიმი, 7; იბნ ესირი, უსდულ-გაბე, III, 212.

„თუკი ჩვენთან ერთად არ წამოხვალ, გუბერნატორ ბაზანის სახელზე წერილი დაწერე! ალლაჰის შუამავალს უდიდესი ღმერთის ზეშთაგონება მოევლინა და უთხრა:

„უდიდესმა ალლაჰმა, ქისრას შვილს, შირევეიჰს, უბედურება დაატეხა. შირევეიჰი მან ამა და ამ დღეს, ამა და ამ ღამეს, ამა და ამ საათზე მოკლა!“

ელჩები გაოცდნენ:

„ჩვენ შენგან მოსმენილი ეს სიტყვები დავწეროთ და გუბერნატორს ვამცნოთ?“

„დიახ! ჩემგან მოსმენილი მას ამცნეთ! თანაც უთხარით: ჩემი რწმენა და მმართველობა იმ ადგილებამდე მიაღწევს, სადაც ქისრას სამფლობელო და სასულთნოა გაშენებული, სადამდეც თქვენს ცხენებსა და აქლემებს ფეხები მიუწვდებათ, მას აგრეთვე უთხარით: თუ გამუსლიმანდება, იმ ადგილებს, რომელსაც მართავს, მას ვუტოვებ! მას და მის შვილებს იემენელი სპარსების მმართველებად გავხდი!“

ბაზანმა, როგორც კი ეს გაიგო, თქვა:

„ღმერთმანი, მისი სიტყვა ხელმწიფის სიტყვა არ არის! ვთვლი, რომ ეს კაცი, როგორც თვითონ ამბობს, მართლაც შუამავალია. დაველოდოთ მის მიერ ქისრას შესახებ ნათქვამი სიტყვების შედეგს. თუკი ეს სიტყვები მართალი გამოდგება, ის მართლაც ალლაჰის მიერ ადამიანებისთვის მოვლენილი შუამავალია. თუკი მისი ნათქვამი სიმართლე არ გამოდგება, მაშინ მის შესახებ იმას ვიფიქრებთ, რაც საჭიროა!“ ელჩებს მიუბრუნდა და ჰკითხა:

„თქვენ ის როგორი მოგეჩვენათ?“

„ჩვენ მასზე უფრო თავდაჭერილი, მის მსგავსად უშიშარი, მცველების გარეშე, ადამიანებს შორის ფეხით მოსიარულე ხელმწიფე არ გვინახავს! მისი თანამიმდევრები მის გვერდით ხმას არ იმაღლებენ, დაბალი ხმით ლაპარაკობენ“ და ყველაფერი უამბეს, რაც ნახეს.

როგორც კი მოიტანეს წერილი, რომელიც შირევეიჰის სიკვდილს

შეეხებოდა და ნახეს, რომ იქ აღწერილი დრო ზუსტად ემთხვეოდა, ბაზანმა ალლაჰის შუამავლის შესა-ხებ თქვა:

„ეს კაცი ნამდვილად ალლაჰის მხრიდან ადამიანებისთვის მოვლენილი შუამავალიაო.“ ამის შემდეგ ის გამუსლიმანდა და იემენში მცხოვრები მისი სპარსი შვილებიც გაამუსლიმანა.[10]

* * *

ალლაჰის შუამავლის წერილსა და ელჩს ყველაზე კარგად ნეჯაში შეხვდა. წერილი, რომელიც ნეჯაშს ამრ იბნ უმეიმემ წაუღო, ისლამის ქადაგებასთან ერთად წმინდა მარიამისა და წმინდა ისას შესახებ ზოგიერთ ცნობასაც შეიცავდა. ნეჯაში, რომელსაც ისლამის შესახებ ადრე ეთიოპიაში ჰიჯრით გადასული მუსლიმანებისგან ცოტა რამ გაეგო, ამ საკითხთან დაკავშირებით, თავიდანვე სწორად იქცეოდა. ამ ქადაგების წერილმა თვალსაწიერი კიდევ უფრო გაუფართოვა. ამ დროს მის გვერდით აბუ თალიბის უფროსი შვილი, აბუ ჯაფერიც იმყოფებოდა. მის წინაშე რწმენისათვის საჭირო სიტყვები წარმოთქვა და გამუსლიმანდა. შემდეგ ალლაჰის შუამავლის სურვილით, იქაური მუჰაჯირები ორ გემში ჩასვა და გაგზავნა. ამავე დროს წმინდა შუამავალს გაუგზავნა წერილი, სადაც თავისი გამუსლიმანების შესახებ ამცნობდა. წერილი ასეთი შინაარსის იყო:

„ალლაჰის შუამავალს მუჰამმედს ნეჯაშისაგან.

ალლაჰის შუამავალო! ალლაჰმა, რომელიც ერთადერთია და არ არსებობს ღმერთი მის გარდა, მე ჭეშმარიტება შემამეცნებინა.

ალლაჰის შუამავალო! ჩემთან მოაღწია თქვენმა წერილმა, რომელშიც წმინდა ისას (იესო) მდგომარეობაა ნახსენები. ვფიცავ ღმერთს, რომელიც ცისა და მიწის გამგებელია, წმინდა ისასაც საკუთარ თავზე მეტი არაფერი უთქვამს. მისი ქადაგებაც თქვენი ნაბრძანების მსგავსია. თქვენ ქადაგის მოვალეობა იტვირთეთ და ჩვენც ისლამის საფუძვლები ვისწავლეთ. თქვენს ბიძაშვილთან (ჯაფერ თაიარასთან) ერთად ჩვენს მხარეში ჰიჯრით მოსულ თქვენს თანამიმდევრებს ვუმასპინძლეთ. მწამს, რომ შენ ხარ

10. იბნ სადი, I, 260, აბუ ნუამი, დელაილი, II, 349-350.

ალლაჰის შუამავალი სიტყვის ერთგული და უფლებამოსილი.

ალლაჰის შუამავალო! შენი მოკავშირე შენი ბიძაშვილის საშუალებით გავხდი. მის წინაშე ქვეყნის ერთადერთ ღმერთს ალლაჰს დავემორჩილე. შენ ჩემს შვილს ერჰას გიგზავნი. მე მხოლოდ საკუთარი თავის მფლობელი ვარ, თუ გსურს რომ შენთან მოვიდე, ახლავე მოვალ. მოწმე ვარ, რომ შენი ნათქვამი სიმართლეა. ალლაჰის შუამავალო, სალამს გადმოგცემ!“[11]

* * *

ერთ დღეს ალლაჰის შუამავალმა იკითხა:

„ადამიანებო! ჯილდოს ალლაჰისგან მოლოდინით, ამ წერილს ისკენდერ მუქავქისს[12] რომელი წაუღებთ?“

ჰათიბ იბნ ები ბელთა ფეხზე წამოვარდა, წმინდა შუამავალთან მივიდა და უთხრა:

„ალლაჰის შუამავალო, მე წავუღებ!“

ალლაჰის შუამავალმა განუმარტა, რომ ღმერთმა ეს შენთვის წმინდა მოვალეობად დააწესაო!

ჰათიბმა წერილი ისკენდერის მეფეს წაუღო. წერილში შემდეგი სიტყვები ეწერა:

„ბისმილლაჰი რრაჰმანი რრაჰიმ.

სალამი, ალლაჰის მონა-მსახური შუამავლისაგან კოპტების მმართველს, ნმუქავქისს. სალამი მას, ვინც ჭეშმარიტებას შეიცნობს და მართალ გზას ჩასწვდება.

შენ ისლამს გიქადაგებ. გამუსლიმანდი, კეთილდღეობა მოიპოვე, ალლაჰი მადლსა და ჯილდოს გაგიორმაგებს. თუკი ამ მოწვევას

11. იბნ სადი, 1, 259, იბნ ქაიმი, III, 689, ჰამიდულლაჰ, ელ-ვესაიქ, გვ. 100, 104-105.
12. ბიზანტიის იმპერატორს – კეისარი, რომის – კაისერი, სპარსების ხელმწიფეს – ქისრა, ეთიოპიის ხელმწიფეს – ნეჯაში, ეგვიპტის მმართველს – ფარაონი, ისკენდერუნის ხელმწიფეს – მუქავქისი, იემენის ხელმწიფეს – თუბბა, ჰინდის მეფეს ბათლიმუსი ეწოდებოდა. ესენი საყოველთაოდ მეფეების სახელწოდებებია და არა საკუთარი სახელები.

უარყოფ, კოფტების ცოდვა შენს კისერზე იქნება.“

„(მუჰამმედ) უთხარი: ღვთიური წიგნის მიმდევარნო! მოდით (დავდგეთ) ერთ სიტყვაზედ ჩვენთვისაცა და თქვენთვისაც! თაყვანი ვცეთ მხოლოდ ალლაჰს. არ გავუჩინოთ მას მოზიარე, არ გავიხადოთ ერთი-მეორე ღმერთებად და თუ (ისინი) მაინც ზურგს შეიქცევენ, მაშინ უთხარით; მოწმე იყავით, ჩვენ მუსლიმანები ვართ.“[13]

მუქავქისმა, ალლაჰის შუამავლის წერილი როგორც კი წაიკითხა, ჰათიბი თავისთან იხმო, მორწმუნე ადამიანები შეკრიბა. ამ ამბის გაგრძელებას ჰათიბი ასე გადმოგვცემს:

„მუქავქისმა მითხრა, რომ ზოგ რამეს, რასაც ვერ გავიგებ, შენ გკითხავ, შენ გაგესუბრებიო.

– ბრძანეთ, ვისაუბროთ-მეთქი, – ვუთხარი.

მუქავქისმა მკითხა:

– შენი ბატონი შუამავალია არა?

– დიახ, ის ალლაჰის შუამავალია.

– თუ ის მართლაც ასეთი შუამავალია, იმ ტომის, რომელმაც ის საკუთარ სამშობლოდან განდევნა და აიძულა, თავი სხვა ადგილისთვის შეეფარებინა, საწინააღმდეგოდ ალლაჰს რატომ არ შეევედრაო? – რომ მკითხა, ვუპასუხე:

– შენ ხომ გწამს, რომ ისა იბნ მარიამი ალლაჰის შუამავალია! განა, მას არ შეეძლო ალლაჰს შევედრებოდა მისი მოდგმის განადგურება? მოდგმის, რომელსაც მისი დაჭერა და ჯვარზე გაკვრა უნდოდა და ეს ვერ გააკეთეს მხოლოდ იმიტომ, რომ ალლაჰმა ის ცად აღამაღლა მეთქი.

მუქავქისმა ველარაფერი მითხრა. ცოტა ხანს გაჩუმდა და შემდეგ მითხრა:

– შენი სიტყვა გაიმეორე!

გავიმეორე. მუქავქისმა ცოტა ხანს კვლავ გაჩერდა და შემდეგ ამოიღო ხმა:

13. სურა ალი-იმრანი, აიათი 64.

– ლამაზად ლაპარაკობ. შენ ბრძენი ადამიანი ჩანხარ, ყველაფერს თავის ადგილზე ამბობ და ბრძენი ადამიანისგანაც მოდიხარ.

შემდეგ მუქავქისს ვუთხარ:

– შენამდე აქ ერთმა კაცმა საკუთარ თავი ყველაზე მაღალ ღმერთად გამოაცხადა. უდიდესმა ალლაჰმა ის (ფარაონი) სააქაო და საიქიო ტანჯვით დასაჯა. შენც წარსულისაგან მაგალითი აიღე, რომ მომავალი თაობების მაგალითად არ იქცე.

მუქავქისმა მითხრა:

– ჩვენ გვაქვს რწმენა და სანამ იმაზე უკეთესს არ ვნახავთ, მას არ მივატოვებთ!

– უეჭველია, რომ ისლამი იმ რწმენაზე, რომელსაც შენ აღიარებ, უფრო მაღლა დგას! ჩვენ შენ გიქადაგებთ ისლამს, რომელიც თვით უდიდესმა ალლაჰმა აურჩია ადამიანებს. მუჰამმედ შუამავალი ისლამს არა მარტო შენ არამედ, მთელ კაცობრიობას უქადაგებს. იმათგან, ვინც მას ყველაზე უხეშად და უხამსად მოექცნენ, ყურაიშები იყვნენ, ყველაზე მტრულად - ებრაელები, ხოლო ყველაზე მეტი ახლობლობა მას ქრისტიანებმა აჩვენეს. ისე როგორც წმინდა მუსამ გვახარა წმინდა ისას მობრძანება, ასევე გვახარა წმინდა ისამ მუჰამმედის მობრძანება. ჩვენს მიერ ყურანის ქადაგება იგივეა, რაც თორას (თევრათის) ამღიარებლებისთვის სახარების (ინჯილის) ქადაგება. ყველა ადამიანი უნდა გახდეს იმ შუამავლის მიმდევარი, რომელიც მის დროში მოევლინება, შენ კი იმ ადამიანების რიცხვს განეკუთვნები, ვინც წმინდა მუჰამმედის დროს გაჩნდა. ამის გამო, როცა შენ ისლამს გიქადაგებთ, ისას რჯულს არ გაშორებთ, პირიქით, მისი შუამავლობის მისიის შეასფერის მოქმედებას გთავაზობთ.

მუქავქისმა თქვა:

– მე ამ შუამავლის რწმენა განვიხილე, დავინახე, რომ აქ არც ამქვეყნიურობაზე მოცილებაა ნაბრძანები, არც ჩემთვის სასიამოვნო და მოსაწონი რაღაცეებია აკრძალული. ის არც ჯადოქარია და არც მატყუარა, პირიქით, ის ამბავს უხილავად იგებს, რაც

შუამავლობის ნიშანია. მიუხედავად ამისა, ცოტა მაინც მინდა ვიფიქრო.

შემდეგ წმინდა შუამავლის წერილზე ასე უპასუხა:

„ბისმილლაჰი რრაჰმანი რრაჰიმ.

მუჰამმედ იბნ აბდულლაჰს მუქავქისისაგან.

მოგესალმები! შენი წერილი წავიკითხე. გავიგე ის, რასაც ქადაგებ. ვიცოდი, რომ შუამავალი უნდა მოვლენილიყო, მაგრამ ვთვლიდი, რომ ის შამიდან იქნებოდა. შენს ელჩს ვუმასპინძლე. შენ კოპტების წარჩინებულ ორ მხევალსა და ტანსაცმელს გიგზავნი. კიდევ ერთ ჯორს გაძლევ საჩუქრად და სალამს გადმოგცემ!“

მუქავქისს ამის მეტი არც არაფერი გაუკეთებია და არც გამუსლიმანებულა. მეც გამაფრთხილა: „ფრთხილად, კოპტებმა შენი პირიდან არც ერთი სიტყვა არ გაიგონონო!“[14]

როგორც ჩანს, მუქავქისი ალლაჰის შუამავლის ქადაგებას კარგად შეხვდა. მან იცოდა, რომ ბოლო შუამავალი მოევლინებოდა ამ ქვეყანას, მაგრამ თვლიდა, რომ ის შამიდან იქნებოდა. ეს აზრი გახდა მისთვის ჭეშმარიტებაში ჩაუწვდომლობის მიზეზი და არ ირწმუნა. ჰათიბს, რომელმაც წერილი მიუტანა, მხოლოდ და მხოლოდ საჩუქრები, ერთი ჯორი და ორი მხევალი – წმინდა მარიე და მისი და – სირინე გააყოლა.

ჰათიბმა გზაში ამ ორ დას ისლამზე მოუთხრო და გამუსლიმანება ურჩია. მათაც ირწმუნეს.[15] ამგვარად, ჯერ კიდევ მედინაში მისვლამდე ჭეშმარიტება შეიმეცნეს.

ჰათიბმა ალლაჰის შუამავალს მუქავქისის სიტყვები რომ გადასცა, მან ბრძანა:

„შეუფერებელი კაცი, თავისი სასულთნოს ვერ შეელია! ეს სასულთნო მას არ დარჩება!“[16]

ალლაჰის შუამავალმა მონა სირინე ჰასან იბნ საბითს მიათხოვა,

14. იბნ ქესირი, ელ-ბიდაე, IV, 266-267, იბნ ჰაჯერი, ელ-ისაბე, II, 530-531.
15. იბნ სადი, VIII, 212.
16. იბნ სადი, 1, 260-261, დიარბექირი, II, 38.

ძვირფასი მარიე კი თვითონ ითხოვა, იბრაჰიმი მისგან შეეძინა. წმინდა შუამავლის ამ ქორწინებასაც რამ-დენიმე პოლიტიკური სარგებელი ჰქონდა. ამ მდგომარეობამ ეგვიპტელებზე ზეგავლენა მოახდინა. მომდევნო წლებში გამართულ ბიზანტიასთან ომში ეგვიპტელებმა ბიზანტიელები მარტო დატოვეს და ამით ისლამურ ლაშქარს გამარჯვების საშუალება მისცეს.

ალლაჰის შუამავალი ნათესავებს კარგად ექცეოდა, ამით თავის თანამიმდევრებს საუკეთესო მაგალითს აჩვენებდა და ასე ბრძანებდა:

„თქვენ გაიმარჯვებთ ეგვიპტეზე, სადაც იყენებდნენ წო-ნის საზომს, რომელსაც „ქირათი“ ეწოდება. გირჩევთ, რომ იქაურ ხალხს კარგად მოექცეთ; ჩემი ანდერძი არ დაივიწყოთ ვინაიდან ჩვენ ერთი წარმომავლობის ვართ, ამასთან ერთად მოყვრობა გვაქვს.“[17]

როგორც ცნობილია, წმინდა მუჰამმედ შუამავალი წმინდა ისმაილის წარმომავლობის იყო. იმის გამო, რომ ისმაილის დედა ჰაჯერი ეგვიპტელი იყო წმინდა შუამავალი ეგვიპტელებს თავის ნათესავებად თვლიდა. მოყვრობა კი მუსლიმთა დედის, ძვირფას მარიესგან მოდის.[18]

* * *

სურიე გასსანი, რომელიც არაბების მეთაური იყო, შუჯა ბინ ვეჰბის მიერ მოტანილი წმინდა შუამავლის წერილს უტიფრად მოექცა. მუსლიმანებზე გასალაშქრად ბიზანტიის იმპერატორს ნებართვა სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო.[19]

იემამე მელიქ ჰევზამაც, რომელსაც შუამავლის წერილი იბნ უმეირემ წაუღო, ისლამის მიღებაზე უარი თქვა. ცოტა ხნის შემდეგ იგი გარდაიცვალა.[20]

17. მუსლიმი, ფედაილუს საჰაბე, 226-227.
18. იბნ ჰიშამი, 4.
19. იბნ სადი, I, 24.
20. იბნ სადი, I, 262.

* * *

ალლაჰის შუამავალი, როცა ელჩებს წერილებს ატანდა, მნიშვნელოვან რჩევებსაც აძლევდა. მაგალითად, ჰიმირში წამსვლელი იაშა ასე დაარიგა:

„როცა იქ მიხვალ, თუ ღამე იქნება არ შეხვიდე, გათენებას დაელოდე, შემდეგ აბდესი აიღე, ორი მუხლი ნამაზი ილოცე, უდიდეს ალლაჰს წარმატება და სიკეთე შეევედრე, შემდეგ ლამაზად მოემზადე, ჩემი წერილი მარჯვენა ხელში აიღე და მარჯვენა ხელითვე მათ მარჯვენა ხელში გადაეცი. თუკი ასე მოიქცევი ისინი შენ დაგეთანხმებიანო.“

„ისე მოვიქეცი, როგორც ალლაჰის შუამავალმა მიბრძანა,“ – გადმოგვცემს იაშა, ისინი „მართლაც ეზიარნენ ისლამს. შემდეგ მოვლენები ისე ვითარდებოდა როგორც ალლაჰის შუამავალმა გვამცნო.“[21]

ეს ქადაგებები ისლამის პირველი ნაბიჯები იყო იმისათვის, რომ ყველა მხარე მედინას შეერთებოდა. ამასთან ერთად, ისლამი, რომელიც არაბეთის ნახევარკუნძულზე აღორძინდა, დღითიდღე ყოველ კუთხეში ვრცელდებოდა. წარმატებები თვით ალლაჰის შუამავალის თაოსნობით ხორციელდებოდა...

21. იბნ სადი, I, 282-283.

ჰეიბერის ომი

მედინაში, გარეგნულად მუსლიმი ხოლო სულიერად მუნაფიყი (ორპირი-ფარისეველი) ებრაელები ცხოვრობდნენ. მათ შორის იყო სახელგანთქმული ჯადოქარი ლებიიდ ბინ ასამი. ებრაელებმა მას ოქრო მისცეს,ხოლო სანაცვლოდ უკეთილშობილესი მუჰამმედის მოჯადოება დაავალეს: „კარგათ მოგეხსენება, მუჰამმედმა ჩვენი ტომები მედინადან გარეკა და მამაკაცები ამოგვიხოცა. იგი მოაჯადოვე და მასზე შურიო ასეთნაირად ვიძიოთ.“ ლებიიდმა ეს შეთავაზება მიიღო და შუამავლის თმები და სავარცხლის კბილები მოაგროვა. ამაში მას შუამავალთან მომუშავე ებრაელი ბავშვი დაეხმარა.

ლებედიმ, საყვარელი შუამავლის დალოცვილ თმებსა და სავარცხლის კბილებს ძაფი შემოახვია, ერთი კვანძი გააკეთა და შეულოცა. ჭაში ქვის ქვეშ ამოდო და დატოვა. ამის შემდეგ, შუამავალს ჯანმრთელობა მოეშალა. ლოგინად ჩავარდა და რამდენიმე დღე ფეხზე ვეღარ წამოდგა. ძვირფასი საჰაბეები (შუამავალის მეგობრენი) ყოველდღე შუამავალის მოსანახულებლად მიდიოდნენ და როცა ხედავდნენ, რომ შუამავალი დღითი დღე უკან-უკან მიდიოდა მწუხარებისგან იმდენს ტიროდნენ რომ ცრემლი გაუშრათ. მუნაფიყნი კი, სიხარულისგან ზეიმობდნენ.

ერთ დღეს შუამავალმა წმიდა აიშეს უთხრა: ***„აიშე, იცი თუ არა, რომ უზენაესმა ალლაჰმა ჩემი დაავადების განკურვნის გზა მასწავლა? ჩემთან ორი ანგელოზი*** *(ჯებრაილი და მიქაილი)* ***მოვიდა, ერთი თავთან, მეორე კი ფეხებთან დამიჯდა. ერთმა მეორეს ჰკითხა:; „ამ კაცს რა სჭირსო?“*** მეორემ უპასუხა, მოჯადოებულია-ო, როდესაც პირველი დაინტერესდა, ვინ მოაჯადოვაო, მეორემ უპასუხა, ლებიიდ ბინ ასმაო. ***„და ეს ჯადო რითი გაუკეთა?“*** – ისევ იკითხა პირველმა. მეორემ უპასუხა: ***„სავარცხელი და თმები მოათავსა მამრი ჰურმის კვირტში.“*** ბოლო შეკითხვაზე ჯადო სად არისო, მეორე ანგელოზმა უპასუხა ჭაშიო.

ზერვანის ჭა მედინაში, ბენი ზურეიქას ტომის ბაღში იყო. საყ-

ვარელმა შუამავალმა ჭასთან ალი, ზუბეირი, თალჰა და ომმარი გააგზავნა. ჭიდან წყალი მთლიანად ამოაქციეს და ქვა გადააატრიალეს. ქვის ქვეშ თერთმეტჯერ გამოკვანძილი ნაჭერი იპოვეს. აიღეს და შუამავალთან მიიტანეს. მაგრამ მისი გახსნა ვერ მოახერხეს. ჯებრაილმა ამ დროს ფელააყისა და ნაასის სურეები მოავლინა. შუამავალმა სურეების კითხვა დაიწყო და თითო აიათის ჩაკითხვის შემდეგ ერთი კვანძი იხსნებოდა. როდესაც ორივე სურა ე.ი. თერთმეტი აიეთი ჩაიკითხა თერთმეტივე კვანძი გაიხსნა, შუამავალი განთავისუფლდა და გამოჯანმრთელდა.

ებრაელი ლებიიდი დააკავეს და შუამავალთან მიიყვანეს. შუამავალმა მას ჰკითხაა; ***„უზენაესმა ალლაჰმა, ჯადო შენი გაკეთებული რომ იყო და სადაც იყო მაცნობა. ეს რატომ ჩაიდინე?“*** ოქროს(ფულის) სანაცვლოდო, უპასუხა მან. ასჰაბთაგან ზოგიერთმა თქვა: ***„ალლაჰის შუამავალო, ნება გვიბოძე თავი წავაცალოთ.“*** შუამავალმა მიუგო: ***„პიროვნულის გამო არავინ დასაჯოთ! მისთვის ღვთიური ტანჯვა უფრო მძვინვარეა“*** და ნება არ მისცა რომ ეს ებრაელი სიკვდლით დაესაჯათ.

როდესაც ებრაელები მედინადან განდევნეს, ისინი არაბეთის ჩრდილოეთით დასახლდნენ. აქედან ერთმა ნაწილმა ჰეიბერში დაიდო ბინა, ერთი ნაწილი კი, ჩრდილოეთით, შამში წავიდა. ისინი, მართალია, მედინადან წავიდნენ, მაგრამ მუსლიმთა მიმართ შურისძიება, ზიზღი და ბოროტება მათ გულებში არასდროს ჩამქრალა. უფრო მეტიც, ყოველდღე მატულობდა. მათი მიზანი შუამავალისთვის ბოლოს მოღება და ამ ახლად გაბრწყინებული, ორი სამყაროს მანათობელი სინათლის ჩაქრობა იყო. ზოგიერთმა წინამძღოლმა წინადადება დააყენა, რომ მუსლიმთა წინააღმდეგ გათაფეებზე ეთხოვათ დახმარება. ზოგი კი ფედექის, თეიმასა და ვადილ ყურას ებრაელების დახმარების მომხრე იყო. სანამ მუსლიმები თავს დაგვესხმიან, მანამდე ჩვენ შევუტიოთ და აქამდე ჩვენში დაგროვილი შური ამოვანთხიოთო!

ჰეიბერის ებრაელებმა ეს შეთავაზება გაიზიარეს და ირგვლივ მყოფი ებრაელები და გათაფეები მოიხმეს. მხოლოდ გათაფებოდან უამრავი რჩეული მეომარი ჩამოვიდა და ჰეიბერში ომისათვის

სამზადისი დაიწყო.

როდესაც, ომისათვის სამზადისი გრძელდებოდა, შუამავალმა მიიღო ინფორმაცია, ებრაელების მხრიდან მოულოდნელი თავდასხმის თაობაზე. მან დასაზვერად აბდულლაჰ ბინ რევაჰაა სამ საჰაბესთან ერთად ჰეიბერში გააგზავნა. როცა ისინი ჰეიბერში ჩავიდნენ, მათ იქ მდიდარი ქალაქი, რვა მტკიცე ციხესიმაგრით, ნოყიერი მიწითა და ბაღჩა-ბაღნარით დახვდათ. აბდულლაჰმა, მეგობრებიდან ერთ-ერთი შიქქის, მეორე ქეთიბესა და მესამე ჰათათის ციხესიმაგრეებში გააგზავნა. თვითონაც ერთ-ერთ ციხესიმაგრეში წავიდა და ასეთნაირად სამი დღის მანძილზე ებრაელებში არსებული მდგომარეობასა და ომის სამზადისს ახლოდან ადევნებდნენ თვალყურს. სამი დღის შემდეგ დათქმულ ადგილას შეიკრიბნენ და უმალვე მედინასკენ გაეშურნენ, იქ არსებული ვითარება შუამავალს დაწვრილებით უამბეს.

საყვარელმა შუამავალმა ასჰაბებს საჩქაროდ მომზადება უბრძანა. მუსლიმებმა ებრაელების თავდასხმამდე ჰეიბერში წასვლა და მათზე შეტევა გადაწყვიტეს. ამ გადაწყვეტილების შემტყობმა, მედინაში მცხოვრებმა ებრაელებმა ალიაქოთი ატეხეს. მათ მუსლიმთა სულიერად განადგურება გადაწყვიტეს და ჰეიბერის ციხესიმაგრეებისა და მეომრების დახასიათება დაიწყეს, მუსლიმებს ეუბნებოდნენ: „თქვენ რომ იცოდეთ, ჰეიბერიში უამრავი ჯარისკაცია თავდასხმას არ გადაწყვეტდით ო!.. უამრავი ჯარისკაცი ჩამოვიდა გარშემო მიდამოებიდან მათ დასახმარებლად!... ნუთუ გგონიათ რომ თქვენ ჰეიბერს აიღებთ?!“...გმირმა საჰაბეებმა მიუგეს, რომ უზენაესმა ალლაჰი ჰეიბერის აღებას თავის საყვარელ შუამავალს შეჰპირდა, რომ მათ ებრაელების არასოდეს ეშინოდათ. საჰაბეების ეს კონკრეტული გადაწყვეტილება ებრაელთა შიშსა და ალიაქოთს ზრდიდა.

მუნაფიყების წინამძღოლმა, აბდულლაჰ ბინ უბეიემ სასწრაფოდ ინფორმაცია გაუგზავნა ებრაელებს, მუჰამმედი მოდის საომრად, დიდ საფრთხეს არ წარმოადგენს, მაგრამ მაინც ფრთხილად იყავით, ავლა-დიდება ციხესიმაგრეში შეინახეთ, მათ კი, ციხესიმაგრის გარეთ დახვდითო.

საჰაბეებმა სამზადისი დაასრულეს, ოჯახებს გამოემშვიდობნენ და შუამავალთან შეიკრიბნენ. ორასი(200) ცხენოსანი და ათასოთხასი(1400) ქვეითი შეადგენდა მუსლიმთა ჯარის რიგებს. საჰაბენი უზენაესი ალლაჰის მიერ მოვლენილი რელიგიის გასავრცელებლად, საღვთო ომისა და შეჰიდის სტატუსის მოსაპოვებლად საყვარელი შუამავალის ბრძანებას დაექვემდებარნენ. ამ დროს ზოგიერთმა მუსლიმმა დედაკაცებმა მეომართა საჭმელ-სასმელის მოსამზადებლად და ჭრილობების შესახვევად შუამავლისგან ომში წასასვლელად ნებართვა ითხოვა. ალლაჰის საყვარელმა ელჩმა მათ ეს უდიდესი მადლი არ აღუკვეთა და ომში წასვლაზე ნება დართო. ასეთნაირად მუსლიმთა ჯარის რიგებს, საყვარელი შუამავლის მეუღლე, უმმუ სელიმესთან ერთად 20 დედაკაცი შეემატა.

ალლაჰის შუამავალმა მედინაში თავის წარმომადგენლად, გიფაარის ტომიდან სიბააღი დატოვა და ჰეიბერში წასავლელად ბრძანება გასცა. (სხვა ვერსიით წარმომადგენლად ნუმეილა ბინ აბდულლაჰის დატოვებაც არის გადმოცემული). მგზავრობა თექბირების წარმოთქმით (ალლაჰის განდიდებით-ალლაჰუ ექბერ)-ით დაიწყო. სხვადასხვა მიზეზის გამო მუსლიმთა ჯარის რიგებში არ იყვნენ ასაკით პატარა საჰაბეები. მათ კეთილი შურით შუამავლის, გმირი მამების, ბაბუების, ბიძებისა და უფროსი ძმების შურდათ. ისინი ომში თექბირებითა და ლოცვებით გაამგზავრეს.

ჰიჯრეთის მეშვიდე წელი იდგა. შუამავლის დროშა ალის ჰქონდა აღმართული. მარჯვენა ფლანგს ომარი სარდლობდა. მგზავრობა მხიარულად მიდიოდა. პოეტები, მათზე გარდმოვლენილი მადლის გამო ლექსებით უზენაეს ალლაჰს ადიდებდნენ, შუამავალს ლოცავდნენ და ასჰაბებს აქებდნენ. მეომარნიც თითქოსდა დღესასწაულზე მიდიოდნენ, ყველა ერთხმად შეძახილებით;

„ალლაჰუ ექბერ! ალლაჰუ ექბერ! ლაა ილააჰე ილლელლაჰუ ველლაჰუ ექბერ!“ ერთმანეთს ამხნევებდნენ. იქ, სადაც დასასვენებლად ჩერდებოდნენ, საყვარელი შუამავალი ლოცვას აღავლენდა; ***„ღმერთო ჩემო შენ მოგეკედლები! მომავლის შიშის, წარსულის ნაღველის, უმწეობისა და უძლურების, სიძუნწის, სიმხდალისა***

და წელში გამტეხი ვალის, სასტიკი და უსამართლო მმართველის უზურპაციისგან!“ როდესაც ჰეიბერს მიუახლოვდნენ, შუამავალმა საჰაბენი გააჩერა, ხელი მაღლა აღაპყრო და უზენაეს ალლაჰს შეევედრა; ***„ცისა და მის ქვეშეთში არსებულის მეუფეო, ღმერთო ჩემო! მიწისა და მასზე მყოფნის მეუფეო, ღმერთო ჩემო! ,სატანისა და გზაცდენილნის ღმერთო ჩემო! ქარისა და მის მიერ გაფანტულის მეუფეო, ღმერთო ჩემო! ამ ქალაქის სიმშვიდესა და სიკეთეს, გევედრებით. ამ ქალაქის და მასში არსებული ყველასა და ყველაფრის სიავისგან შენ მოგეკედლებით!“*** ყველა გაჩერებაზე საჰაბეების მიერ წარმოთქმული „ამიინ, ამიინ“ ზეცას წვდებოდა. ამის შემდეგ ებრძანათებრძანა: ***„ბისმილლაჰირრეჰმანირრეჰიმ-მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით შეუტიეთ“.***

საჰაბეები შუამავლთან ერთად წინ წავიდნენ და ჰეიბერის ყველაზე ძლევამოსილი ციხესიმაგრის „ნათაათ“-ის გვერდით დაბანაკდნენ. საღამო იდგა. შუამავალს წესად ჰქონდა, გათენებამდე ომს არ დაიწყებდა და მტერს ისლამის მიღებისკენ მოუხმობდა, ხოლო თუკი შეთავაზებას არ მიიღებდნენ ბრძოლას იწყებდა. ამიტომაც გათენებას დაელოდნენ. ებრაელებმა ვერ შეამჩნიეს, რომ მათ გარს ისლამის ჯარი ერტყა.

ალლაჰის წმინდა შუამავალმა დილის ლოცვის აღვლენის შემდეგ საომარი სამზადისი დაასრულა და წინსვლა დაიწყო. ორასი ცხენოსანი და ათასოთხასი ქვეითი ნეთაათის ციხესიმაგრეს მიუახლოვდნენ. როცა ბაღჩა-ბაღნარსა და ველ-მინდორში ციხესიმაგრიდან სამუშაოდ გამოსულმა ებრაელებმა მუსლიმთა ჯარის ნაწილები დაინახეს, გაოცდნენ. ისინი დარწმუნდნენ, რომ ეს მუჰამმედის ჯარი იყო და უკან გაქცევა დაიწყეს. პანიკაში ჩავარდნილი მტრის დამნახველმა შუამავალმა: ***„ალლაჰუ ექბერ! ალლაჰუ ექბერ! ჰაიბერი, დამხობილი იქნაო,“*** სამჯერ წარმოთქვა.

ალლაჰის შუამავალმა; ებრაელებს ორი წინადადება შესტავაზა, ან გამუსლიმება, ან ჩაბარება და ჯიზიის გადახდა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი მათ ომის გარდაუვლობა აუწყა ებრაელების წინამძღოლს სელლამ ბინ მეშქენეს ალლაჰის შუამავალის ეს ულტიმატუმი აცნობეს. სელლამემ თავის ხალხს უთხრა; „ადრეც

გითხარით, რომ მუჰამმედის წინააღმდეგ გებრძოლათ, მაგრამ თქვენ უარი თქვით, ახლა მაინც იომეთ და ლაჩრულად ნუ მოიქცევით. მუსლიმთა ჭიდილში სიკვდილი უმწეო სიცოცხლეზე უკეთესია!“ ასეთნაირად ისინი ომისთვის ფსიქოლოგიურად შეამზადა და შეაგულიანა. ებრაელებმა დედაკაცები და ბავშვები უმალვე ქეთიბეს, სარჩო-სანოვაგე ნაიმეს, ხოლო მეომრები ნათაათის ციხესიმაგრეებშიშ გადასხეს.

მუსლიმთა შეთავაზებას გამუსლიმების თაობაზე ებრაელებმა მშვილდისრის სროლით უპასუხეს. ეს შეტევა მუჯაჰიდებმა (მეომარნი ალლაჰის გზაზე) ფარებით მოიგერიეს. საყვარელი შუამავლის ბრძანებით ქვეითმა ჯარის ნაწილებმა უკან დაიხიეს და ყველამ ერთბაშად ციხესიმაგრის ბურჯებზე მყოფ ებრაელებს „ალლაჰუ ექბერ!“ შეძახილებით ისრები სტყორცნეს. ომი ასე დაიწყო. ერთ მხარეს ალლაჰის საყვარელი ელჩი და საჰაბეები, უზენაესი ალლაჰის მიერ მოვლენილი რელიგიის გასავრცელებლად და ჯოჯოხეთის ცეცხლისგან გადასარჩენად იბრძოდნენ,ხოლო მეორე მხარეს კი, შეგონების არშემსმენი,, მუსლიმთა მიმართ ყველა ხელსაყრელ მომენტში ზურგში დანის ჩარტყმის სურვილით გამსჭვალული და, სიჯიუტიდან გამომდინარე, ჭეშმარიტების, ვერაღმქმელი ებრაელები იყვნენ. ჰაათემ-ულ ენბია (ბოლო შუამავალი) მათი ტომიდან რომ არ მოევლინა, შეშურდათ და იგი არ იწამეს, საყვარელი შუამავლის ლიკვიდაციას დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ და ამისათვის ყველა ხერხს მიმართავდნენ, მაგრამ უზენაესმა ალლაჰმა მათ ამის განხორციელების ძალა არ მისცა

ათასექვსას (1600) მუჯაჰიდს, ათიათასზე(10 000) მეტი ებრაელი ჯარისკაცი ისარს სტყორცნიდა. მუსლიმი მეომრები, ზედიზედ ნატყორცნი ისრების მოგერიებას ფარებით ცდილობდნენ, ხელსაყრელ მომენტს როცა ნახავდნენ, მიწაზე დაცემულ ისრებს იღებდნენ და ებრაელებს ესროდნენ. ამ დროს ზოგიერთი საჰაბე დაიჭრა.

საყვარელ შუამავალს, ჰაბბან ბინ მუნზირი მიუახლოვდა და ზრდილობიანად მიმართა: „ჩემი თავი გენაცვალოს ალლაჰის

შუამავალო! ბანაკი რომ გამოვცვალოთ, არ შეიძლება?“ შუამავალმა მიუგო; ***„ალლაჰის ნებართვით, როცა დაღამდება გამოვიცვლით“*** მუსლიმი მეომრები ისართა ქარიშხალში იმყოფებოდნენ. ებრაელების მიერ ციხესიმაგრიდან ნასროლი ისრები, მუსლიმთა ჯარის უკანა ნაწილებსაც კი სწვდებოდა.

იმ დღეს, საღამომდე ისრებით ბრძოლა გაგრძელდა. ორმოცდაათამდე (50) საჰაბე დაიჭრა. როდესაც დაღამდა, ახალი ბანაკისთვის ადგილის მოძებნა მუჰამმედ ბინ მესლემეს დაევალა. მან მოძებნა ადგილი, რომელსაც რეჯიი ერქვა და მუსლიმთა ჯარი იქ დაბანაკდა. მუსლიმმა ქალებმა დაჭრილების ჭრილობების გადახვევა დაიწყეს.

მეორე დღეს, ნათაათის წინ საჰაბეებმა საღამომდე იომეს. ალყა მესამე, მეოთხე და მეხუთე დღესაც გრძელდებოდა. ებრაელები კი თავს იცავდნენ. ამ დროს შუამავალს ძლიერი თავის ტკივილები ჰქონდა, ამიტომაც ორი დღე მორწმუნეთ გვერდით არ იყო. პირველ დღეს ალამი ებუ ბექირს, მეორე დღეს კი ომარს გადასცა. ორივემ თავდადებით იომეს ებრაელთა წინააღმდეგ, მაგრამ ციხესიმაგრის აღება მაინც ვერ მოხერხდა.

უეცრად ებრაელებს გამბედაობა მოემატათ, ციხესიმაგრის კარები გახსნეს და შეტევაზე გადავიდნენ. დაიწყო ხელჩართული ბრძოლა. ომი გაცხარდა. შუამავალმა საჰაბეებს უბრძანა, რომ „თექბირი“ (ალლაჰუ ექბერ! ალლაჰუ ექბერ!) წარმოეთქვათ. მორწმუნენი ზეცაში ამაღლებული თექბირის ძახილით თავგამოდებით ხმლებს იქნევდნენ. ამ დროს მუჰამმედ ბინ მესლემეს ძმა მაჰმუდი შეჰიდი (გმირი) გახდა. სისხლისმღვრელი ომი საღამომდე გაგრძელდა.

მეორე დღეს ჰეიბერის ყველაზე სახელგანთქმული სარდალ,ი მერჰაბი, ჯაჭვის პერანგში გამოწყობილი ციხესიმაგრიდან გარეთ გამოვიდა. იგი დიდი ძალის პატრონი, ბუმბერაზი კაცი იყო.იმ დღემდე მას ღირსეული მეტოქე არ ჰყოლია. იგი მუსლიმი მეომრების წინ დადგა და კვეხნა დაიწყო; „მე, სიმამაცითა და გამბედაობით სახელგანთქმული მერჰაბი ვარ!“ ამ დროს, მუსლიმთა რიგებიდან ერთი მეომარი გამოვარდა, მერჰაბას მიმართა; „და მეც,

ამრი ვარ, რომელსაც მრისხანე და საშინელი ომის შუაცეცხლში შესვლა არ ეშინია.“ და მაშინვე მოწინააღმდეგის წინ გაჩნდა. ბუმბერაზმა მერჰაბიმ, ხმალი, რომელზეც ეწერა „მე ვისაც შევეხები განადგურდება!...“ მთელი ძალით ამრს მოუქნია. მამაცმა ამრიმ ფარი დაუხვედრა. წვეტიანი ხმალი, ფარს მოხვდა, საოცარი ხმა გამოსცა და შიგ შეერჭო.

ამრიმ, გამჩენს მიმართა, ღმერთო ჩემოო, და დაჯავშნულ მერჰაბს ხმალი მთელი ძალით მოუქნია. ხმალი ფოლადის ჯავშანმა აისხლიტა და უკან, ამრის ფეხში მოხვდა. ხმლის ასეთმა უკურეაქციამ ამრის მთავარი არტერია გადაუჭრა.იგი საჰაბეებმა მაშინვე ხელში აიყვანეს და ბანაკში გადაიყვანეს. მაგრამ ამირს ვერაფერი უშველეს და იგი შეჰიდი გახდა.

გააფთრებული შეტაკება გრძელდებოდა. საღამოს საყვარელმა შუამავალმა, ებრაელების დასახმარებლად მისულ ოთხიათას გატაფანს უკან დაბრუნება შესთავაზა. სანაცვლოდ კი ჰეიბერის ჰურმის ერთი წლის მოსავლის მიცემას შეპირდა. გატაფეებმა ეს შეთავაზება უარყვეს. აქედან გამომდინარე, ალლაჰის შუამავალმა საჰაბეებს იმ ციხესიგრესთან დაბანაკება უბრძანა, რომელშიც გატაფეები იყვნენ, მათაც ღამით მუსლიმების თავდასხმის შიშით ვერ დაიძინეს. იმ ღამეს, უცნობი ხმა რომელიც არავინ იცოდა, საიდან მოდიოდა, ამბობდა; „გატაფაების მიწა-წყალს თავს მოთარეშეები დაესხნენ, ოჯახები და ავლა-დიდება ხელში ჩაიგდეს.“ ამ ხმამ, რომელიც სამჯერ იქნა განმეორებული, გატაფეები ძალიან შეაშინა. ეს ხმა მათმა სარდალმა, უიეინემაც გაიგონა, შებინდებამდე ჰეიბერს ჯართან ერთად გაეცალა და თავისი სამფლობელოსაკენ გაემართა. დილით, ებრაელები, როდესაც ჰეიბერიდან გატაფაების უმიზეზოდ წასვლის შესახებ გაიგეს, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ და ინანეს, რომ მათ დახმარება თხოვეს.

წმინდა ალის გმირობა

იმ დღესაც სისხლისმღვრელი შეტაკებები მოხდა, მაგრამ ციხესიმაგრის აღება ვერ მოხერხდა. საღამოს საყვარელმა შუამავლმა ჯარს უმახარობლა: ***„ხვალ, დროშა ისეთ მამაკაცს უნდა გადავ-***

ცე, რომელსაც ალლაჰი და მისი შუამავალი უყვარს. და უზენაეს ალლაჰს და მის შუამავალსაც ის უყვარს. უზენაესი ალლაჰი მისი ხელით გამარჯვებას მოგვაპოვებინებს!“ ის ღამე საჰაბეებმა ემოციებით დატვირთულებმა გაათენეს. ყველას სურდა, რომ დროშა მისთვის გადაეცათ და თვითონვე ყოფილიყო ის მამაცი, რომლის შესახებაც საყვარელმა შუამვალმა უმახარობლათ. ამიტომ ალლაჰს ევედრებოდნენ. ბილაალი ჰაბეშმა დილის ეზანი მოთენთილი და სასიამოვნო ხმით წარმოთქვა. ეზანის კითხვის დროს საჰაბეეებში განსხვავებულმა ემოციამ და შვებამ დაისადგურა, აი, ამ ღვთიური სიხარულის გემოს გადმოცემა კი შეუძლებელია. საყვარელმა შუამვალმა ნამაზი ალოცა, შემდეგ ფეხზე წამოდგა და ისლამის დროშის მოტანა ითხოვა. წმინდა დროშას საჰაბეები ფეხზე წამომდგარნი დიდი ინტერესით ელოდებოდნენ, ალლაჰის წმინდა შუამავლის შუამვალის წარმოთქმულ სიტყვას ყურადღებით უსმენდნენ. საყვარელმა შუამვალმა ბრძანა: ***„მუჰამმედის პიროვნების შუამავლობით პატივისდამდებ უზენაეს ალლაჰს გეფიცები, რომ მე ამ დროშას ისეთ მამაცს გადავცემ, რომელმაც გაქცევა და უკან დახევა რა არის, არ იცის.“*** ამ სიტყვის წარმოთქმის შემდეგ საჰაბეები გადაათვალიერა და ალი მოიკითხა. საჰაბეებმა მიუგეს; ***„ალლაჰის შუამავალო! ალის თვალები ტკივა.“*** ამის გამგონმა შუამავალმა ალის მასთან მოყვანა ბრძანა. ამ დღეებში ალის იმდენად ტკიოდა თვალები, რომ უკვე ვეღარ ახელდა. ალისთან მივიდნენ, ალლაჰის შუამავლის სურვილი აცნობეს, მკლავებში შეუჯდნენ და შუამავალთან მიიყვანეს. უკეთილშობილესმა მუჰამმედი უზენაეს ალლაჰს მის გამოჯანმრთელებას შეევედრა, დალოცვილი თითები დაისველა და თვალებზე მოუსვა. წმინდა ალის თვალები მაშინვე გაუმთელდა. წმინდა შუამავალმა ალისთვის ლოცვაც აღავლინა: ***„ღმერთო ჩემო! სიცივისა და სიცხისაგან შეწუხება მას ააცილე!“*** შემდეგ თავისი დალოცვილი ხელით ჯავშანი გადააცვა, წელზე ხმალი შემოარტყა, ხელში თეთრი დროშა მიცა და უთხრა: ***„სანამ უზენაესი ალლაჰი გამარჯვებას არ მოგაპოვებინებს იომე, უკან არ დაიხიო!“***

წმიდა ალიმ მიუგო; „ჩემი თავი გენაცვალოს ალლაჰის შუამავალო! მათ მანამდე ვეომები, სანამ გამუსლიმდებიან“. შუამავალმა

თქვა:; ***„ღმერთს გეფიცები, უზენაესმა ალლაჰმა, შენ გამო, მათგან ერთიც რომ ჭეშმარიტებას აზიაროს, შენთვის ეს უფრო უკეთესი იქნება, ვიდრე შენ მიერ ალლაჰის გზაზე მოწყალებად გაცემული უამრავი წითელი აქლემი.“***

ალი ხელში დროშით საჰაბეებთან ერთად ებრაელების ციხესიმაგრისაკენ გაემართა. როცა ადგილზე მივიდა დროშა ერთი ქვის ძირას დაარჭო. ამ დროს ნათაათის ციხესიმაგრის კარები გაიღო. ებრაელი მოიერიშე რაზმები გარეთ გამოცვივდნენ. ისინი ხომ, ჰეიბერის ყველაზე რჩეული მეომრები იყვნენ. ყველას ჯავშანში იყო ჩამჯდარი. მათგან ერთი ალისკენ გაემართა. ეს იყო მერჰაბის ძმა ჰაარისი, რომელიც წმინდა ალის შეერკინა... ორი ფოლადის ხმა მთელ მოედანს სწვდებოდა, ამ დროს დაინახეს ელვისებურად მოქნეული ზულფიყარი, რომელმაც ჰაარისის თავი სხეულს მოკვეთა. მუსლიმი მეომრების სიხარულის შეძახილები „ალლაჰუ ექბერ! ალლაჰუ ექბერ!“ ზეცას სწვდებოდა.

როდესაც ძმის მოკვლა გაიგო, მერჰაბი მთელი ძალებით იმ მოედნისკენ დაიძრა, სადაც ალი იყო. იგი, ორმაგ ჯავშანში გამოწყობილი, დევს მოგვაგონებდა. ბრაზმორეულმა მერჰაბი იკვეხნიდა; „მე, ომების ყველაზე კულმინაციურ მომენტში მოედანზე გამომსვლელი, ვაჟკაცურად და მამაცურად მეომარი მერჰაბი ვარ! მოღრიალე ლომსაც შუბითა ან ხმალით დავფლეთ!“

ალიმ უპასუხა; „მე კი, დედამ ჰაიდარ (ლომი) დამარქვა. მე ახოვანი ლომის მსგავსი ვარ! შენი ერთი დარტყმით დამგდები მამაცი კაცი ვარ!“ როდესაც მერჰაბმა წმინდა ალისგან სიტყვა ჰაიდარი გაიგონა გულში შიში ჩაუვარდა, რადგანაც ღამით სიზმარში ნახა, რომ მას ლომი გლიჯავდა. ნეტავ, სიზმარში ნანახი ლომი ეს ხომ არ არისო, ეკითხებოდა იგი საკუთარ თავს. მოულოდნელად ბუმბერაზი მერჰაბი ერთი ნახტომით ალის წინ გაჩნდა და მას ხმალი მოუქნია, ალიმ მის ხმალს ფარი შეაგება. უზენაეს ალლაჰს მიენდო და ზულფიყარი ურწმუნო მერჰაბს ისე მოუქნია, რომ სქელი ფოლადისგან დამზადებული მუზარადი ორად გაუპო და თავი სხეულს მოაცილა. ზულფიყარის დარტყმით გამოწვეულმა საშინელმა ხმამ მთელი ჰეიბერი შეძრა.

ალლაჰის შუამავალმა ბრძანა; ***„იხარეთ! ჰეიბერის აღება უკვე გაადვილდა“.*** საჰაბეები ალის გმირობით მოხიბლულნი დარჩნენ, მათი შეძახილები, „ალლაჰუ ექბერ“ ზეცას წვდებოდა. ბრძოლის ციებ-ცხელება გრძელდებოდა. როდესაც საჰაბეები ნელი წინსვლით ციხესიმაგრის კარებთან მივიდნენ ერთმა, ებრაელმა ალის ფარს ხმალი შემოარტყა. რის გამოც მუსლიმთა მედროშეს ფარი მიწაზე დაუვარდა. დახრა და ფარის აღება შეუძლებელი იყო. ებრაელს ამ ხელსყრელი მომენტის ხელიდან გაშვება არ სურდა ამიტომ უკან გაიქცა. ამის დამნახავი ალლაჰის ლომმა ძალიან დამწუხრდა, ზულფიყარით გარშემოხვეული მტრები გაფანტა და ციხესიმაგრის კარის ფარად გამოყენება განიზრახა. წარმოთქვა რა ***„ბისმილლაჰირრეჰმანირრეჰიმ,“*** იგი უზარმაზარი რკინის კარის რგოლებს დაეკიდა. კავები მოარყია და ჩამოიღო. როდესაც წმინდა ალი კარს ხსნიდა, სიხესიმაგრე ადგილიდან შეირხა. რვაათ ფალავანს არ შეეძლო ამ კარის ადგილიდან დაძვრა მაგრამ წმინდა ალიმ ის მარტომ ჩამოიღო, ფარად გამოიყენა და მტერს შეერკინა.

მას ზედიზედ ექვსი ებრაელი ფალავანი კიდევ შეერკინა, მაგრამ, როცა ალლაჰის ნებით ყველას ბოლო მოუღო, მამაც მეგობრებთან ერთად ციხესიმაგრეში შეაღწია. ბრძოლა უკვე ციხესიმაგრის შიგნით მიმდინარეობდა. სულ ცოტა ხანში მათ წინააღმდეგ მებრძოლი აღარავინ დარჩა. ისლამის დროშა ციხესიმაგრეზე აღმართეს.

საყვარელმა შუამავალმა, ალის თვალები დაუკოცნა და შემდეგნაირად მიმართა; ***„თავგამოდებული მამაცობის გამო, უზენაესი ალლაჰი და მისი შუამავალი შენგან კმაყოფილი არიან“.*** ამ დალოცვილი სიტყვის გამგონმა ალიმ სიხარულისგან ტირილი დაიწყო. შუამავალმა მას ჰკითხა, თუ რატომ ტიროდა. ალიმ უპასუხა: ***„ჩემი თავი გენავცვალოს ალლაჰის შუამავალო! სიხარულისგან ვტირი, ვინაიდან ალლაჰი და მისი შუამავალი ჩემიდან კმაყოფილნი არიანო.“*** შუამავალმა მას უთხრა, რომ მისით კმაყოფილი ჯებრაილი, მიქაილი და ყველა ანგელოზებიც იყვნენ.

ამ დროს დევსის ტომიდან ოთხასი მუსლიმი მეომარი შუამავა-

ლის დასახმარებლად ჩამოვიდა. ამის შემდეგ სხვა ციხესიმაგრეების ასაღებადაც მძვინვარე ბრძოლები გრძელდებოდა. დარჩენილი შვიდი ციხესიმაგრეც თანდათან აიღეს, რის გამოც ჰეიბერის ებრაელები სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ და მუსლიმებთან ზავის დასადებად დელეგაცია გააგზავნეს. შუამავალი (ს.ა.ვ.) ზავის დადებას დათანხმდა. მოწინააღმდეგე მხარეები შემდეგ პირობებზე შეთანხმდნენ:

1. ამ ომში დაღვრილი ებრაელების სისხლი არ უნდა იქნას აღებული.

2. რომელი ებრაელიც ჰეიბერს დატოვებს, მას თან მხოლოდ თავისი ცოლ-შვილისა და ერთი აქლემი ტვირთის წაღება შეეძლება.

3. ადგილზე ებრაელების ყველანაირი ქონება მუსლიმთა საკუთრებაში გადავიდოდა.

4. იმ ქონების გადამალვა, რომელიც მუსლიმთა საკუთრებაში უნდა გადასულიყო, არ უნდა მომხდარიყო.

ამ პირობებს არ დაემორჩილა ქინანე ბინ რებიი, რომელმაც საგანძური მიწაში დამარხა და ამის გამო დასჯილი იქნა. მუსლიმთა მიერ ხელში ჩაგდებული ნადავლის რაოდენობის განსაზღვრა შეუძლებელი იყო. ჰეიბერის ნოყიერი მიწები მთლიანად მუსლიმთა ჯარს გადაეცა.

ამ დროს თავიანთ სამშობლოში წასული გატაფეები, ებრაელების დასახმარებლად ჰეიბერში დაბრუნდნენ და როცა მუსლიმთა გამარჯვებაში დარწმუნდნენ, ალლაჰის წმინდა შუამავალს მიმართნ: „მუჰამმედ! შენ ხომ შეგვპირდი, თუკი ჰეიბერს დავტოვებდით ხურმის ერთი წლის მოსავალს მოგვცემდი? ჩვენ სიტყვა შევასრულეთ, შენც იგივე გააკეთე და დანაპირები მოგვეცი!“ ალლაჰის შუამავალმა უთხრა: ***„ის გორა თქვენი იყოსო.“*** გატაფებმა ეს შეთავაზება არ მოეწონათ და შუამავალს დაემუქრნენ ომს დაგიწყებთო. კაცობრიობის სიამაყემ მიუგო, ომი ჯენეფაში გავმართოთო. ჯენეფა, გატაფაში ერთ-ერთი ოლქის სახელი იყო. როდესაც ასეთი პასუხი მიიღეს, გატაფელებს შეეშინდათ და უკან

გაბრუნდნენ.

საყვარელი შუამავალი და გმირი საჰაბეები ძალიან დაღლილნი იყვნენ, თან დაჭრილებს მკურნალობდნენ და თან ისვენებდნენ. ებრაელების მეთაურთაგან, სელლამ ბინ მიშქენის მეუღლე ზეინებმა შუამავალის მოწამლვა განიზრახა. ამისათვის ერთი თხა დაკლა, მოხარშა და ხორცს დიდი დოზით საწამლავი შეურია. შემდეგ შუამავლის წინაშე წარსდგა და ძღვენი მიართვა. შუამავლმა მირთმეული საჩუქარი მიიღო საჰაბეებს მოუხმო და ერთად შემოუსხდენ სუფრას.

ალლაჰის შუამავალმა თხას ბეჭის მხრიდან ერთი ნაწილი მოაგლიჯა; ***„ბისმილლაჰირრაჰმანირრაჰიმ“*** წარმოთქვა და პირთან მიიტანა. დაღეჭა და გარეთ გამოაგდო. მან თქვა ***„მეგობრებო, ამ საჭმელს პირი არ დააკაროთ, ვინაიდან მე მეცნობა, რომ ეს ხორცი მოწამლულია.“*** საჰაბეებმა ჭამას მაშინვე თავი გაანებეს. მაგრამ, ბიშრ ბინ ბერას ერთი ლუკმა ხორცი უკვე გადაყლაპული ჰქონდა, ამიტომ უცბად სახეზე გამწვანდა, სული დალია და შეჰიდი გახდა. საყვარელ შუამავალთან ჯებრაილი ჩამოვიდა, ნერწყვში შერეული საწამლავის ორგანიზმიდან გამოსადევნად, ბეჭებს შუა ჰაჯამათით სისხლის აღება უთხრა. შუამავალი ასეც მოიქცა. შემდეგ მოწამლული ხორცი დამარხეს. ამ საქმის ჩამდენი ზეინები დაიჭირეს და შუამავლთან მიიყვანეს. შუამავალმა მას ჰკითხა; ***„ეს ხორცი შენ მოწამლე?“*** ქალმა ჩადენილი დანაშაული აღიარა: „დიახ! მე მოვწამლე!“ საყვარელმა შუამავალმა დაინტერესდა: ***„ამის გაკეთება რატომ გსურდა?“*** „შენ ქმარი, მამა და ბიძა მომიკალი. ამის გაკეთება მე გადავწყვიტე. ვიფიქრე, თუკი ის ალლაჰის ნამდვილი შუამავალია, მაშინ გაიგებს რომ ეს ხორცი მოწამლულია, ხოლო არ არის, მაშინ საწამლავი მასზე იმოქმედებს, მოკვდება და მისგან დავისვენებთ-მეცთქი“ მიუგო ებრაელმა. საჰაბეებმა თქვეს: „ჩვენი თავი გენაცვალოთ ალლაჰის შუამავალო! ეს ქალი მოვკლათ?“ პირადი შეურაცყოფის ყოველთვის არადჩამგდებმა ალლაჰის შუამავალმა ამ ჯერადაც აპატია. ასეთი ქმედების შემხედვარე ზეინებმა შეჰადა ისლამი აღიარა.

ჰეიბერში ტყვედაყვანილთა შორის ჰუიეი ბინ აჰთაბის ქალიშ-

ვილი, საფიე იყო, რომელიც, როგორც მთავარსარდალს, ალლაჰის შუამავალს ხვდა წილად. მან ტყვე გაათავისუფლა. მისი ამ ქცევით მოხიბლულმა საფიემ ქელიმეი შეჰადეთი წარმოთქვა და მუსლიმთა რიგებს შეუერთდა. საყვარელ შუამავალს ეს ამბავი ძალიან გაუხარდა, წმინდა საფიეზე დაქორწინდა და ამ პატივით იგი გაახარა და გააბედნიერა. ასე გახდა საფიე ყველა მართლმორწმუნის დედა. ალლაჰის შუამავალმა ქორწილი გადაიხადა მოწვეულ სტუმრებს ნესვითა და ჰხურმით გაუმაპინძლდა.

როდესაც საყვარელმა შუამავალმა შეამჩნია, რომ საფიეს ერთი თვალი ჩალურჯებული ჰქონდა, ჰკითხა, ***ეს რისი კვალიაო,*** საფიემ უპასუხა: „სიზმარში ვნახე, რომ მთვარე ზეციდან ჩამოვიდა და ჩემს კალთაში ჩაეშვა. როდესაც ეს სიზმარი ჩემს ქმარს ქენანეს ვუამბე, მან მითხრა: „შენ ხემწიფის ცოლობა განგიზრახიაო," ხელი გამარტყა და თვალიც ამიტომ მაქვს ჩალურჯებული."

ჰეიბერის აღების შემდეგ ებრაელებმა შუამავალს შეთავაზეს: „მუჰამმედ! ჩვენ ჰეიბერს გავეცლებით, მაგრამ მეურნეობა კარგად გაგვეგება და თუ ისურვებ, ეს ნოყიერი მიწები იჯარით გადმოგვეცი. ამ მიწას დავამუშავებთ და მოსავლის ნახევარი შენი იყოს!" საყვარელ შუამავალს და საჰაბეებს სამეურნეო საქმიანობისათვის არ ეცალათ. ისინი უზენასიი ალლაჰის მიერ გარდმოვლენილი ბოლო და უკანასკნელი რელიგიის გასავრცელებლად დაუღალავად ირჯებოდნენ. ამიტომ ეს შემოთავაზება ალლაჰის შუამავალმა მიიღო, ოღონდ იმ პირობით, რომ როცა მოისურვებდა მამულებს უკან დაიბრუნებდა. ებრაელებმა ამ პირობას დაეთანხმნენ და საქმეს შეუდგნენ.

გამარჯვებული ალლაჰის შუამავალი საჰაბეებთან ერთად მედინაში დაბრუნდა. სწორედ ამ დროს ეთიოპიიდან ჯაფერ იბნი ები თალიბის მეთაურობით პირველი ემიგრანტები დაბრუნებუნდნენ, რამაც ყველა ძალიან გაახარა. ალლაჰის წმინდა შუამავალი წმინდა ჯაფერს გადაეხვია, შუბლი დაუკოცნა და ბრძანა: ***„ახლა რა ვიზეიმო, ჰეიბერის გაღება თუ ჯაფერის დაბრუნება?".***

ჰეიბერში მოპოვებული ნადავლი ჰუდეიბიეს შეთანხმებაში მონაწილე ყველა საჰაბეს, ჰეიბერის გმირებს, ეთიოპიის ემიგრანტებსა

და ებრეელეებთან ნაომარ დევსის ტომს გაუნაწილა.

ჰეიბერის აღების შემდეგ არაბეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრე,ი ყველა ებრაული ტომი უკვე შუამავლის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა... ებრაელებს მუშრიქებზე (წარმართები) დახმარება აღარ შეეძლოთ. გარშემომყოფმა ტომებმა და სახელმწიფოებმა კარგად დაინახეს, რომ მუსლიმებმა აუღებელი ჰეიბერის ციხე სიმაგრის აღება და ებრაელთა დაიმოჩილება შეძლეს, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ, ისინი უკვე სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ. მუსლიმთა მიერ შუამავლის მეთაურობითა და უზენაესი ალლაჰის ნებით შექმნილი სახემწიფო ამ დროს არსებული იმპერიებისთვის საფრთხეს წარმოადგენდა. მექას წარმართებმა ჰეიბერის აღების შემდეგ გლოვა გამოაცხადეს. უამრავი დიდი თუ პატარა ტომი მედინასკენ გაეშურა, რათა ისლამს ზიარებოდნენ და საჰაბეთა რიგები დაეკავათ, გატაფაების და ზოგიერთი ტომი, რომელნიც ჯიუტობდნენ მუსლიმთა ძალების მიერ იქნენ დამორჩილებულნი.

მგზავრობა გამოტოვებული უმრისთვის

ჰუდეიბიეს შეთანხმების შემდეგ ერთი წელი გავიდა. მხვერპლშეწირვის დღესასწაულამდე ერთი თვე იყო დარჩენილი, ალლაჰის შუამავალმა საჰაბეებს უმრეზე გასამგზავრებლად სამზადისის დაწყება დაავალა. ორიათასმა საჰაბემ გასამგზავრებლად სამზადისი დაასრულა. შესაწირად 70 აქლემი იქნა შესყიდული. შესაწირი ცხოველების მექამდე ჩაყვანა ნაჯიე ბინ ჯუნდუბესა და მის ოთხ მეგობარს დაევალა. მუჰამმედ ბინ მესლემეს ასი ცხენოსანი მეომრით იარაღის გადასატანად წინასწარ იქნა გაგზავნილი. წარმართებზე ნდობა წარმოუდგენელი იყო. თუკი იერიშს მიიტანდნენ, იარაღს გამოიყენებდნენ. პატივცემული საჰაბეებიდან ზოგიერთებმა შუამავალს შეახსენეს: „ალლაჰის შუამავალო! ჰუდეიბიეს შეთანხმებიდან გამომდინარე, უმრეზე მხოლოდ ქარქაშში ჩადებული ხმლით შეგვეძლო შემოვსულიყავით!“ საყვარელმა შუამავალმა მიუგო: ***„ჩვენ ეს შეიარაღება ჰარემში ყურეიშლებთან კი არ მიგვაქვს. მხოლოდ იმისთვის გვჭირდება, რომ თუ წარმართები იერიშზე გადმოვლნენ, თავი დავიცვათ.“***

მედინაში წარმომადგენლად ებუ ზერილ გიფარი იქნა დატოვებული. ზოგიერთ გადმოცემაში ამ მისიის ებუ რუჰმულ გიფარზე დაკისრების შესახებაცაა საუბარი. ორი ათასი საჰაბე შუამავალთან ერთად მექისკენ დაიძრა. იმის გამო, რომ ამდენი ხნის უნახავი სამშობლო უნდა მოენახულებინათ, საჰაბეები ემოციებს ვერ მალავდნენ. მათ ასევე უნდა ეხილათ უწმინდესი ქაბა, რომლისკენაც მუსლიმები დღეში ხუთჯერ სალოცავად დგებიან. ასევე ახლადგამუსლიმანებულ ნათესავებს უნდა შეხვედროდნენ, რომლებიც ,დიდი ხანია, რაც არ ენახათ. რამდენიმე წლის განმავლობაში მუსლიმების ტანჯვითა და შეურაცყოფით დამტკბარ და კერპების უარყოფისათვის უამრავი მუსლიმის სისხლის ამღები მექას წარმართებისთვის უნდა ეჩვენებინათ, თუ რამდენად უზენაესი და ჭეშმარიტი იყო ისლამი, რომელმაც ბეჭედი დაუსვა რელიგიათა და შუამავალთა ჯაჭვს, სამყაროს მოჰფინა ბედნიერება და სიკეთე, ხოლო საიქიოში ღვთისმოსავნთ ნეტარებას შეჰპირდა. იმედო-

ვნებდნენ, რომ წარმართთა გულებში ისეთ რამეს გააღვიძებდნენ, რომელიც ისლამის მიმართ მათ ზიზღს ბოლოს მოუღებდა და მათ გამუსლიმებას დააჩქარებდა.

ხოლო მათ, ვინც გამგზავრება ვერ შეძლო, შუამავალი და საჰაბეები „თექბირებით“ და უზენაესი ალლაჰის განდიდებით გააცილეს და უკან მედინაში დაბრუნდნენ.

როდესაც საყვარელი შუამავალი, მედინადან 12 კილომეტრით მოშორებულ ზულჰუფეიში ჩავიდა, იჰრამი ჩაიცვა. საჰაბეებმაც იგივე გაკეთეს. ყველა თეთრებითშეიმოსა. უმრის გასაკეთებლად მექისაკენ მგზავრობა ოფიციალურად დაიწყო. ***„ლებბეიქე! ალლაჰუმმე ლებბეიქ! ლებბეიქ! ლა შერიქე ლექე ლებბეიქ! ინნელ ჰემდე ვენნიღმეთე ლექე ველ მულქე, ლა შერიქე ლექე“*** ხმები ზეცამდე ამაღლდა და მას აზანზარებდა. მგზავრობა, უზენაესი ალლაჰის განდიდებითა და მისთვის შემწეობის თხოვნით საკმაოდ კარგად მიდიოდა.

მუჰამმედ ბინ მესლემეს მეთაურობით, წინ წასული მუსლიმთა ჯგუფი, რომელსაც იარაღი გადაჰქონდა, როდესაც მექას მიუახლოვდა, ისინი წარმართებმა დაინახეს, მიუახლოვდნენ და ჰკითხეს: „განა შეთანხმებ ასეთი იყო? ეს რას ნიშნავს?“ მუჰამმედ ბინ მესლემემ უპასუხა, ესენი ალლაჰის შუამავალის ჯარისკაცები არიან და თუკი უზენაესი ალლაჰი ინებებს ხვალ შუამავალიც ჩამობრძანდება და წმინდა ქალაქსა პატივს დადებსო. წარმართებმა თავი ერთად მოიყარეს და შუამავალთან უმალ დელეგაცია გაგზავნეს.

ამ დროს შუამავალი მექასთან ახლოს, საიდანაც ქალაქი კარგად მოჩანდა, ბატვნი იეღჯეჯში იყო მოსული. აქ მუსლიმებმა მთელი შეიარაღება დატოვეს და თანაც 200 საჰაბე სადარაჯოდ დატოვეს.

როცა სამზადისი დასრულდა, ყურეიშების დელეგაციამ შუამავალთან შესახვედრად ნება ითხოვა. როდესაც მათი თხოვნა დაკმაყოფილდა, წამრმართებმა ალლაჰის შუამავალს უთხრეს: „მუჰამმედ! ჰუდეიბიე შეთანხმების შემდეგ, შენს წინააღმდეგ არ

წავსულვართ, შეთანხმება არ დაგვირღვევია, ჩვენ დღესაც შეთანხმების ფარგლებში ვმოქმედებთ. ამ შეიარაღებით ქალაქში შემოსვლას აპირებთ? შეთანხმების მიხედვით შეგეძლოთ, მექაში მხოლოდ ქარქაშში ჩადებული ხმლებით შეგეძლოთ შემოსვლა.“ ალლაჰის შუამავალმა მიუგო; ***„მე ბავშვობიდან დღემდე ყველა მიცემული სიტყვის უზადო შემსრულებლად მიცნობს. ჩვენ მხოლოდ ქარქაშში ჩადებული ხმლებით შემოვალთ. მაგრამ ყოველ შემთხვევაში, მსურს შეიარაღება ახლოს მქონდეს.“*** ყურეიშელთა დელეგაციამ, როდესაც ის მიღებული ინფორმაციის რეალურობაში დარწმუნდა, შვებით ამოისუნთქა. მათ უკან დაბრუნების წინ შუამავალს მიმართეს: „მუჰამმედ! შენი მხრიდან, სწორედაც, სიკეთისა და ჭეშმარიტების მეტი არაფერი გვინახავს.“ ისინი მექაში დაბრუნდნენ და არსებული მდგომარეობა თანატომელებს უამბეს. რის შემდეგაც მათაც შვებით ამოისუნთქეს.

ყურეიშთა დიდებულებმა შუამავლის ერთგული საჰაბეების დანახვა ვერ აიტანეს და შუღლით აღივსნენ. ამიტომაც მექა მიატოვეს და მთებში გაიხიზნენ..

საყვარელმა შუამავალმა მედინადან ჩამოყვანილი, მსხვერპლად შესაწირი აქლემები ზიტუვას ტერიტორიაზე გაატანა. როცა საჰაბეებმა სამზადისი დასრულეს, წმინდა ქალაქში შესასვლელად გაემართნენ. საჰაბეებით გარშემორტყმული ქუსვაზე (შუამავლის აქლემის სახელი) ამხედრებული შუამავალი ათასობით ვარსკვლავის დამფარავი მზის მსგავსად, გარშემოს ნათელს ჰფენდა. „ღმერთო! ეს რა მშვენიერებაა! ეს რა საოცარი ხედია!“... ირგვლივ მხოლოდ ალლაჰის სადიდებელი სიტყვები ისმოდა: „ლებბეიქე! ალლაჰუმმე ლებბეიქ! ლებბეიქ! ლა შერიქე ლექე ლებბეიქ! ინნელ ჰემდე ვენნიღმეთე ლექე ველ მულქე, ლა შერიქე ლექე.“ მუსლიმების ხმები ზეცას სწვდებოდა. ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ ქააბას უახლოვდებოდნენ, ემოცია თანთადან მატულობდა და ქააბასთან მიახლოებასთან ერთად, ლამის, უმაღლეს მწვერვალს აღწევდა. ყველას მიერ ერთხმად წარმოთქმული „თელბიეს“ ხმები მთელ მექას სწვდებოდა, ამის შემხედვარე მექას წარმართების გულები ნაღვლითა და დარდით ივსებოდა. უმეტესობის გულში ჩარჩა მუსლიმთა მიერ წარმოთქმული სიტყვები, რომელიც უზენაე-

სი ალლაჰის განდიდებისა და მონოთეიზმის სიმბოლო გახლდათ. ასეთნაირად მათი გულები სამომავლოდ შემზადდა. საყვარელი შუამავალი აქაც გამარჯვებული დარჩა.

საყვარელი შუამავალი და საჰაბეები წელზე შემორტყმული ხმლებით ქააბაში შედიოდნენ. შუამავლის აქლემის აღვირი აბდულლა ბინრევაჰას ჰქონდა ხელში აღებული წინ-წინ მიიწევდა, ხოტბას შემოსძახებდა. ზოგიერთი მექელი წარმართი, დედაკაცები და ბავშვები ნედვეს სახლში შეიყარნენ, საყვარელი შუამავალიც მამაც საჰაბეებს უყურებდა. აბდულლა ბინ რევაჰას წინ-წინ სვლა წარმართებს უროსავით ხვდებოდა და მათ გულებს აპობდა.

ომარმაეს ველარ აიტანა და აბდულლა ბინ რევაჰას შეახსენა; „იბნი რევაჰა! ლექს როგორ შემოსძახებ შუამავალის წინაშე და „ჰარემი შერიფში“ მაგრამ საყვარელმა შუამავალმა მას უთხრა; ***„ომარ! ნუ დაუშლი მას. ალლაჰს გეფიცები რომ, მისი სიტყვები, ყურეიშის წარმართებზე ისარზე უფრო მკვეთრ კვალს ტოვებს,“*** ხოლო იბნ რევაჰას მოუწოდა ხოტბის შესხმა გააგრძელეო და თან დაამატა:

„არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა. ეს ისაა, ვისაც დანაპირების შესრულება შეუძლია! ამ მსახურის დამხმარე ის არის! ჯარისკაცებზე ჯანლონის მიმნიჭებელი ის არის! ერთმუჭად შეკრული ტომების გამანადგურებელი ის არის!“ აბდულაჰ ბინ რევაჰამ ხოტბის შესხმა გააგრძელა

არ არსებობს ღვთაება,
გარდა ერთი ალლაჰისა!
არ არსებობს ტოლი მისი,
ლა ილაჰე ილლელლაჰ!

ის არის მუსლიმთა,
გმირთა ძალის მიმცემი!
ის არის ურწმუნოთა,
გამფანტველი, გამცამტვერებელი!

მუსლიმებიც ამ სიტყვებს იმეორებდნენ. შუამავალმა ალლაჰის სახლში შესვლის დროს მარჯვენა მხარი გამოაჩინა; ***„ამ ჯიუტ***

ხალხთან მორკინალი და მამაცი გმირები უზენაესმა ალლაჰმა დაიფაროს.“ საჰაბეებმაც მარჯვენა მხარი გამოაჩინეს და ჩქარი ნაბიჯით ქააბას სამჯერ შემოუარეს. მაგრამ იემანეს კუთხესა და ჰაჯერულ ესვედეს (შავი ქვის) კუთხე ნელ-ნელა გაიარეს. შუამავალი და საჰაბეები ჰაჯერულ ესვედის უახლოვდნებოდნენ და კოცნიდნენ, ან შორიდან ხელით ესალმებოდნენ.

მექას წარმართებიც მუსლიმებს უკან მიყვებოდნენ, და მუსლიმების მიერ შესრულებილი პილიგრიმობის გამო გაოცებას ვერ ფარავდნენ, რადგანაც რაც მუსლიმები მედინას გაეცალნენ, მათ შესახებ მხოლოდ სისუსტე, ავადმყოფობა და ამის მსგავსი უძლურებანი ჰქონდათ გაგონილი. ახლა კი, ყველაფერი პირიქით ხდებოდა, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ მუსლიმები მექადან წასვლის შემდეგ ყველანაირად გაძლიერებულიყვნენ.

დარჩენილი ოთხი ტავაფი(ქაბაზე შემოვლა) ნელი ნაბიჯებით დაასრულეს. ტავაფის შემდეგ „მაყამი იბრაჰიმთან“ (იბრაჰიმის ადგილსამყოფელთან) მივიდნენ და ორი მუხლი ლოცვა აღავლინეს. შემდეგ საფასა და მერვეს მთებს შორის შვიდი საღი (გავლა) შეასრულეს. მსვერპლის შეწირვის შემდეგ, საყვარელმა შუამავალმა თმები შეიჭრა. დალოცვილი თმები საჰაბეებმა ძირს დაცემამდე გაინაწილეს. თმები მათაც შეიჭრეს. ასეთნაირად, საყვარელი შუამავლის მიერ ერთი წლის წინ ნანახი სიზმარი რეალობად გადაიქცა.

უმრა დასრულდა და შუადღის ლოცვა მოახლოვდა. საყვარელმა შუამავალმა, ბილალი ჰაბეშს ეზანის კითხვა დაავალა, მანაც ბრძანება უმალვე შეასრულა. ქააბაში მისმა წარმოთქმულმა ეზანმა მთელი მექა შეძრა. საყვარელი საჰაბეები ეზნის კითხვას გულდასმით უსმენდნენ და დაბალი ხმით ბილალი ჰაბეშის წარმოთქმულ სიტყვებს იმეორებდნენ. ეზნის დამთავრების შემდეგ შუამავალმა მათ ლოცვის აღსავლენად წინამძღოლობა გაუწია. ყველამ ერთად შუადღის ლოცვა აღავლინეს, რომელმაც მუსლიმთა გულებში კვალი დატოვა.

საყვარელ შუამავალს ეჰტაბში კარავი ჰქონდა გამართული. საჰაბეებმაც გარშემო არსებულ კარავებში სამი ღამე გაათიეს.

როდესაც ლოცვის აღვლენის დრო მოვიდოდა ალლაჰის სახლში იკრიბებოდნენ და ლოცულობდნენ. დანარჩენ დროს კი ნათესავების მოსანახულებლად დადიოდნენ და მათ ისლამის სანიმუშო ეთიკურ ნორმებსა და ზნეობას უჩვენებდნენ. ისინიც, ასჰაბების ქცევების შემყურენი, გაკვირვებული რჩებოდნენ, გაოცებას ვერ ფარავდნენ. სამი დღის მანძილზე ისეთი შტაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მუსლიმთა მიერ მექა სულიერად იქნა აღებული.

სამი დღეც გავიდა, უკვე გამომშვიდობების დრო იყო მოსული. საღამოს პირს ალლაჰის შუამავალმა ბრძანება გასცა, რომ მექაში უმრის შესასრულებლად ჩამოსულ ყველა მუსლიმს ქალაქი დაღამებამდე უნდა დაეტოვებინა და გზას დადგომოდა. მართლაც, დაღამებამდე მუსლიმები მედინასკენ გაეშურნენ.

მუთას ბრძოლა

როდესაც საყვარელი შუამავალი უმრის შესასრულებლად მექაში იმყოფებოდა, ველიდ ბინ ველიდს ჰკითხა; ***„ჰალიდი სად არის? მისმა მსგავსმა ადამიანმა ისლამი რომ ვერ შეიცნოს, შეუძლებელია. ნეტა, თავისი ენით აღუწერელი გმირობა და ძალ-ღონე ისლამის სამსახურში, წარმართთა წინააღმდეგ გამოეყენებინა! რამდენად სარფიანი იქნებოდა ეს მისთვის. შევიყვარებდით და პატივს დავდებდით“.*** ველიდ ბინ ველიდი უფროს ძმას (ჰალიდ იბნი ველიდს) წერილებს უგზავნიდა და ისლამს უხსნიდა. როცა შუამავლის ამ სიტყვებმა ჰალიდის ყურამდე მიაღწია, იგი ძმის მეშვეობით ისლამისკენ უფრო მეტად შემოტრიალდა. დღეები გადიოდა და ჰიჯრეთის მერვე წელში შეაბიჯეს ფეხი. ჰალიდ იბნი ველიდი უკვე თავის ტყავში ვეღარ ეტეოდა და მედინაში ჩასვლის, შუამავლის წინაშე ჩამუხვლისა და ისლამთან ზიარების სურვილით დნებოდა. თავად ჰალიდ იბნი ველიდი ამის შესახებ ყვებოდა:

„უზენაესმა ალლაჰმა მე შუამავლის სიყვარული მიბოძა და გულში ისლამის სიყვარული ჩამიდო. კარგისა და ცუდის განსხვავება მასწავლა. ჩემთვის ვფიქრობდი:; „მე, შუამავალის წინააღმდეგ ყველა ომში მივიღე მონაწილეობა. მაგრამ როცა ომის ველს ვტოვებდი ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ის დღე მოვიდოდა, როდესაც ალლაჰის შუამავალი გაიმარჯვებდა. როცა ალლაჰის შუამავალი ჰუდეიბიეშიც ჩავიდა, ჰალიდი მაშინაც კი, წარმართთა მთავარსარდალი იყო. მათ მივუახლოვდით და დავენახვეთ. შუამავალი საჰაბეებთან ერთად, აუღელვებლად, შუადღის ლოცვას აღავლენდა. იერიშის მიტანა გადავწყვიტეთ მაგრამ ვერ შევძელით, რაღაც ზებუნებრივი გვიშლიდა ხელს. შუამავალმა მგონი ყველაფერი გაიგო. სამხრობის ლოცვა უფრო ნელ ტემპში შეასრულა. ამან ჩემს გულში ძალიან ღრმა კვალი დატოვა. გავიფიქრე ეს პიროვნება ალლაჰის მიერ არის დაცული-მეთქი. ერთმანეთს გავეცალეთ. როდესაც უამრავი ფიქრი მაწუხებდა, შუამავალი მექაში უმრას შესასრულებლად ჩამოვიდა. მე მას დავემალე. ის ჩემ ძმა ველიდთან ერთად მოსულიყო ჩემ სანახავად. ჩემ ძმას წერილი დაეტოვებინა: „ბისმილლაჰირრეჰმანირრეჰიმ-მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით! ალლაჰის განდიდებისა და შუამავალ-

ზე მისალმებისა და დალოცვის შემდეგ გეტყვი, რომ,უეჭველად მე, შენი ისლამისგან ზურგის შექცევა ვერ ამიხსნია. უგუნური არ ხარ, რომ ერთმანეთისგან ჭეშმარიტება და მცდარი გზა ვერ გაარჩიო. რატომ ჭკუას არ იყენებ? ძალიან საინტერესოა, ისლამის მსგავსი რელიგია რომ ვერ შეგიცვნია. ალლაჰის შუამავალმა შენზე შემეკითხა. უნდა, რომ ისლამს ეზიარო. ძმაო! ხელსაყრელ მომენტს ხელიდან ნუ უშვებ. მეტი აღარ დააგვიანო!"

როდესაც წერილი წავიკითხე, სურვილი გამიღვივდა ისლამს ვზიარებოდი. მექაში წასვლას ვჩქარობდი. შუამავლის სიტყვებმა დიდად გამახარა. როდესაც მას ეძინა, ცუდი სიზმარი ვნახე, ვიწრო უდაბნოდან, მწვანე, ფართო და სასიამოვნო ადგილას გავედი. როდესაც მედინაში ჩავედი ამ სიზმრის ახსნა, წმინდა ებუბექირს ვთხოვე.

შუამავალთან წასასვლელად ვემზადებოდი და თან ვიღაცის წაყვანას ვფიქრობდი. ამ დროს საფვან ბინ უმეიეს გადავაწყდი. მას მდგომარეობა ვუამბე. იმან კი უარი მითხრა. მის შემდეგ იქრიმე ბინ ებუ ჯეჰლს გადავეყარე. როცა მანაც უარი მითხრა, სახლში დავბრუნდი, ცხენს შემოვაჯექი და ოსმან ბინ ტალჰასკენ გავეშურე. როდესაც მივედი, ვუამბე თუ რატომ მსურდა შუამავალთან შეხვედრა. მან ჩემი შეთავაზება უყოყმანოდ მიიღო, მეორე დღეს დილაუთენია ერთად დავადექით გზას. როდესაც ჰადდეს ჩავედით იქ ამრ იბნი ასს შევხვდით. ისიც მედინაში, ისლამის მისაღებად მიდიოდა.

მედინაში ჩავედით. ყველაზე კოხტა სამოსი ჩავიცვი და შუამავალთან შესახვედრად მოვემზადე. სწორედ ამ დროს ჩვენთან ჩემი ძმა ველიდი მოვიდა და გვითხრა: „იჩქარეთ, რადგანაც შუამავალმა უკვე იცის აქ რომ ჩამოხვედით და ძალიან გახარებულია. ახლა თქვენ გელოდებათ". საჩქაროდ წმინდა შუამავალთან მივედით. ის იღიმებოდა. მივესალმე და ვუთხარი: ***„არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა და ვამოწმებ, რომ შენ მისი შუამავალი ხარ!"*** შუამავალმა ბრძანა: ***„ქება-დიდება მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის, ვინც შენ ჭეშმარიტების გზაზე დაგადგინა".*** ჰალიდი და მისი მეგობარი მუსლიმები გახდნენ.

მექაში ყველაზე ბედნიერნთ, მიზნის მისაღწევად ყველაფრის გამკეთებელ სამ გოლიათს, აღტაცებული სულითა და გულით, შუამავლის წინაშე საჰაბეთა პატივი დაედოთ. ისინი ახლა უკვე მთელი ძალით ურწმუნოთა წინააღმდეგ იბრძოლებდნენ. საჰაბეებს ძალიან გაუხარდათ მათი გამუსლიმება, სიხარულს თექბირების თქმით გამოხატავდნენ.

ჰიჯრეთის მერვე წელს, საყვარელმა შუამავალმა ისლამის გასავრცელებლად მისკენ მოწოდება სხვადასხვა ტომებსა და სახელმწიფოებს ელჩების საშუალებით გაუგზავნა. ზოგიერთ ადგილიდან დადებითი პასუხი მოვიდა, მაგრამ ბუსრას გუბერნატორთან წარგზავნილი ჰარის ბინ უმეირი, დამასკოს ბელქას მხარეს, სოფელ მუთაში ქრისტიანული ჯარების მიერ იქნა დაკავებული. როდესაც ჰარისი დამასკოს გუბერნატორის შურაჰბილ ბინ ამრის წინაშე მიიყვანეს, იგი მოკლეს და შეჰიდად აქციეს.

ამ ამბავმა შუამავალი ძალიან დაამწუხრა და სასწრაფოდ საჰაბეების შეკრება ითხოვა. ბრძანების გამგონი საჰაბეები ოჯახებს გამოემშვიდობნენ და სასწრაფოდ ჯურფის საჯარისო ნაწილში შეიკრიბნენ. საყვარელმა შუამავალმა მათთან ერთად შუადღის ლოცვა აღავლინა, ხოლო შემდეგ თქვა: ***„სალაშქროდ წამსვლელი აი, ამ ხალხის სარდლად ზეიდ ბინ ჰარის დავნიშნე! თუკი ზეიდი გმირად*** *(შეჰიდად)* ***დაეცემა მის ადგილს, ჯაფერ ბინ ები თალიბი დაიკავებს. ჯაფერ ბინ ები თალიბიც თუ შეჰიდი გახდა, აბდულლაჰ ბინ რევაჰა გახდება სარდალი. თუკი აბდულაჰ ბინ რევაჰაც შეჰიდის ხარისხს ეწევა, მუსლიმებმა ყველასთვის მისაღები პირი აირჩიონ და მეთაურად დანიშნონ!“*** როდესაც საჰაბეებმა გაიგეს, რომ შუამავლის მიერ ჩამოთვლილი საჰაბეები შეჰიდის ხარისხს უნდა სწეოდნენ, ტირილი დაიწყეს: „ალლაჰის შუამავალო! ნეტავი ცოცხლები დარჩნენ და მათგან გვესარგებლა!“ ალლაჰის შუამავალმა გაჩუმდა და მათ პასუხი არ გასცა.

ხოლო როდესაც ალლაჰის შუამავლის მიერ ჩამოთვლილმა პირებმა ეს ყველაფერი გაიგონეს, სიხარულს ვეღარ ფარავდნენ, რადგანაც მათი მიზანი ხომ ალლაჰის გზაზე, ომში გმირად დაცემა იყო. შუამავალმა ნამახარობლევი ეს ამბავი და მათ საკუთა-

რი ყურებით გაიგონეს. მუჯაჰილებმა (მეომრებმა) სამზადისი დაამთავრეს და მეთაურებს ელოდებოდნენ. საყავრელმა შუამავალმა ისლამის თეთრი დროშა ზეიდ ბინ ჰარისს ჩააბარა. მას იმ ადგილამდე ჩასვლა დაავალა, სადამდეც ჰარის ბინ უმეიე მივიდა და იქაურების ისლამისკენ მოხმობა დაავალა. ხოლო თუ ისინი ამ შეთავაზებას უარყოფდნენ, მუსლიმებს მათთან ომი ებრძანათ.

როდესაც აბდულლაჰ ბინ რევაჰა საჰაბეებს გამოემშვიდობა, ატირდა. მას ჰკითხეს: ***„ეი რევაჰას შვილო! რატომ ტირი?“*** მელექსე აბდულლაჰ ბინ რევაჰამ

ლექსად წარმოთქვა, რომ ის იმიტომ კი არ ტიროდა რომ დედამიწა უყვარდა ან საჰაბეები მოენატრებოდა. პირიქით, მას ყურანი ქერიმში ერთი აიათი მოესმინა, რომელშიც ნათქვამი იყო: „უეჭველად, იცოდეთ რომ თქვენში არავინ არის ისეთი, რომ ჯოჯოხეთში არ შეიაროს.“ მას სწორედ იმისი ეშინოდა, რომ ჯოჯოხეთში ვერ გაძლებდა. მეგობრებმა მას უსურვეს:; „უზენაესმა ალლაჰმა საყვარელ ხალხთან ერთად გამყოფოს, კეთილისმქმნელთან იყავი!“ შემდეგ აბდულლა ბინ რევაჰამ აღნიშნა: „მაგრამ ჩემი დილემა უზენაესი ალლაჰის მხრიდან შეწყალებაა. მე მსურს ბასრი ხალით ან შუბით დავეცე ძირს და ვეწიო შეჰიდთა პატივს!...“ ჯარი ჯერ კიდევ სამზადისში იყო, როდესაც აბდულლაჰ ბინ რევაჰა საყვარელ შუამავალთან გამოსამშვიდობებლად მივიდა და უთხრა: ***„ალლაჰის შუამავალო! ისეთი რაღაც მირჩიე, რომ მეხსიერებიდან არასდროს წამეშალოს.“*** ლმობიერებისა და სიკეთის დამნერგველმა საყვარელმა შუამავალმა მიუგო: ***„შენ ხვალ იმ ხალხტან მიდიხარ, ვინც ღვთისმსახურებით თავს არ იწუხებს. იქ მრავალი ღვთისმახურება და ლოცვა აღავლინე!“***

სამიათას კაციანი ჯარი ალლაჰის სადიდებელი სიტყვების ძახილით გზას გაუდგა. ისინი საყვარელმა შუამავალმა და მედინაში დარჩენილმა საჰაბეებმა გააცილეს. დამშვიდობებისას საყვარელმა შუამავალმა მუსლიმთა ჯარს შემდეგნაირად მიმართა: ***„მე თქვენ, უზენაეს ალლაჰის ბრძანებების შესრულებას, აკრძალულებისგან განრიდებას, ფლანგზე მყოფ მულიმთა მიმართ კეთილის ქმნასა და სიკეთის გაკეთებას გირჩევთ. უზენაესი ალლლაჰის გზაზე მისი სა-***

ხელის ხსენებით იომეთ. ნადავლი არ გაფლანგოთ. შეთანხმება არ დაარღვიოთ. ბავშვები არ მოკლათ. იქ ეკლესიებში ღვთისმსახურთ გადააწყდებით. გაფრთხილებთ! მათ არაფერი დაუშაოთ! იქ ხალხს გადააწყდებით რომლებიც ეშმაკებთან ერთად არიან, მათ თავები დააყრევინეთ, მაგრამ დედაკაცებსა და მოხუცებს არ შეეხოთ. ხეები არ გადაწვათ. სახლ-კარი არ გაუნადგუროთ!“

მთავარსარდალ ზეიდ ბინ ჰარისს კი უთხრა: ***„როდესაც წარმართნს ან ურწმუნონთ შეხვდებით, ისინი სამ რაღაცაზე მოიხმე!*** *(თუკი ისლამს მიიღებენ)* ***აცნობე მათ, რომ ემიგრანტთა სამშობლოში, მედინაში შეუძლიათ ჩამოსვლა! თუკი მოწოდებას მიიღებენ, უთხარი, რომ ის უფლებები, რაც მუსლიმანთ გააჩნიათ, მათაც ექნებათ და ის ვალდებებულებები, რასაც მუსლიმები ასრულებენ, მათაც უნდა აღასრულონ. მაგრამ თუ გამუსლიმანების შემთხვევაში თავიანთ სამშობლოში დარჩენა ურჩევნიათ, მათი ნებაა, ოღონდ ისინი მომთაბარე არაბების მდგომარეობაში იქნებიან და მათთვის იგივე ღვთაებრივი კანონი იქნება გატარებული, რომლის მიხედვით ომში მოპოვებული ნადავლიდან მათ არაფერი ერგებათ, ნადავლს მხოლოდ ომში მონაწილენი მიიღებენ.***

თუკი არ გამუსლიმდებიან, მათ ხარკის გადახდა დააკისრე! ვინც ხარკის გადახდას დაეთანხმება, მას არშეეხო! თუკი ხარკსაც არ გადაიხდიან, უზენაესს მიენდე და ომი გამოუცხადე!“

ამ მითითეთების შემდეგ მუჯაჰიდებს გამოემშვიდობნენ. ისლამის ჯარი თექბირების შეძახილებით გზას გაუდგა. მედინაში დარჩენილებმა კი გამარჯვებისა და ჯარის მშვიდობიანად დაბრუნების ვედრება აღავლინეს.

ზეიდ ბინ ჰარისის ხელში ისლამის წმინდა დროშა ფრიალებდა, მეომარნი ალლაჰის რწმენის გასავრცელებლად შორ გზაზე მიემართებოდნენ. ისლამის ჯარი სირიისაკენ გადაადგილდებოდა. მგზავრობა ინციდენტის გარეშე მხიარულად მიდიოდა. მუჯაჰიდები მტერთან შესახვედრას მოუთმენლად ელოდნენ. შეჰიდათ დაცემა ყველაზე მეტად აბდულლაჰ ბინ რევაჰას სურდა. ამის შესახებ ზეიდ ბინ ერქანი გადმოგვცემს: „როდესაც გავიგონე ხოტბა, რომლითაც ის ამ ქვეყანას ემშვიდობებოდა, ავტირდი. აბდულლაჰ ბინ

რევაჰა მათრახით შემეხო და მითხრა: „მოუსვენარო! რა გემართება? შენ რა ზიანი გადგება, თუკი მე უზენაესი ალლაჰი შეჰიდობის პატივს დამდებს და ამქვეყნიური ვარამიდან გავთავისუფლდები, შენ კი ცხოველზე შეჯდები და უკან დაბრუნდები?“ შემდეგ აქლემიდან ჩამოვიდა, ორი მუხლი ლოცვა აღავლინა და უზენაეს ალლაჰს შეევედრა, ბოლოს მომიბრუნდა და მითხრა: „ბავშვო, ღმერთის ნებით ამ ლაშქრობაში შეჰიდის პატივი დამედება!“

როდესაც გმირი საჰაბეები სირიას მიუახლოვდნენ დამასკოს გუბერნატორმა შურაჰბილ ბინ ამრმა უკვე იცოდა ისლამის ნაწილების მოახლოების შესახებ. მან უმალვე ვითარება ამცნო ბიზანტიის კეისარ ჰერაკლიუსს, ვისგანაც დიდი დახმარება მიიღო. ვინაიდან მათ მიერ მიღებული ინფორმაციის თანახმად, მუსლიმთა რაოდენობა მხოლოდ სამი ან ოთხი ათასი კაცს შეადგენდა, მათ წინააღმდეგ გამოიყვანეს ასი ათასსზე მეტი მეომარი, რომლებიც საუკეთესო იარაშით იყვნენ აღჭურვილნი.

როდესაც საჰაბეები სირიის მიდამოებს მიუახლოვდნენ, გაიგეს, რომ ბიზანტიიდან ასი ათას კაციანი არმია მათ წინააღმდეგ სირიაში იყო ჩამოსული. მუსლიმებმა მუანღაში ორი ღამე გაატარეს. მთავარსარდალმა ზეიდ ბინ ჰარისმა ჯარი შეყარა და მდგომარეობა ამცნო. ეერთმანეთს აზრი გაუზიარეს იმის შესახებ, თუ რა უნდა მოემოქმედათ 100 ათასიანი ჯარის წინააღმდეგ. ზოგიერთმა საჰაბემა მოითხოვა, ბიზანტიიის ჯარს სირიაში ჩამოსვლამდე დავესხათ თავს, ტყვეები ავიყვანოთ და მედინაში დავბრუნდეთო. ზოგიერთმა კი თქვა, ალლაჰის შუამავალს წერილი მივწეროთ, მტრის ჯარის რიცხვი ვაცნობოთ და სასწრაფოდ დამხმარე ძალების გამოგვიგზავნა ვთხოვოთ, ან ვკითხოთ რა გავაკეთოთო. მეორე შეთავაზების მიღებას აპირებდნენ, როდესაც საუბარში აბდულლაჰ ბინ რევაჰა ჩაერია.

„ხალხო ჩემო, არავითარი მიზეზით შეჰიდობის პატივს ზურგი არ უნდა ვაქციოთ. განა აქ ამისათვის არ ვიმყოფებით? არ აქვს მნიშვნელობა მტრის რიცხობრივ უპირატესობას. უზენაესმა ალლაჰმა ეს რელიგია ჩვენ მოგვანდო და ჩვენც მამაცურად ვიბრძოლეთ. წადით იომეთ, უეჭველად, სიკეთე არსებობს, ამ საქმის

შედეგი ან გამარჯვება ან კი შეჰიდად დაცემაა. ბედირის დღეს გვყავდა ორი ცხენი, უჰუდში ერთი ცხენით და ძალიან ცოტა იარაღით ვიბრძოლეთ. თუ ამ ომში გამარჯვება ბედისწერაა, როგორც ამას უზენაესი ალლაჰი და მისი შუამავალი შეგვპირდნენ, ასეც მოხდება. აბა მორწმუნენო წინ იარეთ, თუკი შეჰიდობა ჩვენს ბედისწერაშია, შევხვდებით იქ, სამოთხეში ჩვენ ძმებს- შეჰიდებს."

წმინდა აბდულლაჰ ბინ რევაჰას მიმართვამ მუსლიმებს გამბედაობა გაუორმაგა. ისინი ამბობდნენ: „ღმერთს ვფიცავთ, რევაჰას ვაჟი ჭეშმარიტებას ქადაგებს."

მათ მიირეს გადაწყვეტილება, რომ ბრძოლის ველზე დაცემამდე ომს გააგრძელებდნენ. როდესაც საჰაბეები სოფელ მუთეში ჩავიდნენ, ასიათას კაციან ბიზანტიის ჯარს გადაეყარნენ. მტრების ძალებს მინდორ- ველი დაეფარათ. ერთ მხარეს, უზენაესი ალლაჰის რელიგიის გასავრცელებლად მედინადან დამასკოში ჩასული სამიათას კაციანი მუსლიმთა ჯარი იდგა, ხოლო მეორე მხარეს, ისლამის დასამარცხებლად მზად მყოფი 100 ათას კაციანი ურწმუნოთა არმია... ლოგიკურად ამ ორი ძალის შედარება შეუძლებელია. ერთ მუსლიმი მეომარი ვალდებული იყო, დაახლოებით, 30 კაცს გამკვლავებოდა.

ორივე მხარემ პოზიციები დაიკავეს. ამ დროს, შუამავალის ბრძანების შესაბამისად, მუსლიმთა დელეგაცია რომაელებისკენ გაემართა. მათ რომაელთა ჯარს ისლამის მიღება ან ხარკის გადახდა შესთავაზეს. მაგრამ ქრისტიანებმა ეს შეთავაზება უარყვეს. დასაკარგი დრო უკვე აღარ იყო. მთავარსარდალმა ზეიდ ბინ ჰარისმა დროშით ხელში ურწმუნონთა ჯარის წინააღმდეგ იერისზე გადასვლა ბრძანა. მორწმუნენიც სწორედ ამას ელოდნენ; „ალლაჰუ ექბერ-ალლაჰი დიადია" ასეთი შეძახილებით ისრის მსგავსად გავარდნენ წინ. ხმლები ელვისებურად იშიშვლეს და მტრის ძალებს ქარიშხალივით დაატყდნენ თავს. ცხენების ჭიხვინი, ხმალტაცემის ხმები, თექბირის შეძახილები და დაჭრილთა კვნესა ზეცას სწვდებოდა. მიუხედავად იმისა რომ ომი ახალი დაწყებული იყო, ბრძოლის ველი სისხლის ტბას დაემსგავსა. საჰაბეები ხმლის

ყოველ მოქნევაზე თავს ან მკლავს ჭრიდნენ.

მთავარსარდალი ზეიდი ისლამის თეთრი დროშით ხელში და „ალლაჰის“ შე- ძახილებით ომის ეპიცენტრში იბრძოდა. თოთოეულ მოწინააღმდეგეს მასტან შეხვედრა სანანებლად უხდებოდა. უცბად მას მკერდში, ერთბაშად, რამდენიმე შუბი ჩაერჭო. ძვირფასი საჰაბეს გულ-მკერდი დაიფლითა. ზეიდ ბინ საბითი ძირს დაეცა და შეჰიდობის პატივი დაედო.

ძირს დავარდნილი დროშა ჯაფერმა აიღო ხელში. ისლამის დროშის ფრიალზე მუსლიმებს გამბედაობა გაუორმაგდათ. წმინდა ჯაფერი ზეიდ ბინ საბითის მსგავსად მამაცურად იბრძოდა. თან იბრძოდა და თანაც მეომრებს გამბედაობას ჰმატებდა. ახალი სარდლის მამაცური, ელვასავით ხმლის ტრიალი, მტერს თვალს უბნელებდა. მან მრავალი ბიზანტიელი გამოასალმა სიცოცხლეს და ამასთან მიხვდა, რომ უკან დასაბრუნებელი გზა აღარ იყო. იგი უზენაესი ალლაჰის სახელის ხსენებით თავგანწირულად იბრძოდა. ბოლოს წმინდა ჯაფერი მარჯვენა ხელში დაიჭრა და ამის გამო ძირს დავარდნილი დროშა მარცხენა ხელით აიღო და ხელახლა ააფრიალა. ამ დროს მას მარცხენა ხელიც მოჰკვეთეს. უხელოდ დარჩენილმა ჯაფერმა მკერდით სცადა დროშის აფრიალება, მაგარამ მტერმა მას ამის გაკეთების საშუალება არ მისცა და იგი ბრძოლის ველზე გმირულად დაEეცა. მას ნატვრა აუსრულდა და შეჰიდი გახდა. მისი დალოცვილი სული სამოთხის კოშკებში დაფრინავდა, ხოლო სხეული დაფლეთილი იყო. მას ოთხმოცდაათზე მეტი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული.

მუსლიმების ორი სარდალი გმირულად დაეცა, საჰაბეებმა ძირს დაცემული დროშა აიღეს და აბდულლაჰ ბინ რევაჰას ჩააბარეს. ამ დროს ცხენზე ამხედრებული რევაჰა მტერს მუსრს ავლებდა.

წმინდა აბდულლაჰ ბინ რევაჰა ალლაჰის სადიდებელი შეძახილებით გმირულად იბრძოდა. მტრის ხმალმა მას თითი დაუზიანა, იგი ცხენიდან ჩამოვიდა დაშავებული თითი ფეხქვეშ შემოიდო და მოიგლიჯა. ცხენზე ელვისებურად ამხედრდა და მტრის ჟლეტა გააგრძელა,თან დარდობდა, რატომ შეჰიდობის პატივი არ დამედოო. ბოლოს მასაც შუბი აძგერეს და მიწაზე დასცეს. იგი

ალლაჰისა და მისი შუამავლის ჭეშმარიტების გზაზე ბრძოლაში დაიღუპა და ნანატრი აუსრულდა-შეჰიდი გახდა.

მის გვერდით მყოფმა, ებულ იუსრ ქაღბმა ისლამის წმინდა დროშა ხელში აიღო და ააფრიალა. მან თვალი გადაავლო მუსლიმთა ლაშქარს და დროშა საბით ბინ ექრემის გადასცა. მანაც დროშა მუსლიმების წინ დაარჭო და მუსლიმებს შუამავლის დანაბარები შეახსენა;. თუკი ის სამი საჰაბე შაჰიდი გახდებოდა, ერთი რომელიმე სარდლად აერჩიათ და ომი ასე გაეგრძელებინათ. მუსლიმებმა თავად საბითი ისურვეს წინამძღოლად, მაგრამ მან თანამდებობაზე უარი თქვა და ჰალიდ იბნი ველიდს მიაჩერდა. ჰალიდი ახლად გამუსლიმებული იყო ამიტომ მუსლიმთა სარდლობას ვერ ბედავდა, მან საბითს უთხრა: „მე ამ დროშას ვერ გამოგართმევ, შენ ჩემზე უფროსი ხარ, თანაც შუამავალთან ერთად ბედირში იბრძოდი! ამიტომ ეს პატივი შენ უფრო მეტად გეკუთვნის.“

მუსლიმებს დასაკარგი დრო არ ქონდათ. საბითმა ისევ მიმართა ჰალიდს: „ჰალიდ! შუამავალის წმინდა ალამი სასწრაფოდ ხელში აიღე! ღმერთს გეფიცები ეს დროშა შენთვის მოსაცემად ავიღე მიწიდან. შენ ომი ჩემზე უფრო კარგად იცი!“ შემდეგ მეომრებს მიუტრიალდა და ჰალიდის სარდლობის შესახებ აზრი ჰკითხა, მუსლიმებმა ერთხმად მიუგეს, ის ჩვენი სარდალიაო.

ბოლოსდაბოლოს ჰალიდმა დროშა ხელში აიღო, აკოცა, ცხენზე ამხედრდა და მტრის ჟლეტა განაგრძო.

მამაცმა საჰაბეებმა ახალი სარდლის წინამძღოლობით მტერს კიდევ უფრო მეტი გააფთრებით შეუტიეს. ჰალიდი გასაოცარი გამბედაობითა იბრძოდა. ყველა შემხვედრს გაჩენის დრესა და საათს აწყევლინებდა. ამ დროს ქუთბე ბინ ქათადემ, მოწინააღმდეგის სარდალს მალიქ ბინ ზაფილეს თავი წააცალა. უკვე ღამდებოდა. სიბნელეში ომი საშიში იყო შეიძლებოდა, მეგობარი შემოგკვდომოდა.

ამიტომ ორივე მხარემ უკან დაიხია და თავის ბანაკს დაუბრუნდა. დაჭრილთა ჭრილობების დამუშავება დაიწყეს. ჰალიდი ომის ხელოვნებაში პროფესიონალი იყო. მეორე დღეს მან ჯარის გან-

ლაგება შეცვალა და იმედოვნებდა, რომ ამით მოწინააღმდეგეს დააბნევდა. მარჯვენა ფლანგზე მყოფი მარცხენაზე, მარცხენა ფლანგზე მყოფი მარჯვენაზე, წინა ფლანგზე მყოფი უკან, ხოლო უკან მყოფი კი წინა ხაზზე გადაანაცვლა. დილაუთენია მუსლიმებმა თექბირების შეძახილებით შეძახილებით მტერს შეუტიეს. მოწინააღმდეგე, როდესაც ახალ სახეებს ხედავდა, ფიქრობდა ესენი გუშინდელი ჯარის- კაცები არ არიან, ალბათ მუსლიმთა დასახმარებლად ჩამოვიდნენო!... ბიზანტიელები სულიერად დაეცნენ. მათში პანიკამ დაისადგურა. ეს ხელაყრელი მომენტი მუსლიმებმა კარგად გამოიყენეს და ათასობოთ მოწინაღმდეგე ჯოჯოხეთში გაისტუმრეს. ამ დღეს ჰალიდმა ცხრა ხმალი გატეხა, სამიათასმა მამაცმა მუსლიმმა მტრის ასიათას კაციან ლაშქარს სძლია. ასე ასწავლეს მათ ჭკუა მანამდე უძლეველ, ბიზანტიის იმპერიას. ამ ომში თხუთმეტი ათასი კაცი ბრძოლის ველზე დაეცა...

მუჯაჰიდების უკან დაბრუნებამდე შუამავალმა საჰაბეები მეჩეთში შეკრიბა და მუთეს ომის შესახებ მათი ინფორმირება გადაწყვიტა. საყვარელი შუამავალი მეტად დამწუხრებული ჩანდა, სახე ჩამოსტიროდა ვერავინ ბედავდა შეკითხვის დასმას. ბოლოს საჰაბეებიდან ერთ-ერთმა მას უთხრა: ***„ჩვენი თავი გენაცვალოს, საყვარელო შუამავალო! თქვენი დამწუხრებული სახე გულს გვიკლავს.“ საყვარელი შუამავალი ატირდა და ბრძანა: „ჩემს სახეზე აღბეჭდილი მწუხარება, საჰაბეების გმირად დაცემის გამოა გამოწვეული და ეს მდგომარეობა მანამდე გაგრძელდება, სანამ მათ სამოთხის სარეცელზე წამოწოლილს დავინახავ. ზეიდ ბინ ჰარისმა, დროშა ხელში აიღო, ბოლოს კი გმირულად დაეცა. ის სამოთხეში შევიდა. იქ დასეირნობს. შემდეგ დროშა ჯაფერ ბინ ები თალიბმა აიღო. მტრების ჯარებს მუსრი გაავლო. მამაცურად იბრძოლა და გმირულად დაეცა. ის, შაჰიდის პატივით სამოთხეში შევიდა და მას ლალისგან ფრთები ეზოძა, ახლა ის სადაც სურს და როგორც სურს ისე დაფრინავს. ჯაფერის შემდეგ დროშა აბდულლაჰ ბინ რევაჰამ აიტაცა, მანაც მამაცურად იომა და შეჰიდის პატივი ხვდა წილად. მე მეჩვენა, რომ ისინი სამოთხეში, ოქროს სარეცლებზე წამოწოლილნი არიან. ღმერთო ჩემო! ზეიდი შეინდე!... ღმერთო ჩემო! ჯაფერი შეინდე!... ღმერთო ჩემო! აბდულლაჰ ბინ რევაჰა შეინდე!“***

საყვარელ შუამავალს სახეზე ცრემლები ჩამოდიოდა. გულამომჯდარმა ვედრება გააგრძელა: ***„აბდულლა ბინ რევაჰას შემდეგ დროშა ჰალიდ ბინ ველიდმა აიღო. გაცხარებული ომი მიმდინარეობს. ღმერთო ჩემო! ის*** *(ჰალიდ ბინ ველიდი)* ***შენი ხმალთაგანია. მას დაეხმარე!“***

საყვარელ შუამავალს უზენაესი ალლაჰის სასწაულება ათასი კილომეტრით მოშორებული ადგილიდან ეჩვენა. როდესაც ჯაფერ ბინ ები თალიბი შეჰიდი გახდა, შუამავალი საჰაბეებთან ერთად ჯაფერის სახლში მივიდა. ჯაფერის მეუღლე, ესმას ყველა საქმე დაემთავრებინა, ბავშვებისთვის ტანი დაებანა და თმები დაევარცხნა. საყვარელმა შუამავალმა მას უთხრა; ***„ესმა! ჯაფერის შვილები სად არიან? ისინი მე მომიყვანე!“*** ქალბატონმა ესმამ ბავშვები მოიყვანა. საყვარელმა შუამავალმა ისინი გულში ჩაიკრა და თვალები დაუკოცნა. მწუხარებას ვეღარ გაუძლო და ლოყებზე ცრემლები ჩამოცვივდა. როდესაც ჯაფერის მეუღლემ საყვარელი შუამავალი ამ მდგომარეობაში დაინახა, უთხრა; „ჩემი დედმამა გენაცვალოს, ალლაჰის შუამავალო! ჩემს შვილებს ობლების მსგავსად რატომ ექცევით?! ნუთუ ჯაფერისა და მისი მეგობრებისგან სამწუხარო ამბავი შეიტყვეთ?!“ საყვარელმა შუამავალმა თავი ვეღარ შეიკავა და სიმართლე უთხრა: ***„დიახ!... დღეს ისინი შაჰიდები გახდნენ!...“*** ესმამ ბავშვები გულში ჩაიკრა და ტირილი დაიწყო. საყვარელმა შუამავალმა ამდენს ვეღარ გაუძლო და ჯაფერის სახლიდან წავიდა.

როდესაც შუამავალი სახლში დაბრუნდა ყველა მართლმორწმუნის დედებს საჭმლის მომზადება და ჯაფერის ოჯახისათვის გაგზავნა თხოვა. სამი დღის განმავლობაში გმირი მუსლიმის ოჯახს საჭმელს უზიდავდნენ.

რამდენიმე დღე გავიდა, იაღლა ბინ უმეიე მედინაში კარგი ამბავის ჩასატანად გაგზავნეს. მას ჯერ არაფერი ჰქონდა მოთხრობილი, როცა შუამავალმა უთხრა: ***„როგორ გსურს, შენ იტყვი ყველაფერს თუ მე მოვყვე?“*** შუამავალმა ომი კონკრეტულად აღწერა. გაკვირვებულმა იაღლა ბინ უმეიემ თქვა; „ჭეშმარიტების გასავრცელებლად შენ წარმომგზვნელ უზენაეს ალლაჰს ვფიცავ,

რომ ომი დეტალურად ასახე.“ საყვარელმა შუამავალმა უპასუხა; ***„უზენაესმა ალლაჰმა, ფარდა ამიხადა და ყველაფერი ნათლად დავინახე, ომის ველი ჩემი თვალით ვიხილე“.***

რამდენიმე დღის შემდეგ ისლამის ჯარის მედინაში მოახლოების შესახებ ინფორმაციამაც მოაღწია. საყვარელი შუამავალი და საჰაბეები მედინას გარეთ შეეგებნენ მამაც საჰაბეებს. ისლამის დროშა აღმართული ფრიალებდა... ყველას სახეზე ეხატა სიხარულის კვალი. ცოტა ხნის შემდეგ, ჰალიდ ბინ ველედის მეთაურობით, მედინაში შემოვიდნენ...

მექას აღება

ჰიჯრეთის მერვე წელი იდგა. ჰუდეიბიეს ზავის ერთ-ერთი პირობა იყო, რომ ამ ორი მხარის გარეთ მყოფ არაბებს, შეეძლოთ რომელ მხარესაც ისურვებდნენ, იქით გადასულიყვნენ. აქედან გამომდინარე შუამავალის მოკავშირე ჰუზაიას ტომი მუსლიმთა, ხოლო ბენი ბექრის ტომი წარმართების მხარეს გადავიდნენ. ჰუზასა და ბექრის ტომებს შორის ყოველთვის მტრული განწყობილება იყო, ხელსაყრელ მომენტს არცერთი უშვებდა ხელიდან და ერთმანეთს თავს ეხმოდნენ. ჰუდეიბიეს შეთანხმების თანახმად, ამ ორ ტომს შორის რაღაც დროით, მშვიდობა ჩამოვარდა, მაგრამ ბექრის ტომმა ეს შეთანხმება ორი წლის შემდეგ დაარღვია. მათთგან ერთ-ერთმა ალლაჰის შუამავლის შეურაცხმყოფელი ლექსი წარმოთქვა. ამ ლექსის შინაარსი ჰუზას ტომის ერთ-ერთმა ჭაბუკმა ვერ აიტანა და ბექრელს თავი გაუპო. ეს მშემთხვევა ბექრის ტომმა ხელსაყრელ მომენტად გამოიყენა და ჰუზას ტომს თავს დაესხა. ამ იერიშის დროს მექაში ჰუზას ტომიდან ოცამდე კაცი იქნა. მოკლული. ომის პერიოდში ჰუზას ტომიდან რამდენიმე კაცი შუამავალთან მივიდა და დახმარება ითხოვა. ეს თავდასხმა ღამით მოხდა და ბექირის ტომს ჰუზას ტომის წინააღმდეგ .წარმართნიც ეხმარებოდნენ

იმ ღამეს, მედინაში ალლაჰის შუამავალი მეიმუნესთან იმყოფებოდა, ღამით იგი აბდესის ასაღებად წამოდგა; უზენაესი ალლაჰის ნებით, როგორც სასწაული, შუამავალმა მექადან ჰუზელთაგან დახმარების თხოვნა გაიგონა და მათ უპასუხა; ***„ლებბეიქე!*** მე ვეთანხმები თქვენს შემოთავაზებას!“ წმინდა მეიმუნემ ჰკითხა:„ შენთან არის ვინმე?“

საყვარელმა შუამავალმა მას მექაში მომხდარი ამბებისა და მათში ყურაიშების მოანაწილეობის შესახებ ამცნო.

ყურეიშელები ბექრის ტომს დაეხმარნენ და ჰუზას ტომიდან რამდენიმე კაცი მოკლეს. ეს კი ჰუდეიბიეს შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტის დარღვევას ნიშნავდა. მაგრამ, მომხდარის შესახებ იმ

დროისათვის დამასკოში მყოფმა, ებუ სუფიანმა არაფერი იცოდა. დამასკოდან დაბრუნებულ ყურეიშთა მეთაურს მოუყვნენ ამ ინციდენტის შესახებ. ებუ სუფიანმა თქვა: „ეს აუცილებლად უნდა გამოვასწოროთო. ამის ჩაფარცხვა შეუძლებელია. თუკ ასე არ მოვიქცევით მუჰამმედი ჩვენ მექადან განგვდევნის! ამიტომ მედინაში ამბის ჩასვლამდე, ჩვენ უნდა გავგზავნოთ დელეგაცია და ეს პრობლემა მოვაგვაროთ.“

მაგრამ საყვარელ შუამავალს ყველაფერი ხომ მაშინვე ეცნობა. ამასთან ამ ინციდენტიდან სამი დღის შემდეგ, ჰუზას ტომიდან ამრ ბინ სალიმმი ორმოცი ცხენოსნის თანხლებით მედინაში ჩავიდა და ალლაჰის შუამავალს ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ალლაჰის საყვრელმა შუამავალმა თქვა: ***„თუ მე ჰუზას ტომს არ დავეხმარები,არც ალლაჰი დამეხმაროს მე!“*** მან წერილი დააწერინა და ყურეიშელებს გაუგზავნა, მასში აღნიშნული იყო: ***„...თქვენ, ბექრის ტომთან ურთიერთობას გაწყვეტთ და თან ჰუზას ტომს დიეტს*** *(ერთგვარი გადასახადი სისხლის სანაცვლოდ)* ***გადაუხდით! თუ ამ ორი პირობიდან რომელიმეს არ შესრულებთ, ომს გამოგიცხადებთ!“***

ყურეიშელებმა პასუხად მისწერეს რომ არც დიეტს გადაიხდიდნენ და არც ბექრის ტომთან გაწყვეტდნენ კავშირს. მაგრამ შემდეგ მაინც შეეშინდათ შეეშინდათ და მოსალაპარაკებლად მედინაში ებუ სუფიანი გააგზავნეს.

შუამავალმა საჰაბეებს ებუ სუფიანის მედინაში ჩამოსვლამდე უთხრა, რომ ის ზავის გასაახლებლად მოდიიოდა, მაგრამ მას ეს სურვილი არ შეუსრულდებოდა და როგორც ჩამოვიდოდა, უკანაც ისევე გაბრუნდებოდა.

ებუ სუფიანი მედინაში ჩავიდა და თავის ქალიშვილ, შუამავლის ცოლ უმმუ ჰაბიბესთან მივიდა. მან შუამავლის ლოგინზე დაჯდომა დააპირა. უმმუ ჰაბიბემ დაჯდომამდე დაასწრო და საწოლი აიღო. ებუ სუფიან ეს ძალიან ეწყინა შვილს უთხრა; „ჩემო გოგო! რატომ მიშლი ამ საწოლზე დაჯდომას?“ ყველა მართლმორწმუნის დედამ მას ღირსეული პასუხი გასცა: „ეს ალლაჰის შუამავლის საწოლია, ამიტომაც მასზე კერპთაყვანისმცემელი ვერ ჩამოჯდება!

შენ წარმრთი და უწმინდური ხარ! ამ საწოლზე ჩამოჯდომა შენთვის არავითარ შემთხვევაში შეიძლება!“

განცვიფრებულმა ებუ სუფიანმა ქალიშვილს უთხრა: „ ჩემო შვილო! რაც ჩვენიდან წამოხვედი ძალიან გამოცვლილხარო!“ უმმუ ჰაბიბემ მიუგო: „ღმერთს მადლობა რომ გამოვიცვალე, შენ დღესაც ქვისგან გამოძერწილ არაფრისმაქნის კერპებს სცემ თაყვანს! მამიკო, როგორ შეიძლება ყურეიშთა უხუცესმა, შენნაირმა ჭკვიანმა კაცმა ისლამი ვერ შეიმეცნოს!“ ებუ სუფიანი ძალიან გაბრაზდა და შვილს უთხრა: „შენ როგორ აძლევ თავს უფლებას, უპატივცემულოდ მომექცე და უვიცობა დამაბრალო! რას მეუბნებ,ი მამა-პაპათა რელიგია მივატოვო და მუჰამმედის რჯული მივიღო?!“ შვილის საქციელით უაღრესად აღშფოთებული წარმართთა წინამძღოლი იქაურობას გაეცალა.

შემდეგ ებუ სუფიანი ალლაჰის წმინდა შუამავალთან მივიდა და ჰუდეიბიეს შეთანხმების გაგრძელება თხოვა. ალლაჰის საყვარელმა და პატივცემულმა შუამავალმა უპასუხა: ***„ჩვენ ჰუდეიბიეს შეთანხმების საწინააღმდეგო არაფერი ჩაგვიდენია და არც ხელშეკრულება შეგვიცვლია!“*** ყურეიშების ლიდერმა საყვარელ შუამავალს თხოვნა რამდენჯერმე გაუმეორა, მაგრამ შუამავალმა არაფერი უპასუხა. ყურეიშელების ლიდერმა რომ ვერაფერი შეძლო, მექაში დაბრუნდა და თანატომელებს საქმის ვითარება ამცნო. წარმართებმა იგი საცინლად აიგდეს, არაფრის გაკეთება შეგძლებიაო და ახლა მათ ლოდინის მეტი აღარაფერი დარჩენოდათ.

ვინც თავს მესჯიდი ჰარამს შეაფარებს...

როდესაც ებუ სუფიანი მედინადან წავიდა, ვინაიდან ყურეიშელებმა ზავი დაარღვიეს და შეთანხმებას არ დაემორჩილნენ, შუამავალმა მექას აღება გადაწყვიტა. მაგრამ ამას საიდუმლოდ ინახავდა, რადგან სურდა, წარმართებს მომზადება ვერ მოესწროთ და მექა სისხლის დაუღვრელად აეღო. ეს ომის ერთგვარი ხერხი იყო. მექას აღებით შესაძლებელი გახდებოდა, რომ ათასობით მუსლიმს ისლამი შეეცნო.

გადაწყვეტილების შესახებ მხოლოდ ებუ ბექირსა და რამდენი-

მე საჰაბეს აცნობა. მათაც, მართალია, მზადება დაიწყეს, მაგრამ არ იცოდნენ, თუ სად მიდიოდნენ საომრად. შუამავალმა მეზობელ ესლემის, ეშჯაღის, ჯუჰეინის, ჰუსაინის, გიფარის, მუზეინის, სულეიმის, დამრისა და ჰუზეიის ტომებს შეუთვალა: ***„ალლაჰისა და განკითხვის დღის ვისაც სწამს, რამადანის თვის დასაწყისში მედინაში ჩამოვიდეს.“***

საყვარელმა შუამავალმა სიფრთხილე გამოიჩინა და მექაში მიმავალი გზების კონტროლი ღუმერს დაავალა. მანაც მთების გადასასვლელი გზები მაშინვე ჩაკეტა და სხვა გადასასვლელებზეც დარაჯები დააყენა; „მექას გზები გადაიკეტა და ყველა უკან გამოაბრუნეს ე.ი. მექაში შესვლა აიკრძალა!“

საყვარელმა შუამავალი, ამ საქმის ფარულად შესრულებას უზენაეს ალლაჰს შეევედრა: ***„ღმერთო ჩემო! მოგვეცი ძალა, რათა მათ სამშობლოში მოულოდნელად შევიდეთ, ყურეიშელების ჯაშუშები დააბრმავე და დააყრუე“.***

საყვარელმა შუამავალმა, ვითომცდა ჩრდილოეთით მყოფი წარმართნისა და ბიზანტიელების წინააღმდეგ საომრად მიდიოდნენ, ებუ ყათადე ჩრდილოეთით, იზამის დაბლობისკენ რაზმით გააგზავნა.

ამ დროს საყვარელ შუამავალს, როგორც სასწაული, ემცნო, რომ მედინაში მიმდინარე საომარი სამზადისის შესახებ მექაში მტრისთვის წერილი მიჰქონდათ. მან მტრის ჯაშუშს ალი დაადევნა და ამ უკანასკნელმაც წერილი მსტოვრითურთ ხელთ იგდო.

რამადანის თვის დასაწყისში ალლაჰის წმინდა შუამავალმა მეზობელი ტომებისგან დახმარება მიიღო და ყველანი ებუ ინებეს ჭის თავზე შეიკრიბნენ. მუსლიმთა ჯარის რიცხვი 12 ათას კაცს აღემატებოდა. მათში იყო 4 ათასი ენსარი და შვიდასი მუჰაჯირი იყო, ხოლო დანარჩენ ნაწილს მეზობელი ტომების მეომრები შეადგენდნენ.

საყვარელმა შუამავალა მედინაში წარმომადგენლად ებდულლაჰ ბინ უმმი მექთუმი დატოვა. ზუბეირ ბინ ავვამი კი, ორას ცხენოსნით დასაზვერად წინ გაუშვა.

საყვარელი შუამავალის მეთაურობით, უზენაესი ალლაჰის სიყვარულით აღვსილი 12 ათას კაციანი არმია გზას გაუდგა. მათ რვა წლის წინ შევიწროებასა და ტანჯვას თავი აარიდეს, თავიანთი სამშობლოდან გადაიხვეწნენ და ემიგრანტებად იქცნენ, ახლა კი ისინი თავიანთ სამშობლოში ბრუნდებოდნენ. მუსლიმები კერპებისაგან მექას გასაწმენდად მიდიოდნენ. მექელი ურწმუნოები კვლავ ჯიუტობდნენ, მუსლიმებს სურდათ მათთვის ჭეშმარიტება, სიმართლე და სიკეთე ეჩვენებინათ... ისინი უზენაესი ალლაჰის რელიგიის გასავრცელებლად, იქაურების მუდმივი ჯოჯოხეთის ცეცხლისაგან გადარჩენად მიდიოდნენ.

როდესაც ისლამის ჯარი ზულ ჰულეიფეში ჩავიდა, შუამავალის ბიძა აბბასი მექადან ოჯახთან ერთად მედინასკენ მიემგზავრებოდა. საყვარელ შუამავალს ბიძასთან შეხვედრა ძალიან გაუხარდა და მას უთხრა: ***„ბიძაჩემო აბასს, როგორც მე ვარ ბოლო შუამავალი, ასევე სენ ხარ ბოლო ემიგრანტი.“*** ამ სიტყვებით მან ბიძის გული მოიგო. წმინდა აბბასმა ტვირთი მედინაში გააგზავნა, თვითონ კი საყვარელ შუამავალთან დარჩა და მექას აღებაში მიიღო მონაწილეობა.

როდესაც ალლაჰის წმინდა შუამავალი მექას მახლობლად ქუდეიდიეში ჩავიდა, ჯარს ბრძოლის ტაქტიკა აუხსნა. ყველა ტომს განსხვავებული დროშა გადასცა. ემიგრანტების დროშა წმინდა ‘ალის, ზუბეირ ბინ ავვამისა და სა‘დ ბინ ები ვაყყასს ჰქონდათ აღმართული. ენსარებს თორმეტი, ეშჯარებსა და სულეიმლერს ერთი, მუზეინეებს სამი, ესლემებს ორი, ჰუზაილეების სამი, ჯუჰეინელების კი ოთხი მედროშე ჰყავდათ.

მედინადან გამოსვლიდან ათი დღე იყო გასული. ისინი მექას საღამოს მიუახლოვდნენ. ძილისწინა ლოცვის დროს მერრუზ-ზაჰრანში მიაღწიეს. საყვარელმა შუამავალმა აქ ღამის გათევა გადაწყვიტა და ჯარი დააბანაკა. ომარს დავალება მისცა, რომ ყველა მეომარს კოცონი უნდა აენთო. როცა ათი ათასი კოცონი აგიზგიზდდა მექა მთლიანად განათდა. იქაური წარმართები გაოცდნენ, მათ ისლამის ჯარის მექაში შემოსვლის თაობაზე არაფერი იცოდნენ. უმალვე სიტუაციში გასარკვევად ებუ სუფიანი გააგზავნეს.

იგი ისლამის ლაშქარს მალულად მიუახლოვდა. ამ დროს საყვარელმა შუამავალმა საჰაბეებს უთხრა: ***„ებუ სუფიანს თვალ -ყური ადევნეთ. მას აუცილებლად ნახავთ.“***

როდესაც ყურეიშელები ბანაკს მიუხლოვდნენ, თავზარი დაეცათ და განცვიფრებას ვერ ფარავდნენ. მექას გარშემო უამრავი ჯარისკაცი ჩამოსულა და უამრავი კოცონი აუნთიათო. მუსლიმანებმა ერაქში ჩამოაღწიეს.

ამ დროს საყვარელმა შუამავალმა, კიდევ ერთხელ, ბრძანა; ***„ებუ სუფიანი, ახლა ერაქშია.“*** წმინდა აბბასმა ებუ სუფიანი და მისი თანამზრახველები დაინახა, იცნო და შუამავალს მიჰგვარა. გზაში ებუ სუფიანმა წმინდა აბბასის ჰკითხა, თუ რა ხდებოდა. წმინდა აბბასიმ მიუგო:„ ვაი, შენ ებუ სუფიან! შუამავალი უძლეველი არმიით თქვენსკენ მოემართება. ვფიცავ, რომ ყურეიშელების მდგომარეობა არასახარბიელოა და მათ უბედურება დაატყდებათ თავს.“ ებუ სუფიანმა და მასთან ერთად მყოფმა შიშით შეპყრობილმა ურწმუნოებმა მუჯაჰიდების გვერდით გაიარეს და შუამავალის წინაშე წარსდგნენ. საყვარელმა შუამავალმა ისინი კარგად მიიღო. მექელების მდგომარეობას გაეცნო. გვიანობამდე ილაპარაკეს, შემდეგ კი მათ ისლამის მიღებისკენ მოუწოდა. ჰაქიმ ბინ ნიზამიმ და ბუდეიმ ისლამი მაშინვე აღიარეს, ქელიმე-ი შეჰადეთი წარმოთქვეს და ისლამს ეზიარნენ. მაგრამ ებუ სუფიანი ისევ ყოყმანობდა.

როცა გათენდა, საყვარელმა შუამავალმა ებუ სუფიანს მიმართა: ***„ებუ სუფიან! გრცხვენოდეს! განა არ დადგა დრო ჭეშმარიტება შეიცნო და აღიარო, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა?“*** ებუ სუფიანმა წარმოთქვა; „ჩემი თავი გენაცვალოს! შენ ვერავინ გაგიტოლდება სიკეთის კეთებასა და ნათესავებისთვის კეთილის ქმნაში. იმ ტანჯვის მიუხედავად, რაც შენ მოგაყენე, მაინც ისლამისკენ მიხმობ. შენ ყველაზე საუკეთესო ადამიანი ხარ. მე მწამს, რომ არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა და შენ მისი შუამავალი ხარ!“ ასე მიიღო ებუ სუფიანმა ისლამი, რის გამოც მას საჰაბეების პატივი ხვდა წილად.

წმინდა აბბასმა თქვა: „ალლაჰის შუამავალო! ებუ სუფიანს

რაღაც ისეთი უბოძე, რაც მექელების წინაშე მის ავტორიტეტს აამაღლებს.“ ალლაჰის წმინდა შუამავალი აბბასის აზრს დაეთანხმა და ბრძანა: ***„ვინც ებუ სუფიანის სახლში შეაფარებს თავს, ის სიკვდილს გადარჩება!“.*** ებუ სუფიანმა ითხოვა, რომ ის არეალი, რომელშიც მექელები დაცულნი იქნებოდნენ, უფრო გაფართოებულიყო. მაშინ კაცობრიობის სიამაყემ ბრძანა: ***„ვინც მესჯიდი ჰარემში თავს შეაფარებს, ის აბსოლიტურად დაცული იქნება! და ვინც სახლიდან გარეთ არ გამოვა ისიც დაცული იქნება“.***

საყვარელმა შუამავალმა, წმინდა აბბასს დაავალ, რომ ებუ სუფიანს წარმართთათვის ისლამის ჯარის სიძლიერე აეხსნა. ამ გზით შესაძლებელი გახდებოდა, რომ წმინდა ადგილზე სისხლი არ დაღვრილიყო.

წმინდა აბბასმა ებუ სუფიანი უღელტეხილისკენ წაიყვანა,ხოლო მუჯაჰიდებმა საომარი პოზიციების დაიკავეს. ყველა ტომმა ისლამის დროშა აღმართა და უღელტეხილზე გადასლა დაიწყეს. ყველა აბჯარში გამოწყობილი იყო. ყველა ტომი უღელტეხილზე გადასვლის დროს უზენაეს ალლაჰს განადიდებდა. ებუ სუფიანი აბბასს ეკითხებოდა, თუ რომელი ტომები იღებდნენ მონაწილეობას ლაშქრობაში, შუამავლის ბიძა პასუხობდა: „ესენი, სულეიმები არიან! მათი სარდალი ჰალიდ ბინ ველიდია!“ „ესენი გიფარები არიან!“ „ესენი ქააბის შვილები!...“ მუსლიმების მიერ წარმოთქმული „ალლაჰუ ექბერ! ალლაჰუ ექბერ!-ალლაჰი უზენაესია“ ხმები ზეცას სწვდებოდა.

ებუ სუფიანს (კ.ი.მ.ა.) ყველაზე მეტად წმინდა შუამავალის ერთეულის ნახვა აინტერესებდა, ვინაიდან ის გრძნობდა, რომ შუამავლის ერთეული რაღაცით გამორჩეული იქნებოდა. როგორც იქნა შუამავალთა მეფემ, სამყაროთა ბატონმა მზის მსგავსად ამოანათა, იგი ამხედრებული იყო აქლემზე, რომელსაც „ქუსვა“ ერქვა. იგი მუჰაჯირებითა და ენსარებით იყო გარშემორტყმული. ყველა თავიდან-ფეხებამდე დავუდის ჯავშანში გახვეული, წელზე ინდურ ხმლებშემორტყმული, ტაიჭის ჯიშის ცხენებსა და აქლემებზე ამხედრებული მიიწევდნენ წინ.

ებუ სუფიანმა ვეღარ მოითმინა და აბბასს ჰკითხა ესენი ვინ

არიანო, ვინ არიან ესენი; „შუაში რომ მოდის ალლაჰის შუამავალია. გარშემო კი, შეჰიდის პატივისათვის მეჯნუნნი მუჰაცირები და საჰაბეებიო!...

როდესაც საყვარელმა შუამავალმა მან ებუ სუფიანს გვერდით ჩაუარა, მიესალმა და უთხრა: ***„ეს დღე, უზენაესი ალლაჰის მიერ, ქააბას ამაღლების დღეა. ამ დღეს ალლაჰის სახლს საფარი გადაეხურება! დღეს შეწყალების დღეა... ეს დღეს უზენაესი ალლაჰის მხრიდან ყურაიშელების გაძლიერების დღეა.“***

ებუ სუფიანმა რაც დასანახი იყო, დაინახა და რაც გასაგონი იყო გაიგონა. შემდეგ კი დასძინა; „მე კეისარიც, მეფეც და ბატონიც მინახავს, მაგრამ ასეთი აღმატებული არაფერი მინახავს. მე დღემდე არასდროს, ასეთ ლაშქარსა და საზოგადოებას არ შევხვედრივარ. ასეთ ჯარს წინ არაფერი აღუდგება. მას ვერავინ სძლევს.“

ებუ სუფიანი (კ.ი.მ.ა) მექაში დაბრუნდა და წარმართებს განუცხადა, რომ ის უკვე მუსლიმი იყო: „ეი ყურეიშთა ტომო! მუჰამმედის (ა.დ.მ.მ.) ჯარი იმდენად ძლიერი ჩანს, რომ მის წინააღმდეგ წასვლა წარმოუდგენელია, მას ვერაფერი სძლევს, ის უკვე მექას კარებს მოადგა. ტყუილუბრალოდ თავი არ მოიტყუოთ. ეზიარეთ ისლამ, რათა გადარჩეთ. მე ის დავინახე, რაც თქვენ არ გიხილავთ. ენით აღუწერელი შეიარაღება და მუჯაჰიდები დავინახე. მათ დასაძლევად ძალა არავის ეყოფა. ვინც ებუ სუფიანის სახლს შეაფარებს თავს, ის დაცული იქნება და სიკვდილს გადარჩება. ვინც ალლაჰის სახლში თავს შეაფარებს , ის დაცული იქნება ყველანაირად და მას არანაირი საშიშროება მოელის და ვინც სახლიდან გარეთ არ გამოვა ისიც დაცული იქნება ყველანაირი საშიშროებისაგან.“

ებუ სუფიანის ამ მიმართვის შემდეგ ყურეიშთა მცირე ნაწილმა ებუ სუფიანს წინააღმდეგობა გაუწია და და შეურაცყოფა მიაყენა. მათ მუსლიმტა წინააღმდეგ სასწრაფოდ ჯარის შეკრება დაიწყეს. მაგრამ, მათი რიცხვი ძალიან მცირე იყო, ამიტომ ვერფერს მიაღწიეს. უმეტესობამ მათ არ მოუსმინა და სახლებში გაიქცა. ერთმა ნაწილმა კი მესჯიდი ჰარამს შეაფარა თავი.

შუამავალი და ძვირფასი საჰაბენი ზიტუვას დაბლობში მივიდნენ და შეიკრიბნენ. საყვარელ შუამავალს თვალწინ მაშინვე 8 წლის წინ გადატანილი ტანჯვა-წამება დაუდგა. მას გაახსენდა, თუ როგორ უნდოდათ წარმართებს მისი მოკვლა, თუ როგორ შეაფარეს, სურა იასინის ჩაკიტხვის შემდეგ მან და აბუ ბაქრმა თავი სევრის მაღაროს. მექის საზღვრებს გაცილებული, თუ როგორ მოტრიალდა წმინდა ქალაქისკენ და წარმოთქვა: ***„(ე მექა!) ღმერთს ვფიცავ, რომ შენ უზენაესი ალლაჰის მიერ გაჩენილ ყველა მხარეზე უკეთესი ხარ. ალლაჰისთვისაც და ჩემთვისაც ყველაზე საყვარელი ხარ. ძალით რომ არ განვედევნეთ, შენგან არასდროს წავიდოდი და არასდროს მიგატოვებდი.“*** ამის შემდეგ ჯებრაილმა ყასას სურას 85 აიეთი ჩაიკითხა და, მწარე მოგონებები შეუმსუბუქა და მექას აღევა აცნობა. ალლაჰის წმინდა შუამავალი ერთი მუჭა საჰაბეებით ბედირში, უჰუდში, ჰენდექში, ჰაიბერში, მუთეში ალლაჰის დახმარებით ურწმუნოტა წინააღმდეგ იბრძოდა, ახლა კი მას გარს 12 ათას კაციანი ლაშქარი ეხვია და მისგან მექაში შესვლის ბრძანებას ელოდებოდნენ. მან ყველაფრის გამო უზენაეს ალლაჰს მადლობა შესწირა და თავი დაბლა დახარა.

საყვარელმა შუამავალმა მამაცი საჰაბეები ოთხ ნაწილად გაყო. მარჯვენა ფლანგი ჰალიდ ბინ ველიდს, მარცხენა ფლანგი ზუბეირ ბინ ავვამს, ხოლო ქვეითთა ჯარი ებუ უბეიდე ბინ ჯერრაჰს ჩააბარა. მეოთხე ჯფუფის მეთაურად კი სა'დ ბინ ები ვაყყასი დანიშნა. ჰალიდ ბინ ველიდი მექაში სამხრეთიდან უნდა შესულიყო, და საფას მთაზე გამაგრებულიყო. ზუბეირი ქალაქში ჩრდილოეთიდან უნდა შესულიყო, ჰაჯუნის ტერიტორიაზე დროშა უნდა დაერჭო და შუამავალს დალოდებოდა, ხოლო დასავლეთიდან ქალაქი სა'დ ბინ უბადე (კ.ი.მ.ა.) უნდა დაელაშქრა.

ალლაჰის შუამავალმა ოთხივე სარდალს შემდეგი ბრძანება მისცა: ***„არავითარ შემთხვევაში არ დაესხათ თავს და არავინ მოკლათ, თუ არავინ შეგებრძოლებათ.“*** არ უნდა მაგრამ თხუთმეტი კაცი გამოიკვეთა და დავალდა რომ, ქაბას საფარის ქვეშაც რომ შესულიყვნენ ისინი უნდა მოეკლათ.

ჭეშმარიტება მოევლინა, ცრუ რწმენა აღმოიფხვრა

რამადანის მეცამეტე პარასკევი დღე იდგა. ჰალიდ ბინ ველიდის ნაწილი ყველაზე ადრე, სამხრეთიდან შევიდა ჰანდენეს მთების კალთებზე. წარმართებმა მას ისრები დაუშინეს, ორი ჯარისკაცი შეჰიდად დაეცა. ჰალიდ ბინ ველიდმა ბრძანება გასცა, გაქცეულები არ მოკლათო და შეტევაზე გადავიდა. კერპთაყვანისმცემლები მოულოდნელად უკან გაიქცნენ. შეჯახებაში სამოცდაათი წარმართი მოიკლა. სხვა დანარეჩენმა კი თავი სახლებს შეაფარეს.

მექაში სხვა ფლანგებიდან შესულ საჰაბეებს არანაირი წინააღმდეგობა შეხვედრიათ. ვისზეც მოკვლის ბრძანება იყო გაცემული მათგან ხუთი აიყვანეს და დასაჯეს. დანარჩენები კი მექადან გაიქცნენ. მუჯაჰიდები მექაში „თექბირებით“ შევიდნენ. ქუსაზე ამხედრებული საყვარელი შუამავალი უზენაეს ალლაჰს ადიდებდა და მექას აღების მომასწავლებელ ფეთიჰ სურას კითხულობდა.

ბედნიერი საყვარელი შუამავალი გამარჯვებულ საჰაბეებთნ ერთად ქააბასაკენ გაემართა. მარჯვნიდან ებუ ბექირის მარცხნიდან უსეიდ ბინ ჰუდაირის თანხლებით ალლაჰის სახლს მიუახლოვდა. შავი ქვის მონახულების შემდეგ, თელბიე და თექბირი წარმოთქვეს. მას საჰაბეებიც აყვნენ და ალლაჰუ ექბერის ხმებმა მექას ზეცა შეაზანზარა. ამ საოცარი სურათის მნახველი მუსლიმნი სიხარულისგან ტიროდნენ. ჰარემი შერიფში და სახლებში თავშეფარებულნი კი შიშით ელოდებოდნენ სიტუაციის განვითარებას.

შემდეგ საყვარელმა შუამავალმა და საჰაბეებმა ტავაფი დაიწყეს. ტავაფის შვიდი შემოვლის დამთავრების შემდეგ საყვარელი შუამავალი აქლემიდან ჩამოვიდა და იბრაჰიმის ადგილზე ორი მუხლი ლოცვა აღავლინა. შემდეგ აბბასის მიერ ჭიდან ამოღებული, ზემზემის წყალი დალია და აბდესიც ამ წყლით აიღო.

საყვარელმა შუამავალმა ქააბას შემოგარენში ქვისა და ხისგან გაკეთებული ყველა კერპის განადგურება ბრძანა და შემდეგი აიათი წარმოთქვა: ***„როცა ჭეშმარიტება მოეფინება, ცრუ რწმენა აღ-***

მოიფხვრება, ცრუ რწმენა ისედაც წარმავალია.“[1] და დალოცვილი ჯოხით კერპებისკენ გაიშვირა.

ყველა კერპი სათითაოდ დაამტვრიეს. სულ კი სამას სამოცი კერპი განადგურდა.

როცა შუადღის ლოცვის დრო მოვიდა, საყვარელმა შუამავალმა ბილალი ჰაბეშს ქააბაში ეზანის წაკითხვა დაავალა. ბილალი ჰაბეშმა ეს წმიდათაწმინა დავალება მაშინვე შეასრულა. როდესაც ეზანის ხმა მოესმათ მუსლიმებს გულები სიხარულით აევსოთ, წარმართებმა კი აღარ იცოდნენ რა ექნათ, ეზნის ხმის გაგონებაზე სატანჯველი ემატებოდათ.

საყვარელმა სუამავალმა ქააბას გასაღები ითხოვა. მოუტანეს. ქააბა იქ არსებული სურათებისა და დამტვრეული კერპებისგანდ გაათავისუფლეს, გაწმინდეს, შემდეგ კი შუამავალი უსამე ბინ ზეიდის, ბილალისა და ოსმან ბინ ტალჰას თანხლებით ალლაჰის სახლში შევიდა და ორი მუხლი ნამაზი ილოცა. ბოლოს ყველა კუთხეში „თექბირი“ წარმოთქვა და ალლაჰს შეევედრა. ჰალიდ ბინ ველიდი კარებთან იდგა და სიტუაციას აკონტროლებდა.

საყვარელ შუამავალს ქააბას კარის ორივე მხარეს ხელები ჩაეჭიდა და იქ მყოფ ყურეიშელებს ისე აკვირდებოდა. ხოლო ისინი მას თან შიშით და თანაც იმედით შესცქეროდნენ. მათ ხომ შუამავლის მეგობრებს (მუსლიმებს) ენითაუწერელი ტანჯვა მიაყენეს. კისერზე თოკს აბამდნენ და ქუჩაში ისე დაატარებდნენ, ცეცხლში აგდებდნენ, მუცელზე ცხელ ქვებს უწყობდნენ, სამი წლის განმავლობაში, ერთ-ერთ უბანში ჩაკეტესდა უწყლოდ და უპუროდ ამყოფეს, ეს ყველაფერი არ იკმარეს და სამშობლოდან განდევნეს, რამდენჯერმე შუამავლის ლიკვიდაციაც კი სცადეს.

მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ურწმუნონი იმედს არ კარგავდნენ. ვინაიდან მათ წინაშე, დედამიწაზე შემწყალებლად წარმოგზავნილი შუამავალი იდგა. საყვარელმა შუამავალმა მან ცოტა ხანს უხმოდ უყურა, შემდე კი მიმართა: ***„ყურეიშელთა საზოგადოებავ, იცით თუ არა რა მოგელით?“*** მათ მიუგეს; „შენგან სიკეთეს

1. სურა ისრა 81.

მოველით. რადგანაც შენ მწყალობლად გამოგზავნილი შუამავალი ხარ. შენ კარგი, საუკეთესო მეგობრის შვილი ხარ. ჩვენ დავმარცხდით, მაგრამ შენგან სიკეთის გაკეთებას მოველით "

საყვარელმა შუამავალმა გაიღიმა და ბრძანა: ***„ჩემი და თქვენი მდგომარეობა, იუსუფ შუამავლისა და მისი ძმების მდგომარეობას ჩამოგავს. იუსუფის მსგავსად არც მე დაგძრახავთ. უზენაესმა ალლაჰმა შეგინდოთ თქვენ. წადით, თავისუფალნი ხართ."***[2]

ასეთმა უდიდესმა შემბრალებლობამ, რკინის გულები შეარბილა და სიძულვილი სიყვარულად გადააქცია. როცა ალლაჰის შუამავალმა ისინი ისლამისკენ მოიხმო, ყველა ყველა ერთ ადგილზე შეგროვდა. საყვარელი შუამავალი საფას მთაზე კიდევ ერთხელ ავიდა და იქ ყველამ, დიდმა თუ პატარამ ალლაჰის მიერ გარდმოვლენილი რელიგიის ისლამის მიმართ მორჩილება გამოაცხადეს. ამით ყურეიშელებმა საჰაბეებს შორის ღირსეული და საპატიო ადგილი დაიკავეს.

როცა მამაკაცებს სიტყვა ჩამოართვა, ბევრ რამეში ალლაჰის შუამავალი ქალებსაც შეუთანხმდა. კერძოდ, მათ პირობა დადეს, რომ უზენაეს ალლაჰს არავითარ მოზიარეს არ გაუჩენდნენ, შუამავალს არ შეეწინააღმდეგებოდნენ, არ მოიპარავდნენ, სინდისსა და ნამუსს დაიცავდნენ, ქალიშვილებს არ მოკლავდნენ. მოსაკლავთა სიაში ებუ სუფიანის მეუღლე ჰინდიც იყო, მაგრამ ალლაჰის შუამავალმა მას აპატია. ყველა მუსლიმმა სახლებში კერპები დაამტვრია. მექას შემოგარენში წარგზავნილნი იყვნენ საჰაბეები, რომელთაც კერპები მთლიანად გაანადგურეს. ამგვარად, ჭეშმარიტების მოვლენით ცრუ რწმენას ფესვები ამოეძირკვა. ისლამს ებუ ჯეჰილის შვილი იქრიმე, ჰამზას (კ.ი.მ.ა.) მკვლელი ვაჰში და მათი მსგავსი ბევრი ადამიანი ეზიარა. ექრიმე იერმუქის ომში შეჰიდი გახდა. ვაჰშიმ იემენის ომში მუსეილემეთულ ქეზზაბი მოკვლა.

2. სურა იუსუფი92.

ჰუნეინის ბრძოლა

როცა საყვარელი შუამავალი ურწმუნოთა შესამუსრად მედინადან გამოვიდა. მექას შემოგარენში მცხოვრებმ, ჰავაზისა და საყიფის ორმა უდიდესმა ტომმა ეჭვი აიღო მუსლიმები ჩვენთან საომრად მოდიანო და საომარი სამზადისი დაიწყეს. მაგრამ, როცა მუსლიმები მექაში ჩავიდნენ და ქალაქი აიღეს ცოტათი დამშვიდნენ, მაგრამ ეჭვები მაინც არ ასვენებდათ, ფიქრობდნენ, მუსლიმები ახლა წამოვლენ ჩვენ გასანადგურებლადო და ომისთვის სამზადისი ხელმეორედ დაიწყეს, თანაც გაიძასხოდნენ, ჯერ მუსლიმებს კარგი მეომრები არ შეხვედრიათ და ჩვენ ვაჩვენებთ მაგათ, ომი რა არისო. ჰავაზის მართველ, მალიქ ბინ ავფის მეთაურობით 20 000 კაციანმა ლაშქარმა სამზადისი დაამთავრა. ჯარს სიმხნევისათვის ტომის მთელი ქონება, ასევე ქალები და ბავშვები თან ახლდა.

ამ ამბავმა მექაში ჩააღწია. საყვარელმა შუამავალმა, ინფორმაციის დასადასტურებლად, აბდულლაჰ ბინ ები ჰადრედი ჰევაზის ტომთან გაგზავნა. აბდულლამ სამოსი გამოიცვალა და მტრის ძალებში შეაღწია. ყველაფერს დაწვრილებით გაიგო და შუამავალს აცნობა.

საყვარელმა შუამავალმა მაშინვე საჰაბეები შეკრიბა. მექას გუბერნატორად 20 წლის ათაბ ბინ ესედი დანიშნა და გზას გაუდგა. საყვარელ შუამავალს სურდა, 12 000 კაციანი ლაშქრით მათივე ბანაკებში ჰევაზისა და საყიფის ტომებს თავს დასხმოდა... მუჯაჰიდდების დროშა ალის ჰქონდა აღმართული. დასაზვერად გაგზავნილი ქვედანაყოფის სარდალი ჰალიდ ბინ ველიდი იყო. საყვარელ შუამავალს მუზარადი და ჯაჭვის პერანგი ეცვა და დულდულზე იჯდა. შევვვალის თვის 11-ში ჰუნეინის დაბლობს მიაღწიეს. იმ ღამეს საყვარელმა შუამავალმა ჯარს ტაქტიკა გააცნო და დილაადრიანად იერიში მიიტანეს.

კერპთაყვანისმცემელთა სარდალმა ღამე კარგად გამოიყენა და ჰუნეის დაბლობის ორ კალთაზე ჯარი ჩაასაფრა. დასაზვერად წინ

წასულმა ჰალიდ ბინ ველიდმა ეს ამბავი არ იცოდა და უღელ-ტეხილისკენ ცხენით გაექანა. ჯერ კიდევ ბნელოდა, ამიტომაც მტრის დანახვა ვერ შეძლო. უცებ ათასობით ისარი მუჯაჰიდე-ბისკენ წვიმასავით წამოვიდა. შექმნილი არასახარბიელო ვითარე-ბის გამო მუსლიმებმა უკან დაიხიეს. დაუგეგმავმა უკან დახევამ უკანა რიგებში პრობლემები შექმნა. როცა უკანა რიგებმაც უკან დახევა დაიწყეს, უცებ მათ კერპთაყვანისმცემელთა ოციათასია-ნი ლაშქარი მეხივით დაატყდათ თავს.

საყვარელი შუამავალი საომრად წინ გავარდა. მხოლოდ აბ-ბასს, ებუ ბექირსა და ასამდე მუჯაჰიდს ეყო გამბედაობა და შუა-მავალთან ერთად საბრძოლველად წავიდნენ. საჰაბეები ფარად გადაიქცნენ და შუამავალს იცავდნენ. აბბასმა და სუფიან ბინ ჰა-რისმა შუამავლის შეჩერება სცადეს. ალლაჰის შუამავალი სწყინ-და რომ, ალლაჰის მიერ სამყაროს გადასარჩენად გამოგზავნილი რელიგიის ლიგვიდაციისაგან ეშინოდა ამიტომაც აბბასის მიმარ-თა; ***„ეი აბბას! შენ მათ „ეი მედინას მკვიდრნო! ეი სემურას ხის ქვეშ სიტყვის მიმცემნო საჰაბეებო!“*** ასეთნაირად მიმართე მათ!“ წმინდა აბბასი მძლავრი აღნაგობის ადამიანი იყო. როდესაც დაიყვირებ-და, მისი ხმა ძალიან შორს ისმოდა. იგი ხმამაღლა გაჰყვიროდა: „მედინას მკვიდრნო! სამირას ხის ქვეშ სიტყვის მიმცემნო, საჰაბე-ნო! არ დაიშალოთ. აქ მოგროვდით.“ უკან მობრუნება სცადეს მა-გრამ მხედრებმა ხელი შეუშალეს. ბოლოს ხმალ აბჯარი აიღეს და ცხოველებიდან ჩამოვიდნენ. საჩქაროდ შუამავლის გვერდით დად-გნენ და შეტევაზე გადავიდნენ. „ალლაჰუ ექბერ! ალლაჰუ ექბერ!-ის ხმებმა ცა და დედამიწა შესძრა. ბედირში, უჰუდში, ჰენდექსა და ჰეყბერში მებრძოლი, გმირი საჰაბეები, განსაკუთრებით ალი, ებუ დუჯანე, ზუბეირ ბინ ავვამმი აქაც გმირულად იბრძოდნენ და მტრის მწკრივებს არღვევდნენ.

საყვარელი შუამავალი ყურადღებით აკვირდებოდა ომის მიმ-დინარეობას და უზენაეს ალლაჰს ევედრებოდა: ***„ღმერთო ჩემო, დახმარება გამოგვიგზავნე, უეჭველად, შენ მათი გამარჯვება არ გინდა.“*** მან ამ დროს ერთი მუჭა ქვიშა აიღო, წარმოთქვა, სახეები გაუშავდეთო და ურწმუნოთა ლაშქარის მიმართულებით ისროლა. ყველა წარმართი მებრძოლის თვალები ქვიშით ამოივსო, ეს იყო

უზენაესი ალლაჰის მიერ შუამავლისთვის მინიჭებული სასწაულმოქმედის უნარის გამოვლინება. მუსლიმებს ანგელოზებიც ეხმარებოდნენ. საყვარელმა შუამავალმა ბრძანა: ***„უზენაეს ალლაჰს ვფიცავ, რომ მათ წააგეს.“*** წარმართებმა უკან დახევა დაიწყეს და როდესაც საჰაბეები გადამწყვეტ იერიშზე გადავიდნენ, მათ მთელი ქონება ბავშვები და ქალები მიატოვეს და უკანმოუხედავად გაიქცნენ.

ბრძოლის ველზე ურწმუნოებმა სამოცი ცხედარი, ექვსი ათასი ტყვე და აუარებელი ქონება დატოვეს გაქცეულთაგან ზოგიერთმა და მათ შორის სარდალმა მალიქ ბინ ავფიმ, თავი ტაიფის ციხესიმაგრეს შეაფარა. ერთი ნაწილი კი ნაჰლეში ევთასსში წავიდნენ. საჰაბეებმა გარკვეულ მანძილზე მათ ფეხდაფეხ მიყვნენ. ევთასში ისევ გაცხარდა ომი. მტერი კიდევ ერთხელ დამარცხდა და ისევ უკან გაიქცა.

ამ ომში უზენაესი ალლაჰის ნებითა და შუამავალზე გარდმოვლენილი სიკეთით მუსლიმებმა გაიმარჯვეს. ოთხი მუჯაჰიდი გმირულად დაეცა, ზოგიერთი საჰაბე და მათ შორის ჰალიდ ბინ ველიდიც, დაიჭრა. შუამავალმა ჰალიდის დაჭრის ამბავი გაიგო, მასთან მივიდა, ხელი მოუსვა და ჭრილობა გაუმთელა.

ტაიფის ბრძოლაა

საყვარელ შუამავალს სურდა რომ, გაქცეულებს დადევნებოდა და ამას რაღაც შედეგი გამოეღო, მექას მახლობლად აღმართული ეს ციხესიმაგრე ყველაზე მძლავრი და აუღებელი იყო. საყვარელი შუამავალი ჰიჯრეთის წინ ტაიფში ჩასულა და უქადაგნია. მაგრამ ტაიფელებმა შუამავალი შეურაცხყვეს და სასტიკად გაუსწორდნენ. ესეც არ იკმარეს, შუამავალს ფეხებიდან სისხლი ადინეს. საყვარელმა შუამავალმა ზეიდ ბინ ჰარისთან ერთად ცხოვრების ყველაზე ცუდი წამები იქ გაატარა.

მან ჰალიდ ბინ ველიდი წინ გაუშვა. ისიც საჰაბეებთან ერთად ტაიფს მიადგა. საყიფის ტომს აუღებელ ციხესიმაგრეში უამარავი საჭმელ-სასმელი წინასწარ ჰქონდა შეტანილი და როდესაც ისლამის ლაშქარი დაინახეს კარები დაკეტეს და თავდაცვაზე გადავიდნენ. ციხე-სიმაგრეს ვინც მიუახლოვდებოდა, ისრებით იგერიებდნენ.ცდილობდნენ. ომი ასე გაგრძელდა. ტაიფელები ომის ველზე გამოსვლას და პირის-პირ შეჯახებას ვერ ბედავდნენ.

საჰაბეებიდან ზოგიერთმა შუამავალს შესთავაზა, რომ, კატაპულტა (ტარაბუა=ქვის სატყორცნი) გამოეყენებინათ. შუამავალმა ეს შეთავაზება მიიღო და თანამიმდევრებს კატაპულტების გამართვა დაავალა. ალყა ასეთნაირად ქვების ტყორცნით გაგრძელდა. საჰაბეები ყველანაირად ცდილობდნენ ციხე სიმაგრის აღებას. ამ შეტევის დროს 14 საჰაბე შეჰიდის გახდა, მაგრამ ციხე-სიმაგრის სიმტკიცე მის აღებას აძნელებდა.

ალყის დაწყებიდან მეოცე დღეს შუამავალმა სიზმარი ნახა, სიზმარში კარაქით სავსე ერთი თასი მამალმა ნისკარტით დააქცია. შუამავალის განმარტებით ეს სიზმარი მიანიშნებდა, რომ ამ წელს ტაიფს ვერ აიღებდნენ და ალყა მოხსნა.

შეწყალების ოკეანემ, საყვარელმა შუამავალმა 8 წლის წინ, ტაიფელებისგან დიდი ტანჯვა გადაიტანა, ანგელოზმა შუამავალს მიმართა, თუ ისურვებ ტაიფელებს გავაცამტვერებო. შუამავალმა უპასუხა: ***„მე დედამიწას წყალობად მოვევლინე. მხოლოდ ერთი*** რამ

მსურს, ამ წარმართებმა უზენაეს ალლაჰს არაფერი გაუტოლონ და მატ მოემსახურონ.“ შემდეგ კი ალლაჰს შეევედრა; ***„ღმერთო ჩემო! ამ ხალხს ჭეშმარიტი გზა აჩვენე! ისინი ჩვენ გვაჩუქე!“***

საყვარელმა შუამავალმა ტაიფი მიატოვა, ჰუნეიეში ხელშიჩაგდებული, ტყვეები და ნადავლი შეკრება და ჯირანეში ჩავიდა. ექვსი ათას ტყვესთან ერთად 20 000-ზე მეტი მსხვილფეხა და ორმოცი ათასზე მეტი წვრილფეხა ცხოველი, ასევე აღურიცხავი სამკაულები შეადგენდა მათ ნადავლს.. ამ დროს მოვიდა ინფორმაცია, რომ ჰევაზის ტომიდან ერთმა დელეგაციამ შუამავალთა შეხვედრის სურვილი გამოთქვა. კაცობრიობის სიამაყემ ისინი მიიღო. დელეგაციამ მას ამცნო, მთელმა ჰევაზის ტომმა ისლამი აღიარა.შუამავალი ამ ამბავმა ძალიან გაახარა. მან ამ ტომისგან აყვანილი ტყვეები გაათავისუფლა. საჰაბეებმაც იგივე გააკეთეს. შუამავლის მიერ გამოჩენილი ამგვარი სიბრალული ექვსი ათასი ტყვის გათავისუფლების მიზეზი გახდა. როცა ეს ამბავი ტაიფში შეფარებულმა ჰევაზის ტომის ლიდერმა შეიტყო, ისიც მოვიდა და ისლამი აღიარა. ალლაჰის შუამავალმა მას დიდი პატივი დასდო.

აქ გასაკეთებელი აღარაფერი დარჩენილიყო. სამყაროს სულთანი, როგორც ყოველთვის, ახლაც საჰაბეებტან ერთად მექაში გამარჯვებული დაბრუნდა. ათთან ბინ ესიდი მექაში გუბერნატორათ დანიშნა. მუაზ ბინ ჯებელი რელიგიური საკითხების მასწავლებლად დატოვა. უმრეს შესრულებისა და ტავაფის გაკეთების შემდეგ საჰაბეებთან ერთად მედინასკენ აიღო გეზი.

ერთი წლის შემდეგ ტაიფელებმა 6 კაციანი დელეგაცია შუამავალთან გამოაგზავნეს, შუამავალმა ისინი მიიღო. როდესაც ის ერთი წლის წინ ტაიფს ტოვებდა, უზენაეს ალლაჰს შეევედრა; “„ღმერთო ჩემო! საყიფელებს ჭეშმარიტი გზა აჩვენე! ისინი ჩვენ გვაჩუქე!.“ ახლა ხომ ისინი, ისლამის მისარებად იყვნენ მოსული. შუამავალი ძალიან გაახარა მათმა გამუსლიმებამ. ისინი დაასაჩუქრა და უკან ტაიფში გააგზავნა. გუბერნატორად კი ოსმან ბინ ებილ ასი დაუნიშნა.

თებუქის ლაშქრობა

როცა საყვარელი შუამავალი მედინაში ჩამობრძანდა, სხვადასხვა სახელმწიფოებში ელჩები წარგზავნა და ამ ქვეყნის მმართველებს ისლამის მირებისკენ მოუწოდა. ბაჰრეინის მეფე უმმანიმ მთელი თავისი ამალით ისლამი მიიღო. სხვათა შორის, მედინაშიც ბევრი დელეგაცია ჩავიდა, ალლაჰის შუამავალს დაექვემდებარნენ და ამითბედნიერებას ეწივნენ.

ისლამი ახლა უკვე დიდი სისწრაფით ვრცელდებოდა. მეზობელ ტომებთან და სახემწიფოებთან რელიგიის ძირითადი მცნებების შესასწავლელად მასწავლებლები წარაგზავნეს, ასევე ყველა ახლად გამუსლიმებულ სახემწიფოში გუბერნატორები დაინიშნა. ჰიჯრეთის მეცხრე წელს მედინა დელეგაციებით აივსო.

ჰიჯრეთის მეცხრე წელს რეჯების თვე იდგა. ერთ დღეს ალლაჰის შუამავალმა საჰაბეებს მიმართა; ***„დღეს ერთი ჩვენი გულწრფელი მეგობარი გარდაიცვალა.“*** წავიდეთ და ლოცვა აღვავლინოთ მისდამი. საყვარელმა შუამავალმა ცხედრის გარეშე ლოცვა აღავლინა, შემდეგ კი ბრძანა; ***„თქვენი ძმა ნეჯაში ესჰამესათვის უზენაეს ალლაჰს მიტევება შევთხოვეთ.“***

ცოტა ხნის მერე ეთიოპიიდან მოვიდა ამბავი, რომელიც ნეჯაშის გარდაცვალებას ამტკიცებდა. შუამავლის მიერ აღვლენილი ლოცვა სწორედ მისი გარდაცვალების დღეს ემთხვევოდა.

ისლამი არაბეთის ნახევარკუნძულზე ჰიჯრეთის მეცხრე წელს დიდი სისწრაფით ვრცელდებოდა „ისლამის სახემწიფოს“ გაძლიერებასა და ამავე დროს თავიანთ მიმდევართა დაკარგვას მეზობელი, ვებერთელა სახემწიფოები ვერ იტანდნენ. ეს განსაკუთრებით ბიზანტიის იმპერიას შეეხებოდა. ქრისტიანმა არაბებმა ჰერაკლიუსს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც ეწერა: „ის პიროვნება, რომელიც თავის შუამავლობას ამტკიცებდა, გარდაიცვალა. მუსლიმები გაჭირვებაში არიან ჩავარდნილნი... თუკი გსურს მათი გაქრისტიანება, ამისთვის საუკეთესო დრო სწორედ ახლა არის.“ ამ წერილზე დაყრდნობით ჰერაკლიუსმა 40 000 კაციანი ლაშქარი, ქუბადის

მეთაურობით მუსლიმების წინააღმდეგ საომრად გაგზავნა.

როდესაც შუამავალმა ეს ამბავი შეიტყო საჰაბეები შეკრიბა და ომისთვის მზადების დაწყება დაავალა. ამ წელს, გვალვების გამო მუსლიმები დიდ გაჭირვებაში იმყოფებოდნენ. მხოლოდ მოვაჭრეთა მდგომარეობა იყო შედარებით ნორმალური. საჰაბეებმა შუამავლისგან შეიარაღებისათვის ცოტაოდენი მატერიალური დახმარება ითხოვეს. შუამავალმა საჰაბეების ამ სურვილის განსახორციელებლად მოქმედება მაშინვე დაიწყო. ყველას ის უნდა მოეტანა, რაც ებადა, მატერიალურად და სულიერად ამ ომში მონაწილეობა ყველას უნდა მიეღო.

შუამავლის საუკეთესო მეგობარმა, წმინდა ებუ ბექირმა, მთელი ქონება ამ საქმეს შეწირა. კაცობრიობის სიამაყემ მას ჰკითხა: ***„ოჯახის წევრებს რა დაუტოვე, ებუ ბექირ?“,*** მან კი შემდეგნაირად უპასუხა; „ალლაჰი და მისი შუამავალი დავუტოვე .“ წმინდა ომარმა ქონების ნახევარი მოიტანა, შუამავალმა მასაც იგივე კითხვა დაუსვა: ***„ოჯახის წევრებს რა დაუტოვე, ომარ?“*** „რაც მოვიტანე, იმდენივე დავუტოვე.“ – მიუგო წმინდა ომარმა. საყვარელმა შუამავალმა თქვა: ***„თქვენს ორს შორის განსხვავება, თქვენ მიერ მოცემული პასუხის მსგავსია.“*** წმინდა ომარმა აღნიშნა: „ჩემი თავი გენაცვალოს ებუ ბექრ! სიკეთის გზაზე ყველა შეჯიბრში მამარცხებ. უკვე გავიგე, რომ შენ ვერანაირად გაგისწრებ ვერც ერთ-შეჯიბრში.“

საჰაბეებმა რაც შეეძლოთ, ყველაფერი გააკეთეს. მაგრამ ფარისევლები მათ დასცინოდნენ, თქვენ ყველაფერს საჩვენებლად გასცემთო. ალლაჰის შუამავალმა თქვა: ***„ვინც დღეს მოწყალებას გასცემს, მისი მოწყალება აღდგომის დღეს უზენაესი ალლაჰის წინაშე მის საკეთილდღეოდ მოწმეობას გასწევს.“*** საყვარელი შუამავლის ამ სიტყვების შემდგომ მორწმუნეებმა უფრო მეტი მოწყალება გასცეს. ოსმან ბინ აფფანმა ჯარის მესამედი შეაიარაღა. ამგვარად წმინდა ოსმანი მუსლიმებს ყველაზე მეტად დაეხმარა. მან ყველა ჯარისკაცის შეიარაღებაში სულ უმნიშვნელო რაღაცაებიც ჩაალაგა და ისე გადასცა. ამ დახმარების შემდეგ ალლაჰის შუამავალმა ბრძანა: ***„დღეის შემდეგ, ოსმანს ცოდვა აღარ დაეწერება.“*** ღარიბი

საჰაბეებიდან ერთ-ერთმა, ჯიჰადის დახმარების მადლის გამო იმ ღამეს დილამდე ჰხურმის ბაღჩაში წყალი ზიდა, გამომუშავებული ხურმა შუამავალს მიართვა.

მუსლიმმა მამაკაცებმა, შეძლებისდაგვარად, დახმარება გაიღეს, მათ არც დედაკაცები ჩამორჩნენ.

როდესაც თებუქის ლაშქრობისთვის ემზადებოდნენ, მუსლიმები ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ზოგიერთი საჰაბე შუამავალთან მივიდა და უთხრა: „ალლჰის შუამავალო! ქვეითად დავრჩით, ცხენები ვერ ვიპოვეთ, და თან საჭმელ-სასმელიც ვერ ვიშოვეთ! მაგრამ ამ ომში თქვენთან ერთად მონაწილეობის მიღება და მადლის მოგება გვსურს.“ დამწუხრებულმა შუამავალმა მათ ამცნო, რომ ცხენები და აქლემები აღარ დარჩათ. ერთხელ საალიმ ბინ უმეირი, აბდულლაჰ ბინ მუგაფფელი, ებუ ლეყლა მაზინი, ულბე ბინ ზეიდი, ამრ ბინ ჰუმანი, ჰარემ ბინ აბდულლა და ირბად ბინ სარიე, საყვარელი შუამავლის წინაშე წარსდგნენ და იგივეს ითხოვდნენ. შუამავალმა მათაც იგივე უთხრა; ***„ვერაფერს ვნახულობ, რომ თქვენ გადასაადგილებლად გამოგადგეთ.“*** ისინი შუამავალისგან განცალკევებით ყოფნისა და ჯიჰადში მონაწილეობის ვერმიღების გამო იმდენად დამწუხრდნენ, რომ ტირილი დაიწყეს. ამის თაობაზე უზენაესმა ალლაჰმა აიათი გარდმოავლინა; ***„ასევე იმათ არ მოეკითხებათ, ვინც შენთან მოვიდა და საჯდომი ცხოველები გთხოვა, შენ კი უთხარი: თქვენთვის ცხოველები არ მომეძებნებაო. თვალცრემლიანნი გაბრუნდნენ, დამწუხრებულები იმით, რომ ვერ მოიპოვეს სახსრები შეწირულობისთვის.“***[1] ლაშქრობისათვის მზადება აბასმაც და ოსმანმაც დაიწყეს.

როდესაც სამზადისი დასრულდა შუამავალმა ლაშქარი სენიეთულ ვედაში შეკრიბა. მედინაში თავის წარმომადგენლად მუჰამმედ ბინ მესლემე დატოვა თვითონ კი ჯართან ერთად გზას დაადგა.

როდესაც მუსლიმთა ლაშქარი დაიძრა, ფარისეველთა მეთაურმა აბდულლაჰ ბინ უბეიემ, მუსლიმების შესაშინებლად, ბილწი სიტყვა წარმოთქვა. გარდა ამისა იგი ამბობდა; ***„ვფიცავ, რომ მას და***

1. თევბე 92.

საჰაბეებს ერთმანეთზე გადაბმულს ვხედავ...“ საჰაბეები მათ საერთოდ არ უსმენდნენ, მათში ომში მონაწილეობის სურვილი უფრო მატულობდა. ამის დამნახველი ფარისევლები კი იტანჯებოდნენ.

როდესაც ალლაჰის შუამავალმა სენიეთ-ულ ვედადან თებუქისაკენ დაიძრა, ჯარს დროშები ააღმართვინა. ყველაზე დიდი ალამი ებუ ბექირს ეკავა ხელში, ყველაზე დიდი დროშა კი, ზუბეირ ბინ ავვამს ჰქონდა აღმართული. შუამავლის მთავარსარდლობით მუსლიმთა ჯარის რაოდენობა ოცდაათიათას კაცს აღემატებოდა, აქედან ცხენოსანთა რიცხვი 10 000 კაცს შეადგენდა. მარჯვენა ფლანგს ტალჰა ბინ უბეიდულლაჰი სარდლობდა, ხოლო მარცხენას აბდურრაჰმან ბინ ავფი.

შუამავალის მეთაურობით საჰაბეები ძლიერ სიცხეში დაიძრნენ თებუქისაკენ. რრადგანაც მათი მეთაური უზენაესი ალლაჰის ყველაზე საყვარელი მსახური იყო, მათ აღარც საგალის შოვნის, აღარც გზის სიშორის და აღარც მრავალრიცხოვანი ლაშქრის ეშინოდათ.

საყვარელი შუამავალი და ძვირფასი საჰაბეები გზაზე ბანაკს გაშლიდნენ, ცოტა ხნით ისვენებდნენ და შემდეგ ისევ გზას აგრძელებდნენ. რიგით მერვე დასაბანაკებელი ადგილი სალიჰ შუამავლის (ა.დ.მ.მ.) ხალხის საცხოვრებელი ადგილი იყო, სადაც ისინი მთლიანად განადგურდნენ. ამ ტერიტორიას ჰიჯრიდს ეძახდნენ. მათ არა დაუჯერეს მათთვის უზენაესი ალლაჰის მიერ წარგზავნილ შუამავალს, ამიტომაც უზენაესმა ალლაჰმა ერთი საიჰათი (საშიში ხმა) გაანადგურა. ალლაჰის საყვარელმა მუჰამმედ შუამავალმა საჰაბეებს მიმართა; ***„ამაღამ ძლიერი და უკულმართი მხრიდან ქარიშხალი ამოვარდება. არავინ წამოდგეს ფეხზე. აქლემები ყველამ დააბას. ეს ის ადგილია, სადაც უზენაესი ალლაჰის მრისხანება მოევლინა. ეს წყალი არავინ დალიოს და ამით არავინ განიბანოს!“*** ამ ბრძანებას ყველა დაემორჩილა. ღამეით ამოვარდნილმა ქარიშხალმა ყველაფერი მიწასთან გასწოგაასწორა. ერთ-ერთმა მუსლიმმა აქლემი არ დააბა და როდესაც მის სანახავად წასვლა დააპირა, ფეხზე წამოდგა, ამ დროს იგი ქარიშხალმა აიტაცა და ტაის მთის კალთებზე ააგდო. მეორემ კი, ფეხის გზაში გავი-

და, დიფტერია შეეყარა, მაგრამ შუამავლის შელოცვით გამოჯამრთელდა.

ამ დროს წყალი ჭურჭელში მთლიანად გათავებულიყო. ყველა წყურვილით იხჩობოდა... ფარისეველებმა ეს მიზეზი გამოიყენეს და პანიკის შექმნას ცდილობდნენ. მათ თქვეს: „მუჰამმედი ნამდვილი რესული რომ იყოს, შეევედრება და გააწვიმებს.“ როდესაც ვითარება შუამავალს გააცნეს, დალოცვილი ხელები ზემოთ აღმართა და უზენაეს ალლაჰს გაწვიმება შესთხოვა. მცხუნვარე და მოწმენდილ ცაზე მაშინვე ღრუბლები გაჩნდა. ბარაქიანი წვიმამოვიდა. ყველამ წყლით ჭურჭლები გაავსო, განიბანეს (აბდესი აიღეს) და ცხოველები დაარწყულეს. როდესაც წვიმმა გადაიღო და ღრუბლები გაიფანტა ნათლად გამოჩნდა, რომ მხოლოდ იქ გაწვიმდა, სადაც მუსლიმთა ლაშქარი იყო დაბანაკებული. საყვარელმა შუამავალმა და საჰაბეებმა „თექბირი=ალლაჰუ ექბერ=ალლაჰი უზენაესია (ყველაფერი ძალუძს)“ წარმოთქვეს. უზენაეს ალლაჰს მადლობა შესწირეს. ფარისევლებს კი, წესით, სათქმელიც აღარ უნდა დარჩენოდათ. საჰაბეებმა მათ უთხრეს, უზენაესი ალლაჰი იწამეთ და შუამავალს დაემორჩილეთო!... მაგრამ უსამართლო ფარისევლბმა მიუგეს, მერე რა მოხდა, ღრუბლების გავლის დროს გაწვიმდაო.

ყველას ძალიან შიოდა. იმდენად, რომ ერთ ჰურმას ორი კაცი იყოფდა და ისე მიირთმევდა. ძლიერი სიცხის, შიმშილისა და წყურვილის მიუხედავად, თებუქს მიუახლოვდნენ. საყვარელმა შუამავალმა ბრძანა: ***„ხვალ, ღმერთის ნებით, შუადღემდე თებუქის წყაროსთან უნდა მივიდეთ. ჩემს მოსვლამდე წყალს არ გაეკაროთ“.*** მეორე დღეს იქამდე მიაღწიეს. წყაროში წყალი ძალიან ცოტა იყო. ის ჭურჭელში ჩაასხმევინა, შემდეგ შეულოცა და ისევ წყაროში ჩააბრუნებინა... წყალი უცბად ადიდდა. ოცდაათი ათასმა კაცმა ამ წყაროდან დალია, მაგრამ წყალს საერთოდ არაფერი მოკლებია. შემდეგ, როგორც საყვარელი შუამავლის საოცრება, მთელი ეს ტერიტორია მოირწყო, აბიბინდა და ხვავ – ბარაქით აივსო.

როცა, უკეთილშობილესმა შუამავალმა და პატივცემულმა საჰაბეებმა თებუქს მიაღწიეს, ბიზანტიელების მიერ გაქრისტიანე-

ბული, ამილას, ლაჰმისა და ჯუზამას არაბი ტომებისაგან ჯარი აღარ დახვდათ. მუთეში ხომ დამარცხდა, სამიათას კაციან მუსლიმთა ლაშქარის წინააღმდეგ ასიათას კაციანი ბიზანტიის ლაშქარი. ახლა კი, ისლამის მონა-მსახურთა რიცხვი ათჯერ აღემატებოდა წინანდელს და თანაც მათ სათავეში საყვარელი შუამავალი მუხამმედი (ა.დ.მ.მ.) ედგათ. როდესაც ბიზანტიელებმა გაიგონეს, მუჰამმედი მოდის თავისი ჯარითო, უკანმოუხედავად გაიქცნენ.

საყვარელმა შუამავალმა საჰაბებთან მოითათბირა და თებუქს აღარ გასცდა. ამასობაში ამ ოლქში მცხოვრებმა ზოგიერთმა ტომმა და სახელმწიფომ, როდესაც ისლამის ჯარის თებუქში ჩამოსვლა გაიგეს, შიშის გამო შუამავალთან (ა.დ.მ.მ.) დელეგაციები გაგზავნეს, ხარკის გადახდის სანაცვლოდ, უსაფრთხოება ითხოვეს. შუამავალმა მიიღო მათ მიერ შემოთავაზებული წინადადება და ცალ-ცალკე ყველასთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მათ უსაფრთხოების გარანტია მისცა.

ჩასაფრება

საყვარელი შუამავალი დაახლოებით ოცი დღე ელოდა მტერს. თებუქში საჰაბეებს უამრავი ქადაგება ჩაუტარა, გულები გაუნათა. ასეთნაირად მათ ისლამის ძირითადი საფუძვლები შეუსისხლხორცა. ერთ-ერთი ქადაგების დროს საჰაბეებს ასე მიმართა მიმართა: ***„გსურთ თუ არა მოგახსენოთ ვინ არის ყველაზე საუკეთესო ადამიანი?“*** რა თქმა უნდა გვსურსო, მიუგეს მათ; ***„ყველაზე უკეთესი ადამიანი ისაა ვინც, ცხენზე ან აქლემზე ამხედრებული, ან კიდევ ფეხზე მდგომი, ბოლო ამოსუნთქვამდე უზენაესი ალლაჰის გზაზე გაირჯება. ყველაზე ცუდი ადამიანი კი ის არის ვინც, უზენაესი ალლჰის მიერ ბოძებულ წიგნს კითხულობს და მისგან სარგებელს ვერ ნახულობს,“*** – ბრძანა ალლაჰის წმინდა შუამავალმა .

ერთი მათგანი მას შეჰიდობის შესახებ შეეკითხა, შუამავალმა თქვა: ***„ჩემი სულის პატრონს უზენაეს ალლაჰს ვფიცავ, რომ, შეჰიდები აღდგომის დღეს, კისერზე ხმლებჩამოკიდებულნი აღსდგებიან და ყველაზე ნათელ სადგილებზე დასხდებიან“.***

როდესაც თებუქიდან მედინაში დაბრუნებას აპირებდნენ, იმდენად შიოდათ, რომ, ამის შესახებ შუამავალს აცნობეს. მან საჭმლის ნარჩენები ტყავის საფენზე შეაგროვა, აბდესი აიღო და ორი მუხლი ნამაზი ილოცა. შემდეგ ხელები მაღლა აღაპყრო და საჭმლის ბარაქიანობისათვის უზენაეს ალლაჰს შეევედრა. ჭურჭელი საჰაბეებს მოატანინა. როდესაც უზარმაზარი ლაშქარი კარგად გამოძღა, მაგიდა ჯერ კიდე სავსე იყო.

მეომრები თებუქიდან მედინასაკენ დაიძრენ. ამ ღამეს ფარისევლებმა შუამავალის მოკვლა გადაწყვიტეს, ვიწრო გადასასვლელში ჩაუსაფრდნენ და მის გამოვლას დაელოდნენ. შუამავალის აქლემს წინ ამმარ ბინ იასერი მიუძღოდა ხოლო უკან წმინდა ჰუზეიფე ბინ ყემენი მიყვებოდა. ამ ჩასაფრების შესახებ საყვარელ შუამავალს ჯებრაილმა აცნობა. როდესაც ისინი ფარისევლებს გაუსწორდნენ, მათ სახეშენიღბულებმა შენიღბმულებმა შუამავალზე იერიში მიიტანეს. ჰუზეიფემ მათ შეუძახა; „ჰეი, თქვენ უზენაესი ალლაჰის მტრებო!“ და კომბლით ხელში დაერია. მისმაყვირილმა თორმეტი ფარისეველი ძალიან დააფრთხო და ისინიც უმალვე ლაშქარში შეერივნენ. საყვარელმა შუამავალმა მათი სახელები ჰუზეიფეს უთხრა და თან გააფრთხილა საიდუმლოდ შეენახა. როდესაც ეს ამბავი უსეიდ ბინ ჰუდარემ გაიგო, საყვარელ შუამავალთან მივიდა და სთხოვა, რომ მისთვის მოღალატეთა სახელები ეთქვა, რათა ყველასათვის თავი მოეკვეთა, მაგრამ საყვარელმა შუამავალმა იგი უარით გაისტუმრა.

დირარის მეჩეთი

ბოლოსდაბოლოს საყვარელმა შუამავალი და კეთილისმქმნელი საჰაბები, რომელთაც ბიზანტიელები შეაშინეს, წმინდა მედინას მიუახლოვდნენ. საყვარელმა შუამავალმა, მედინასთან ახლოს, ზივანში საჰაბეებს შესვენება უბრძანა. როდესაც საჰაბეები ისვენებდნენ, რამდენიმე ფარისეველი, საყვარელ შუამავალთან მივიდა და დირაროს მეჩეთის მონახულება თხოვა.

დირარის მეჩეთი ქუბას მიდამოში იყო განთავსებული. ის ფარისეველებმა ჰიჯრეთის დროს ქუბაში აგებული მეჩეთის მოპირდა-

პირედ ააგეს. როდესაც შუამავალი თებუქში სალაშქროდ მიემართებოდა ფარისეველბმა, შუამავალს დირარის მეჩეთში მისვლა და ლოცვის აღვლენა შესთავაზეს, შუამავალმა პირობა მისცა მათ, რომ თებუქიდან დაბრუნების შემდეგ მეჩეთში მივიდოდა.

ფარისეველების მიზანი ის იყო, რომ მუსლიმებში შუღლი ჩამოეგდოთ და ისინი ერთმანეთისთვის წაეკიდებინათ. ასევე მათ ბიზანტიელებს შესთავაზეს, ჩამოდით და მუსლიმთა განადგურებაში დაგეხმარებითო. მათ სურდათ ასეთივე ნიადაგის ფონზე მუსლიმების ანკესზე წამოგევბა.

ალლაჰის შუამავალმა ეს მიპატიჟება მიიღო და წასვლას აპირებდა, მაგრამ უზენაესმა ალლაჰმა თევბე სურას 107-108 აიათები გარდმოავლინა და ფარისეველტა ბოროტ ზრახვებს ფარდა ახადა. ამის შემდეგ შუამავალმა მალიქ ბინ დუჰშუმსა და ასიმ ბინ ადიეს უბრძანა, ამ ტირანი ხალხის მიერ აგებულ მეჩეთთან მიდით და მიწასთან გაასწორეთო, ისინი საღამოსა და და ძილისწინა ლოცვებს შორის მეჩეთთან მივიდნენ და ცეცხლი წაუკიდეს, შემდეგ კი მიწასთან გაასწორეს. ფარისევლებსა ხმაც არ ამოუღიათ. ამოიღეს.

როდესაც მედინას მცხოვრებლებმა საყვარელი შუამავლისა და პატივცემული საჰაბეების უკან დაბრუნების ამბავი გაიგეს, მათ ზარ-ზეიმით შეეგებნენ.

თებუქის ლაშქრობიდან ორი თვის შემდეგ ფარისეველეთა ლიდერი აბდულლაჰ ბინ უბეიე გარდაიცვალა და ეს ჯგუფი დაიშალა.

ამგვარად მხოლოდ ფარისეველობის, წარმართობისა და ურწმუნოების სათავეები განადგურებული იქნა და ისლამის წინააღმდეგ ყველა ბარიერი დაიმსხვრა.

შუამავალის უკანასკნელი ჰაჯობა

ისლამის ხუთ ბურჯთაგან ერთ-ერთი ჰაჯი (პილიგრიმობა) ჰიჯრეთის მეცხრე წელს მუსლიმებისთვის სავალდებულო გახდა. წმინდა ყურანში ნათქვამია: ***„იქაა*** *(ქააბაში)* ***ცხადი სასწაულები - იბრაჰიმის ადგილი. და ვინც მასში შევა, იგი დაცულია და ალლაჰის წინაშე ხალხის ვალია მოილოცოს ამ სახლში, ვისაც შეუძლია, გზა რომ დაძლიოს*** *(ვისაც ძალა შესწევს)****. ხოლო ვისაც არ სწამს, ალლაჰი დიახაც არ საჭიროებს სამყაროთა!*** *(ალლაჰი არავიზეა დამოკიდებული პირიქით ყველა მასზეა დამოკიდებული).“*[1]

საყვარელმა შუამავალმა საჰაბეებს უზენაესი ალლაჰის ბრძანებები ამცნო. იმ წელს ებუ ბექირის მეთაურობით სამასმა კაცმა ეს ბრძანება შეასრულა და მექაში გაემგზავრა. ამ დროს თევბე სურას წინა აიეთები გარდმოევლინა. ამ აიეთებში ულტიმატუმის შესახებ ზოგიერთი კანონები ემცნო. საყვარელმა შუამავალმა მექაში მყოფი საჰაბეებისთვის ამ აიეთების გასაცნობად ალი გააგზავნა.

ამ პერიოდში არაბებს შორის გავრცელებული ადათის მიხედვით, თუკი შეთანხმება დაიდებოდა ან დადებული შეთანხმება დაირღვევოდა ამას თავად შეთანხმების დამდები ან მის მიერ დანიშნული ნათესავი აცხადებდა. საყვარელმა შუამავალმა, ამ საქმისათვის მექაში ალი გააგზავნა. წმინდა ალი პილიგრიმებს გზაში წამოეწია და მექაში ერთად შევიდნენ.

ებუბე ქირმა ჰუთბე(ქადაგება) წაიკითხა და პილიგრიმებს აუხსნა, თუ რა უნდა გაეკეთებინათ ჰაჯის დროს. როდესაც მუსლიმები ჰაჯს ასრულებდნენ, წმინდა ალიმ მინაში, „აქაბე ჯებრეში“ ჰუთბე წაიკითხა.

„ადამიანნო! მე თქვენთან შუამავალმა წარმაგზავნა“ – ასე დაიწყო მან საუბარი და სურა თევბეს პირველი აიეთი წაიკითხა. შემდეგ მან თქვა: „მე ვალდბული ვარ, ოთხი რამ გამცნოთ:

1. სურა ალი ღიმრანი 97.

1-ვერავინ მოხვდება სამოთხეში გარდა მორწმუნისა.

2-ამ წლის შემდეგ, წარმართები ქააბას ვეღარ მიუახლოვდებიან.

3- შიშველი ქააბას ვეღარავინ შემოუარს. (წარმართები შიშველი ქააბას უვლიდნენ).

4-თუკი შუამავალთან ვინმეს რაიმე შეთანხმება აქვს დადებული, ვადის ამოწურვამდე შეთანხმება ძალაშია. ამის გარდა ოთხი თვე დრო მათ. ამის შემდეგ არცერთ წარმართთან შეთანხმება აღარ დაიდება და ისინი დაცულნი აღარ იქნებიან.

ამ დღის შემდეგ არცერთ წარმართს ქააბა აღარ მოუნახულებია და აღარც შიშველს ქააბასთვის გარს აღარ შემოუვლია. ამ საკითხების გაცნობის შემდეგ წარმართთა უმრავლესობა მუსლიმი გახდა. პილიგრიმობის შესრულების შემდეგ ებუბექირი და ალი საჰაბეებთან ერთად მედინაში დაბრუნდნენ.

ჰიჯრეთის მეათე წლისათვის ისლამი მთელ არაბეთის ნახევარ კუნძულზე გავრცელდა. მედინასაკენ დაიძრა ხალხის ნაკადი ყველა არაბული ქვეყნიდან; ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ისლამთან ზიარებასა და მარადიული სასუფევლის მოპოვებისათვის. არაბეთის ნახევარკუნძულზე უკვე აღარავინ იყო ისეთი, ვინც ისლამის წინააღმდეგ ამხედრდებოდა. ისლამი მხოლოდ ზოგიერთმა იუდეველმა და ქრისტიანმა ტომმა არ მიიღო.

საყვარელმა შუამავალმა ჰიჯრეთის მეათე წელს, ჰალიდ ინბი ველიდის მეთაურობით 400 ათასი ჯარისკაცი იემენში, ჰარისის შვილების ისლამისკენ მოსახმობად წარგზავნა. ჰალიდ იბნი ველიდმა, საყვარელი შუამავლის ბრძანების თანახმად ამ ტომს სამი დღე-ღამის განმავლობაში ისლამი უქადაგა და ისინიც ისლამს ეზიარნენ. ასევე ამ წელს საყვარელმა შუამავალმა ნეჯრანის ქრისტიანებთან სამშვიდობის ზავი დადო. ამათგან ზოგიერთი შემდგომში თავად ეზიარა ისლამს. ამ წელსვე ალი იბნი თალიბი, სამასი საჰაბესთან ერთად იემენში არსებული მედლეჯის ტომისთვის ისლამის საქადაგებლად წარიგზავნენ. თავდაპირველად ისინი უარზე იყვნენ, მაგრამ შემდეგ ისლამი მიიღეს. საყვარელმა

შუამავალმა, ამ წელს, ყველა მუსლიმანურ მხარეში მართველები დანიშნა.

ჰიჯრეთის მეათე წელს საყვერლმა შუამავალმა, ჰაჯისათვის სამზადისი დაიწყო და მედინელ მუსლიმებსაც იგივეს გაკეთება უბრძანა. მედინას გარეთ მყოფთაც შეტყობინება გაუგზავნა. ქალაქში ათასობით მუსლიმმა მოიყარა თავი როდესაც სამზადისი დასრულდა, საყვარელმა შუამავალი ზილყაღდეს 25-ე დღეს 40 000 კაციანი ქარავნით, შუადღის ლოცვის შემდეგ, მედინადან დაიძრა. საყვარელი შუამავალი უზენაეს ალლაჰს ასე შეევედრა: ***„ღმერთო ჩემო! მიიღე ჩვენგან ეს ჰაჯი.“*** შემდეგ იჰრამში შევიდადა ჯებრაილის შთაგონებით თელბიეს წარმოთქმა დაიწყო. მას საჰაბეებიც შეუერთდნენ და თელბიეს შეძახილები ზეცას შეწვდა. „ლებბეიქე! ალლაჰუმმე ლებეიქ! ლებბეიქ! ლაა შერიქე ლექე ლებბეიქ! ინნელ ჰემდე ვენნიღმეთე ლექე ველ მულქე ლაშერიქელექ!...“ საყვარელმა შუამავალმა 100 მსხვერპლად შესაწირი აქლემი თან წაიყვანა. 10 დღიანი მგზავრობის შემდეგ, ზილჰიჯჯეს მეოთხე დღეს ქარავანმა მექას მიაღწია. როდესაც მათ იემენიდან და სხვა მიდამოებიდან ჰაჯობისთვის ჩამოსულნიც შეურთდნენ, მომლოცველთა რიცხვმა 124 ათასს მიაღწია. საყვარელმა შუამავალმა ზილჰიჯჯას მერვე დღეს მინაზე, მეცხრე (არაფა დღეს) არაფატზე ავიდნენ. შუადღის ლოცვის შემდეგ, არაფატის ხეობის შუაში ქუსვაზე ამხედრებულმა, გამოსამშვიდობებელი ხუთბე (ქადაგება) წარმოთქვა და საჰაბეებს გამოემშვიდობა.

გამოსათხოვარი ქადაგება

ეს ქადაგება წარმოთქმულ იქნა ზუ-ლ-ჰიჯჯას თვის მე-9 დღეს ჰიჯრით მე-10 (ახ. წ. აღ.-ით 623) წელს ურანას ველზე არაფათის მთასთან მექაში. მაშინ სრულდებოდა ჰაჯის ყოველწლიური რიტუალები. იგი ასევე ცნობილია, როგორც გამოსამშვიდობებელი პილიგრიმობა (ჰაჯობა).

მას შემდეგ, რაც ალლაჰი ადიდა და მადლობა შესწირა მას, შუამავალმა, (ა.დ.მ.მ.) შემდეგი სიტყვებით დაიწყო:

„ხალხნო! ყურადღებით მომისმინეთ, რამეთუ არ ვუწყი, ამ წლის შემდეგ კიდევ ვიქნები თუ არა თქვენს შორის. მაშ, გულდასმით მოისმინეთ, რასაც გეუბნებით, და ეს სიტყვები იმათ გადაეცით, ვინც დღეს აქ არ იმყოფება.

ხალხნო! როგორც ეს თვე, ეს დღე, ეს ქალაქი მიგაჩნიათ წმინდად, ზუსტად ასევე წმინდა და გასაფრთხილებელ რამედ მიიჩნიეთ სიცოცხლე და საკუთრება ყოველი მუსლიმისა. ამანათი, რომელიც თქვენ მოგაბარეს, კანონიერ მეპატრონეს დაუბრუნეთ. ნურავის ავნებთ რაიმეს, რათა არავინ გავნოთ რაიმე. გახსოვდეთ, რომ ნამდვილად შეხვდებით თქვენს ღმერთს და იგი შეაფასებს თქვენს საქმეებს (ნამოქმედარს).

ალლაჰმა აგიკრძალათ მევახშეობა, ამიტომაც ამას იქით (დღეიდან) ყველა საპროცენტო ვალდებულება გაუქმებულია. თქვენი საკუთრება თვითონვე უნდა დაიტოვოთ და დაიცვათ. არც თქვენ უნდა ჩააყენოთ ვინმე უთანასწორობაში და არც თვითონ უნდა განიცადოთ ეს. ალლაჰმა განსაჯა, რომ არ უნდა იყოს არავითარი საპროცენტო მოგება და ყოველგვარი პროცენტი აბდულ მუტტალიბის შვილის, ბიძაჩემის აბბასის პროცენტის გაუქმებით დაიწყო.

ისლამამდელ დღეებში (პერიოდში) ადამიანის მკვლელობიდან გამომდინარე ყოველი უფლება ამას იქით (დღეიდან) გაუქმებულია და პირველი ასეთი უფლება, რომელსაც მე ვაუქმებ, რაბია

იბნ ალ-ჰარისას მკვლელობას უკავშირდება.

ხალხნო! ურწმუნონი თვითნებურად აყალბებენ კალენდარს, რათა ნებადართულად აქციონ, რაც ალლაჰმა აკრძალა, და აკრძალონ, რის ნებაც ალლაჰმა დართო. ალლაჰთან თვენი რიცხვით თორმეტია. ოთხი მათგანი წმინდაა, ურთიერთს მოსდევს და სათითაოდ დგება ჯუმადასა და შაბანის თვეებს შორის.

უფრთხილდით სატანას (შეითანს) თქვენი სარწმუნოების დასაცავად. მან უკვე დაკარგა იმედი, რომ შეგაცდენთ დიდ რამეებში, მაშ, იფრთხილეთ, არ გაჰყვეთ მას პატარა რამეებში.

ხალხნო, მართალია, რომ თქვენ გაქვთ გარკვეული უფლებები თქვენს მეუღლეებზე, მაგრამ მათაც აქვთ უფლებები თქვენზე. გახსოვდეთ, რომ თქვენ ისინი მიიღეთ, როგორც თქვენი ცოლები, მხოლოდ ალლაჰის ნდობითა და მისი ნებართვით. თუ ისინი თქვენი წესებით ცხოვრობენ, მაშინ მათ ეკუთვნის უფლება, გამოკვებილნი და შემოსილნი იქნენ კეთილად. კარგად მოეპყარით თქვენს მეუღლეებს და კეთილნი იყავით მათ მიმართ, რამეთუ ისინი არიან თქვენი მეწყვილენი და თქვენთვის ბოძებული დამხმარენი. და თქვენი უფლებაა, ისინი არ დაუმეგობრდნენ ვინმეს, ვისაც თქვენ საჭიროდ არ მიიჩნევთ, ისევე, როგორც არასოდეს უნდა იყვნენ ბინიერნი.

ხალხნო, მთელი გულისყურით მომისმინეთ, თაყვანი ეცით ალლაჰს, აღასრულეთ ყოველდღიური ხუთი დროის ლოცვა, იმარხულეთ რამადანის თვეში და ზექათი გაეცით თქვენი სიმდიდრიდან. შეასრულეთ ჰაჯი, თუ ამის სახსარი გექნებათ.

მთელი კაცობრიობა ადამისა და ევასაგან მოდის, არაბს არა აქვს რაიმე უპირატესობა არაარაბზე, არც არაარაბს აქვს რაიმე უპირატესობა არაბზე; ასევე თეთრკანიანს არა აქვს რაიმე უპირატესობა შავკანიანზე, არც შავკანიანს აქვს რაიმე უპირატესობა თეთრკანიანზე, გარდა სათნოებისა და კეთილი ქმედებისა. შეისმინეთ, რომ ყოველი მუსლიმი ურთიერთის ძმაა და მუსლიმები ქმნიან ერთიან საძმოს. არაფერი არ იქნება კანონიერი მუსლიმისათვის იქიდან, რაც მის თანამოძმე მუსლიმს ეკუთვნის, თუ ის

თავის უფლებითა და ნებით არ იქნა გაღებული.

მაშ, უსამართლოდ ნუ მოეპყრობით საკუთარ თავს. გახსოვდეთ, ოდესმე ალლაჰს შეხვდებით და პასუხს აგებთ თქვენს საქმეებზე (ნამოქმედარზე). ასე რომ, ფრთხილად იყავით, ნუ გადაუხვევთ ჭეშმარიტ გზას მას შემდეგ, რაც მე გავეცლები ამიერ სოფელს.

ხალხნო! არავითარი სხვა ალლაჰის შუამავალი ან ელჩი არ წარმოიგზავნება ჩემს შემდეგ და აღარ იშობა ახალი სარწმუნოება. მაშ, კარგად დაფიქრდით, ხალხნო, და გაიგეთ სიტყვები, რომლებსაც გადმოგცემთ. მე ორ რამეს გიტოვებთ, ყურანსა და სუნნეთს, და, თუ მათ მიჰყვებით, არასოდეს აგერევათ გზა.

ყველა, ვინც მისმენს, ჩემს სიტყვებს სხვებს გადასცემს და სხვები კიდევ სხვებს; და, დაე, უკანასკნელებმა უკეთ გაიგონ ჩემი სიტყვები, ვიდრე მათ, ვინც უშუალოდ მისმენს.

ღმერთო ჩემო, იყავი მოწმე, რომ შენი უწყება გადავეცი შენს ხალხს.“

ამ ქადაგების ნაწილად შუამავალმა (ა.დ.მ.მ.) მათ წაუკითხა ალლაჰის ზეშთაგონება, რომელიციმ დროს მიიღო და რომელმაც ყურანი დაასრულა, ეს იყო ბოლო აიეთი (პასაჟი), რომელიც უნდა გარდმოვლენილიყო:

„დღეს, ვინც არ იწამა, იმათ უკვე გადაეწურათ იმედი, თქვენ რწმენას ჩამოგაშორონ, და ნუ გეშინიათ მათი, არამედ გეშინოდეთ ჩემი! დღეს მე სრულვყავი თქვენი სარწმუნოება თქვენთვის და აღვასრულე თქვენზე ჩემი წყალობა, და ისლამი უპირატესვყავ სარწმუნოებად თქვენთვის.“[1]

წმინდა შუამავლის თხოვნით, ქადაგება სიტყვა-სიტყვით გაიმეორა საფვანის ძმამ, რაბიამ, რომელსაც ძლიერი ხმა ჰქონდა. თავისი ქადაგების დასასრულს შუამავალმა (ა.დ.მ.მ.) იკითხა: „ხალხნო, ჭეშმარიტად გადმოგეცით ჩემი უწყება?“ თანხმობის ნიშნად ძლიერი ჩურჩული გაისმა: „ალლაჰ! დიახ“ ათასობით პილიგრიმისაგან (ჰაჯებისაგან) წამოვიდა სიტყვები „ალლაჰუმმე (ნეღემ) დიახ, დიახ ღმერთო ჩემო“ რომლებიც ყველაფერს არ-

1. სურა 5, აია 3.

ხევდადა ველს გრგვინვით ჩაუარა. შუამავალმა ზევით აღაპყრო საჩვენებელი თითი და თქვა: „ალლაჰ, დაამოწმე, რომ შენი უწყება გადავეცი შენს ხალხს“.

გარდაცვალება

ჰიჯრეთის მეთერთმეტე წელი იდგა. ჯებრაილმა, საყვარელ შუამავალს ორჯერ თავიდან ბოლომდე ყურანი წააკითხა. წინა წლებში კი, ამას წელიწადში ერთხელ აკეთებინებდა. როდესაც საყვარელ შუამავალს სურა ნასრ მოევლინა – ***„როცა ალლაჰის შეწევნა და გამარჯვება იქმნა მოვლენილი და როცა დაინახავ, როგორ უწყვეტ ნაკადათ შედის ხალხი ალლაჰის სარწმუნოებაში, შეაქე და განადიდე ღმერთი შენი და შენდობა შესთხოვე! უეჭველად, ის ყოვლის მიმტევებელია!“*** ჯებრაილს უთხრა, სიკვდილის მოახლოვებას ვგრძნობო, მთავარანგელოზმა პასუხად სურას „დუხას“ მე-4-ე და მე-5-ე აიათები წაუკითხა, უეჭველად, მომავალი ცხოვრება (საიქიო) გექნება უკეთესი, ვიდრე წინა (მიწიერი). და უეჭველად, სულ მალე გებოძება შენი ღმერთისგან და შენ კმაყოფილი დარჩები.

იმ დღეს საყვარელმა შუამავლმა მედინელებს შეუთვალა, რომ მეჩეთში შუადღის ლოცვისათვის მოსულიყვნენ. როდესაც ხალხი შეიკრიბა, შუადღის ლოცვის დასრულებისთანავე მან ისეთი ქადაგება წარმოთქვა, რომელმაც ყველას გულები აუთრთოლა და თვალების ცრემლებით აუვსო. შემდეგ მან ბრძანა: ***„ჰოი ადამიანებო! როგორც თქვენი შუამავალი როგორი ვიყავი?“*** საჰაბეებმა უპასუხეს: „ალლაჰის შუამავალო! უზენაესმა ალლაჰმა ჩვენი მხრიდან უხვი წყალობა მოგმადლოს. შენ, ჩვენთვის საუკეთესო მამა და მეგობარი იყავი. უზენაესი ალლაჰის მიერ შენთვის ბოძებული შუამავლობის მისია საუკეთესოდ აღასრულე. შენზე ზეშთაგონებული ზედმიწევნით მოგვაწოდე. უზენაესი ალლაჰის გზაზე სიბრძნითა და საუკეთესო მეთოდით მოგვიწოდე. უზენაესმა ალლაჰმა შენ ყველაზე საუკეთესო და ყველაზე ძვირფასი საზღაური მოგმადლოს.“

საყვარელმა შუამავალმა ბრძანა: ***„მორწმუნენო! ვისაც ჩემიდან რაიმე აქვს ასაღები მოვიდეს, მითხრას და აღდგომის დღემდე ჩემიდან აიღოს.“*** ამაზე არავის არაფერი უთქვამს. საყვარელმა შუამავალმა ალლაჰის სახელის ხსენებით რამდენჯერმე კიდევ ითხოვა: ***„თუ ვინმეს რაიმე აქვს ასაღები მოვიდეს და აიღოს.“*** საჰაბეებიდან უქაშე წამოდგა და ალლაჰის შუამავალის წინაშე წარსდგა;

„ჩემი თავი შემოგევლოს ალლაჰის შუამავალო! თებუქის ომში შენთან ერთად ვიყავი, როდესაც უკან ვბრუნდებოდით, ჩემი და შენი აქლემები ერთად შეყრილიყვნენ. მე აქლემიდან ჩამოვედი, შენ მოგიახლოვდი. ჩემი მიზანი შენი დალოცვილი ტანის დაკოცნა იყო, მაშინ მათრახი გადამკარი ზურგზე. რატომ დამარტყი არ ვიცი.“

საყვარელმა შუამავალმა მიუგო: ***„უქაშე! უზენაესმა ალლაჰმა დაგიფაროს ალლაჰის შუამავალის განზრახ დარტყმისგან. ბილალ! ჩემი შვილის, ფატიმას სახლში წადი და ის მათრახი მე მომიტანე“.*** წმინდა ბილალი, მეჩეთიდან გავიდა. ხელი თავზე შემოიდო და ფიქრობდა, ალლაჰის შუამავალმა თავის თავზე შურისგება უნდა განახორციელოსო. როდესაც ფატიმას სახლთან მივიდა; „ალლაჰის შუამავლის ქალიშვილო! ალლაჰის შუამავლის მათრახი მომეცი!“ წმინდა ფატიმამ უთხრა; „ბილალ! ახლა არც ჰაჯობის დროა და არც ომის! რად გინდა მამაჩემის მათრახი?“ წმინდა ბილალმა უპასუხა: „ფატიმა! ალაჰის შუამავალმა ამით თავის თავზე შურისგება უნდა განახორციელოს.“

ფატიმამ ბილალს მათრახი მისცა. მან კი ის ალლაჰის შუამავალს მეჩეთში მიუტანა. კაცობრიობის სიამაყემ მათრახი უქაშეს გადასცა.

ებუ ბექირმა და ომარმა უქაშას შესთავაზეს, წილი ჩვენგან აიღე, ალლაჰის შუამავალს თავი დაანებეო! ალლაჰის შუამავალმა ებუ ბექირსაც და ომარსაც უბრძანა, მაგას შეეშვით და აქედან წადითო. შემდეგ წმინდა ალი წამოდგა და უქაშეს მიმართა; „უქაშე! ვიცი, შენი გული უკმაყოფილოა იმით, რომ შუამავალმა მათრახი დაგარტყა, აჰა, ჩემი ზურგი და თუ გინდა ასჯერ გადამარტყი მათრახი. მაგრამ ალლაჰის შუამავალს არ მიეკარო!“ შუამავალმა ალის უთხრა; ***„ალი! დაჯექი! უზენაესმა ალლაჰმა შენი დამსახურების შესახებ იცის.“*** ამ დროს წმინდა ჰასანი და ჰუსეინი წამოდგნენ ფეხზე და უქაშეს უთხრეს: ***„უქაშე, იცი, რომ, ჩვენ ალლაჰის შუამავლის შვილიშვილები ვართ. ამიტომაც შურისგება ჩვენზეცაა შესაძლებელია. ჩვენგან აიღე შენი წილი, გემუდარებით ალლაჰის შუამავალს არ დაარტყა!“*** ალლაჰის შუამავალმა მათაც დასხდომა

უბრძანა და უქაშესუბრძანა, მოდი და დამარტყიო.

უქაშემ მიუგო: „ალლაჰის შუამავალო! როცა შენ დამარტყი მე მემწარა,“ ალლაჰის შუამავალმა დალოცვილი ზურგი გადაიხსნა. ამ დროს საჰაბეებმა ერთხმად შეჰყვირეს, უქაშე, ნუთუ ალლაჰის შუამავალს უნდა დაარტყაო. როდესაც უქაშემ უკეთილშობილესი მუჰამმედის ზურგზე შუამავლობის დამადასტურებელი ბეჭედი დაინახა, წამოიყვირა; „ჩემი დედ-მამა შენ შემოგევლოს, ალლაჰის შუამავალო! განა, შენს დალოცვილ ზურგზე დარტყმა, ვინმეს ძალუძს? ამას ვინ გაბედავს?“ და შუამავალს ნიშანზე აკოცა. „არა, ან უნდა დამარტყა, ან უნდა მაპატიოო“ უთხრა მას შუამავალმა. „ჩემი თავი შემოგევლოს ალლაჰის შუამავალო! მე გაპატიე. ნეტავ, უზენაესი ალლაჰი თუ მაპატიებს აღდგომის დღეს?“ – თქვა უქაშემ.

ალლაჰის შუამავალმა ბრძანა: ***„ვისაც უნდა სამოთხეში ჩემი მეგობარი დაინახოს, ამ მოხიცს შეხედოს.“*** ვინც ალლაჰის შუამავლის ეს სიტყვა გაიგონა, ყველამ წმინდა უქაშეს ხვევნა-კოცნა დაუწყეს და თან ეუბნებოდნენ, რაოდენ ბედნიერი ხარ უქაშა, ალლაჰის შუამავალტან ერთად ყოფნის პატივი რომ გერგო, სამოთხის ყველაზე უზენაეს ხარისხებს ეზიარეო.

სეფერის თვის ბოლო დღეები იდგა. საყვარელ შუამავალს სურდა, სანამ ბიზანტიის იმპერია მუსლიმთათვის საშიშროებად გადაიქცეოდა, ისინი ხელმეორედ მოეხმო ისლამისკენ და თუ ალლაჰის რელიგას არ მიიღებდნენ მათთვის ომი გამოეცხადებინა და მუსლიმთა სახელმწიფოსათვის დაექვემდებარებინა. ამიტომ საომარი სამზადისისთვის საჰაბეებს მოუხმო. ისინი სამზადისს შეუდგნენ. ალლაჰის შუამავალმა უსამე ბინ ზეიდი დაიბარა და უთხრა: ***„უსამე, შამში, ბელქას საზღვარზე, პალესტინაში დარუმა მამის განგმირვის ადგილამდე, უზენაესი ალლაჰის სახელითა და მადლით წადი. ისინი ცხენებს გაასრესიე. შენ, ამ ჯარის მთავარსარდლად დაგადგინე. უბნალილარს უცბად მიუხლოვდი და ელვასავით თავს დაესხი. ისე წადი, რომ ინფორმაციამ არ ჩაგასწროს. მზვერავები წაიყვანე და წინ გაუშვი, თუკი უზენაესი ალლჰის გამარჯვებას გიბოძებს, მათთან ცოტა ხანს დარჩი,“*** ჯურფში შტაბის მოწყობა დაა-

ვალა და საკუთარი ხელით დროშა გადასცა.

ალლაჰის შუამავალი მეჩეთში მინბერზე ავიდა და ბრძანა; ***„ჩემო საჰაბენო! ისევე როგორც უსამეს მამა, ზეიდი ღირსია სარდლობის და ჩემთვის ყველაზე საყვარელია, ასევე მისი შვილი უსამეც ღირსია სარდლობის. უსამე, ჩემთვის ადამიანებისგან ყველაზე საყვარელია.“***

უსამესთან ამ ლაშქრობაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ებუ ბექირს, ომერს, ებუ უბეიდე ბინ ჯერრაჰს და საღდ ბინ ები ვაყყასს.

მაგრამ მეორე დღეს ალლაჰის შუამავალი ავად გახდა ამიტომაც ჯარის გამგზავრება გაურკვეველი ვადით გადაიდო. ალლაჰის შუამავალს სიცხემ აუწია და დღითი-დღე უმატებდა, მისი მდგომარეობა გაუარესდა. როდესაც ტკივილი ცოტა შეუმსუბუქდა, შუამავალი ფეხზე წამოდგა, ჩაიცვა და წასასვლელად მოემზადა. მან ტქვა: ***„ბრძანება მივიღე, სასაფლაოზე უნდა მივიდე და გარდაცვლილთათვის შევევედრო.“*** მას თან ებუ მუვეიჰიბი და ებუ რაჰია გაყვნენ. როდესაც ალლაჰის შუამავლის ვედრება გაიგონეს, მასთან მყოფნმა საჰაბეებმა წამოიძახეს, ნეტავ, ჩვენც ვყოფილიყავით ახლა აქ დასაფლავებული და ალლაჰის შუამავლის ვედრების პატივი დაგვდებოდაო! საყვარელმა შუამავალმა ებუ მუვეიჰიბიესკენ შებრუნდა და უთხრა; ***„ო, ებუ მუვეიჰიბ! მე, ამქვეყნიური და საიქიო ხაზინების არჩევანში თავისუფალი ვიყავი, რომელიც მინდოდა იმას ავირჩევდი. თუკი ვისურვებდი ან ამიერსოფელში დავრჩებოდი მარადიულად ან საიქიო სამოთხეში. მე სამოთხე ვამჯობინე.“***

ერთ დღესაც უჰუდის გმირების სასაფლაოებზე წავიდა, იქ მათთვის შეევედრა, შემდეგ მეჩეთში დაბრუნდა და საჰაბეებს მიმართა; ***„მე თქვენ ქევსერის აუზთან პირველი უნდა შეგხვდეთ. ჩვენი შეხვედრის ადგილი ისაა... მე, არ ვშიშობ რომ ხელმეორედ წარმათობას დაუბრუნდებით. მაგრამ ამ ქვეყნიურ სიტკბოებებს გაყვებით, ერთმანეთის შეგშურდებათ, ერთმანეთს მოკლავთ. თქვენზე უწინდელების მსგავსად განადგურდებით და ამისა მეშინია! ...“*** შემდეგ კი სახლში დაბრუნდა.

ავადმყოფობა თანდათან გამწვავდა. მეუღლეებისგან აიშესთან დარჩენის ნებართვა ითხოვა. უმწიკლო მეუღლეები გარჯისათვის დალოცა და წმინდა აიშეს სახლში დაბინავდა.

ალლაჰის შუამავალს სიცხემ ძალიან აუწია, ძლიერი სიცხის გამო იგი ლოგინში ტრიალებდა. როდესაც საჰაბეები მის მოსანახულებლად მიდიოდნენ, მის ასეთ მდგომარეობაში ყოფნა ძალიან აწუხებდათ. ებუ სეღიდ ჰუდრი გადმოგვცემს: „ალლაჰის შუამავალთნა მივედი. ხავერდოვანი საფარი ჰქონდა გადაფარებული. სიცხის სიხურვალე საფარიდან გარეთ გამოდიოდა, იმდენაც ცხელი იყო რომ, სიცხის გამო ხელს ვერ ვაკარებდით. როდესაც საყვარელი შუამვალი ჩვენს მდგომარეობას ხედავდა;

„ყველაზე ძლიერი ბელა, შუამავალნს ევლინება. ამისდა მიუხედავათ შუამავალთა ბელის წინაშე სიხარული, თქვენზე ბოძებული სიკეთის სიხარულზე მეტია“ ბრძანა.

უმმუ ბიშრ ბინ ბერა გადმოგვცემს: „შუამავლის მოსანახულებლად მივედი. დალოცვილი ტანი ცეცხლივით იწვოდა. „ჩემი თავი შემოგევლოს, ალლაჰის შუამავალო! მე, არასდროს მინახავს ასეთი ძლიერი ავადმყოფობა!...“ – ვუთხარი. ალლაჰის შუამავალმა ბრძანა: ***„უმმუ ბიშრ! სიცხის სიმძლავრე, მადლის სიმრავლეს გამოხატავს. ეს ავადმყოფობა, ჰეიბერში, რომ, მოწმალული ხორცი გავსინჯე, იმის კვალია. იმ ხორცის სიმწარეს ყოველთვის ვგრძნობდი. იმ დღეს ჩემს მიერ შეჭმული საწამლავი, ახლა აორტას მიგლეჯს“.***

აბდულლაჰ ბინ მესუდი გადმოგვცემს: ***„არ არსებობს არცერთი მუსლიმი, რომელსაც ავადმყოფობა შეეყრება და უზენაესმა ალლაჰმა, მისი შეცდომები და ცოდვები, ხის ფოთლებივით არ დააცვივოს!“***

ავადმყოფის მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. საჰაბეები ძალიან დამწუხრებული იყვნენ შუამავალის ასეთი მდგომარეობით. ისინი მეჩეთში შეიყარნენ. შუამავლის ამბის გასაგებად ალი გააგზავნეს. საყვარელმა შუამავალმა მინიშნებებით ალის საჰაბეების შესახებ ჰკითხა. ალიმ მიუგო; ***„მათ შენთან ყოფნა სურთ.“***

საყვარელი შუამავალი ასეთ მდგომარეობაში ფეხზე წამოდგა,

ალისა და ფაზლ ბინ აბბასს დაეყრდნო და მეჩეთში შევიდა. მინბერზე ავიდა და უზენაესი ალლაჰის განდიდების შემდეგ საჰაბეებს მიმართა; ***„ო, ჩემო საჰაბენო! ჩემ სიკვდილზე ფიქრობდთ და მწუხრდებოდით. განა, რომელიმე შუამავალი თავის ხალხში სამუდამოდ დარჩა, მე რომ თქვენთან დავრჩე? იცოდეთ, რომ ჩემ ღმერთთან მივდივარ. მე გიანდერძებთ, რომ მუჰაჯირ დიდებულებს პატივი დადოთ! ო, მუჰაჯირნო! თქვენც ამას გიანდერძებთ რომ, ენსარებს კარგად მოექეცით! ისინი თქვენ კარგად მოგეპყრნენ. თავიანთ სახლებში დაგამკვიდრეს, მათ თავიანთ თავზე მაღლა დაგაყენეს. თავიანთ ქონება გაგინაწილეს. ვინც ენსარების მართველად დადგინდება, კარგად მოექცეს მათ და აპატიოს შეცდომები. უზენაესმა ალლაჰმა თავის მსახური დედამიწაზე დარჩენასა და საიქიოში წასვლას შორის არცევანში თავისუფალი დატოვა. იმ მსახურმა თავის ღმერთთან მისვლა ისურვა.“*** ებუ ბექირი მიხვდა, რომ შუამავალი ამქვეყნიდან საუკუნო სასუფეველში უნდა გადასულიყო და ამის გამო ტირილი დაიწყო. წმინდა შუამავალმა ის დაარიგა, ებუ ბექირ ნუ ტირი, დამშვიდდი და მოთმინება გამოიჩინეო. შემდეგ საჰაბეებს ებუ ბექირის შესახებ უთხრა: ***„ჩემო მეგობრებო! ისლამის რელიგიისადმი ერთგულებითა და წრფელი გულით მან მთელი თავისი ქონება ამ გზაზე გაილო ამოტომაც მე მისგან კმაყოფილი ვარ. ნება რომ მქონოდა მას საიქიოს გზაზე მეგობრად დავიდგენდი!“***

შემდეგ მინბერიდან ჩამოვიდა და აიშეს ოთახში დაბრუნდა. საჰაბეებმა ტირილი დაიწყეს, ამიტომაც შუამავალი ალისა და ფაზლ ბინ აბბასის დახმარებით მეჩეთში უკან შემობრუნდა. მინბერის ქვედა საფეხურზე დადგა და საჰაბეებს მიმართა:

„მუჰაჯირნო და ენსარნო! დადგენილ დროსთან შესახვედრად სიჩქარე კარგს არაფერს მოგვიტანს. უზენაესი ალლაჰი მისი არც ერთი მსახურისთვის არ იჩქარებს. ვინც უზენაესი ალლაჰის დადგენილი ბედისწერის შეცვლას შეეცდება მას გაანადგურებს. ვისაც სურს, იმზაკვროს ალლაჰი დაანგრევს მის მზაკვრობას. იცოდეთ, რომ მე, თქვენს მიმართ მწყალობელი ვარ. თქვენც ჩემთან მოხვალთ. ჩვენი შეხვედრის ადგილი ქევსერის აუზის სათავეა. ვისაც ურწმუნოება, ცოდვის ჩადენა, სარჩოს შშემცირების საბაბია. თუკი ადამიანები უზენაესი ალლაჰის ბრძანებებს დაემორჩილებიან, მართველები,

პრეზიდენტები მათ კარგად მოექცევიან. თუკი არეულობას, უკეთურების თესვას დაიწყებენ, მოწყალე მმართველებს ვერ ელირსებიან. ისევე როგორც ჩემი სიცოცხლეა ტქვენთვის სასიკეთო, ასევე ჩემი სიკვდილიც თქვენთვის სიკეთე და მოწყალებაა. თუკი ვინმეს რამე დავუშავე ან რაიმე ცუდი სიტყვა ვუთხარი, მეც იგივე გამიკეთოს და ვალი აიღოს. რადგანაც ამ ქვეყნიური სასჯელი არაფერია, საიქიოსთან შედარებით." შემდეგ საჰაბეებს მიმართა; ***„ომერი ჩემთან ერთადაა, მეც მასთან ერთად ვარ. ჩემს შემდეგ სამართალი ომართან ეძიეთ".***

ამ მიმართვის შემდეგ შუამავალი მინბერიდან ძირს ჩამოვიდა. ლოცვის შემდეგ ხელმეორედ მინბერზე ავიდა, უზენაეს ალლაჰს გაბარებთო, ბრძანა და ოთახისაკენ გაემართა.

საყვარელმა შუამავალმა ერთ დღეს როცა მას ტკივილებმა უმატა, ბილალი დაიბარა და გამოსამშვიდობებელი დარიგების მოსასმენად ხალხის მეჩეთში შეკრება თხოვა.

ბილალმა საჰაბეები მეჩეთში შეკრიბა. საყვარელი შუამავალი ალისა და ფაზლზე დაყრდნობილი მეჩეთში შევიდა. მინბერზე დაჯდა და საჰაბეებს მიმართა; ***„საჰაბენო! იცოდეთ რომ, თქვენგან ჩემი განშორება მოახლოვდა. ვისაც ჩემგან რაიმე აქვს ასაღები, მითხრას. ვისაც ჩემი თავი უყვარს და ჩემიდან რამე აქვს ასაღები, ან ითხოვოს ან კი მომიტევოს, რათა ჩემ ღმერთთან ვალის გარეშე დავბრუნდე."*** შემდეგ მინბერიდან ჩამოვიდა და შუადღის ნამაზი შეასრულეს.

როდესაც საყვარელი შუამავლის სიკვდილამდე სულ რაღაც 3 დღე იყო დარჩენილი, ავადმყოფობა კიდევ უფრო გამწვავდა. იგი მეჩეთში ვეღარ შევიდა და ლოცვას ვეღარ წარუძღვა. პირველი ნამაზი, რომელიც ვერ ალოცვა, ღამის ნამაზი იყო. ბილალი ჩვეულებისამებრ, შუამავლის კართან მივიდა და დაიძახა: „ლოცვის დროა ალლაჰის შუამავალო!" მაგრამ ალლაჰის შუამავალს ძალა ჰქონდა გამოცლილი და მეჩეთში ვერ შევიდა. მან თქვა: ***„უთხარით ებუ ბექირს, რომ ლოცვას წარუძღვეს."*** აიშემ შენიშნა: „ალლაჰის შუამავალო, მამაჩემი სენტიმენტალური ადამინია და როცა შენ არ ხარ შენს ადგილზე ვერ გავა და ვერ ალოცვებს. ეს რომ ომარმა

გააკეთოს, არ შეიძლება?“ შუამავალმა ხელმეორედ ისევ გაიმეორა; ***„უთხარით ებუ ბექირს, ლოცვას წარუძღვეს!“*** ბილალმა შუამავლის ბრძანება ებუ ბექირს გადასცა. როცა ებუ ბექირმა მიჰრაბში შუამავალი ვერ იხილა ტირილი დაიწყო და საჰაბეებმაც მოთქმა დაიწყეს. საყვარელმა შუამავალმა მეჩეთიდან გამოსული ხმების შესახებ იკითხა, თუ რა ხდებოდა და რატომ ტიროდნენ; ფატიმამ მიუგო უშენობას ვერ შეეგუენ და ამიტომ ტირიანო.

წყალობის ოკეანეს, საყვარელ შუამავალს გული ამოუჯდა. საჰაბეების დასაწყნარებლად, ასეთი ძლიერი ტკივილების მიუხედავად, წამოდგა და ალისა და ფაზილის დახმარებით მეჩეთში შევიდა. ლოცვის შემდეგ; ***„ჩემო საჰაბენო! თქვენ, ალლაჰის მფარველობის ქვეშ ხართ და მე თქვენი თავი უზენაეს ალლაჰს მივაბარე! ღვთის მოსავნი იყავით. უზენაესი ალლჰის გეშინოდეთ. უზენაესი ალლაჰის ბრძანებები აღასრულეთ და დაემორჩილეთ. მე, უკვე ამ ქვეყანას ვეცლები“.***

წმინდა ებუ ბექირმა საჰაბენს შუამავლის გარეშე 17 დროის ნამაზი ალოცა. ერთხელ, როდესაც შუადღის ნამაზს ალოცვებდა, საყვარელმა შუამავალმა ავადმყოფობის შემსუმბუქება იგრძნო და ალისა და აბბასის დახმარებით მეჩეთში შევიდა. ებუ ბექირმა შუმავლის შემოსვლა იგრძნო და უკან გამოსვლა გადაწყვიტა. შუამავალმა მას მიანიშნა, ადგილზე გაჩერდიო, საყვარელმა შუამავალმა, ებუ ბექირის მარცხენა მხარეს, საჰაბეებს უკანასკნელად ალოცვა.

შუამავალის სიკვდილამდე სამი დღე იყო დარჩენილი, როდესაც ჯიბრაილი, შუამავლის მოსანახულებლად ჩამობრძანდა და ჰკითხა: „ალლაჰის შუამავალო,უზენაესი ალლჰის სალამი ჩამოგიტანე. გეკითხება თუ როგორ გრძნობ თავს.“ საყვარელმა შუამავალმა მიუგო; ***„დამწუხრებული ვარ!“***

ჯებრაილმა კვირა დღესაც ჩამობრძანდა და იგივე შეეკითხა. შუამავალმაც იგივე პასუხი გასცა. ჯებრაილმა იემენში მცხოვრები ცრუ შუამავლის ესედ ანსინის გარდაცვალების შესახებ ამცნო. შუამავალმა ეს ამბავი საჰაბეებს გადასცა. ავადმყოფობის წინ მისთვის საჩუქრად მიცემული რამდენიმე ოქროდან ნაწილი

შუამავალმა დაუნაწილა, ხოლო ნაწილი აიშეს მისცა. კვირა დღეს შუამავლის მდგომარეობა გაუარესდა. მასთან მისულ ჯარების სარდალ, უსამეს ვეღარ დაელაპარაკა. მაგრამ დალოცვილი მკლავები წამოსწია და მას შეეხო, მისთვის ვედრება აღავლინა.

საყვარელი შუამავლის დედამიწაზე მოვლინებისა და ამქვეყნიდან საიქიოში წაბრძანების დღე ორშაბათი იყო. ავადმყოფობის მე-13 დღე მისთვის უკანასკნელი გახდა. საჰაბეები ებუ ბექირის წინამძღოლობით მეჩეთში დილის ლოცვას აღავლენდნენ. საყვარელი შუამავალი მეჩეთში შევიდა და როცა ისინი მწკრივებში დაინახა სიხარულით აღივსო. შუამავალი ებუ ბექირს მიჰყვა და ლოცვა აღავლინა. როცა საჰაბეებმა შუამავალი მეჩეთში დაინახეს, გაუხარდათ, გამოკეთებულა ჩვენი შუამავალიო. კაცობრიობის სიამაყე აიშეს ოთახში დაბრუნდა და დაწვა. მან აიშეს უთხრა: ***„უზენაესი ალლაჰის წინაშე, ამქვეყნიური ქონებით არ მინდა წავრსდგე, რაც შენ მოგეცი იმ ოქროდან ნაწილი ღატაკებს დაურიგე!“*** შემდეგ მას სიცხემ ისევ აუწია. რამდენიმე ხნის შემდეგ, კიდევ ერთხელ თვალები გაახილა აიშეს ჰკითხა, ჩემი თხოვნა შეასრულე თუ არაო. აიშემ მიუგო, შევასრულეო, როდესაც მას მოახსენეს, რომ ოქრო ღარიბებს დაუნაწილეს, შუამავალმა ბრძანა, ახლა კი დავმშვიდდიო.

ცოტა ხნის შემდეგ მან ალი დაიბარა. დალოცვილი თავი მის კალთაში ჩადო. შუბლზე ოფლი მოსდიოდა და ფერი ჰქონდა დაკარგული. ალიმ ვერ გაუძლო ამ მდგომარეობას და შვილებთან, ჰასანთან და ჰუსეინთან წავიდა. მათ ხელები ჩასჭიდა და ტირილი დაიწყო. ტიროდა ფატიმაც. იგი ამბობდა: „მამაჩემო, ვინ დაიცავს შენ ქალიშვილს! ჰასანსა და ჰუსეინს ვის უტოვებ? მამა, ჩემი თავი შემოგევლოს, შენ შემდეგ ჩემი მდგომარეობა როგორი იქნება! ჩემი თვალი, შენი დალოცვილი სახის შემდეგ ვის შეხედავს!“

როდესაც საყვარელმა შუამავალმა თავისი ქალიშვილის გულის დამწველი სიტყვები გაიგონა იგი თავისტან დაიბარა და შეევედრა: ***„ღმერთო ჩემო, შენ ამას მოთმინება უბოძე!“*** ფატიმა მოთქმით ტირილს აგრძელებდა. ალიმ მას უთხრა: ***„ფატიმა! გევედრები გაჩუმდი, შუამავალს უფრო მეტად ნუ დაამწუხრებ!“*** როცა შუამავალმა

ალის სიტყვები გაიგონა, მას უთხრა; ***„ალი, ნუ აწყენინებ! თავი დაანებე, მამისათვის ცრემლი დაღვაროს!...“*** მის შემდეგ სამყაროს სიამაყემ თვალები დახუჭა და გრძნობა დაკარგა.

შემდეგ ბაბუსთან ჰასანი შევიდა და წარმოთქვა: „ვის შეუძლია შენთან განშორებას გაუძლოს! შენ შემდეგ დედაჩემს, მამაჩემსა და ჩემს ძმას რა ეშველებათ?“ შემდეგ მან ტირილი დაიწყო და მას შუამავლის ცოლებიც აყვნენ.

გარეთ დამწუხრებულნი საჰაბეები იცდიდნენ. როდესაც შუამავლის მდგომარეობის შესახებ გაიგეს ძალიან შეწუხდნენ ძალიან და ტირილი დაიწყეს. საყვარელი შუამავლის დალოცვილი სახე უკანასკნელად გვანახეთ, რა მოხდება კარები რომ გაგვიღოთო. როდესაც საყვარელმა შუამავალმა საჰაბეების მუდარა გაიგონა, მათთვის კარების გახსნა ბრძანა. საჰაბეები მასთან შევიდნენ.

საყვარელმა შუამავალმა მათ მოთმინება ურჩია; ***„ჩემო მეგობრებო, თქვენ, ადამიანებიდან ყველაზე უზენაესნი, ყველაზე პატივცემულნი ხართ. თქვენ შემდეგ, ვინც უნდა მოვიდეს, თქვენ ყველას შეასწრებთ სამოთხეში. მტკიცენი იყავით და ყურანი დაიდგინეთ წინამძღოლად. სარწმუნოების ნორმები აუცილებლად შეისწავლეთ!“*** შემდეგ წარმოთქვა: ***„ღმერთო ჩემო! ჩემი მისია შევასრულე?“*** და თვალები დახუჭა. დალოცვილი სახე გაუოფლიანდა. წმინდა ალიმ, საჰაბეებს გარეთ გასვლა ანიშნა.

მათი წასვლის შემდეგ ალლაჰის შუამავალთან აიშე მივიდა მისგან დარიგება ითხოვა, მან უთხრა: ***„აიშე! სახლის კუთხეში დაჯექი და ღვთისმოსავი იყავი!“*** შემდეგ ცრემლები ჩამოცვივდა. სამყაროს შუამავალი ტიროდა... იქ მყოფთ გულები დაესერათ. წმინდა უმმუ სელემე მასთან მივიდა და ჰკითხა თუკ რატომ ტიროდა; ***„ჩემი ხალხის შეწყალებისთვის ვტირი.“*** – უპასუხა შუამავალმა.

მზე ზენიტს სწვდებოდა. დრო უკვე ახლოვდებოდა... საყვარელ შუამავალს თავი აიშეს კალთაში ედო. იგი უკვე უკანასკნელ წუთებს ითვლიდა, მან შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: ***„ფრთხილად! ფრთხილად! თქვენთ ხელთ არსებულ მონებს კარგად მოექეცით. შემოსეთ და მუცელი გამოუძღეთ. მათ რბილად ელაპარაკეთ.***

ლოცვა, ლოსცვა არ გამოტოვოთ. ალლაჰის გეშინოდეთ, მეუღლეებისა და მონების გამო!... ღმერთო ჩემო! შემინდე! შემიწყალე!...“ ფატიმა ტიროდა, შუამავალმა მისი გვერდით დასმა მოითხოვა და უთხრა; ***„შვილო ჩემო, ცოტა მოითმინე, ნუ ტირი. ვინაიდან ანგელოზები შენი მწუხარების გამო ატირდებიან“.*** წმინდა ფატიმამ ცრემლები მოიწმინდა. ალლაჰის შუამავალმა გააგრძელა: ***„ფატიმა, ყველა თავზე დატეხილ უბედურებას საზღაური აქვს,“*** შემდეგ ერთხანს თვალები დახუჭა, შემდეგ კი შვილს უთხრა; ***„ამის შემდეგ შენს მამას არანაირი ტანჯვა, წვალება აღარ ექნება წარმავალი ქვეყნიდან და ტანჯვის ადგილიდან თავისუფლდება“.*** ბოლოს კი ალის მიმართა; ***„ალი, იუდეველებიდან ამდენი ვალი ავიღე ჯარების მოსამზადებლად. ვალის გადახდა არ დაგავიწყდეს. ჩემ ვალს უთუოდ, გადაიხდი და ქევსერის აუზის სათავეში პირველად შენ შემხვდები. ჩემს მერე შენ უამრავი ზიანი მოგადგება, მოთმინება გამოიჩინე, როცა ადამიანებს ეს ქვეყანა სურთ, შენ საიქიო აირჩიე“.***

უსამე ხელმეორედ მოვიდა. ალლაჰის შუამავალმა მას უთხრა; ***„უზენაესი ალლაჰი შეგეწიოთ! წადით საბრძოლველად!“*** უსამეც წავიდა და ჯართან მივიდა. მან მაშინვე გამგზავრების ბრძანება გასცა.

საყვარელი შუამავალი უკანასკნელ წუთებს ითვლიდა...უზენაესმა ალლაჰმა, ღეზრაილს დააბარა; ***„ჩემს საყვარელ მსახურთან უმშვენიერესი ფორმით მიდი! თუკი ნებას მოგცემს, სული ტკბილად ამოართვი. თუკი ნებას არ მოგცემს, უკან გამობრუნდი!“*** ღეზრაილი მშვენიერი ფორმით, ადამიანის სამოსში გამოწყობილი, საყვარელი შუამავლის ბედნიერების სახლის კართან მივიდა და დაიძახა; „ალლაჰის სალამი შენ, შუამავალო! სახლში შემოსვლის ნებას მომცემ? უზენაესმა ალლაჰმა შეგიწყალოს შენ!“

ალლაჰის შუამავალმა აიშესა და ფატიმას უთხრა სტუმარს პასუხი თქვენ გაეცითო. ფატიმა კართან მივიდა და ღაზრაილს უთხრა: „ო, ალლაჰის მსახურო! ალლაჰის შუამავალი ახლა დაკავებულია.“ ღეზრაილმა ნებართვა ხელმეორედ ითხოვა. იგივე პასუხი მიიღო. მესამედაც სალამი მისცა და კვლავ სახლში შესვლა ითხოვა, აუცილებელი საქმე მაქვსო. ალლაჰის შუამავალმა საუბარი

გაიგონა და წმინდა ფატიმას ჰკითხა, ***კარებთან ვინ არისო.***

ფატიმამ მამას უთხრა, კარებთან ვილაც არის და შემოსასვლელად ნებას ითხოვს, რამდენჯერმე პასუხი გავეცი, მაგრამ მესამედ რომ დაიძახა, სხეული ამიკანკალდაო. შუამავალი ყველაფერს მიხვდა და შვილს მიუგო: ***„ფატიმა, კარებზე იცი ვინაა? იგი, სიტკბოს დამანგრეველი, საზოგადოებების გამანადგურებელი, ქალების დამქვრივებელი, ობოლი ბავშვების დამაობლებელი, სახლების გამცამტვერებელი, სასაფლაოების ამვსები, სიკვდილის ანგელოზი ღეზრაილია.“*** შემდეგ სიკვდილის ანგელოზს დაუძახა: ***„ღეზრაილ შემოდი!“*** ამ დროს ფატიმა ენითაუწერელ მდგომარეობაში ჩავარდა და პირიდან მხოლოდ ეს სიტყვები ამოუვიდა: „ვაი, მედინა განადგურდა!“

საყვარელმა შუამავალმა წმინდა ფატიმას ხელი ჩასჭიდა, მკერდზე დაიდო და თვალები დახუჭა. იქ მყოფებმა იფიქრეს, შუამავალმა უკვე სული განუტევაო... ფატიმამ მწუხარება ვეღარ გაუძლო, მამის ყურთან დაიხარა და მტკივნეული ხმით ჩასჩურჩულა; „მამიკო!...“ მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. შემდეგ მამას თხოვა, თვალების გაახილე და რაღაც მითხარიო. ალლაჰის შუამავალი გონზე მოვიდა, შვილს ცრემლები მოწმინდა და წყნარად უთხრა, ვკვდებიო. ფატიმამ ტირილი დაიწყო. კაცობრიობის სიამაყემ იგი დაამშვიდა, ***ჩემი სახლიდან, პირველი, ჩემთან შენ მოხვალო.*** ფატიმას გაუხარდა ეს ამბავი და ოდნავ დაწყნარდა.

შემდეგ მამას უთხრა: „მამიკო! დღეს ჩვენი განშორების დღეა! შენ როდისღა შეგხვდები?“ საყვარელმა შუამავალმა უპასუხა: ***„ჩემო, საყვარელო ქალიშვილო! განკითხვის დღეს აუზითან მნახავ და იქ ჩემ უმმეთს წყალს დაუნაწილებ.“*** ფატიმა დაინტერესდა, თუკი იქ ვერ განახავ იქ, მაშინ რა ვქნაო. საყვარელმა შუამავალმა იგი დაამშვიდა, სასწორთან მიპოვი. იქ, ჩემ ხალხს შუამდგომლობა უნდა გავუწიოო.

შემდეგ ალიმ ჰკითხა დამწუხრებული ხმით, კაცობრიობის სიამაყეს: „ალლაჰის შუამავალო! როცა სულს მიაბარებ, ტანი ვინ უნდა დაგბანოს? რაში უნდა გაგახვიოთ? ლოცვის აღვლენას ვინ უნდა უწინამძღვროს? საფლავში ვინ უნდა ჩაგდოს?

უკეთილშობილესმა მუჰამმედმა უპასუხა: ***„ალი, ტანი შენ დამბანე, ფაზლ ბინ აბბასმა წყალი დაგისხას. მესამე ჯიბრაილი იქნება. დაბანის დამთავრების შემდეგ, გამახვიეთ. ჯიბრაილი სამოთხიდან სუნამოს მოიტანს. შემდეგ მეჩეთში წამიღეთ, იქ დამასვენეთ და გარეთ გადით, რადგანაც ჯერ ჯებრაილმა, შემდეგ მიქაილმა და ისრაფილმა, ბოლოს კი ანგელოზებმა ჯგუფური ლოცვას უნდა აღავლინონ. შემდეგ თქვენც შემოდით, მწკრივებში დადექით.“***

შემდეგ ღეზრაილს ჰკითხა: ***„ღეზრაილ, ჩემ სანახავად მოხვედი თუ სულის ასართმევად?“*** სიკვდილის ანგელოზმა უპასუხა, თან სტუმრად და თან ჩემი საქმის შესასრულებლადო. უზენაესმა ალლაჰმა მიბრძანა, რომ შენთან შემოსვლაზე ნებართვა მეთხოვა. ალლაჰის შუამავალო, შენს დალოცვილ სულს მხოლოდ შენი ნებართვის შემდეგ ამოვიღებ. თუკი ნებას მომცემ, შენ სულს მივიბარებ, თუკი არ მომცემ უკან დავბრუნდები.

საყვარელმა შუამავალმა ჰკითხა; ***„ღეზრაილ, ჯიბრაილი სად დატოვე?“*** მან უპასუხა, დედამიწის კაბადონზე დავტოვე, ანგელოზები შენი გარდაცვალების თაობაზე მას უსამძიმრებენო. ამ დროს ჯიბრაილიც მოვიდა. ალლაჰის შუამავალმა მას ჴუთხრა: ***„ო, ძმაო ჯიბრაილ! უკვე დედამიწიდან გადაბარგების დრო მომივიდა. მითხარი ალლაჰისგან რა მელის, სული პატრონს დამშვიდებულმა, რომ ჩავაბარო.“*** ჯიბრაილმა ის დაამშვიდა: ***„ალლაჰის საყვარელო მსახურო! მე ზეცის კარიბჭე ღია დავტოვე. ანგელოზები მწკრივებში დგანან, შენს სულს სიყვარულით ელოდებიან.“*** ალლაჰის შუამავალმა მტავარანგელოზს უთხრა: ***„ქება-დიდება მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის. მიმახარობლე ალლაჰის წინაშე რა მელოდება!“*** ჯიბრილმა მიუგო: „ალლაჰის შუამავალო, შენ შემოსაბრძანებლად სამოთხის კარები გაიხსნა, იქ მდინარეებმა დინება დაიწყო, სამოთხის ხეებმა მოისხა, ჰურები მოირთვნენ.“

შემდეგ ალლაჰის შუამავალმა ჯიბრაილს უთხრა: ***„უზენაესი ალლაჰთან სამი თხოვნა მაქვს: პირველი, ჩემი ხალხის ცოდვების შენდობისთვის ჩემი შუამდგომლობა მიიღოს, მეორე, დედამიწაზე ჩადენილი ცოდვების გამო ისინი არ დასაჯოს, მესამე, ხუთშაბათს და ორშაბათს ჩემი ხალხის გაკეთებული საქმეები მაცნობოს.*** *(თუკი*

*მათი საქმენი სასიკეთო იქნება მათთვის შევევედრები და უზენაესი ალლაჰი მიიღებს ჩემ შევედრებას. თუკი მათი საქმენი ცუდია, ვიშუამდგომლებ, რათა მათი ცოდვები წაიშალოს)**“.*** ჯიბრილმა მას აცნობა რომ, უზენაესმა ალლაჰმა ეს სამი თხოვნა მიიღო. ამის შემდეგ საყვარელი შუამავალი დამშვიდდა.

შემდეგ მან ღაზარაილს უთხრა: ***„ახლა მოვისვენე ღეზრაილ! რაც გებრძანა სისრულეში მოიყვანე!“***

ღეზრაილი დავალებული საქმის შესასრულებლად შუამავალს მიუახლოვდა. გვერდით არსებულ წყლის ჭურჭელში ორი თითი დაისველა, სველი ხელები მა დალოცვილ სახეზე მოუსვა და წარმოთქვა; ***„ლა ილაჰე ილლელაჰ! ღმერთო ჩემო! რეფიყი ალაი!...“*** ამით მან საყვარელი შუამავლის სულის ართმევა დაიწყო. კაცობრიობის სიამაყეს ფერი ეცვლებოდა, ხან ყვითლდებოდა და ხან წითლდებოდა. მან ღეზრაილს ჰკითხა, ჩემი მიმდევრების სულსაც ასე მკაცრად და ძალით იღებო. ღეზრაილმა მიუგო; „ალლაჰის შუამავალო! არავის სული ასე ადვილად არ ჩამიბარებია“. ალლაჰის შუამავალი თანამიმდევრებს სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც კი არ ივიწყებდა, მან ღაზრაილს სთხოვა: ***„ის სიმკაცრე, რაც ჩემს მიმდევრებზე უნდა გამოავლინო, ჩემზე გადმოიტანე! ვინაიდან ისინი უმწეონი არიან, ვერ გაუძლებენ...“*** შემდეგ „ლა ილაჰე ილლელაჰ“ წარმოთქვა და დალოცვილი სული განუტევა..

ჯიბრილმა, ალლაჰის შუამავალს მიმართა; „ალლაჰის სალამი შენ, უზენაესი ალლაჰი შუამავალო! ჩემი საქმე და სურვილი შეთან ურთიერთობა იყო. ამის შემდეგ დედამიწაზე აღარ მოვალ!„

როდესაც საყვარელი შუამავალი გარდაიცვალა, ფატიმამ და ყველა მართლმორწმუნის დედებმა, შუამავლის მეუღლეებმა ტირილი დაიწყეს.

ამ დროს ხმა მოესმა:

„ალლაჰის სალამი თქვენ შუამავლის სახლეულო! წყალობა და ბარაქა თქვენ!“ ასე მიესალმა ეს ხმა მათ და აქვე სურა „იმრანის„ 185-ე აიათი წაიკითხა; ***„ყველა სული იგემებს სიკვდილს და ყველა თქვენგანი სრულად მიიღებს საზღაურს აღდგომის დღეს.“*** იმრან

შემდეგ იგივე ხმამ ისინი დაამშვიდა; „უზენაესი ალლაჰის სიკეთესა და საჩუქარს მიენდეთ. მას შემოეხვიეთ გარს და მას ჩასჭიდეთ ხელი. მოთქმით არ იყვიროთ! ნამდვილ უბედურებას ის გადააწყდება, რომელსაც მადლი არ ექნება!“

ეს სიტყვები ყველა იქ მყოფმა გაიგონა და მისი სალამი მიიღო. ამ სიტყვების პატრონი ჰიზირი იყო.

შუამავალის სიკვდილის ამბავი, იემენში წასასველელად გამზადებულ ჯარს აცნობეს. უსამე, ომერი და ებუ უბეიდე ამ მწარე ამბის გაგების შემდეგ წამოვიდნენ და შუამავლის მეჩეთში მივიდნენ. მათ დაინახეს, რომ შუამავლის მეუღლეები ტიროდნენ, მაგრამ ვერ მიხვდნენ, თუკ რა მოხდა. როცა სამწუხარო ამბავი, გაიგეს გაოგნდნენ. ალი მკვდარივით გაშეშებული დარჩა. ოსმანს ენა ჩაუვარდა. ებუ ბექირი ამ დროს სახლში იმყოფებოდა. იგი გულამოვარდნილი მოვიდა, შუამავლის ოთახში შევიდა, მის ცხედარს დახედა და მიხვდა რომ ალლაჰის შუამავალი გარდაცვლილიყო. მიუხედავად ამისა კაცობრიობის სიამაყეს დალოცვილი პირისახე და სხეულის ყველა ნაწილი უბრწყინავდა. „მიცვალებული ისეთივე მშვენიერი ხარ, როგორიც ცოცხალი იყავიაო“-წარმოთქვა ებუ ბექირმა და ცხედარს აკოცა. იმდენი იტირა, შუამავლის დალოცვილი სახე თავისი ცრემლებით დაფარა. შემდეგ სახლის მკვიდრნი დაამშვიდა, მეჩეთში მივიდა, მინბერზე ავიდა და საჰაბეებს მიმართა. თავის სიტყვაში უზენაესი ალლაჰი შეაქო და განადიდა, მერე ალლაჰის შუამავალის სალათი ჩაიკითხა და ბრძანა; ***„ვინც მუჰამმედი ირწმუნა იცოდეს, რომ იგი გარდაიცვალა, ხოლო ვინც ალლაჰი ირწმუნა, ახსოვდეს, რომ შუამავალი ცოცხალი და უკვდავია.“*** ამის შემდეგ ებუ ბექირმა სურა იმრანის 144-ე აიათი წაიკითხა: ***„მუჰამმედი მხოლოდ შუამავალია, მის მოსვლამდეც*** *(უამრავმა)* ***შუამავალმა. თუ ის მოკვდება ან მოკლავენ, ნუთუ უკან გამოქუსლავთ? და ვინც უკან მოქუსლავს, ამით ვერაფერს დააკლებს ალლაჰს, ხოლო მიუზღავს ალლაჰი მადლიერთ!“***

საჰაბეები დამშვიდნენ, სიტუაცია მოაწესრიგდა. ყველა ირწმუნა რომ ალლაჰის შუამავალი უკვე გარდაიცვალა. ყველა ძალიან დამწუხრდა, იქაურობა მწუხარებამ მოიცვა.

საჰაბეტა უპირველესი მოვალეობა შუამავლის მიმდევართა მმართველის დანიშვნა იყო და მატაც ჰალიფად წმინდა ებუ ბექირი დაადგინეს, მას დაემორჩილნენ და მისი ბრძანების მიხედვით დაიწყეს მოქმედება.

ალლაჰის შუამავალი, ჰიჯრით მეთერთმეტე წელს (მილადით 632) რებიღულ ეველი თვის მე-12-ე დღეს, ორშაბათს შუადღემდე გარდაიცვალა. როდესაც იგი მარადიულ სასუფეველში წაბრძანდა. ამ დროს მთვარის კალენდრის მიხედვით იგი 63 წლის, ხოლო მზის კალენდარის მიხედვით 61 წლის იყო. საყვარელი შუამავალი ალიმ, აბბასმა, ფაზლ ბინ აბბასმა, ქუსემ ბინ აბბასმა, უსამე ბინ ზეიდმა და სალიჰმა დაბანეს. დაბანის დროს დალოცვილ ტანზე ისეთი მშვენიერი სურნელი ასდიოდა, რომლის მსგავსიც მანამდე არავის უგრძვნია. შემდეგ ქეფინში გაახვიეს და მეჩეთში წაიღეს, დანაბარების მიხედვით ცხედარი მეჩეთში დაასვენეს და გარეთ გამოვიდნენ. ანგელოზები მწკრივებში დადგნენ და ლოცვა აღავლინეს, შემდეგ ხმა მოესმათ შემოდით და თქვენც ილოცეთო, შევიდნენ მწკრივებში დადგენ და იმამის გარეშე ილოცეს. ლოცვა ოთხშაბათ დღეს, საღამომდე ძლივს დაასრულეს.

საჰაბეები საყვარელი შუამავლის საფლავის ადგილის თაობაზე, ებუ ბექირის მიერ გადმოცემულ ჰადისს მიყვნენ: ***„შუამავალნი, სადაც გარდაიცვლებიან იქ იქნებიან დასაფლავებულნი.“*** ებუ ტალჰას მიერ გათხრილ საფლავში, ალლაჰის შუამავალი ოთხშაბათ დღეს, შუაღამისას ჩაასვენეს.. წმინდა აბბასის შვილი ქუსემი, ყველაზე ბოლოს ამოვიდა საფლავიდან. მან თქვა: „ალლაჰის შუამავლის პირისახის უკანასკნელი დამნახავი მე ვიყავი. დალოცვილი ბაგეები უცემდა. დავიხარე და ყური დავადე. ის ევედრებოდა: ***„ღმერთო ჩემო! ჩემი მიმდევრები!... ღმერთო ჩემი! ჩემი მიმდევრები!..“***

როდესაც საყვარელი შუამავალი საიქიოში წაბრძანდა, წმინდა აბდულლაჰ ბინ ზეიდი შეევედრა ; „ღმერთო ჩემო! თვალები საყვარელი შუამავლის სახის დასანახად მინდოდა. როცა მას ვეღარ დავინახავ, რად ვქნა! ღმერთო ჩემო! თვალის ჩინი წამართვი!“ ამ ვედრების შემდეგ აბდულლაჰი, მართლაც დაბრმავდა.

ზოგიერთი მუსლიმის მიერ ისლამზე უარყოფის შემთხვევები

შუამავლის გარდაცვალების შემდეგ, ზოგიერთმა მუსლიმანმა სარწმუნოების წინააღმდეგ მიმართული მოძრაობები წამოიწყო.. თანდათანობით ეს მოძრაობები საკმაოდ გაძლიერდა. ამათთან ყველაზე დიდი ბრძოლა ებუ ბექირს მოუწია. მისნაირი მტკიცე პიროვნება რომ არ ყოფილიყო მორწმუნეთა სათავეში, შეიძლებოდა ეს დავადება მთელი არაბეთის ნახევარკუნძულზე გავრცელებულიყო. ამის შესახებ აიშე გადმოგვცემს: ***„როცა ალლაჰის შუამავალი გარდაიცვალა, არაბებმა სარწმუნოება უკუაგდეს. უკეთურება გაღვივდა. მამაჩემზე თავდამსხმელს მთებისთვის რომ შეეტია, უთუოდ, მათაც დააპატარავებდა!“***

ებუ ჰურეირას აზრით, წმინდა ებუ ბექირი რომ არ ყოფილიყო, საყვარელი შუამავალის გარდაცვალების შემდეგ მისი მიმყოლები, უთუოდ განადგურდებოდნენ!

„ქება-დიდება ერთადერთ ალლაჰს, ჰალიფად ებუ ბექირი რომ არ ყოფილიყო, უზენაესი ალლაჰის მონა-მსახურად აღარავინ დარჩებოდა!“ – აბუ ჰურეირას ასე უთქვამს და ეს წინადადება სამჯერ გაუმეორებია.

ებუ რეჯაუ უთარიდი ამბობს, რომ როდესაც მედინაში ჩავიდა, ერთად შეგროვილი ხალხი დაინახა, მათგან ერთ-ერთმა მეორეს უთხრა: „ჩემი თავი შემოგევლოს! ღმერთს ვფიცავ, შენ რომ არ ყოფილიყავი, ჩვენ, უეჭველად, გავნადგურდებოდით!“ და თავზე აკოცა.

როდესაც ებუ რეჯაუმ იკითხა, თუ ვინ იყო ის, ვისაც თავზე აკოცეს და ისიც, ვინც თავზე აკოცა, მას უპასუხეს, რომ ისლამის მოწინააღმდეგეთა დაუძინებელ მტერს აბუ ბექირს თავზე ომერმა აკოცა.

აიშე გადმოგვცემს: „როდესაც ეს მოძრაობები დაიწყო, ებუ ბექირმა ხმალი შემოირტყა და აქლემზე ამხედრდა, მასთან ალი მივიდა და უთხრა: ***„რაც შუამავალს უჰუდის ომის დროს ვუთხარი შენც იგივეს გეუბნები: ხმალი ქარქაშში ჩადე, საფრთხეში თავს ნუ იგდებ და ნუ გვტანჯავ! ღმერთს ვფიცავ რომ შენ რომ რამე დაგე-***

მართოს, მერე, ისლამს აღარაფერი ეშველება.“

აიშე იმ დღეებს ასე აღგვიწერს: „ალლაჰის შუამავლის გარდაცვალების შემდეგ არაბი ტომების უმრავლესობამ სარწმუნოება უარყო. იუდაისტური, ქრისტიანული, და მუნაფიყური მოძრაობები დაიწყო.

მუსლიმები, ზამთრის ღამეში მთას შეფარებულ და თავს წვიმადატეხილ ფარას დაემსგავსნენ. ამ დროს, მექელებმაც ისლამისგან განდგომა გადაწყვიტეს. სუჰეილ იბნი ამრი ქაბას კართან დადგა და მექელებს გასძახა. მისმა საუბარმა შედეგი გამოიღო და ეს მოძრაობა შეაჩერა.

ისლამის ისტორიაში, რელიგიის უარყოფას „ირთიდა“ ანუ უკან დაბრუნება, ხოლო „მურთედი“ უკან დაბრუნებულს ნიშნავს. ეს ტერმინები გამოყენებული იქნა ჰადისებში.

შუამავლის გარდაცვალების შემდეგ მუნაფიყები იუდეველებმა და ქრისტიანებმა წააქეზეს და მათაც რელიგიის მიტოვება დაიწყეს.

სუჰეილ ბინ ამრი, ქააბას კართან დადგა და მექელებს მიმართა:

„მექას მკვიდრნო, თქვენ ყველაზე ბოლოს მიიღეთ ისლამი. გაფრთხილებთ, სარწმუნოების უარყოფაში პირველები არ იყოთ! ღმერთს ვფიცავ, როგორც უზენაესმა ალლაჰმა საყვარელ შუამავალს უთხრა, ეს საქმე უთუოდ ისე იქნება! ჩემთან ერთად „ლა ილაჰე ილლელაჰ წარმოთქვით,“ თქვენი შემხედვარე არაბები ისლამს ეზიარებიან და ხარკს აღარ გადაგიხდიან! ღმერთს ვფიცავ, კისრასა და კაისერის ხაზინები ალლაჰის გზაზე დაიხარჯება!

ჩვენ ვნახეთ, რომ, ვინც რელიგიას არაფრად აგდებდა, ზექათის გაღება დაიწყო. ღმერთს ვფიცავ, ალლაჰს ყველა დაემორჩილება! მე ვიცი, რომ სანამ მზე ამოსვლას და ჩასვლას გააგრძელებს, მანამდე ეს სარწმუნოება ძალაში იქნება. თქვენს შორის მყოფებმა არ შეგაცდინოთ! რაც მე ვიცი, მათაც იციან, მაგრამ თქვენ არ გეუბნებიან.

მაგრამ ჰაშიმის შვილების მიმართ შურმა მათ გულები დაულუქა. ადამიანებო, ზექათი გადაიხადეთ!

თუკი ისლამი განადგურდება, გარანტიას გაძლევთ, რომ ტქვენ მიერ გადახდილი ზექათი უკან დაგიბრუნდებათ.“ ამ სიტყვების შემდეგ სუჰეილმა ტირილი დაიწყო.

ამ საუბრის შემდეგ ხალხი დაწყნარდა

სუჰეილ ბინ ამრმა, ამ მომაჯადოებელი მიმართვის შემდეგ მექას მკვიდრთ აზრი შეაცლევინა. ქალაქის გუბერნატორად ათთაბ ბინ ესიდი დაინიშნა.

სუჰეილ ბინ ამრი, ბედირის ბრძოლაში, წარმართების რიგებში იბრძოდა და მუსლიმებს ტყვედ ჩაუვარდა. საყვარელმა შუამავალმა ომერს უთხრა, ამ კაცის საქმე ***„გამოუვალ მდგომარეობაში ხალხის საუბრით მოჯადოება არისო.“***

როდესაც ომერმა სუჰეილის მიმართვა გაიგონა, მას ამ კაცის შესახებ შუამავლის ნატქვამი სიტყვები გაახსენდა და გამომდინარე აქედან თავი ვეღარ შეიკავა, რომ არ ეტქვა: ***„მე მოწმე ვარ, რომ შენ, უეჭველად ალლაჰის შუამავალი ხარ!“***

საფლავში ცხოვრება

საფლავში ცოცხლად ყოფნა

შუამავლები საფლავებში ცოცხლები არიან, მაგრამ ჩვენტვის უცნობია, თუ რა ფორმით და რა ვითარებაში ცხოვრობენ იქ ისინი. ევლიები და შეჰიდებიც საფლავში იგივე მდგომარეობაში არიან. სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით ცოცხალნი არიან უზენაესი ალლაჰი ალი იმრანს სურას 169 აიათში შემდეგნაირად გვამცნობს: ***„და შენ მკვდრად არ ჩათვალო არავითარ შემთხვევაში ისინი, ვინც დაეცა ალლაჰის გზაზე, არამედ ცოცხალნი არიან, თავიანთ ღმერთთან იღებენ სარჩოს.“***

ეს აიათი გვამცნობს რომ შეჰიდები ცოცხალნი არიან. შუამავალნი რათქმა უნდა შეჰიდებზე საფეხურით უფრო მაღლა არიან. ისლამის სწავლულების მიხედვით ყველა შუამავალი, შეჰიდად არის გარდაცვალებული. შუამავალის უკანასქნელი ავადმყოფობა, როცა შუამავალი ამბობს ***„ჰეიბერში მოწამლული ხორცის სიმწარე ყოველთვის ვგრძნობდიო“***, ეს ჰადისი გვამცნობს რომ, საყვარელი შუამავალი შეჰიდად აგარდაიცვალა.

აქედან გამომდინარე შუამავალი საფლავში შეჰიდების მსგავსად ცოცხალი, ამას ასევე მოწმობს ბუჰარისა და მუსლიმის გადმოცემული ჰადისი, „***მიღრაჯის ღამეს, მუსა შუამავალის საფლავის გვერდზე გამარონიეს. საფლავში ფეხზე წამომდგარი ლოცვას აღავლენდაო.“***

სხვა ჰადისში კი; ***„უზენაესმა ალლაჰმა, მიწას აუკრძალა შუამავლების ორგანიზმის დალპობა“*** ბრძანა. კონცესუსია ყველა სწავლულისა ამ თემაზე, ასევე ბუჰარი და მუსლიმი გადმოგვცემენ; ***„უზენაესმა ალლაჰმა მიღრაჯის ღამეს, ყველა შუამავალი, მუჰამმედ შუამავალთან წარგზავნა, მათ იმამობა გაუკეთა და ორი მუხლი ლოცვა აღავლინა მათთან ერთად.“***

ლოცვის აღვლენა რუქუღითა და სეჯდეთი არის შესაძლებელი. ეს ამბავი, ცოცხალი ტანით ლოცვის ავლენა გვამცნობს. მუსა შუამავალის საფლავში ლოცვა ამას გვამცნობს. ***„მიშქათ“*** წიგნის

ბოლო ტომში, მირაჯის თემის ბოლოს; მუსლიმდენ ებუ ჰურეირას გადმოცემული წმინდა ჰადისია; ***„უზენაესმა ალლაჰმა მე მაჩვენა. მუსა ფეხზე ლოცვას აღავლენდა. თმები გაშლილი ჰქონდა. შენე ტომის ჭაბუკს გავდა. ურვე ბინ მესუდ სეყაფის გავდა.“***

შენე იემენში არსებული ორი ტომის სახელია. ეს ჰადისი გვამცნობს რომ შუამავალნი ალლაჰის წინაშე ცოცხალნი არიან.

ამიტომაც შუამავალნის ფიზიკურად და სულიერად ხილვა. წმინდა ჰადისში მუსა შუამავალის ლოცვას აღწერს, ლოსვა კი, სულით შეუძლებელია, მხოლოდ ტანით არის შესაძლებელი. მუსა შუამავალი ***საშუალო აღნაგობის, გამხდარი, იყო.*** ეს ჰადისი გვამცნობს რომ მუსა შუამავალი სულიერად კი არა ფიზიკურად დაინახა.

იმამი ბეიჰექი ბრანებს რომ, შუამავლსნ როცა მიწაში ჩადებენ სული მათი უკან დაუბრუნდება. ჩვენ ამას ვერ ვიხილავთ. ანგელოზების მდგავსად, უხილავი გახდებიან. მხოლოდ უზენაესი ალლაჰის მადლის მქონენს შეუძლიათ მათი დანახვა. იგივეს გადმოგვცემს იმამი სუიუტიც.

უამრავის გადმოგვცემენ როცა სალამს მისცემდნენ სასაფლაოზე სალამს უბრუნებდნენ. წმინდა ჰადისში: ***„მე რომ სალამს მომცემენ, უზენაესი ალლაჰი სულს უკან გამომიგზავნი და მე სალამს გამოვართვამ.“***

საფლავში შუამავალის სიცოცხლის შესახებ უამრავი ჰადისი რომელიც ერთი მეორეს ამტკიცებს; ერთ-ერთ ჰადისში შუამავალი ბრძანებს; ვინც მოვა და ჩემთვის „ელლაჰუმმესჰველს“ ჩაიკითხავს ჩემს საფლავთან მე იმას გავიგონებ, და ვინც შორიდა გამომიგზავნის მე იმას მაცნობებენ.

აბდულლა ბინ აბბასის გადმოცემის თანახმად; თუკი ვინმე, თავისი ნაცნობის საფლავზე გაივლის და სალამს მისცემს, მკვდარი მას იცნობს და სალამს გამოართმევს. „***უცნობს თუ სალამს მისცემს გაიხარებს და პასუხს გასცემს.“***

ალლაჰის შუამავალს ასეთ შეკითხვას დაუსვამენ, თუკი დედამიწის ყველა ადგილებიდან მოსულ სალატებს როგორ უნდა გასცე პასუხიო, შუამავალმა მიუგო: შუადღისას მზე ათასობით ქალაქს

ანათებსო.

იბრაჰიმ ბინ ბიშარმა ჰაჯის შესრულების შემდეგ, მედინაში შუამავალის საფლავზე გაემართა, სალამი მისცა და თქვა პასუხი გავიგონე სალამი გამომართვაო.

საყვარელმა შუამავალმა ბრძანა: ***როცა მოვკვდები როგორც ცოცხალი ისე გავიგებო.*** სხვა ჰადისში კი; ***შუამავალნი საფლავებში ცოცხალნი არიან და ლოსცა აღავლენენო.***

ევლია სეიდ აჰმედ რიფაი და სხვა უამრავი ევლიებმა თქვეს, როცა შუამავალს სალამს ვაძლევდით უკან გვიბრუნებდაო, ასევე აჰმედ რიფაიმ თქვა მე შუამავალს ხელზე ვაკოცეო რომელიც უამრავ წიგნში არის მოცემული.

იმამი სუიუტი თავის წიგნში ასე ბრძანებს, ევლიებს შეუძლიან შუამავალნი ცოცხალი დაინახონ. საყვარელი სუამავალის მხრიდან მუსა შუამავალის დანახვა, ერთ გვარი სასწაული იყო. ევლიების შუამავალნის დანახვა ქერამეთია, ქერამეთის არ დაჯერება უვიცობის ხანიდა მოდის.

იბნი ჰიბბანის, იბნი მაჯესა და ებუ დავუდის გადმოცემულ ჰადისებში: ***„ჯუმა დღეს მე ბევრი სალავათი მიკითხეთ! ესენი მე მეცნობება.“*** ასე ბრძანა. საჰაბენმა შეეკითხნენ სიკვდილის შემდეგაც გემცნობაო როცა ჰკითხეს?

მიწა შუამავალნის ორგანიზმს არ დაალპობს. ერთი მორწმუნე როცა მე სალათს მიკითხავს, ანგელოზი მე მაცნობებს ამან და ამან შენ სალათი გამოგიგზავნაო.

ალლაჰის შუამავალი როგორც წყალობა ოკეანისა საჰაბენისთვის სიცოცხლეში სიკვდილის შემდეგავ წყალობა და მადლია მორწმუნენისა.

ბექირ ბინ აბდულლა მუზენის გადმოცემის თანახმად, საყვარელმა შუამავალმა: ***ჩემი სიცოცხლე თქვენთვის სიკეთეა. მე მომიყვებით რაც გსურთ. მეც თქვენ მოგიყვები და განგიმარტავ. ჩემი სიკვდილიც თქვენთვის სიკეთეა. თქვენს საქმეებს მე მაჩვენებენ. თუკი კარგი იქნება თქვენი სამენი, უზენაეს ალლაჰს მადლობას***

გადაუხდი. თუკი ცუდი იქნება საქმენი თქვენნი მაშინ უზენაეს ალლაჰს თქვენს შენდობას და პატიებას ვთხოვ.

ქუსემ ბინ აბბასს შუამავალის დასაფლავების პატივი დაედო. ყველაზე ბოლოს იგი ამოვიდა საფლავიდან და თქვა:

შუამავალის დალოცვილი პირისახე ყველაზე ბოლოს მე დავინახე. საფლავში დალოცვილ ბაგეებს აქანებდა. მე დავიხარე და ყური დავადე, ღმერთო ჩემო! ჩემი მიმდევარნი!... ღმერთო ჩემო! ჩემი მიმდევარნი!... ასე ამბობდა.

ალლაჰის შუამავალის ხილვა

ალლაჰის შუამავალის ძილში ან სიფხიზლესი ხილვა შესაძლებელია? თუკი ვიხილავთ ეს თავადაა თუ სხვაა? სწავლულებმა ამ შეკითხვას განსხვავებული პასუხები უპასუხეს. კონსესუსი მიღწეულია შუამავალის საფლავში სიცოცხლეზე, მაგრამ ხილვაზე განსხვავებული პასუხები არის. ერთ-ერთ ჰადისში: ***„მე ვინც სიზმარში მიხილაც, სიფხიზლესი ხილვის მსგავსია.“***

ამიტომ იმამ ნევევი ბრძანებს: მისი სიზმარში ხილვა იგივე როგორც სიფხიზლეში, ჰადისში ასე გვამცნობს; ***„მე ვინც სიზმარში მიხილავს ჭეშმარიტად მე მიხილა, ვინაიდან ეშმაკი ჩემს ფორმაში ვერ შევა.“***

იბრაჰიმ ლეყანი ბრძანებს: „ჰადისის სწავლულები ასე გვამცნობენ შუამავალის სიზმარსიც და სიფხიზლეშიც ხილვა შესაძლებელია. ორივე მდგომარეობის თაობაზე უამრვა მტკიცებულება გადმოუციათ რომელთაც ქვემოდ გადმოგცემთ.

მუჰიდდინ ჩეშთი ქვეყნებს მოგზაურობდა და იქ სასაფლაოებს ინახულებდა, იქ დროებით რჩებოდა. როცა მას გაიცნობდნენ იქიდან ჩუმად წამოდიოდა. ასეთნაირად მექაში ჩავიდა ქაბე ინახულა და მედინაში გაემგზავრა. შუამავალის საფლავი როცა მოინახულა, საფლავიდან ხმა მოესმათ, ***„მუჰიდდინი დაიძახეთ“.***

მესაფლავემ მუჰიდდინი დაიძახეთო ბრძანა, მაგრამ იქ უამრავი მუჰიდდინი იყო ამიტომ, უკან შებრუნდა და რომელი მუჰიდდი-

ნიო იკითხა, საფლავიდან პასუხი მიიღო მუჰიდდინ ჩეშთიო და დაუძახა მუჰიდდინ ჩეშთის, მუჰიდდინ ჩეშთის სახე შეეცვალა, შუამავალის სასაფლაოსთან მიუახლოვდა სალავათი ჩაუკითხა და მოკრძალებით ფეხზე დადგა. საფლავიდან ხმა მოესმა ო, მუჰიდ-დინ შიგნით შემოდი ხმა მოესმა.

საყვარელმა შუამავალმა ბრძანა: ***„შენ ჩემი სარწმუნოების მსა-ხური ხარ. შენ ინდოეთში უნდა წახვიდე. ინდოეთში წადი, იქ ეჯმირის სახელის ქალაქი არსებობს. იქ ჩემი შვილიშვილებიდან სეიდ ჰუსეი-ნის სახელის კაცი არის. ის ახლა შეჰიდი გახდა. ეჯმირი ურწმუნოს ხელში უნდა ჩაუვარდეთ. შენი იქ ჩასვლი საბაბითა და მადლით, ის-ლამი გავრცელდება და ურწმუნონი დამარცხდებიან. შემდეგ მას ბროწეული მისცა; ამ ბროწეულს კარგათ შეხედა და ის გამცნობს თუ სად უნდა წახვიდეო. მუჰიდდინ ჩეშთიმ შუამავალის მიცემული ბროწეული აიღო და როგორც უბრძანა ისე შეხედა, დასავლეტი და აღმოსავლეთი მთლიანად იხილა.“***

აჰმედ რიფაი ჰაჯში წავიდა. როცა ჰაჯობა დაასრულა მედინაში შუამავალის საფლავის მოსანახულებლად გაემგზავრა, მივიდა იქ და ლექსი წარმოთქვა:

შორსაა მიწა
დასაკოცნად ბატონო
მე ვერ მოვალ
ვექილად სულს გამოვგზავნი

ახლა შენი ნახვა
წილად მერგო მე
მომეცი დალოცვილი ხელი
ბაგემ აკოცოს საყვარელო.

როდესაც ლექსი დაამთვარა, შუამავალის საფლავიდან დალოცვილი ხელები გამოჩდა. აჰმედ რიფაიმ მოკრძალებულად ხელები დაუკოცნა. იქ მყოფმა ყველა, გაოცებული უყურეს ამ მდგომარეობას. შემდეგ რავზაი მუტტაჰარას კარები ჩამოწვა. ტირილი დაიწყო და ჩემზე გადაიარეთო ხალხს შევედრა ხალხმა სხვა კარებიდან გამოვიდნენ, ეს ამბავი მთელ ქვეყანას მოედო და ასეთნაი-

რად მოაღწია დღემდე.

იბნი აბიდინი ქერამეთებით აღსაცსე პიროვნება იყო, როცა ხუთი დროის ლოსვა ლოცულობდა თეხიათზე დაჯდომიდ როს შუამავალის ხედავდა და ტუ ვერ დაინახავდა ხელმეორედ ლოცულობდა ამ ლოცვას.

ისლამის ***სწავლულებიდან იმამი რაბბანმა*** თქვა მარხვის ბოლო ათი დღე იყო, საწოლზე წამოწოლილი ვიყავი და თვალები დახუჭული მქონდა. ვიგრძენი რომ, ჩემს საწოლზე ვიღაცა ჩამოჯდა. ავახილე თვალები რომ, რას ვხედავ. წინათ მყოფთა და შემდეგთა ბატონი საყვარელი შუამავალია.

საყვარელმა შუამავალმა მითხრა; ***„შენთან ნებართვის მოსაცემად მოვედი. არავისთვის ასეთი ნებართვა არ მიმიცია.“***

აბდულ ყადირ ჯეილანი ღუნიეში იბრაჰიმ თემიმის გადმოცემას გადმოგვცემს:

ჰიზირმა მამცნო რომ, თუკი სიზმარში საყვარელი შუამავალის ნახვა გსურს, საღამოს ლოცვის შემდეგ არავის დაელაპარაკო ღამის ლოცვამდე, შემდეგ ევვაბის ლოსვა ილოცე და ორ მუხლზე სელამი მიეცი. ყუველ მუხლზე ფათიხა და შვილი იჰლასი იკითხე. ღამის ლოცვა ჯემაღეთით აღავლინე და მერე სახლში რომ მოხვალ ვითრი სახლში ილოცე. დაწოლის წინ ორი მუხლი ილოცე და ასევე ფათიჰა და შვიდი იჰლასი იკითხე. ლოცვის შემდეგ სეჯდეზე დაემხე და შვიდჯერ უზენაესი ალლაჰისგან შენდობა ითხოვე, შვიდჯერ სუბჰანელლაჰი ველჰამდულილლაჰი ველა ყუვვეთე ილლა ბილლაჰილ ალიილ აზიმ, იკითხე. შემდეგ სეჯდედან წამოდექი და მუხლებზე დაჩოქილი ხელები მაღლა აღაპყარი და შეევედრე; „იაა ჰაიუ, ია ყაიუმ, ია ზელჯელალი ველ იქრამ, ია ილაჰელ ევველინე ველ აჰირინ ვე ია რაჰმან ედ-დუნია ველ აჰირეთი ვე რაჰიმეჰუმა, ია რაბბი, ია რაბბი, ია რაბბი, ია ალლაჰ, ია ალლაჰ, ია ალლაჰ.

შემდეგ ფეხზე წამოდექი და იგივე ვედრება იკითხე. შემდეგ სეჯდეზე დაემხობი და იგივე ვედრებას იკითხავ. შემდეგ სეჯდიდან წამოდექი და ყიბლისკენ როგორც გესურვოს დაიძინე. სანამ

დაგეძინებოდეს შუამავალისთვის სალათი იკითხე.

მე ვუთხარი; მინდა მითხრა ვინ გამცნო ეს ვედრებაო. წმინდა ჰიზირმა; ნუთუ ჩემი არ გჯერაო? ჭეშმარიტებითურთ საყვარელი შუამავალის მომვლნენ უზენაეს ალლაჰს გეფიცები რომ, მჯერაო ასე მიუგე.

წმინდა ჰიზირმა თქვა: მე იმ დროს იქ ვიყავი როცა შუამავალი თავის საჰაბენს ამ ვედრებას ასწავლიდა.

მისი დარიგების თანახმად მოვიქეცი. ლოგინში სალათის კითხვა დავიწყე, და იმდენად ავღშფოთდი რომ, სუამავალი უნდა მენახა სიზმარსი ძილი დამეფთხო და დილამდე არ დამეძინა.

დილის ლოსვა ვილოცე და მზის ამოსვლამდე დავჯექი. დუჰა ვილოცე და ჩემთავს ვუთხარი საღამობამდე მივაღწევდა იგივეს გავაკეთებ ამაღამაც თქო. ამ დროს ჩამძინებოდა. სიზმარში ანგელოზები მოვიდნენ და სამოთხეში წამიყვანეს. იქ ლალის, ზურმუხტისა და მარგალიტის სასახლეები ვნახე, თაფლის, რძისა და სხვადასხვა სასმისების მდინარეები.

მე ამ ანგელოზებს ვკითხე ეს კოშკი ვისი რომელიც დავინახე. ეს მათთვისაა ვინც შენის მსგავსად მოიქცევა. სამოთხის სასმისი და საჭმელის დავაგემობვნე და სამოთხიდან გამომიყვანეს. შემდეგ იქ მომიყვანეს საიდანაც წამიყვანეს.

შემდეგ, შუამავალის გვერდით 70 შუამავალი და ყველა მწკრივს შორის აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე 70 მწკრივი ანგელოზები ჩემთან მოვიდნენ და სალამი მომცეს და ხელი ჩამჭიდეს. ამ დროს მე; „ო, ალლაჰის შუამავალო! ჰიზირმა მაცნობა რომ ეს ჰადისი შენგან გაუგონია მართალია? საყვარელმა შუამავალმა; ***„ჰიზირმა ჭეშმარიტება თქვა, რაც გადმოგცა ჭეშმარიტებაა. ჰიზირი დედამიწაზე ყველაზე სწავლულია. ღვთისმოშიშთა ბატონია. დედამიწაზე ალლაჰის ჯარისკაცებიდანაა.“***

მე ხემეორედ; ო, ალლაჰის შუამავალო! ამ საქმის შემსრულებელს, სხვა რამე საზღაური ერგება; ***„რაც შენ დაინახე იმაზე უკეთესი რა უნდა იხილო? შენ სამოთხეში შენი ადგილი დაინახე. სამოთხის ხილი მიირთვი და სამოთხის სასმელემი სვი. ჩემს ერთად***

შუამავლები და ანგელოზები იხილე.“

კიდე შევეკითხე; ო, ალლაჰის შუამავალო მე რაც გავაკეთე ისეთი რომ გააკეთოს და ჩემის მსგავსად რომ ვერ ნახოს იგივე საზღაური ერგება. ***„ჩემი ჭეშმარიტ შუამავლად გამომგზავნელ ღმერთს გეფიცები რომ, ჩადენილი ყველა დანაშაული ეპატიება. უზენაესი ალლაჰი მისიდან რისხვას მოხსნის. ჩემი ჭეშმარიტ შუამავლად გამომგზავნელ ღმერთს გეფიცები რომ, რაც შენ სიზმარში ნახე ისიც რომ ვერ ნახოს, იგივე სიკეთე ეწევა. ზეციდან ხმა, უზენაესმა ალლაჰმა ამ საქმის გამკეთებელს აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე მუჰამმედის უმმეთის ჩადენილი ცოდვა აპატიაო, მოესმინება.“***

ო, ალლაჰის შუამავალო! შენი სილამაზისა და სამოთხის მსგავსად რაც მე ვიხილე, ისეთნაირად იმასაც ეს მადლი დაედება? დიახ ყველა მიეცემა; ბრძანა. ო, ალლაჰის შუამავალო! ქალებზე და კაცებზე, ყველაზე მორმუნენზე ამ ვედრების შესწავლება შესაძლებელია. ***„ჩემი ჭეშმარიტ შუამავლად გამომგზავნელ ღმერთს გეფიცები რომ, ამ საქმე მხოლოდ ალლაჰის საყვარელი მსახურნის გარდა ვერავინ გააკეთებს.“***

ვინც სიზმარში მუჰამმედ შუამავალს იხილავს, მან ნამდვილად მუჰამმედ შუამავალი იხილა, ვინაიდან ეშმაკი მუჰამმედ შუამავალის ფორმაში ვერ შევა. მაგრამ შესაძლებელია ეშმაკმა სხვა ფორმით გამოეცხადოს, თუკი მუჰამმედ შუამავალს ვერ იცნობს, იმისთვის გარჩევა ძნელია.

ზოგი სწავლულები ამბობენ რომ, სიზმარში შესაძლებელია რომ, შუამავალი სხვა ფორმაში იხილო მაგრამ ეს იმის მიმანიშნებელია რომ, სარწმუნოებაში რაღაცა ნაკლულები გააჩნია, მაგრამ ვინც შუამავალს სიზმარში იხილავს იგი სამოთხეში მოხვდება.

ებუ ჰურეირა შემდეგ ჰადისს გვამცნობს; ***„ვინც ჯუმა ღამეს ორ მუხლს ილოცავს, ყოველ მუხლზე ფათიხას, აიეთელქურსს, და 15 იჰლასს იკითხავს, ლოცვის შემდეგ 1000-ჯერ ალლაჰუ მესელლი ღელა მუჰამმედინ ნებიიულუმმი ჩაიკითხოს, მეორე ჯუმამდე სიზმარში ნახავს. იმის წარსული და მომავალი ცოდვები ეპატიება. სამოთხე მათთვისაა ვინც მე მიხილავს.***

საყვარელი შუამავალის საფლავის მონახულება

საყვარელი შუამავალი ბრძანებს; ***„ვინც ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს საფლავზე მოვა და მინახულებს, იმის მსგავსი ვინც მე სიცოცხლეში მიხილოს. ვინც ჩემს საფლავს მოინახულებს შუამდგომლობა სავალდებულო გახდება.“*** ეს ჰადისი, იბნი ჰუზეიმემ, ბეზზარმა, დარი ქუთნიმ და ტაბერიმ გვამცნო. ბეზზარი სხვა ჰადისში კი; ***„ჩემი საფლავის მნახველისთვის ჩემი შუამდგომლობა ჰელალია.“*** მუსლიმისა, და ებუ ბექრი ბინ მექარინინ მუღჯემში გადმოცემულ ჰადისში; ***„ვინც ჩემი მონახულებისთვის მოვა და სხვა განზრახვა არ აქვს, აღდგომის დღეს, მასზე ჩემი შუამდგომლობა სავალდებულო გახდა.“*** ამ ჰადისში ალლაჰის შუამავალი მედინაში მისი საფლავის მომნახველს შუამდგომლობის გაწევა აღუთქვა.

დარე ქუმის გადმოცემულ სხვა ჰადისში; ***„ვინც ჰაჯს აღასრულებს, და ჩემს საფლავს არ მოინახულებს მე გულს მატკენს“*** ბრძანა. შუამავალის საფლავის მონახულებით მსახურნი მადლს მოიგებენ.

ამისთვის, ფიქიჰის სწავლულები, ჰაჯის აღსრულების, მედინე მუნევვერის მონახულება და იქ ლოცვაა ურჩევიათ. ამის შემდეგ ყველა ის ადგილი სადაც შუამავალი ვაჰს იღებდა და სადაც საჰაბენი დადიოდენ ამათი მონახულება ურჩევიათ. ამიტომაც დღეისათვის ჰაჯები მედინე მუნევვერეს მოინახულებენ.

ისლამი სწავლულების მზე ებუ ჰანიფე ბრძანებს რომ, საფლავის მონახულება მუსთეჰაბია და ვაჯიბთან ახლოსაა.

ვინც შუამავალის საფლავს მოინახულებს, მან ბევრი სალათი უნდა იკითხოს. ზემოთ მოგახსენეთ რომ, ჩაკითხული სალათები შუამავალთან მიდის. შუამავალის საფლავის მონახულების წესი შემდეგნაირად უნდა შესრულდე: როდესაც მედინე მუნევვერეს შორიდან დავინახავთ სალათი და სელამი უნდა ჩაიკითხო. შემდეგ; „ალლაჰუმმე ჰაზა ჰარემუ ნებიიქე, ფეჯეღელჰუ ვიყაიეთენ ლიი მინენნარ ვე ემანენ მინელ ღეზაბ ვე სუილ ჰისაბ. თუკი შესაძლებელია ქალაქში შესვლამდე ან მეჩეთში შესვლამდე ტანი უნდა დაიბანო. კარგი სუნამო მოისმება. ახალი, სუფთა სამოსი

უნდა ჩაიცვა. რადგანაც ეს ყველაფერი პატივსაცემადაა. მედინე მუნევვერეში მშვიდად შესვლა საჭიროებს. ბისმილლაჰი ვეღელა მილლეთი რესულილაჰ თქმის შემდეგ, ისრა სურას 80 აიათი უნდა იკითხო: ვინც ჰმორჩილებს შუამავალს, უეჭველად, ის ალლაჰის მორჩილია. და ვინც შეგაქციოს სახე, მაშ, არა ხარ წარგვიგზავნილი გუშაგად მათდა შენ. ამის შემდეგ; ალლაჰუმმესელი ღელა მუჰამმედინ ვეღელა ალი მუჰამმედინ. ვეღფირლი ზუნუბი ვეფტეჰ ლიი ებვაბე რაჰმეთიქე“ ამის შემდეგ შეისვლება მესჯიდი ნევებიიეში. შემდეგ შუამავალის მინბერის გვერდით ორი მუხლი თაჰიათულ მესჯიდი ილოცება, მინბერის ბოძი, მარჯვენა მხარის გვერდით უნდა იყოს.

საყვარელი შუამავალი აქ ლოცულობდა. ეს, შუამავალის საფლავსა და მინბერს შორის ადგილია. წმინდა ჰადისში შუამავალი ბრძანებს; ***„ჩემი საფლავისა და მინვერს შორის ადგილი სამოთხის ბაღებიდან ერთ-ერთი ბაღია. ჩემი მინბერი, აუზის ზემოდანაა.“*** შემდეგ მომნახველმა უზენაეს ალლაჰს, შუამავალის საფლავის მონახულების პატივისთვის სეჯდე უნდა გაუკეთოს. ვედრების შემდეგ, ფეხზე უნდა წამოდგეს, შუამავალის საფლავთან უნდა მივიდეს, ოთახში შევიდეს, ყიბლეს ზურგი უნდა შეაქციოს, შუამავალის დალოცვილი პირისახის საპირისპიროდ ორი მეტრის მოშორებით უნდა დადგეს. უფრო ახლოს მისვლა არ შეიძლება. ხელის შეხება არ შეიძლება და ისე უნდა იდგე როგორც ლოცვაში.

როგორც ჰადისები გვამცნობს შუამავალის საფლავთან ანგელოზი დგას რომელიც შუამავალს ამცნობს ყველაფერს. შემდეგ; ესსელამუ ღალეიქუმ ია სეიდი ია რესულალლაჰ! ესსელამუ ღალეიქე ია ნებიალლაჰ! ესსელამუ ღალეიქე ია სეფიალლაჰ! ესსელამუ ღალეიქე ია ჰაბიბალლაჰ! ესსელამუ ღალეიქე ია ნებიერაჰმეჰ! ესსელამუ ღალეიქე ია შეფიღელ უმმეჰ! ესსელამუ ღალეიქე ია სეიდელ მურსელინ! ესსელამუ ღალეიქე ია ჰათემენნებიინ!

უზენაესმა ალლაჰმა ყველაზე დიდი წყალობა მოგმადლოს. მე მოწმე ვარ რომ, შენ შუამავლური მისია შეასრულე. ამანათი ჩააბარე. შენი უმმეთი შეაგონე. სიკვდილამდე ალლაჰის გზაზე იბრძოლე. უზენაესმა ალლაჰმა შენ აღდგომის დღემდე სალათი

და სალამი არ მოგაკლოს. ო, ალლაჰის შუამავალო. ჩვენ შენთან შორი გზიდან ჩამოვედით. შენი საფლავი მოვინახულეთ, შენი ვალის მოსახდელათ, შენი გაკეთებულის ახლოდან დასანახავად, შენი ზიარების ბარაქით, მოვედით რათა უზენაესი ალლაჰის წინაშე შუამდგომლობა გაგვიწიო. ვინაიდან შეცდომებმა წელში მოგვხარა, ცოდვებმა მხრებზე დაგვაწვა. ო, ალლაჰის შუამავალო! მეყამი მაჰმუდი შენ აღგითქვა უზენასმა ალლაჰმა.

უზენაესი ალლაჰი ნისა სურას 64 აიათში ასე ბრძანებს: ***„ჩვენ არცერთი შუამავალი არ წარმოგვიგზავნია, თუ არა იმისთვის, რომ დამორჩილებოდნენ მას ალლაჰის ნებით. და თუ ეგენი როცა თავიანთ თავს ავნებდნენ, შენთან რომ მოსულიყვნენ, და მერე მიტევება ეთხოვათ ალლაჰისთვის და მიტევება შეეთხოვა*** *(ალლაჰზე)* ***მათთვის შუამავალს; უეჭველად, დაინახავდნენ ისინი, რომ ალლაჰი მიმტევებელია, მწყალობელია. ჩვენ შენს წინაშე მოვედით. მაგრამ ჩვევ სულნს ჩვენსას უსამართლოდ მოვექეცით. ცოდვების შენდობა გვსურს.“***

ო, ალლაჰის შუამავალო! უზენაესი ალლაჰის წინაშე შუამდგომლობა გაგვიწიე. ო, ალლაჰის შუამავალო! უზენაეს ალლაჰს შეევედრე ჩვენთვის, რათა არ მოვკვდეთ თუ არა მუსლიმად, აღდგომის დღეს შენს ერთად ვიყოთ, შენს აუზში მოვიდეთ, და იქიდან დავლიოთ. ო, ალლაჰის შუამავალო შენი შუამდგომლობა გვესაჭიროება ასეთნაირად უნდა შეევედრო“... და რომელნიც მოვიდნენ შემდეგ ამბობენ: ***„ღმერთო ჩვენო, მოგვიტევე ცვენ და ჩვენს ძმებს, რომლებმაც რწმენაში გაგვასწრეს. არ ჩაგვინერგო გულებში შური მათ მიმართ, რომელთაც ირწმუნეს, ღმერთო ჩვენო, უეჭველად, შენ შემცოდებელი, მწყალობელი ხარ. ჰაშრ სურას 10 აიათი უნდა ვიკითხოთ.“***

შემდეგ ვინც სელამი დაგაბარა სელამი უნდა გადავსცეთ; ესსელამუ ღალეიქე ია რასულალლაჰ! ამადა ამას უზენაესი ალლაჰის წინაშე შენი შუამდგომლობა სურს. იმას და ყველა მუსლიმებს გამოექომაგე ასეთნაირად უნდა ვთქვათ და რამდენი სალაცათივ გსურს იმდენი იკითხე. შემდეგ ნახევარი მეტრო მარჯვნი წმინდა ებუ ბექირის თავის გასწვრივ უნდა მოხვიდე; ესსელამუ ღალეიქუმ

ო, შუამავალის ჰალიფავ! ესსელამუ ღალეიქუმ ო, საყვარელი შუამავალის მეგობარო მაღაროში. უზანაესმა ალლაჰმა შენ როგორც მუსლიმების ლიდერს ყველაზე ძვირფასი საზღაური მოგმადლოს. შენ შუამავალის საუკეთესო ჰალიფა იყავი. ყველაზე უკეთესად მისი ჭეშმარიტი გზა გააგრძელე. მურთედები (ჭეშმარიტი გზიდან განშორებულებს) ბოლომდეს ებრძოლე. მუდამ ჭეშმარიტებას იცავდი. გარდაცვალებამდე ჭეშმარიტ გზაზე მყოფებს დაეხმარე. უზენაესი ალლჰის სალამი, ბარაქა და წყალობა შენზე იყოს. ღმერთო ჩემო! შენი წყალობით, მის სიყვარულზე სული ამაცალე. მისი მონახულება ამაოდ არ ჰქმნა. ასეთნაირად უნდა იქნას შეევედრებული.

შემდეგ კიდე, ნახევარი მერტე მარჯვნივ, წმინდა ომარის საფლავის გასწვრივ უნდა მიხვიდე; ესსელამი ღალეიქუმ ო, მორწმუნეების მბრძანებელო! ესსელამუ ღალეიქუმ ო, ისლამის გამავრცელებელო. უზენაესმა ალალჰმა უმაღლესი საზღაური მოგმადლოს. სიცოცხლესიც და სიკვდილის შემდეგაც ისლამსა და მუსლიმებს შეეწიე. ობლები დაიცავი. ნათესავებს დაეხმარე. მუსლიმების ჭეშმარიტ გზაზე დამადგენი იყავი. ღატაკები გაამდიდრე მათი ჭრილობები მოაშუშე. უზენაესი ალლაჰის სალამი, ბარაქა და წყალობა შენზე იყო; ასეთნაირად უნდა ვთქვათ.

შემდეგ წმინდა ებუ ბექირისა და ომარის ასე უნდა მიმართო; „ესსელამუ ღალეიქუმა ია დაჯიაი-რესულილლაჰ ვე რეფიყაიჰი ვეზირეიჰი ვე მუშირეიჰი ველ მუავინეინი ლეჰუ ღალელ ყიამი ფიდდინი ველ ყაიმეინი ბაღდეჰუ ბი-მესალიჰ-ილ-მუსლიმინ.“ შუამავალის უზენაესი ალლაჰიდან შუამდგომლობა, ჩვენი გავლის მიღება, ჩვენი ისლამის რელიგიაზე მოკდინება და ისლამის რელიგიით გაცოცხლება და აღდგომის დღეს შუამავალის ახლობლებთან ერთად გაცოცხელება...

შემდეგ დედმამისთვის და ყველა მუსლიმებისთვის უნდა შეევედრო უზენაეს ალლაჰს. შემდეგ შუამავალის დალოცვილი სახის პირისპირ უნდა დადგე და ასე შეევედრო; „ღმერთო ჩემო! ***„ჩვენ არცერთი შუამავალი არ წარმოგვიგ ზავნია, თუ არა იმისთვის, რომ დამორჩილებოდნენ მას ალლაჰის ნებით. და თუ ეგენი როცა თავი-***

ანთ თავს ავნებდნენ, შენთან რომ მოსულიყვნენ, და მერე მიტევება ეთხოვათ ალლაჰისთვის და მიტევება შეეთხოვა (ალლაჰზე) მათთვის შუამავალს; უეჭველად, დაინახავდნენ ისინი, რომ ალლაჰი მიმტევებელია, მწყალობელია.“ ნისა სურას 64 აიათის თანახმად ღმერთო ჩვენო! ჩვენი შუამავალის შუამდგომლობა გვსურს შენს წინაშე. ამის შემდეგ და რომელნიც მოვიდნენ შემდეგ ამბობენ: ღმერთო ჩვენო, მოგვიტევე ცვენ და ჩვენს ძმებს, რომლებმაც რწმენაში გაგვასწრეს. არ ჩაგვინერგო გულებში შური მათ მიმართ, რომელთაც ირწმუნეს, ღმერთო ჩვენო, უეჭველად, შენ შემცოდებელი, მწყალობელი ხარ. ჰაშრ სურას 10 აიათის ჩაკითხვის შემდეგ; რაბბენეღფირ ლენა ველი აბაინა ველი უმმეჰათინა ველი იჰვანინელლეზინე სებეყუ ბილ იმან. რაბბენა ათინა... და სუბჰანე რაბბიქე... ამ აიათების კითხვის შემდეგ მონახულება დასრულდება.

შემდეგ შუამავალის საფლავსა და მინბერს შორის, რომელ ბოძზეც ებუ ლუბაბემ დავი დაიბა და ასე მოინანია იქ უნდა მიხვიდე. აქ ორი მუხლი ლოცვა ილოცება და შენდობა შეითხოვება. რაც გსურ იმას შეევედრები. შემდეგ რავზაი მუტაჰჰარასთან უნდა მიხვიდე. ეს ოთხკუთხედ ფიგურასავით ადგილია. აქ რამდენიც გენებოს იმდენი მუხლი ლოცვა აღივლინება. ვედრებას გააკეთებ. უზენაეს ალლაჰს ქება-დიდებას შეასხამ. მინბერთან მიხვალ. საყვარელი შუამავალის ბარაქის ზიარებისათვის, შუამავალის ჰუთბის კითხვის დროს მოსმული ხელის ადგილიზე ხელით შეეხები. ორ მუხლ ნამაზს ილოცავ აქ. უზენაესი ალლაჰიდან ისურვებ იმას რაც გენებოს. უზენაესი ალლაჰის რისხვიდან, წყალობას მიეკედლები. შემდეგ ჰანნანეს ბოძთან მოხვალ, ეს ბოძი ის ბოძია როდესაც შუამავალმა ჰუთბის წასაკითხად მინბერზე გადავიდა და ბოძმა ტირილი დაიწყო, შუამავალი ძირს ჩამოვიდა და გულში ჩაიკრა ბოძი, მას შემოეხვია და ბოძმაც ტირილი დაასრულა. სანამ აქ დარჩები ყურანი უნდა იკითხო და ბევრი ლოცვა აღავლინო.

შუამავალის დალოცვილი მეუღლეების ოთახები; წმინდა იაშეს ოთახი სამ მეტრ სიმაღლეზე, კირპიჩითა და ხუმრის ტოტებით არის აგებული. ერთი კარი დასავლეთით მეორე ჩრდილოეთით აქვს. დასავლეთის კარი რავზაი მუტაჰჰარას მხარეს აქვს. წმინდა ომარის ჰალიფობის ბოლო წლებში მეჩეთის ტერიტორიის გაფარ-

თოება მოხდა და ამ ოთახების გარშემო ქვისგან დაბალი კედელი შემოერტყა.

აბდულლაჰ ბინ ზუბეირის ჰალიფობის დროს ეს კედელი დანგრეული ინქნა და შავი ქვისგან უფრო მაგარი კედელი შემოერტყა. ამ კედელს შრდილოეთიდან კარი აქვს. წმინდა ჰასანის 49 წელს გარდაცვალების შემდეგ ანდერძის თანახმად თავისმა ძმამ ჰუსეინმა, თავისი უფროსი ძმის ცხედარი ამ ოთახებთან მოიტანა, მაგარამ შიგნით არ შეატანინეს, მერე წაიღეს და სასაფლაო ბაქიზე დაასაფლავეს. ასეთნაირად რომ კიდე სხვა რაიმე არ მომხდარიყო ეს კარი დაკეტილი იქნა.

ომაიანების მეექვსე ჰალიფა ველიდმა როცა იქი მექას გუბერნატორი იყო, ეს კედელი აამაღლა და პატარა გუმბათით გადაახურვინა. ასეთნაირად სამი სასაფლაოს გარედან დანახვა შეუძლები გახდა და შიგნით შესვლა შეუძლებელი. როვა ომერ იბნი აბლუაზიზი მექას გუბერნატორი იყო, 707 (ჰ.88) ჰალიფე ველიდის ბრძანებით უმწიკლო საყვარელი შუამავალის მეუღლეების ოთახები დაამგრევია და მეჩეთის ტერიტორია გააფართოვა. ასევე ამ კედლის გარშემო ხუთკუთხედი კედელი შემოარტყმევია.

ერაყში ათაბაგების პერიოდში, ათაბაგების ვეზირმა და სალაჰათთინ ეიუბის ბიძაშვილამა ჯემალეტტინ ისფაჰანიმ, 1189 (ჰ.584) წელს ამ ოთახებს, სანდალოზის ხისგან და მერქანისგან მეჩეთის ჭერამდე მუაჯირი გააკეთებია.

მაგრამ პირველმა ცეცხლის გაჩენამ 1289 წელს დაწვა და რკინისგან მუაჯირი გაუკეთეს და მწვანედ გაღებეს. ამ მუაჯირს ***„შებექეი-საადეთი“*** ეწოდება. შებექეი-საადეთის ყიბლის (სამხრეთ) მხარეს ***„მუვაჯეჰეი-სეადეთი“*** აღმოსავლეთ მხარეს ***„ყადემი სეადეთი“*** დასავლეთ მხარეს ***„რავზაი მუტაჰჰარა“*** ჩრდილოეთ მხარეს კი, ***ჰუჯრეი-ფატიმა*** ეწოდება.

მექქე მუქერრემე, მედინე მუნევვერეს სამხრეთით მდებარეობს, მესჯიდი ნევების შუაგულში, ე.ი. რავზაი მუტაჰჰარადან, ვინც ყიბლისკებ შეტრიალდება მარცხენა მხარეს ჰუჯრე-ი სეადეთი, მარჯვენა მხარეს კი, მინბერია.

847 (ჰ.232) წელს შებექე-ი სეადეთისა და გარედან შემორტყმული კედლის შორის არსებული მარმარილოს ქვები გარკვეულ დროებში შეცვლილი იქნა. ეს დავალება ბოლოს სულთანმა აბდულ მეჯიდმა შეასრულა.

ჰუჯრე-ი სეადეთს ხუთკუთხედი კედლის ერთად, ზემოდან ***ყუბბეთუნ ნურის*** სახელწოდების პატარა გუმბათი გაუკეთდა. ოტომანთა სულთანის მხრიდან გაგზავნილი ქისვე-ი შერიფე ამ გუმბათზე გადახურული იქნა. ყუბბეთუნ ნურის ძემოდან არსებული მესჯიდი სეადეთის დიდ მწვანე გუმბათს ***ყუბბეთულ ჰადრა*** ეწოდება. შებექე-ი საადეთის სახელწოდების მუჰაჯირს გარედან ჩამოსმული საფარი ყუბბეტულ ჰადრას ქვედა თაღებს ეება. ამ გარეთა და შიგნითა ფარდებს ***სეთთარე*** ეწოდება.

შებექე-ი სეადეთს აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან თითო კარი აქვს. შებექე-ი სეადეთის შიგნით ჰარემი შერიფის დიდებულთა გარდა ვერავინ შევიდოდა. ისედაც კარისა და ფანჯარის არ ქონის გამო მხოლოდ გუმბათიზე პატარა ხვრელი აქვს, მავთულის ღობურათი არის დახურული. ამ ხვრელის გასწვრიბ ყუბბეთულ საჰრაზეც პატარა ხვრელი გამოუჭრიათ. მესჯიდი შერიფის გუმბათი 1837 (ჰ. 1253) წლამდე ტყვიის ფერი იყო. სულთანმა მეორე მაჰმუდის ბრძანებით მწვანედ შეიღება. 1872 (ჰ. 1289) წელს აბდულაზიზ ჰანის ბრძანებით ხელმეორედ გადაიღება.

მესჯიდი სეადეთის რესტავრაციისათვის სულთან აბდულმეჯიდ ჰანმა ათასობით ოქრო გახარჯა, მანამდე ამდენი ფული მისი რესტავრაციისათვის არავის დაუხარჯავს. ჰარემეინის რესტავრაციისათვის 700 ათასი ოქრო დახარჯულა და რესტავრაცია 1861 (ჰ.1277) წელს დასრულებულა.

შუამავალის საფლავის მონახულების შემდეგ ბაყი სასაფლაოს მონახულებაც მუსთეჰაბია (მოწონებული ქმედებაა). სემდეგ სხვა სასაფლაოების მონახულება, შეჰიდების და კერძოდ წმინდა ჰამზას საფლავის მონახულება განსაკუთრებულია. ასევე ბაყის სასაფლაოზე წმინდა აბბასის და იქ დაკრძალული ჰასან ბინ ალის, ზეინელაბიდინ, მუჰამმედ ბაყის და ჯაფერი სადიყის, მუსლიმთა

მბრძანებლის წმინდა ოსმანის, შუამავალის შვილის წმინდა იბრაჰიმის, შუამავალის უმწიკლო მეუღლეების, მამიდა საფიეს და სხვა უამრავის საჰაბესა და თაბიინის მონახულება საჭიროებს. ბაყიში ფატიმას მეჩეთში ლოცვა მნიშვნელოვანია. ხუთშაბათ დღეს უჰუდის შეჰიდების მონახულება მუსთეჰაბია. იქ ამის წარმოთქმა; სელამუნ ღალეიქუმ ბიმა საბართუმ. ფენიღმე ღუყბედდარ. სელამუნ ღალეიქუმ ია ეჰლე დარილ ყავმილ მუმინინ ვე ინნა ინშა ალლაჰუ ან ყარიბინ ბიქუმ ლაჰიყუნ.“ შემდეგ აიეთელ ქურსი და იჰლასის სურა იკითხება.

ვინც ჰუჯრე-ი საადეთს მოინახულებს ძალიან მოკრ/ზალებული უნდა იყოს, მან ყოველგვარი მიწიერი უნდა დაივიწყოს და ისე უნდა შეევედროს უზენაეს ალლაჰს ვინაიდან მიწიერის ვედრებაში ჩამტანების ვედრება არ მიიღება.

ჰუჯრე-ი სეადეთის მონახულება პატივდადებული ღვთისმსახურებაა. ვინც ამას არ ირწმუნებს, შეიძლება ისლამის ჩარჩოებიდან გადავიდეს. რადგანაც ისისნი, ვინც მნიშვნელოვნად არ თვლის ამის მონახულებას, უზენაესი ალლაჰისა და შუამავალის წინაღმდეგ წასვლაში აღმოჩნდებიან. ზოგიერთ მალიქი სწავლულებს შუამავლის საფლავის მონახულება ვაჯიბათ მიუჩენევიათ, მაგარამ უმეტესის მიხედვით მუსთეჰაბია.

სალავათი შერიფის მადლი

ალლაჰის შუამავალის სახელის ხსენებისას და დაწერისას, პატივისცემის გამოხატვისთვის მისთვის სელავათი შერიფის ჩაკითხვა, ყველაზე მნიშვნელოვანი დავალებაა. წმინდა ყურანში აჰზაბ სურას 56 აიათში; ***„უეჭველად, ალლაჰი და მისი ანგელოზები ლოცავენ შუამავალს. ჰოი თქვენ, რომელნმაც ირწმუნეთ! შეევედრეთ მისთვის და მხურვალებით მიესალმეთ.“***

მუფესსირები ამ აიათში მოხსენებულ სალათ-ის სიტყვას. უზენაესი ალლაჰის მხრიდან წყალობას, ანგელოზებიდან შენდობის თხოვნას შუამავალისთვის ალლაჰზე და მორმუნენიდან ვედრების მნიშვნელობას ანიჭებენ. ყველა ისლამის სწავლულები, საყვარელი შუამავალის სახელის მოხსენებისას ან დაწერისას უპირველესზე

ვაჯიბს (აუცილებელს) მეორეჯელ კი მუსთეჰაბად მიიჩნევენ.

თუკი ვინმე უზენაეს ალლაჰს რაიმეს შეევედრება უპირველესად უზენაესი ალლაჰი უნდა განადიდოს და შეაქოს შემდეგ საყვარელი შუამავალისთვის უნდა შევედროს, სალათი წარმოთქვას. ასეთნაირად გაკეთებული ვედრება უზენაესი ალლაჰის მხრიდა უფრო მიღებულია. ორი სალათიანი ვედრება (ვედრების დასაწყისში და დასასრულში ჩაკითხული „ალლაჰუმმესჰველლი“)-ით შეცრულებული ვედრება უკან არ გამობრუნდება.

ებუ ტალჰა მოგვითხრობს: ***„ალლაჰის შუამავალის წინაშე შევედი. იგი ისე გახარებული დავინახე რომ ჯერ არ მენახა ასე. საბაბი შევეკითხე; „როგორ არ მიხაროდეს? ცოტა ხნის წინ ჯიბრილმა სამახარობლო მომიტანა. უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა რომ: „ჩემ მსახურთაგან ვინც შენთვის ერთ სალავათს ჩაიკითხავს, უზენაესი ალლაჰი, მას საზღაურად, ათ სელავათს მიძღვნის“.***

ამ თემის გასწვრივ ჰადისებიდან ზოგიერთი შემდეგში მდგომარეს:

„ვინც ჩემს სახელს გაიგონებს და სალათუ სელამს არ ჩაიკითხავს ცხვირით გაერტყას მიწაზე. ვინც რამაზანის თვეს მოესწრება და ცოდვებს ვერ ჩამოიყრის ცხვირით გაერტყას მიწაზე. დედ- მამა ვისაც დაუბერდება და ამას მოესწრება და სამოთხეში ვერ მოხდება ცხვირით იქნას გარტყმული მიწაზე. ვინც ჩემს სახელს გაიგონებს და სალათუ სელამს არა ჩაიკითხავს, ძუნწზე ძუნწია.“

ებუ ჰურეირა გვამცნობს; საჰაბეებიდან ზოგიერთი შუამავალს შეეკითხა, თუ როგორ უნდა მიეცა სალავათი ალლაჰის შუამავალმა ბრძანა: „***ალლაჰუმმე სალლი ღალაა მუჰამმედინ ვე ეზვაჯიჰი ვე ზურრიეთიჰი ქემა სალლეითე ღალე იბრაჰიმე ვე ბაარიქ ღალაა მუჰამმედინ ვე ეზვაციჰი ვე ზურრიათიჰი ქემა ბაარექთე ღალაა იბრაჰიმე ინნექე ჰამიდუნ მეჯიდ“*** თქვით.

ერთი პიროვნება ასე გადმოგვცემს: ჩემმა ერთ-ერთმა მეგობარმა წერილი მომწერა, სადაც შუამავალი სახელი იყო მოხსენებული ყველგან ასე დაეწერა „სალლალლაჰუ ღალეიჰი ვესელლემ თესლიმენ ქესირენ ქესირა“ როვა ვნახე საბაბი შევეკითხელ; „ახალ-

გაზრდობაში ჰადისის წიგნები დავწერე. ალლაჰის შუამავალის დალოცვილი სხელების დაწერის შემდეგ სელავათი არ დამიწერია. სიზმარში საყვარელი შუამავალი ვნახე, მიუახლოვდი. დალოცვილი სახე შემაქცია. მეორე მხარეს გადავედი ისევ შემაქცია. ვუთხარი ო, ალლაჰის შუამავალო! რატომ მაქცევთ პირისახეს თქო?“ შევეკითხე. ბრძანა; ***„რადგანაც შენ წიგნში, როცა ჩემს სახელს სწერდი, მე სალათი არ მომანიჭე!“*** ამის შემდეგ მისი სახელის დაწერის შემდეგ ყოველთვის სალათს ვწერი.

წმინდა ჰადისში; ***„ვინც ჩემთვის სალათს ჩაიკითხავს მას უზენაესი ალლაჰი ათჯერ შეიბრალებს, მას ათ ცოდვას შეუნდობს და ათი ხარისხით აღამაღლებს.“***

აღდგომის დღეს ჩემთან ყველაზე ახლო, ჩემი შუამდგომლობის ყველაზე ღირსი, ჩემზე ბევრჯელ სალათუ სელამი მომნიჭეველია.“

უზენაესმა ალლაჰმა მუსას; „ო, მუსა, ენა სიტყვიდან, გული ფიქრიდან, ტანი სულიდან, თვალის სინათლეზე ჩემთან ახლოს ყოფნა გსურს თუ არა?“ რა თქმა უნდა ღმერთო ჩემო. „მაშინ, მუჰამმედს ბევრი სალათუ სელამი ჩაუკითხე. „ო, მუსა, აღდგომის დღეს, გინდა თუ არა რომ უწყლობა არ გასწიო?“ ბრძანა. რა თქმა უნდა ღმერთო ჩემო. „ მაშინ, მუჰამმედს ბევრი სალათი ჩაუკითხეო“.

საყვარელი შუამავალი ბრძანებს:

„აღდგომის დღეს ჩემთან ყველაზე ახლო, დედაიწაზე ჩემთვის ბევრი სალათის ჩამკითხავიაო. ჯუმა დღესა და ღამეს მე 100 სალათი გამომიგზავნეთ, უზენაესი ალლაჰი 100 საჭადელს აგისრულებთ. სამოცდა ათი იმიერ სოფლის, ოცდაათი ამიერსოფლისაა. შემდეგ უზენაესი ალლაჰი ანგელოზის საშუალებით ამ სალათებს ჩემს საფლავში მოიტანს. თქვენზე მოძღვნილი საჩუქარის მსგავსი იქნება, ის ანგელოზი მე მაცნობებს გამომგზავნის სახელს გვარსა და ტომს. ჩემთან არსებულ ცარიელს ფურცელზე დასწერის. სიკვდილის შემდეგ ჩემის შემეცნება სიცოცხლის მსგავსია.

როცა ხუთშაბათი დღე დადგება, უზენაესი ალლაჰი, ანგელოზებს წარმოგზავნის რომელთაც ვერცხლის რვეულები და ოქროს კალმე-

ბი აქვთ. ისინი ხუთშაბათ დღესა და ჯუმა ღამეს შუამავალზე გამოგ-ზავნის სალათებს დასწერენ.

როცა ორი მუსლიმი ერთმანეთს შეხვდება, მიესალმება და შუამა-ვალზე სალავათს იტყვის, გამომშვიდობებამდე წინათ არსებული და შემდეგი ცოდვები იეტევება.

როცა რომელიმე თქვენგანი მეჩეთში შევა, შუამავალს მიესალმოს და, ო, ღმერთო ჩემო ეჭმაკიდან დამიცეო შეევედროს.

ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად: ***„გამოსვლისას, ალლაჰუმმე ინნი ესელუქე მინ ფადლიქე“*** იკითხოს. ვედრების დასაწყისი უზე-ნაესი ალლაჰის განდიდება და დაბოლავება ალლაჰის შუამავა-ლისთვის სალათი არ არის ასეთი ვედრება ფარდის უკან დარჩება. თუკი დასაწყისში ქება-დიდებაა და სალათიანი ვედრება მიღებუ-ლია.

თუკი ალლაჰის შუამავალისა და მისი ოჯახისთვის არ იქნება სალათი ჩაკითხული ვედრებასა და ზეცას შორის ფარდა არის. როცა სალავათი ჩაიკითხება ფარდა გაუხევა და ვედრება ზეცაში მისწვდება. თუკი არ იქნება ჩაკითხული ასეთი ვედრება უკან და-ბრუნდება.

თუკი ერთ-ერთ საზოგადოებში ალლაჰის სახელის ქება-დიდება და ალლაჰის შუამავალის სალათი არ იქნება ჩაკითხული, მათთან მათრახი მოვა, ინებებს რისხვას დაატეხს, ინებებს მიუტევებს.

ვისაც ყურთა სმენა აქვს მე გამიხსენოს და სალათი მიკითხოს.

ვინც რაიმე განიზრახავს, იმ თემაზე კონსულტაცია გაიაროს. უზენაესი ალლაჰი იმ საქმეში წარმატებულს ჰქმნის. თუკი რაიმეს თქმა უნდა და დაავიწყდება, მე სალათი ჩამიკითხოს. ვინაიდან სიტყვისათვის წინამორბედი არსებობს. ეგებ შეახსენოს.

კეთილი საქმე თუკი ალლაჰის სახელით და ჩემი გახსენებით არ იქნება დაწყებული, იგი გაწყვეტილია და ბარაქა გამოცლილია.

ისლამის დიდებულთაგან, ებუ ჰაფს ქაღიდი როცა გარდაიცვა-ლა, ერთმა სიზმარსი ნახა და შეეკითხა უზენაესმა ალლაჰმა რო-გორ მოგეპყროო. მიუგო; „მე შემიწყალა, შემინდო და სამოთხეში

დამამკვიდრაო.“ რა საბაბითო. მე ანგელოზებს შორის დამაყენა. შემი ცოდვები და შუამავალზე ჩემგან გაგზავნილი სალათები აწონა. ჩემი სალავათი მეტი არმოჩნდა. უზენაესმა ალლაჰმა მათ: „ჰოი ანგელოზნო თქვენი საქმე დასრულებულია. სხვა აღარაფერი შეეკითხოთო. იგი სამოთხეში შეიყვანეთო“ ბრძანა.

წინაპართაგან ერთ-ერთი მოგვითხრობს: ერთი ჩვენი მეგობარი გარდაიცვალა რომელიც ჩვენთან ერთად ჰადისს სწავლობდა. სიზმარსი ვნახე იგი მწვანე ძვირფას სამოსში. როცა საბაბი ვკითხე: „ყველა ჰადისის წაკითხვისას ალლაჰის შუამავალის სახელი სადაც მომყვებოდა, „სალლალლაჰუ ღალეიჰი ვე სელლემ“-ს დავწერდი. უზენაესმა ალლაჰმა ამისათვის ეს საზღაური მომმადლაო“.

ისევ წინაპართაგან ერთ-ერთი მოგვითხრობს: ერთი მწერალი მეზობელი გარდაიცვალა. იგი სიზმარში ვნახე. ვკითხე თუკი როგორ მოგევნენ თქო. მან მომიგო უზენაესმა ალლაჰმა მიმიტევაო. შევეკითხე რა საბაბიდან გამომდინარეო. შუამვალის სახელის დაწერის შემდეგ „სალლალლაჰუ ღალეიჰი ვე სელლემ“-ს ვწერდიო.

ებუ სუფიან დარანი გადმოგვცემს: ჰადისი დაწერის დროს, პატივცემული სახელების დაწერის ბოლოს, სალლალლაჰუ ღალეიჰის“ „ვე სელლემ“-ს არ ვწერდი. სიზმარში შუამავალი დამესიზმრა. მე მიბრძანა რომ: ***„ო, ება სუფიან, ჰადისში როცა ჩემს სახელს დასწერი, სალათლა ერთად ვე სელლემიც დაწერე. იგი ოთხი ასობგერაა. ყველა ასობგერას 10 მადლი მოაქვს. ორმოც მადლს იქნები მოწყვეტილი თუკი არ დასწერიო.“*** აევე ერთ-ერთიც ასე აკეთებდა იმას კი სიზმარში: ***„შენ რა გემართება რო, მე სალათს მთლიანად არ მიწერიო?“***

ებუ ბექრი სიდდიყი ბრძანებს: „ვისაც ეშინია რომ ამნეზია არ დაემართოს, ალლაჰის შუამავალს ბევრი სალატი გაუგზავნოს.“

კეთილისმქმნელთაგან მუჰამმედ ბინ საიდ ბინ მუთარრიფი გადმოგვცემს: ყოველ ღამით დაწოლოს წინ განსაზღვრულ სალათს ვკითხულობდი, ერთ ღამეს სიზმარში შუამავალი მოვიდა. სახლში შემოვიდა. ნათელით გაივსო ოთახი. შემდეგ ჩემსკენ წამოვიდა:

„მოსწიე, ეგ ბაგეები რომლითავ მე უამრავ სალათს მიკითხავ დაგიკოცნონაო. მე შემცხვა ბაგების მირთმევა და ლოყა მიუშვირე. დალოცვილი ბაგეებით მაკოცა. შეშინებული გამომეღვიძა. ისეთი არომატული სული იდგა ოთახში რომ ჯერ არ მენახა. რვა დღეს ლოყიდან ის სუნი არ გამცლია.

წინაპართაგან ჰალიდ ბინ ქესირი რომ გარდაიცვალა, თავს ქვეშ შემოდებული: „ეს ჰალიდ ბინ ქესირის ჯოჯოხეთიდან გადარჩენის წყალობის სიგელია“ ასეთი წარწერით ქაღალდი ნახეს. ახლობლენს შეეკითხნენ ნუკი რითი იყო დაკავებული ეს პიროვნება სიცოცხლეში. ყოველ პარასკევ დღეს სალავათს კითხულობდაო.

შეიჰ ღაინის ***ძეინულ მეჯალისში*** დაწერილია: ალლაჰის შუამავალმა ***„ანგარიშსწორების დღეს სამი ჯგუფი ადამიანები, როცა ჩრდილი აღარსად იქნება ტახტის ქვეშ იქნებიან“.*** ისინი ვინები არიან შეეკითხნენ. ***„ჩემი მიმდევრების ვარამიდან განმთავისუფლებლები, ჩემი გზის მაცოცხლებლები და ჩემზე ბევრი სალათის ჩამკითხველებიო“*** ბრძანა.

შეიხ ებუ მუსა დარირი გადმოგვცემს: ღელვას მოვყევით ზღვაში. ყველა სიკვდილის შიშით ტიროდა. ამ მდგომარეობაში მე ძილი მომივიდა. სიზმარში ალლაჰის შუამავალი დამესიზმრა. უთხარი გემში მყოფთ 1000-ჯერ ***„ალლაჰუმმე სალლი ღალაა სეიიიდინაა მუჰამმედინ ვე ღალაა აალი სეიიიდინაა მუჰამმედინ, სალაათენ თუნჯინაა ბიჰაა მინ ცემიიღილ სეიიიაათ ვე თერფეღუნაა ბიჰაა ღინდექე ეღლედ-დერეცაათ ვე თუბელლიღუნაა ბიჰაა აყსალ- ღაიაათ მინ ჯემიიღილ ჰაირათი ვე ბაღდელ მემათ“*** ჩაიკითხონ, ბრძანა. სამასჯელ ჩავიკითხეთ, ღელვა ჩავარდა და გადავრჩით. ეს სალათი ყველა მნიშვნელოვან საქმის დასაწყისში და ყველა ბელისა და კატასტროფის, კატაკლიზმების, მიწისძვრის დროს იკითხება.

დასაყრდენ წიგნებში, ორმოცამდე სალათის ვერსია არასებობს. ქვემოთ ჩამოვთვლიტ ზოგიერთს:

ალლაჰუმმე სალლი ღალაა მუჰამმედინ ვე ღალაა ალი მუჰამმედ, ქემა სალლაითე ღალაა იბრაჰიმე, ვე ბარიქ ღალაა მუჰამმედინ ვე ღალაა ალი მუჰამმედ, ქემა ბარექთე ღალაა იბრაჰიმე ვე

ღალაა ალი იბრაჰიმ, ინნექე ჰამი-დუნ მეჯიდ.

ალლაჰუმე სალლი ვე სელლიმ ვე ბაარიქ ვერჰემ ღალაა სეიიი-დინაა მუჰამმედინ ჰუვე სეიიდულ არაბი ველ აჯემი ვე იმამი მე-ქქეთილ მუქერრამეთი ველ მედინეთილ მენევვერათი ველ ჰარემ. ღელლემელ ინსანე მალემ იაღლემ.

ასლუჰუ ნურუნ ვე ნესლუჰუ ადემ. ბაღსუჰუ მუაჰჰარუნ ვე ჰა-ლყუჰუ მუყადდემ.

ისმუჰუშ შერიფუ მექთუბუნ ღალელ ლევჰილ მაჰფუზი ბიიააყ-ილ ყალემ.

ვე ჯისმუჰ-უშ შერიფუ მედფუნუნ ფილ მედინეთილ მუნევვე-რეთი ველ ჰარემ. ია ლეითე ექთეჰილუ თურაბელლეზი თაჰთ-ელ ყადემ.

ფე თუბა სუმმე თუბა ლიმენ დეღა ვე თებიღეჰუ ვე ლიმენ ეს-ლემე საჰიბეშ შეფაღათი ლილ ღალემინ.

და ა. შ. სხვადასხვა სახის სალავათები არსებობს...

გენიალურობანი

სრულყოფილი ზნეობა

უზენაესმა ალლაჰმა უამრავ სიკეთესთან ერთად საყვარელ შუამავალს კარგი ზნეობაც უბოძა. უზენაესი ბრძანებს: ***„შენ, კარგი ზნეობით მოვლენილი ხარ“.*** წმინდა იქრიმე გვამცნობს: „აბდულლა იბნი აბბასიდან გავიგონე: აიეთში მოხსენებული, ***„ხულუყ-ი ღეზიიმ-ი“*** ე.ი. კარგი ზნეობანი, ძვირფასი ყურანის მიერ ნაბოძები ზნეობაა. აიეთი შინაარსობრივად; ***„რადგანაც შენ საუკეთესო ზნეობაზე ადგახარ“***[1] ხულუყ-ი ღეზიიმი – უზენაეს ალლაჰთან იდუმალ, საიდუმლო კავშირის დამყარებას, ადამიანებთან მშვენიერი ზნეობის გამოვლინებას ნიშნავს. შუამავლის ასეთმა სანიმუშო ზნეობამ ხელი შეუწყო ისლამთან უამრავი ადამიანის დაკავშირებას.

ალლაჰის წმინდა შუამავლის საუბარი იმდენად მიმზიდველი იყო, რომ ადამიანთა გულებს ა დვილად იპყრობდა. იგი იმდენად გონიერი ადამიანი, რომ არაბეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები მკაცრი და დაუნდობელი ხალხების გულები ჯერ შეარბილა ხოლო შემდეგ ისლამის შუქით გაანათა, მას ადამიანთა ყურადღების მიპყრობისა და მართვის საოცარი უნარი ჰქონდა. ისლამის პირველ წლებში კერპთაყვანიმცემელთა მხრიდან განხორციელებული ტანჯვისა და დამცირების მიმართ გამოჩენილი სამაგალითო ნებისყოფის სიმტკიცითა და მოთმინებით მან თანამიმდევრებს რელიგიისადმი ერთგულების საუკეთესო მაგალითები უჩვენა.. შედეგად უამრავმა ადამიანმა თავისი პირვანდელი რწმენა მიატოვა და ისლამს ეზიარა. ჭეშმარიტებისათვის მამა-შვილმა ერთი-მეორეს ომი გამოუცხადა, სისხლი დაიღვარა. გასაკვირი ისაა რომ, ეს ხალხი არ იყო მიჩვეული ასეთ ქცევებს. მშვენიერი ზნეობა, ლმობიერება, მიტევება, მოთმინება, სიკეთე, პატივისცემა იმდენად ძლიერი იყო მასში რომ, ყველას ხიბლავდა. მისი დამნახავი თვალი და გამგონი ყური სიამოვნებით იღებდა ისლამს. მის მოქმედებაში, საქმეში,

1. სურა ყალემი, 68/4.

საუბარში ვინმეს შეურახყოფა, ან რაიმე ხარვეზი არასდროს უხილავს. მას პირადი საქმის ან ცხოვრების ნიადაგზე არავინ გაუნაწყენებია, თუმცა მკაცრი და უკიდურესი იყო რწმენის შეურაცხმყოფთა მიმართ.

მუჰამმედ შუამავალს უამრავი საოცარი თვისება ებოძა, რომლის აღიარება, განურჩევლად მტრისა თუ მოყვრისა, ყველას მოუხდა, ამ თვისებებიდან ყველაზე ძვირფასი ის თავაზიანობა და მშვენიერი ზნეობა იყო, რომელიც მას ახასიათებდა. ებუ საღიდ ელ-ჰუდრი გადმოგვცემს, რომ, შუამავალი ცხოველებს ბალახს მიართმევდა. აქლემს დააბამდა. სახლს დაგვიდა. ცხვარს მოწველიდა. ფეხსაცმელს შეკერავდა, ტანსაცმელს გარეცხავდა. მოსამსახურესთან ერთად საჭმელს მიირთმევდა. ბაზარში სავაჭროდ გავიდოდა და შეძენილი, ხელით მოჰქონდა. როცა ღარიბს თუ მდიდარს, დიდსა თუ პატარას გადააწყდებოდა უპირველესად მიესალმებოდა, შემდეგ კი ხელს გაუწვდიდა. ის ერთნაირად ექცეოდა მონას, ბატონს, თეთრკანიანსა და შავკანიანს. ვისგანაც უნდა ყოფილიყო მოპატიჟება აუცილებლად სტუმრად წავიდოდა და მასპინძლის მორთმეულს არასოდეს დაიწუნებდა. კარგი ზნეობის პატრონს, სიკეთის გაკეთება უყვარდა, ყველასთან კარგ ურთიერთობას ამყარებდა. მუდამ მომღიმარე, საამო მოსაუბრე ლაპარაკის დროს არასდროს იცინოდა, ის დარბაისელი, დინჯი ადამიანი გახლდათ, მას სხვებისგან თავაზიანობა გულმოწყალება და გულუხვობა გამოარჩევდა, მაგრამ ის არ იყო მფლანგველი, ფუჭად არაფერს გაიღებდა, ყველა ეცოდებოდა. დალოცვილი თავი მუდამ დახრილი ჰქონდა. გამორჩენას არავისგან მოელოდა. ვისაც ბედნიერება და მშვიდობა სურს, მუჰამმედ შუამავალი უნდა აიღოს ცხოვრების მაგალითად.

ენეს ბინ მალიქი გადმოგვცემს : „ათი წელი შუამავლის სამსახურში დავ ყავი, ერთხელაც არ შემიმჩნევია მისგან გაწყრომა. არასდროს არ უთქვამს ეს ასე ან ისე რატომ გააკეთეო.“

ებუ ჰურეირა მოგვითხრობს; „ერთ-ერთ ომში, ურწმუნოების გასანადგურებლად ვედრების გაკეთება ვთხოვეთ. ამის თაობაზე საყვარელმა შუამავალმა ბრძანა ***„მე, წყევლა-კრულვისათვის,***

ადამიანების წამებისათვის კი არ მოვლენილვარ, არამედ ყველასათვის სიკეთის გასაკეთებლად და ადამიანებისათვის მშვიდი ცხოვრების მოსაპოვებლად მოვედი“. უზენაესი ალლაჰი სურა ენბიას 107 აიეთში ბრძანებს; ***„შენ, სამყაროში მოწყალებად, სიკეთის საკეთებლად მოგავლინეთ“***-ო.

ენეს ბინ მალიქი გადმოგვცემს: „შუამავალი, როდესაც ვინმეს მიესალმებოდა, სანამ შემხვედრი ხელს თვითონ არ გამოართმევდა, დალოცვილს მისი ხელი მანამდე ეჭირა ის პიროვნება სანამ წავიდოდა, შუამავალი ნისგან სახეს არ მიიბრუნებდა. მოსაუბრის მიმართ, რომ უპატივცემულობა არ გამოევლინა მის წინ მჯდომი ფეხს ფეხზე არასოდეს გადაიდებდა.“

ჯაბირ ბინ სუმურე გადმოგვცემს: „შუამავალი ცოტას ლაპარაკობდა, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში და თუკი რაიმეს შეეკითხებოდნენ. აქედან გამომდინარე მუსლიმი არ უნდა დაკავდეს არაფრის მომტანი საუბრით, თუკი საუბრის თემა უსარგებლოა,უნდა გაჩუმდეს. საყვარელი შუამავალი ლაპარაკის დროს საკმაოდ განმარტებულად და დალაგებულად ლაპარაკობდა მისი საუბრის გაგება. საკმაოდ ადვილი იყო.

ენეს ბინ მალიქი მოგვითხრობს: „შუამავალი ავადმყოფს მოინახულებდა, გარდაცვლილს უკანასკნელ გზაზე გააცილებდა, მიპატიჟებას მიიღებდა ე.ი. სტუმრად წავიდოდა“.

ენესი გადმოგვცემს რომ: პატარა ბავშვსაც რომ ხელი მოეკიდა შუამავლისთვის და დახმარება ეთხოვა, მასთან წავიდოდა და პრობლემას მოუგვარებდა.“

ჯაბირი მოგვითხრობს, რომ თუკი საყვარელი შუამავალისგან ვინმე რამეს ითხოვდა, იგი ხელცარიელს უკან არავის უშვებდა

შუამავალში სირცხვილის გრძნობა ყველა გაჩენილზე მეტად იყო განვითარებული თუკი მიუღებელ რამეს გადააწყდებოდა ლამის თვალების დახუჭავდა... არათავაზიანად არავის მიმართავდა.

აიშე მოგვითხრობს რომ: „საყვარელ შუამავალს თუკი ვიღაცის უსიამოვნო ქმედების შესახებ უამბობდნენ, მისი სახელის მოუხსენებლად, უნივერსალური მნიშვნელობით ***„რატომ ასე აკეთებენ?“***

ბრძანებდა.“

ამტგვარად ცუდის გამკეთებელს მის შეცდომას ისე მიახვედრებდა, რომ მის სახელს არ იტყოდა.

ენეს ბინ მალიქი გადმოგვცემს: „ერთ დღეს შუამავლთან მივიდა პიროვნება, რომელსაც სახეზეყვითელი ფერის რაღაც ნივთიერება ჰქონდა წასმული, მაგრამ კაცობრიობის სიამაყემ არ ეწყინოსო, მას არაფერი უთხრა, ხოლო როდესაც ეს პიროვნება გარეთ გავიდა, თანამიმდევრებს მიუბრუნდა და უთხრა: ***„გეთქვათ და მოეწმინდა სახეზე არსებულიო!“***

წმინდა შუამავალი, ტომებს ერთმანეთთან შეარიგებდა. მათ შორის შუღლს არასოდეს ჩამოაგდებდა ყოველივე ტომის წინამძღოლს პატივს დადებდა და მას საპატიო ადგილზე დასვამდა.

სილამაზეს არავის მოაკლებდა. მეგობრებიდან ვინც მასთან არ მივიდოდა მოიკითხავდა. მასთან მისულს დაარიგებდა და ყველას თავის ხვედრს არგუნებდა.

ეჭვი არავის გაუჩნდებოდა, რომ მას ვინმე ვინმეზე უფრო მეტად უყვარდა ან პატივს სცემდა. თუკი ვინმე მასთან რაიმეს გამო ჩიოდა, მას გაფაციცებით უსმენდა და საუკეთესო რჩევას აძლევდა. სტუმარს მარტოდ არასდროს დატოვებდა. მის წინაშე ყველა თანაბარი იყო. არავის არავისზ ე უპირატესობა არ გააჩნდა.

ქალბატონი აიშე მოგვითხრობს: „არავინ მინახავს, შუამავლის მშვენიერ ზნეობაზე მაღლა მდგომი. როდესაც მას ვინმე დაუძახებდა, ყოველთვის, მობრძანდითო, ეტყოდა.“

საყვარელი შუამავალი მეგობრებს ულამაზესი სახელებით მოიხსენიებდა და არავის სიტყვას შუაში არ გააწყვეტინებდა.

მისი კეთილი ქმედების, გულშემატკივრობის, მოწყალების შესახებ უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„თქვენი შეწუხება მას გულს ატკენს და დაამწუხრებს. ის თქვენზე გადაყოლილია; მორწმუნეების წინაშე მეტად შემბრალებელია, მათთვის უხვ სიკეთეს ევედრება.“***

და სურა ენბიას 107 აიეთში ნაბრძანებია: *„(ო საყვარელო შუამავალო!)* ***შენ მხოლოდ სამყაროს მოწყალებად მოგავლინეთ.“***

საყვარელმა შუამავალმა თანამიმდევრებისთვის, მათ რომ შესრულება არ გაძნელებოდათ, ბევრი რამე გაადვილა. ***„ჩემი მიმდევრებისათვის ძნელი რომ არ ყოფილიყო, ყოველი აბდესის შემდეგ მისვაქის გამოყენებას დავაწესებდიო.“***

რაც შეეხება დადებული პირობის შესრულებას, შუამავალის მჯობნი ამ საქმეში არავინ ყოფილა და ვერც იქნება.

აბდულლა ბინ ებილ ჰამსა მოგვითხრობს: „შუამავალთან მისი მისიის დაწყებამდე, ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით რაღაც საქმე გავაკეთე, რის შემდეგაც მე ასაღები ფული დამჩა, შევთანხმდით, დრო და ადგილი დავთქვით, მაგრამ მე გადამავიწყდა და სამი დღის შემდეგ, როცა ეს ამბავი გამახსენდა, მაშინვე დათქმული ადგილისაკენ გავიქეცი, როდესაც მივედი და ვნახე შუამავალი იქ მელოდებოდა, გავვოცდი. მან მითხრა: ***„ჭაბუკო დავიქანცე! აი, აქ ზუსტად სამი დღეა გელოდები“-ო .***

სიამაყის გრძნობა მასში არასდროს ყოფილა. შუამავალი, არჩევანის წინაშე იყო, მას შეეძლო, რომ მეფური ან ჩვეულებრივი შუამავალი ყოფილიყო, მან კი არჩევანი ჩვევლებრივი ადამიანების შუამავლობაზე შეაჩერა.

ისრაფილ ანგელოზმა საყვარელ შუამავალს უთხრა: „უეჭველად, უზენაესმა ალლაჰმა თავმდაბლობის თვისება შენ გიბოძა, რადგანაც შენ აღდგომის დღეს, კაცთა შორის უზენაესი ხარ. საფლავიდან პირველად შენ უნდა წამოდგე და ასევე პირველად შეწყალებული შენ უნდა იქმნე.“

საყვარელმა შუამავალმა აიშეს უთხრა: ***„უზენაეს ალლაჰს ასე შევევდრე: მექას ქვები და მიწა ოქროდ მებოძა. მაგრამ მე უარი ვთქვი ამ ყველაფერზე. ერთ დღეს მშიერი, მეორე დღეს მაძღარი ყოფნა ვარჩიე. როდესაც მშიერი დავრჩები შენ შეგევედრები“.***

ერთხელ ჯებრაილი ანგელოზი შუამავლთან ჩამობრძანდა და უთხრა: „ალლაჰი მოკითხვას გითვლის. თუ სურს ამ გორებს მისთვის ოქროდ გადავაქცევო. სადაც უნდა წავიდეს თან ეს ოქროს გორები მას გაყვებაო.“

საყვარელმა შუამავალმა კი, ასე უპასუხა: ***„ჯებრაილ! ეს სამყარო***

უსახლკაროთა სახლია. და ის ქონება უქონელთა ქონებაა. ხოლო ამ ყველაფერს კი, უგუნურნი იხვეჭენ.“

პასუხად ჯებრაილმა ბრძანა; „მუჰამმედ! უზენაესმა ალლაჰმა შენ მტკიცე სიტყვით ამსოლიტურად წელში გამართულად გქმნა“.

ქალბატონი აიშე გადმოგვცემს; „ხანდახან ერთი თვე ისე გავიდოდა სახლში (საჭმლის მომზადებისთვის) ცეცხლი არ დაინთებოდა. მხოლოდ ხურმითა და წყლით ვსაუზმობდით “ .

იბნი აბბასის გადმოცემის მიხედვით, შუამავალი და მისი ოჯახი, უმეტესწილად ვახშმის მიურთმევლად იძინებდნენ. საუზმედაც არაფერი არ მოეძებნებოდათ.

ქალბატონი აიშე გადმოგვცემს: „შუამავალს დალოცვილი მუცელი არასოდეს ამოუვსია. ამის თაობაზე მას არასოდეს არავისთან არ დაუჩივლია. მისთვის საჭიროება სიმდიდრეზე უფრო უკეთესი იყო. მთელი ღამე შიმშილში რომ გაეტარებია მას ეს მდგომარეობა დღისით მარხვაში ხელს არ შეუშლიდა.

რომ მოესურვა, ღმერთი მას დედამიწაზე არსებულ მთლიან ხაზინებს უბოძებდა. გეფიცები, მის ამ მდგომარეობას რომ ვხედავდი, მეცოდებოდა და ვტიროდი. ხელს მუცელზე გადავუსვამდი;

„ჩემი თავი გენაცვალოს! არ შეიძლება რომ ამ ქვეყნიდან რაღაცა მოიმდომო, რათა ძალა შეგემატოს-მეტქი? - ვეტყოდი.

ის კი მპასუხობდა: ***„აიშე! რა ვუყო ამ ქვეყანას? ჩემს წინათ მოვლენილმა შუამავლებმა უფრო დიდი ტანჯვასა და სიძნელეებს გაუძლეს. ასეთ განსაცდელში ცხოვრებას აგრძელებდნენ და ღმერთმა ისინი შეიწყალა .***

გამომდინარე აქედან ღმერთმა ისინი საუკეთესოდ ჰქმნა და მადლი გაუორმაგა. მე კი მცხვენია, რომ ფუფუნებაში ვიცხოვრო. რადგან ასეთი ცხოვრება მე მათ უკან დამტოვებს. ჩემთვის საუკეთესო ის იქნება როდესაც მე ჩემს მეგობრებს შევუერთდები და უზენაეს ალლაჰის წინაშე წარვსდგები.“

წმინდა აიშე გადმოგვცემს, რომ ამ სიტყვების შემდეგ შუამა-

ვალმა სულ რაღაც ერთი თვე იცოცხლა.

საყვარელი შუამავლის ხელგაშლილობა ხომ ყველას პირზე ეკერა. ამ ზნეობრივ საქმეში მას ვერავინ ჯობდა.

იბნი აბბასი მოგვითხრობს:„შუამავალი სიკეთის გაკეთების მხრივ ყველაზე ხელგაშლილი იყო. მარხვის თვეში და ჯებრაილთან შეხვედრის დროს, დილის სიოზე უფრო ხელგაშლილი გახდებოდა ხოლმე“

ენეს ბინ მალიქი გადმოგვცემს: „შუამავალთან ერთად ვმგზავრობდი. მას ბურდი ნეჯრანი, იემენში დამზადებული ქსოვილისგან შეკერილი პალტო ეცვა. ზურგიდან ერთ-ერთი სოფლელი მოვიდა და პალტოზე ისე დაქაჩა, რომ მისმა საყელომ დალოცვილი კისერი გაკაწრა და კვალი დატოვა. საყვარელმა შუამავალმა ამ ქცევაზე გაიცინა და მისთვის რაღაცის ჩუქება ბრძანა.“

შუამავალის მეზობლად მოხუცი ქალბატონი ცხოვრობდა. მან შუამავალს თავისი ქალიშვილის პირით შეუთვალა: „ლოცვის შესასრულებლად სამოსი არ მაქვს, გთხოვ დამეხმარო.“ შუამავალს ამ დროს ზედმეტი ტანსაცმელი არ ჰქონდა, მან პერანგი გაიხადა და გოგოს მოხუცთან გაატანა. როდესაც ლოცვის დრო მოვიდა, პერანგის გარეშე მეჩეთში ვერ წავიდა. საჰაბეებმა, როდესაც გაიგეს, შუამავალი იმდენად ხელგაშლილი იყო რომ პერანგი მოხუცს აჩუქა, თვითონ უპერანგოდ დარჩა და მეჩეთში ლოცვის აღსავლენად ველარ მოვიდა, გადაწყვიტეს, რომ რაც გააჩნდათ ღარიბებისათვის დაენაწილებინათ. უზენაესმა ალლაჰმა მაშინვე სურა ისრა 29 აიეთი გარდმოავლინა. მან საყვარელ შუამავალს უბრძანა ***„ხელმოჭერილობა*** *(სიძუნწე)* ***არ ჰქმნა, მაგრამ არ გასცე ისე, რომ შემდგომში საგონებელში ჩავარდე და ლოცვა ვერ აღავლინო! მოწყალება საშუალოდ გაიღე “.***

იმ დღეს, ლოცვის შემდეგ, პატივცემული ალი, შუამავალთან მივიდა და უთხრა; „ალლაჰის შუამავალო! დღეს, ცოლ-შვილის გამოსაკვებად რვა დირჰემი ვისესხე. ამის ნახევარს თქვენ მოგცემთ. თქვენთვის პერანგი იყიდეთ“ უთხრა. შუამავალი ბაზარში წავიდა და ორი დირჰემით პერანგი შეიძინა. მონარჩენი ფულით

კი პროდუქტების საყიდლად გაემართა. გზაზე მან ერთი ბრმა დაინახა, რომელიც გაიძახოდა; „ღმერთისთვის და სამოთხის სამოსელის მოპოვებისათვის, პერანგს ვინ მომცემს?“ შუამავალმა ახლადშეძენილი პერანგი ბრმას გადასცა. როდესაც უსინათლომ პერანგი ხელში აიღო, არომატული სუნი იგრძნო და გაიგო რომ ეს პერანგი შუამავალმა აჩუქა. შუამავლის ნაცვამი ტანსაცმელი, დაძველების შემთხვევაშიც კი კეთილსურნელებას ინარჩუნებდა.

ბრმამ შეევედრა; „ღმერთო ჩემო! ამ პერანგის მადლით თვალები ამიხილე“. მას მაშინვე ორივე თვალი აეხილა. შუამავალი ადგილს გაშორდა და ერთი დირჰემით პერანგი იყიდა, ხოლო დარჩენილი ერთი დირჰემით პროქტის ყიდვას აპირებდა, როდესაც ერთი მტირალე მოსამსახურე გოგო დაინახა; ***„გოგონი, რატომ ტირი?“*** ჰკითხა მას. გოგონამ უპასუხა: „ერთი ებრაელის მსახური ვარ. მან ერთი დირჰემი მომცა. ამ თანხის ერთი ნახევრით ქილის, ხოლო მეორე ნახევრით ერბოს ყიდვა მიბრძანა. როდესაც შევიძინე და უკან ვბრუნდებოდი. ერბოთი სავსე ქილა ხელიდან გამიტყდა. ახლა რა უნდა ვქნა აღარ ვიცი.“ შუამავალმა ბოლო დირჰემიც გოგოც მისცა და უთხრა: ***„ამით ბოთლი და ერბო იყიდე და სახლში დაბრუნდი.“*** საცოდავმა გოგომ ტირილი გააგრძელა და თან შუამავლს უთხრა „ებრაელი მცემს მოსვლა რატომ დააგვიანეო“ ***„ნუ გეშინია! შენთან ერთად წამოვალ და ვეტყვი რომ არ გაგიწყრეს“*** – შეპირდა შუამავალი.

როდესაც სახლთან მოვიდნენ შუამავალმა კარზე დაუკაკუნა. ებრაელმა კარი გააღო და როდესაც მის წინ ალლაჰის შუამავალი დაინახა, ძალიან გაოცდა. სტუმარმა მომხდარის შესახებ უამბო და სთხოვა რომ გოგოს არ გა ყრომოდა. ებრაელმა კი, შუამავლის წინ ჩაიმუხლა და უთხრა; „უამრავი ადამიანის წინამძღოლი და ალლაჰის ელჩი ერთი მოსამსახურე გოგოს გულისათვის, ჩემისთანა ღარიბის კარზე მოდის და მთხოვს რომ გოგოს არ გავუწყრე. ო, ალლაჰის შუამავალო! შენი პატივისცემის ნიშნად ამ მონა გოგოს ვათავისუფლებ. მე კი, რწმენა და ისლამი შემასწავლე. შენს წინაშე მინდა ახლავე ისლამს ვეზიარო.“ შუამავალმა მას ისლამი აუხსნა და სარწმუნოებას აზიარა. ებრაელი სახლში შეტრიალდა და რაც მოხდა ოჯახის წევრებს უამბო, რის შემდეგაც ყველამ

ისლამი მიიღო. აი, ეს ყველაფერი შუამავლის ლამაზი ზნეობის მონაგარია.

შუამავალის ლამაზი ზნეობის მაჩვენებელი მაგალითები კიდევ ბევრია. ყველა მუსლიმი ვალდებულია ეს, ყველაფერი შეისწავლოს და კაცობრიობის სიაყეს მიბაძოს, ამით ამქვეყნიური და საიქიო ტანჯვისგან თავი დააღწიოს და ორი სამყაროს ბატონის შუამდგომლობა დაიმსახუროს..

აი, ალლაჰის შუამავლის ულამაზესი ზნეობის ზოგიერთი მაგალითი:

1 – საყვარელი შუამავალის ცოდნა, სიბრძნე, საზრიანობა, გონება, ინტელექტი, ჭკუამახვილობა, ხელგაშლილობა, თავმდაბლობა, გულშემატკივრობა, მოთმინება, სასოება, მოკრძალება, ერთგულება, თავდადება, ამანათის შენახვა, მამაცობა, გულადობა, შეუპოვრობა, შთამბეჭდაობა, მჭერმეტყველება, დახვეწილობა, პატიოსნება, დიდსულოვნება, კეთილშობილება, სამართლიანობა, გულმოწყალება, თანაგრძნობა ყველა შუამავლის იგივე თვისებებს აღემატებოდა. როგორც მეგობარს, ასევე მტერს ცუდ ქმედებას პატიობდა. სამაგიეროს არავის უხდიდა. როდესაც უჰუდის ომში ურწმუნოებმა ლოყა გაუჭრეს და ძვირფასი კბილები ჩაუმტვრიეს, იგი ღმერთს ევედრებოდა: ***„ღმერთო ჩემო მათ შეუნდე ! უვიცობა აპატიე!“***

2 – საკუთარ თავს არასდროს არავისზე წინ არ დააყენებდა, ერთხელ ცხვარი უნდა მოეხარშათ, და მოგობრებიდან ერთ-ერთმა მე დავკლავო-თქვა. მეორემ გატყავება გადაწყვიტა, ხოლო მესამემ მომზადება. შუამავალმა, მეგობრებს რომ არ ჩამორჩენოდა, შეშის შეგროვება გადაწყვიტა. თანამიმდევრებმა უთხრეს, რომ დაესვენა, ხოლო ამ საქმეს ისინი მიხედავდნენ, მაგრამ შუამავალმა მათ მიუგო: ***„დიახ მე ვიცი რომ თქვენ ყველაფერს გააკეთებთ. მაგრამ მომუშავეთგან მარტოდ ყოფნას და ჯდომას არ ვირჩევ. უზენაეს ალლაჰს არ უყვარს მეგობრებიდან განდგომილი და ტყუილუბრალოდ მჯდომიო“*** და შეშის შესაგროვებლად გაემართა.

3 – როდესაც შუამავალი საჰაბეებთან მივიდოდა, მათ თავში

არასდროს გავიდოდა, სადაც თავისუფალ ადგილს ნახავდა იქ დაჯდებოდა. როდესაც ხელში ჯოხით გასასვლელისკენ მიმავალი შუამავალი დაინახეს, თანამიმდევრები ფეხზე წამოდგნენ. კაცობრიობის სიამაყემ მათ უთხრა: ***„სხვები ფეხზე წამოდგომით ერთმანეთს პატივს მიაგებენ, თქვენ კი, ჩემთვის ფეხზე არ წამოდგეთ! მეც, თქვენისთანა ადამიანი ვარ, ყველას მსგავსად საჭმელს მივირთმევ და როცა დავიღლები ჩამოვჯდები“*** ბრძანა.

4 – უკეთილშობილესი მუჰამმედი უმეტესწილად ჩამუხლული იჯდა. ხანდახან მუხლებზე ხელებს შემოიხვევდა და ასეთნაირადაც დაჯდებოდა. საუზმის დროს, მოსამსახურეებს არ განასხვავებდა და მათთან ერთად მიირთმევდა. მათ საქმიანობაშიც ეხმარებოდა. არავის უნახავს, რომ ალლაჰის შუამავალს რომელიმე მათგანი ეცემოს ან ცუდი სიტყვა ეთქვას. მისი მსახური ენეს ბინ მალიქი ამბობდა; „ათი წელი შუამავალთან დავჰყავი. ის მე უფრო მეტად მემსახურებოდა ვიდრე მე მას. მას არასდროს გავუნაწყენებივარ, უხეშად არასდროს მომპყრობია.“

5 – როდესაც დილის ლოცვას აღავლენდნენ, მრევლს მიუბრუნდებოდა და ეტყოდა: ***„ავად არის ვინმე? მოსანახულებლად წავიდეთ!“*** თუკი ავად არავინ იყო, გასვენების შესახებ იკითხავდა, თუ ვინმეა გარდაცვლილი წავიდეთ და ჭირისუფლებს თანავუგრძნოთ და დავეხმაროთო, ბრძანებდა. გარდაცვლილის განბანვაში ეხმარებოდა, ლოცვას აღავლენდა, სასაფლაომდე მიყვებოდა. მაგრამ თუ არც გასასვენებელი იუო ვინმე, იტყოდა, თუ ვინმე თქვენთაგანმა სიზმარი ნახა, მოვისმინოთ და ავხსნათო.

6 – ახლობლებს, მეგობრებს მოემსახურებოდა და იტყოდა, საზოგადოების ყველაზე პატივცემული პირი, მის სამსახურში მყოფია ადამიანიაო.

7 – მისი ხარხარი არავის გაუგონია. უხმოდ გაიღიმებდა. ხანდახან კი, სიცილის დროს დალოცვილი წინა კბილები გამოუჩნდებოდა.

8 – უსარგებლო და ზედმეტ არაფერს იტყოდა. საჭიროების შემთხვევაში კი, სასარგებლოსა და მნიშვნელოვანს მოკლედ წარ-

მოთქვამდა. მსმენელებს რომ უკეთ გაეგოთ, ზოგჯერ ნათქვამს სამჯერ იმეორებდა

9-იმდენად წარმოსადეგი იყო, რომ სახეზე დიდხანს ვერავინ უყურებდა. როდესაც ვიღაცა მივიდოდა და სახეზე უყურებდა, მოსულს სახეზე ოფლი ასხამდა, ***„ნუ წუხდები! მე არც ხელმწიფე ვარ და არც სასტიკი. ხორცის მჭამელი და წყლის მსმელი ერთი საცოდავი ქალის შვილი ვარ, იტყოდა. ამის შემდეგ ადამიანს შიში გაეფანტებოდა და რის შესახებაც სურდა, კითხვებს აძლევდა.“***

10 – ***„თქვენიდან უზენაესი ალლაჰის ყველაზე მეტად შემცნობი და მის წინაშე მოკრძალებული მე ვარ, რაც მე დავინახე, თქვენ რომ გენახათ, ცოტას იცინებდით, და ბევრს იტირებდითო, ბრძანებდა.“*** როდესაც ცაზე ღრუბელს დაინახავდა, ალლაჰს შეევედრებოდა, ***„ღმერთო ჩემო! ამ ღრუბლით ტანჯვა არ დაგვატეხო თავსო!“*** როდესაც ქარი ამოვარდებოდა იტყოდა, ***„ღმერთო ჩემო! ამ ქარის მეშვეობით სიკეთე გამოგვიგ ზავნეო.“*** ჭექა-ქუხილის დროს ამბობდა, ***„ღმერთო ჩემო! ჩვენ განაწყენებული, არ მოგკვლა.“*** ტანჯვა არ მოგვივლინო. ჯამრთელობა და სიკეთე გვიბოძეო. ლოცვის აღვლენის დროს, გულიდან ამოსულ ტირილისმაგვარ ხმას გაიგონებდა იგივე ხდებოდა ყურანის კითჲხვის დროსაც

11 – მასში გულის სიძლიერე, მამაცობა გასაოცრად ძლიერი იყო. ჰუნეინის ომში მუსლიმები როდესაც გაიფანტნენ საყვარელი შუამავალი ორი-სამი კაცით დარჩა ბრძოლის ველზე. რამდენჯერმე, ურწმუნოების შეტევას მარტოდ გაუმკლავდა და უკან არავითარ შემთხვევაში დაუხევია.

12 – ძალიან ხელგაშლილი იყო. ასობით აქლემსა და ცხვარს გაიღებდა, და თავისთვის არაფერს დაიტოვებდა. ამ ყველაფრის შემხედვარე, უამრავი გულქვა ურწმუნო ისლამს იღებდა.

13 – ცოლებისთვის და მსახურებისთვის, ხანდახან, ერთი წლის სარჩოდ ქერსა და ხურმას შეინახავდა, აქედან ღარიბებს მოწყალება გაეცითო, ეტყოდა.

14 – საჭმელ-სასმელიდან; ცხვარის ხორცი, ხორცის წვენი, ყაბახი, ტკბილეულობა, თაფლი, ხურმა, რძე, არაჟანი, საზამთრო,

ნესვი, ყურძენი და კიტრი უყვარდა.

15 – წყლის სმას სვენებ-სვენებით, ალლაჰის სახელის ხსენებით იწყებდა და სამი ყლუპით სვამდა, დალევის შემდეგ კი, ალლაჰს მადლობას გადაუხდიდა და შეევედრებოდა.

16 – ტანსაცმელს კი, რაც მუსლიმ ადამიანს შეეფერებოდა და ისლამში იყო მიღებული იმას იცვამდა.

17 – არაბული ადათ-წესის მიხედვით თმას ყურების შუა ნაწილამდე გამოუშვებდა, დანარჩენს კი მოიჭრიდა. თმაზე განსაკუთრებულად მომზადებულ, საამური სუნის მქონე ზეთს მოისვამდა.

18 – ხელებზე, თავზე, სახეზე საუკეთესო ნელსაცხებლებს წაისვამდა.

19 – მის საწოლში ქვეშაგებს ჰურმის ტოტები წარმოადგენდა. ერთხელ მატყლის საწოლი შესთავაზეს, მაგრამ ამაზე უარი განაცხადა და თქვა: ***„აიშე! უზენაეს ალლაჰს გეფიცები, რომ მოვისურვო, ღმერთი ყველგან ოქროსა და ვერცხლის გროვებს ჩემთან ერთად თან წამოიღებს.“*** ხანდახან ჭილოფის, ხის ანაც ქეჩის საწოლზე იძინებდა.

20 – ყოველ ღამით სამჯერ თვალებს მოისურმიდა.

21 – სახლში; სარკე, სავარცხელი, სურმა, მისვაქი, მაკრატელი, ლემსი და ძაფი ყოველთვის ჰქონდა. მგზავრობის დროს ზემოთ ჩამოთვლილთაგან ყველაფერი თან დაჰქონდა.

22 – იასის (ძილის წინა ლოცვის) შემდეგ შუაღამემდე იძინებდა, შემდეგ დილის ლოცვამდე ღვთისმსახურებას ასრულებდა. მარჯვენა მხარეს იძინებდა, და მარჯვენა ხელს ლოყის ქვეშ შემოიდებდა, ზოგიერთ სურეებს ჩაიკითხავდა და დაიძინებდა.

23 – ყველაფერ ახალს სიკეთედ აღიქვამდა და არასდროს უბედურებად არ მიიჩნევდა.

24 – მწუხარების პერიოდში წვერს ხელში მოიქცევდა და ჩაფიქრდებოდა.

25 – როდესაც რამე გულს ატკენდა, იმწამსვე ლოცვას აღავლენდა. ლოცვით მწუხარებას გაიქარწყლებდა.

სათნოებანი

საყვარელი შუამავალის სათნოების შესახებ უამრავი წიგნი არის დაწერილი. შუამავალის სათნოების შესახებ მოგახსენებთ შემდეგს:

1 – გაჩენილთა შორის, პირველად მუჰამმედ შუამავლის ნათელი და სული გაჩნდა.

2 – უზენაესმა ალლაჰმა, მისი სახელი არშსა, სამოთხეებსა და შვიდ ცაზე დაუწერია.

3 – ინდოეთში ერთ-ერთი ვარდის ფოთლებზე დაწერილია:, „ლა ილაჰე ილლელლაჰ მუჰამმედუნ რესულულლაჰ-არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა და მუჰამმედი მისი შუამავალია.“

4 – ქალაქ ბასრის ახლომდებარე მდინარეში, თევზაობის დროს, დაჭერილი თევზის თავის მარჯვენა ნაწილზე ალლაჰის, ხოლო მარცხენა ნაწილზე მუჰამმედის სახელები იყო დაწერილი.

5 – საყვარელი შუამავლის სახელის წარმოსათქმელად ანგელოზების ჯგუფი არსებობს, რომელნიც მხოლოდ ამ საქმით არიან დაკავებული.

6 – ანგელოზებს ადემის (ს.ა.) წინაშე სეჯდის გაკეთება მხოლოდ იმიტომ ებრძანა, რომ მას მუჰამმედის ნათელი ჰქონდა შუბლზე.

7 – უზენაესმა ალლაჰმა, ყველა შუამავალს, მუჰამმედ შუამავალის მოვლენა ამცნო; სხვათა შორის, მათ მიმდევართ, თუკიისინი მუჰამმედ შუამავალის ეპოქას მოეწრებოდნენ, მისი დაჯერება ებრძანათ.

8 – მისი სამყაროში მოვლენა ხომ სავსე იყო საოცრებებით, რომელიც, ისტორიისა და მევლიდის (საყვარელი შუამავალის დაბადების აღმწერი წიგნები) წიგნებში არის მონათხრობი.

9 – საყვარელი შუამავალი სამყაროს, ჭიპგადაჭრილი და წინა-

დაცვეთილი მოევლინა.

10 – როდესაც სამყაროს მოევლინა, ეშმაკები ზეცას ვეღარ სწვდებოდდენ და იქედან ინფორმაციას ვეღარ იპარავდნენ.

11 – როდესაც სამყაროს მოევლინა, დედამიწაზე არსებული ყველა კერპები და ჰეიკელები დაემხო.

12 – მის აკვანს ხომ ანგელოზები არწევდნენ.

13 – აკვნიდან ზეცაში მთვარეს ელაპარაკებოდა. რომელ მხარეზეც თითს მიაშვერდა, მთვარე იმ მხარეს გადაიხრებოდა.

14 – აკვანში ლაპარაკობდა.

15 – ბავშვობისას როდესაც სიცხეში დადიოდა, თან ღრუბელი დაყვებოდა. ეს მოვლენა შუამავლობის მინიჭებამდე გრძელდებოდა.

16 – ყველა შუამავალს მარჯვენა ხელისზურგზე შუამავლობის ბეჭედი ჰქონდა. მუჰამმედ შუამავალს კი, დალოცვილ ზურგზე გულს უკან ჰქონდა.

17 – როგორც წინიდან ასევევე უკნიდანაც ხედავდა.

18 – დღისით და ღამით ერთნაირად ხედავდა.

19 – როდესაც ეძინა, მის გულს ეღვიძა და ეს ყველა შუამავლის საერთო ნიშან-თვისებაა.

20 – სიცოცხლეში არასდროს დაუმთქნარებია ესეც ყველა შუამავლის საერთო ნიშანი იყო.

21 – მისი ოფლიც კი კარგი სურნელის მატარებელი იყო.

22 – საშუალო ტანის იყო, მაგრამ როდესაც მაღლებთან იდგა მათზე მაღალი ჩანდა.

23 – მთვარეში ან მზეში როდესაც დადიოდა, მათი შუქი არ შეიმჩნეოდა.

24 – ტანზე ან ტანსაცმელზე მწერი არ დააჯდებოდა.

25 – ტანისამოსი არასდროს გაუჭუჭყიანდებოდა.

26 – სიარულის დროს ანგელოზები უკან დაყვებოდენ, ამიტომ საჰაბეებს წინ წაიმძღვარებდა, ანგელოზები უკან მომყვებიანო.

27 – როდესაც ქვაზე დაადგამდა ფეხს, კვალი დაემჩნეოდა, მაგრამ როდესაც ქვიშაზე დადიოდა კვალი არასდროს ემჩნეოდა.

28 – ადამიანებსა და ანგელოზებს შორის ყველაზე მეტი ცოდნა მას ებოძა.

29 – მისი უმმეთის სახელები, რაობა და მათ შორის ყველაფერი მას ემცნო.

30 – ის ყველა ადამიანზე გონიერი იყო.

31 – ყველაფერი ის, რაც ადამიანს კარგი ზნეობიდან შეუძლია მოიგოს, მას ებოძა.

32 – ყველა ვედრებისა და ლოცვის დროს უზენაესმა ალლაჰმა თავის სახელთან ერთად შუამავლის მოხსენიებაც ბრძანა.

33 – მისი თვისებებიდან უპირატესი ალლაჰის მიმართ მსახურება იყო.

34 – ***„უეჭველად ალლაჰი შენ გიბოძებს, და შენ დაკმაყოფილდები“***[2] ბრძანებს გამჩენი. უზენაესმა ალლაჰმა ხომ მას ყველაფერი უბოძა, რათა ისლამი გაეძლიერებინა. როდესაც ზემოთხსენებული აიათი ჩამობრძანდა, საყვარელმა შუამავალმა ჯებრაილს უთხრა: „ჩემ მიმდევართაგან რომელიმე ჯოჯოხეთში რომ მოხვდეს ამით ვერ დავკმაყოფილდები.“

35 – უზენაესი ალლაჰი ყველა შუამავალს ყურანში მათი სახელებით მოიხსენიებს, ხოლო უკეთილშობილეს მუჰამმედს, ჩემო შუამავალოო, ასე მიმართავს.

36 – ალლაჰის წმინდა შუამავალი საკმაოდ გასაგებად ყველა არაბულ დიალექტზე საუბრობდა. განსხვავებული ადგილებიდან მოსულნთ, პასუხებს მათსავე დიალექტზე აძლევდა. ამის გამგონნი გაოცებული რჩებოდნენ; უზენაესმა ალლაჰმა მე საუკეთესოდ აღმზარდაო, ბრძანებდა საყვარელი შუამავალი.

2. დუჰა სურა-5.

37 – ცოტა სიტყვით ბევრს ამბობდა.

38 – საყვარელი შუამავალი უცოდველი იყო. მაც არც შუამავლობის დროს და არც მანამდე ცოდვა არ ჩაუდენია.

39 – როდესაც მუსლიმები ლოცვის დროს ჯდებიან, „ესსელამუ ალეიქუმ ეიუჰენნებიუ ვერეჰმეთულლაჰი“ – ანუ შუამავალო, ალლაჰის სალამი და ბარაქა შენზე იყოსო“ კითხულობენ, მათ საყვარელ შუამავალზე სალამის მიცემა ებრძანათ. ლოცვის დროს სხვა დანარჩენი შუამავალებზე ან ანგელოზებზე სალმის მიცემა არ შეიძლება.

40 – „რომ არა შენ, არაფერ გავაჩენდიო“ – ბრძანებს უზენაესი ალლაჰი.

41 – სხვა შუამავლებს, ურწმუნონის მოქმედებათა მიმართ პასუხი გაუციათ მაგრამ საყვარელ შუამავალს მუჰამმედ კი არა.

42 – უკეთილშობილესი მუჰამმედის მიმდევრები, სხვა შუამავლების მიმდევრებზე მეტნი არიან

43 – ჩვენ შუამავალზე ნაბოძები მადლი სხვა შუამავალზე უფრო მეტია.

44 – ჩვენ შუამავლისთვის მისი სახელით დაძახება, მისი თანდასწრებით ხმამაღლა ლაპარაკი, შორიდან მოხმობა აკრძალული იქნა. სხვა დანარჩენ შუამავალებს მათივე სახელით მიმართავდნენ.

45 – ჯებრაილი მას ორჯერ ანგელოზის სახით წარსდგომია. სხვა შუამავალთ იგი მისივე სახით სახით არასდროს უნახავთ.

46 – უზენაეს ალლაჰს მუჰამმედ შუამავალზე დაფიცება დაუშვია. ანგელოზებზე და სხვა დანარჩენ შუამავლებზე დაფიცება კი აუკრძალავს..

47 – უზენაესმა ალლაჰმა მუჰამმედ შუამავლის ცოლები მართლმორწმუნეტა დედებად აღიარა საყვარელი შუამავლის გარდაცვალების შემდეგ მათზე დაქორწინება აკრძალა

48 – ნათესაური კავშირი წარღვნის დღეს არაფრად არის ჩათვ-

ლილი მაგრამ მუჰამმედ შუამავლის ნათესავებს ეს არ ეხებათ

49 – ბავშვისთვის შუამავლის სახელის დარქმევა ამქვეყნიური და იმქვეყნიური სიკეთეთაგანია. მისი სახელის მატარებელი, ჭეშმარიტი მორწმუნე ჯოჯოხეთში არ მოხვდება.

50 – მისი ყველა სიტყვა და ქცევა ჭეშმარიტებაა.

51 – მისი სიყვარული ყველასთვის სავალდებულოა. ***„ალლაჰი ვისაც უყვარს, მე უნდა შემიყვაროს“*** – ამბობს ჩვენი შუამავალი. იგი ასევე ბრძანებს: ***„მეთუ გამომყვებით, ალლაჰი შეგიყვარებთ.“***

52 – მისი ნათესავების სიყვარული სავალდებულოა. ***„ვინც ჩემს ოჯახს უმტრობს, ფარისეველია“*** – უბრძანებია საყვარელ შუამავალს.

53 – მისი ყველა მეგობრის სიყვარული სავალდებულოა. იგი ამბობს: ***„ჩემს შემდგომ, ჩემს მეგობრებს არ უმტროთ! მათი სიყვარული, ჩემს სიყვარულს ნიშნავს. ვინც მათ უმტრობს ეს ჩემს მტრობას ნიშნავს. მათ ვინც გულს ატკენ, მე მატკენს გულს. მე ვინც გულს მატკენს უზენაეს ალლაჰს ატკენს გულს. ვინც უზენაეს ალლაჰს გულს ატკენს, მას ალლაჰი დატანჯავს“*** ბრძანა.

54 – უზენაესმა ალლაჰმა მას ზეცაში და დედამიწაზე ორ-ორი თანაშემწე უბოძა, ზეცაში, ჯებრაილი და მიქაილი, ხოლო დედამიწაზე, ებუბექირი და ომერი.

55 – ყველა ზრდასრულს, კაცსა თუ ქალს, როდესაც გარდაიცვალებიან საფლავში პირველი შეკითხვის, შემდეგ მოჰკითხავენ შენი შუამავალი ვინ არისო?

56 – საყვარელი შუამავლის ჰადისების კითხვა ღვთისმსახურებაა. მკითხველს მადლი ეწერება

57 – მისთვის დალოცვილი სულის ართმევის დროს, ღაზრაილი ადამიანის ფორმაში წარსდგა შუამავალის წინაშე და შესვლისათვის ნება ითხოვა.

58 – საფლავის მიწა სამოთხის მიწაზე უფრო უკეთესია

59 – საფლავში, ჩვენთვის უცნობი ფორმით ცოცხალია. საფლავ-

ში ყურანს იკითხავს ლოცვას აღავლენს. ყველა შუამავალნიც იგივე ფორმაში არიან.

60 – დედამიწის ყველა წერტილში მისთვის მიცემულ სალამს ანგელოზები შუამავალს გადასცემენ. მის საფლავს დღეში რამდენიმე ანგელოზი ნახულობს.

61 – თანამიმდევართა ნამოქმედარს იგი ყოველ დილასა და საღამოს ხედავს სიკეთის გამკეთებელთ დაინახავს, ხოლო ცოდვილთა მიმართ უზენაესი ალლაჰიდან შენდომას ითხოვს.

62 – საფლავის მონახულება ქალებისთვისაც დაშვებულია.

63 – როგორც სიცოცხლის დროს ასევე გარდაცვალების შემდეგაც, თანამიმდევართა თხოვნას უზენაესი ალლაჰი შუამავლის პატივისცემის გამო აღასრულებს.

64 – განკითხვის დღეს პირველად საფლავიდან საყვარელი შუამავალი უნდა წამოდგეს. ის სამოთხის ტანისამოსით იქნება შემოსილი. ბურაყის მეშვეობით აღდგომის ადგილას გადაადგილდება. ხელში ***„ლივაულ ჰემდი“***-ის დროშა ექნება. შუამავალნი და ყველა ადამიანები ამ დროშის ქვეშ დადგებიან 1000 წლის ლოდინი ყველას მოწყინდებათ. ადამიანები რიგისდა მიხედვით; ადემ, ნუჰ, იბრაჰიმ, მუსა და ისა შუამავალთან მივლნენ, და ანგარიშსწორების დაწყების წინ შუამდგომლობას ითხოვენ. ყოველი მათგანი, აღიარებს რომ მათ, ალლაჰის ცხვენიათ და ეშინიათ და ამის მიზეზსაც წარმოთქვამენ. შემდეგ შუამავლთან მივლენ და სთხოვ ენ. ის, სეჯდეს გააკეთებს და ლოცვას აღავლენს ასეთნაირად მისი შუამდგომლობა დაკმაყოფილდება ალლაჰის წინაშე. პირველად მისი თანამიდდევარნი წარსდგებიან ალლაჰის სამსჯავროზე, პირველად სირათზე ისინი გაივლიან და სამოთხეში მოხვდებიან. სადაც შევლნენ, ის ადგილი განათლდება. ქალბატონი ფატიმას სირათზე გავლის დროს, მასზე იტყვიან „ყველამ თვალები დახუჭოს! მუჰამმედის ქალიშვილი მოდის.“

65 – ექვს ადგილას შენდობილი იქმნება ხალხი. პირველი, ***„მუჰამმედის მაყამიდან-ადგილი“***-დან ყველა ადამიანები აღდგომის ადგილიდან შენდომილი იქმნება იქ მოცდისაგან. მეორე; შენდო-

მით, უმეტესი ადამიანი სამოთხეში მოხდება. მესამე; ტანჯვით დასჯილნი თანჯვისგან გადარჩებიან. მეოთხე; ცოდვილნი მორწმუნენი ჯოჯოხეთიდან გამოვლნენ. მეხუთე; მადლიდა და ცოვა ერთიდა იგივე მყოფი ადამიანები არაფატიდან გათავისუფლდებიან და სამოთხეში იქმნებიან შესულნი. მეექვს, სამოთხის მკვიდრნის რანგი ამაღლებული იქმნება მისი შუამდგომლობით.

66 – სამოთხეში შუამავლის საცხოვრებელი ადგილის სახელი ვესილეა. ეს სამოთხის ყველაზე აღმატებული ადგილია. მისი ყველა ბინად ნის, გაწვდილნი ტოტი სიდრეთულ მუნთეჰას ფესვები იქ არის. სამოთხის ბინადართ საზრდო ამ ტოტების მეშვეობით ებოძება.

ვედრება

ჩვენი შუამავალი ყველა გაჩენილს შორის საუკეთესო თვისებებით იყო შემკული. ამავე დროს იგი ყველაზე აღმატებული ღვთისმოშიში იყო. უზენაესი ალლაჰის მხრიდან იგი ცოდვის ჩადენიდან დაცული ი იქნა, ამის მიუხედავათ, იგი გამუდმებით ღვთისმსახურებას აგრძელებდა, უზენაესი ალლაჰის წინაშე თხოვნასა და ვედრებას აღავლენდა. ღამის ლოცვის შემდეგ იძინებდა, შემდეგ დგებოდა და ღამის მესამედ ნაწილს ღვთისმსახურებაში ატარებდა.

იბნი აბბასი მოგვითხრობს: „ერთ ღამეს მორწმუნეთა დედის, ქალბატონი მეიმუნეს სახლში სტუმრად ვიმყოფებოდი. ალლაჰის შუამავალმა შუაღამემდე იძინა. შემდეგ გამოიღვიძა და დაჯდა, ხელით ძილის ნაკვალევი მოიცილა. შემდეგ ფეხზე წამოდგა,ჭურჭელი აიღო და აბდესის ასაღებად გაემართა. სურა ალი იმრანის ბოლო ათი აიეთი ჩაიკითხა და ლოცვა დაიწყო. მეც წამოვდექი, ალლაჰის შუამავლის მსგავსად აბდესი ავიღე და ლოცვა დავიწყე. ალლაჰის შუამავალმა ორი მუხლი ილოცა. შემდეგ ორი მუხლი კიდევ ილოცა. მერე კი ვითირის ნამაზიც შეასრულა. ამის შემდეგ დილის ლოცვის ეზნამდე ცოტა დაიძინა. შემდეგ ხელმეორედ წამოდგა ორი მუხლი ილოცა და მეჩეთში დილის სავალდებულო ორი მუხლი ლოცვის აღსავლენად გაემართა.

ჩვენი დედა, ქალბატონი აიშე გადმოგვცემს; „ალლაჰის შუამავალს ერთ ღამეს დაეძინა. როდესაც გაიღვიძა, მითხრა: ***„აიშე, თუ ნებას მომცემ, მინდა ეს ღამე ღვთისმსახურებაში გავატარო“*** შემდეგ წამოდგა. ყურანი იკითხა, იტირა. ისე რომ, ცრემლებმა მუხლები დაუსველა. სანამ კითხვას აგრძელებდა დალოცვილმა ცრემლებმა მთლიანად დაასველა. ეს მდგომარეობა დილამდე გრძელდებოდა.

დილას ბილალი ჰაბეში მოვიდა და ასეთ მდგომარეობაში მყოფი შუამავალი რომ დაინახა, უთხრა: „დედ-მამა გენაცვალოთ, ალლაჰის შუამავალო! უზენაესმა ალლაჰმა განა შენი წარსული და მომავალი ცოდვები არ გაპატია?“

„ბილალ, განა მადლობა არ გადავუხადო იმისათვის, უზენაესმა ალლაჰმა ღამით ეს აიათი მომივლინა: „ჭეშმარიტად, ცათა და დედამიწის შექმნაში და ცვლაში ღამისა და დღისა სასწაულებია გონიერთათვის.“[3]

წმინდა ჰადისებში მოყვანილია შუამავლის შემდეგ სიტყვები: ***„გულში ისეთი რაღაცაები გამივლის, რომ ყოველღამით და დღისით ალლაჰს სამოცჯერ შენდომას ვთხოვ.“ „გულში ისეთი ფარდა*** *(ალლაჰსი სხვის მოვლენის აღმკვეთი)* ***მეხურება რის გამოც უზენაეს ალლაჰს სამოცდაათჯერ შენდომას ვთხოვ“ და კიდევ „უზენაეს ალლაჰს დღე-ღამის განმავლობაში ასჯერ შენდობას ვთხოვ.“***

ალლაჰის შუამავალი იმდენად ღთისმოშიში იყო რომ, მისი თავშეუკავებელი სიცილი არავის გაუგონია.

თირმიზი ებუ ზერრადან გადმოგვცემს; ***„უეჭველად, თქვენ რისი დანახვაც არ შეგიძლიათ, მე ვხედავ. რასაც ვერ გაიგონებთ მე მესმის. ზეცაში ანგელოზებისმიერ სეჯდის გაუკეთებელი, ოთხი თითის ტოლი ადგილი არ არის. ალლაჰსვფიცავ, რომ მე რაც ვიცი ის რომ იცოდეთ ცოტას იცინებდით და ბევრს იტირებდით. იმდენად რომ ქვითინით უზენაეს ალლაჰ შეევდრებოდით.“***

ებუ ჰურეირა გადმოგვცემს: ***„ალლაჰის შუამავალმა ბრძანა: „სამოთხეში ვერავის მისი ქმედება ვერ მოახვედრებს.“*** როდესაც ვკით-

3. ალი იმრან სურას 190-ე.

ხეთ: ***„ვერც თქვენ ალლაჰის შუამავალო?“*** მან გვიპასუხა; ***„დიახ, ჩემი ნამოქმედარი სამოთხეში ვერ მომახვედრებს. მაგრამ ალლაჰის წყალობა და მოწყალება დამიფარავს.“***

იბნი ომერი მოგვითხრობს; „ალლაჰის შუამავალთან ერთად მეჯლისში ყოფნის დროს, იგი ხშირად იმეორებდა: ***„ღმერთო ჩემო! შემიწყალე და ვედრება მიიღე. შენ მიმტევებელი და მოწყალე ხარ.“*** როდესაც დავთვალეტ, აღმოჩნდა, რომ მან ეს სიტყვები ასჯერ წარმოთქვა“

ენეს ბინ მალიქმა გადმოგვცა: „ალლაჰის შუამავალი მუდმივად ***„ალლაჰუმმე ყა მუყელლიბ-ელ-ყულუნ, სებბით ყალბი ღელა დინიქ“*** წარმოთქვამდა.“

თირმიზი ებუ საღდ ჰუდრიდენ გადმოცემით ალლაჰის შუამავალმა ბრძანა: ***„ვინც ძილის წინ სამჯერ „ესთეღფირულლაჰილ ღეზიმ ელლე ზი ლა ილაჰე ილა ჰუველ-ჰაიულ-ყაიუმ ვე ეთუბუ ილეიჰ“ წარმოთქვამს, რამდენადაც ცოდვილი უნდა იყოს, ზღვის ქაფის ან თემის მაცხოვრებლების ქვიშის ოდენი ან კი ხის ფოთლების ცოდვა რომ ჰქონდეს, უზენაესი ალლაჰი მას მიუტევებს.“***

ბუჰარისა და მუსლიმი გადმოცემით; ალლაჰის შუამავალი შემდეგნაირად ევედრებოდა უზენაეს ალლაჰს: ***„ალლაჰუმეღფირლი ჰატიეთი ვე ჯეჰლიი, ვე ისრაფიი ფი ემრიი ვე მა ენთე ეღლემუ ბიჰი მინნიი.“***

(ღმერთო ჩემო! შენი ნაცოდინარი და მე ცოდნით ან არ ცოდნით რა ცოდვა ჩავიდინე, შეცდომები მაპატიე!).

„ალლაჰუმმეღფირლი ჰეზლიი ვე ჯიდდიი ვე ჰატაიი ვე ამდიი ვე ქულლუ ზაალიქე ღინდიი. ალლაჰუმმეღფირლი მაა ყადდემთუ ვემაა ახხართუ ვემაა ესრართუ ვემაა ეღლენთუ ვემაა ენთე ეღლემუ მინიი ენთ-ელ მუყედდემუ ვე ენთ-ელ მუახხერუ ვე ენთე ღელაა ქულლი შეინ ყედიირ.“

(ღმერთო ჩემო, ხუმრობით, სერიოზულად, დავიწყებით და განგებ ჩემთვის შესაძლებელი ყველა ნაკლოვანებიდან შემინდე. ღმერთო ჩემო! გასაკეთებელი ან გაკეთებული, დაფარული და აშკარა ყველა ნაკლოვანება მომიტევე. მუყადემი და მუააჰერი შენ

ხარ. ყველაფერზე ძალაუფლება შენ გაქვს მხოლოდ.

შუამდგომლობა

ალლაჰის შუამავალმა, აღდგომის დღეს მუსლიმებს შუამდგომლობა უნდა გაუწიოს, ისინი დარდისა და მწუხარებისგან უნდა გადაარჩინოს. იგი ერთ-ერთ ხადისში ბრძანებს: ***„ჩემ მიმდევართა ერთი მეორედის სამოთხეში შესვლასა და შუამდგომლობას შორის არჩევანის წინაშე ვიყავი. მე შუამდგომლობა ვარჩიე. რადგანაც ის უფრო ყველას მომცველია. ის მხოლოდ ღვთისმოშიშთათვის არ იგულისხმოდ რადგანაც ის, ცოდვილთა მომცველიც არის...“***

ებუ ჰურეირას გადმოცემულ ჰადისში, კაცობრიობის სიამაყე ამბობს: ***„ჩემი შუამდგომლობა მას შეეხება, ვინც ენით წარმოთქვამს და გულით დაადასტურებს „არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა “.***

ზოგიერთ ხადისში ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: ***„ჩემი შუამდგომლობა ჩემი ოჯახის მოყვარულთ შეეხება“.***

„ჩემ მიმდევართაგან, დიდი ცოდვის ჩამდენთ ვუშუამდგომლებ“.

„ჩემი მეგობრების ავად მომხსენებლის გარდა, ყველას შუამდგომლობას გაუწევ“.

„ჩემ მიმდევართაგან თავის დამტანჯველნთ, და სულის მომტყუებელთ შუამდგომლობას გავუწევ“.

„აღდგომის დღეს, პირველად მე უნდა გავუწიო შუამდგომლობა“.

„ჩემი შუამდგომლობის არ მცნობი, ჩემ შუამდგომლობას ვერ მიიღებს“.

წარღვნის დღეს სურის ჩაბერვის მრისხანებისგან თმები ყალყზე დადგება, თვალები გაშტერდება და მორწმუნენი და ურწმუნონი განკითხვის ადგილას აღმოჩნდებიან. ეს ტანჯვის მომმატებელი აღდგომის დღის მძვინვარებაა.

ამ დროს, არშს, რვა ანგელოზი მოიკიდებს და წაიღებს. მათგან ერთი ანგელოზი ერთი ნაბიჯით, ოცი ათასი წლის ამქვეყნიურ

გზას დაფარავს.

ანგელოზები და ღრუბლები ემპირეას გამყარებამდე, გონების ჩაუწვდომელი სიტყვებით ალლაჰს განადიდებენ. ასეთნაირად ემპირეა, უზენაესი ალლაჰის მხრიდან ემპირეასთვის გაჩენილ თეთრ მიწაზე განამტკიცებს. ამ დროს, უზენაესი ალლაჰის სასჯელის წინაშე ყველა შიშით ათრთოლდება, ტანჯვის შიშით თავებს ქვემოთ დახრიან და ყველა მოწყალების ძებნას დაიწყებს.

შუამავლებსაც და სწავლულებასაც შიში შეიპყრობს. ევლიები და შეჰიდები უზენაესი ალლაჰის მხრიდან წამების შემხედვარენი წივილ-კივილს ატეხავენ. მათ, ამ მდგომარეობაში, მზის სინათლეზე უფრო მეტი ნათელი მოიცავს. მზის მოძრაობის შედეგად დაუძლურებულნი, ამის შემხედვარე მთლიანად განადგურდებიან. ათასი წელი, ამ მდგომარეობაში დარჩებიან. უზენაესი ალლაჰის მხრიდან მათ არაფერი არ ემცნობათ.

ამ დროს ადამიანები უპირველეს შუამავალთან მივლნენ; „ადემ, სალამი შენ! შენ ძლიერი და დალოცვილი შუამავალი ხარ. უზენაესმა ალლაჰმა შენ გაგაჩინა და ანგელოზებს სეჯდე გააკეთებინა. შენ თავისი სული ჩაგბერა. განკითხვის დროს გვიშუამდგომლე და რაც უზენაესი ალლაჰის მხრიდან მოგველის, იმით განვისაჯოთ. საითკენაც გვიბრძანებს, ყველა იქითკენ წავიდეთ. ყველაფრის მმართველმა და ყველაფრის ბატონ პატრონმა უზენაესმა ალლაჰმა თავის გაჩენილები როგორც სურს, ისე ჰქმნას“.

ადემი ბრძანებს: „მე, უზენაესი ალლაჰის მიერ აკრძალული ხილიდან ნაყოფი მივირთვი. ამიტომ უზენაესი ალლაჰის მრცხვენია. მაგრამ თქვენ ნუჰ შუამავალთან მიდით“. ასეთნაირად ბჭობაში ათასი წელი გაივლის.

შემდეგ ნუჰთან მივლენ და შეევედრებიან: „უძლურნი ვართ. შუამდგომლობა გაგვიწიე რათა განკითხვა შესდგეს. ამ ანგარიშწორების ტანჯვისგან გაგვათავისუფლეთ“ ნუჰი მათ უპასუხებს: „მე უზენაეს ალლაჰს შევთხოვე და ამ ვედრების შედეგად დედამიწაზე არსებული ყველა ადამიანი დახრჩობილი იქმნა. ამიტომ უზენაესი ალლაჰის მცხვენია. მაგრამ თქვენ იბრაჰიმთან წადით.

უზენაესი ალლაჰი ჰაჯ სურას ბოლო აიათში ამბობს; ***„იბრაჰიმმა თქვენ სამყაროში მოვლენამდე თქვენ მუსლიმები დაგარქვათ“*** შესაძლოა, მან გიშუამდგომლოთ თქვენ.“

ბჭობაში ისევ ათასი წელი გაივლის. შემდეგ იბრაჰიმთან მივლნენ და ეტყვიან „მუსლიმანთა მამავ! შენ უზენაესი ალლაჰის გულწრფელი მეგობარი ხარ. ჩვენ გვიშუამდგომლე! უზენაესმა ალლაჰმა მისი გაჩენილებისთვის განაჩენი გამოიტანოს.“ იბრაჰიმი მათ უპასუხებს: „მე დედამიწაზე ყოფნის დროს სამჯერ ქარაგმულად ვილაპარაკე. ქარაგმული ლაპარაკის შემდეგ რწმენის გზაზე ვიბრძოლე. ახლა კი, უზენაეს ალლაჰთან შუამდგომლობა მცხვენია. თქვენ მუსასთან მიდით. რადგანაც, უზენაესმა ალლაჰი მას ელაპარაკა და მას მორალური სიახლოვე აჩვენა. ის, თქვენ შუამდგომლობას გაგიწევთ“.

ამ თემაზე ბჭობაში ისევ ათასი წელი გაივლის. მაგრამ ამ დროს მათი მდგომარეობა უფრო მეტად დამძიმდება. განკითხვის ადგილი შევიწროვდება. შემდეგ მუსასთან მივლნენ და ეტყვიან, „ეი იმრანის შვილო! შენ უზენაეს ალლაჰთან მოსაუბრე და თევრათის მფლობელი შუამავალი ხარ. ანგარიშწორების დაწყებისათვის უზენაეს ალლაჰთან გვიშუამდგომლე! რადგანაც აქ დგომა ძალიან გაგრძელდა. ხალხმრავლობის გამო სადაცაა დავილესებით“.

მუსა მათ ეტყვის: „მე, უზენაეს ალლაჰს ფარაონის განადგურებისათვის წლობით ვევედრე. შემდგომ თაობისათვის საოცრება რომ ყოფილიყო ფარაონი ვთხოვე. ახლა კი, შუამდგომლობა მრცხვენია. მაგრამ, უზენაესი ალლაჰი მოწყალე და მწყალობელია. თქვენ ისასთან მიდით. რადგანაც ის, სიახლოვისმხრივ ყველაზე მართალი, მარიფათის მხრივ ყველაზე საუკეთესო და სიბრძნის მხრივ ყველზე უზენაესი ის არის. თქვენ ის გაგიწევთ შუამდგომლობას“.

შემდეგ ისასთან მივლნენ. ეტყვიან: „შენ უზენაესი ალლაჰის სული და სიტყვა ხარ, ალი იმრან სურა 45 აიეთში შენს შესახებ უზენაესი ბრძანებს; ***„ამიერ სოფელში და იმიერ სოფელში ყველაზე ძვირფასი ხარ“.*** ჩვენ უზენაესთან შუამდგომლობა გაგვიწიე!“

ისა ბრძანებს: „ჩემმა ხალხმა მე და დედაჩემი ალლაჰთან ერთად რმერთებად ჩაგვთვალა. ასეთ მდგომარეობაში მე როგორ გაგიწევთ შუამდგომლობას? მეც როგორც რმერთს, ისე მემსახურებოდნენ; მე შვილი და ალლჰს მამა უწოდეს. ბოლო შუამავალ მუჰამედთან მიდით. რადგანაც მან, შუამდგომლობა თავისი ხალხისთვის შემოინახა. რადგანა მისმა ხალხმა ის რამდენჯერმე დაამწუხრა. დალოცვილი შუბლი გაუხეთქეს. დალოცვილი კბილი მო ტეხეს. მას სიგიჟეც კი დააბრალეს. მაგრამ იმ უწმინდესმა შუამავალმა ამ ყველაფრის მიუხედავათ, თავის ძმებს მიმართა; ***„ახლა თქვენ, ტანჯვა არ გექნებათ. მწყალობელი და მოწყალე უზენაესი ალლაჰი გაპატიებთ“.***

იმწამსვე ალლაჰის შუამავალ მუჰამმედთან მივლენ და ეტყვიან: „შენ ალლაჰის ყველაზე საყვარელი ადამიანი ხარ! სიყვარული კი, ურთიერთობის ყველაზე საუკეთესო ფორმაა. გვიშუამდგომლე უზენაეს ალლაჰთან! ჩვენ პირველ ადამიანთან და უპირველეს შეუამავალთან მივედით იგივე ვედრებით. მან კი, ნუჰთან გაგვაგზავნა. ნუჰთან რომ მივედით, მან იბრაჰიმთან გაგვაგზავნა, იბტაჰიმმა მუსასთან გაგვიშვა, და როცა მუსასთან მივედით მან ისასთან მისვლა გვირჩია, ისასთანაც მივედით თხოვნით, რომ უზენაესი ალლაჰის წინაშე ჩვენი შუამდგომლობა საკუთარ თავზე აეღო,მაგრამ მან თქვენთან გამოგვაგზავნა. ალლაჰის შუამავალო! შენს შემდეგ, რათქმა უნდა, წასასვლელი აღარსად გვაქვს.“

ალლაჰის შუამავალმა ბრძანა: ***„თუკი უზენაესი ალლაჰი მხრიდან თანხმობა იქნება, შუამდგომლობას გაგიწევთო“.***

ჯელალის ფარდასთან მივა, ალლაჰიდან შუამდგომლობისთვის ნებას ითხოვს. იგი ამ უფლებას მიიღებს. რიდეები აიწევა. ემპირეაში შევა. სეჯდეს გააკეთებს. ათასი წელი სეჯდეზე დარჩება. ამის შემდეგ, უზენაესი ალლაჰის მიმართ ისეთ ქება-დიდებას აღავლენს, რომელიც მანამდე არავის გაუგონია.

განკითხვის ადგილზე ადამიანების მდგომარეობა უფრო გამწვავდება. ყველა ადამიანს წარმავალ ცხოვრებაში გადამალული ქონება კისერზე ჩამოეკიდება. აქლემის ზექათის არგადამხდელებს, ეს ცხოველი კისერზე დაეკიდებათ, ისინი აყვირდებიან და

მათი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება. ძროხისა და ცხვრის ზექათია არგადამხდელნიც იგივე მდგომარეობაში აღმ ოჩნდებიან. მათი წივილ-კივილი ცას შეწვდება და ჭექა-ქუხილს დაემსგავსება.

კულტივაციის ზექათის, ე.ი. ოშურის არგადამხდელებს კისერზე საპალნეები ექნებათ ჩამოკიდებული.. წარმავალ ცხოვრებაში რომელი მარცვლეულის ზექათის არგამცემთ, ამ სახის საპალნეები დაამძიმებთ. ოქროს, ვერცხლისა და ქაღალდის ფულიდან ზექათის არგადამხდელთ კი, კისერზე გველი ჩამოეკიდებათ. ისინი იყვირებენ: „ეს რა არის?“ მათ ანგელოზები უპასუხებენ: „ეს დედამიწაზე არსებული თქვენი ქონებიდან გადაუხდელი ზექათია. ასეთ საშინელ მდგომარეობას, ალი იმრან სურას ას მეოთხმოცე აიეთი ნათლად ხსნის: ***„დედამიწაზე რაც იძუნწეს, აღდგომის დღეს კისერზე ჩამოეკიდებათ“.***

სხვა ხალხს კი, სასირცხვო ადგილებიდან ჩირქი გადმოსდინდებათ. მათგან წამოსული ცუდი სუნით გარშემომყოფი ძალიან შეწუხდებიან. აი, სწორედ ესენი არიან მრუშნი და აკრძალულის გამკეთებელნი.

სხვა ადამიანების ჯგუფი კი, ენა გარეთ გამოვადნილი და გულში ჩამოკიდებული საშინლად ცუდი შესახედავი არიან. ადამიანებს მათი დანახვა არ მოესურვებათ. ესენი კი, მატყუარა და ცილისმწამებელნი არიან.

სხვა ჯგუფს კიდე, უზერმაზარი მთების მსგავსად გაზრდილი მუცლები ექნებათ. აი, ესენი დედამიწაზე პროცენტის ამღებნი და მიმცემნი არიან.

უზენაესი ალლაჰი იტყვის; ***„ეი მუჰამმედ, თავი წამოწიე სეჯდედენ! უთხარი, შუამდგომლობა გაუკეთე, მიღებული იქმნა“ ბრძანებს. ალლაჰის შუამავალი; „ღმერთო ჩემო! ადამიანებს შორის ცუდნი და კარგი განარჩიე რათა, დრო ისედაც გაიწელა. ყველა, ცოდვის გამო არასათის მოედანზე დამცირებული იქმნა“*** ეტყვის.

ძახილი მოესმინება: ***„დიახ ეი მუჰამმედ!*** ეთქმება. უზენაესი ალლაჰი სამოთხეს უბრძანებს ყველანაირი სამკაულით მოიკაზმე.

არასათის მოედანი იქმნება მოტანილი. იმდენად კარგი სურნელობა ექნება რომ ხუთასი წლის სავალი გზის სიშორიდან სასიამოვნო სული იგრძობა. ამ მდგომარეობიდან გულები განათლდება. სულები გაცოცხლდება მაგარმ ურწმუნონი, ამ სუნს ვერ იგრძნობენ.

ანგარისწორების ადგილას, უზენაესი ალლაჰი, სამოთხისა და ჯოჯოხეთის მოტანას უბრძანებს. ამ დროს, ჯოჯოხეთის ყვირილი და გრიალი და ცეცხლის ფქვევა და ფუტი მისი მთლიანად ზეცას დაფარავს. მისი ხმაური და სიცხე აუტანელ მდგომარეობაშია. ყველას მუხლებსი ძალა გამოეცლებათ და სადაც იყვნენ იქ ჩაიმუხლებიან.

ამ მდგომარეობას სუამავალი მუჰამმედიც ვერ გაუძლებს. იბრაჰიმი, მუსა, ისა ემპირეას შემოეხვევიან. იბრაჰიმს ზვარაკად შეწირული ისმაილი დაავიწყდება, მუსას კი, თავის ძმა ჰარუნი და ისას დედა მარიამი დაავიწყდება. ყველა მატგანი უზენაეს ალლაჰს შეევედრება, დღეს ჩემი სულიდან მეტი არაფერი გვინდა“ იტყვიან .

საყვარელი შუამავალი კი; ***„ღმერთო ჩემო ჩემს ხალხს კეთილდღეობა და დახმარება უბოძეო!“*** ასეთნაირად შეევედრება. იქ ამ ტანჯვის ამტანი არავინ მოინახება. უზენაესი ალლაჰი ასეთნაირად გვამცნობს; ჯასიე სურას ოცდა მერვე აიეთში; ***„იმ დღეს ყველა ხალხს მუხლებზე ჩაჩოქილს დაინახავ. ყველა ხალხი თავისი წიგნით გამოიძახება, დღეს თქვენ*** *(იმქვეყანაზე)* ***ნაკეთების მიხედვით განისჯებით“*** ებრძანება.

ასევე მულქ სურას მერვე აიეთში; ***„სადაცაა*** *(ჯოჯოხეთი)* ***გასკდეს უნდა მძვინვარებისგან.“*** ალლაჰის შუამავალი ჯოჯოხეთის შეაჩერებს: ***„დამცირებულად და დადავლებულად უკან გაბრუნდი! მანამდე, შენთან შენი მკვიდრნი ჯგუფ-ჯგუფად არ მოვლნენ.“***

ჯოჯოხეთიც; „ეი მუჰამმედ! ნება მიბოძე! რადგანაც, შენ ჩემთვის არამი ხარ“ არში ჩამოსძახებს; ეი ჯოჯოხეთო! მუჰამმედს მოუსმინე!“ შემდეგ მუჰამმედი (ს.ა.ვ.) ჯოჯოხეთს გააძევებს. ემპირიის მარცხენა მხარეს განათავსებს. ანგარიშსწორების ხალხი,

შუამავალის ამ კეთილ მოპყრობასა და შუამდგომლობას ერთი მეორეს უმახარობლებენ. შიში ცოტა შეუმცირდებათ. ენბია სურას ას მეშვიდე აიეთში: ***„ჩვენ შენ სამყაროში მოწყალებად წარგაგზავნეთ“.***

რომ შევაჯამოთ; ალლაჰის შუამავალი ექვს ადგილას შუამდგომლობას გასწევს. მაქამუ მაჰმუდდა მისი შუამდგომლობით ყველა ადამიენები ანგარიშსწორების ადგილზე ცდიდან განთავისუფლდებიან. მეორე მისი შუამდგომლობით, ძალიან ბევრი სამოთხის მკვიდრი გახდება. მესამე; მისი შუამდგომლობით ძალიან ბევრს ტაბჯვა ასცილდებათ. მეოთხე ცოდვილნი მორწმუნენი ჯოჯოხეთიდან განთავისუფლდებიან. მეხუთე; ცოდვისა და მადლის თანასწორნი არაფატიდან გათავისუფლდებიან და სამოთხის მკვიდრნი გახდებიან, მეექვსე კი, სამოთხის მკვიდრნს ხარისხი მოემატებათ.

საოცრებები

უკეთილშობილესი მუჰამმედი უზენაესი ალლაჰის შუამავლი რომ არის ამის დამადასტურებელი მოწმე საკმაოდ მრავალია. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს; ***„შენ რომ არა სამყაროს არ გავაჩენდი.“*** ყველა არსება, ისევე როგორც უზენაესი ალლაჰის ერთობასა და არსებობას, ასევე მუჰამედის შუამავლობასაც აღიარებს.

საყვარელი შუამავალ მუჰამმედის საოცრებები დროის მხრივ შეიძლება სამ ნაწილად გავყოთ; ***პირველი,*** შუამავლობის მისიამდელი დრო. ***მეორე,*** შუამავლობის მისიის შემდეგი დრო. ***მესამე***, გარდაცვალებიდან აღდგომამდე რომელსაც ირჰასი ეწოდება. შუამავლობის მისიის დროინდელი საოცრებები სამიათასამდეა. ამათგან ყველაზე მეტად გამორჩეულის შესახებ მოგითხრობთ.

1 – მუჰამმედ (ს.ა.ვ.)-ის ყველაზე დიდი საოცრება წმინდა ყურანია. დღემდე ყველა ლიტერატორი ყურანში სიტყვათა და აზრთა წყობითა და მნიშვნელობით მოხიბლული დარჩა. მათ ერთი აიათის მსგავსის დაწერაც კი ვერ შეძლეს. აიათს ერთი სიტყვაც რომ დაამატო ან მოაკლო, იგი მნიშვნელობასა და სილამაზეს კარგავს. ყურანი წარსულში მომხდარისა და მომავალში მოსახდენის შესახებ უამრავ ინფორმაციას გვაწვდის. მის მომსმენთ და წამკითხაველთ მისი კეთილხმოვნება აღაფრთოვანებთ. უამრავი ისლამის მტერი მისი მოსმენით გამუსლიმანებულა.

2 – ერთ დღეს ალლაჰის წმინდა შუამავალი თავის ბიძა აბბასთან მივიდა და მის გვერდით ჩამოჯდა. იქვე აბბასის შვილიც იმყოფებოდა. კაცობრიობის სიამაყემ ისინი იჰრამით(პილიგრიმების თეთრი მოსასხამი) შემოსა და უზენაეს ალლაჰს შეევედრა: ***„ღმერთო ჩემო! ბიძაჩემი და ჩემი ოჯახი როგორც დავფარე, შენც ისე, ჯოჯოხეთის ცეცხლიდან დაიფარე.“*** ამის შემდეგ მან კედლებიდან სამჯერ ამინის ხმა გაიგონა.

3 – ერთ დღეს მან ხელში კერპით პიროვნება დაინახა; ***„კერპი რომ დამელაპარაკოს, რწმენას მიიღებ?“*** ჰკითხა ამ კაცს კაცობრიობის სიამაყემ. კერპꙮაყვანისმცემელმა უპასუხა: „ამ კერპს

ორმოცდაათი წელია ვეთაყვანები და ამისგან ერთი სიტყვაც არ მსმენია. შენ როგორ დაგელაპარაკება?“ მუჰამმედ შუამავალმა კერპს ჰკითხა: ***„კერპო, მე ვინ ვარ?“*** კერპმა მოულოდნელად ენა ამოიდგა და უპასუხა: „შენ ალლაჰის შუამავალი ხარ.“ ამ სასწაულის მნახველმა კერპთაყვანისმცემელმა ისლამი მაშინვე აღიარა.

4 – ერთხელ, როდესაც ალლაჰის წმინდა შუამავალი ველზე მიდიოდა, მას სამჯერ დაუძახეს: „ალლაჰის შუამავალო!“. იგი იმ მხარეს მიტრიალდა, საიდანაც ხმა გაიგონა და დაბმული ირემი დაინახა. ცხოველის გვერდით, ერთი ადამიანს ეძინა. კაცობრიობის სიამაყემ დაინტერესდა, თუ რა სურდა ირემს. ცხოველმა მას უთხრა: „ამ მონადირემ დამიჭირა, მაგრამ მოპირდაპირე მთაზე შვილები დავტოვე, გთხოვ გამათავისუფლო, მათ დავაპურებ და მოვალ.“ ალლაჰის შუამავალმა ჰკითხა: ***„სიტყვას შეასრულებ და უკან დაბრუნდები?“*** ირემმა მიუგო: „ალლაჰს ვფიცავ, თუკი არ დავბრუნდები ალლაჰის ტანჯვა დამატყდეს თავს!“ მან ირემს დაუჯერა და გაუშვა. ცოტა ხნის შემდეგ ცხოველი დაბრუნდა. ამ დროს მონადირემაც გაიღვიძა და ორივე სამყაროს მზეს კითხა: ***„ალლაჰის შუამავალო რაიმეს ისურვებთ?“*** ალლაჰის წმინდა შუამავალმა მა ირმის განთავისუფლება თხოვა; ამ კაცმა მას თხოვნა შეუსრულა და ირემი გაატავისუფლა. ცხოველმა წარმოთქვა: „მოწმე ვარ რომ,არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა და შენ მისი შუამავალი ხარ“ და შურდულივით გაიქცა.

5 – ნესაი და თირმიზი ***„სუნენში“***: ბრმა შუამავალთან მოვიდა და უთხრა; „ეი ალლაჰის შუამავალო! ალლაჰს შეევედრე, რომ თვალები ამიხილოს!“ შუამავალმა მას აბდესის აღება სთხოვა შემდეგ კი; ***„იე ღმერთო ჩემო! შენ გევედრები. საყვარელი შუამავალის შუამდგომლობით, შენგან ვთხოვულობ. ეი საყვარელო შუამავალო მუჰამმედ! შენი შუამდგომლობით, ღმერთს ვევედრები. შენი პატივით ყაბულობა მსურს. ღმერთო ჩემო! ეს უზენაესი შუამავალი მიშუამდგომლე! მისდამი პატივით ვედრება შეისმინე“*** ამ ვედრების ჩაკითხვის შემდეგ. თვალები აეხილა.

6 – ერთ-ერთმა ქალბატონმა ალლაჰის წმინდა შუამავალს საჩუქრად თაფლი გაუგზავნა. მან თაფლი მიიღო და ჭურჭელი უკან

გაატანა. უზენაესი ალლაჰის შემწეობით, თაფლით სავსე ჭურჭელი ქალს უკან დაუბრუნდა. იგი შუამავალთან მივიდა და უსაყვედურა; ***„ალლაჰის შუამავალო ისეთი რა შევ ცოდე, რომ ჩემი გამოგზავნილი საჩუქარი არ მიიღეთ?“*** „საჩუქარი მივიღე. ის თაფლი რომელიც უკან დაგიბრუნდა, საჩუქრისთვის უზენაესი ალლაჰის მიერ შენთვის მოცემული ბარაქაა“ – მიუგო შუამავალმა. გახარებულმა თაფლი სახლში წაიღო. მთელმა ოჯახმა ეს თაფლი რამდენიმე თვის განმავლობაში მიირთვა. თაფლი საერთოდ არ მცირდებოდა. ერთ დღეს შეცდომით თაფლი სხვა ჭურჭელში ჩაასხეს და მთლიანად მიირთვეს. როდესაც ეს ამბავი შუამავალს უამბეს, მან შენიშნა: ***„ჩემი გაგზავნილი ჭურჭლიდან რომ მიერთვათ, სანამ ეს ქვეყანა იარსებებდა, ის თაფლი არ დაილეოდაო.“***

7 – ერტხელ კაცობრიობის სიამაყემ თქვა: „ჩემი მიმდევარები ზღვიდან იომებენ და ჩემი საჰაბეებიდან ერთ-ერთი, ქალბატონი უმმუ ჰირამიც მათთან ერთად იქნებაო,“ და მართლაც, წმინდა ოსმანის ხალიფობის დროს მუსლიმებმა, გემებით კვიპროსის კუნძულზე იომეს. ეს ქალბატონიც მათთან ერთად იყო და იქ შეჰიდი გახდა.

8 – ერთხელ ალლაჰის წმინდა შუამავალმა მუავიეს უთხრა: ***„როდესაც ჩემი ხალხის მმართველი გახდები, სიკეთის მქმნელი დაასაჩუქრე! ცუდის ჩამდენს კი აპატიეო!“*** მისი სიტყვები გამართლდა და მუავიე წმინდა ომარისა და ოსმანის ხალიფობის დროს, ოცი წელი დამასკოს გუბერნატორი იყო, ხოლო შემდეგ ოცი წელი ხალიფა.

9 – როდესაც ალლაჰის წმინდა შუამავალმა აბდულლაჰ იბნ აბბასის დედას შეხვდა, მას უთხრა: ***„შენ ვაჟიშვილი შეგეძინება. როდესაც ეს მოხდება, ბავშვი ჩემთან მოიყვანე.“*** როდესაც ბავშვი დაიბადა შუამავალმა მას ყურში ეზანი და ყამეთი წაუკითხა, სახელად აბდულლაჰი დაარქვა და თქვა: ***„ეს ბავშვი ხალიფების მამა გახდება.“*** მართლაც, აბისინიის სახელმწიფოს სათავეში ხალიფების უმრავლესობა აბდულააჰ იბნ აბბასის შთამომავლები იყვნენ.

10 – ერთხელ შუამავალმა საყვარელ ბიძაშვილს, აბდულლაჰ ბინ აბბასს შუბლზე დალოცვილი ხელი დაადო და შეევედრა; ***„ღმერ-***

თო ჩემო! ეს რელიგიაში სწავლულად ჰქმენ, სიბრძნე და ყურანის ცოდნა უბოძე!“ მართლაც, აბდულლაჰ იბნ აბბასი ყველა მეცნიერებაში, განსაკუთრებით თეფსირში, ხადისსა და ფიკიჰში ეპოქის საუკეთესო სწავლული გახდა. სახაბეები და თაბიინი ყველაფერს მისგან იგებდნენ. იგი ***თერჯუმანულ ყურანის, ბაჰრულ ილიმისა და რეისულ მუფესსირინის*** სახელებით იყო ცნობილი, ისლამის სახემწიფოები მისი მოსწავლეებით აივსო.

11 – ალლაჰის წმინდა შუამავალი ღმერთს შეევედრა, რომ მისი მსახური ენეს ბინ მალიქი მდიდარი, გამხდარიყო, ჰყოლოდა ბევრი შვილი, დიდხანს ეცოცხლა და ცოდვები მიტევებოდა და მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ ენესი გამდიდრდა, მისი ბაღები კარგ მოსავალს იძლეოდა და მას ბევრი შვილი შეეძინა. ენესმა 110 წლამდე იცოცხლა. სიცოცხლის ბოლოს ვედრების დროს მან ღმერთს ჰკითხა: „ასრულდება თუ არა ალლაჰის შუამავლის ვედრებიდან ბოლო პუნქტი, რომელშიც მან ცოდვების პატიება მისურვა?“ და მაშინ ენესს ხმა შემოესმა: „ნუ სწუხხარ, მეოთხეც შესრულდება.“

12-ჰიჯრეთის მესამე წელს, როდესაც ალლაჰის შუამავალი კატტანის ომის დროს ხის ძირას განმარტოებით იწვა, მასთან ხმლით ხელში ერთ-ერთი ურწმუნო ფალავანი სახელად დასური მივიდა და დაემუქრა: „ახლა შენ ჩემი ხელიდან ვინ გადაგარჩენს?“ ალლაჰის შუამავალმა მიუგო: ***„უზენაესი ალლაჰი გადამარჩენს“.*** ამ დროს ჯებრაილ ანგელოზმა ადამიანის სახე მიიღო და ურწმუნოს ხელიდან ხმალი გააგდებინა. ალლაჰის შუამავალმა ხმალი ხელში აიღო და ჰკითხა: ***„ახლა შენ ვინ გადაგარჩენს?“*** მტერმა მას შეწყალება თხოვა და უკეთილშობილესმა მუჰამმედმა ის გაათავისუფლა. მოგვიანებით ეს იუდეველი მუსლიმანი გახდა.

13 – ალლაჰის შუამავალმა, ერთ დღეს აბდესი აიღო, ერთი მესი ჩაიცვა, და როდესაც ხელი მეორისკენ გაიწოდა, ის ჩიტმა ჰაერში აიტაცა. მესიდან გველი გადმოვარდა. ამის შემდეგ ფეხსაცმლის ჩაცმის წინ მისი დაფერთხვა სუნნეთი გახდა.

14 – ენესი მოგვითხრობს: „ალლაჰის შუამავალს ერთი პირსახოცი ჰქონდა, როდესაც გაუჭუჭყიანდებოდა, ცეცხლში მოისვრიდა. პირსახოცი ჭუჭყისგან თავისუფლდებოდა და არ იწვებოდა.

15 – როდესაც უჰუდის ომში, ებუ ყათადეს თვალი ლოყაზე გამოუვარდა, იგი შუამავალს მიჰგვარესმან დალოცვილი ხელით თანამიმდევარს თვალი ჯამში ჩაუსვა და ღმერტს შეევედრა; ***„ღმერთო ჩემო! თვალი გაუმთელე!“*** და მართლაც ამის შემდეგ ყათადე ამთვალით მეორეზე უკეთ ხედავდა.

16 – ერთ დღეს ალლაჰის შუამავალმა თავის ქალიშვილ ფატიმასთან სახლში შეიარა და მისი ოჯახი მოიკითხა. ფატიმამ მამას უთხრა: „მამი! სამი დღეა მე და ბავშვებს არაფერი გვიჭამია, მე შიმშილს გავუძლებ, მაგრამ ჰასანისა და ჰუსეინის მდგომარეობა მაღელვებს და მტანჯავს“.

საყვარელმა შუამავალმა მიუგო; ***„ფატიმა! ჩემი საყვარელო გოგო! შენ სამი დღეა მშიერი ხარ. მე კი, ოთხი დღეა არაფერი მიჭამია“.*** საყვარელი შვილიშვილების მდგომარეობამ ის ძალიან დაამწუხრა...

ალი ბავშვების დასაპურებლად სამუშაოდ გაემგზავრა. როდესაც მედინას გასცდა ერთ-ერთი ჭის პირას სოფლელი დაინახა, რომელიც აქლემებს წყალს ასვამდა.

მას მიუახლოვდა და უთხრა; ***„არაბო! ვინმე ისეთი გჭირდებათ, აქლემებს რომ წყალს დაალევინებს?“*** სოფლელმა მიუგო, „დიახ, ასეთ პიროვნებას ვეძებდი. თუ ისურვებ მოდი, აქლემებს წყალი დაალევინე სანაცვლოდ კი,თითო ვედროს ამოღებაში სამ ჰურმას მოგცემ.“

წმინდა ალიმ ჭიდან წყლის ამოზიდვა დაიწყო. როდესაც ცხრა ვედრო ამოიღო ჯაჭვი გაიხსნა და ვედრო ჭაში ჩვარდა. ამის შემხედვარე სოფლელი, უცბად ზეზე წამოიჭრა და ალის სახეში ხელი გაარტყა.

შემდეგ რვა ვედრო წყლის ამოზიდვის საფასური ოცდაოთხი ხურმა გადაუხადა. იმ კაცის ქმედებამ ალი საკმაოდ დაამწუხრა, მან ხელი ჭაში ჩაყო, ვედრო ამოიღო, იქვე დადგა და წავიდა.

სოფლელი ძალიან გაოცდა: „ხელით ასეთ ღმა ჭაში ვედროს როგორ მისწვდა?!. ნუთუ ეს კაცი მომავალი რელიგიის წარმომადგენელია?“ – ასეთ ფიქრებში ჩაიძირა სოფლელი. შემდეგ კი წარმოთქვა „მისი, შუამავალი, ჭეშმარიტი შუამავალია. მე ის ვირ-

წმუნე !“

იგი თავისივე ქმედებამ სინანულში ჩააგდო. „ასეთი ხელი უნდა მოიკვეთოსო,“ ხელში ხმალი აიღო და ის ხელი მოიკვეთა, რომლითაც ალის სახეში გაარტყა.

ძლიერი ტკივილი იგრძნო მაგრამ, გული დაიმშვიდა. მოკვეთილი ხელი მეორე ხელში აიღო და პირდაპირ მესჯიდი ნებევისკენ გაემართა. საჰაბეებს ჰკითხა, თუ სად შეეძლო ალლაჰის შუამავლის ნახვა. მათ უპასუხეს, თავის ქალიშვილ ფატიმასთან წავიდაო. სოფლელმა მისამართი გაიგო და ალისა და ფატიმას სახლისკენ გაემართა. გაიგო და ამ დროს საყვარელ შუამავალს შვილიშვილები კალთაზე დაესვა და ალისგან მოტანილ ჰურმას აჭმევდა.

სოფლელი, ფიქრობდა რა ჩადენილ დანაშაულზე, გაგიჟების პირას იყო მისული.

ამ მდგომარეობაში წმინდა ფატიმას სახლთან მივიდა და კარზე დააკაკუნა. სახლიდან წმინდა შუამავალი გამოვიდა. სოფლელი მას შეეხვეწა: „ვირწმუნე შენი. შენ ალლაჰის შუამავალი ხარ! ჩადენილი ცოდვა მოვინანიე, გთხოვ მაპატიო!“

საყვარელი შუამავალი დაინტერესდა,თუ რატომ მოიკვეტა ხელი ამ ადამიანმა. ***„შენი თანამიმდევრის დალოცვილ სახეზე გამრტყმელი ხელის ტარების მრცხვენია და იმიტომ მოვიკვეთე.“*** – უპასუხა სოფლელმა.

სიბრალულის ოკეანემ, საყვარელმა შუამავალმა, სოფლელის ხელიდან, მოკვეთილი ხელი აიღო ***„ბისმილლაჰირრეჰმანირრეჰიმ“*** – მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით“ წარმოთქვა და სისხლში ამოსვრილ მაჯაზე მიამაგრა. ხელი, ალლაჰის ნებით, როგორც შუამავლის ერთ-ერთი სასწაული პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა. უზენაეს ალლაჰის ყველაფერი ძალუძს, ყველაფერის ძალა შესწევს.

საყვარელი შუამავალის ოჯახი

დალოცვილი ცოლები

ალლაჰის შუამავალი, ხატიჯეს გარდაცვალების შემდეგ, მეორედ ორმოცდა თოთხმეტი წლის ასაკში ებუ ბექირის ქალიშვილ აიშეზე დაქორწინდა. ეს შეუღლება უზენაესი ალლაჰის ბრძანებით მოხდა. კაცობრიობის სიამაყემ გარდაცვალებამდე რვა წელი მასთან იცხოვრა.

სხვა დანარჩენი ქორწინებები რელიგიური, პოლიტიკური მიზეზების გამო შედგა. ალლაჰის წმინდა შუამავლის ცოლებიდან უმეტესობა ქვრივი და ხანში შესული იყო. მაგალითად, როდესაც მექაში მუსლიმებზე ურწმუნოთა თავდასხმები გახშირდა და იქ ცხოვრება შეუძლებელი გახდა, საჰაბეების ერთმა ნაწილმა ეთიოპიაში გადასახლება (ჰიჯრეთი-ემიგრაცია) გადაწყვიტა. ეთიოპიის მეფე ნეჯაში, ქრისტიანი იყო. მუსლიმნებს ისლამის შესახებ უამრავი რაღაცაები შეეკითხა, მათ მიერ გაცემულმა გაწონასწორებულმა პასუხებმა გააოცა და ისლამი აღიარა. მუსლიმებს ბევრი სიკეთე გაუკეთა. სუსტმა მორწმუნემ უბეიდულლაჰ ბინ ჯაჰშმა, სიღარიბისგან თავის დაღწევის მიზნით მღვდელების შეთავაზებამ მიიღო და მურთედი (პირი რომელიც გამუსლიმების შემდეგ რწმენას გამოიცვლის) გახდა, რელიგია მიწიერ კეთილდღეობაში გაცვალა ჯაჰში შუამავალის მამიდაშვილი იყო. თავის მეუღლეს უმმი ჰაბიბეს ასევე რწმენის შეცვლა შესთავაზა მაგრამ, დედაკაცმა, რწმენის გამოცვლასა და მუჰამმედ შუამავლისღალატს სიღარიბე და სიკვდილი არჩია. ამიტომაც ჯაჰში მეუღლეს გაშორდა და ელოდებოდა თუ როდის ამოხდებოდა სული სიღატაკესა და შიმშილში. მაგრამ, სულ მალე თავად გარდაიცვალა. უმმუ ჰაბიბე, მექას ყურაიშების მთავარსარდლის ებუ სუფიანის ქალიშვილი იყო. ალლაჰის შუამავალი, ამ დროს, ყურაიშთა წინააღმდეგ ომობდა, ხოლო ისლამის მტრებს სატავეში, როგორც აღვნიშნეთ, აბუ სუფიანი ედგა.

ალლაჰის შუამავალმა, უმმუ ჰაბიბეს ღრმა რწმენისა და ქმრისაგან მიყენებული სულიერი და ფიზიკური ტკივილის შესახებ

გაიგო და ნეჯაშის წერილი მისწერა: ***„შენ სახელმწიფოში მყოფ უმმუ ჰაბიბეზე უნდა დავქორწინდე. შეგვაუღლე! ხოლო შემდეგ აქ გამოგზავნე.“*** ნეჯაშმა, ვიდრე ეს წერილი მასთან მიაღწევდა, ისლამი აღიარა წერილი დიდი პატივისცემით მიიღო, იქ მყოფი მუსლიმები დაპატიჟა და ნადიმი მოაწყო. ნეჯაშმა კაცობრიობის სიამყის ცოლს უამარავი საჩუქარი მიართვა. ამგვარად უმმუ ჰაბიბე რწმენისადმი თავისი თავდადების საფასურად გამდიდრდა და დამშვიდდა. სამოთხეში ქალები ქმრების გვერდით უნდა იყვნენ და გამომდინარე აქედან, უმმუ ჰაბიბეს ალლაჰის წმინდა შუამავლის ცოლობით ისეთი პატივი ერგო, რომელთან ამქვეყნიურ ქონება და ჯოლდო არაფერია. ამ ამბავმა ებუ სუფიანის გამუსლიმების ნიადაგი შეამზადა. როგორც ვხედავთ, ეს ქორწინება, შუამავალის გონებამახვილობისა და მოწყალების ხარისხსაც გამოხატავს.

ომარისქალიშვილი წმინდა ჰაფსა დაქვრივდა. ჰიჯრეთის მესამე წელს წმინდა ომარმა, წმინდა ებუ ბექირსა და წმინდა ოსმანს მასზე დაქორწინება შესთავაზა, მაგრამ ორივემ, მოვიფიქრებთო, უთხრა. ალლაჰის შუამავალმა წმინდა ომარის სახეზე მწუხარება დაინახა და საბაბი ჰკითხა. თანამიმდევარმა მას მომხდარის შესახებ უამბო: „ჩემი შვილი ცოლად ებუ ბექირსა და ოსმანს შევთავაზე, მაგრამ, მათ ჰაფსაზე დაქორწინება არ ინდომეს.“ ალლაჰის შუამავალს მისთვის ყველაზე საყვარელი ამ სამი მეგობრიდან ერთ-ერთის დამწუხრება არ სურდა და მაშინვე ბრძანა; ***„ომარ, შენი შვილის ებუ ბექირზე და ოსმანზე უფრო უკეთესზე მითხოვება არ გსურს?“*** ომარი გაოცდა. რადგანაც მას არ ეგულებოდა წმინდა ებუ ბექირსა და ოსმანზეუკეთესი ადამიანი. „დიახ როგორ არ მინდა ალლაჰის შუამავალო!“ – უთხრა ომარმა. მაშინ ორივე სამყაროს მზემ მას სთხოვა: ***„ომარ შენი ქალიშვილი მე მომათხოვე!“*** ასეთნაირად წმინდა ჰაფსა ებუ ბექირის, ოსმანისა და მათთან ერთად ყველა მართლმორწმუნის დედა გახდა. ამ ბრძნული გადაწყვეტილებით ალლაჰის წმინდა შუამავალმა თავის საყვარელ მეგობრებსს შორის უკმაყოფილების ჩამოვარდნას ხელი შეუშალა.

ჰიჯრეთით მეხუთე თუ მეექვსე წელს, ბენი მუსტაფას ტომიდან ასობით ტყვე იქ ნა აყვანილი, მათს შორის ტომის ლიდერის ჰა-

რისის ქალიშვილი ჯუვეირიეც ერია. შუამავალმა იგი გამოისყიდა და მასზე დაქორწინდა. თანამიმდევრებმა თქვეს, როგორ შეგვიძლია ყველა მართლმორწმუნის დედის ნათესავები მონებად ვამყოფოთო და ყველა ტყვე გაათავისუფლეს. ამგვარად ეს ქორწინება ასობით ტყვის გათავისუფლების მიზეზი გახდა. ჯუვეირია ამით ყოველთვის ამაყობდა. წმინდა აიშე იტყოდა, ჯუვეირზე უფრო სასარგებლო და ბარაქიანი ქალი არ მინახავსო.

სხვა დანარჩენი მეუღლენი

აბუ ბაქრის ქალიშვილი აიშე, შუამავალის მეორე მეუღლე, ძალიან ჭკვიანი, ნიჭიერი, სწავლული, რიგიანი ქალი იყო. საჰაბეებმა ძალიან ბევრი რამ მისგან შეისწავლეს. აიშე აითშიც იარის შექებული. დევე ინციდენტში წმინდა ალის წინააღმდეგ მეომარ საჰაბეებს შორის იყო. როდესაც წმინდა ალი განგმირეს ძალიან დამწუხრდა. ზოგიერთები მას ცილს სწამებენ, თითქოსდა წმინდა ალი არ უყვარდაო. მაგრამ ასე სულაც არ იყო. ვინაიდან ის წმინდა ჰადისი, რომელშიც ნათქვამია, ალის სიყვარული რწმენის შემადგენელი ნაწილიაო, სწორედ წმინდა აიშამ გადმოგვცა. ჰიჯრეთამდე რვა წლის წინ დაიბადა და ჰიჯრეთით ორმოცდა ჩვიდმეტ წელს, სამოცდა ხუთი წლის ასაკში მედინაში გარდაიცვალა.

სევდა ბინთი ზემა შუამავლის მესამე მეუღლემ პირველ ქმართან ერთად ეთიოპიაში ჰიჯრეთი გააკეთა. როდესაც მექაში დაბრუნდნენ მეუღლე გარდაეცვალა. შუამავალმა ჯერ აიშეზე, შემდეგ სევდაზე იქორწინა. სევდა წმინდა ომარის ჰალიფობის დროს გარდაიცვალა.

ზეინებ ბინთი ჰუზეიმე ძალიან ბევრს ემსახურებოდა უზენაეს ალლაჰს და უხვად იღებდა მოწყალებას, პირველად აბდულლაჰ ბინ ჯაჰშის მეუღლე იყო. აბდულლაჰი შუამავ ლის მამიდაშვილ უმეიმეს ვაჟიშვილი იყო. იგი უჰუდის ომში გაიგმირა. შუამავალის მეუღლეობის პატივი ხვდა წილად მაგრამ, რვა თვის შემდეგ გარდაიცვალა.

უმმუ სელემეს სახელად ჰინდი ერქვა. მეუღლესთან ერთად ეთიოპიაში პირველად ემიგრირებულ ხალხთან ერთად გადასახლ-

და. ებუ სელემე, ალლაჰის შუამავ ლის მამიდისა და ბერრეს ვაჟიშვილი უბეიდულლაჰ ბინ ჯაჰშის ძმა იყო,რომელიც მედინაში ჰიჯრეთის შემდეგ მეოთხე წელს, უჰუდის ომში დაიღუპა.. უმუ სელემემ ომარისა და ებუ ბექირის შეთავაზება ქორწინების თაობაზე უგუველებელყო. მას შუამავლის მეუღლეობა ერგო წილად. ჰიჯრეთით ორმოცდა მეცხრამმეტე წელს მედინაში ოთხმოცდა ოთხი წლის ასაკში გარდაიცვალა. შუამავლის მეუღლეებიდან იგი ყველაზე ბოლოს გარდაიცვალა.

ზეინებ ბინთი ჯაჰში ალლაჰის შუამავალის მამიდაშვილი და აბდულლაჰ ბინ ჯაჰშის და იყო. მამამისმა ბერრემ ისლამი არ ირწმუნა და ამიტომ ჯაჰში შეარქვეს. ზეინაბი კი, პირველ მორწმუნეთაგანი იყო. ალლაჰის შუამავალმა იგი თავის შვილობილ ზეიდ ბინ ჰარისსზე დააქორწინა. ზეიდმა ვერ შეძლო ცოლთან ნორმალური ურთიერთობის აწყობა, ამიტომაც ჰიჯრეთის მესამე წელს ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. ალლაჰის შუამავალმა ზეინაბზე ქორწინება ისურვა. როდესაც ზეინებმა ეს გაიგო, სიხარულისგან ორი მუხლი ნამაზი ილოცა და ალლაჰს შეევედრა; „ღმერთო ჩემო! შენს შუამავალს ჩემი ცოლად შერთვა სურს. თუკი გსურს მისი მეუღლეობის პატივი დამდო, მასთან შენ შემაუღლე“. უზენაესმა ვედრება ისმინა და სურა აჰზაბის ოცდამეჩვიდმეტე აიეთი გარდმოევლინა; ***„მას შემდეგ, როცა ზეიდმა, ურთიერთობა გაწყვიტა მასთან*** *(განქორწინდა)*, ***ჩვენ შუამავალთან შეგაუღლეთ“.*** ზეინების ქორწინება თვით უზენაესმა ალლაჰმა მოაწყო, ამიტომაც ალლაჰის შუამავალმა ხელმეორედ ნიქაჰის გაკეთება აღარ ჩათვალა საჭიროდ. ზეინები ყოველთვის ამაყობდა ამ ქორწინებით და დასძენდა, ყველა ქალს თავისი დედ-მამა აქორწინებს, მაგრამ მე უზენაესმა ალლაჰმა დამაქორწინაო. ამ დროს ის ოცდათვრამმეტი წლის იყო. იგი ჰიჯრეთის მეოცე წელს, ორმოცდაცამმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა.

საფიე-ჰეიბერის ებრაელების წინამძღოლის, ჰუეი იბნი აჰთაბის ქალიშვილი იყო. ჰეიბერში ერთ-ერთ ებრაელზე იყო დანიშნული. შემდეგ მდიდარ ქენანე ბინ ჰაქქზე დაქორწინდა. ჰიჯრეთის მეშვიდე წელს როდესაც ჰაიბერი მუსლიმებმა გაათავისუფლეს, საფიე მუსლიმებს ტყვედ ჩაუვარდა. ალლაჰის შუამავალმა იგი გა-

მოისყიდა და ტყვეობიდან გაათავისუფლა, საფიემ ისლამი აღიარა და შუამავლის ცოლობას პატივი ხვდა წილად. იგი ჰიჯრეთით ორმოცდაათ წელს მედინაში გარდაიცვალა.

მეიმუნეს ბავშვობის დროინდელი სახელი ბერრე იყო. მაგრამ, ალლაჰის შუამავალმა მას სახელი გადაარქვა და მეიმუნე დაარქვა. როდესაც ჰეიბერის აღების შემდეგ მექქაში უმრის (პატარა პილიგრიმობა) შესასრულებლად მიდიოდნენ, მისი პირველი ქმარი გზაში გარდაიცვალა. მას ალლაჰის შუამავალს მეუღლეობის პატივი ერგო. ჰიჯრეთით ორმოცდაცამეტ წელს მექაში ავად გახდა. მან ითხოვა: „მექადან გამიყვანეთ, ვინაიდან ალლაჰის შუამავალმა მაცნობა რომ მექას გარეთ უნდა გარდავიცვალო “. ის მექას გარეთ გაიყვანეს და სადაც მისი და ალლაჰის შუამავლის ქორწინება შედგა, სწორედ იქ გარდაიცვალა.

მარია - შუამავალის მხევალი იყო მან ისლამი მიიღო და ალლაჰის შუამავლის ცოლობის პატივი ხვდა წილად. მარია ალლაჰის შუამავლისთვის ეგვიპტის ალექსანდრიას მეფის მუყავყისის მიერ ნაბოძები საშუქარი იყო, ამიტომაც მისი ნამდვილი წარმომავლობა და დაბადების თარიღი არ არის ცნობილი. ალლაჰის შუამავალს მისგან ვაჟიშვილი იბრაჰიმი შეეძინა. მარია სავსებით მშვიდი, დინჯი და თავის თავში ჩაკეტილი ქალი გახლდათ. იგი წმინდა ომარის ჰალიფობის ბოლო წლებში 637 (ჰ.16) გარდაიცვალა და დაკრძალული იქნა ჯენეთუმ-ალბაყის სასაფლაოზე

რეიჰანე ისლამს მაშინ ეზიარა, როდესაც შუამავლის მხევალი იყო.. მედინაში არსებული ებრაული ტომის ბენი ყურეიზას საგვარეულოდან გახლდათ. წარმომავლობი ჯაჭვი, რეიჰანე ბინთი შემუნ იბნი იეზიდ ან რეიჰანე ბინთი ზეიდ იბნი ამრ იბნი ჰანეფე ბინ შემუმ ბინ იეზიდია. მისი დაბადების თარიღი ცნობილი არ არის. შუამავლის გარდაცვალებამდე 631 (ჰ.10) წელს მედინაში გარდაიცვალა.

ალლაჰის წმინდა შუამავალი ერთ-ერთ ჰადისში ბრძანებს: ***„ჩემი და ჩემი ქალიშვილების ყველა ქორწინება უზენაესი ალლაჰის ნებით მოხდა“.***

ალლაჰის შუამავლის მრავალცოლიანობის ძირითადი მიზეზი, ისლამის რელიგიის შეცნობა იყო. ჰიჯაბის აიათის გარმოვლენამდე, ქალბატონები შუამავლთან მოდიოდნენ, რათა ისლამის შესახებ ამა თუ იმ თემაზე ამომწურავი და ზუსტი პასუხი მიეღოთ. როდესაც ჰიჯაბის აიეთი გარდმოევლინა და უცხო დედაკაცების უცხო მამაკაცებთან ერთად დასხდომა და ლაპარაკი აიკრძალა, ალლაჰის შუამავალმა ამის შემდეგ უცხო დედაკაცები აღარ მიიღო. მათ უთხრა, რომ რაც არ იცოდნენ აიშესთვის ეკითხათ. კითხვის დამსმელი ძალიან ბევრი იყო, ამიტომ აიშე ყველა კითხვაზე პასუხის გასაცემად დროს ვერ პოულობდა. ამ მნიშვნელოვანი სამსახურის გამარტივებისა და წმინდა აიშესთვის ასეთი დიდი ტვირთის შესამსუბუქებლად, მან რამდენიმე ცოლი შეირთო. მუსლიმმა დედაკაცებმა ისლამის შესახებ სრული ინფორმაციის მიღება სწორედ შუამავლის ცოლებიდან შეძლეს. საყვარელ შუამავალს მხოლოდ ერთი ცოლი რომ ჰყოლოდა, ყველა დედაკაცისთვის პასუხის გაცემა ძალიან გაძნელდებოდა უზენაესმა ალლაჰმა ისლამის სრული გააზრებისა და შეცნობისათვის, საყვარელ შუამავალს მრავალცოლიანობის ეს საკმაოდ მძიმე ტვირთი ტვირთი დააკისრა.

ალლაჰის შუამავლის შვილები

საყვარელ შუამავალს სამი ვაჟიშვილი და ოთხო ქალიშვილი ჰყავდა. ფატიმას გარდა ყველა მის გარდაცვალებამდე გადავიდა საიქიოში. შუამავლის გვარი ფატიმასა და ალის შტამომავლებმა გააგრძელეს. შვილიშვილებიდან ჰუსეინის შთამომავლობას სეიდი, ხოლო წმიდა ჰასანის შთამოვალობას შერიფი ეწოდება. სეიდებისა და შერიფებისადმი პატივისცემა, საყვარელი შუამავლისადმი სიყვარულს ნიშნავს.

ყასიმი – შუამავლის სამ ვაჟიშვილთაგან პირველია. ამიტომაც, შუამავალს ებულ ყასიმი შეერქვა. იგი მას შუამავლობის მისიამდე მექაში შეეძინა წმინა ხატიჯედან. ყასიმი ჩვიდმეტი თვის ასაკში გარდაიცვალა.

ზეინები – შუამავლის ოთხ ქალიშვილთაგან ყველაზე უფრო-

სია. როდესაც იგი ქვეყანას მოევლინა შუამავალი ოცდაათი წლის იყო. იგი მამამისის შუამავლობის მისიის დაწყებამდე დედამისის ხატიჯეს მოდგმის უფლისწულზე ებულ ას ბინ რებიაზე დაქორწინდა. ებულ ასმამ თავდაპირველად არ იწამა. ბედირის ომში იგი ტყვედ ჩავარდა, მეუღლის მედინაში გამოშვების სანაცვლოდ გათავისუფლებული იქნა. თავისი ძმის ერთად იქნა მედინაში გამოგზავნილი მაგრამ, ურწმუნონმა იგი უკან დააბრუნეს. ალლაჰის შუამავალმა ზეიდ ბინ ჰარისი მექასი გააგზავნა, ზეინები რამესი მოიტაცა და მედინასი ჩამოიყვანა. ებუ ასი ჰუდეიბიეს ომის შემდეგ გამუსლიმანდა. ზეინები ხელმეორედ იქნა დაქორწინებული მასზე. ზეინების შვილი მექას აღების დროს ალლაჰის შუამავლის აქლემის უკან იყო შესმული. ზეინების ქალიშვილი უმამე ალიმ შეირთო ცოლად.

რუქაიე – შუამავლის მეორე ქალიშვილია. ალლაჰის შუამავალი ოცდაცამეთი წლის იყო როცა იგი ქვეყანას მოევლინა. რუქქაიე მზეთუნახავი იყო. იგი ებუ ლეჰების შვილზე უთბეზე დაინიშნა. „თებბეთ იედა“ სურას გარდმოვლენის შემდეგ, უთბე მას ქორწინებამდე გაშორდა. ზეშთაგონების გარდმოვლენის რუქქაიე წმინდა ოსმანზე იქნა დაქორწინებული. მათ ორჯერ ეთიოპიაში ჰიჯრეთი გააკეთეს. ოცდაორი წლის ასაკში, ბედირის ომამდე ავად გახდა. წმინდა ოსმანი ბედირის ომში არ ყოფილა. იგი თავის მეუღლესთან დარჩა. დაასაფლავეს მაშინ, როდესაც ბედირში გამარჯვებულნი მედინაში დაბრუნდნენ.

უმმუ გულსუმი – შუამავლის მესამე ქალიშვილია. იგი ებუ ლეჰების მეორე ვაჟიშვილზე უთეიბეზე იქნა დანიშნული, მაგრამ სურა „თებბეთ იედას“ გარდმოვლენის შემდეგ ისინი ქორწინებამდე დაშორდნენ ერთმანეთს. უთეიბემ ალლაჰის შუამავალს მწარე სიტყვები უთხრა, რის გამოც კაცობრიობის სიამაყე ალლაჰს შეევედრა; ***„ღმერთო ჩემო! ეს მხეცს გადაჰყარეო!“*** უთეიბე დამასკოს გზაზე ლომის მიერ იქნა დაგლეჯილი. რუქაიეს გარდაცვალების შემდეგ, ზეშთაგონება გარდმოევლინა, რომელიც ამცნობდა უმმუ გულსუმის ოსმანზე ქორწინებას. იგი ჰიჯრეთით მეცხრე წელს გარდაიცვალა. დასაფლავების ლოცვა შუამავალმა აღავლინა, იგი შვილის საფლავთან იდგა და დალოცვილი თვალებიდან ცრემლები

სცვივოდა.

ფატიმა: შუამავალის მეოთხე ქალიშვილია. იგი ალის მეუღლე და ომარის სიდედრი იყო. იგი ალიზე 15 წლის ასაკში დაქორწინდა. დაქორწინების დროს მეჰირათ ოთხასი მისხალი ვერცხლი იქნა გადაცემული. მაშინ ალი ოცი წლის იყო. იგი საყვარელი შუამავლის ოჯახის წარმომადგენელი იყო. ალის და ფატიმას სამი ვაჟიშვილი ჰასანი, ჰუსეინი და მუჰსინი და ორი ქალიშვილი, გულსუმუ და ზეინაბი შეეძინათ ალლაჰის შუამავ ლის შთამომავლობა ფატიმათი გაგრძელდა. ზეინები, აბდულლაჰ ბინ ჯაფერ ტაიარზე დაქორწინდა, მისგან ორი შვილი შეეძინა, ალი და უმმუ გულსუმუ. მათ შთამომავლობას შერეფი ჯაფერი ეწოდებათ. ფატიმა ჰიჯრეთამდე ცამეტი წლის წინ, მექაში დაიბადა, ჰიჯრეთის მეთერთმეტე წელს ოცდაოთხი წლის ასაკში გარდაიცვალა.

აბდულლაჰი – შუამავლის ჰატიჯადან შეძენილი ბოლო ვაჟიშვილია. იგი მამამისის შუამავლობის მისიის დაწყებამდე დაიბადა და ჩვილ ასაკში გარდაიცვალა. ტაიიბისა და ტაჰირს ეძახდნენ. როდესაც აბდულაჰი გარდაიცვალა, ას ბინ ვაილმა თქვა, მუჰამმედი ებთერი გახდა, ე.ი. მისი გვარი გარდაშენდაო. უზენაესმა ალლაჰმა ***„ინნა ეღტეინათი“*** მას საკადრისი პასუხი გასცა.

იბრაჰიმი – შუამავლის ვაჟიშვილებიდან და საერთოდ ყველა შვილიდან ყველაზე უმცროსი იყო. ის შუამავალს ალექსანდრიას გუბერნატორ მუკავკისის მიერ მისთვის ნაჩუქარი მარიასგან შეეძინა. იბრაჰიმი ჰიჯრეთის მერვე წელს დაიბადა, წლინახევრის ასაკში კი გარდაიცვალა. როდესაც იგი ავად იყო, შუამავალი მას ხელში აიყვანდა და ცრემლები წამოსცვივდებოდა. როდესაც იგი გარდაიცვალა, მზე დაბნელდაო, თქვეს. როდესაც ალლაჰის შუამავალმა ეს ნათქვამი გაიგო, თქვა: ***„მთვარე და მზე უზენაესი ალლაჰის არსებობისა და ერთობის მაჩვენებელი ორი ქმნილებაა. ვისიმეს სიყვდილით, ან სიცოცხლით მზე არ დაბნელდება. მათ როდესაც, დაინახავთ უზენაესი ალლაჰი გაიხსენეთ!“*** როდესაც იბრაჰიმი გარდაიცვალა, ალლაჰის წმინდა შუამავალმა ბრძანა: ***„იბრაჰიმ! შენმა სიკვდილმა დაგვამწუხრა, თვალები აგვიცრემლა, გულები დაგვწყვიტა, მაგრამ, უზენაესი ღმერთის საწყენს არაფერს ვიტყვით.“***

საყვარელი შუამავლის ოჯახი

საყვარელი შუამავლის ყველა ოჯახის წევრს ***ეჰლი ბეითი*** ეწოდება. მისი დალოცვილი მეუღლეები, ქალიშვილ ფატიმასა და ალს შთამომავალთ და შუამავლის გვარის ჰაშიმის შვილებიც ***ეჰლი ბეითში*** შედიან.

უზენაესი ალლაჰი სურა „აჰზაბის“ 33-ე აიეთში ბრძანებს: ***„ალლაჰს, მხოლოდ თქვენი ცოდვებიდან განწმენდა და სისუფთავე სურს“.***

საჰაბებმა შუამავალს ჰკითხეს, თუ ვინ იყო მისი ეჰლი ბეითი? ამ დროს ალი მოვიდა. საყვარელმა შუამავალმა მათ მიუგო ალი, ჩემი ქალიშვილი ფატიმა და შვილიშვილები ჰასანი და ჰუსეინი ***არიან ჩემი ეჰლი ბეითიო***. მათ ასევე, ალი აბა ან ალი რესული ეწოდებათ

შუამავალის ოჯახის სიყვარული, ბოლო ამოსუნთქვისას საიქაოში ცხონებით წაბრძანების მიზეზი გახდება. შუამავლის ოჯახის სიყვარული ყველა მუსლიმისთვის სავალდებულოა. შუამავალი ერთ-ერთ ჰადისში ბრძანებს: ***„ჩემი ოჯახი ნუჰის გემის*** *(ნოეს კიდობანის)* ***მსგავსია. მათზე მიმყოლი ბედნიერებას ეღირსება. ხოლო მოწინააღმდეგე განადგურდება.“***

მისი ოჯახის ღვაწლი ისლამის გავრცელებაში ძალიან დიდია, ხოლო გაკეთებული სიკეთე უამრავია. ამის სრული აღწერა ადამიანის მხრიდან შეუძლებელია. მათი ღირსება და უდიდებულესობა მხოლოდ აიათებით შეიძლება გავიგოთ.

იმამი შაფი ამბობდა: „ალლაჰის შუამავალის ოჯახო! თქვენ სიყვარულს, უზენაესი ალლაჰი, ყურანით გვიბრძანებს. თუკი ლოცვის აღმვლენი თქვენთვის არ შეევედრება მისი ლოცვა არ მიიღება; თქვენს უდიდებულესობას გამჩენი ღმერთი ასეთნაირად გვაჩვენებს. იმდენად პატივსაცემი ხართ, რომ უზენაესი ალლაჰი, ყურანში არსებული აიათით თქვენ გესალმებათ“.

წმინდა ენესი ამბობს: „ალლაჰის შუამავალს შეეკითხნენ, თუ ვინ უყვარდა ყველაზე მეტად ოჯახის წევრებიდან, ალლაჰის შუამავალმა მიუგო, რომ ყველაზე მეტად მას შვილიშვილები, ***ჰასანი***

და ჰუსეინი უყვარდა.“

ებუ ჰურეირა ამბობს: „ალლაჰის შუამავლთან ვიმყოფებოდი, როდესაც ჰასანი მოვიდა. ალლაჰის შუამავალი შეევედრა: ***„ღმერთო ჩემო, იგი მე მიყვარს. ჰასანი შენც შეიყვარე და მისი შემყვარებლებიც შეიყვარე.“*** სხვა დროს ის ამბობდა: ***„ჰასანი და ჰუსეინი, დედამიწაზე ჩემი კეთილსურნელნი არიან.“***

ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: ***„ჩემ შემდეგ თქვენ ორ რამეს გიტოვებთ. თუკი მათ მტკიცედ ხელს ჩასჭიდებთ, გზას არ ასცდებით. პირველი მეორეზე უფრო ძლიერია. პირველი, უზენაესი ალლაჰის წიგნი ყურანი, რომელიც ზეციდან დედამიწამდე ჩამოშვებული მტკიცე ბაგირია. მეორე კი, ჩემი ოჯახია. ეს ორი ერთი-მეორისგან განუცალკევებელია. ვინც მათ არ გაყვება, ჩემს გზას აცდენილი იქნება“.***

წმინდა ჰასანი და ჰუსეინი გახდნენ. მუჰამმედ შუამავალმა ალისა და ფატიმას ბაუშვების გამოჯამრთელებისათვის რაღაცის აღთქმა ურჩია. მათაც მსახურ ფიდდასთან ერტად უზენაეს ალლაჰს სამდღიანი მარხვა აღუთქვეს. ბავშვები გამოჯანმრთელდნენ. მათ სახლში საჭმელი არაფერი ჰქონდათ. ალიმ ერთ-ერთ ებრაელიდან ქერი ისესხა. სამივემ შენაპირები მარხვის შესრულება განიზრახა. ებრაელისგან ნასესხები ქერი მოსამსახურემ დაფქვა და ხუთი ქადა გამოაცხო. ოჯახი ხუთი წევრისგან შედგებოდა. მარხვის გახსნის დრო მოვიდა. ფატიმამ ქადები მაგიდაზე დაალაგა, რათა მარხვა გაეხსნათ, სწორედ ამ დროს ერთი ღატაკი მოვიდა და მათ უთხრა: „ალლაჰის შუამავალის ოჯახო! ღატაკი მუსლიმი ვარ. რამე საჭმელი მომეცით. რათა უზენაესი ალლაჰი სამოთხის სანოვაგეთი გაგიმასპინძლდეთ.“ ყველა ქადა მას მისცეს, მათ მარხვა წყლით გახსნეს და მშივრებმა დაიძინეს. მეორე დღეს მარხვა გააგრძელეს. მოსამსახურემ ისევ დაფქვა ქერი და ხუთი ქადა გამოაცხო. მარხვის გახსნის დრო ახლოვდებოდა, როდესაც მათთან ერთი ობოლი მივოდა და საჭმელი ითხოვა, მატაც ყველა ქადა აიღეს და ამ ობოლს მიცეს. თვითონ კი მარხვა ისევ წყლით გახსნეს და ისევ მშივრებმა დაიძინეს. მესამე დღესაც მარხვა გააგრძელეს და მონარჩენი ქერით მოსამსახურემ ხელმეორედ

გამოაცხო ხუთი ქადა, მარხვის გახსნის დრო როდესაც მოვიდა, მათტან ერთი ტყვე მივიდა და თხოვა, სამი დღეა მშიერი ვარ. დამაბეს და საჭმელიც არ მომცესო. უზენაესი ალლაჰის გულისთვის შემიცოდეთ და საჭმელი მომეცითო. ყველა ქადა მას მისცეს და კიდევ ერთხელ წყლით გახსნეს მარხვა. ამის თაობაზე უზენაესმა ალლაჰმა სურა ინსანის აიეთები (7-9, 21) გარდმოავლინა: ***„მათ აღთქმული, შეასრულეს. ხანგძლივი და სამარადისო აღდგომის დღის შიშით თავიანთვის სასურველი საჭმელები ღატაკს, ობოლსა და ტყვეს გადასცეს. ჩვენ ისინი უზენაესი ალლაჰის კმაყოფით დავაპურეთ. უეჭველად, თქვენიდან სამაგიერო მადლობა, ან რაიმეს არ ველით, არაფერი არ გვინდათ თქვენი. ამიტომაც უზენაესმა ალლაჰმა მათ ანკარა სასმისი დაალევია...“***

ებუ ჰურეირა გადმოგვცემს რომ, საყვარელმა შუამავალმა ბრძანა: ***„თქვენიდან საუკეთესონი, ჩემს შემდეგ, ჩემს ოჯახზე სიკეთის მქმნელი არიან.“***

საყვარელმა შუამავალმა ბრძანა: „ჩემი ოჯახისდამი სიკეთის მქმნელს, აღდგომის დღეს შუამდგომლობა გავუწევ. ისინი, ვინც სირატის ხიდზე ისე გაივლიან რომ ფეხი არ აუსხლტდებათ, ჩემო ოჯახისა და მეგობრების მოსიყვარულენი იქნებიანო.“

იამი რაბბანის გადმოცემული ჰადისით, ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: ***„ალი ვისაც უყვარს, ჭეშმარიტად მას მეც ვუყვარვარ, მას ვინც უმტრობს, იცოდეს რომ ჩემი მტერია. მას ვინც აწყენინებს, იცოდეს რომ მე მაწყენინა, ვინც მე მაწყენინებს, უეჭველად ალლაჰს გაანაწყენებს“.***

ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: ***„უზენაესმა ალლაჰმა, მე ოთხი პიროვნების სიყვარული მიბრძანა. და მაცნობა რომ, ისინი მასაც უყვარს.“*** როცა შეეკითხნენ მათი სახელები; ***„მათგან ერთ-ერთი ალია, ალია, ალია, ებუ ზერრი, მიქდადი, და სელმაო“*** მიუგო.

„ჩემი ოჯახის გამო, ჩემი გულისმტკენს უაღრესად მძაფრი ტანჯვა მოელის.“

ერთ-ერთ ჰადისში უკეთილშობილესი მუჰამედი ბრძანებს: ***„ფატიმა ჩემი შემადგენელი ნაწილია.“*** ებუ ჰურეირა გადმოგვცემს:

„ალლაჰის შუამავალმა ალის უთხრა; ***„ფატიმა, შენზე უფრო მეტად მიყვარს, მაგრამ შენ ჩემთვის უფრო ძვირფასი ხარო“.***

კიდე ერთ ჰადისში ის ბრძანებს: ***„თქვენიდან ისლამის რელიგიის სანაცვლოდ არაფერს ვითხოვ. მხოლოდ ჩემი შინაურების, ჩემი ოჯახის სიყვარულს გთხოვო!“***

ისლამის სწავლულებს ამ ქვეყნიდან წაბრძანების დროს ალლაჰის შუამავლის ოჯახის სიყვარული აუცილებელ პირობად მიუჩნევიათ. რადგანაც ალლაჰის შუამავლის ოჯახის წევრებში მისი გენებია, ეჰლი ბეითის პატივისცემა ყველა მუსლიმისათვის სავალდებულოდ ჩაუთვლიათ.

ისლამის უდიდესი სწავლული იმამი რაბბანი, ბრძანებს: „ჩემი მამა გულის სწავლული იყო. იგი ყოველთვის შუამავალის ოჯახის სიყვარული ურჩევდა და რეკომენდაციას აძლევდა ეს სიყვარული ამ ქვეყნიდან გამგზავრების წინ იმანით გამგზავრებაში დიდ დახმარებას გაუწევს. როდესაც გარდაიცვალა მასთან ვიმყოფებოდი. ბოლო მომენტებში გრძნობის დაქვეითების დროს, მას შევახსენე მისი ნაანდეძვარი და შევეკითხე რაიმე საშუალებას თუ გრძნობო. ამ მდგომარეობაშიც: შუამავალის ოჯახის სიყვარულის ოკეანეში ვცურავო.“ მითხრა. იმ წუთას უზენაესი ალლაჰი შევაქე და განვადიდე. ეჰლი ბეიტის სიყვარული ეჰლი სუნნეთის კაპიტალია. საიქიოში ნეტარება, ყოველთვის ამ კაპიტალზე არის დამოკიდებული.

შუამავალის ოჯახი სამი ნაწილისგან შედგება: სისხლით ნათესავნი, უმწიკლნო მეუღლენი, მისი და მისი მეუღლეების მოსამსახურენი.

წმინდა ფატიმას შთამომავლობა წარღვნამდე ალლაჰის შუამავლის ოჯახის წევრები არიან. მეამბოხენიც რომ, იყვნენ მათი სიყვარული მაინც აუცილებელია.

ალლაჰის შუამავლის მეგობრები (ესჰაბი)

შუამავალის მეგობრებს, ქალს და მამაკაცი, ბავშვს და ზრდასრულ მუსლიმს ალლაჰის შუამავლის მრავალჯერ ან ერთჯერ

დამნახველს, რომლებსაც შუამავალტან ერტხელ მაინც უსაუბრიათ, ისლამს ზიარებიან და მუსლიმად აღსრულებულან ***„საჰიბი“*** ან ***„საჰაბი“*** ეწოდება.

თუკი შუამავალი ურწმუნოების დროს დაინახა მაგრამ, რწმენა არ მიიღო და შუამავალის გარდაცვალების შემდგეს ისლამი მიიღო, და შემდეგ ისლამი მიატოვადა, საჰაბი (შუამავალის მეგობარი) არ არის.

საჰაბები რელიგიის დოგმების მცოდნე ყველაზე ავტორიტეტული პიროვნებები არიან. რადგანაც ძვირფასი ყურანი, შუამავალისგან შეუმეცნებიათ, მომავალ თაობებისთვის შეუსწავლებიათ და განუმარტავთ.

მათგან გადმოცემულ დოგმებს წმინდა ჰადისების ფუნდამენტი ჩამოუყალიბებიათ. ისლამში იცმაი უმმეთი, ე.ი. სწავლულთა კონსესუსი, მხოლოდ ესჰაბის დროში განხორციელებულა საფუძვლიანად და ჩინებულად. სხვათა შორის ყოველი საჰაბეს რელიგიაში მათი სიტყვა საბუთი იყო, ექსპედიტორი მუჯთეჰიდი სწავლული იყვნენ. მათ შემდეგ მყოფ მუჯთეჰიდებზე წინ დგანან.

ეჰლი სუნნეთის სწავლულებს, ესჰაბები სამ ნაწილად გაუყვიათ:

1 – მუჰაჯირები *(ემიგრანტები)*

2 – ენსარი *(ემიგრანტებზე დამხმარენი)*

3 – და ამ ორ კატეგორიის გარდა დარჩენილი საჰაბეები

ყველაზე ერთგული საჰაბეები ოთხი ხალიფა ივნენ. ესენი ხალობის რიგის მიხედვით არიან; ***აბუ ბაქრი, ომარი, ოსმანი და ალი.*** ამათს შემდეგ მოდიან საჰაბეებიდან ყველაზე უმაღლესი ღეშერეი მუბეშშერე (მათ სამოთხის ბინადრობა სიცოცხლეშივე ეცნობათ(მათი აროდენობა 10-)). ამ ორი კატეგორიის შემდეგ ყველაზე გამოჩენილი ის ორმოცი საჰაბეა, რომლებიც ისლამს პირველად ეზიარნენ. მათ შემდეგ მოდის ბედირის ომში მონაწილე სამას ცამეტი საჰაბეა. მათ შემდეგ კი, ყველაზე უმაღლესნი უჰუდის ომის მონაწილე შვიდასი გმირია. ამის შემდეგ უმაღლესნი, ჰიჯრე-

თის მეექვსე წელს, ხის ძირში ალლაჰის შუამავალზე: „სიკვდილი და არა უკან დახევა“ სიტყვის დამდები ათას ოთხასი კაცია. ამ შეთანხმებას ***„ბიიათი რიდვანი“*** ეწოდება.

საჰაბეების რიცხვი: მექას აღების დროს ათი ათას, ხოლო თებუქის ომში სამოცდაათი ათას შეადგენდა. ალლაჰის შუამავალის გამოსამშვიდობებელ ჰუთბის დროს დედამიწაზე ას ოცდა ოთხი ათასი საჰაბე იყო. ამის თაობაზე განსხვავებული მონაცემებიც არსებობს..

საჰაბეებიდან უკანასკნელნი – აბდულლაჰ ბინ ევფა, 705 (ჰ.86) წელს ქუფაში გარდაიცვალა. აბდულლაჰ ბინ იესრი, 706 (ჰ.88) წელს დამასკოში აღესრულა. სეჰლ ბინ საღდი 709(ჰ.92) წელს 100 წლის ასაკში მედინაში გარდაიცვალა. ენეს ბინ მალიქი 711 (ჰ.93) წელს ბასრაში გარდაიცვალა. ებუთ ტუფეილ ამირ ბინ ვასილი, 718(ჰ.100) წელს მექაშიარესრულა.

შუამავლის გარდაცვალების შემდეგ, ოთხი ხალიფას ხანაშიც, საჰაბეები, ისლამის გავრცელების პროცესში, საღვთო ომის შესახებ დადებული თავისი სიტყვის ერთგულნი დარჩნენ. ყველამ შეთანხმებულად, თავიანთი მშობლიური ადგილები მიატოვეს, არაბეთის ნახევარკუნძულის საზღვრებს გარეთ გავიდნენ და ყველა კუთხე – კუნჭულს მოედნენ. წასულთაგან უმრავლესობა უკან, სამშობლოში აღარ დაბრუნებულან, იმ მხარეებში, სადაც გადავიდნენ, სიკვდილის ბოლომდე საღვთო ომი აწარმოეს და ისლამი გაავრცელეს. მათ სულ რაღაც მცირე დროში უამრავი ქვეყანა აიღეს. აღებულ სახემწიფოებში ისლამი სწრაფი ტემპით გავრცელდა.

საჰაბეები ყველანი სამართლიანნი იყვნენ. ისლამის მიწოდებაში ყველა მოკავშირე იყო. ყურანი მათ ორ ყდას შორის მოაქციეს, ე.ი. წიგნად შეკრეს. წმინდა ჰადისები მათ გადმოგვცეს.

საჰაბეების მდგომარეობის, ცხოვრებისა და სიკეთის გადმომცემი უამრავი წიგნი არის დაწერილი და გამოქვეყნებული.

შუამავლებისა და ანგელოზებს შემდეგ უმაღლესობის ინსტიტუტის მატარებელი სწორედ რომ საჰაბეები არიან. მათი სახელე-

ბი პატივისცემით უნდა იქნას წარმოთქმული.

საჰაბეები ყველა, ამ თემის ყველა ერთად აღებულზე წინ დგანან. მუჰამმედ შუამავლის მისიის ყველა დამჯერი და დამმოწმებელი მისი უმმეთია(მისი მოდგმისაა-მისი თემის წარმომადგენელია) მნიშვნელობა არ აქვს თეთრკანიანია თუ შავკანიანი, ღარიბია თუ მდიდარი, დედაკაცია თუ მამაკაცი, მის დამჯერ ყველა ადამიანს მუჰამმედის უმმეთი(თემი) ეწოდება.

საჰაბეების სათნოებისა და უმაღლესობის აღმნიშვნელ აიათში ნაბრძანებია: ***„თქვენ ხართ საუკეთესო თემი.“***[1]

„ისლამი პირველად ამღიარებელი მუჰაჯირები *(ემიგრანტები)* ***და ანსარები*** *(მედინეს მცხოვრებლნი ემიგრანტებზე დამხმარენი)* ***და ვინც გაყვა მათ სიკეთეს, ალლაჰი კმაყოფილია მათგან; და ისინიც კმაყოფილი არიან მისგან. ალლაჰმა, მათ ძირს მოჩუხჩუხე ნაკადულებით სამოთხე მოუმზადა, ისინი სამარადისოდ დარჩებიან იქ, აი ეს სწორედ, დიდი გამარჯვებაა.“***[2]

„მუჰამმედი ალლაჰის შუამავალია. და მასთან მყოფნი(საჰაბეები), უკიდურესნი ურწმუნოთა წინაშე და ლმობიერი ერთი-მეორის მიმართ. მათ დაინახავ, რუქუღისა და სუჯუდის შესრულებისას, ისინი სიკეთესა და კმაყოფის სურვილს ელოდებიან ალლაჰიდან. მათ სახეზე, სეჯდის ნაკვალავი სიმპტომი აქვთ. აი ეს მათი მდგომარეობა თორასა და სახარებაშიც არის მოხსენებული: მათ ყლორტი ამოუყრიათ, თანდათან გამტკიცებულა, გამსხვილებულა, ტანზე აღმართულა, რომელიც, მიწათმოქმედს ესიამოვნება, ურწმუნონს კი, აღაშფოთებს. ალლაჰმა, მათ, ვინც ირწმუნებს და სიკეთეს ქმნის, შეწყალება და უდიდესი მუქაფა შეჰპირდა.“[3]

საჰაბეების შესახებ ჰადისებში ალლაჰის შუამავალი ბრძანებს

„ჩემი მეგობრები *(საჰაბეები)* ***არ გალანძღოთ! საჰაბეების შემდეგ დედამიწაზე მოვლენილმა პირმა მთის ტოლა ოქრო მოწყალებად რომ გასცეს, ჩემი საჰაბეების მიერ მოწყალებად გაცემულ ერთი***

1. სურა ალი იმრანი: 110.
2. სურა თევბე, 100.
3. სურა ფეთიჰი: 29.

მუჭა ქერით მოპოვებულ მადლს ან მის ნახევარსაც ვერ მოიხვეჭს.“

ჩემი საჰაბეები (მეგობრები) ზეცაში არსებული ვარსკვლავების მსგავსი არიან. მათ თუ გაყვებით, ჭეშმარიტებას ეზიარებით.

ჩემი მეგობრების მიმართ მტრობას მოერიდეთ. ალლაჰის გეშინოდეთ! ვისაც ისინი უყვარს, ჩემს სიყვარულში ჩაეთვლება . ვინც მათ უმტრობს, მე მიმტრობს. ვინც მათ აწყენინებს, მეც მაწყენინებს. და ვინც მე მაწყენინებს, უზენაეს ალლაჰის რისხვას გამოიწვევს.

ჩემი თემში საუკეთესონი ჩემს ხანაში მყოფნი არიან. მათ შემდეგ ყველაზე საუკეთესონი, მათ მერე არსებულნი არიან. მათს შემდეგ ყველაზე საუკეთესონი მათ მერე არსებულნი. ჩემი დამნახველს და ჩემი დამნახველის, დამნახველ მუსლუმანს ჯოჯოხეთის ცეცხლი არ დაწვავს.“

ზემოთ მოხსენებული აიეთი და წმინდა ჰადისები ნათლად გამოხატავს მათ უდიდესუბოლობას.

ალლაჰის შუამავალის ზოგიერთი სუნნეთი

დალოცვილი წვერი და თმები

საყვარელი ალლაჰის შუამავლის დალოცვილი თმების შესახებ ენეს ბინ მალიქს შეეკითხნენ:

– ალლაჰის შუამავალს როგორი თმები ჰქონდა?

წმინდა ენესმა შემდეგი პასუხი გასცა:

„მისი თმები არც ხუჭუჭა იყო და არც გლუვი. თმის სიგრძე კი, ყურებამდე იყო.

იბნი აბბასის გადმოცემით, შუამავალს შუბლზე ჰქონდა გადმოფენილი თმები. შემდეგ კი ორად გაყოფილი.

სწავლულებს უთქვამთ: „თმების ორ მხარეზე გაყოფა შუამავლის სუნნეთია. ამიტომაც შემდეგში შუამავალი ასეთნაირად მოქცეულა. თმების შუბლზეც დაფენა მიღებულია, ორივე მხარეზეც განაწილებაც მიღებულია. მაგრამ გაყოფა უფრო უკეთესია.

ქალბატონი აიშე ბრძანებს: ***"შუამავლის ჯუბბეზე ზემოთ და ვეფრეზე ქვემოთ თმა ჰქონდა."***

ჯუმმეს მხარბეჭზე შეხებულ თმას, ხოლო ვეფრეს ყურის ბიბილომდე თმას ეძახიან. მოკლედ ქალბატონი აიშას გადმოცემით ალლაჰის შუამავლის დალოცვილი თმა ბიბილოს ქვემოთ ჩამოსული იყო და მხარბეჭ ზემოთ.

ზოგიერთ გადმოცემაში ყურებამდე ჰქონდა თმა გაზრდილი ზოგიერთ გადმოცემაში კი, მხარბეჭამდეო, ეს იმას ნიშნავს რომ, ხანდახან ასე ჰქონდა და ხანდახან ისეო. ყველა გადმოცემა სწორია. შუამავალი ხანდახან თმას იზრდიდა, ხან კი, იკრეჭდა.

შუამავალის წვერის ფორმის შესახებ წმინდა ენესი ასეთნაირად გადმოგვცემს. შუამავალს წვერში ძალიან ცოტა ჭაღარა ერია. დალოცვილ თმებში და წვერში თეთრი წველა. ჩვიდმეტსა და თვრამმეტს არ გადასცილდებოდაო.

წმინდა ებუბექირმა ერთ დღეს ალლაჰის შუამავალს ჰკითხა:

– გაჭაღარავდი, ალლაჰის შუამავალო?

კაცობრიობის სიამაყემ უპასუხა:

– მე ჰუდის, ვაყიას, მურსელათის, ღამმე იეთესაელუნი და იზეს-შემსუ ქუვვირეთ** (ნებე და თექვირ)**-ის სურეებმა გამაჭაღარავა.

მოყვანილი სურეებში სამოთხისა და ჯოჯოხეთის ამბებია გადმოცემული.

ანუ მან ბრძანა, ჩემი უმმეთის მდგომარეობა როგორი უნდა იყოს, ამის ფიქრმა თმები და წვერი გამიჭაღარავაო.

ამრ ბინ შუაბი ბრძანებს: „შუამავალის წვერი განივედან კისრიდან იწყებოდაო.“ თირმიზის გადმოცემული ჰადისით: ***„ულვაშის არ მომპარსავი, არ დამმოკლებელი ჩვენიდან ვერ იქნება.“*** სხვა ჰადისში შუამავალი ბრძანებს: ***„წვერი გრძლად მოუშვიჲთ, ულვაში კი დაიმოკლეთ“***

იბნი აბდულ ჰაქიმი ბრძანებს: „ულვაში დაიმოკლეთ და წვერი მოუშვით, ულვაშის დამოკლებაში მოპარსვა ნაგულისხმევი არ არის.“

იმამი ნევევი გადმოგვცემს: „ულვაშის მოპარსვაში ნაგულისხმევია, ნათლად ბაგის ნაპირის გამოჩენაა და არა მთლიანი მოპარსვა.“

სწავლულთა უმეტესობის მიხედვით, ულვაშის შეკრეჭა და წარბის დონეზე დაყვანა სუნნეთია. წვერის კი, ერთი ბღუჯას დატოვება და ერთ ბღუჯაზე მეტის შეკრეჭა სუნნეთია.

წვერის ერთ ბღუჯამდე გაგრძელება და ერთ ბღუჯაზე მეტის შეკრეჭა სუნნეთია. წვერის ერთ ბღუჯაზე ნაკლების დატოვებაც სუნნეთისთვის მიზანშეწონილი არ არის. ერთ ბღუჯაზე ნაკლები წვერის დატოვება და განზრახვა რომ, ვითომცდა სუნნეთია ბიდღა არის. ჰარამი იქნება. წვერის დატოვება სუნნეთი ზევაიდია(დანამატია). თუკი, წვერის მოშვება, ჭეშმარიტების განხორციელებას, საარსებო სახსრის მოპოვებას, კონსპირაციას ხელს შეუშლის მისი მთლიანა მოპარსვა მისაღები და აუცილებელი იქნება. ზემოთ ნახსენები მიზეზები სუნნეთის არშესრულე-

ბისთვის საპატიო მიზეზებია, მაგრამ ბიდღას გაკეთებას საპატიო მიზეზი არ გააჩნია.

შუამავალის დაწოლა და ძილი

ალლაჰის შუამავალი როდესაც საწოლთან მივიდოდა მარჯვენა მხარეს დაწვებოდა, მარჯვენა ხელს, მარჯვენა ლოყის ქვეშ ამოიდებდა და იტყოდა:

„ღმერთო ჩემო! ჩემი სული მიგაბარე. სახე, შენსკენ შემოვატრიალე. საქმე, შენ ჩაგაბარე. მე, ტანჯვის მეშინია, მოწყალებას ვიმედოვნებ. შენი მოწყალების გარდა შესაკედლებელი არსად არსებობს, და შენი ტანჯვისგან გადამრჩენიც არ არსებობს.

მხოლოდ, შენ წყალობაზე შეიძლება მიკედლება და მხოლოდ, შენი წყალობით შეიძლება გადარჩენა.

მე, შენს მიერ გარდმოვლენილი წიგნი და წარმოგზავნილი შუამავალი ვიწამე.

ღმერთო ჩემო! მხარი ჩემი, შენი სახელით სარეცელს შევახე. თუკი, სულს ჩემს უკან აღარ დააბრუნებ მას მოწყალებით მოეპყარი, მაგრამ მას თუ გაათავისუფლებ, როგორც ღვთისმოსავნის სულები არის დაცული ისეთნაირად დაიცავი ჩემი სულიც.

ღმერთო ჩემო! მე შენი სახელით მოვკვდები და შენი სახელით ხელმეორედ გავცოცხლდები. ჩვენ დამპურებელს, წყლის მომცემს, ყველანაირი საჭიროების მომცემს, ალლაჰს განვადიდებ! უამრავი ადამიანი არსებობს, რომელთაც საჭმელი არ აქვთ! ღმერთო ჩემო! შენი მსახურთა შენ წინაშე შეკრების დროს ტანჯვისგან დამიფარე!“

როდესაც გაიღვიძებდა იტყოდა:

„ქება-დიდება ალლაჰს, რომელმაც, ჩვენ, სიკვდილის შემდეგ ხელმეორედ გაგვაცოცხლა. აღდგომის დღესაც მასთან დავბრუნდებით.“

ალლაჰის შუამავალი დაწოლის დროს ამბობდა:

„ცასა და დედამიწეზე, ყველაფრის მეუფევ, თესლისა და მარცვალის აღმომცენებელო, თევრათის**(თორას)**, ინჯილი**(სახარების)**-ა და ყურანის გარდმომვლინებო ღმერთო ჩემო! ყოველგვარი ბოროტებისგან შენ დამიფარე! რადგანაც, მისი, კულულიდან შემომკავები შენა ხარ!

ღმერთო ჩემო! უპირველესი, შენა ხარ! შენზე უწინ არაფერი ყოფილა! უკვდავი შენა ხარ! შენ მერე არაფერი აღარარ იქნება!

როდესაც გაიღვიძებდა ამბობდა: ***„შენს გარდა სხვა ღმერთი არ არსებობს! ქება-დიდება შენ და. ღმერთო ჩემო! ცოდვების შეწყალებას გთხოვ.***

ღმერთო ჩემო! ცოდნა შემმატე! და ნუ გადაახვევინებ ჩემს გულს, ჭეშმარიტების გზიდან. მაპატიე და შემინდე! რადგანაც, მწყალობელი შენ ხარ!

ბერა ბინ აზიმი გადმოგვცემს: „ალლაჰის შუამავალმა ასეთნაირად შემასწავლა, ***„როდესაც, დაწოლას დააპირებ აბდესი აიღე! შემდეგ მარჯვენა მხარეს დაწექი და შეევედრე:*** „ღმერთო ჩემო! სული ჩემი შენ მოგაბარე. სახე, შენსკენ შემოვატრიალე. საქმე, შენ ჩაგაბარე. მე, ტანჯვის მეშინია, მოწყალებას ვიმედოვნებ. შენი მოწყალების გარდა თავშესაფარი არ არსებობს, და ტანჯვისაგან შენგარდა სხვა გადამრჩენიც არ არსებობს. მე, შენ გარდმოვლენილი წიგნები და შენი წარმოგზავნილი შუამავალნი ვიწამე!“ და თუ ძილში გარდაიცვლები მუსლიმად მოკვდები. ვინც ამას, წარმოთქვამს და გარდაიცვლება მუსლიმად მოკვდება!“

საყვარელი შუამავალი: ***„თქვენიდან ვინმე ღამით თუ გაიღვიძებს და ადგება, მერე უკან ლოგინში დაბრუნებას დააპირებს, ზეწარი სამჯერ დაფერთხოს. რადგანაც მის შემდეგ რა მოხდა, რა მოვიდა და ლოგინზე დაბინავდა ვერავინ გაიგებს.***

ძილის წინ მარჯვენა მხარეს დაწვეს. როდესაც, თავს სარეცლზე დადებთ ***„ღმერთო ჩემო! შენ, გაქებ და გადიდებ“*** წარმოთქვას.

ღმერთო ჩემო! მხარი საწოლს შენი სახელით შევახე, და შენი სახელით წამოვდგები. თუკი ჩემს სულს ჩაიბარებ და უკან აღარ დააბრუნებ მას შეუნდე და აპატიე. თუკი უკან დააბრუნებ ღვთის-

მოსავნის მსგავსად მოექეცი!“

როდესაც, გაიღვიძებ „ქება-დიდება ალლაჰს, რომელმაც, სული ჩემი უკან დამიბრუნა და ნება მიბოძა რომ, ის განვადიდო“.

შუამავალმა მუცელზე დაწოლილი ადამიანი დაინახა და ბრძანა: ***„სწორედ ეს არის უზენაესი ალლაჰის ყველაზე მოუწონარი წოლა!“***

შერიდ ბინ სუვეიდის გადმოცემით: საყვარელმა შუამავალმა პირქვე დაძინებული ადამიანი დაინახა, მას ფეხის წვერით შეეხო და ბრძანა, ეს უზენაესი ალლაჰის ყველაზე მოუწონარი ძილიაო.

ალლაჰის შუამავალი, ყოველთვის აბდესიანი იყო. არავის უნახავს, რომ საპირფარეშოში გასვლის შემდეგ მას აბდესი არ აეღოს.

როგორ ჯდებოდა ალლაჰის შუამავალი

ჰანზალა ბინ ჰიზიემი გადმოგვცემს: „ალლაჰის შუამავალთან მივედი, დავინახე რომ იგი ფეხებშემოკეცილი იჯდა “.

ჯაბირ ბინ სემურე ამბობს, რომ ალლაჰის შუამვალი, დილის ლოცვის შემდეგ, მზის ამოსვლამდე სამლოცველოში ფეხებშემოკეცილი იჯდა

ალლაჰის შუამავალს არასდროს საზოგადოების წინაშე ფეხები არ გაუშლია.

შერიდ ბინ სევეიდი გადმოგვცემს: „სამყაროს ბატონმა შემომიარა სახლში. ამ დროს, მე, ასეთნაირად, მარცხენა ხელზე უკან დაყრდნობილი, ალლაჰის შუამავალმა მკითხა: ***„შენ, ვისაც ალლაჰის რისხვა დატყდათ, მათ მსგავსად ზიხარ?“***

ყაილე ბინ მაჰრემი გადმოგვცემს: „ალლაჰის შუამავალი ფეხებ მოკეცილი და მუხლებზე მკლავებშემოხვეული დავინახე.

ალლაჰის შუამავლის ჭამის სტილიც ძალიან უბრალო იყო.

შუამავალი მიწაზე დაჯდებოდა და საჭმელს ისე მიირთმევდა. იგი ბრძანებს: ***„მე, მსახურის მსგავსად დავჯდები, მსახურის მსგავსად მივირთმევ. მე, მხოლოდ, ერთ-ერთი მსახური ვარ! ჩემ*** სუნნეთ-

ზე ზურგშემქცევი, ჩემი ხალხიდან არ არისო!“

ალლაჰის შუამავალი, მექას მაღლობში ფეხზე მდგომი საჭმელს მიირთმევდა. ამ დროს მასთან ჯებრაილ ანგელოზი მივიდა და უსაყვედურა: „მუჰამმედ, ე.ი. შენ, მეფეების მსგავსად მიირთმევ?!“ ალლაჰის შუამავალი მაშინვე მიწაზე დაჯდა და ჭამა ისე გააგრძელა.

ერთ დღეს ალლაჰის შუამავალთან ჯებრაელთან ერთად ერთი ამგელოზი ანგელოზი მივიდა, რომელიც მას მანამდე არ ენახა.

ამ ანგელოზმა კაცობრიობის სიამაყეს უთხრა: „უფალი შენი, სალამს გითვლის და შენ, ან შუამავალ-მეფედ ანაც შუამავალ-მსახურად ყოფნას შორის არჩევანის გაკეთების უფლებას გაძლევს. აქედან რომელიც გსურს აირჩიე!“

ჯებრაილმა თავმდაბლობა გამოიჩინეო, ანიშნა, ალლაჰის შუამავალმა უპასუხა ***შუამავალი-მოსამსახურე ვიქნებიო***. ამის შემდეგ, ალლაჰის შუამავალს არასოდეს დაყრდნობით ან დაჯდომით საჭმელი აღარ მიუთმევია.

შუამავალის საჭმლის მირთმევა და წყლის დალევა

ებუ ჯუჰაიფე გადმოგვცემს: „საყვარელმა შუამავალმა ბრძანა: ***„მე, რაიმეზე დაყრდნობით საჭმელს არ მივირთმევო.“*** რაიმეზე დაყრდნობა, სამგვარია. ერთ რომელიმე მხარეზე დაყრდნობა, ფეხებშემოკეცილი ჯდომა, ერთ ხელზე დაყრდნობა და მეორე ხელით ჭამა.

აი ეს მესამე დაყრდნობის ფორმა დაგმობილია.

ალლაჰის შუამავალი საჭმელს სამი თითით მიირთმევდა.

შუამავალი ბრძანებს რომ:

„საჭმლის ბარაქა: საჭმლის დაწყების წინ განბანვასა და საჭმლის დამთავრების შემდეგ განბანვაში , ე.ი. ხელების დაბანაშიო!“

„მას, ვინც ხელზე წასმულ ხორცის და ქონის სუნით , ან ჭურჭელის დარეცხვამდე დაიძინებს, თავს რომ რამე უბედურება დაატყ-

დეს, საკუთარ თავს დააბრალოს!“

ალლაჰის შუამავალს გარრას სახელობის სათავსო ჰქონდა. საუზმეზე ეს სათავსო, თირედით სავსე, შუაში დაიდებოდა. (თირიდი, წვრილად დაჭრილი პურით და ბლომი ხორცით გაკეთებული საჭმელია).

მუსლიმნები, როდესაც თირიდის სათავსოსთან შეიკრებებოდენ, ალლაჰის შუამავალი ჩაიმუხლებოდა და ისე დაჯდებოდა, ამის დამნახავმა სოფლელმა თავი ვერ შეიკავა და წამოიძახა, ეს რა ფორმის ჯდომაა“ .

შუამავალმა უპასუხა: ***„ჭეშმარიტად, ალლაჰმა, მე დიდსულოვნება მიბოძა, ტირანიისაგან და სიჯიუტისგან დამიფარაო! საჭმლის მირთმევა ნაპირიდან დაიწყეთ! შუადან საჭმელი არ აიღოთ***

საჭმელში ბარაქა შუაშია! თქვენიდან არხერთმა საჭმლის მირთმევის დროს, თეფშის შუადან არ ჭამოს. საჭმელი თეფშის კიდედან აიღოს. ვინაიდან, ბარაქა, შუადან გადმოედინება!“

ომერ ბინ ები სელემე გადმოგვცემს: „მე, ალლაჰის შუამავლის ეთიკურ ნორმებზე აღზრდილი ბავშვი ვიყავი.

როდესაც ჭამის დროს, ხელს საჭმლის ჭურჭელში ჩავყავი,. საყვარელმა შუამავალმა მითხრა: ***„ო ბიჭუნი! ალლაჰის სახელი წარმოთქვი. მარჯვენა ხელით მიირთვი! წინიდან ჭამე!“***

ამის შემდგომ, ყოველთვის ასეთნაირად ვჭამდი.

წმინდა შუამავალმა ბრძანა: ***„მოსამსახურე საჭმელს რომ, მოგიმზადებთ, გამომდინარე იქიდან, რომ მან აიტანა სიცხე და კვამლი, თქვენთან ერთად დასვით და აჭამეთ.***“

საყვარელ შუამავალს, არცერთი საჭმელი ცუდათ არ მიუღია.

თუ ჭამა უნდოდა, მიირთმევდა, ხოლო თუ არ შიოდა არ შეჭამდა და ხმას არ ამოიღებდა.

მცირეოდენ საჭმელსაც არ დაიწუნებდა და ხელს არ ჰკრავდა.

არანაირი საჭმელს, მოწონების ნიშნად არ შეაქებდა და თუკი არ

მოეწონებოდა ხელს არ ჰკრავდა.

როდესაც საჭმელს მოიტანდნენ, სყვარელი შუამავალი იტყოდა:

„ალლაჰუმმებარიქ ლენა ფიმა რეზეყთენა ვეყინა ღეზაბენნარ. ბისმილლაჰ!“ და ჭამას მხოლოდ ამის შემდეგ იწყებდა.

ქალბატონი აიშა გვამცნობს: „ალლაჰის შუამავალი ამბობდა: ***„როდესაც ჭამის დაწყებას დააპირებთ, „ბისმილლაჰ!“*** წარმოთქვით, ალლაჰის სახელი ახსენეთ.

უმეიე ბინ მაჰში გადმოგვცემს რომ, ერთი ადამიანი ბისმილლის წარმოთქმის გარეშე საჭმელს მიირთმევდა, ალლაჰის შუამავალი გვერდით დაუჯდა და უყურებდა.

როდესაც ამ კაცს ერთი დარჩა შესაჭმელი, გაახსენდა და ***„ბისმილლაჰ!“*** წარმოთქვა.

ალლაჰის შუამავალმა, გაიცინა და ბრძანა: ***„ეშმაკი, მასთან ერთად საჭმელს მიირთმევდა. ადამიანმა, როდესაც ალლაჰის სახელი წარმოთქვა, ეშმაკმა მუცელში არაფერი დაიტოვა და ამოანთხია!“***

ალლაჰის შუამავალი აბდესსა და განბანვას, ფეხსაცმელის ჩაცმასა და თმის დავარცხნას მუდამ მარჯვენა მხრიდან იწყებდა, ყველაფერს მარჯვენა ხელით იღებდა და გასცემდა და ყველა საქმეს მარჯვენა ხელით იწყებდა.

„ფეხსაცმლის ჩაცმა მარჯვენა ფეხით დაიწყეთ, გახდა კი – მარცხენათი“

აბდულლა ბინ ომერის გადმოცემის თანახმად, საყვარელი შუამავალი ამბობდა: ***„თითოეულმა თქვენთაგანმა ჭამის დროს, მარჯვენა ხელით მიირთვას. და თუ რაღაცას დალევს, ასევე მარჯვენა ხელით დალიოს! რადგანაც, ეშმაკი, მარცხენა ხელით მიირთმევს და მარცხენა ხელით სვამს!“***

სელემე ბინ ევყანი, მამიმისის სიტყვებს გადმოგვცემს: „საყვარელმა შუამავალმა დაინახა, რომ ეშჯაღის ტომიდან ბუსრ ბინ რიაული, მარცხენა ხელით საჭმელს მიირთმევდა და მას მარჯვენა

ხელით ჭამა ურჩია.

მან კი, არ შემიძლია მარჯვენა ხელით მივირთვაო, იცრუა.

საყვარელმა შუამავალმა აღნიშნა: ***„ამას, მარჯვენა ხელით საჭმლის მირთმევაში მხოლოდ,სიამაყე და ყოყოჩობა უშლის ხელსო!“***

ამის შემდეგ ის ადამიანი მარცხენა ხელს ვეღარ იყენებდა.

საყვარელმა შუამავალმა ბრძანა: ***„უზენაესი ალლაჰი იმ ადამიანსგან, რომელიც რაიმეს მიირთმევს ან დალევს და შემდეგ ამ ყველაფრის გამო მას მადლობას, ალლაჰი კმაყოფილი დარჩება!“***

ებუ საღდ ჰუდრი გადმოგვცემს რომ, ალლაჰის შუამავალი, საჭმლის მირთმევისა და რაღაცის დალევის შემდეგ ასეთნაირად შეევედრებოდა:

„ელჰამდუ ლილლაჰილლეზი ეტღამენა ვე სეყანა ვე ჯეღელენა მინელ მუსლიმინ – დიდება ალლაჰს, ვინც საჭმელი და სასმელი გვიბოძა და მუსლიმ საზოგადოებად გვქმნა.“

ებუ უმამეთულლაჰის გადმოცემით: საყვარელი შუამავალი, საჭმლის მირთმევისა და სუფრის ალაგების შემდეგ ასეთ ვედრებას აღავლენდა:

„ელჰამმდუ ლილლაჰილლეზი ყეფანა ვე არვანა გაყრე მექფიინ ველა მექფურინ = ქება-დიდება ალლაჰს, რომელმაც დაგვაპურა, დაგვარწყულა და განგვწმინდა ყველა უმადურებისა და ცოდვისაგან.“

ებუ ჰურეირას გადმოცემით შუამავალი საჭმლის მირთმევის შემდეგ ხელებს დაიბანდა.

შუამავალი დედამიწასა და მიწიერს მნიშვნელობას არ ანიჭებდა.

აბდულლა იბნი მეღუდი მოგვითხრობს: „ალლაჰის შუამავალი ჭილოფზე დაწოლილიყო და დაძინებოდა. მას ჭილოფის ფერდზე კვალი დაემჩნია.

როდესაც გამოეღვიძა, ფერდი დავუზილე და ვუთხარი:

„ალლაჰის შუამავალო, ჩემი თავი გენაცვალოს! ნეტა ჩვენთვის შეგეტყობინებინა, ჩვენც ჭილოფზე რამეს გადავაფარებდით და ისე დაიძინებდით.“

ერთხელ ვკითხეთ: „შენთვის ფაფუკი ლოგინი შევიძინოთ?“

ალლაჰის შუამავალმა გვიპასუხა: ***„მე რად მჭირდება მიწიერი სიტკბოებანი? ჩემი ამქვეყნიური მდგომარეობა ხის ჩრდილის ქვეშ ცოტახნით, დასასვენებლად წამოწოლილი მხედრის მდგომარეობას ჩამოჰგავს, რომელმაც ცოტა ხნის შემდეგ ეს ჩრდილი უნდა დატოვოს და გზა გააგრძელოს!“.***

ებუ უმამეთულბაჰილის გადმოცემის მიხედვით: „საყვარელმა შუამავლმა ბრძანა: ***„უზენასმა უფალმა, მექას დაბლობის ოქროდ გადაქცევა შემომთავაზა.*** მე ვუპასუხე:

„არა, არ მინდა! ღმერთო ჩემო! მე, ერთ დღეს მშიერი, მეორე დღეს მაძღარი ვიქნები. როდესაც მშიერი დავრჩები შენ შეგევედრები და როცა მაძღარი ვიქნები მადლობას შაენ გადაგიხდი.“

მართლმორწმუნეთა დედა, აიშე გადმოგვცემს: „ალლაჰის შუამავლის მედინაში ჩამოსვლიდან გარდაცვალებამდე მის ოჯახის წევრები, ზედიზედ სამი დღე-ღამე ხორბლის პურით კარგად არასდროს დანაყრებულან.“

ალლაჰის შუამავლის ოჯახის წევრების საჭმელი, უმეტეს წილად, ქერის პური და ხურმა იყო.

ალლაჰის შუამავალს გარდაცვალებამდე, თავისი ჯაჭვის პერანგი, ოჯახის წევრების სურსათისათვის ებრაელ ებუ შაჰმასთან ჰქონდა დაგირავებული.

მუსლიმთა დედა აიშე გადმოგვცემს: „საყვარელი შუამავლის ჭეშმარიტი რელიგიითა და წიგნით წარმომგზავნ, ალლაჰს ვფიცავ რომ: უზენაესი ალლაჰის მიერ შუამავლად წარგზავნის დღიდან იმავე ალლაჰზე სულის მიბარებამდე, მას (მუჰამმედ შუამავალს), რა საცერსი გაცრილი რადა გაუცრელი პური მიურთმევია!“ „მაშინ ქერს როგორ მიირთმევდით?“ როდესაც შეეკითხნენ (აიშეს) გამომცხვარ ქერის პურის ქატოს შეუბერავდით და ისე მივირთ-

მევდითო!

ალლაჰის შუამავალის გარდაცვალებამდე არც ის და არც მის ოჯახის წევრები ორი ღამე ზედიზედ ქერის პურით არ დანაყრებულან!

ღმერთს გეფიცები, ხანდახან ორმოც დღე ისე გავიდოდა, რომ ალლაჰის შუამავლის სახლში არც ცეცხლი დაინთებოდა და არც სინათლე აინთებოდა!

თვეები გავიდოდა და ალლაჰის შუამავალის სახლის საკვამურიდან კვამლი არ ამოვიდოდა.

ორი თვე ისე გავიდოდა, რომ საყვარელი შუამავლის ოჯახისთვის არც პური გამიცხვებოდა და არც საჭმელი გაკეთდებოდა!

საყვარელი შუამავალი ორი სახის საჭმლით არასდროს დანაყრებულა, მას ერთდროულად ხურმა და პური არასოდეს მიურთმევია! სწორედ ეს არის ჩემი გულის ამაჩუყებელი!“

ენეს ბინ მალიქი მოგვითხრობს: „არ მინახავს, რომ ალლაჰის შუამავალს იმიერ სოფლად წაბრძანებამდე, მაგიდაზე საჭმელი მიერთვა, ხორბლის პურიდან გაკეთებული ღვეზელი ან კრავის ხორციდან დამზადებული მწვადი ეჭამა!“

ებუ ჰურეირა გადმოცემის მიხედვით ალლაჰის შუამავალი ასე ევედრებოდა: „ღმერთო ჩემო! ჩემი ოჯახის წევრებს იმდენი სარჩო უბოძე, მხოლოდ თავი გაიტანონ და შიმშილისგან არ დაიხოცონ! მუჰამმედის ოჯახის წევრების სარჩო, ჰქმენი იმდენი, რათა შიმშილისგან არ დაიხოცონ.“

ალლაჰის შუამავალი, საჭმელს სუფრაზე მიირთმევდა. სუფრა, მგზავრისათვის გამზადებული, საგზლის ჩასადები ტყავისგან იყო დამზადებული.

ალლაჰის შუამავალი არასდროს იტყოდა ან ეს საჭმელი გააკეთეთ ან ისო. რაც იყო იმას მიირთმევდა. აიშე მოგვითხრობს: „ალლაჰის შუამავალი, ჩემთან მოვიდოდა და მკითხავდა, ***საჭმელი თუ არის, რომ მივირთვაო?*** როდესაც ვეტყოდი, არ არის – მეთქი, მეტყოდა, მარხული ვარო.

ალლაჰის შუამავალი, ერთ დღეს, ჩვენთან მოვიდა. მას ვუთხარი: „ალლაჰის შუამავალო! ჩვენ, საჩუქარი მოგვართვეს.“ ***„რა საჩუქარია?“*** – შემეკითხა. „ჰაისია“ – მივუგე მე. ***„მაგრამ მე მარხული ვარ.“*** – მითხრა მან (ჰაისი; ჰურმის, ერბოსა და გამოხდილი ყველისგან დამზადებული საჭმელია).

ალლაჰის შუამავალს; ჰალვისა და თაფლის პურის, ჰურმისა და ბოსტნეულის წვნიანი უყვარდა. როდესაც ალლაჰის შუამავალს რძეს მიართმევდნენ, ***რძეში ორი ბარაქა არისო.*** ბრძანებდა.

აბდულლაჰ იბნი აბბასი გადმოგვცემს: „მე და ჰალიდ იბნი ველიდი, ალლაჰის შუამავალთან ერთად დეიდაჩემთან, მეიმუნე ბინთი ჰარისთან სახლში მივედით. უმმუ ჰუფეიდმა ალლაჰის ელჩს ერბო და რძე მიართვა.

დეიდამ ჰკითხა, ნაჩუქარ რძეს თუ დალევთო, ალლაჰის შუამავალმა, შეიძლებაო უპასუხა. მაშინ დიასახლისი წავიდა და ჭიქით რძე მოუტანა.

ალლაჰის შუამავალმა, აიღო და ამ ჭიქიდან დალია. მე, ალლაჰის შუამავლის მარჯვენა მხარეს ვიჯექი, ხოლო ჰალიდ იბნი ველიდი მარცხენა მხარეს. ალლაჰის შუამავალმა, რძიდან მორჩენილი მე მომაწოდა და მითხრა: ***„დალიე! თუ ისურვებ ჰალიდსაც შესთავაზე!“***

„შენი მონარჩენს, ვერასდროს ვერავის გავუზიარებ,“ – ვუთხარი მე.

შემდეგ ალლაჰის შუამავალმა ბრძანა: ***„უზენაესი ალლაჰის მიერ ბოძებული საჭმლით გამმასპინძლებელმა „ალლაჰუმმე ბარიქ ლენა ფიჰი ვე ეტ'ღემნა ხეირენ მინჰუ, ღმერთო ჩემო! ჩვენთვის შენ, ამ საჭმელში ბარაქა გვიწყალობე! ჩვენ, მასზე უკეთესიც გვიბოძე!***

უზენაესი ალლაჰის მიერ ბოძებული რძით გამმასპინძლებელმაც თქვას:„ალლაჰუმმე ბარიქ ლენა ფიჰი ვე ზიდნა მინჰუ, *(ღმერთო ჩემო! რძეში ბარაქა გვიწყალობე და მისიდან წყალობა გაგვიორმაგე-ო.)“* ***რადგანაც, საჭმელ-სასმელში რძის ადგილს ვერაფერი დაიკავებს.“***

მედინელი მუსლიმები ნაადრევ ჰურმას შუამავალს მიუტანდნენ; ალლაჰის შუამავალი მოტანილს ხელში აიღებდა და ბარაქის ვედრების გაკეთების შემდეგ, ყველაზე პატარა ბავშვს დაუძახებდა, მას მისცემდა და იტყოდა:. ***„რომელ სახლშიც ხურმა არ ინახება, იმ ოჯახის წევრები მშივრები არიან.“***

ენეს ბინ მალიქის გადმოცემის მიხედვით, ალლაჰის შუამავალს გოგრის საჭმელი უყვარდა. როდესავ გოგრისგან დამზადებულ საჭმელს მოიტანდნენ, გოგრას შუამავლის მხარეს მიწევდნენ. ალლაჰის შუამავალი იტყოდა, ცხვრის ხორცში ყველაზე გემრიელი ზურგი ნაჭერიაო.

უმმუ ეიუბამ ალლაჰის შუამავლის სახლში შვიდი თვე დაჰყო. მას შეეკითხნენ, თუ რა იყო შუამავალის ყველაზე საყვარელი საჭმელი.

„არ მინახია მას თავისთვის რაღაცა საჭმლის გაკეთება ებრძანებინოს, ან რაიმე საჭმელზე უარი ეთქვასო.“ – უპასუხა უმმუ ეიუბამ.

ალლაჰის შუამავალს ჭურჭლის ფსკერზე დარჩენილი საჭმელი უყვარდა, ის ამბობდა:. ***„ვინც თქვენიდან ჭურჭელში მორჩენილ საჭმელს მოფხეკს, მისთვის ცოდვების მიტევებას შეევედრებიან!“*** ბრძანებდა.

ალლაჰის შუამავალი, მწვანე ხურმასთან ერთად ნესვსა და კიტრსაც მიირთმევდა და ამბობდა: ***„ამის სიცხეს, იმის სიცივით, ხოლო იმის სიცივეს კი, ამის სიცხით გავანეიტრალებ!“***

ერთხელ ალლაჰის შუამავალმა თანამიმდევარს უთხრა: ***„ებუ ზერ, როდესაც ხორცს ხარშავ, მას წყალი ბლომად დაასხი, რათა მეზობლებიც გაითვალისწინო და მატაც გაუნაწილო!“***

„თუ მისი მეზობელი მშიერია, ხოლო თავად მაძღარი , ასეთი ადამიანი სრულყოფილი მორწმუნე არ არის!“

„ალლაჰს თაყვანი ეცით! აჭამეთ სხვას! სალამი გაავრცელეთ, რომ სამოთხეში მოხვდეთ!“

„ერთი კაცის საჭმელი ორ კაცს დაანაყრებს, სამი კაცის საჭმელი

ოთხ კაცს დაანაყრებს. ოთხი კაცის, საჭმელი რვა კაცს დააპურებს-ო!“

ებუ ბექირის ქალიშვილი ესმა გადმოგვცემს, რომ ალლაჰის შუამავალი საჭმლის ადუღებასა და შემდეგ განელებამდე მის თავდახურულ მდგომარეობაში დატოვებას გვირჩევდა. ის ბრძანებდა, ასე უფრო დიდი ბარაქა აქვსო.

ალლაჰის შუამავალი, მექას აღების შემდეგ თავისი ბიძის ებუ თალიბის ქალიშვილ, უმმუ ჰანის სახლში მივიდა და ჰკითხა, საჭმელი ჰქონდა თუ არა. უმმუჰანიმმა მიუგო: ***„არა, მხოლოდ პურის ნატეხები და ძმარი მაქვს, რომლის შენთვის მირთმევა მრცხვენია.“***

ალლაჰის შუამავალმა ურჩია: ***„ისინი, მოიტანე. წყალში ჩაალბე. მარილიც წამოიღე!“*** მოტანილს ზემოდან ძმარი დაასხა, შემდეგ კი მიირთვა და უზენაეს ალლაჰს მადლობა გადაუხადა.

ალლაჰის შუამავალმა აღნიშნა: ***„უმმუჰან, ძმარი, რა მშვენიერი საკმაზია! სახლი სადაც ძმარი აქვთ, სანელებელიდან უფლებააყრილად არ ჩაითვლებაო!“***

ყველაზე გემრიელი სასმელი რომელიაო, როდესაც ალლაჰის შუამავალს, შეეკითხნენ მან მიუგო, მტკნარი და გამაგრილებელი წყალიო.

ალლაჰის შუამავალი, ბუიუთუსუყაიადან მოტანილ მტკნარ წყალს სვამდა ბუითუსუყაია მედინედან ორი დღის სავალი გზით იყო დაშორებული.

ალლაჰის შუამავალი ამბობდა: ***„ყველაფერი მარჯვენა ხელით მიირთვით და დალიეთ. ვინაიდან ეშმაკი მარცხენა ხელით მიირთმევს და სვამს!“***

როდესაც დალევთ რაღაცას, ჭურჭელში არ ჩაბეროთო, ბრძანებდა. საჭმელს და სასმელში ჩაბერვის მსგავსად, მას ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლით ჭამა-სმაც აუკრძალია.

ალლაჰის შუამავალი, სმის დროს, ერთ ჭიქა წყალს ორი ან სამი მოსვენებით დალევდა და ეს, უფრო სასარგებლო და გულის მაჯერებელიაო, იტყოდა.

„წყალი ერთი ყლუპით არ დალიოთ.“ – გვირჩევდა ის.

„აქლემების მსგავსად, წყალს შეუსვენებლად ნუ სვამთ! ორი ან სამი ყლუპით დალიეთ! დალევის წინ „ბისმილლაჰ! *(ალლაჰის სახელით ვსვამ)****“ და წყლის სმას რომ დაამთავრებს „ელჰამდულილლაჰ!*** *(ქება-დიდება და მადლობა ალლაჰს)****“ – თქვით!“*** – ბრძანებდა ალლაჰის შუამავალი.

ნევფელ ბინ მუავიე მოგვითხრობს „ალლაჰის ელჩი რაიმეს დალევის დროს სამჯერ შეისვენებდა. პირველად უზენაესი ალლაჰის სახელს მოიხსენებდა, „ბისმილლას“ წარმოთქვამდა, ბოლოს კი, „ელჰამდულილლას“ იტყოდა და მადლობას გადაუხდიდა უზენაეს ალლაჰს.“

ქალბატონი აიშეს გადმოცემით, ჭამის წინ და დამთავრების შემდეგ ხელების დაბანა მარჯვენა ხელით ჭამა და სმა ალლაჰის შუამავლის წესი იყო. საჭმლის წინ ხელების დაბანას ახალგაზრდები, ხოლო საჭმლის დამთავრების შემდეგ მოხუცები იწყებდნენ.

თეფშის კიდიდან და დამჯდარი ჭამა ალლაჰის შუამავალის სუნნეთია. მას აუკრძალავს ძალიან ცხელი საჭმლის ჭამა და საჭმლის დაყნოსვა. ჭამის დროს საერთოდ არდალაპარაკებას ალლაჰის შუამავალი მიზანშეწონილად არ მიიჩნევდა, ვინაიდან ეს ცეცხლთაყვანისმცემლების წეს-ჩვეულება იყო. ხალისიანი საუბარი დაშვებულია. მარილით საჭმლის დაწყება და დასრულება ალლაჰის შუამავალის სუნნეთი და შვებაა.

ჭამა-სმის წესისი შესახებ ცოდნის შეძენა, ღვთისმსახურების აღსავლენად საჭირო ცოდნის შეძენაზე უფრო წინ დგას. ისლამამადელი ერთ-ერთი ცუდი ჩვევა კი გაძღომამდე ჭამაა. ყოველდღე ხორცის მირთმევით გულს ზიანს მიაყენებთ. ანგელოზებს ეს არ უყვარს. ცოტა ხორცის ჭამაც ეთიკას მოგიშლით. მაგიდის იატაკზე გაშლა უფრო უკეთესია. ბოსტნეულიანი საჭმელი უფრო უპრიანია. სუფრა ბოსტნეულის გარეშე ხეპრე მოხუცზეა შედარებული.

იმამი ჯაღფერი სადიყი გადმოგვცემს, შუამავლის ნათქვამს: „უამრავი ქონებისა და მრავალი შვილის ყოლის მსურველმა ბოსტ-

ნეული მიირთვას, ჯერ მაგიდას უნდა შემოუსხდე და შემდეგ დაალაგო მასზე საჭმელი.“

მოშიებამდე არ უნდა ჭამო, ბევრი არ უნდა მიირთვა, სანამ დანაყრდები სუფრიდან არ უნდა ადგე, თუკი სასაცილო არაფერი იქნება, არ უნდა გაიცინო. საყვარელმა შუამავალმა ბრძანა, ***„შიმშილობა სიკეთის საწყისია. ხოლო მაძღრობა, სიავის.“*** გემოვნება იმდენად სასიამოვნო ხდება რამდენადაც შიმშილი მატულობს. მაძღრობა კი, გულმავიწყობას იწვევს. გულს აბრმავებს, ალკუჰოლური სასმელების მსგავსად, სისხლს აბინძურებს. შიმშილობა, ჭკუას ასუფთავებს, გულს აბრწყინებს.

ცუდ ადამიანებთან ერთად არ უნდა მიირთვა. ადუღებული საჭმელი, თავდახურული უნდა გაცივდეს. საყვარელი შუამავალი ბრძანებდა: ***„მარჯვენა ხელით მიირთვით. მარჯვენა ხელით დალიეთ“.*** იგი პურს მარჯვენა ხელით აიღებდა, შემდეგ საზამთროს მარცხენა ხელით მიირთმევდა. პურს ორივე ხელით მოიტეხავდა ხოლმე.

ლუკმა პატარა უნდა იყოს და კარგათ დაიღეჭოს. ჭამის დროს მარჯვნივ, მარცხნივან ზემოთ არ უნდა ვუყუროთ. პირი ძალიან არ უნდა დავაღოთ. ჭამის დროს ხელი თავზე არ უნდა მოვისვათ. დახველებისა და დაცემინების დროს ხელი უნდა მივიფაროთ და გვერდით შევტრიალდეთ.

დაუპატიჟებლად მაგიდას არ უნდა მივუჯდეთ. როდესაც დავნაყრდებით, უზენაესს უნდა შევევედროთ, რათა მირთმეული საჭმლით ცოდვა არ ჩავიდინოთ. უნდა გავიაზროთ რომ განკითხვის დღეს ყველაფერი მოგვეკითხება. საჭმლით მოცემული ძალით უნდა განვიზრახოთ ღვთისმსახურება. თუკი მშიერი ვართ, აუჩქარებლად უნდა მივირთვათ. საჭმლის ჭამა ჯერ უფროსებმა უნდა დაიწყონ. ადამიანები არ უნდა შევაწუხოთ „ჭამე, ჭამეს“ ძახილით. სტუმრების მაგიდიდან ადგომამდე, ჩვენ მაგიდიდან არ უნდა წამოვდგეთ

ალლაჰის შუამავალი ცოტას მიირთმევდა და ჭამის დროს რამდენჯერმე ჩერდებოდა. ის ამბობდა: ***„ადამიანის გული, ყანის,***

ხოლო საჭმელი კი, წვიმის მსგავსი. ზედმეტი წყლის მიერ ყანისათვის ზიანის მიყენების მსგავსად, გადამეტებული საკვები გულს დაუზიანებს. უზენაეს ალლაჰს არ უყვარს გადაზედმეტებულად მჭამელი და მსმელი".

შუამავალი მუცლის, ერთ მესამედს საჭმლით ივსებდა, ერთ მესამედს წყლით. ერთ მესამედს კი ცარიელს ტოვებდა. ცოტა ჭამა და სმა ყველაზე უკეთესია. გადაჭარბებული ჭამა ავადმყოფობის სათავეა, ცოტა ჭამა კი ჯანმრთელობის. ერთ კაცის საჭმელი, ორ კაცს ეყოფა. სტუმარი, მასპინძლიდან პურისა და მარილის მეტს არაფერს უნდა ელოდოს. მასპინძელმა, როდესაც მაგიდას შემოუსხდებიან, სტუმარს საჭმელი და წყალი უნდა მიაწოდოს.

ხალიფა ჰარუნ რეშიდი სტუმარს სურათი წყალს მიაწოდებდა.

ჭამის შემდეგ კბილების მისვაქით გაწმენდა შუამავლის სუნნეთია, ჰიგიენაა. ჰიგიენა კი, რწმენას გააძლიერებს. ჭამის შემდეგ მასპინძელს, მადლობა უნდა გადაუხადო და უზენაეს შეთხოვო ბარაქა გაუორმაგოს. შემდეგ წასვლაზე ნება უნდა ითხოვო. საჭმელზე უნდა დაპატიჟო.

ჭამის დროს შემაძრწუნებელი და გულისამრევი საუბარი არ უნდა წამოჭრა. სიკვდილის, ავადმყოფობის თემას არ უნდა შეეხოთ. მაგიდაზე დალაგებულ საჭმელს არ უნდა უცქირო. სანამ ერთ ლუკმას არ გადაყლაპავ, მეორე ხელში არ უნდა აიღო. საჭმლის მირთმევის დროს, მაგიდიდან, არაფრის გამო, თუნდაც ნამაზის სალოცავად, უნდა ადგე. ნამაზი საჭმლის მირთმევამდე უნდა ილოცო.

თუკი, გამზადებული საჭმელი გაცივდება ან გაფუჭდება და დრო ითმენს ნამაზის სალოცავად, მაშინ საჭმელი ნამაზის ლოცვამდე უნდა მიირთვა. მაგიდიდან საჭმლის ალაგების შემდეგ უნდა ადგე. ფეხზე მდგარმა ან სიარულისას საჭმელი არ მიირთმევა.

პირში ან ხელზე ხორცის სუნი თუ გაქვს დაუბანლად დაძინება არ შეიძლება. ბაუშვებსაც ხელები უნდა დავბანოთ. გამძღარი დაძინებაც მიზანშეუწონელია. საკვები ზომიერად უნდა მივიღოთ. საჭმლისა და სასმელის ჭურჭელი თავდახურული უნდა იყოს. მდი-

ნარიდან პირქვედამხობილი წყალი არ დაილევა.

ზაფხულში ცივი წყალი უნდა დალიო. ალლაჰის შუამავალს ცივი წყალი უყვარდა. ზემზემი ფეხზე უნდა დაილიოს. მგზავრს, ყველანაირი წყლის ფეხზე დალევა შეუძლია. მშიერი წყალი არ დაილევა. წყალი ნელ-ნელა სვენებ-სვენებით უნდა დაილიოს.

ალლაჰის შუამავალს ჰერისე (ხორცისგან დამზადებული ერთგვარი საჭმელი) ძალიან უყვარდა, ვინაიდან ამ საჭმლის მომზადება ჯებრაილმა შეასწავლა. ჰერისე ადამიანს ღონეს მატებს. ყველა შუამავალს ქერის პური მიურთმევია. უკეთილშობილეს მუჰამმედს გოგრას ტკბილეული და ოსპის წვნიანი, გარეული იხვის, კურდღლისა და ცხვრის ხორცი უყვარდა.

მამრი ცხოველის ხორცი, მდედრზე, ხოლო წითელი ხორცი თეთრზე უფრო ადვილად მოსანელებელია. ცხვრის ხორცი და ძროხის რძე ადვილად მოსანელებელია და თან საკმაოდ გემრიელია. გარეული ცხოველებიდან ყველაზე გემრიელი ირმის ხორცია. კურდღლის ხორცი ნებადართულია. შუამავალს კურდღლის ხორცი მიურთმევია. წიწილის ხორცი ყველაზე საუკეთესოა. შინაურ ფრინველთაგან ყველაზე საუკეთესო ხორცი ქათმისაა.

შუამავალმა, ძმარი ყველაზე საუკეთესო საჭმელიაო, ბრძანა. ის ყველაზე სასარგებლო საჭმელია. ხურმა პურთან ერთად მიირთმევა ხილია. ყურძნის პურთან ერთად ჭამა სუნნეთია.

გამხმარი ყურძნის, კაალისა და ნუშის ჭამა სუნნეთია, თაფლი კი, სამკურნალოა. ალლაჰის შუამავალს თაფლი მიურთმევია და ბარაქის ვედრება აღუვლენია.მას ჰურმა ძალიან უყვარდა. მას ნესვთან და საზამთროსთან ერთად მიირთმევდა. ნესვი და საზამთრო თირკმლებს წმენდს, თავის ტკივილს შველის, ჭიის მტერია. მხედველობას აძლიერებს. შუამავალს შარბათი უყვარდა. ფლავის ჭამის დროს სელავათი უნდა ვიკითხოთ.

შუამავალს ცერცვის კანთან ერთად ჭამა უყვარდა. კაკლის, ყველთან ერთად ჭამა სასარგებლოა, ამათი მარტოდ ჭამა კი საზიანო . ყურძნის კურკა მავნეა. ალლაჰის შუამავალი ყურძნის მტევანს მარცხენა ხელშია აიღებდა და მარჯვენა ხელით ყურძენს

მიირთმევდა. კომში, ნაღველს კურნავს. ნესვში, საზამთროსა და ბროწეულში ერთი წვეთი სამოთხის წყალია. ბროწეული მარტოდ უნდა ჭამო და შეეცადო, რომ ყველა წვეთი მიირთვა. ბროწეული გულის რიტმს აწყნარებს. ლეღვიც გულისთვის საუკეთესოა.

კიტრის მარილით, კაკლისა და ხურმის თაფლით მირთმევა სუნნეთია. შუამავალმა, პატლიკჯანი შეაქო და ზეთისხილისგან ზეთის გაკეთება ბრძანა. ნიახური, გულმავიწყობას გააქარწყლებს, ღვიძლს გაწმენდს.

რომელიმე ქვეყანაში ჩამსვლელისთვის პირველად ხახვის მირთმევა ჯამრთელობისთვის კარგია. ხახვი, გამოიმუშავებს იმუნიტეტს მიკრობების წინააღმდეგ. ხახვის ჭამის შემდეგ თუკი ნიახურს მივირთმევთ, ხახვის სუნი გაქრება. სადაფის მირთმევითაც შესაძლებელია ხახვის სუნის განეიტრალება. შუამავლის ბოლო საჭმელი ხახვი იყო. ***„ხახვი და ნიორი მოხარშული მიირთვით!“*** - ბრძანა შუამავალმა. ამათი სუნისგან ანგელოზები შეწუხდებიან.

შუამავალის სახლში და სახლის გარეთ მდგომარეობები

ჰუსეინი მოგვითხრობს: „შუამავლის სახლში არსებული მდგომარეობა მამაჩემს შევეკითხე. მამამ შემდეგნაირად მომიყვა:

„ალლაჰის შუამავალი სახლში შესვლისთანავე დროს სამ ნაწილად ყოფდა: ღვთისმსახურების, ოჯახის წევრებისა და პირადი საქმისათვის.

პირადი საქმისათვის გამოყოფილ დროს, ხალხს უნაწილებდა. ამ დროს, მასთან მხოლოდ გამორჩეულ საჰაბეებს შეეძლოთ შესვლა. საზოგადოებას რელიგიურ დოგმებს ასწავლიდა, რას რელიგიას შეეხებოდა, იმას არასდროს გადადებდა და ხალხს მაშინვე აცნობებდა.

შუამავალი, მორწმუნეებს მათთვის გამოყოფილი დროს, კატეგორიის და რწმენის ხარისხის მიხედვით უთმობდა.

ალლაჰის შუამავალი, მორწმუნეების რელიგიური საქმით იყო დაკავებული, შეკითხვებს საჭიროებისამებრ პასუხობდა, შემდეგ

კი ამბობდა: ***„ყველაფერი ეს აქ მყოფებმა, არმყოფებს გადასცენ! ვინც ჩემთან ვერ მოდის და თავის სურვილს ვერ მეუბნება, მისი სიტყვები თქვენ გადმომეცით. უეჭველად, მას, ვინც სხვის სურვილებს გადმომცემს, უზენაესი ალლაჰი აღდგომის დღეს სირატის ხიდზე მტკიცედ გაატარებს“.***

ალაჰის შუამავალთან მორწმუნენი რელიგიის უკეთ შესასწავლად მიდიოდნენ და მისგან ცოდნით გამდიდრებულნი ბრუნდებოდნენ.

ჰუსეინმა მამამისს ჰკითხა, თუ რას აკეტებდა ალლაჰის შუამავალი, სახლიდან გასვლის შემდეგ. მამამ უპასუხა:

საყვარელი შუამავალი, გარეთ არ ლაპარაკობდა. იგი მხოლოდ, იწყებდა საუბარს თუ მსჯელობის თემა მუსლიმთათთვის სასარგებლო მათი ერთამეთთან დასაახლოვებელი და მოსარიგებლი იყო.

ყველა გვარის მეთაურს საგანგებო პატივს დადებდა. ყველას გაღიმებული სახით შეხვდებოდა.

თუკი, ასჰაბიდან რომელიმეს ვერ დაინახავდა, მოიძიებდა და მის მდგომარეობას იკითხავდა. ის მორწმუნეებს ზომიერად შეაგონებდა.

ალლაჰის შუამავალი, არც სხვის უფლებებს შელახავდა და არც საქმის სისრულეში მოყვანას დააკლებდა რამეს. მისი მეგობრები, ადამიანთაგან ყველაზე საუკეთესონი იყვნენ.

მისთვის საუკეთესონი ხელმოკლე ხალხის დამხმარე საჰაბეები იყვნენ. ალლაჰის შუამავალი, ალლაჰის სახელის მოუხსნიებლად არც ფეხზე წამოდგებოდა და არც დაჯდებოდა.

საზოგადოებაში თავისთვის ადგილს არასდროს გამოარჩევდა და ასეთნაირ ქმედებას სხვისგანაც კრძალავდა. სადაც უნდა ყოფილიყო და რომელ ყრილობასაც შესწრებოდა, ყოველთვის ბოლოში დაჯდებოდა და ასეთნაირად მოქცევას მუსლიმებსაც უბრძანებდა.

მასთან ერთად მჯდომს ისეთ ყურადღებას მიაქცევდა, რომ მის

გვერდით ყველა საუკეთესოდ გრძნობდა თავს და თითოეული თვლიდა, რომ ყველაზე საუკეთესო შუამავალისთვის თვითონ იყო..

თუკი მისგან ვინმე რამეს ითხოვდა, მას უარს არ ეტყოდა, მისცემდა ან ტკბილად და რბილად ეტყოდა და გაისტუმრებდა. მისი მშვენიერი ზნეობა, მთელ საზოგადოებას მოიცავდა.

იგი მათთვის გულისხმიერი მამა იყო. სამართლის მხრივ, მისთვის ყველა ერთი და იგივე იყო. შუამავლის მეჯლისი, ცოდნის, მოთმინებისა და ამანათის საკრებულო იყო.

მეჯლისში ხმას ვერავინ აიმაღლებდა, არც არავის დაადანაშაულებდნენ, და არც, რაიმე ჩადენილი ნაკლი ან შეცდომა გაითქმებოდა. შუამავლის მეჯლისში მყოფნი ყველა თანასწორი იყო და თანასწორი უფლებებით სარგებლობდა. ერთმანეთის მიმართ არავის რაიმე ზედმეტი უფლება არ გააჩნდა. ყველა საჰაბე თავდაბალი იყო.

უფროსებს აფასებდნენ, პატარებს კი ლმობიერად ექცეოდნენ. გასაჭირში მყოფს დაეხმარებოდნენ, უცხოს კი დაიცავდნენ.

ალლაჰის შუამავალი ყოველთვის მომღიმარი, ლმობიერი, შემბრალებელი და დამნდობი იყო. მას სულაც არ ჰქონდა რკინის გული.

არავის არც დაემდურებოდა და არც წაეკინკლავებოდა. არავის დაიბარებდა და გალანძღავდა და არავის გაკიცხავდა. რაც არ მოეწონებოდა თვალს აარიდებდა. არასოდეს უიმედო არ ყოფილა, არასდროს უკმაყოფილებას არ გამოავლენდა.

ალლაჰის შუამავალი სამი რაღაცისგან შორს იდგა.

არავის არ წაეკინკლავებოდა.

ბევრს ლაპარაკისა და არაფრის მომტანი საქმისაგან.

ადამიანებსაც, თავის მდგომარეობაში დატოვებდა:

არავის არც პირადაპირ და არც ირიბად არც გაკიცხავდა და არც საყვედურს გამოუცხადებდა.

არავის ნაკლს არ გამოიკვლევდა.

არავის შესახებ, სასარგებლო ან გამოუდეგარ სიტყვას არ ეტყოდა.

როდესაც ალლაჰის შუამავალი ლაპარაკობდა, მასთან მყოფნი ისე გაუნძრევლად იჯდნენ, ვითომცდა თავზე ჩიტი აჯდათ და რომ გავინძრეთ გაფრინდებაო. როდესაც ლაპარაკს დაასრულებდა, კითხვებს უსვამდნენ, მაგრამ მისი თანდასწრებით არასოდეს კამათობდნენ.

შუამავლის წინაშე თუ ერთი ლაპარაკობდა დანარჩენები უსმენდნენ. შუამავლის წინაშე პირველი სიტყვა ვდა ბოლო სიტყვა განუსხვავებელი იყო.

მეჯლისში მყოფნი თუკი რაიმეზე გაიცინებდნენ, ისიც მათ აჰყვებოდა. თუკი რაიმეზე გაოცდებოდნენ, შუამავალიც მათთან ერთად გამოხატავდა გაოცებას.

ალლაჰის შუამავლთან მოსული უცხო ხალხის ეთიკის ჩარჩოებიდან გასულ საუბარს კი საჰაბეები ითმენდნენ. ითმენდნენ.

ალლაჰის შუამავალმა ბრძანა: ***„გასაჭირში მყოფს სარჩოს მოსაპოვებლად დახმარება გაუწიეთ!“***

უადგილო შექება ალლაჰის შუამავლისთვის მიუღებელი იყო. საუბარს მანამდე არ შეაწყვეტინებდა, სანამ ლაპარაკში ვინმე ადამიანის უფლებას შელახავდა. როდესაც ამის მომსწრე გახდებოდა ან ამ უმსგავსოებას აღკვეთდა, ან კიდევ მეჯლისს დატოვებდა და წავიდოდა.

ალლაჰის შუამავალი უარყოფით პასუხს არასდროს აძლევდა. თუკი მისაღები იყო, შეიძლებაო, ასეთ პასუხს გასცემდა და თუ მიუღებელი იყო, მაშინ კი გაჩუმდებოდა და თავის პოზიციას ასე აფიქსირებდა.

ერთ-ერთ ომში ურწმუნოთა გასანადგურებლად მორწმუნეებმა, მისგან ლოცვის აღვლენა ითხოვეს, მან კი შემდეგნაირად უპასუხა, ***„მე, წყევლა – კრულვისთვის არ ვარ მოვლენილი. მე, ბედნიერებისა და მშვიდობის მომტანი შუამავალი ვარ.“***

სურა „ენბიას“ 107-ე აიათში ნაბრძანებია ***„შენ, სამყაროში მოწყ-***

ალებად, სიკეთის საკეთებლად მოგავლინეთ“.

ჰინდ ბინ ები ჰალე ალლაჰის შუამავალის სიარულს შემდეგნაირა აღწერდა:

„ალლაჰის შუამავალი, როდესაც დადიოდა, ფეხებს მხნედ აწევდა და ფართო ნაბიჯებს დგამდა, ვითომცდა ზემოდან ჩამოდიოდა წინ წაიხრებოდა და წყნარად დადიოდა.

თუკი სადმე გახედვას გადაწყეტდა იმ მხარეს მთლიანად შეტრიალდებოდა. აქეთ-იქეთ ტყუილ – უბრალოდ არ გაიხედავდა. მიწას უფრო მეტს ხანს უცქერდა, ვიდრე ზეცას.“

ის საჰაბეებს ყოველთვის უკან დაყვებოდა.

თუკი ვინმეს შეხვდებოდა, პირველად თვითონ მიესალმებოდა.

ებუ ჰურეირა გადმოგვცემს:

„სიარულის დროს შუამავალზე ჩქარი არავინ მინახავს. როდესაც დადიოდა თითქოსდა დედამიწა მის ფეხქვეშ გაჩერებული იყო!

ენეს ბინ მალიქის გადმოგვცემს: „როდესაც ალლაჰის შუამავალი ვინმეს გადააწყდებოდა, ხელს ჩამოართვამდა და სანამ ის ადამიანი ხელს უკან წაიღებდა შუამავალს ის მანამდე ეჭირა და სანამ ის სახეს მიაბრუნებდა, მანამდე შუამავალი მას ზურგს არ შეაქცევდა.

ენეს ბინ მალიქი გადმოგვცემს: როდესაც შუამავალს შეეკითხა, „ეი ალლაჰის შუამავალო! ერთი-მეორისკენ თავებით დავიხაროთო?“ პასუხი კი, არა! და როდესაც მეორე შეკითხვა დაუსვა ერთიმეორეს გადავეხვიოთ თუ არაო, არაო მიუგო შუამავალმა მაგრამ ერთი-მეორეს ხელი ჩამოართვითო!“ უბრძანა.

ბერა ბინ აზიზეს გადმოცემის მიხედვით: ***„როდესაც ორი მუსლიმი ერთმანეთს შეხვდებიან, ერთურთს მიესალმებიან და ხელს ჩამოართვამენ.“***

სამყაროს ბატონი მუდმივად ჩაფიქრებული იყო. ის ცოტას ლაპარაკობდა და უმეტეს- წილად დუმდა. ალლაჰის შუამავალიუსარგებლო თემებზე არ ლაპარაკობდა. ლაპარაკს ალლაჰის სახელის

ხსენებით იწყებდა და ამთავრებდა.

ის, მოკლედ და კონკრეტულად ლაპარაკობდა. შუამავალის მიერ წარმოთქმული სიტყვები რეალური იყო. ის ლაპარაკის დროს არც ძალიან ცოტა და არც ძალიან ბევრ სიტყვა წარმოთქვამდა.

გულის სატკენ სიტყვას არავის ეტყოდა და ზემოდან არავის დახედავდა... მცირეოდენ სიკეთესაც პატივისცემით შეხედავდა, და მცირედ სიკეთესაც არ დაძრახავდა. თუკი რაიმე არ მოეწონებოდა, არც დაძრახავდა და არც შეაქებდა.

ალლაჰის შუამავალი რაიმე მიწიერისათვის არასოდეს გაბრაზდებოდა, გარდა ვისიმე უფლებბეის შებღალვისა.

თავისი უფლებების ხელყოფისათვის არც არავის გაუბრაზდებოდა და არც შურს იძიებდა. ალლაჰის შუამავალი არასდროს თითით არ აჩვენებდა მუდამ ხელით მიანიშნებდა. გაოცებისა და გაკვირვების დროს, ხელს მოპირდაპირე მხარეს შეაბრუნებდა, თუკი ხელის გული ზეცისკენ იყო შეტრიალებული დედამიწისკენ ჩაატრიალებდა ან პირიქით. ლაპარაკის დროს ხელებს ამოძრავებდა. მარჯვენა ხელისგულზე მარცხენა ხელის ცერა თითს ლაპარაკის დროს მუდამ ურტყამდა.

თუკი რაიმე გაუხარდებოდა თვალებს დახუჭავდა. ის ხმამაღლა არასოდეს იცინოდა, მხოლოდ იღიმებოდა. სიცილის დროს კბილები მარგალიტის თვლებივით გამოუჩდებოდა.

ებუ სეღიდ ელ-ჰუდრი გადმოგვცემს: „შუამავალი ცხოველებს ბალახს მიართმევდა. აქლემს დააბამდა, სახლს დაგვიდა. ცხვარს მოწველიდა, ფეხსაცმელს შეკერავდა, ტანსაცმელს გარეცხავდა. მოსამსახურესთან ერთად საჭმელს მიირთმევდა. ბაზარში სავაჭროდ გავიდოდა და შეძენილი, ხელით მოჰქონდა. როცა ღარიბს, მდიდარს, დიდსა თუ პატარას შეხვდებოდაუპირველესად მიესალმებოდა, შემდეგ კი ხელს გაუწვდიდა.

ერთნაირად ექცეოდა მონას, ბატონს, თეთრკანიანსა და შავკანიანს. ვისგანაც უნდა ყოფილიყო მოპატიჟება აუცილებლად ეწვევოდა. და მასპინძელის მორთმეულს არასოდეს დაიწუნებდა. კარგი ზნეობის პატრონს, სიკეთის გაკეთება უყვარდა, ყველა-

სთან კარგ ურთიერთობას ამყარებდა. მუდამ მომღიმარი, საამო მოსაუბრე იყო.

მწუხარება ემჩნეოდა, მაგრამ, წარბშეხრილი არავის უნახავს. თავმდაბალი იყო. დიდებული იყო პატივსა და შიშს შეაჯერებდა. მაგრამ, უხეში არ იყო. კეთილ, ნაზ, ხელგაშლილ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. მაგრამ განიავება არ უყვარდა, ამაოდ არაფერს გასცემდა. ყველა ეცოდებოდა. არავისგან არაფერს მოელოდა. ვისაც ბედნიერება და მშვიდობა უნდა შუამავლის მსგავსად უნდა მოიქცეს.

ყველა მუსლიმმა შუამავლის ეს ქცევები მაგალითად უნდა აიღოს. უზენაესი ალლაჰის მხრიდან დედამიწაზე მოვლენილ ეთიკის ნორმების გათავისება, ყველა მუსლიმის უპირველესი მოვალეობაა, რადგანაც ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: ***„უზენაესი ალლაჰის ზნეობით შეიმოსეთ!“***

მაგალითად, უზენაესი ალლაჰის ეპითეტებიდან ერთ-ერთი „სეთთარია“ ე.ი. ცოდვებისგან დამფარავი. მუსლიმმაც მისი რელიგიური ძმის ნაკლი უნდა დაფაროს. უზენაესი ალლაჰი მორწმუნის ცოდვების მომტევებელია. მუსლიმებმაც ერთი მეორეს დანაშაულები უნდა აპატიონ. ვინაიდან უზენაესი ალლაჰის მადლი და სიკეთე უხვია. ამიტომაც მუსლიმი ხელგაშლილი და შემწყნარებელი უნდა იყოს. სწორედ ეს არის ლამაზი ზნეობა.

ალლაჰის შუამავალის კარგი ზნეობის მაგალითები უამრავია და ყველა მუსლიმანი ვალდებულია ისინი შეისწავლოს და ცხოვრებაში გაატაროს. ეს კი ამიერი და იმიერი ვარამისა და პრობლემებისგან გადარჩენისა და ორი სამყაროს ბატონის შუამდგომლობის მოპოვების ღირსი გახდება.

შუამავლის ტანსაცმელი

ალლაჰის შუამავალს ჰიბერე სახელისწოდების სამოსი ებადა. ჰიბერე იემენში ბამბისგან და სელისგან დამზადებული ერთგვარი ზოლიანი ქსოვილი იყო. შუამავალს ამ ტანსაცმლის ჩაცმა ძალიან უყვარდა. ამის გარდა შუამავალს ორი იზარი ებადა. იზარი წელს

ქვემოთ მოსახვევი წინსაფარია. შუამავლის წინსაფრები შალისგან იყო მოქსოვილი აქლემის კეხს მოგვაგონებდა.

ებუ ზერრი გადმოგვცემს: „როდესაც წმინდა აიშა მოვინახულეთ, მან მულებლების სახელის სამოსი, რომელიც უკვე დაქეჩილი იყო და წინსაფარი შემოიტანა და დაიფიცა, რომ შუამავალს გარდაიცვალებამდა ესენი ეცვაო!“

შუამავალი ზამთრის ცივ ღამეში შალისგან დამზადებულ სამოსს იცვამდა.

ალლაჰის შუამავალი აცნობებდა, მუსლიმ მამაკაცებს წინ საფარის ე.ი. შარვლი წვივების შუამდე, კოჭებამდე არ უნდა ჩავიდესო ვინაიდან არ მოინახებოდა ქსოვილი.

რომელი მამაკაციც თავისი ამპარტავნობის გამო ისეთ შარვალს ჩაიცვამს, რომლის ბოლოებიც მიწას ეხება, მას აღდგომის დღეს, უზენაესი ალლაჰი მოწყალებით არ შეხედავს, ჯაბირ ბინ სულეიმე გადმოგვცემს: ***„შარვალი, კანჭის ნახევრამდე უნდა ჩადიოდეს! თუკი ასე არ გააკეთებ, კოჭებამდე შეიძლება! მაგრამ მიწას რომ ეხებოდეს, ისე გრძელი არ ჩაიცვა. რადგანაც ეს ამპარტავნობის ნიშანია. ალაჰს კი, ასეთები არ უყვარს!“***

ამიტომაც აბდულლაჰ ბინ ომერი ისეთ შარვალს ატარებდა, რომლის ბოლოები წვივების შუამდე აღწევდა, ზემოდან პერანგს ჩაიცვამდა და მასზე შალს მოიცვამდა.

როდესაც ალლაჰის შუამავალი რომელიმე დელეგაციას ხვდებოდა, პერანგზე ზემოდან მოსაცვამი შალის სიგრძე – ოთხი, ხოლო სიგანე – ორი არშინი იყო, ერთი არშინის ღირებულება ერთი დინარი, ფერი კი მწვანე იყო.

შუამავალის ეს რიდა (ზემოდან მოსაცვამი შალი) ხალიფატში ინახებოდა და ხალიფები დღესასწაულებზე იცვამდნენ ხოლმე.

შუამავალს სუჰარიდან ჩამოტანილი ორი სამოსი და პერანგი ჰქონდა. სუჰარი, ომანის ერთ-ერთი რაიონია. შუამავლის ყველაზე საყვარელი ყამიშის პერანგი ბამბისგან იყო დამზადებული. შუამავლის პერანგების სიგრძე მაჯამდე იყო. ეთიოპიის მეფე ნე-

ჯაშის მიერ გამოგზავნილ საჩუქრებში პერანგიც ერია.

შუამავალს იემენიდში ერთი წვერი ბამბისგან მოქსოვილი პერანგი „სუჰული“ ჰქონდა.

ალლაჰის შუამავალს თეთრი ტანსაცმელი ჰქონდა, იგი ბრძანებს: ***„თეთრი ტანსაცმელი ჩაიცვით! ცოცხლებმაც და მკვდრებსაც! რადგანაც ის, ყველაზე საუკეთესო და ყველაზე კარგი სამოსია!“***

ალლაჰის შუამავალი მწვანე სამოსითაც უხილავთ. ებუ რიმსე გადმოგვცენს, რომ შუამავალი მწვანე სამოსში დავინახეო.

ალლაჰის შუამავალი, წითელი (ჭრელით ქსოვილი) ეცვა. ბერა ბინ აზიბე გადმოგვცემს რომ: შუამავალი არ მინახავს ისე მშვენიერი როგორც, წითელი ჭრელით სამოსში, თმები ყურის ბიბილოებამდე ჩამოტანილი თმებით როცა ვნახე. ალლაჰის შუამავალს ჯუმა და ბაირამ ნამაზებიუს დროს წითელი გადასაცმელი ჰქონდა. ასევე იემენში დამზადებული გადასაცმელი და დამასკოდანჩამოტანილი მკლავები ვიწრო დადასაცმელი რომელსაც ლაშქრობის დროს იცვამდა.

შუამავალს ტაილესანის ქსოვილიდან დამზადებული მოსასხამი ჰქონდა, რომელსაც ირანის შაჰებიც ატარებდნენ. მას იგი ომში იცვამდა.

აიშას ეს მოსასხამი ალლაჰის შუამავლის გარდაცვალებამდე აიშესტან იმახებოდა, შემდეგ კი ის აბუ ბაქრის მეორე ქალიშვილმა ესმამ წაიღო.

ერთხელ ალლაჰის წმინდა შუამავალს მოოქროვილი მოსასხამი აჩუქეს, იგი ამ მოსასხამით მინბერზე ავიდა, მაგრამ უკან სწრაფაგვე ჩამოვიდა, რადგან, მუსლიმებს მისი მოსასხამის სილამაზემ თვალი მოჭრა.

შუამავალმა თანამიმდევრებს ჰკითხა: ***„გაგაკვირვათ სამოსის სიმშვენიერემ? ძალიან მოგეწონათ?“.*** მათ მიუგეს: „ამაზე ლამაზი სამოსი ჯერ არ გვინახავს!“

შუამავალმა ბრძანა: ***„ჩემი სულის პატრონს გეფიცებით, რომ საღდ ბინ მუაზის სამოთხეში ხელსახოცები ამაზე უფრო ლამაზი და***

მშვენიერია.“

ერთხელ შუამავალმა ატლასისგან შეკერილი კაპტანი (სამოსელი რომელსაც მამაკაცები იცვამდნენ)ჩაიცვა და ნამაზი ალოცა. შემდეგ დაბრუნდა სამოსი გაიხადა და გადააგდო.

შუამავალმა ბრძანა, ეს ღვთისმოშიშს არ შემშვენისო და სამოსი წმინდა ომერს გაუგზავნა. როდესაც ჰკითხეს, ეს სამოსი თავიდან რატომ მოიშორეო, მან უპასუხა, ამის ჩაცმა ჯიბრაილმა ამიკრძალაო.

როდესაც ეს სამოსი ომერს მიუტანეს, იგი მაშინვე ალლაჰის წმინდა შუამავალთან მივიდა ტირილით და უთხრა: ***„ალლაჰის შუამავალო! რისი ჩაცმაც შენ არ ისურვე და მე გამომიგზავნე, ის როგორ გამოვიყენო?“***

შუამავალმა მიუგო: ***„მე, ის ჩასაცმელად კი არა, გასაყიდად გამოგიგზავნე წმინდა ომერმა ეს კაპტანი 2000 დირჰემად გაყიდა.***

რომის კეისარმა შუამავალს ატლასის ქსოვილიდან შეკერილი, მოსირმული ბოლოებით, გრძელი ქურქი აჩუქა. როდესაც შუამავალმა ეს ქურქი ჩაიცვა, ხალხი შეეკითხა: „ალლაჰის შუამავალო, ეს ქურქი ზეციდან მოგევლინა?“

შუამავალმა ბრძანა: ***„ჩემი სულის პატრონს გეფიცები, რომ საღდბინ მუაზის ხელსახოცები სამოთხეში, ამაზე უფრო ლამაზი და მშვენიერია!“***

შემდეგ ის ქურქი, ჯაფერ ბინ ები თალიბს გაუგზავნა. როდესაც მან ეს ქურქი მოიცვა, შუამავალმა ჰკითხა: ***„მე, ეს ჩასაცმელად გამოგიგზავნე!?“*** წმინდა ჯაფერმა გაიკვირვა, თუ არ ჩავიცვამ, აბა რა ვუყოო. შუამავალმა მიუგო, ნეჯაშს გაუგზავნეო.

შუამავალს, აბრეშუმის ქსოვილიდან დამზადებული სამოსელი აჩუქეს. მან კი ის წმინდა ალის გაუგზავნა.

როდესაც მასში გამოწყობილი წმინდა ალი დაინახა, შუამავალს სახეზე გაბრაზების ნიშნები დაეტყო. ***„მე, ის, ჩასაცმელად კი არა მანდილად გამოგიგზავნე, უნდა დაგენაწილებინა და მანდილოსნებს დაეხურათ!“***

წმინდა ალიმ შეცდომა გამოასწორა და ყველაფერი ალლაჰის შუამავლი მითითებისამებრ გააკეთა.

ეთიოპიის მეფე ნეჯაშის მიერ შუამავალისთვის გამოგზავნილ საჩუქრებში ეგვიპტური პალტოც ერია.

შუამავალი ხანდახან შავი შალეულის სამოსსაც იცვამდა.

წმინდა აიშემ შუამავალისთვის ასეთი სამოსი დაამზადებინა.

როდესაც ეს შავი შალის სამოსი მოიცვა, გაოფლიანდა, შალის სუნი იგრძნო, გაიხადა და აღარ ჩაუცვია, რადგანაც მას გარგი სუნი უყვარდა.

ომერმა სამლოცველოს წინ აბრეშუმისგან დამზადებული გასაყიდი სამოსელი დაინახა, შუამავალთან მიიტანა და ყიდვა ურჩია. და დღესასწაულებისა და დელეგაციების დროს ჩაეცვა. შუამავალმა კი მიუგი, ეს, მხოლოდ სამოთხიდან წილის არ მქონენის სამოსია! ამას, მხოლოდ სამოთხიდან წილის არ მქონენი ჩაიცვამენო!“ შემდეგ თავისი ატლასის სამოსი წმინდა ომერს გაუგზვნა. მანაც სამოსი აიღო, შუამავალთან მივიდა და უთხრა:. „ალლაჰის შუამავალო შენიდან გავიგონე, რომ ეს მხოლოდ სამოთხის წილის არმქონეთა სამოსია! ამას, მხოლოდ სამოთხიდან წილის არმქონენი ჩაიცვამენო და მე გამომიგზავნე?“ ***„მე ის ჩასაცმელად კი არა, იმიტომ გამოგიგზავნე რომ გაგეყიდა და აღებული ფული უქონელთათვის მიგეცა.“*** – მიუგო კაცობრიობის სიამაყემ.

შუამავალი ბრძანებს რომ: ***„ვინც თავის მოწონების გამო სამოსს ჩაიცვამს, სანამ ამ ქმედებას არ გაანებებს თავს უზენაესი მას ზურგს შეაქცევს და აღდგომის დღეს დამამცირებელ სამოსს ჩაამევს!“***

„სიდიადისა და გაპრანჭვის გამო ვინც სამოსს ჩაიცვამს, მას აღდგომის დღეს, ალლაჰის იმის მსგავს სამოსს ჩააცმევს და ცეცხლში მისცემს!“

ბურდე – იემენში დამზადებული სამოსია რომელიც იჰრამის მსგავსად ტანზე უნდა შემოიხვიო.

საჰლ ბინ საღდი გადმოგვცემს: „ერთ დღეს შუამავალთან ერთი ქალბატონი მოვიდა რომელმაც მას თავისი ხელით მოქსოვილი

ბურდე აჩუქა. შუამავალმა საჩუქარი მიიღო, რადგან ძალიან ჭირდებოდა. ამ ბურდეში გახვეული ჩვენთან მეჯლისში მოვიდა. მეჯლისის ერთ-ერთმა წევრმა წამოიძახა: „ალლაჰის შუამავალო! ამ ბურდეზე უფრო ლამაზი არ მინახავს! ამას მ მაჩუქებ?“ ალლაჰის შუამავალმა მიუგო, შესაძლებელიაო.

როდესაც მეჯლისიდან სახლში დაბრუნდა ბურდე იმ კაცს გაუგზავნა. ჩვენ იმ კაცს ვუთხარით, ძალიან ცუდი რამ გაკეთე, იცოდი, რომ შუამავალი თხოვნაზე უარით არავის ისტუმრებდა და აქედან გამომდინარე დარწმუნებული იყავი რომ გაჩუქებდაო.

იმ პიროვნებამ თავი იმართლა: „ღმერთს გეფიცებით, სამოსად კი არა ქეფინად (გარდაცვლილის დასაფლავებისას მკვდარის გასახვევი სამოსი) მინდაო.“

მართლაც, როდესაც ის გარდაიცვალა ამ ბურდეში გაახვიეს და ისე დაკრძალეს.

ქაღბ ბინ ზუბეირზე მიცემული ჰირქა

ალლაჰის შუამავალმა, თებუქში, ეილეს ხალხთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადების დროს, ამ ხელშეკრულების სიმბოლოდ მათ ბურდე (ჰირქა) გადასცა.

ებულ აბბას აბდულლაჰ ბინ მუჰამმედმა, ეს ბურდე, მათგან 300 დინარად შეისყიდა. აბბასის შთამომავლებმა ეს ჰირქას თავიანთ შვილებს გადასცეს.

როდესაც ხალიფები დღესასწაულის დღეებში ამ ბურდეს ჩაიცვამდნენ და ხელში ასევე შუამავლის ნაქონ ჯოხსაც აიღებდნენ, მათ გულები ცახცახს იწყებდა. თვალებში სინათლე დაეკარგებოდა.

ცნობილი არაბი პოეტი ქალი ბინ ზუჰეირი მოსანანიებლად და ისლამის მისაღებად შუამავალთან მივიდა და უთხრა: „უეჭველად: ალლაჰის შუამავალი ჭეშმარიტების მაჩვენებელი სინათლე, ცუდი გზის ლიკვიდიციისათვის ალლაჰის ბასრი ხმლებიდან ერთ-ერთია!“ ბანედ სუადის ყასიდა, როდესაც წაიკითხა ალლაჰის

შუამავალმა მხრებიდან ჰირქა მოიხსნა და მას აჩუქა.

მტ. მუავიემ, ხალიფობის დროს, ქაღბ ბინ ზუჰეირს, შეუთვალა, რომ მისთვის შუამავალის ნაჩუქარი ჰირქა მიეყიდა და მას ჰირქის სანაცვლოდ 10 000 დირჰემი გაუგზავნა.

ქაღბ ბინ ზუჰეირმა უპასუხა, მე შუამავლის ჰირქის ჩაცმას არავის დავუთმობო და მუავიეს შეთავაზება უარყო.

ქაღბ ბინ ზუჰეირის გარდაცვალების შემდეგ მისი შვილებიდან მუავიემ ეს ჰირქა 20 000 დირჰემად შეისყიდა და ასეთნაირად შუამავლის ქაღბ ბინ ზუჰეირზე ნაჩუქარი ეს ჰირქა ხალიფიდან ხალიფაზე გადადიოდა.

ომაიანების სახემწიფოს დაშლის შემდეგ პირველმა აბბასიანთა ხალიფამ ებულ აბბას სეფფაჰ ბინ აბდულლაჰ ბინ მუჰამმედის მხრიდან ეს ჰირქა 300 დინარად შეიძინა.

მას დღესასწაულებზე ხალიფები იცვამდნენ. როდესაც ხალიფა მუყთედირი მოკლეს, სისხლი მოეცხო და დაბინძურდა. როდესაც აბბასიანები ეგვიპტეში ჩავიდნენ, ჰირქა თან ჩაიტანეს. იავუზ სულთან სელიმის მიერ მისირის აღების დროს, სელიმმა მუჰამმედ შუამავლის ნაქონ,სხვა დანარჩენ წმინდა ნივთებთან ერთად ისტანბულში ჩამოიტანა.

ჰირქა ისტანბულში თოფქაფის სასახლეში ინახება, რომლის ნახვა მნახველთ შეუძლაით. ეს ჰირქა:1,24 სანტიმეტრის სიგრძის, ფართო მკლავებით, შავი შალის ქსოვილისგან არის დამზადებული.

ჰირქას შიგნიდან უხეში ნაქსოვი, კრემის ფერით. წინ მარჯვენა მხარეს 0,23×0.30 ზომის ნაწილი აკლია. მარჯვენა მკლავზეც აკლია. ჰირქა ადგილ-ადგილ გაცვეთილია.

მანდილში გამოხვეული 0,57×0,45×0,21 ზომის უჯრაში ინახება. ამავე ზომის ოქროს შესანახი სულთან მესამე მურადმა გაკეთებინა. ეს შესანახი ხელოვნების მხრიდან გენიალურია არის ზურმუხტებით არის შემკული

შუამავალს ზაფრანით გაღებილი საფარი ჰქონდა. ამ საფარს

ცოლების სახლში იხურავდა. ჰამისა- ოთხკუთხედი და ორივე მხარეს ორნამენტიანი შავი ნაბადის სახელია. შუამავალი ავადმოყოფობამდე, ჰამისადა ნამაზს ლოცულობდა.

წმინდა აიშეს გადმოცემით: შუამავალს ერთ დღეს, ჰამისაზე ნამაზის ლოცვის დროს თვალი, ორნამენტისაკენ გაექცა, ლოცვა მოამთავრა და თქვა: ***„ეს ჩემი ჰამისამი, ებუ ჯეჰმეს წაულეთ. რადგანაც, ამან, ცოტა ხნის წინ, ლოცვიდან მომაცდინა. მე, ადიი ბინ ქაღბიდან ებუ ჯეჰმ ბინ ჰუზეიფე ბინ განიმის ენბიცანესი მომიტანეთ!“***

ებუ ჯეჰმიმ ჰკითხა: „ალლაჰის შუამავალო! ეს რატომ გამომიგზავნე?“ შუამავალმა ბრძანა: ***„ნამაზის ლოცვის დროს თვალი ორნამენტისკენ გამექცა.“*** ეს ჰამისა შუამავალისათვის, ებუ ჯეჰმს ჰქონდა ნაჩუქარი.

ენბიჯანი-შალიდან, ორნამენტის გარეშე დამზადებული საფარია. ჰეიბერში შუამავლის ნადავლში ჰამისაც იყო.

შუამავალი, ამ მოძველებულ ჰამისაზე ნამაზ ლოცულობდა. დალოცვილი შუამავალი, უკანასკნელი ავადმყოფობის დროს, ამ ჰამისას ხშირად სახეზე იფარებდა. როდესაც ჰამისა შეაწუხებდა, მოიხდიდა, ძირს გააგდებდა და სახეს გამოიჩენდა.

მედინის მიწა ნესტიანია ამიტომაც ეს ჰამისა, ალლაჰის შუამავალის საფლავის ქვეშ იქნა გაგებული.

ბენი დარის დელაგაციიდან ჰანი ბინ ჰაბიბმა, ჰიჯრის მეცხრე წელს მედინაში ჩამოსვლის დროს, ალლაჰის შუამავალს სირმიანი სამოსი აჩუქა.

შუამავალმა ეს სამოსი თავის ბიძას აბბას აჩუქა. წმინდა აბბასმა, რა ვუყო ამ სამოსსო, შუამავალს ჰკითხა. შუამავალმა უპასუხა: ***„ოქროები მოხსენი, ცოლისათვის სამკაულებად ან საარსებო სარჩოთ გამოიყენე. ატლასიც, გაყიდე და მოიხმარე.“*** წმინდა აბბასმა ეს სამოსი ებრაელს მიყიდა 8 000 დირჰემად.

ენეს ბინ მალიქის გადმოცემით, როდესაც ზიეზემ, ოცდაათი ხნიერი, მდედრი აქლემი იყიდა, მაშინ შუამავალს ერთი ჰულლე აჩუქა.

ისაყ ბინ აბდულლაჰ ბინ ჰარისის გადმოცემით შუამავალმა, ოცდაცხრა ახალგაზრდა აქლემი ზეიზეს მიყიდა და ერთიც შუამავალს აჩუქა.

ჰულლე-იემენის ბურუდის ან სხვა რომელიმე ქსოვილიდან დამზადებული წელზედა და წელქვედა სამოსია, რომელიც რიდასა (წელს ზემო) და იზარისგან(წელს ქვემო) ორი ნაწილისგან შემდგარ სამოსს ეწოდება.

ნეჯაშის გამოგზავნილი ოქროს ბეჭედი

ეთიოპიის ხელმწიფის ნეჯაში ასჰამას მიერ შუამავალისათვის გამოგზავნილ საჩუქრებში, ეთიოპიის ქვისგან დამზადებული ოქროს ბეჭედიც იყო.

შუამავალმა, ებუ ასის შვილიშვილს დაუძახა და უთხრა: ***„ჩემო გოგო! ეს, ბეჭედი შენ გაიკეთე!“***

მამაკაცთათვის მხოლოდ ვერცხლის ბეჭედია ალალი. ამიტომაც, ოქროს, რკინის ან ყვითელი ბრინჯაოდან დამზადებული ბეჭედი ჰარამი (აკრძალულია) რომ არის, ეს შუამავალს უცნობებია. თავადაც, გარდაცვალებამდე, მხოლოდ ვერცხლის ბეჭედი ჰქონდა გაკეთებული.

შუამავალი ბეჭედს მარჯვენა ხელზე იკეთებდა. ხანდახან მარცხენა ხელზეც გაკეთებული დაუნახავთ. ორივე ხელზე ბეჭედის გაკეთება დაშვებულია. ბეჭედი ნეკითითზე ან არათითზე კეთდება. დღესასწაულებზე გაკეთება შუამავლის მოწონებული ქცევებიდან ერთ-ერთია. ბეჭედის ამპარტავნობის გამო ან საჩვენებლად გაკეთება აკრძალულია (არამია).

ერთ დღეს ნუმან ბინ ბეშირი შუამავალთან მივიდა. ხელზე ოქროს ბეჭედი ეკეთა. შუამავალმა უთხრა: ***„სამოთხეში შესვლამდე, რატომ გაგიკეთებია სამოთხის სამკაული?“*** შემდეგ ნუმან ბინ ბეშირმა რკინის ბეჭედის გაიკეთა. შუამავალმა რომ დაინახა, ***„ჯოჯოხეთის ნივთს რატომ ატარებო?“*** ამის შემდეგ ნუმან ბინ ბეშირმა, ბრინჯაოდან დამზადებული ბეჭდის ტარება დაიწყო. როდესაც შუამავალმა დაინახა, უთხრა ***„რატომაა რომ, შენგან კერპის***

სუნი მცემსო?“

ნუმან ბინ ბეშირმა შუამავალს უთხრა: „აბა როგორი ბეჭედი გავიკეთო-ო?“ ეი შუამავალმა მიუგო, ***„ვერცხლის ბეჭედი შეგიძლია გაიკეთო. და*** *(4.8 გრამ)****-ზე მეტი არ იყოს, თანაც მარჯვენა ხელზე გაიკეთე!“***

ამრ იბნი შუღაბი გადმოგვცემს, რომ ალლაჰის შუამავალი ოქროსა და რკინის ბეჭდის გაკეთების ნებას არ რთავდქა, ხოლო ვერცხლის ბეჭდის გაკეთებას არ კრძალავდა.

როდესაც შუამავალმა ირანის შაჰს, რომის კეისარსა და აბისინიის მეფეს წერილებს უგზვნიდა, მას უთხრეს, რომ თუ წერილს ბეჭედი არ ექნებოდა დასმული, მას ადრესატები არ წაიკითხავდნენ

ამის გამო შუამავალმა ვერცხლის ბეჭედი დაამზადებინა და მასზე სამ სტრიქონად ამოაკვეთინა: ***„მუჰამმედურ რესულულლაჰ-მუჰამმედი ალლაჰის შუამავალია.“***

ბეჭედზე ნაწერი ქვემოდან ზემოთ

„პირველ სტრიქონზე მუჰამმედ,

მეორეზე სტრიქონზე რესულ-შუამავალი,

მესამე სტრიქონზე კი ალლაჰი იყო ამოკვეთილი.

შუამავალის ამ ვერცხლის ბეჭდის თვალი აბისინიის ქვიდან იყო დამზადებული.

სხვა ვერსიით ამ ბეჭდის ამონაკვეთი ვერცხლის იყო.

ამრ ბინ საიდი შუამავალთან მივიდა. შუამავალმა მას ხელზე გაკეთებული ბეჭედი დაუნახა და ჰკითხა: ***„ეს რა ბეჭედია?“*** ამრ ბინ საიდმა ალლაჰის შუამავალს უთხრა, ეს ერთგვარი რგოლია, რომელიც მე გავაკეთეო. შუამავალი დაინტერესდა თუ რა იყო ზედ ამოკვეთილი.

ამრ ბინ საიდმა მიუგო, მასზე მუჰამმედურ რესულულლაჰ არის ამოკვეთილიო. შუამავალმა ნაკეთობა გამოართვა და პირად ბე-

ჭდად იყენებდა, სხვებს კი ბეჭდებზე ანალოგიური წარწერის გაკეთება აუკრძალა.

შუამავალს გარდაცვალების დროს ეს ბეჭედი ეკეთა. იგი ამ ბეჭედს ხან მარცხენა, ხანაც მარჯვენა ნეკა თითზე იკეთებდა.

შუამავალს, ბეჭდის ამოკვეთილი მხარე ხელისგულისკენ ჰქონდა მიქცეული,

შუამავლის ეს შტამპიანი ბეჭედი გარდაცვალების შემდეგ ებუ-ბექირმა, შემდეგ ომარმა, ბოლოს კი ოსმანმა გაიკეთეს.

ჰალიფა ოსმანმა, ერთ დღეს, ერისის ჭის თავზე, ბეჭედი თითიდან მოიხსნა და ხელში ატრიალებდა ამ დროს ის ჭაში ჩაუვარდა.

ჭიდან წყალი მთლიანად ამოაქცია და ბეჭედს სამი დღის განმავლობაში ეძებდნენ, მაგრამ ვერ იპოვეს.

ბეჭედზე ამოკვეთის ტრადიცია შუამავლის შემდეგაც გაგრძელდა. ებუბექირმა ბეჭედზე, „ნიღმელ ყაადირ ალლაჰ“ (ალლაჰს ყველაფი ძალუძს) წმინდა ომარს „ქეფაა ბილ-მევთ ვააღიზან ია ომერ“ (შეგონებათ (რჩევათ) სიკვდილი კმარა), წმინდა ოსმანს „ლე-ნასბირენნე“, (უეჭველად მოვითმენთ) წმინდა ალის „ელ-მულქუ ლილლაჰ“ (მფლობელობა მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის) წმინდა ჰასანს, „ელ-იზზეთუ ლილლაჰ“ (სიდიადე ალლაჰს ეკუთვნის) მუავის „რაბ-ბიღფირ-ლიი“ (ღმერთო ჩემო მაპატიე), იბნი ები ლეილას „ედ-დუნია ღარუურუნ“, (დედამიწა, შემცდენია, ცბიერია) იმამი ებუ ჰანიფეს კი, „ყულ-ილ-ჰაირ ვე ილლაა ფესქუთ“, (ან სიკეთე თქვი ან გაჩუმდი!) იმამი ებუ იუსუფს „მენ ღამილე ბი-რე’იიჰიი ნედიმე“, (ვინც თავისი აზრით იმოქმედებს სინანულში ჩავარდება) იმამ მუჰამმედის „მენ საბერე ზაფირე (მომთმენი მოიგებს(იზეიმებს)) იმამი შაფი „ელ-ბერექეთუ ფილ ყანაა’ა“ (ბარაქა მცირედ ყმაყოფილებაშია) ჰქონდათ ბეჭდებზე ამოტვიფრული. ისინი ბეჭდებს შტამპად იყენებდნენ.

შუამავლის საწოლი

შუამავლის საწოლი გარედან ტყავით შიგნით პალმის ბოჭკო-

ებით იყო დამზადებული. შუამავალიც და მისი ცოლიც მასზე იძინებდნენ, ბალიშიც იგივე საგნებით იყო დამზადებული.

წმინდა აიშე გადმოგვცემს: „ენსარის ტომიდან ერთი ქალბატონი გვესტუმრა. ალლაჰის შუამავლის საწოლი რომ დაინახა, წავიდა და მატყლის ლოგინი გამოგვიგზავნა.“

შუამავალი მოვიდა და მკითხა „რა არის ეს?“ მე მივუგე: „ალლაჰის შუამავალო, ენსარის ტომიდან ქალბატონი მოვიდა ჩვენთან, შენი საწოლი რომ დაინახა, წავიდა და ეს გამოგიგზავნა.“ საყვარელმა შუამავლმა მიბრძანა: ***„ეს ლოგინი ახლავე უკან გაუგზავნე“***

მაგრამ, მე უკან არ დავაბრუნე, რადგანაც მომეწონა. შუამავალმა ეს სიტყვა სამჯერ გაიმეორა. ბოლოს კი ბრძანა: ***„აიშე, ალლაჰს გეფიცები რომ მესურვა ალლაჰი, ოქროსა და ვერცხლის გორებს ჩემთან ერთად დაატარებდა!“*** შუამავლის მინდერი ორი ფარაჯისგან შესდგებოდა.

ერთ ღამეს, როდესაც ჩემთან მოვიდა, ეს მინდერი გაკეცილი დაუგე და დაიძინა. დილით მან მკითხა: ***„აიშე, ამაღამ ჩემი ლოგინი უჩვეულო რატომ იყო?“*** მე მივუგე: „ალლაჰის შუამავალო ის შენთვის გავკეცე.“ მან კი მიბრძანა, რომ ის პირვანდელ მდგომარეობაში დამებრუნებინა.

აიშე მოგვითხრობს: „ყურეიშლებისათვის, მექაში ტახტზე წოლაზე უფრო კარგი რამ არ მოიძებნებოდა. როდესაც შუამავალი მედინაში ჩავიდა და ებუ ეიიუბის სახლში დაბინავდა, მას უთხრა „ეი ებუ ეიიუბ! თქვენ ტახტი არ გაქვთ? მან კი უპასუხა: „ალლაჰს გეფიცები არ გვაქვს“.

ანსარმა საღ ბინ ზარურემ ეს რომ გაიგო, თუნუქისგან დამზადებული სელის ბოჭკოებიანი და ჭილოფგადაკრული ტახტი გაუგზავნა.

შუამავალი თავის სახლში გადაბარგებამდეც და გარდაცვალებამდეც მასზე იძინებდა.

როდესაც შუამავალი გარდაიცვალა, ტანის დაბანისა და ქეფენში (მატერიაში) გახვევის შემდეგ ამ ტახტზე დაასვენეს და

ლოცვა ასე აღავლინეს. აბუ ბექირი და წმინდა ომერიც ამ ტახ-
ტით გაისტუმრეს საიქიოს.